ქალთა მეხსიერება

ასწლეული ინტერიერში

ეძღვნება ზეინაბ ფილიპოვას

თბილისი
2011

სერია ***„ქალთა მეხსიერება“***
სერიის ლოგოს მხატვარი ნანა ჭურღულია

ასწლეული ინტერიერში

შედგენა/რედაქტირება: მარინა თაბუკაშვილი
დაკაბადონება: მაია ბერიძე
ფოტო ყდაზე: ზაალ ქიქოძისა

სერია „ქალთა მეხსიერება“
© 2011 ფონდი ტასო

***Women's Memory** Series*
Logotype of the Series by Nana Churgulia

Century in Interior

Compilation/editing: Marina Tabukashvili
Layout/design: Maya Beridze
Cover photo: by Zaal Kikodze

Women's Memory Series
© 2011 TASO Foundation

ISBN – 978-9941-0-3513-5
ISSN – 1987-5185

„ფონდი ტასო“ (ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი)
TASO Foundation (women's fund and memory research center)

თბილისი, 0108, რ. თაბუკაშვილის 15
ტელ./ფაქსი: +995 32 292 05 95
ელ. ფოსტა: info@taso.org.ge
ვებ-გვერდი: www.taso.org.ge

Tbilisi, 0108, 15, R. Tabukashvili Str.
Tel./Fax: +995 32 292 05 95
E-mail: info@taso.org.ge
web-site: www.taso.org.ge

ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით
Supported by Open Society – Georgia Foundation

ბეჭდვა: შპს ახალი საქართველო, თბილისი 2011
Printed: Akhali Sakartvelo Ltd, Tbilisi 2011

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

მზია სიდამონ-ერისთავი 9
ნესტან ჩხიკვაძე

მარიამ გელაშვილი 24
ცისანა გოდერძიშვილი

ზინა დადიანი 92
ზეინაბ ფილიპოვა

თამარ ხუციშვილი 113
ცისანა გოდერძიშვილი

ნიკო მაკალათია 146
ცხოვრების გზაზე

ქეთევან და ეკატერინე (პეპელა) რაზიკაშვილები 150
თამარ შარაბიძე

ეთერ ბაგრატიონი 158
განვლილი ცხოვრების გახსენება

ქუჩუკ ქიქოძე 187
ნესტან ჩხიკვაძე

მარია (რუყიათა) ჯაბათხანოვი 214
ცისანა გოდერძიშვილი

ზეინაბ თაქთაქიშვილი 224
მარიამ სეხნიაშვილი

კატო კიკნაძე 234
მარიამ სეხნიაშვილი

ანიკო ხარებაშვილი 241
მარინა ტურაშვილი

ჯულიეტა ჩიქოვანი 257
ზეინაბ ფილიპოვა

მარიკა ბარათაშვილი 275
ცისანა გოდერძიშვილი

ნანა კაკაბაძე, ადამიანის უფლებების დამცველი 300
ია მერკვილაძე

თალიკო აბულაძე 313
ია მერკვილაძე

არჩილ ქიქოძე 343
იანათელი მესხები

არჩილ ქიქოძე 358
ერთი სოფლის ამბავი

მერი ცხოვრებოვა 367
ნინო პოპიაშვილი

ია შეღვიაშვილი 377
მარინა ტურაშვილი

ნინო მინდიაშვილი 387
თამარ შარაბიძე

ელენე ხადური 442
მაია მადუაშვილი

ანონიმი 453
არჩილ ქიქოძე

ანონიმი 465
მარინა თაბუკაშვილი

ანონიმი 476
ცისანა გოდერძიშვილი

წინასიტყვაობა

ასწლეული ინტერიერში ეძღვნება ზეინაბ ფილიპოვას, ჩვენს კოლეგას და მეგობარს, რომელიც იმ ცხრა ადამიანს შორის იყო, ვინც, 2001 წელს, ჩვენთან ერთად, ზეპირი ისტორიის მეთოდით დაიწყო კვლევა საქართველოში. სერიის „ქალთა მეხსიერება“ პირველივე გამოცემაში „მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში“ (2004), მისი მომზადებული 11 ბიოგრაფია შევიდა. 7 წლის შემდეგ, *ასწლეულში*, ჩვენი არქივის რჩეულ მასალასთან ერთად, ზეინაბის კიდევ ორ, 2003 წელს ჩაწერილ მონათხრობს ვათავსებთ. ზეინაბ ფილიპოვა, ქართველი კათოლიკე, თვალსაჩინო ჟურნალისტი და ზეპირი ისტორიების მკვლევარი, 2011 წლის 16 ივნისს გარდაიცვალა ბათუმში.

წიგნი ჩვენი ისტორიის 100-ზე მეტ წელიწადს ეხება და წარმოადგენს მოვლენებს, როგორც ეს მოვლენები ადამიანებმა განიცადეს, დაიმახსოვრეს და, თავიანთი კეთილი ნებით – გვიამბეს. აღმოჩნდა, რომ ამ ასწლეულში, გასული საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე ჩვენს დღემდე, ყველაზე მწარედ დამახსოვრებული და მოსათხრობი ადამიანს აქვს შურისძიების, მტრობის, გაუტანლობის, ანგარიშსწორების, სისხლიანი კონფლიქტებისა და ომების ამბები. ძირითადად – ის წვრილ-წვრილი დეტალები ამ ამბებისა, რაც არასდროს ხვდება ისტორიის სახელმძღვანელოებში და არ დაისწავლება იმისთვის, რომ შემდგომში, მომავალში, რაც, არსებითად, ჩვენი ცხოვრების ყოველი მომდევნო წუთია, მიზეზი არ მიეცეს შურს, მტრობასა და გაუტანლობას, ადამიანთა ტანჯვას.

ვიცით, რომ სიმართლე ყველას თავისი აქვს, ხოლო ჭეშმარიტება მიუწვდომელია, ისევე, როგორც ყველა სიკეთე, მთავარი სიკეთეც – მშვიდობა. მშვიდობა ადამიანში, ოჯახში, საზოგადოებაში, ქვეყანაში და ქვეყნებს შორის. და მაინც, რაც ჩვენს გარეთაა, მიუწვდომელი, არის ჩვენშიც, ისე და იმდენად არის, რამდენადაც იმისკენ მივილტვით და მივისწრაფით.

ამ წიგნს ფასს ადებენ ადამიანები, მთხობელნი გულწრფელად და უხვად; ჩვენ, ვისაც ეს ადამიანები გვენდნენ და გვიამბეს, გაგვიზიარეს თავიანთი სიყვარული და წუხილი, ვადასტურებთ, რომ ზუსტად გადმოვცემთ მონათხრობს (თუმც, ზოგ, იშვიათ შემთხვევაში – შემოკლებით) და შესაბამისად, მონათხრობი უახლესი ისტორიის წყაროს წარმოადგენს. რამდენად სანდოა ეს წყარო და სარწმუნოა სურათი, რომელიც თუნდაც ამ ერთი წიგნით იხატება, იტყვიან ისტორიკოსები, იტყვიან სხვადასხვაგვარად, შესაბამისად თავიანთი სამუშაო თეორიების, დროის მოთხოვნების და სხვა გარემოებათა, როგორც ყოველთვის...

ზეპირი ისტორიების, როგორც სოციალურ მეცნიერებათა დარგის განსაკუთრებულობა ისაა, რომ აქ სუბიექტურობა, რისი თავდაღწევაც მეცნიერებას და არა მხოლოდ მეცნიერებას ეთვლება ღირსებად და მიღწევად, აკადემიური დისციპლი-

ნის საფუძვლადაა აღიარებული; ამასთანავე, მონათხრობის სუბიექტურობასთან ერთად, მსმენლისა და მკვლევრის სუბიექტურობაც იგულისხმება. გამოდის, რომ თუ მეცნიერება ესწრაფვის ობიექტურობას როგორც სიმართლეს, აქ სუბიექტურობა, განმსაზღვრელი, ობიექტურობას უახლოვდება როგორც კვლევის მიზანი და მნიშვნელობა. ვფიქრობთ, რომ ეს მრავალმხრივ საგულისხმო გარემოება, ყურადღების გამახვილებით ადამიანის სიცოცხლეზე, როგორც უმაღლეს ფასეულობაზე, გააძლიერებს ამ წიგნის მკითხველის მისწრაფებას ჭეშმარიტებისკენ.

წიგნი, ისევე, როგორც ფონდის ტასო სხვა გამოცემები, აღმქმელად ფართო მკითხველ საზოგადოებას გულისხმობს, მათ შორის სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დარგის მკვლევრებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. იმედი გვაქვს, რომ „ასწლეული ინტერიერში“ ხელს შეუწყობს მშვიდობიანი, უსაფრთხო და სამართლიანი მომავლის უზრუნველსაყოფად მიმართული მუშაობის წარმატებას.

წიგნი ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით ქვეყნდება. ჩვენი მუშაობა ზეპირი ისტორიის სფეროში, 2001 წლიდან მოყოლებული დღემდე, მთლიანად ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ და „ღია საზოგადოების ფონდების“ მიერაა მხარდაჭერილი. დიდი მადლობა ამ შესაძლებლობისთვის.

მარინა თაბუკაშვილი
ფონდი ტასო

მზია სიდამონ-ერისთავი

დაბადების წელი: 1921

2003 წელს თბილისში ჩაიწერა
ნესტან ჩხიკვაძემ

დედაჩემი, მარიამ ლეონიძე, მეფე ერეკლეს მრჩევლის, ცნობილი მსაჯულის, მჭერმეტყველის, სოლომონ ლეონიძის უშუალო შთამომავალი იყო – მისი დიდი ბაბუა გახლდათ. თვითონ მარიამი, დედაჩემი, ცნობილი იყო თავისი დიდი გონებრივი გაქანებით, თავისი დიდი ჰუმანურობით, მჭერმეტყველებითა და მრავალი ენის ცოდნით. მისი მამა – გაბრიელ ლეონიძე ძალიან ადრე დაიღუპა. დაიღუპა თავის მამულში ცხენების გახედვნისას. განჯაში გახლდათ მისი საწარმო – ჯიშიან ცხენებს ზრდიდნენ, ამრავლებდნენ, ხედნიდნენ. ერთხელაც გამხედნავები ვერ მოერივნენ ცხენებს, გაბრიელი თვითონ შეახტა და შეეწირა კიდეც. დედაჩემი მაშინ 2 წლისა გახლდათ და სამ შვილს ბებიაჩემი – მართა ჯორჯაძე-ლეონიძისა ზრდიდა მარტოდმარტო. უფროსი ქალ-ვაჟიდან (სოლიკო – სოლომონ და თამარ ლეონიძეები) ერთი – კადეტთა კორპუსში, მეორე, ე.ი. დეიდაჩემი კი გიმნაზიაში იზრდებოდა. როცა მოსკოვში გაზრდილი პაპაჩემის მეგობარმა, ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინის ვაჟმა, მომავალში გენერალმა ალექსანდრ ალექსანდროვიჩ პუშკინმა, გაიგო მისი მეგობრის გარდაცვალება, შემოუთვალა ბებიაჩემს, შვილებს გაგიზრდიო. ამოარჩიე რომელიც გინდა და გამომიგზავნეო. მე მის წასაყვანად ადიუტანტს გამოვგზავნიო. ორივე უფროსმა შვილმა უარი თქვა. მარიამი პატარა იყო და, რა თქმა უნდა, მაშინ ლაპარაკიც არ იყო მასზე. ასეთი ჩარევა ბავშვების აღზრდის საქმეში პუშკინების ოჯახიდან განმეორდა, როდესაც მარიამი უკვე რვა წლისა იყო. უფროსმა ქალ-ვაჟმა ისევ უარი თქვა. სამაგიეროდ უარი არ უთქვამს მარიამს, მე წავალ, მე ვისწავლი მოსკოვშიო. იმ წელს არა, მაგრამ მომდევნო წელს მართლა ჩამოვიდა პუშკინის ადიუტანტი და დედაჩემი მოსკოვში წაიყვანა აღსაზრდელად.

ცხენების მოშენება კი გრძელდებოდა და იქიდან ჯერ-ჯერობით იღებდნენ შემოსავალს; ცხენსაშენ მეურნეობაში მუშაობდა ადამიანი, ვინც პაპას დროსაც იქ იყო. ის ასრულებდა პატიოსნად თავის შრომას პაპას ხსოვნის პატივსაცემად და ოჯახსაც არჩენდა. ლეონიძეებს სახლი ელბაქიძის დაღმართზე ჰქონდათ. ეხლაც იქ არის ის სახლი და მობინადრეებს, გაბრიჩიძეებს განსაკუთრებით, ახსოვთ, ვისი იყო ეს სახლი, ვისთვის იყო აშენებული.

იმ სახლში, ლეონიძეების სახლში, გაქირავებული ჰქონდათ ბინები, სამსართულიანი სახლი იყო და იქიდანაც ჰქონდა შემოსავალი ოჯახს. ამავე დროს, ბებიაჩემი თვითონაც მუშაობდა – არაჩვეულებრივად ქარგავდა. როგორცა ჩანს, ჩვენს გვარში, სიდამონ-ერისთავების გვარში, ბაგრატიონების გვარში, ეს შთამომავლობით მოდის. ჩემს მამიდაშვილს, ეთერ ბაგრატიონსაც, იცით, რა ხელები ჰქონდა?! რას არ აკეთებდა, რა უმშვენიერეს ნაქარგებს, რა უმშვენიერეს ნაქსოვებს ამზადებდა! საოცარია ჩვენი ქალების ასეთი უნარი, ასეთი ადაპტირება გაჭირვებაში და ასეთი თავდადება თავისი შვილების აღზრდის მიმართ. დიახ, გიმნაზიებში

სპეციალური მასწავლებლები ჰყავდათ, იქ ყველანაირ ხელსაქმეს ასწავლიდნენ. ეს იყო იმ დროის შრომის გაკვეთილები.

მოსკოვში დედაჩემი კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში იზრდებოდა. ეს ეკატერინე დედოფლის სახელობის ინსტიტუტი გახლდათ. მას ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლის განხრაც და სწავლის გაგრძელებაც იქვე ხდებოდა. რადგან დედაჩემის აღზრდა ალექსანდრ ალექსანდროვიჩ პუშკინმა ითავა, წლების განმავლობაში მარიამი თბილისში აღარ ჩამოსულა ზაფხულობით. ზაფხულს იმათ მამულში. პუშკინების მამულში ატარებდა ხოლმე თავისი კურსის მეგობართან, ალექსანდრ ალექსანდროვიჩ პუშკინის შვილიშვილთან – ტატიანა პუშკინთან თუ პუშკინასთან, აღარ ვიცი, ქართულად როგორ გითხრათ. როგორცა ჩანს, იმდენად გაუშინაურდა, იმდენად შეესისხლხორცა ამ ოჯახს, რომ, დედასთან მოწერილი წერილების მიხედვით, არ იგრძნობოდა ნოსტალგია თავისი სამშობლოს მიმართ, ე. ი. თვითონ განსაჯეთ, როგორი ყურადღების ქვეშ უნდა ყოფილიყო იქ. ეს მუდამ ახსოვდა დედას.

დედაჩემი ყვებოდა ხოლმე, როგორ იზრდებოდა მოსკოვის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში. როგორ უვლიდნენ, მკურნალობდნენ და თავს ევლებოდნენ მისი აღმზრდელი მასწავლებლები ფილტვებით დაავადებულ გოგონას – დედაჩემს (როგორცა ჩანს, რუსეთის სუსხმა მაინც დასუსხა). ზოგიერთი მათგანი მხოლოდ აღმზრდელის მოვალეობას ასრულებდა იქ, ზოგი კი აღმზრდელი მასწავლებელი იყო. ჰყავდათ ინსპექტრისაც, რომელიც თურმე თვალყურს განსაკუთრებით მხოლოდ დედაჩემს ადევნებდა, თითოეულ ცალკეულ ავადმყოფს ასეთივე ზედამ-ხედველი ჰყავდა. დედაჩემი ამბობდა, არ დაუშვებდნენ, რომ ვინმე დაღუპულიყოო. ყველას ფეხზე წამოაყენებდნენო. მათთან ერთად იზრდებოდა ქართველი გოგონა, მომავალში ასევე ფრანგული ენის პედაგოგი უცხო ენათა ინსტიტუტში, ქ-ნი ვერა აბაზაძე. ისიც ხშირად ცივდებოდა და გასაკაჟებლად თურმე ცივი შხაპის ქვეშ აყენებდნენ. რომ გამომაჯანმთელეს, მერე მეც ცივი შხაპის ქვეშ მაყენებდნენო, იგონებდა დედა. ამის შემდეგ ის სიბერემდე ცივ შხაპს იღებდა ყოველ დილაადრიან, სანამ დაჯდებოდა თავის წიგნზე სამუშაოდ.

დედაჩემი აქ 19 წლის ასაკში ჩამოვიდა უცხო ენების უკვე დასრულებულ პედაგოგად. კერძოდ, მისი სპეციალობა იყო ფრანგული ენა, მაგრამ ფლობდა და შეეძლო ესწავლებინა გერმანულიც. სხვათა შორის, საშუალო სკოლის კურსი, ანუ გიმნაზიის ნაწილი თორმეტბალიანი შეფასებით ჰქონდა დამთავრებული, ინსტიტუტის უმაღლესი სწავლების ნაწილიც – ასევე ბრწყინვალედ და მას ინსტიტუტის ყველა მასწავლებელი „მერვე საოცრებას“ ეძახდა. გოგონა, რომელიც ისე ჩამოვიდა, რომ რუსულიც კი არ იცოდა წესიერად, თავისი გახსნილი გონების წყალობით ამ ინსტიტუტში დაუბრკოლებლად სწავლობდა ყველაფერს წლების განმავლობაში. მისი მეგობრები ამბობდნენ, ეს გენებია, ლეონიძისეული – მჭერმეტყველი სოლომონ მსაჯულის გენებიაო. ვფიქრობ, რომ მართლა ასეა. გენებს, როგორცა ჩანს, მართლა დიდი მნიშვნელობა აქვს. იცით, რატომ ვფიქრობ ასე? მე არაფრად ვაგდებდი იმას, რომ სიდამონ-ერისთავი ვარ, რომ ლეონიძეების შთამომავალი ვარ, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ჩვენი გვარის ხალხი ბევრ ისეთ რამეს არ იკადრებდა, რასაც ახალი თაობები აკეთებენ. როგორ ვთქვა, რომ მთელი თაობა წამხდარია?! მაშინ არ არსებობდა ის, რასაც დღეს ვხედავთ,

მარიამ ლეონიძე

მსგავსი არაფერი ხდებოდა. დღეს კი ყველა იმაზე ფიქრობს, როგორ გამოგლიჯოს, მოსტაცოს რაღაცა ვინმეს, ვინმე მოატყუოს. ეს პირდაპირ საცოდაობაა ეხლანდელი ხალხისათვის. ბევრს ვერც წარმოუდგენია ეს ყველაფერი, ვერ შეჩვევიან და იცით, როგორ ტყუვდებიან! მათ შორის მეც. ერთხელ ვანდე ერთ ქალბატონს ჩემი ჭურჭელი გასაყიდად, წაიღო და დაიკარგა. მერე ვიღაცა სხვასაც გაუკეთა იგივე. იმან მოძებნა, მეც მომძებნა და სასამართლოში გვქონდა საქმე; თქვენც არ მომიკვდეთ, ვერც სასამართლომ გვიშველა; ვერ, თუ არ მოერია ამ საქმეს. ალბათ იქაც რაღაცა ტრიალებს ისეთი, რაც ინტერესს აკარგვინებს სასამართლოს, რომ მართალს მოაგებინოს საქმე. მე არცა მქონია იმედი. და თუ ოდესმე გავიგე, რომ რაღაცა სწორდება ჩვენს ქვეყანაში, ეს იქნება სასწაული, ისეა წამხდარი ცხოვრება, ისეა წამხდარი ადამიანის ბუნება.

დედაჩემი ორ სასწავლებელში – სასულიერო და კომერციულ ვაჟთა სასწავლებლებში ფრანგული ენის მასწავლებლად მუშაობდა. სხვათა შორის, იმ კომერციულ სასწავლებელში სწავლობდა სერგო ფარაჯანოვის მამა; დედაჩემი მეუბნებოდა, სერგო ფარაჯანოვის მამას ვიცნობდი, ის ჩემი მოწაფე იყოო, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ წელს და მერე მისი გზა და კვალი დავკარგეო. დიახ, სერგო მხატვარი და ხელოვანი იყო, რომლის სახლშიც შემდგომ დედაშენი (ეთერ ბაგრატიონი) ცხოვრობდა. სერგო ფარაჯანოვის მამა ძალიან კეთილშობილი ადამიანი იყო, ქველმოქმედებას ეწეოდა ამ გიმნაზიებისთვისაც.

დედაჩემმა შემოიკრიბა თავის გარშემო ნათესავებისა და ახლობლების წრე, მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, თავისი ნათესაობა ინახულა, გაიცნო, ურთიერთობები გააბა. იმდენ ხანს იყო მოწყვეტილი საქართველოს, რომ, როცა ჩამოვიდა, თითქმის აღარ ახსოვდა ქართული. ერთხელ, როცა ძმის, სოლიკოს და ცხენოსანი ამალის თანხლებით გაისეირნა ბებიაჩემის, გრემის ჯორჯაძეების, მამულებისაკენ და იქაური ნათესაობა ინახულა (დედაჩემი, სხვათა შორის, ძალიან კარგი მოჯირითე იყო ბავშვობიდან, ჯერ კიდევ განჯიდან დაწყებული) და გაუჭირდა იქ ქართულად ლაპარაკი, დაიფიცა, რომ ქართულს დაეუფლება ისე, როგორც ეს ქართველ მანდილოსანს შეშვენის. დაინტერესდა ყოველივე ქართულით, ხალხური ზღაპრებითაც; მახსოვს, მე სულ ქართულ ზღაპრებს მიამბობდა. თვითონ უკვე შეძენილი ჰქონდა, როგორც მახსენდება, არაჩვეულებრივი გამოცემა ქართული ზღაპრებისა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის მსგავსი. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ეს ქართული ზღაპრების წიგნი, ჩემი კლასელის შუამდგომლობით, მე ვათხოვე ვახტანგ კოტეტიშვილს. მერე თურმე ვიღაცისთვის მიუციათ და აღარ დამბრუნებია. ვეძებდი მერე მაგ წიგნს და დღემდე ვერ

ვიპოვე. ვახუშტი მეუბნებოდა,ოჯახს ბევრი სხვა წიგნიც დაეკარგაო. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა დღემდეა ჩვენს ოჯახში, დიახ, დიახ, სწორედ ის გამოცემა.

ჰო, იმას ვამბობდი, რომ დედაჩემმა ინახულა მაჩაბლები, ინახულა ზურაბიშვილები, ინახულა ნატა ვაჩნაძის მშობლები, ინახულა ლეონიძეები – ორი ოჯახი იყო ლეონიძეებისა, მესამე კი დედაჩემისა იყო. და სოლიკოსთან ერთად ისევ კონდოლში (სოფელი ალაზნის ველზე) მიმავალს თურმე აზრად მოუვიდა დამეგობრებულიყო ქაქუცა ჩოლოყაშვილთან. ქაქუცა ჩოლოყაშვილის დედ-მამა ჩემი მართა ბებიის, მათიკო ბებიის (დედის დედა) ძალიან დიდი მეგობრები ყოფილან. ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ სოლომონ ლეონიძის შთამომავლები – ლეონიძეები; ისინი მახსოვს როგორც дедушка Евсей и бабушка Оля (პაპა ევსეი და დიდედა ოლია), რომლებიც ჩუქნიდნენ დედაჩემს სოლომონ ლეონიძის ნაქონ ნივთებს, რადგან სოლომონ ლეონიძის უშუალო შთამომავლად მიაჩნდათ. მახსოვს ბეჭდები დედაჩემის ხელზე. ერთი, მეორე, მესამე. მერე ამ სამკაულებიდან ზოგი „ტორგისინს“ (30-იანი წლების დასაწყისში მოგონილი საბჭოთა სისტემა, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტს მოსახლეობის შიდა რესურსების მობილიზაციით ავსებდა) ჩაბარდა. მახსოვს „ტორგსინში“ ბებიაჩემის, მათიკო ჯორჯაძის მიერ გატანილი სოლომონ ლეონიძის მეუღლის ნაქონი ნივთები. „ტორგისინში“ იმ ბეჭდების ჩაბარებით ის ყიდულობდა ფქვილს, შაქარს, კარაქს, ჩემთვის წითელ ბერეტს, ნარინჯისფერ-ატმისფერ ბერეტს – ჩემი ბიძაშვილისათვის. მახსოვს, როგორ მეწყინა, რომ მე წითელი ბერეტი მიყიდა და არა ისეთი, როგორიც თამრიკოს – ჩემს ბიძაშვილს. ბევრი რამე იყო გატანილი ოჯახიდან. მაგრამ დედაჩემი ამას ძალიან იოლად უყურებდა. მერე რაო, ამბობდა, ისევ შეიძინებაო. ეს იყო დრო, როდესაც დედა უკვე მუშაობდა საკმაოდ პასუხსაგებ სამსახურში – იმდროინდელ მინისტრთა საბჭოში, სახკომსაბჭოში.

შემოგვრჩა ლეონიძეების ნაჩუქარი ყარყუმის პალანტინი – „გარნასტაის“ პალანტინი, რომლითაც პეტერბურგში ჩაბრძანდებოდა ხოლმე სოლომონის მეუღლე. ე. ი. შთამომავლობით გადმოცემულმა მოაღწია დედაჩემამდე. ბევრჯერ იყო ცდა მისი გაყიდვისაც, სხვათა შორის. მახსოვს, ერთხელ ჩემმა მეუღლემ მთხოვა, გაიკეთეო. ოპერის თეატრში ვიღაცასთან – ჩამოსულ მსახიობთან იყო შეხვედრა. მეხვეწებოდა, გაიკეთე, ერთხელ მაინც გაიკეთეო. ვიფიქრე, ჯანდაბას ჩემი თავი, გავიკეთებ-მეთქი. მართლა გავიკეთე, კაბაზე წამოვისხი და შევედით. ისეთი დრო იყო, პალტოები არ გვეცვა მაშინ, მივდივართ ამფითეატრში, მელაპარაკება რაღაცას და მეც ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ და აღარ მესმის ჩემი მეუღლის ხმა. მივიხედე, სად არის ჩემი მეუღლე?! მოვიხედე უკან და რას ვხედავ: ამფითეატრის მთელ კიბეზე დგას ხალხი მაღლა და ცოტა ქვევით – ჩემი ქმარი. მე კი მარტო ვდგევარ აქ. თურმე ჩემს „გარნასტაის“ ათვალიერებენ. ცალი მხარე მომძვრალი მქონდა და მომდევდა შლეიფივით. მოვიკრიბე ძალ-ღონე და შურდულივით გავიქეცი ჩემი ადგილისაკენ. დამეწია ჩემი ქმარი. გაბუტული დავხვდი.

დავუბრუნდები ისევ იმ წრეს, დედაჩემმა რომ შემოიკრიბა: ილია ზურაბიშვილი, ვახტანგ ციციშვილი – კონიაკის წარმოების უფროსი, შემდეგ ქ-ნი ელენე მაჩაბელი და მისი ძმა ნიკო მაჩაბელი, რომელსაც ნიკას ეძახდნენ; ქ-ნი მარიამ სიდამონ-ერისთავი-გერსამიასი, მისი მეუღლე კლიმენტი გერსამია; ნატაშა სიდამონ-

ერისთავი – სიკო სიდამონ-ერისთავის ძმის, ვანიჩკას მეუღლე; ნატაშა ჩოლოყაშვილი-ჩილაკაევა; თიკო თუმანიშვილი – ჩვენი დიდი რეჟისორის (გულისხმობს მიხეილ თუმანიშვილს), მგონი, ბებიდა იყო. ბევრი აღარ მახსოვს, ოო, კოლია კახიძე – თამუნია წერეთლის მეუღლე მომავალში. აი, მათი ოჯახები იკრიბებოდნენ დედაჩემთან, ხან მარუსია გერსამიასთან, ხან მაჩაბლებთან. მაჩაბლებთან ხშირად იკრიბებოდნენ გოგონები, ძირითადად – დღესასწაულებზე და დღესასწაულის შემდეგ მეორე დღესაც.

დედაჩემის მონაყოლიდან: *„მეორე დღეს ეს გოგონები ელიჩკას ოთახში ტრიალებენ, ხმაურობენ, რაღაცას უყვებიან ერთმანეთს, კისკისებენ. ამ დროს იღება კარი და მოახლე კაცი ეუბნება, გოგონებო, ცოტა ჩუმად, აკაკი მოდის. ოო! მოდის ილია! მაშინ მეგობრობა იყო მაგათ შორის. ეს რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა იყო. იმ წუთიდან გასუსულები ვიყავით და ყველას ვათვალიერებდით. ვხედავთ, რომ მაგიდაზე, რომლის გარშემოც იკრიბებიან ეს ვაჟკაცები, დევს რაღაც ქაღალდები, რაღაცა ჟურნალები, წიგნები და ცხარე ბაასი და ცხარე ბჭობაა მათ შორის. ჩვენთვის შორი იყო და რაზე ლაპარაკობდნენ, არ გვესმოდა. მაგრამ მახსოვს ერთი მომენტი: როცა ეს სჯა-ბაასი უკვე მიმცხრალი იყო, შემოცქრიალდა ტასო ბაგრატიონ-მაჩაბელი, დეიდა ელიჩკასა და ნიკას დედა, უშველებელი ლარნაკით და მოიარა ყველა: გნებავთ? გნებავთ? გნებავთ? არავინ მოინდომა და თვითონ ჩაიდო პირში. ჩვენ დავინახეთ, რომ თურმე მარტო ერთ ბარკალს სთავაზობდა ყველას დეიდა ტასო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო; თუმცა გაჭირვების წლების ხუმრობა, იმიტომ, რომ წინა დღეს ელიჩკას დაბადების დღე იყო და ყველაფერი გათავდა“.*

რა თქმა უნდა, თავადაზნაურობას გასაბჭოებამდეც უჭირდა. ილეოდა უკვე ყველაფერი, ყველაფერი ეცლებოდათ ხელიდან და არც ცდილობდნენ, რაიმე ეღონათ. ეს ჩვენი თავადიშვილების თვისებაა – ინერტულობა, დღემდეც რომ მოგვდევს.

მახსოვს, რომ ეს ოთახი თავისუფალი იყო. მეორე ოთახში ბებიდა ცხოვრობდა, მესამე ოთახი ბებიასი იყო. აი, ამ ოთახში იკრიბებოდა ეს ხალხი და მახსოვს შეკრებისას როგორ მსჯელობდნენ იმაზე, რომ „ივერიაში“ არის ილიას სტატია და უნდა გავავრცელოთ ხალხშიო. დიახ, ეს იყო ჩემი ბავშობისას, ამ ძველ გაზეთში დაბეჭდილი სტატიის გავრცელება სურდათ ხალხში, იმიტომ რომ არავინ იცნობდა ილიას პუბლიცისტიკას. აი, ეს მომენტი მახსოვს, რატომღაც ჩამრჩა და მერე ვკითხე, ამით რას აკეთებდით-მეთქი, დედა? როგორ გახსოვს ეგაო, დედას გაუკვირდა. ვაკეთებდით იმას, რომ ვცდილობდით ხალხს წაეკითხა ილიას მოწოდებები, ილიას სწავლება, ილიას მოძღვრებაო.

დედაჩემი რომ მამაჩემზე გათხოვდა, ეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის და ქ-ნი ელენეს შუამდგომლობით მომხდარა. მამაჩემი თურმე დედაჩემით ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესებულა, როცა დედა სოლიკოს თანხლებით ცხენებით მოგზაურობდა კახეთში. სოლიკო იცნო მამამ, დედაც პირველად იქ დაინახა...

მამაჩემს პირველი დანახვისთანავე თვალში ჩავარდნია დედაჩემი და შემდეგ თბილისშიც ძალიან ხშირად სტუმრობდა დედას ოჯახს. გავიდა დრო და ცოლობა შესთავაზა. მაშინ დედა თურმე რაღაცნაირად ბანზე აგდებდა სიტყვას, ამბობდა, ჯერ მაგაზე არ მიფიქრიაო, თუმცა უკვე საკმაოდ ასაკში შესული იყო იმდროინდელი გასათხოვარი ქალების კვალობაზე. მამას, კიდევ ერთხელ რომ

შესთავაზა და ისევ უარი მიიღო, საშინლად შეურაცხყოფილად უგრძვნია თავი. თვითონ მამა მიყვებოდა ამას და ძალიან დიდხანს არ ვეკარებოდი ამის შემდეგო, მეუბნებოდა. მართალი გითხრა, მაინცდამაინც არ შეწუხებულაო. ერთხელაც შემთხვევით შევხვდი ქ-ნ მარიამ სიდამონ-ერისთავთან მისი დაბადების დღის წვეულებაზეო. მეც მივესალმე, ისიც ძალიან თბილად მომესალმა და გავაგრძელეთ საუბარი, თითქოს არავითარი ფარული განხეთქილება არ იყო ჩვენს შორისო. მაგრამ მე ფარულად, მალულად ვადევნებდი თვალსო. მაინტერესებდა, ნუთუ მართლა არავითარი ინტერესი არა აქვს ჩემიო. მერე თვითონ მომიახლოვდა და მითხრა: „ვის ეკუთვნი?“ ამის შემდეგ აღარ ჩამოვცილებივარ. დავინახე, რომ რაღაც ინტერესი აქვს ჩემს მიმართ. მართალია, მარტო ცეკვამ დააინტერესა, მაგრამ მე უკვე დავინახე, რაც მე მჭირდებოდაო. არ ჩამოვცილებივარ და კარგა ხნის შემდეგ გადავსახლდი მისი სახლის პირდაპირ საცხოვრებლად ჩემ დასთან ერთადო, მიყვებოდა მამაჩემი, მე და ჩემი და ძალიან ხშირად ვიყავით მასთან სტუმრად, მით უმეტეს, რომ ჩემს დას ამეცადინებდა რუსულსა და მათემატიკაში, ძალაუნებურად უხდებოდა ჩემი მიღებაცო. დედამისს, მათიკოს, ძალიან ვუყვარდი, დროს მშვენივრად ვატარებდითო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დავინახე, რომ მის საწერ მაგიდასთან ერთ მხარეს იჯდა თვითონ და მეორე მხარეს ვიღაც, ვისაც მე ვერ ვხედავდი, მაგრამ ხმა შემოდიოდა ვაჟკაცისა ჩემს ფანჯრაში მისი ღია ფანჯრიდანო. მეორედაც რომ დავიჭირე ასეთი მომენტი, არც ვაციე, არც ვაცხელე და საიდან გავაჩინე, არ მახსოვს, ვესროლე ლაყე კვერცხებიო. დედაშენი, მარუსია, მარუსიას ეძახდა, წამოხტა ქორივით და მომიჯახუნა ფანჯრებიო. მერე რა ხდებოდა იქ, აღარ მაინტერესებდა. ალბათ, დედაშენი ბოდიშს უხდიდა, მგონი წმენდდა კიდეცო. მაგრამ ამის შემდეგ ეს ვაჟკაცი აღარც მინახავსო. დედაჩემს მერე უთქვამს ჩემთვისაც და მამაჩემისთვისაც, მე რომ ვუხდიდი ბოდიშს, ის თავად მიხდიდა ბოდიშსო, მეუბნებოდა, მე არ ვიყავი საქმის კურსშიო.

აი, ასე ნელ-ნელა ინადირებდა მიხეილ ერისთავი მარიამ ლეონიძეს. ამის შემდეგ მამამ კიდევ შესთავაზა ცოლობა. დედაჩემმა, როგორც ჩანს, იმდროინდელი გაცეცხლებული გუნებით, ძალიან მტკიცედ უთხრა უარი. წავიდა მამაჩემი. რამდენიმე საათის შემდეგ ესმის დედაჩემს მამიდაჩემის, მომავალი მამიდაჩემის კივილ-წივილი: „მარუსია, მიშველე!“

მამაჩემს თურმე უბანავია, გაუშლია ლოგინი, დაწოლილა და უსროლია გულში ისე, რომ ტყვია გავარდნილა იატაკში, და ჩვენდა ბედად, ასცილებია გულს. ამის შემდეგ დედაჩემი თავზე ედგა ამ ავადმყოფობისას, ყველა მისი მეგობარი თავზე ედგა, ყველა კიცხავდა მარიამს, რომ ამდენ ხანს აწვალებდა. მერე დიდხანს ფიქრობდა, ფიქრობდა და ქაქუცასთვის უთქვამს (როგორც დედამ თვითონ მითხრა), მე ნამდვილად მომწონს ეგ ადამიანი, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ფიცხია, სიფიცხისა მეშინოდაო.

ამის შემდეგ გავიდა რამოდენიმე ხანი. დედაჩემი კიდევ აჭიანურებდა, აჭიანურებდა და ერთხელაც, როდესაც გამოდიოდა სასულიერო სასწავლებლის შენობიდან, იქვე იდგა ეტლი და წინ და უკან დადიოდა ქაქუცა. ის ვითომ შეეჯახა დედაჩემს და რა გინდა აქაო? – ჰკითხა. აქ ჩემი სკოლაა, მე აქა ვმუშაობო, – უთქვამს დედას. ძალიან კარგად იცოდა ქაქუცამ, სადაც მუშაობდა. დამაცადე და მე წაგიყვან სახლში, ჯერ რაღაც საქმე მაქვსო, თუმცა არა, კარგი,

კარგი, წამოდი, წაგიყვანო. კარგად გაითამაშა ქაქუცამ ყველაფერი. ისეთ საუბარში გამხვია, რომ ვერც კი შევნიშნე, სად მივდიოდით და რომ გავცდით ქალაქს, მივხვდი, რაშიც იყო საქმეო, – იგონებდა დედა. დიახ, მოგიტაცეო, – მითხრა ქაქუცამ, – და ეხლა მიდიხარ შენ საქმროსთან შესახვედრადო. ამოვყავით თავი ბორჯომში. ეკლესიის წინ დგანან ელენე მაჩაბელი, ნიკა მაჩაბელი, ილია ზურაბიშვილი, ვახტანგ ციციშვილი, რუსი მხატვარი ქალი გვყავდა, გვარი დამავიწყდა, ისიც იყო მოწმედ. ვინ არიან მოწმეებიო? – კითხულობდა მღვდელი. აი ბატონი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ქ-ნი ელენე მაჩაბელი, ეს მეორე მხატვარი ქალი და ბ-ნი ილია ზურაბიშვილიო. თქვენ წარმოიდგინეთ, ქაქუცას სახელი არ ჩააწერინეს. ისეთი მდგომარეობა იყო, ისეთი პერიოდი.

ემიგრაციაში წაბრძანდნენ ქაქუცაც და ბიძაჩემი სოლიკოც. ჩვენ ვიცოდით, რომ ორივე საფრანგეთში წავიდნენ. დიდხანს არაფერს არ იწერებოდა არც ერთი. თქვენ წარმოიდგინეთ, დედაჩემი ერთხანს დაკავებულიც კი იყო ამ ნიადაგზე, რომ ეთქვა, სად იყვნენ, მაგრამ რადგან პასუხისმგებელი მუშაკი იყო და, ალბათ, შემოწმებულიც, ხელი არ ახლეს, დააბრუნეს სამსახურში. საოცარი ამბავი იყო. არც გაგვიგია ბოლომდე, სად იყო სოლიკო. ქაქუცამაც არ იცოდა, ისე წავიდა იქიდან. პარიზში ჩავიდნენ. ქაქუცა სინამდვილეში მამაჩემის მეგობარი იყო და სოლიკო მამაჩემისაგან ჰყავდა გაცნობილი. ვფიქრობ, ამას ბიძაჩემი სპეციალურად აკეთებდა, რომ მისი დის ოჯახს უსიამოვნება არ შეხვედროდა.

მე 1921 წელს დავიბადე. და თუ რამე ვიცი იმ დროის შესახებ, რა თქმა უნდა, მონაყოლიდან. მონაყოლიდან მახსოვს, რომ 21 წელს, მე ჯერ დაბადებულიც რომ არ ვიყავი, მამაჩემს თავისი როტა (ასეული) უკვე გემზე ჰყავდა აყვანილი, ელოდებოდა დედას ჩამოსვლას პორტში, რომ გასულიყვნენ საზღვარგარეთ, როგორც ემიგრანტები.

მამაჩემი, მიხეილ სიდამონ-ერისთავი, ახალგაზრდა ოფიცერი გახლდათ. კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, როგორც ოფიცერი, ჯარის ნაწილში მსახურობდა და, როგორცა ჩანს, მოსწონდა ეს სამსახური. ძალიან ვაჟკაცური, ძალიან წარმოსადეგი, ძალიან ცოცხალი და ზოგჯერ ფიცხიც გახლდათ თურმე. მე ესეც მოგონებებიდან მახსოვს, ჩვენებისაგან, განსაკუთრებით, მამიდებისაგან. ვიცი, რომ დედაჩემი უკვე მისული იყო ზღვის სანაპიროზე, უკვე აპირებდა ასვლას გემის ბაქანზე და მამაჩემმა გააჩერა. ვიცი, რომ აპირებდნენ წასვლას იქ, სადაც უკვე წასული იყო ცოტა ადრე სიდამონ-ერისთავების წარმომადგენელი, სიკო სიდამონ-ერისთავი. სხვათა შორის, არ ვცდები, ეს ზუსტად გამოირკვა შემდგომ, რომ სიდამონ-ერისთავები იყვნენ კახეთის დიდი მთავრები, არაგვის ერისთავების განშტოება. მამაჩემი დაიბადა თელავში. ბებიაჩემის ნაამბობით, ძალიან ცელქი, თავისი სიცელქით ყველასათვის ცნობილი ვაჟკაცი იყო ბავშვობიდან. ბებიაჩემი იყო ქალბატონი თამარ ვაჩნაძე-სიდამონ-ერისთავისა. ულამაზესი ქალი ყოფილა. იქ, სადაც ცხოვრობდა, თელავში, ძალიან უყვარდათ. ცნობილი იყო როგორც არა მარტო გარეგნობით, არამედ სულითა და ხორცით ლამაზი ადამიანი. ქვრივი იყო და თავისი ოთხი ქალ-ვაჟი გაზარდა – ორი ქალი და ორი ვაჟი, სამხედრო სასწავლებელში მარტო მიხეილი გაუშვა.

უცხოეთში რომ არ წავიდა, თავისი როტა რომ დააბრუნა და თვითონაც რომ გადმოვიდა ბოლშევიკების მხარეზე, ეს ყველაფერი დიდ ღირსებად ჩაუთვალეს

მამაჩემს და ძალიან ახლო მომავალში მას დამსახურებაც მიანიჭეს. ვფიქრობ, საზოგადოების ნაწილი თანაუგრძნობდა რევოლუციას, იმიტომ, რომ რაღაცა ახალს ელოდნენ, რაღაცა ახალი სჭირდებოდა ქვეყანას და საერთოდ მსოფლიოს და როგორცა ჩანს, თვლიდნენ, რომ ეს ახალი და კარგი მოდიოდა. არასდროს შემიმჩნევია მათთვის უკმაყოფილება, ასეთი რამ არ მახსოვს. ისინი შრომობდნენ ისე, როგორც საერთო გარემო, საერთოდ საქმე მოითხოვდა. თითქოს ადაპტირებულნი, უმტკივნეულოდ, კეთილსინდისიერად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. დედაჩემიცა და მამაჩემიც ბუნებით დემოკრატები იყვნენ. ყველასათვის მტკივნეული ის იყო, რომ დაგვეღუპა მამიდაჩემის ქმარი დათა ბაგრატიონი, ის 1924 წელს დახვრიტეს ისეთმა ადამიანებმა, როგორებიც ბულგაკოვმა აღწერა თავის ნაწარმოებში „Собачье сердце“. აი, სწორედ ისეთმა ბრიყვმა ადამიანებმა დახვრიტეს. რა მიზეზით ხვრეტდნენ? მათ ეგონათ, რადგან თავადები იყვნენ, ყველა დასახვრეტი იყო. თავადი და ისეთი დემოკრატი, ისეთი წმინდანი, როგორიც მამიდაჩემის მეუღლე გახლდათ, ათასში ერთი თუ მოიძებნება ამ ქვეყანაზე. სამწუხაროდ, სწორედ ასეთ ადამიანები შეეწირნენ ამ სიბრიყვეს, იმ დროის სიბრიყვეს.

ქაქუცა და მამა მეგობრები იყვნენ. შეიძლება იდეოლოგიურად არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამის თაობაზე კამათი და დავა არა ჰქონიათ. ისეთი ყაყანი, როგორც ჩვენს პარლამენტშია?! ასეთი რამ არც დასიზმრებიათ. არც იკადრებდნენ ამას არასდროს. მეგობრობა მეგობრობად რჩებოდა. ჩემს ოჯახში მასზე გადაბრუნებული სიტყვა არავის უთქვამს და ჩემი ნათლობისას ჩაწერილია ჩემს ნათლიად. მე კი ძალიან გვიან, 21 წლის ასაკში მომნათლეს, როცა უკვე კომკავშირელი გავხდი. დიახ, აკრძალულიც იყო და სახიფათოც – ისეთი უღმერთობა მძვინვარებდა, მაგრამ მე ბავშვობიდან ბებიაჩემთან ერთად, დედაჩემთან ერთად ყოველთვის დავდიოდი ეკლესიაში. დავდიოდით აი ამ რუსულ „ბაგასლოვსკის“ ეკლესიაში, ლურჯ მონასტერთან. ლურჯი მონასტერი დახურული გახლდათ დიდი ხნის განმავლობაში. მუზეუმის გახსნას აპირებდნენ, არ გახსნილა. მე არასოდეს მოვწყვეტივარ ეკლესიას.

ჩემი ბავშვობიდან მახსოვს მხოლოდ ის, რომ, 37 წლიდან დაწყებული, უკვე შიში იყო დაპატიმრებისა, მაგრამ მახსოვს, რომ მანამდე ძალიან ძნელი იყო ცხოვრება, ძალიან ძნელი იყო ოჯახის რჩენა და ამ ოჯახის რჩენაში დედაჩემი ძალიან ეხმარებოდა მამიდაჩემებს – ორივე დაქვრივებულ მამიდას მათი შვილების რჩენაში. დედაჩემი მაშინ უკვე მინისტრთა საბჭოს სტენოგრაფი გახლდათ.

ძალიან მალე, რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფო სკოლების სასწავლო პროგრამებიდან ამოიღეს ფრანგული ენის სწავლება, გერმანული ენის სწავლება. ინგლისური მაშინ საერთოდ არ იყო მოდაში. სტენოგრაფია იძულებითი საქმიანობა იყო დედაჩემისთვის. იძულებული იყო, ხელი მოეკიდა ისეთი სამუშაოსათვის, რომლითაც შეძლებდა ოჯახის რჩენას. ისწავლა თბილისში. მიმართა ვინმე ჟივასტოვსკის, რუსული სტენოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორს, რომელიც ჩამოსული იყო აქ და სტენოგრაფიას ასწავლიდა. თბილისში არსებობდა ასეთი სპეციალური სასწავლებლები, რომლებიც თითქოს იმისთვის იყვნენ მოწოდებული, რომ დედაჩემს შეძლებოდა არსებობა. დედაჩემი ასე ამბობდა: „სტენოგრაფია ჯიბისათვის, ენები კი სულისათვის – Стенография для кармана, а языки – для души.“

დედაჩემი უკვე გამოცდილი სტენოგრაფი იყო, ქართველი სტენოგრაფები კი ცოტანი იყვნენ, დედაჩემმა თვითონ გაიაზრა ეს, მერე კი განათლების სამინისტროდან

გამოიძახეს და შესთავაზეს ქართული სტენოგრაფიის სახელმძღვანელოს შექმნა. რაღაცა კი არსებობდა, თუმცა ისეთი, რომ ეფექტური ყოფილიყო, არა. იყვნენ ავტორები, რომლებიც ცდილობდნენ ქართული სტენოგრაფიის შექმნას. და აი, სწორედ მაშინ, როცა დედამაც შეამჩნია, რომ ქართულ ენას სჭირდება ქართველი სტენოგრაფები, როცა მთავრობაშიც, განათლების სისტემაშიც დაინახეს ქართველი სტენოგრაფების საჭიროება, მაშინ დედაჩემი გამოუძახებიათ სამინისტროში და შეუთავაზებიათ, თქვენ ხომ რუსული სტენოგრაფი ბრძანდებითო, თქვენ ხომ ქართული სტენოგრაფიის შესაძლებლობებსაც იცნობთო, ხომ არ მოჰკიდებთ ხელს სახელმძღვანელოს შექმნასო? იმ დღიდან დედა შეუდგა მუშაობას და, რა თქმა უნდა, ამისათვის შეისწავლა არა მარტო რუსული სტენოგრაფიის საფუძვლები, არამედ ჩეხური, ინგლისური და გერმანული სტენოგრაფიის საფუძვლებიც. ჰქონდა გამოწერილი და დღემდე მაქვს შენახული ლიტერატურა, არეებზე მისი შენიშვნებით. მაშინ ორი სისტემა არსებობდა სტენოგრაფიისა – გეომეტრიული და გრაფიკული. და უნდა შეერჩია, რომელი გამოდგებოდა ქართული ენისათვის. დედამ რუსულ სისტემას ქართული ენის თავისებურებები მიუსადაგა. და ეს რომ ბრწყინვალედ შეასრულა, ამისი მოწმე იყო თვით ბატონი აკაკი შანიძე, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთული იყო, მაინც მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და გადაათვალიერა დედაჩემის მიერ მომზადებული ქართული სტენოგრაფიის სახელმძღვანელოს მასალა. და მაშინვე მიუთითა, ხომ იციო, მარიამ, ქართული ენა თავისებური ენაა და მასთან მუშაობა სიფრთხილეს მოითხოვსო, მაგრამ მე შევამჩნიე ისეთი რამე, რაც მომეწონაო. უბრალოდ მისადაგება არ გამოდგებაო. დედამ უპასუხა, მე მისადაგებას არც ვაპირებ. მე ვაპირებ ქართული სტენოგრაფიის შექმნას, შევისწავლი ყველაფერს და თუ მივუსადაგებ – მხოლოდ გრაფიკული სისტემის წესების შესაბამისადო. გრაფიკულ სისტემაზეა აგებული რუსული სტენოგრაფიაც და იქნებ ქართველმა სტენოგრაფმა რუსული სისტემაც შეისწავლოს და შეძლოს ჩაწერა ორ ენაზე – ქართულადაც და რუსულადაცო. აი, ეს ჰქონდა დედაჩემს მიზნად დასახული და, ვფიქრობ, რომ მართლა ღირსეულად შეასრულა ის, რაც ჩაიფიქრა. ამის თაობაზე არსებობს უშველებელი რეცენზია რუსული სტენოგრაფიის – გრაფიკული სტენოგრაფიის ფუძემდებლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სოკოლოვისა და უშველებელი რეცენზია ბ-ნი აკაკისა, რომელმაც დაწერა: ქ-მა მარიამმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ურთულეს საქმეს – ქართული სტენოგრაფიის შესწავლის საქმესო. ორივე რეცენზენტის აზრით, ამ ნაშრომით დედაჩემი ენათმეცნიერების კანდიდატის ხარისხს დისერტაციის დაუცველად იმსახურებდა.

ჯერ ერთი, ასეთი მიდგომა თვით სტენოგრაფისთვისაც ძალიან სასარგებლო იყო გონებრივი განვითარების თვალსაზრისით, მეორეც, სტენოგრაფი საჭირო იყო იმიტომ, რომ იგი იწერდა ყველა დარგში ყველა ბუმბერაზი ადამიანის სიტყვებს, მოხსენებებს, და ეს მოხსენებები, როგორც შედეგი მათი მოღვაწეობისა, მერე იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა. თუმცა მთავარი არც ესაა. მე დედაშენის მაგალითზე მოვყვები. დედაშენი, დედაჩემის მოსწავლე, რომელიც ქართული სტენოგრაფიის ისეთივე სპეციალისტი იყო, როგორიც დედაჩემი რუსულ სტენოგრაფიაში, ერთ მშვენიერ დღეს დაესწრო ილიას მკვლელთა სასამართლოს. და როცა იქ თქვეს, ეხლა გამოვა მკვლელიო, სტენოგრაფებს აუკრძალეს ჩაწერა, მათ მხოლოდ მოისმინეს, მათ შორის

დედაშენმაც. იქიდან წამოსული დედაშენი მოვიდა პირდაპირ დედაჩემთან და უთხრა, ჩვენ აგვიკრძალეს ჩაწერაო. დედაჩემი ადგა თავისი საწერი მაგიდიდან, ამოიღო რვეული და უთხრა, დაჯექი აქ და ეხლავე ჩაწერე, რაც გახსოვს, მერე გამოგადგებაო. და ეს დოკუმენტი, რომელიც ჩვენს სახლში ჩაიწერა დედამ, მართლაც დარჩა მომავლისათვის მეტად საჭირო და საინტერესო დოკუმენტად. იმ რვეულის ყდაზე, თუ არ ვცდები, სტალინის სურათია. უკვე გაცრეცილი მინახავს ეთერისთან. მერე ეს დოკუმენტი ინახებოდა ილიას მუზეუმში. ბერბიჭაშვილის სიტყვა მთლიანად აღადგინა ეთერიმ და ინახება მუზეუმში. სულ მეუბნებოდა ხოლმე, ძალიან ძნელია ჩვენი ცნობილი კრიტიკოსის, ბესარიონ ჟღენტის ჩაწერა, მაგრამ მე ყველაფერს ვაკეთებ, რომ ჩავწეროო.

მარიამი მინისტრთა საბჭოში ემსახურებოდა ყველა ყრილობასა და შეკრებას, იწერდა სტენოგრაფიულად რუსულ ენაზე, ქართულისათვის მერე უკვე ეთერი ჰყავდა გვერდით. გარდა ამისა, ძალიან მალე დედაჩემი დანიშნეს სახკომსაბჭოს საერთო განყოფილების უფროსის, გვარად ჟლუნკევიჩის, მოადგილედ. ეს უკვე დიდი თანამდებობა იყო. იქ იყო კარგად აწყობილი კანცელარია, სადაც მუშაობდნენ მომავალი დიდი იურისტი ქ-ნი თინათინ წერეთელი და ქ-ნი ქსენია გრებენშჩიკოვა, რომლებმაც იურიდიული ფაკულტეტი უნივერსიტეტში დედას შემწეობით დაამთავრეს. მუშაობის პერიოდში დედა აძლევდა მათ საშუალებას ლექციებზე დასწრებისაც, გამოცდების ჩაბარებისაც, ამბობდა, სანამ მე ამ სტენოგრაფიით ვიყავი გართული, ამ ხნის განმავლობაში შემეძლო ნებისმიერ დარგში მემუშავა, დამეცვა დისერტაციები. და თუ ჩემი თავისთვის ვერ გავაკეთე ესა, აი, ჩემმა თანამშრომლებმა, ჩემმა გაზრდილმა შვილებმა მაინც ხომ განახორციელესო.

ეს იყო დედასთვის აუცილებელი, პრაქტიკულად საჭირო სტატუსი. იქ მუშაობის დროს დედას ბევრი სიკეთე გაუკეთებია. მახსოვს ვიღაც მოხუცი ქალი, რომელსაც დედამ სიკეთე გაუკეთა, შემდეგ როგორ დახვდა მინისტრთა საბჭოს შესასვლელთან, დაუჩოქა და შენ ხარ ჩემი ფილიპე მახარაძეო, უთხრა (იცინის). ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებია. აი ბატონი ევგენი ხარაძე არასდროს ივიწყებდა და ბევრჯერ აღუნიშნავს, რომ დედას მადლით, მისი წყალობით იყო დაფინანსებული ყანობილის ობსერვატორიის მშენებლობა. ასევე დიდად მადლიერები იყვნენ სოხუმის მთავრობის სასახლისა და სოხუმის თეატრის მშენებლობის დაფინანსების გამო, რაშიც დედაჩემსაც მიუძღვოდა წვლილი. მშენებლობა კი ცნობილი მშენებლის, ბ-ნ ლეო გვათუას ხელმძღვანელობით იყო შესრულებული. ჩვენთან, თბილისში დედაჩემის ხელშეწყობით იყო დაფინანსებული ჩვენი მე-18 სკოლის (ამჟამად თბილისის 51-ე საავტორო სკოლა) ახალი შენობის აშენება. ეს დღემდე ახსოვთ. ეხლახან იყო სკოლის იუბილე და იქ გაიხსენეს, ვისი მადლით იყო აშენებული შენობა. სკოლის მუზეუმში დღესაც არის ეს ფოტოები. ჩვენ ვიყავით მე-3 გამოშვება იმ ახალ სკოლაში, ჩვენს წინ კი – ისეთი დიდი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ ბ-ნი მალხაზ ზაალიშვილი, აკადემიკოსი, მათემატიკოსი, და ფიზიკოსი – გედევანიშვილი ლევანი, ცნობილი დირიჟორი ჯემალ გოკიელი და ჩვენი საამაყო პოეტი, იოსებ ნონეშვილი. რომელი ერთი ჩამოვთვალო. შემდეგი თაობებიდან – ბავშვთა მწერალი ქეთევან ცერცვაძე-ჭალაშვილისა; ძალიან საინტერესო პიროვნება, კოტეტიშვილების გვარის წარმომადგენელი ფარნაოზ კოტეტიშვილი, რომელიც ქუხდა როგორც ქართული ენის მცოდნე,

როგორც ვარო ვარდიაშვილის მოწაფე და რომელიც კითხულობდა ლექციებს ჩვენს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში. სულხან-საბას სახელი, რა თქმა უნდა, დასავიწყებელი არ არის, მაგრამ ალექსანდრე პუშკინმა რა დაგვიშავა, რომ მისი სახელი მოაცილეს ჩვენს უნივერსიტეტს?!

დედაჩემი ღამეებს ათენებდა, რომ დაეშიფრა თავისი სტენოგრამები. მაშინ ემსახურებოდა სახკომსაბჭოში ყრილობებს, სესიებს და მთელ რიგ ასეთ სამუშაოებს ღამე შიფრავდა, რომ დილას მემანქანისთვის ეკარნახა, დაებეჭდათ მასალა და დროზე ჩაებარებინათ. მაგრამ დედას ყოველთვის ყოფნიდა დრო ჩემთვისაც, ყოველთვის ამოწშებდა ჩემს მეცადინეობას, არ იყო დღე, რომ ჩემით არ დაინტერესებულიყო და ჩემთან საუბარი არა ჰქონოდა. დედა მენდობოდა. მე, სხვათა შორის, ძალიან თავდადებული მოსწავლე ვიყავი. სკოლიდან მოსული, სანამ ბებიაჩემი საუზმეს გამიმზადებდა, უკვე მათემატიკას ვამზადებდი. დედაჩემის საწერ მაგიდასთან ვსხნიდი მათემატიკის ამოცანებს. არასდროს არავინ დამხმარებია. მხოლოდ მას მერე, რაც ერთხელ ქართულში ოთხიანი მივიღე, ჩაერია დედაჩემი ჩემს მეცადინეობაში და მიმითითა, კარგი იქნებოდა, შენ თვითონ გამოგეტანა აზრი იმის შესახებ, რაც წაიკითხეო. ლაპარაკი იყო ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაზე“. სწორედ მაშინ მითხრა, აბა შენ თვითონ დაფიქრდი, აზრი გამოიტანეო. აი, ასე ჩაერთო დედაჩემი ჩემს მეცადინეობაში, თორემ მე არასდროს მჭირდებოდა დახმარება. ჯერ გაკვეთილებს ვამზადებდი, მერე გავრბოდი ეზოში და როგორც ყველა ნორმალური ბავშვი, ვთამაშობდი, ვცელქობდი, ხეებზედაც ვძვრებოდი, როგორც ბიჭები და ბიჭებივით „ჩილკა ჯოხსაც“ ვთამაშობდი და „აჩუ, ვიროსაც“. მაშინ ეს „იტალიური“ ეზოები არაჩვეულებრივი იყო. იცით, რა მეგობრობა გვქონდა, ჩვენთვის არ არსებობდა განსხვავება ეროვნების მიხედვით – სომხები, აზერბაიჯანელები – ყველანი ერთად ვიყავით. დედაჩემი და ბებიაჩემი, რადგან სულ აზერბაიჯანში ჰქონდათ მამულები, ბრწყინვალედ ლაპარაკობდნენ სომხურად და აზერბაიჯანულად. ჩვენს ეზოში სომხებიც იყვნენ და მე ყველას მშვენივრად ვესაუბრებოდი მათ ენაზე. იყვნენ „სტარი ადიოჟის“ (ძველი ტანსაცმლის) გადამკეთებელი ბაბუა სერგო და ბებია ასმათი, იმათ სომხურად ველაპარაკებოდი. ისინი სპეციალურად მელაპარაკებოდნენ სომხურად, რომ მე სომხური მესწავლა. დედა ფრანგულს მასწავლიდა, მე კი განათლებას სომხურ ენაში ვიღებდი. ძალიან მიყვარდა იმათთან ჯდომა. იმათგან ვსწავლობდი ხორცის მანქანაში ხორცის გატარებას. მსგავსი რამ დედაჩემის ხელში არასდროს დამინახავს, იმიტომ რომ ძალიან არ მიყვარდა ჭამა, ძალიან არ მიყვარდა სამზარეულო, ძალიან არ მიყვარდა ბებიაჩემის წუხილი – „რა გაჭამო დღეს?!“ იმდენად არ მიყვარდა, რომ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ (მეხუთე კლასიდან დავდიოდი სკოლაში, მანამდე ჩემთან სახლში დადიოდნენ მასწავლებლები), მეხუთეკლასელმა, ბებიაჩემს ვუთხარი: „მე, ბები, ისეთ აბებს გამოვიგონებ, რომ შენ არ ხარშო სუფები და ბორშჩები, რომ შენ არ იმუშაო ბევრი. მოვიტან და ჩავყლაპავთ და მშივრები აღარ ვიქნებით“.

ძალიან მძიმედ ვიხსენებ ხოლმე იმ დღეს, როცა დააპატიმრეს ქალბატონი ნიუსა ცინცაძე-ყარალაშვილისა და დედაჩემი იჯდა სახლის ზღურბლის წინ და წვავდა მის საინტერესო ნაშრომებს, თარგმანებს რუსულიდან ფრანგულზე, რომლებზეც ფიქრობდა – აი ეხლა გამოსცემს, აი ეხლა გამოსცემსო. ფრანგული ნაწერები იყო და ეშინოდა, არ იფიქრონ, კავშირი აქვს უცხოეთთანო. ძმა ხომ

დაეკარგა უცხოეთში. წვავდა თავის ლექსებს, თავის ესეებს, რასაც ღამღამობით გვიკითხავდა მე და თავის ძმისშვილს; ის უკვე დიდი იყო და სთხოვდა ხოლმე. სხვათა შორის, ნიჭიერი იყო, კარგი ინჟინერი გახდა და მერე გადასახლდა მოსკოვში. ჩვენი იმდროინდელი მძიმე დღეები უკავშირდებოდა იმას, რომ დედაჩემი ყოველ წუთს ელოდა დაპატიმრებას. მაშინ ათასში ერთს ჰქონდა ტელეფონი, ჩვენ კი უკვე მოგვიხსნეს. მერე გავიგეთ, რომ თურმე ჩვენმა მეზობელმა მოახსნევინა და იმას დაუდგეს. აღარც მინდა იმის გახსენება, რეებიც ხდებოდა. ძალიან მძიმედ მახსოვს შიშის გრძნობა, რომ დედაჩემი შეიძლება წაიყვანონ. გადარჩა. გადაარჩინეს და ვინ, იცით? ბერიას მძღოლმა, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მძღოლმა და მებაღემ, რომლებმაც მოახსენეს სადაც საჭირო იყო და ვისაც საჭირო იყო. აი, ასეთი მებაღეები და მძღოლები იყვნენ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მაშინ გერმანე მგალობლიშვილი იყო, „კაგებეს“ ხელმძღვანელი კი – ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა ბიძაჩემის, სოლიკო ლეონიძის უკრაინიდან გადმოხვეწილი ოჯახი. ჩვენს ოჯახში ჩამოვიდა დეიდაჩემი თამარიც, რომელსაც აი იმ ბანდებმა, ბოლშევიკების დროს რომ შემოიჭრნენ და არაფერი რომ არ ესმოდათ, ნახშირის გადატვირთვაზე მუშაობის დროს ბრიყვულად მოუკლეს ქმარი – ფსიქოლოგი, პროფესორი მიხეილ პონერკო. ნახშირს დეიდაჩემიც ზიდავდა. იქ, „ლაგერში“, ქალები ცალკე ეზიდებოდნენ თურმე, მამაკაცები – ცალკე. ჩვენ მაგათი საოჯახო ალბომები გვაქვს დღეს შენახული. ნახშირში ამოგანგლულები მოდიოდნენ და იქ მერე ამ ჭუჭყს იცილებდნენ. საიდან სად გადავხტი, მაგრამ მე ვუბრუნდები ეხლა ჩემს აზრს: დედაჩემი არა მარტო ჩემთვის, არამედ ჩემი ბიძაშვილისთვის, თავისი მულების შვილებისთვის არსებობდა პირველ რიგში. ყველასთვის პოულობდა დროს, ყველასათვის პოულობდა ტკბილ სიტყვას, აუცილებლად ყველასათვის ახორციელებდა თავის ქველმოქმედებას, ყველას მაქსიმალურად ეხმარებოდა.

დეიდაჩემზე მინდა ვთქვა კიდევ: თამარი რომ ჩამოვიდა, აქვე, პეტრიაშვილის ქუჩაზე მოეწყო საბავშო ბაღის გამგედ. ეს დაახლოებით 1937 წლის შემდეგი წლებია. სასწაული იყო, რომ დედაჩემმა, რომელიც სახკომსაბჭოში მუშაობდა, 37 წელი გადალახა. 37 წელს დაუპატიმრეს მისი თანამშრომლები, უწმინდესი, მართლა ღვთაებრივი კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის შვილი ნიუსა ცინცაძე-ყარალაშვილი, ნიკა ყარალაშვილის დედა. იმ დღიდან დედაც ელოდებოდა დაპატიმრებას. დედაჩემი მაინც დარჩა სახკომსაბჭოში. თუ როგორ, ეგ კიდევ საკითხავია, მაგრამ იქ მყოფმა დედაჩემმა ბევრი კარგი რამე გააკეთა. დეიდაჩემი რომ მუშაობდა ბაღის გამგედ, ძალიან ხშირად გზავნიდა ჩვენს ოჯახში ბებიაჩემთან თავის დარაჯს და მოსამსახურეს, ვინმე ჰასანს; არ მახსოვს მისი გვარი. ის ჰასანი მოდიოდა და ქვევიდან, ეზოდან შემოსძახებდა ხოლმე ბებიაჩემს: „ბებო მართა, გამგე სკაზალა პრიშლი კერასინ!“ (გამგემ – ნავთი გამოატანეო) ბებიაჩემი ეკითხებოდა: „ეშჩო შტო?“ „შჩო? (კიდევ რაო) „დრავა. ბოლშე ნიჩევო რა, ბებია, რა!“ (შეშა, მეტი არაფერი) – ვითომ, აღარა კმარაო, რატო დამცინიო.

ბებია უგდებდა გასაღებს. ის შედიოდა სარდაფში, თვითონ იღებდა ბიდონით ნავთს, რომელიც ჩვენი ოჯახისთვის იყო შენახული, ერთი ბიდონი მიჰქონდა

ხოლმე და შეშას კი ზიდავდა იმდენს, რაც იმ მოტანილ ურიკაში თავსდებოდა. და მერე ისევ – „პრიშლი მუკუ, პრიშლი სახარ, პრიშლი ერბო“. ეს 37 წლის მერე იყო. საქმე ისაა, რომ რადგან სახკომსაბჭოს თანამშრომელი იყო, საერთო განყოფილების უფროსის მოადგილე, დედაჩემი მანქანით დაჰყავდათ სამსახურში. ჩვენ აქვე, გვერდზე მდებარე სახკომსაბჭოს დახურული მაღაზიიდან ვიღებდით პროდუქტებს. მაშინ უკვე არსებობდა პურის წიგნაკები, მთავრობის ხალხს კი ემსახურებოდა დახურული მაღაზიები, საიდანაც დეიდაჩემი ახერხებდა ბავშვებისთვის პროდუქტების გატანას. უფრო მეტიც: დეიდაჩემს საბავშო ბაღის ბავშვები ყოველ ზაფხულს გაჰყავდა ჯერ ბორჯომის ხეობაში – ტბაზე და მერე ბიჭვინთაში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოდაში. მე, უკვე დიდი გოგონა, მომაწყო იქ ღამის მორიგედ, მაჩვევდა შრომას და შრომით ფულის მოპოვებას. თქვენ წარმოიდგინეთ, საბავშო ბაღის ბავშვების გაყვანისას თან მიჰყავდა მირაქოვი, ყელ-ყურის ექიმის მამა, არაჩვეულებრივი პედიატრი და იქ მკურნალობამ, იქურმა ჰაერმა, ზღვის ჰავამ უამრავი ბავშვი გამოაჯანმრთელა. ისინი უკვე ხანდაზმული, დიდი ასაკის ადამიანები არიან, მათ თვითონ ჰყავთ შვილები და შვილიშვილებიც, ერთ-ერთი მათგანი გახლავთ აზმაიფარაშვილი ლილი. დეიდაჩემი ჯამაგირსაც იქ ტოვებდა, მისთვის ყველაფერი მხოლოდ იმ ბავშვებისათვის არსებობდა. რა თქმა უნდა, დაფინანსება სახელმწიფოსაგან იყო, მაგრამ ბავშვებს ზრდიდა ინტელიგენციის ის ძველი თაობა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში იყო. ამიტომ ვვარგივარ მე დღესაც მასწავლებლად. იმიტომ ხდება, რომ ვინც ჩვენი თაობისაა, ყველა ცდილობს, რაიმე წვლილი შეიტანოს ახალგაზრდობის აღზრდაში, გადასცეს ახალგაზრდობას თავისი გამოცდილება.

ყველაზე კარგად მე, რა თქმა უნდა, მახსოვს ჩემი ბავშვობა, ჩემს სახლში გატარებული დღეები კლასის მეგობრებთან ერთად; ჩვენ ვმართავდით ლიტერატურულ საღამოებს, რომლებზეც ექსპრომტად ვკითხულობდით საკუთარ ლექსებს, საკუთარ მოთხრობებს, ვხატავდით ალბომში. ეს ალბომი დღემდე ინახება ჩემი საწერი მაგიდის ერთ-ერთ კუნჭულში. აი, ასე ვერთობოდით ჩვენ მაშინ. სტუდენტობის წლებში ისევ ვიკრიბებოდით ამ ოჯახში სკოლის მეგობრები. იოსებ ნონეშვილს აქვს ჩემთვის მოძღვნილი ლექსი, მალხაზ ზაალიშვილსაც; გივი კარბელაშვილის მოთხრობებში ვფიგურირებთ მე და ჩემი სკოლის ამხანაგები. ასე რომ ჩვენ ვახერხებლით საინტერესოდ ცხოვრებას იმ უმძიმეს ომიანობის წლებშიც კი.

ომის პერიოდში მე უკვე სტუდენტი ვიყავი. სხვათა შორის, მეორე კურსზე სტალინურ სტიპენდიაზე ვიყავი წარდგენილი, თუმცა მერე შეწყდა ეს ამბავი. ჩვენი ოჯახი სიმძიმეს იმ წლებისა მაინცდამაინც არ გრძნობდა. როგორც უკვე გითხარით, დედა მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა მინისტრთა საბჭოში და ამიტომ მატერიალურად არ გვიჭირდა. დედა საბავშო ბაღის გამგესაც ეხმარებოდა. შეიძლება ჩვენ გვაკლებდა, მაგრამ კეთილშობილურ საქმეს აკეთებდა. ბებიაჩემს არასოდეს გამოუთქვამს უკმაყოფილება, რომ უჰ, სახლიდან რატომ ზიდავო.

დედაჩემი და მამაჩემი გაყრილები იყვნენ, მაგრამ ისეთი დამოკიდებულება ჰქონდათ, რომ ძალიან ხშირად მამაჩემი თვეობით რჩებოდა ჩვენთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა სიძეც შემოუვიდა. მათ საერთო უფრო მეტი ჰქონდათ. თუმცა მანამდეც დედა მისი ოჯახის, ჩემი მამიდების მიმართ ძალიან ყურადღებით იყო,

მზია სიდამონ-ერისთავი მშობლებთან ერთად

ერთმანეთისათვის არსებობდნენ და უაღრესად კეთილშობილური, უაღრესად თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ. თავისუფალ დროს კარტს რომ თამაშობდნენ, მამაჩემი რაღაცას ეშმაკობდა და დედაჩემი ხუმრობით ეჩხუბებოდა, იეშმაკეო. Ты жульничаешь! – ეუბნებოდა, ეს წვრილმანია.

ახლა კი მამას შესახებ: მამა სამოქალაქო ომის დროს დაჭრილიც იყო და მერე სმენაც დაკარგა. უნივერსიტეტში მაშინ ჰოსპიტალი იყო და იმ ჰოსპიტალში მკურნალობდნენ. მენინგიტი დაემართა. სიკვდილს კი გადაარჩინეს, მაგრამ სმენა დაკარგა. საშინლად განიცდიდა ამას და სიცოცხლეც კი აღარ უნდოდა. მაგრამ დედაჩემის საუბარმა, დედაჩემის სიტყვებმა, ოჯახს, შვილებს, დისშვილებს შენ უნდა მიხედო, ძალა შემატეს. მერე თვითონ მამაჩემმაც შეიგნო, რომ ნამდვილად არა ჰქონდა უფლება ამ ქვეყნიდან წასვლისა და დიდი ვაჟკაცობა, დიდი გმირობა გამოიჩინა, რომ, ამ თავისი დაავადების მიუხედავად, საქმისათვის მოეკიდა ხელი. მაშინ ყრუ-მუნჯთა საზოგადოება უკვე არსებობდა და მაშინვე მიაშურა იმ საზოგადოებას. მალე იქ თავმჯდომარედ დანიშნეს და ძალიან ბევრი საქმე გააკეთა. საამქროები გაფართოვა, ახალი საამქროები შექმნა, გახსნა სამუშაო ადგილები და უამრავი ყრუ-მუნჯი დაასაქმა. უკვე მათი დამუშავებული პროდუქციაც გაჩნდა, ბრწყინვალედ დამუშავებული. მახსოვს, რომ აწარმოებდნენ საათებს, რომ სათვალეების საწარმო ჰქონდათ, ხე-ტყესაც ამუშავებდნენ. მერე უკვე სასკოლო ინვენტარის საამქროც გახსნა. ბინა ჰქონდა ერთოთახიანი - რაღაც „ლაჩუჟკა“ ძნელაძის ქუჩაზე და არც ერთი წუთით არ უზრუნია იმაზე, რომ თავისთვის გაეფართოებინა საცხოვრებელი. ორივე მამიდა თავისი შვილებით – ყველანი მასთან იყვნენ.

ბევრი წლის შემდეგ აუშენა ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას სახლი, რომელიც ახლაც არსებობს და რომლის მაცხოვრებლებს დღესაც ახსოვთ, რომ ეს მიშა ერისთავის სახლია. ცხადია, მიშა ერისთავი თავისი ფულით ვერ ააშენებდა! მაგრამ ეს იყო მისი ზრუნვის, მისი კაცთმოყვარეობის შედეგი. მისი დემოკრატობა გამოიხატებოდა ხალხზე ზრუნვაში, რასაც დღეს ვერა ვხედავთ. არც ერთი მთავრობის წევრი... შეიძლება გარე პოლიტიკის დარგში კარგად მუშაობს ჩვენი პრეზიდენტი, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანები ისპობიან, ადამიანები გმინავენ, ადამიანურობა ილევა!

აი, კიდევ რა მინდოდა მეთქვა, მახსოვს, როცა 1963 წელს მამაჩემი გარდაიცვალა, როგორ ტიროდნენ ეს ყრუ-მუნჯები. მე თითქოს გავქვავდი, ცრემლი შემაშრა თვალებზე. ისინი კი როგორ გოდებდნენ, როგორ მოთქვამდნენ. ერთი ამბობდა, ჩემი შვილი ხელახლა დამიბადა, შვილი გამიცოცხლა, ისეთი ექიმი დააყენა თავზე, ყველანი თავზე დააყენაო. მახსოვს, მეორემაც შემოგვტირა: მეო, ქმარი მეღუპებოდა ლოთობისაგან. მოძებნა, აი არ ვიცი, რა ჰქვია მაგ დაწესებულებას, მაგ სპეციალობის მცოდნე ექიმებიო. მაშინ ნაკროტიკებზე ზედმეტიც იყო ლაპარაკი, ნარკოლოგიური დაწესებულებები არ არსებობდა, მაგრამ მოძებნა ისეთი ექიმი, რომელიც ასეთ ავადმყოფს მოჰკიდებდა ხელს და რამდენიმე ლოთი, მათ შორის იმ ქალბატონის მეუღლეც, ჩაუბარებია მისთვის და მკურნალობის ფულს საკუთარი ჯიბიდან უხდიდა. ეს თვითონ იმ ქალმა თქვა მაშინ.

მარიამ გელაშვილი
1914 – 2010

2004 წელს თბილისში ჩაიწერა
ცისანა გოდერძიშვილმა

რა ვიცი, რაღა დედაჩემს დავემგვანე სიმაღლეში, თორემ მამაჩემი მაღალი კაცი იყო. პაპაც მაღალი მყავდა – დედაჩემის მამა, პეპო. იმისი ცოლიც ლამაზი – სოფიკო. პაპას ჰყავდა 12 უღელი ხარ-კამეჩი გუთნით, დიდძალი მიწების მეპატრონე იყო, მთელი ქვიშხეთის დაბლობისა, ვიდრე, ცხრამუხას ეძახიან სოფელს, იქამდე, თანაც მამასახლისი. ძალიან მდიდარი კაცი იყო, მაგრამ არავინ ემდუროდა სოფელში. მოსავალს რომ მოიყვანდა, გლეხები ეხმარებოდნენ აღებაში, ისე ბევრი იყო. რამდენი სულიც ჰყავდა გლეხს სახლში და რამდენიც უნდოდა, იმდენს აძლევდა პურსა და სიმინდს: „წაიღე კაცო, ექვსი შვილი გყავს, სიმინდიც წაიღე, პურიც წაიღე, ნუ გეხათრება“ – ეუბნებოდა ხოლმე. ქერს, ლობიოს, მოკლედ ყველაფერს აძლევდა. გლეხები ხელის გულზე ისვამდნენ. სოფელში 38 მოსახლე იყო და ყველა კმაყოფილი ჰყავდა. რუსული პურის ფურნე ჰქონდა. ვისაც უნდოდა, მიდიოდა, აცხობდა პურს და არაფერს არა სთხოვდა. თითონ უტოვებდნენ თითო „ბუხანკას“. აი, ასეთი (ორივე ხელის მომრგვალებით დიდ წრეს მაჩვენებს) დიდი „ბუხანკები“ ცხვებოდა. ცალკე ჰქონდა არყის სახდელი ოთახიც. მოდიოდნენ, ხდიდნენ არაყს, უტოვებდნენ თითო ლიტრს. მოკლედ, არაფერი არ უჭირდათ არც პაპაჩემს, არც ბებიაჩემს. შვიდი შვილი ჰყავდათ – ოთხი ქალი და სამი ვაჟი. ბებიამ ყველა ქალიშვილი სამარლების კარზე აღზარდა. აი, როგორ: წადით და მოეხმარეთო. პატარა ბავშვები ჰყავდათ და ბავშვის აღზრდაში ეხმარებოდნენ. დედაჩემიც სამარლებთან აღიზარდა. იქიდან იცოდა კარგი ცხობა, ჭრა-კერვა, ქარგვა ნემსითა და ყაისნაღით, წინდი-ჩხირებით ქსოვა. მოკლედ, ლოცვიდან დაწყებული, სულ ყველაფერი, წამლობაც. ექიმი იყო სამარლების ვაჟი, გერმანიაში ჰქონდა დამთავრებული, რეზო ერქვა. ჭლექისაგან გარდაიცვალა საწყალი უცოლოდ. ისე გლოვობდა დედაჩემი, როგორც თავის ძმას. ბევრი ბალახეულის წამლობა ასწავლა. ეს იყო სოფელ ბეღლეთში, ქვიშხეთის მაღლა, გორის „უეზდაში“, რაიონები არ არსებობდა მაშინ. ჭადს თითონ ხომ არ გამოაცხობდნენ სამარლები, ლუბა, შენი გამომცხვარი ჭადი გვინდაო, სულ ამას იძახოდნენ. ჭადის მოზელას რო დაიწყებდა, მივიდოდა დედაკაცი და მუჭით შაქარს ჩაუყრიდა შიგ, ჭადს უკეთესი გემო ექნებაო. – ჩამიყრიდა შაქარს და ოდნავ „სემიჩკის“ ზეთსაც ჩამისხამდა ცომშიო. ვეტყოდი ხოლმე, პელო დეიდა, რას აკეთებო? – აბა გამოცხვეს, როგორი ჭადი იქნებაო. ცარიელა ჭადს შეჭამდი, აღარ უნდოდა არაფრის მიტანებაო. ზეთი ხო სიმინდსაც ჰქონდა, მაგრამ ამან „სემიჩკისა“ დაამატა, სიტკბო ხო ჰქონდა თითონ სიმინდს, ამან შაქარი დაამატა. რო გამოცხვა, გაიშალა ის ჭადში და... ამიტომაც უყვარდათ ჩემი გამომცხვარი ჭადიო. გოგო (მოსამსახურე) ჰყავდათ სამარლებს, ახალგაზრდა იყო ძალიან, ვითომ ნათლულს ეძახდნენ. გლეხებში კი არ იფუჭებდნენ ავტორიტეტს, ჩვენი ნათლული ჩვენთან იყოს, უჭირთ, ბევრნი

არიანო და ოთხი ქალი რო ჰყავდა გლეხს, იქიდან წაიყვანდნენ ერთს. ის „პოლებს“ აპრიალებდა, მტვრებს წმენდდა და იმის გამომცხვარი ჭადი აღარ უნდოდათ. ხელებს დაბანინებდნენ აუცილებლად, რომ მოათავებდა მტვრების დაწმენდას და ძროხა რო ჰყავდათ, მოწველიდა, რძეს აადუღებდა, მაწონს შეადედებდა ის გოგო. დედაჩემი არა, დედაჩემი „მაშინაზე“ კერავდა, ჭრა-კერვა იცოდა კარგი, ბებიამ ასწავლა. ამ ქალბატონებს უკერავდა. მაშინდელი კაბა იყო ხაბარდა, იოლი შესაკერი იყო, წინ რო შეკერავდა, ყაისნაღით მოაქსოვდა გარეშამო. კაბა იკერებოდა ცისფერი და მუქი შინდისფერი ორი ცალი... აი, აქ (წელზე სარტყელს მიანიშნებს) წვრილით შემოიდებდნენ და მერე განიერდებოდა, ერთი ბოლო ასე მიდიოდა, მეორე ასე (ჯვარედინად). სარტყელი ჰქონდა გამაგრებული, ის ორი ცალი (სარტყლის ბოლოები) წინ იყო დადებული. ტანქვეშ ძალიან წვრილი მავთული ჰქონდა გაყრილი, ქალი გამხდარი თუ იყო, კი ვერ მიხვდებოდი. ხაბარდა! დაგინახია ქალები, სურათი რო აქვთ გადაღებული, რამსიგანეები არიან? აი, ჟურნალში ვნახე გუშინწინ, პოლკოვნიკი ყოფილა ვიღაცა და იმაზე წერენ. ცოლი უდგას გვერდზე, ერთი განახათ რა აცვია, იმწუთში ვთქვი, დედაჩემის შეკერილი ხაბარდაა-მეთქი. ეს გამხდარი ქალი როგორ ლამაზად უდგას ქმარს გვერდზე...

დედაჩემი პაპაჩემმა აჩვენა და გაურიგა მამაჩემს, როცა ახალი მისული იყო რკინიგზაზე და ჯერ ხელფასიც არა ჰქონდა. ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, შვიდი წლისა, სურამის გვირაბის შენება რომ დაუწყიათ. იმის მეწლე იყო ჩვენი კაკალიც. იმის დარგულია, 117 წლისაა ახლა. ხოდა, უყურებდა ხოლმე იმ მშენებლობას, ქვებს რომ ზიდავდნენ. მერე მოიზარდა, 16 წლისა ყოფილა, რო დამთავრდა და ისე უყვარდა ეს გვირაბი, თურმე სუ იმის თავზე აძოვებდა საქონელს, პაპას რომ ემსახურებოდა. თავისუფალ დროს მწყემსავდა, სხვა დროს მორიგეობდა: გვირაბში უნდა გასულიყო ამთავიდან იმთავამდე და შეემოწმებინა, რომ ვინმე გადმოგდებული, ვინმე მოკლული ან მატარებლით გატანილი კაცი არ გდებულიყო შიგ. გვირაბი მოკლე იყო, ძალიან ვიწრო ადამიანების გასავლელი ადგილით. ცოდნა უნდა გქონდეს, რომ ლიანდაგში არ ჩადგე, აბა ეხლა, მითუმეტეს, როგორი იქნება, ორი ლიანდაგი გააკეთეს იქ, სადაც ადრე ერთი იყო. ორი ლიანდაგი რომ გააკეთეს, აი, ამსიგანეც (საჩვენებელ თითებს შორის ტოვებს დაახლოვებით 50 სმ-ს) არ დატოვეს გვირაბის კედლამდე. მატარებლის ხმას რომ გაიგებდა მამაჩემი, როცა დარაჯად იყო და შესამოწმებლად მიდიოდა, კედელს უნდა აკვროდა. გვირაბში შიგნით სატრიალო ტელეფონები იყო. მოხსნიდა იმას, დაატრიალებდა და დაუკავშირდებოდა ხაშურში შინსახკომს. ეტყოდა, ამა და ამ კილომეტრში „დრეზინა“ გამოგზავნეთო. მოდიოდა ექიმი, მოჰქონდა საკაცე, რომ ზედ დაედოთ კაცი და წაეყვანათ ხაშურში. მატარებლების მოძრაობა წყდებოდა ამ დროს. აი, ასეთი გაჭირვებით მუშაობდა. დანარჩენ დროს საქონელს მწყემსავდა. 18-19 წლისა რომ იყო, უცოლო, თავად ზუმბათოვთან მოჭიდავედ ცხადდებოდა ყოველთვის. ქართული ჭიდაობა არაჩვეულებრივად იცოდა. დიდი ძალისა და წონის ადამიანი იყო. ზუმბათოვთან მცხეთიდან ხშირად მოდიოდა თავადი ამილახვარი და თავისი ორ-ორი მოჭიდავე მოჰყავდა, ეძახდნენ მამაჩემს. პაპა იტოვებდა საქონელს, იცოდა, რომ ოქროს მოიტანდა ჭიდაობიდან, რომ არ დამარცხდებოდა და ისიც მიდიოდა საჭიდაოდ. ჭიდაობა

დიდხანს არ გრძელდებოდა. ისეთი თავისებური სარმა იცოდა, რომ ერთი დაეჭიდებოდა და ზურგით გაშოტავდა ხოლმე ამ ამილახვარის მოჭიდავეს. „დაისვენე", – ეუბნებოდა ზუმბათოვი. „არ მინდა, გამოვიდეს," – პასუხობდა მამაჩემი. გამოვიდოდა, მეორესაც წააქცევდა, სახლში წასვლა ეჩქარებოდა, სამწყემსოში. თავადების სახლი სიმაღლეზე იდგა და ისინი მაღლიდან გადმოსცქეროდნენ ამ საჭიდაო მინდორს. თავადის ქალიშვილს კატუშას თან ახლდნენ ამილახვრის ქალიშვილი და ლენინგრადელი (1914-1924 წლებში – პეტროგრადი, მანამდე – სანკტ პეტერბურგი) სტუმარი გოგოები, რომლებიც უყურებდნენ ამ ჭიდაობას. მამაჩემს ყოველთვის ძველი ჩოხა და იმის ზემოდან წინ შეკრული ჭრელი ახალუხი ეცვა. ქალიშვილები უყრიდნენ ოქროს და ეუბნებოდნენ: „გაბო, აიღე, ეს კატუშასაგან, ეს ლენინგრადელი ვალიასაგან, მე ნანა ვარ მცხეთიდან". ამ ოქროებს აგროვებდა. არ შეიძლებოდა, ჭიდაობიდან სამი, ოთხი ან ხუთი ოქრო არ მოეტანა. ეს იყო ოქროს ხუთმანეთიანი იმდროინდელი ფულისა, ძალიან ძვირფასი. სულ პაპასთან მიჰქონდა. თითონ ცუდად ეცვა და ზუსტად მაგ დროს ნახა პაპაჩემმა (დედის მხრიდან). არც დედაჩემი იცნობდა, არც ბებიაჩემი. ხოდა, გამოაწყო პაპაჩემმა ეს კაცი, ჩააცვა ახალი ყარამანდობა, ქვემოდან აუცილებლად წითელი უნდა სცმოდა, როგორც ყარაჩოღელებს ეცვათ, უყიდა ახალუხი, დიდი ცხვირსახოცი, აჩუქა და წელზე შემოარტყა თავისი კარგი ვერცხლის ქამარი, შიგ ცხვირსახოცი გაურჭო, ყარაჩოღელების ქუდი დაახურა, მისცა ოქროები და დიდ „სალფეტკში" გაკრული ბლომად კანფეტი. პაპაჩემმა უთხრა: „აი, ეს არის ჩემი სახლი, ჯერ მე მივალ, ვითომ შენ თვითონ მოხვედი, ვენახის ბოლოში გაჩერდი და რომ შეატყობ, რომ მისული ვიქნები, მოდი. მოგესალმები, ვითომ ეხლა გნახე, აი, ეს ბეჭდები", დედასთვის ბაჯაღლო ოქროსი გააკეთებინა, დედა დეკემბერშია დაბადებული, ბარბარობა დღეს და მის ბეჭედს ჰქონდა ფირუზისფერი თვალი, ბებიასათვის კი – ბრტყელი ბეჭედი. საერთოდ, წინათ აკეთებდნენ სიგანით 6-7 მმ-ს ბეჭდებს, რომლებსაც პატარა ყური ჰქონდათ დაკიდებული და ზედ ეწერა, ვისგან იყო. „გაბოსგან სიდედრ სოფიკოს" – ეწერა ბებიას ბეჭედს. მამაც მივიდა დიდის ამბით, კულტურული კაცი იყო მამა, გერმანიაში საზღვარზე ნამსახურები. ერთი ის იყო, რომ არ ეცვა, თორემ სხვა არაფერი აკლდა. „გამარჯობა, გაბო, გამარჯობა", – უთხრა ჩემმა პაპამ, მიესალმა. გამოვიდა ბებია და თავი შეიკავა. თავადებთან გაზრდილი ქალი იყო, კულტურული. სამარლებთან ახლოს ცხოვრობდნენ, ნათლიები იყვნენ. არ მოეწონა მამაჩემს დედაჩემი, მაგრამ რა ექნა. მერე დაპატიჟა პაპამ ელიობას, მამაჩემმა არ იცოდა, რომ დედა კარგად უკრავდა გარმონს, დაირაზეც მღეროდა. მამაჩემი წავიდა გამოწყობილი, დედაჩემიც წავიდა. მამა ძალიან ლამაზი კაცი იყო, უყურა დედაჩემის დაკრულ გარმონს და სიმღერას. რუსულადაც მღეროდა „ახ ეწი ჩორნიე ნოჩის", ლენინგრადიდან იყო ეს სიმღერა. დედა კარგად მღეროდა, ხმაც კარგი ჰქონდა და მამაჩემიც მოიხიბლა. ტყუილად დავიწუნე ეს შავი ქალიო, იფიქრა. მერე შეირთო და ყოველ კამპანიაში დედას თავისი გარმონი მიჰქონდა და უკრავდა. მამაჩემმა დედაჩემი 1912 წელს, 13-ის დასაწყისში შეირთო. პაპაჩემმა წაიღო ხუთი ოქრო, უყიდა ხის სახლი, ძროხა, კრუხ-წიწილა ბებიამ მისცა, ღორი უყიდა, საღორე და საქათმეც აუშენა და გაუყო პაპას მიწები. ბიძას უთხრა: „რა უნდა ამ კაცს თქვენს სახლში, ობოლი კაცია,

მადლობა, რომ გაზარდეთ, ის ოქროები თქვენი იყოს, გამიგია, რომ მოუტანია, ხოდა მოუზომეთ მიწები". წინათ კანონი ყოფილა, რამდენი ვაკეც იმას ჰქონდა, იმდენი მამაჩემს უნდა ჰქონოდა, რამდენი აღმართიც იმას ჰქონდა – იმდენი მამაჩემს. შუაზე უნდა ყოფილიყო გაყოფილი. ჯერ ბიძას უნდოდა ოთხად გაყოფა, რადგანაც სამი ბიჭი ჰყავდა. არა, ნურასუკაცრავად, მხოლოდ ძმას და შენ გერგებათო, – უთხრა პაპამ, მამასახლისი იყო. მედიატორიც მოიყვანა, ამის მკვდარ მამას და შენ უნდა გაგიყოთ მიწებიო, და შენ შენ შვილებს, რამდენიც გინდა, მიეცი მერეო. ბლომად შეგვხვდა მიწები, შეძლებულ გლეხად ითვლებოდა. მე 1914 წლის ნოემბერში დავიბადე და 14-შივე მომნათლეს. ამავე წელს დაიწყო ომი. წაიყვანეს მამაჩემი და დარჩა დედაჩემი ჩემს ამარა. იმდენად უყვარდა მამაჩემი, რომ როცა პაპა შეეხვეწა, წამოდიო, არ წავიდა – მე კერიას არ გავაციებ და აქაურობას არ დავტოვებ, არც ძროხას გავიქრობ, არც კრუხ-წიწილსო. ხარები არა ჰყავდა, იმიტომ რომ, მამაჩემი რომ წავიდა, ხარები პაპამ წაიყვანა. ბიძამისს ჰგონებია, ცოცხალი აღარ დაბრუნდებაო, მაგრამ დაბრუნდა მამაჩემი ცოცხალი. გროდნოში ყოფილა კომენდანტად, ბრძოლაში არ გასულა. როგორც რუსულ-ქართულის მცოდნე, საზღვარზე კომენდანტად დაუყენებიათ – ერთი სიტყვით, საზღვარს განაგებდა. გროდნო ეს არის დაახლოებით რუსეთ-პოლონეთის შესასვლელი. ცოცხალი დაბრუნდა მამაჩემი და მშვენივრად ცხოვ-რობდნენ. შემობრუნდა წელიწადი ამ 1914 წლის, მოვიდა აპრილი და დაიბადა ჩემი ძმა, ხოდა დედისაგან მახსოვს, ბიჭი დაიბადაო, მაგას (მე) ძროხის რძე მიეციო, სამ-სამი წელიწადი გვაწოვებდა დედა, ხოდა წამომეწია ძმა. სხვათა შორის, დედამ არ იცოდა, რა იყო ქალის წესი და ვერ გებულობდა ორსულობას. გათხოვების დღიდან დაკარგა და ჰქონდა საშინელი თავის ტკივილი. თუ ბავშვი ჰყავდა და ორსულად იყო, კარგად იყო, თუ არა და სულ თავი სტკიოდა. ექვსი შვილი კი ვყავდით. დედას უკვე სამი შვილი ვყავდით, ორი ძმა და მე, როცა ელიაობას იყო წასული მამასთან. როგორ არ წავიდოდა. პაპას ხომ ცალკე საცხოვრებელი სახლი ჰქონდა. ერთი ოთახი ჰქონდა, სოფელში ეძახიან ბეღელ ოთახს და „ბალკონი", სამხრეთით და აღმოსავლეთით. აქ არის ბეღელი და აქ არის საძინებელი (ხელების მოძრაობით მიანიშნებს, რომ გვერდი-გვერდ მდება-რეობდნენ). ვინც გათხოვდებოდა ან ცოლს ითხოვდა, ამ განმარტოებით ოთახში ეძინა, ე.ი. ბეღლის ოთახში. „ბალკონი" იყო ძალიან განიერი, სამი მეტრი განი ჰქონდა და შუაში აუღებელი „სტოლები" იდგა აღმოსავლეთიდან სამხრეთის კუთხემდე. ელიობას იქ ხალხი იყო გამწკრივებული.

უკვე ის დრო იყო, რევკომები – რევოლუციური კომიტეტები რომ იყო და იმისი თავმჯდომარე ზუმბაძეც დაპატიჟებული ჰყავდა. რა თქმა უნდა, მამასახლისი კაცი იყო, დიდი ხალხი ჰყავდა მოწვეული. თუ თავადი იყო სადმე, ყველა მოდიოდა, მოდიოდა ყველა მისი ნაცნობი. თუ ისეთი გლეხი მოვიდოდა, კარგი ბიჭი რომ იყო, და თანაც კარგი ცოლი თუ ახალი ნათხოვი ჰყავდა, იმას შეეძლო დამჯდარიყო და დაელია. წინასწარ ეტყოდა, შენ შეგიძლია მოხვიდეო, არჩევდა საზოგადოებას. დედას ერთი ძმა ამ ელიაობას სახლში იყო. მამას ეხმარებოდა ღვინის ამოღებაში. უმცროსი, გიორგა,ზ მწყემსებთან იყო ყარაულად. მწყემსები ჰყავდა დაქირავებული პაპას, მაგრამ იმას თვალყური უნდა ედევნებინა, რომ საქონლისთვის კარგ ადგილას ეჭმიათ, წყალი დროზე დაელევინებინათ, დაესვენებინათ

ჩრდილში. ხოდა, მორეკა გიორგამ თავისი საქონელი, შერეკა ბაღში. ერთი ხარი იყო, ერჩოდა ყველას, მაგრამ ძალიან გამწევი იყო და პაპამ არ მოიშორა ის ხარი, ოჯახის წევრებს არ ერჩოდა, სხვა კი ვერ მიეკარებოდა. მოჰკიდა გიორგამ რქებში ხელი, დაბა და გამოტრიალდა. გავარდა ამ დროს თოფი და გიორგი უსულოდ დაეცა ბაკში, იმ ზუმბაძემ სამხიარულოდ გაისროლა მთვრალი ხელით რევოლვერი და ტყვია ბრმად მოხვდა ბავშვს. აი ეს იყო წერა! ეს ელიობის ქეიფი იწყებოდა საღამოდან, ათი საათიდან კი უკვე ტირილად და კივილად გადაიქცა. წავიდა ხალხი, ისე დარჩა პურმარილი. მთელი სოფელი მოგროვდა და დაასვენეს ეს ბიჭი სახლში,მოუკვდა დედას ძმა,შეიპყრო საშინელმა დარდმა. მამაჩემი უშლიდა ტირილს – იმას ვერ გააცოცხლებ და შენ თავს მიხედეო. ბედი არ უნდოდა?! ჰყავდა მეორე ძმა, რომელიც ბორჯომში სწავლობდა და ჰყავდა შეყვარებული. არ ყოფილა ეს გოგო მაინცდამაინც ისეთი, რომ ცოლად შეერთო და უფრო ხელის მოსათბობად დადიოდა მასთან. იმ გოგოს ყური მოუკრავს, რომ ბებიას აურჩევია საცოლედ კარგი გოგო, რომელსაც ცოლად ირთავს და უთხოვია, მოდი, ჩვენი უკანასკნელი ვახშმობისა დავლიოთო. ორი ჭიქა რომ დაულევიათ, მესამე ჭიქაში ჩუმად საპონი ჩაუყარა, მიუჭახუნა და დაალევინა. ფეხები ძლივს მიიტანა ბიჭმა თავის საძინებელ ოთახამდე და გარდაიცვალა. ასე მოუკვდა მეორე ძმა. ეს ნიკო იყო, ნიკოლოზი, იმისი სახელი ერქვა ჩემ ძმას, ომში რომ დაიკარგა. უფროს ძმას არსად არ უსწავლია, რკინიგზელი იყო იასონა. დები სამი ჰყავდა, სონია, მარუსია, და ნატა. მერე უმცროსი და გაუთხოვდა, ნატო. ძალიან ლამაზი ქალი იყო, ნატა ვაჩნაძეს ადარებდნენ. არაჩვეულებრივი სილამაზის გოგო იყო, თეთრი, მაღალი. დედაჩემს კი არ ჰგავდა. დედაჩემის ბებია ყოფილა ეგეთი შავგვრემანი და პატარა, იმას დაემგვანა ალბათ. ნატა გადაყვა პირველ მუცელს. დარჩა ობოლი ბავშვი. იმას ბებია ზრდიდა. ისიც სატირელი გაუხდათ. მერე გათხოვდნენ შემდეგი დები. ერთი გაჰყვა მენშევიკს, ჩემს მოგვარე კაცს, დათიკო გელაშვილს. მამაჩემი გადაირია, მაგრამ ჩვენი განაყრელი არ იყო. ჩვენ ვიყავით გადმოსახლებული ნადაბურიდან ორი ძმა – კიმოთე და გიორგა. ჩვენ გიორგას შვილები ვიყავით, ისინი კი – კიმოთასი. დაუმტკიცა იმან, რომ მე თქვენი განაყარი არა ვარო და წაიყვანა ეს მარუსა, მოიტაცა. მეორე დეიდა მეგრელმა მოიტაცა, ისე წაიყვანა აფხაზეთში, სადღაც იქით ჰქონდათ მამული, რომ დიდხანს არ იცოდა არც მამამ, არც დედამ. ფირცხალავა იყო, მაგრამ აფხაზურიც იცოდა და მეგრულიც. დეკაბრისტი (?) მკვლელი იყო, დეკაბრისტები ხომ ხოცავდნენ ამ სოციალისტებს, რომ მოეშორებინათ თავიდან აფხაზეთიდან დაწყებული, სადაც დაავალებდნენ... მერე „ახრანაში“ მუშაობდა რკინიგზაში მამაჩემთან ერთად, ხოდა დაიწყო ჩვენთან სიარული, ჭანჭური მიყვარსო. კარგი ჭანჭურები გვქონდა. თურმე დეიდას უთვალთვალებს. გააფრთხილა მამაჩემი, ფრთხილად იყავი ჩემთან, 99 ჟეტონი მაქვს, რამდენი კაციც მყავს მოკლული, იმდენი ჟეტონი მიდევსო. მოკლედ დიდი მამაძაღლი და ეშმაკი კაცი იყო და ღონიერიც. იმდენი ცხენი მყავს მოპარული, შენს ქლიავს არ ასხია იმდენიო. მამაჩემმა უთხრა: „მე წინააღმდეგი არა ვარ, თუ მოგყვება ეს ქალი, წამოგყვესო.“ დეიდაჩემი რას დაუწუნებდა, დაიჯერა მისი ტრაბახი, გაიპარა და გაჰყვა. დეიდა ლამაზი ქალი იყო, ნატოს წააგავდა, შავთვალწარბა, შავი ხუჭუჭი თმებით, კარგი პუტკუნა გოგო, წინათ ასეთები იყვნენ მოდაში... წაიყვანა, დაიკარგა. პაპაჩემი და ბებიაჩემი ტიროდნენ, მკვლელი ყოფილა ის კაცი და არ ჰყავდეს

მოკლულიო. მამა ამშვიდებდა, არ მოკლავს, ნუ გეშინია, უყვარსო. მართლაც, გამოცხადდა პაპაჩემის კარზე, კიბეზე მიადგა პირდაპირ ცოლით და შვილით.

– მოვედი, ჩემო სიმამრო, შემომიშვებ სახლში თუ წავიდე უკან სამეგრელოშიო?

– შვილო, რაკი ცოცხალი მოხვედით, რას ლაპარაკობთო.

მიიღეს დიდი ამბით. ორი წლის მერე მოვიდნენ. რუსუდანი ერქვა გოგოს. ეხლაც ცოცხალია ის ჩემი დეიდაშვილი, არაფრით არ გადაიკეთა გვარი. მამამისი მოხვდა მერე ციხეში პაპაჩემის გულისთვის. პაპა გააკულაკეს და ფირცხალავა უმტკიცებდა მთავრობას:

– თქვენი კრებები ამის „პადვალში“ იყო, კაცო, რა პირით იჭერთო!

– მიწები აქო ბევრიო.

გადაუდგნენ გლეხები წინ, პაპამ უთხრა, – წადით, ესენი არ არიან კარგი ხალხი, გესვრიან და დაგხოცავენო, სადაც მივყავარ, წამიყვანონო. ახლა ბიძაჩემი (ფირცხალავა) გადაუდგა წინ: – აბა, მოდით და წაიყვანეთ, თუ კარგი კაცები ხართო. ხოდა პირველივეს რევოლვერი დგუფა შიგ გულში, ვინც ამოვა, მოვკლავო, მაგრამ რას მოერეოდა, ექვსნი იყვნენ. გადუგრიხეს ხელები, დაიჭირეს, პაპაჩემიც წაიყვანეს და ფირცხალავაც ზედ მიაყოლეს. ფირცხალავას დაბრალდა კაცის სიკვდილი. მამაჩემმა რაიკომში იარა, ეხვეწა, ცოდვა არიო, საჭირო კაციაო. „ახრანის“ უფროსიაო. პაპაჩემი კი გააშორეს ბაქოს. არაფერი აღარ გაგვიგია. ერთი წერილი კი მოვიდა – წერილს სხვა წერსო, სოფოო, დაგბრმავდიო. როგორ უყვარდათ ერთმანეთი! ტიროდა ჯავრისაგან და დაბრმავებულა. მერე მოვიდა პატიმარი ამხანაგის წერილი, რომ გარდაიცვალა და იქ არის დასაფლავებული, კრასნოდარშიო. დღეში ხუთი-ექვსი კაცი კვდება შიმშილისაგან და ძმათა სასაფლაოზეა კრასნოდარში, მისამართი არ ვიციო. ეს მოხდა 1928 წელს. ბებიას ჭლექი გაუჩნდა იმის ჯავრით და სამი წლის მერე გარდაიცვალა.

ფირცხალავა გამოვიდა ციხიდან, ორჯერ ვიყავი სანახავად, კარგი მკერავი იყო. მამაკაცის ტანსაცმელს კერავდა არაჩვეულებრივად. დეიდა ხელის გულზე ჰყავდა დასმული. რკინის ყუთი ჰქონდა, რასაც იღებდა ფულს, აჰა, სონიაო, აბარებდა. გაჭედილი ჰქონდა ის ყუთი, დეიდა რომ მოკვდა, ის ყუთი მოიპარეს, ვინ მოიპარა, არ ვიცი. ხო, ბიძია გამოვიდა, მერე მამაჩემთან სურათიც აქვთ გადაღებული, ცეკვავენ ერთად გიორგობა დღეს. მადლობელი იყო მამაჩემის.

მამაჩემი პარტიის წევრი იყო 1920 წლიდან. ჯერ კიდევ არ იყვნენ ბოლშევიკები შემოსულები, როცა ბოლშევიკურ პარტიაში გაწევრიანდა. ხაშურის დეპოში იყო სტალინის თანამებრძოლებთან გათანაბრებული. პარტიული ბილეთი ჰქონდა ძალიან პატარა ნომრით, №17 თუ №18-ით. 92 წლისა გარდაიცვალა და პარტიული ბილეთი თვითონ წაიღო და ჩააბარა რაიკომს – მოვხუცდი და არავის ვენდობიო. მალე გარდაიცვალა, ატყობდა რომ აღარ ჰქონდა დიდი დღე დარჩენილი. გულით გარდაიცვალა, გული გაუსკდა. როცა დაიწყო პარტკომის ახალმა მდივანმა სიარული და სახლში მოდიოდა და ართმევდა საწევროს, მამაჩემს ეტირებოდა. აღარ შეეძლო თვითონ ყოველთვე საწევროს გადასახდელად წასვლა, მუხლები აწუხებდა...

უკვე ცოლი რომ ჰყავდა ნათხოვი და პაპასგან წამოსული რომ იყო, მამა გვირაბში ყოფილა მუშად. მერე გამოჩნდა გზის ოსტატი – „დაროჟნი მასტერ“, რუსეთიდან გამოგზავნილი. ჩვენ ხომ არ გვენდობოდნენ. ჩამოვიდა ეს კაცი

მარო გელაშვილი მშობლებთან ერთად (მარცხნივ) და სერედას ოჯახი

ცოლით და პატარა გოგოთი. მე რომ დავიბადე, იმათ გოგო ჰყავდათ 7 წლის. ის ბიჭი უკრაინელი იყო, გვარად სერედა. დედაჩემს უკვირდა, რა გვარია სერედაო. მამაჩემს არ უკვირდა, იმიტომ რომ ჯარში იყო ნამყოფი. ჩვენთან ლიანდაგის მუშები ჰყავდათ, მაგრამ უფროსი კი არა. კაციშვილმა არ იცოდა, რა უნდა ექნათ. მამაჩემი შპალებს ცვლიდა და თან რუსულად დაელაპარაკა ამ კაცს. „გაბრიელ, ტი შტო, პანიმაეშ პა რუსკიო?“ (გაბრიელ, რუსული გესმისო?). „და“ (კი), – უთხრა მამაჩემმა. მერე უთხრა, აქ ჭყოიძის სახლი მაქ ნაქირავებიო. ის ჭყოიძე ვითომ გზის ოსტატი იყო, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ კარგი მუშა იყო, მეტი არაფერი. გაათავისუფლა ის რუსეთმა და დასვა ეს სერედა. თითქმის გვირაბიდან ხაშურამდე განაგებდა რკინიგზას. ეს იყო „დაროჟნი მასტერ“. ინჟინერს არავინ ეძახდა, თუმცა ინჟინერი იყო. წამოვიდა ჭყოიძისგან, არც ქმარმა იცის რუსული და არც ცოლმაო, თუ გაქვს ისეთი ადგილი, რო ცოლშვილით შენთან ჩავსახლდეო, ერთად შევიძინოთ საჭმელი, ერთად ვჭამოთ და თან ჩემი ცოლიც დაილაპარაკებს რუსულად, თორემ ცოდვა არისო. მოვიდნენ. მე მონათლული ვიყავი, კოლამ მომნათლა. მარა მოიხსნა ნათლობა და დაუთმო იმას, რა ერქვა, მგონი მარუსია ერქვა სერედას ცოლს. ხოდა ის ცოლ-შვილით ცხოვრობდა ჩვენ სახლში კარგა ხანს. მერე ისეთნაირად მოხდა, რომ იქ რომ ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, აქ მენშევიკებმა აჯობეს. აუსვეს ხელი სომხებს, წადით ერევანშიო, გვარგადაკეთებული სომხები გვყავს ჩვენ აქა, ხუციშვილები. ქარელში ცხოვრობენ ძალიან ბევრნი. მღებრიშვილები არიან, მღებრიანცები ვიყავითო, მამაჩემს შეეშინდა და მღებრიშვილად დეეწერა ხელად საბჭოშიო. ჩვენთან იყო მეხანძრე ბიჭი, ხუციევი, ხუციშვილად ეწერა. მენშევიკები ფიქრობდნენ, საქართველო უნდა იყოს სუფთა, აქ არც ერთი რუსი, არც ერთი თათარი, არც ერთი სომეხი არ უნდა იყოსო. ყველამ დაკეტა ბინა და წავიდა. გორკის მატარებელი დადიოდა ბათუმამდე და იმაში სვამდნენ. ბათუმიდან კი უკვე გემი მიდიოდა უკრაინამდე და იქიდან უფრო იოლი იყო წასვლა. ზოგს ბაქოდან

აგზავნიდნენ. რუსი იყო, უკრაინელი თუ ბელარუსი, ერთი არ გააჩერეს საქართველოში. გაასუფთავეს საქართველო. მოკიდეს ამ რუს ნათლიასაც ხელი და გააპანღურეს რუსეთში. ისე დეენანათ დედაჩემს და მამაჩემს, იტირეს იმათაც და ჩვენც, რო წავიდნენ. ჰქონდათ მიწერ-მოწერა. ერთი წლის მერე, კომუნისტები რო შემოვიდნენ, ყველა დაბრუნდა თავის სახლში. აი, ასეთი ამბავი იყო საქართველოში. სუყველა მოვიდა, მარა ნათლიაჩემი წავიდა და აღარ დაბრუნებულა. მერე ვერამ მოიწერა, მამაჩემი გარდაიცვალაო. მერე კი წერილებიც გაქრა. არ ვიცი რატომ, უკვე 37 წელი დადგა და ეტყობა, აღარ უშვებდნენ ჩვენთან წერილებს. ყველა მხრიდან ჩაკეტეს ყველაფერი.

მენშევიკებმა ბევრი ვერ ითარეშეს, დაიწყეს ეს ამბავი თებერვალში, ჩამოაყალიბეს თავიანთი მენშევიკური გვარდია, არმია კი არ ერქვა, გვარდია. ბევრი ტყვია ჰქონდათ ჩაწყობილი „პატრანტაჟში“ და თოფაკიდებულები დადიოდნენ სოფლებში. „ბერდენკები“ იყო მაშინ, ეხლა როა ათასნაირი იარაღი, ისე კი არა, ბერდენკა ხუთ ტყვიას ისროდა ერთად. დადიოდნენ, ეძებდნენ, სადმე ხომ არ ჰყავდა ვინმეს რუსი ცოლი. მარა ვის ჰყავდა მაშინ რუსი ცოლი, არავის არ ჰყავდა. მოთავდა ის წელიწადი და დაიწყეს ძარცვა. ქეიფობდნენ მთელი ღამე. გამოუშვეს თავისი ფული, ბონი ერქვა. მოჰქონდა მამაჩემს ხელფასი კაი დიდი „სუმკით“. უდრიდა ჩვენს 40 მანეთს, მარა ძლივს ვითვლიდით, იმდენი იყო. რო გასაბჭოვდა და უცბად გაუქმდა ფული, დედაჩემმა მერე კედელზე გააკრა, იმდენი გვქონდა. მენშევიკები მეღორეებს ართმევდნენ ღორებს ახალციხეში, ჩამოჰყავდათ და გლეხებზე ყიდდნენ თითოს 10 ბონად. 10 ბონი იყო ჩვენი 5 მანეთი, არც კი. ისეთი მსუქანი ღორები ჰყავდათ ყველას. მარა მათი პატრონი ხო ტიროდა. მერე იმ ფულით ქეიფობდნენ, ქალებში დადიოდნენ, დროს ატარებდნენ. შემობრუნდა წელიწადი და მამაჩემმა გვითხრა, ეხლა რამდენიმე დღეში ბუდიონი მოდის, გამოივლის მატარებლით ბაქოზე და გასაბჭოვდება ბაქოო, გასაბჭოვდება სომხეთიც და შემოვა ჩვენთანაო. იქ დაშნაკები იყვნენ, სომხურად დაშნაკი ყოფილა მენშევიკი. გაასაბჭოვეს ბაქო, გაასაბჭოვეს ერევანი და შემოვიდნენ საქართველოში. დაყარეს ხმა მენშევიკებმა, ბოლშევიკები მოდიან, შიათ, ძუძუთა ბავშვებს კლავენ და ჭამენო. შეეშინდათ ჩვენებს. მამაჩემმა უთხრა, არავითარ შემთხვევაში რუსი ბავშვს არ შეჭამსო. იყავით თქვენ ადგილას, ნუ აიყრებითო.

მაგრამ ჩვენ კი გაგვასახლა. გვირაბის თავზე ვართ, იქნება დაბომბონო ან სროლა დაიწყონო, სულ 10 წუთის სავალში ვიყავით, კილომეტრში გვირაბიდან. გორაკია და გორაკის გადაღმა ჩვენი სახლია. დიდი თხილი გვედგა და ძალიან ბევრი გვქონდა თხილი. შემოიტანა სახლში მამაჩემმა და დატოვა, დატოვა ფქვილიც, რაც თონის პური იყო, ისიც. შეშა დატოვა „ფეჩთან“ და კარები ღია – ბიჭები მოვლენ, დაისვენებენო. „პერევალზე“ ფეხით უნდა გადასულიყვნენ წიფამდე, უნდა გაევლოთ სოფლები, ბათუმამდე უნდა მისულიყვნენ. ლოგინიც უნდა დაეტოვებინა, მაგრამ დედამ თქვა, მერე იმათი ჩანაწოლი ლოგინები რაღათ მინდაო. სახლის უკან 4 მეტრი თოვლი იყო. მამაჩემმა სამი დღე იმუშავა, გამოჭრა დიდი ოთახი, ნახევარი მეტროთი მაღლა. სულ იქ შევინახეთ ლოგინი, პურის ფქვილი, ჭადის ფქვილი, რაც გვქონდა ხელწამოსაკრავი, ქვაბები, თეფშები. მიაფარა და რომ ითოვა, 2-3 დღეში არაფერი აღარ ეტყობოდა, გაერთიანდა სახლთან. წარმოგიდგენიათ, რამხელა თოვლი იცოდა.

წაგვიყვანა ოთხ მეტრო თოვლში ციგით. ურემი ხო ვერ ივლიდა. მეც რა ვიქნებოდი აბა, მაშინ, ჯერ სკოლაში არ დავდიოდი. ჩემი ძმა ნიკო ძუძუზე ჰყავდა დედას. საშა და მე უკან დაგვაჯინა. ერთი ერთ ჭალზე ვიყავით შემოხვეული, მეორე მეორეზე. ციგას აქვს დასობილი უკან ჭალები და მერე გაბმული აქვს, რომ არ გადავარდე. ვიჯექით იქა და ვერ გავიგე, როგორ გადავარდა საშა. ქარი რომ უბერავდა, ნამქერი იყო და დაიკარგა ჩემი ძმა. ხარები მიდიოდნენ ძალიან ნელა, საწყლები მუცლამდე ეფლობოდნენ თოვლში. მიუხედავად იმისა, რომ გაყინული იყო, ხარის ფეხმა ვერ დაიმაგრა. გაივლიდა ხარი და ციგა ჩავიდოდა იმათ ნასიარულებში. ისევ გაივლიდა, ისევ ჩავიდოდით და ასე გაჭირვებით მივდიოდით. მამა დაბრუნდა უკან, 10-15 ნაბიჯში ნახა ჩემი ძმა – ეგდო გულაღმა, არც ტიროდა, არც არაფერი. ყეყეჩი იყო თავიდანვე. აიყვანა მერე და დედას დაუსვა გვერდზე. ზურგის შალი ჰქონდა დედას მოხვეული, წინათ ხო პალტოები არ იცოდნენ. ნიკო ძუძუზე ჰყავდა მიხუტებული და ეს დოყლაპიაც მიიხუტა. მე მამამ მითხრა, უკან ფართო ფიცარია და იმაზე დაწექიო, აღარ მოგიბერავს ქარი და სახეზე შარფი ჩამოიფარეო. დავწექი, იმ ფიცარს მოვხვიე ორივე ხელი ქვეშიდან და ასე ვიწექი ციგაზე. მიგვიყვანეს ერთ დიდ სახლში. ირინე დეიდას სახლი იყო, ხუთი ბიჭი ჰყავდა და ხუთი რძალი. ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ძველებური სახლი იყო. ერთ დიდ დარბაზში, იქნებოდა 15 მეტრო 15 მეტროზე, მთელი სოფლის ბავშვიანი ქალები იყვნენ შეყრილი. ეს იყო სოფელი მონასტერი. ერთი გორაკი ავიარეთ, გვირაბიდან წავედით შორს. ლომიძეები მარჯვნივ დარჩა. იმათ არ ეშინოდათ დაბომბვის. მამამ უთხრა, ბავშვებს არავინ შეჭამს, იყავით სახლშიო. ძმები ჰყავდა იქ. მე იმიტომ წამოვედი, რომ ზედ თავზე ვცხოვრობ, არ შეიძლებაო. ირინა დეიდასთან იქაურ მაცხოვრებლებს შემოჰქონდათ თავიანთი საჭმელი, ლობიო იხარშებოდა დიდ ქვაბში. ჯერ ბავშვებს გვაჭმევდნენ და თუ დარჩებოდა, მერე თვითონ ჭამდნენ. იქ დიდხანს არ გავჩერებულვართ. მამამ გვითხრა, სამი დღის მეტი არ მოგიწევთ აქ დგომა, უკვე სასომხეთში არიან და მალე შემოვლენო. თვითონ წავიდა მერე ჩვენ სახლში გაჩერებული ბიჭების, მებრძოლების სანახავად და უთხრა:

– ეგ ჩემი სახლია და მე დაგიტოვეთ ყველაფერი. პური არა მაქვს, მე ხაშურში ვერ მივდივარ, გზა არ არის, რომ ვიყიდო, პური რაც მქონდა, სადაც ვარ, იქ წავიღეო. ხო არ ეტყოდა, იქა მაქ დამალული „მეშოკითო“. ბეღელი დაკეტილი იყო, მარცვალი პური იყო, უთხრა, აი, აქ „პშენიცა“ (ხორბალი) არი დაფქვილიო. თუ გინდათ, გააღეთ და თუ შეგიძლიათ, ჭამეთო. იქ სიმინდის „პაჩატკებია“ (ტაროები), ჯერ არ არის დაფშვნილიო.

– არა, არაფერი არ გინდა, თხილი ჯობიაო, – უპასუხიათ. ორი დღის მეტი არ დარჩენილან, ორი „მეშოკი“ თხილი დარჩა, ერთი შეჭამეს. მეორე „მეშოკს“ ცოტა აკლდა, ეტყობა, ჩანთებში ჩაიყარეს. დასაბომბი არაფერი ჰქონდათ. მხოლოდ ტყვია-წამალი და „ვინტოვკები“ იმათაც. რუსებიც იყვნენ, უკრაინელებიც, თათრებიც. ყველა რჯული იყო, რა ვიცი მე. ყველაფერს საზღვრავდა მამაჩემი. სასომხეთის მერე მართლაც შემოვიდნენ თბილისში. წინააღმდეგობა თითქმის აღარავის გაუწევია აქა. სავსე იყო აქაურობა „პოლქვეშა“ (იატაკქვეშა) ბოლშევიკებით, შემზადებული ჰყავდათ ხალხი. რო ნახეს, მოდიოდნენ, მენშევიკები უკვე ადრიანად გაიქცნენ. პირდაპირ „პერევალზე“ გადავიდნენ ფეხით. ვერცერთი ვერ დაიჭირეს,

დასავლეთამდე ისე წავიდა მთელი დივიზია. ვინ შეეწინააღმდეგებოდა, მუხლამდე თოვლი იყო. არც გვირაბთან შეწინააღმდეგებია არც ერთი მენშევიკი. „ტუნელის“ იქითა მხარეს გაჩერდნენ, ერთი პირობა მატარებელი გააჩერეს, უნდოდათ, ბოლშევიკები რომ შევიდოდნენ, ესროლათ, მარა დეპოს მუშები „პარაოზებით“ გავიდნენ, დააყარეს სროლა და მოუსვეს იმათ. ხაშურის დეპოში მომზადებული იყო ხალხი – ადრინდელი „პოლქვეშა“ მომუშავეები.

ეხლა, როგორ შემოვიდნენ იქ ბოლშევიკები, სადაც ვიყავით, მონასტერში: იქ უნდა გაევლოთ, რომ შესდგომოდნენ „პერევალს“. ზუსტად იქ გაიქცნენ მენშევიკები, რომ უთხრეს, ბავშვებს ჭრიან და ჭამენო, სოფელში. მამაჩემმა უთხრა: ჭკვიანად იყავით, ისინი მოვლენ და თავის საკუთარ ნორმას, ოთხი კვნიტი შაქარი ერგებოდათ, იმასაც ბავშვებს დაურიგებენო. მართლაც, შემოვიდა წითელარმიელი, „ზდრასტვუიწე“ (გამარჯობა), – თქვა რუსულად, – „ნე ბოიწეს, ნე ბესპაკოიწეს, ია რუსკი, ია კომუნისტ, ია პრიშოლ კ ვამ პამაგატ“ (ნუ გეშინიათ, ნუ წუხდებით, მე რუსი ვარ, კომუნისტი, თქვენს დასახმარებლად მოვედი). მამაჩემმა გადაუთარგმნა. „ახლა შემოვლენ ჩემი ამხანაგები, „ნემნოშკო რუკი ბუდუტ გრეც, მოჟნო?“ (ცოტა ხელებს გაითბობენ, შეიძლება?) – ეკითხება. ადგა მოხუცი კაცი, ირინე დეიდას ქმარი, ძველი ჯარში ნამყოფი და „კაკ ნე მოჟნო, უ ნას ლობიო, უ ნას მჩადი“ (როგორ არ შეიძლება, ჩვენ ლობიო გვაქვს, მჭადი), – ეუბნება... მშივრები დარჩნენ დიდები. საწყლებმა ლობიო და მჭადი ხო ჭამეს, ჩაიც აადუღეს, მერე შაქარი შუაზე გააყოფნა მამაჩემმა, უშაქროდ დალიეს ჩაი. რაც ბავშვები ვიყავით, სულ კვნიტები დაგვირიგეს, შაქარი გვაჩუქეს, შაქარი! ზოგი ცოლ-შვილიანი იყო, ხელში აიყვანეს ბავშვები. აიყვანა ჩემი პატარა ძმა ნიკო ერთმა ბიჭმა, აკოცა, „უ მენია ტაკოი სინ“ (მე ასეთი ბიჭი მყავს), – უთხრა მამაჩემს. ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ უმეტესად. რაც იყო საჭმელი, ვაჭამეთ. ესენი ჩვენთან შემოვიდნენ. ხუთ-ხუთნი შედიოდნენ გლეხებთან, გაგვათბეთო, ითხოვდნენ. ვინც მოხუცი კაცი იყო, ჯარში ნამსახურები, ელაპარაკებოდა... თუ არა და „ზახადიტე, ზახადიტე“ (შემოდით, შემოდით), ეუბნებოდნენ, მეტი თუ არაფერი იცოდნენ. ხელები გათბობინეს, დაპატიჟეს, თუ ჰქონდათ რამე. ქართველი კაცის ამბავი ხო იცით, ზოგს არაფერი ჰქონდა, მაგრამ „ოტკა“ დაალევინა, ღვინო დაალევინა, მჭადი მოუტეხა და წავიდნენ. მთელ სოფელში ყოფილან, მერე მამამ გაიგო, ზოგან ოთხ-ოთხი კაცი, ზოგან – სამ-სამი. ჩვენთან ერთი ექვსი-შვიდი კაცი მაინც შემოვიდა. მამაჩემი გავიდა და უთხრა, დიდი სახლია და შემოდით, შემოდითო. იმ სოფელს მონასტერი იმიტომ ჰქვია, რომ დანანგრევი ეკლესიის მოედანია იქ. იმ მოედანზე მოუყარა თავი დივიზიის მეთაურმა ჯარისკაცებს იმ თოვლში. ქონი ითხოვეს, ჩექმებზე წაისვეს, დიდი თოვლია და ფეხით მივდივართო. ყველას მიუცია. დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ „პერევალზე“, მაგრამ მენშევიკებს ვერ დაეწივნენ. იმიტომ, რომ, როგორც წიფის დარაჯმა თქვა, გაიქცნენ მატარებლითო. ფეხით ვინც გამოვიდა, თურმე, ისინიც. „ტავარში“ ჩასხდნენ და გაიქცნენ ბათუმისკენ. ზესტაფონში ლიანდაგი აუყარა ხალხმა და იქიდან იძულებული გახდნენ, ფეხით ევლოთ. სანამ ესენი დეეწეოდნენ, ბათუმში ჩავიდნენ და ზოგი გემში ჩაძვრა, ზოგი გამოიცვალა და აღარ თქვა, რომ მენშევიკი იყო. ბიძაჩემიც, ჩემი დეიდის ქმარი, მარუსა რომ წაიყვანა, გელაშვილი რომ იყო, აქ დარჩა, მონასტერში, სად წავიდოდა. მამაჩემი იმის მერე დარჩა გვირაბის დარაჯად.

მე დაახლოებით 9 წლისა შემიყვანეს სკოლაში, ადრე არ ღებულობდნენ. თანაც, იმიტომ, რომ 3 კილომეტრი სადგურამდე ფეხით უნდა წავსულიყავი, მერე მატარებლით – ხაშურში. იქ ვსწავლობდით რკინიგზის სკოლაში. ძალიან შორს იყო. მარტო ჩვენ გვასწავლიდა მამაჩემი. ამხანაგიც არ გვყავდა. მარტო მე და ჩემი ძმა დავდიოდით სოფლიდან. მამა გვაცილებდა. 4 მეტრო თოვლი იყო, მამა ნიჩბავდა და ისე მივყავდით. ოო, რა ტირია იყო ჩემი ძმა, მე უფრო ყოჩაღი ვიყავი, მეყინებოდა ფეხები, მაგრამ მამაჩემს არაფერს ვეუბნებოდი, მეცოდებოდა. ხელში ნავთში დასველებული ნაქუჩი გვეჭირა. მოვუკიდებდით იმას და თითქმის სადგურამდე გვყოფნიდა. ჩემ ძმას ხელი რომ ეტკინებოდა, ახლა მე ვიჭერდი. თბილი „ფელჩატკები“ (ხელთათმანი) გვეცვა. მამას აძლევდნენ, ფარანის დასაჭერად. წლის ბოლოს ახალს რომ მიიღებდა, ისინი ჩვენ გვეკეთა, ისეთი მძიმეები იყო, სადგურიდან უკან მოჰქონდა ხოლმე. ორ წყვილს ჩააწყობდა ჩანთაში და წავიდოდა. სანამ წავიდოდა, მამას „კლუჩი“ ჰქონდა, გაგვიღებდა იმით რბილი ვაგონის კუპეს, „ადით, ადითო“, – შეგვტენიდა შიგ და დაკეტავდა კარებს. ხაშურის საკვანძო სადგურზე „პრავადნიკი“ გნახავთ და უთხარით, ბიძია, გააღე, ჩავდივართ, აქ ვსწავლობთ-თქო, გვეტყოდა და წავიდოდა თითონ სოფელში. მატარებელში ვინ გვიშვებდა. სპეციალური მატარებელი კი არ იყო, სახალხოში უნდა ჩავმსხდარიყავით. ხოდა უკვე გვიცნობდა ის „პრავადნიკი“. „მამაძაღლებო, კიდევ შემოგიშვათ მამათქვენმა?!“ – გვეტყოდა და ჩაგვყრიდა სადგურში. ღამის სამ საათზე ვსხდებოდით მატარებელში. ოთხის ნახევარზე ხაშურის სადგურში ვიყავით. იმ დახუთულ ჰაერში ვამზადებდით გაკვეთილებს. ცხრის ნახევარზე ისევ ბნელოდა. გადავდიოდით სკოლაში, დარაჯს ვაღვიძებდით, რომ ნახშირის „ფეჩი“ შეენთო. გაყინული იყო სკოლა და ახლა იქ ვკანკალებდით. დაანთებდა და ღია კარებთან დავსხედებოდით.

მეოთხე კლასამდე ზაქრო ზაზიკაშვილი, ყოფილი მღვდელი გვასწავლიდა. წინათ პირველი ჯგუფიდან მეოთხემდე ერთი მასწავლებელი ასწავლიდა. როგორ მიყვარდა ჩემი მასწავლებელი, დედაა! ბევრი ვიტირე, როცა თავი დაგვანება და ახალ კლასში შევიდა. ყველა ბავშვი ტიროდა.

ფრიადოსანი გოგო ვიყავი. ჩემი ძმაც ფრიადოსანი იყო. ასე გაჭირვებით ვსწავლობდით და მაინც ყველა ბავშვს ვჯობდით. ჩემი კლასის დამრიგებელი იყო ნიკო მანჯავიძე – ქართულის მასწავლებელი.

– სამ საათზე ამდგარი ბავშვები, 12 კილომეტრიდან მოსულები, ხუთზე უნდა სწავლობდნენ, ბიჭო, – ბიბილეიშვილი იყო ხაშურელი, – შენ კიდე ამოდენა ოყლაყი ხარ და ვერაფერი ვერ გაიგე ქართულისა, ამ ბავშვებისა მეხათრება, რომ ვუყურებო. პატარა მაროს მეძახდა. პატარა ვიყავი ყველაზე. „აბა, პატარა მარო, გვითხარი“, – მეტყოდა ხოლმე. აი, გმირი რომ იყო მოთხრობისა ვინმე, ვასამრთლებდით ხოლმე, მაშინ ეგრე იყო წესი. პატარა სასამართლო გვქონდა ჯგუფში. დამცველებს, ბრალმდებლებსა და მოსამართლეებს ვირჩევდით. ხოდა ვასამართლებდით მოთხრობის გმირებს. მაგალითად, ეგნატე ნინოშვილის „ბახვა ფულავადან“. ზოგს ვამართლებდით, ზოგს ვამტყუნებდით. რუსულის მასწავლებელი გვყავდა სომეხი ქალი – დავიდოვა. დავიდოვები რუსებიც არიან, სომხებიც არიან. შეიძლება რუსიც იყო, რა ვიცი. ჩემი ძმა ისე ლამაზად წერდა რუსულად, რომ გააგიჟა მასწავლებელი.

სახლში ლამფის შუქზე ვაკეთებდით დავალებებს. ერთი ლამფა გვედგა „ტაბურეტკაზე“, კუთხეებში გვედო რვეულები და სამი ბავშვი იქ ვწერდით. რო დავამთავრეთ, მამაჩემი შეეცადა ყველას გვესწავლა. სწავლაში კი გვიწყობდა ხელს მამა, სასწავლო ლიტერატურასაც შოულობდა, პერანგს გაყიდდა, ოღონდაც წიგნები ეყიდა. მაშინ წიგნები არ იცვლებოდა, ჩემი წიგნები ჩემმა ძმამ იხმარა, იმისი – პატარა ძმამ. რა იყო, ერთი დედა ენა იყო და ანგარიშის წიგნი. თუმცა, ისე წიგნების წაკითხვას მიშლიდა. წიგნები ხაშურის ბიბლიოთეკიდან გამომქონდა, ვკითხულობდი მამაჩემისაგან ფარულად. მოვიდოდა თუ არა, ხელად გადასაფარებელის ქვეშ ჩავდებდი ხოლმე. წიგნს რო დახედავდა, მაგას თავი დაანებე, მანდ კარგი არაფერი წერიაო, – მეტყოდა. 14 წლის ვიყავი, უკვე რომ ვკითხულობდი წიგნებს, დედას სახლში ჰქონდათ წიგნები. „ტრისტანი და იზოლდა“ პაპის სახლიდანა მაქვს წაკითხული. დედაჩემი წავიდოდა და ჩუმად მოჰქონდა. ჩანთაში ზემოდან ხილი ეწყო, მამაჩემი დახედავდა და რა მოგაქო, ჰკითხავდა. არაფერი, საელიობო ვაშლზე ვიყავიო, – პასუხობდა დედაჩემი. მერე მე გამგზავნიდა, წადი შვილო და ბუდეშური მოიტანეო. ჩვენთან არ ხარობდა. ყურძენი კი გვქონდა ჩვენ, მარა ალიკარტი. შავიც და თეთრიც, ოღონდ კარგად რომ დამწიფდება და ხელს მოჰკიდებ, მარცვლები სცვივა. ძირიდან უნდა კრიფო. ბებიასთან ხარისთვალაო, ბუდეშურიო, სუყველა ხარობდა. ხოდა მგზავნიდა ხოლმე ყურძენზე და მაშინ მატანდა წიგნებს. დედამ ბევრი გვასწავლა. სოფელშიც ყველა პატივს სცემდა. დედაჩემი სოფელში გაჭირვებული კაცის მხსნელად ითვლებოდა. ძალიან ბევრი ჰყავდა გადარჩენილი. ჭრილობისთვის ძველი „პროსტინის“ ნაჭრებს პირის საპონში რეცხავდა, სამჯერ სამ პირს წაუსვამდა, კარგად გარეცხავდა და გააშრობდა მზეზე. არავითარი უთო. კარგად დაიბანდა ხელებს, სპირტით გაიწმენდდა თითებს, ჩამოიღებდა იმ ხელებით ამ ნაჭრებს, მაკრატელს პირს გაუწმენდდა სპირტით, დაჭრიდა ამდენ-ამდენად (10 სმ. სიგანის ნაჭრებად) და ასე (3-4 სმ. სისქის ხვიებად) ახვევდა. დაახვევდა და ჩადებდა მერე, სპეციალური პარკი ჰქონდა შეკერილი, იმაში. თუ ვინმე დაკლავდა მსუქან საქონელს, ლუბა ძალო, ქონი მოგიტანეო, – ეტყოდა. აუცილებლად ძროხა უნდა ყოფილიყო; ბებერი ხარის ქონს არ იყენებდა. იმ ქონს კი გადაადნობდა სპეციალურ ტაფაზე, დაასხამდა თხელ თეფშებზე. თუ დარჩებოდა, ერთს სქლად დაასხამდა, მერე რომ გადაეკეთებინა. სანამ ცხელი იყო ქონი, ბამბის ძაფს ჩაყოფდა ორი ბოლოთი. აი, აქ (შუა ნაწილში) დაუტოვდა მერე დასაკიდს და ბნელ „შკაფში“ ჰქონდა ჩამოკიდული. სოფელში გრილა და მაღლა ჰქონდა ჭურჭლის „შკაფი“ სტუმრებისათვის. წინათ ბევრი ჭურჭელი იყო საჭირო. იქ (ჭურჭლის კარადაში) ლურსმნები იყო კედლებში ჩაჭედებული სპეციალურად და იქ ინახებოდა ქონიც და ის ნაჭრებიც. მთელი სოფელი მოდიოდა – რამეს რომ გაიჭრიდნენ, ლუბა ძალო, გვიშველეო! – სთხოვდნენ. შეუხვევდა და თან ეუბნებოდა: არც გახსნათ და არც ხელი ახლოთო. დედაჩემი იყო სოფლის ექიმბაში. „ბაში-აჩუკი“ ნიშნავდა უქუდო კაცს და დედაჩემი როგორღა იყო „ექიმი“ და „ბაში“, ვერ გადავთარგმნე ვერაფრით. რას არ არჩენდა, ფილტვების ანთებას, ტვინის ანთებას... ტვინის ანთებიანისათვის პატარა ტიკები ჰქონდა, თხის პატარა ტიკები. პატრონს აავსებინებდა ცივი წყლით, და ყოველ ნახევარ საათში ადებდა თავზე ავადმყოფს. ტვინის ანთებიან კაცს

დილას უკვე სიცხე დავარდნილი ჰქონდა და თვალები გახელილი. ექიმი თუ მოდიოდა ტვინის ანთებიანთან, სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეთო, იტყოდა. რითი უნდა წაეყვანათ, ურმით? მანქანა ხომ არ იყო მაშინ! ექიმი მოდიოდა „დრეზინით", თანაც მარტო რკინიგზელებთან. მამაჩემი ეძახდა, ფულს აძლევდა და ხაშურიდან მიჰყავდა გლეხებთან ხათრით, ეცოდებოდა. ეტყოდნენ:

– გაბო, რკინიგზელი თუ არ არი, ისე ნუ გაგვაცდენ, ნუ მიგვიყვან.

– როგორ? რკინიგზელი თუ არ არის, უნდა მოკვდეს კაცი?! არ მინდა რომ მოკვდეს, ჩემი კოლმეურნეა. რა გინდა, მაღარიჩს გაძლევ, წამობრძანდები ახლა სახლში და კაი პურმარილს გაჭმევ. აქ არი შენი „დრეზინა".

გადმოიღებდნენ ლიანდაგიდან და იდგა იქ „ბუტკის" (ჯიხურის) გვერდზე. წამყვანი კიდე სხვა ჰყავდა, უკან ექიმი იჯდა გენერალივით (გაჭიმული). დედა ქათამს დაახვედრებდა შემწვარს, ღვინოს გამოიღებდა, კარგად გამოათრობდა და მერე, – აღარ დაგიძახოო? – ეხუმრებოდა.

– არა, როგორ არაო, კაცო, მეც მეცოდებიან, მაგრამ რკინიგზის პოლიკლინიკის განკარგულებაა, რომ ჩვენებთან წავიდეთ მარტო.

აი, ასეთი მშობლები მყავდა.

წერა-კითხვა დედამ გვასწავლა. მამამ მარტო გვარის მოწერა იცოდა რუსულად. ლაპარაკით კარგად ლაპარაკობდა. ბულალტერიაში საბუთს დააწერდა „აჩოტს" და გვარს მოაწერდა. ქართული კარგად იცოდა, თუმცა თვითნასწავლი კი იყო. ისე კარგად მახსოვს მისი „შ", დახვეული ცხვირით. ჯარში შეყვარებია გენერლის გოგოს, რომელსაც მამა ქართველი ჰყავდა, დედა კი რუსი. იმას უთქვამს მამისათვის, ქართულის სწავლა მინდაო. იმან ქართული ლაპარაკი მასწავლოს, მე წერა-კითხვას ვასწავლიო. დედა-ენა კი ჰქონდა, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა თურმე. დაუწყო მამაჩემს სწავლება და ბოლომდე ასწავლა წერა-კითხვა. თითონაც ისწავლა ქართულად ლაპარაკი. მერე მამისთვის გამოეცხადებინა, გინდა თუ არა, საქართველოში უნდა გავყვეო. მარა აქ გამოატანდა ახლა შვილს გენერალი კაცი?! თანაც იცოდა, მოჯამაგირე ბიჭი იყო, ჩამოგლეჯილი მივიდა ჯარში. დიდხანს სწერდა ის გოგო თურმე წერილებს ქართულად, აქ ამხანაგი ღებულობდა და იქიდან მოჰქონდა თურმე მამაჩემს. ძალიან ნაწამები იყო და იმიტომ ვაფასებდი მამას. „თქვენი შრომით უნდა იშოვოთ სარჩო-საბადებელი, არასოდეს დავარდნილი ფული არ აიღოთ, ორ იმდენს დაკარგავთ. ქათამი რო ხეზე დაჯდება, კარგი ქალია თუ კაცი, სახლში უნდა იყოს. უსაქმოდ არ უნდა ჩამოჯდეთ და მუხლებზე ხელი არ დაიწყოთ, სულ უნდა მუშაობდეთ დაძინებამდე" – ასე გვარიგებდა. ჩემი უფროსი ძმა სულ – მუცელი მტკივაო, გაიძახოდა, არც სათოხში მოდიოდა და არც არსად.

– დედა, მამაჩემმა ნამგალი გამომიტანა და მუცელი მტკივა!

– დატოვე, კაცო, დატოვე, ხომ ხედავ, ავადმყოფი ბავშვია.

– ეგ არის ზუსტად ზარმაცი, არაფერი ავადმყოფი არ არის, ეგ რომ გერმანელის სახლში დაბადებულიყო, მოაჭრიდნენ თავს, – იტყოდა ხოლმე მამაჩემი, – რაღა ახლა ასტკივდა მუცელი, ნამგალი რომ მივეციო. თითონ ისეთი მშრომელი კაცი იყო, ყველაზე ადრე უნდა დაეთესა, ყველაზე ადრე უნდა მოეხნა, ყველაზე ადრე უნდა გაერჩია სიმინდი. რაღაცნაირი კაცი იყო, სიმინდს რომ მოზიდავდა და ცლიდა, მუშა გვეხმარებოდა, რომ იღებდა ურმიდან დაწყობილს,

ისეთი „აკურატნი“ კაცი იყო, ეგრევე აწყობდა ერთმანეთზე. მიყრილი კი არ ჰქონდა – ზოგი გადაწვენილი, ზოგი გადმოწვენილი. სიმინდი ისე იყო დაწყობილი, რომ პირდაპირ იღებდნენ და არჩევდნენ, გეგონება ორი გალი დადეს მარტოო. დაყრიდა კაკლის ქვეშ ხვავად და დაუძახებდა დედაჩემი თავის გოგო-ბიჭებს, ფერუმარილს ვისაც აძლევდა, ხალათებს ვისაც უკერავდა. ამას მამითადს ეძახიან შუა ქართლში, ჩვენ, იმერლები – ვახშმიან დახმარებას ვეძახით. მოდიოდნენ საღამოთი, უკვე ისე გვიან, რომ თავიანთი საქმე მოთავებული ჰქონდათ სახლში, ზაფხულში ადრეა რვის ნახევარი. რვის ნახევარზე მოვიდოდნენ და ღამის პირველ საათამდე მუშაობდნენ... დედაჩემს ქათმები ჰყავდა დაკლული, წიწილები შემწვარი, ღვინო საკუთარი გვქონდა და იმ კაკლის ქვეშ გაიშლებოდა სუფრა დაბლა და მიუსხდებოდნენ ეგრევე, ზოგი ფეხებგაშლილი, ზოგი მოკეცილი, ცოტანი კი არ იყვნენ, ერთი ორმოცდაათამდე გოგო-ბიჭი მოვიდოდა ხოლმე. იქით ბიჭები დასხდებოდნენ, აქეთ გოგოები, არ სვამდა მამაჩემი ერთად: ზოგი ქალი ფეხებს გაშლის და კალთაში ხო არ უნდა ჩაგიწყოსო, – ბიჭებს ეუბნებოდა. თავში თითონ დაჯდებოდა და დილამდე სვამდნენ. გათენებისას, კარგად რომ დათვრებოდნენ, კაკლის გარეთ, თივა რომ იყო მოთიბული და რომ შრებოდა, იმაზე მიწვებოდნენ ბიჭები. ქალები არა, ქალები იმდენს ხომ არ სვამდნენ. ძალიან უხაროდათ ჩვენთან მოსვლა... მამა ლაპარაკში სიტყვაძვირი და ძალიან ჭკვიანი იყო. მოლაპარაკესთან რომ ჯდებოდა, ალაპარაკებდა, მოისმენდა, ორ წინადადებას ეტყოდა და დაარწმუნებდა. მაგალითად, ცოლის შერთვა რომ უნდოდა ახალგაზრდა ვაჟს, მოდიოდა მამაჩემთან და ეკითხებოდა:

– ბიძია, ბლუაშვილების ქალი მომყავს, ლიზა.

– არ გინდა, შვილო, არ გინდა, ბებია მახინჯი ჰყავდა და ვაითუ, ბავშვები დაგებადნონ მახინჯები. ვიცი, რომ ტეზვევში ჩიტიაშვილების ქალი მოგწონს, ჯანმრთელი გოგოა და ის მოიყვანეო. უჯერებდნენ მამაჩემს და კარგად მიდიოდა საქმე. ასეთი იყო დედაჩემიც. ფერუმარილს აკეთებდა და ეს შავგვრემანი გოგოები რომ წაისვამდნენ, თეთრად გაუდიოდათ კრიალი. ყიდულობდა ცარცივით რაღაცას და თერძაფთან ადუღებდა, მერე ცოტა კარაქს ურევდა და გამოდიოდა უმარილი. ფერისთვის კი წითელი ჭარხლის წვენი ჰქონდა მუდამ, შუშაში ჩაუსხამდა და მისცემდა. ბამბაზე დააწვეთებდნენ, გადაისმევდნენ ცოტას, წაისვამდნენ ამ უმარილს და გადასარევი ლამაზი გოგოები გამოდიოდნენ. ასე რომ დედაც ეხმარებოდა ქალიშვილებს საქმროს არჩევასა და გათხოვებაში.

სახნავში ვეხმარებოდი ერთხელ მამას. ჯერ ეხლა რა მაქ სიმაღლე და მაშინ რა მექნებოდა, 11 წლისა უღლის სიმაღლეც არ ვიყავი. ლაპარაკი ესმოდათ ხარებს, რო დაუყვირებდა ხარს მამაჩემი – „ბაღდანა, წამოდი აქ!“, – ბაღდანა მაშინვე მოდიოდა, „ნიშა, მოდი ახლა აქ!“ – ნიშა აგვიანებდა, იმას ეშინოდა მამასი. ნახე ეხლა, ცხვირი როგორ შემოგამტვრიოო, – ეტყოდა და რო მოვიდოდა, აი, ასე ჩაკრავდა მუშტს და ხარს ცხვირიდან სისხლი წასკდებოდა ხოლმე. დედა მოვიდოდა და ეტყოდა:

– ადამიანო, ღმერთი არა გწამს?

– რო ვეძახი, რატო არ მოდის?

– ბავშვი ხო არ არის კაცო, ხარია!

– როგორ თუ ხარია, ყურები ამას უფრო დიდი არა აქვს ბავშვებზეო?!

ხოდა მიაჩერდებოდა ნიშა მამას, ესე იგი, მეტს აღარ ვიზამო. ჰმ, ჰმ, ღრმად ამოისუნთქებდა და ცრემლებს ჩამოყრიდა. მივიდოდა დედა და მოწმენდდა „ფართუკით“ (წინსაფარი).

– კარგი ნიშა, მეტად აღარ დაგარტყამს, არა, გაიგონე და წამოდი შე უღმერთო, რო გეძახისო! – ეტყოდა დედა. მერე ისწავლა ნიშამ და გაიგონებდა თუ არა მამაჩემის ძახილს, მოდიოდა. ხოდა ეგრე, ღამდება, გადადგით ფეხიო, დაუყვირა მამაჩემმა და გაიკრეს ხარებმა. წინ ხო ვუძეხი, ახალგაზრდები იყვნენ და თხრილის პირზე უნდა იარო, რომ ხარმა სწორედ დახნას, ხარი რას გაიგებს, სად უნდა დაბიჯოს. შუაში, რასაც უღელს ეძახიან, იმის პირდაპირ ხელი მეკიდა თასმაში და მივდიოდი თხრილის პირს, გადათხრილზე მივდიოდი და გადასათხრელზე კავი მოდიოდა. უცებ კავმა გაირბინა ფეხებთან და მამაჩემის წინ აღმოვჩნდი.

– რა გინდა გოგო აქ?

– მამა, – ვუთხარი, – ვეღარ გადავდგი ფეხი, რა გაყვირებს?

თანაც ისეთი კლდე იყო, ფეხი ისე ცურავდა! ხოდა ხარი გაგვექცა, გაოფლილი. მამაჩემი რას დაეწეოდა დაღმართში, ეზოს ქვემოთ მიწაა გადასარბენი და მდინარე ჩამოდის. წყალი დალია ხარმა. მამაჩემი ჩავიდა, ამორეკა და ამოვიდა თუ არა ხარი, გული გაუსკდა და მოკვდა, გაოფლილზე რომ დალია, იმიტომ. ხელათ გაიგეს ლომიძეებმა, ჩვენ უღელტეხილის კალთაზე ვართ, ისინი კი მაღლა არიან. დაინახეს რომ ვტრიალებთ ამ კალოზე, კალო მაღლაა. გორაკზე ავარდნილი ზეითა კალო და ის დაღმართი იყო ჩვენი მიწა, დიდი იყო ძალიან, 700 მეტრი მაინც იქნებოდა განში და დაღმართში 3 კილომეტრი. ხოდა, აი, იმ დაღმართიან მიწას ვამუშავებდით და მოდიოდა კარგი სიმინდი და კარგი პური. წესია ეგეთი, ერთ წელიწადს სიმინდს რომ დათესავ, მეორე წელიწადს პური უნდა დათესო, ნაწვერალი რო ჩალპეს და სიმინდს ჰქონდეს მეორე წელიწადს. ეგრე შვებოდნენ, ცვლიდნენ ხოლმე. ხოდა, დაინახეს ლომიძეებმა, ქალო, და დეეშვნენ „კარზინკებით“ და კალათებით. ჯერ სუნთქავს ხარი, სისხლი ამოაქცია პირიდან, სუნთქავს მომაკვდავი და მოიტანა ძმამ დანა.

– რა არი, ბიჭო, ეგ? – მამაჩემმა უთხრა,

– დაკალი გაბო, სანამ ცოცხალია! აბა, ხომ არ უნდა გააფუჭო ამოდენა ხორცი.

დიდი ხარი იყო ძალიან.

– ეხლა მოუსვი მაგ დანიანად აქედან! ჩემი ხარის ხორცს გაჭმევთ? მეტი არაფერი ჭამა თქვენმა კბილებმა!

გარეკა სუყველანი, დაელოდა სიკვდილს, იტირა, ჩავიდა მდინარის პირას და კლდეში გამოჭრა საფლავი, რომ ვინმეს არ ამოეთხარა. თოკით ჩაათრია ამხელა ხარი, გადაათრია წყალზე, შეასვენა შიგ, ჩამოაფარა ქვები და მიაყარა მიწა. წარმოგიდგენია? ჩვენც ვგლოვობდით, სახლში ვერ გაიცინებდა ვერავინ მთელი ორი თვე. დაგვრჩა ცალი ხარი. მერე ცალს ვთხოულობდით ხოლმე. კიდე გვქონდა ორი მიწა დასამუშავებელი და ხარში ფულს ვიხდიდით. მარა ის ხარი ისეთი საძაგელი იყო! ჩვენები კი ადამიანებივით იყვნენ. ხან აქეთ მიათრევდა თავს, ხან იქით, ვერც უჯავრდებოდა მამა, ვერც სცემდა, სხვისი იყო და ეშინოდა, ის რომ მოუკვდა, იმიტომ. იმის მერე გვქონდა ბავშვებს საქონლის სიყვარული. ისე ვეფერებოდით ხოლმე ძროხას! დედასაც უყვარდა საქონელი, ძროხასაც ესმოდა. დედა ავად იყო ერთხელ და დეიდაჩემი მოვიდა მოსაწველად.

გავიდა დედაჩემი ჯოხით და უთხრა: „ირემა, მე ვერა გწველი, ავადა ვარ, სხვა გწველის და წიხლი არ გაანძრიო, თორემ ვაი, შენი ტყავის ბრალი!“ იდგა დედაჩემი და მოწველა დეიდაჩემმა, მაგრამ რძე არ მისცა ბევრი, როცა ოთხ ლიტრს წველიდა ხოლმე დედა. ხელებში ძალა აღარ ჰქონდა დედას, სულ ავად იყო, თავადებში გაიზარდა და მუშა კაცის ხელში იყო. თავადებთან ძროხას მოსამსახურე ქალი წველიდა, თვითონ არ წველიდა, არც „ოტკას“ ხდიდა და მარტო „მაშინაზე“ თუ შეკერავდა რამეს და ჭადს გამოაცხობდა. ყველანაირი საჭმლის გაკეთება იცოდა, ნამცხვრის, ნაზუქის. წინათ ნაზუქი იცოდნენ, სხვა ნამცხვარი არ იყო, ნაზუქი თონეში ცხვებოდა. აქ რომ მოვიდა, ქათმებიო, წიწილებიო, ღორიო. ხოლოთ, ღელეს გაღმა გვქონდა წყარო და ჩაფი არ აუკიდია ზურგზე, წყალზე არ უშვებდა მამა. ჩვენ გვიშვებდა დოქებით, რო გავხდი 16 წლის, 16 ლიტრიანი ჩაფი იყო, და მითხრა – შენ უკვე ახალგაზრდა ქალი ხარ, მოიქნიე ეს ჩაფი, მოიკიდე და მოდი, გლეხის ქალი ხარ, გაანძრიე ხელები, დედაშენი ხომ არა ხარო. ჩაფი თიხისაა, ერთი ყური აქვს მხარზე მოსაკიდებლად, აქ (მხარზე) ნაჭერი გაქვს, მხარი რომ არ დაგისველდეს. მომქონდა ჩაფი, მაგრამ ვერ მოვდიოდი ბოლომდე. წყაროსკენ გზა ცალფეხა ხიდზე გადიოდა. მერე ღელის ხიდზე უნდა გადმოსულიყავი და ამოსულიყავი, მიწის კიბე იყო ამოთხრილი. აბა ტალახში იქ ამოსვლა შეიძლებოდა? ძალიან მიჭირდა, ჩაფს მოვიხსნიდი ხოლმე და დავდგამდი, მერე ისევ ავიბეჭებდი ჩაფს, კიდე ავიტანდი, დიდი ცაცხვები იდგა, იქ ჩამოვჯდებოდი და დავისვენებდი ხოლმე. დიდი გაჭირვება მაქვს გამოვლილი, იმიტომ არ გავიზარდე მაღალი, თორემ ორივე ჩემი ძმა მაღალი მყავდა. უფროსი ძმა კი საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი და ბეჭებგანიერი კაცი იყო. მამაჩემთან ზაფხულში „ჩულქებში“ ვიწვებოდით სიცხით. მამა რომ მორიგე იყო, დღე ჩავიწევდით ხოლმე „ჩულქებს“ დაბლა და დედა გვიყვიროდა: „მამაშენი მოდის, ამოიწიე „ჩულქები!“ ერთ დღეს „ჩულქები“ გახდილი მაქ და ვიფარებ დედას „ფართუკს“, მამა არ უნდა მოსულიყო და რატომღაც უკან დაბრუნდა. „პილნატი გამოვიდა სამუშაოდო“ და მორიგეობა შეეცვალა, წავიდა ღამის სამორიგეოდ და უკან მოვიდა. ცხრის ნახევარია და დაბრუნდა. ასეთი წესი იყო, კაცი მთელი დღე რომ იმუშავებდა, მერე ფეხი უნდა დაებანა. მიწაზე მუშაობდნენ და დედაჩემი არ დააწვენდა ფეხდაუბანელს, ძალიან სუფთა ქალი იყო, თავადებთან გაზრდილი. თორე აი, ხო ნახე სურათში, როგორი ქალია თოთხმეტ წელში, თოთხმეტ წელში სოფელში სად იყო ასეთი ქალი?! დიდი გულისპირით და მედალიონით. მივედი და ფართუკი ჩამოვიფარე წინ, მიხვდა მამაჩემი, რატოც ჩამოვიფარე, ჩავასხი წყალი და ფეხებს ვბან, გაკრა ფართუკს ხელი.

– ჯერ შენ ფეხებს მოუარე და მერე მე დამბანე ფეხებიო.

მე ვუთხარი: – მამა, შენ წახვედი და თანაც ვიძინებდით ეხლა, მაპატიე-მეთქი.

– მეორედ არ დაგინახო, ლოგინთან რო მიხვალ, მაშინ უნდა გაიხადო ფეხზე, დაიბანე და დაწექიო.

ვუთხარი, დავიბანე და აღარ ჩავიცვი-მეთქი.

განა მართლა დავიბანე! გახდილი მქონდა და დავტანტალებდი. მერე ველარც ფეხი დავიბანე და ვერაფერი, დედამაც ხმა ვერ ამოიღო, ძალიან მკაცრი

კაცი იყო, გერმანელებში ნამსახურები აბა რა იქნებოდა! იმხელა ეზოში ქაღალდის პატარა ნაგლეჯი არ შეიძლებოდა გდებულიყო, ჩვენი ეზოს ფართობი სამასი მეტრო იყო მგონი ორას მეტროზე. ღობის ძირებში ჩამოივლიდა ხოლმე ჯოხზე წამოცმული ლურსმნით. გარედან ქარის შემოტანილ ფოთოლსა თუ ქაღალდს სულ მოასუფთავებდა. მანამდე დედაჩემი დაგვიდა იქაურობას, სახლის წინ. თუ რამე გვქონდა ისეთი, რაც დაიგვებოდა, დედაჩემი გადაგვიდა. დანარჩენი კოინდარი იყო. სახლში ხომ სისუფთავე უნდა ყოფილიყო, აბა როგორ! სარკე რომ სარკეა, მახსოვს, აიღებდა მამა ხელში სარკეს და... ამოწმებდა (იღებს ხელში ჟურნალს და ირიბად უყურებს), მტვერი ხომ არ ადევსო.

– რა გამიწყალე გული, – ეტყოდა დედაჩემი – ამდენი პატარა ბავშვი მყავს, სარკეები მისინჯე ეხლაო.

– ქალო, თუ ვერ ერევი, თქვი და მე მოგეხმარები, ხო არ გეუბნები, შენ გაწმინდე-მეთქი, თქვი, რომ სარკე გასაწმენდია და გავწმენდო.

მართლაც გაწმენდდა. ძალიან პატივს სცემდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით მამაჩემი. ჯერ ცეცხლს დაუნთებდა მამაჩემი, მერე დაუდგამდა ჩაის, ხოდა რო გათბებეოდა სახლი კარგად, „ადექი, ადამიანოო“. „ადამიანოს“ ეძახდნენ ერთმანეთს. აბა! პარტიული კაცი იყო და სალოცავში უშვებდა, იმდენად სცემდა დედას პატივს. მეო, – დედაჩემმა უთხრა, – სალოცავს თავს ვერ დავანებებო. არავის უთხრა, რომ მე ვიციო, – ეტყოდა მამა.

დედაც სთხოვდა ქალებს, კოლექტივის ქალები რომ დადიოდნენ: გაბომ არ გაიგოს, თქვენი ჭირიმეთ... უნდა წავიდე, თორემ მერე აღარ გამომიშვებსო...

პირჯვარს მამაჩემიც იწერდა, ვხედავდით, როგორ გადაიწერდა ხოლმე პირჯვარს, იესო ქრისტეს შესთხოვდა დღევანდელ დღეს, ნახევარ ჭიქა არაყს გადაჰკრავდა, მოიტეხავდა მჭადს და გავიდოდა გარეთ. თან მოიხედავდა, ხომ არავინ დამინახაო. ყველანი საბანს ვიფარებდით, ვიცოდით, რომ უკან მოიხედავდა. დედას არა და ჩვენ კი გვიმალავდა.

1928 წელს თოთხმეტი წლის გოგონა ვიყავი, კომკავშირელიც ვიყავი. ვსწავლობდი შვიდწლედში. 28 წელს საბჭოები ჯერ არ იყო არჩეული, რევკომის მდივნები ისხდნენ ჯერ კიდევ. გაჭირვებულ გლეხებს ძალიან უჭირდათ და ვერ ეხმარებოდნენ. ზოგს სახლი ჩამოენგრა, ზოგს ხარი მოუკვდა, კომუნისტები ხომ უნდა დახმარებოდნენ?! დაგვიძახებდნენ, ორი „მეშოკის სუმკა“ იყო შეკერილი და აი, ასეთი (10 სმ სიგანის) ლენტა იყო. ვჯდებოდით ღამე და 300-400 ცალ ქინძისთავს ვუყრიდით შიგ. მერე აი ასეთ (დაახლოებით 5 სმ სიგრძის, ოთხ-კუთხედის ფორმისა) პატარა ქაღალდებად ნაწილდებოდა ზედ დარტყმული მრგვალი „ფეჩატით“ – ხაშურის რაიონის რევკომი. დავდიოდით ორნი, ჩამოვიდოდით თბილისში მოსკოვის სახალხო მატარებლით, ყველაზე მდიდარი ხალხი იქ იყო. ერთ-ერთს დაპლომბილი ყუთი ჰქონდა გადაკიდებული, რომელი მოვიპარავდით, მაგრამ, პლომბი მაინც იყო დადებული წერილით. მივიდოდი თითოეულ მგზავრთან, მოვკიდებდი ხელს საყელოსთან, თუ გალსტუკი ჰქონდა გაკეთებული, ან თუ კოსტუმი ეცვა და ამ პატარა ქაღალდს ჩემი ქინძისთავით მივაბნევდი. ერთი სიტყვა უნდა მეთქვა – „დაეხმარეთ“ და დამებნია ეს ქაღალდი. „პამაგიწე“, ვეუბნებოდით, მეტი არაფერი, და დავაბნევდით. ხმას ვერ იღებდა ვერც ქალი, ვერც კაცი. ჩაიყოფდნენ ჯიბეში ხელს და ზოგი მანეთიანს ჩააგდებდა, ზოგი – ორშაურიანს,

ზოგი – სამშაურიანს და მთელ მატარებელს შემოვივლიდით ასე. ვისაც გავუკეთებდით, ყველა იხდიდა. კუპეში 8-8 კაცი იყო, და რაც დავდიოდი, არ ყოფილა შემთხვევა, რომ არ გადაეხადა ვინმეს. მაღლა რო იწვნენ, ისინი, დაგვიბნიეთო, – გვეხვეწებოდნენ და გვიგდებდნენ ფულს. იმ დაბნეულ ქაღალდებს არაფერში იყენებდნენ, შეეძლოთ გადაეგდოთ, მაგრამ ამაყობდნენ, რომ ხელისუფლებას დაეხმარნენ. თანაც ვისაც დაბნეული ჰქონდა, იმას აღარ მოსთხოვდნენ, სულ იმ ქაღალდებით ისხდნენ. მერე ვბრუნდებოდით ბათუმის მატარებლით, ხაშურში ჩადიოდა საღამოს რვის ნახევარზე. მეორე დილას გამოვცხადდებოდით რევკომში და გახსნიდა ამ ტომარას რევკომის მოადგილე, მდივანი და ერთი მუშა და ერთიც გლეხი. ვინმე მუშისთვის უნდა დაეძახათ, გინდა რკინიგზელი ყოფილიყო, გინდა „ნასილშჩიკი“ (ბარგის დამტარებელი), შპალებს რომ ცვლის, და ერთიც გლეხი უნდა ყოფილიყო, ვისაც ცოტა რამე ესმოდა, და ისინი ითვლიდნენ ამ ფულს. რევკომი იჯდა თავისთვის. ხურდა უფრო მეტი იყო და რომ შესრულდებოდა 100 მანეთი, დაუდებდნენ წინ. მერე მიჰქონდათ იმ „სუმკით“ და ცვლიდნენ „სბერკასაში“ (შემნახველ სალაროში), ხაშურში. ქაღალდის ფული მოჰქონდათ და ყავარს ყიდულობდნენ, ვისაც ხარი არ ჰყავდა, იმისთვის ხარს ყიდულობდნენ; გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ.

მერე, 29-30 წლებში, უკვე მერვე კლასში ვიყავი, კომკავშირელებმა შემოვიღეთ ვახშმიანი საღამო. ვაკეთებდით ხაჭაპურებს, მიგვქონდა სახლიდან ღვინო, ყველას, ვის რა შეგვეძლო, რომ ფულით არ გვეყიდა. ქვიშხეთში, რევკომის წინ, იმ ზუმბათოვის ეზოა ზუსტად მაღალზე და წინ გაშლილ ადგილზე ძველებურადვე დგას ის ცისფერი „სტოლები“, მაგიდებს გავშლიდით იქ. შემოსასვლელ კარებში იდგა ორი კომკავშირელი და ყიდდა ბილეთებს. ბილეთები ღირდა აბაზ-უზალთუნი, ეს უდრის 30 თეთრს. ზოგი გვაძლევდა მანეთს, ზოგი – ორ აბაზს. ზოგი კი ხუთ უზალთუნიანს. უზალთუნი ათ თეთრს ნიშნავდა. გლეხებიც ასე ვეძახდით და ვაჭრობაშიც ასე იყო. ებრაელი რომ მოდიოდა და ყიდდა ჩითს, ამბობდა, მანეთი და ერთი უზალთუნიო, ე.ი. მანეთი და 10 თეთრი ღირდა. ხოდა, იმ ფულსაც ვაბარებდით, ვეხმარებოდით რევკომს. ვინც იყიდდა, მაგიდასთან დავსვამდით, პურს ჭამდა, ღვინოს დალევდა, შეყვარებულები მოდიოდნენ. ერთ-ერთ ვახშმიან საღამოზე აი რა მოხდა! დედისერთა კოლია ღონღაძეს უყვარდა სირაძის გოგონა. ამ ღონღაძის მამა მდიდარი მეფუტკრე იყო. სირაძის გოგო კი – ობოლი. მამა არა ჰყავდა და არ უნდოდათ ღონღაძეებს, მარტო ქალი რად გვინდაო. წინათ, ხომ იცი, მზითვებს რომ უკეთებდნენ გასათხოვარ ქალებს. ბიჭს გაეგო, რომ დედა ათხოვებდა გოგოს და ამ ვახშამზე ჰკითხა, მართალიაო? – რა ვქნა, ვალიკო, შენ არ მიგყევარ, თქვენებს არ ვუნდივარ, ჩვენთან რომ წამოხვიდე, დედაჩემმა რა უნდა გაჭამოს, არც თქვენები გამოგიშვებენ, დედისერთა ხარ. ჩემი ბრალი არ არისო. – მაშინ გავიაროთო, – ბიჭმა. ზუმბათოვების დაბლა ხეივანია, ღონღაძეებისკენ მიდის, იქ შეიყვანა გოგო და მოკლა დანით. დანა, იქვე მდინარე რომ ჩამოდის, ბეღლეთულას ეძახიან, იქ გადააგდო. ისე, რომ ვერავინ იპოვა... გოგო ნახეს მკვდარი. ბიჭი კი პატიმრობას გადაურჩა. დედ-მამამ თქვა: მოვიდა ბიჭი ჩვეულებრივად და თქვა, გამომაცილა აქამდე, მერე მე მინდოდა სახლამდე გამეცილებინა, მაგრამ მითხრა, დანიშნული ვარ და ვინმე დაგვინახავსო. აი, პოლიტიკა! ვერ დაუმტკიცეს ვალიკოს. ისე კი დაბერდა, რომ ცოლი არ შეირთო, გაუბედურდა მისი დედ-მამაც, მოხუცდა და ასე გაუბედურებული გარდაიცვალა.

იმ ზუმბათოვებს კი, წელან რომ ვახსენებდი, იცი, რა გადახდათ? თავადმა 1921 წელს, კომუნისტების შემოსვლამდე, გლეხები დაიბარა კალოზე ხორბლის გასალეწად. მაღლიდან უყურებდა და ჩქარა-ჩქარაო, – უძახდა. ჩქარა უნდა ერბენინებინათ ხარები, ნელა კი არ უშვებდა, რომ ევლოთ. ძალიან ძაღლი კაცი იყო, ღმერთო მაპატიე, და ალალი იყო იმაზე სიკვდილი. ხოდა მოკვდა ერთი ხარი კალოზე. რომელი გლეხიც იყო წინ, ცოლი მოაყვანინა და შეაბმევინა უღელში. ორი „კრუგი“ გააკეთა იმ ქალმა კევრზე, დაეცა და სული განუტევა. დაასაფლავა ქმარმა და ხმას ხომ ვერ ამოიღებდა, ხომ ვერ უჩივლებდა? რა უნდა ექნა, თავადი იყო და აბა, რას ეტყოდა. ზუმბათოვს სახლში ჰყავდა ორი ბიჭი – ერთი 17-ის და მეორე – 7 წლისა. გოგო, ეკატერინე, ლენინგრადში სწავლობდა. უფროსი ბიჭი გაგზავნილი ჰყავდა „არმიაში“. ზუმბათოვი იმიტომ იყო, თორემ ისე სუმბათაშვილები იყვნენ – რაკი არმიაში ზუმბათოვად დაწერეს ბიჭი, თითონაც ზუმბათოვი დაირქვა. ველარც ვამბობდით სუმბათაშვილს. მაშინ, სანამ ესენი შემოვიდოდნენ, სოციალისტები ტყეში იყვნენ გავარდნილი. იმ ბოლშევიკებიდან ზოგი დეპოს მუშა იყო, ზოგი გლეხი. ნემსაძეები იყვნენ ძმები, თავს დაესხნენ ღამე და ხანჯლებით აკუწეს მთელი ოჯახი: ზუმბათოვი, მისი ცოლი, მათი ბიჭი და მოსამსახურე გოგო, მოსამსახურე ბიჭიც, მიეშველნენ და იმიტომ. 7 წლის ბიჭი „კრაოტის“ (საწოლის) ქვეშ დაიმალა. მერე ისიც სამხედრო მეთაური გამოვიდა. კომუნისტებმა მიიღეს პარტიაში. კატუშას დამთავრებული ჰქონდა მონასტერი, რუსული იცოდა, კიდე სწავლობდა, კულტურას თუ რაღაცას. თავადმა მუხრან-ბატონმა მისცა დეპეშა, გლეხმა ხომ არ იცოდა მისამართი. „მამათქვენი ცუდად მოექცა გლეხებს, ამოხოცეს და მოხედეთო“. კატუშა ლენინგრადში სოციალისტებთან იყო. ჩამოვიდა, თბილისში მონახა ერთი პატარა კორდი მტკვრის პირას, ამაღლებულ ადგილზე, დაასაფლავა იქ დედა, მამა, ძმა და იმ დღიდანვე საძირკველი ჩაუყარა და ააშენა ბარბარეს ეკლესია. ქვიშხეთის ეკლესია ბარბარეს სახელობისა იყო და იმიტომ. იქ ვერ დაასაფლავა, რადგან უთხრეს, ამას ისეთი რამე ჩაუდენია, აქ რომ დამარხო, ამოყრიანო. ხოდა მოიპარა, კაციშვილმა არ იცოდა, ისე დაასაფლავა. იმის დასხმული ასფალტი ეკლესიაში ეხლაც არის, ბარბარეში თუ შევა ვინმე და დაუკვირდება, შუაში რომ დგას ქრისტეს ხატი, რომელსაც უნდა ემთხვიო, იქ არის იმ თავადის საფლავი. იქით მხარეს ცოლი და მეორე მხარეს შვილი მარხია. ააშენა და შემოღობა ერთი მეტრო სიგანის გალავანით. ისეთი შესასვლელი ჰქონდა, რო გაადიდეს ეკლესია, ააფეთქეს და საძირკველი მაინც ვერ გატეხეს. გალავანი მტკვრის მხრიდანაც შემოვლებული ჰქონდა და შესასვლელი კარები იყო რკინის ჯაჭვით დაკეტილი. ჰყავდა დარაჯი. რადგან კიდევ ეშინოდა იმ ეკლესიის აფეთქებისა. თავდაპირველად შიგ ასაფლავებდნენ თუ ვინმე აზნაური იყო, ან თავადი. მერე კატუშამ თქვა, კარები გააღეთო, და ყველა იმარხებოდა, გაივსო ის გალავანი, მეტროზე რო იყო ჩასხმული და დაანგრიეს. აგური ეკლესიისა იყო, ხომ არვინ წაიღებდა, ეკლესიასთან დაყარეს და ხალხმა საფლავებისთვის მოიხმარა.

ჩემ სოფელში, ბეღლეთშიც არის ასეთი კორდი, სიმაღლე დაახლოებით კილომეტრნახევარი იქნება, მუხებით იყო გარშემორტყმული. ფერდები ისეთი ჰქონდა, საქონელი ვერ ადიოდა ისე მაღლა. რაკი საქონელი ვერ ადიოდა, ხალხმა დაიწყო იქ თავისი მკვდრების ატანა და დასაფლავება.

მერე კოლა მთიულიშვილმა უთხრა, ვაკე ადგილს ხელი არ ახლოთო და ააშენა იქ ეკლესია თავისი დანაზოგებით. იქამდე ხალხს არა ჰქონდა სალოცავი და დავდიოდით ქვიშხეთში, ბარბარეში. ძალიან პატარაა, სიგანეში 4-5 კაცი დაეტევა. სიგრძეში კარგა ბლომად არის. ტრაპეზი ხო უნდა ჰქონდეს, მღვდელი საიდანაც გამოდის. ზარი დაკიდა მღვდელმა, ძალიან დიდი ზარი, რო რეკავდა, ქვიშხეთში გადიოდა ხმა. კოლა მოდიოდა, სწირავდა, მარტო მკვდრებს აზიარებდა... ეს ეკლესია შერჩა იმისი აშენებული. თავიდან უთქვამს, რატო უნდა ავაშენო ქვიშხეთში, დიდი სოფელია, არ ინდომესო და მაშინ გლეხებმა უთხრეს, ჩვენ ავზიდავთო. იმხელა ქვებია ატანილი ზურგით! რო ააშენა, 1916-17 წელი იყო, ჩვენ 2 წლის მონათლულები ვიყავით. შემოვიდნენ კომუნისტები და ეცნენ, დაადეს კლიტე. ეს 27-28 წელს მოხდა. მივიდა რაიკომში კოლა მღვდელი, – გახსენით ეკლესია, ჩემს სალოცავს გავიტან იქით, ხატი არაფერს გიშლით, ეკიდოს. მოიტანონ გლეხებმა სკამები და წერა-კითხვის უცოდინართა სკოლა გახსენით, თუ მასწავლებელი არ არის, მე ვიქნები მასწავლებელიო. ერთხანს კოლა ასწავლიდა, მერე გაუჭირდა ქვიშხეთიდან სიარული, კაი ხნის კაცი იყო, სტალინის დროს ჰქონდა სემინარია დამთავრებული. მერე უთხრა კომუნისტებს: თუ არ დამანებებთ თავს, პირდაპირ სოსოს მივწერო. თანაკურსელი იყო სტალინისა. მეორე იყო კაპანაძე, ის ბაქოში სოციალისტების თანამებრძოლი იყო და ხაშურის დეპოში ჰყავდა გამოგზავნილი აგიტაციისათვის. მამაჩემიც იქ მიიღო პარტიაში კაპანაძემ. ის მთიულიშვილი კი პირდაპირ გორის სემინარიიდან იყო, სადაც სტალინი სწავლობდა წელიწადნახევარი და საიდანაც იმიტომ გარიცხეს, რომ სახლში სოციალისტების დიდი წიგნი აღმოუჩინეს. ეს მღვდლად არ გამოდგებაო, – წაართვეს მთელი წიგნები და გააფრთხილეს. დაწერა განცხადება, მომეცით ჩემი წიგნები და მივდივარ სემინარიიდანო. 17 წელს, როცა კოლა მღვდელი ეკლესიას აშენებდა, იცოდა, რომ აქაც მოვიდოდნენ. ჩვენ ხომ ნათლულები ვიყავით იმისი, მთელი „სეკრეტები“ იცოდა მამაჩემმა. მოდიოდა და გვიყვებოდა. რანაირი ცოდვა უნდა ვთქვა, საზიაროდ რომ მიჰყავს დედას ბავშვები, ხომ უზმო უნდა იყვნენ, კოლა მღვდელი კი ეუბნებოდა დედაჩემს: სტეფანოვნა, ბავშვებს აჭამე საჭმელი, ბელლეთელების ბავშვებს რომ შიათ, იქ ძირტკბილას ჭამენ და სულ კბილებში აქვთ, რომ ვაზიარებ, აჭამე საჭმელი, ბავშვებს ეპატიებათო. მამაჩემი სახლში ჩუმად პირჯვარს იწერდა, მაგრამ ჩვენ არ გვანახებდა. რამდენჯერ დამინახია, – იესო-ქრისტე, მაცხოვარო, – სამჯერ გადაიწერდა პირჯვარს, – შენ მომიმართე ხელი ყოველგვარ საქმიანობაშიო, გადაჰკრავდა „ოტკას“, მოიტეხავდა ჭადის ნაჭერს და წავიდოდა სამსახურში. დედაჩემი იძახდა მერე, კარგად იწერს ჩუმად პირჯვარსო! ვეუბნებოდი, არავის უთხრა, თორემ გამორიცხავენ და მოკვდება ჯავრით-მეთქი. ხოდა მოგვნათლა მე და ჩემი ძმა კოლა მღვდელმა, სახელებიც იმან დაგვარქვა. ახალწელს მოჰქონდა ფოჩიანი კამფეტები „იოლკაზე“ (ნაძვის ხეზე) დასაკიდად. „იოლკაზე“ სულ საჭმელები ეკიდა, სად იყო მაშინ მოსართავები.

სხვათა შორის, ქვიშხეთის ეკლესიის მწირავიც იყო. დღეს ქვიშხეთს ბარბარეს ეკლესია აღარა აქვს, კომუნისტების დროს დანგრეულა მიწისძვრისაგან და დღემდე აღუდგენელია. ჩვენი ეკლესიაც ძალიან გაპარტახებული იყო, სანამ ჩემი ძმა კიბეს გააკეთებდა. მამაჩემის მამის ძმა რომ მომიკვდა, იმათმა განაყარის შვილებმა, მხატვრები არიან ორივე, აღადგინეს ეკლესია. მოუხატიათ

და დაუწერიათ: „ეკლესია ესა აღვადგინეთ 2003 წლის ზაფხულში, მე, გელაშვილმა ვარლამმა, „ბარადამ“ (ზედმეტი სახელი მიუწერია, წვერს ატარებდა) და ანანიაშვილმა ვერამ“.

მახსოვს, 30 თუ 31 წელს სტალინის სტუმრობა. კომკავშირლები წაგვიყვანეს და პიონერებიც. ყველანი იქ ვიდეგით და ვმღეროდით „ვარდს გაეფურჩქნა კოკორს“. ვინ დაგვიგდო ყური! ჩამოდგა მატარებელი, ჩამოვიდა სტალინი, მიიხედ-მოიხედა, უკან დაცვას ხელით ანიშნა, ადით ვაგონში სულ ყველაო. მერე ის მუდმივი დამცველი რო ჰყავდა რუსი, გვარი არ მახსოვს, ფედორენკო თუ ვინ იყო, იმან უთხრა: მოფარებით წამოდით, ჩვენ ერთი ქუჩით წავალთ და თქვენ მეორე ქუჩით წამოგვყევითო. პირველად ბაქოს თანამებრძოლთან მივიდა, იმიტომ რომ მთიულიშვილი ეკლესიასთან ცხოვრობდა, ზევით, საჯვარეზე, შორს იყო. იქამდე პეტრესთან ჰქონდა მიწერ-მოწერა, – როგორა ხარო – ეკითხებოდა, – როგორა ვარ და ვცხოვრობ ქოხში, იმდენი ფული ვერ ვიშოვე, რომ მეორე სართული დავადგა და დავისვენოო. იმიტომ კი არ შესჩივლა, ფულს გამომიგზავნისო. – კაცო, ხელფასს ავიღებ და გამოგიგზავნი, დაადგი მეორე სართულიო. რომ მივიდა, „პეტრუშკა!“ – დაუძახა, როგორც ბაქოში ეძახდა. საწყალი გამოვიდა, გააღო ეზოს კარები, „სოსელოო“, მეტი ვერაფერი თქვა და გაიშოტა დაბლა. – ბორჯომში მივდივარ დასასვენებლად და თან ვნახე, იმ ჩემი ფულით სახლი ააშენე თუ არაო. მერე მთიულიშვილთან მივიდა და ისიც ნახა. ჩვენ სადგურს არ მოგვაშორეს, სანამ არ მოვიდა და არ ჩაჯდა მატარებელში. დილის ათის ნახევრიდან ხუთ საათამდე ვიდექით მშიერი ბავშვები, ცალფეხმოშვებულები. წყლის დასალევადაც არ გაგვიშვეს. ბოლოს, რომ წამოვიდა, ისევ მეორე ქუჩით წამოყვნენ ბიჭები, ძალიან შორს, რომ ვერ დაენახა. ის ჭალის ქუჩით ამოვიდა, ესენი კი – გამარჯვების ქუჩით და ისეთნაირად, რომ სანამ ის ამოვიდოდა ჭალის ქუჩიდან, ესენი უკვე მატარებელში შევიდნენ სუყველა. ხოდა მოვიდა თავისი დამცველით, სამი კაცი ახლდა, ერთი მთარგმნელი იყო, იმათაც ხო უნდა გაეგონათ, რაზე ლაპარაკობდნენ. თვითონ უთხრა – „ტელახრანიწელმა“ (მცველმა) უნდა იცოდეს, მე აქ რაზე ვლაპარაკობო. აი, ასეთი კაცი იყო. დაიძრა მატარებელი და დავიძარით ჩვენც, დაოსებული ვიყავით შიმშილით. ორი კვირა იყო ბორჯომში. იმ ორ კვირაში ვინც ისვენებდა იქ, ყველასთან ძმაკაცივით იყო. – ისეთი სიამოვნება ვნახე, ველაპარაკე აქაურ გლეხებს, მუშებს, ძლიან გაჭირვებულად ცხოვრობს ხალხი საქართველოში და მიმალავენ, არ მეუბნებიანო. მეტყევე ისვენებდა ერთი. უთხრა, ხელფასი 20 მანეთი რომ ჰქონდა და 40 კილომეტრს რომ დადიოდა დღეში ტყის გარშემო. დაურეკა რაიკომს და უთხრა, 80 მანეთი მიეცით ამ კაცს და ტანსაცმელი მიეცით სპეციალური, რეზინისა, შემოხეული რომ დადის ჩირგვებშიო. საშინაო ტანსაცმელიც მისცეს და საგარეოც. 8 თუმანიც მისცეს. მერე ის კაცი რადიოში გამოვიდა და მადლობა თქვა. მერე მჟავე წყლების ჩამომსხმელი მუშა ნახა.

– რამდენი მანეთი გაქვს ხელფასიო?

– 17-18 მანეთი, რამდენ ბოთლს ჩამოვასხამ, იმაზეა დამოკიდებულიო.

– რამდენს გაძლევენ თითო ბოთლზეო?

– 5 კაპიკსაო.

– როგორ თუ 5 კაპიკს, „სტანოკს“ ხელით ამუშავებ და 5 კაპიკი უნდაო?!

ჩემს დას რომ ქმარი მოუკვდა, მაშინ იქა მუშაობდა. გაუდიდეს ხელფასები, თითო ჩამომსხმელი 75 მანეთს იღებდა და უფლება ჰქონდა, სახლში რომ წავიდოდა, 5 ბოთლი ბორჯომი წაეღო. ყოველდღე 5 ბორჯომი მოჰქონდა ჩემს სიძეს. მერე ცოლი წაიყვანა, ისიც იქა მუშაობდა. მასწავლებელი ქალი იყო და იმან უთხრა სტალინს, ქართული ენა იკარგებაო. მერე ნელ-ნელა უფლება დაგვრთეს, კრებები ჩაგვეტარებინა ქართულად. მანამდე რუსულად მიდიოდა კრებები. ქარხნებში, სამკერვალოში, „პარავოზნი“ დეპოში გამოვიდოდა რუსი, ილაპარაკებდა რის შესახებ იყო კრება, მერე იგივეს ილაპარაკებდა ქართველი, პარტკომის მდივანი. პარტკომის მდივანი რუსი არ იყო, ქართველი იყო, ხოდა ორ ენაზე იყო კრება. მერე, რკინიგზის გარდა, ყველგან ქართულად ტარდებოდა კრება, აღარსად აღარ იყო კრება რუსულად. მხოლოდ ტრანსპორტს შემორჩა. უკვე ქალიშვილი ვიყავი მეც, რუსულად რომ ვლაპარაკობდი. ჩადიხართ-თქო, კი არ ვამბობდი, „ნა პასლედნი, ვი ვიხოდიტე?“ რა იყო, უთხარი რა შენს ენაზე, ქართველი ქალი არ არის! „და, და“ – ისიც მეტყოდა. ჯანდაბა ორივეს! რა იყო ეს!

საშუალო ხაშურში დავამთავრე 1930-ში. 34-ში დავამთავრე ვაჟთა გიმნაზიაში ტექნიკუმი, უნივერმაღის მერე იყო ვაჟთა გიმნაზია, ეხლა რომ გააახლეს აღმართზე, აი, იმ გიმნაზიაში. რო დაიწვა იცი, როგორ ვიტირე! წინათ ტეხნიკუმში შესვლა ასე იყო: გამოცდები არ უნდოდა, ცნობა უნდა მიგეტანა, რომ ხარ მუშის ან გლეხის შვილი და იმათი სურვილი იყო, რომელ დარგზე მიგიღებდნენ. გოგოებს ყველას მკერაობა უნდოდა რატომღაც და გაიხსნა სამკერვალო მექანიკური ტექნიკუმი, მოსკოვმა გახსნა. გახსნეს ასეთი განხრებით: იყო სამკერვალო მექანიკური, იყო კერამიკული, იყო ტყავის ხელოვნების განხრით. რო დაკლავდნენ საქონელს, იმას ხომ უნდოდა მოვლა. მოსკოვში იგზავნებოდა ტყავები. მერე იქიდან ჩვენი ხარების დამარილებულ ტყავს ისევ ვყიდულობდით. ჩვენებმა მოინდომეს, რომ ის ტყავები აქ დარჩენილიყო, ხოდა გადაწყვიტეს აქ გაეხსნათ „ბოინი“ (სასაკლაო). არც „ბოინი“ იყო იქამდე, ჩემ დროს გაიხსნა ხორცკომბინატი. დაიწყეს დაკვლა. მესამე კურსზე რომ გადავიდნენ ბიჭები, უკვე „ბიონიც“ გაიხსნა, პრაქტიკაზე დადიოდნენ იქ. ეს ომამდე იყო. მე ტექნიკუმში 32 წელს შევედი, 34-ში უკვე პრაქტიკაზე ვიყავი მოსკოვში. სამკერვალო მექანიკურში ქალებში აღარ მოვხვდი და 5 ქალი ჩაგვრიცხეს ბიჭებში. მამაჩემს უნდოდა, მემანქანე გამოვსულიყავი, ვაჟკაცური ხელობააო. საშაზე იძახდა, სუსტი ბიჭიაო. ნიკო ჯერ პატარააო, ხოდა შენ ვაჟკაცური გოგო ხარ და მემანქანე გამოდიო. მეც მინდოდა ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩაბარება. ის ამზადებდა ორთქლმავლის მემანქანეებს, ინჟინერ-მშენებლებს, დამპროექტებლებს. მაგრამ ვერ ჩავაბარე, იმიტომ რომ შეივსო მისაღები ადგილები და ქალები გარეთ დატოვეს. გულდაწყვეტილი რომ არ ვყოფილიყავი, შევედი მექანიკურზე. სულ ხუთებზე მაქვს დამთავრებული. პრაქტიკა სად უნდა გაგვევლო? ჩვენი ქარხანა შენდებოდა ჯერ და გაგვაგზავნეს მოსკოვში. 10 ბიჭი იყო, სულ რჩეულები: ზესტაფონელი გონცაძე, ჭიათურელი კაკო კანთელაძე, ხონელი ერისთავი გიგა, შორაპნელი ამაშუკელი... 5 ქალი: თამარა ამაშუკელი, შუქრიშვილი ბელა, მე, თამარა ქაჯაია და ქეთო. წავედით 15 ადამიანი. იქ დაგვხვდნენ, თორემ ჩვენ მოსკოვის რა ვიცოდით, „ხიბუები“ ვართ. მე იმხელა კარზინკა წავიღე, რაც სათამაშოები მქონდა, სულ წავიღე. ბიჭები ძლივს ათრევდნენ, რა გაქვს, მარო, ამისთანაო. დაგვხვდა იქ მანქანა, „გრუზავიკი“,

რა თქმა უნდა, და მიგვიყვანეს „ინჟინერნი კრასნი გარადოკში“ (ინჟინრების წითელი დასახლება). ერთსართულიანი ბარაკები იყო, ორპირი „სტეკლოებით“ (შუშებით), მთელი ღამე შიგ სინათლე უნდა ყოფილიყო ანთებული. მთელი ღამე დადიოდა გარედან ყარაული „კრუგზე“. ბიჭებს უყურებდა, რომ კარტი არ ეთამაშათ ან გოგო არ შეეყვანათ. გოგოებს სულ ითვლიდა, სად ვიწექით. ხოდა შეგვიყვანეს პრაქტიკაზე ქარხანაში, 2 კვირა ვიყავით. უნდა ვყოფილიყავით 3 თვე. რუსული არ იცოდა არავინ და ვერაფერი ვერ გაგვაგებინეს. ცეხის უფროსი ამბობდა: „ნიკტო ნიჩერტა ნე პანიმაეტ, კაკ ია ბუდუ აბესნიაც“ (არავის არაფერი ესმის, როგორ ავუხსნა), ქართული მე არ ვიციო. მერე იძულებულები გავხდით, ვინც ცოტა ვიცოდით, დავყვებოდით თან ამ უცოდინარ ბიჭებს და რომ უხსნიდნენ, ვეუბნებოდით ქართულად. გამოუგზავნიათ დეპეშა: „შეუძლებელი გახდა პრაქტიკის გავლა, ვინაიდან უმრავლესობამ არ იცის რუსული“. გამოგვიშვეს ისევე, როგორც აქედან წავედით, უფასოდ. გზაში ძალიან კარგი დრო გავატარეთ. ახლანდელი ჩეჩნეთი როა, იქ რომ გავიარეთ, სულ საზამთროებში მიდიოდა მატარებელი. რო გაჩერდებოდა, ჩახტებოდნენ ბიჭები და ამოჰქონდათ. არავინ უშლიდა, პირიქით, ეუბნებოდნენ, – აი, ეს გრძელი მოწყვიტეთ, გემრიელიაო. ძალიან აფასებდნენ ქართველებს. მერე გავიარეთ ინგუშეთი, იქ ვნახე პირველად მოხარშული და შემწვარი რძე. ყვიროდნენ „ჟარენნოე მალაკო. ვარიონნოე მალაკო“. პლიტაში იყო შემწვარი. ჭამის პირი არ მოშორდებოდა... მანამ იდგა პლიტაში, სანამ არ დაიბრაწებოდა. აი, (თითებით აჩვენებს დაახლოვებით 2-3 სმ სიმაღლეს) ამდენი რჩებოდა ლიტრა რძისაგან. ვიყიდიდით იმას, დედა რა გემრიელი იყო! დედაჩემს რომ ვუთხარი, გაუკვირდა. არავინ იცოდა ჩვენთან. ეხლა შეიწვება ჩვენი რძე?

მოსკოვში ყოფნის დროს, სანამ იქ ვიყავით, ჩვენთან მოვიდა იაშა, სტალინის ბიჭი. ისე სასიამოვნოდ მახსოვს, მაღალი, გამხდარი, ყვითელი ბიჭი. ვიღაცამ უთხრა, ინჟინერთა „გარადოკში“ ქართველები ჩამოვიდნენო. ვიღაც დიდ კაცს წამოსცდენოდა ლაპარაკში, საქართველომ გამოგზავნა ხალხი პრაქტიკაზე, ინჟინერთა გარადოკში არიან და ერთი სიტყვა რუსული არავინ არ იცისო. გამოგვეცხადა, ქართველი ვარ და მიმიღეთო. კი არ თქვა, სტალინის შვილი რომ იყო. რა გქვიაო, – შევეკითხეთ, იაშაო, – გვიპასუხა. რა გვარი ხარო, და ჯუღაშვილიო.

– ბიჭო, სტალინის შვილი ხარო?

– შვილი კი არა ისაო, 3 თვეა მამაჩემი არ მინახავს, მე ჩემთვის ვცხოვრობ, ჩემი მომვლელი ქალი მყავს. მასმევს, მაჭმევს, მირეცხავს, იმან იცის, სად და როდის ვარო.

სუფთა ქართულს ლაპარაკობდა, დედამისზე იტირა. მამას ვუყვარვარ, მაგრამ ახალი ცოლი რომ შეირთო, ეგოიზმი მკლავსო. დედაც ხო რევოლუციონერი ჰყავდა, მალე მოუკვდა. სტალინთან ერთად მუშაობდა აქ და შეირთო. ეხლა, ვასმევთ ღვინოს, რაჭველი ბიჭია, დედა რაჭველი ჰყავდა და რაჭველ ბაბუა-ბებიასთან იზრდებოდა. რო შეირთო ცოლი სტალინმა, უთხრა: „არ არის წესი, დიდი კაცი ვარ და ჩემი შვილი საქართველოში უპატრონოდ გდია, ჩამოდი, უნდა ისწავლოო“. მიაბარა საავიაციო სასწავლებელში. არ გამოვიდა არაფერი, მართვას ვერ გაუგო ვერაფერი. უთხრა მამას, ელექტრობა უნდა ვისწავლოო. დაამთავრა ელექტრომეხანიკობა და მუშაობდა აეროპორტში. სტალინის შვილი იყო და

რას არ დასვამდნენ თვითმფრინავზე! „რულავიკი“ იყო და მაინც ჯდებოდა თვითმფრინავზე. ბოლოს ესკადრილიის მეთაური იყო. დაიწყო ომი და უთხრა სტალინმა: „ომში შენი თვითმფრინავობა არ გამოდგება. შენ ჩემი სახელით გაფრენენ, ყველა მოსახსნელია სამსახურიდანო. აიღე თოფი და „რიადავოიში“ დღესვე ჩაეწერეო“. ადგა საწყალი ბიჭი, ჩაეწერა და წავიდა ომში.

ხოდა მანამდე მოგვიტანა დიდი ბალონით თაფლი. რა წავუღოო, დედინაცვლისთვის უთქვამს. ძალიან კეთილი ქალი იყო, ისიც ბერიამ მოკლა, იმ გათახსირებულმა და თავი მოიკლაო, იძახიან. ბერიამ ვერ მოიგდო საცხოვრებლად, ცუდად მოექცა, არა და არ დაეთანხმა და ესროლა, მოკლა და დაუდო რევოლვერი. მერე გამოვიდა ეგ ამბავი კრემლიდან. იმას თავი არ მოუკლავს. „ეი, შენ“ – ქმარმა ასე უდიერად მიმართა ქეიფზე და ამიტომაც შევიდა და მოიკლა თავიო. რას ლაპარაკობ! „ეი, შენ“ – რა არის ქართველი კაცის ცოლისთვის?! „ეი, შენ!“ რა სიტყვაა ვითომ, „მე სახელი არა მაქვსო?“, შევიდა და თავი მოიკლაო. ტყუილი, კაცო! მოჰქონდა თაფლი და თეთრი პური, რამდენიც გინდოდა. გაავსებდა „ბუხანკებით“ ზურგჩანთას და მოვიდოდა. ჩვენი ბიჭები წიწილას იყიდიდნენ, გაგვაპუტინებდნენ, შეწვავდნენ. ხშირად იყო ჩვენთან. კრემლიდან მოდიოდა 12 კილომეტრში. მერე გამოგვაცილა. ჯარში რომ წავიდა, რატომღაც გულმა გამიგო, რომ არ დაბრუნდებოდა. საწყალი უბედურად მოკლეს. რო დაიღუპა, იმდენი ვიტირე, დიდი სტატია დაიწერა გაზეთში ომის დროსვე, როგორ არ გათქვა თავისი მამა, როგორ აწამეს, რას არ დაპირდნენ, მაგრამ მაგან იცოდა გერმანელების ამბავი, ათქმევინებდნენ და მერე მიახვრეტდნენ. სად არის ახლა ისეთი მინისტრი, როგორც სტალინი, იმისთვის სულერთი იყო, შვილი იყო, თუ მოქალაქე, ახლა რო ყველას ამერიკაში ჰყავთ შვილები სასწავლებლად, ისეთი კი არ იყო.

ვინც რუსული ვიცოდით, კარგად მივიღეთ პრაქტიკა. აშენდა სამკერვალო ფაბრიკა,მაგრამ დიპლომები არ მოგვცეს. არც უმაღლესში ჩაბარების უფლება მოგვცეს. ვინაიდან თქვენ გქონდათ სტიპენდია (იქ ჩვენ ვიღებდით ხელფასს,70 მანეთი გვქონდა თითო მოსწავლეს), ის უნდა აანაზღაუროთ თქვენი შრომით, ცოტა-ცოტას გამოგიქვითავთ ხელფასიდანო. კარგი ხელფასი გვქონდა, უფასო სმა-ჭამა სასადილოში. მუშები იხდიდნენ, სამკერვალო ტექნიკუმდამთავრებულებს კი მკერდზე ნიშანი გვქონდა, რომ მეხანიკები ვიყავით. ჩვენ ცალკე გვქონდა მაგიდა და რასაც ვეტყოდით, მოჰქონდათ. აშენდა სამკერვალო ფაბრიკა 4 „ცეხით“. სულ 800 მუშა მუშაობდა, თითო „ცეხში“ 200 მუშა გვყავდა. ვემსახურებოდით 200 მანქანას, აბა ადი და ჩადი! კარგი ნაწნავები მქონდა, დამიბარა ქარხნის უფროსმა და მითხრა: მარო, ნაწნავები შეიხვიე, ჩაგიხვევს მოტორი და დედას გიტირებს. აგატყავებს მაგ თმებს და ვეღარ გათხოვდებიო. ხოდა, ეს პატარა მარო, ფრიადზე რომ მქონდა დამთავრებული, შემაგდეს შინელების ცეხში, მაუთოვებლები სულ სომხები იყვნენ და სიცილით კვდებოდნენ: „რა არის, კაცო, ვინ გამოუშვა შენა, რა მეხანიკი ხარ შენა!“ ერთი ძალიან ციგანი მაუთოვებელი გოგო გვყავდა, არევატა, სომეხი. ეარშიყებოდა ამ გოგოს ბიჭი, ისიც მაუთოვებელი. ერთხელ ამოიტანა ცხელი ჩაი არევატამ და ჩაუსხა ჯიბეში. ვერავინ გაიგო, ისე. დედა, რო იღრიალა! თვითონ აუთოვებს არევატა, ვითომ არაფერი არ ჩაუდენია. დაიბარეს და შავი დღე დააყენეს. იმ ბიჭის ასო გადაურჩა დაწვას. იმის მერე ხმა არ გაუცია არევატასთვის.

ამ შინელების ცეხში ვიმუშავე 2 წელი. ერთი წელი საწარმოო პრაქტიკა დამაკლდა და არ მომცეს დიპლომი. არ გავამხილე, რომ დავამთავრე საშუალო და განცხადებით შევედი უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფილიალში, ვაჩნაძის ქუჩაზე. მუშფაკი ერქვა, ძალიან კარგად გვასწავლიდნენ ფულის საქმეს. ჩოთქი, ბეჭდვაც იქ ვისწავლე. იქ იყო, ჩემი მეუღლე რომ გადამეკიდა. იქიდან გამოვიტანე დიპლომი,შენახული მქონდა. ამ სახლში რომ გადმოვედით, ჩემმა ქმარმა ძველ ქაღალდებს შეაყოლა და დამიწვა. მაშინ ხომ ცელოფნები არ იყო, გაზეთში მქონდა ჩადებული. დადო ცეცხლზე და დაწვა. რო ვუსაყვედურე, – ნეტა რად გინდა, რომელი ეკონომისტი შენ გამომიხვედიო, – მითხრა. ისე რომ, ფინანსისტი ვარ ვითომ. 39-ში ვსწავლობდი იქ და სწავლობდა ჩემი ქმარიც. ჩემი მეუღლე ცხოვრობდა შერემეტევზე. ფოთის ქუჩა, სადაც მე ვცხოვრობდი, შერემეტევიდან იწყებოდა და ადიოდა მაღლამდე, ეხლა რომ ტრამვაი გადის – იქამდე. კუთხეში იყო მაგის ძმისა და მაგის სახლი. მოკლე იყო ძალიან ქუჩები, ოცი-ოცდაათი სახლი თუ იდგა, კერძო სახლები იყო. ორსართულიანი ედგა ზოგს. ჩემს „ხაზეიკას“, მაგალითად, ბარაკი ედგა დიდი ორსართულიანი სახლების უკან. იმალებოდნენ ეს მეგრელები, რომ ჩამოდიოდნენ და იშენებდნენ ბარაკებს. შვიდი ბარაკი იყო პატარ-პატარა, ორ-ორი ქოხი და ცხოვრობდა შვიდი მეგრელი, წარმოგიდგენია, ორ-ორ ქოხში. ის ერთი ქოხი გაქირავებული ჰქონდა მარიას და მეორეში თვითონ ცხოვრობდა ქმარ-შვილით. მერე, მეტრო რომ გაიყვანეს, გათხარეს და პირდაპირ მეტროს კიბეები ამოდის ახლა იმ ადგილას, სადაც მე ვცხოვრობდი. პარკი ხო არი დიდუბისა, იმას გაივლიდი, ახლა უნდა გაიარო ბათუმის ქუჩა, გორის ქუჩა და მერე დიდუბის მეტროა უკვე. ფოთის ქუჩის ნახევარი თითქმის სულ აუღიათ. დატოვეს მარტო რვასართულიანი სახლი მეტროს აქედან. სანამ დავდიოდი, ერთხელ წავედი და ვნახე ის ჩემი ნასახლარი. მინდოდა მაზლის სახლიც მენახა, ისიც აუღიათ, ხიდი გაუკეთებიათ მტკვრიდან გადაღმა, „ახალ ხიდს“ ეძახიან, მუშტაიდს აქედან გადადის პირდაპირ. არც ერთი დაბალი სახლი აღარ იყო, მარტო მუშტაიდია. მუშტაიდს აქედან არის ცეკვის სკოლა და მერე იწყება ეს „კირიჩნი“, აღარ არი უკვე იქ დაბალი სახლები, ჩემ დროს რომ იყო. ხოდა, იქ რომ ვცხოვრობდი, ჩემი „ხაზეიკის“ შვილებმა მასწავლეს მეგრული და, სხვათა შორის, მეგრული თუ დამჭირდა, ვიცი. „ღორიშვილო“ მეგრელს და აფხაზს თუ უთხარი, ვერ გადარჩები, მოუკლავს არ გაგიშვებს, ძალიან ეჯავრებათ. ეს აფხაზებიდან გადმოედოთ მეგრელებს, ხო ჰყავთ აფხაზი დედები. ღორი ეჯავრებათ, ღორი ყველაზე ბინძურია მაგათთვის. გეთია მყავდა ახლობელი გოგო, აფხაზი ჰყავდა დედა, ახლოს ცხოვრობს, ხეობას რომ ეძახიან, იქ და მითხრა: „აწი, მე რომ მითხრა ღორიშვილი, ჩემ ძმას რომ უთხრა, მოგკლავს ისიც, ღორი ბინძური რაღაცაა!“, მერე რატომ ზრდით-მეთქი და – ვზრდით და ვყიდით ჩვენო. ჭამით კი არ ჭამს, დედამისი არ ჭამს და არც ქმარი ჭამს. ღორებს გოჭებად ყიდიან, არ ზრდიან ღორებად. რაღა არ მასწავლა ჩემმა „ხაზეიკამ“. ისეთი კარგი წყევლა მასწავლა მეგრულად! რათ მინდა-მეთქი და მეგრელი ბიჭი თუ გადაგეკიდება, მიბრუნდიო და... მეგრელი არა, მაგრამ მაშინ ერთი ოსის ბიჭი გავიცანი, გორში ცხოვრობდა, ჩოჩიშვილი ნიკო, თბილისში დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკური. ერთ ქვრივ ქალთან დადიოდა. ყველა ბიჭი ხომ დადის სტუმრად. იმ ქვრივი ქალის სახლში გააკეთეს „ვსტრეჩა“. ახალი

წელი თენდებოდა. გადმოვიდა გლდანელი, თამარას ეძახდნენ, ბიჭებში დადიოდა სულ და ამ ნიკოს ეზოში ცხოვრობდა. მანვე გამაცნო მეც, მაღალი ბიჭიაო. ჩემი ბედი სუყველა მაღალი ბიჭი იყო. გამოუგზავნია ათი მანეთი, გადაუხდია ჩემი ფული, ისეთი „ვსტრეჩაა“ რომ ყველას უნდა გადაეხადა. ხოდა, ღამის თორმეტი საათია, შემოვიდა, გააღვიძა თამარამ: მარია დეიდა, გაიღვიძე, „ვსტრეჩაზე“ მიმყავს თქვენი მარო და დილაზე ჩაგაბარებ, როგორც წავიყვანეო.

– ჩემი გოგოებიო?

– მაგათი ფული გადახდილი არ არის, ამისი გადახდილიაო.

მე ვუთხარი, ვინ გადაიხადა-მეთქი და ნიკომ გადაიხდაო. ფერი მეცვალა მაშინვე. მე ვიცოდი თამარასაგან, რომ ნიკო ქვრივ ქალთან დადიოდა. იმ ქალმა დიდი ამბით მიმიღო და მითხრა: „წამოდი ჩემთან, ხაჭაპურებს ვაკეთებ და მომეხმარეო“. კარგა ბლომად იყო ხალხი. სულ „პარა-პარა“. მეც მივეხმარე. ვაკეთებ ხაჭაპურს, შემოვიდა ნიკო, თავს არ მანებებს, გადააბრუნებს ხაჭაპურს, გადმოაბრუნებს.

– შენ ახლა, გოგო, ღმერთი კი არ გაგიწყრეს და სხვასთან არ დაჯდე.

მე ვუთხარი:

– მე აქ არავინ მომიყვანია და არც ვიცი, ვისთან უნდა დავჯდე-მეთქი.

ვჯდებოდით ან წყვილ-წყვილად, ან აქედან გოგოები, იქიდან – ბიჭები. გიტარის დაკვრა და სიმღერა ვიცოდი. ის ქალი გადამეკიდა, გინდა თუ არა, უნდა დაუკრა და უნდა იმღეროო. ვიმღერე „თავო ჩემო“. მერე კიდევ რაღაც სიმღერა იყო და ვუთხარი, არა, დავიღალე და ახლა სხვამ იმღეროს-მეთქი. ნიკოსაც სცოდნია გიტარა, გვერდზე მეჯდა და რომ დაუკრა, ხმა მომეციო, მითხრა. მერე გავიგე, რომ თავის გარდა ექვსი ძმა ჰყოლია. დედაჩემს და მამაჩემს ვკითხე, დედამ მითხრა:

– შვილო, ცოდო ხარ. პატარძალმა ყველას შარვალი და „სარორჩკა“ უნდა დააუთაო. გომში წამოგიყვანს. დაგტოვებს იქ მთელი კვირა და შენ უნდა უარო ამ ბიჭებს, ჯერ სწავლობენ და რა ვიციო.

– არა, – ვუთხარი, – მე იმას თავს არ დავანებებ, ექვსი კი არა, მეტი ძმაც რომ ჰყავდეს-მეთქი.

რა კარგი სიყვარული იციან ოსებმა, რომ იცოდე – ხელს არ შეგახებენ არავითარ შემთხვევაში. თმის ნაწნავი თუ გაქვს, შეიძლება თმაზე მოგკიდოს ხელი. კარგი თმები მქონდა და თმის ბოლოს ხელზე იხვევდა ხოლმე და მეუბნებოდა: აი, ნახავ, მოღალატე შენ გამოხვალო, მე მიყვარდა და ვეფიცებოდი, არა-მეთქი.

ბედი ყოფილა ყველაფერი! მერე ეს რაჭველი გადამეკიდა ფინანსური ტექ-ნიკუმიდან. სანამ გაიგებდნენ, რომ ეს მყავდა გადაკიდებული, სამსახურიდან მომცეს ბარაკი. მაშინ ზვიადაძე იყო პარტკომი, პარტკომის მდივანიც ვიყავი, ვუბეჭდავდი ოქმებს, საქმის მწარმოებელიც ვიყავი და მბეჭდავი მემანქანეც. ესე იგი, რაზმის მემანქანე მბეჭდავიც ვიყავი და პარტკომის მემანქანეც ვიყავი. ორ საქმეს ვაკეთებდი და ერთ ხელფასს ვიღებდი. დიდი საპარიკმახერო იყო იქა, ხოდა ზვიადაძემ მითხრა: დავცლიო, ოცეულში გადავიტანო. ცალკე სანამდე უნდა იყოო, სხვის სახლში რატომ უნდა იცხოვროო და რად უნდა იხადო ოცი მანეთიო. ადრე იმასაც მამა მიგზავნიდა და ახლა კაი ხელფასი მქონდა, 800 მანეთი. იქ პატარა ბინას მოგცემო,

ეს რაჭველი წაგიყვანს, თუ სხვა წაგიყვანს, წინ მიადგით პატარა ბალკონი, ყვავილები რო გიყვარსო. ძალიან კარგი კაცი იყო ზვიადაძე. დილით რო მივდიოდი ხოლმე, რაღაცა კრემი იყო 10-კაპიკიანი, მზე რომ არ მომკიდებოდა, წავისვამდი ყელზე, სახეზე, თეთრი ქალი ვიყავი. ერთხელ მივედი სამსახურში და აქ (ყურთან) დამრჩენია კრემი, ამოიღო ჯიბის სარკე ზვიადაძემ, პარტკომმა: აქანა კრემი გაქ და გეისუფთავეო. ისე მახსოვს, ისე მახსოვს...

იმ ბარაკთან რაჭველი ქალი ცხოვრობდა გვერდზე. მაგასაც დიდი ისტორია ჰქონდა. ჯავრი იყარა ჩემზე იმ ქალმა. ამას ყვარებია უცოლო მაზლი, ერთად უსწავლიათ ათწლედში. დედამთილი წასულა დასანიშნად, ვერა ერქვა ამ ქალს, მიქიაშვილები იყვნენ. რო მიუტანია ნიშანი, ვერას უფიქრია, ნესტორმა გამოგზავნაო. უფროსი ძმა იყო შეუხედავი, ჯუჯა. სამხედრო მეთაური კი იყო. როგორ გახდა მეთაური, არ ვიცი, მარა „პეხოტის“ (ქვეითი ჯარის) მეთაური კი იყო. ჭორფლიანი სახე ჰქონდა, უგვანო. ქუდს რო დაიხურავდა, აღარაფერს აღარ ჰგავდა. სადედამთილოს თურმე იმისთვის, ვიქტორისთვის დაუნიშნია. ეს ნესტორი კი ძაან ლამაზი ბიჭი იყო. წასაყვანად რო მოვიდნენ და გევიხედეო, – მომიყვა ვერამ, – მოდის ვიღაც ჯუჯა კაციო, ხო ვიცნობდი მაგის ძმას, თურმე იმას არ დავუნიშნივარო! წაიყვანეს, ჯვარი დაწერეს ეკლესიაში და წაიყვანეს. როგორ! რაჭაში უარს ეტყოდი კაცს? გლეხობაში მაშინ როგორ იყო, იცი, ეს ამბავი? პირის შეცვლა შეიძლებოდა, სანამ ბეჭედს მიიტანდნენ, მაგრამ თუ დაინიშნებოდა, ეს უკვე ცოლი იყო. გამიკვირდა, ერთხელაც არ მოვიდა სანახავად სასიძოო! მივიდა მარტო ქორწილის დროს და წამოიყვანა. ეყოლათ ერთი შვილი და მეტი არ ეყოლათ. მერე ის გოგო ფრონტზე წავიდა, მამის გზას გაჰყვა, მამაც გაიწვიეს ორმოცდაერთში, მერე გავიგე. ხოდა ეს ბიჭი, მაზლი ცხოვრობდა ამათ სახლში. როგორ ცხოვრობდნენ! რა აუტანელი იყო ეხლა ამათი ყოფა! ბიჭი ოთახში არ შედიოდა, არც სადილზე ჯდებოდა რძალთან. შეჭამდნენ ისინი და მარტო ჭამდა მერე. ვერ იტანდა იმ ქალის შეხედვას. ეტყობა უყვარდა ძალიან იმასაც. ეს ქალი იყო მაღალი, აქამდე (წელამდე) ადგა ქმარი, არსად არ მიყვებოდა – არც კინოში, არსად. კინოში მიდიოდა ნესტორთან. უარს როგორ ეტყოდა. მერე დედამთილი გატეხია რძალს, ჩემზე ეთქვა, ნესტორისთვის მინდაო. ერთხელ შევიკერე აგურისფერი კაბა, იცი რა იყო მოდაში მაშინ? აუცილებლად დახვეული და უკან დაწნული საყელო, აქ (წელიდან ქვემოთ) ჰქონდა ორ-ორი ფართე „სკლადკა“ (ნაკეცი), წინაც ორი და უკანაც ორი, მუხლის ქვევით ვიწროს ჩაცმა არ შეიძლებოდა. ის კაბა ჩავიცვი, მკერდი კარგი მქონდა მაშინ, არაუშავდა. შევიკარი უკან და მოვდივარ სამსახურში. პორტფელის დაკიდება არ იცოდნენ მაშინ, ხელში მეკავა. გამოუხედია დედამთილს და – რანაირად მომწონს ეს ქალი, ნეტავი დამიჯერებდეს ნესტორი და ითხოვდეს, ვერაო! – რამდენჯერმე უთხრა თურმე. ვერამ მე არაფერი მითხრა, მაგრამ გულში ჯავრი კი ჩაუდვია. მოვიდა ეს დედაკაცი და მეუბნება:

– შვილო, გაყევი ნესტორს, არაა ცუდი ბიჭი, აქანა თუ ვერ იცხოვრებთ, ქვე შენი ჭირიმე, – მითხრა, – ნესტორს ცალკე ვუყიდი სახლს და ხან აქანა ვიქნებით, ხან თქვენთან. შეგულებული მაქვს სახლი ავჭალაში, – იქ იყო ნესტორი მასწავლებლად, – იქანა უნდა ვუყიდოთ, ხოლოდ, ცოლის შერთვამდე არ ვუშვებთ, ვინცხა გლახას რო არ გადაეკიდოს, უჭირს ამას აქანა ცხოვრება, – მოვიდა შუაკაცად.

– არა, დეიდა, – ვუთხარი, – ჩემზე ისეთი რაჭველია გადაკიდებული, ცოცხალს არ გაუშვებს ნესტორს-მეთქი.

გადაკიდებული იყო კაცი, ყოველთვის მომყვებოდა ლიანდაგების გადაღმამდე. ლიანდაგების გადაღმა ვცხოვრობდი, უნდა მოვსულიყავი ლიანდაგამდე, უნდა გადმომევლო ჩრდილო ფარეხი. ფარეხი რას ქვია, იცი? სამანევრო ხაზები იყო, იქ იყო „ტავარნი“ (სატვირთო) სადგური, ცოტა მოშორებით იყო, მარა იქვე ხო არ იქნებოდა ლიანდაგები. ჩვენამდე ამოჰქონდა ვაგონები. იქ ახარისხებდა „ტავარს“. მატარებელს, მაგალითად, ბაქოში წასასვლელს, ბაქოს „ტავარს“ ჩააბამდნენ. ხოდა ერთი სიტყვით, ოთხი ლიანდაგი უნდა გადამევლო, გადაღმა ორი ლიანდაგი იყო, გადმოღმა – ორი. უნდა გადამევლო ხაშურის ლიანდაგი, ეს იყო „ბაევოი“, ამაღლებული ლიანდაგი. „ბაევოი“ იმიტომ ერქვა, რომ პირდაპირ მიდიოდა მატარებელი, პირდაპირ – ბათუმი იყო თუ ფოთი იყო. მაშინ ერთლიანდაგობა იყო, ორლიანდაგობა არ იყო. მერე უნდა ავსულიყავი ხრეშზე. იქ ხრეში ეყარა, ხრეშს ეძახიან, რაღაც მაგარი ქვებია, წვიმა რომ არ შეუდგეს შპალებს. ამოვდიოდი გაჭირვებით ხრეშზე, გადავიდოდი ლიანდაგზე, კიდე ჩავიდოდი ხრეშზე და მერე გადავივლიდი ორ ლიანდაგს და პირდაპირ ჩვენი კარები იყო. ლიანდაგის პირზე ვცხოვრობდი. ხოდა, ამ ლიანდაგებზე დამყვებოდა ეს კაცი; მარტო რადგან ვცხოვრობდი, მითხრეს – ადექი, დაიბარე მამაშენი და გაყევიო, სანამდე უნდა გდიოს ამ კაცმაო. იძულებული გახდნენ პარტკომში დავეძინებინე ღამე, მარტო რომ ვცხოვრობდი, იმიტომ. წაგიყვანსო ღამე, იმ ბარაკს გატეხავს და წაგიყვანსო. პარტკომში რბილი საწოლი იყო და დილით ადგომა მიჭირდა...

იქვე, გზის სკოლაში ძალიან ლამაზი ბიჭები სწავლობდნენ, მომწონდა ერთი ბიჭი. მეგრელი იყო. მამაჩემმა არ გამაყოლა: ახრანიკს უნდა გაყვეო? თანაც მეგრელსო?! დაგაყენებს თოხზე სოფელში და თვითონ ჩამოვა და სადგურში იმორიგეევებსო, – მეც გამიფუჭდა გული. მაგრამ მერე ჩქარა გაუშვეს, თავის სადგურში წავიდა სამუშაოდ, აქ უფროსი ლეიტენანტი იყო, შევიდა საგამომძიებლო სკოლაში, დაამთავრა და გიჟი ხო არ იყო, „ახრანაში“ ემუშავა ოცმეთაურად. ერთხელ მივდიოდი მოსკოვში, გასათხოვარი რო ვიყავი და ვნახე ფორმაში რო იყო, მიქნია ხელი, მიძახა, წასული იყო მაშინ უკვე, გზის სკოლა დამთავრებული ჰქონდა. მე მაშინ ჯერ არ ვიყავი გათხოვილი. ბედი რო არ გექნება! მერე, შორს რომ იყო, ვინც მიდიოდა მოსკოვში, მოკითხვა შემოგითვალაო. მერე სენაკის სადგურში იყო გამომძიებლად. მაშინ ხო მატარებელში იჭერდნენ ხალხს, ქურდებს იჭერდნენ და ამას იძიებდა, იჭერდა ხალხს და გზავნიდა ციხეში თბილისში. მითვლიდა ხან მოკითხვას, ხან ღომის ღერღილსა და ფქვილს მიგზავნიდა. საწყალი, ღმერთმა ახსენოს, ჩემი რაზმის პოლიტხელი იყო და იმანაც მომიტანა „მეშოკი“ (ტომარა), თეთრი „მეშოკი“.

– გოგო, აი გამოგიგზავნა სილაგავამ.

– ცოლმა რა უთხრა-მეთქი?

– ცოლს ვინ ეკითხება, ალბათ, უთხრა და გამოგიგზავნა, იმას შენი სურათი სახლში უკიდია.

მე არ დავიჯერე. როგორ დავიჯერებდი?! ცოლი ჰყავდა და მეც მაშინ უკვე სამი წლის გათხოვილი ვიყავი.

მერე იმისი შვილი ვნახე „ვანებს“ (აბაზანებს) რომ ვიღებდი. საბანაოდ ვარ, თხელი კაბა მაცვია და ფრატები. ჩვენი ავტობუსი უნდა მოვიდეს, წაგვიყვანოს. მენჯის აბანო სადგურიდან არ არის შორს, სადგურში ჩავედი „კოფეს“ საყიდლად. ეს ბიჭი რო დავინახე, რაღაცნაირად გული ცუდად გამიხდა. ზედგამოჭრილი მამა იყო, დედა! მეგონა პლატონი იყო. შვილსაც დაუმთავრებია საგამომძიებლო, ხოდა იგივე ფორმა ეცვა – სარტყელი გადარტყმული. დავუძახე, მეორე ბიჭი რო დაყვებოდა ხელქვეითი, „რიადავოი“, იმას, და ვუთხარი:

– ეს ბიჭი რა გვარია-მეთქი?

– სილაგავაა, ბებოო.

– ვისი შვილია-მეთქი?

– პლატონის შვილიაო.

გაიგონა ამ ბიჭმა. – რატო იკითხაო? და მოვიდა ეს ბიჭი ჩემთან:

– გამარჯობა, დეიდა, შენიო, – მითხრა, – საიდან იცნობდი მამაჩემსო?

– შვილო, მე გასამხედროებულ „ახრანაში“ ვმუშაობდი, ვიყავი საქმეთა მწარმოებელი, მბეჭდავი; ორსართულიანი შენობა იყო, ქვეშ იყო გზის სკოლა, გასათხოვარი ქალი ვიყავი, მომწონდა მამათქვენი, იმასაც მოვწონდი, მაგრამ სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, – ნათქვამია. არ გავხდი მამაშენისა.

– დეიდა, შენ უნდა წამოხვიდე ახლა ჩვენთანო.

– შვილო, – ვუთხარი, ტანსაცმელი არ მაცვია და ახლა მე ასე თქვენთან როგორ...

– მამაჩემი სამი წელია გარდაიცვალა, დედაჩემი საფლავსაც გაჩვენებსო, შენთვის კარგიაო.

კარგი კაბა არა მქონდა.

– უნდა წამოხვიდე დეიდა, წამოდიო, მაშინ დედას ვეტყვი დღესო, ხვალ ჩამოდი სადგურში, წაგიყვანო, თქვენი სურათი ახლაც კედელზე ჰკიდიაო.

– რომელი სურათი, შვილო-მეთქი?

– მელია რომ გაქვს მხარზე გადაგდებულიო.

არ დავიჯერებდი, ასე რომ არ ეთქვა. აი, სურათი რომ მაქვს გადაღებული ბეწვით, ეს სურათი იმის ცოლს სიკვდილამდე ეკეთა საძინებელთან, ორივეს იქ ეძინა და ეს სურათი დაკიდებული ჰქონდა მრგვალი ჩარჩოთი, როგორიც მე გამიკეთა. ვერ წავედი, ქალო, რისკი ვერ გავწიე, იმ ქალისთვის შემეხედა. ეხლაც ვნანობ, ძალიან ვნანობ. ღომს გააკეთებსო დედაჩემი, საფლავზე წაგიყვანსო, დედაჩემს ძალიან გაეხარდება, ეგონება მამაჩემი გაცოცხლდაო და ხელმეორედ იტირებსო. იცოდა დედაჩემმა, რომ თქვენ ჰყავდითო და რომ მერე რაღაცნაირად ვიღაცამ მოგიტაცათო. მერე ითხოვა მამამაც ცოლიო.

მე მესამე კურსზე ვიყავი, მაზლმა რომ მომიტაცა, გამიტყუა სახლიდან. მოვიდა და მითხრა, ამბროსი დაჭრეს და მილიციაში გეძახიანო. ჩითის კაბით და ფრასტებით წამომიყვანა სახლიდან. ასე უნდა წავეყვანე – გორის ქუჩაზე და წამიყვანა ქვევით. – შალვა, სად მიდიხარ-მეთქი, ვკითხე, ვიცნობდი მანამდე. შემიყვანა ეზოს კარებში. საღამოა, უკვე ბინდდება. შეაღო კარი, შემიყვანა და რას ვხედავ, სახლში „სტოლია“ (სუფრა) გაშლილი. ადრე ვიცნობდი ჩემს რძალს, შალიკოს ცოლს, მათვალიერებდნენ და მეც ვათვალიერებდი. მე ვუთხარი:

– ასე როგორ უნდა დავჯდე, ნამუსი გაქვთ-მეთქი?

– ცა, შედი აგერ ოთახში და ჩეიცვი!

იმის მერე მეგრელებს არა ვცემ პატივს. გამყიდა მეგრელმა, „ხაზეიკის“ უფროსმა გოგომ. ჩემი კაბა მისცა ამბროსის და შეაკერინეს იმის ზომაზე კრევდიშინი ხორცისფერი. „კლიოში“ იყო, დაწნული უკანშეკრული საყელოთი. გულის გამოჩენა არ შეიძლებოდა. „ტუფლები“ „ზაპოშნიკს“ შეაკერინეს, ხორცისფერი „ტუფლი“, რანაირიც მე მქონდა, ზუსტად, და იცი, რა იყო მოდაში? პრიალა ქაღალდები რომ იყო – „ფოლგა“, იმას შოულობდნენ საზღვარგარეთიდან და ცხვირში და ქუსლში ატანდნენ, მერე ჭრიდნენ, დაჩხვლეტავდნენ და შიგნიდან ჩანდა ეს პრიალა. „ჩულქები“ იყო ჩადებული შიგ, ისიც ხორცისფერი. ჩავიცვი კაბა – ჩემზეა. ჩულქი ჩავიცვი – ჩემზეა, № 21. „ტუფლიც“ ჩემზეა და გამიყვანეს და დამაჯინეს პატარძლად. მომისვეს ეს ქმარი. „შუაღამეს“ ეძახდნენ, შავგვრემანი იყო. გამოაწყვეს, გაუკეთეს „გალსტუკი“ და მომისვეს გვერდზე. გაშლილია სუფრა, მაშინ მილოცვა იყო საკაბეთი, საპალტოვეთი, „ვიერით“, კარგი „დუხით“ და ასეთი რაღაცეებით. ყველა გურულმა საჩუქარი მომიტანა და აწყვია ჩემს წინ. განა გადადებდნენ! გათენების 4 საათზე მორჩა ქორწილი. არ შემიჭამია არც ლუკმა, არც არაფერი. გააგებინეს სტუმრებს, რომ მომიტაცეს უკითხავად და რომ მშობლებმა არ იციან. დისშვილი იყო და:

– რატო ქენით, ცა, დაგებარებიათ ი მშობლები და გეკითხათ, ცოდოა ე ქალიო.

– გადი ახლა შენო და დამიცალეს მეორე ოთახი.

– რაა-მეთქი! სანამ მამაჩემი არ ჩამოვა, მე მაგასთან არ დავწვები, რას ქვია, მომატყუეთ და მომიყვანეთ-მეთქი, არა?!

წავედი, მაგას გოგოები ჰყავდა ორი და დავწექი თალინასთან, 12 წლის გოგოს ტანსაცმლიანად მივუწექი. ღამე გავსინჯე, კარები დაუკეტიათ. ვიცი, გარეთ გასასვლელი კარებიც დაკეტილია. სად წავიდე? „ზალაში“ არ არის ალაგებული სუფრა და „ატამანკაზე“ სძინავს ჩემს რძალს, ძირს – ჩემს მაზლს. გავიარე „ზალა“, გავაღე „კუხნაში“ ფანჯარა, გადავიხედე და კარგი წაწვენილი ცაცხვის ხე იყო იქ. ავედი ფანჯარზე და ფეხებით უკუღმა გადავედი ხეზე. ჩამეხლიჩა მთელი კაბა. გამოვედი, დილის ხუთი საათია, წამოვედი შერემეტევიდან, ფოთის ქუჩა ამოვიარე და დაველოდე ტრამვაის. ექვს საათზე გამოდის პირველი ტრამვაი; ზარს უკრავდა, რომ გამოდიოდა. მივედი, დავჯექი და – რას გევხარ, ქალოო! – მითხრა სომეხმა ქალმა. მე ვუთხარი: – გამოვიპარე, დეიდა, არც ფული მაქვს, არც არაფერი, ქვესადგურთან უნდა ჩავიდე-მეთქი. ხუთი კაპიკი ღირდა. პატარა ოთახი მქონდა უკვე მოცემული, მაგრამ მაშინ აღარ მივდიოდი ხოლმე, ხაზეიკასთან ვიყავი ისევ. გასაღები მქონდა ყელზე დაკიდული ყოველთვის. იქ არც სკამი იყო, არც „კრაოტი“. შევედი, მოვკეტე კარები, გავშალე ძველი გაზეთები და დავწექი. მეორე დღეს თორმეტის ნახევარია და აკაკუნებს ვიღაცა. ჩემ მულს გაუგზავნია დეპეშა – ვთხოვდები და ჩამოდითო. მამაჩემმა ქორწილს ვერ ჩამოუსწრო. ხურჯინით და ჩანთით მომადგნენ დედაჩემი და მამაჩემი. გავაღე კარები და შვილო, რას გევხარო, მითხრეს. რატო მოხვედით-მეთქი. აი, შენი დეპეშა, რატო გამოიქეცი, როგორი ბიჭიაო?

გამოვარდა იქედან ოცეულის მეთაური, მიქაშვილი იყო, ისიც რაჭველი, გაასუფთავებინა ოთახი „უბორშიცას“, მოატანინა სკამები და ერთი პატარა „ტუმბოჩკა“. სად ცხოვრობდი, შვილოო, მეკითხებიან. „ხაზეიკასთან“ ვცხოვრობდი,

მარა, იქ მომაგნებდნენ და რომ გამოვიპარე, აქ წამოვედი, არ იციან ეს სახლი-მეთქი. ძალიან კარგადაც მოაგნებენ, აი, ნახავ, თუ არ მოვლენო.

პირველის ნახევარი გახდა და ჩემი მაზლი თავისი ცოლით, ვისთანაც ქორწილი იყო, მოადგა კარებს და ჩემი ქმარიც მოიყვანეს. ის გარეთ დატოვეს და შემოვიდნენ.

– გამარჯვება თქვენი, ჩამოხვედით?

– ჩამოვედით, მარა ეგ რა წესია, ჩემთვის არ უნდა გეკითხათ, ქალს ვათხოვებდი, თუ არაო?

– არ უნდოდა ამას ჩემი მაზლი, ხოდა იმიტომაც მოვიქეცით მასე, გეტყოდა შენ, არ გვინდაო და არ წამოყვებოდა.

– ვინ წაგიყვანა შვილო, რა გითხრაო?

მეც მაზლზე ვუთხარი:

– აი, ამან მითხრა, დაჭრილიაო. ვინც მიყვარდა, ნიკო, იმაზე მითხრა, ერთმანეთი დაჭრესო, იმის გულისთვის გავიქეცი, ცუდად ხომ არ დაჭრა-მეთქი.

მამაჩემი რუსეთში, გერმანიაში ნამსახურები იყო, კულტურული კაცი, რუსულ-ქართულს ლაპარაკობდა, უთხრა:

– ჩემი შვილი წლოვანია, უფლება აქვს, თითონ აარჩიოს თავისი საქმრო. თუ უნდა ჩემ შვილს, გაყვეს და თუ უნდა, ნუ გაყვება. მე გასაყიდი შვილი არა მყავს. ვერ მივიღებ ვერც თქვენს ძმას და ვერც თქვენს ქორწილს. ამ პურმარილს კიდე ოცეულის მეთაურს მივცემო.

თურმე, თუ აჭმევ, თანახმა ხარ. ის ჩაფიც და ის ხურჯინიც მისცა, ვინც სკამები მოიტანა, იმას. იქეიფეს იმათ ძალიან კარგად. მოიტანეს ცარიელი ჭურჭელი და წავიდა სახლში. გავისტუმრეთ უკან. ცხრა დღის მერე მომადგა ამბროსი ისევ კარებზე, ერთი ღამე დაიძინა და წავიდა. ამ ხნის განმავლობაში დეპეშას ვგზავნი მე გორში ნიკოსთან. იქ პარატიფი შეხვედრია. მშვენიერი თმა ჰქონდა, ხუჭუჭი, გაუპარსიათ, 40 გრადუსი სიცხით წოლილა. არც პასუხი მოდის, არც მკითხულობს. დას მიუღია დეპეშა, მაგრამ რა დეპეშა! გადადებულია კაცი. დაეწერა მაინც, რომ ავად არის და დაელოდეო, ან წავსულიყავი გორში, რა მიჭირდა. მერე, რომ გამოწერეს, გადაპარსული იყო. წაუყვანიათ სახლში. სანამ ადამიანს არ დავემგვანები, ვერ ვეჩვენები მაროსო. ეგ შენი მარო კი წაიყვანეს და გახდა რაჭველი ძალაუნებურად ჩემი ქმარი.

არაჩვეულებრივი კაცი იყო, ძალიან პატივს მცემდა მთელი ჩემი სიცოცხლე, მარა, გულახდილად გეტყვი, მისი სიყვარული ჩემს გულში არ ჩასულა. სიზმარში იმის ნახვა მერჩია ცხადში ამის ნახვას. ყველაფრით მემსახურებოდა. მორიგეობიდან რომ მოვიდოდი, ცხელ საჭმელს მომიტანდა, ჭურჭელს გარეცხავდა, „პილასისი“ იყო თუ სარეცხი მანქანა, ყველაფერზე თავს მადგა, მეხმარებოდა. ხელფასს აიღებდა თუ არა, უსაჩუქროდ სახლში არ მოვიდოდა, აგერ შვილებიც მყავდა მშვენიერი, მაზლები, მულები პატივს მცემდნენ და არ ვამხელდი, ვიყავი ჩუმად. 30 წლისას კი დამეწყო თმის გათეთრება.

ხოდა, ეს ამბროსი მოდის, მიდის. ყოველდღე მოჰქონდა ხორცი, იაფი ღირდა მაშინ. თვითონ აკეთებდა, ჩახოხბილი გინდა, რა გინდა. ეხერხებოდა ყველაფერი. რო გაიგეს, რომ წამიყვანა, 4 დღე მომცეს თავისუფლება სამსახურიდან. მაშინ ასეთი წესი იყო, ათავისუფლებდნენ ხან 7 დღით, ხან 4 დღით. ზვიადაძემ

დარეკა და არაფერიაო, რაზმის უფროსმა ფარცვანიამ მიღება-მოხსნა შეაჩერაო და ვიყავი სახლში ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა. შაბათს მაშინ ვმუშაობდით, მარტო კვირა გვქონდა დასვენება. ხოდა დავრჩი სახლში, მე არც მიცხოვრია მაშინ ქმართან, მაგრამ ცხრა დღე ხომ დადიოდა და ყველამ გაიცნო. იწვა „ატამანკაზე", მერე მითხრა: ცხრა დღეა აქედან გავდივარ, მთელმა ოცეულმა იცის, რომ შენი ქმარი ვარ და სანამდე გინდა, მაქანა რომ იწვე, მაგ საწოლშიო. ა, მეზობლები და ა, ოცეულიო, გაიკარი იარლიყი, ქალიშვილი რო ხარ და იყავიო. ერთი თვე ნიკოს ველოდებოდი, მერე ვთქვი, გაიგო, რომ წამიყვანეს და დამანება თავი-მეთქი და იმიტომ დავნებდი... მერე მამაჩემმაც დამაშინა, როგორ შეიძლებაო, არ არი ცუდი ბიჭიო და მერე დავყევი, მარა, წარმოგიდგენიათ? ცოდვით როგორა ვთქვა, ჩემი ქმრისთვის მე არ მიკოცნია, თითონ მკოცნიდა ყოველთვის. ხელის დაფარება ვიცოდი სახეზე, არ მახსოვს რო მეკოცნოს, ვერა და ვერ მოვედი რჯულზე. ძალიან დიდ პატივს ვცემდი და ძალიან მეცოდებოდა, მაგრამ არ მიყვარდა. გულში ვერ ამოშლი იმ პირველ სიყვარულს. პირველი სიყვარული ნიკო იყო. სილაგავა... ისე რა, მოგვწონდა ერთმანეთი.

ჩემი ქმარი იქ, ბარაკში მოვიდა, „სევერნი პარკში", დიდუბის სადგურისკენ, იმიტომ რომ მაგათ არ ჰქონდათ სახლში ადგილი. ძმასთან ცხოვრობდა და ორი ოთახი ჰქონდათ, პატარაში გოგოებს ეძინათ და დიდში კიდევ – ცოლ-ქმარს. იქ სად უნდა ვყოფილიყავით ჩვენ. მანამდე, დედაჩემი და მამაჩემი რომ ჩამოიყვანა, ჩემმა მულმა გამოიდო თავი, ბინა გვაქვს და წავიყვანთო, მარა მე არ გავყევი. ჯერ ერთი იმიტომ არ წავყევი, რომ მაზლს ვემდუროდი, იმან მომიტაცა და რაში მჭირდებოდა იქ ცხოვრება.

მაშინ უკვე 39 წელი იყო, ახალი გათხოვილი ვიყავი, ბავშვები არ მყავდა, პარტიაშიც მაშინ შევედი. შეკითხვებს იძლეოდნენ და თუ რამე შეგეშლებოდა, გეტყოდნენ, მობრძანდით შემდეგ კრებაზეო. მიმიღეს ჯერ როგორც კანდიდატი, გავიდა ერთი თვე და ახლა სხვანაირი შეკითხვები იყო: რატო დაიწვა მოსკოვი? სად წავიდა ბონაპარტე? უკრაინაში როდის შეწყდა ბატონყმობა? წინააღმდეგობის უფროსი ვინ იყო? ვინ იყვნენ თეთრები? ვინ იყო თეთრების ხელმძღვანელი? წითლები? მწვანეები? (იცინის). ხოდა აი, სუყველაფერს გვეკითხებოდნენ, აბა, ნუ უპასუხებდი! მობრძანდებით შემდეგ კრებაზეო! – გეტყოდნენ. სასტიკი დისციპლინა იყო. ეს იყო 39-40 წლები. ისე რომ, მე მანდატში ფული არ მიმიცია. ხალხი ყიდულობდა მერე ორას მანეთად. მერე უნდა წავსულიყავით „ტეკას" მდივანთან პირად ლაპარაკზე. მარტო უნდა შესულიყავი. იქ „ოჩერედი" (რიგი) იყო, ეს იყო თბილისის კომიტეტი, თბილისის პარტიის კომიტეტი, მერე იყო „ცეკა" (ცენტრალური კომიტეტი). ჯერ „ტეკაში" უნდა შესულიყავი, დაგათვალიერებდნენ, ვისი შვილი ხარ, ვინა ხარ, როგორ ჩაბარე, რამდენი შეკითხვა მოგცესო, – ასეთ რაღაცეებს იკვლევდნენ. მერე გეტყოდნენ: ბიურო გვექნება და ცხრაში მობრძანდებით. ახლა „ტეკას" ბიუროზე! „ტეკას" ბიუროზეც შეკითხვებს იძლეოდნენ ისევ: რომელ კომპარტიაში იყავი? საიდან მიგიღეს? რამდენი წელიწადი იყავი კომკავშირში? რამდენ ხანს იყავი კანდიდატი? მერე უკვე – კუტუზოვი ვინ იყოო? – რაც მოესურვებოდათ. „ტეკა" თუ მიგიღებდა, გადაგზავნიდა საბუთებს „ცეკაში". „ცეკაში" იყო მაშინ ჩარკვიანი, კანდიდ ჩარკვიანი, ისეთი დისციპლინა იყო მაშინ, რომ თორმეტჯერ ავირჩიეთ ჩარკვიანი „ცეკას" მდივნად. მოსკოვიდან

მარიამ გელაშვილი (მარჯვნიდან მესამე) პარტიული ბიუროს სხდომაზე

იყო განკარგულება, მოდიოდა აქ თითოეულ პარტორგანიზაციაში, ყველაზე მეტ ხმას მივცემდით ჩარკვიანს, მერე თბილისის კომიტეტში ყველაზე მეტ ხმას მიიღებდა ჩარკვიანი, მერე ყველაზე მეტ ხმას მიიღებდა „ცეკას“ კრებაზე და ისევ ის იყო მდივანი. ცამეტი თუ თოთხმეტი წელი იყო ჩარკვიანი მდივანი. ბერია იყო ხუთი წელიწადი, ჩემ დროსაც ბერია იყო მდივნად, იმან გაანადგურა აქაურობა და ჩქარა მოუსვა მოსკოვში, მარა მე ჩარკვიანის დროს შევედი პარტიაში, სხვათა შორის, ძალიან კარგი კაცი იყო. იმასთანაც პირადად უნდა შესულიყავი. გარეთ იყო ხალხი, მისაღებში ელოდებოდა. „ოჩერედი“ იყო, მარტო მე ხომ არ ვიყავი. იმან ბევრი შეკითხვა არ მომცა, – ეხლაო, ბიძია, ჩემამადე რაკი მოხვედიო, კაი გოგო ხარო, მითხრა, – „ცეკას“ სხდომაზე მოდიო. ზუსტად მახსოვს: ხუთ რიცხვში გვექნებაო, აგვისტოს ხუთში. – არ დაავიანო, მოდი და დაჯექი, გამოგიძახებთ, შეკითხვებს მოგცემთ, დაგამტკიცებთ და პარტიულ ბილეთს მოგცემს ლენინის რაიკომიო. მაშინ იყო ლენინის რაიონი, სტალინის რაიონი, ამას – სამგორის რაიონს, ერქვა „სტრაიტელნი“ (სამშენებლო) რაიონი. ყველაზე მეტი ქარხანა იყო სამშენებლო აქ. „სტრაიტელნი“ რაიონიდან ვიყავი მე იმიტომ, რომ „პაჟარნი კამანდა“ (სახანძრო რაზმი) იყო აქ, აგერ, ნავთლუღში. დაბლა იყო მოლოტოვის რაიონი. ეხლანდელი პლეხანოვი იყო სტალინის რაიონი. ცოტა ხნის წინ ლენინის რაიონი რომ იყო, მაშინაც ლენინის რაიონი იყო. ეხლა ის ნაძალადევია. გლდანი და დიდუბე როა ეხლა, ან მესამე მასივი, ისინი კი არ იყო. მესამე მასივის ადგილას იმდენი ყაყაჩო ყვაოდა, იქ ვასწავლე ნუგზარს ველოსიპედზე სიარული, დაბლა შოსეს ნაპირზე ვატარებდი, იმიტომ რომ იმხელა ყაყაჩოები და ბალახი იყო, იქ ვერ ივლიდა ბავშვი. ზევით მთა იყო, იქ სულ ჩემ დროს შეეფინა და დასახლდა ხალხი. საუკუნის ქალი ვარ რა, ხო, დამავიწყდა, ლენინის რაიკომშიც რომ ვიყავი გამოძახებული სანამ „ტეკაში“ ვიქნებოდი. ავედი ჩემი კრებიდან ლენინის რაიკომის მდივანთან, მერე ლენინის რაიკომის ბიუროზე, და მერე „ტეკაში“. აი, უყურე რამდენგან ვიყავი, ჩემთან – სახანძრო გუნდის პარტიულ კრებაზე, ლენინის რაიკომში, „ტეკაში“ – თბილისის

კომიტეტში და „ცეკაში“, ხოდა ჩემი პარტიული ბილეთი და ვინც ცეცხლი მოუკიდა, ერთია? აგერ მაქ პარტიული ბილეთი, მოვკვდები და ჩადებენ კუბოში. როცა შეწყდა (კომუნისტური პარტია) ისიც შიგ არი, როცა შევედი, ისიც შიგ არი. 1939 წელი, ნოემბერი – პირდაპირ წერია.

ხო, ჩარკვიანი ძალიან კარგი კაცი იყო, ურთიერთობაშიც კარგი იყო. უბრალო ადამიანი იყო ძალიან და ჩარკვიანის დროს არავითარი უკანონო დაპატიმრება არ ყოფილა. შეწყდა მერე, ბერია რომ წავიდა. ყველა ბოროტების დასაწყისი ბერია იყო, რაც ნიჭიერი ხალხი იყო, ბერიამ გაანადგურა. რა გააკეთა იცი, ბერიამ? დააწერინა პროფესორს, ჯავახიშვილს, აი, ამსისხო წიგნი – „ამიერკავკასიის პარტორგანიზაციების სახელმძღვანელოდ“, დააწერა ავტორად ლავრენტი ბერია და ის კი ჩააგდო ჯურღმულში და მოაკვლევინა, რომ სადმე არ წამოსცდენოდა, რომ მისი დაწერილი იყო. ბერიამ რა იცოდა პარტიისა, იმან კი მთელი ისტორია დაწერა. მერე ჩვენ ის წიგნი გვქონდა ბერიას ავტორობით და ვსწავლობდით. რამდენიმე ხნის მერე კი ერთად დააპატიმრეს ის პროფესორი და ერთი ოპერის არტისტკა, ინგლისელი დიპლომატი რატო გიყვარსო...

მაშინ იყო, ვაგონიც რომ დაწვეს. ასეთი ლაპარაკი იყო, განგებ გააკეთესო. ხარაგაულთან მდინარე ყვირილა მოდის, როგორც გიჟი. ხარაგაულს რომ გასცილდები, არის ასეთი ადგილი, აქეთ ხევია, მდინარე მოდის და იქით კლდე. ხოდა განგებ გააკეთა ეს ვიღაცამ ხელისუფლების დავალებით. ვაგონს ნავთი მიასხეს უკან, როგორც გამოვიდა ლაპარაკი, მოუკიდეს, მერე ისე გააკეთეს, რომ, როცა უნდა გაჩერებულიყო, ისარი გადაუგდეს, ასცდა ლიანდაგს და გადავარდა წყალში ცეცხლმოკიდებული ვაგონი. მაგრამ მანამდის ხომ ეკიდა, განა შევიდა სადგურში – ხარაგაულში. ვითომ ცეცხლის ჩაქრობა უნდოდათ, დარბოდნენ აქეთ-იქით, რო დამწვარიყო ხალხი; როცა შეატყეს, რომ უკვე სახურავი აღარ იყო, უკვე კედელიც გადაბრუნდა, ისარი გადაუგდეს და გადააგდეს წყალში. ეს 37 წლებში იყო, მე მგონი იქ იყო სულ კარგი ხალხი, ნიჭიერი. მთავრობაში ნამსახური ხალხი იყო ადრე და რა უთხრეს, იცი? ჩაგიყვანთ ბათუმში და საკუთარი სახსრებით საზღვარგარეთ გაგისტუმრებთ, რომ არ დაგხვრიტონო. დაენანათ გაშვება გადასახლებაში, რომ ცოცხალი აღარავინ ჩამოსულიყო. აი, ამაში იყო საქმე. ვერ გეტყვი რა გვარები იყვნენ, მარა სულ დიდი ხალხი იყო. ასე იშორებდნენ ხალხს.

მახსოვს, „ემვედეს“ მბეჭდავად რომ ვმუშაობდი 3-4 თვე, დამაბეჭდინეს სია, მეორე დღით რომ უნდა დაეპატიმრებინათ, იმ ხალხის. ძალიან დიდი სია იყო. რომ ვბეჭდავდი, სიაში წავიკითხე ჩემი შტაბის უფროსი – ფარცვანია კაკო, მოადგილე – გულუა შაქრო, წავიკითხე ჭონიაშვილი. პარტკომის მდივანს ვინ ახლებდა ხელს! პოლიტხელი გოგოშვილი და პარტკომის მდივანი ხელნახლები არ იყვნენ. მე რომ მაბეჭდინებდნენ, არავის არაფერს ვეუბნებოდი. ესე მიჩვენებდნენდნენ (თითს იდებს მოკუმულ ტუჩებზე). ის ღამე სულ ტირილში გავატარე. ვიცოდი, რომ მეორე დილას არ მოვიდოდნენ. მართლაც, შევედი სამსახურში და დამიძახა ვადაჩკორიამ, ჩემმა პარტკომმა, – რა გინდა, გოგო, აღარავინ აღარ არის მანდო. ვითომ არ ვიცოდი, – როგორ თუ არ არიან, კაცო, რაზმის უფროსი მოვა-მეთქი. ისე მოვიდა შენი მტერი! წუხელ წაეყვანათ ფარცვანია, გულუა და ჭონიაშვილი. რას ერჩოდნენ, სუყველა ალალი ხალხი იყო. არავისთვის არ შემინიშნია ერთი

უბადრუკი სიტყვაც კი მთავრობაზე. ნიჭიერები იყვნენ. ნახევარი შენობა დაცვის უფროსისა იყო და ნახევარი შტაბისა. ესე იგი, ჩვენ ამიერკავკასიას ვეკუთვნოდით, ის – უშუალოდ მოსკოვს. მთელი ბათუმი, ქუთაისი, ბაქოს შუაგზამდე და ერევნის ხაზი იმათი იყო. დაცვა იყო ის, რკინიგზის დაცვა. მეორე ღამეს იქიდან წაიყვანეს კაკაურიძე, დაცვის უფროსი, მოადგილე კვაჭანტირაძეც მიაყოლეს. კაცმა არ იცის რატო. ეს უკვე მე არ დამიბეჭდია, არ ვიცი ვინ დაბეჭდა ის სია, იმათ სხვა მემანქანე ჰყავდათ. 37 წლის ამბავს გეუბნები, იჭერდნენ და მეტი არაფერი. უფლება არ გქონდა გეკითხა, – რატო? აბა გეთქვა! მერე მითხრეს, ჭონიაშვილი ჩამოვიდაო. ხომ იცი გოგოო, – მითხრა ჩემმა ყოფილმა თანამშრომელმა, ქვახრელიდან იყო, ხომ იცი, რომ ჭონიაშვილი ცოცხალი მოვიდაო! რას ლაპარაკობ, საიდან იცი-მეთქი, და მისი ცოლი ყოფილა ქვახრელიდან. ჩვენთან იყო ამ ზაფხულს, ძალიან გატეხილია, ჯოხით დადის, მეხსიერება კარგი აქვს, ოღონდ ყრუ არისო.

ისე მინდოდა ნახვა, ისე მინდოდა... ჩემი მეუღლე ავად იყო, თავზე ვადექი. თორემ დიდი სიამოვნებით გადავკოცნიდი და მივულოცავდი დაბრუნებას. 25 წელიწადი გადასახლებული იყვნენ. ფარცვანია არ დაბრუნებულა, არც გულუა დაბრუნდა, არც კაკაურიძე. ერთად არ ყოფილან, ერთი იქ, ერთი – აქ, სხვადასხვა ლაგერში. ხომ ვკითხულობდით მერე. როცა მალენკოვმა გაათავისუფლა ხალხი, დავიწყეთ უკვე ხალხის მოკითხვა.

მე მინახავს ასეთი რამეც: შემოდიოდა ჩვენთან ლიანდაგში დასადები მოჭრილი „შპალები“, ხისა იყო მაშინ, ეხლა რკინა უწყვიათ. ის შპალები იჭრებოდა და მოდიოდა ციმბირიდან, იქ დიდი ნაძვებია. მოდიოდა ჯერ სუფთა, მერე იხარშებოდა ჩვენთან „კლიაზოტში“, მაზუთში და უდებდნენ ლიანდაგს, რომ არ დამპალიყო ადრე. იმ შპალებზე გადასახლებული პატიმრები, ცოცხალი ვინც იყო, თავებზე სახელებს და გვარებს აწერდნენ. ლიანდაგიდან გამორეკვა გვიხდებოდა ხალხის. „ტავარნი“ სადგურიდან დაგვირეკავდა ხოლმე პარტკომი: კაცო, ხალხითაა სავსე, ვერ დაგვიხარისხებია ვაგონები, შპალებზე შემძვრალანო. აქეთ-იქით ძვრებოდნენ ვაგონებს შუა და ყველა თავებს ათვალიერებდა. პატიმრები ბოლოში კი არ აწერდნენ, გადაბმულები სადაც იყო – იქ, რომ გზაში არ შეენიშნათ. ხო შეეძლოთ, გადაესვათ მაზუთი. ხოდა ასე ეძებდნენ, მიწერ-მოწერა ხომ არ იყო, ვინ მიგაწერინებდა პოლიტიკურ დამნაშავესთან. კითხულობდნენ იქ გვარს და სახელს და გახარებული იყვნენ, რო აი, დღემდე ცოცხალიაო. „ახრანას“ ხალხის გარეკვა უხდებოდა რკინიგზიდან: დასახარისხებელია ვაგონები, შპალები გორში მიდის, ხალხო, გაეცალეთო, უძახოდნენ. გორში იყო „კლიაზოტის“ ქარხანა, ხალხი უკმაყოფილო იყო, დღე და ღამე სუნი იდგა. უშველებელი ქვაბი იყო, ჩაყრიდნენ ამ შპალებს, მერე ამოიღებდა ამწე და დადებდა. გაშრებოდა და შემდეგ აწყობდნენ ლიანდაგის ქვეშ. ეხლა რკინები დევს. ის არასოდეს არ გაფართოვდება. ზევით ლიანდაგს აქვს აი, ასეთი წვრილი რკინა, „სვარკა“ (შედუღება) აქვს გაკეთებული ზემოთაც და ქვემოთაც. ვინიცობაა, დაბლა უღალატოს დაბმულმა ადგილმა, მაღლა ვერ გაფართოვდება.

ოცდათვრამეტში რომ გავთხოვდი და ხელი მოვაწერე, ოცდაცხრამეტში ბიჭი მყავდა. ნოემბერში გარდაიცვალა ის ბავშვი. „შიპცებით“ დაიბადა. ერთხელ ვაწოვე მარტო და მითხრეს, გარდაიცვალაო. გაიტანა ჩემმა ქმარმა,

მომატყუა, მამა ჰყავდა დასაფლავებული და იქ დავასაფლავე ბავშვიო. წაიღო, ჯიბრზე წაიღო. გაუყვანეს სამაჯურით, ნომერი მე ვუთხარი და წაიღო და დაასაფლავა. მე დიდხანს ვიწექი, ნაკერები მქონდა. ბავშვი რომ გარდაიცვალა, კიდევ 15 დღე ვიწექი. შიგნითაც ვიყავი ნაკერი, თორე გარეთ ვინ ჩიოდა, წყალს არა ვსვამდი, რომ შარდზე არ გავსულიყავი. მეწოდა ყველაფერი. როცა მკერავდა, ექიმს ვუთხარი, ხომ გამწერ ძაფებს რომ ამომიღებ-მეთქი. გაწერა გინდაო? – გადააბრუნა შუშა და მთელი „ფლაკონი“ იოდი ჩამასხა შიგ – როცა გაივლი, მაშინ გაგწერო. ფეხზე ვეღარ ავდექი. მერე შემობრუნდა წელიწადი, 1940 დადგა და ზუსტად ნოემბერში დამებადა იზო. ამ ჩემს ქმარს კვლევა-ძიება აქვს, ეს გოგო რო მყავს. მერე ბიჭს რომ ვუყვარდი, ნიკო რომ ერქვა, ოსი, ის მოიყვანა, აკვანში ბავშვი რომ მეწვა, – წამოვალო შენთან, ბავშვი მინდა ვნახოო. გავიხედე და არ მოიყვანა ნიკო სახლში! კინაღამ მუხლები ჩამეკეცა. უწინ აკვანს გადახედა, საჩუქარი მოუტანა ბავშვს. ყვავილები მომიტანა, „ბანბანერკა“ მომიტანა. აკვანი შევატანინე შიგნით ამბროსის, შევედი ოთახში და გარეთ ვერ გამოვედი, იმდენად მძიმედ მაწვა გულზე იმის სიყვარული და ღალატიც. თვითონ გაიკეთეს საჭმელი. სუფრა კი გავუშალე, მითხრა:

– გეუბნებოდი, თუ მიღალატებ, შენ მიღალატებო, ხო სწორე გამოვდექიო?

მერე ამბროსიმ უთხრა:

– გულს რატო სტკენ, მაგას არ უღალატია შენთვისო.

ლაპარაკში არიან, დალიეს შამპანური და წავიდნენ. 2 წელიწადი რომ გავიდა, წავიდა ნიკო ქვიშხეთში და ჩემი მეზობელი ქალი წამოიყვანა, ბლიაძე. ზაფხულში რომ ჩავსულიყავი დედაჩემთან და მამაჩემთან, იქით უნდა გადამეხედა, იმათ ეზოში და ის ქალი უნდა დამენახა. არასოდეს არ ჩავდიოდი ზაფხულში დედ-მამასთან. ბავშვს ვაგზავნიდი, მე არ მივდიოდი. რომ გავიგებდი, წამოვიდნენო, მერე ჩავდიოდი. მანამდი სცემეს ერთმანეთი კარგად ჩემმა ქმარმა და ნიკომ. ბოთლიც ესროლეს და ჩემ ქმარს ეტყობოდა სახეზე. მერე შერიგდნენ, რა ვქნათ, ბედი ასე ყოფილაო. შემდეგ, ბავშვით რომ მოვდიოდი ბორჯომის მატარებლით, იზო იდგა ხოლმე „პოლკაზე“, იხედებოდა. იცნობდა ბავშვს, „აბა, დედიკომ გადმოიხედოსო“, გადავიხედავდი და იზოს მისცემდა ვარდის კონას. კარგი ბაღი ჰქონიათ ვარდების, საიდან გებულობდა, არ ვიცი, ალბათ, ოცეულის ბიჭები ეუბნებოდნენ. ხოდა:

– რატომ წუხდებოდი-მეთქი.

– ხომ ახდა ჩემი სიტყვა, მოღალატე ხარო.

მაშინ „ახრანაში“ ვმუშაობდი, ქმარიც კარგი მყავდა, მაგრამ ამ შტერმა, ამ „სპერკასის“ გამგემ დაკარგა ინკასატორი და დააპატიმრეს. „ზიფსის“ ქვეშ რომ დიდი „სპერკასა“ იყო, იმის გამგე იყო. რაიკომის ბიუროს წევრი, პარტიის წევრი, კარგი კომუნისტი. მამაჩემი იმიტომ აფასებდა. მე რომ გავყევი, მაშინ არ იყო არაფერი, მერე ჩემ დროს გახდა ეგ ყველაფერი. იმ ინკასატორს დიდუბეში უცხოვრია მტკვრის პირზე, ახალი ჩამოსული იყო სოფლიდან. მუშტაიდი რომ არი, მაშინ მაგხელა კი არ იყო, მინდორი იყო მტკვრის ნაპირზე და ვინც ჩამოდიოდა სოფლიდან, ჯერ იქ ცხოვრობდა. კანონი იყო, სამი წელი თუ ცხოვრობდი თბილისში, ჩაგწერდნენ. ამიტომაც იქ იმალებოდნენ ქოხებში. მერე ცნობას იღებდნენ, ნამდვილად რომ ჰყავდათ თავისი კომენდანტი, ბინის ქირას

რომ იხდიდნენ, რომ სამი წელიწადი იცხოვრეს, და ჩაწერდნენ. ამოდიოდნენ მერე და ბინას აძლევდნენ. იქ უცხოვრია იმ ბიჭს. ხოდა უთხრა: ბიჭო, მაინც დიდუბეში მივდივარო. მერე გაატანა ფული, 650 მანეთი, დიდუბეში ჰქონდა პატარა „ბუტკა", ფოთის ქუჩის თავში. განყოფილებები იყო, ხალხს ჰქონდა ფული შენახული, ზოგს გამოჰქონდა, ზოგს შეჰქონდა. ეხლა ყველა „ზიფში" ხო არ წავიდოდა, ტრამვაის პარკშიც იყო ეგეთი „ბუტკა". შეკვეთებით მიდიოდა ხალხი – მე 100 მანეთი მინდა, მე 200 მანეთიო. ჩემი ქმარიც დილით რო მივიდოდა, იქნებ გაეტანა ვიღაცას, წინასწარ ატანდა ხოლმე ფულს ინკასატორს. მაშინაც 650 მანეთი წაიღო გასაცემად. იქ რომ ჩაუხვია, ეტყობა წაართვეს პორტფელი, ფული ამოართვეს და თავის პორტფელიანად მტკვარში გადააგდეს, დაიკარგა ის კაცი. დაიკარგა და დააპატიმრეს ჩემი ქმარი. იმის შარი ვერ მოსდეს, შენ მოკალიო, რაიკომის წევრი იყო, ძველი პარტიული იყო კაცი, კარგი სტაჟი ჰქონდა. მე შემირთო თუ არა, პარტიაში შევიდა. გამომძიებელმა თქვა: იმის ლაპარაკი, რომ მაცაბერიძე იმას თვითონ მოკლავდა, ზედმეტიაო, მაგრამ მუხლი მოგიდგება, ძმაო – „ხალატნოე ატნაშენიე კ სლუჟბე" (სამსახურებრივი დაუდევრობა), წელიწადნახევარი გეკუთვნისო. ორ კვირაში მოიყვანეს დახურულ სასამართლოში და – თავს დამნაშავედ ვგრძნობო, – განაცხადა. გამომძიებელმა თქვა: – რო ეთქვა, თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ, არაფერს არ მივუსჯიდითო. ჩასვეს წელიწადნახევარი, დავრჩი ძუძუთა ბავშვით, იზოლდათი. ომი არ იყო დაწყებული, რომ დააპატიმრეს სამსახურისადმი გულცივი დამოკიდებულების გამო. ვალი ხო ჰქონდა ჩემ ქმარს გადასახდელი, ხოდა ამიკრძალეს ქალაქიდან გასვლა, ამიწერეს ქონება. ჩემი ქმარი იყო ხის მოხელე. კარგი მაგიდა მქონდა, ლომის ფეხებით და ლომის სახე ჰქონდა შუაში ამოჭრილი. ზურგიანი „სტოლი" მქონდა, კარგი „კრაოტები" მქონდა, ამიწერეს შენობა და წაიღეს ამ ფულში. არაფერი აღარ დამრჩა ჩემი ქმრის გაკეთებული. არც შეცხვენია, ისე შეისყიდა ჩემმა მეზობელმა სულ კაპიკებში, გახსოვს, რაჭველი ქალი იყო-მეთქი რომ გეუბნებოდი, იმან. ჯავრი იყარა ჩემზე იმ ქალმა.

41-ში დაიწყო ომი. გამოვიდა სტალინი და გამოაცხადა, რომ თავს დაგვესხა გერმანია. არ გასულა ერთი კვირა, მული მოვიდა ჩემი, ქათამი ვიყიდეთ, რაღაცა და მივედით „პერედაჩაზე". გამოვიდა მცველი და ფრონტზე არის წასული თქვენი ქმარიო, მითხრა. გამოაცხადესო, 5 წლამდე ვინც არის დაპატიმრებული და ვინც არ არის, მაგალითად, მძიმე დამნაშავე, სურვილის მიხედვით, მხოლოდ მოწინავე ფრონტზე შეუძლია წასვლაო. პირველი გამოვიდა მაცაბერიძე და წავიდაო. ის ქათამი წამოვიღეთ, იქ არ დაგვიტოვებია, ვისთვის უნდა დაგვეტოვა. წამოვიღეთ სახლში. ჩემმა მულმა დაიწყო ჯავრი, ესაო, ისაო. მე ვუთხარი: – ეგ ჩვენი საქმე არ არის, ახლგაზრდა კაცია, თუ არ წავიდოდა, დასჭირდებოდათ და გარეკავდნენ. ნებით წასვლა სჯობდა და წავიდა კიდეც-მეთქი.

მოვიდა უკვე ნოემბერი, გაქანებული ომია, დაუშვა წვიმამ, აურია თოვამ და ჩამოდის წყალი ჩემს ბარაკში. მე გადახურვის თავი არა მაქვს, არ ვმუშაობ, მამაჩემს ჩამოაქვს ჩემთან 2 კილო ლობიო, 10 კილო ჭადის ფქვილი. იმით ვზრდი ამ ბავშვს. ბარაკში ვცხოვრობდი, აბა იქ ცხოვრება როგორ შეიძლებოდა, მაგრამ რაღაცეები რომ მქონდა სახლში, ის მენანებოდა და არ ვტოვებდი ამ ბარაკს. თან ხალხისა მრცხვენოდა. მამაჩემი გამოჩენილი კაცი იყო, კოლმეურნეობის

თავმჯდომარე, და როგორ მივსულიყავი და მეთქვა, ქმარი პატიმარი მყავს-მეთქი. ეხლა ფრონტზე წავიდა, ამას არაუშავდა და გავყიდე ის ბარაკი, მემანქანემ იყიდა, სხვათა შორის, ძალიან ძვირად იყიდა. წამიყვანა მამამ, მარა იქამდე დავწერე განცხადება, რომ ჩემი მეუღლე იყო „სბერკასის“ გამგე, რომ ჰყავდა რაჭველი ამხანაგები, ენდო დიდების პუნქტში მომუშავე „სბერკასის“ რაჭველ თანამშრომელს და საღამოთი გასცა ის ფული, რომელიც დილას უნდა მოსულიყო და წაეღო. იმ გაჭირვებულ კაცს უცხოვრია მტკვრის ნაპირზე, წაიღო ის ფული და იმ ღამეს დაიკარგა ფულიანად. ჩემმა ქმარმა სცნო თავი დამნაშავედ და ჩასვეს ციხეში. ამჟამად იგი წავიდა ფრონტზე. იყო პარტიის წევრი, რაიკომის ბიუროს წევრი, მოწინავე ადამიანი და ფრონტზე წავიდა სამშობლოს დასაცავად-მეთქი. დავრჩი მე 8 თვის ბავშვით, ჩამომდის ბარაკში წყალი, არ მაქვს საჭმელი, არ შემიძლია ბარაკის დახურვა. ჩავდე განცხადება კონვერტში და გავგზავნე ცენტრალურ კომიტეტში. მაშინ ცკ-ს მდივანი იყო ჩარკვიანი, ეხლა რო ბიჭი გამოდის, იმისი მამა. 16 წელი იყო ცენტრალური კომიტეტის მდივანი. მაშინ ხომ ასე იყო, გეტყოდნენ და ხმა უნდა მიგეცა ჩარკვიანისათვის, იქ ორი კაცი ტყუილად ეწერა (საარჩევნო ბარათებზე). კარგი კაცი იყო, თურმე ტელეგრაფით გადაუცია მოსკოვში ჩემი განცხადება. ბერიას მივწერე, როგორც აქაურ კაცს. სტალინს როგორ ვაკადრებდი, წყალი ჩამომდის და არიქა, მომეცი საჭმელი-მეთქი. ბერიას მივწერე, როგორც ჩვენიდან წასულ ადამიანს, გთხოვთ, დახმარება გამიწიოთ-მეთქი. ეს იყო პარასკევს. შაბათს ჩავაცვი ბავშვს და კრუხ-წიწილა მიმყავს გასაყიდად. კაპიკი არა მაქ, პური რომ ვიყიდო. გავიხედე, მოადგა „გრუზავიკი“ კარებს. კაცო, ვიძახი, გუშინ განცხადება დავწერე, დღეს კიდე:

– აქ ვინ არის მაცაბერიძე მარიამიო? ვუთხარი, მე ვარ-მეთქი.

– თქვენთან ჩამოდის წყალიო? – კი-მეთქი.

– აბა, რომელია შენი სახლიო? – აი, ეს-მეთქი.

მიადგეს გასაშლელი კიბე, აიტანეს ტოლი და ერთპირად კი არა, ორპირად და სამპირად დახურეს, უკან რო არ წაეღოთ.

– იმდენი დავხურეთ, ეს ბარაკი სულ რომ დაიწვას, ტოლი მაინც არ დაიწვებაო.

გავიხედე და გადმოათრიეს დიდი „მეშოკი“, კარტოფილით სავსე.

– ეს ვისგან არის-მეთქი?

– ბერიამ გასცა განკარგულება, ზამთარში რამდენიც ეყოფათ, იმდენი კარტოფილი და ზეთი მიუტანეთო.

მალფუჭებადი პროდუქტი არ იყო. მაკარონი – 4 კილო, ბრინჯი. კინაღამ გადაირივნენ მეზობლები. ზიდავდნენ მუშები. მაშინ ცელოფანი არ იყო, ტომრებში იყო ყველაფერი. ვუთხარი:

– არა მაქ ახლა ამისი ტომრები-მეთქი. – მერე ვის უნდა შენი ტომრები, ჩვენთვის არ უთქვამთ, ტომრები უკან მოიტანეთო.

ზეთი იყო ბალონით. ის ბალონი ეხლაც მაქ, სამახსოვროდ დავიტოვე. ცისფერი „ემალიროვანი“ ბალონი იყო თავისი თავსახურით. შემოიტანეს, გაავსეს ოთახი და კრუხ-წიწილას რაღას გავყიდდი! პური არ მქონდა, მარა კარტოფილი მოვხარშე. გაიგეს ჩემმა მულებმა და გამოცხადნენ. სუყველა მდიდარი იყო, არავინ არ მეხმარებოდა.

– რა მოიტანეს, ბოშოო? – რაც მჭირდებოდა, ის მოიტანეს. რა გინდათ ახლა თქვენ, აქედან ხომ არ გინდათ რამის წაღება-მეთქი?

არადა, ერთის ქმარი მარმარილოს ქვების ხელოსანი იყო, 40000 მანეთს იღებდა ერთი საფლავის გაფორმებაში. მეორე მულის ქმარი „სტალიარი“ იყო განთქმული. მაგრამ არც ერთი არ მეხმარებოდა ფულით. ხან ჭადის ფქვილს მომიტანდნენ 2 კილოს, ხან – ყველის ნაჭრებს. მდიდარი ხალხი ძალიან ხელმოჭერილი, წუწკი ხალხია. ენანებათ, რომ გაჭირვებულ ხალხს მიეხმარონ. ჯერ რამდენი რამე მაჩუქეს ქორწილში, ის ჩემს რძალს დარჩა, არაფერი არ მოუცია ჩემთვის. წინათ მოდა იყო: ატრეზები მოჰქონდათ – საკაბე, საპალტოვე... კრევდიშინი მოჰქონდათ, ფაიტიშინი მოჰქონდათ. ბეჭედი ძვირი ღირდა და მაინცდამაინც არავის მოჰქონდა. „ჩულქები“ მოჰქონდათ, „დუხები“ მოჰქონდათ, ვისაც რა შეეძლო. მოვიდნენ გურულები საჩუქრებით სავსე. იქ დარჩა იმ ღამეს ყველაფერი და ერთი არ უთქვია, წაიღე და შენ რაც მოგიტანეს, შეიკერეო. მერე შეიკერა იმისმა გოგომ, ტექნიკუმში რომ იარა. მე კი, ჩემმა იზომ რომ დაამთავრა, ფული არ მქონდა, რომ კაბა მეყიდა. რკინიგზელები ვიყავით და ძვირფას საკაბეს როგორ ვიყიდდი, ჭმევა უნდოდა ბავშვებს, ქათმები გვყავდა, ღორი გვყავდა, იმათი საჭმელიც ცალკე, და ვერ ავიტანე ეს ყველაფერი. ხოდა, გაიხადა იმ გოგომ და ჩემთვის მოლოცვილი თეთრი კრევდიშინის კაბა იზოს მისცა. არ მითქვამს იზოსთვის არაფერი, როცა მითხრა, დედა, თალინამ კაბა მაჩუქაო, თალინას კაბა კი არა, ჩემთვის მოლოცვილი კაბა იყო. უნამუსო ქალი! აი, იმიტომ გურულებზეც არა ვარ კარგი შეხედულების. მეგრელები ხო არიან და არიან და არც გურულები არიან ნაკლებები. არადა, იცი როგორ მდიდრად ცხოვრებდნენ! ის მაზლი კიდევ ხე-ტყის ქარხნის უფროსი იყო. თან რა ეშმაკურად მოიქცა?!

წავიდა და უთხრა მთავრობას, ქარხანას გაბარებთ სახელმწიფო სარგებლობაში, ოღონდ დირექტორი მე უნდა ვიყო, მე ვიცი ქარხანას რაც უნდა გავუკეთოო, რასაც მეტყვით, გადავიხდიო. ჩემს მაზლს შალიკო ერქვა, იმას, ვინც წამიყვანა. დატოვეს კომუნისტებმა, მართლა აბარებდა ყველაფერს, შეუკვეთეს სკოლის გადასაშლელი მერხები. დაამზადა არაჩვეულებრივები, რა ფერსაც ეუბნებოდნენ, „კრასკავდა“ (ღებავდა) იმფრად. ურიცხავდნენ ფულს და ის კიდევ სალაროში აბარებდა რაც უნდა გადაეხადა, ე.ი. შემოსავლის ნაწილს. „სკაჩკა“ რო არის იქითკენ, მთელი ის მინდორი მაგის ხე-ტყის ქარხანას ეჭირა. ეს ყოფილი „სკაჩკა“ იყო დიდუბეში, მეტროსთან სანამ მივალთ, იქ. ახლა უკვე სახლებმა დაფარა ის მინდორი. იცი, როგორ უნდა გამოიცნოს კაცმა? სახლები რომ მთავრდება, მერე არის ელექტროქვესადგური და დიდუბისკენ მიდის უკვე მანქანა, დიდუბის „ტავარნი“ სადგურსა და დიდუბის რკინიგზის სადგურებს შორის ადგილი, ვიდრე ტრამვაის ლიანდაგამდე, ჩემს მაზლს ეჭირა. თავისი მამის ალალი ძმის შვილი უშველებელ მორებს უჭრიდა კახეთში და უგზავნიდა. ვაჟკაცი ბიჭი იყო. უთხრა, შენ მორები წამოიღე, მე კი სახლს გიყიდი და ცოლი ითხოვეო. მოკვდა საწყალი, მორებს რომ აცურებდა, მორმა წაიღო და დასრისა. მერე ჩემმა მაზლმა გაზარდა იმისი და. ობლები იყვნენ და-ძმანი. ბიძინა მაცაბერიძე უცოლო მოკვდა იქ.

იყო მეორე ბიძინა მაცაბერიძეც, ჩემი მამამთილის მესამე ძმის შვილი, რომელსაც, ისანთან რომ ქიმიური ქარხანა იყო და გაშეშებულ „პლაშებს“

აკეთებდნენ, ის ქარხანა ჰქონდა. მოიგონა და თითონ ქიმიურად დაამზადა რბილი პლაშების ხსნარი. მიწაში ჩაძვრა და „პადვალი“ გააკეთა. ხალხი თავსახურავიდან ჩადიოდა იქ. მაღლა ჰყავდა სამასი მუშა და დაბლა – ორასი. იმათ კაი ხელფასს აძლევდა, ამოჰქონდა ის „პლაშები“ და ეგრევე მიჰქონდა როსტოვში. აქ არ იყიდებოდა, აქ არ აჩენდა, თბილისში. მერე ვიღაცამ გაყიდა, ვიღაც მუშამ და დახვრეტა მიუსაჯეს. აბა, კომუნისტები რას შეარჩენდნენ?! ათი წელიწადი კი ჰქონდა ის ადგილი, ათი წლის განმავლობაში ამუშავა იქ ხალხი. აი, ეხლა მოკვდა ეს ნუნუ, ჩემი მეზობელი, ეს იყო მოწმე. „სუდი“ რომ იყო, ჩემი ქმარი ესწრებოდა, ალალი ბიძაშვილი იყო და დაესწრებოდა, აბა რა! დააბრალეს სახელმწიფოს, სოციალისტური ქონების ქურდობა. ვაკეში ორსართულიანი კარგი სახლი აიშენა, უკვე ცეხი რომ ჰქონდა, შეირთო ქალი, რომელიც, ულამაზეს ქალთა სიაშია შეყვანილი – დამანა ბაგრატიონი, მსახიობი იყო რუსთაველის თეატრისა. 30 ქალია შეყვანილი ულამაზეს ქალთა სიაში, გაზეთში წავიკითხე, წიგნიცაა გამოსული და დამანაც არის იქ ნახსენები. კაციც ძალიან ნიჭიერი და ლამაზი იყო – მაღალი, მოქერაო, ჭრელთვალა. აბა, ნიჭიერი რომ არ ყოფილიყო, პირველი როგორ მოიგონებდა ისეთ ხსნარს, ის გაშეშებული „პლაშები“ რომ დაარბილა. მაღლა რომ ამზადებდნენ „პლაშებს“, იმას რომ მოიხსნიდი, მკლავზე უნდა გადაგეკიდა, გაშეშებული იყო, ვერ მოკეცავდი. ის პლაში კიდევ ისე იკეცებოდა, დაახვევდი და ჩანთაში ჩადებდი. ცელოფანში ჰქონდა ასე ჩალაგებული და მიჰქონდა მანქანას როსტოვში. რა თქმა უნდა, შემოსავალი სულ თითონ კი არ რჩებოდა, ოთხას მანეთს აძლევდა თითო მუშას მაშინ, იმიტომ რომ უჰაეროდ იყვნენ მიწაში. რა ჰქონდა იცი, გაკეთებული? ეზოში საპირფარეშო იყო, საპირფარეშოს უკან ჰქონდა საჰაერო და გარეშემო იყო დარგული ბუჩქები, მარადმწვანე ბუჩქები რომაა ბაღებში, ისეთი. ხოდა ვერავინ ვერ შენიშნავდა, მერე „ზაბორი“ იყო ამ პლასტმასის ქარხნის. იმ დიდი მილიდან ჰაერი ჩადიოდა, ხალხს ხო უნდა ემუშავა, აბა! ისიც თითონ გააკეთა, ორი ბუჩქი იყო, ერთი ძალიან მაღალი იყო, გაკრეჭილი, გალამაზებული, შუაგული ჰქონდა დარჩენილი და ამოდიოდა დიდი „კრიშიანი ტრუბა“, როგორსაც „ფეჩს“ უკეთებენ, რომ არ ჩააწვიმოს. ნუნუს რომ ვეკითხებოდი, ჰაერი თუ გქონდათ-მეთქი, ისეთი ვენტილაცია გვქონდა, რომ მაღლა არ იყო ისეთიო. ორი დიდი „ტრუბა“ იყოო და დიდი ვენტილატორები ტრიალებდნენო.

1967 თუ 68 წელი იყო, ბიძინა რომ გაასამართლეს, დააპატიმრეს და მიუსაჯეს დახვრეტა. დამცველმა თქვა: – ეს კაცი მხაზველი ინჟინერია, არაფერი ამან არ იცის, მაგრამ ისეთი ნიჭიერია ქიმიაში, რომ ცოდვაა, მოდი გავასახლოთო ლენინგრადის ზევით და მოკვდეს თითონ საყინულეშიო, იქ კიდე რაღაცას მოიგონებსო. რათ გინდათ, რომ მოკლათ, ნამუსი არა გაქვთო?

შეუცვალეს სამუდამო პატიმრობა და ლენინგრადის იქით გაასახლეს. მართლა ნიჭიერი იყო ქიმიაში. აბა, არაფერი იცოდა და ნარჩენები რომ რჩებოდა გამხმარი „პლაშებისაგან“, იმ ნარჩენებს ადუღებდა და რბილ „პლაშებს“ უშვებდა. განა ზედმეტი მასალა მოჰქონდა რამე. რომ გამოიჭრებოდა სახელო თუ უკანა ნაწილი და ნაკუწები მორჩებოდა, იმ ნარჩენებს ადუღებდაო, – ნუნუმ. მე აისორს მეძახდაო. შავი იყო და იმიტომ: – აისორო, მოდი აქ ჩემთან, არი მოხარშულიო? ნახე, ნაჭრები აღარ იყოს შიგაო. ისე იტირა, ისე იტირა, რომ გაასამართლეს,

სულ თმებს იგლეჯდა. მე არ მიტირია იმდენი, იმან იღრიალა, ამბროსი რომ მოვიდა სასამართლოდან და თქვა, დახვრეტა მიუსაჯესო. პური აღარ უჭამია ჩემს ქმარსაც. მერე კასაცია იყო და გამოვიდნენ ტელევიზორში და თქვეს, რომ შეუცვალეს განაჩენი სამუდამო პატიმრობით. ცოლმა იჩივლა: – კაცო, რა გაგიკეთათ ამისთანა, ცეხი ჰქონდა, მეტი ხომ არაფერი, რა დააშავა ამისთანა, კაცი მოკლა თუ რაო! – მისწერა მოსკოვში. ჩარკვიანი იყო მაშინ მდივანი. ბერიამ განკარგულება მისცა, რომ ყველა ნიჭიერი კაცი უნდა მოისპოსო და იმიტომ კლავენ ჩემ ქმარსო. დააწერა, პირდაპირ სტალინს ჩაბარდეს ხელშიო, მიიტანა „ემვედეში“ და მისცა დეპეშა. მიიღო სტალინმა და თქვა, შეეცვალოს ათი წლის პატიმრობით, ჩვენ დასახვრეტი ნიჭიერი ხალხი არა გვყვავს, ჩამოვიდეს ლენინგრადში და იმუშაოსო. ფინეთის საზღვარზე რაღაც ქარხანა ყოფილა და იქ მუშაობდა მართლაც. მოიგონა, კაცო, იქაც რაღაცა, აღარ მახსოვს, რა, დაამზადა, ჩასაცმელი თუ, მგონი, პლასტმასის ბოთლები. დირექტორმა მოიწერა, ამ კაცის სიკვდილი არ შეიძლება და წინადადებას ვიძლევი, რომ გათავისუფლდეს და სახლში წავიდესო. ოჯდა ექვსი წელიწადი იქ, ექვსი წლის მერე გაათავისუფლა ცენტრალურმა კომიტეტმა. სტალინს მისწერეს ლენინგრადიდან – არ შეიძლება ამის მოკვლაო. ავადმყოფია, გული სტკივა, თბილისში ჰყავს ოჯახი, რა ქნა ამ კაცმა ამისთანაო, სადაც წავიდა, ყველგან რაღაცას იგონებს, თქვენ კი მზადა გაქვთ თოფი მოსაკლავადო. დამანამ გადაუხადა ქმარს ჩამოსვლის მაღარიჩი. ამბობენ, ვიღაცამ მოწამლაო. მაღარიჩის ღამეს მოკვდა ბიძინა. ჭურჭლის სარეცხად რო გავიდა დამანა, ეს კუშეტკაზე წამოწვა; ზოგი ამბობს, გული გაუსკდაო. შევიდა დამანა – კაცო, ლოგინში ჩაწექიო, – და ნახა, რომ უკვე გაციებული იყო. ბიძინა სანამ ცოცხალი იყო, ვინც მივიდოდა „კუჩად“ აძლევდა ფულს. ჩემი ქმარი არასოდეს მისულა. ბიძინას შინაურები ლაშას ეძახდნენ, პასპორტში ბიძინა ეწერა. არავინ არ იცნობს ბიძინად, ლაშა მაცაბერიძე იყო, მამამ დაარქვა. ვიღაცა ძმაკაცი ჰყოლია სვანეთში ლაშა, იმისი სახელი დაურქმევია, ბიძინა დედამ დაარქვა. რო ვუთხარი ნუნუს, ბიძინა ეწერა-მეთქი და – პასპორტი რათ მინდა მეო, რა კარგი კაცი იყოო. რომ მოკვდა, გადაირია, მისამართი მომეცი, უნდა წავიდეო. მივეცი მისამართი. წავიდა, თურმე ისე იღრიალა, ისე იღრიალა, რომ დამანამ უთხრა ჩემს მაზლიშვილს, დალის: – ერთი მარო ბიცოლას შეეკითხე, ის შავგვრემანი ქალი ვინ იყო, ისე რომ იღრიალაო. უთქვია დალის: – ვიცი, „პოდპოლნიკი იყოო“, ლაშასთან მუშაობდაო იატაკის ქვეშ. – დედა, რა იყო ეს, კაცოო, – ხმამაღლა ახლა ვინღა ტირისო.

ასე რომ, მდიდარი მაზლები მყავდა, მაგრამ ომის დროს არავინ მეხმარებოდა. 1941 წელი გაჭირვებაში გავატარე. ბავშვი დედასთან იყო, მე ისევ წამოვედი თბილისში და მუშაობა გავაგრძელე „ახრანაში“, ვაგზლიდან, როგორც უკვე პარტიის წევრი, ამ გასამხედროვებულ სამსახურში გადმომიყვანეს. ვაგზალში ხშირად ვიყავი მორიგე და ძნელი იყო დღე და ღამე ომის დროს. აქ „ნასილკებს“ (საკაცეებს) ვეზიდებოდი, ეშალონი ეშალონზე შემოდიოდა. რო დაგვესხნენ თავს, რაც დაჭრილი ხალხი იყო დასავლეთ უკრაინაში, სულ აქ ჩამოყარეს, საქართველოში. ცარიელა ძვლები ვიყავი. ერთხელ თქვეს, ნიკო გელაშვილი ჩამოვიდა დაჭრილიო. მაგრამ „პროსტინა“ ჰქონდა გადაფარებული, ვერ ვნახე სახეზე. გავგიჟდი სიხარულით, ჩემი ძმა ჩამოვიდა-მეთქი. გავამზადე

ყველაფერი, ასი მანეთი ერთ „ბუხანკა“ პურში მივეცი. დედალში – სამოცი მანეთი, პატარა იყო. ლიტრა ღვინოში კიდე ოცდაათი მანეთი. ეს ყველაფერი, დაგროვილი მქონდა ლატარიის ფული, და იმით ვიყიდე. მივედი, ნიკო გელაშვილი სად წევს-მეთქი და – აგერო. ვნახე, და არ არის ჩემი ძმა. ვკითხე: – ნიკო გელაშვილი თქვენ ხართ-მეთქი? – მე ვარო. – მამის სახელი-მეთქი? – მიხეილიო. ჩემი ძმა გაბრიელის ძე იყო. – სადაური ხარ-მეთქი? – ყვარლიდან, ჩემო დაო, ყვარლიდან, მასწავლებელი ვარო.

კაი მსუქანი, „ზდაროვი“ (ჯანმრთელი) კაცი იყო. აბა, უკან ხო არ წამოვიღებდი რამეს, რა ზრდილობა იყო და ვუთხარი: – ჩემი ძმის სახელზე, ყველას დაალევინე თითო ჭიქა და ახსენეთ იმის სახელი-მეთქი. ამ დროს ჩემი ძმა თურმე მკვდარია და პოლონეთშია დამარხული.

„ახრანაში“ ისეთი ხშირი მორიგეობა არ მქონდა, როგორც ვაგზალში. აქ მორიგე ვიყავი ერთი დღე და ღამე და ორი დღე და ღამე – სახლში, მაგრამ მებრძოლი – „ბაეცი“ ვიყავი. პირდაპირ შევედი არმიაში. ძალიან კარგი პირობები გვქონდა. ვასრულებდი ყველა სამხედრო მოსამსახურის მოვალეობას. უნდა მიმეცა პატაკი უფროსისათვის, უნდა დავმდგარიყავი პოსტზე იარაღით. ვღებულობდი კარგ ხელფასს. მამაჩემიც არ მაკლებდა სოფლიდან არაფერს – ფქვილი იყო თუ საჭმელი, მაგრამ მულთან ვცხოვრობდი, მოვდიოდი მეორე დღეს და აღარაფერი აღარ იყო ერთი „კარზინკა“ პურიდან. ერთი მული მაღლა ცხოვრობდა, ცხრა სული იყვნენ, მეორე მული – დაბლა, ექვსი სული. მოვიდოდი, ავხდიდი კარზინკას და... კაცო, ძუძუთა ბავშვი მყავს, ვეტყოდი, – ერთი პური მაინც შემინახეთ, რომ მოვიდე და შევჭამო-მეთქი. საწყალი დედაჩემი, გამხდარი ქალი, ძლივს მოდიოდა, მამაჩემი ხომ არ მოიკიდებდა კალათას, არ იკადრებდა არავითარ შემთხვევაში. დედაჩემი მოდიოდა, გადამძვრალი ჰქონდა მხარზე ტყავი... ნაქსოვი კარზინკები რომ იცოდნენ, იმით მოიტანდა ორ თონე პურს და აღარ იყო მეორე დღეს. მერე მივედი და შევჩივლე უბნის უფროსს: მიშველეთ, მიშოვეთ რამე ოთახი, პური რომ ჩამომიტანონ მშობლებმა, ის პური მქონდეს, იმ ბავშვს კიდე მოვიყვან და აგერ მეყოლება, სამსახურში-მეთქი. მერე მომცეს ოთახი რკინიგზის სახლში, ნავთლუღ-კახეთის გზატკეცილზე.

ერთხელ, მახსოვს, მოვიდნენ „პრავერკაზე“ (შემოწმებაზე) მოსკოვის წარმომადგენელი, ისიც თბილისს იყო შეფარებული, ქალაქის კომენდანტი და „პრედსტავიტელ პაჟარნიხ კამანდ იზ მასკვი“ (სახანძრო რაზმების წარმომადგენელი მოსკოვიდან). ვარ მორიგე „მესმენე“. ბავშვი მყავს ფარდის უკან გადამალული და ვმორიგეობ. „სეკრეტი“ (საიდუმლო ნიშანი) იყო, შემოვიდოდნენ თუ არა კარებში, შოფერი მანქანასთან იყო და დამიკაკუნებდა, მოდიანო. დავჯექი წესიერად, ამხელა (ხელებს წინ სწევს და ამრგვალებს) მაქ მკერდი, ვაწოვებ ბავშვს, საყელოზე შევიკარი უკანასკნელი ღილი. ჩექმები მაცვია, მათი მოცემული ფორმა – „იუბკა“, ქამარი გაკრული. წამოვდექი ფეხზე, ავიღე ხელი და მოვახსენე:

– მე ვარ მორიგე „მესმენე“ სახანძრო გუნდში, არ ყოფილა ხანძარი, წესიერებაა ობიექტზე.

– ა შტო ტამ, რებიონოკო? (იქ ბავშვიაო?)

მივარდა მოსკოვის წარმომადგენელი, გადაწია ფარდა და ბავშვი ზის.

– შტო ძელაცო? (რა ვქნათო?)

– პო ვაშემუ ნადა სნიაც ტელეფონისტკუ, და? ია ტელეფონისტკუ ნე კუდა ნე სნიმუ! ანა უ მენია ატლიჩნაია რაბოტნიცა (თქვენი აზრით ტელეფონისტი ქალი უნდა მოვხსნათ, არაო? მე ტელეფონისტ ქალს არაფრით არ მოვხსნი! ჩემი საუკეთესო მუშაკიაო), – გორინმა უთხრა.

– ხარაშო, ხარაშოო (კარგი, კარგიო), – და გავიდნენ. გორინიც დარჩა, მეც დავრჩი და ბავშვიც დარჩა. ეს გორინი ლატვიელი იყო. იმათი „კამანდა“ (რაზმი) გამოქცეული იყო და თითო „კამანდის“ უფროსი თითო ღამეს მორიგეობდა. ექვსი „კამანდა“ იყო თბილისში გაფანტული. ჩვენთან სამი იყო, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის. ძველი გზა რომ იყო, კახეთის გზა, ვარკეთილის მაღლა, იქ იყო დიდი „კამანდა“. მერე იყო მაჩაბლის ქუჩაზე, კლარა ცეტკინზე, ბატონო. ვაგზლის ქუჩასთან იყო დიდუბეში უკანასკნელი, ავტოსადგური როა – იქ. მოსკოვიდან იყო მარტო ათი „კამანდა“ გამოქცეული.

ერთხელაც, ბავშვი დავაძინე, ცვლის უფროსი ვასო ძია დავტოვე და გავედი ოთხსაათიან პოსტზე. გავედი საღამოს რვა საათზე და უნდა ვმდგარიყავი 12 საათამდე. პირველის ნახევარზე უნდა გამოვცვლილიყავი. დაიგვიანა მებრძოლმა. პირველის ნახევარია. გავდივარ-გამოვდივარ, ჯავრი მაქ. დამიძახა ვასო ძიამ: – გავაღვიძე და გამოვა, მკვდარივით ეძინა ამ შობელძაღლსო. გაბინაშვილი იყო, თევზის საჭერად დადიოდა დღე და ღამე და მკვდარივით ეძინა. უნდა გამოჰყოლოდა უფროსი, უნდა მეპატაკა, რომ ვიდექი და ვიცვლები, იმას უნდა ეპატაკა, რომ ღებულობს. ამ დროს მოადგა მანქანა შემოსასვლელ ეზოს. შემოაღო რკინის კარები და შემოვიდა „ზვეზდებიანი“ (ვარსკვლავებიანი) მსუქანი კაცი. მე ვუთხარი:

– „სტოი! კტო იძიოტ?“ (სდექ, ვინ მოდის?) – რუსულად.

– ია ნაჩალნიკ უპრავლენია ახრანი! (დაცვის სამმართველოს უფროსი ვარ)

– „ვსიორავნო, ია ვას ნე პრაპუშუ, ნე იმეიუ პრავა. ვი დალჟნი სტაიატ. ვას პრიმიტ დეჟურნი პო კამანდე!“ (სულერთია, არ გაგიშვებთ, არ მაქვს უფლება, თქვენ უნდა იდგეთ, თქვენ რაზმის მორიგე მიგიღებთ!)

დავრეკე ზარი, გამოვიდა „დეჟურნი პო კამანდე“, თან ახლავს ორი პოლიტხელი და „ტელახრანიტელი“. გაჩერდა ეს კაცი და უცდის. მოვახსენე ცვლის უფროსს:

– „პრიეხალ პრავერიაც კამანდუ ნაჩალნიკ უპრავლენია ახრანი სავეტსკავა საიუზა სა სვაიმი პამოშნიკამი. ია დეჟურნი გელაშვილი მარიამ სდაიუ სმენუ“ (რაზმის შესამოწმებლად ჩამოსულია საბჭოთა კავშირის დაცვის სამმართველოს უფროსი თავისი დამხმარეებით. მე, მორიგე გელაშვილი მარიამი ვაბარებ ცვლას).

მოსკოვიდან დანიშნული კაცი იყო. მომახსენა მადლობა ამ კაცმა და წავიდა დასათვალიერებლად. გავიდა ერთი კვირა და მოვიდა მადლობა გზის უფროსისაგან.

ორი დღე არ გავიდოდა, „ლიპა“ ხანძარი რომ არ ყოფილიყო. მივცემდი „ტრეოგას“, გაიქცეოდნენ ახალ აშენებულ სახლთან, ნავთლუღთან რო სახლებია, იქ მერე ააშენეს „მელკომბინატი“ და ვითომ ის იწვებოდა. მაღალი იყო და აბა, ბიჭებო, მიდით! მერე კიბეზე კი ვეღარ ჩამოხვალ, თოკზე უნდა ჩამოსრიალდე, „ფელჩატკები“ ჰქონდათ ბრეზენტის, კარგად უნდა გაიკეთო, თორემ კანი იქ დაგრჩება. სვანი გვყავდა ერთი, სერგო ხვადადიანი. დედა, რამხელა ბიჭი იყო! 45 ზომა ფეხსაცმელი ეცვა. ჩექმა სპეციალური „ზაკაზით“ შეუკერეს. ძალიან ლამაზი ბიჭი იყო, მაღალი, ხუჭუჭა შავი თმა ჰქონდა, ლოყები დაბრაწული, რა

თქმა უნდა, ვაჟკაცის სახე და აი – ბეჭები! ერთხელ მომიყვა, ალი როგორ ნახა. სულ დედ-მამა იფიცა. ჩაყოლია მანქანას ჭიათურაში, ვიწრო ბილიკია გასავლელი და ხევია დიდი, იმ ხევს რომ გადაცილდება, იქ უნდა გადახტეს და იქ ცოდნია ალი, წყალთან არი თურმე. უფიქრია, ალმა როგორ უნდა შემაშინოს მეხანძრე კაციო. გადავიდა თუ არა, და დაბლიდან ქალმა დაუძახა. მისი გრძელი ქერა თმები უცნაურად აშუქებს იქაურობას. ლამაზი თეთრი ქალი ამ სიცივეში მოკლე, უსახელო კაბაშია და უძახის – ერთი წუთი ჩამოდი, ერთი წუთი, ისევ გაგიშვებ. თურმე გაუშვებს, მაგრამ მერე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაექცევა, ყოველი გადასვლისას უნდა ნახოს. „ფუი, ეშმაკსაო“ უძახა, მიდის თურმე ბილიკზე და მიჰყვება ამ ხევში. შიშის ფეთებით ვცახცახებდი, მაგრამ არაფრით არ დავეთანხმეო. სახლში რომ მივედი, ერთი დღე და ღამე ვიწექი და ვბოდავდი, ძლივს მომაბრუნესო. რომ ჩამოვიდა, იმ ღამეს მორიგე ვიყავი და ჩამოიტანა ყველიანი. ცარიელა ყველი იყო. ყველი არ ენანებათ თურმე, ძროხები ჰყავთ. ფქვილი ძაან თხლად ჰქონდა. გოგრის ფოთლები გამოუტანებია თურმე დედას და სვანური პამიდვრები, რომლებსაც ჯერ სახლში ახარებენ და მერე თიხის ქოთნიანად გამოიტანენ და ჩაფლავენ მიწაში ორი თვე – ივლისი და აგვისტო. შევჭამეთ, ღვინო არა აქვთ, ტკბილს აკეთებენ და ის დავლიეთ.

მთელმა ჩემმა თანამშრომლებმა იცოდნენ დედაჩემის ექიმბაშობის ამბავი. ერთხელ ჩემი „პაჟარნი კამანდიდან“ ცვლის უფროსი ჟორა ხიზანიშვილი ინფექციურში წაიყვანეს.

– მარო, დედაშენმა რაღაც წამალი იცის, მომიტანე, რა! გაგათავისუფლებენ, წადი სოფელშიო. წავედი. დედამ მოხარშა წამალი. გამომატანა ორი ლიტრიანი ბოთლით, ერთი მიუტანე და ერთი სიგრილეში შეინახე სახლშიო. თანაც გამაფრთხილა: როცა ჩემ წამალს სვამს, არავითარი სხვა წამალიო. ჩადო „ტუმბუჩკაში“ ბოთლი ჟორამ და ჩაკეტა, ერთი კვირა იწვა. გასინჯავენ, ისევ ისეა, გასინჯავენ – ისევ ისეა. შემოვიდოდა ექთანი, გაატეხინებდა ჟორა ნემსს და ჩააგდებდა სანაგვეში. შენ რომ მოკვდები, ნახავ ერთი, როგორ გიშველის ის წამალიო, – ეტყოდა ხოლმე ექთანი.

ანალიზი აუღეს მეოთხე დღეს და რა ჩქარა მორჩაო, უკვირდათ. ეხვეწებოდა ექიმი, – მითხარი რა წამალი იყოო. ეხლაც ვიცი იმ ბალახების სახელები, ერთი გზის პირზე იცის, არც წყალი უყვარს, არც არაფერი, ამ სიმაღლე (50სმ.) იზრდება ბუჩქივით, ყველა ტოტზე პაწაწინა ყვავილი აქვს ამოსული. საყვავილე პარკი დიდია, მწვანე, მარა ყვავილი თვითონ ყვითელი ბზიკივით არის. აი, ის უნდა ძირიანად მოითხაროს და გახმეს. მეორე „ტყიური“ იყო, ის მაღალი ყვავილია, მაღლა აქვს ბრტყლად, განივრად თესლი. 10-15 ღერია ერთად ამოსული, სულ წვრილ-წვრილი პატარა თეთრი ყვავილები აქვს კალათისებურად. რომ დაიყვავილებს, მაღლა პატარა პარკები უჩნდება მრგვალი და თითო პარკში ორი-სამი მარცვალი თესლია. უნდა მოასწრო, რომ დაიყვავილებს, არ დაიბნეს ის თესლი და ის პარკები მოიტანო სახლში. იმისი ფოთლებიც ვარგა და ღეროც. დედა 8-10 ცალ იმ თესლს ჩააგდებდა ერთ ლიტრ წყალში და გადმოხარშავდა. ნახარშს ყვითელი ფერი აქვს და თუ ბავშვს ფაღარათი ჰქონდა, სახლში მქონდა წამალი და ვაძლევდი.

ორმოცდაერთში არა უშავდა, ორმოცდაორში კი სასტიკი ზამთარი იყო. ორმოცდაერთში თითქოს ღმერთმა დაგვლოცა, თბილისში არ მოუთოვია. შუქიც ყოველთვის გვქონდა, დადიოდნენ მილიციონერები და აკონტროლებდნენ. სქელი ფარდა უნდა გქონოდა, რომ შუქი არ გასულიყო, ახლო ვიყავით კავკასიონთან და შუქი საიდანმე რომ გასულიყო, თურქეთიდან შემოვიდოდნენ გერმანიის თვითმფრინავები და დააყრიდნენ სახლს ბომბებს...

– სიკვდილი გინდათ, კაცო, ჩამოაფარეთო! – ყვიროდნენ, – ჩამოაფარეთ!

სპეციალურად ვიყიდე მუქი შავი ფარდები და ისინი მქონდა გაფარებული. ელექტრო „ფეჩი“ იყო, ვინ გიშლიდა რამეს, იმითი იცხოვრებდი. 42 წელს დაჭრილი მოვიდა ჩემი ქმარი, მკლავი გაეგლიჯა ყუმბარას, რაზვედკაში იყო და... რო მიხოხავდა, ეს მკლავი აიტანა იმან (ნაღმმა) და... როგორ გადარჩა: სახე ჰქონდა ცოტა დამწვარი აქეთა (მარჯვენა) მხარეს და მარჯვენა მკლავი, მარა ამერიკული იოდი იყო რაღაცა, ამოგლეჯილი ხორცები რო იყო – ორმოები, ამოუსვამდნენ იოდს და ისე მორჩებოდა, არავითარი კანის შეკერვა არ უნდოდა. იწვა აქ გოსპიტალში. მოურჩებოდა, მივიდოდი სანახავად და გაიჩხაპნიდა კიდევ ფრჩხილით.

– რატო შვრები-მეთქი, და: – ისევ გინდა წევიდე ბოშო და მოვკვდეო?

მარა ერთი თვის მერე მაინც გააგდეს ფრონტზე. 45 წლამდე იწერებოდა წერილებს. მერე კი შეწყდა. მეგონა, დაიღუპა-მეთქი. თურმე ცოლი ჰყავდა და იყო ეგერ გორკში, მუნჯად იყო ვითომდა. ცხოვრობდა, არც წერილს გზავნიდა და არც არაფერი. ვერ ვლაპარაკობდი და არ წამოვედი მუნჯიო. გოსპიტალში წოლილა 6 თვე და ალბათ ექთანს გადაეკიდა. უთქვამს ცოლ-შვილი არ მყავსო. მერე მომწერა წერილი, გაყიდე სახლი და გორკში ჩამოდიო, მე მივწერე საქმრო მყავს და ვთხოვდები-მეთქი. 45 წლამდე გიცადე, ეს ორი წელიც გელოდე, მარა საქმრო მყავს, შეყვარებული, იყავი მანდ შენს ცოლთან და მე აქ გავთხოვდები. ბავშვი უკვე 8 წლისაა და გინდა ჩამოდი და გინდა ნუ ჩამოხვალ-მეთქი. მერე კალოშებით და დაძინძილი ტანსაცმლით მომადგა კარებზე. დაუმალა იმან, უკრაინელმა ცოლმა, ტანსაცმელი, წერილი რო მიიღო. წაიკითხა და არ მისცა. რო არ მივიდა პასუხი, შევიდა, აიღო გადაყრილი მაზარა, ორი წელიწადი რო ეყარა იქ ჭუჭყიანი, სამხედრო შარვალი, აი, აქამდე (მუხლამდე) რომ აცვიათ, კალოშები. ჩექმებიც კი არ ეცვა. ისიც გადაუყრია. იმ ძველი ტანსაცმლით ჩამოვიდა, უბილეთოდ. ფული კაპეიკი არ ჰქონდა, ვინ მისცემდა ფულს! გამოვიდა გორკში, შეეხვეწა „პრავადნიკს“ (მატარებლის გამცილებელს): მოსკოვამდე ჩამიყვანე, ცოლ-შვილთან მივდივარ, აღარ გამიშვა ქალმა და ტანსაცმელი დამიკეტაო. მატარებლის უფროსს შეუყვანია „სპალნი“ ვაგონში, – აქ არავინ არ მოგაკითხავს, რევიზორი აქ არ შემოდის, მესამე პოლკაზე დაწექი და ხმა არ ამოიღოო. ჩაუყვანია მოსკოვში და ისეთი კეთილი კაცი ყოფილა, თბილისის მატარებლის უფროსი ენახა: – თბილისამდე წაიყვანე, მე რუსი ვარ და მე მოვიყვანე და შენ ვერ წაიყვან, თბილისელი კაცი ხარო? ჩვეულებრივ ვაგონში შევედი, მეშვიდე ვაგონშიო. შემოვიდა „პრავადნიკი“ და მითხრა:

– იყავი, ნუ აიშლი ნერვებს, ოღონდ მითხარი, თბილისში რა ადგილას გადაგსვაო.

– ადრე უნდა გადამსვა, თორემ სადგურზე ყველა მიცნობსო.

რკინიგზის სახლი რო გვქონდა, მერე იქ მაზუთის კოშკი იყო, ორთქლმავლები იღებდნენ მაზუთს, რომ ემუშავათ. ერთი დაღმართის გადავლით იყო ბაქოს ლიანდაგი, იქ ხრეშზე უნდა გადმოსულიყო. სახლს როგორ მოაგნო, არ ვიცი. მე კი მივწერე იქ. ის წერილი ნახა, არ ნახა, თუ როგორ გაიგო, არ ვიცი. ადრე სად ვცხოვრობდი? ჯანდაბაში დამტოვა და ეხლა ვცხოვრობდი რკინიგზის ბინაში: ნავთლუღ-კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ბინა №1. იქნებ გზაში შეეკითხა ვინმე პრავადნიკს, სად არის რკინიგზის ბინაო და მოასწავლეს... წარმოგიდგენია? ჩქარი მატარებელი იყო, გაჩერება არ შეიძლებოდა და ნელა გაატარეს. სემაფორი ღია ჰქონდა, ნელ-ნელა გაატარეს, რომ ეს საწყალი ჩამხტარიყო. მთელმა პრავადნიკებმა გარეთ გამოიხედეს თურმე, კაცი ხომ არ გაიტანა, ასე ნელა რატომ გაატარაო. მერე უთქვამს იმ უფროს „პრავადნიკს", ჩემი ქმარი ხომ სადგურზე მუშაობდა, ბიჭო, რა ამბავში იყვნენ, ეგონათ, რომ კაცი გავიტანეო. რკინიგზის სახლი „ახრანიდან" რომ მომცეს, „ნიკალაევსკი" სახლი იყო ნავთლუღ-კახეთში. ეხლა ამაღლებულია, კახეთის გზატკეცილი რომ გადის, აეროპორტიდან რომ მოდიხარ, ყველაზე ამაღლებული ადგილია. ზედ ხიდი გადადის. იმ ხიდს აქედან, მარცხენა მხარეს, დაბლა ვცხოვრობდით, ზედ ლიანდაგის ნაპირზე. იქ ყოფილი კანცელარია იყო. აი, (დაახლოებით ერთ მეტრ სიგანეს აჩვენებს ხელით) ამისახო აგურის კედლები ჰქონდა. აქ ცხოვრობდა ქალი, მირუაშვილი, მერე ის გათხოვდა და მითხრა: ნადიას უნდა ეს სახლი და მარო, ამაღამ გადმოდიო, „კალიდორში" (დერეფანში) გავიგე, კაკუტიას, დასახლების კომენდანტს, ეუბნებოდა, ოღონდაც მაგი გამოაგდე და კიდევ მოგცემ 30 მანეთსო, შენზე ეუბნებოდაო. ფანჯარა ღია დამიტოვა, შეაღეო ფანჯარა და გადაყარე ლოგინიო, აქედან პლომბი ადევს, კაკუტიამ დაკეტაო. ეს ნადია მეგრელი ქალი იყო, ჩემს წინ ცხოვრობდა. რანაირი წარმოშობისა – პოლონელის ყოფილი ცოლი იყო და შვილები (ორი ქალიშვილი) ნახევრად პოლონელები ჰყავდა. პოლონელი და მეგრელის შვილი რა იქნებოდა?! იმათი გადმოყვანა სდომებოდა ქვემო ნავთლუღიდან, ორივე ქალიშვილი აქა მყავდესო, ერთი აქედან და ერთი იქიდანაო. არადა ორივეს გაუგდო ქმრები. ერთი პოლონელის ცოლი იყო, ბუზნიაკი იყო გვარად. მეორე კიდევ ლინიკი. თავიდან კი სულ იმას არიგებდა, პოლონელებს გაჰყევით ცოლად, კარგი ხალხიაო. ეს აქაური პოლონელები იყვნენ, ომის დროს ჩამოსულები კი არა. ომის დროს უმეტესად რუსები და უკრაინელები ჩამოვიდნენ. პოლონელები აქეთ ვინ გამოუშვა, სულ ამოწყვიტა ჰიტლერმა, ამბობდა, სულ გაჟლიტეთ, კარტოფილი უნდა დავთესო პოლონეთზეო. მერე სიძეს რას უშვრებოდა, იცი?! რო არ დაეძინებინა სახლში, ცოლთან ცხოვრებას დაიწყებდა თუ არადა, ჩაახველებდა. თურმე მთელი ღამე ფეხზე იდგა და ელოდებოდა, როდის დაიწყებდა ქმარი ცოლთან ცხოვრებას. მერე უთხრა სიძემ ცოლს: – გინდა, წამოდი რუსეთში, არადა – მივდივარო. წავიდა კიდეც. სამხედროში მუშაობდა კაცი, კარგი „პაიოკი" მოჰქონდა, კარგი ბიჭი იყო, მილიციის უფროსად იყო აქ – ლინიკი ედიკა.

ხოდა, წინა ღამეა, შემოვედი ფანჯრიდან. კაკუტიამ კიდე ახსნა პლომბი, შემოვიდა და ეს სახლი შენ არ გეკუთვნისო. თან წითელარმიელის ცოლი ვარ, თან დასახლების მაიორი არი ჩემი ყოფილი პარტკომი – ზვიადაძე ბაგრატი, „ახრანაში" რო ვმუშაობდი მემანქანედ, და-ძმასავით ვიყავით. რო გავთხოვდი, პირველმა იმან მომილოცა და მაკოცა: პატიოსანი ქალი ხარ, აბა შენ იციო.

მარიამ გელაშვილი მეულლესთან ერთად

ხოდა ამ კაკუტიამ ეს არ იცის. 30 აღებული აქ და 30-იც მერე უნდა მისცეს. კარგი ფული იყო მაშინ. სულ სამოცი მანეთი გვქონდა ხელფასი, ყველაზე დიდი ხელფასი იყო. იმიტომაც: ეს ოთახი მე უკვე მიცემული მაქ ამაზე, ლინიკზეო. – ვინ მისცა, – ვუთხარი, – შენ მიეცი? ეხლა ჯიბიდან ამოიღე 30 მანეთი და მიეცი უკან-მეთქი. გაშრა. გამოვიდა ნადია და თქვა: „მუსრაგადანს!“ (რას ამბობს) – მეგრულად. მეგრული კარგად ვიცოდი ძალიან, მეგრელებთან რომ ვცხოვრობდი,

– მუსრაგადანს – მე ვუთხარი და – მართან სორაგადანს (მართალს).

– ვინაა ეგ, მეგრული იცისო?

– არა, კაცო, რა მეგრული, ერთი ორი სიტყვა თუ ეცოდინებაო, – ქართულად უთხრა კაკუტიამ. მიეცი ეხლა 30 მანეთი მაგას-მეთქი, თუ არ ჩაგაგდო ციხეში, კაცი არ ვიყო-მეთქი, დღესვე დავაჭერინებ შენს თავს-მეთქი. ნადიას მივუბრუნდი და: – შენ ვინა ხარ, ჩემ წინ რომ დგები-მეთქი, მე პარტკომის მდივანი ვარ, რაიკომიდან მიცნობენ, ამას როგორ მიკეთებთ-მეთქი. წავედი, სამსახურიდან დავურეკე ზვიადაძეს და ვუთხარი, სახლიდან მაგდებს კაკუტია და ლინიკისთვის მიუყიდია ბინა-მეთქი. 30 აღებული აქვს და 30 კიდევ უნდა აიღოს, მეგრულად რომ ელაპარაკებოდა, გავიგე-მეთქი. მოვიდა ზვიადაძე. მილიცია ხო იყო, მარა მაშინ ბატალიონებს ეძახდნენ, „ემვედეს“ ბატალიონებს, ეს კიდე ცალკე იყო, ყველაზე მაგარი ის (ძლიერი ბატალიონები) იყო. მოიყვანა კაკუტია.

– აბა, მაჩვენე, რომელი ოთახი გინდა ნადიას შვილისთვის. იცი, რომ ეს წითელარმიელის ცოლია?! შე ჩათლახო, ეხლავე ჩაგაგდებ ციხეში, ამოიღე ის ფული და ეხლავე მიეცი იმ ქალსო.

კაკუტია შევიდა შიგნით.

– არა, გარეთ გამოვიდეს და ჩემ წინ მიეციო.

გამოვიდა ნადია და ამოიღო სამი წითელი თუმნიანი და მისცა.

– რისთვის აიღე ეს ფული? შენ ხომ ნახე, რომ ეს ქალი შესახლებული იყო, ვის ოთახს დაადე პლომბებიო? რატო არ გეშინია იმისი, რომ ქალი წითელარმიელის ცოლია, პარტიულია, რაიკომი, სუყველაფერი ზურგის უკან აქვს, შენ როგორ გაბედე ესაო?!

კაკუტიამ მერე ცოლი გამომიგზავნა სახლში, მომიტანა მეგრული ღერღილი, მეგრული ფქვილი და ქათამი. – კაკომ გამომგზავნა, დაწეროს პატიება, თორემ სამსახურში არ მაჩერებენო, დასახლების კომენდანტი იყო. მერე ზვიადაძეს სამსახურში შევუარე. გაგცა კიდე ხმაო? არა-მეთქი. ხოდა შეჭამე ის ღომი და ის ქათამიც, იმან კიდევ იწრუწუნოს ცოტა ხანს, არაფერი არ დაწეროო. მართლაც, იყო ერთ გაჭირვებაში, ჩვენ სახლში ვეღარ მოვიდა. მე კიდევ ნადია გადამემტერა.

ვიწრო „კალიდორი“ იყო, ძველ სახლებში იყო ასე, მაგრამ ის თან საცხოვრებელიც ხომ არ იყო, კანცელარია იყო ყოფილი. იქით იყო ერთი ოთახი ბულალტერიის, მეორე მოანგარიშეების, კიდევ ვიღაცეების და ასე. მოკლედ ოთხად იყო გაყოფილი ეს „კალიდორი“. იქით მანუჩიშვილები ცხოვრობდნენ ჩემს განაყარზე და ჩემს მხარეს დადიოდნენ. აეროპორტისკენ გვქონდა კარები. აქეთაც გვქონდა, მარა ამ ნადიამ იძულებული გაგვხადა იქით გავსულიყავით, კარებს ვერ გავაღებდი შიშით, მაღვიძებთ დილითაო – მძიმე კარები გვქონდა, რო გავაღებდით, ჭრაჭუნობდა. მერე აღმოაჩნდა კიბო, ბოლო სტადია რომ ჰქონდა, კიოდა და წიოდა, მოვხარშავდი პირველს – ხორციან საჭმელს, მეორეს – კარტოფილს და ვუგზავნიდი ბავშვის ხელით. თუმცა მაინც სულ გვწყევლიდა, ჩემი ქმარიც რომ ჩამოვიდა და დილით გავდიოდით ხოლმე სამსახურში, – წადით და აღარ დაბრუნდეთო, – მოგვაძახებდა. ჩემს ქმარს კი მაინც ეცოდებოდა, კაცი არა ჰყავთ და ცოდოები არიანო. როცა ნადია მოკვდა, შემოვიდა მისი ქალიშვილი და გვეუბნება, კაპიკი ფული არა მაქვს და სკერავი მანქანა მინდა გავყიდო, თორემ რითი უნდა დავმარხოო. ჩემმა ქმარმა უთხრა, შენ ნუ გეშინია, საკერავი მანქანა მანდ იდგეს, მე დღეს წავალ და ჩემი ფულით მოვიტან სასახლესო, არავისთანაც არ თქვა, რომ არაფერი არა გაქვს, სირცხვილიაო, მერე გასვენებისთვის ავკრეფავთ რაღაცასო და... მართლაც, თითონ უყიდა სასახლე. ერთი კოსტუმიც გააფუჭა, ყინული ჩაედო სასახლეში, მხარზე შემოედო და ყინული რომ ჩამდნარიყო, ზედ ჩამოსვლოდა კოსტუმზე და გაეფუჭებინა.

ქართველი კაცი ცხოვრობდა ჩემს გვერდით, სანამ ჩემი ქმარი ჩამოვიდოდა. იმას უნდა აენთო ფეჩი, რომ მე გავმთბარიყავი. დავუძახებდი: არჩილ, არჩილ! სამუშაოზე მივდივარ, გოგო, არ ავანთებ, არაო. შეუკეთე რა, რა იქნება-მეთქი. გოგო, რო შევუკეთო, ვინ აურევს ნახშირსო?!

სიცივეში ვიყავი, როცა ის მორიგეობდა. ეს წარბებიც დამეწვა ომის დროს, თორე კარგი წარბები მქონდა. „კერასინკა“ ამიფეთქდა, დამეწვა და აღარ ამომივიდა მერე. რა სისულელე გავაკეთე: გაქრობა დამენანა, ასანთიც არ მქონდა და მეხანძრე ქალმა ანთებულ „კერასინკაში“ ჩავასხი ნავთი. მერე ავდექი და ვუთხარი არჩილს, რა მიეცი ამ ოთახში რო შემოხვედი, მოდი დამითმე და ფულს მოგცემ. შენ მაინც კასპში ხარ, წადი სახლში და დაიძინე, თუ არადა საერთო ბინაში დაიძინე ჩვენთან-მეთქი, – მეხანძრე იყო. ორასი მანეთი მივეცი და დამითმო. მაშინ აკრძალული იყო სახლების მიმატება, გამოყოფა და მოვიყვანე სუხაშვილი იყო ერთი, საწყალი, ცოცხალია მე მგონი. გაჭრა კედელი ერთ ღამეში. კედელი ყოფილა „შიკატურკიანი“, ორპირი „შიკატურკა“ ჰქონდა, შუაში ადგილი იყო დატოვებული, რომ სიცივე არ შემოსულიყო. ხმაც იმიტომ გადიოდა, რომ ველაპარაკებოდი. ხოდა გაჭრა ჩქარ-ჩქარა, გაუკეთა მისაფარებელი ორივე მხრიდან და მითხრა – ამაღამვე შეღებე ცისფრად, როგორც ოთახი გაქვს შეღებილიო. ვინიცობაა, მოვიდეს კომენდანტი, ეტყვი, ასე იყოო. მერე ჩემი ქმარი რომ დაბრუნდა ცოცხალი, ერთი ფანჯრის ქვეშ ამოიღო აგური. კარები გავაკეთეთ იქ და იმ აგურით გავაკეთეთ ექვსი მეტრო სიგრძის აი, ასეთი ქვედა კედელი. ზედ ფანჯრები დავადგით და გავიკეთეთ კარგი ოთახი. ჩემმა ქმარმა იქიდან მოადგა პატარა „კუხნა“ და დედა, ღმერთმა აცხონოს, – ნეტა ბალკონი ჰქონდეს ამას პატარა და ჩემი იასამანი რომ აყვავდება, ბალკონში შემოვიდეს იმისი

ტოტი-მეთქი, – მოვედი სამუშაოდან, გაუკეთებია სვარკა რკინის, დაუგია „პოლი“ (იატაკი) და ბალკონი გაუკეთებია ზუსტად იასამნამდე. პატარა იყო, სკამი იდგმებოდა მარტო ერთი სიგანეზე. კაცო, რა არის-მეთქი ეს? აჰა, „ბალკონი“ რომ გინდოდა, დაჯექი და იყავი „ბალკონშიო“.

მერე წყალდიდობა რომ იყო, იმ ცემენტმა გადაგვარჩინა, რომელიც „ბალკონთან“ კიბესავით იყო ჩასხმული, თორემ შემოვიდოდა წყალი „კუხნიდან“ და დაგვახრჩობდა. მერე გადამარჩინა კიდე „სეტკამ“ (ბადემ). გამიკეთა ხაშურიდან ჩემმა თანაკლასელმა, ჩიტიაშვილმა. ელმავლის მემანქანე იყო და „სვარკაც“ (შედუღება) იცოდა. მამაჩემმა გამოგზავნა:

– ლეო, მეცი პატივი და ერთი ჩადი და ზომები აიღე, ორი კარგი „სეტკა“ გააკეთეო, – უთხრა, – ისეთი, ქილაც რომ არ გამოეტიოსო. გააკეთა ხაშურში, ჩამოიტანა და ორივე ფანჯარაზე გამიკეთა. ის „სეტკა“ რომ არ ყოფილიყო, დავიხრჩობოდით. წყალმა სახლები რომ დაანგრია და მოჰქონდა ამოდენა ფიცარი, დაჯახებდა „სეტკას“. შიგნით ხომ ვერ ეტეოდა, მოატრიალებდა მერე წყალი (წყალი ბრუნავდა ეზოში) და წაიღებდა ისევ მეზობლის ეზოში. სულ წაიღო მისი ეზო და ყველაფერი, ჩემი წიწილებიც წაიღო, წიწილები და კრუხი მყავდა დაბლა და თავის საბუდარიანად წაიღო. გადამდნარი ერბო მქონდა იქ დიდი ქილებით ჩამდგარი, ისიც წაიღო, სულ გაასუფთავა. „ბოჩკა“ (კასრი) გვქონდა პატარა, შიგ ყურძენს ვწურავდით ხოლმე, გამოიტანა კარებში და რაც გამოიტანა „პადვლიდან“ (სარდაფიდან), ყველაფერი წაიღო. მოკლედ, წყალდიდობა იყო, ზღვა იყო და აბა რას იზამდა. ეს 1959-ში იყო, ივნისის თვეში, ივლისი იწყებოდა, პამიდორები მწიფდა, მარწყვი მოილია. დამწიფებული პამიდორი, ხომარდული ვაშლი თავის ძირებიანად გადასილა, დააწვინა. ხომარდული ვაშლი დაფლა, ისე მაგრად დასილა, რომ მერე „ლაფატკით“ (ნიჩაბით) ძლივს ამოიღო ჩემმა ქმარმა სილიდან. ზღვაში შემოვიდა იორი, გადმოშვებული რომ ჰქონდათ. წვიმები იყო იმ წინა კვირაში დიდი და ზედმეტი შემოვიდა აქაც, თორემ ის ისეთი ღრმა არის, რო ბანაობენ, ეშინიათ კიდეც. მამაჩემმა ამოიღო ეს ზღვა, კოლმეურნეები გამოგზავნეს ყველამ, მთელი საქართველოს რაიონებიდან იყვნენ ჩამოსული. სამეგრელოდანაც კი იყვნენ – თბილისში ზღვა კეთდებაო. თითო კვირა მუშაობდა თითო ბრიგადა, ე.ი. თითო კოლმეურნეობის ბრიგადა. ვინ ამოაღებინებდა ხმას კომუნისტების დროს. მდივანი იქ იყო დღე და ღამე. მამაჩემიც იყო წამოსული. წამოიყვანა თავის გლეხები, 60 კაცი, ქალებიცა და კაცებიც იყვნენ წამოსული. მოდიოდნენ ხაშურამდე, ჩამოდიოდნენ თბილისში მატარებლით, მერე „გრუზავიკით“ აჰყავდათ ზევით. მამაჩემი რომ მუშაობდა გორის კოლმეურნეობა „სამთავისში“, მთელი დღე მუშაობდა მათი „გრუზავიკი“, ყველა მატარებელს ხვდებოდა. ერთად არ ეტეოდა ყველა, მთელი დღე ადიოდა და ჩადიოდა, სად გვყავდა ადრე ამდენი „გრუზავიკი“. ხოდა თხრიდნენ და ეზიდებოდა მაღლა ისა, რაღაცა ამწე რომ არის და ყრიდა იქ, ასე წარმოიშვა ის ბორცვები, თორემ სულ ვაკე იყო. დასავლეთიდან მთაა. აი, ის, გლდანი რომ გაშენდა და მთის დაღმართზე სახლებია გაშენებული, პირველი სართული და „პადვლები“, ზღვამ რო გაჭრა მიწა, გაივსო წყლით. გამოასახლეს იმ სახლებიდან ხალხი და ზევით გადაასახლეს მეორე დაღმართზე, გლდანის მთის დაღმართზე. სამგორის მთის დაღმართიდანაც სულ გამოასახლეს. იყო დრო, სანამ გამოასახლებ-

დნენ, რომ ფანჯრებიდან გამოდიოდნენ, რადგანაც „პადიეზდებში“ (სადარბაზოებში) ვეღარ გამოდიოდნენ.

მახსოვს, ჩვენს შოსეზე რომ გამოივლიდნენ გერმანელი ტყვეები. როგორ მეცოდებოდნენ. ხის ქოშები ეცვათ ტყავით გადაბმული და ბაწრებით ამობმული. კერამიკული მაგათი აშენებულია, პურის „ზავოდი“ როა – პირველი ქარხანა, გერმანელების აშენებულია და მაკარონის ქარხანაც. მარილის მეორე ქარხანა – სადაც იფქვება და „იპაჩკება“ (დაფასოება), დიდუბეში. არც ერთ ქარხანას არც წყალი ჩასვლია, არც კედელი დანგრევია მიწისძვრის დროს. ინჟინრებიც გერმანელები იყვნენ და მუშებიც. ეძინათ სადღაც ბარაკში ლილოსკენ. დაირაზმებოდნენ და მოდიოდნენ აეროპორტის შოსეთი სამუშაოდ კერამიკის ქარხანაში. ფეხით, განა მანქანით მოჰყავდათ. საცოდავად მოდიოდნენ ჩამოხლეწილები, ჩამოგლეჯილები. გაიტანა ჩემმა ქმარმა ერთხელ და თავისი შარვალი ამოაცვა ერთს, სულ მუხლები რო უჩანდა. პირჯვარი გადაიწერა და გერმანულად დალოცა. ეხლა ეს შოსე კილომეტრით აწიეს მაღლა. დასახლებაში დაღმართი იყო. რო ყარეს მოტანილი ნაშალი მიწა, ჩვენს ეზოში დაგვიფარა კარალიოკები, თუთა, ვარდები და სახლამდე მოვიდა. ტუალეტიც სულ დაფარა. მერე მთელი ჩვენი მეზობლები გაასახლეს ზღვაზე. ამბროსი კონდუქტორი იყო მერე, პენსიისთვის უნდოდა ეს სამუშაო, დიდი პენსიისათვის და მართლაც დაუნიშნეს 110 მანეთი პენსია. წავედი რაიკომში, მდივანი ვიყავი მაშინაც და ვუთხარი: – ჩემი ქმარი მატარებელის გამცილებელია, ღამე აღვიძებს მღვიძებელი ქალი სამის ნახევარზე. ის ქალი ზემო ნავთლუღიდან მოდის. ღამე ზღვაზე წავა და ისე გააღვიძებს გამზადებული მატარებლისთვის-მეთქი? მე კიდევ მდივანი ვარ, დღეში სამჯერ მირეკავს რაიკომი, ზღვაზე ტელეფონი არ მექნება და როგორ უნდა ვიყო-მეთქი. ერთადერთი ოჯახი იყო ჩვენი და მეორე ოჯახი – რკინიგზაზე პასუხისმგებელი ბიჭისა, იმას ქვევით მისცეს ბინა და ჩვენ კიდევ აქ, 1973 წელს. ჩემმა ქმარმა უთხრა, ისეთი ბინა მომეცით, რომ მეორე ნავთლუღიდანაც ისმოდეს მატარებლის ხმა და ერევნის ლიანდაგებიდანაცო. ესეც არის, მე მატარებლის ხმა თუ არ მესმის, ისე ვერ ვიცხოვრებ.

ბევრი უბედურება გვანახა ამ ომმა. აი, ჩემი ერთი ძმა 18 წლისა იყო, რომ წაიყვანეს. ხის თოფები მისცეს და იმით ასწავლიდნენ, ამეცადინებდნენ სევასტოპოლში. აიღო სევასტოპოლი გერმანიამ. ის ხის თოფები ისევ იქ ჰქონდათ ბიჭებს. ეს რა არისო? – ჰკითხეს გერმანელებმა, როცა ტყვედ ჩაიგდეს. ჩვენ ახალგაზრდები ვართ საქართველოდან, რომ წამოვედით, სამეცადინოდ მოგვცესო.

– აიღეთ ხელში ეგენიო. აგვაღებინეს ხელში და ზედ გადაგვამტვრიეს, იმდენი გვცემეს გერმანელებმაო. დააპატიმრეს პარტიზანული ჯგუფი. ის ჯგუფი კი არა, სადაც ჟორა იყო ადრე, ძველი ჯგუფი დააპატიმრეს და იქიდან ვიღაცამ გასთქვა ეს ჯგუფი, ნაწილი გაიპარა და ეს ბიჭები ადგილზე დარჩნენ. თურმე ზოგი საჭმელს აკეთებს, ზოგი... გამოუარეს ამ ძველ ადგილს და ის ძველი ხელმძღვანელები რომ ჰყავდათ, უკრაინელები, სუყველა წასული დახვდათ. ეტყობა, შეიტყო მეთაურმა და არ აითრია ეს ბიჭები. მათგან ყველა გაიპარა, 30 კაცი. ეს ლაწირაკი ბიჭები – ქართველები, 18 კაცამდე იყვნენ, დაიჭირეს. მერე სევასტოპოლს იღებდნენ ჩვენები, იღებდნენ გერმანელები, რამდენჯერ გადატრიალდა, გადმოტრიალდა სიტუაცია! ჩვენებმა რომ აიღეს, გამორეკეს. მერე ზურგში ისევ

პარტიზანობა დაიწყეს ამათ. ნაწვალები და ნაწამებია ყველა, უკვე უკანასკნელად რომ აიღეს სევასტოპოლი, მაშინ უთხრა ჩემმა ძმამ: – არაფერი არ ვიცი, თოფის ხმარება არ ვიცი, რომ ჩავვარდე, მომეცით ერთი პატარა ქაღალდი, რომ ჯიბეში მქონდესო და აიღო ცნობა.

შავ ყუთს ეძახიან, ქამარზე აქვთ შებმული, რკინაა, კაცი რომც დაიწვას, ის გადარჩება. იმაში ჩადო ის ცნობა პარტიზანული მუშაობის შესახებ უკრაინაში. წაიყვანეს „პლენში“ 300 კაცი. შეიყვანეს სკოლაში, სადაც უნდა აღეზარდათ მოწინააღმდეგის ბატალიონი. დღე და ღამე ასწავლიდნენ სიძულვილს. თქვენ მონები ხართ, სტალინი არის გაღმერთებული და ეგრე არ უნდა იყოსო. ჩვენ გავიმარჯვებთ და თქვენ სუყველა დიდი სახელოვანი მეთაურები გახდებითო. ხოდა იმერელმა გეწაძემ ნახალოვკიდან და ჩემმა ძმამ პირსახოცები გადააბეს, მესამე სართულიდან რომ ჩამომხტარიყვნენ და გაიპარნენ. გერმანიაში იმუშავეს გიტლერის მოწინააღმდეგე კომუნისტებთან ერთად. ტელმანის ცნობა ჰქონდათ. ტელმანი დახვრიტეს, კი არ დახვრიტეს, დაბომბეს, ვითომ „ბომბარდირებაში“ მოხვდა. მარა ჯერ დახვრიტეს და მერე ჩამოაგდეს ბომბი. გერმანელებმა მოკლეს, იმიტომ რომ ხელმძღვანელობდა ამ კომუნისტებს და ზურგს უშლიდა გიტლერს, ფარულად მუშაობდნენ მიწის ქვეშ. იქ იყვნენ ნამუშევარი და ტელმანის ცნობაც ჰქონდათ. გერმანიაში კომუნისტმა ცოლს გამოართვა ორი ქვედაბოლო, ორი ბლუსკა. ჩააცვა, თავშლები მოახვია, ტუჩები „გაუკრასკა“, ძველი პორტფელები უშოვნა, დაბალქუსლიანი ტუფლები ჩააცვა და უთხრა: – წადით, იცინეთ, იხარხარეთ, ბიჭებს უთხარით, ვითომ იტალიელები ხართ. თუ საბუთები მოგთხოვეს, უთხარით: ოო, სადა აქვთ ბოზ ქალებს საბუთებიო.

იტალიაში მთა-გორებით გადავიდნენ საზღვარზე. იქ შეიფარა ვიღაც ებრაელმა მესაათემ, ტანსაცმელიც უყიდა. იტალია მაშინ გერმანიასთან იყო კავშირში და ამიტომ უთხრა: – ცოტა ხანს იყავით, მომეხმარეთ, მაგრამ მერე უნდა დაითესოთ შვეიცარიაში, იქიდან გზა არისო. სამი თვე იყვნენ იქა, მერე შეუწყო ხელი და შვეიცარიაში გადაუშვა. იქ იყვნენ მთელი ომის განმავლობაში. მერე იტალიაში გამოცხადდა „პლენების“ (ტყვეების) გაცვლა. თავისუფალი იყო უკვე საზღვარი. იქ არ ეკითხებოდნენ, როგორ წახვედი ან როგორ მოხვედიო, „პლენი“ ხარ? – „პლენი“ ხარ. ცვლიდნენ, რამდენი გერმანელიც გადიოდა აქედან, იმდენი იქიდან შემოდიოდა. ოღონდ მეთაურებს – მეთაურებზე, ჯარისკაცებს – ჯარისკაცებზე. გადმოვიდნენ იტალიიდან, წამოიყვანეს თავისუფალ გერმანიაში. იქიდან თვითმფრინავით მოსკოვში ჩააფრინეს. მერე ჩამოვიდა ჩემი ძმა საქართველოში და მოვიდა სახლში. უკვე კაი ხნის მორჩენილი იყო ომი. ციოდა, ნოემბერი იყო. 43 წლამდე ჩვენ მისი არაფერი ვიცოდით. მერე მოვიდა ერთი პატიმარი, არ ვიცი, ციხეში იჯდა თუ ჯარიდან გაათავისუფლეს, ღონღაძე, და უთხრა მამას:

– ჟორა ცოცხალია, დასავლეთ უკრაინაში ვიყავით პარტიზანები, ტყეში ერთად ვიყავით და ჟორა ჩვენი მეთაური იყო, მე სიკვდილს გადამარჩინაო. თურმე „არიოლი“ (არწივი) ყოფილა პაროლი. დაუჭერიათ და ჩვენებს მოჰყავთ მოსაკლავად. დაინახა ჩემმა ძმამ, რომ ქართველია. ჟორა, პაროლი დამავიწყდა, მიშველეო. უთქვამს ჟორას: ჩვენი წევრია, არ იცის რუსული და რა ქნასო. რუსებსაც დაუდასტურებიათ მერე: „და, ნაშ, და!“ (ხო, ჩვენია, ჩვენიო).

– კინალამ გზაში მომკლეს, ჟორამ გადამარჩინა, ბიძია, ცოცხალია, პარტიზანი იყო დასავლეთ უკრაინაშიო.

ეს 43-ში გავიგეთ. ხოდა იფიქრა მამამ, 43 წლამდე თუ გადარჩა ეს ლაწირაკი ბიჭი, თოფი ნახული რო არ ჰქონდა, სადღაც ცოცხალი იქნებაო. მერე, სახლში რომ ჩამოვიდა, დაიწყო თავის ადგილზე მუშაობა, მონტიორი იყო გვირაბების. ერთი-ორი ხელფასი აიღო, მშობლები ისეთი გახარებულები იყვნენ. მაგასთან ერთად იყო თანამებრძოლი გეწაძე. ერთად გაიპარნენ გერმანიიდან, ერთად იყვნენ შვეიცარიაში, ერთად გადმოვიდნენ იტალიაში და ერთად შემოვიდნენ საქართველოში. დამთვრალა და დაუწყია ტრაბახი გეწაძეს: ჩვენ ქალის ტანსაცმელი გადავიცვით აქეთ რომ გამოვპარულიყავით, თორემ ომში დავიხოცებოდით და გავიპარეთ იქით, იტალიისაკენო. გადავედით შვეიცარიაში. მშვენივრად და კარგად ვცხოვრობდით. მერე „პლენში“ გაგვცვალეს და მოვედითო. სამი თვე გავიდა და დაუპატიმრებიათ ის გეწაძე. ჩემი ძმის გვარი ათქმევინეს და მარტო ის კი არა, ადრე ვინც წავიდა დასავლეთ საქართველოდან, სუყველა ზედ მიაყოლეს. ოც კაცზე მეტი ვიყავით დაპატიმრებულიო, – ჩემმა ძმამ თქვა. როგორ შეიძლებოდა! ეს ხალხი სევასტოპოლიდან გერმანიამ წაიყვანა. მერე ლაგერებში იყვნენ, მარა ჩემი ძმა და გეწაძე გაიპარნენ. ეს გეწაძე კიდე დამდგარა და სია ჩამოუწერია. ეს საწყალი ბიჭები, ლაგერში ნამყოფები, გაუბედურებულები, ვალდებულებამოხდილები, გათავისუფლებულები, ხელმეორედ ჩაყარეს. ჟორამ მითხრა, მარო, უდანაშაულო ხალხი ზის ჩემთანო.

მოვიდა სახლში და უთხრა დედას: „დედა, დღეს ან ხვალ მე წამიყვანენ და თქვენ რომ არ დაინახოთ, გული რომ არ გაგიფუჭდეთ, წავალ და მე თვითონ გამოვცხადდები. გამთქვა იმ ბიჭმა, ვისთან ერთადაც მე ვიყავი და უკვე მითხრეს“. მანტიორად იყო საწყალი ხაშურის სადგურში. „შეჩე“-ში უფროსი ძმა იყო ინჟინერი, მერე თანაშემწე და ეს – მანტიორი. გელაშვილები „შეჩე“-ს ეძახდნენ. რომ მოვიდა, იქ დაიყენა ძმამ თავისთან სამსახურში. შინაური კაცი იყო, მამას იცნობდა ის კაცი, რაიკომის მდივანი: „ჟორა, გაგთქვა ამხანაგმა და ბარემ გამოცხადდი, გაბოსი მეხათრება, იქ ხომ არ წამოვალ დასაპატიმრებლადო.“ შევიდა საწყალი ნამუშევარი ტანსაცმლით და ჩაბარდა. როგორ თუ „პლენში“ ჩავარდი 42-ში და ბოლომდე საზღვარგარეთ იყავი, იმალებოდი, სამშობლოს გამყიდველი ხარო. თურმე „პლენში“ არ უნდა ჩავარდნილიყავი, ან თავი უნდა მოგეკლა, ანდა... მიუყენეს მუხლი და ჩააგდეს „პადვალში“ (სარდაფში). ვაგზლის ქუჩაზე ტრამვაი რომ დადიოდა, კუთხეში შენობა იყო „ემვედე“-სი (შინაგან საქმეთა სამინისტრო). მეტყოდა ხოლმე, ტრამვაის ხმა ისმისო, იმხელა „პადვალია“, ჩაყრილი ხალხით სავსეო. არც მზე ჩადიოდა თურმე, ჰაერის ჩასასვლელია მარტო, „სირისტი“ (ნესტი), უბედურება. თავით რო ეჭიდება ქვეყანას, ისეთი ქალი ვიყავი. 3 თვე იყო, ვერაფერი ვერ გავიგეთ, არც გაასამართლეს, არც მიუსაჯეს. არც ჩვენ მოგვცეს პასუხი. იფიქრა მამამ, როგორც 37-ში, ალბათ ისე დახვრიტეს ბიჭიო. მითხრა, შვილო, იქნებ მოახერხო და თუ ცოცხალია, გვაჩვენო. მოვაგროვე საბუთები, სანამ გერმანიაში შევიდოდა, ხო წავიდა სევასტოპოლიდან. სხვათა შორის, გერმანიიდან გამოპარული იყო, როგორც „რაზვედჩიკი“ (მზვერავი), ხოდა უკრაინაში იყო ნამუშევარი, ჰქონდა საბუთი, რომ ემსახურებოდა ამათ. ჰქონდა გერმანიის ცენტრალური კომიტეტიდან საბუთი, რომ იქ კომუნისტებს

ემსახურებოდა და იტალიაში გადაიპარა მაშინ, როცა დაიჭირეს და სასწავლებლად შეიყვანეს. რუსი ვლასოვი (ანდრეი ვლასოვი, „რუსული განმათავისუფლებელი არმიის“ ხელმძღვანელი, მოსკოვში ჩამოახრჩეს 1946 წ.) რომ იყო, ვლასოვის დივიზიისთვის ამზადებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ხოდა ეს ყველაფერი ასე იყო, მარა მერე რაღაცეები ამოუქექეს და სამშობლოს გამყიდველი დაარქვეს. ის ორი საბუთი წარვუდგინე. შევიტანე განცხადება გამომძიებელთან, მარა ისეთ ჩერჩეტ კაცთან, რომ ვერც გერმანულად წაიკითხა და ვერც უკრაინულად. გადაწია გვერდზე და – არაო! ვუთხარი: – შე კაი კაცო, ვერ კითხულობ, რომ დიდხანს ემსახურებოდა ჩვენ ხალხს და მშობლებს მაინც მიეცი ნახვის უფლება, მამაჩემი ძველი კომუნისტია, „პადპოლნიკია“, მოვა და გაუსინჯე მანდატი, ვინ არის, ყველა ძმა – პარტიის წევრი, ყველა – კომკავშირელი, ოჯახი გვაქვს – სუფთა კომუნისტური. რას ერჩი ჩვენს ოჯახს-მეთქი.

მომცა ნება. გაუკვირდათ მამას და დედას. მაშინ ტელეფონისტად ვმუშაობდი „ვაენიზიროვანნი ახრანაში“ (გასამხედროებულ დაცვაში). პარტკომის მდივანი ვიყავი, ბართაია იყო ჩემი მოადგილე, ის მეუბნებოდა: – იარე, იარე, დაგიჭერენ შენც და ჩაგსვამენ იმის გვერდზე, ჩაგაგდებენ „პადვალშიო“. ჩამოვიყვანე დედა და მამა, გავაფრთხილე: – იცოდეთ, რასაც ილაპარაკებთ, სუყველაფერი დაიწერება. ილაპარაკე ჩვენს სასარგებლოდ. უთხარით – არა გვჯერა, შვილო, რო შენ დამნაშავე ხარ, ბავშვი იყავი, რო ჩავარდი, მაგრამ სად გაექცევი ამ კანონს-თქო.

შევედით თუ არა სამივენი, წავიდა გამომძიებელი, ვითომ ხელს არ უშლიდა ლაპარაკში. ეგ მომატყუებდა, „ემვედე“-ში მბეჭდავად ვიყავი ნამუშევარი 3-4 თვე. ამოვიდა ჩემი ძმა ყვითელი, გასუქებული გვეგონა, გასიებული იყო – თეთრი ხელებით და მსხვილი თითებით. მამამ უთხრა:

– მე, „პოლქვეშა“ მომუშავე პარტიის წევრი ვარ. ჩემი შვილი როგორ იქნებოდა სამშობლოს გამყიდველი, გასაკვირალია, ამას ვერ არკვევს გამოძიება?! სულერთია, შვილო, გამოხვალ! –და ახდა მამაჩემის სიტყვა, – შვილო, შენდაუნებურად ჩავარდი, გერმანელების ხელში იყავი და რასაც გიზამდნენ, შენ ვინ გეკითხებოდა. რო გაიპარე, ან ის ვინ დაგარიგა და ვინ გითხრა, ისიც უნებურად მოგივიდაო. რა ვქნათ, რასაც მოგისჯიან, უნდა მოიხადოო. დედა სულ ტირილ-ტირილით ელაპარაკებოდა: – დედა გენაცვალოს, რაკი დაგაბრალეს, რაღა გიშველის, ალბათ მოვკვდებით შენს მოსვლამდე, მაგრამ არავის არ ვეცოდებით და რა ვქნა!

ამ დროს შეხვედრა დამთავრდა. საწყლებს არც პური უჭამიათ, ესევე მშივრები წავიდნენ ხაშურში. მერე ძალა დავატანე გამომძიებელს: – გაასამართლეთ დროზე, ციხეში გადაიყვანეთ, ნუ მოკალით, ბავშვია, არაფერში არაა დამნაშავე-მეთქი. ერთი კვირის მერე სასამართლო დაინიშნა, სასამართლო, თორემ! უბრალოდ ამოიყვანეს და გადაიყვანეს ციხეში. მიაკერეს ზურგზე – „სამშობლოს მოღალატე“. იქ ვნახულობდი, მიმქონდა „სოუზი“ (ხორციანი საჭმელი), შეჭამდნენ დარაჯები და რო შევეკითხებოდი, ჟორა, რა მოგიტანეს-მეთქი, ბორშიო, მეტყოდა. გაასახლეს, მაგადანის ზემოთაა კიდევ რაღაც ქალაქი, იქ. იმის მერე ქვეყანა აღარაა. უკიდურესი ქალაქია. იქიდან უკვე ამერიკაში იყო გადასასვლელი გზა ჩუკოტკის ნახევარკუნძულზეო.

მერე ავდექი და ვუჩივლე მალენკოვთან. იმას ვჩიოდი ჩემი რუსულით, როგორიც ვიცოდი, რო არაა დამნაშავე, რო ასეთი ოჯახიდანაა. არ წაიკითხა

გამომძიებელმა, რომ მზვერავი იყო ჩვენს სასარგებლოდ და უნებურად ჩავარდა გერმანელების ხელში. მივწერე სტალინის მერე მალენკოვს: „ჩემ ძმას, რაც პარტიზანად ნამყოფი იყო, ადრე რომ გაიწვიეს აქედან, სანამ გერმანელებს ჩაუვარდებოდა, თოფი არ ჰქონდა და ტყეში გააგდეს. წადი პარტიზანებთან, ან იარაღის ხმარებას ისწავლი ან რაღაცასო და იყო დასავლეთ უკრაინაში პარტიზანად. საბუთი მისცა დასავლეთ უკრაინის პარტკომის მდივანმა, უკრაინულად დაწერა იმ თავგასახმობმა, რომ მუშაობდა პარტიზანად ამა და ამ წლებში ესა და ეს კაცი და რომ აქტიური იყო და პარტიზანული რაზმის მეთაური. აქვს ცნობები, რომ პარტიზანი იყო უკრაინაში მთელი 6 თვის განმავლობაში და 3 თვე გერმანიაში ტელმანს ეხმარებოდა მოწინააღმდეგე რაზმების მუშაობაში. სად წაიღეს ეს ცნობები, თუ კითხვა არ იცით, ჩემი ძმაა დამნაშავე? დავწერე, რომ მამა იყო „პოლქვეშეთის“ მომუშავე, პარტიული. მე 20 წელიწადია პარტკომის მდივანი ვარ. ჩემი ძმა „შეჩე“-ში პარტკომის მდივანია, ინჟინერი. პატარა ძმა კომკავშირის კომიტეტის მდივანია და სულ პატარაა დაპატიმრებული და გადასახლებული. ასეთი ოჯახიდან როგორ შეიძლება სამშობლოს მოღალატე კაცი იყოს, გთხოვთ, გაარჩიოთ-მეთქი.

ჩავდე სპეციალური კონვერტები იყო, უნდა დაგეზღვია, იმაში. რუსულად დავაწერე ქვეით მისამართი და გავგზავნე მალენკოვთან. იმან, ვინც ასეთი ბიჭები იყვნენ, ყველა გაათავისუფლა. 6 წელიწადი გავიდა პატიმრობაში, სანამ სტალინი ცოცხალი იყო. გარდაიცვალა თუ არა 53 წელს, მაშინვე დავწერე. ვიცოდი, სტალინის დროს იმას არავინ გამოუშვებდა – ამდენი კი მესმოდა. გაისინჯა საბუთები და გამოიძახეს – გაათავისუფლეთო. ნახევარზე მეტი პარტიზანად იყო კაცი, რას ერჩითო. ხოდა გამოუშვეს საწყალი. 6 წელი იჯდა, არადა 25 წელი ჰქონდა მისჯილი.

მარა შახტში დარჩა სამუშაოდ. მაგადანში იყო და იცი, რა მძიმე სამუშაოა?! ოქროს ძიებაში იყო. აცვიათ ჩექმები, ბოდიშს ვიხდი, ნაშენობამდე. შედიან ტუნდრაში, წყალია იმდენი, რო არ ჩაიძირონ, გრძელი ჯოხები აქვთ, იმით სინჯავენ სიღრმეს, კაცის სიმაღლე თუ არი, გადადგამენ ნაბიჯს და თუ შორს წავიდა – აღარა. ავსებენ ტალახით ვედროებს და საწყლებმა თითონ უნდა გამოათრიონ და თითონ უნდა ჩაასხან სპეციალურ ჭურჭელში – „კატიოლში“. ირეცხება მერე ის ტალახი და რჩება ოქრო, რომელიც მიდის მთავრობაში. რო ირეცხებოდა, იქაც ხომ იყვნენ ბიჭები, რას შვრებოდნენ თურმე, იცი? ჩაიდებდნენ თმაში, ვისაც კარგი თმა ჰქონდა, შეიტანდნენ და მერე მალავდნენ წინდაში. მარა რად მინდოდაო, – ჩემმა ძმამ, – ერთმანეთს უგებდნენ, ვის ჰქონდა ოქრო მოპარული და ვის არა, და როცა გათავისუფლდებოდა, გამოყვებოდნენ უკან და თითონ ამხანაგები მოკლავდნენ ოქროს გულისთვის. ან არადა, ჩუკჩები ხვდებოდნენ გზაში, იცოდნენ, რომ მოდის, ოქრო მოაქვს. დახვდებოდნენ, გაასაღებდნენ, მოიებნიდნენ ოქროს, ცოცხალი მაგადანში ვერ მიხვიდოდიო. გიჟი ხომ არ ვიყავი, ოქრო შემენახაო. ძალიან ძნელი პირობები იყო. დასალევი წყალი არ იყო იქ. სუ წუმპეა, ხოდა მიაქვთ „კატიოლით“ იმდენი, რომ პატიმრებმა თითო ჭიქა დალიონ, მეორე ჭიქა თუ დალიე, თურმე მეორე ამხანაგი უკნიდან დაგიშვებს, თავს გაგიტეხავს. ერთი ჭიქა უნდა დალიო, ორასგრამიანი „მედნი“ ჭიქები რომ იყო – ისეთი. ერთბაშად დალევ და ის არი შენი „სუტკის“ სამყოფი მეორე

დღის სამ საათამდე. ერთხელ, რომ გაუჭირდა უწყლობა, წყაროზე გაზრდილი ბიჭი გაპარულა თურმე ღამე გარეთ, თოვლში და გაყინულა. შემოუტანიათ, დაუდიათ და უთქვია მეთაურს, თუ გადნება, გადნება, გაცოცხლდება, თუ არა და, აგერ გაჭერით თოვლი და დამარხეთო. ეს თოვლი კი არ გადნება, იქნება ასე. იყოს აქ, რა ვქნა, სად წავიღო, რაზე გავიდაო. 60 გრადუსი ყინვა იყო ღამე, ხოდა გავიპარე, ვთქვი, ბარელამ მოვკვდე-თქო და გულაღმა დავწექი თოვლშიო. რო შემომიტანეს თურმე, ასე მქონდა ხელები, როგორც დავწექიო. გავდნი და სიცხეც არ მომცაო. მხოლოდ, რომ გაუხდია საღამოთი ფეხზე, უნახავს, რომ ცერი შავია. დაუძახიათ „ლაგერის“ ექიმისთვის. მოსულა ისიც, აუღია დიდი მაკრატელი, გადაუსვია იოდი და მოუჭრია ცერი. უთქვამს: სამი დღე იქნები და სამუშაოზე წახვალო. წამისვა იოდი გადანაჭრელზე, გამაკრა გარედან რაღაცა სისხლდენის საწინააღმდეგო. იქ რო დავიჭრებოდით, გაგვაკრავდნენ იმ რაღაცას და ქვეშ ისე მორჩებოდა, რომ არც შეხვევა უნდოდა და არც არაფერიო. სამი დღე ვიყავი, მომწყინდა იმ სიცივეში, არც საჭმელი, არც წყალი, – ანდა რას აჭმევდნენ, დღეში ორჯერ მოხარშული მაკარონი და ჩაი, ისიც ერთი კვნიტი შაქრით, პირში უნდა ჩაგედო და „პრიკუსკით“ დაგელია. სამი დღე ვიყავი ამ გაჭირვებაში, მერე ჩავყავი ის უცერო ფეხი ჩექმაში და წამოვედიო. თურმე მიუციათ ცნობა, რომ მატარებლით და ავტობუსით უფასოდ შეეძლო მგზავრობა მაგადანიდან. მაგრამ სადაც იყო, იმ ქალაქიდან, აღარ მახსოვს რა ერქვა იმ ქალაქს, მაგადანამდე ტყით ფეხით უვლია. ერთი ღამე კი გაუთენებია ჩუქჩასთან. ფული გადაუხდია ნამუშევრიდან. უთხრა თურმე: ფულს მოგცემ, არ გამჩხრიკო, ოქრო არა მაქვს. გრამი არ მომაქვსო. მერე მთვარეც შეივსო, სინათლე იყო და დღე და ღამე მოვდიოდი მთელი კვირაო. მაგადანში ჩაუღწევია როგორც იქნა, იქ თვითმფრინავის ბილეთი აუღია ნოვოსიბირსკამდე, მაგრამ ნოვოსიბირსკის სადგურში მიუცია მაღალი სიცხე. შეიყვანეს პირდაპირ ტუბერკულოზის საავადმყოფოში, გააშუქეს და აღმოაჩნდა ჭლექი. შეაგდეს შახტის ტუბერკულოზის დისპანსერში. ხოდა აღმოჩნდა იქ ეს ჩემი მაღალი რძალი. ჩემ ძმაზე მაღალი იყო. დაინახა ქართველი კაცი, გიორგი გელაშვილად წერია, მარა უთქვამს ამას, სახლში ჟორას მეძახიანო და შევიდოდა და ჰკითხავდა – „ჟორა, კაკ სივოდნია?“ (ჟორა დღეს როგორა ხარ) მერე ეტყოდა – „ია ტებე, კუშაც პრენიოს“ (საჭმელი მოგიტანეო). ყოველდღე შემწვარი წიწილა, მოხარშული კვერცხი, კარაქი, თხის რძე, ხან ყველი. ისე აჭამა, რომ სამ თვეში უკვე აღარაფერი ჰქონდა ფილტვებში, გამოაჯანმრთელა. ასე უვლიდა ეს ქალბატონი. წელიწადნახევარი წოლილა, ჩვენ არ ვიცოდით, თავისუფალი იყო თუ არა. მერე საავადმყოფოში რენტგენის „მეხანიკად“ დაუნიშნავთ. ნიჭიერი ბიჭია, უნივერსალურად იცის საათი, დიდ საათს შეუძლია დახედოს, დაშალოს, ააწყოს და იმუშავებს. ხოდა, რენტგენის აპარატი რომ გაფუჭდებოდა, აკეთებდა თურმე. კარგი ხელფასი ჰქონია. რო მორჩენილა, უთხრეს, უნდა გაგწეროთო, შახტში უნდა ჩახვიდე ისევ სამუშაოდო. ჟორას უპასუხია: – მე ფილტვებით ნაავადმყოფარი კაცი ვარ, მართალია, გამომაჯანმრთელეთ, მარა მე იქ ვეღარ ჩავალ ისევ, მომკლავს ჭლექი. მომეცით ჩემი „რაშოტი“ (ანგარიში გამისწორეთ), სახლში წავალ, საქართველო-შიო. სიდედრის სახლში გადმოსულა, იქ დამტვრეული „ზაბორი“ (ღობე) შეუკეთებია, სახლი დაუხურავს, ასასვლელი კიბე გაუკეთებია ქვის, ბაღი მშვენივრად

გაუსუფთავებია, ხეები გაუსხლავს, კარტოფილს უთესავდა, იღებდა. ბოლოს კი მივიღეთ წერილი, რომ ნოვოსიბირსკში ცოლიც ჰყავს და შვილიც შეეძინათ. მე არ მოვეშვი, ვწერე და ვწერე, ჩამოიყვანე ცოლ-შვილი და ჩამოდი მშობლებთან-მეთქი. სანამ ჩემ რძალს დედა ცოცხალი ჰყავდა, ვერ დატოვეს, გარდაიცვალა და მაინც არ მოდიოდა თურმე ვერა. მაშინ ჟორამ უთხრა: – მე წავალ, იქ შევირთავ ცოლს, გყავდეს ეგ ბავშვი და იქიდან დაგეხმარებიო. რო უთხრა, ცოლს შევირთავო, ადგა და წამოყვა, იძულებული გახდა. სახლი დაუტოვეს ბავშვის ნათლიას. ჟორას შვილი მოუნათლია ვიღაცას. ცუდ ოთახში უცხოვრია იმას. შეუშვია ჩემ ძმას სახლში და უთქვამს: – ვალერი, იქნები ჩემ სახლში, იქნება არ მომეწონოს საქართველოში და დავბრუნდები. თუ დავბრუნდები, პირობა მომეცი, რომ დაცლი ბინასო.

ჩამოვიდნენ. აქ თავი გაიმართლა, შახტში იმიტომ მინდოდა მუშაობა, კაპიკები რომ ჩამომეტანა მშობლებთანო. დაინახა დედაჩემმა ჩემი რძალი და შემოეყარა გულზე. ჩემი ძმა მხრამდე წვდება, იმსიმაღლე ქალია. შეუხედავი გოგო იყო, მარა ექიმი მაინც ექიმია. გულცივი ქალია. ერთი დღე იცის სტუმარი, მეორე დღეს ოფიციალურია. ვინა ხარ-მეთქი ნაციით, ერთ დღეს ვკითხე, დამაინტერესა. – „ია ჩელდან, ტაკ ნაზივაიუტ ნას“ (მე ჩელდანი ვარ, ჩვენ ასე გვეძახიან), რუსები აღარა ვართო, მიპასუხა. პასპორტშიც ჩელდანი ეწერა. რუსი იყო, კაზაკი იყო, ვინ იყო? – ქრისტიანი თუ ხარ-მეთქი, კი, რას ლაპარაკობ, პირდაპირ მართლმადიდებლები ვართო.

ბავშვმა ქართული კარგად იცოდა. ჟორა დაბადებისთანავე ქართულად ელაპარაკებოდა თურმე. ალბათ ფიქრობდა, როდესმე ჩავალო. – დიდედა, ჩაი ადუღდა? – ეტყოდა დედას. – ადუღდა, ბებია გენაცვალოს, მოდი, დალიეო. – იქ დედაჩემი მარტოა, იქ დავლევთო. – წაიღე შვილო, როგორც გინდა, აი, შაქარიც, აი, თონის პურიცო.

არ ჯდებოდა ჩვენს სუფრაზე ქალბატონი. არ ვიცი, იქნებ მიხვდა, რომ დედაჩემს თვალში არ მოუვიდა. მამაჩემი არა, მამაჩემი დიდი კულტურული კაცი იყო: ვერა, შვილო, ერთი კაი ბორში გააკეთე, მენატრება. შენ კარგი გაკეთება იციო. ქართველი კაცი და ბორში გინახია? მამას დიდ პატივს სცემდა. კარგ ბორშს გააკეთებდა მართლა. აბა, ციმბირელმა მეტი რა იცის – კომბოსტო და კარტოფილი. ჩემ ძმას გაუჭირდა აქ ცხოვრება. ამხელა (ხელით აჩვენებს დაახლოებით 15 სმ დიამეტრის წრეს) კარტოფილები მოდის ციმბირის მიწაში და ამხელა (დაახლოვებით 50 სმ დიამეტრის) კომბოსტოს თავები. ერთ თავს რომ გაჭრიდნენ თურმე, ერთ კვირას ხარშავდნენ ბორშს. ოთხი ცალი ხახვის თავი ერთ კილოს იწონიდა თურმე. ვერ შეეგუა ჩემი რძალიც. აქ დათესა ერთი ჩანახი ლობიო, ნახევარი ჩანახი ამოიღო. ძალიან გაჭირვებულად ეჩვენა აქ ცხოვრება. კინაღამ უკან გაიქცა ჩემი ძმა, მარა აქედან დედამ და მამამ აღარ გაუშვეს. მე მაბრალებდა, შენ ჩამომიყვანე აქაო, მიჭირს ცხოვრებაო. ეხლაც დამნაშავე ვარ ჩემი ძმის წინაშე. მე რომ იქ მეცხოვრა, ქალიშვილი არ მომიკვდებოდაო. გოგოს (ძმისშვილი) შეყვარებული ჰყავდა ერთი უკრაინელი ბიჭი. ის ბიჭი ჩამოვიდა აქ. მოაწერეს ხელი, მარა ჩემს რძალს არ მოსწონდა. საექიმოზე სწავლობდა, დაუსწრებლის მესამე კურსზე. ოფიცერი იყო, ჯარში ნამსახური. იქ სასწრაფოზე მუშაობდა, ძალიან ნიჭიერი იყო. ხაშურში არ

დასვეს სასწრაფოზე. ჩემი ძმისშვილი ძალიან ლამაზი გოგო იყო, ყველას თვალში ჰყავდა ამოღებული. – რაღა უკრაინელს გაჰყევი, ქმარი ვერ იშოვე საქართველოშიო, უძახოდნენ დღე და ღამე. არადა ძალიან უყვარდა თავისი ქმარი. მერე, როგორც ოფიცერმა, ჩემმა სიძემ აიყვანა ცოლ-შვილი და წაიყვანა გასაბჭოებულ გერმანიაში სამუშაოდ. იქ ყოფილა ხალხი – საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგეები. ჩუმ-ჩუმად თავს ესხმოდნენ კომუნისტებს თურმე, – დატოვეთ აქაურობაო. სადღაც ტყის პირას ბარაკებში ცხოვრობდნენ ესენი, ჩემი ძმისშვილის ოჯახი, ქალაქში კი არ მისცეს ცხოვრების ნება. გერმანელები ბარაკს დასხმიან თავს. რაც რუსის ცოლ-შვილი ყოფილა, შესასვლელიდან სულ აუჩეხიათ ყველა. თორმეტი ოთახი ამოხოცეს, თორმეტი, და თორმეტი ოთახიდან ცოცხალი მარტო ესენი გადარჩნენ. დაუყვირია ჩემს ეთერს: – „ია ნე რუსკაია, ია გრუზინკა, ნე უბივაიწე!“ (მე რუსი არა ვარ, ქართველი ვარ, არ მომკლათო!).

ხელი არ ახლეს, მაგრამ ბავშვმა, პატარა ბიჭმა იღრიალა თურმე, დედას მოსაკლავად რომ მისდევდნენ. ჭკუაზე იმოქმედა. რო მისულა ნაწილში ამბავი, ცოლ-შვილი ამოგვიხოცესო, მოდიან თურმე რუსები ღრიალ-ღრიალით, მერე გაუხსნიათ „პულემიოტები“ (ტყვიამფრქვევები), დასხმიან თავს სოფელს. მერე გამოსულა ჯარი, შეწინააღმდეგებია, ჩვენ რა შუაში ვართ, სეპარატისტები არიანო, როგორც კოკოითი იძახის ეხლა, მე რა შუაში ვარ, სეპარატისტები არიანო. ამ ამბის მერე დასრულდა იმათი გერმანიაში ყოფნა. ჩამოვიდნენ აქ და ხაშურში ცხოვრობდნენ, სადაც ახლა გოგა ცხოვრობს. ერთი წელი იყო და აღარ გაჩერდა აქაც ჩემი სიძე. ერთხელ ჩემთან გამოიპარა. ვიცოდი, კარგი ჭამა იცოდა. შევუწვი კარტოფილი და მთელი ტაფით დავუდგი წინ. მაშინ მითხრა: – მარო მამიდა, უნდა წავიდე, მარა ეთერი არ მოდის, მშობლებს არ ტოვებსო. არადა, მე იქ ვამთავრებ და უნდა ვიმუშავოო. წავიდა კიდეც. მერე ჩემ ძმისშვილს ნერვიულობაზე დაემართა ყელის კიბო და გარდაიცვალა. ალბათ, უყვარდა ქმარი, აღარც გათხოვდა, ხო ჰყავდა ხაშურში თაყვანისმცემლები. ცალკე ეს ბავშვის დარდი და... 14 წლისა იყო გოგა, რომ გარდაიცვალა. დღეს ოცდაათი წლისაა. „ზდაროვი“, დიდი ბიჭია და აქვს განვითარებადი ჭკუის სისუსტე. მამამ რომ დატოვა, 5-6 წლისა იქნებოდა. იმან იქ მეორე ცოლი შეირთო. მერე წერილი მივიღე, საშა მწერდა, როგორ არიანო. მივწერე, ეთერი ყელის კიბოთი გარდაიცვალა და ბიჭი უპატრონოდ არის-მეთქი. პასუხი აღარ მომსვლია და აღარ... ჩემი ძმა საცოდავად არის დღესაც სოფელში. ორივე ცოცხალია, 79 წლისა ჩემი ძმაა და 78 წლისა – რძალი. ფეხზე ვეღარ დადიან, ორივე ყრუა. ჟორა ჩადის ხაშურში. ორი დღის სამყოფი საჭმელი მიაქვს გოგასთან და უკან ბრუნდება, იქ არ რჩება. ჩემ რძალს კი სულ არ უშვებს სახლში შვილიშვილი. გულში ჩარჩენია დედის სიტყვები – მამაჩემი გძულდა და დედაც შენ მოკალიო.

ჩემმა უფროსმა ძმამ ბავშვიანი ქალი შეირთო. მამაჩემს რომ უთხრა, ბავშვიან ქალთან დავდივარო, იმან უპასუხა: – შეირთე, მარა თავის განებების უფლებას აღარავინ მოგცემსო.

უფროს ძმას ეს ბავშვიანი ქალი ასე შეუყვარებია: ფრონტზე წასვლის დროს ტიტვლები ხო დაათვალიერეს ბიჭები. ეს ქალი კიდევ მისაღებში მუშაობდა, თერაპევტი იყო, სასწორზე სწონიდა, ეხმარებოდა. ეტყობა, შეხედა ისეთი თვალით და: – წერილი მომწერე, მისამართს დაგიტოვებ ჩემსასო, უთხრა. ხოდა წერა

წერილები ჩემმა ძმამ, წერა და მერე მამაჩემს მოსწერა, ერთი ურემი შეშა მიუტანე ხაშურში, უჭირსო. მთელი ზამთრის სამყოფი შეშა მიუტანა მამაჩემმა, დახერხილი, – შვილს როგორ ვაწყენინო, ფრონტიდან მთხოვსო. მივიდა და სახლში დახვდა გოგოს დედა და ბავშვი. – ეს ვინ არისო, – იკითხა ბავშვზე. – მერის გოგოაო, უპასუხა დედამისმა. ელდა ეცა, მაგრამ, მოდი, ბიძია, ჩემთანო, – მაინც მიეფერა ბავშვს, უთხარი დედას, რომ საშას მამა იყო და შეშა მოგიტანათო. მისწერა მერე ჩემ ძმას მერიმ, მამაშენმა შეშა მოგვიტანაო. გვარად დრელინგი იყო ჩემი რძალი, საქართველოში ჩამოსული გაქართველებული კაცის შვილი, ცოლი აქაური ჰყავდა, ქართველი – ჩემი რძლის დედა. სტალინის დროს კინაღამ გააგდეს აქედან, ქმრის გვარი რომ არ ჰქონოდა მერის. ძალიან ყოჩაღი კი იყო. სანამ მამაჩემი იჯდა, არ დაჯდებოდა, სულ რაღაცას აკეთებდა. – შვილო, დაისვენეო, ეუბნებოდა მამაჩემი. ჩემო მერი, – დედაჩემიც სულ ასე ეძახდა. პურის ჩაკვრა ისწავლა ხაშურში მეპურესთან და დედა იმის ჩაკრულ პურს მიირთმევდა მარტო, იქამდე თვითონ აკრავდა. მამა ეუბნებოდა: – ისეთი პური უნდა იყოს, ზედ ერთი კაცის სამყოფი საგზალი უნდა დაეტიოსო. ღვინო იდგმებოდა ზედ, თეფში ხორცით, ჭიქა საღვინე და გიორგობას აი, ეს უნდა აეღო კაცს ხელში, სადღეგრძელო ეთქვა, დაესხა პურზე ღვინო და უნდა ისე დაელია. ამ პურზე იყო სუფრა გაშლილი, იმხელა პურს აცხობდა დედა. დიდი განიერი ბალიში ჰქონდა, იმას ურტყამდა ცომს და ხელით უკეთებდა გასაჩერებელ ადგილს.

დიდხანს იცხოვრეს ერთად დედაჩემმა და მამაჩემმა, ოთხმოცდათორმეტისა გარდაიცვალა მამაჩემი და ერთ წელიწადსღა იცოცხლა დედაჩემმა ამის შემდეგ. ბოლო სურათი იცით რანაირია, სამოცი წლის კაცი გეგონება მამაჩემი, ერთი კბილიც არ აკლდა, რო ეტყოდნენ, კბილი რატო არ გაკლიაო, კაკალს კბილით ვტეხავ და იმიტომ არ მაკლია, თავვს კბილები იმიტომ არ ემტვრევა, რომ სულ თხილსა და კაკალს ამტვრევსო. სიმაგრეს უნდა მიაჩვიო, თორემ სულ ფაფა რომ ვჭამო, ხომ დამძვრება კბილებიო.

მესამე ძმა ფრონტზე დამეკარგა, ნიკო გელაშვილი. რომ მეგონა, დაჭრილი ჩამოვიდა-მეთქი, და იმისი მოსახელე რომ აღმოჩნდა, მასწავლებელი კაცი ყვარლიდან. ჩემი ძმა იყო წითელი ვარსკვლავის ორდენის, მეორე ხარისხის საბჭოთა კავშირის „გეროი“ (გმირი), ჰქონდა სტალინის რამდენიმე მედალი, იყო „ატლიჩნი“ რაზვედჩიკი (გამორჩეული მზვერავი) და იყო უფროსი ლეიტენანტი. კომუნისტების დროს ვიყავი მის საფლავზე. იქამდე მოდიოდა ცნობა უგზო-უკვლოდ დაკარგულისა. მერე მოვიდა დაღუპვის ცნობა. დავმალეთ, დედ-მამას არ უნახავთ. ისე ღებულობდნენ პენსიას ორივე, რომ ჩვენ ვუთხარით, – გერმანიაშია და იქიდან დაგინიშნეთ პენსია ჩვენო. აღარ მოდის და ჩვენ ვთქვით, რომ დაღუპულია, კომისარიატს მოვატყუეთო. მამა მიხვდა, პენსია ცალკ-ცალკე რომ დაუნიშნეს, ვინაიდან ცოლი არ ჰყავდა, 45-ს მამა ღებულობდა, 45-ს – დედა, სისოცხლის განმავლობაში. დავწერე მოსკოვში, დავწერე ჩემი რუსულით, როგორიც ვიცოდი. მომივიდა პასუხი, „ონ პაგიბ ვ პოლშე, პოტერიან ბეზ ვესტიო“ (ის დაიღუპა პოლონეთში, დაკარგულია უგზო-უკვლოდო). პირდაპირ საბჭოთა კავშირის გენერალს მივწერე: თუ „გეროი“ საბჭოთა კავშირის, უფროსი ლეიტენანტი, წითელი ვარსკვლავის ორდენის, ოთხი სტალინის მადლობის, შვიდი მედალის მქონე კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგეთ, თქვენ რა ხალხი ხართ. მითხარით სად

არის ჩემი ძმის საფლავი, მე ვიცი-მეთქი და სირცხვილია, რომ არ მანახოთ. მე ვიცოდი სადაც იყო, იმიტომ რომ რო დაიღუპა, იმ ღამესვე დაწერა წერილი პოლიტხელმა, რომ ტანკში დაიწვა წუხელისო, დასაფლავებულია ქალაქ სალნოკში, რკინიგზის ვაგზალთან, ბულვარშიო. ვიცოდი საფლავი, მაგრამ არ გავუმხილე იმათ არაფრით. მერე დიდი პატივისცემით მომწერეს: „უვაჟაემი, მარი გავრიელოვნა, მი პერედალი ეტა სპრავკა ვ ლენინგრადე, გდე ხრანიტსა, ლიჩნიე კარტოჩკი კამანდიროვ ი ატ მენია პალუჩიტე ვი ტოჩნი ატვეტ. ტოლკო სკარეი ნე ჟდიწე, პადაჟდიწე მნე ადინ გოდიკ“ (პატივცემულო მარია გავრილის ასულო, ჩვენ ეს ცნობა გადავეცით ლენინგრადს, სადაც ინახება მეთაურების პირადი ბარათები და ჩემგან მიიღებთ ზუსტ პასუხს. ოღონდ მალე ნუ ელით, ერთი წელი დამელოდეთო) – მწერდა კაცი. ერთი წელიწადი გავიდა და მივიღე მთავარსარ-დლობისაგან წერილი: „დასაფლავებულია სანოკში (ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ პოლონეთში), გადასვენებულია ბალიგროძეში (ბალიგროდი, სოფელი სამხრეთ-აღმოსავლეთ პოლონეთში), ასაფლავია მეთაურების სასაფლაოზე. ოთხი კაცია დასაფლავებული, – ოთხივეს გვარს მწერდნენ. – საფლავი არის კარებში რომ შეხვალთ ხელმარცხნივ, ნომერი მეორე“. აი, „ტოჩნად“ (ზუსტად) ასე. როგორ არ წავიდოდი! იმის მერე დავიწყე მაგათთან სიარული. რამდენი მსინჯეს! ვისი შვილი ხარ? რად მიდიხარ, მკვდარია მაინც, რა საჭიროა? მარა მაგარი ვიყავი და ვუთხარი:

– საუბარს ნუ მიტარებ, ახალგაზრდა კაცი ხარ, ჩემი შვილის ტოლი ხარ, „პოდპოლნიკი“ იყო მამაჩემი, მე რა, მავნებელი ვარ? რა უნდა გავაკეთო ეხლა მე პოლონეთში? რა უნდა გიღალატოთ? მითხარი!

ავუხსენი, გავაგებინე, გეოგრაფია ძაან კარგად ვიცოდი, გავსინჯე რუკა, რამდენი საათი უნდა ვყოფილიყავი მატარებელში, რომელ მატარებელს უნდა გავყოლოდი. ხოდა ერთი თვის მერე მოდიო. მერე შენი და-ძმა ჩამოვიდნენ ხაშურიდან, უნდა გავსინჯოო. მე ვუთხარი, აგერ არის საბუთები, ჩემ და-ძმას გასინჯვა არ უნდა-მეთქი. ერთი გლეხია, საშობლოს გამყიდველი ერქვა, გადაასახლეს, გაამართლეს და მოვიდა. იმიტომ რომ არ იყო გამყიდველი. მალენკოვმა გამოუშვა, რომ დავწერე ვისი შვილიც იყო, ექვს წელიწადში გამოუშვეს ოცდახუთწლიანი. რა, მალენკოვზე მეტი ტვინი გაქვთ-მეთქი?! რაზე უნდა ჩამოვიდეს, გაჭირვებულია, შარდსაც ვეღარ იჭერს და ვერ წამოვა-მეთქი. – მეორე ძმაო? მეორე ძმა ქუთაისში იყო, ჯარისკაცებს ღებულობდა, ჯარში წასაყვან ხალხს, „ვაენკომატი“ იყო. მე ვუთხარი: – ქუთაისშია „ვაენკომატის“ უფროსი. და დიასახლისია, ბოსელიდან სახლში შედის, არსად არ გადის-მეთქი. ვერაფერი ვერ გვითხრა. შე კაი კაცო-მეთქი, – ვუთხარი, ივლისში შემოვიტანე საბუთები, აგვისტოში მაინც გაგვიშვი! პირველში ვეჩხუბე და შვიდ რიცხვში ნებართვა მომცა, შემივსო სამი ანკეტა – ჩემი, ჩემი დის და ქუთაისელი ძმის. ამან უარი თქვა, სად წამოვიდე, ყოველ წუთში ტუალეტში დავდივარო. დავიბარე. ჩამოვიდნენ. ისე კარგად მახსოვს, ძალიან ბევრი კატლეტი გავაკეთე. კარგი სუფრა გავაწყეთ, დედის და მამის საფლავიდან მიწა წავიღეთ. და რატო წავედი, იცით? ჩემი ძმა ვნახე სიზმარში, აი, აქ (გვერდებზე, მუხლებთან) რომ ჯიბეები აქ ჯინსებს, აი, ეს ჰქონდა ძალიან მძიმე და ბეღლეთიდან მოდიოდა, სადაც საფლავებია. – უიმე, ნიკო! მკვდარი მეგონე, ცოცხალი ხარ? პოლონეთიდან

მოხვედი-მეთქი? –კიო, პოლონეთში ვარო, – მითხრა. – ეს რა არის-მეთქი? და მიწა მიმაქვსო დედის და მამის საფლავიდანო. ჩემი სახლისთვის მიმაქვსო, – ესე იგი საფლავისთვის უნდოდა. მე ვუთხარი ჩემ დას: – მოვკვდები და როგორც გინდა ამიკრძალონ, წავალ და მიწას წავიღებ-მეთქი.

ხოდა რო გაგვიშვეს და აქედან რომ წავედით, ნუგზარი (მარო გელაშვილის შვილი) ჩაეწერა ლვოვის რეისში და იმან ჩაგვაფრინა. ის ღამე სასტუმროში გავათიეთ. მეორე დღეს გადიოდა მატარებელი. გავგზავნე ჩემი ძმა, წადი და ბილეთები აიღე მატარებლის-მეთქი. გაუკეთებია ორდენები გულზე. პოლონეთში ჭირივით სძულთ ეს საბჭოთა ორდენები. იმას კი დაუბნევია! მე ვუთხარი: – მოიხსენი სუყველა და ჩააწყე ჩანთაში, რა არი, რო დადიხარ გაჭიმული, აქ საქართველო კი არ არის-მეთქი. – რათაო? – ოკუპანტს დაგიძახებენ, ჩადე ეხლავე! ოკუპანტები ვართ ჩვენ-მეთქი. შეიხსნა სუყველა და ჩაალაგა. – ახლა მე რაღა კაცი ვარო. მე ვუთხარი: – ენა გააჩერე, რაცა ხარ, ეგა ხარ-მეთქი.

24 მანეთი გავატანე. ახლა, სალაროდან მოვიდა და: – კაცო, 72 მანეთი მინდაო. – ხო გაგატანე საბუთი, რატო არ უთხარი, რკინიგზელები ვართ და „ტრებავანია“ (მოთხოვნა) გვინდაო. – რა ვიცი, მარო, წამოდი, ვერაფერი გავაგებინეო. წავედი. – „ზდრავსტვუიწე-მეთქი“ – ვუთხარი: – „ია კოლეგა, რაბოტნიკ ვაგზალა. პაჩემუ ტი ხოჩეშ 72 რუბლია. მნე პალოჟენა ტრებოვანია, ტრი ჩელოვეკა ბუდეტ ვ ადნომ ტრებოვანიე ზაპისანი, პატომ ია ხაჩუ შტობ ბეზ კამპასირა ია ხაძილა, სკოლკო ბუდუ ვ პოლშე.“ (მე კოლეგა ვარ, ვაგზლის მუშაკი, რატომ მთხოვ 72 მანეთს. მე „მოთხოვნა“ მეკუთვნის, სამი კაცი იქნება ჩაწერილი ერთ „მოთხოვნაში“, მერე მინდა, რომ კომპოსირების გარეშე ვიარო, რამდენ ხანსაც ვიქნები პოლონეთში-მეთქი).

„ტრებოვანიე“ იცით როგორია? ერთი ბილეთია და სამნი წერიხართ. გინდა მატარებელზე დაჯდები, გინდა რაზე, იქით წადი, აქეთ წადი. უკანასკნელი სადგური წერია მხოლოდ. დავწერე ცენტრალური სადგური. სამარის იქით არის ის ცენტრალური სადგური. ჩავედით, წავიღეთ მღვდლის ნაკურთხი აქაური მიწა, ნაკურთხი პური. იქ მღვდელს სად ვნახავდით, ხაჭაპურები გვქონდა ნაკურთხი, ქადა, თონის პურები, ყველაფერი აკურთხა მღვდელმა და გავავსეთ ჩანთა და წავედით. მარა რას ვნანობ: ღვინო წავიღეთ ექვსი ბოთლი. გვითხრეს, გზაში ართმევენო. თურმე არაფერსაც არ ართმევენ, გინდა „ბაჩონკით“ წაიღე. ბიჭები სინჯავდნენ, რუსები. ერთი ჭიქა დაგელევინებინა და დაგანებებდნენ თავს. მერე ვისწავლე, მაგრამ რაღა დროს! პოლონეთი, სადაც ჩემი ძმა იყო დასაფლავებული, ორად იყო გაყოფილი. ორი რაიკომი იყო, ერთი – მუშათა და გლეხთა, მეორე – კომუნისტების, სადაც ცენტრი იყო, მარა ცენტრამდე მე არ მივდიოდი. ბალიგროძეს ეძახიან რაიონს, გახვალ თუ არა რუსეთიდან, რამდენიმე კილომეტრში ამ რაიონში შედიხარ. ეხლა, რო ჩავედით პირველად, ამან დაგვარიგა, ამ კაცმა, ვინც გაგვიშვა, „ემვედედან“: პირველად მიხვალთო ბალიგროძეს დაკარგულ მებრძოლთა სასაფლაოს სპეციალურ განყოფილებაში, გადაიხდით სამ ლარსო (მანეთს), მოძებნიან სიასო. მე ხომ მქონდა მოსკოვიდან მისამართი, ერთი ჭიქა ღვინო დაალევინეთ და წამოგყვებათ ის კაციც და საფლავს გაჩვენებთო. ვეღარ ვუთხარი, რომ საფლავიც ვიცოდი მე და ნომერიც. მართლაც, მივედით იქ, ჩემმა ძმამ ამოიღო და ავტობუსი გააჩერა, სამთუმნიანი აჩუქა. ჩაგვსვა შიგ და

სასაფლაომდე მივედით. ავტობუსი პირდაპირ დადის ქალაქ სალნოკიდან ბალიგროძემდე, სადაც დასაფლავებული იყო ჩემი ძმა. ის ვაგზალიც ვნახეთ, ის ბულვარიც ვნახეთ, საიდანაც გადაასვენეს. მოხუცი კაცი ვნახე, ძალიან მოხუცი მათხოვარი, ვუთხარი: აქ ჯარისკაცები რომ იყვნენ, დასაფლავებული, სად არიან-მეთქი? – ტი ქტო ტაკოი? (შენ ვინა ხარო). ვუთხარი, ია გრუზინკა, პრიეზჟაია (მე ქართველი ვარ, ჩამოსული), ძმის საფლავს ვეძებ-მეთქი. „ზნაეტე დოჩინკა, კტო ზდეს ბილ პახარონენ, ვსე ნა ბალიგროძე სიჩასო“ (იცი, შვილო, ვინც აქ იყო დასაფლავებული, ახლა ყველა ბილიგროძეშიაო – აი, იმ კაცმაც ასე მითხრა, – „ზძეს ცვეტი ტოლკოო“ (აქ მხოლოდ ყვავილებიაო).

ბულვარია ცენტრში, თურმე იქ იყვნენ ჩაყრილები. ავტობუსში რომ ავედით, ადგილები არ იყო. შეგვხედეს, სხვები ვართ და ბიჭები წამოხტნენ, – „საძიწესო“ (დაბრძანდითო). ჩემი ძმა მეუბნება: – შენ კიდევ იძახი ოკუპანტებს გვეძახიანო. – აბა გაიკეთე მედლები, რას გეტყვიან-მეთქი.

მოვიდა ერთი პოლონელი, ბილეთები რომ ავიღეთ ბალიგროძესი: – მოკლე გზით გადაგიყვანთო ტყე-ტყე, რათ გინდათ ავტობუსიო. მე ვუთხარი, ჩვენ ტყე-ტყე არ დავდივართ და არც ერთი პოლონელის გაცილება არ გვინდა-მეთქი. ფული გვქონდა წაღებული, სახარჯო ხომ გვინდოდა.

პოლონელები ყოველ შაბათს ყიდულობენ ყვავილებს და ყველა დედა ბავშვებთან ერთად მიდის ბალიგროძეს სასაფლაოზე. პოლონელების სასაფლაო დიდია. აქ არის დასაფლავებული დაუმორჩილებლობის მოძრაობის ოცეული – გერმანიას ვინც ებრძოდა, ვინც დახვრიტეს და მოკლეს, აი, იმათი სასაფლაოა. აქ არც ერთი ჩვეულებრივი პოლონელი არ არის დასაფლავებული, აქ არის გერმანელების წინააღმდეგობის პოლონელთა სასაფლაო. დიდი წაწერაა, დიდი შესავალია, ათი თუ თორმეტი „რიადია“ (რიგია) თავიდან ბოლომდე, ვაიმე, რა გრძელია. მინდორი აუღიათ, მაღალი ადგილია, გორაკია, და სულ ბოლომდე არიან დასაფლავებულები. ჩვენია ერთი „რიადი“, წინა „რიადში“ და იქ ასაფლავია 170000 საბჭოთა მებრძოლი. ზოგში ათია, ზოგში ოცია ჩაყრილი. ესენი, როგორც მეთაურები, ორ სასაფლაოში – პირველში და მეორეში ოთხ-ოთხი კაცი იყვნენ დასაფლავებული. ჩემი ძმის სასაფლაოში ერთი ჩეჩენია, ერთი – უკრაინელი, ერთი – ბელარუსი და ერთიც ჩემი ძმა – ერთი ქართველი. ყველას გვარები მაქვს. ბოლომდე ავედი, რომ ავედი, ტირილი მომინდა. ყველგან ტალახი იყო, ჩვენზე კი – „ვეჩერნი ფიალკას“ (საღამოს იას) რომ ეძახიან, ლურჯი ყვავილი რომაა დაბალი, ის ყვაოდა. ეტყობა, დეპეშა გაგზავნეს ქოფაკებმა და მეთაურების პირველი და მეორე საფლავები იყო გაყვავილებული. მესამე – გაბალახებული. ქალი მოვიდა და ფული ვაჩუქეთ, ვუთხარი: „ქტო პასადილ ცვეტი“ (ვინ დარგო ყვავილები-მეთქი). ზაფხულია, აგვისტოა და ყვავილები გამხმარი უნდა იყოს, კაცო, ცხელა. – „ია პასადილა, მნე პრიკაზალი ატტუდა“ (მე დავრგე, მიბრძანეს იქიდანო), განყოფილებიდანო და დავრგეო. თუმანი აჩუქა ჩემმა ძმამ, თონის პური მივეცით, ილოცა, იწერა პირჯვარი... ხოდა ნაკურთხი მიწა მოვაყარეთ. ჩემმა დამ იტირა. მე ერთი ცრემლი არ გადმომვარდნია, არ ვიცი, იქნებ მეტი კმაყოფილებისაგან... მერე რა სასწაულია, უშველებელი სასაფლაოა და ხე არ არის სასაფლაოზე, ერთი ნაძვი იყო და ისიც – ნიკოს სასაფლაოზე. ეგ რაღა ღმერთმა ქნა! სახლში ერთი მაღალი ნაძვი იყო ზევით, მამაჩემმა უთხრა,

შვილო ადი და თავი გადააჭერიო, ეგ ნაძვი მიყვარს, ხელი არ ახლოთო. ნიკომ უთხრა, – რომ გამოვდივარ, პირველად მაგას ვხედავ ამ ძეძვებშიო.

ხოდა, ის ნაძვი რომ უყვარდა, გეგონება ის ნაძვი წაიღესო. ისეთივეა: მაღალი, თავიანი. სასაფლაოს კუთხე, და იქვეა ნაძვიც. ისე უჩრდილავს... ჩრდილში ვიჯექით იმ ნაძვისა. ლექსიცა მაქვს იმ ნაძვზე დაწერილი. ჩემს ძმას, კაცო, განთქმულ ფოტოგრაფ კაცს, პირის საპარსი ჩაუდვია და აპარატი არ წამოუღია, რომ სურათი გადაგველო. იმ კაცმა კი მოიყვანა ფოტოგრაფი, გადააღებინა პოლონელ „ბრაძიაგას“ (ბოგანო) სურათი – დათვრა რომ დავალევინეთ, მაგრამ ჩემმა ძმამ თქვა, არც ერთი არ გამოვაო. ნაძვის ჩრდილმა გადაიწია და მზე უკვე პირდაპირ მოგვადგა. არადა სულ წვიმდა იქამდე და საფლავზე რომ ავედით, მზიანი დღე იყო. ეს რაღა იყო, მოვკვდით წვიმაში, მატარებელში რომ მივდიოდით – წვიმდა, ავტობუსში რომ მივდიოდით – წვიმდა, ავედით და მზე გამოვიდა.

იქიდან ჩავსხედით რბილ მატარებელში. კუპეებს „სტეკლოები“ (შუშები) აქ. დაძინებულებსაც გხედავენ და დამსხდრებსაც. მოგვიკაკუნეს, სკამები გადაწოლილია და გვძინავს. ძალიან ზრდილობიანი ხალხი იყო, შემოვიდა და: – „ატკუდა ვიო“ (საიდან ხართო)? – „იზ თბილისი-მეთქი, ვუთხარი. – გრუზინიო (ქართველებიო)? – და ჰო-მეთქი. – „ნი ნადა, ნი ნადა ნიჩევოო“ (არაფერი არ არის საჭიროო) და არაფერი არ გვკითხა. მე ვუთხარი: – „პაჩემუ, პრავერიწე, უ ნას ტრებოვანია (რატომ, შეგვამოწმეთ, მოთხოვნა გვაქვს-მეთქი). – „ნი ნადა, რაძი ბოგა, ნი ნადა, იზვინიწე პაჟალუსტაო“ (არ არის საჭირო, ღვთის გულისათვის, მაპატიეთ, გეთაყვაო).

ჩამოვედით სადგურში. გავიარ-გამოვიარეთ, ქალაქი დავათვალიერეთ, ლამაზი, დიდი ქალაქია, სახელი არ მახსოვს. ჩემმა დამ „სუმკა“ (ჩანთა) იყიდა, მე „პლაში“ ვიყიდე, ჩემმა ძმამ ცოლს უყიდა „პლაში“, ცოლი პირველი იყო იმისთვის. შევიარაღდით მოკლედ, საფლავზე ვიყავით და! „ელექტრიჩკა“ გადის დილით. ჩვენი წასული იყო უკვე ცენტრში, ვარშავაში. სად წავსულიყავით ღამე?! ავედით სასტუმროში. „მესტ ნეტუო“ (ადგილები არ არისო). რკინიგზის სასტუმრო იყო, ვუთხარი: „ტი ჟე ჟელეზნადაროჟნიცა, დავაი მესტა, ატძელნა დავაი დლია ბრატა, ატძელნა დავაი დლია ჟენშინი (შენ ხომ რკინიგზელი ხარ, მოგვეცი ადგილები, ცალკე ძმისათვის, ცალკე ქალებისთვის-მეთქი). – „ნეტუო (არა გვაქვსო). – „კაკ ნეტუ, ვსეგდა იესტ მესტა, ნაში ტოჟე ტაკ გავარიატ. ტი მნე ნი ლგი“ (როგორ არა გაქვთ, ადგილები ყოველთვის არის, ჩვენებიც ასე ამბობენ. ნუ მატყუებ-მეთქი). გაწყვიტა ხმა და ჩემი ძმა სხვაგან მოათავსა და მე და ჩემი და – ცალკე. დაბრონილი ჰქონდა, „კანეშნა“ (ცხადია), გასაყიდად უნდოდა. გავათიეთ ღამე. დილით ავდექით შვიდ საათზე. ვაგზალში ჩამოდგა „ელექტრიჩკა“, ჯერ წასვლის დრო არ არის. ცხრის ნახევარზე უნდა წავიდეს, მუშები უნდა მოვიდნენ და უნდა წაიყვანოს სანოკში. იქ დიდი წარმოებებია. ჩვენ ავედით და დავსხედით. თავები ჩანდა, ხომ არ დავიმალებოდით. ამოვიდა ერთი პოლონელი: „კუდა იეძიტე, ზაჩემ ვი ტაკ რანა სელიო“ (სად მიემგზავრებით, ასე ადრე რად ჩასხედითო)? მე ვუთხარი: – „საიდიწე ატკუდა პადნიალის. კაკოე ვაშე დელო (ჩადით, საიდანაც ამოხვედით. რა თქვენი საქმეა-მეთქი). ჩემ ძმას ეშინოდა: – კაცო, არ ამოგვხოცონ, მარტო ჩვენ ვზივართ სამნიო. – შენ დაიმალე-მეთქი, – ვუპასუხე. ამოდიოდნენ და სახლში უნდოდათ როგორმე წაყვანა, ხან –

„ჩაი ნი ხაწიწე“ (ჩაი ხომ არ გინდათ)? ხან – „ვ ბუფეთ ნე საიდიოწე“ (ბუფეტში ხომ არ ჩახვალთო)? – „დავნო ვიპილი მი უჟე ჩაი, ნი ნადა (უკვე დიდი ხანია დავლიეთ ჩაი, არ გვინდა-მეთქი). სამჯერ-ოთხჯერ ამოვიდნენ. ცხრის ნახევრამდე გაივსო მატარებელი. გამოიარა კაცმა, ბილეთებს ამოწმებდა, ყველას ჰქონდა ბილეთი. ჩვენთან მოვიდა და ამოვიღეთ თუ არა „პრავიზონკა“, ხელები გაატატანა: – პრიეზჟიეო (ჩამოსულები ხართო)? – პრიეზჟიე-მეთქი და მაშინვე ბოდიში მოიხადა. „დაჟე“ ზედ არ უყურებენ, სად არის ჩვენ ხალხში ასეთი კულტურა. აქ დაიჭირეს გუშინწინ ამერიკელი კაცი, სცემეს და მანქანა წაართვეს. უძახა: „ია ამერიკანეც“ (ამერიკელი ვარო), მაგრამ ვინ დაუჯერა! ესაა საქმე?! ცოტა ფული ჰქონდა, დოლარები და მანქანაც წაართვეს. სულ გასისხლიანებული ჰქონდა ტანი და პირი. მე მცხვენია, ტელევიზორთან რომ ვზივარ. იქ რომ ხალხი ვნახე, როგორი ყურადღებით გვექცეოდნენ!

პოლონეთი კარგად მაქვს დათვალიერებული. მერე ჩემმა ბიჭმა 500 მანეთი გადაიხადა და მიყიდა საზღვარგარეთის ჯგუფის „პუტიოვკა“ (საგზური). ისე კი არა, დიდი მატარებელი რომ მიდის, სავსე როა მოვაჭრეებით და ზოგს ფული ფეხებში აქვს ჩამალული და ზოგს – სად. ჭირივით ეზარებათ ასეთი მატარებელი საზღვარგარეთ. ერთმა ქალმა მითხრა ჩეხოსლოვაკიაში, სულ ვაჭრები ხართ, ებრაელები ხართო. პოლონეთში ორი რაიკომი იყო, ერთი კომპარტიის და ერთი – სახალხო. მოკლედ, არ ვარგა პოლონეთის წყობა, ნახევარი არის პარტიული, ისინი ძალიან ღარიბები არიან. რა თქმა უნდა, იმათ მიგვიღეს, პარტიამ გაგვაგზავნა და აბა ვინ მიგვიღებდა! 20 ბიჭი და 15 ქალი ვიყავით და იცი, ვინ აარჩიეს? მშენებლობის ინჟინერი, მეტალურგიის ინჟინერი. რუსთავის მეტალურგიულიდან კაცი წამოვიდა, ვითომ „კაჩეგარი“ (ცეცხლფარეში) იყო, არადა იყო ჩვენი შპიონი, ხელად მივხვდი, ისეთი თეთრი ხელები ჰქონდა და ისეთი თეთრი იყო. ამ ხნის ქალს, 72 წლისა ვიყავი უკვე, ეგ მასწავლიდა, ვინ იყო? ეგ „კაკებეჩნიკი“! ყველას ისე ჰქონდა საბუთი შევსებული, ვითომ მეშახტე იყო, არავის არ ეწერა ინჟინერი. 35 კაცს შემოგვიტანეს ერთი „ბუხანკა“ პური, ჭრის ის ქალი და პატარა ნაჭრებს გვიდებს თითოს. უყურეს, უყურეს ბიჭებმა და სამ-სამი კაცის აკრიფეს და დაიდეს. – რასა შვრებითო. – ჩვენ ბევრი პური გვიყვარსო. – რათა, საჭმელი არა გაქვთო? – ვაი, თქვე საწყლებო, ჩვენ რომ საჭმელი გვაქვსო, – უთხრა ერთმა ბიჭმა პოლონურად, მეშახტე იყო. ჩვენს იქით ისხდნენ ამერიკელები. მაშინ პირველად ვნახე ამერიკელები: ყველას დიდი მუცელი ჰქონდა, ყველა მდიდარი იყო, ღიპიანი.

რუზანა მყავდა ამხანაგი ჩეხოსლოვაკიაში. ის ჩამოვიდა მამის საფლავის სანახავად. სასტუმრო „თბილისში“ დაბინავდა. ვერ მოვიდა ჩემთან, მძღოლს უთხრა, გამიყვანეთ ნაკადულის ქუჩაზეო და კინოთეატრ „ნაკადულთან“ გაიყვანეს საბურთალოზე. – ვიარე, ვიარე, 10 მანეთი გამომართვა ტაქსის მძღოლმა და ვერ გიპოვეო. მივედი მერე სასტუმრო „თბილისში“. როგორც კი მივედი და ჩამოვიდა ის ქალი, მოიტანა ორმა ახალგაზრდა ბიჭმა მაგიდა ახლოს და დაიწყეს ნარდის თამაში. მივედი, ამოვიღე მანდატი, ვაჩვენე და ვუთხარი: – შვილო, ძველი პარტიის წევრი ვარ, არაფერი „სეკრეტი“ (საიდუმლო) მე ამ ქალთან არა მაქ-მეთქი. ეს ყოფილი სომეხია, ჩეხოსლოვაკიელი ბიჭის ცოლი, ჩამომიტანა „ბასანოჩკები“ (საზაფხულო ფეხსაცმელი) და „კასინკა“ (თავშალი),

აგერ დევს-მეთქი, თუ გინდათ, ნახეთ, ოღონდ აქ ნუ აჩხაკუნებთ და წადით სხვას მიუჯექით-მეთქი. თქვენხელა სტაჟი მაქ პარტიაში, პარტიული კომიტეტის მდივანი ვარ და შეურაცხყოფაა მე რომ მამოწმებთ, სირცხვილია-მეთქი.

აიღეს და წაიღეს, დამიჯერეს. ამის გულისთვის მერე „კაგებემ“ გამომიძახა. რატო მეძახიან-მეთქი და კვანძის უფროსმა მითხრა: – ჰმ, რატო და ჩეხოსლოვაკიიდან სტუმარი რომ მიიღე, ბიჭები არ დაგიშვია, რომ ახლო მჯდარიყვნენო. – წავალ – ვუთხარი, – და ისე გაგიცოცხავ, იმისთანები რამდენი გამიზრდია-მეთქი. – იცი, მართლა როგორ გამოვლანძღე?! შენ დაბადებულიც არ იყავი, მამაჩემი რომ კომუნისტი იყო, ვის ამოწმებ? მე? ვაჩვენე საბუთები და ვთხოვე, იმ ჩხაკა-ჩხუკისთვის დაენებებინათ თავი. – შენ იცი სადა ხარო? – სადა ვარ? დაპატიმრებას ხომ არ მიპირებ? რომელ ფაქტზე დამიჭირე, რომ სამშობლოს ვუღალატე? ბოდიში მოიხადე, რომ დამიძახე, მეცხრე სართულზე ამომიყვანე და დაკითხვას მიწყობ-მეთქი.

ხმა არ ამოუღია. გამომაცილა, – ნუ იტყვი, აქ რო იყავიო. წარმოგიდგენია? ლიფტში დაცვამ გამაცილა. დიდ კიბეებიანი „დომ სვიაზი“ (კავშირგაბმულობის სახლი) როა, იქ ამიყვანა მეცხრე სართულზე. ისე, ვერაფერიც ვერ გაიგეს: იმან ხომ დახარჯა ჩვენი თუმანი ტაქსში, მე ორი თუმნიანი ჩავდე იცი რანაირ „სუმკაში“? თხელი რომ იყო და იკეცებოდა. ძირი ხომ ჰქონდა „კლიონკის“, იმ „კლიონკის“ ქვეშ ჩავდე. ის სუმკა გავშალე და ვაჩვენე: აი, ეს „სუმკა“ უნდა ვაჩუქო-მეთქი. მერე დამირეკა სუზანამ, როგორ გაბედეო?! გაცილებითაც გავაცილე, ქმართან გავატანე აქაური ტკბილეული, თბილისის ხედები. ამ ხედების „პასილკაში“ ჩადება აკრძალული იყო. უმრავლესობა ეკლესიებისა იყო, ზოგი ნაყიდი, ზოგიც ჩემი ძმის გადაღებული. მე ვუთხარი, დაბლა ჩააწყვეთ და ზემოდან ტანსაცმელი დაალაგეთ-მეთქი. ყველაფერი წაიღეს. ორი წელია, რაც აღარ ვწერ, ალბათ, იფიქრა რომ გარდავიცვალე. ისე კარგად ვწერდით ერთმანეთს, კავშირი გვქონდა.

მე 20 წელიწადი თბილისის საკვანძოს, – ჯერ ნავთლუღი ერქვა, მერე თბილისის საკვანძო სადგური, – პარტიის 100 წევრის პარტკომის მდივანი ვიყავი. ქების სიგელები მაქვს მიღებული. სანამ წამოვედი სამსახურიდან, სულ პარტკომის მდივანი ვიყავი. აირჩევდნენ მოადგილეს, ამირჩევდნენ ისევ მდივნად. შენ ამოწევა იცი ვაგზლისო. ამოწევა რას ერქვა – გაზეთებს კარგად ვაწერინებდი. უნდა გამოეწერათ „რკინიგზელი“, აუცილებლად „კომუნისტი“ და ერთი რუსული გაზეთი, „იზვესტია“ ან „პრავდა“. კომუნისტები ოთხ-ოთხ გაზეთს ვიწერდით. რა უფლება გქონდა კომუნისტს, „კომუნისტი“ არ გამოგეწერა. ერთხელ, ქართველებში რომ გავასაღე, ქურთებმა უარი განაცხადეს. მართალიც იყო ის ხალხი, ვერც რუსულს კითხულობდნენ, ვერც ქართულს. ოთხი ცვლა მყავდა „ნასილშიკების“ (მებარგეების), ოთხ-ოთხი იყო თითო ცვლაში. მე ვარ პარტკომის მდივანი, თან დიქტორი და ცნობათა ბიურო. ეს პარტკომობა იყო უჯამაგირო, შეთავსება, მაგრამ ყოველდღე ვზივარ ცნობათა ბიუროში და ვაცხადებ მატარებლებს, ვიცი ამათი სეკრეტი, ამათ უფლება არ ჰქონდათ, ვაგზლის მოედნის იქით წასულიყვნენ. ბაზრის „ნასელშიკი“ უნდა მოსულიყო და იმას უნდა წაეღო, გლეხებს რომ ჩამოჰქონდათ ტვირთი. მოვიდა ბრიგადირი ხალო და მითხრა: – კითხვა არ ვიცით ჩვენ, ტუალეტის ქაღალდი მაქვს და ღარიბი კი არა ვარ, გაზეთი ვიხმაროო. სომხებს თუ გამოუწერეთ „ვრასტანი“, ჩვენ რაო? სომხური

გაზეთი „ვრასტანი“ სასომხეთიდან მოდიოდა და მეორე დღეს იღებდნენ. – კარგი, ხალო, გიხაროდეს, მე მომხსნიან პარტკომის მდივნობიდან. 80 მანეთი ხელფასი მაქვს, ავდგები და ყველას გამოგიწერთ სამ-სამ გაზეთს. ფულს მე გადავიხდი და გაზეთი კი თქვენ სახლში მოვა. დამიწერე ახლა სია და ზუსტი მისამართები ბინის, თქვე გაჭირვებულებო, თქვენა-მეთქი. – ისე გავჯავრდი, „ნასელშიკებმა“ რომ გაზეთი გამოიწერონ, ვითომ აღარ მინდა. ორი ახლგაზრდა ბიჭი იყო, მოვიდნენ – მარო დეიდა, გვრცხვენია, როგორ უნდა გადაიხადო ჩვენი ფულიო. – თქვენ არ იყავით, ხალო რომ მომიგზავნეთ, კითხვა არ ვიცი რუსულად და წერაო! ფულის დათვლა ხომ კარგად იცით, რომ ჩამოვა კახეთი და მოედნიდან ბაზრამდე რომ წაიღებთ ტვირთს, მივალ კვანძის პარტკომთან, ვეტყვი, და რომ აგიკრძალავთ მოედნიდან გასვლას, აბა, როგორი იქნება-მეთქი! მეორე დღეს არ გავუშვი: – კარგი ბიჭები ხართ და აბა, ლიანდაგი გადაიარეთ-მეთქი. ტრამვაი ხომ დადიოდა, იმის ლიანდაგზე გადადიოდნენ, ბაზარში შეჰქონდათ ტვირთი და ბლომად იღებდნენ ფულს. 5 მანეთს უხდიდნენ, ყელამდე იყვნენ. არ გინდათ რუსულ-ქართულის ცოდნა, იყავით ქურთები, წადით ქურთისტანში და იქ გამოიწერეთ გაზეთი. აი, ასეთი ქალი ვარ-მეთქი. გამოვიწერე გაზეთები. გადავიხადე ჩემი ფული. გაიგეს ქვითარში რამდენიც იყო, ადგა ხალო და შეკრიბა ყველა: – ოღონდაც ბაზრამდე გაგვიშვი და ამ ფულსაც ჩაგაბარებთ და ყოველდღე მაღარიჩსაც მოგიტანთო. ვუთხარი: – მე კომუნისტი ვარ, ყოველდღე მაღარიჩი არ მინდა, შეგიძლიათ ხილი მომიტანოთ, ბექაია კი არა ვარ, ქრთამი ავიღო-მეთქი. იმას ათ მანეთს აძლევდნენ. რო უთხრეს, მარომ არ გაგვიშვაო, არ მოეხმარა, ჩემი საქმე არ არის, მე ჩემი წილი მომეცით და სადამდეც გინდათ გადითო. ბექაია მე მამზადებინებდა ახალგაზრდა გოგოებს, მეუბნებოდა, მომიმზადე და ჩუმად იყავი, მოლარედ უნდა დავსვა. სულ მოხუცები არიან, ავადმყოფები და მერე მაგათ მივიღებ. თავისუფალ დროს აუხსენი, ბილეთები როგორ უნდა გაყიდონ, როგორ უნდა გამოიანგარიშონ გზაო.

სახელმძღვანელო რუსული წიგნი იყო. ისე, ვინც რუსული იცოდა, იმ გოგოებს ისედაც ვღებულობდით, ჩუმად ვამზადებდი მოლარეებს, მარა მერე მაინც გებულობდნენ, რომ მე მოვამზადე.

დაახლოებით 1974-75 წლებში რკინიგზაზე მოხდა ამიერკავკასიის ისტორიაში დაუვიწყარი, ძალიან მძიმე ავარია. საღამოს თბილისიდან გავიდა თბილისი–ბათუმის მატარებელი, რომელშიც ძალიან ცოტა საწოლები და საძინებელი ვაგონებია. იმით ძირითადად დადიოდნენ ვაჭარი ხალხი, მუშები, გურიაში, ზესტაფონში მაცხოვრებლები, მთელი იმერეთი. ისე რომ, გადაჭედილი მიდიოდა მატარებელი. მდინარე მტკვარი, რომელიც ყოველთვის ლიანდაგიდან სამხრეთით მიედინება, მატარებლის ძეგვში შესვლის წინ გადადის უკვე ჩრდილოეთის მხარეს. ის ადგილი, სადაც ხიდია გასავლელი, ამაღლებულია. სიმაღლე, დაახლოებით რომ ვთქვათ, ლიანდაგს ერთი 30 მეტრომდე კი ექნება. ზაფხულის დრო იყო, ლიანდაგი ნახევარი თუ ერთნახევარი სანტიმეტრით იყო გაფართოებული, ძეგვიდან გასული და არ მისული ქვახევში, ელექტრომავალი ასცდა ლიანდაგს და 80 კმ/სთ სიჩქარით მიმავალი, გადავიდა ქვიშაზე. ვაგონებმა დაიწყეს ერთმანეთზე შესხდომა და წარმოიქმნა ერთი დიდი გორაკი 13 ვაგონისგან. ველარ დაიჭირეს თავი, გადაბრუნდა მატარებელი ელმავლიანად და დაგორდა

დაღმართზე. გაჩერდა დაბლა. საურმე გზა გადის გლეხების, და იქ გაჩერდა კი არა, დაეხეთქა. დაიმსხვრა ვაგონები და ვაგონებთან ერთად გაისრისა ხალხი. დილამდე ვერ დაინახეს ვერაფერი, ისეთი სისხლის გუბე დადგა! დილა რომ გათენდა, მივიდნენ ავარიის ადგილზე, მოძრაობა შეწყდა. მთელი სამი დღე არ იყო მოძრაობა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხალხს არ გადაეხედა, მეორეც, ლიანდაგი ხომ აღსადგენი იყო. მეორე ბორბალმა გაჭრა ლიანდაგი და გაგლიჯა ყველაფერი. დაბლა გლეხები მოშორებით ცხოვრობდნენ, მაგრამ ლიანდაგის მხარეს ჰქონდათ ვენახები და ბაღები. სისხლი რომ შევიდა ბაღებში, შემოდგომით ხალხს ყურძენი და ხილი აღარ დაუკრეფია. ვისი მგზავრიც აღარ მივიდა ადგილზე, რომ გაიგეს, მთელი დასავლეთი საქართველო ხაშურიდან მოყოლებული, გორიდან, სუყველა აქ წამოვიდა. მილიცია იყო მაშინ, მოუხდა ხალხის დაცვა. შემოერტყნენ ვაგონებს. მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ. ამწე ზედა ვაგონს ასწევდა, გადადებდა იქით და მერე „რემონტის“ მუშები ეხმარებოდნენ, გადაყრიდნენ ფიცრებს. ვინ იპოვიდა თავის მკვდარს?! ზოგმა თავი იპოვა მარტო, ზოგმა – ხელი, ზოგმა – ნახევარი, მეორე ნახევარი აღარ იყო. აი, ეხლა რომ ვლაპარაკობ, ეხლაც მაცივ-მაცხელებს, იმისთანა მძიმე ავარია იყო. მთელი 7 დღის განმავლობაში ხდებოდა ნამტვრევების აკრეფა და ხალხის გამოტანა. ბევრი მკვდარი დაიკარგა. სულ ვერ იპოვეს. გამოთვალეს, რამდენი ადამიანი იყო ვაგონში და 3000 კაცამდე გამოვიდა, მაშინ ვაჭრობა იყო გაჩაღებული და მარტო დამსხდარები კი არ დათვალეს – კიდე რამდენი იყო ჩაჭედილი. ზუსტი რაოდენობა მეც არ ვიცი, შვილო, მაგრამ ასეთი მძიმე ავარია რკინიგზაზე არ მომხდარა. ავარიები როგორ არ ხდება, ხდება: ცისტერნები, მაზუთის ვაგონები წყდება, ხანძარი უჩნდება. მარა ასე ბევრი ხალხი რომ დაღუპულიყო – არ გამიგონია. ჩემს გარე ბიძაშვილს ორად-ორი შვილი ჰყავდა, ქალ-ვაჟი, გოგო სტუდენტი იყო მესამე კურსის, ბიჭმა კიდე გასაყიდი ჩამოიტანა რაღაც. ხოდა და-ძმა ერთმანეთს დაელოდა და ერთად წავიდა სახლში. ბოლო ვაგონში ჩამსხდარიყვნენ, ეს ვაგონი ნატრიალები კი იყო, მაგრამ იქიდან ხალხი მთელები გამოიტანეს, მკვდარი, რა თქმა უნდა, ყველა. ცოცხალი იქ არავინ დარჩენილა. ხოდა ჩემს ბიძაშვილს ორივე შვილი მკვდარი მიუტანეს. საწყალს ედგა ორი კუბო და ტიროდა ორივეს. სხვათა შორის, ლიანდაგის დარაჯი დაიჭირეს მაშინ და დახვრიტეს, ვისაც ლიანდაგის დათვალიერება ევალებოდა. შპალებზე მაშინ ბოლტები იყო დამაგრებული სამ-სამი. უნდა ენახა, ბოლტი მოშვებულია თუ არა და მოეჭირა ყველა, გარედანაც და შიგნიდანაც. ლიანდაგის დარაჯი ჰქვია, იმან უნდა იაროს დღეში სამჯერ-ოთხჯერ. ღამეც უნდა იაროს წესით, მაგრამ მეურნეობები აქვთ თავისი და ზოგჯერ ერთ დღეს დაათვალიერებენ და მეორე დღეს – არა. ძეგვის გადასარბენზე რომ გადავიდა ლიანდაგიდან მატარებელი, იმიტომ გადავიდა, რომ ბოლტი იყო მოშვებული. გადავარდნის წინ მეორე ბორბალმა რომ გადმოიარა, ამოგლიჯა მთელი რელსი, მოშვებული რომ არ ყოფილიყო, არ ამოგლეჯდა, იმიტომ რომ ძალიან ღრმადაა ჩადებული. ეს განგებ არ გაუკეთებიათ, მაშინ ასეთი რამეები აღარ ხდებოდა. ის კაცი კი დაიჭირეს და დახვრიტეს. დასახვრეტიც იყო. უგდე ყური, კაცო, რაღაცა 5 კილომეტრი გაქვს მოცემული. გაიარე და დაამაგრე. სხვათა შორის თავისი ფეხით გამოცხადდა, დამნაშავე ვარო, თქვა. იფიქრა, ალბათ, მომისჯიან და გადავრჩებიო. მაგრამ „ღუხი“ არ ჩანდა იმისი მერე, დაიკარგა. არც სასამართლო ყოფილა იმისი

და არც არაფერი. იმისთანები აგერ მოჰყავდათ და ხვრეტდნენ, ციხის აქეთ, შორს კი არ მიჰყავდათ ხალხი. ეს იყო 1974, 75 თუ 76 წელი. ნუგზარმა დაამთავრა 72-ში და ორი წელი თუ სამი თათრებში ფრინავდა, ვინ გაუშვებდა დიდ თვითმფრინავზე, პრაქტიკა ჰქონდა. ხოდა ბიჭი აქ არ იყო, მე რომ გასვენებაში წავედი. გასაღები მეზობელს დავუტოვე.

ჩემი მეუღლე რომ გარდაიცვალა 1980 წელს, აღარ გამიშვა ბიჭმა სამსახურში: – მფრინავის დედას, შავად ჩაცმულს, სადგურში რა უნდაო. ყოველ თვეში მოგცემ, დედა, 80 მანეთს და სახლში დაჯექი, არც პარტკომობა მინდა შენი და არც მორიგეობაო. წავიდა და უთხრა კვანძის უფროსს, სამსახურიდან გაათავისუფლეთ, პარტიის წევრი კი იქნება, საფასურს გადაიხდის და კრებებს დაესწრებაო.

სხვათა შორის, ჩემმა პარტკომმა მისცა რეკომენდაცია ჩემს ბიჭს, როცა პარტიაში მიიღეს, 1973-74 წლებში, და უარს როგორ ეტყოდა. მერე ნელ-ნელა გამოვიდა ნუგზარი პარტიიდან, სანამ პარტბილეთებს ფეხს დაადგამდნენ და დაწვავდნენ. მეც მითხრეს, პარტიული ბილეთი მოგვეციო. აგერ მაქვს, ვუთხარი, მე ფულით არ მიყიდია, არც ნაცნობობით ამიღია და არც იმისთვის, რომ ვიღაცას სამსახურში მივეღე. მე სუფთა გულით გავხდი კომუნისტი. არავის არ მივცემ ჩემს პარტიულ ბილეთს-მეთქი.

მერე 50 წლისთავზე მივიღე მედალი – „50 წელი კომუნისტურ პარტიაში“. მოვასწარი ეს „პერესტროიკის“ დროს. გაგვიხსნეს მაღაზია ნახალოვკაში, ხიდიდან რომ გადადიხარ. დააწერეს ზედ: „50 წლის სტაჟის მქონე პარტიის წევრებისათვის“. დედა! ყველაფერი უფასო იყო, ფულს მარტო, ახალი ხორცი რომ მოდიოდა, იმაში ვიხდიდით. რაც გვეკუთნოდა ის უფასო იყო, ზედმეტს თუ ავიღებდით, იმაში ვიხდიდით. დღეში 200 გრამი გინდა ცხვრის, გინდა საქონლის ხორცი გვეკუთვნოდა. ერთი ქათამი ხუთ დღეში ერთხელ, მხოლოდ გაყინული, „სასისკი ივერია“, დღეში 200 გრამი, ხსნადი ყავა, ბორჯომი და ერთი ბოთლი შამპანური, ორი კვერცხი, 200 გრამი კარაქი. ასე სამ დღეში ერთხელ მივდიოდით. „ოჩერედი“ (რიგი) იდგა, ჩავდგებოდით წესიერად. ბევრი პარტიის წევრი შევხვდით იქ ერთმანეთს. „ახრანაში“ რომ ვიყავი, იქაური კაცი მოვიდა; ეკონომიკურზე რომ ვსწავლობდი, მასწავლებელი კაცი იყო, ისიც მოვიდა. როგორ ვცნობდით ერთმანეთს დაჩაჩანაკებულები, გადასარევია. მე ყოველთვის ყოჩაღი ვიყავი, არ მიჭირდა ფეხზე დგომა, რამდენი გაჭირვებული კაცი გამიშვია. ეს ნადიაც (მეზობელი) შემეკვეხა ჩვენთან, მერე გაუგეს, რომ არა აქვს 50 წელი და გააგდეს. კარებში დაიჭირა რაიკომის კაცმა და უთხრა: – შენ მოპარული გაქვს ეს პარტიის წევრობა, არაფერ პარტიაში არ ყოფილხარ, ყველაფერი ვიცით და სანამ ციხეში არ წასულხარ, ჭკვიანად იყავიო. გადასახლებული იყო სამშობლოს გამყიდველობისათვის. მაგისმა ქმარმა თავისი და მისი საბუთებიც დაწვა, გადასახლებიდან რომ დაბრუნდნენ. ჩემ ქმარს რომ ვუთხარი, რატო დაწვა-მეთქი, ნაპატიმრალის პასპორტი სხვა ნომრით არის და იმიტომო. სტალინგრადში იყო ნადია, იქ ცხოვრობდა დისშვილთან და შეიკედლა ეს შპიონი (შემდგომში ქმარი). გერმანელებისკენ უცხოვრია, კავალრად ჰყავდა, შეიკედლა და ღამეს ათევინებდა. მოვიდნენ ჩვენები და დაიჭირეს ორივე. ამათ უთხრეს, ჩვენ წითლებს ვეხმარებოდითო. მაგრამ არაფერი, ზღაპარი! მოკიდეს ორივეს ხელი და გაასახლეს უზბეკეთში, 10-10 წელიწადი ისხდნენ. ახალი

გამოსულები იყვნენ ციხიდან, რომ შემოეკვეხნენ აქა, „თბილხელსაწყოში“, ქარხანა არის ასეთი, ახლაც არსებობს. იქ შეძვრა ნადია და იქიდან მიიღო ეს ბინა. მაგის ქმარს ვკითხე: – სად იპოვე ეს გიჟი ქალი, რაზე შეირთე ამ მეგრელმა კაცმა რუსი ქალი-მეთქი. როცა კვდებოდა უკვე, მითხრა: – რა მაქვს დასამალი, პატიმარი ვიყავი სტალინგრადში, გერმანელებს ცოტას ვეხმარებოდიო. რას ეხმარებოდა – ეუბნებოდა, სად იყვნენ წითელარმიელები. ეს კიდევ ღამეს ათევინებდა და მიაყოლეს ზედ. გამოვიდა ამასწინათ ლილოს ჯარისკაცებთან და – „ია უ კრასნიხ ბილა მედსესტროი. ვოტ უ მენია დოკუმენტ“ (მე წითლებთან მედდა ვიყავი, აი საბუთი მაქვსო).

საბუთში უწერია არისოვა ლუსია. თვითონ კი ნადია გოლოვანოვაა. იქ ზის, სადაც სამხედრო წიგნაკებს აკეთებენ. მოკვდა ვიღაცა, აართვა სამხედრო წიგნაკი და შეავსო იმის ნომერზე. ახლა კიდევ ნადია შარუხიად ასაღებს თავს, მეგრელობს. დიდი მაიმუნი ქალია და იმიტომ არ მიყვარს, თორემ ჩამოვიდა ეგერ, მეორე მეზობელი და მე რა გამაჩნია ეხლა: მაკარონი მქონდა კილო, გუშინ ნუგზარიმ მოიტანა და ჩავუყარე ნახევარი. რა გაქ საჭმელი-მეთქი და არაფერიო. გუშინ ვიყიდე რძის ფხვნილი და ბრინჯი მაქ ცოტა. ვუთხარი: ეგერ მაკარონი მოხარშე და ჭამე-მეთქი. „კოფე“ როცა მაქ ნაყიდი და გადმოდის, რაც დამრჩება, ვაძლევ. უჭირს იმას. ნუგზარიმ გაიხადა, მუცელზე რომ აღარ მოწვდა, 3-4 შარვალი, ყველა გავატანე, ტიტველიაო ჩემი დისშვილი. დედა, რას მლოცავს, რომ იცოდეთ! დღეს შემპირდა, მე წაგიყვანო, სურათსაც მე გადაგაღებინებო და პასპორტსაც მე ჩაგაბარებინებ, რად გინდა ის რუსი რძალი რომ ატარო, შენგან იმდენი პატივისცემა მაქვსო. ეს ჩემი რუსი რძალი – ნუგზარის ცოლი, მაშინ სტიუარდესა იყო. ბავშვი ჰყავდა იქ და მე არაფერი არ ვიცოდი, ნუგზარის მოუტანია სახლში ბავშვის სურათი. ქმარი მძიმე ავადმყოფი იყო. რო შემოვიდოდა ამბროსი, რაღაცას გაზეთს აფარებდა, ცოტა ხნის მერე, მე რომ გავიდოდი საჭმლის გასაკეთებლად იქით ოთახში, მიდიოდა და დებდა უკუღმა. რუსულად აწერია: Дедушке и бабушке. Это я, Нана, мне здесь шесть месяцев, на память дедушке и бабушке (ბაბუას და ბებიას. ეს მე ვარ, ნანა, აქ ექვსი თვისა ვარ, სახსოვრად ბაბუას და ბებიას). შიშით ვერ მაჩვენებდა. მძიმე ავადმყოფი იყო თვითონ, იმ წელიწადს გარდაიცვალა. ღმერთმა აცხონოს, რა კარგი კაცი იყო ჩემი ქმარი, ჩემთვისაც კარგი იყო და ყველასთვისაც. ჯერ აქ რა იცხოვრა, სულ შვიდი წელი, და ყველა იძახდა, დედა, ამბროსი ბიძია რა კარგი კაცი იყოო. იცოდა, უნდა მომკვდარიყო და ისე კულტურულად გადიოდა ჩაცმული გარეთ: პირგაპარსული, თეთრი საყელოთი, შავი კოსტუმით, დაუთოვებული შარვლით, – მე თუ არ დავუუთოვებდი, თითონ დაიუთოვებდა, გაპრიალებული ფეხსაცმელებით. იქ გარეთ, ალვის ხის ქვეშ, სკამი იდგა, გავიდოდა და დაჯდებოდა. იცოდა, უნდა მომკვდარიყო და მორალურად მაინც არ ეცემოდა. არ მაჩვენებდა მეც, რომ უნდა მომკვდარიყო. ხო ამ ხნის ქალი ვარ, ოცდათვრამეტში გავთხოვდი და ჩემ ქმართან არც პერანგი ჩამიცვია, არც კაბა ჩამიცვია, ან ზოგი რომ ეუბნება: – მოდი, ზურგი დამბანეო! ჩემ ქმარს როგორ შემოვუშვებდი, როცა ვბანაობდი, ქალო, რას ლაპარაკობ, ტიტველი როგორ უნდა დავენახე?! რას ლაპარაკობ!

ზინა დადიანი

დაბადების წელი: 1918

2003 წელს ბათუმში ჩაიწერა

ზეინაბ ფილიპოვამ

დავიბადე სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში. მე რომ დავიბადე, ერთი წლის შემოსული იყვნენ კომუნისტები. მე მახსოვს ძალიან ბუნდოვნად, თავადებმა იცოდნენ, რა? აუცილებლად გაწყობილი სუფრის ირგვლივ ცხენით უნდა შემოევლოთ. ოთახში ცხენით შემოდიოდნენ. ეს ჩემს ყურში ყოველთვის ისმის. მარმარილოს კიბეები იყო. ბელეტაჟზე დიდი სახლი გვქონდა ძალიან. თავადები გამოწყობილი ჩოხებში, იარაღით, ხმლით, ამოვიდოდნენ და პაკ-პუკ. მარმარილოზე, ხომ იცი, რაფერი ხმა ისმის, ნალი აქვს ცხენს. შემოვიდოდნენ. ყველა ვერ შემოვიდოდა. 5-6 უნდა შემოსულიყო. გაწყობილ სუფრას შემოუვლიდნენ, იმხელა ოთახი იყო. შემოუვლიდნენ და გავიდოდნენ. იქვე დახვდებოდნენ ბიჭები, ჩამოართმევდნენ ცხენს და იწყებოდა ქეიფი. თვეში ერთხელ მაინც იყო ქეიფი. ბიძაშვილები გათხოვდნენ – ქეიფი იყო, ახალი წელი იყო, აღდგომა, ნათლობა. ნათლობა სამეგრელოში ძალიან მიღებული იყო. მე მონათლული ვიყავი. ჯვარს ვატარებდი სულ. სკოლაში, მახსოვს, დაწყებით კლასში რომ ვიყავი, მასწავლებელმა მითხრა: მაგი მეორეჯერ რომ დაგინახო კისერზე, არ მოგიშვებ სკოლაშიო. ვთქვი სახლში. იმწუთში მომხსნა დედამ ჯვარი და შეინახა. მაშინ გასაბჭოება ახალი იყო.

დადიანებზე გადმოცემით ერთი ამბავი ვიცი. როსტომ წერეთლის ბიძას ყავდა მარიამ დადიანი, არ ვიცი ეს დადიანი ბაბუაჩემის და იყო, თუ მამიდა. დადიანებმა დაპატიჟეს წერეთლები, ეს ახლა თქმულებაა, არის სამზადისი, ერთი ამბავი, ამას ჩემი ნათესავები ყვებოდნენ. ბაბუაჩემს ყავდა ერთი რაჭველი ზაქარია, ოჯახში ემსახურებოდა, თანაც როგორი იყო, იცი? ხომ ყავდნენ თავადებს მოლექსეები, მომღერლები, ეს ძალიან მახვილგონიერი კაცი ყოფილა. ზაქარიას უთხრეს: შენ მოხარშავ დეკეულს ქოხში შუაცეცხლზეო. ჰოდა, ზაქარია დადგა ახლა და არის მისვლა-მოსვლა იქეთ-აქეთ, წერეთლებს ელოდებიან. მოიხარშა ალბათ დეკეული და ამოიღო ცხელი ხორცი ზაქარიამ, ამოიღო და უნდა შეჭამოს. გააღო ბაბუაჩემმა კარები და შემოვიდა, შემოვიდა და ზაქარიამ უბეში ჩაიგდო ცხელი ხორცის ნაჭერი. დაინახა ეს ბაბუაჩემმა და უთხრა: ადექ, ბიჭო, ზაქარია, თუ წვიმსა და თუ დარია? ლექსად უთხრა. გავარდა ზაქარია გარეთ, ამოიღო ალბათ ეს ხორცი უბიდან და შემოვიდა და – არც წვიმს და არც ქარია, რა კარგია ჩემი ბატონის თავიაო. ჩვენთან არ მახსოვს ოჯახში მოსამსახურეები. მე არ მომსწრებია. ჩემს ძმებს მოესწრო. აიკანუში გვყავდა თურმე სომხის ქალი. სულ იხსენებდნენ ამას. დედაჩემი თვითონ დიასახლისობდა, რაც მახსოვს. ბიცოლა, იმდენად, არა. ბიცოლა, თავადის ქალი ვარო, თვითონ არ იყო თავადი, აზნაური იყო, მიქელაძის ქალი, მაგრამ ცხოვრება შეფერებული ქონდა. მოსამსახურე ყავდათ.

ძმები ძიძების გაზრდილია. დედის გაზრდილები არ არიან. ძიძები ზრდიდნენ ხომ ძველად. ორივე ძმა ბავშვობაში ძიძებს ყავდათ წაყვანილი. ჩვენ არა, დებს არ მოგვსწრია, საბჭოთა პერიოდში ეს აღარ იყო. ბაბუაჩემმა იმ ოჯახს, სადაც

შალვა იზრდებოდა, მიწა მისცა, სახლი გაუკეთა. სახლი რაფერი ახლა, მეგრული ორთავალიანი, მიწური სახლი. მიწური იცოდნენ მაშინ. პოლი კი არ ქონდა, მიწა იყო სულ. ის ქალი ჩვენ ისე გვიყვარდა, ისე, ნანას ვუძახოდით. უფროსი ძმის გამზრდელი იყო პაპასკირი, უმცროსი ძმის – ბესელია. შვილებს არ იფიცავდნენ, ამ გაზრდილებს იფიცავდნენ. საწყალი, ჩემი შალიკოს ვფიცავარო რომ იტყოდა... ბიჭები ყავდა მას. იმათ არ იფიცებდა. ძუძუსაც გამზრდელი აჭმევდა, გაზრდილის ტოლი უნდა ყოლოდა შვილი.

ახლოს ცხოვრობდნენ. მოვიდოდნენ თურმე ჩემი ძმები, ითამაშებდნენ, ითამაშებდნენ და ჩვენ მივდივართ სახლშიო და ძიძასთან მიდიოდნენ. მოვიდოდნენ სახლში, ჭამდნენ, სვამდნენ. მოდიოდნენ, ღამით მიდიოდნენ. ეკა დედა იყვირებსო და გაიქცეოდა შალვა. შოთას გამზრდელს მაშა ერქვა. მუშაობასაც ეჩვეოდნენ, წევიდოდა თურმე მთაზე, მთა იყო იქვე ახლოს. იქედან თურმე მისი გამზრდელის შვილებთან ერთად ზურგით შეშას ეზიდებოდა ჩემი ძმა. წევიდოდნენ და შეშას მოიტანდნენ. გამზრდელი აუცილებლად გლეხი უნდა ყოფილიყო. არ ვიცი დედაჩემი რაფერ უძლებდა, რომ ჩემი ძმები მასთან არ იზრდებოდნენ, მაგრამ ეს წესი იყო, შვილი უნდა გაზრდილიყო ძიძასთან. ეს რატომ იყო კარგი, იცი? ყველაფერი უნდა იცოდეს ბავშვმა: გაჭირვება, ავადმყოფობა, უქონლობაც, პატიოსნება. პატიოსნება უფრო გლეხებთან იყო.

ესენი... ახლა ვიტყვი, ხანდისხან, შენ რატო ამბობ მაგასო, მეტყვიან. თავადები მარტო ქეიფობდნენ ეს ასაშენებლები. უფროსი ძმა ჯარში რომ დაიკარგა, მერე მოკვდა მისი გამზრდელი. რომ დაიკარგა, უთხრეს, მაგრამ დამჯდარი სახლთან ელოდა. რას უყურებო, ეკითხებოდა გამვლელ-გამომვლელი. შალიკო მოვა იქედანო. შვილები ჯარში ყავდა, იმაზე არაფერს ამბობდა და შალიკო მოვაო იქედანო. ისე უყვარდათ, გაზრდილები უფრო უყვარდათ. ის დაიღუპაო, უთხრეს, მაგრამ არ დაიჯერა. ჯარიდან არც ეკას შვილი ჩამოსულა, ჩემს ძმასთან ერთად რომ იზრდებოდა, იგი. არც იმის უფროსი ძმა დაბრუნებულა, მაგრამ უფროსს შვილები დარჩა. ის შვილები ახლა ჩემს ძმისშვილს ეძებენ. მეუბნებოდა, ამ ზაფხულს (აქ იყო ჩემი ძმისშვილი, ბათუმში), იციო, კონდრატეს ბიჭი მოვიდაო და სამი ღამე იყო ჩემთანო. მეო, თქვენ ვერ დაგკარგავთ, მითხრაო. კონდრატე ეკას შვილი იყო. თვითონ ეკა 110 წლის მოკვდა. ჩემი უფროსი ძმა 1909 წელს იყო დაბადებული, 11-ში იყო დაბადებული შოთა. შენ წარმოიდგინე, ურთიერთობა ახლაც გვაქვს შალვას და შოთას გამზრდელების მოდგმასთან. ჩვენ რომ ჩავალთ სამეგრელოში, არ შეიძლება რომე შალიკოს და შოთას გამზრდელების შვილთაშვილებთან არ მივიდეთ და არ ვნახოთ.

18-ში დავიბადე. 24-დან მახსოვს ყველაფერი. ჩვენ, დადიანებს, ჩამოგვართვეს სახლი, მიწები. გარეთ ვიყავით სამი დღე. ლეღვის ქვეშ ვითენებდით. შემოდგომა იყო. სიმინდის აღების დრო, ოქტომბერი იქნებოდა. ჩვენს ოჯახში გახსნეს სასოფლო საბჭო, სკოლა დაწყებითი. ეს მახსოვს, რომ პატარები ვიყავით და გვიხაროდა, გვიხაროდა, რომ ლეღვის ძირში ვიყავით. მაგრამ შემდეგ, სამი დღის შემდეგ (რა მოხდა დღესაც არ ვიცი, დავბერდი და ვერ გავიგე), შედით თქვენს სახლშიო, გვითხრეს. მოკიდეს ამ მერხებს, ამ მაგიდებს, ამ თავის ნივთებს ხელი და წავიდნენ და ისევ დავბრუნდით სახლში ჩვენ. მერე ისევ დაგვიბრუნეს ყველაფერი, საქონელი, ნივთები. პიანინოც გვქონდა სახლში. დეიდები მყავდა

პრანჭია-პრანჭია. მამიდები მაინც. ერთი მამიდა, უფროსი, გაუთხოვარი დარჩა – დადიანს ვერ გაყვებოდნენ და სხვა არ იკადრა. ჩიქოვანი ბებია ყავდათ. დადიანი ჩვენი წოდებაა, გვარი ჩიქოვანია. მეორე მამიდა ოჩამჩირეში გათხოვდა, ჩუმად ისიც. ვინ მისცემდა გვარად თურქიას. მაგრამ ეს იყო ვაჭარი, დიდი ქონების პატრონი, და კარგი კაცი იყო, ძალიან ლამაზიც იყო. ჩუმად გაყვა მამიდაჩემი, თორემ ძმები არ მისცემდნენ. ბაბუაც, დედის მხრიდან, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა გვარს. ცოცხალი იყო, რომ გავთხოვდი. ჩემი და ჩიხლაძეს რომ გაყვა, გადაირია რომ უთხრეს. მაგი „კუპეც კაზახს“ (ვაჭარ კაცს) გაყოლიაო. რომ უთხრეს, ზინა ჩხეიძეს გაყოლიაო, მეიცადეო, ნიჩევო (არა უშავს რა), გაყოლია წესიერ კაცსო. ჩხეიძეები იმერეთის თავადები იყვნენო.

ბაბუ 105 წლის მოკვდა. თურმე ადრე გემები ყავდა, თურქეთში დადიოდა და ვაჭრობდა. ძალიან მდიდარი იყო. ბოლშევიკებმა სახლი დაუწვეს. სახლი რომ იწვოდა, დეიდაჩემი დარჩა ზევით, ცეცხლმოკიდებული სახლის მეორე სართულიდან გადმოხტა და გადარჩა. ბაბუაჩემი, ბიძაჩემი ქვევით იყვნენ ქვედა სართულზე, ჰოდა, ვარვარა ზევით რაცხას კითხულობდა. ვიწვითო, მეზობელმა დაინახა, ალექსანდრე, იწვი და უშველე რამეო. მთელი სოფელი დადგა ფეხზე მაგრამ რას უშველიდა. მაშინ ხის სახლები იყო. ქვის სახლი სად იყო მაშინ. დიდი ვეებერთელა სახლი იყო ხის, ორსართულიანი. ვარვარამ გეიხედა, გამეიხედა, კობეებს უკვე ეკიდა ცეცხლი და რა ექნა, და გადმოხტა, მაგრამ თავალები დაუზიანდა და მერე, როცა კითხულობდა, წიგნი ძალიან ახლოს მიქონდა თვალებთან. ის დეიდა ვარვარა მერე ვლადიმერ ჭანტურიას გაყვა და ორივე ბათუმში ინსტიტუტში ლექტორები იყვნენ.

კიდევ რა მახსოვს? სოფელში იყვნენ დამსმენები. ასმენდნენ, მაგალითად, რას ლაპარაკობდნენ. თავადებს მაინც ცოტა ეჭვმიტანილად უყურებდნენ. ერთი გაგუა იყო, ერქვა ყირი, მაგი არ უყვარდა ხალხს და ბიძაჩემთან ვიყავი და ბიცოლაჩემი რაცხას რუსულად ლაპარაკობდა. გაჩერდიო, გაჩერდიო, ბიძაჩემმა რუსულად უთხრა, ქვევით გვისმენენო. გავიგე ეს. ჩაინიკი იყო ბუხარში. მოვხსენი ეს ჩაინიკი, მივყევი, მივყევი იატაკს და ცხელი წყალი დავასხი. სახლის ქვემოთ იყო ის დამსმენი, რომ დაეწვეთა (ძალიან ღრიჭო არ იყო იატაკი) „უჰ“ – ხმა გავიგონეთ და რა ქენიო, ბიძაჩემი მომვარდა.

ნოქალაქევში კომუნაც იყო. მაგრამ ამ კომუნამ ვერ გაამართლა. ოჯახები ყველა მისული იყო იქ. იქ ჭამდნენ, იქ სვამდნენ. სახლში მოდიოდნენ დასაძინებლად. რაღაცა ვერ მოაბა მთავრობამ ამ კომუნას თავი, სამი თვის მერე კომუნა დაიშალა. ჩემები კომუნაში არ შესულან. კოლმეურნეობა რომ დაარსდა, მაშინ პირველად მამაჩემი და ბიძაჩემი შევიდენ კოლმეურნეობაში. რაც ქონდათ საქონელი, თუ მიწები (მთელი ნოქალაქევი დადიანების იყო), ყველაფერი გააერთიანეს, კომუნისტურ წყობას მიესალმენ. პირველი ალერქსანდრემ და ევგენიმ მოიყვანეს კოლმეურნეობაში პირუტყვიო, ეს მთელი რაიონის სალაპარაკო იყო. მამა და ბიძა ფიზიკურად არ მუშაობდნენ. მამა იყო სასოფლო საბჭოს მდივანი. განვითარებული იყვნენ მამა და ბიძაჩემი. ენა იცოდნენ, გიმნაზია დამთავრებული ჰქონდათ, საზღვარგარეთ დადიოდნენ, მამა საფრანგეთში იყო ნამყოფი, სანახავად, სამოგზაუროდ.

ბიძა არ მუშაობდა. სხვათა შორის, მე რომ დავიბადე, მოსკოვში იყო ერთი წელიწადი და იმ დღეს ჩამოვიდა. რაზე იყო წასული, არ ვიცი. გოგო ყავსო

ევგენისო, რომ უთხრეს, ზინა დაარქვითო. ვფიქრობ, საყვარელი ყავდა-მეთქი ზინა რუსეთში (იცინის). ის ბიძა მამაზე უფროსი იყო. იმას ყავდა სამი გოგო.

დედა ჩიჩუას ქალი იყო, ეფროსინე ქვიოდა. სენაკიდან იყო, ნოსირი იყო ასეთი სოფელი. მამას ევგენი ერქვა. დედა თავადის ქალი იყო. გლეხის ქალს ხომ არ მოიყვანდა დადიანი. და-ძმა ექვსი ვიყავით. ერთ ოჯახში ვცხოვრობდით ბიძა, ბიძაშვილები, ბიცოლა და ჩვენ. მაგრამ სახლი იყო იმხელა, კიდევ იცხოვრებდა ერთი ოჯახი. ბებიას კატუშა ერქვა, ჩიქოვანის ქალი იყო. მამის მამას ყარამანი ერქვა. დედიდან ემხვარის ქალი მყავდა ბებია. ნინო ერქვა, სოხუმიდან იყო. დედას დამთავრებული ქონდა სენაკის მაშინდელი გიმნაზია და მასწავლებელიც იყო, ცოტა ხანს, სანამ ჩვენ გავჩნდებოდით. დედაჩემი ძალიან განათლებული ქალი იყო. ყველაფერს გვასწავლიდა სახლში – ლოცვასაც, ხელსაქმესაც. მოუსვენარი ქალი იყო, ქარგავდა, კერავდა, ყველაფერს აკეთებდა. ერთი წუთით ვერ დავჯდებოდი, ან წიგნი უნდა გეკითხა, ან თვითონ უნდა დაგვჯდომოდა და მოეყოლა რაღაცა. მამასაც გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ადრე არ მუშაობდა. ქეიფობდნენ ძმები. ბიძას ერქვა ალექსანდრე. 34-ში დედაჩემი მოკვდა, მაშინ 40-ის არ იყო. მამაჩემმა ოჯავრა, ექვს ობოლს რა ეშველებაო, ჩემი უმცროსი და ძუძუზე დარჩა. 9 თვეში მამა დაიღუპა, 43 წლის იყო.

მე შუათანა და ვიყავი. უფროსები ძმები იყვნენ. შალვა ერქვა უფროსს. შოთა ერქვა მეორე ძმას, მეორე სახელი – ალექსანდრე, ბიძის და ბაბუას, დედაჩემის მამის სახელი. ნანული ერქვა დას ჩემსას, მე ვიყავი, შემდეგ ციცინო იყო და სულ პატარა, დედაჩემს ძუძუზე რომ დარჩა, ანგელინა იყო. უფროს ძმას საგზაო ტექნიკუმი ქონდა დამთავრებული და ჩვენ რომ დედ-მამა მოგვიკვდა, ვერ წავიდა უმაღლესში. სენაკში მუშაობდა, 15 კილომეტრი იყო ჩვენს სოფელსა და რაიონულ ცენტრს შორის. ჩემმა მეორე ძმამ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი თბილისში და სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ჯერ სასწავლო ნაწილი იყო, მერე დირექტორი. აგერ ახლა მომიკვდა. ისეთი კაცი იყო, რომ გამოვიდოდა რაიონში, ბატონი შოთა მოდისო! აღნაგობაც ქონდა ისეთი, მოქცევა თავადური ნამდვილი. უბატონოდ ხმას ვინ გასცემდა. ცოლი ექიმი იყო. ორი გოგო და ერთი ბიჭი ყავდათ. ბიჭი მე-11 კლასში რომ გადავიდა, ფეხბურთში ერთმანეთს შეეჯიბრენ მეათე და მეთერთმეტე კლასელები. ჩემს ძმისშვილს მთელი გულის ძარღვები დაუწყდა და მოკვდა 17 წლის ბიჭი. საწყალ ჩემს ძმას დარჩა ორი გოგო. ერთმა ბათუმში დაამთავრა მუსიკალური ტექნიკუმი და სწავლა გააგრძელა თბილისში, მეორემ რუსეთში დაამთავრა სამედიცინო. ახლა ორივე თბილისში ცხოვრობს. საწყალი მეორე ძმა, შალვა, სტალინგრადში დაიღუპა. ჩავდიოდი საფლავზე, სანამ ვახტანგი ცოცხალი იყო. ჩემი რძალი, შოთას მეუღლე, იყო გამწვევი კომისიის თავჯდომარე სენაკში. ჩემს ძმას არავინ არ წაიყვანდა ჯარში – არ იკადრა. კოლმეურნეობაში დეინახა, რომე – ქალები, ქალები, ქალები... კაცი ყველა წასულია. მე ქალი ვარ, თუო? არ კითხა არც ძმას, არც რძალს, ისე ჩუმად წევიდა, დაიღუპა... უცოლშვილო იყო. 12 წლის მერე ვიღაცა პროფესორმა ქალმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა, აღმოაჩინა მისი სასაფლაო და გაზეთ „კომუნისტში“ დაწერა, რომ შალვა ევგენის ძე დადიანი, ექიმი (მაგრამ ჩემი ძმა ექიმი არ იყო) დამარხულია სტალინგრადის განთავისუფლების მოედანზე. თუ ვინმე ყავს ცოცხალი, იცოდეს,

რომ დამარხულია სტალინგრადში. მე მაშინ კახაბერში ვმუშაობდი. წავედით ყველა სტალინგრადში. იქ მარტო სასაფლაო ხომ არაა. იქ არის არქივში პირადი საქმე თითოეული მეომრის. ჩემმა ძმამ ნახა საბუთები – დაბადებული სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში. რამდენიმე წელი ვიარეთ სტალინგრადში გამარჯვების დღესასწაულზე. ჩემი მეუღლე რომ მოკვდა, იმის მერე არ ვყოფილვარ.

ჩემი ორი და ექთანი იყო. ყველაზე უფროსს, ნანულის, ინდუსტრიული ტექნიკუმი ქონდა დამთავრებული. მერე 25 წელი ფოთის სადგურის უფროსი იყო. სიძეები იყვნენ ჩიხლაძე, კუპრავა და კუცია. ნანული ჩიხლაძის ცოლი იყო, ციცინო – კუპრავას და ანგელინა – კუციას. ეს კუცია აბაშიდან იყო, ვიქტორი ერქვა, გეოლოგი ინჟინერი იყო. გაანაწილეს დონბასში. ჩემი და ექთანი იყო, საავადმყოფოში მუშაობდა. სულ ბავშვი იყო, ვიღაცამ გააკეთა ეს საქმე (ქორწინების). წავიდნენ დონბასში (უკრაინა) და დღესაც იქ ცხოვრობს. ქმარი მოუკვდა, იქ დაასაფლავეს. ორი ბიჭი ყავს, რძლებიც რუსები არიან. დისშვილებმა ქართული არც იციან და ჩემს დასაც ავიწყდება ქართული.

მამისეული სახლი... ძმები, მამაჩემი და ბიძაჩემი, ცალ-ცალკე არ ცხოვრობდნენ. მერე ეს კომუნისტები რომ მოვიდნენ, ჩვენ ძალიან ბევრი გავხდით – 6 შვილი. მამაჩემმა, გავაკეთებ ცალკე სახლსო, ბიჭებს უნდათ, ცოლს მოიყვანენ, ცალკე კაი ორსართულიანი სახლი ააშენა იქვე ძმის ახლოს. ჩენი ძმა რომ წაიყვანეს ჯარში, სახლი დაიკეტა. დები გათხოვილები იყვნენ. ეს პატარა და, დედაჩემს რომ ძუძუზე დარჩა, უფროს გათხოვილ დასთან ცხოვრობდა. მეორე ძმამ, შოთამ, და მისმა ცოლმა სენაკში აიშენეს სახლი და იქ ცხოვრობდნენ. ჰოდა, დაიკეტა მამისეული სახლი. მერე ერთი ათი წელი დაკეტილი იყო სახლი. რამდენ ხანს უნდა ყოფილიყო? სახლი გაყიდენ და მიწა კოლმეურნეობას მისცეს. კომუნისტები რომ გადავარდნენ, დაგვიძახეს: აირჩიეთ დადიანებმა, აიღეთ მიწაო. დამირეკა ჩემმა დამ: რა ვქნათ ახლაო?

წავედით მე და ჩემმა დამ. ძმა ახალი მკვდარი იყო. ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენ, ჩვენი სახლი რომ იდგა, ის მიწა მოგვიზომეთო, ის არ იყო გაცემული. ბევრი დასახლდა ჩვენს მიწებზე, ერთი დიდი სოფელია დასახლებული. ის ადგილი მოგვიზომეს, რაც მოვითხოვეთ. ახლა ვინ პატრონობს? ერთი ძმის გამზრდელის შვილი იყო. ჰოდა, ჩემი ძმის ძიძის ნაშიერებმა, ჩვენ მივხედავთო, დავამუშავებთ ამ მიწას და ჩვენ გამოგიგზავნითო ყველაფერს. რათ მინდა მათი გამოგზავნილი? მაგრამ არ ვიცი, ახლა ჩემს ძმისშვილს ვეუბნებოდი თბილისში, რომ ერთი მოიკითხე, ის მიწა ბაბუაშენის ადგილია. მოიკითხე ერთი, ვინ ამუშავებს, როგორაა? კიო, მითხრა. მაგრამ რა ვიცი?

დავამთავრე ნოქალაქევის შვიდწლიანი სკოლა და სწავლა განვაგრძე სენაკის პედტექნიკუმში. ოთხწლიანი სასწავლებელი დავამთავრე. პირველ და მეორე კურსზე გვასწავლიდნენ ყველაფერს, რაც საშუალო სკოლაში ისწავლება. მერე სპეციალური საგნები იყო – პედაგოგიკა, პედაგოგიკის მეთოდები, გაკვეთილის გადაცემა. პრაქტიკა იყო აქტიური და პასიური. აქტიური იყო ის, როცა მასწავლებელი ატარებდა საცდელ გაკვეთილს. პასიური იყო, როცა პრაქტიკანტები ვუსმენდით დაწყებითი კლასის მასწავლებლებს. რუსულს გვასწავლიდა „მამე-ლუქის“ ავტორი თათარიშვილი (კონდრატე თათარიშვილი, უიარაღო), მოხუცებული იყო, კაი, მაღალი კაცი.

კომკავშირში, ტექნიკუმში რომ ვსწავლობდი, მაშინ მიმიღეს. დადიანი რომ ვიყავი, ცოტა შეიკავეს თავი, მაგრამ მაინც მიმიღეს. პირველ სხდომაზე: შენ, ბიძია, შემდეგო. მაგრამ მეორე სხდომაზე მაინც მიმიღეს. ტექნიკუმი დავამთავრე 1938 წელს. მაშინ იყო კომკავშირეული საგზურები. აჭარაში და სვანეთში, მთიან რაიონებში უნდა წასულიყვნენ კურსდამთავრებულები. სამუშაოდ ავირჩიე აჭარა და წამოვედი აჭარაში. რა ვიცი, რატომ ავირჩიე? ხომ არ ვიცოდი რამე აჭარაზე... სვანეთზე მქონდა წარმოდგენა. სვანი ცეკვის მასწავლებელი მყავდა ტექნიკუმში და იმით ვიცოდი სვანები რაფერი ხალხი იყვნენ. სვანები მეგრელებს არ უყვარს. რატომ – არ ვიცი. გადავწყვიტე აჭარა. და-ძმებს არ ვუთხარი და გამოვიპარე. პირველად ჩამოვედი ბათუმში. მიმართვა მქონდა და მისამართი სამინისტროს. იმ მისამართით მივედით. სამი ვიყავით. თქვენნაირი კიდევ ბევრიაო და გარეთ არიანო, მინისტრმა გვითხრა. ნადიმ ნიჟარაძე იყო მაშინ მინისტრი. რომ ჩამოვედი ბათუმში, იმ წელიწადს გაიხსნა აქ თეატრი. ორწლიანი ინსტიტუტი იყო მაშინ ბათუმში. რომ ჩამოვედი, მეშინოდა არ დავკარგულიყავი და არ ვშორდებოდი ჩემთან ერთად ჩამოსულ მასწავლებლებს.

დამნიშნეს ხულოს რაიონის სოფელ ოღრიალში. პირველად სკოლა მე გავხსენი იქ. იმ სოფელში სკოლა არ ყოფილა ადრე. 12 მოსწავლე მყავდა პირველად. იყვნენ 12 წლის, 13 წლის, როცა პირველ კლასში შემოვიდნენ, მაგრამ ძალიან მონდომებული ბავშვები იყვნენ. უხაროდათ, რომ სკოლაში მოდიოდნენ და სკოლა იყო გახსნილი სოფელში. 1938 წლის პირველ სექტემბერს დავინიშნე იქ. სკოლაში რომ მივედი, წერა-კითხვას იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი ვასწავლიდი. რუსულს არ ვასწავლიდი. მათემატიკა, ქართული და ბუნება იყო. რატომ, იცი? პირველ, მეორე და მესამე კლასში არ ისწავლებოდა რუსული. მე პირველ, მეორე და მესამე კლასს ვასწავლიდი.

ვცხოვრობდი მუჰამედ დავითაძის ოჯახში. გლეხი იყო, კოლმეურნე. მაშინ ახალი დაარსებული იყო აჭარაში კოლმეურნეობები და სოფელში იყო სულ 17 ოჯახი. მუსლიმანობა ძალიან მოხუცებში იყო. ლოცვილობდნენ, მარხულობდნენ, მოხუცებს ეხურათ ჩადრი, მაგრამ ახალგაზრდებს უკვე ახდილი ქონდათ ჩადრი. ჩადიოდნენ სასოფლო საბჭოში, ესწრებოდნენ კრებებს, ზეიმებს. მაშინ იმართებოდა 7 ნოემბრის ზეიმი, პირველი მაისის ზეიმი და ყოველთვის დღესასწაულის წინა დღეს გაფრთხილებული იყვნენ სოფლის მცხოვრებლები, რომ წასულიყვნენ სასოფლო საბჭოში და დასწრებოდნენ ზეიმს. მე სადაც ვცხოვრობდი, ის ოჯახი არც იყო, და კიც იყო მუსულმანური. ცოლი არ მარხულობდა, არ ლოცულობდა. ქმარი ლოცულობდა. ლოცვა არაბულ ენაზე იყო. სწამდა თავისი რელიგია. ოჯახში მუჰამედი, მისი ცოლო და მუჰამედის ორი უმცროსი ძმა იყვნენ... ახალი ცოლ-ქმარი იყო. დედ-მამა მუჰამედს ცოცხალი არ ჰყავდა. მუჰამედი 22-23 წლის იქნებოდა. ძმები იყვნენ 15 და 17 წლის. ძალიან ახალგაზრდა იყო ჩემი „ხაზეიკა“. წერა-კითხვა იცოდა. სხეთელაში იყო გაზრდილი და ამიტომ იცოდა წერა-კითხვა. სხეთელა სოფელია შუახევის ახლოს. იქ იყო სკოლა, დაწყებითი სკოლა. იქ ისეთი სოფელი იყო, ძალიან ნასწავლი ხალხი იყო იქა, და კომუნისტები იყვნენ. სირმა ერქვა. მაგი იყო მიხეილ დავითაძის ბიძაშვილი (მიხეილ დავითაძე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე იყო), ძალიან ლამაზი ქალი იყო, ლამაზი გოგო. თეთრი იაზმა იცოდნენ მაგენმა თავსაბურავი,

იგი ეხურა ოჯახში და სადმე სოფელში თუ მიდიოდნენ, მაშინ თავზე ეხურა შავი შარფი. ოჯახში ძალიან პატივისცემა იყო ერთმანეთის. ქალი პატივს სცემდა მამაკაცს. რომ შემოვიდოდა ქმარი, ქალი ფეხზე ადგებოდა. რა თქმა უნდა, მაზლებიც რომ შემოვიდოდნენ, სირმა ფეხზე დგებოდა. რაფერი კაი ქალი იყო. ზედმეტად არ იტყოდა არაფერს. ძალიან ტკბილი ოჯახი ქონდათ. ახალგაზრდები იყვნენ. მუშაობდნენ სულ. დილიდან საღამომდე თოხი ეჭირათ, ბარი ეჭირათ, ნავჯახი... ზამთრისათვის ზაფხულში შეშას ჭრიდნენ, მოჰქონდათ, საქონლის ბალახს იმარაგებდნენ. იმიტომ, რომ ძალიან მკაცრი ზამთარი იცოდა. მაღალი სოფელი იყო.

ექიმი არ ყავდათ. ექიმი რომ დაჭირდებოდათ, შუახევის ცენტრში უნდა ჩამოსულიყვნენ. ერთხელ, მახსოვს, ერთი ორსული ქალი იყო. ძალიან ცუდად გახდა. ბებიაქალი ამოიყვანეს, მაგრამ ბებიაქალს შეეშინდა. ჰოდა, გეიქცენ ბიჭებმა შუახევში, საკაცე ამოიტანეს, დააწვინეს ეს ქალი და ხელით ჩამოიყვანეს შუახევში. მორჩა ქალი. სხვათაშორის, ჩემი იქ ყოფნისას ვინმე ავადმყოფი არ მომკვდარა. ალბათ, შინაურ წამლებსაც ხმარობდნენ. ჩემს „ხაზეიკას“ შინაური წამლები არ ქონდა. ისე, ბავშვებს თვალი არ ეცესო, ავგარიზები ქონდათ ჩამოკიდებული.

ჩადრის ახდას მე არ შევსწრებივარ აჭარაში. ავთო დიასამიძემ ჩემზე „აჭარაში“ წერილი დაწერა: ზინა მასწავლებელმა სირმას ჩადრი ახადაო. სირმას, მე რომ ჩავედი, ჩადრი ახდილი ქონდა, მაგრამ ვეხვეწებოდი, რომ ის შავი ნუ გახურავს თავზე-მეთქი. ჩადრის ახდა უფრო 30-იანი წლების დასაწყისში იყო, მე რომ ჩავედი 38-ში, ძალიან მოხუცებს ქონდათ ჩადრი, ახალგაზრდებს – არა. მხოლოდ შარფს ატარებდნენ. შარფი სამეგრელოშიც ახურავთ.

რომ გამანაწილეს აჭარაში, შუახევი მაშინ ხულოს რაიონში იყო. შუახევი ცალკე მერე გამოეყო. სასოფლო საბჭოს თავჯდომარემ ამიყვანა თვითონ, ზაბითა დავითაძე იყო. უმაღლესი არ ქონდა დამთავრებული, არც საშუალო, მარა ისე მოლაპარაკე და ჭკვიანი კაცი იყო. წერა-კითხვა იცოდა, კომუნისტი იყო და მაშინ ამით ფასდებოდა იქ კაცი. ამიყვანა და პირდაპირ ამ ოჯახში მიმიყვანა. ფეხით ავედით. აღმართი იყო სულ. ერთი სიტყვა არ მითქვამს გზაზე. მივედით ოჯახში და თქვა: ეს რა დავინახეო? ამ აღმართში ამოვედით და ეს ბაღანაო (19 წლის ვიყავი), ერთი არ დაუკვნესია, რომე ამ აღმართში ვერ ამოვალო, ისე მომყვებოდა ლამაზადო.

ოღრიალში ხოჯა არ ყავდათ. სხვაგან იქნებოდა ალბათ. დიდ სოფლებში ჯამეები იყო. პარასკევობით მიდიოდნენ და ლოცულობდნენ იქ. ძალიან არ სდევნიდნენ სარწმუნოებისთვის. მოხუცები მაინც დადიოდნენ ჯამეში. ნათლავდნენ ბიჭებს ჩუმად. არავის არ უნდა სცოდნოდა, ისე...

დავითაძეებთან, როგორც ოჯახის წევრი, ისე ვიყავი. სხვათაშორის ფულსაც არ მახდევინებდნენ საჭმელში. თავს მოიკლავდა მუჰამედი, რომ ავიღებდი ხელფასს და დავუდებდი მაგიდაზე. ვისია ეს ფული? – იკითხავდა „ხაზეინი“. მე დავდე-მეთქი. ჩაიდევი ჯიბეშიო, მეტყოდა. შვილი ყავდათ სულ ახალდაბადებული, რომ მივედი, ბავშვი ერთი კვირის იყო. ხატიჯე ქვიოდა.

ეს სოფელი დღეს აღარ არის იქ. ძალიან მაღალი სოფელი იყო და გადაწყვიტა აჭარის მთავრობამ რომ დაესახლებინა ამ სოფლის ხალხი ჩაქვის

ციტრუსების მეურნეობაში. იქ მაშინ ეძებდნენ მუშახელს. მთლიანად სოფელი აყარეს, წამოიყვანეს ჩაქვში. ეს იყო 50-51 წლები, მე უკვე იმ სოფელში აღარ ვიყავი, იქ ვიყავი სამი სასწავლო წელი, არც კი. რომ გათოვდებოდა, ვინმე არ ამოვიდოდა, ისე მაღალი სოფელი იყო.

სირმას მაზლებს ერთს ხუშუტაი და ერთს თოფუზაი ერქვა. წერა-კითხვა იცოდნენ. მგონი მაგენი ცინარეთში დადიოდნენ სკოლაში და იქ ისწავლენ. ცინარეთი მოსაზღვრე სოფელი იყო.

მე რომ ჩავედი აჭარაში, კოლმეურნეობა ახალი დაარსებული იყო, მაგრამ კარგად იყო შეგუებული ეს ოჯახი. ისეთი მარჯვე ბიჭები იყვნენ, რაც ქონდათ მიწები, რაც ეკუთვნოდათ, ამუშავებდნენ. თითოეულ კომლს ცალ-ცალკე ქონდათ. დაუოჯახებელ ბიჭებსაც ქონდათ და კმაყოფილი იყვნენ. მოსწონდათ ახალი მთავრობა.

სკოლა იმ ოჯახში გავხსენი, სადაც ვიყავი. ორი ოთახი მომცა ჩემმა ხაზეინმა. დიდი სახლი ქონდა ძალიან. ორსართულიანი სახლი იყო, ქვემოთ ქვის, ზემოთ – ხის. ზემო აჭარაში ზამთარში ქვემოთ შემოყავდათ საქონელი. ამ ოჯახს ცალკე ქონდა ბოსელი. რომ ამიყვანა შუახევის სასოფლო საბჭოს თავჯდომარემ ოღრიალში, შეყარა სოფლის მცხოვრებლები და უთხრა, რომ სკოლა უნდა გავხსნათ თქვენი ბავშვებისათვისო. თქვენ უნდა დაგვეხმაროთო. დახმარება რაა? უნდა მოიტანოთ მერხები, სკამები, რაც საჭიროა, ბავშვებს შეუძინოთ უნდა წიგნები. ჰოდა, ისეთი სიხარულით გააკეთა ეს ხალხმა, რომ მეორე დღეს საღამოს უკვე 20 მერხი იყო. წიგნები პირველ წელიწადს უფასოდ დაურიგეს ბავშვებს, მერე ყიდულობდნენ. მოწაფე იყო 12, სხვადასხვა ასაკის. ბიჭებიც იყვნენ და გოგოებიც. გოგოებს შორს არ გაუშვებდნენ სასწავლებლად. მოდიოდნენ ჩემთან სოფლის ქალები დღეში ორჯერ, სამჯერ. აინტერესებდათ, გაკვეთილს რომ ვატარებდი. რაფერ ვასწავლიდი ბავშვებს, რას ვასწავლიდი, რას ვეტყოდი, რას ვესაუბრებოდი.

მერე გაიხსნა წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა. საღამოს ყველა ქალი მოვიდოდა და სწავლობდნენ, ისე სიხარულით სწავლობდნენ, რომ მათ შვილებს სჯობნიდნენ, დედები იყვნენ ახალგაზრდები, ქმრები სწავლას არ უშლიდნენ... ძალიან აინტერესებდათ იქაურ ქალებს, რაფერ გამოგიშვეს იქედანო. ერთი მოხუცებული ქალი სულ მეხუტებოდა, რაფერ გამოგიშვეს აქო. აჭარლებმა რომ არ გაგიშვათო, რა უნდა ქნაო, მემასხრებოდნენ. მაშინ აჭარაში ადგილობრივი მასწავლებლები იშვიათი იყო. ბევრი ჩასული მასწავლებელი იქ გათხოვდა. მასხრობით გიაუროღლის მეძახდნენ, გიაუროღლოო (ქართველის შვილო). უთო არ იცოდნენ. უთო ვითხოვე, მეორე სოფლის მასწავლებელს ქონდა, და ამოვიტანე. სირმა, ვუთხარი, დარეცხილი კაბები რომ გაქვს, იმას გაგიახლებ-მეთქი. დაჭმუჭვნილს იცვამდნენ. გარეცხავდნენ და დაჭმუჭვნილს ჩაიცვამდნენ. გაუხარდა ქალს, რომ ვუუთოებ კაბებს, შემომისწრო ხაზეინმა. ნენე! გიაუროღლო! ეს რას შვები, დაწვა უნდა? დამიწვა უნდა ქალის კაბაო? არა, შენს ქალს, მე ვუთხარი, ახალი კაბა უნდა პირველად ჩავაცვა, მუჰამედ-მეთქი და რომ გავაუთოვე, დედა, რაფერ გაუხარდა სირმას. უთო ნახშირის იყო. მე რომ გავთხოვდი და აქუცაში მივედი, იქაც ნახშირის უთო მქონდა. მაზლები ამოვიდოდნენ, არიქა, ერთს შარვლის დაუთოება უნდოდა, ერთს ,,საროჩკის'' დაუთოება უნდოდა. სტუდენტები იყვნენ ჩემი მაზლები, რომ გავთხოვდი, და სოფელში ამოდიოდნენ.

ჩემი „ხაზეიკა“ სირმა აგერ ახლა მოკვდა, საწყალი სირმა, ჩაქვში მოკვდა... კარგი ქალი იყო, კარგი შვილები ყავდა ძალიან. ძალიან კარგი ხალხი იყო, რაც შემეძლო, ვაკეთებდი, ძალიან თბილი ხალხი იყო. ქალები ხელცარიელი არ მოვიდოდნენ, კვახი, ამფერები, არ შეიძლებოდა არ მოეტანათ.

სირმა თვითონ აკეთებდა საჭმელს. მე არ მაკეთებინებდა. ამოიტანდნენ ხორცს, მოხარშავდნენ, სოუზივით გააკეთებდნენ. ლობიოს გააკეთებდნენ წვნიანს, ამფერებს. ზაფხულში მოვდიოდი სახლში. რომ წამოვედი, დამაბარა მუჰამედმა: ზინა მასწავლებელოო, ღორის ხორცი არ მეიტანოო. რომ გავთხოვდი, მერე, რა თქმა უნდა, კი ვაკეთებდი ოჯახში საჭმელს. მაგრამ ასეთი ხაჭაპური, აქ რომ ვაცხობ, არ გამომდიოდა აჭარული ყველით. მანქანებით დღვებდნენ კარაქს, და რაც დარჩებოდა, იმით ყველს აკეთებდნენ. მოხდილი ყველი ქვია ასეთ ყველს და ხაჭაპური რომ გაგვეკეთებინა, კარაქს ვუშვებოდით.

საახალწლო ნაძვის ხე მე გავაწყვე ოღრიალში. ეს იყო 1938 წელს. მშობელმა მოგვიტანა ნაძვის ხე. ვუთხარი, როგორი უნდა ყოფილიყო. სათამაშოები არ გვქონდა, არ იყიდებოდა მაშინ სათამაშოები. გვქონდა კლასში ფერადი ქაღალდები. „ხაზეინს“ ფული გავატანე და გავუშვი მაღაზიაში. მაღაზია იყო თითქმის სამი კილომეტრით დაშორებული სოფელთან. გავუშვი და მოვატანიე შეხვეული კამფეტები, ნაძვის ხეზე რომ დამეკიდა. ფერადი ქაღალდებიდან გამოვჭერი პეპლები, კურდღლები, კლათი გავაკეთე, შრომის გაკვეთილებზე ბავშვებიც მოვიხმარეთ და გავაწყვეთ ლამაზად. იმ სოფელში საახალწლო ზეიმი არ ენახათ ბავშვებს. ახალი წელი იცოდნენ, რომ იყო რაღაცა დღესასწაული. დიდებმა იცოდნენ ალბათ. ჩავკიდე ხელი ბავშვებს, იმღერეს, იცეკვეს. გავაკეთე საჩუქრები. ქაღალდებიდან პატარა კალათები გავაკეთე, ჩავაწყვე კამფეტი, ვაშლი, მისალოცი ბარათები დავუწერე და დავურიგე. მთელი სოფელი მოვიდა და გვიყურებდნენ.

მერე ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართა. შევხვდი მომავალ მეუღლეს. შევხვდი ხულოში პროფკავშირების კონფერენციაზე. მაშინ მუშაობდა ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ, ესე იგი – უფროს აგრონომად. ყედირი ერქვა, გვარად ჩხეიძე, მერე გადაირქვეს მაგენმა სახელები. ჩხეიძეებს ოსმალების დროს გვარი არ შეუცვლიათ, მაგათ არ დაუკარგავთ ქართული გვარი. ესენი ჩხეიძეები არიან და იყვნენ. იმერეთიდან ყოფილა ორი შტო მოსული ჩხეიძე და ერისთავი, ჩხეიძეები და ერისთავები გააწესეს აქუცაში და მიწები მოუზომეს. აქუცა ქვია ქედაში ჩემი მეუღლის სოფელს. ერისთავები თურქეთში წავიდნენ. შარშანწინ გვესტუმრა თურქეთიდან ერისთავი, მოგვძებნა, აიყვანეს და აქუცა აჩვენეს.

ჩემს ქმარს ყედირი ერქვა და ვახტანგი დაირქვა მერე, 51-ში. მე რომ გავიცანი, ყედირი ერქვა. მამა არ ყავდა. დედას ფადიმე ერქვა. ხუთი მაზლი მყავდა. ყველა თბილისში სწავლობდა, მაგრამ 37-ში ორი სტუდენტი დაიჭირეს, ოსმანი და მამუდი. დაიკარგენ ისინი. ოსმანი ჭოროხის პირში დახვრიტეს. ეს მერე ჯემალმა გაიგო 56-ში, მისმა შვილმა. მამუდი წაიყვანეს ციმბირში. იქ ერთი-ორი წელიწადი იცოცხლა და მერე ხეს აჭრევინებდნენ, თურმე ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ. მე მგონია, ხე წაიქცა, ქვეშ მოიქცია და დაიღუპა მამუდი. ეს მერე გავიგეთ. ვიღაცამ მოიწერა წერილი. როცა ოსმანი და მამუდი დაიჭირეს, სამი მაზლი გარიცხეს 37-ში. მაგრამ ერთი კვირის მერე სტალინის განკარგულება

იყო, რომ და ძმაზე არ აგებს პასუხს, ძმა ძმაზე, მამა-შვილზე არ აგებს პასუხს, და აღადგინეს ყველა. ჩემი მაზლები დაასმინეს იმიტომ, რომ ვითომ იყვნენ მავნებლები, ტროცკისტები. მაზლები და ქმარი ჩემი, როცა თბილისში სწავლობდნენ, სტუდქალაქში იყვნენ. ჩემმა ქმარმა შვიდწლედი აქ დაამთავრა, ბათუმში. ტექნიკუმი დაამთავრა ყვარელში. აქედან გააგზავნეს ყვარელის სატყეო ტექნიკუმში. ოთხი წელიწადი კახეთში იყო, რომ ლაპარაკობდა კახურად, ლაპარაკში აჭარლის არაფერი ჰქონდა. ხუთებზე დაამთავრა ტექნიკუმი. იქედან უგამოცდოდ ჩარიცხეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, თბილისში. მერე ჩემი მაზლი ერთი ფინანსთა მინისტრის მოადგილე იყო აჭარაში, ხუსეინი, ხუსეინად დარჩა, იმიტომ რომ 50-ში დაიღუპა, სახელები მერე გამოიცვალეს. სანამ გავთხოვდებოდი, იარა ჩემმა მაზლმა აბდულმა, რა ვქნაო? ყედირი უფროსი ძმაა, მე არ მაქვს უფლება მასზე ადრე ქალი მევიყვანოო, და მალე მოაწერეთ ხელიო. მაგას უყვარდა თამარა, დარსალიას ქალი იყო, მეგრელი, ჩასახლებული გურიაში. ერთად სწავლობდნენ. მერე დაქორწინდნენ.

მე ძმებისთვის არ მითქვამს. ნებართვა, რომ მეთხოვა, მაინც უარს მეტყოდნენ. მერე მივწერე. ჩემს დას მივწერე წერილი და ის ჩამოვიდა. არ უთხრა ძმებს, ისე ჩამოვიდა. ოჯახში ძალიან კარგად მიმიღეს. მე ხულოში გავთხოვდი. ვახტანგმა ქედაში შეუთვალა კაი 15-20 დღის შემდეგ (მანამდე ბინა ქონდა ხულოში და იქ ვიყავით), მოვდივართო. კულტურის განყოფილების გამგე იყო დავით მამულაძე. მერე საოლქო კომიტეტის მდივანი იყო. მამულაძე, მაგი იყო სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე და მოადგილე იყო ჩემი ქმარი.

ოთხი კაცი წამოყვა და წამოვედით. ჩემმა დედამთილმა ისე კარგად მიმიღო, რომ მივედით. ჩხეიძეების ოჯახში არაფერი განსაკუთრებული წესი არ იყო, ჩვეულებრივ მიმიღეს. ჯემალის დედა, ოსმანის ცოლი და დედამთილი გამომეგებნენ. მაშინ მანქანები არ იყო. აქუცა ქვია ჩვენს სოფელს. ახლა კი ადის იქ მანქანა. მაშინ ფეხით უნდა ასულიყავი. ჩამოგვეგება, ძალიან კარგად მიგვიღო. გაუკვირდათ, რომ ქართველი ასე რაფერ მიიღოო. კაი ქალი იყო ჩემი დედამთილი. თურქეთში სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში. იქ ცხოვრობდა. ჩემი დედამთილის მამას შემოაკვდა კაცი ვიღაცა, ჰოდა, შეეშინდა და თურქეთში გაიქცა. თურქეთში ეყოლა შვილები. ჩემი დედამთილი რომ გახდა 15 წლის, გამოაგზავნა სტუმრად საქართველოში, ესე იგი თავის სოფელში, მერისიდან იყვნენ. ქედაში რომ ჩამოვიდნენ, ჩემი მამამთილი ახალგაზრდა კაცი იყო, დიდი მაღაზია ქონდა და ვაჭრობდა, და დაინახა. ვინაა ეს გოგოო? – იკითხა ჩემს დედამთილზე. უცხო გოგოო. ესო, უთხრეს, შერვაშიძის გოგოაო, თურქეთიდანაა ჩამოსულიო. დადგა ფეხზე, დააყენა ვიღაც-ვიღაცეები. ეს გოგო უნდა მევიყვანო ცოლადო და მართლა გაკეთდა ეს საქმე. შეუთვალეს მამამისს, რომ ასე, სულეიმან ჩხეიძეს უნდა შენი ქალიშვილი და იქნები თუ არა თანახმაო. ჰოდა, ჩხეიძეებიო, კაი ხალხი არიან, გამიგონიაო. აქ ბიძები ყავდა, მამიდები ყავდა ჩემს დედამთილს. თვითონ გაიქცა, თუ არა მისი ოჯახი აქ იყო. ჩემს დედამთილს სასწავლებელი დამთავრებული არ ჰქონდა, ერთი წელი კიდევ უნდოდა, რომ დაემთავრებინა, მაგრამ აქ გათხოვდა. ისე, არაბულად კითხულობდა. ქართული იცოდა ლაპარაკი, წერა-კითხვა – არა. არაბულად წიგნები ჰქონდა. ყველა რომ დაწვებოდა, ის კითხულობდა. ძალიან კულტურული ქალი იყო. მერე მაგას და-

ძმანი ჰყავდა. მისი ნათესავები ახლაც არიან იქა (თურქეთში). ჩემი დედამთილი მუსულმანი იყო, იმიტომ რომ თურქეთში ნამყოფი ხომ იცი, მაგრამ ჩადრს არ ატარებდა. ჩადრი არ ჰქონდა. რომ მივედით, ხომ ეს უცხო ხალხი აგვყვა. დედამთილმა გამოიტანა საჭმელები და დატრიალდა. მაღალი ქალი იყო, ლამაზი ქალი იყო ძალიან. შვილები არ გავდნენ.

მე რომ ჩავედი, მედრესეები ყველგან დახურული იყო. ისე, შენობები იყო დარჩენილი. ვახტანგი (ჩემი მეუღლე) იტყოდა, პატარა რომ ვიყავითო, გვავალდებულებდნენ, რომ რამაზანი დაგვეჭირაო. ვერ ვუძლებდიო და ვპარავდიო დედაჩემს. ჩაწყობილი იყოო ქილებით მაწონი. გადმოვიღე ერთი და შევჭამეო. თურმე გულზე არ დამესხაო! მე ხომ არ ვიცი, გულზე თურმე დასხმული მაქვსო და რა ქენი დედი, რა ქენიო? მითხარიო და... დასცინოდა მერე დედამისს. რა ვქენიო? საჭმელი ჭამე, ხომო? აჰ არა, ღმერთს გეფიცები, არაო. არ დაიფიცო ღმერთიო, გულზე დაიხედეო.

სახელები 50-ში შეიცვალეს. მთავრობის დადგენილება იყო, რომ მაჰმადიანური სახელები შეცვლილიყო ქრისტიანული სახელებით. გაგებით შეხვდა ამას მოსახლეობა. ახალგაზრდებს გაუხარდათ, პირიქით. ჰოდა, ნოდარიმ დაარქვა მამამისს სახელი. მაშინ მეოთხე კლასში იყო, მგონი, მაშინ ქედაში ვცხოვრობდით. რა დავირქვაო, იკითხა ჩემმა მეუღლემ, კაი 40 წლის იყო კაცი... ნოდარიმ ლექსი იცოდა – ვახტანგმა ხელი ხმალს იკრა, მტერს როგორ შევუშინდებიო. აქედან, ვახტანგი მიყვარს სახელიო და მამიკო, თუ შეიცვლი სახელსო, ვახტანგი დაირქვიო. მე უნდა დაგარქვა, მამი, ვახტანგიო. კარგიო და უცებ შეეგუა. მე თვითონ ვერ შევეგუე იმ ახალ სახელს. ვახტანგი ვერ დავუძახე, მაინც ყედირს ვუძახოდი და რაიკომის მდივანი, რაიაღმასკომის თავჯდომარე, ესენი ყველა ერთად ვცხოვრობდით, მეზობლები ვიყავით... ესაძე იყო რაიკომის მდივანი. ზინა, მეორეჯერ ყედირს რომ დაუძახებ, არ დაგელაპარაკებიო. ასეთი კარგი სახელი ქვია ქმარსო და ყედირს როგორ უძახიო. ჩემმა მაზლმა ფელულმა ფელიქსი დაირქვა, აბდულმა – არჩილი.

კომუნისტების წასვლის მერე ზოგიერთებმა ისევ დაიბრუნა ის ძველი სახელი, უფრო მაღალმთიან რაიონებში. რომ გავთხოვდი, მერე ქედაში გადმოვედი. ქედაში აქუცის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად დამნიშნეს. ოთხმოცამდე ბავშვი იქნებოდა სკოლაში. იქ, ოღრიალში, 12 იყო, 12 – თავიდან, მერე 15 გახდა, მერე 17 გახდა. მასწავლებლები იყვნენ ხასან ზანაქიძე და დავითაძე, ორივე ადგილობრივი. დავითაძემ აქ დაამთავრა ბათუმში პედსასწავლებელი. სამი ვიყავით. ადგილობრივ კადრებს ხელს უწყობდნენ, რომ ესწავლათ. გზავნიდნენ სასწავლებლად. მაგალითად, ქედაში პედსასწავლებელი იყო. სამი წელი ვიმუშავე სოფელში, მერე გადამიყვანეს პედსასწავლებელთან არსებულ საბაზო დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. მერე 12 წელი ვიმუშავე პედსასწავლებელში. ახლა პედსასწავლებელში როგორი იყო: მეორე კურსიდან უკვე იწყება პრაქტიკები, ღია გაკვეთილები, რა ვიცი, ყველაფერი, და მასწავლებელიც უნდა იყოს კარგი, მეთოდიკა უნდა იცოდეს. ერთი კვირა ჩემთან დადიოდა განათლების განყოფილების ინსპექტორი, გეგელია იყო. კოლია გეგელია, ჩამოსული თბილისიდან, მუშაობდა ქედაში, მისცა ჩემი კანდიდატურა განათლების განყოფილებას, პედსასწავლებელში დავნიშნოთო. დამნიშნეს 44-ში და ვიყავი 55-მდე.

ზინა დადიანი მეუღლესთან ერთად. 1955

კარგი მასწავლებელი ის იყო, ვინც კარგი აგიტატორი იყო. განსაკუთრებით ომის პერიოდში. გაკვეთილს ჩავატარებდით ხოლმე გაზეთით ხელში, მივდიოდით კოლმეურნეობის ბრიგადებში, განაწილებული ვიყავით. იქ იყო თამბაქო და ვენახი. ვუკითხავდით ხალხს ომის ამბავს, ხალხს აინტერესებდა. ბევრი წასული იყო. ჩემი ქმარიც ომში იყო. თითქმის ორი წელიწადი იყო, მაგრამ ფრონტზე არ მოხვედრილა. აწყინა საჭმელმა, გახდა ცუდად, დაემართა მუცლის ტიფი. ჰოდა, აქედან ბაქომდის ავადმყოფი (რად უნდოდათ, რა ვიცი?) საკაცით ჩაიყვანეს. ბაქოში თურმე დიასამიძე იყო, ავნი, ექიმი, აქედან იყო თურმე გაწვეული მაგიც, მოხვდა იმ გოსპიტალში, სადაც ჩემი ქმარი იწვა, ჰოდა ფელულს გამოუგზავნა, ჩემს მაზლს, დეპეშა, რომე ყედრი ცუდად არის და ჩამოდითო. მე და ფელული წავედით ბაქოში იმ საშინელი ომის დროს. სამი დღე ვეძებეთ გოსპიტალი და ძლივს მივაკვლიეთ. რომ მივედით, იმდენად კარგად იყო, რომ ჭიშკართან მოვიდა ავადმყოფი. აწიო, თუ მოვკვდებიო, ნოდარი წლის დავტოვე, აწი თუ მოვკვდებიო, ჯავრი არ მაქვსო, რომ გნახეთო თქვენო. სამი დღე ვიყავით მე და ჩემი მაზლი, ჩაიტანა ჩემმა მაზლმა ავადმყოფობის ცნობები. მეც მოვეხმარებიო, ავნიმ თქვა, და წამოვედით. წამოვედით, 43-ში, სულ არ ველოდით ისე, კარი შემოაღო და შემოვიდა სახლში. დედა გადვირიეთ, რა იყო?! ვერ მატარეს სულ საკაცით ერთი ნაწილიდან მეორეში, მეორედან მესამეში, მეოთხეში, და წადი სახლში, გამოჯამრთელდი და წაგიყვანთ მერეო, მითხრესო და გამომიშვესო. ერთი ათი დღე იყო სახლში, მერე, სად იყო სპეციალისტები მაშინ, დაუძახეს. რაიკომის მდივანმა დაუძახა და დანიშნეს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ ქედის რაიონში. მეც პედსასწავლებელში ვმუშაობდი. მერე გაჩნდა ცაცო, ჩემი გოგო.

ჩემი ძმა შემირიგდა როდის, იცი? 42-ში. უი, რამდენ ხანს არ მელაპარაკებოდნენ ძმები: რა გინდოდა ამ სიშორეზეო? მაშინ ვინმეს „პროპუსკების“ (საშვების) გარეშე არ გამოუშვებდნენ აქეთ. დედამთილი რომ მომიკვდა, 5 დღე „პროპუსკებისთვის“ ირბინეს, რომ ჩამოსულიყვნენ. ნოდარი მყავდა, ომი რომ დაიწყო, პირველი. ნოდარი 40-ში შემეძინა. მაშინ ჩამოსული ვიყავი უკვე შუახევიდან, ჯარში რომ გაიწვიეს ვახტანგი. დუღდა მთელი ქვეყანა, წავედი სახლში.

რამდენ კურიოზებს შეხვდები გზაზე. დადიოდა ერთი მატარებელი ბათუმიფოთი. ამ მატარებლით სარგებლობდა მთელი გურია, სამეგრელო, იმერეთი. ისეთი ამბავი იყო! მანქანები ისე ხომ არ იყო, ახლა რომ არის. ფელულმა, ჩემმა

მაზლმა, გამომაცილა. ძლივს ავედი ვაგონში, ტომრები, კალათები, ბევრი ხალხი, ბაღანა მიჭირავს ხელში. ავედი და ადგილი სადმე არაა. ერთი ქალი იჯდა და გამომართვა ბავშვი. ამოვიდა ერთი მეგრელი დიდი ულვაშიანი კაცი. ზევით უჭირავს კალათა. ხალხია, ბარგია, გამიშვი, გენაცვალე, გამიშვი, – იძახის. მოაღწია ჩვენამდის, იმდენი ქნა. გამიშვიო, მითხრა. სად გაგიშვა? არის ადგილი, რომ გაგიშვა-მეთქი? გაჩერდა. მე, გენაცვალე, აბაშაში მივდივარო, მეუბნება. მერე რა? შენ აბაშაში მიდიხარ, მე სენაკში მივდივარ 20 კილომეტრით იქით, მაგრამ კი არ ვყვირივარ-მეთქი. გაჩერდა. გამიშვიო, ისევ მეუბნება. ვერ გაგიშვებ. ვაი, რა გაჭიმულა დადიანის ქალივით, ჩემზე ამბობს მეგრულად. რა უნდა მეთქვა? მეტყოდა, თუ დადიანი ხარ, აქ რა გინდა, ვერ წადი კარგადო? არ იჯგიმებოდნენ დადიანის ქალები-მეთქი და შენ რა იციო, მკითხა (იცინის). ასეთი კურიოზები გზაზე რამდენი შეგხვდებოდა. ჩავედი სენაკში, გათხოვების მერე ეს პირველი ჩასვლა იყო. გაჭირვება იყო, ქმარი ჯარში, სახლში ქალები ვიყავით, საჭმელი გვინდოდა, სასმელი გვინდოდა, ტანზე, ფეხზე. წავედი ძმასთან, რომ დამეხმაროს რაცხა-მეთქი. ჩემი ძმა სამსახურში იყო, ტექნიკუმში. მეორე წასული იყო ჯარში. რძალი კაი ქალი მყავდა, საწყალი. მითხრა, ნუ გეშინიაო, რას იტყვის შოთაო. კირა ერქვა რძალს. კირა, მეშინია, რა ვქნა ახლა, რომ გამაგდოს, სად წევიდე-მეთქი. ნოდარი ახალფეხადგმული იყო. ლამაზი ბავშვი იყო. ახლა „პერერივზე“ მოვაო, მითხრა. კირა საავადმყოფოს დირექტორი იყო. გაიღო ჭიშკარი, პატარა ჭიშკარი იყო შემოსასვლელი. ეს შოთა მევიდაო, და მოვკვდი, ახლაც დამეცემა რაცხა, რომ გამახსენდება, იმდენი შიში მქონდა. დავბერდი და ბიჭო-მეთქი მე მაგისთვის არ მითქვამს. შემოვიდა და რძალმა ბაღანა გაუშვა, მას შეხვდესო და ვისია, აი ლამაზი ბიჭიო? იმ წუთში მიხვდა. შეხედა ბაღანას და მიხვდა. აა, მობრძანდაო, და მეტი არაფერი. მივედი და გადავეხვიე. შოთა, მაპატიე, მე ვუთხარი. 3-4 დღე დავრჩი. გამატანა ტექნიკუმის მანქანა, დაგრუზული, პურის ფქვილი, რა ვიცი, ყველაფერი. რძალმა სოფლიდან სიმინდი მოატანინა დედამისს, სოფლიდან ქათმები გამატანა. დატვირთული გამომისტუმრეს. თურმე შოთა და ვახტანგი ერთად სწავლობდნენ ინსტიტუტში. ერთმანეთი რომ ნახეს, მოიკითხეს, შერიგდნენ.

55-ში ვახტანგი გადმოიყვანეს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ. მეც უნდა წამოვსულიყავი. ერთი წელი ვიყავი ქედაში. თვითონ აქ იყო. ძმები ამ სახლს აშენებდნენ, ახლა რომ ვცხოვრობთ. მოაწყვეს სახლი და ჩამოვედი ბავშვებიანად. იმ სამსახურიდან გამათავისუფლეს და დამტოვეს განათლების სამინისტროს განკარგულებაში. ესე იგი სტაჟი რომ არ გაწყვეტილიყო. გაიყო ხულოს და შუახევის რაიონები. მამულაძე იყო საოლქო კომიტეტის მდივანი და ვახტანგის უთხრა, როგორც ძმას: შენ უნდა წახვიდე, უნდა დამეხმაროო. მართლაც ძმებივით იყვნენ. ხულოში ერთად იყვნენ. იქ უნდა ჩამოაყალიბო სოფლის მეურნეობის განყოფილება, კადრები. ვახტანგიმ უთხრა, მე შუახევში წევიდეო, ქალი არსად არ მუშაობსო, რა ვქნათო, რაფერ დავტოვოო. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეა კაცი. შუახევში უნდა წასულიყო დროებით, რომ საქმე წამოეწია. ძალიან კარგი სპეციალისტი იყო. მამულაძემ აიღო იმ წუთში და დაურეკა, მაშინ იყო მინისტრი ვახტანგ ახვლედიანი, და უთხრა, რომ ერთი ქალი – ვახტანგ ჩხეიძის ცოლი, უნდა დანიშნო სადმეო. ქალაქში ადგილი ახლა არა მაქვსო, ამწუთშიო და ერთი ადგილი მაქვსო, მაგრამ არ

იზამს ვახტანგი, ჯინიანი კაციაო, არ იზამსო. სადაა? კახაბერშიო. საღამოზე მოვიდა და მითხრა, რომეო, კახაბერში დაწყებითი სკოლის გამგედ გიშვებენო, წახვალო? მე ვუთხარი, ფეხით ვერ ვივლი-მეთქი. არაო, ახლო მიდის მანქანაო. ერთიო, მე წამყევიო, მითხრა, სამინისტროშიო, და წავყევი. წავყევი და შევედით ვახტანგისთან, ახვლედიანთან და მითხრა, კაი 120 ბავშვია, კარგი დიდი სკოლააო. ვეძებ ისეთ მასწავლებელს, რომ იქ გამგედ გამოდგება და შენ უნდა იმუშაო იქო, მითხრა, წამახალისა ვითომ. წავალ-მეთქი, ვუთხარი. დავეთანხმე. იმ წუთში დაურეკა საქმეთა მმართველს, გააფორმეს. მეორე დილას წავედი.

წავედი, მანქანა მიდიოდა, ავტობუსი დადიოდა, მაგრამ აეროპორტამდე არ მიდიოდა მაშინ. აეროპორტთან არის ეს სკოლა ახლოს. ნახევარი კილომეტრიც ფეხით სავალი იყო. მივედი. მივედი, ოთხი მასწავლებელი დამხვდა. გაუხარდათ, კაციო, არ გვინდოდა ჩვენო. განათლების განყოფილების გამგეს ვეუბნებოდით, ქალი გამოგზავნეო. გაუხარდათ, კარგი ხალხი შემხვდა, კარგი მასწავლებლები იყვნენ. ძველი გამგე, ჩემამდე, იყო მევზეთი თავდგირიძე. მაგ მევზეთს რაღაცა მოუძებნეს. მაგი ნათესავი იყო ჩვენი. რაღაცა მოუძებნიათ და მოუხსნიათ. მთელი სამი-ოთხი თვე შეერთებული ყავდა მასწავლებელს ორი კლასი. ჰოდა, დავიწყე იქ მუშაობა. ეს სკოლა ძალიან მრავალრიცხოვანი იყო და ახლა, მე პედსასწავლებელში ნამუშევარი ვიყავი. ეს მეთოდები ვიცოდი ყველაფერი, როგორ უნდა ყოფილიყო მასწავლებელი გაკვეთილზე. ესენი არ იყვნენ მაინცადამაინც ისეთი მასწავლებლები, გაკვეთილს ვესწრებოდი, არ მოგეწონებოდა მათი გაკვეთილი. მეთოდურად გამართული არ იყო, გამართულად არ ლაპარაკობდნენ. ლაპარაკობდნენ კუთხურად, ბავშვებიც კუთხურად ლაპარაკობდნენ. სამივე მასწავლებელი იყო გურული. გურულად უქცევდნენ. იმდენი ვქენი, მოწინავე სკოლების რიცხვში ჩავაყენე სამ წელიწადში. ისეთი გახდა, რომ თუ სადმე კომისია მოვიდოდა, აბა, ზინას სკოლაში წავიყვანოთო, ამბობდნენ. შევცვალე ყველა, იმდენი ვქენი, იმდენი დავეხმარე. ასე გავაკეთოთ, ისე გავაკეთოთ... ახლა, თავი შეურაცხყოფილადაც არ ვაგრძნობინე. ახლა შენ მოდი და ზევიდან გვიყურებ, არ ვაფიქრებინე... ხომ იცი, თუ გინდა იმუშაო კოლექტივში, თავაზიანად უნდა მოიქცე. ვლებულობდი მონაწილეობას კონფერენციებზე, პედაგოგიურ კითხვებზე. თბილისში მივდიოდი პედაგოგიურ კითხვაზე. ეს იყო კონფერენცია, იგივე. ესე იგი, რა გააკეთე სკოლაში: მაგალითად – ქართულ ენაში, რა გააკეთე მათემატიკაში, შრომაში, ფიზკულტურაში. ყველა საგანში შეიძლებოდა წაგეკითხა თემა. ჰოდა, ეს შრომა (სასწავლო საგანი) ავირჩიე პირველად, და თან ეზოში გავაკეთე ყვავილნარი. ყვავილნარი როგორი ახლა? აეროპორტში გააკეთა, დეკორატორი აგრონომი ჰყავდათ, იმან გააკეთა ყვავილნარი. ჩვენი სკოლა აეროპორტთან იყო ახლოს. იმას ვუყურე, როგორ აკეთებდა, ჰოდა, მე გავაკეთებინე ბავშვებს სკოლაში. დიდი ვეებერთელა წრე გავაკეთეთ ეზოში. ეს წრე ცემენტით შემოვზღუდეთ, ჩავასხმევიე, მშობელი დავიბარეთ, ვიყიდეთ რაც საჭირო იყო, სილა მოვატანიეთ, ცემენტი ვიყიდეთ – მშობელი დამეხმარა, და ჩავყარეთ მიწა და გავაკეთეთ პირამიდასავით, ეს პირამიდა ხუთად გავყავი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი გავაკეთეთ. ვარსკვლავში ყველგან დაბალი ბალახის ყვავილები დავთესე. წითელი, მწვანე. ეს, ვახტანგიმ ბოტანიკური ბაღის დირექტორს უთხრა, ასე აკეთებს რაცხას ქალიო და უნდა მიშოვო ასეთი თესლიო და მოგვცა. შარაშიძე იყო მაშინ ბოტანიკური ბაღის დირექტორი. ზევით დავრგე პალმა. ისეთი ლამაზი იყო, და ეს როგორ

გავაკეთე, ეს დავწერე. დავწერე და ჯერ აქ წავიკითხე. ჰოდა, ისე მოეწონათ, რომ ეს გავუშვათ თბილისშიო. ჰოდა, თბილისში წავიკითხე კიდევ. იმის მერე სამჯერ ვიყავი კიდევ თბილისში. კიდევ შრომაზე მქონდა თემა, სხვათა შორის. მეორეჯერ ჩემი ყოფილი მოსწავლე გახდა ბრიგადირი და შრომის წითელი დროშის კავალერი და ამ ქალზე დავწერე. მესამე მქონდა მათემატიკაში. მათემატიკაში მქონდა, როგორ ვასწავლი მესამე კლასში ამოცანების ამოხსნას. სწავლის გაგრძელებაზე აღარ მიფიქრია, უმაღლესიც არ მაქვს დამთავრებული, მაგრამ აქტიური ვიყავი ძალიან რაიონში. თითქმის 20 წელიწადი დაწყებითი კლასების ხელვაჩაურის რაიონის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი ვიყავი, 1982 წელს მასწავლებელთა მეხუთე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატი ვიყავი.

შუა ყრილობაზე, ბრეჟნევი მოკვდაო და დავიშალეთ (იცინის). ყრილობა არის და, მეორე დღეს, ხვალო, სხდომაზეო შევარდნაძე გამოვაო და გვეტყვის ახალს რაღაცასო. დაინტერესებული ვიყავით. საღამოზე ნათესავთან წასვლა არ ვიცით, ყველა უნდა იყოთ სასტუმროშიო. სასტუმრო „აჭარაში“ ვიყავით. მე სიძე მყავს, დისშვილის ქმარი, პროკურორია, მოვიდა, შენი დისშვილი ტირისო, რომ ზინა მამიდა მომიყვანეო და ერთი წევიდეთო, მოეშვი ამ ყრილობასო. წავყევი და გზაზე მეუბნება: იცი, ჩვენი შეფი მოკვდაო. დედა, საცოდავი-მეთქი, მგონია ვინცხა პროკურორი მოკვდა. უი, საწყალი, თქვენთან იყო-მეთქი? ბრეჟნევი ჩვენთან იქნებოდაო? კინაღამ გადავირიე. ჩემი ძმაც ჩამოსული იყო სენაკიდან. იმ საღამოს ვილაპარაკეთ 12 სააათამდე და მერე ისევ დავბრუნდი სასტუმროში. დილით გამოვცხადდით დელეგატები. აჭარიდან 25 დელეგატი ვიყავით. უკვე 4 დღე იყო, რაც ყრილობა მიდიოდა. ყოველ საღამოს, რომელიმე სკოლაში, დელეგატები სუფრაზე ვიყავით დაპატიჟებული. რომ მივედი და დავჯექით სუყველა, თურმე ხალხმა იცის და ერთმანეთს უჩურჩულებენ, ბრეჟნევი მომკვდარაო. ამოვიდა მინისტრი. ბოდიში, მაგრამ, დაიხუროს უნდა ჩვენი ყრილობაო რეზოლუციის გარეშეო. გამოგიგზავნით ყველა დელეგატს რეზოლუციასო, იმიტომ რომ ბრეჟნევი მომკვდარაო. ავდექით ფეხზე. ვითომ თავიც დავღუნეთ. ახლა წადითო. ყველგან ჩაატარეთ მიტინგი სამგლოვიაროო. თქვენ დელეგატები ხართ და თქვენ უნდა გამოხვიდეთ სიტყვითო. ამ საღამოს ვინმე არ დარჩეს თბილისში, ყველა უნდა წახვიდეთო.

წამოვედით იმ საღამოსვე. იმდენი რამეები ვიყიდე სკოლისათვის, რომ აკიდული დიდის ამბით წამოვედი, მოვედი სახლში და გავიქეცი სკოლაში. მივედი, მეორე გაკვეთილია. გარეთ გამოსულია 600 მოსწავლე. მიტინგი უნდა ჩატარდეს, ზინა მასწავლებელი ჩამოვიდაო. მიტინგი ჩავატარე.

ბრეჟნევის დროს სკოლაში ვასწავლიდით მის ნაწარმოებებს „მცირე მიწას“, „აღორძინებას“, „ყამირს“. პროპაგანდისტი ვიყავი, აგიტატორი ვიყავი, სემინარები გვიტარდებოდა. ეს „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“ მასწავლებლებს თითქმის ზეპირად უნდა სცოდნოდა. ისე, ეს ნაწარმოებები კარგად იყო დაწერილი, მისი დაწერილი იყო, თუ სხვისი. ვითომ ბრეჟნევის დაწერილი, მაგრამ – არა მგონია. როგორ გეკადრება! მაგას რაფერ დაწერდა? პროგრამაში არ იყო მოცემული, მაგრამ აუცილებლად უნდა გვეთქვა, რომ „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“ – ეს ბრეჟნევმა დაწერა. პატარებმა რა იციან, მაგრამ მაინც უნდა გეთქვა. მე პირველ, მეორე და მესამე კლასს ვასწავლიდი. პირველკლასელებს არ

ვეუბნებოდით ამას, მეორე-მესამეს – კი, მეოთხეს უფრო გადიდებულად, უფრო ვრცლად. ბრეჟნევი რომ მოკვდა, ჩვენ გვეშინოდა, მართალი გითხრა, რომ ვინმე არ დაგვესხას თავს, ვინმემ არ წამოიწყოს შიგ (ქვეყანაში) რამე.

სტალინის სიკვდილიც მახსოვს. იმდენი ნატირები მაქვს. საწყალი ჩემი დედამთილი – ორი შვილი დაკარგა. „უი, სტალინა, შენ ამოგძვრა შენი სული.“ – წყევლიდა სტალინს. სტალინის ბრალი კი არ იყო. აგერ, თურმე მეზობელმა მეზობელს „უდანოსა“ (დაასმინა). ჯემალმა მერე, ჩემმა მაზლიშვილმა გაიგო ყველაფერი. გამოჩხრიკა, ისევე ჩვენს მეზობელს დაუღუპია ჩემი მაზლი. კოლმეურნეობა არ უნდაო, კოლმეურნეობა არ უნდაო, რა ვიცი, რაღაცა ამისთანა „დანოსები“ იყო. ის კაცი, ვინც დაასმინა, ცინცაძე იყო. ახლა ის არ არის ცოცხალი, მაგრამ შვილები და შვილიშვილები დარჩენ. მეზობელი იყო, მაგრამ ცოტა მოშორებით იყო, მთლად ახლოს არ ცხოვრობდა. ჯემალმა მამის რეაბილიტაციის მერე გაიგო ყველაფერი. რომ მოკვდა სტალინი და ქვეყანა ტიროდა, ჩემი დედამთილი ფელულთან იყო (ფელული მერე ფელიქსი გახდა). ჰოდა, ყველა ტირის, ყველა ტირის და გევიხედე, ჩემი დედამთილი ტირის. ნენი, შენო, შვილები ეუბნებიან, შენა, რა გატირებსო. შენმა წყევლამ მოკლა მაგიო. რაო, ალბათ იმფერი კაი კაცი იყო, ქვეყანა ტირისო, და მე რა გამაჩერებსო.

მე მეოთხე წელია, რაც სკოლიდან წამოვედი. ახლა მერვე კლასში არიან ჩემი ბავშვები. ჩემი სკოლა უკვე საშუალო სკოლაა. მე რომ ჩამოვედი, დაწყებითი სკოლა იყო. იმდენი ვქენი, იმდენი ვირბინე, ჩემი მეუღლე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იყო, თებიძე იყო მინისტრი განათლების. ანანიძე იყო ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი. მათთან ყველასთან ახლოს ვიყავი. ვირბინე, ვირბინე და რვაწლიანი სკოლა გავხსენი. მაშინ იყო გამგე ზია მიქელაძე, ჩვენი განყოფილების, ხელვაჩაურის რაიონის. ჰოდა, მითხრა, რას დარბიხარო? რა გინდაო? შენ დირექტორად არ დაგნიშნავენო. იმიტომ რომ ტექნუკუმი გაქვს დამთავრებულიო. რა გინდა? იყავი მაქო. არა, მე ვუთხარი. ბავშვები ამთავრებენ დაწყებითს, მერე სამ კილომეტრეზე დადიან საშუალო სკოლაში. მეჯინისწყალია, ადიდდება, ბავშვები ვერ გადადიან, აცდენენ. იმიტომ უნდა გქონდეთ რვაწლიანი სკოლა-მეთქი. იმდენი ვქენი, იმდენი ვქენი, რვაწლიანი გავხსენი. ეს იყო 1965 წელს. დაწყებითი სკოლის შენობა დაანგრიეს და იმ ადგილზე აშენდა ახალი სკოლა.

რვაწლიანი რომ გავხსენით, პირველი დირექტორი იყო ქემალ ლორთქიფანიძე. ახალსოფელში მუშაობდა რუსულის მასწავლებლად. იყო აჭარის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის, ზექერია ლორთქიფანიძის შვილი. ზექერია ლორთქიფანიძე დახვრიტეს. განათლების განყოფილების გამგემ, ზია მიქელაძემ მითხრა, სასწავლო ნაწილის გამგედ იმუშავეო, მაგრამ ვახტანგიმ არ ქნა, შენ ოჯახი გაქვსო. სტუმრიანობაო, ბავშვებიო, არ გინდაო. სასწავლო ნაწილის გამგე რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად უნდა მოვწყობილიყავი დაუსწრებლად უმაღლეს სასწავლებელში. მაგის თავიც არ მქონდა. არ ვქენი, თუ არა, – ტვინი კი მქონდა.

პირველად ტრანსპორტი ჭირდა. კახაბერში რომ დავდიოდი, ნახევარი კილომეტრის გავლა ფეხით მიწევდა. სამი-ოთხი წლის მერე დაინიშნა ავტობუსი ყველა მიმართულებით. სკოლა ხომ აეროპორტთან იყო, გაიზარდა აეროპორტი. თვითმფრინავების რეისები დაემატა სხვადასხვა ქალაქებში. გაიზარდა მოსახლეობა.

ახლა სამი საშუალო სკოლაა კახაბერში. კახაბრის პირველი, მეორე ჩვენ ვიყავით, მესამე – ადლია. მე რომ ჩავედი, ჩემი დაწყებითი იყო, ადლიის შვიდწლიანი იყო და მეჯინიწყალის შვიდწლიანი სკოლა იყო. ახლა სამივე საშუალოა: პირველი, მეორე და ადლია. მოსახლეობა ბევრია. ახლა წარმოიდგინე, 900 მოსწავლე პირველ სკოლაშია. 600 ჩვენთან, 100 – ადლიაში... ჩვენი სკოლა 84 წელს გახდა საშუალო. ახლა დიდი სამსართულიანი შენობაა.

ჩვენი სკოლა, კახაბერში რომ მივედი, იყო გასახლებულის ოჯახში. 47-ში გასახლებულის. აზერბაიჯანელები იყვნენ, ხასანოვები. სხვათა შორის, ჩამოვიდნენ ისინი. ეს სკოლა ორსართულიანი იყო. ზევით სამი ოთახი იყო, ქვევით – ორი. ყოფნიდა სკოლას. პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე კლასი იყო, და სამასწავლებლო.

ერთ მშვენიერ დილას, 1953 წელია, ერთი კაკაბაძე იყო (ბევრი კაკაბაძე ცხოვრობს მაგ აეროპორტის დასახლებაში – აჭარლები ქედიდან ჩამოსულები, ლაზი კაკაბაძეები, გონიოში არიან) ვაჟკაცი ქალი, და დილას, რომ მივედი ყველაზე ადრე, ვხედავ, – ეს ქალი მიცდის. სიმე, რა გინდა შენ-მეთქი, ვუთხარი. ზინა მასწავლებელო, ერთი რაცხა უნდა გითხრაო და აბა, შენმა ქალობამ იცოდესო, მითხრა. რაშია საქმე-თქო. ამ ოჯახის პატრონი ჩამევიდაო. ქალი წუხელ მორჩაო და ბაღანა ყავსო. ამ ოჯახს ორსართულიანი შენობის გარდა კიდევ ქონდა ეზოში ოროთახიანი შენობა. ჩვენ რომ წავედით სამზე-ოთხზე, სკოლა დამთავრდა. ხუთზე მოვიდა სოფლის ხალხი. ამორეცხეს ეს ოთახები, ამოწმინდეს, შუშები იყო დაყრილი, სულ გაწმინდეს. მოიტანეს საბანი, ლები, რაც ქონდათ. ასიმემ რომ მითხრა, ქალი მორჩა და ბაღანა ყავსო. დედა, რა-მეთქი? მაქ შევასახლეთო და ჩვენმა ქალებმა იცოდნენ. ახლა შენ იცი, არ თქვა, რომე გაასახლეთო, მოაშორეთ სკოლასო, არ თქვაო. რა ვქნა ახლა? მოვიდნენ მასწავლებლები. შენ რა გინდაო, ასიმე მეუბნება, გარეთ სარეცხს ვერ ნახავო. მოვიდნენ კაკაბაძეები. ქალები, კაცები, მაგრამ მარტო ასიმე მელაპარაკება. ვაჟკაცი ქალი იყო ძალიან. კარგი-მეთქი. მასწავლებლებს ვუთხარი, თქვენ არ შეხვიდეთ ჩემს მოსვლამდე-მეთქი. წამოვედი და მივედი ჩემს ქმართან: ვახტანგი, ასეა საქმე, რა ვქნა-მეთქი. გაუთავისუფლებიათ ის გასახლებული. მოვიდა და მაიცადამაინც წუხელ მორჩენილა ქალი, გოგო ყავს-მეთქი, ვუთხარი ვახტანგის. შიგნით მე არ შევსულვარ. ვახტანგიმ მითხრა: შენ მიდი რაიაღმასკომის თავჯდომარესთან. ანანიძე იყო თავჯდომარე. უთხარი ყველაფერი და გეტყვის, რა უნდა ქნაო. მივედი. რა გინდა, ზინაო? – გარეთ რომ დამინახა. ქედელია ეს ანანიძე. რა გინდა რძალო, გელინო? გელინს ეძახიან რძალს. თქვენთან საქმე მაქვს, ბატონო აბდულ-მეთქი, ვუთხარი. შემოდი, შემოდი. რა საქმე გაქვს შენ ჩემთანო. ასეა, ასეა, და რა ვქნა-მეთქი. შენო, მითხრა, დადიანის ქალი კი ხარო, მაგრამ ახლა არ ითქმება, რომ დადიანის ქალი ხარო. არ გეცოდება ის ხალხიო? მე ვუთხარი: რომ მეცოდება, იმიტომ მოვედი აქა. არ გაყაროო. ცოდვა არიან ისინიო. მე რაიკომის მდივანთან შევალო, მერე მინისტრთანაც წავალო, იმასაც ვკითხავ, როგორ უნდა მოიქცეო.

მივედი სკოლაში. მასწავლებლები მელოდებიან. ბავშვებსაც გაგებული აქვთ. წრიალებენ ბავშვები. იქედან ვინმე არ გამოდის გარეთ. ამ ქალს პატარას გარდა ორი ბიჭი და ერთი გოგო ყავს. სამი გაკვეთილის მერე გოვუშვი ეს ბაღნები. ახლა უნდა შევიდე და მერე დაგიძახებთ-მეთქი, მასწავლებლებს ვუთხარი.

გავაღე კარები და კანკალებენ ბაღნები. მაგენის მადლი, ალბათ, მე მაცოცხლებს. კაცი მოვიდა და ჩემს წინ დაემხო. არ გაგვყაროო, თათრულად მითხრა. ქართული არ იცოდა. მე ხომ არ ვიცი თათრული. ამასობაში გევიხედე, ასიმე მევიდა. გაუგია, ზინა მასწავლებელი მევიდაო. ასიმემ თათრული იცოდა. გეხვეწება, არ გაგვყაროთო. ცოტა ხანს იყავით კიდევ აქ-მეთქი, ვუთხარი. ვხედავ, საწოლები არა აქვთ, ძირში წევს ქალი. მასწავლებლებს ვუთხარი, ახლა რაცხა გექნებათ სახლში, რაცხა თეთრეული გაქვთ, რაცხა ბაღნების გაქვთ, წამოიღეთ. წამოიღეთ პური. მეც რაცხაებს წამოვიღებ. საჭმელს წამოვიღებ და მივეხმაროთ მაგენს-მეთქი. მეორე დღეს მასწავლებლები მართლა „დაგრუზულები“ მოვიდნენ. მეც მივიტანე რაღაცეები – მანქანით გამაგზავნა ვახტანგიმ. მაგენმა ამბავი ქნეს, ასე რომ გვეხუტებოდნენ ეს ბაღნები ფეხებზე... გააღეთ კარები, როცა დამთავრდება გაკვეთილი-მეთქი. სარეცხი უკან დაკიდეთ-მეთქი. ქალმა იცის აქედან გაყოლილი ქართული. წევს საცოდავი. სურა ერქვა. ესო, ძალიან კარგი ქალიაო, ასიმემ მითხრა, და ცოდვა არისო და, რა ვუქნათ ახლაო. მე ვუთხარი, რაც გექნებათ, მოუტანეთ, ცოდვა არაა, ჩვილი ბაღნით იატაკზე წევს-მეთქი. სამი თვე თითქმის ჩვენი მიტანილი საჭმლით იყვნენ. სულ არაფრად ჩაუგდია მთავრობას. არც კი შემოუთვლია, არც ჰო, არც უარი. ერთი, რაიკომის მდივანს უთქვამს: სკოლაში ახლა „ბილიო“ (თეთრეული) გაკიდული არ უნდაო, ისე თუ მოითმენენო, იყონო. ოღონდო, სწავლის პროცესს ნუ შეუშლიან ხელსო. იყვნენ ასე თითქმის ერთი-ორი წელიწადი. მერე კოლმეურნეობა დადგა ფეხზე. ბრიგადირი იყო მამუდ მიქელაძე. ახლაც არის ის კაცი, შრომის გმირია. დააყენა ბრიგადის წევრები და აუშენა ამ ოჯახს სახლი. გვერდზე სკოლის ნაკვეთი იყო, ბაღნები რაღაცას თესავდნენ, მანდარინი გვქონდა, ჩავაბარებდით, იმ თანხით საახალწლოდ ნაძვის ხეს დავდგამდით, საჩუქრებს დავარიგებდით. ჩვენ წაგვართვეს ეს მიწა, რა წაგვართვეს, მათი იყო, და დაუბრუნეს, აუშენეს ოროთახიანი ბელეტაჟი. მიწა ჩამოგვიჭრეს. ბრიგადირმა ღობე გააკეთა, სკოლას ნუ ექნება საერთო ოჯახთანო. იყვნენ საწყლები. ბავშვები გაიზარდნენ და რუსულ სკოლაში დაიწყეს სიარული. ქართული არ იცოდნენ. მარტო უმცროსმა იცოდა ქართული, აქ რომ დაიბადა გოგო, იმან. ყველა რუსულ სკოლაში შევიდა, ვერ დაძლიეს ქართული. რუსული კიდევ შედარებით დაძლიეს და ბავშვების ქართულ სკოლაში შეყვანა არ მოინდომეს. კაცი მოკვდა, საწყალი. ხასანოღლები იყვნენ. ახლა ხასანოვები არიან.

მე პარტიული არასოდეს ვყოფილვარ და რატომ არ ვიყავი? ქედაში ვიყავით. ქედაში იყო ჩემი ქმარი, მაშინ ბიუროს წევრი იყო რაიკომის და რაიკომის მდივანმა უთხრა, რატომ თქვენი მეუღლე არ შემოდის პარტიაშიო. ასეთი აქტიური ქალიაო, და რატო არ შემოდისო. მოვიდა ვახტანგი და მითხრა, თუ გინდაო, შედი პარტიაშიო. ბავშვებსაც მოუვლი, იქაც გააკეთებ რაცხასო. კი-მეთქი, ვუთხარი, და ერთი გორგილაძე იყო საორგანიზაციო განყოფილების გამგე, თეიმურაზ გორგილაძე, იმან მითხრა, რომ — ანკეტას მე შეგივსებო. ხომ არის ანკეტაში წოდება, წოდებას მიუწერა თავადი. მოიტანა და წამიკითხა, ვაიმე, თავადი-მეთქი! ახლა დამიჭირავენ, ისე გამოდის-მეთქი. უარი ვუთხარი, ჯერ რაფერ დაწერე თავადი-მეთქი. რა დამეწერაო? მამაშენი გლეხი იყოო? რა დამეწერაო? ვიფიქრე, ვიფიქრე და დავწერე თავადიო. არ მივედი. თავადი რომ არ დაეწერა, მეორე დღეს მიმიღებდნენ პარტიაში.

2003 წელს ღირსების ორდენი მივიღე. სკოლიდან უკვე წამოსული ვიყავი. მუშაობა კიდევ შემეძლო, მაგრამ არ დამანებეს, სირცხვილია ახლა შენი სიარული ამხელა გზაზე, სირცხვილია შენი მუშაობაო, მეიკლენ თავი, და მეც დავანებე თავი. ისე მსაყვედურობდა განათლების მინისტრი ნანა გუგუნავა, სადაც დამინახავდა, ყველგან მსაყვედურობდა, რატომ დატოვე სკოლაო. 75 წლისთავზე, რომ გავხდი, დიდი იუბილე გადამიხადეს, უფრო სწორად 77-ის გავხდი მაშინ სინამდვილეში, და 75 აღმინიშნეს. სკოლიდან რომ წამოვედი, ძალიან გამიჭირდა. ისე განვიცადე... პირველ სექტემბერს სკოლაში მივედი, ჩემი საკლასო ოთახი ცარიელი დამხვდა და გული მეტკინა. სამ-სამი კლასი იყო ყოველ წელს პირველი და იმ წელს მხოლოდ ორი იყო. სამი პირველი კლასი არ შედგა.

ჩემმა გოგომ ცაცამ ჩემი პროფესია აირჩია. ქობულეთში ცხოვრობს, სკოლაში მუშაობს. წულუკიძის ცოლია. ნოდარი უფროსია. ყოველთვის ძალიან ნიჭიერი იყო. ქედაში ისწავლა მეექვსე კლასამდე. შემდეგ ბათუმში გადმოვედით. მეოთხე სკოლაში სწავლობდა. ერთი წელი ბათუმის მანქანათსაშენში მუშაობდა. შემდეგ ერთი წელიწადი გემთმშენებელში იყო. გემთმშენებელმა გაუშვა ლიმიტით უკრაინაში, ნიკოლაევში, გემთმშენებელ ინსტიტუტში. ხუთებზე დაამთავრა, იქვე დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია, კანდიდატის წოდებით. იქვე დაოჯახდა, უკრაინელი გოგო შეირთო, ძალიან ახალგაზრდა, მეათე კალასის მოსწავლე, ორი ბიჭი შეეძინათ ტყუპები, დედისერთა გოგო იყო, მამა გენერალი ყავდა. აქ იყავიო, ნოდარის უთხრა, კარგ სამსახურსო, კარგ ბინას აგაღებიებო. იყავით აქო. ნოდარიმ არ ქნა. მეც, იქო, მელოდებიან დედ-მამაო. ჩამოვიდნენ. აქ იყო ორი წელი და წავიდა მერე. წერეს წერილები „დო ვოსტრებოვანია“, წერდა დედამისი მოკითხვამდე წერილებს, წერა, წერა, ესეც ახალგაზრდა იყო და წავიდა. კინაღამ გადავყევით მაგის წასვლას მე და ვახტანგი. ახლაც ისეთ წერილებს მწერს, რომ ვკითხულობ, დავჯდები და ვიტირებ. „დედიკო, შენი ჭირიმე“, ამას ქართულად წერს. ბავშვებიც ჩამოდიან. ორივე ცოლ-შვილიანია. ვახტანგი და რომა ქვიათ ბიჭებს. ბაბუების სახელები იქეთ-აქეთ. თითქმის სულ ჩემთან არიან გაზრდილი, ყოველ ზაფხულს აქ არიან. ქართული მაინდმაინც კარგად არ იციან. მერე ნოდარიმ მეორე ოჯახი შემქნა. იქაც ორი ბიჭი ყავს, ისინიც დაოჯახებული არიან. ახლა დამესიენ შვილთაშვილები: ნიკუშა, გიო, სესილი, ნინო; ცაცის შვილიშვილები – ნათია, ნიკუშა; უკრაინაში დავითი და დარინა – 13 შვილთაშვილი მყავს...

მე რა უნდა ვიფიქრო, მე მინდა კარგი ცხოვრება ქონდეს ახალგაზრდობას. მოესწრონ ბედნიერ ცხოვრებას, კარგს, მშვიდად ცხოვრებას. ახალი მთავრობის იმედი მაქვს. ახალგაზრდები არიან და გააკეთებენ რამეს, დაალაგებენ ყველა რეგიონს და მათ შორის ჩვენს აჭრასაც. ასე არ იყო აჭარა. რაის მშვიდადაა? დღე არ გავა, ვინმე არ გალახონ, არ ცემონ, არ დააპატიმრონ. ეს მშვიდობა არაა. მშვიდი ცხოვრება არაა.

ნოდარი სულ მუშაობდა, წლების მანძილზე იყო ბათუმის მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ეს ინსტიტუტი. შვილი წელიწადია, ნოდარი იქ აღარ მუშაობს. მოქალაქეთა კავშირის წევრი იყო, ჩემი შვილი ოპოზიციაში არის 13 წელიწადია. ეს არ აპატიეს, ერთი წელიწადი კონტროლის პალატა

დაუჯინეს. ვერაფერი ვერ ნახეს. გადარეული იყვნენ, რომ ერთი ქაღალდის ფურცელი არაა ზედმეტი ინსტიტუტშიო. ვერაფერი ვერ უნახეს. ისე, შეუთვალა (ასლან აბაშიძე), ორი ადგილი მაქვს, ახალგაზრდა ხარ, ერთი – მერის ადგილი, მეორე – მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილის ადგილი, რომელიც გინდა, ხვალვე გაგაფორმებო, – არ ქნა. ამაზე ისე ვინერვიულე... არ ქნა იმიტომ, რომ მეო, ჩუჩელა ვიქნები იქო. ბიძებსა და მამამისს გავს, ასეთი პრინციპულები იყვნენ ყველა. ჩემი მაზლისშვილი (ოსმანის შვილი) ძალიან პრინციპული იყო. ჩხეიძეები აჭარისთვის თავგანწირულები იყვნენ და არიან. ახლა ჩხეიძე ყველა აბაშიძის ოპოზიციაშია. ჩემი შვილიშვილებიც, ნოდარის ბიჭებიც, ოპოზიციაში არიან. სწორიც არიან. ახლა, რევოლუციის დღეებში რომ თბილისში აჭარიდან ხალხი წაიყვანეს, მართალი იყვნენ? მე არ ვამართლებ ამათ. რა გასამართლებელია შეიარაღებული ხალხის წაყვანა, როცა ათიათასობით კაცს ხელში არაფერი ქონდა, ისე იდგნენ იმ წვიმაში იქა მთელი ერთი კვირა. ჩემი შვილი ნოდარი, როცა ლექციები არ ქონდა, მიდიოდა, მათთან იდგა. ნოდარი ახლა ძირითადად თბილისშია, ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს, ლაბორატორია აქვს, შარშან სადოქტორო დაიცვა. „ჩვენი აჭარის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. ისე მეც ვამართლებ, სწორია ჩემი შვილის პოზიცია. გვეყო ახლა, გვეყო ახლა, 13 წელიწადი იმეფა, ახლა წაბრძანდეს და დაუთმოს ახალგაზრდებს ადგილი. ახალგაზრდები მოდიან. ახლა მთელი თბილისის მთავრობა ახალგაზრდებია. კომუნისტები დანიშნავდნენ, მერე საფეხურები უნდა გაგევლო, რომ რამე დიდი ადგილი გქონებოდა, ამ გავლას ხომ წლოვანებაც უნდა, დაბერებულები იყვნენ რაიკომის მდივნები, აღმასკომის თავჯდომარეები. ახლა გაგიხარდება – ბავშვები! თუ გაამართლებენ, ესაა... ყველას ამერიკაში აქვს ნასწავლი. ზოგს ინგლისში აქვს დამთავრებული, ზოგს რუსეთში, ასე. თუმცა ადრეც იყვნენ თანამდებობებზე ახალგაზრდები, კომუნისტები რომ შემოდიოდ-ნენ მაშინ, დასაწყისში. ჩემი მეუღლე იყო 27 წლის, თანამდებობა რომ ქონდა, მაშინ კადრების ძალიან გაჭირვება იყო აჭარაში და დაამთავრებდა თუ არა, თუ აჭარელი იქნებოდა ის, იმ წუთში დანიშნავდნენ, რა თქმა უნდა. ეს აჭარელი იყო, დაამთავრა ინსტიტუტი, მერე ჩარიცხეს ასპირანტურაში და მერე აჭარამ არ გაუშვა. მერე სოციალისტური შრომის გმირი გახდა, საქართველოს დამსახურებუ-ლი აგრონომი იყო. მეც ძალიან ადრე დავიწყე, 62 წელი ვიმუშავე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი გავხდი. ბევრი რამე ვნახე. სხვათა შორის, კომუნისტების გადავარდნა ძალიან განვიცადე. დადიანების შეკრებაზეც ვთქვი, იმედის ტელევიზიამ გადასცა ჩემი სიტყვა, რომ მე კომუნისტურ რეჟიმში ვარ გაზრდილი-მეთქი და მართლა განვიცადე ნამდვილად, მაგრამ მერე შევეჩვიე, გამოიკვეთა, რომ არ ყოფილან თურმე სწორი ხაზის გამტარებლებები კომუნისტები.

ახლა აჭარაშიც ბევრი რამეა შეცვლილი, ბევრი ძალიან აგრესიული გახდა, ალბათ მდგომარეობამაც გამოიწვია ეს. ძალიან მშვიდი ხალხია. მე ახლა ხულოშიც ნამუშევარი ვარ, შუახევშიც, ხელვაჩაურშიც. ძალიან კარგი ხალხია და თანაც სოფლებში ვარ ნამუშევარი – დამჯერი ხალხი, გამყოლი ხალხი.

ახლა რა, იცი? ჩამოყავთ ხალხი ხალხის დასარბევად იმ რაიონებიდან და ბინები მისცენ თურმე. მე ადრე ერთი ასეთი სიტყვა, ან ქართველი ხარ, ან ჩამოსული ხარ, არ გამიგონია, მითუმეტეს 38-ში. 39-ში ზემო აჭარაში კიდევ

იყო შემორჩენილი ჩადრი, ფეხს იდგამდა კოლმეურნეობა. ალბათ ეკონომიურმა მდგომარეობამ განაპირობა ეს. უჭირს სოფელში ხალხს. რა ქნან? ახლა მაინც ძალიან გაუჭირდათ. გაუჭირდათ იმით, რომ მიწები მისცეს და მიწას ვერ ამუშავებს გლეხი, ხარი არ ყავს, ტრაქტორი არა აქვს, რომ დათესოს. მერე სასუქი უნდა, სასუქი არა აქვს. ამიტომ მიანება თავი და გატიტვლებული მიწები არის, უცდის პატრონს, და ამან ცოტა გააბოროტა ხალხი. ამას აჭარელი კაცი არასოდეს არ იზამდა. ისევე, მის მეზობელზე აეღო ხელი – ამას არ იკადრებდა. ახლა ძმა ძმას კლავს. ერთი ძმა თუ აქეთაა ოპოზიციაში, მეორე იქეთაა – აღორძინებაში. მტერი არიან ერთი მეორის. კომუნისტების შემოსვლის დროს არ ყოფილა ამისთანა აჭარაში, მაშინ ყველა ერთი აზრით იყო. ასე არ იყო, ჩვენი აჭარაო, დემოკრატიული აჭარაო. ასეთი აჭარა, ისეთი აჭარაო, აღორძინებაო. „აღორძინებამ“ ძალიან გაიძულა ხალხი.

თამარ ხუციშვილი

დაბადების წელი: 1912

2006 წელს ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში ჩაიწერა

ცისანა გოდერძიშვილმა

ამ ხნის ქალი ვარ, ლამის საუკუნისა და ეხლაც მენატრება დედა. პატარა ბავშვივით მინდა დედაჩემის ალერსი და სითბო. ამ სურათებს შევყურებ მთელი დღე, ამათ ველაპარაკები, ამითღა ვიკლავ მონატრებას (კედელთან მიდის და ხელს იშვერს სურათებისკენ. ჭერიდან ჩამონადენი წყლით შეყვითლებული შპალერი, რომელიც აქა-იქ შედარებით ახალი, სხვანაირი ჩამონაჭრებითაა „დაკერებული", ვერ ფარავს კედლის სიძველეს. ზემოთ ყველაზე მთავარი ადგილი დედის გადიდებულ და სქელ ჩარჩოში ჩასმულ სურათს უჭირავს. ცოტა უფრო დაბლა მამის შედარებით მომცრო პორტრეტია, ქვემოთა რიგებს მამის უფრო პატარა, მამის, დის სურათები და საკუთარი ნაქარგები ინაწილებენ). მეტყვიან ხოლმე, აგივსია კედელი მკვდრების სურათებით, აქ როგორა გძინავსო, მაგრამ მე მსიამოვნებს ამათი ყურება, თითქოს ცოცხლები იყვნენ. ამ სახლში დაბრუნებაც იმიტომ მიხარია, რომ დედაჩემისა და მამაჩემის ნახელურებს ვეხები, იმათ ნასიარულებზე დავდივარ. შეხედე, რა დედა მყავდა (დედის სურათს უყურებს, თვალები ცრემლებით ევსება. ხმა უწყდება). რა იქნებოდა, მეც დამცლოდა ცოტა ხანს დედის კალთაში ნებივრობა, მეც გავმძღარიყავი იმისი ფერებით...

ისე, აი, ახლგაზრდობაში ძაან მეხათრებოდა, რომ მეთქვა, დედაჩემი არის ნაბიჭვრიშვილის ქალი-მეთქი, არადა, რა საინტერესო ყოფილა ეს გვარი. პირიქით, საამაყოა თურმე: ერთი ულამაზესი გოგო ყოფილა გლეხის შვილი, და თავადის ყმაწვილს შეჰყვარებია, მაგრამ კანონი იყო მაგათი, რომ არ შეიძლებოდა თავადს და ასე წოდებულ ხალხს უბრალო გლეხის შვილი შეერთო ცოლად. მაშინ თავადები ხო იყვნენ, არა? ეს ილია ჭავჭავაძე... კევლიშვილები, ბაქრაძეები, ყიფიანები, ესენი სულ თავადები იყვნენ აქაც და ყვარელშიც. მე განსაკუთრებით ყვარელზე ვლაპარაკობ, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე და ყველაფერი ვიცი. რა მოხდა: გაუჩნდა შვილი ამ ქალს და არავითარ შემთხვევაში ნება არ დართეს, რომ ცოლად თავადიშვილს მოეყვანა. ადგა და გაზარდა ეს ბავშვი. გაიზარდა და რა ბავშვი გაიზარდა იცი, ძალიან ლამაზი, მაღალი, ძალიან კარგი, კულტურული. ესე იგი, ტიპი თავადის ჩამომავლობისა და არა გლეხისა. დიდი გაიზარდა ეს ბიჭი. დღეობები რომ არის ხოლმე – ნათლისმცემლობა, შვიდმაისობა, იქ ცეკვავს კიდეც, მღერის კიდეც და ისეთი ლამაზი გახდა თანდათან, რომ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ასეთი ვისია, კაცო, ეს ბავშვი, ვისია ეს ბავშვიო. გვარი არა აქ, არაფერი არა აქ, ნაბიჭვარია. მერე ხალხმა თქვა, აი, მავანს რომ ნაბიჭვარი გაუჩნდაო, იმისი შვილიაო, ნაბიჭვრიშვილიო. ესე გახდნენ ის და მისი შთამომავ-ლობა ნაბიჭვრიშვილები. მარტო ყვარელში იყვნენ ნაბიჭვრიშვილები. იმის შემდეგ ეს გვარი გამრავლდა და იქითაც გადავიდა. აი, ეს პაპაჩემიც კიდე, მიხა ნაბიჭვრიშვილი, ყვარელში ცხოვრობდა და ილიას (ჭავჭავაძის) მეზობელი იყო. ყვარელში ბინადრობდნენ ილიას ბიძაშვილები და თვითონ ილიაც. ილიას დედა არა ჰყავდა,

მამიდის გაზრდილია. დედა დაღუპული ჰყავდა, ილიას დედა გრიგორიანული სარწმუნოების ქალი იყო, ეტყობა, სომხური წარმოშობის, აი, როგორც ველისციხეში არიან გაქართველებული სომხები, ასეთი ყოფილა ეგეცა. მაგის მამამ ცოლი არ შეირთო და დედინაცვალი არ დააყენა თავზე. მამიდამ გაზარდა. დიდ პატივს სცემდა თურმე ილია პაპაჩემს. პაპა ძალიან კარგი მოსაუბრე იყო, საინტერესო საუბრები იცოდა თურმე და თან ისეთი სიმღერა იცოდა, ისეთი ხმა ჰქონდა, რაღაც შესანიშნავი, ისეთი ანკარა, ლამაზი და ძვირფასი ხმა. ხოდა ილიას ძალიან უყვარდა, როგორც კარგი მომღერალი, როგორც კარგი პიროვნება. ერთი კაციც რომ ჰყოლოდა სტუმრად, აუცილებლად მიხა ეყოლებოდა გვერდში. სტუმარსაც ართობდა და თვითონაც სიამოვნებდა იმასთან ურთიერთობით. ერთხელაც, თურმე, ფალიაშვილს უნდოდა ჩამოსულიყო და ჩაეწერა სიმღერები ამ ჩემი მიხა პაპასი, ჩამოსულა კიდეც. თბილისიდან ჩამოსვლა მაშინ ეგრე ადვილი საქმე არ იქნებოდა, მაგრამ პაპაჩემი სახლში არ დახვედრია, მაშინვე გაბრუნებულა უკან. ესე იგი, ვერ შეხვდა და დარჩა ჩაუწერავი პაპაჩემის სიმღერები. გული მწყდება, სანადიროდ იყო ტყეში წასულიო. ხოო (პაუზა)...

ხოო, მერე, მაგას ბიძაშვილები ჰყავდა, ილიას... ქეთო, თამარი და ნინო. ესენი მეც მახსოვან. ნიკო რომ იყო ჭავჭავაძე, ერთ-ერთის, ზუსტად არ ვიცი რომლის, ნინოსი, ქეთინოს თუ რომლის შვილია, მაგრამ რომ ჭავჭავაძეების საგვარეულოდან არის წარმოშობილი ეს ნიკო, ეს კი ვიცი. რო მოკლეს, ეს ნიკოს შვილი იყო, რომ დაიღუპა ტრაღედიით, ზურაბ ჭავჭავაძე. ზურაბ ჭავჭავაძე იყო შვილიშვილი იმათი. მეც მახსოვს ის ნიკო, მახსოვს კარგად, ძაან ნიჭიერი ბიჭი იყო და მერე უნივერსიტეტში რაღაც კარგ თანამდებობაზე მუშაობდა. იმისი დედაც მახსოვს, მარჯანიშვილის თეატრი რომ არის, იქა ცხოვრობდნენ, ბინაშიც ვარ ნამყოფი და ვიცი. ესე იგი, ნიკოს დედა იყო დედაჩემის ტოლი. ხოდა, ჯერ არ იყვნენ გათხოვილები და დედაჩემს ამ ახალგაზრდა ქალებთან ჰქონდა ურთიერთობა, ამხანაგობდა და მეგობრობდა ილიას ბიძაშვილებთან. ესეთი საზოგადოება ყოფილა, ამიტომ იყო, რომ დედაჩემიც გამორჩეული გოგო იყო სოფელში, ყვარელში. ჯერ ერთი, თვითონ ნაზი ყოფილა გარეგნობით, სიმპათიური, თან ისეთი მანერებით, უზომოდ კეთილი, მიმტევებელი, ესე იგი რაც კარგი თვისება არი, ყველაფერი ჰქონია ამ ქალს და ძალიან დიდ მოწონებას იმსახურებდა. და ვინ არ თხოულობდა თურმე...

თავადის შთამომავალი იყო კევლიშვილი და იმას შეუყვარდა ჩემი დედა. ხოო, ილია ჭავჭავაძის ნათესავები, ბიძაშვილები იყვნენ კევლიშვილები. უზომოდ შეუყვარდა დედაჩემი, დედასაც ძალიან მოსწონდა. ან ვის არ შეუყვარდებოდა ესეთი დედისერთა ბიჭი, თავადის შთამომავლობის, ნამდვილი თავადური ტიპი, ესეთი მაღალი, ლამაზი. მისი ქცევა, ყოფა, ზრდილობა, კულტურა რა შედარებაა გლეხთან. დედაჩემიც ლამაზი გოგო იყო. ძაან ლამაზი არა, მაგრამ ძაან სიმპატიური ყოფილა. მოკლედ, იმათი სიყვარულის ისტორია იცის მთელმა ყვარელმა, ძველმა ხალხმა. გული მწყდება, რატო ცოტა ადრე არ ვიცოდი, რომ ძველი ხალხიდან კიდე რაღაცა გამეგო. ხო, დამავვიანდა. შეიძლება საერთოდაც ვერც გამეგო, მაგრამ ერთხელ ყვარლის რედაქციაში შევედი. საკანცელარიო ოთახში თანამშრომლები იყვნენ. ერთი ხანშიშესული ქალი, რომელსაც არც მე ვიცნობდი და არც ის მიცნობდა, რაღაცა იჭვნეულად მიყურებდა. მთელი ჩემი

თამარ ხუციშვილი. 2006

ვინაობა გამომკითხა, სადაური ვიყავი, ჩემი მშობლების გვარ-სახელები, და მერე მკითხა, რამდენი წლისა იყავი, დედა რო მოგიკვდაო. შვიდი წლისა-მეთქი. ისა ხარ, ვიზეც ვიეჭვიანეო. დედაშენზე არაფერი ისტორია გსმენიაო? არაფერი-მეთქი. პატარა ყოფილხარ და იმიტომო. მაშინ მე მოგიყვები ერთ პატარა ამბავს იმისი ისტორიიდანო. ყველა სმენად ვიქეცით. მომიყვა და გაოცებული დავრჩით. მერე მითხრა, ახლა წადი ზაუტაშვილების ოჯახში, ნაზოს მამიდა თელავში პირველი საშუალო სკოლის პედაგოგია, მართა კევლიშვილი, იმისგან გაიგებ დაწვრილებითო. გავიდა კიდე რამდენი ხანი და ვერ მოვახერხე მართას ნახვა. იმიტომ რომ მაშინ არა მქონდა პირობები, ისე გაჭირვებულად ვცხოვრობდი, რომ ვერ ვნახე ის ქალი დროზე. არადა, გულში მაქ ესა, რომ როგორ შევხვდე მართას, როგორ ვიპოვნო კევლიშვილი, გვარი ვიცი მარტო და სხვა არაფერი მისამართი არ ვიცი.

ერთხელაც არის, სიძე მომიკვდა და აქ, ახალსოფელში ჩამოვედი. ლაგოდეხში კიდე რისთვის ვიყავი, არ ვიცი, ხო, დაკრძალვაზე ვიყავი, ჩემი სიძის ახლობელი იყო და იქიდან მოვდივარ. თელავში მოდიან მგზავრები, იმ ოჯახის მახლობლები და მეც გამომაყოლეს იმ მანქანას, შენ ახალსოფელში ჩაგიყვანენ, იქით უნდა გაიარონ მაინცო. გზაში რომ მოვდივართ, თელაველები ვართ ჩვენო და მე ვუთხარი, როგორ მაინტერესებს-მეთქი თელავში აესეთი-აესეთი ადამიანი, მარტო გვარი ვიცი და სახელი, არაფერი მისამართი არა მაქ-მეთქი. მართა ჰქვია, კევლიშვილია, ვიცი, რომ პედაგოგია სკოლაში-მეთქი. ვაიმე, ის ჩემი მასწავლებელია, ჩემი მეზობელიც არისო, – გაუხარდა ამ ქალს და მეც ძალიან გამიხარდა, უზომოდ. იმ ტრასაზე კი არ ჩამომსვეს, სახლში მომიყვანეს. მისამართიც მომცეს თავიანთი, ჩვენთან მობრძანდი და შეგახვედრებთ მართასო. ხოდა, მართლაც მოხდა ისე, რომ რამოდენიმე ხანი გავიდა და თელავში წავედი სპეციალურად, რომ მართა მენახა. წავედი, ვნახე, იმათ ოჯახში შევხვდი. ეს მართა ბებიის სახელი ერქვა, ზუსტად იმისი ტიპი იყო, მაღალი, ესეთი კოპებიანი, ესეთი აგრესიული, მედიდური, ბებიასა ვგავარ მეცო. მე ვუთხარი, ქალბატონო მართა, მე კიდე იმისი შვილი ვარ, მამათქვენის შეყვარებული რომ ყოფილა, ის არის დედაჩემი-მეთქი. ოო, როგორ მაინტერესებს თქვენი ნახვაო, ოცნებად მაქვს თქვენთან შეხვედრაო, ქალბატონო თამარო. როგორი სიყვარულით შევხვდით ერთმანეთს, დღესაც მახსოვს, სულ ჟრუანტელი მივლის. დავრჩით და იმ ოჯახში ვისაუბრეთ თითქმის დილიდან საღამომდე. იმან მიამბო ეს ქორწილის ამბავი. ცხენების ამბავი იმ ზაუტაშვილმა მიამბო, მოკლედ რაც ვიცი, სულ მაგათგან ვიცი ყველაფერი.

თურმე ეს კევლიშვილები ილიას ნათესავები იყვნენ. ყვარელში ცხოვრობდნენ ერთ ორსართულიან ქვიტკირის სახლში რიკულებიანი ღია აივნით და ხეხილის

ბაღით. ეზოში სათავსოები ყოფილა, საძროხე, საქათმე და „კანუშნა“ (თავლა). დიდი მოჩუქურთმებული ალაყაფის კარები ჰქონია შებმული ეზოს. თავადი გიორგი კევლიშვილი ადრე გარდაცვლილა. იმისი ქვრივი იყო კნეინა მართა. მაღალი, ლამაზი აღნაგობის ქალი ყოფილა, მუდამ ჩიხტაკოპით თავდახურული და შავ ტანსაცმელში გამოწყობილი. ჰყავდა ერთადერთი საცოლედ მოღერებული ვაჟი, ილიკო და უშვილი მაზლი. ლევანი რქმევია. ლევანს მთელი თავისი ქონება ძმისშვილისთვის დაუმტკიცებია.

ერთ შვიდმაისობა დღეს ილიკოს ალექსისთვის უბრძანებია, ცხენები შეაბი ფაეტონშიო. ალექსი, 16-17 წლის ბიჭი, მოჯამაგირედ ჰყოლიათ. მართას გამოუცილებია სახლიდან ილიკო, „გენაცვალოს დედა, მალე მოდიო“ და ეს ილიკოც წამოსულა ყვარლის მთავარი ქუჩით პაპაჩემის, მიხა ნაბიჭვრიშვილის სახლისკენ. ეს სახლი დღესაც არსებობს ყვარელში, ნათლისმცემლის ქუჩაზე რო გადავალთ, ალიხა ავაზაშვილი რო ცხოვრობდა, რაიკომის მდივანი, იქა. და როგორ მიყვარს, რო იცოდე, აი, ესეთი ისტორიისა როა, იმიტომ. ლეკიანობის დროსაა აშენებული. ციხე-სიმაგრესა ჰგავს, კიბე აქ შიგნიდან, მარანი დაბლა. მარნიდან აქ შესასვლელი, კიბე და... ადის მაღლა, თითქმის მესამე სართულს უდრის მაღლა ოთახები, ფანჯრები თითქმის მთელ ყვარელს გადაყურებენ. ლეკიანობა რო დაიწყებოდა, ატყდებოდა ზარების რეკვა, ხალხნო, ჩქარა, ლეკის ჯარი მოდის და თავს უშველეთ, დაიმალენითო. ეს სახლი იმიტო არი ესე აშენებული და კიბეც შიგნიდან იმიტომა აქვს, რომ ხელათ ჩარაზავდნენ შიგნიდან და იმალებოდნენ. მაღლა ლეკები ვერ ადიოდნენ. ხოდა ეს დედაჩემი ცხოვრობდა იქა. გამოუხმია ილიკოს დედაჩემი. ისიც შორიდანვე მიმხვდარა ილიკოს ფაეტონის ხმას, ჩამოურბენია კიბეები და შეგებებია. ილიკოს ცხენები ხეზე გამოუბია და ერთად წასულან „ნათლისმცემლის“ ეზოსკენ. უყვართ, უყვართ ერთმანეთი მთელი სიყვარულის ძალით. ვერ იფარება ეს ძალა და ამიტომ მთელმა ყვარელმა იცოდა. გამვლელ-გამომვლელი ყველა მათ შესტრფოდა, ყველა, ყველა იძახდა: „ღმერთმა შეჰყარა ერთფერიო“.

დედაჩემის მეზობლად უცხოვრია სონა შავქალაშვილს. დღესაც ვიცი ის სახლი სადაც არის და როგორც არის. ამ სონას იმ დღით სტუმრები ჰყოლია თელავიდან. აქედან ერთი ნათლული ყოფილა, ნინო, ლამაზი ქალიშვილი, გვარად ჯაფარიძე, „მოდისტკა“. „მადისტკას“ ეძახოდნენ მაშინ, კარგი მკერავი ვინც იყო. კაბები ხო ხელით იკერებოდა, მოდა იყო ესეთი. ხოდა, ნინოსაც დაუნახავს შეყვარებულები და ძალიან მოსწონებია, რა ბედნიერიაო, დედაჩემზე უთქვამს. მერე იმ ღამით ვერც კი დაუძინია, სონასთვის უთხოვია, კარტი გამიშალეო. ილიკო ჩაუფიქრებია და იმ ყმაწვილის კარტი გულზე დასცემია. გაჰკვირვებია, მაგრამ უფრო აფორიაქებულა ნინო. მალე სონასაც შეუტყვია მისი ჩუმი წადილი და უთქვამს, ცოტა ხანს მაცალე, მე ქალი არ ვიყო, თუ ის ნაბიჭვრიშვილის ქალი არ ჩამოვაცილო იმ ბიჭსაო. მეორე თუ მესამე დღეს მისულა კნეინა მართასთან და უთქვამს: ცოდო არ არის თქვენი ვაჟი, იმ გლეხის გოგოს რომ გადაჰკიდებია, ყოველ საღამოს იმასთან დადის, ქა! შენმა შვილმა ისიც არ იცის, რომ ის გოგო გულის ღონებით არის ავადო. ეხლა მოვედი, გაგაგებინოთ, რომ თქვენი შვილი არ დაიღუპოს, ჩამოაცილეთო. ამაზე სულ გაგიჟებულა კნეინა მართა, ჯერ ისედაც თავს იკლავდა, არ უნდოდა გლეხის გოგო, მე იმასთან რა

საერთო მაქვსო და ახლა ეს ავადმყოფობის ამბავიც დაემატა. ამასობაში სონამ შეაპარა: აი, ჩემი ნათესავი გოგოა, თელავში ცხოვრობს, „მადისტკაა“, თან თავადის ჩამომავალია, თან ლამაზიც და ჯანმრთელიცო.

სახლში დაბრუნებულ ილიკოს კნეინა მართამ სულ ხელები უბრახუნა მაგიდაზე, უბრძანებდა, უნდა ჩამოსცილდეო. რა ჩემი საკადრისია გლეხუჭებთან დამოყვრება, თან კიდე იმისმა მეზობელმა მომიტანა ამბავი, გულის ღონებით ყოფილა ავადო. ეუბნება, ეხვეწება ილიკო: – დედი, მე ის ქალი ვიცი, არავითარი ავადმყოფი ის არ არი, მარიამი ძალიან ჯანმრთელი, ძაან საყვარელია, მაგრამ შენ რაღაცა გაიძულებს, რაღაცა ეშმაკი გყავს შემძვრალი, რომ მე ჩამომაშოროთო. იცი, რას მიშვრებით? მაგდებ უფსკრულში, ხევში მაგდებ და მაუბედურებ. გეხვეწები, გემუდარები, რა, ნუ გამიკეთებ ამასო. – არა! – ჯიუტი და ქვის ნატეხი იყო ეს მართა. არა! არა და არა! რას იზამს ასეთი მორცხვი ბიჭი. თანაც ისეთი კულტურული, თანაც ისეთი დედის მოყვარული. ხოდა დათანხმდა დედას და გაჩერდა.

მეორე დღეს მართას მაზლისთვის დაუძახია, ლევან, ჩემი შვილი გადაკიდებულია ერთ გლეხუჭა გოგოზე და არ მინდა მე, ის გოგო რომ შეირთოსო. სასწრაფოდ საცოლე უნდა მოვუნახოთო. ხოდა მოდი დამეხმარეო, თელავში მიქეს მე ერთი ძალიან ლამაზი, ესეთი კარგი ქალიო, თანაც „მადისტკა“, თანაც თავადიშვილი ყოფილა, როგორმე მოვახერხოთ, რომ სასწრაფოთ დავაქორწინოთ იმაზეო. ილიკოს კი შენ უნდა მოელაპარაკოო. – კარგიო, იმანაც მხარი დაუჭირა, იმიტომ რომ იმ ბიძასაც ეს ბიჭი გულში ჰყავდა, თვითონ უშვილო იყო. ხოდა წავიდნენ თელავში მეგობრის ოჯახში. – ელენე, ჩემი შვილი იქ ერთ გლეხის გოგოზეა გადაკიდებული, ნებას არ დავრთავ მის მოყვანაზე, იქნებ იცნობდე და მოახერხო, ჯაფარიძის ასული ნინო გვანახოო. – როგორ არა, ოქროს ხელი აქვს, თქვენი ოჯახის ტოლი და შესაფერისიაო. მოკლედ იმას დაუძახია, ვითომ საკაბე ნაჭრის გამოსაჭრელად. ნახეს ეს ნინო. ნახეს და მოეწონათ. მერე, როგორც იქნა, მოახერხეს ისა, რომ მეორე წასვლაზე წაიყვანეს ეს ილიკო. ილიკო წაიყვანეს და ვაი, იმ წასვლას. არ ფიქრობს არავისზე, გული ჩაწყვეტილი აქ. კაცო, ერთი არისო სიყვარული, ორმოცდაათი კი არა, მაგრამ დედამისის დაჟინებით, ბიძამისის დაჟინებით, თავისი მეტისმეტი ხათრით დანებდა დედას და წაჰყვა თელავში ქალის სანახავად. ელენეს ეზოში ილიკო ერთ კაკლის ხეს ამოფარებია. ელენეს ნინოსთვის დაუძახია, გამოდი, „პრიმერკა“ გამიკეთეო. ნინოც გამოსულა. მართლაც, ეს გოგო სინამდვილეში ისეთი კარგი ყოფილა, რომ მოგეწონებოდა. – მოგწონსო, დედი, შენაო? – ილიკოს უთქვამს – ძალიან მომწონსო. – მოგწონსო და წამოიყვანეო. კნეინა მართამ ელენე მიუგზავნა ნინოს მშობლებს: – ევა, ბედი, და რა ბედი მოგდგომია კარზე, შენ ნინოსა თხოულობენ ყვარლელი კნეინა მართა და იმისი ვაჟი ილიკოო. მერე იქამდის რომ მივიდა ეს საქმე, მართა შეეკითხა თურმე იმის მშობლებს, თქვენ ხართ თუ არა თანახმა, რომ ჩემი შვილისთვის ვითხოვო სარძლოთ თქვენი ქალიო. დედას უთქვამს, ჩვენ ღარიბი თავადები ვართ და თქვენ მდიდრები, მაგრამ არა ვარ თანახმაო, იმიტომ, რომ გავიგე, თქვენ შვილს სხვა ყვარებია და თქვენ ამ საქმეს უშლითო. მე ხელს როგორ შევუწყობ ჩემ შვილს, რომ მის ცოდვაში ჩადგესო. დედამ უარი განაცხადა თურმე, ჩემი შვილი ვერ გაიხარებსო. მერე ამ გოგოს შეეკითხნენ, ნინო, შენ რას

იტყვიო? – თუ ღმერთს უნდა ჩემთვისო, ბედნიერზე ბედნიერი ვიქნები, არ ვიტყვი უარს და სიამოვნებით გამოვყვებიო. მოკლედ გამოჰყვა, დედამისმა წამოიყვანა და არა ილიკომ. დედამ წამოუყვანა შვილს ეს გოგო.

ეს შეიტყო დედაჩემმაც. მერე ისევ მოსულა ილიკო და ეუბნება: მარი, ჩვენ სიყვარულს რაღაცა კარგი რამ არ ემუქრებაო. ეს დედაჩემმაც ხო იცის და ზიან ორივენი და ტირიან და რას ტირიან – რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. მერე ილიკოს შეუთავაზებია – წინანდალში მამიდაჩემთან წავიდეთ ერთი-ორი კვირით, დედაჩემს გული მოულბება და მიგვიღებსო. დედაჩემს უარი უთქვამს, – დედაშენი არ გამახარებს და თან ხასად ხომ ვერ დაგივჯდებიო. – კარგი, რაკი შენ მღვდლის ჩიფჩიფი გირჩევნია და ისე არ გამომყვებიო. წასულა ილიკო და მეორე დღეს მღვდელი ზაქარია უნახავს. ბლომად ფული მიუცია და უთხოვია, ჯვარი დაგვწერე, ოღონდ დედაჩემმა არ გაიგოსო. ზაქარიას თანხმობა მიუცია.

კვირა დღე ყოფილა, ყვარელში ხმა გავარდნილა, ილიკო და მარიამი დღეს ჯვარს იწერენო. დიდი თუ პატარა პაპაჩემის კარ-მიდამოს მიაწყდა თურმე. კნეინა მართას მოსამსახურე გოგოები ჰყოლია – ქეთო და სალომე, იმათაც გაუგიათ ეს ამბავი. თვითონ თქმა ვერ გაუბედავთ, მაგრამ კნეინას ქუჩაში გაუხედავს და უკითხავს, ეს ხალხი სად მიდისო. მაშინ ვეღარ მოუთმენიათ მოსამსახურეებს და უთქვამთ: ილიკო ჯვარს იწერსო. გაალმასებულ კნეინას მაშინვე შეუკაზმინებია ცხენები ალექსისთვის და ხალხის დინებას მიჰყოლია. ჯვრისწერის ცერემონიალი დაწყებული ყოფილა, რომ გადმობრძანებულა ფაეტონიდან კნეინა მართა, გაურღვევია ხალხის წრე, ისე რომ არც არავისთვის შეუხედავს, მისულა პირდაპირ ზაქარია მღვდელთან: – შენ რომელი კანონის ძალით სწერ ჯვარსაო?! ხვალვე გავაკრეჭინებ შენს თავს, თუ ეხლავე არ შეწყვეტო. ზაქარია მღვდელს შეშინებია. იცოდა, კნეინას ბიძა თბილისში ეპისკოპოსი რო იყო და მუქარას შეუსრულებდა. ჯვრისწერა ჩაშალა. ასეთი მდუღარე გადასხმია ილიკოსა და მარის სიყვარულს. ილიკო მარისთან დარჩენილა სახლში. კნეინას რომ შეუტყვია, შვილი არ დაბრუნდა და არც აპირებსო, უფრო გააფთრებული მისულა დედაჩემის სახლში. ილიკოს და მარის ფანჯრიდან დაუნახავთ, ილიკომ იცოდა დედის ხასიათი, სცემია ფანჯარას, გამოუღია და გადამხტარა მეორე სართულიდან. სად და საით წავიდა, დიდხანს არავინ იცოდა.

სამი თვის შემდეგ გატეხილი დაბრუნებულა ილიკო სახლში. ნინო დახვედრია, დედამ რო მოუყვანა და დაუსვა თავის შვილს. უნდოდა, რომ ამ კაცს ამოეღო როგორმე გულიდან მარი, დედის სურვილი შეესრულებინა, მაგრამ ვერ ივიწყებს ამ მარიამს. ვერა! ვერა და ვერა! ებრძოდა თავის თავს, მაგრამ არ გამოუვიდა. ნინოსთანაც თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ეს ზრდილობის კანონებით იყო ნაკარნახევი და არა სიყვარულით. ამას ნინოც გრძნობდა თურმე და განიცდიდა ქმრის გარე-გარე სიარულსა და სმას. ერთი თუ ორი თვის შემდეგ ილიკო ისევ წასულა სახლიდან, ჯერ მამიდასთან, ზაუტაშვილებთან ყოფილა ერთხანს, მერე თბილისში ჩადიოდა. თბილისში კიდე, მაშინ რო იყო ორთაჭალის ბაღები, იქა ვნახეთო, როგორ ტიროდა და ამღერებდა თან იმ მუსიკასაო, – ჩაჰქონდათ ამბავი კნეინა მართასთან. წელიწადში სამ-ოთხჯერ გამოჩნდებოდა ოჯახში. დანარჩენ დროს – იყიდდა ერთ ბოთლ ღვინოს, დაჯდებოდა სადმე

დუქანში და ატირებდა ყველას თავის ბედსა. მთელი ყვარელი იწვოდა მაგის ცოდვით. ამ ტირილში კაცი გათავდა, დაიღვარა, გახდა. შეიცვალა სუმთლად.

ამასობაში გაუჩნდა ერთი შვილი, რომელსაც გიორგი ერქვა, კევლიშვილი. ისეთი კაი ბიჭი გახდა, განათლების განყოფილების გამგე იყო ყვარელში დიდი ხანი, ისტორიკოსი. რამდენიმე ხნის შემდეგ მეორე შვილიც გაუჩნდა, ეს მართა, რომელიც თელავში ფილოლოგი იყო.

დედამისმა მერე ივაგლახა, მწარედ განიცდიდა, რა გავაკეთე, ეს როგორ გავაუბედურე ჩემი შვილიო. თავში იცემდა თურმე ეს ამაყი ქალი ხელებს, მთელ სოფელს უვლიდა, სადა ხარ, შვილო, დამიბრუნდიო. სოფელი არ უთანაგრძნობდა. ეხვეწებოდა შვილსაც, მაპატიეო, შვილმა აღარ აპატია, ვერ აპატია.

ამ დროს ახალსოფელში წამოიზარდა მამაჩემი, ნიკო. ოცი წლისა გავხდი შვილოო, თვითონ მიამბობს, – და ჩემი თანხა უკვე მქონდა მოგროვილი იმდენი, რომ ცოლი შემერთოო, დავქორწინებულიყავიო. მაშინ პატარები ქორწინდებოდნენო. ხოდა, დავიწყეთო ქალის ძებნა მე და დედაჩემმაო. და ერთი ბიძა მყავდა კიდეო, ქვეით ცხოვრობდნენ, ბოლო სახლი როა, იქაო. პაპაჩემის ძმა იყო, დათია ხუციშვილი, მამასახლისი იყოო. მამასახლისი მაშინ, როგორც ახლა რაიკომის მდივანია, ისეთი ძაან ავტორიტეტიანი პირი იყო სოფელში. თვითონაც ასეთი კაცი იყო, აკაკი წერეთელს რო აქ, ასეთი წვერით (ცდილობს, ხელებით აჩვენოს წარმოსადეგი და ბრძენი ადამიანი). მაგას ფაიტონი ჰქონდა, თავისი ცხენებით, თეთრი ცხენებით, მოკლედ, საკუთარი ფაიტონი ჰქონდა. ეს მამაჩემის ბიძა, დედა და მამაჩემი, ეს სამი კაცი, დავდიოდით აქეთ-იქით და გვეუბნებოდნენ, აი, მავან სოფელში არის ძალიან კარგი გასათხოვარი ქალი და აი, მავანშიო. ასე დავეძებდით საცოლესო. მერე თანა ვკითხულობდით, ვისი შთამომავალია, ვისი გენები არისო, „გენები“ – არ იყო ეს სიტყვა მაშინ, ვისი გვარისაა და ვინ არიან მშობლებიო. ამას ვკითხულობდით, შვილოო. მერე ერთხელაც მივდივართ ველისციხეში, იქ მიგვასწავლეს, არის ერთი ძალიან ლამაზი ქალი და მზითევი აქვს ძვირფასზე ძვირფასიო. მაშინ კიდე ქალს მზითევი უნდა ჰქონოდა და რაც უნდა მაიმუნი, მათხოჯი ყოფილიყო, მზითევით მაინც თხოვდებოდა ასეთი ქალი. ვნახეთ ეს ქალი და დავიწუნეო. ხო, სიაც გვაჩვენესო. ეს სია იყო ამხელაო (ორივე ხელით მიანიშნებს დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძეს), მზითვისაო: შკაფი, კამოდი, ქვაბი, სამოვარი, უთო (იცინის) და ბოლოს ოთხმოცი თუმანი ოქრო. ხო, მაგრამ ქალს რო შევხედე, კარგი ქალი იყო, მაგრამ „რიჟა“ იყო და იმაზე დავიწუნეო. მერე წამოვედით და ახლა ყვარელში ერთი მედუქნე ლევანა იყო, იმან გვითხრა, – კაცო, რას დადიხართ, ერთი ქალი ვიცი ყვარელში, ულამაზესი, იმისთანა ქალი არ არის არც გასათხოვრებში და არც გათხოვილებში, უძვირფასესი ქალია, მაგრამ დანიშნული იყო თავადიშვილზე და დედამ ჩაუშალა, არ მინდა მე გლეხის შვილიო. ხო, ესეთი ამბავი არისო, მაგრამ ძალიან კაი გოგოა და მოგეწონება უსათოოდო. – აბა გვითხარი, როგორ უნდა ვნახოთო. – კარგი, და ზეგ შვიდმაისობა არის ნათლისმცემლის ეზოშიო, – ჭავჭავაძეების საგვარეულო ეკლესია რომ არის ახლაც, მაგ ეზოში შვიდმაისობის დღეობა იმართებოდა. იქ ჩამობრძანდით და ქალსაც იქ ნახავთ, მე გაჩვენებთო. ესენიც წავიდნენ შვიდმაისობას. ხოდა რას ხედავენ, ეს დედაჩემიც არის იქა, მოწყენილი, დაღდასმული, რო ესეთი ამბავია მის თავს. მთელი სოფელი ბობოქრობს, მაგრამ

რა ქნას. ამასობაში დაანახეს მამაჩემს, აგე, ის ცისფერკაბიანი გოგოაო. დედაჩემს აცვია მარკიზეტის ცისფერი კაბა, რუშებიანი, მაშინ მარკიზეტები და ესეთი კაბები იყო. ისეთი ლამაზია თურმე, ისეთი მშვენიერი, დგას თავისთვის მარტო და ამათ დაინახეს, ბიძამაც, დედამაც და მამაჩემმაც. მამაჩემს თურმე გულში უფიქრია, დანიშნული კი არა, ვინც არ უნდა იყოს, მაინც წავიყვან მე ამას ცოლადო. მერე ბიძისთვის და დედისთვის უკითხავს, თქვენ როგორ მოგწონთო? სუყველას მოეწონა, დედასაც, ბიძასაც და იმ კაცს უთხრეს, ლევანას, მოგვწონს ეგ გოგო და შენ გვიშუამდგომლეო. იქიდანვე წამოვიდნენ და მივიდნენ მიხა ნაბიჭვრიშვილის სახლში, ეს სახლი ეხლაც, ამჟამად, ნათლისმცემლის პირდაპირ ქუჩა რომ გადის, იქვეა და მივიდნენ იქა. ლევანას გაუმხელია მისვლის მიზეზი. დედაჩემს უთქვამს, მე გათხოვებას არ ვაპირებო. ქალი გულნატკენია, ხუმრობა საქმე ხო არ არი, დანიშნული იყო, ქვეყანამ იცოდა, უყვარდათ ერთმანეთი სიგიჟემდე და ასეთი ამბავი მოხდა. განიცდის ძალიან და ამ დროს მივიდნენ და თხოულობენ. დედაჩემს ცივი უარი უთქვამს – არაო! მამაჩემიც წამოსულა. მერე იმდენი შევაწუხეო, მამაჩემი ამბობს, რომ დავითანხმეო. თანაც მშობლებმა აიძულეს თურმე, რომ აბა, ასე ხომ არ უნდა იყო, შვილოო, უნდა გათხოვდეო. მერე კიდე მიხა პაპას გაგონილი ჰქონდა ახალსოფელში ხუციშვილების გვარი. მამაჩემს სახელი ჰქონდა, კაი სახელი, რომ დიბირაანთ ნიკო მშრომელი კაცია და ძალიან ცოცხალი პიროვნებაო. თანაც, იცი, როგორი იყო მამაჩემი? მაშინ იმ დროს გლეხური ტიპები იყვნენ, ეს მამაჩემი კი გამორჩეული პიროვნება იყო. მაშინაც იყვნენ ისეთი წარჩინებული გლეხები, რომლებსაც კარგი ურთიერთობები ჰქონდათ თავადებთან, აი, მამაჩემი ნათლულია ბაქრაძეებისა, თავადები ვინც იყვნენ, იმიტო, რო მოეწონათ, ცოცხალი იყო და მშრომელი. მოეწონათ და ურთიერთობა ჰქონდათ მამაჩემთან... მერე პაპაჩემი, გიო ხუციშვილი, „სუდია“ იყო, ბებიაც „უჩიტელის“ ქალი, ეს ბიძაც მამასახლისი და მაინც პატივსაცემ ხალხად ითვლებოდნენენ დიბირიანები. დღესაც არის მათი სახელი დარჩენილი ამ სოფელში. მოკლედ, დაითანხმეს დედაჩემი. ეხლა მიხას უთქვამს, მიხა პაპას: გაგატანთ ქალსა, მაგრამ იცოდეთ, რომ მზითევი არ ექნება ჩემ შვილსაო. დურუჯმაო, რომ გადმოვარდა დურუჯიო, დურუჯმა წაიღო ჩემი მამულები და იქიდანა ვარ გაღარიბებულიო და მზითევი არ ექნებაო. მერე ამაზე მამაჩემს უპასუხნია, არ მინდა შენი მზითევი, რაც აცვია, ისიც გახადეთ, მე თვითონ მოუტან მზითევს და ისე წავიყვან, რომ ჩემმა მშობლებმა არ უსაყვედურონ, რატო მზითევი არა გაქო. ამას მე თვითონ გავაკეთებო. და, მამაჩემი ამბობს, იმდენი თანხა მქონდა, შვილოო, რომ გავაგზავნე თბილისში და საპატარძლო ტანსაცმელი იყო თუ რაც იყო, რაც უნდოდა მზითევი: შკაფი, კამოდი, სამოვარი და ყველაფერი, გავსებული საოჯახო ნივთებით, ყველაფერი მე ვუყიდეო. მერე ის სამოვარი მომპარეს, იმაზე დამწყდა გული, რომ ის დედაჩემის მზითევი იყო. აი, ასე გაუკეთებია მამაჩემს და ეხლაც იციან ბევრმა, რომ მზითვიანი ქალი მოიყვანა. მოკლედ, მოიყვანა და კაი ქორწილი გადაუხდიათ, შესანიშნავი. მამაჩემის სიხარულს თურმე საზღვარი არა ჰქონდა. მარიამს ჩიხტიკოპი დახურა, ძვირფასი სამოსელი ჩააცვა, ოქროთი შეამკო. სახელიც დაიმკვიდრა მამაჩემმა, – ასეთი კარგი ცოლი მოიყვანა ნიკომო. მთელი სოფელი ალაპარაკდა: ესეთი რძალი ჯერ არ ღირსებია სოფელსო. ჰოდა, შექმნეს კაი ოჯახი. ყველასთვის საპატიო

სტუმრები იყვნენ. მთელი სოფლის ნათლიები გახდნენ. დედაჩემი რომ ჩაიცმევდა ქართულ ტანსაცმელს, ჩიხტიკოპს და დაბასმულ ლეჩაქს დაიხურავდა და ქუჩაზე ჩაივლიდა, თურმე ხალხი სახლებიდან და ეზოებიდან გამორბოდა, მარიამი მოდისო. მარტო ლამაზი კი არა ყოფილა, იმ დროისთვის განათლებულიც იყო, თავმდაბალი და ღარიბების შემცოდებელი. კულტურული ქცევები ჰქონია. ნიშანწყალი არ ერია გლეხური, აბა მაშ რა იქნებოდა, თავადის ქალიშვილებში ტრიალებდა.

დედაჩემის გათხოვების ამბავი რო გაიგო ნიკო ხუციშვილზე, ილიკოსთვის მეორედ მეხის დაცემა ყოფილა. თუ აქამდე წელიწადში სამ-ოთხჯერ მიდიოდა სახლში, ახლა სულ გადაკარგულა. გავიდა დრო გათხოვებიდან და მეც ვყოლივარ დედაჩემს.

ერთხელ, უკვე რომ შეუტყვია ილიკოს, დიდხანს ვეღარ გაძლებდა, უფიქრია, ისე არ მოვკვდე, ერთხელ კიდევ არ შევხვდე მარიამსო. თითონ შეუბია თავისი ცხენები ფაეტონში და ახალსოფელში ჩამოსულა. დედაჩემის დაბადების დღე ყოფილა. ახალსოფლის ბოლოში ილიკოს ნათლიმამა ცხოვრობდა, ჯერ მასთან მივიდა. ნათლიმამას დიდი პატივისცემით მიუღია, ილიკოს ცხენები ფაეტონიდან გამოუშვიათ და იქვე ხეზე გამოუბიათ. თითონ სადილობა გაუმართიათ. ილიკოს მისვლის მიზეზიც გაუზიარებია ნათლიმამისთვის. ცოტა ხანში ცხენები უნდა შეაბას თურმე და სადღა არიან ცხენები! აშვებულან, იქ აღარ იყვნენ. ამვლელს ჰკითხეს, ჩამვლელს ჰკითხეს და – არ ვიცით, არ გვინახავსო. ბოლოს ერთმა ზემოდან მომავალმა მგზავრმა უთხრა: ორი შეკაზმული ცხენი დიდ გზაზე მიდიოდაო. ჩვენ სოფლის თავში ვცხოვრობდით, იქიდან ორი-სამი კილომეტრი მაინც იქნებოდა. წამოსულიყვნენ ეს ცხენები და ჩვენ სახლში მოსულიყვნენ. მაშინ საურმე შემოსასვლელი, აი, იქიდანა გვქონდა (ხელს იშვერს ეზოს უკანა მხრისკენ). ხოდა, იქიდან შემოსულან. საოცრება იყო, ეს ცხენები აქ როგორ მოვიდნენ! ბელეტაჟის ღია აივანი იყო იმ დროს ეს შუშაბანდი და ამ აივანზე გადმოეყოთ ცხენებს თავები და ესე შტერებივით დაყუდებულები ფრუტუნებენ. თითქოს მასპინძელს ელოდებოდნენ – გამოიხედეო. დედაჩემსა და მის დედამთილს, მაშო ბებოს, ხმაურზე გაუხედიათ და გაოცებულან. დედაჩემს უცვნია, კაცო, ეს ილოს ცხენებიაო, პირჯვარი გადაუსახია: ღმერთო ჩემო, აქ რამ მოიყვანათო. ილიკო კიდე ცხენების კვალს გამოჰყოლია და არ გასულა ცოტა ხანი, თითონაც მოლასლასებულა თურმე. რო გაუგია, ვისი სახლიც იყო, იქვე „საფაროვის დუქანთან“ მისულა და ტკბილეული უყიდია. წითელ ხელსახოცში შეუკრავს და ისე მოსულა. აქ, წინა კარზე რო დაუკაკუნებია, დედაჩემს ამ ფანჯრიდან გაუხედია (სახლს ქუჩის მხრიდან აქვს შესასვლელი კარი და ორი ფანჯარა, ერთ-ერთზე მიანიშნებს) და რას ხედავს, ილიკოა. ოღონდ ისეთი კი აღარ ყოფილა – გამხდარი, სუ მთლად შეცვლილი. გული სტკენია დედაჩემს, შესცოდებია თანაც. დაბნეულა საწყალი, აღარ იცის თურმე, რა ქნას: – დედამთილო, შენ გაიხედე, ვიღაცა იძახისო. მაშო ბებოს გაუხედია. ილიკოს უთქვამს, – დედი, აქ ცხენები მოსულან, მგონი ჩემებია, შეიძლებაო? – ხო, შვილო, მობრძანდი, არ ვიცი ვისებია, დაპატიჟებულებივით კი შემოვიდნენო! ეზოში არიან და წაიყვანეო. ტკბილეულის ხელსახოცი ილიკოს მაშო ბებოსთვის მიუცია. მაშოს მადლობა გადაუხდია, – რატო შეწუხდიო. მერე უკითხავს, ვისი ხარ, შვილო, ვერა გცნობ, აქაური ხარო? – არა, დედი, ყვარლელი ტყვე ვარო, – ერთი ეს უთქვამს მარტო და ეზოში

შესულა. თურმე იყურება აქეთ-იქით, ეტყობა, დედაჩემს ეძებდა. ეს კიდე ოთახში იმალება, არ გამოუხედია. მაინც გულნატკენი იყო: რატო დასთანხმდა ასეთი ვაჟკაცი დედას და როგორ ატკინა გული. თვითონაც გაუბედურდა და დედაჩემიც. მერე წაუყვანია ილიკოს ცხენები, ფაეტონში შეუბია და ყვარლისკენ წასულა. სოფლის ბოლოს გადმოსულა ფაეტონიდან და ცხენებისთვის ხელი აუკვრია, წადითო, თითონ კიდე სადღაც ვენახებში შესულა. ცხენები და ფაეტონი სახლში ცარიელები რო მისულან, მართასა და ნინოს თავში შემოუკვრიათ, ჩვენს თავს რაღაცა ცუდი ამბავი არისო. მეათე დღეს სოფელში ხმა დარხეულა, საწყალი ილიკო ქინძმარაულებში ძალლუმადურად უნახავთ მკვდარიო. მერე მოკვდა დედამისი, ტირილით, ვაგლახით და ხალხის კიდე რისხვით. ბოღმაში ჩაიხრჩო, მოტყდა, დაავადმყოფდა და ესე გარდაიცვალა. ნინომაც, ეტყობა, ველარ აიტანა ეს ყველაფერი. ერთთავად ქმრის მოლოდინში ამოღამებული, ისიც მალე მომკვდარა გულით. დარჩა ორი პატარა ბავშვი. გიორგი სამი წლისა და მართა ერთი წლისა. დაძმანი ნაზო ზაუტაშვილმა გაზარდა. მამიდას გაუზრდია ეს ბავშვები.

დედაჩემს ჩვენ სამი შვილი გავუჩნდით და მეოთხეზე ფეხმძიმედ ყოფილა, რომ ამ დროს ხმა დარხეულა, ნიკოლოზი გადმოაგდეს და შემოდიან ბოლშევიკებიო: – შემოდიან, ხალხო, და სიკვდილი და შიმშილი მოაქვთო. შეშინდა ხალხი. ერთხელაც თავშეყრილები არიან თურმე ამ ჩვენს კიბეზე. აქ არიან ქვეყნის ქალები და ამბობენ, თურმე, ეს ბოლშევიკები კაცის მკვლელები ყოფილან და რა დღე მოგველისო. ესეთი სახელით შემოვიდნენ ბოლშევიკები ხალხის წიაღში. დედაჩემსაც უთქვამს, უნდა მუცელი მოვიშალოო, – უკვე მეოთხე შვილს ელოდებოდა. – როგორ უნდა გავზარდო შვილი ამისთანა დროშიო. მეცა, მეცაო, – თქვეს სხვებმაც, ალბათ, სხვებიც იყვნენ ორსულები. ეს ლაპარაკია, რომ ზარბაზნის ხმამ გაიგრიალა, აქ, ლაგოდეხში. აი, უკვე შემოსულან, ხალხოო, – ესე შეძრწუნებულები რო არიან, შემეშინდა, – დედიკო, მეშინია-მეთქი, – თავი შევურგე კალთაში. – ნუ გეშინია, შვილო, ჩვენთან არ მოვლენ ისინიო, ბოლშევიკებიო. ბოლშევიკები მხეცად წარმოგვედგინა ბავშვებს. ამ დროს კიდე გაიგრიალა ზარბაზნის ხმამ. აი, მართლა არიან შემოსულები, რა გვეშველება, ხალხოო, – ძალიან შეწუხებულები არიან და ამ ქალებმა, ახალგაზრდები ყოფილან, ეტყობათ, როგორ უნდა დავზარდოთ შვილებიო და მართლაც, ყველამ მუცლები მოიშალეს. დედაჩემმაც. ბევრსა ჰქონდა ესეთი შემთხვევა. გავიხედე და მეორე დღეს უკვე შემოვიდნენ აქა „პოვოსკებით“ (ტრანსპორტით, ტვირთით) ჯარისკაცები, ბოლშევიკები. ისიც მახსოვს, ერთი ჯარისკაცი რომ შემოვიდა მამაჩემის სახლში, მე რო ხელში ამიყვანა და ტიროდა ის კაცი. მე ბავშვი ვიყავი და არ ვიცოდი, რატო ტიროდა. მერე დედას ვეუბნები, რატო ტიროდა-მეთქი ის ძია. თურმე შვილოო, – იმას უთქვამს, მე ჯარში ვარ რამდენი წელი არისო, ამხელა შვილი მყავს დატოვებულიო და რო დამინახა, გული აუჩუყდა და მეც იმიტომ დამამახსოვრდა, რომ იტირა. ისე კარგად მახსოვს, „პოვოსკებმა“ რომ ამოიარეს დატვირთული „ბუხანკა“ პურებით. რუსული „პოვოსკები“ იყო შებმული ცხენებით. ურემი სხვანაირია და ის კიდე სხვანაირი იყო. იმაში იყო „ბუხანკა“ პურები და ის მახსოვს კიდე, რო დატეხეს, გაუნაწილეს ყველა ოჯახს. ყველა ოჯახში იყვნენ შემოსულები. მახსოვს იმ პურის გემო, ძალიან გემრიელი პური იყო, რაა. იმის შემდეგ ისეთი პურის გემო და ისეთი კონსერვები მე არსად შემხვედრია.

არ ვიცი, საიდან იყო ის პური, ჯარიკაცებს ხო ამარაგებდნენ, აჭმევდნენ. ჭამა ხო უნდოდათ. ეს მახსოვს... იძახოდნენ: – ჩვენაო, ახალი ქვეყანა მოვდივართო, ახალად უნდა ავაშენოთ ეს ქვეყანაო. ეს იქნება კოლექტიური ქვეყანა, არ იქნება სიღარიბე. იქნება ბედნიერი ცხოვრებაო და აესე ამშვიდებდნენ ხალხს. შიში გაიფანტა, ეს სითბო რო ნახეს. – ნუ გეშინიათო, ერთად ვიქნებით, მდიდარი-ღარიბი აღარ იქნება, ერთი ჯამიდან უნდა ვჭამოთო, ძაან ბედნიერი ცხოვრება გელითო. მოკლედ, ასე გაახარეს ხალხი, რა... მაგრამ დედაჩემმა ეს მუცელი მოიშალა და გადაჰყვა კიდეც თან. არ ვიცი, რა იჩხიკინა, რო მალევე არ მოკვდა. ეტყობა, თანდათან გაურთულდა. მამაჩემს საიდან არ ჩამოჰყავდა ექიმები თურმე, მაგრამ ვერაფერი ვერ უშველეს. მერე კიდე, ერთმა რამემ განაპირობა დედაჩემის სიკვდილი, შეიძლებოდა კი რო მორჩენილიყო.

მამაჩემმა მოუყვანა ერთი განთქმული კარგი ექიმი, პოლონეთში ჰქონდა დამთავრებული ქების სიგელით. ეს კაცი იყო განთქმული კახეთის ზონაში, გიორგი გიუნაშვილი, ამბობდნენ, რომ მკვდარს აცოცხლებდა, ისეთი ექიმი იყო. გამოუყვანა მამაჩემმა ველისციხიდან. დაიქირავა ტრანსპორტი და წავიდა, წამოიყვანა, მერე ისევ წაიყვანა და უკან წამოვიდა. აი, აქ რომ პირდაპირ სახლია (ხელს იშვერს ქუჩის გადასწვრივ), მანდ მღვდელი იყო მისი მამა და ჰყავდა ეს ძაან განათლებული შვილები, ექვსი შვილი, სამი ვაჟი და სამი ქალი. სულ უნიჭიერესები და სულ პროფესორები იყვნენ, მათ შორის გიორგიც. მამაჩემმა ის მოუყვანა, ველისციხეში რო ცხოვრობდა. გიუნაშვილმა რო გასინჯა დედაჩემი, ჯერ ზემოდან მაჯა გაუსინჯა, გული. თურმე ძალიან მოეწონა და ეუბნება, ვინ მისცა ნიკოს შენი თავიო. გარეგნობით შეუფერებელი იყო მამაჩემი. დედაჩემს ძალიან სწყენია, ისე სწყენია, რომ აქეთაც, ქვემოთ უნდა გასინჯოს ეხლა და არაფრით აღარ გაესინჯა, – არ მინდა, არაო. – არა და ნუო, – წავიდა ის კაცი. დედაჩემი მაშინვე ხო არ ეტყოდა მამაჩემს, რო ისეთი ამბავი იყო. ხოდა უკან და უკან მიდის დედაჩემის საქმე, ვერაფერი ვერ ეშველა. ამ დროს კიდევ არის ერთი ექიმი, ხარიტონი ერქვა, ჯაფარიძეების სიძე იყო, კაცო, დამიძახონ და მე მოვარჩენო, მაგრამ აღარც ის ექიმი და არავინ აღარ მიიკარა. გაწირა თავისი თავი, და ამაზე ვემდური დედაჩემს, საწყალს, რომ როგორ გაგვიმეტა ეს პატარა ბავშვები. მერე მამაჩემს დაუბარა, შენ მიმიხედე ამ ბავშვებსაო, ასწავლე, ცოდნა მიეციო, დედაც უნდა იყო და მამაც უნდა იყოო. მამაჩემი სასთუმალს არა შორდებოდა. უკვე მძიმედ რომ ყოფილა, ერთიც ჩასძინებოდა დედაჩემს და უცბად გაღვიძებოდა. – ნიკო, მე აღარ მოვრჩები, ჩემი სიცოცხლე დამთავრებულიაო. – რა იყო, მორჩენის იმედი რათ გადაიწყვიტე, რა მოგვიდაო, – შეწუხებულა მამაჩემი. – ამ წუთში სიზმარი ვნახე, ილიკო მოვიდა და დამიძახა, წამოდი, ჩემთან უნდა წაგიყვანოო. ხელი მომხვია, ფაეტონში ჩამსვა და წამიყვანაო. მალე დალია კიდეც სული. დედაჩემი კვდებოდა, სამი შვილი რჩებოდა და გული მაინცდამაინც არ სწყდებოდა, რა! იმიტო, რომ მამა მაგას ისე მაინც არ ეყვარებოდა. სიყვარული ერთია. ერთხელ უყვარდა ის ვიღაცა ესე გულით და სულით. ოცდაორი წელი იყო, აღდგომის წინა დღე. დღის თორმეტ საათზე ავწიოკდით ყველა, ბავშვები, მამაჩემი. სოფელში თოფივით გავარდა დედაჩემის სიკვდილისა და იმისი სიზმრის ხმა.

თამარ და გოგი ხუციშვილები დედასთან ერთად გავაზის წმ. გიორგობას

მერე, უკვე რო დაიზარდნენ, დიდები გახდნენ ილიკოს შვილები, ხო იკითხეს მშობლების ისტორია, რა მოხდა და როგორ. ეს ისტორია კიდე მთელმა სოფელმა ხო იცის! ეტყობა, იმ გიორგის უწერია ესენი და კითხულობს, რომ სად გათხოვდა ის ქალი, ნეტაო. ერთხელ თურმე, ოთარ სამხარაულს, ჩემს ძალიან კარგ ნაცნობს, ჰქონდა რაღაცა წვეულება, იქ ყოფილა ეს გიორგიც და იქ თავისი ისტორია ნაწილობრივ უამბნია. იქ ზოგიერთებსაც ახსოვდათ თურმე. ნეტავ, იმ ქალს ჰყავს თუ არა შვილებიო. ოთარს უთქვამს, ძაან კარგად ვიცნობ მე იმ ოჯახსაო, თამარი არის იმისი პირველი შვილი, ნიკო ხუციშვილი არის მისი მეუღლეო, ახალსოფელში ცხოვრობენო. როგორმე შემახვედრეთ მე თამარიო, ჩემზე ეუბნება, დასავთ უნდა მივიღოო. გავიდა რამოდენიმე ხანი ამის შემდეგ, ოთარი ყვარელშია მე – თბილისში. მეუბნება, როცა შევხვდი, იციო, თამარ, ასეთ-ასეთი ვინმე შემხვდა და შენო... მე ვუთხარი, მეც როგორ მაინტერესებს ეს ამბავი და შემახვედრე რა-მეთქი. არ გავიდა დიდი ხანი ამ ჩვენი საუბრის შემდეგ და არ გარდაიცვალა გიორგი! ვერ მოვასწარი იმისი ნახვა. ძალიან დამწყდა გული. მერე ამ რედაქციამ ხომ სულ გადამიშალა ყველაფერი. საიდუმლო, რომელიც მე ძაან დიდი ხნის წინ მაინტერესებდა და არ ვიცოდი. უკვე გაიხსნა ყველაფერი. იმ ქალმა მითხრა, გიორგი აღარ არის და მართა ნახეო, ისინი მამიდაჩემის დაზრდილები არიან. ჩვენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართო. ჩვენ ოჯახში არიან გაზრდილები და თქვენი ისტორია სულ ზეპირად ვიცითო. გაიგებ ბევრ რამეს კიდე საინტერესოსაო. მართაც ეხლახან მოკვდა, დიდი ხანი არ არის, მაინც მოვიფხანე გული, რომ შევხვდი და შევისრულე ეს სურვილი. ასე დავამთავრე დედაჩემის ეს ისტორია.

მამაჩემმა, რაც შეეძლო, გაგვიკეთა. დაგვზარდა, ცოდნაც მოგვცა, ჩვენთვის ყურადღება არ დაუკლია. დედინაცვალი ერთ წელიწადში მოიყვანა. აი როგორ მოიყვანა: ის ქალი დედაჩემის ამხანაგი იყო. მეზობლები ყოფილან და ამასაც ქმარი ჰყავდა გაცილებული. ერთი „გერმანსკი“ ქმარი ჰყავდა, ყოფილი ექიმი, გერმანიაში ჰქონდა დამთავრებული და გერმანსკის ეძახდნენ, იმის ნაცოლარი იყო ეს ჩემი დედინაცვალი. შვილი რომ არა ჰყავდა, ამიტომ ურჩიეს ნათესავებმა

მამაჩემს... არადა მამაჩემი იცნობდა იმას, იმიტომ რომ დაქალობდნენ აქა ის და დედაჩემი. მე არ მახსოვს, ბავშვი ვიყავი, მაგრამ გადმოცემით ვიცი. ხოდა მოიყვანა, მაგრამ ეს ქალი ისე მოკვდა, რომ ვერ გაიგო შვილის სიყვარული, რა... ეს გრძნობა არა მაქვს მეო, ნეტა ისე არ მოვკვდე, რომ ვერ გავიგო შვილი რა არისო. ეს ხალხი რო გიჟდებიან ამ შვილებისთვის, მე ეს არ ვიციო.

ოცდათორმეტ წელში, ბოლშევიკები ახალი შემოსულები იყვნენ, რომ ჩემი დედინაცვლის ნაქმარევი დაიჭირეს, დააპატიმრეს, ტროცკისტი ყოფილაო. დახვრიტეს მაშინ. ეს გიუნაშვილიც, სხვათა შორის, დედაჩემის ექიმი, ეგეც ოცდაჩვიდმეტ წელში დააპატიმრეს. რატო დაპატიმრეს, იცი? ბრალდება წაუყენეს, შენაო ჩოლოყაშვილი რატო მოარჩინეო. ჩოლოყაშვილი (ქაქუცა) კიდე მაშინ ტყეში გავარდნილი ყაჩაღივით იყო, თუ რა იყო, ემალებოდა მთავრობას. დაჭრილი იყო და მუკუზნის ერთ-ერთ დიდ სარდაფში იმალებოდა. ეს ექიმად დაუყენეს, ეს გიორგი გიუნაშვილი. ამან იმსხვერპლა, რატო მოარჩინე შენ ქაქუცაო და დააპატიმრეს ისიც. დააპატიმრეს და მიუსაჯეს დახვრეტა. დასახვრეტად რომ გაიყვანეს პატიმრები, რომელიღაც მოედანი ყოფილა მანდ ახლოს, გურჯაანის ტერიტორიაზე, ერთ-ერთს, ვინც უნდა დახვრიტოს, ვინც უნდა ესროლოს, იმას უცვნია ეს გიორგი და უთქვამს, შენ რა გინდა აქაო, რაზე დაგიჭირესო? – ჩოლოყაშვილის ამბავზეო. – როგორმე გაცოცდი, გაიპარე აქედან, მე შენ არ მოგკლავო. დასახვრეტად მისული კაცი გამოაპარა ამ ვიღაცამ და ცოცვა-ცოცვით რომელიღაც პატარა სოფელს მიადგა. მივიდა ერთ სახლთან და უთხრა, რომ ესე ვარ გამოპარული და შემიფარეთ, რაო. იმათ შეშინებიათ, რო ჩვენც არ დაგვხვრიტონო და ისევ არ გასცეს ეს გამოპარული კაცი?! ხელახლა გაგზავნეს და მაინც დაახვრეტინეს. აი ესეთი ისტორიაა მაგისიც, მაგ უბედურისა.

ამ კომუნისტებმა ხო დახვრიტეს ძვირფასი ხალხი, არც უბრალო ხალხს ინდობდნენ. ყველას გვარები მიწერია სოფლიდან დახვრეტილებისა, ზოგი მწყემსია და ზოგიც ვინ. ერთი კაცი იყო, მისდღემჩი ცხვარი ჰყავდა, ცოლშვილიანად გადაასახლეს შუა აზიაში. დღესაც არიან იქ. გავაზში ცხოვრობს ერთი ხუციშვილი გიორგი, იმ გადასახლებიდან არი ჩამოსული, ბავშვი იყო, რომ გადაასახლეს, დიდი იყო რომ ჩამოასახლეს, გაათავისუფლეს. მოკლედ, იყო ესეთი დაჭერები. მამაჩემი გაოცებული იყო, კაცო, რა აქ დასაჭერი მაგალითად, ვანო ხუციშვილს ან საბა ხუციშვილს, ან კიდე წყალობაშვილსაო, ან იმას, ან ამასაო. ე.ი. აქ რაღაც ამბავია; მერე გაუგია, რომ კომუნისტების გეგმაა ესეთი – რამდენი უნდა დაიჭირონ, რამდენი უნდა დახვრიტონო. შეშფოთებულა და შეშინებულა მამაჩემი. მე ვიცი სოფლის სუნთქვაო, – ისეთი პიროვნება იყო, სულ სოფლის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, – რატო იჭერენ, გაოცებული ვარო. ამ ფიქრში არის და ერთხელაც გათენდა დილა და ჩადის ბირჟაზე. ეხლა სადაც ჩვენი ეკლესია და საბჭოა, მოედანზე, მაშინ იქ იყო ბირჟა და ყოველდღე ხალხი თავისუფალ დროს იქ იკრიბებოდა – ჯვარედინაზე. სოფელში ეხლაც ყველა ჯვარედინაზე იციან გამოსვლა უბნელებმა, ერთმანეთს უზიარებენ, ქვეყნის ამბავი იქნება თუ ერთმანეთის გასაჭირი, დახმარება უნდათ თუ შველა თუ რაღაცა. ჰოდა, ჩასულა მამაჩემი ამ ბირჟაზე და რასა ხედავს: ბირჟაზე ჭაჭანება კაცი არა დგას. გავოცდი, ვიფიქრე, რაშია საქმეო და ამ დროს მორბის ერთი ახალგაზრდა ბიჭი და მეუბნება, – ნიკო ძია, თქვეს, წუხელის ნიკოც დაუჭერიათო

და შენ კიდე აქა დგეხარო?! წადი ეხლავე, მოეფარე, გაეცალე აქაურობასაო. იმ ბიჭის სახელი და გვარიც მითხრა და აღარ მახსოვს. მეც დავღუნე თავი და წამოვედი ძუნძულით სახლშიო. ამოვედი და ვუთხარი ჩემ ცოლს, მომამზადე, უნდა წავიდეო. – სად უნდა წახვიდეო? – უნდა გავიპარო, იჭერენ ქვეყანასაო, წუხელის რახან ჩემზეც უთქვამთ, ალბათ მეც დამიჭერენო. მოვიდა და აის კარები როა ოთახში პირდაპირ, მარანში გადის, ეს კარები მაშინ გაანგრია. იქით მარანს ფანჯარა გაუკეთა, რომ ვინიცობაა მოსულიყვნენ, ასე გაიქცეოდა მამაჩემი და მერე ვენახებში გაიპარებოდა. ეს ერთ დღეში გააკეთა. და თან კიდე მოემზადა, – ერთ ჩანთაში ჩამილაგე ქალამნებიო, მაშინ ქალამნები იყო, თბილი საცვლები, ცოტა ფული და რაღაცეები. ჩაუდია და თურმე წასულან ორნი, მამაჩემი და გიგა იორამაშვილი. ეგეც გაიპარა. მაგის მამა კიდე, აი, პირდაპირ რომ ცხოვრობენ, ცოლ-შვილიანად გაასახლეს შუა აზიაში, ეს, კიდე კარგი, ცალკე ცხოვრობდა. ხოდა იმ დღისით არა და მეორე დღეს მართლა კაზაკები არ დაადგნენ თავსა მამაჩემს! – ნიკო, ნიკო! – იძახიან. გაიხედა ჩემმა დედინაცვალმა. ჩემი დედინაცვალი მაგარი ქალი იყო, ასეთი მაგარი ქალი არსად არ შეგვხვედრიაო, – თვითონ იმათა თქვეს. – რა გინდათ ნიკოსაგანო, – ასე მაგრად თქვა (ამბობს ხმამაღლა, მკაცრი ტონით), შეშინებულმა კი არა. – დაუძახე, გამოვიდესო. – არც არის სახლში და არც დავუძახებ, რა გინდათ, მე მითხარით და მე გადავცემო. – უთხარი, რომ გამოვიდეს გარეთო. – არ არის სახლში ნიკო-მეთქი.

კიდევ უფრო მაგრად აყვირდნენ. ცხენებსაც ძლივს იმაგრებდნენ. ბრდღვნიდნენ თურმე ფლოქვებით ყველაფერს. ძლივს იკავებდა ორი კარგად შეიარაღებული კაცი. ხალხმა რომ დაინახა, ცხენები როგორ აწრიალდნენ, იფიქრეს, ნიკოსაც იჭერენო. ხან ერთი მეზობელი გამოივლის, ხან მეორე და ესენი ეკითხებიან, – რა ჰქვია ამ ქალს, რა ჰქვიანო. – არ ვიცი, მე ეხლა მოვდივარ ამ გზაზე, მეც ეხლა მოვდივარ და მეცაო – და არავინ არ უთხრა ჩემი დედინაცვლის სახელი. საინტერესოა, რომ არც მარუსას სახელი გასცა არავინ. ამასობაში მამაჩემი გაიპარა. თავისი გუდა ჰქონდა, აიღო და აესე ვენახებში გადავიდა. თურმე წასულან მწყემსებში, მთაში. მერე მწყემსებიდან წამოსულან შუამთაში. იქ ვიმალებოდით, იმათ შეგვიფარესო. ექვსი თვე იმალებოდა. ბოლოს მამაჩემი ჩემთან ჩამოვიდა თბილისში და დაწვა საავადმყოფოში. ვენები ჰქონდა საოპერაციო და ბარემ ამ საქმეს მოვიშორებო. დაწვა და ის ოპერაცია გაიკეთა, კიდევ კარგი. ამასობაში ოცდაჩვიდმეტმაც გადაიქუხა. ასე გადარჩა მამაჩემი ოცდაჩვიდმეტ წელს.

ოცდაჩვიდმეტის ამბების დროს, თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხს სწამდა, რომ ეს სტალინის ოინები არ იყო. იმისი ხელქვეითების ამბები იყო ეგა. ერთმანეთს აბეზღებდნენ, ერთმანეთს აჭერინებდნენ, სტალინი მაინც უყვარდათ. რაიმე გაჭირვება რომ იქნებოდა, დაიმუქრებოდნენ, რკინის ქალამნებს ჩავიცმევთ, რკინის ჯოხებს დავიჭერთ, ჩავალთ მოსკოვში და სტალინთან გიჩივლებთო. აი, ასეთი განწყობილება ჰქონდა ხალხს. არ ვიცი მე, ისტორია მართალია თუ არა, მაგრამ ოცდაჩვიდმეტი წელი მძიმე დაღად დარჩა მაგას. მოკლედ, ეს ხალხის შიში, რო სიკვდილი მოაქვთ და გაჭირვებაო, ახდა.

მერე, როგორც იქნა, ჩამოყალიბდა კოლექტივი. კომუნისტები 21-ში შემოვიდნენ და კოლექტივიზაცია 32-ში დაიწყო, შემოსვლისთანავე კი არა. ხალხმა სახელიც არ იცოდა, რა ერქვა. ბებიაჩემმა იცოდა თქმა, კოლოქტურა, შვილო, კოლოქტურა

მოვიდა და ერთი ჯამიდან უნდა ვჭამოთ საჭმელიო. ხალხმა ესე იცოდა, თურმე: ჩვენი ქონება იქ უნდა შევიტანოთ და მერე რასაც გავაკეთებთ, ისე მოგვცემენო. – იქნება არა ვმუშაობ, შვილო, არ უნდა მომცენ რაღაცა. – არ მოგცემენ, სანამ არ იმუშავებ-მეთქი, – ვეტყოდი ხოლმე ბებიას. არავის არ მოსწონდა კოლექტიური ცხოვრება: – კაცო, მე ერთი ცხენი მყავს, ერთი კამეჩი, ისიც შენ მოგცე იქა, მე რა ვიცი, რომ იქიდან რაღაცას მივიღებო? – არა, უნდა გაერთიანდეს ეს ქვეყანა და ერთად უნდა ვიშრომოთ და ის შრომა რასაც გამოიმუშავებს, ერთად უნდა გავანაწილოთო, ვისაც რა შეხვდება, შრომადღეების მიხედვით დაწერენო. პირველ ხანებში, იცი, როგორ გაუჭირდა ამ ქვეყანას კოლექტივის შექმნა? ძალიან გაუჭირდა. არავის უნდოდა კოლექტივში შესვლა. ხალხმა ვეღარ დაამუშავა თავისი მამულები. ვინც თავისი ურემი და ცხენი არ შეიტანა, იმას მისი ნაკვეთები ჩამოართვეს. ზეწოლა იყო ხალხზე, რაღაცეებით აშინებდნენ, რომ იძულებული გაეხადათ, შეეტანათ თავიანთი ქონება... ასე ვაი-ვაგლახით შეიქმნა, კოლექტივების პუნქტები იყო, თუ კანტორები. ბოლოს ისე გაუჭირდათ, რომ შიმშილი გამოცხადდა. მოკლედ გაღატაკდნენ. მამულები აღარა ჰქონდათ თავიანთი, რომ დაამუშავებინათ. რა უნდა ექნა ხალხს?

მაგრამ მამაჩემი ამბობდა, ისევ შრომა, შვილო, ისევ შენ თვითონ თუ არ შექმენი, არ გაიხარჯე, ნუ გაქ იმედი, რომ სხვა მოგცემს რამესო. მაშინ იყო, რომ ის კოპალი გავხსენით, ქვაღორღილი და ჯაგნარი იყო ის ადგილი. გაასუფთავა მამაჩემმა, დარგო სათაფლე მცენარეები, რაც ფუტკრებს უყვართ. ეხლაც არის ის ხეები იქა. დილასაც ლაპარაკობდნენ, ეს ნიკო ძიას დარგული ხეებიაო. იქ მიდიოდა წყარო, რუ. იქით რომ მიდიოდა, მამაჩემმა ამ ტერიტორიაზე შეუცვალა პირი და საფუტკრეზე გაატარა, იმიტომ რომ ფუტკარს უნდა წყალი. პატარა ქოხიც ააშენა ქვიტკირისა. თავისი ფუტკარი რომ დააწყო, თბილისიდან „სახთამბაქოს“ (ასეთი ტრესტი იყო) ჰყავდა კიდე ფუტკარი, იმათ ფუტკარსაც მოუარა და ერთი დიდი საფუტკრე გააკეთა მამაჩემმა. თაფლი მოჰქონდა ზღვა, ტონობით. თავის წილს, ვისაც იქ ფუტკარი ჰყავდა, ყველას უკლებლივ აძლევდა. ერთხელ ჩემმა ქმარმა უთხრა, შენი შრომაა და იქიდან ცოტა შენთვისაც დაიტოვეო, მაგრამ მამაჩემმა უთხრა, ეს იმათი ფუტკრისაა და იმათ უნდა ისარგებლონ, მე ჩემიც მეყოფაო. მერე ყიდდა თაფლს, მაგრამ ბაზარში დადგომა არ იცოდა, ეხლა რომ დგანან და კილო-კილოს რომ ყიდიან. ჩაიტანდა ბიდონებით თაფლს, ჩააბარებდა, – სპეციალური ცეკავშირის მაღაზია იყო, ისინი იბარებდნენ ხოლმე ერთიანად. ბაზარში თუ ღირდა ხუთი მანეთი ან სამი მანეთი, მამაჩემი ორ მანეთად ჩააბარებდა, ერთბაშად აიღებდა ფულს და იმას უფრო კარგად მოიხმარდა ხოლმე, ვიდრე წლობით რომ მდგარიყო და ნაწილ-ნაწილ გაეყიდა. აი, ასეთი ჭკვიანი კაცი იყო. ასე შექმნა მამაჩემმა დიდი დოვლათი ამ გაჭირვების დროს. მერე რაიონის მეფუტკრე გახდა, ხელმძღვანელობდა მთელ რაიონს. ჰყავდა ცხენი თავისი შარაბანით და იმით დადიოდა ყვარელში და ახლომახლო სოფლებში. მოხერხებული კაციც იყო და კეთილიც. გასესხებული ჰქონდა იმდენი, მთელი ნახევარი სოფელი მგონი მამაჩემის აშენებულია. „ნიკო ძია, ფული გვასესხე“, „ნიკო ძია, გვიჭირს“, „წუხელის შვილი გამიხდა ავად, ნიკო ძია“, – ერთხელ შუაღამისას უბრახუნებს ვიღაცა, ჯერ არ გათენებულა და გვესმის – ჰაი, ნიკო ძიაა! მამაჩემმა, – დაწეული გვქონდა ლამფა, აუწია, გაიხედა და – რა იყო მიხა, რა

დაგემართა, რაშია საქმეო? – კაცო, წუხელის შვილი გამიხდა ავად, ძალიან ცუდადა მყავს და დღეს თელავში მინდა ექიმთან წავიყვანოო.

სად იყო მაშინ ექიმები. აქედან თელავში წაყვანა კი როგორი იქნებოდა! ჰოდა, ერთი ათი ლარი მასესხეო, ლარი იყო თუ თუმნები. აი, ათჩაფიანი ქვევრი გასახსნელი მაქ, გავხსნი იმას თუ არა, იმწუთშივე შენ ვალს მოგიტან, ოღონდ ეხლა ხელი მომიმართეო. – კარგი, მიხა, მოგცემ ფულს, ეხლავე გამოგიტან, მაგრამ რითი უნდა წაიყვანო იქ შენი შვილიო. – რა ვიცი, ახლა ურემს კიდე სხვასა ვთხოვო.

მამაჩემმა უთხრა: – აჰა, ეს შენი ათი ლარი, აი, ეს ჩემი ცხენი და „პრალიოტკა“, ჩასვი შენი შვილი, წაიყვანე თელავში და მიხედეო. იმ კაცმა დალოცა კარგად და წავიდა. მერე მოუტანა ის ფული, რო გავიდა დრო. მამაჩემმა ჰკითხა: – როგორა გყავს შვილიო? – გამომიჯანმრთელდა და დიდი მადლობა, ესე ხელი რო გამიმართეო. აი, შენი ფულიც მოგიტანეო. მამაჩემმა უთხრა: – მე ახლა ფული არ მიჭირს, მადლობელი ვარ რომ მომიტანე, მაგრამ უკან გაძლევ შენაო, ეხლა შენ გიჭირს, ის ავადმყოფი შვილი რო გყავს, ის ვაჟკაცი, მე ისეთი გაჭირვება არა მაქვსო. სულ ასე მადლიერი ჰყავს ხალხი ახალსოფელში. ვინმეს რამე პრობლემა რო ექნებოდა, საოჯახო თუ ისე, მამაჩემს ეკითხებოდა. ერთი ქალი იყო, ნუცა, და ძალიან ლამაზი გოგო ჰყავდა. მოდის მამაჩემთან და ეუბნება: ნიკო ძია, ერთ რამეს მოგიყვები და შენი ჭკვა და გონება მინდა, რა, დამეხმარეო. აბა,რას მეტყვი შენ,როგორ მეტყვიო, – შემოიპატიჟა მამაჩემმა. ნუცა ეუბნება: ჩემ გოგოს მავანი მთხოვსო, შენ ხო იცი ჩვენი ოჯახი, პატიოსანი კაი გოგო მყავს და, ვინ არიან ისინი, ვინც მთხოულობენ, არიან ღირსები თუ არა, შენ გეცოდინებაო. მამაჩემმა უთხრა, ძალიან კარგად ვიცნობ მე ამ ოჯახს, მშობლები მშრომელი ხალხია, მაგრამ პირადად არ ვიცნობ, როგორი შვილი დადგა ეხლაო. ისეთი შემთხვევა, რომ მასთან ან მემგზავრა, ან სუფრაზე ვყოფილიყავით ერთად, რომ გამეცნო, არა მქონია, მაგრამ მშობლები კარგი ჰყავს და, მე მგონი, შვილიც კარგი იქნებაო. ისე რო, მამაჩემი იყო ყველას მოსამართლე. იმიტომ უყვარდა სუყველას, დიდი თუ პატარა – ნიკო ძია და ნიკო ძიაო, – გაიძახოდნენ. მეც ვამაყობ, რომ მამაჩემი ესეთი საყვარელი იყო შვილებისთვისაც და ხალხისთვისაც.

როგორც იქნა, ცოტა წამოვიზარდეთ ეს ობოლი ბავშვები, მაგრამ დედა არა მყავდა, რომ დავერიგებინე, ან მე შემეჩივლა დედისთვის, მეკითხა რამე. ჩემი დედინაცვალი მკაცრი იყო, მარტო იმას დამძახოდა – ის გააკეთე, ეს გააკეთე, ანდა რატო არ გამოხვეტე კარგადაო. ერთხელ ღობეზე ჩამოვაგე ფეხი, ვაიმე, ვაიმე-მეთქი, – ვიყვირე და ამ გამწარებულზე, დილადრიან ჩემი დედინაცვალი მეუბნება, სამოვარი დადგიო. დავდგი და შიგ წყალი არ ჩამისხია, არ უთქვამს, წყალი ჩაასხიო. მეც ისე დავდგი და მომაქ და მომაქ მეზობლებისაგან ცხელ-ცხელი ნახშირი და ვყრი ამ უწყლო სამოვარში. დაიწვა სამოვარი, მიხვდა ჩემი დედინაცვალი, და რატო წყალი არ ჩაასხიო. შენ არ გითქვამს-მეთქი, დამსაჯა და როგორ დამსაჯა! თითონ მიირთმევს საუზმეს და მე არ მაჭმევს, არც მელაპარაკება. ვიტირე, ვიტირე, თან ეს ნამტკივნი ფეხი მაქ, გამწარებული ვარ, რაში მეკითხება იმისი სამოვარი. მოკლედ, აღარ მინდოდა სიცოცხლე. ჩემოდანი ედგა ერთი და იმ ჩემოდანს ყარაულობდა ეს დედაკაცი, კლიტე ედო და რა

ჰქონდა შიგ, ვერ გავიგეთ, ისე მოკვდა. ვისთან ვიტყოდი, მეექვსე-მეშვიდე კლასელი ვიქნებოდი. სკოლაში იცოდნენ, რომ დედინაცვალი მყავდა, იცოდნენ, რომ ძალიან კარგი დედა მყავდა და ძალიან კარგი ოჯახის შვილი ვიყავი და ძალიან ვეცოდებოდი სუყველას. ყველა, თითქმის მთელი სოფელი ტიროდა, ჩვენ რომ დაგვინახავდნენ – ამ პატარა ბავშვებს დედა როგორ მოუკვდათო... ვაზის ძირში დავწვებოდი და ვტიროდი – დედა მინდაა... კიდევ ბევრი ოინი გამიკეთა ჩემმა დედინაცვალმა, ისეთი, რომ სიცოცხლე აღარ მინდოდა, მაგრამ არ ვიყავ განწირული, ალბათ, და სიცოცხლე მაჩუქა ღმერთმა. მოკლედ, ასეთი უგემური ბავშვობა გვქონდა დედაჩემის სიკვდილის შემდეგ.

მერე წამოვიჩიტე გოგონა, ამ ქვეყნისა ცოტა რაღაცა გავიგე. ერთხელაც მეუბნებიან: უნდა ჩაიხედო „კალიცოში“ (ქორწინების ბეჭედი) და იქ შენ ბედს დაინახავო. ეხლა მე რა ვიცოდი, ის „კალიცო“ ვის ექნებოდა, უფროსმა ქალებმა გააკეთეს და მეც ჩამახედეს იმ „კალიცოში“. ჩავიხედე და დავინახე ერთი ახალგაზრდა ბიჭი ამ ჩვენ რუზე როგორ გადმოხტა; ვთქვი, აი, ესეთი ვინმე ამ რუზე გადმოხტა-მეთქი. თურმე სინამდვილეში ის არი, ვინც მე პირველად მნახა და მოვეწონე, მაგრამ არ ვიცოდი ჯერ სიყვარულის ამბავი – რა იყო სიყვარული, მწვანე იყო, ყვითელი თუ რა ფერისა, წარმოდგენა არა მქონდა საერთოდ. ისე, რაღაცა კი იღვიძებდა ჩემში, მარა ვერა ვხვდებოდი, რა.

ერთი ბიჭი იყო – ვარაზაშვილი ლადო, ძაან კარგი სახლები რომ არის გავაზში, იქა ცხოვრობდა. ამ ლადოს ბიძაშვილი ჩემი კლასელი იყო, ხოდა ის მამაჩემს იცნობდა და იცოდა, რომ მამაჩემის შვილი ვიყავი. ხოდა დამიწყო წერილების წერა, გვარი გაუგია. შენი კლასელების გვარები მომეციო, თავისი ნათესავისთვის უთქვამს, ამ ჩემი კლასელისთვის. იმ გვარებში მეც ვიყავი, თამარ ხუციშვილი და ლადომ ჩემი გვარი ამოიღო და მომწერა წერილი. რა წერილი მომწერა, ახლა აღარ მახსოვს, მხოლოდ ერთი მომენტი მახსოვს: თამარ, გენაცვალეო, არა, გენაცვალე არა, თამარო, მეო, სადღაც, არ ვიცი სად, ვისმენდი როიალზე სიმღერასაო, რომელმაც იმისი... (იხსენებს), იტალიაში, რომის ნანგრევებზე მტირალი ქალის ამბავი მომაგონაო. ეს სიტყვები მახსოვს მარტო, დანარჩენი არაფერი აღარ მახსოვს. მერე ლადოს წერილი გამახსენდა, როგორც კი ეს სიმღერა მოვისმინე. მაშინ პიანინო და როიალი ძაან პოპულარული იყო, სად იყო ეს რადიოები, ეს მუსიკები და რაღაცეები. ხოდა, გამომიგზავნა ეს წერილი. გამოატანა ვიღაცას და ჩუმად მომიტანეს. მე თავიდან ამ წერილს კამოდის უჯრაში ვმალავდი. ამ ბიჭს კი ჰქონდა გულში, მაგრამ მე ჯერ არ ვიცოდი არც სიყვარული და არც გათხოვება რა იყო და არც ისა, რომ რო გავთხოვდებოდი, შვილი უნდა მყოლოდა. ეს არაფერი არ ვიცოდი. მოკლედ, ესეთი „პაკლონიკები“ (თაყვანისმცემლები) გამომიჩნდნენ, რა.

მერე, ეს ლადოს შემდეგ უკვე, აქაური ბიჭი იყო, ყიფიანი დავითი, ჩემი ყოფილი მასწავლებლის ძმა, ხოდა, პირველად შევუყვარდი ამ დათოს ნამდვილი სიყვარულით და თანაც როგორ შევუყვარდი თურმე: მივდივარ სკოლაში, მეშვიდეკ-ლასელი ვარ, – აქ შვიდი კლასი იყო, მეტი სკოლა არ იყო... ასე უნდა გამეარა, აი, ბოლოში, ეხლა საბჭო სადაც არი, იქ იყო ეს სკოლა. იქ, კუთხეში, ჩემი ამხანაგი ცხოვრობდა, იმისთვის უნდა გამევლო და ერთად ჩავდიოდით ხოლმე სკოლაში. იმ ჯვარედინასთან რომ მივედი, ერთი ბიჭი მორბის. ეს არი თურმე დათა ყიფიანი.

უფროსი იყო ჩემზე. ხო, ძაან კარგი ბიჭი იყო. მარტო გვარს უნდა გავყოლოდი, სხვა თუ არაფერს, მე რომ ტვინი მქონოდა. ვერ მომინელებია, რა, დღესაც გული მტკივა, რატო ჩავიდინე ეს სისულელე. მორბის, მორბის ეს ბიჭი და იმ კარებს რომ მივუახლოვდი, საიდანაც თამარას უნდა შევძახო, გამოდი, მივდივართ სკოლაში-მეთქი, მომაწოდა პატარა ქაღალდი, ხელში მომაჩეჩა. მეც გამოვართვი და ის კიდე გარბის ისევ. შევარდა იმ თამარას ეზოში. გავშალე ეს პატარა ქაღალდი და წერია: „მე შენ მიყვარხარ“. პირველად გავიგე „მე შენ მიყვარხარ“. მე რომ შვიდწლედს ვამთავრებდი, ის ბიჭი საგურამოში სწავლობდა, ილია ჭავჭავაძის ტექნიკუმში, და იქ მიდიოდა ხოლმე. ბიძა აფინანსებდა, დავით ყიფიანი, თავადი თუ რა, არ ვიცი. დიდი შთამომავლობა ჰქონდათ ყიფიანებს. არდადეგებზე ჩამოდიოდა, ანდა იქიდან მწერდა წერილებს. ხოდა, დავიწყე ამ წერილებზე მასხრობა. ისეთ საინტერესო წერილებს კი მწერდა. ბოლოს შემრჩა ორი წერილი, უჯრაში დამრჩა კაი ხანს, უკვე გათხოვილიც რო ვიყავი. ჩემმა ძმამაც ნახა ეს ლამაზად დაწერილი სასიყვარულო წერილი. ერთი დამრჩა, დღესაცა მაქ, უკვე გაცვეთილი; აი, რამდენი წლის არი, დაკეცილი მაქ ისევე. როგორ ვუყვარდი იმ ბიჭს და... მერე შვიდი კლასი დავამთავრე და ჩავედი თბილისში. ნელ-ნელა გავხდი თოთხმეტი წლის, თხუთმეტი წლის, თექვსმეტი წლისა... ცოტა დავმშვენდი, უკვე ვლამაზდები და ეს სურათიც გადავიღე მაშინ (იხედება კედელზე დაკიდებული ახალგაზრდა ქალის სურათისკენ). ეს პატარა სურათი იყო, მერე გავადიდებინე. ხოდა ეს სურათი აუღია დათას და ჩაუდია ჯიბეში, საიდან და როგორ, არ ვიცი. მერე დაამთავრმა ამ ბიჭმა თავისი აგრონომიული ტექნიკუმი და გაანაწილეს დასავლეთ საქართველოში სამუშაოდ. ერთხელაც შემხვდა ეს დათა და მეუბნება, მე დავამთავრე უკვე და წავიდეთ დასავლეთ საქართველოში, იქა ვარ რომელიღაც კოლმეურნეობაში აგრონომად განაწილებულიო. ვფიქრობ, სად უნდა წავიდე, ან როგორ უნდა წავიდე – ეს ბიჭიც ობოლი, მეც ობოლი, მომზადებულიც არა ვარ გასათხოვრად, არც იმისი ასაკი მაქ, არც იმისი ტვინი მაქ და არც არაფერი. ვერაფერს ვერ ვეუბნები. არ ვიცი ჯერ, სიყვარული რა არის, რა. სიმპატიები კი მაქ, როგორცა ჩანს. – ვერა-მეთქი, რა თქმა უნდა, არ გავყევი, ჯერ საშუალო არა მქონდა დამთავრებული. ჭკვა რომ მქონოდა, ან პატრონი მყოლოდა, ძალიან კარგი იქნებოდა, მაშინვე თავს ვუშველიდი. მაგრამ რო წავიდა, მე ვერაფერი ვერ ვუთხარი, არ ვიცი როგორ მოვიქცე, ოჯახის შექმნისთვის ჯერ არა ვარ მომზადებული-მეთქი. იმედი არ მიმიცია, მაგრამ ეს ჩემი სურათი აქვს თურმე გულში ჩადებული, ჯიბეში. რო წავიდა, თამარასაც, ჩემს დობილს და დეიდაშვილებსაც, დააბარა, ველისციხელ ბიჭებს, მე მივდივარ და თქვენ გაბარებთო. თამარა ჯაფარიძე ჩემი კლასელი იყო და თბილისში ჩამოვიდა. დეიდები ჰყავდა იმას იქა. ერთი თბილისელი იყო კიდე, გიორგი კარანაძე, შეიძლება ეხლაც არი. ადრე იყალთოში ცხოვრობდნენ, იქ არის აკადემია და მისი მამა იქ დიდი თანამდებობის პირი იყო. იმისი შვილი იყო გიორგი, ძალიან ნიჭიერი კაცი და ძალიანაც მომწონდა. იმას რო ეთქვა ცოლობა, შეიძლება ჭკვაშიც მომსვლოდა, ისიც უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ ამასაც ჩაბარა ჩემი თავი დათამ, მე მივდივარ და გაბარებთ თამარსო, არავისზე არ გათხოვდესო. მართლა მპატრონობდნენ, ნაბიჯს ვერ გადავდგამდი, რო გავიხედავდი და ხან დამალული, ხან ისე, უკან დამდევდა ეს დათა თუშიშვილი, ველისციხელი ბიჭი. ისე დეიდაშვილებიც კაი ბიჭები ჰყავდა. აი, ასე იყო ეს ამბავი...

პირველად თბილისში, შვიდი კლასი რომ დავამთავრე აქ, მაშინ წამიყვანა მამიდაჩემმა, პაატა ბურჭულაძის ბებიამ. პაატას იმიტომ ვახსენებ, რომ კარგი სახელი დაიმსახურა მთელ მსოფლიოში. მაინც ჩემი სისხლია. შთამომავლები ვართ – ის დისა, მე ძმისა, მეოთხე თაობა ვართ თუ მეხუთე. მამიდაჩემმა წამიყვანა პირველად, მაგრამ ერთი წელი ვიყავი და მერე, მეორე წელი და მესამე წელი უბინაოდ დავდიოდი და ხან ერთი წელი, ხან ცოტა ხანი ნათესავებში ვიყავი ხოლმე.

ხოდა წამიყვანეს იქა. არ ვიცი ჯერ გზა და კვალი თბილისისა. არც სახლი მაქ, არც კარი, არც ენა ვიცი, არც არაფერი. არც დიდი განათლება არა მაქ, შვიდკლასიანი გოგო ვარ, უტვინო და გამოუცდელი ამ ცხოვრებისა. მაგრამ ჩავედი და მომაწყო მამიდაჩემმა სამკერვალო ფაბრიკასთან არსებულ სკოლაში. ეხლაც არის კალინინის ქუჩაზე სამოც ნომერში ეს სასწავლებელი. პირველი წელია, ჯერ არაფერი, მეორე წელს კი უკვე წარმოვაჩინე მაგრა თავი. ამ სკოლაში მე ვიყავი მთელი სკოლის რედაქტორი და მე ვუშვებდი სკოლის გაზეთს, არ ვიცი არაფერი, მაგრამ მაინც შევძელი. სკოლის პლაკატებს მე ვწერდი, ჩემისთანა ნაწერი არავის არა ჰქონდა კლასში. ეს ბოტებიც იქ შემხვდა, მეორე კურსზე რომ ვიყავი. ერთხელ სკოლის დირექტორი შემოვიდა და მასწავლებელს ეუბნება, ფეხსაცმელებია მოსული კლასისთვის და თქვენ ვისაც ჩათვლით ღირსად, იმას გადაეცითო. კლასში უმეტესობა ბიჭები იყვნენ და ისინი ახმაურდნენ, იცოდნენ, რომ არ შეხვდებოდათ. მაშინო, მასწავლებელმა თქვა, კენჭი ვყაროთ და ვისაც შეხვდება, იმისი იქნებაო. პატარა ქაღალდებზე დავწერეთ ჩვენ-ჩვენი სახელები და ერთ-ერთი ბიჭის ქუდში ჩავყარეთ, მასწავლებელმა ამოიღო ქღალდი და ჩემი სახელი და გვარი წაიკითხა. ახლა უფრო დაიწყეს ყვირილი ბიჭბმა. რაკი მე კარგად ვსწავლობდი, ეგონათ, სპეციალურად გააკეთა ასე. ეწყინა მასწავლებელს და ვინც ყველაზე მეტად ხმაურობდა, ის გამოიყვანა. ჩვენ ისევ დავწერეთ სახელები და ახლიდან ჩავყარეთ ქუდში. ამ ბიჭს ამოაღებინა ქაღალდი. გაშალა ეს პატარა დაკეცილი ქაღალდი და ისევ თამარა ხუციშვილი არ წაიკითხა! რაღას იტყოდნენ ბიჭები, ყველა გაჩუმდა. გაეცინა მასწავლებელს, შენი ბედი ყოფილაო. მე კიდე მიხარია, მიხარიაა!.. გეგონება, რაღაცა დიდი ქონება შემხვდა. ხოდა, აი, რა გაჭირვება უნდა ყოფილიყო, ორმოცდახუთ ბავშვზე რომ ერთი წყვილი ფეხსაცმელი მოვიდა. ეს კომუნისტების შემოსვლისა და იმ პერიოდში, როცა სახელმწიფო უკვე გაღატაკებული იყო.

კარგი ავტორიტეტი მქონდა. დავამთავრე კარგად ეს სასწავლებელი და ჩამრიცხეს თავიანთ ტექნიკურ პერსონალში. ვმუშაობდი და სამოცი ლარი დამინიშნეს ამ პატარა გოგოს. ჯერ არ ვიყავი გათხოვილი. დეპუტატიც გავხდი. რა ვიცოდი დეპუტატობისა, პოლიტიკისა არაფერი არ მესმოდა, რატო ამირჩიეს, არ ვიცი. მე, როგორც აქტივისტი, ისე ვიყავი არჩეული, როგორც დეპუტატი კი არა, როგორც აქტივისტი უმაღლესი საბჭოსი, რადგან უწლოვანო ვიყავი, წლოვანება არა მქონდა. მაშინ პარლამენტი არ ერქვა, საბჭო ერქვა თუ აღმასკომი. დღესაც მახსოვს, ლენინის მოედანზე რო დიდი მერიის შენობაა, შესასვლელები რომელ დარბაზში იყო, ეს შეხვედრები სად ტარდებოდა. იქით კიდე, რუსთაველზე, კვირაში ორჯერ ვესწრებოდი ქვეყნის საკანონმდებლო (ჩამარცვლით ამბობს) ორგანოს მუშაობას. ვიჯექი ჩემთვის ერთ კუთხეში,

ყველაზე პატარა გოგო. უფრო ბოლოში ვიჯექი ხოლმე და ის მახსოვს ძალიან კარგად, ეს დეპუტატები რომ ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ხოო, მაშინაც ეჯახებოდნენ ერთმანეთს, რომ აი, მაგალითად, რასა გავს სადგურის მოედანი, ხალხი ქუჩაში ათენებსო და ამისთანები. ესეთი ყვირილი და შეხლა-შემოხლა მახსოვს კარგად. მეც მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ ჩემ თავს როგორ მივცემდი უფლებას, რომ ესეთი პატარა გოგო ავსულიყავი ტრიბუნაზე და მეთქვა, ასეთ რამეებს ვხედავ მე, ასეთ შიმშილს, ასეთ გაჭირვებას-მეთქი. მე ამდენი გამბედაობა არა მქონდა. არც ისეთი უფროსი ვინმე არა მყავდა, რომ დავერიგებინე. ეს ოცდაჩვიდმეტამდე პერიოდი იყო. ოცდაჩვიდმეტში მე უკვე აღარ ვიყავი მანდა. მე ოცდაცამეტში თუ ოცდათხუთმეტში (იხსენებს) გავთხოვდი, ციცინო მყავს ოცდათექვსმეტში დაბადებული. ესე იგი, ოცდათხუთმეტში გავთხოვილვარ და ციცინო დამებადა 36-ში 8 ნოემბერს და ეხლაცა მყავს, ენაცვალოს დედა.

მოკლედ, საზოგადოებაში სახელი მქონდა. კარგი წრეც მქონდა. ჩემი ამხანაგები სულ დოცენტები და ნიჭიერები იყვნენ. გოგლა კორსაველი, ეხლახან მოკვდა, დიდი ხანი არ არი, გიორგი კარანაძე, ასევე დავით ყიფიანი, რომელსაც ძაან ვუყვარდი, იმ საწყალ ბიჭსა, ვახვახიშვილი სანდრიკა.. მოკლედ ძაან კარგი წრე მქონდა და სუყველა შემომყურებდა, რომ რაღაცა მომავალი მექნებოდა. ყველა ჩემ მასწავლებელსაც ეგონა, რომ მე რაღაცას მივაღწევდი. მერე რო გავთხოვდი, მერე უკვე რა... ამ ჩემს ქმარს არც ვიცნობდი, ვინ იყო და რა იყო. მაშინ ბინა არა მქონდა და ერთი უშვილო ნათლია მყავდა, მაგდანა და მაგდანა ნათლიამ შემიფარა. ნათლია იყო და ეტყობა, რო იცოდა, დედა აღარა მყავდა და დაობლებული ვიყავი, ძალიან ვეცოდებოდი. შეიძლება, მერე ვიფიქრე, ხელი იმიტომ შემიწყო გათხოვებაში, რომ მოვეშორებინე, უბინაოდ ვიყავი და ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ხოდა, მეც კიდე იქ რაღა მესაქმებოდა. მოკლედ, იმ ჩემმა ნათლიამ ჩემი ქმრის მშობლებს უთხრა: – მარიამ, – მარიამი ჩემ დედამთილს ერქვა, – ერთი კახელი გოგონა არის ჩემთან, კარგი დედ-მამის შვილია, კარგი დედა ჰყავდა, მამაც კარგი შეძლებული ჰყავს, შენ კი ბიჭები გყავს და წაიყვანე, გამოგადგებაო. დაიბარა ეს ჩემი დედამთილი და მამამთილი. ერთხელაც მოვიდნენ სტუმრად იქა. მე აზრზე არა ვარ, არა. სამნი მოვიდნენ, ჩემი დედამთილი ჩიხტიკოპით, ძაან ლამაზი ქალი იყო, ჩემი მამამთილიც კარგი ვერცხლის ქამარით, მაშინ ესე იყო მოდაში და ერთი შვილი მოიყვანეს – გიგა, ლამაზი ბიჭი, ისეთი ლამაზი, რომ არ შეიძლებოდა ვინმეს თვალი არ მოეტაცა. მაღალი, ლამაზი, მარტო ქოჩორი, თმები ჰქონდა ისეთი, რა... მე სახლში ვარ, მარტო ვზივარ კუთხეში ჩემთვის და ჩემ გაკვეთილებს ვკითხულობ, რა ვიცი, რას საუბრობენ ისინი იქა. დავინახე ის ხალხი, მაგრამ არ ვიცნობ, ვინ არიან. თურმე, ჩემ სანახავად არ არიან მოსულები! წავიდნენ ესენი და ლაპარაკობენ სახლში, რომ ვნახეთო, კახელი გოგოაო, მოვწონებივარ თურმე.

ჩემ დედამთილს კიდე ოთხი შვილი ჰყავს, სამი ბიჭი და ერთი ქალიშვილი, ჯერ ჩემი ქმარია უფროსი, მერე ეგ გიგა, რომელიც მოვიდა, და მესამე – ვახტანგი, ეხლაც ცოცხალია. ლაპარაკობენ და ეს ჩემი ქმარი, მეტიჩარა, იძახის: „ის ჩემი ბედია! გიგასი კი არა!“ მე ის ძმა მომწონდა, – ის არის ჩემი ბედიო! – არ მიცნობს, არ ვუნახივარ და – ჩემი ბედიაო, იძახის. მეტიჩარა რო იყო! (ბრაზდება).

ეხლა როგორ უნდათ, რომ გამომიჭირონ: ჩემი ტოლი გოგონა ჰყავდათ მაგათ, ძმისშვილი თუ ვიღაცა, ტაბახმელაში, კოჯორთან. ის გოგონა, ნინა ჩამოიყვანეს ამ ჩემ ნათლიასთან, ვისთანაც მე ვიყავი და ამ გოგონას საშუალებით წამიყვანეს და მომიყვანეს. ესე გამიცნეს და დამიახლოვეს. მერე დამპატიჟეს თავიანთ სახლში. ჩემი დედამთილი მაშინ კარგი შეძლებული იყო, კარგი ოჯახი ჰქონდათ. სახლში აცხობდა პურს. ყვითელი პური იყო, გეგონება ერბოში მოზელილი, ერთი რაღაცა ხორბალი მოდის მანდ, ბოლნისისკენ, თურმე ესეთი. ხოდა, მოკლედ, ასე დამხვდნენ. იქიდან გიგამ და ნინამ წამიყვანეს კინოში – პლეხანოვზე, კუთხეში რო არის დიდი კინო, ,,ამირანი'' თუ რაღაცა. ეს სოსო უკვე იქ არი, სოსო ერქვა ჩემ ქმარს. სწორედ იქ დავსხედით ჩვენ, უკან, ის რომ იჯდა თურმე. ხოდა იმ ბიჭმა კარგად დამინახა, გამაცნეს მერე, რო დამთავრდა კინო და ამ თავის ძმას ეუბნება და ამ ნინასაც, თქვენ წადით, სახლში მე უნდა გავაცილოო. არ იყო მეტიჩარა?! ხოდა იქიდან დაწყებული, პლეხანოვიდან, აი, ის კინო სადაც არი, ფეხით ავედით. სახლი კიდე, სადაც მე ვცხოვრობდი, სად იყო, იცი? ვარანცოვზე მაღლა უნდა ასულიყავი... არსენალზე. არსენალი ჰქვია იმ ადგილს. იქამდის გამაცილა ამ ბიჭმა თავისი ლაპარაკით – ვმუშაობო, ამას ვაკეთებ, იმას ვაკეთებო და როგორც კი ავედით, ჩემ ნათლიას ვეუბნები, ოო, რა გული შემიწუხა-მეთქი. ეს ჩემი ნათლია მელოდებოდა, იცოდა იმათთან რო უნდა წავსულიყავი. რომელმა გამოგაცილაო (იცინის) და სოსო ჰქვია-მეთქი. იმას ჩემი ეს საყვედური – რომ გამიჭირა საქმე-მეთქი, – გაუგია და სწყენია. იმის მერე აღარ გამოჩენილა თითქმის ერთი წელიწადი.

ერთხელაც, ესე გაპრანჭული (მიანიშნებს ისევ კედელზე გაკრულ ახალგაზრდობის სურათს) მოვდივარ რიყის ქუჩაზე. ჭაჭანება არავინ არის. ესე ხუთი საათი იქნებოდა საღამოსი. შორიდან ვხედავ, სამი ბიჭი მოდის, გიმნაზისტები არიან, პორტფელები უჭირავთ ხელში, სამივეს ერთნაირი ,,საროჩკები'' აცვიათ, ისინიც მხედავენ, მარტო გოგო რომ მოვდივარ. ეხლა ეს ბიჭები ეუბნებიან ერთმანეთს, არა მე უნდა გავუკეთო ,,ზადივანია'', არა მეო. ეცილებიან ერთმანეთს. ეს სიტყვები ასი წლისაა – ,,ზადივანია გავუკეთო'', ესე იგი რაღაცა უნდა გითხრას ისეთი, რა. ამასობაში მივუახლოვდი ამათ. რო მივუახლოვდი, არ მიცნო ამან, კაცო! (იცინის). მე კიდე ახალი კაბა მაცვია დაპლისული ,,იუბკით''. გამოპრანჭული ვარ და უფრო მოვეწონე. გავიხედე, მეორე დღეს არ დაერჭო იქა?!. იმის შემდეგ ოთხი წელიწადი დამდევდა. ეს ჩემი დათა კიდე არის გაგზავნილი დასავლეთ საქართველოში, ჩემი სურათი აქ წაღებული.

მოვიხედე და არ გავთხოვდი, კაცო! წამიყვანეს და როგორ წამიყვანეს. მე ბინა არა მაქ, არაფერი არა მაქ და მეუბნებიან, რო ჩვენთან იყიდება ბინაო. ამ ნინას დაათრევენ ჩემთან, იციან, რო უიმისოდ არსად არ წავალ მარტო და წამიყვანეს, კაცო! (აღშფოთებული ტონით) მშვენიერი ავტორიტეტი მაქ სოფლიდან ჩასულ გოგოს, მოვიხედე და გავთხოვდი თურმე. ქორწილი და რამე კი არა გვქონია, ამათ წამიყვანეს, ჩემმა დედამთილ-მამამთილმა. არ მინდოდა, რომ იმისი ბედი ვყოფილიყავი, ვიმალებოდი თითქმის კაი ოთხი წელიწადი. დამდევდა, ხან სადა და ხან სადა. ერთხელ დავინახე, რომ მომდევს, უცბად ერთ ეზოში შევვარდი თვალის დახამხამებაში, ღია იყო ეზოს კარები ვიღაცისა და იქ მოვეფარე. ვხედავ, ამან ჩაიარა და გაჩერდა, იძახის, კაცო, თითქოს მიწამ

ჩაყლაპაო. მეძება და ვერ მიპოვა. ესე ვემალებოდი, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ დავემალე. ჩემმა ქმარმა, ეს არის ჩემი ბედიო და მართლა გავხდი იმისი ბედი.

ახლა ისიც გავიგე, რო შვილი უნდა მეყოლოს. ისე გავთხოვდი, რომ წესიერად არ ვიცოდი, შვილი რომ უნდა მყოლოდა. ვიდარდე, ვიკალი თავი. ვივაგლახე, დედა! ეს რა გავაკეთე-მეთქი. სკოლა კი დავამთავრე კარგად, მაგრამ დავკარგე ჩემი სამსახური, დაიკარგა ჩემში ყველაფერი. ვივაგლახე ბევრი და ძალიან შეწუხდენენ, მე რო ესე ვდარდობდი. ვდარდობდი და ამასობაში გამიჩნდა ციცინო. გავიდა ხანი, პატარა მყავს ესა და აქა ვარ ჩამოსული, სოფელში. დათასაც იქ უკვე შვილი შეეძინა – ბიჭი. გაიგო, რომ გავთხოვდი და ბავშვიცა მყავს და ამოვიდა აქა და შემხვდა. თან სახრე უჭირავს ხელში, აი, ამ სახრით უნდა გცემოო. რატო უნდა მცემო-მეთქი? – შენ არ აპირებდი გათხოვებას და რატო გათხოვდი ასე ჩქარაო. მე ვუთხარი, შენც რა სასწრაფოდ დაქორწინდი, წახვედი და იმ წუთში დაეტაკე ვიღაცას და დაქორწინდი-მეთქი. ისე სწყენია ესა, ისე სწყენია, რომ დატოვა ის, მოიტაცა ბავშვი, ცოლს მოსტაცა და წამოვიდა, რომ მე უნდა წამიყვანოს. ეს ბავშვი დამალა თავის დეიდაშვილებთან ველისციხეში. გამოეკიდა ის ქალი, კაცო, ქმარი ჯანდაბას, მაგრამ შვილს ეძებს. არაფერი ეს მე არ ვიცი. დათა კიდე ისევ უკან ჩამოვიდა და მეუბნება: – დაანებე შენ ქმარს თავი, უნდა ჩემთან წამოხვიდეო. მე ვუთხარი: – მე მაგას ვერ ვიკისრებ, შვილი მყავს, ქმარი მყავს და თავს ვერ დავანებებ-მეთქი. შენ რომ კარგი ქმარი გყავდეს, ესე კატების ნათრევს არ დაემგვანებოდიო. ეს ნაგლახავები, ნადარდებელი ქალი, ესეთი ვიყავი (პირს აღებს, ლოყებზე იდებს ხელებს და შიგნით ეწევა), შევიცვალე სულ. ცუდია თუ კარგია, რაც ბედმა მომცა, ჩემი ბედი ესაა-მეთქი... მერე ცოლმა უნახა დათას ჯიბეში ეს პატარა სურათი. ვინ არის ესაო, ცოლს უკითხავს, და ჩემი პირველი სიყვარულიაო, უთქვამს. შეიძლება კიდევაც მომხდარიყო რაღაცა, ომი რომ არ დაწყებულიყო, დათა ომში რომ არ წასულიყო და არ დაღუპულიყო იქა. ქმარი არ მიყვარდა, რატო იცი? ასე ძალით რატო მომატყუეს, იმეტიჩრა. მე იმისი ძმა, გიგა მომწონდა. მარა რახან ესე მოხდა, მერე შევეჩვიე. იმის შემდეგ სულ ვჯახირობ და ვჯახირობ. ჩემმა ქმარმა დაამთავრა ვეტერინარული ინსტიტუტი, ვეტექიმი იყო, ეს ჩემი მაზლიც ვეტექიმი იყო. კერძო სახლი ჰქონდათ და არა უშავს, ცხოვრობდნენ, ლუკმა-პური არ უჭირდათ. ბინაც მქონდა, თავშესაფარი. მერე ბავშვმა ცოტა გამომაცოცხლა. თავიდან თავს ვიხრჩობდი, რა დროს შვილი იყო-მეთქი, მარა დედა როგორც კი გავხდი, ისე შევიცვალე, სულ გარდავიქმენი, სულ სხვანაირად შევიცანი ეს ქვეყანა. ხო ვიკალი თავი, არა, ეხლა კი, ამ სიბერეში, ვფიქრობ, თურმე რა ბედნიერება ყოფილა, რა კარგი გამიკეთებია, რომ შვილი გამიჩენია. აკადემიკოსიც რომ გავმხდარიყავი, იმას მირჩევნია, რომ შვილები მყავს. ეს რა კარგი რაღაცა ყოფილა თურმე. ეს რა ბედნიერება მომსვლია და მე ამას არ ვაფასებდი.

ხო, მერე დიდები გავხდით. ჩემი ძმა, გოგი, უკვე სტუდენტია, ამთავრებს, მე უკვე ოჯახი მაქვს და შვილი მყავს, ციცინო, ოთხი თუ ხუთი წლისა და ვთქვით, ჩვენ უკვე დავიზარდენითო, ვანუგეშეთ ერთმანეთი, რაც იყო და როგორც იყო, გავაგრძელოთ ჩვენი ცხოვრებაო. მამაჩემიც გახარებული იყო, ეს ობოლი ბავშვები როგორღაც დაიზარდნენ, კარგად, ჯანმრთელად ვართ, ყველას გვეტყობა კოჭებში, რომ მშრომელები და კარგები ვიქნებით.

ამ დროს რადიომ გამოაცხადა, „ხალხო, ომია გერმანიასთან!“ თოფივით ხმა გავარდა მთელ ჩვენს ქვეყანაში. წვევამდელი ბიჭები, ომამდე ვინც იყო წასული, იმ საღამოსვე ჩაიხოცნენ იქა. ყველას მობილიზაცია გაუკეთეს, მთელ ახალგაზრდობას, სუყველა უნდა წავიდეს ფრონტზეო! უკვე ივნისია, ჩემი ძმა სტუდენტია, თანაც გამორჩეული სპორტსმენი, მოსკოვის ოლიმპიადების მონაწილე, დროშები რომ უჭირავთ, სუ ყოველთვის მონაწილეობდა იქა. მოკლედ ძაან კაი ბიჭი იყო, შესანიშნავი. ხოდა, ამ სტუდენტებმა გამოაცხადეს, რომ აბა, ჩვენ ქვეყანას უჭირს, რისთვისა ვართ, წავიდეთ ერთად სუყველაო. მთელი ფიზკულტურის ინსტიტუტი, ეს მშვენიერი ვაჟკაცი ბიჭები, ერთბაშად წავიდნენ ომში, კომისარიატის გამოძახებას არ დაელოდნენ, რა დროს გამოძახებაა, ქვეყანას უჭირს, უნდა წავიდეთო.

მოვიდა გოგი ჩემთან: თამარა, ესეთი ამბავია, ომი დაიწყო, და მივდივართ მთელი სტუდენტობა ერთადო. მე ვუთხარი: რატო მიდიხართ ჯერ, შენ ხომ არ გგონია, იქ კაკლებს ისვრიან, ტყვიებს ისვრიან-მეთქი. მოიცადე ცოტა ხანი, ერთი ფეხით უკან დადექი. როცა გამოგიძახებენ, მაშინ წადით-მეთქი. – არა! ქვეყანა მიდის და მე რო ეხლა ჩამოვრჩე, მაგას ვერ ვიზამო. ოცდაერთ ივნისს გამოცხადდა ომი და ეს ბიჭები, აგვისტოს ათი იყო, რომ წავიდნენ. ეშელონი რო დაიძრა, მითხრა, თამარ, ჩემს ჩამოსვლამდე, აიყვანე ციცინო და წადი, მამაჩემთან იყავი, არ ჩამოადგა ფეხი თბილისშიო. ნუ გეშინია, ეს ომი დიდხანს არ გაგრძელდება, ბევრი-ბევრი ოთხი-ხუთი თვე გაგრძელდესო. ეს ჩვენი ქვეყანა, დამშეული ქვეყანა, გერმანიას აჯობებდა? სანამ მე იმ კურსებს გავივლი (მოსამზადებელ კურსებზე მიჰყავდათ კუიბიშევში და მერე იქიდან ნაწილდებოდნენ წინა ხაზზე), იქამდე დამთავრდება ეს ომი და არ მომიწევს წინა ხაზიო. მოკლედ, ჩავიდა კუიბიშევში, იქიდან წერილები მომდიოდა, ძალიან კარგად ვიმგზავრე, კარგადა ვარ, არაფერი არ იფიქრო ჩემზეო, მარა ომი ოთხი წელიწადი გაგრძელდა, მერე ჩემი და გათხოვდა, იმისი ქმარიც ხუთი თვის მერე წაიყვანეს ჯარში, ფეხმძიმე დარჩა, შვილი შეეძინა, თამაზი. წლინახევრისა გაუხდა ეს ბავშვი და დაეღუპა გაჭირვებით, შიმშილით...

უკვე ვშიმშილობდით. მამაჩემი მაინც შრომობდა, არ შეუწყვეტია თავისი შრომა. ხალხმა კი შეწყვიტა შრომა, აღარც დათესა, აღარც მოხნა, მაინც ომიაო. წავიდა ხალხი, ჯერ ერთი, ვის უნდა დეთესა და მოეხნა. ქალებიღა დარჩნენ, ოჯახი, ბავშვები, სად შეეძლოთ?! მამაჩემმა, როგორც შეეძლო, მაინც გააგრძელა ხვნაც, თესვაც, შრომა არ შეუწყვეტია. მამას არ შეეხო ომი (არ გაუწვევიათ), ერთი შვილი ხო გაგზავნა ფრონტზე, მერე კიდე, ისედაც არ შეეხებოდა, ალბათ, რა ვიცი.

ომის დამთავრებამდე ორი წლით ადრე, გერმანია რომ მოიწევს ჩვენს ტერიტორიაზე, და არის ქვეყანა აღშფოთებული... ერთი დიქტორი იყო, – მერე ის დიქტორი ჩვენ ტელევიზიაში გვაჩვენეს, – იცი, როგორი ხმა ჰქონდა, გერმანია ეუბნებოდა, მომყიდეთ ეს კაციო (ლევიტანზე ამბობს). ისეთი ხმა ჰქონდა, ერთ რამედა ღირდა. ის გადმოსცემდა ხოლმე ამ ფრონტის ამბებს, ხოდა საშინელი მდგომარეობაა და ბოლოს გამოაცხადა სტალინმა: ჩემო დებო და ძმებო, ჩემო სამშობლო, ომი ხანგრძლივი იქნება, მალე არ დამთავრდება, ფრონტზე იბრძვიან თქვენი ქმრები, თქვენი შვილები, დავეხმაროთ ქვეყანას, ძალიან უჭირსო. ისეთი ამაღელვებელი სიტყვები იყო, ეხლა კიდე იმდენი არ მახსოვს, რაც სტალინმა მაშინ გადმოღვარა. აღფრთოვანდა მთელი ქვეყანა. როგორ, – მამაჩემმაცა თქვა,

– შვილი ომში მყავს და მეც აქ უნდა ვიშრომო, ვიშოვო რაღაცა, რომ დავეხმარო ჩემს ქვეყანას, ჩემს შვილსაო. გამოიძახა რაიკომის მდივანმა და უთხრა, – ნიკო, ასეთი ამბავია ამ სტალინის გამოსვლაზე და შენ რა აზრისა ხარ, გამოეხმაურები ამ ამბავსაო? მამაჩემმა უთხრა, დიდი სიამოვნებით გამოვეხმაურებიო. ჩემ ნაშრომს, სახლსაც კი გავყიდი, წლევანდელ ნაშრომს, შარშანდელსაც, ყველაფერს გავყიდი და დავეხმარები ჩემ ქვეყანასაო. დამეხმარეთ, ოღონდ, რომ ჩემი პროდუქტები გავყიდოო. ციხისთავი იყო მაშინ რაიკომის მდივანი, უთხრა, გამოგიგზავნი მანქანას და შენი პროდუქტებიანად წადიო. ამ მანქანაში დაეზიარა კიდე ლადიკო მგელაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჭიკაანელი კაცი, დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. იმანაც ბევრი შესწირა საქართველოს, დაეხმარა, მარა იმას იმდენი არ ჩაუთვალეს, რახან ის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მამაჩემს კი ჩაუთვალეს, იმიტომ რომ ეს იყო საკუთარი შრომით მოპოვებული თანხა.

მოკლედ, სტალინის გამოსვლის შემდეგ მამაჩემმა მოაგროვა ფული, გაყიდა აეს საათი რომ ჰკიდია „ცეპიანი“ დედაჩემს გულზე (კედელზე გაკრული დედის სურათზე მიმითითებს). მამაჩემმა რომ გაგვინაწილა დედის ოქრო, გოგის შეხვდა ის საათი. ელოს ბრასლეტი შეხვდა, მე – ქინძისთავები. ხოდა, გაყიდა მამაჩემმა ეს საათი, იმ თანხას შეუერთა, რომ დედის ხელიც ყოფილიყო ჩარეული შვილის დახმარებაში (ცრემლი მოსდის, ხმა ეცვლება). სამოცდახუთმეტი ათასი ჩარიცხა ბანკში მამაჩემმა. გაიგო ეს სტალინმა, მთელმა საქართველომ გაიგო, რომ არის კაცი ესეთი, რომ ერთი შვილი გაგზავნა ომში და თანაც ამდენი ქონება შესწირა ქვეყანას. უწოდეს ჯარისკაცის მამა, პატრიოტი. გაზეთები მაქ დარჩენილი, მოკლედ დიდი ამბავი იყო. აღფრთოვანებულმა სტალინმა, გახარებულმა, რომ ასეთი ვინმე მყავსო, თავისი საკუთარი მოკითხვა და მადლობა დეპეშით გამოგზავნა. მოკლედ, მამაჩემმა შეიტანა თანხა, რაიკომმა ხელი შეუწყო, რომ თბილისში ჩამოეტანა, გაყიდა ყველაფერი და შეიტანა სამოცდახუთმეტი ათასი თუმანი. ეს მაშინ დიდი თანხა იყო. ესე იგი, ეს იყო სატანკო მშენებლობის ღირებულება, რახან ტანკისტი იყო მისი შვილი, ასეთი შინაარსი მისცეს, ტანკი უყიდაო. თითონ პიროვნებაც იყო ისეთი, რომ აინტერესებდა ქვეყნის ამბავი, თორე არიან ადამიანები, რომ თავიანთი ჯიბის მეტი არა იციან რა. იმიტომ ვიძახი, რომ ასეთი ხალხი არ უნდა იკარგებოდეს ცხოვრებაში, კაცმა მოაკლო თავის ოჯახს – არ შეიძლებოდა რომ ჩვენთვის მოეხმარებინა ეს თანხა?! ჩემმა დამ როგორ გაჭირვებაში გაატარა ომიანობის პერიოდი! შიმშილი, გაჭირვება, რა არ მოგვაკლო მამაჩემმა?! მაგრამ პირველ ადგილზე ქვეყანა დააყენა. მერე ჰკითხეს, რას ისურვებ, რომ ერთი თხოვნა შეგისრულოთო. პენსიას დაგინიშნავთო. არა, პენსია არ მინდაო, ეხლა ქვეყანა გაჭირვებულია და სადა აქ იმდენი, რო პენსიები მიხადოსო და არც მიჭირს ისე, არ მინდაო. მარტო იმას გთხოვთ, რო შვილი მაჩვენეთ ერთი კვირით მაინცო, ჩემი ერთადერთი შვილიო, იმისი ნახვა მინდაო.

კარგიო, მაგ სურვილს შეგისრულებთო, სამხედრო კომისარიატმა უთხრა და რაიკომმაც. დაიბარა კომისარიატმა, – ნიკო ბიძია, ჩამოდი კვირას, – თუ რომელიღაცა დღე დაუნიშნა, – აქ, ჩვენთან, კომისარიატში, თორმეტ საათზე გამოცხადდიო. გამოცხადდა მამაჩემი ზუსტად იმ დროს. ამ კომისარიატმა დააწვინა საავადმყოფოში მამაჩემი, იქ გაუკეთეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო. შეუდგინეს მთელი დოკუმენტაცია ისე, რომ იქ, ნაწილში გააგზავნეს, ვითომ მამა

იყო ავად და ეს შვილი უნდოდა ჩამოეყვანა ფრონტიდან აქა, ესეთი დოკუმენტაცია გაუკეთა, თითონ აჩვენა მთავრობამ. ჩავიდა ეს დოკუმენტაცია ათში და რვაში დაბომბილა ეს ნაწილი, სადაც დაიღუპა ჩემი ძმა. წერილებს რომ ვწერდით ერთმანეთს მე და ჩემი ძმა, ბოლოს ციცინოს სურათი გავუგზავნე. სამი წლისა მყავს, ლამაზი, ჩემი მოქარგული წინსაფარი უკეთია, ხელზე მყავს და ისეა გადაღებული. ლამაზი სურათი იყო. გოგის ძალიან უხაროდა, რომ მე მაინც მყავდა შვილი. აი, ეს სურათი დარჩა ჯიბეში ფრონტზე, რო დაიღუპა. შემდეგ ნაწილსაც გაუგია მაინც, მერე გავიგე, რო ერთ-ერთ ჩვენ ჯარისკაცს მამამ ესეთი რამე გაუკეთაო, ტანკი უყიდაო. ამაზე მამაჩემს გადაუღეს დოკუმენტური ფილმი. სცენარისტი იყო ეთერ ჯაფარიძე და დოკუმენტალისტი იყო შალვა ჩაგუნავა. ერთი კვირა იყვნენ ჩემთან. გადაიღეს მამაჩემი. ეს სურათები იქიდან არის (ხნიერი კაცის კედელზე გაკრულ ორ სურათზე მიუთითებს), იმ ფილმიდან გადმოღებული. მაშინ მამაჩემი ოთხმოცისა იქნებოდა. მამაჩემს ლინფომა აი, ამხელა გაუხდა (კისერთან იდებს მობურთულ ხელს). ოთხჯერ ჰქონდა მოკვეთილი... ექიმებმა თქვეს მერე, ეს ცენტრალური ნერვის მოშლა არისო. პროფესორები რომ შევკრიბე და ვთხოვე, უშველეთ რამე, ეს ისეთი ადამიანია-მეთქი, რა არის, რა არისო და მერე თქვეს, ეს არისო სარკოლიმფომა, რომელიც არ მოგკლავს, მაგრამ ასე გაგაწვალებსო. ამოკვეთა უნდა ხოლმეო. იკვეთავდა ყოველ წელიწადს. ლენინგრადშიც იყო მამაჩემი წასული. მეხუთე წელს ვეღარ გაბედა ექიმმა. ამიტომაა ამ სურათებში სულ პროფილში, ამ დროს უკვე დიდი ჰქონდა. გადაღებები აქ მიმდინარეობდა, მთელი სოფელი მეხმარებოდა იმათ გამასპინძლებაში. კოლექტივიდან მოჰქონდათ თითონ გამზადებული ქათმები, ღვინო ან პურმარილი. ფილმი მამაჩემზეა, მაგრამ იქ მეცა ვარ, დედაჩემის სურათიც; დედინაცვალი ნაწყენი დამრჩა, რატო მეც არა ვარო. ცოლად, ქალბატონოო, – რეჟისორმა უთხრა, – ითვლება შვილების დედა ვინც არის, ისაო. მერე ფირი ვთხოვე, ერთი ცალი იყოს ჩვენს რაიონში, რომ, როცა დამჭირდება, გამოვიყენო-მეთქი. ხოდა, ჩამომიტანეს, გამომიგზავნეს. ყვარელსა ჰქონდა. ყვარელმა ათხოვა ვიღაცა გადამთიელს, გადამთიელს ვეძახი, აბა რა უფლება ჰქონდა ვიღაცას, რომ კადრი დამიხია და გამიფუჭა. რატომ? მამაჩემის ბიძაშვილის ინტერესი ჰქონდა? იმაზე ეყარა ჯავრი, მე რა შუაში ვიყავი. მერე ის კაცი ღმერთმა დასწყევლა, ფეხი მოსტყდა თუ რაღაცა, განგრენა დაემართა და მოკვდა. ის ფირიც იმასთან ერთად ჩაიყლაპა. ეხლა ჩემი შვილი მეუბნება, ტელევიზიით დილის რვა საათზე ჰიმნი როა, იქ უჩვენებენ ხოლმე პაპას სურათსო, იმ ფილმიდან კადრებსო. კარგი კაცი იყო და იმიტომაც ყველას უყვარდა მამაჩემი, დიბირაანთ ნიკო.

აი, ჩვენ დიბირაანთ რატო გვეძახიან: ლეკიანობა როცა იყო, ეს იყო მეთვრამეტე საუკუნე, ლეკები რომ გადმოდიოდნენ და აწიოკებდნენ ამ ქვეყანას, სოფელს, ყველა ოჯახს ერთი ლეკი ჰყავდა დამეგობრებული, დაყონაღებული. ყონაღობა არის მეგობრობა. ჩვენ ოჯახსაც ჰყავდა ყონაღი, დიბირა რქმევია. დიბირაანთ იმიტომაც გვეძახიან. ილია ჭავჭავაძესაც ჰყავდა ესეთი ლეკი. დაცული იყო ის ოჯახი ლეკებისაგან, სადაც იყო ყონაღი. მამაჩემიც მეგობრობდა ლეკებთან. მახსოვს ერთი შეფია იყო, მამაჩემის ძმაკაცი. ძაან კარგი, კულტურული ლეკი, გაქართველებული, ყველას უყვარდა, მაგრამ მოკლეს ეს შეფია. ერთხელ, თივისკენ (ავარელთა (ლეკთა) სოფელია სიახლოვეს, კახეთში) მიდიოდა, კაცო,

მამაჩემის გვერდით. ისე როგორ ისროლა, ჩასაფრებული როგორ იყო მკვლელი, რომ ისეთ ადგილზე მოარტყა ტყვია, იქვე გადაგორდა ეს კაცი, ეს შეფია. ვინ მოკლა, ვინაო, და მამაჩემსაც გამოუძახეს. როგორ მოხდა, შენ ხომ არ მოკალიო, – შეკითხვები იყო ესეთი. მამაჩემს როგორ უნდა მოეკლა, კაცო, ერთად მოდიოდნენ, გვერდიგვერდ, საუბრით მოდიოდნენ და იმას მოხვდა ის ერთი ტყვია.

მერე გავიდა რამოდენიმე წელი, გაიგეს, რომ ვიღაცა შესყიდულმა ლეკმა მოკლა. ეს შესყიდული ლეკი იციან, ვინც არის და როგორიც არის. მაგრამ ის, თუ ვინ შეისყიდა, ეხლახან გავიგე აი, დიდი ხანი არ არის. მაშინ საიდუმლოდ დარჩა ეგ საქმე. თურმე რა ყოფილა: ერთ-ერთი, ბიცოლად მეკუთვნის მე, ის ბიცოლა, ადრე მანდ საცხენოში (ახალსოფლის მეზობელი სოფელია მდინარის გადაღმა) დაბანაკებული რომ იყვნენ პოლონელი ჯარები, ეს ბიცოლაჩემი ყოფილა მაგათი რძალი, მაგ პოლონელების. სამხედრო პირი ყოფილა კაცი და მათი რძალი ყოფილა ეს ბიცოლა. მანდ, გალავანში, ეხლაც არის ჯარი დაბანაკებული, მაგრამ მე ნიკოლოზის ამბავს ვამბობ ჯერ კიდევ. ამ ჩემი ბიცოლას ქმარს საყვარელი ჰყოლია და ეს ქალი, ბიცოლაჩემი, გამწარებული ყოფილა ძალიან, რომ ქმარს საყვარელი ჰყავსო. ისიც ადგა და საყვარელი გაიჩინა – თავისი ყონაღი ლეკი. გაფრინდა ხელად ეს წლები, ეს კრიმინსკიც მოკვდა, კრიმინსკები ყოფილან გვარად და ეს ქალი გათხოვდა სხვა კაცზე, დაიშალა ეს ოჯახი. ამჟამად ნარჩენებია ამ ოჯახის, ნათესავები დარჩნენ. ეს ქალი რომ გათხოვდა, ლეკი საყვარელი დამუქრებია, მე შენ რატო მიღალატე, მოგკლავ იცოდეო. მე ეს აუცილებლად მომკლავს, ლეკებმა ასე იციანო, – ამ შიშის ქვეშ იყო ბიცოლა. ლეკიც უთვალთვალებს მომენტს, რომ მოკლას ეს ქალი. ამ ქალმა თქვა: მოდი მე მოვკლავ პირველად, რომ გადავრჩე ამ ამბავსაო. ქმარს ეუბნება: – საბა, საბა ერქვა, – გადაკიდებული მყავს ეს ლეკი, მემუქრება სიტყვით და მოდი, რა, შემიწყე ხელი, დავპატიჟებ მე იმას სახლში, მოველაპარაკები და თან მივაწოდებ რაღაცეებს, ესე, ესეო და როგორმე მოიყვანე ჩვენს სახლამდეო. კარგიო, – საბას უთქვამს. საბამაც დაპატიჟა ეს ლეკი, ხოდა, ეუბნება ეს ბიცოლაჩემი, – მე შენ არ გიღალატე, მართალია, ასე მოხდა, მაგრამ მე შენ ისევ მიყვარხარო... მოკლედ, ასე მოთაფლა და ამ დროს ჩაუყარა ღვინოში საწამლავი. მოერია ჩქარა, ისეთი რა ჩაუყარა, არ ვიცი, და ამ ჯვარედინაზე რომ გამოიყვანა აქა (ხელით მიანიშნებს სახლის გვერდით გზაჯვარედინზე), ეს კაცი დაბარბაცდა უკვე და ცუდად გახდა. უყურე შენ, მომკლა იმან, მომწამლაო. ხოდა, როგორც იქნა, მიბარბაცდა სახლამდის, ის სახლი ეხლაც არსებობს, ვიცი, სადაც არის. მივიდა და შეფიას უთხრა, ბიძა ყოფილა, მე მავანმა მომწამლა და ვკვდები ეხლა, კაცი ცოცხალი აღარა ვარო. იცოდე, რომ იმან გამიკეთა ეს ამბავიო. ეს შეფია გაბრაზებულა და ბიცოლაჩემისთვის უთქვამს, დედას გიტირებ შენაო, ამას არ გაპატიებ და შენ სისხლს ავიღებო. ხოდა იმ ქალმა მოისყიდა ლეკი, ერთი ლიტრა ხორბალი მიუცია თურმე, ესე იაფად კლავდა კაცსა აეს ლეკი, პაცანა ერთი, მაიმუნი, მოისყიდა ამ ბიცოლამ და მოაკვლევინა შეფია, რაკი დაემუქრა, მოგკლავ მე შენაო. ესე იგი ორი კაცი მოკლა, რა, ამ ქალმა. რა ოხერი ქალი ყოფილა!.. ეს სულ ორი სახლის იქით მოხდა, არადა ის ქალი მღვდლის ჩამომავლობისა იყო. ასე იყო იმის სიკვდილის ამბავი. ყველას გული დასწყდა, ძალიან კაი კაცი იყო ის შეფია. მეც მახსოვს. თუში ქალი ჰყავდა ცოლად

შერთული და გაქართველებული იყო. ყოველ გარდაცვალების დღეს მამაჩემი და მისი ამხანაგები უღნიშნავდნენ საფლავზე. აი, სურათიცა მაქვს (საოჯახო ალბომში ეძებს სურათს. პოულობს, ათვალიერებს). შეფიას საფლავზე არიან მაშინდელი ახალსოფლის წარჩინებული ადამიანები. ეს არის მამაჩემი, ეს იოსკა, ეს ლადიკო – კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ეს ჯემალი წყალობაშვილი, კაი მთქმელი, მოლექსე. ეს ღვინოა, ტიკჭორები იყო მაშინ, ქვაბები. უყურე, დედალიც როა ფეხებაშვერილი. ესეც შეფიას საფლავზე (მეორე სურათი). კიდევ სხვა სურათებიცა მაქვს შეფიასი. მერე, ამ ქალმა, ბიცოლაჩემმა – შეიძლება ასე ითქვას, ეს მეორე ცოლი იყო ჩემი პაპისა, მამაჩემის ბიძისა, – იმან აღსარებასავით თქვა ერთ-ერთ ვინმესთან, თავის რძალთან. აღსარება გამოუვიდა, რა. თურმე უნდა თქვა ვინმესთან, რომ ცოტა განიტვირთო სულიერად. ის ქალიც რომ მოკვდა, ეს ყველაფერი მერე გავიგეთ, გვიან, მამაჩემიც ვერ მოესწრო. ჩემამდე ვერავინ ვერ მოესწრო ამ ამბავს. აი, როდინდელი ჩამარხული ბოროტებაა.

სხვა დაღესტნელ ლეკებთანაც მეგობრობდა მამაჩემი – ახალა მაგამედოვთან, ჰაიბულა ზაგირხანოვთან და რა ვიცი, ბევრთან. ეს მათთან ჩასული ქართველები, რომლებიც გადი-გამოდიოდნენ და ცვლიდნენ ერთმანეთში ღვინო-არაყს ყველზე ან საქონელზე, მატყლზე, თუ ვინმე ნიკოს სახელს ახსენებდა, რომ ნიკოს ნათესავია, ან თანასოფლელი, უნდა იცოდეთ, რა სიყვარულით, გულითადი პატივისცემით მიიღებდნენ ამგვარ კაცს. ასე ეტყოდნენ, ნიკო ჩვენი ძმაა და მისი ნათესავები და თანასოფლელები ჩვენი ძმები არიანო. ახალა მაშინ რაიაღმასკომის თავჯდომარე იყო, დიდი თანამდებობის პირი, ლეკებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ქართულიც იცოდა და კაი მეგობრული კაცი იყო.

მერე მეორე პირი ცოლ-შვილით კახეთში ჩამოვიდა საცხოვრებლად. დასახლდა სოფელ თივში, როგორც ბევრი სხვა. აქ სოფელია, თივი ჰქვია, აქ ჩამოვიდა. ძმობა ჰქონდა შეფიცული მამაჩემთან, გოგია იაშვილთან, იოსებ დემეტრაშვილთან, საშა შიუკაშვილთან... ახალას ქართველმა მეგობრებმა ქართულ უბანში ვენახი გააშენებინეს, მოვლაც ასწავლეს, ერთი სიტყვით, ბოლომდე დარჩნენ ერთგულ მეგობრებად.

ოთხმოცდაცხრა წელი იყო, ახალა და მისი მეუღლე აბადათი სტუმრად მოვიდნენ, მომიკითხეს და მოვიკითხე. მადლობა გადამიხადეს, ჩემო ძმისშვილო თამარ, მადლობა, რომ მამაშენის კერიაზე სინათლე არ ჩააქრეო. ბევრი მოვიგონეთ, – მამაჩემის ნადირობა დაღესტნის მთებში. ამ საუბრის დროს ეზოში შემოვიდნენ ახალას შვილები – ხაჯიმურადი და ხაჯიალი, ძმისშვილი ზაგირა მაგამედოვი და მეორე ცოლი ჯამარათი ამაშუკელი. კოწია ამაშუკელის რძალი. მე გამიკვირდა, ჯამარათი, შენ საიდანა გაქვს ქართული გვარი-მეთქი. ჩემი მეუღლე შვილია კოწიასიო. კოწია ხარაგაულიდან არის, ელგუჯა ამაშუკელის ბიძაშვილია, დიდი ხნის წინათ გამოქცეულა ხარაგაულიდან და ლეკებთან შეუფარებია თავი. ლეკის ქალიც უთხოვია, ფატიმა, ლამაზი ქალი ყოფილა, მაგრამ ადრე მოჰკვდომია, შვილი არ დარჩენია მასთან. მეორე ცოლი უთხოვია, რომელსაც ნუცა რქმევია, იმ ნუცასაც დედა ქართველი ჰყოლია. ნუცასთან ერთი ბიჭი და ერთი გოგო ჰყოლია, აი, იმ ბიჭის ცოლი ვარ მე, ჯამარათიო. კოწია 1962 წელს დაღუპულა, მისი შთამომავლობა კი აგრძელებს ამაშუკელების გვარს ლეკებში. როგორ მინდოდა, ერთხელ დამერეკა ამაშუკელებთან და ეს ისტორია იცოდნენ თუ არა,

გამეგო და ვერ მოვახერხე. მერე იმ ახალგაზრდებს ვკითხე, ნაწყენები ხო არა ხართ ქართველებზე-მეთქი. – არაო, არა ვართ ქართველებზე ნაწყენები, მამაჩემი ბეშტაში ცხოვრობდა და აქ თოფითა და ხმლით კი არ ჩამოვიდა, ქართველი მეგობრების სიყვარულითაო. საქართველოსთვის ყველაფერს გავაკეთებთ, ოღონდ მშვიდობა იყოსო. დღეს მოვილაპარაკეთ, აჭარელებს ჩვენს გვერდით აუშენებენ სახლებს, და ვთქვით, რომ ჩვენ, ახალგაზრდები მივიღებთ მონაწილეობას მშენებლობაში უფასოდაო. ერთმა სარუსოს (სოფელი კახეთში) ლეკმა შეგვარცხვინა, სახელი გაგვიტეხაო.

ეს სარუსოს ლეკის ამბავი კიდე რატო ახსენა: კომუნისტურ პერიოდში, კარგად მახსოვს, საქართველოს ტერიტორიიდან გაასახლეს გერმანელები, ქურთები, ლეკები და სხვები, ქართველები დასახლდნენ ეხლანდელ მთისძირში და ახლაც ქართველები ცხოვრობენ იქა. დანარჩენი სოფლები – თივი, ჩანთლისყურე, სარუსო – აღიგავა პირისაგან მიწისა. გავიდა წლები, ზუსტად აღარ მახსოვს, ორმოცდაჩვიდმეტი წელი თუ ორმოცდახუთმეტი წელია, ალიხა ავაზაშვილის (რაიკომის მდივანი იყო ყვარელში) დროს ჩამოასახლეს ჩეჩნეთიდან და დაასახლეს თივში, მრავალცოლიანები რომ არიან, მალე გამრავლდნენო. ამ შემთხვევით ისარგებლეს რაიონის ხელმძღვანელებმა და ყიდეს და ყიდეს ქართული მიწები ლეკებზე. ლეკის ქალები ტრაბახობდნენ, ერთი გუდა ყველი, ერთი ჭედილა – სახლიც არი და მიწაც არისო. მთელ გამოღმა ალაზნის ველს გაიტანდნენ და დაიჩემებდნენ კიდეც. ერთხელ მოინდომეს მაგათ ეგ საქმე, მაგრამ ერთ დღეს ხმა გავარდა – ერთმა სარუსოს ლეკმა ქართველი კაცი მოკლა, გულღვიძლი ამოაცალა და მწვადები შეწვა, თან დაიქადნა, ალაზნამდე კახეთი ლეკებისაა, ქართველები ყოველ კვირა უნდა დავხოცოთო. აი, ამ ამბავმა აშალა ეროვნული შუღლი, დიდი ბზარი გაჩნდა. დადგა საკითხი, რომ ლეკებმა უნდა დატოვონ კახეთის მიწა, დაბრუნდნენ თავიანთ დაღესტანში. სოფელი სარუსო ყველამ დატოვა, ასევე თხილისწყაროც და ჩანთლისყურეც. თივის ლეკები ცოტა უფრო მეგობრული და სხვა რჯულის ხალხია, განსხვავდებიან სხვა ლეკებისაგან. აი, ჩვენ სოფლებს შორის ავანის ხევზე ხიდი გადეს, ეხლაც არის ეს ხიდი და იქით-აქეთ გადი-გამოდიან ერთმანეთში. ქართველებიდან ყველას მეგობრობა ჰქონდა მაგ თიველებთან. სუყველას, თითქმის ყველა ოჯახს და განსაკუთრებით მამაჩემს. ხოდა ამ სარუსოს ლეკზე ამბობდა, შეგვარცხვინაო. ჩვენ ავარიელების სახელით მოვითხოვეთ, განცხადებებიც შევიტანეთ რაიკომში, მილიციაში, „ლიტერატურულ საქართველოში“, რო ჩვენ თვითონ დაგვესაჯა მკვლელი, მაგრამ მილიციაში ჩავარდნილი კაცი ჩვენი აღარ არისო.

მერე ახალა მეუბნება, თამარ, მოგიყვები ერთ ძველ ნათქვამ ამბავს, ეს ამბავი მამაშენმა ნიკომაც იცოდა და სხვებმაც, რომ ჩვენი მეგობრობა ქართველებსა და ლეკებს შორის რამოდენიმე საუკუნის წინათაც ყოფილაო, ხო, მტრობაც იყო და მეგობრობაც ჰქონიათო. ამ მოკლე ხანში კი ეს ამბავი „კრასნაია ზნამიაში“ ავარული ენით იყო დაწერილი, რომელსაც ეხლა მოგიყვებიო.

დაღესტნის ტერიტორიაზე, ფარატის ქვემოთ და არწუხის ზემოთ არის დაცემული მინდორი... ...ალია ამ წყალთან მისულა დასალევად, ამ დაცემულ ღობეშემოვლებულ მინდორზე კარვები ჰქონია გაშლილი თამარ მეფის ამალას, ამალაში იყვნენ თამარ მეფის სეფე-ქალები, მზარეულები, მომღერლები, მუსიკოსები,

ილხენენ, ცეკვავენ და ფუსფუსებენ. ალია ახლო მივიდა კარვებთან. ამალიდან ერთ-ერთ სეფე ქალს ძალიან მოეწონა ალია. – მეფეთ-მეფეო თამარ, ჩვენს კარვებთან ახლოს მოსულია ერთი ზარბაზანივით ლამაზი ახალგაზრდა კაციო. ზარბაზანივით იმიტომა ვთქვი, რომ მაღალ კაცზე ზარბაზანივითაა, ამბობდნენ. ალია მისულა თამართან და უთქვამს, ვინა ხართ, რა ამბავია აქა, საიდან მოხვედითო? თამარ მეფეს უპასუხნია, დახმარების სათხოვნელად მოვედით, თავის გადასარჩენად, სისხლით არის დაცლილი ჩემი საქართველო, კახეთი და მეზობელთან ვარ მოსული, დახმარება მინდა ვთხოვოო. ეს ამბავი XII საუკუნეში მომხდარა, აი, როდინდელია... ალიამ უთხრა, ეს როგორ არის, თუ მწუხარებაა, რატო მღერიხართ, ეს ხომ სიხარულს ნიშნავსო. თამარმა უპასუხა, ესენი არიან ჩემი მოსამსახურეები, ზოგი ჩემი ყმაა, ამათ რა დარდი აქვთ ქვეყნისაო. ალიამ: რა გინდა ეხლა ჩემგან ან ჩემი ხალხისგანაო? თამარმა თქვა: დამეხმარეთ ჩემი საქართველოს, ჩემი კახეთის გადარჩენაშიო. შაჰი დაგვესხა თავსაო. ალიამ: ეს ცხვარი სხვისია, ჩავაბარებ პატრონს და რითაც შემიძლია, დავეხმარები ჩემს მეზობელ კახეთს და საქართველოსაო. მაშინ ჯერ არ იქნებოდა გაერთიანებული საქართველო, როგორცა ჩანს. ალიამ მოამზადა ლეკის ჯარი, თითონ უბელადა და ჩამოვიდა კახეთში, მაგარი ბრძოლა გაიმართა ალაზნის ველზე შაჰთან. ალიამ შაჰის ჯარი გაანადგურა, გაბრაზებულმა შაჰმა თავისი ჯან-ღონით სავსე შვილი გაგზავნა ალიას მოსაკლავად. ხიშტი ალიას გულმკერდში მოხვდა, მაგრამ არ დაიჩოქა, მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე, ეკვეთა შაჰის ბიჭს, მოჰკვეთა თავი, წაიღო და თამარს დაუდო წინ. შაჰი დანარჩენი ჯარით გაიქცა და ბიჭის ტანი იქ დატოვა. თამარმა დაჭრილი ალია კახეთში ჩაიყვანა, მთელი საქართველოს ექიმები დააყენა თავზე და მოარჩინა თამარმა. ჯარს მადლობა გადაუხადა, ალიას კი სთხოვა, დარჩი ჩემთან საქართველოშიო. ალიამა უთხრა, მე დედა და მამა მელოდებიან ჩემს ქვეყანაში და ჩემთვის საყვარელი საცოლე, არ შეიძლება ჩემი აქ დარჩენაო. თამარი ეკითხება, ძალიან გიყვარს შენი დანიშნული ქალიო? ჩემი სული და ის ქალი ერთია ჩემთვის, უნდა წავიდეო. რახან ასეაო, – თამარმა ხელიდან მოიხსნა ოქროს სამაჯური და გადასცა ალიას – ეს მიეცი შენს საცოლეს საჩუქრად და უთხარი შენს მომავალ ქალბატონს, არ დაკარგოს თამარ მეფის სახსოვარიო. მეორე თხოვნაც მექნება, აი იმ მინდორს, სადაც ჩვენ შევხვდით, თამარის მოედანი დაერქვასო. ამჟამადაც არის თამარის მოედანი ხეობაში.

ეს ადგილი ბევრმა იცის, მათ შორის ნიკომაცო (აგრძელებს ახალა). ასეთი მეზობლობა იყო ქართველებსა და ლეკებს შორისო. აი, თქვენი საქართველოო, მერე ხელით შემომიხაზა, ეს არის საქართველო და აი, რამდენი მტრები გახვევიათო. გაუფრთხილდით მეზობლობასაო. მამაჩემმა ოპერაცია რომ გაიკეთა, ახალა და მისი ცოლი ყოველ დილა-საღამოს მოდიოდნენ. აი, ხიდია აქ მოკლეზე, გადმოვიდოდნენ და მამაჩემს რძეს მოუტანდნენ ხოლმე, პატივსა სცემდნენ. ზვიადი (გამსახურდია) რომ მოვიდა და თქვა, საქართველო მარტო ქართველებისთვისაო, მაშინ წავიდა ახალა, მისი აშენებული სახლი ეხლაც არის თიკში. ვიღაცამ იყიდა და მაინც ვერ ცხოვრობდნენ. ხოდა მაშინ იყო, რომ ბევრმა დატოვა და წავიდა, ბეშტაში ცხოვრობენ ეხლა.

დაგვენანა, რომ წავიდნენ. ზოგმა დაუწყო, ადექით და წადითო. ისეთებიც იყვნენ, რომ არ მოველოდით მავანისაგანო, – ჩემთანაც აქვთ ნათქვამი ეგა, – რომ

ასე თუ გაუხარდებოდათ ჩვენი წასვლა, ან თუ ესე გვაწყენინებდნენ, არ გვეგონაო. ესე გულნატკენები წავიდნენ, მაგრამ ჩვენგან – არა. ჩვენგან ნაწყენები არ წასულან, გავაცილეთ, პირიქით. ჩვენთან სულ მიდი-მოდიოდნენ. ბეშტიდან წერილებს მწერდა ხოლმე. შარშანწინებზეც ჩამოვიდა იმისი შვილი. აქ მოვიდა საკითხავად, როგორა ხარო, ხო არ გიჭირს რამეო. ნეტა ეხლა ცოცხალია თუ არა, აღარ ვიცი, ტოლები ვართ მე და ისა.

დღეს ბედნიერად ვგრძნობ თავს, თუ ასე ძალათ არ გავთხოვდებოდი, მერე, გათხოვების ამბებს რომ გავიგებდი, შეიძლება არც გავთხოვილიყავი, ისეთი მშიშარა ვიყავი. ვერ გავთხოვდებოდი, ვერა. დღეს ბედნიერი ვარ, ეს ორი შვილი რო მყავს... ეს ბიჭი გვიან გავაჩინე. გოგი რო დამეღუპა, ჩემი ძმა, ავდექი და ეს ბიჭი გავაჩინე, გოგი დავარქვი ამასაც. ეს ორი შვილი მყავს, რომლებიც მთელ ქვეყნიერებას მირჩევნია, რა. შვილი ყველაზე დიდი სიხარულია.

ქმარი 1988 წელს მომიკვდა, სამოცდათექვსმეტი წლისა იყო. როგორ შეიძლება ვთქვა „იყო“, ბრძანდებოდა (იცინის). ქმარზე ვერ ვიტყვი, ბრძანდებოდაო, არ იმსახურებდა. ძალიან უყვარდა თავისი ცოლ-შვილი ჩემ ქმარს, ვერ დავემდურები. ერთი ეს იყო, ქალები უყვარდა ძალიან. საყვარელიც ჰყავდა საწყალს, ხოდა მე კიდე ვიცოდი და ფეხებზედაც მეკიდა, – უყვარს და უყვარდეს-მეთქი (იცინის). თურმე არ უნდა მისცე მაგის საშუალება. რას მიქვია საყვარელი! ცოლი გყავს? დეეტიე, დაკმაყოფილდი იმით. (პაუზა) მერე იმ ქალმა, იმ საყვარელმა მოინდომა ჩემი სახლ-კარი. მე მამაჩემმა, ეს სახლი, რომელიც თბილისში მაქ, ჩემ სახელზე მიყიდა. კარგი ბინა იყო იმ დროისათვის, ეხლაც კარგი ბინაა, ორსართულიანი, მაღალჭერიანი, კაპიტალური სახლია. ეზოც მაქ, გარაჟი მაქ, „პადვალი“ მაქ, მეორე სართულზე ექვსი ოთახი, აივანი მარტო ერთი მხრიდანაა ღია, რო დაიხუროს, მშვენიერი ზალა იქნება (მარა არ მჭირდება), ყველას აქვს თავისი ოთახი. მამაჩემმა ჩემ სახელზე გამიფორმა სახლი, ეხლა ჩემ ქმარსაც კი აქ ცოტა წვლილი, ისიც მუშაობდა, მარა, მე იმ სახლს ვერ ვიყიდიდი, მაშინ ის სახლი ღირდა იმდენი, ლამის მილიონს უტოლდებოდა. ახალი ნარეფორმალი იყო ფული, და მივეცით 140 000 თუმანი. თითქმის მილიონს უტოლდებოდა ძველი სტილით. რო აფორმებდნენ, სულ მეკითხებოდნენ, რატომ აფორმებთ თქვენ სახელზეო? ფიქრობდნენ, მოპარული ფულები ხომ არა ჰქონდა ჩემს ქმარს. მე ვუთხარი, მამაჩემი ყიდულობს ჩემთვის და შენ შვილს რამე რომ უყიდო, სიძეზე გააფორმებ-მეთქი? გაჩერდა იმწუთშივე, ვერაფერი ვერ მითხრა. დღესაც ჩემ სახელზეა ეს ბინა.

მერე გავიგე, ჩემი ქმრის სიკვდილის შემდეგ, თურმე უნდოდათ ჩემი გაძევება მაგ სახლიდან. ჯერ ცოცხალი იყო ჩემი ქმარი და მომივარდა ეს ქალი, ჩემი ქმრის საყვარელი. გაიგო, რომ მე ყველაფერი ვიცოდი და შეეშინდა, რომ ქვეყანამ არ გაიგოსო და სახლში მომივარდა და მეუბნება, ან შენ უნდა იყო, ან მეო. განერვიულებული ვარ ისეთი, რომ ორმოცი სიცხე მაქვს ნერვიულობისაგან, რომ ასე გემუქრებიანო, მითხრეს. ჩემ ქმარს ვეუბნები, რომ ვიცი მე ეს ამბავი და შენ მოაწესრიგე, არ დაგინახო ან შენ იქ, ან ის აქ-მეთქი. ამ დროს არ მოდის ეს ქალი ჩემთან! გავიხედე, კიბეებზე ამოდის, ზარი დარეკა, მე გათოშილი წამოწოლილი ვარ, შემოდის და მეუბნება, ან შენ უნდა იყო, ან მეო. კი მარა, შენ რატო უნდა იყო-მეთქი, წამოვხტი და დავეტაკე კისერში. ამ აღელვებულ ქალს

ისეთ ღონე მომცა ღმერთმა, რომ სულ შემოვაგლიჯე ზედ ყველაფერი, „კაკეტკები“ ჰქონდა, თუ რაცა ჰქონდა, მოვაგლიჯე და ცალ-ცალკე ხელში დავიჭირე. აღარ იცოდა, სად გაქცეულიყო. კარგად ვთეთქვე და მერე ჩემმა ქმარმა გააგდო. რას მოდიოდა სახლში! მე რომ მოგივარდე, კიდე ხო, გინდა მცემე, მაგრამ მოდიხარ და აქეთ ისა... ჩემ ქმარსაც ვუთხარი, აღარ მინდა შენი დანახვა, მე შენ გენდობოდი და ასეთ რამეს მიკეთებ-მეთქი. შენ ქმარი რომ გყვარებოდა, ამდენ ხანს გამომეკიდებოდიო. ესეთი ამბავი დღეს რომ ჩაიდინე, აქამდე სად იყავიო, აქეთ დამადო ვალი. მართალიც იყო, ვიცი, ვეჭვიანობ რაღაცას და რათა მყავს ნებაზე მიშვებული. ცოტა ხანს მომეცალე-მეთქი, ქმარს ვუთხარი. დედამისთან წავიდა, მაღლა კუკიაზე ცხოვრობდნენ. მერე ჩაერივნენ ჩემი მულიშვილები, კარგი ბიჭები, ამანაც ბოდიშები მიხადა, შენცა ხარ დამნაშავეო, შენ მე არ გიყვარდიო, არ მდიეო, ამდენ ხანს რატო მიმიშვიო. ბევრმა მითხრა, რამდენჯერ დაუნახავთ, ის ქალი ძალით რომ უჯდებოდა და ეს წიხლით აგდებდა, მომშორდი, რას გადამეკიდეო, მაგრამ ვერ მოიშორა თავიდან თურმე.

იმის შემდეგ არ გავიდა დიდი ხანი, რომ იბოღმავა, ალბათ, იმ ქალმა და მალე გარდაიცვალა, მოკვდა. ჩემმა ქმარმა დიდი ხანი იცოცხლა იმის შემდეგ და მერე ისიც მოკვდა. იმათი ჯიბრით ვცოცხლობ მე ამდენ ხანს (იცინის). მაგრამ თან მეცოდება. ხო ჰყავდა საყვარელი, მაგრამ ჩემთვის სხვა არაფერი არ დაუშავებია, რო ან გავემწარებინე, ან ცუდად მომქცეოდეს, ასეთი რამ არ მახსოვს. ჩემი ქმარი თავის დედასთან, მამასთან არის დასაფლავებული. ის გიგაც მოკვდა, ჩემი ლამაზი მაზლი. ისიც იქ არი, ერთად არიან დასაფლავებული, ორივე რძალიც მოკვდა. ერთი მაზლი დამრჩა, ვახტანგი და მე დავრჩით. დანარჩენი სუყველა წასულები არიან. მეც მეკითხებიან, სად გინდა დაიმარხოო, რატო უნდა დავიმარხო კუკიაზე? აქა ვარ დაბადებული. მამაჩემის, დედაჩემის ძვლები აქ არი დამარხული. მეც იმათთან მინდა ვიყო. უნდა დავწერო, რო დაიჯერონ, რო ასე მინდა. აქამდე ვეუბნებოდი, სადაც მოგეხერხებათ-მეთქი, ახლა კი კატეგორიულად ვითხოვ, რომ აქ დამასაფლავონ.

ეხლა, რახან გაიგებენ, რო აქ უნდა დავსაფლავდე, იქნებ მოუარონ აქაურობასაც. გოგიმ თქვა, დედი, სადაც შენ უნდა დასაფლავდე, მეც იქ დავსაფლავდებიო. კარგი შვილები მყავს, შვილი ვისთვის არ არის კარგი, მაგრამ ყველა შვილი – არა, მე როგორც დავინახე ეს ქვეყანა. მეც მიხარია, რომ, როგორც შვილმა, უფრო გავაცოცხლე მამაჩემი ჩემი ქალობითა და შრომით. რაც ეს ქარგვა დავიწყე, ამ სიბერის დროს, მოდიან ხოლმე ხან ვინ და ხან ვინ, ხოდა კარგად ვახსენებ მამაჩემის სახელს. აი, სტალინის დეპეშა რომ მაქ ამოქარგული (კედელზე ნიკო ხუციშვილის სურათთან, სტალინის პორტრეტი და მისივე გამოგზავნილი დეპეშის სიტყვები ოქროსფერი ბრჭყვიალა ძაფითაა ამოქარგული ჩარჩოში ჩასმულ თეთრი ტილოს ნაჭერზე, რომლის კუთხეშიც დეპეშის ორიგინალია დამაგრებული), ამაზე მეკითხებიან, რა არისო და მეც ვუყვები.

ეხლა როგორ დავიწყე ქარგვა... დაბადების დღე მოვიდა, 2 თებერვალია და სტუმრები გვყავს. მათ შორის, დიქტორი რომ იყო (იხსენებს), ეხლა მომაგონდება, ის დიქტორი იყო ჩვენთან და კიდევ ჩემი რძლის სამსახურიდან იყვნენ. ჩემი რძალი მთავარი ინჟინერია მეოთხე მაცივარში. გოგის თანამშრომლებიც იყვნენ, ჩემი შვილისა. გოგის კიდე ხის დამუშავების ტექნოლოგიური აქ დამთავრებული

და მთელი წლები, დამთავრების შემდეგ, სულ იმ ფაბრიკაში მუშაობს წარმოების უფროსად. ერთი ორმოცი კაცი იქნებოდა ამ სუფრაზე. ჟორამ (გოგის მეგობარი) მითხრა, – თამარა ბებია, შენ რომ ერთხელ ეძებდი რაღაც ქსოვილს, რა გააკეთე იმისაგანო? ხოდა, გამოვიტანე თამარ მეფე და აი, ეს გავაკეთე-მეთქი. წამოხტნენ სუყველანი, როგორ, რანაირადო. იყო ერთი ამბავი. ხო, დავით სოკოლოვი, გამახსენდა... დავითი მეუბნება, ქალბატონო თამარ, ამას გამოფენა უნდაო. მეორე დღეს გამოვიდა ხმა ჩემი რძლისაგან და მირეკავენ, ქალბატონო თამარ, დღეს ჩვენს სამსახურში სულ თქვენზეა ლაპარაკიო. მე უნდა მომიქარგო ნინოო (წმინდა ნინო), ერთი მეუბნება. კი ბატონო-მეთქი, და აესე, რო არ ვიცოდი, ვისთვის ვაკეთებდი, ვინ გამომიჭირა მაშინ, სუყველას დავუქარგე ეს ნინოები. არ ვიცოდი მაშინ არაფერი. ისიც არ ვიცოდი, ეს ოქროს ძაფი რო არსებობდა და ქარგვაში იხმარებოდა. ერთხელ მესიზმრა და ვნახე, რო კუკიის ეკლესია რომ არის, იქ, იმ ეკლესიაში არის ხალხი შეკრებილი, იმ ხალხში ვარ მეც. არის გალობა, რაღაც არაჩვეულებრივი ღვთაებრივი გალობები. ეს ხალხი ასე ტრიალებს და მათ შორის არის თამარ მეფე, აი ასეთ (თავის ნაქარგზე მიუთითებს) და ამაზე უფრო ათჯერ ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი და სულ ნაპერწკლებს ისვრის ეს ქალი. მომეწონა, მომეწონა... და დამებადა სურვილი, რომ აი, ის სურათი რომ დამრჩა გონებაში, ის გამეკეთებინა, მაგრამ როგორ, არაფერი არა მაქ. წავედი ბაზარში, ჩვენთან ახლოსაა ბაზარი, მე ვორონინის ქუჩაზე ვცხოვრობ და იქ იყო საკომისიო მაღაზია. იმ მაღაზიაში დახლზე ეგდო აესეთი ზონარი, ოქროს ძაფისა. ეტყობა, ეს სუვენირებს, „დუხებს“, კონიაკებს და ესეთ რაღაცეებს აქვს მოჭერილი. ეტყობა, ვიღაცამ შეიტანა საკომისიოში, მოხსნა და დაადო იქ დახლზე. როგორ გამიხარდა, გაიხსნა ჩემი გზა. გამყიდველს ვკითხე, ქალბატონო, შეიძლება ეს ძაფი ავიღო-მეთქი, აიღე გენაცვალე, გადაგდებულიაო. წამოვედი და იმით დავიწყე. ახლა სხვა ძაფები მინდა. ის ძაფები კიდე.. ციცინო რო მყავდა პატარა, სულ მე ვუკერავდი ტანსაცმელს, ბავშვობიდან მიყვარდა თოჯინების კერვა, ლამაზ-ლამაზ კაბებს ვუკერავდი ჯერ ჩემს, მერე ციცინოს თოჯინებს, და იმ ბოხჩაში ვნახე ეს წითელი ფერი, აი, თამარს რო აქ, პირველი ძაფია ესა და გამომივიდა ეს პირველი ნაწარმოები. იმიტომ არ არის ზედ მძივები, რაკი პირველია. ეხლა თვლებიც უნდა ჩავსვა, მძივებიც. უფრო გავამდიდრე და უფრო დაიხვეწა ჩემი ცოდნა. მაშინ არ ვიცოდი, რა ფერი უნდა გამეკეთებინა, სად რა ფერი უნდოდა, ან მძივი როგორ უნდა ჩამესვა და ამას დრო უნდოდა. ეხლა უკვე ისე ვარ გაწაფული, რომ სულ ზეპირად ვიცი, ადრე ორ თვეს რომ ვუნდებოდი, ეხლა ერთი თვე მყოფნის. თუ პირობები მაქ, შეიძლება უფრო ადრეც გავაკეთო. პირობები მინდა მქონდეს, მაშინ არ უნდა ავდგე-დავჯდე. ამას არ უხდება ადგომა-დაჯდომა, დასვენებულიც უნდა ვიყო, ამინდიც უნდა იყოს, სინათლე მინდა. ერთ-ერთი პირველი ჩემი ნამუშევარი ეკლესიას ვაჩუქე, ამით დაიწყო ჩემი გაცნობა ხალხმა, ჩემმა სოფელმა. თბილისიდან ხალხი ჩამოდის ხოლმე სოფელში, როცა საინტერესო ამბავი ხდება, ნახავენ ეკლესიაში ჩემ ნამუშევარს, იკითხავენ, ვინ არის ამის ავტორიო და მოდიან შემდეგ ჩემთან.

ჯერ კიდევ პატარა გოგო ვიყავი, თოჯინების კერვა რომ მიყვარდა, მერე უკვე, ომის დროს, რო გაღარიბდა ყველა, შემოვიდა მოდაში „რეჩილების“ კერვა. ეს „რეჩილები“ სადღაც ვნახე და მაშინვე გავაკეთე, მთელ ახალსოფელსაც და

ყვარელსაც მე ვასწავლე. სულ ჩემი ნასწავლები არიან. მერე სადღაც ვნახე დედაჩემის „ბლუზკა“ – მომეწონა ძალიან. ავდექი და ის „ბლუზკაც“ გავაკეთე. ეს დიდი ხნის წინ იყო, მაგრამ მახსოვს, მთელ ახალსოფელს შევუკერე ისეთი „ბლუზკები“ – მოსამსახურეებს, მასწავლებლებს, სუყველას. ყველა მაძლევდა თითო ლიტრა ხორბალს. აი, ხორბალი რა ძვირი უნდა ყოფილიყო, რო ამდენი უნდა მეწვალა ერთი ლიტრისათვის. მაშინ ხორბალი ლიტრებით იყო. მერე ერთმა მითხრა, – თამარა ბებია, მგონი მე მაქვს მამიდაჩემის შენახული „ბლუზკა“ და უნდა მოგცეო. მაჩვენე-მეთქი და აი, ნახე, როგორი „მერეჟკა“ მაქ გაკეთებული. მოეწონათ, მოეწონათ და მოკლედ გადავხატე, გადავქარგე მთელი ახალსოფელი.

მერე ქვეყანა აირია-დაირია, მერე შევარდნაძემ დედა გვიტირა. მერე ამ სააკაშვილმა, რა გააკეთა, კაცო, ვითომ ვარდების რევოლუციაო, მოწყობილი სცენარი იყო ყველაფერი ჩემ თვალში. ჩემისთანა მუშა ხალხი, რომელიც მართლა ქვეყანას აშენებს, მაინც სულ დაჩაგრულია, ესე იყო და არის. ისე ველოდებოდით ამ სააკაშვილს და ისევ 28 ლარზე ვცხოვრობ. სამ ლარს რო მიმატებს და ხუთ ლარს, ეს რა არის, ვიცხოვრებ ამით?

ეხლა აპირებენ ჩვენი სოფლელები, რომ პურმარილით აღნიშნონ ჩემი დაბადების დღე. ეხლაც ამოიარა, ერთი ადვოკატი ბიჭია აქა, – თამარა ბებია, ეხლა ხო შენი დაბადების დღე მოდის, არ უნდა ვიქეიფოთო? აი, რაღა დამრჩა და საუკუნისა გავხდები. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა რომ მივაღწიო ას წელიწადს. ღმერთს ვთხოვ ხოლმე, მომასწროს ამ ამბავს. რამდენი რამე მინახავს, გადამხდენია, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, – საუკუნე მადევს მხრებზე, მაგრამ ეტყობა, მაინც ვერ გავძეხი სიცოცხლით. გული ისევ ის არის, ერთი, – სხეული არ მომყვება ხანდახან, მაგრამ მაინც შემიძლია რაღაცის კეთება. ახლა კიდე, ეს სოფელიც რომ ელოდება ჩემ იუბილეს, არ მინდა გავუმტყუნო. ჩემ შვილებსაც ვუთხარი, მინდა შევყარო მამაჩემის სახლში, ერთი კარგად იქეიფონ, იმხიარულონ. მეც ვისიამოვნებ მაგათი ყურებით.

რა ვიცი, მიხარია, ესე რომ მაფასებენ (ხმა რატომღაც უსევდიანდება. დგება, ძაღლს მოშივნიაო. ძველ შოთს აგლეჯს პატარა ლუკმას, შუშაბანდის ეზოში გამავალ კარებს ხსნის, იქვე სიბერისგან ნახევრად ბალანგაცლილ ძაღლს სძინავს. თვალებს უხალისოდ ახელს, ადგომაც ეზარება. ეს თავისით მოვიდაო, საიდან, არ ვიცი, მე მომეკედლაო, აბა, ამას ვინ შეუშვებდაო, მეც გავაშვებინე სხვა სოფელში, მაგრამ უვლია და ისევ ჩემთან მოვიდა, შემეცოდაო – ამას ისე მეუბნება, ჩემსკენ არ იხედება).

ნიკო მაკალათია
1898 – 1971

ცხოვრების გზაზე[1]
ვუძღვნი ძვირფასი დედის ნათელ ხსოვნას

შესავალი

1917 წელია. ომი გრძელდება. ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიაში ვარ, მე-5 კლასში. გაკვეთილები სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში გვიტარდება, რადგან სემინარიის შენობა ვაკეში ლაზარეთად გადაკეთდა. მე და ჩემი ძმა სერგი ქალაქში დავბინავდით, მთაწმინდაზე, ნათესავ თეოფანე მაკალათიასთან. ჩვენი სემინარიის ლექტორი, ბერი ერთაოზი, აფერისტია და ავანტურისტი, რაც გამოამჟღავნა მოწაფეთა წარა-მარა გარიცხვაში, ქრთამის აღებაში და გარყვნილებაში. შემდეგ იგი რუსეთში გაიქცა და ბოლშევიკებში ჩაეწერა. სემინარიის ლექტორად დანიშნეს ახალი კაცი, ქართველი ბერი კორნელი კეკელიძე. ცხადია, სემინარიაში დისციპლინა დარღვეულია. მე მწერალ ვასილ ბარნოვის (რომელიც ლიტერატურას გვასწავლიდა) და ია კარგარეთელის (რომელიც გალობას გვასწავლიდა) ყველა გაკვეთილზე დავდიოდი. მათი დიდი ხათრი გვქონდა. ვასილ ბარნოვმა გააძლიერა ლიტერატურაში მეცადინეობა როგორც გაკვეთილებზე, ისე ლიტერატურულ წრეში. აქ ჩემთან ერთად იყვნენ გოგლა ლეონიძე, სიმონ იორდანიშვილი, პავლე გერმანიშვილი და სხვები. ია კარგარეთელმა კი თავისი გაკვეთილები გადააქცია პატრიოტულ საუბრებად, სადაც არჩევდა მეფის ტახტის გარყვნილებას და სემინარიის უწესობას. ბარნოვმა ყურადღება მომაქცია პირველივე გაკვეთილზე დამუშავებული თემის გამო. თემა იყო: „ამირანი ხალხურ სიტყვიერებაში და „ამირან-დარეჯანიანში“. ჩემი ნაწერი გაკვეთილზე შემოიტანა და შემაქო. დასვენებაზე ნაწერი გადმომცა და მირჩია, გამეფართოვებინა და წრეში მოხსენებად წამეკითხა. ამის შემდეგ ჩვენმა ლიტერატურულმა წრემ კონსერვატორიის დარბაზში ლიტერატურული საღამო გამართა ბარათაშვილის ასი წლის იუბილის გამო. საღამოზე გამოვიდნენ წრის მოწინავე წევრები: სოლომონ იორდანიშვილი, გოგლა ლეონიძე, პავლე ინგოროყვა და მე. წავიკითხე მხატვრული ესკიზი „მხედარი“, რომელიც, როგორც ბარნოვმა, ისე გაზეთებმა ქებით მოიხსენიეს. ამის შემდეგ ბარნოვი განსაკუთრებული სიმპათიით მეპყრობოდა, ხანდახან სიყვარულით ამახინჯებდა ჩემს გვარს და „მაყალათიას“ მეძახდა.

ბარნოვისა და კარგარეთელის გარდა, სემინარიაში კიდევ ორი ქართველი იყო: კორნელი კეკელიძე და იპოლიტე ვართაგავა, მაგრამ ისინი მოწაფეებს ქართულად არ ელაპარაკებოდნენ, მაშინაც კი, როცა სკოლაში დისციპლინა დაირღვა...

რუსეთში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. მაშინვე ზავი შეკრეს და ჯარს გამოუცხადეს: თოფები სახლში წაიღეთ, მტერი შინა გყავთო... და აირია

[1] შემოკლებით, მხოლოდ შესავალი 300-გვერდიანი მოგონებებისა; მოგონებების წერა ნიკო მაკალათიამ დაიწყო 1958 წელს, 14-წლიანი გადასახლებიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ხელნაწერი ინახება შვილიშვილის, გიორგი მარგიშვილის ოჯახში. იბეჭდება შვილის, მანანა მაკალათიას ნებართვით.

რუსეთი. სამოქალაქო ომის სახით დატრიალდა გლეხურ-ქამური სტიქია. ამასობაში კავკასიასა და საქართველოში მენშევიკებმა დროებითი მთავრობა შექმნეს დამფუძნებელი კრებითა და კოალიციური მთავრობით. ყველაფერ ამას მეთაურობდა ცნობილი მენშევიკი და ნიჭიერი მწერალი ნოე ჟორდანია. ამიტომ ხუმრობით ამბობდნენ – ნოე ჟორდანიამ ნოეს კიდობანი მოაწყო რუსეთის წარღვნაშიო. მალე ბოლშევიკებით შეშინებულმა ქართველობამ, რომელიც სხვადასხვა სახით იყო გაფანტული მთელს რუსეთში, სამშობლოს მოაშურა. მათ შორის ჩამოვიდნენ ცნობილი მეცნიერები, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიდნენ. ისინი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, ერთმანეთს დაუკავშირდნენ და საზოგადოებრივ საწყისებზე უმაღლესი სასწავლებლის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. ამისათვის აიღეს მთავრობის ნებართვა. გაზეთში მოათავსეს განცხადება ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის ხელმოწერით. მეცადინეობის ადგილად იგივე სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა გამოაცხადეს (ჩვენი სწავლა იქ შეწყვეტილი იყო). უნივერსიტეტში პირველად სიბრძნისმეტყველების ლექციები მოეწყო. პირველ სტუდენტებში მეც ვიყავი. თავიდანვე მოწინავე სტუდენტებში აღმოვჩნდი და მეგობრობა დავიწყე სიმონ ჯანაშიასთან, კოტე ბაქრაძესთან, დადეშ გელოვანთან, ყიასაშვილთან და სხვებთან. როგორც ბარნოვის მოწაფემ, განცხადება და საბუთები შევიტანე ლიტერატურულ ფაკულტეტზე. სწავლისა მცირე გადასახადი იყო, ლექციების მოსმენა – თავისუფალი. ჩემს ფაკულტეტს მეთაურობდა კორნელი კეკელიძე, უკვე ანაფორაგახდილი, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი სასულიერო სემინარიიდან. მთელი გულისყურით ვუსმენდი ივანე ჯავახიშვილს (სწორედ აქ დავუმეგობრდი მეტად სიმონ ჯანაშიას), ანტიკურ ლიტერატურაში – გრიგოლ წერეთელს, სამართალში – ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. ლიტერატურულ ფაკულტეტზე რამდენიმე გამოცდა წიგნებით ჩავაბარე.

მოულოდნელად უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ბელადმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც, სხვათა შორის, თქვა:

– რუსეთში ბოლშევიკების მეთაურობით გაჩაღებულია სამოქალაქო ომი. ჯარი დაიშალა და კავკასიის ფრონტი მოიხსნა. ამ ფრონტის ჯარისკაცები სახლში მიდიან იარაღით ხელში; თანაც გადაუწყვეტიათ, გზაზე დაარბიონ თბილისი... მეგობრებო! თქვენი სახით აქ მოგროვილია საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდობა. იმედია, თქვენ ამის ნებას არ მისცემთ მათ!...

და იქვე დაიწყეს მოხალისე ჯარისკაცებად ჩაწერა. ჩაეწერა ყველა ჩემი მეგობარი (სიმონ ჯანაშიას გარდა, რომელიც ავად იყო) და, ცხადია, მეც მათ შორის. მალე აღმოვჩნდით ქალაქგარეთ, ცარიელ ყაზარმაში. მოვიდა პოლკოვნიკი კარგარეთელი. გავეცანით. ჩვენი სია შეადგინა. შემდეგ წაგვიყვანა, რომ ჩაგვებარებინა ზარბაზნები. მაშინვე ჩაგვიტარა პირველი მეცადინეობაც. მეორე დღესვე დავხვდით კავკასიის ფრონტის ნაწილებს, დავაყრევინეთ იარაღი და იქვე მდგარი საბარგო მატარებლით რუსეთისაკენ ვუბრუნეთ პირი... ამის შემდეგ მოგვივიდა ბრძანება, რომ სოხუმში წავსულიყავით მოჰაჯირების (თურქეთში გადასახლებული მაჰმადიანი აფხაზების) წინააღმდეგ. შემდეგ სომხებთან ომში მივიღეთ მონაწილეობა. მერე – ოსებთან ომში და სხვა. ყოველი ჩვენგანი რომელიმე პარტიის წევრი

ნიკო მაკალათია

იყო: მე კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მხოლოდ თანამგრძნობელი. ამიტომ დასვენება, თითქმის ყოველთვის, პარტიათა შორის კამათად გადაიქცეოდა. ხშირად კი კამათი ძალიან მწვავე ხასიათს ღებულობდა და მეთაური პოლკოვნიკი ჩაერეოდა გასაშველებლად. კამათში მეც გამოვდიოდი საერთოდ ყველა სოციალისტის წინააღმდეგ. ბატარეის მეთაური პოლკოვნიკი კარგარეთელი ყოველთვის გვერდით მედგა და თანაგრძნობას მიცხადებდა. განსაკუთრებით მოსწონდა ჩემი დახასიათებანი: „ვაი, რა უბედურებით მყარდება ჩვენში კაპიტალიზმი“, „ავჯანყებული ქამი“, „რუსეთის კოლონიური პოლიტიკა გარუსების ნაყოფია“ და სხვა. ამასობაში ძალიან დამიმეგობრდა პოლკოვნიკი. ხშირად ცალკეც მესაუბრებოდა პოლიტიკაზე და ქვეყნის ამბებზე. ჩვენი ბატარეა რეგულარულ ჯარს შეუერთდა და მის ნაწილად იქცა. ამიტომ მე და ჩემმა ამხანაგებმა ბატარეა დავტოვეთ. უმრავლესობა უნივერსიტეტს დაუბრუნდა. მე კი ცალკე გამიყვანა კარგარეთელმა და მითხრა:

– ჩემო ნიკო! ჩვენ უკვე მეგობრები ვართ! ამ მეგობრობის საფუძველია ბედი ქართლისა. დღეს ეს მოითხოვს საქართველოს მოვაშოროთ მენშევიკური მთავრობა, რაც მეტად ძნელი საქმეა, რადგან მთავრობამ გაიჩინა თავისი დამცველი გვარდია. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უკვე დაიწყო ჯარში მუშაობა, რისი მონაწილეც მეცა ვარ. ამიტომ გირჩევ, დარჩე ჯარში არალეგალური მუშაობისათვის: თუ ჯარისკაცობა გეძნელება, გიშოვნი ჯარში კულტმუშაკის ადგილს, რაც ოფიცრობას ვარაუდობს.

ამ ლაპარაკის შემდეგ, მეორე დღეს, დილის 10 საათისათვის დამიბარა პოლიტგანყოფილების უფროსთან, ალექსანდრე ჟორჟოლიანთან (შემდგომ ცნობილი არტისტი) და დამნიშნეს კახეთში მე-11 არმიის კულტმუშაკად. მაშინვე წავედი კახეთში. მივედი არმიის მეთაურთან, გენერალ წულუკიძესთან, რომელმაც დამამტკიცა არმიის კულტმუშაკად და ბინა მომცა ოფიცერთა შორის. თითქმის ყველა ოფიცერი თავად-აზნაურთა წრიდან იყო (მხოლოდ მე ვიყავი სასულიერო წრიდან), ამიტომ კარჩაკეტილად არ ცხოვრობდნენ: ლოთობა-კარტის თამაშით ისვენებდნენ. მე კი ჯარისკაცებში გავიჩინე ბევრი მეგობარი, განსაკუთრებით

მთიელები და მათი დახმარებით შევუდექი საქმეს. უპირველესად ვიშოვნე და მოვაწყვე ოთახი კულტმუშაობისათვის. ჩამოვაყალიბე სხვადასხვა წრე: ლიტერატურული, დრამატული, სიმებიანი ორკესტრი, მომღერალთა და სხვა. მალე ყველა წრის საფუძველზე ჩამოყალიბდა არალეგალური პოლიტიკური წრე – აქტიურ და შეგნებულ წევრთაგან. ეს წრე, შენიღბვის ლიტერატურულ წრესთან გავაერთიანე (თუ ვინმე დაგვესწრებოდა მოულოდნელად, ლიტერატურულ წრედ გადაკეთდებოდა). მთავარი მიზანი იყო: რუსულ ბოლშევიზმს დახვედროდა ეროვნული მთავრობა და ამისთვის კი მოეშორებინა ჟორდანიას მენშევიკური მთავრობა (აჯანყება, დიქტატურა). ამ წრის სამეცადინო გეგმას და თემებს მაძლევდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. აჯანყება მზადდებოდა 1922 წლის მაისისათვის, თამარობაზე. ალბათ ეს ვადა გაიგეს ბოლშევიკებმა და 1921 წლის თებერვალში მათმა ჯარმა გადმოლახა საქართველოს საზღვრები. კახურმა ღვინომ დააჩქარა მათი მოძრაობა: ჯარისკაცები საწყობებში ღვინით სავსე კასრებს თოფს ესროდნენ, თვრებოდნენ და სირბილით შემოდიოდნენ. ამიტომ ჩვენმა ნაწილმა ვერაფრის წამოღება ვერ მოასწრო და ჩვენც სირბილით ვტოვებდით ადგილებს. მალე ახმეტაში აღმოვჩნდით. მე ოფიცერთა შორის ვიყავი...

ქეთევან და ეკატერინე (პეპელა) რაზიკაშვილები

2006 წელს ესაუბრა და ტექსტი შეადგინა
თამარ შარაბიძემ

ვაჟა-ფშაველას შვილმა, ლევან რაზიკაშვილმა, ცოლად მოიყვანა გორელი ქალბატონი – თამარ მთვარელიძე, და დასახლდა ქალაქ გორში (1915). მათ შეეძინათ ოთხი შვილი: ლუკა, გიორგი (რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა), ქეთევანი და ეკატერინე (პეპელა).

პეპელა და ქეთევან რაზიკაშვილები გორში ცხოვრობენ, დედის მიერ (ბიძისა და მეზობლების დახმარებით) სამოცდაათი წლის წინათ აშენებულ, ძველთაძველ, მაგრამ საოცრად კოლორიტულ სახლში.

ლევან რაზიკაშვილის შვილები:

ლუკა რაზიკაშვილი (1915-1999) სწავლობდა პროფტექნიკურ სასწავლებელში, მუშაობდა გორის საკონსერვო ქარხანაში ნორმადარად; 1939 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს; აქ მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა; იბრძოდა სტალინგრადთან და ყირიმში; გორში მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა; ფრონტიდან ჩამოიყვანა მეუღლე – რუსი ეროვნების ქალბატონი ვალენტინა; შეეძინა სამი ქალიშვილი: თამარი, ნინა და გალინა რაზიკაშვილები.

ქეთევან რაზიკაშვილი დაიბადა 1919 წლის 14 თებერვალს; სწავლობდა ქ. გორის მე-4 საშუალო სკოლაში; სკოლის დამთავრების შემდეგ დაინტერესდა საფრენოსნო საქმიანობით და დაამთავრა კიდეც გორის „აეროკლუბის“ სასწავლებელი; მუშაობდა გორის №2 საბავშვო ბაღში სამნეო ნაწილის გამგედ; ამ სამსახურში 35 წელი გაატარა; მეუღლე – გიორგი გოდერძიშვილი – ადრე გარდაეცვალა; ჰყავს ორი ვაჟიშვილი – გოდერძი და ლევანი. გოდერძიმ შვილებს ვაჟას პოემის გმირების სახელები დაარქვა: ლელა და მინდია; ლევანმა – ნინო და გიორგი.

ეკატერინე (პეპელა) რაზიკაშვილი დაიბადა 1921 წლის 6 მაისს; სწავლობდა ქ. გორის №2 და №6 საშუალო სკოლებში; 1942 წელს შევიდა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე; ოთხი წელი მასწავლებლად მუშაობდა გორის №2 ვაჟთა სკოლაში, ხოლო 1947-1987 წლებში გორის რაიონულ გაზეთ „სტალინელის“ (შემდგომში ეწოდა „გამარჯვება“, ბოლოს – „გორი“) სალიტერატურო ნაწილის განყოფილების გამგედ.

გადამღებმა ჯგუფმა (რეჟისორი ლევან ღლონტმა, ოპერატორი ორესტე თოდუა და მკვლევარი თამარ შარაბიძე) სწავლება-სწავლებით მივაგენით გორში

შარტავას 47 ნომერს. მოხუცი ქალბატონები უკვე გველოდნენ; ერთმანეთის გვერდით დასხდნენ ტახტზე და მოემზადნენ. ამ სახლს არაფერი ეტყობა იმისა, რომ გენიოსი მწერლის, საქვეყნოდ აღიარებული და ყველა ქართველისათვის დასაფასებელი ვაჟა-ფშაველას ოჯახია; არც ქალბატონები მოსჩანან ოდნავ მაინც დაფასებულად; თუმცა, ტრადიციულად ვაჟა-ფშაველას შთამომავლებისათვის სიღარიბე ტრაგედია არ უნდა იყოს, პირიქით. ხოდა ჩვენი ქალბატონებიც არ წუწუნებენ, „რას ვიზამთ, ესა გვაქვს, რაცა გვაქსო“ და გვთხოვენ, ძალიან შინაურულად ვიგრძნოთ თავი.

ყველანი მზად ვართ. ვიწყებთ მუშაობას. ჩანთიდან ვაჟა-ფშაველას ოჯახის ცნობილ ფოტოსურათს ვიღებ. შუაში ვაჟა ზის, მარჯვენა მხარეს, უკან, მეუღლე უდგას – თამარ დიდებაშვილი; მარცხენა მხარეს (სადაც კედელზე თითქოს ფარია ჩამოკიდებული) სიცარიელეა; შემდეგ თამარი დგას, ვაჟას უფროსი ქალიშვილი და მძივებით მორთული კაბა აცვია. პირველ პლანზე მარცხენა მხარეს ვხედავთ მართას; მართას მოსდევს სულ პატარა – 2-3 წლის ვახტანგი, რომელიც ზურგით დედას მიყრდნობია. ვაჟას მარცხენა მხარეს კი ბიჭურად თმაშეკრეჭილი გულქანი დგას გრძელი კაბით. ვაჟას ქამარ-ხანჯალი ამშვენებს, თავზე ფაფახი ხურავს და ჯოხს ეყრდნობა. სურათი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტიდან წამოვიღე. უკან წარწერა აქვს ასეთი: „ვაჟას ოჯახი. მეუღლე თამარ დიდებაშვილი, მისი ვაჟი ვახტანგი. ვაჟას შვილები პირველი ცოლისგან: თამარი, ლევანი, მართა და გულქანი“. კიდევ ორი სიტყვა კალმითაა გადაშლილი.

სურათს ქალბატონებს ვაჩვენებ. „ვაჟას ოჯახი, ჩვენი ოჯახი“, – ამბობენ, მაგრამ რატომღაც არ ცდილობენ ამ საოჯახო ფოტოზე თავიანთი მამის აღმოჩენას, ან თქმას იმისას, თუ რატომ არ იყო ამ საგანგებოდ, ფოტოს გადასაღებად, მომზადებულ ოჯახში მისი ერთ-ერთი წევრი – ვაჟას უფროსი ვაჟი ლევანი, ამიტომაც, გაგონილის დასადასტურებლად, სისწორის შესამოწმებლად, ვეკითხები:

– მამათქვენი რატომ არ არის ოჯახთან ერთად გადაღებული?

– თითქოს მამაც აქ უნდა ყოფილიყო, – გაუბედავად მპასუხობს ქალბატონი ქეთევანი.

– კი, მამაც იყო და ამოუღიათ, – ადასტურებს ქალბატონი ეკატერინე.

– სად, რა ადგილას? – მინდა უფრო კონკრეტული პასუხი მოვისმინო.

ქალბატონი ეკეტერინე ხელს იმ ფარისმაგვარ გამოსახულებას ადებს და დასძენს, – ჩვენ ასე გაგვიგონია.

– კი მაგრამ რატომ, რა მიზეზით ამოიღეს ლევანის ფოტო? როგორ იცით, თქვენ როგორ გაგიგონიათ?

<u>ეკატერინე რაზიკაშვილი:</u> მამაჩემი დახვრიტეს. წლინახევრისა ვიყავი მაშინ, 1924 წლის თებერვალში. გაზეთში ყოფილა. მიხა ძია (ვაჟა-ფშაველას დისშვილი) ამოსულა და გაზეთი ამოუტანია; უთქვამს, როდემდე უნდა ვუმალოთ თამარსო. დედაჩემი ავადა ყოფილა და თურმე დასუსტებული ბაღში გამოსულა, თან კვირტებს ათვალიერებდა. მიხა ძიას და იორამ ძიას (მეზობელი) უთქვამთ ეს ამბავი დედაჩვენისათვის... ლევანის სურათიც ამ ამბების შემდეგ „გააქრეს“ ფოტოდან. ოჯახთან ერთად მხოლოდ ეს ერთი სურათი ჰქონდა გადაღებული.

– რა იყო მიზეზი ლევანის დახვრეტისა?

ეკატერინე რაზიკაშვილი: ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მამაჩემი თავადაზნაურულ გიმნაზიაში (გორში) თურმე ერთ პერიოდში სწავლობდნენ. ქაქუცა ერთი წლით წინ იყო. ორივე კარგი ვაჟკაცი ყოფილა გარეგნულად და მეგობრობაც ჰქონიათ ერთმანეთში. მამაჩემი სამუშაოდ დადიოდა, მილიციის უფროსად იყო თიანეთში, რომ ცოლ-შვილი ერჩინა.

როცა ქაქუცა თავისი რაზმით თიანეთზე აპირებდა გადასვლას, ფილიპე მახარაძეს შემოუთვლია მამაჩემისათვის, ჩემთან ჩამოდიო (სავარაუდოდ – დავალების მისაცემად – თ.შ.), მაგრამ ფშავლებმა და ხევსურებმა გზა გადაუკეტეს, არ გაუშვეს – „ძალიან გვიყვარხარ, მაგრამ, იცოდე, მოგკლავთო...“

თვითონ მამასაც არ უნდოდა წასულიყო ქაქუცას წინააღმდეგ. ქაქუცა რომ ფშავში შევიდა, მამაჩემიც თავისი რაზმით დახვდა. ეტყობა, ქაქუცამაც იცოდა ყველაფერი; დაუძახია: „ლენკო, ბიჭო, ლენკოო! (ასე ეძახდნენ მამაჩემს გიმნაზიაში.) ჩემს წინააღმდეგ მოდიხარო?!“ ხელი გადაუხვევიათ და ერთმანეთი გადაუკოცნიათ. ვიღაცას უთქვამს მამაჩემის რაზმიდან, „დავხოცოთო“, ჩოლოყაშვილის რაზმზედ. „პირველი მე მომარტყითო და მერე ეგენი დახოცეთო“, – უთქვამს მამაჩემს; თან თურმე ნაბდები გაცვალეს. გაუცილებია მამას და მერე იქიდან პირდაპირ სათიბში წასულა, ეს უკვე დედაჩემისაგან ვიცი.

ქაქუცას გამოუგზავნია ლევანისათვის წერილი, მშვიდობით გადავედიო. ჩვენ ასე ვიცით, რომ წერილი ლევანმა თავის ძმას – ვახტანგს მისცა, თან რომ არ ჰქონოდა და რომ არავის ენახა, შეინახეო. ჩავარდნია ხელში დედინაცვალსა და ვითომ იმათ წარადგინეს თიანეთში. დოკუმენტაცია ჩვენ ამისა არა გვაქვს. ეს თქვენ უნდა გაიგოთ, მკვლევარებმა... მერე მამა დააპატიმრეს და მოათავსეს თბილისის ციხეში. დედაჩემი, რასაკვირველია, ჩადიოდა, მაგრამ მერე ავად გახდა იქ საცოდავი... ერთხელ მამაჩემს უთქვამს, რომ – ზანდუკელები მეხმარებიან, აქედან გამაპარებენ და ყოჩაღად მოიქეციო. რაიო?! – უთქვაქმს დედას, – არ გაბედო, თორემ სამივე შვილს აქ მოგიყვანენო.

ქეთევან რაზიკაშვილი: ისიც თქვი, მამამ რომ უთხრა დედაჩემს, ჩემი ბალახისფერი ჩოხა მომიტანე, იმით უნდა გავიპაროო. დედამ არ მიუტანა; გასაქცევი რა გჭირს ვაჟას შვილსაო, ეგ არ გააკეთო, არ შეცდე, გაქცევის დროს მოგკლავენ და იცოდე, შვილებსაც დავხოცავ და თავსაც მოვიკლავო. იმასაც ამბობდნენ, თითქოს გაიპარა მამაჩემი და გაქანებულ მანქანას შეახტა. ძალიან სწრაფი ყოფილა ისე, მამაჩემი, შეეძლო აღმართზე კურდღელი დაეჭირა, შვიდ ნაბადზეც ხტებოდაო, გარეგნობითაც კარგი იყო... ამიტომ დედას ჯერ გაქცეული ეგონა. თუმცა გაზეთში გამოუქვეყნებიათ დახვრეტილთა სიები და მამაც იქა ყოფილა, იმ სიაში.

– როგორ წარიმართა თქვენი ოჯახის ცხოვრება მამის გარდაცვალების შემდეგ? გრძნობდით, რომ „მტრის“ შვილები იყავით?

ეკატერინე რაზიკაშვილი: არა, ჩვეულებრივად ვცხოვრობდით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერ ვგრძნობდით; მაგრამ ვიცი, რომ დედამ თავისი ძმის, ბიძაჩვენის, რჩევით საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა, რომ მუშის შვილები გვრქმეოდა. იმ ღამესაც თურმე, მამა რომ დაიჭირეს, შეეშინდა დედას, შვილებზეც არ იყარონო ჯავრიო და ტყეში გაგვათევინა ღამე. მერე გორში გადმოვედით, მთიულა არ გვიხდენდა (ასე ეძახდნენ გერები ვაჟას მეორე ცოლს), დედასაც აქ

ერჩივნა თავისიანებთან ყოფნა. აქაც გვიკრძალავდა, არსად არ თქვათ, ვაჟა-ფშაველას შვილიშვილები რომ ხართო. განსაკუთრებით ლუკასი ეშინოდა, სულ ეშინოდა საცოდავს.

ქეთევან და ეკატერინე რაზიკაშვილები. 2006

– დედათქვენზე გვიამბეთ რამე. რას გიყვებოდათ მამაზე და პაპაზე – ვაჟა-ფშაველაზე, როგორი იყო შინაურობაში ვაჟა?

ქეთევან რაზიკაშვილი: მამაზე არაფერს გვიამბობდა, ვაჟაზე კი მოუყოლია...

ეკატერინე რაზიკაშვილი: დედაჩემმა ვაჟა ნახა ქორწილში. პირველი შეხვედრა ჰქონიათ ქორწილში. ეხლა, დედაჩემს ხომ სხვა წარმოდგენა ჰქონდა ვაჟაზე, ეს ერთი, მეორე კიდევ, ამ ქორწილის მეორე დღეს სურათიც არის გადაღებული გორელებთან, რომელიც ასე გავრცელებულია მუზეუმებში და სხვაგან, თითქოს ეს იყო შეხვედრა გორელებთან. სინამდვილეში – არა, ეს დედაჩემ-მამაჩემის ქორწილის მეორე დღეა გადაღებული. აქ არიან ვაჟა, თედო (ვაჟას ძმა), სანდრო (ვაჟას ძმა), მიხა (ვაჟას დიშვილი) – სუყველანი რაზიკაშვილები. გადაღებულია ლევან ხიმშიაშვილის ბინაზე... ვაჟა სამი დღე დარჩენილა გორში. ამის დამადასტურებელი წერილიც გვქონდა, რომელიც მერე ჩარგლის მუზეუმის დირექტორს – ირაკლი გოგოლაურს გადავეცით.

– რა ეწერა ამ წერილში და ვინ იყო მისი ადრესატი?

ეკატერინე რაზიკაშვილი: მამა სწერდა ვაჟას, ქორწილში პატიჟობდა და აცნობებდა თავისი საცოლის შესახებ. ბოდიშს უხდიდა; უხსნიდა, რომ ნიშნობის ამბავი მოულოდნელად გადაწყდა და ამიტომ ვერ შეატყობინა; თანაც ვაჟა აკაკის დასაფლავებაზე ეგონა წასული. შემდეგ უყვებოდა, რომ სხვა ქალის მოყვანაზე ატანდნენ ძალას, მაგრამ არ ითხოვა, რადგანაც მდიდარი იყო და მდიდარი სიღარიბეში ვერ გაძლებდა. აირჩია ღარიბი და უპოვარი; ჰქონდა მიხას დახმარების იმედი (მიხა რაზიკაშვილი – ვაჟას დისშვილი, ცხოვრობდა გორში და ლევანთან მეგობრობდა), შემდეგ იყო თავის მართლება და ბოლოს თხოვნა, რომ უეჭველად ქორწილში ჩამოსულიყო... ხოდა ჩამოსულა პაპაჩემი მარტო ჩარგლიდან. ის მთიულა არ მოჰყვებოდა თურმე. ვიციო, რატომაც არ მოდიხარო, – უთქვამს ვაჟას, – საჩუქარი რომ არა გაქვსო. და უყიდნია ბეჭედი. მაინც არ წამოჰყოლია და ჩამოუყვანია თავისი ცოლის და. ეს იყო მაისში, – მამაჩემ-დედაჩემის ქორწილი; ივნის-ივლისში კი ვაჟას იუბილე. იუბილეზე შეხვდა დედა მეორედ ვაჟას.

ქეთევან რაზიკაშვილი: დაფნის გვირგვინი მიართვეს ვაჟას, იმაზე წარწერა იყო. აიღო და დედაჩემს ჩამოჰკიდა კისერზე. ის ლენტი მერე ვაჟას ძმას ჰქონდა, სანდროს, იმათ ოჯახში ინახებოდა... მერე ხომ ავად გახდა პაპაჩემი. ჩავიდნენ დედა და მამა სანახავად თბილისში. შინდის შეჭამანდი მოუთხოვია. ძალიან

უყვარდა შინდის შეჭამანდი ვაჟას. დედას გაუკეთებია და მიუტანია. ფეხმძიმედ ყოფილა მაშინ დედაჩემი. „ლუკა ხომ არ არისო“, – უკითხავს ვაჟას და, რასაკვირველია, ლუკა დაარქვეს. ძალიან მალე მოკვდა საწყალი პაპაჩემი. ამის მეტი დედას ის აღარ უნახავს.

– თქვენ ალბათ ბევრი რამ იცით, ზოგიც გაგიგონიათ, თქვენი ოჯახის შესახებ, მხედველობაში მყავს დიდი პაპა – პავლე რაზიკაშვილი და მისი შვილები, ანუ თქვენი პაპა და პაპის და-ძმები.

ეკატერინე რაზიკაშვილი: პავლე მღვდელი იყო; იცოდა წერა-კითხვა, სუყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შვილებსაც ესწავლათ. რადგან მღვდელი იყო, ზოგიერთი ხევისბერი მეტოქედ თვლიდა და ემტერებოდა. პავლემ შვილები ბიბლიაზე გაზარდა, ამიტომაც გამოვიდნენ კარგები.

გიორგი, ბატონო ჩემო, თიანეთის მაზრაში მუშაობდა ადვოკატად. უცოლშვილო იყო. მოგეხსენებათ ფშაველების წესი და კანონი; წაწალთან შეცდა და შეეძინა ქალიშვილი, რომლის შესახებ არავინ იცოდა. შემდგომ ბაჩანა დაინტერესებულა, ის ყველაზე გულისხმიერი და მოყვარული იყო თავისი ახლობლებისა, და ბაჩანასა და მამაჩემს მოუძებნიათ ეს გოგო, ნინო. რაზიკაშვილს ატარებდა; ცალულელაშვილზე იყო გათხოვილი და ექვსი შვილი ჰყავდა. ისინი დღესაც ცხოვრობენ სოფელ თიანეთში. ეს ნინო ხმითაც და გარეგნობითაც ძალიან ჰგავდა მამიდა თამარს, ვაჟას უფროს შვილს.

მეორე ვაჟი იყო სანდრო, თავად უშვილო, მაგრამ ცოლის დიშვილები გაზარდა – ქეთევან და ნათელა ფურცელაძეები. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა მათთან.

თედო ზამთრობით აქა ცხოვრობდა; გორში ქირაობდა ბინას. მიხა ძიაც აქა ცხოვრობდა. აქ უნდა აეშენებინათ ერთად სახლი მამაჩემს, დედაჩემის ბიძას, თედოს და მიხას. თედოს ჰყავდა ოთხი ქალი. ერთი, გულქანი, რომელიც დედაჩემის ძუძუს სწოვდა და გიორგისხელა იყო, ადრე მოუკვდა. ეთერი და ნინო მამიდები კარგად გვახსოვს.

ქეთევან რაზიკაშვილი: ეთერ მამიდასთან წამიყვანა ერთხელ დედაჩემმა. სულ მეფერებოდა; პატარა ურემი მიყიდა და მაჩუქა.

– როგორ დაიღუპა თედო? გამიგია, რომ მოკლეს.

ეკატერინე რაზიკაშვილი: მოკლეს. მე ეს ამბავი გამიგია თედოს მეუღლისაგან; ხელთუბნელი ქალი იყო, თინათინ იშხნელი. ჩვენ ბებია არა გვყავდა, არც დეიდა და ბებიის სითბო ამისგან გვიგრძნია, თინა იშხნელისაგან. სულ მუდამ გვპატრონობდა და გვეფერებოდა. თედოც ასეთივე თბილი იყო და მოამაგე. ის მკვლელი – ფალელაშვილი, თედოს გაზრდილი იყო; თედო ყველაფერზე ხელს აფარებდა თურმე, ყველაფერს უკეთებდა. მერე, საბჭოს თავმჯდომარე რომ გახდა, გადიდგულდა, ემტერებოდა თედოს. საწყალს ვაშლის ნამყენები დაუჭრეს, ბაღი გაუნადგურეს, ასი ძირი ფუტკარი ჰყავდა და მთლიანად მოპარეს; ერთხელ მის სახლს ცეცხლიც კი წაუკიდეს... ჰოდა, ერთხელაც ნასვამი მოდიოდა თედო და, როგორც ყველა ფშაველს, იმასაც ხანჯალი ეკიდა. ცხელ გულზე თავის გამოზრდილთან შეიარა: „ბალღო, რას გადამეკიდეო, ყველაფერი გაგიკეთე და თუ კიდევ გინდა, მითხარი და მე თვითონ მოგცემ, ნუ მპარავ და ნურც აპარვინებო“. იმან კიდევ, როგორ გამბედეო. იძახდა, მილიციას დავუძახებ, უნდა დაგაპატიმროო.

ამაზე თედომ იძრო ხანჯალი და მოკლა. სიფხიზლეში ბევრი რომ უთმინა ნაწყენობა, მთვრალმა ვეღარ მოუთმინა. გამწარებული მოსულა სახლში, ეს რა ვქენიო, ძილში ხმამაღლა კვნესოდა. ამ დროს მოსულან და უთქვამთ, პოლიციაში იბარებენ თედოსაო. წაიყვანეს თურმე თედო პაპა და სარდაფში ცემეს. ხუთი კაცი იდგა და საითაც წავიდოდა თურმე, იქიდან ხანჯალს უყრიდნენ. ორმოცდათოთ-ხმეტი ჭრილობა ჰქონია ტანზე. სისხლი აიღეს. მერე ოჯახს ნება არ მისცეს სასაფლაოზე დაკრძალვისა და თავისივე ეზოში დამარხა თიკო დეიდამ. კარგა ხნის შემდეგ მამიდაჩემმა ეთერმა ყველაფერს ახსნა-განმარტება მისცა და დიდუბის პანთეონში გადაასვენეს; ეზოში კი, მის საფლავში, თიკო დეიდა, მისი მეუღლე, ასვენია. ის ეზო ახლა გაიყიდა და საფლავის დარდი მაქვს.

– ახლა ბაჩანას შესახებაც გვესაუბრეთ...

ქეთევან რაზიკაშვილი: ბაჩანასაგან სიკეთის მეტი არაფერი გამიგია. დედაჩემი და მამაჩემი ხომ ჩარგალში ცხოვრობდნენ 4-5 წელიწადი. ვაჟას სიკვდილის მერე მამა იქ გადავიდა, კერა არ უნდა გაცივდესო.

ეკატერინე რაზიკაშვილი: ძალიან უყვარდა ბაჩანას თავისი ძმაშვილები; კარგ ბიძობას უწევდა. ზოგჯერ რომ გაუჯავრდებოდა მთიულას ვაჟა, ბაჩანა შეიფარებდა ხოლმე. ცოლიც და შვილებიც გულისხმიერები ჰყავდა. პირადად მე ბაჩანა ერთხელ მყავს ნანახი. გორში ჩამოვიდა მიხა ძიასთან და ჩვენც გვნახა. ჭრელი საკაბეები მოგვიტანა.

ქეთევან რაზიკაშვილი: მახსოვს, კალთაში ჩამისვა და მეფერებოდა.

წაწალი ჰყავდა ბაჩანასაც ცოლად; ამიტომ გააძევეს თემიდან და კახეთში ცხოვრობდა. არ ჰქონდა წაწლის ცოლად მოყვანის უფლება, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით მაინც მოიყვანა ბაჩანამ და კიდეც ტკბილი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ.

ეკატერინე რაზიკაშვილი: ბაჩანას ცოლი მარიამი ღვთისმოსავი ქალი იყო. დედაჩემის გადმოცემით, ყოველთვის იფარებდა ხოლმე ობლებს. ბოლოში სულ ავადმყოფობდა და ლოგინად იყო. ბაჩანას ოთხი შვილი ჰყავდა. ალბათ ახლა ბევრი შვილიშვილი და შვილთაშვილებიც ეყოლება, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი ვიცით ერთმანეთის.

– მიხა რაზიკაშვილს ახსენებთ ხშირად. რა ურთიერთობა გქონდათ მასთან?

ეკატერინე რაზიკაშვილი: კვირა არ გავიდოდა, რომ მიხა ძია „პროვიზიონკით“ დატვირთული არ მოსულიყოს ჩვენთან. ძალიან გვიფარავდა. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენ არაფერი გაგვიჭირდებოდა. ოცდაჩვიდმეტში დააპატიმრეს; ამასაც ამბობენ, ვახტანგ რაზიკაშვილის მტრობითაო.

– როგორ ნათესავად გერგებოდათ მიხა?

ქეთევან რაზიკაშვილი: მართას შვილი იყო. ეჰ, მიხას დედა მართა!

ეკატერინე რაზიკაშვილი: ძალიან მოყვარულები იყვნენ ის და ძმები რაზიკაშვილები. პაპაჩემი ხომ ხშირად იყო მასთან. თავისი მეუღლის, კეკეს დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, მაშინაც მართასთან იყო. აქ დაუწერია ლექსი „იას უთხარით ტურფასა“. ეს ყველაფერი დაწერილია. ნეტა, მართა ცოცხალი იყოს, არაფრად ჩავთვლიდი ჩემს დარდებსო, – ხშირად უთქვამს ვაჟას მართას გარდაცვალების შემდეგ.

– რაზიკაშვილი რატომ იყო მიხა?

ეკატერინე რაზიკაშვილი: მაშ ვის უნდა დაეწერა თავის გვარზე?! უკანონოდ ჰყავდა მართას ვინმე ჯაფარიძისგან; ამიტომ მართას ძმებმა მისცეს თავისი გვარი და ძმასავითაც ჰყავდათ.

– ჯაფარიძე თუ მამობდა მას?

ქეთევან რაზიკაშვილი: არა, კაცო, ხო თავსაც მააჭრიდნენ; მას მერე მართას აღარც უნახავს.

– მართა ვაჟაზე ადრე გარდაცვლილა, როგორც ჩანს...

ქეთევან რაზიკაშვილი: კი, თავი მოიკლა.

ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელია და გაკვირვებას ვერ ვფარავ: **რატომ? რის გამო?**

– ფეხმძიმედ იყო და შერცხვა შვილის, – ვიღებ პირდაპირ პასუხს ქალბატონი ქეთევანისგან, – მაშინ მიხა უკვე დიდი იყო, ბავშვი კი არა, კაცი. სირცხვილს ვერ გაუძლო და ამიტომაც ჩაიდინა ეს საქციელი...

რომ აპატიმრებდნენ მიხას, ცოლისთვის უთქვამს: ვიცი, რომ ჩემს შვილებს არაფერი დააკლდებათ, განათლებასაც მისცემო და კიდევ – ლევანის ობლებსაც მიმიხედე, ნუ დაივიწყებო. მიწა რომ იძრა გორში, 1920 წელში, დედა მაშინ ხუბულურების ბინაში ცხოვრობდა ქირით. ეს სახლი მერეა აშენებული. მამაჩემი ამ დროს ჩარგალში ყოფილა. მიხას სახლში მაშინ კედელი ჩამოინგრა. მიხამ „სარაიაში“ შეიყვანა თავისი ბავშვები და თვითონ ჩვენთან გამოქანდა, ლევანის ცოლ-შვილი როგორაააო.

– თქვენს მამიდებზე – თამარსა და გულქანზე – რას იტყვით?

ეკატერინე რაზიკაშვილი: გულქან მამიდა გვიან, თითქმის ახლახან, გარდაიცვალა. ჩარგალში, ვაჟას სახლში ცხოვრობდა, დაქვრივებული. ხშირად ჩავდიოდით მასთან, თითქმის ყოველ ზაფხულს. გულქანი ვაჟას ჰგავდა და პოეტი იყო ბუნებით. მამაჩვენიც წერდა, მაგრამ დედამ შიშით, რაიმე ცუდი არ იპოვონო, სულ დაწვა იმისი ნაწერები. თამარს ძალიან უყვარდა საქონელი. ხოდა, ბევრი საქონელი ჰყოლია იმ კაცსა და გავათხოვოთ, გავაყოლოთო, უთქვამს დედინაცვალსა. გაათხოვეს კიდეც ბეწუკლიშვილზე. შვილები არა ჰყავდა და მაზლის შვილსა ზრდიდა. ძალიან ახლოს ვიყავით თამარ მამიდასთან. მე სულ ვეჭვიანობდი იმის შვილობილზე: მე უფრო ვუყვარვარ თუ ის-მეთქი. „ქალო, უგონოთ ხარო?“ – მითხრა, – „ჩოხა უფრო ახლოა თუ ახალუხიო“ და მეც გამეხარდა. თამარმა თავისი სახლ-კარი თიანეთის რაიონში ჩვენ დაგვიტოვა. ეგება, ამ ზაფხულს მაინც ავიდეთ, – ნატრობს ქალბატონი ეკატერინე და მეც გულითადად მეპატიჟება, ჩემთან ერთად გადამღები ჯგუფის წევრებსაც.

– ახლა მამათქვენის დედინაცვალსა და მის შვილზე, ვახტანგზე მინდა შეგეკითხოთ. როგორი ურთიერთობა ჰქონდა ლევანს მათთან?

ეკატერინე რაზიკაშვილი: თამარს ვაჟას შვილებისათვის დედა არ შეუცვლია. ის დედინაცვალი იყო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ფეხმძიმე მოიყვანა ვაჟამა ის ქალიო, სოფელი ლაპარაკობდა, იქაურები ლაპარაკობდნენ. თანაც გვარი ძალიან გვიან მისცა ვახტანგს. ვაჟას არც კი მიუცია გვარი, მისცეს მამაჩემმა და სანდრო პაპამა; გორში ჩამოიყვანეს და აქ მისცეს.

– თვითონ ვაჟას რატომ არ უნდოდა გვარის მიცემა?

ქეთევან რაზიკაშვილი: იმიტომ, რომ არ იყო მაგისი შვილი. ვახტანგის დაბადების მოწმობა, დიდებაშვილის გვარზე რომ იყო, ჩვენთან იდო თურმე. დედაჩემი ძალიან გულუბრყვილო ქალი იყო; „აიო, ბიჭო, ვახტანგ, შენი დაბადების მოწმობაო, დიდებაშვილის გვარზე რომ ხარო“; გამოუტაცია ვახტანგს და ცეცხლში შეუგდია. ასე ვიცი დედაჩემის მონაყოლიდან. ჩვენთან დადიოდა ხოლმე ვახტანგი და ყველა საბუთი წაიღო, თუკი რამე გვქონდა დარჩენილი, ვითომ მუზეუმისთვის. მამაჩემს რა ურთიერთობა ჰქონდა მასთან, არ ვიცი; ალბათ უყვარდა კიდეც, ერთად გაზრდილები იყვნენ. ალბათ ენდობოდა კიდეც, თუკი ქაქუცას წერილი მას გაატანა შესანახად. ჩემი ძმა რომ წამოიზარდა, ვახტანგი ჩვენთან აღარ მოდიოდა; ჩემი ძმისა, ლუკასი, ეშინოდა. ერთხელ გორში ჩამოსულა, მუზეუმის (იგულისხმება სტალინის მუზეუმი) სკამზე იჯდა და ჩვენთან არ მოვიდა.

– რისა ეშინოდა? რატომ უნდა ჰქონოდა თქვენი ძმის შიში?

ეკატერინე რაზიკაშვილი: იმიტომ რომ ვაჟას მემკვიდრედ მოჰქონდა თავი. ჩვენ თვრამეტი მანეთი პენსია დაგვინიშნეს მწერალთა კავშირიდან და ისიც კი მოახსნევინა. ისინი დაიხოცნენ, აღარ არიან ცოცხლებიო, ჩემზე და ჩემს დაზე უთქვამს.

– ე.ი. მწერალთა კავშირი, ასე თუ ისე, მაინც ზრუნავდა თქვენზე? – ვცვლი საუბრის თემას.

ქეთევან რაზიკაშვილი: გოგლამ მოგვნახა, გოგლა ლეონიძემ. გოგლას მამა და ვაჟა ამხანაგები იყვნენ... მწერლებთან ახლოს ვახტანგ რაზიკაშვილი იყო. პატივისცემას და სიყვარულს კი, როგორც ვაჟა-ფშაველას შვილიშვილები, უფრო საზოგადოებიდან ვგრძნობდით, მაგრამ ნაკლებად – ხელშეწყობას.

ეთერ ბაგრატიონი
1920 – 2003

2004 წელს ტექსტი მოგვაწოდა ქალიშვილმა,
ნესტან ჩხიკვაძემ

განვლილი ცხოვრების გახსენება

დავიბადე 1920 წლის 17 იანვარს მოსამსახურის ოჯახში. 1937 წელს დავამთავრე თბილისის პირველი ქართული პედაგოგიური სასწავლებელი, ხოლო 1951 წელს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

აი ასე მოკლედ და ლაკონურად შეიძლებოდა დამეწერა ჩემი ბიოგრაფია და აკი ვწერდი კიდეც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, „პერესტროიკამდე". ეს იყო დრო, როცა არც იმის დაწერა შეიძლებოდა, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდი წარმოშობით. მაგრამ განა ეს მხოლოდ ჩემი პირადი, ჩემი ოჯახის, ნათესავებისა და მთელი იმ ფენის ცხოვრების თავგადასავალია, რომელსაც ჩემი მშობლები ეკუთვნოდნენ?..

რამდენი დროა გასული ამ თარიღებს – 1920-1937-1951 წწ. – შორის და როგორ არის ეს ცხოვრება გავლილი დროის ამ მონაკვეთში?

დედაჩემი – ელენე (ელო) სიდამონ-ერისთავი თავის და-ძმებს შორის უმცროსი იყო. ბებია – თამარ ზურაბის ასული ვაჩნაძე და პაპა – გიორგი ვალერიანის ძე სიდამონ-ერისთავი ცხოვრობდნენ თელავში, მამულები ჰქონდათ კარდენახში. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: მიხეილი, ქეთევანი, ლევანი და ელენე. ბებია თამრო ადრე დაქვრივებულა, მაგრამ შვილებისათვის განათლება მიუცია. მიხეილმა დაამთავრა სუმის (ქალაქი უკრაინაში) კადეტთა კორპუსი, ლევანმა – წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, ხოლო ქალებმა – თელავის გიმნაზია.

მამაჩემი – დავით ბაგრატიონი იყო შვილი სოლომონ ედიშერის ძე ბაგრატიონისა და ეკატერინე ნიკოლოზის ასულ მამაცაშვილისა, რომელსაც მზითვად მოჰყოლია მამულები და ტყე. ოჯახი წვრილშვილიანი იყო, მათ 12 შვილი ჰყავდათ (ხუთი ქალი და შვიდი ვაჟი). ასეთი დიდი ოჯახის რჩენა, ყველა ვაჟისათვის შესაფერისი განათლების მიცემა, გასძღელებიათ და შვილებმა ეს თავიანთი მონდომებითა და მცდელობით შეივსეს. ისინი გორის მაზრის სოფელ აბანოდან იყვნენ, იქ ცხოვრობდნენ და ბაგრატიონ-დავითიშვილთა (თვალდამწვრიანთა) შტოს მიეკუთვნებოდნენ. პაპა ლიდო (ასე ეძახდნენ პაპას შინაურობაში) მომღერალი და მოცეკვავე ყოფილა. ცეკვა-სიმღერის ნიჭი შვილებსაც გამოჰყოლიათ და მიუხედავად იმისა, რომ პაპამ თავისი ცხოვრება ასე ლხინში გალია, შვილები თავიდანვე შრომას მიაჩვია. მამა-ბიძები თუ მამიდები დაუზარელი მშრომელები იყვნენ. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მათ არ გასჭირვებიათ ცხოვრება, თვითონ უვლიდნენ მამულს. დედა იგონებდა, რომ საღამოზე სამუშაოდან დაბრუნებული ვაჟები ხელ-პირს დაიბანდნენ, ტანსაცმელს

გამოიცვლიდნენ, გამოეწყობოდნენ და ისეთ ცეკვა-თამაშს გამართავდნენ, დიდი ლხინი გეგონებოდაო. ისინი ყველანი სხვადასხვა საკრავზე (დოლი, დაირა, დუდუკი, სალამური და სავარცხელიც კი) ისე უკრავდნენ, რომ მთელი ორკესტრი იქმნებოდა. მამიდები მშვენივრად მღეროდნენ და ცეკვავდნენ, კარგად მღეროდნენ სევდიან ბაიათებსაც და თავიანთ ნაღველსაც შიგ აქსოვდნენ. დაუზარებლობა, შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა და მოთმინება – აი ის თვისებები ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე (ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თავადაზნაურთა, როგორც კლასის, მოსპობა-განადგურებისა და შემდეგ საბჭოთა წყობის მთელ მანძილზე) ცოცხლად დარჩენილთ ძალიან რომ გამოადგათ თავის გატანისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება მამიდებს, რადგან მამა-ბიძათაგან ყველა ვერ გადაურჩა ეპოქათა ცვლის ამ რისხვას.

მამა ძალიან ახლოს იყო და თითქმის ნახევრად, იზრდებოდა ბიძამისის, მიხეილ ბაგრატიონის ოჯახში, რომელსაც ცოლად ჰყავდა უაღრესად სათნო, კეთილი და ყველას შემწე დარო ანდრონიკაშვილი. მათ ერთადერთი შვილი ჰყავდათ – მარგო და მამა მასთან ერთად ძმასავით იზრდებოდა. ბებია დარო ორმხრივ გვენათესავებოდა. ის იყო დედაჩემის დეიდაშვილი და მამაჩემის ძალუა. ბებია დარო ზრუნავდა მამაჩემის განათლებაზე, ხოლო შემდეგ, როცა მამას დასჭირდა ფეხის ოპერაცია, ესეც ბებია დარომ ითავა, მოაწყო საქველმოქმედო საღამო და იქიდან შეკრებილი ფულით საოპერაციოდ გაგზავნა თბილისში. ასეთი გულისხმიერი იყო და ასე დაეხმარა მამას ფეხზე დადგომაში. დედაჩემისა და მამაჩემის დაქორწინებაშიც მისი ხელი ერია.

პაპა მიშა და მისი ცოლის ძმა დიმიტრი (ტიტო) ანდრონიკაშვილი ყარსში იყვნენ სამხედრო სამსახურში. ტიტოს შელაპარაკება მოსვლია რუს ოფიცერთან, რომელმაც ტიტოსათვის გამიზნული ტყვია შეცდომით მიშა ბაგრატიონს მოარტყა ზურგიდან და მოკლა. ძია ტიტო ამ ჯავრს გადაჰყოლია – ამის შემდეგ მას დიდხანს ვერ უცოცხლია. ასე დაუობლდა ბებია დაროს არა მარტო მისი ერთადერთი შვილი მარგო, არამედ მისივე ძმისწულები – ზურაბი, ქეთო და ბაბულია. ამ დღიდან ბებია დაროს გასაზრდელი ჰყავდა ოთხი ბავშვი. თავის ძმისწულებზე მას მზე და მთვარე ამოსდიოდა, განსაკუთრებით ზურაბზე, ცალი ხელი ძმისწულისაკენ ჰქონდა, მათი ფეხზე დაყენებისათვის ზრუნავდა. მისი მადლი მეც კი მომწვდა.

აქ ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო იმის დასტურად, თუ რა პირობებში მოუხდა ცხოვრება რევოლუციის შემდეგ სიცოცხლეშენარჩუნებულ თავადაზნაურობას, როცა საცხოვრებლად მათთვის თაგვის სოროც კი სანატრელი გახდა: მარგოს ჰქონდა წითელი პლუშის პალტო. ერთხანს ატარა და როცა დაუპატარავდა, შემდეგ ის თანმიმდევრობით გადაულოცეს ქეთოს, ბაბულიას, მე და ჩემს დეიდაშვილს – ზიზიკოსაც. ჯერ ამ პალტოს გამძლეობა იყო საკვირველი და მერე ის გასაჭირი, რამაც ამ პალტოს მომხმარებელთა რაოდენობა განაპირობა.

სოფლად ყოფნისას ბებია დაროს უკაცოდ დარჩენილ ოჯახს დახმარება და პატრონობა სჭირდებოდა და აქ უკვე მამაჩემი ედგა მას მხარში. მე დღესაც შემორჩენილი მაქვს საბუთები, რომლებითაც ბებია დარო მამაჩემს თავისი მამულების მეურვეობას ანდობდა.

სოფლის შემოსავალი უკვე აღარ აღმოჩნდა საკმარისი პაპაჩემის ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახისათვის, ამდენ მემკვიდრეს, რომელნიც წამოიზარდნენ, დაოჯახდნენ და გამრავლდნენ, ბევრს ვერაფერს აძლევდა. ქალებიდანაც ყველა არ იყო გათხოვილი და დაბინავებული. ძმები გაიყარნენ და გასათხოვარი დების დაბინავება-გათხოვებაც მათ დაევალათ. ამიტომ ყველამ დამატებითი საარსებო საშუალებების ძებნას მიმართა. ზოგი სად წავიდა სამუშაოდ და ზოგი სად. მამა სამუშაოდ წავიდა თავის ბიძასთან – ვასო ბაგრატიონთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა მანია ამირეჯიბი. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: თამარი, ნინო, ელენე (შემდგომ კონსერვატორიის პედაგოგები) და ადამი. პაპა ვასო ჭკვიანი, ანგარიშიანი კაცი ყოფილა და და-ძმებს შორის ყველაზე კარგად წაუყვანია თავისი ცხოვრება. ივანე მაჩაბლის შემდეგ ის იყო ქართლში არსებული სინდიკატის, შემდგომ ამხანაგობა „ხორბლის“ მმართველი. ამ ამხანაგობის საწყობი გომში ყოფილა, ხილი იგზავნებოდა რუსეთში.

მამა ენერგიული, ცოცხალი, მხიარული ბუნების კაცი იყო, დაღლა მან არ იცოდა. ცივ ქვაზე რომ დაესვათ, იცხოვრებდაო, ასე იგონებდნენ მას დედა და მამიდები. ასეთი ენერგიული და ერთგული კაცის ყოლა სასარგებლო იყო საქმისათვის. პაპა ვასო თბილისში ცხოვრობდა და დროდადრო ჩადიოდა გომში. მას ხელს აძლევდა იქვე ჰყოლოდა კაცი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში (როცა ის იქ არ იყო) მის მაგივრობასაც გასწევდა.

და აი დადგა 1924 წელი. დაიწყო თავადაზნაურთა დაჭერები და დახვრეტები. ჩვენი ოჯახი მაშინ ხაშურში ცხოვრობდა და ამ დროისათვის უკვე სამი ბავშვი იყო ოჯახში: მე – 4 წლის, რუსუდანი – 2 წლისა, ელისაბედი – ძუძუთა და დედა – ფეხმძიმე მეოთხეზე. იმ დღეს თბილისიდან ჩამოსულ პაპა ვასოს სადგურზე შემთხვევით ნინა ხოზბეროვა შეხვედრია და შეუტყობინებია, რომ მას ეძებენ. პაპა ვასო მაშინვე ბორჯომის მატარებლით უკან გაბრუნებულა და აბასთუმანში ასულა, სადაც ისვენებდა მისი ქალიშვილი.

მამაჩემი, ის იყო დაბრუნდა სამუშაოდან, ჩექმების გახდაც კი ვერ მოასწრო, რომ მოადგნენ. გიორგი მგალობლიშვილმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა მამის მამიდაშვილი და თვითონაც მათთან მუშაობდა, როცა იკითხეს ვასო ბაგრატიონი, მოახსენა, რომ ვასო არ არის, მაგრამ აქ არის მისი ძმისწული, რომელსაც შეუძლია ყველაფერზე პასუხი გაგცეთო. ისიც მისი ძაღლი იქნებაო, – მოვიდნენ, წაიყვანეს და აღარ დაბრუნებულა. მაშინ ხომ არავინ იცოდა, ვის რისთვის ხვრეტდნენ, მთავარი დანაშაული წარმომავლობა, გვარი იყო.

ხშირად უკითხავთ, მეფის შთამომავალი ხარ თუ არაო. განა რამდენი შეიძლება ყოფილიყო მეფის შთამომავალი და მეორეც, ისინი ხომ რუსეთმა შთანთქა. მეფის შთამომავალი არა, მაგრამ სამეფო გვარის წარმომადგენელი ვარ და აკი ეს იყო დანაშაული მამაჩემისა.

როგორც კი მამა დაიჭირეს, ბებია დარო და მარგო ჩვენთან გაჩნდნენ, ამოუდგნენ დედას გვერდით და ყოველნაირად ამხნევებდნენ. ბებია დარო სოფელში ჩამოვიდა და მე და რუსუდანი ჩამოგვიყვანა ხაშურში დედასთან. მარგოსა და დედას სადილები დაჰქონდათ მამასთან. ერთხელ დედამ ჩვენ, ბავშვებიც კი წაგვიყვანა მამას სანახავად. არ ვიცი, ეს მე მახსოვს, თუ უფროსების ნაამბობიდან ჩამრჩა მეხსიერებაში: დედამ სადაც მიგვიყვანა მამას სანახავად, ის ციხე არ იყო;

ეს იყო ოთახი იმ შენობაში, სადაც ივჯდა ის უფროსი, რომელმაც დედას დართო ნება – ენახვებინა ბავშვები; ის უფროსი იყო აფხაზი, დედას თქმით, მეტად ზრდილი, თავაზიანი და კორექტული, წინააღმდეგ მისი ხელქვეითებისა, რომელნიც დასცინოდნენ დედას: მოეცალეთ, მოდის მეფის შთამომავალიო.

მამამ ფანჯრიდან აგვიყვანა ხელში, გულზე მიგვიხუტა და დაგვკოცნა. მე ეს სურათი ჩარჩენილი მაქვს მეხსიერებაში, ამიტომაც მგონია, რომ ეს ყველაფერი მე თვითონ მახსოვს.

1924 წელს აგვისტოში ხაშურში დახვრიტეს დავით სოლომონის ძე ბაგრატიონი, 30 წლისა; გომში – მისი ძმა, 23 წლის ილო სოლომონის ძე ბაგრატიონი; ასევე დახვრიტეს მისი სიძე თავისი ორი ძმით – სოლიკო, ილიკო და საშა ფალავანდიშვილები და მრავალი სხვა. ქართლში თავადაზნაურობას შეუსიეს ოსები და მუსრი გაავლეს, ბარბაროსობა ჩაიდინეს: ვეზირიშვილის ქალი მიაბეს და აყურებინეს, როგორ წამოაგეს ხარის რქებზე მისი შვილი; კლიმიაშვილის ფეხმძიმე ქალს ორი შვილი ზედ დააკლეს და თვითონ ფეხმძიმე ქალიც მოკლეს. განუკითხაობა იყო. სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს კონსტანტინე ბაგრატიონი და მისი მეუღლე ოლღა ამირეჯიბი. ოსების ერთ-ერთი შემოსევის დროს, როცა ცეცხლს მისცეს სოფელი, შემოცვივდნენ იმათ სახლ-კარში, აივნის ბოძს მიაბეს კნეინა ოლღა, ხოლო ხელებგაკრული პაპა კოტე ეზოში ჩაიყვანეს დასახვრეტად. მიუხედავად ცეცხლის მძვინვარებისა, სოფლის მოსახლეობამ იხუვლა და გადაარჩინა ისინი.

საერთოდ ქართლსა და კახეთში თავადაზნაურთა დარბევა-განადგურებას ძალიან მხეცური სახე ჰქონდა. კახეთში ხალხი კეტებითა და ქვებით ჩაქოლეს, ცოცხლად გადარჩენილები – ბავშვები და ქალები გამორეკეს, სახლ-კარი წაართვეს.

დარჩა დედაჩემი უსახლკაროდ. ვისთვის მიემართა? მთელი მისი ნათესაობა ასეთსავე მდგომარეობაში იყო – არა ბინა, არა სამსახური. სოფლებიდან გამორეკილები, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები ქალაქში სოროებს ეძებდნენ, სარდაფებსაც არ სწუნობდნენ საცხოვრებლად, არავითარ შავ სამუშაოს არ ერიდებოდნენ, ოღონდ შვილები გამოეკვებათ და ოჯახები შეენახათ. ამ ვითარების გამო იყო, რომ ცოცხლად გადარჩენილი თავადაზნაურობიდან ბევრმა გადაიკეთა გვარი, მოიხსნა ბაგრატიონობა და გახდა დავითაშვილი, მუხრანელი, გრუზინსკი, სიდამონ-ერისთავები გახდნენ სიდამონიძეები, სიდამონიშვილები, მაყაშვილები – გადარჩენაშვილები, ანდრონიკაშვილები – ქვრივიშვილები და ა.შ.

მამას დახვრეტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დედას ნება დართეს წამოსულიყო ხაშურიდან. ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ ვის შეჰკედლებოდა, ყველა ისეთ გაჭირვებაში იყო. ვის მისდგომოდა სამი ბავშვითა და მეოთხეზე ფეხმძიმე, გამოუცდელი, უსუსური ქალი?.. იმ დროს ის 24 წლისა იყო. გადაწყვიტა ორსულობა მოშალა. ექიმები არ ურჩევდნენ, ნაყოფი უკვე დიდი იყო, საშიში იყო სიცოცხლისათვის, მაგრამ დედა ამ რისკზედაც წავიდა. ნეტავი ჩემი ქმარი დედას მუცელში გასწყალებოდა, მისი ცოლ-შვილი ასე რომ არ აწიოკებულიყოო, იტყოდა ხოლმე დედა.

მცირე ხნით თავი თავის მულ თეკლეს შეაფარა, ხოლო შემდეგ, უფრო ხანგრძლივად შეიფარა პაპიდა ქეთომ (ქეთევან ბაგრატიონ-ფალავანდიშვილისამ), ამ უაღრესად კეთილმა ადამიანმა. მას დედა ძალიან ეცოდებოდა და ცდილობდა

ნუგეში ეცა, ყოველმხრივ დახმარებოდა. ჩვენ მათთან ვიყავით, ვიდრე დედას სამუშაო და საცხოვრებელი კუნჭული არ გამოუჩნდა. დედას სამუშაო უნდა ეშოვნა, მაგრამ ბავშვები სად წაეყვანა; ბავშვებთან დამტოვებელი არა ჰყავდა. ბებია თამრო თელავიდან ვერ ჩამოდიოდა დედასთან მოსაშველებლად, რადგან მას საპატრონებელი ჰყავდა დეიდა ქეთო თავისი მცირეწლოვანი შვილითა და მულით, რომელნიც კოლაგიდან (სოფელი გურჯაანის რაიონში) გამორეკეს. პაპა ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო. ის არ მოსწრებია თავისი ვაჟების დახვრეტას. სოფლად დარჩენილ მის შვილებს იქ აღარ ედგომებოდათ და ვინ საით წავიდა, როგორ აწყობდა თავის ცხოვრებას, ეს ცალკე ამბავია. ბებია კატოც ხან ერთ შვილთან იყო და ხან მეორესთან. ყველას თავისი თავი გასჭირებოდა და დედაჩემს მომხმარე არ ჰყავდა.

ჩემი უმცროსი და – ზუზიკო (ელისაბედი) იშვილეს ჩვენმა შორეულმა ნათესავებმა, ტასო და აპალონ ბაღაშვილებმა. მე მიმიყვანეს საბავშვო სახლში, მაგრამ ეს არც ისე იოლად მომხდარა, რადგან ადვილი არ იყო მაშინ ჩემი წრიდან გამოსული ბავშვის მიღება. დაბრკოლება იყო ჩემი გვარი. აქ დაგვეხმარა ადამ ბაგრატიონის მეუღლე, მხატვარი ქალი მერი მიქელაძე-ბაგრატიონი, რომელიც მაშინდელი განათლების კომისრის, მარიამ მიქელაძე-ორახელაშვილის, ძმის, გენერალ ალექსანდრე მიქელაძის, ქალიშვილი იყო. მას სამხატვრო განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული. მერის დახმარებით მიმიღეს ობოლ და უპატრონო ბავშვთა საბავშვო სახლში, სადაც თავადიშვილთა წრიდან ცოტა თუ იყო მოხვედრილი. რუსუდანი ჯერ თელავში გაგზავნეს ბებიასთან, მოგვიანებით კი, როცა დედა გათხოვდა ბარდღუ (ვლადიმერ) ჩიქოვანზე და სამეგრელოში გადავიდა საცხოვრებლად, თან წაიყვანა. სკოლაში შესვლისას რუსუდანსაც ბარიერად ექცა ბაგრატიონობა და გადაიყვანეს ჩიქოვანის გვარზე.

ამრიგად, მამაჩემის სამი შვილიდან რუსუდან დავითის ასული ბაგრატიონი გახდა რუსუდან ვლადიმერის ასული ჩიქოვანი, ელისაბედ დავითის ასული ბაგრატიონი ელისაბედ აპალონის ასული ბაღაშვილი. ბაგრატიონის გვარის მატარებელი დავრჩი მხოლოდ მე.

დიდი წვალების შემდეგ მამას მამიდაშვილის – კატუშა გიჟიმყრელის მეოხებით დედამ იშოვა სამუშაო. ძნელაძის ჩიხში (ყოფილი „საპიორნაია“) იყო ორი ოთახისაგან შემდგარი ერთსართულიანი სახლი. ერთი ოთახი იყო სამრეცხაო, ცალკე ამოშენებული აბაზანით, მეორე, უფრო პატარა ოთახი იყო საუთოებელი. ამ ოთახში ცხოვრობდა დედა, როგორც ყარაული და მას ევალებოდა დაუთოება. აქ მოჰქონდათ სარეცხი რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტზე განლაგებული კაფე-რესტორნებიდან. შაბათ-კვირას დედას მოვყავდი საბავშვო სახლიდან და ვხედავდი, როგორ ათენებდა ღამეებს ქარგვაში. დედა კარგად ქარგავდა და ცოტა ფულს ამითაც შოულობდა. დედა მიმღეროდა და თან ცეკვას მასწავლიდა, განსაკუთრებით – „ენზელს“. ეს იგივეა, რაც „უზუნდარა“.

მაშინ დედა ატარებდა ქუდზე გადაკრულ, გრძლად ჩაშვებულ შავ თხელ, გამჭირვალე შარფს, რომელიც გიშრის ქინძისთავებით ლამაზად იყო ჩამაგრებული გვერდებში. მე არ ვიცოდი, რომ ეს იყო „ტრაური“ (ძაძა) და ქვრივებს ეხურათ ასე. ძალიან მომწონდა, სულ ვოცნებობდი – როცა გავიზრდები, მეც ასე დავიხურავ-მეთქი. რა ვიცოდი, რომ ჩემი ბედიც ამას მიმზადებდა.

აი აქ შეხვდა დედა ბარდღუ ჩიქოვანს, თავის მეორე მეუღლეს, რომელმაც თავისთან გადაიყვანა სამუშაოდ იმ კაფეში, რომელიც მწერალთა და ხელოვანთა თავშეყრის ადგილი იყო. შემდეგ მათ იქორწინეს და საცხოვრებლად გადავიდნენ სამეგრელოში. ბარდღუ ჩიქოვანი იყო კეთილშობილი, მოსიყვარულე, მზრუნველი, ძალზე გულჩვილი ადამიანი, ლამაზი, ახოვანი. რხევით იცოდა სიარული. ისე მოხუცდა, რომ წელში არ მოხრილა. ქუჩაში გავლილი ყურადღებას იპყრობდა. უფროსი შვილი იყო ოჯახში და მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა მან თავის თავზე აიღო. დედას ამ ქორწინებიდან კიდევ ორი შვილი შეეძინა – მაყვალა და ზურაბ ჩიქოვანები. ასე რომ, ჩვენ სულ ხუთნი ვყავდით დედას და არავითარი გარჩევა ჩვენს შორის – ეს იმის შვილია, ის იმისიო – არ არსებობდა. ზაფხულობით არდადეგებზე მათთან თავს იყრიდნენ მამიდაშვილ-დეიდაშვილ-ბიძაშვილები ჩიქოვანების, ბაგრატიონების თუ სიდამონ-ერისთავების მხრიდან.

* * *

და აი, მე უკვე საბავშვო სახლში ვარ, „პირველ საბავშვო სახლში“, როგორც მას უწოდებდნენ. ეს იყო ვიღაც მდიდრისათვის ჩამორთმეული მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი, დიდი დარბაზებით, სარკეებით მოპირკეთებული ჭერით, როიალით, კედლებზე ფრინველთა და ცხოველთა ფიტულებით, ხალიჩებით მორთული. ეს სახლი ეხლაც დგას შიო ჩიტაძისა და დანიელ ჭონქაძის ქუჩების კუთხეში და გადმოჰყურებს ყოფილი ქალთა გიმნაზიის შენობას. ამჟამად ის საცხოვრებელი სახლია, სადაც თავის დროზე შეასახლეს განათლების დარგის მუშაკები.

თბილისში იმ დროს ორი საბავშვო სახლი იყო: ერთი ჩვენი – ობოლი და უპატრონო ბავშვებისათვის. მინდა გავიხსენო ზოგიერთი მათგანი: ძმები სერგო და გოგა ვაშაკიძეები. სერგო ძალიან მუსიკალური იყო და მგონი შემდეგ ლოტბარადაც მუშაობდა. გოგა ფრონტზე დაიღუპა. დები ნინო და ლიზა გურამიშვილები, ალექსი მესხი (მხატვარი), ვასიკო ლაბაძე, ლიზა ილიაური (ექიმი), თამარ წულუკიძე. იყო პირდაპირ ქუჩიდან მოყვანილი ბავშვიც, რომელსაც გვარი არ ჰქონდა და იქ დაანათლეს – მარიამ ოქტომბრიშვილი; და-ძმა ჟორა და ლიზა აბუევები, დები რუხაძეები. მაპატიონ მათ, ვინც ვერ გავიხსენე.

მეორე იყო მთიელთა საბავშვო სახლი, რომელიც ზემელზე, იქ, სადაც ეხლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაა, იმ შენობაში იყო განთავსებული. ეს იყო გასაბჭოების პირველი წლები, როცა სოფლად ჯერ კიდევ ყველგან არ იყო სკოლები, განსაკუთრებით კი მთიან რაიონებში (სვანეთი, ხევსურეთი, ქისტეთი და ა.შ.). ამიტომაც ამ საბავშვო სახლში იყვნენ არა ობლები, არამედ მთიანი ზონიდან განათლების მისაღებად ჩამოყვანილი ბავშვები.

არ შემიძლია განსაკუთრებული სიყვარულით, მოწიწებითა და მადლიერებით არ მოვიხსენიო ჩვენი საბავშვო სახლის აღმზრდელ-პედაგოგთა თუ მომსახურეთა მთელი კოლექტივი: გამგე ქსენია იოსელიანი, პედაგოგები – ტალია იოსელიანი, ელიკო ცაგარეიშვილი, ნადია ნიშნიანიძე, ცუცა ჩაჩხიანი, მხატვარი კორნელი სანაძე, კომპოზიტორი ვალერიან ცაგარეიშვილი, ბავშვთა ექიმი კასუმოვი და მისი თანაშემწე ქალი ქეთო გაჩეჩილაძე, ძიძა საშა მეხუზლა, მზარეული „ტიოტია“ (დეიდა) პაშა. ეს იყო თბილი, სათნო, ბავშვების სიყვარულითა და სიბრალულით

გამსჭვალული კოლექტივი, მზრუნველი თითოეული ბავშვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. ამის დასტურად ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: გაჩნდა წითელას ინფექცია. ბავშვებმა ნორმალურად მოიხადეს, მხოლოდ მე გამირთულდა, დამერთო ფილტვებისა და ყურების ანთება, მენინგიალური მოვლენებით. სასწორზე იდო ჩემი სიცოცხლე. ჩვენი გამგე – ქსენია იოსელიანი მოსკოვში მივლინებით უნდა წასულიყო, მაგრამ არ წავიდა, დეიდა ელიკო ცაგარეიშვილი გაუშვა თავის მაგივრად, მოიყვანა იმ დროს საკმაოდ ცნობილი ექიმი პროფ. ი. ლორთქიფანიძე, რომელმაც ზურგის ტვინის სითხე გამომიშვა და გადამარჩინა. შეიძლება ასეთი ზრუნვა ბავშვს მეხსიერებიდან ამოუვარდეს?

საინტერესო ის არის, რომ ორივე საბავშვო სახლის გამგეს ერთნაირი სახელი და გვარი ჰქონდათ – ქსენია იოსელიანი; ჩვენი იყო ცისფერთვალება, ქერა, ლამაზი ქალი, სილოვან ცხაკაიას მეუღლე; იმათიც, მთიელ საბავშვო სახლისაც – ქსენია იოსელიანი (აბესალომ იობიძის მეუღლე), ასეთივე სათნო, მზრუნველი და ყურადღებიანი, რომელიც ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა ბავშვებს საბავშვო სახლიდან წასვლის შემდეგაც. ისიც ლამაზი იყო, ოღონდ შავგვრემანი, შავთვალწარბა, ეშხიანი. ამიტომ განსასხვავებლად ბავშვებმა მათ შეარქვეს „თეთრი“ ქსენია და „შავი“ ქსენია.

ორივე საბავშვო სახლს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან, ზოგჯერ ერთობლივ ღონისძიებებსაც ატარებდნენ. მინდა გავიხსენო ჩვენთან ჩატარებული ერთი საახალწლო ზეიმი, რადგან მას შემდეგ მე ჩემს ბავშვობაში უკვე აღარასოდეს განმიცდია ასეთი სიხარული ახალწლის შეხვედრისა. ჩვენი გაჩირაღდნებული დარბაზი ლამაზად იყო მორთული ნაირ-ნაირი გირლიანდებით, ფერადი ბუშტებით, დიდი ნაძვის ხე – სათამაშოებით; ლამაზად იყვნენ ჩაცმულნი და მორთულნი ბავშვები. კედელზე მიყუდებული იყო კიბე, რომლის თავში იჯდა მოხუცი – ძველი წელი, რომელიც ნელ-ნელა, ტაატით ეშვებოდა დაბლა, ხოლო ქვემოდან ზემოთ არბოდა ლამაზად მორთული გოგონა – ახალი წელი. იყო სიხარული, იყო ზეიმი.

მთიელ ბავშთა საბავშვო სახლში ჩატარდა შემოდგომის ზეიმი. მიგვიპატიჟეს. იმათ კარგი ეზო ჰქონდათ. ეს ეზო მორთული იყო ხილით, ჩამოკიდებული იყო ყურძნის აკიდოები, ჯაგნები, იხარშებოდა ფელამუში, ევლებოდა ჩურჩხელები და იდგა ჟრიამული.

განა შეიძლება ამ სიხარულის, ამ განცდის დავიწყება?!

* * *

აღმოჩნდა, რომ კოჯრის კლიმატი ჯანსაღი და ძალიან კარგია ბავშვებისათვის. კოჯორი გამოაცხადეს ბავშვთა ქალაქად და მთავრობამ დაადგინა ყველა საბავშვო სახლი, თბილისში იქნებოდა ის, თუ სხვაგან, კოჯორში გადაეტანათ. ასეც მოხდა. ეს იყო, მგონი, 1929 წელი. ყველა საბავშვო სახლმა, მათ შორის ჩვენმაც და მთიელთამაც, თავი მოიყარა კოჯორში და მათ დაერქვათ ახალშენები. კოჯორში სულ შვიდი ახალშენი იყო. აქ მოხდა ყველა საბავშვო სახლის ბავშვების შერევა და მათი გადანაწილება კლასების მიხედვით.

თავდაპირველად ჩვენ მოვხვდით მეხუთე ახალშენში, რომელიც მოთავსებული იყო მაღლობზე მდგარ ლამაზ ორგუმბათიან შენობაში, გვერდით ნაძვნარით.

სუმბათოვებისათვის ჩამორთმეული სახლი იყო. თბილისიდან ჩამოგვყვა ჩვენი მშვენიერი ავეჯი, ხალიჩები თუ ნივთები, რომლებიც შემდეგ თანდათან გაქრა. სამწუხაროდ ძველი პედაგოგებიც აღარ იყვნენ. ასეთივე ლამაზი იყო პირველი ახალშენის შენობა, წინ ყვავილნარით. შემდგომ წლებში, როცა კლასების მიხედვით მოხდა ბავშვების გადანაწილება, მეშვიდე ახალშენში მოვხვდი.

კოჯორში აღარ იყო ის პირობები, რაც თბილისში გვქონდა, დასაწყისში კიდევ ჰო, მაგრამ შემდეგ თანდათან გაუარესდა. ამას თავისი ახსნა ჰქონდა: ცხოვრება გაჭირდა. პური ნორმირებული გახდა. დასაწყისში ფიზიკურად სუსტ ბავშვებს დამატებით რძეს გვაძლევდნენ, შემდეგ ამის საშუალებაც აღარ იყო. მე ძალიან გამხდარი და სუსტი აღნაგობის ბავშვი ვიყავი, ძვალწვრილა, და ბავშვებმა ზედმეტ სახელად „წოპწოპა კნეინა“ შემარქვეს. ბავშვებს საჭმელი არ ჰყოფნიდათ და ამიტომ მინდორს იყვნენ მოდებული, გაზაფხულზე ფამფარას (რძიანი ბალახი), ღრინჭოლას (მსხვილყლორტიანი, წყლიანი მცენარე), მჟაუნას ვკრეფდით, შემოდგომაზე – ნაბოსტნარში დარჩენილ მწვანილს, განსაკუთრებით აყლოტებულ ქინძს და იქვე ისე, გაურეცხავად მივირთმევდით, ტყეში – კუნელას, მაყვალს, მაჟალო ვაშლს, პანტას, ზღმარტლს, ასკილს და უბით მოგვქონდა. ასე ბუნებრივად მარაგდებოდა ჩვენი ორგანიზმი „ცოცხალი ვიტამინებით“, რაც სხვადასხვა ინფექციური დაავადებებისაგან გვიცავდა. მინდა გავიხსენო ჩემი ზოგიერთი თანაკლასელი და თანამეოთახე კოჯრიდან: თინა ბუკია, თამარ თარალაშვილი, ზინა რუხაძე, ქისტი გოგონა სობურა დუიშვილი, მიხეილ მექვევ-რიშვილი, რომელიც დოლზე უკრავდა კარგად, სვანები – ნუცა გიგანი, თამარ კვიციანი. საზოგადოდ, სვანები ბევრნი იყვნენ: ძმები ჯაფარიძეები, ჩარქსელიანი, გულბანი და სხვები. კოჯრიდან წამოსვლის შემდეგ მე მათ აღარ შევხვედრივარ და მათი ასავალ-დასავალის შესახებ არაფერი ვიცი. გამონაკლისია ჩემი და თინათინ ოჩიაურის მეგობრობა და ურთიერთობა, რომელიც დღემდე გრძელდება. ჩვენ პარალელურ კლასებში ვიყავით, მაგრამ ერთ ოთახში ვცხოვრობდით. როცა კოჯორში საშუალო სკოლა დახურეს, თინა მერვე კლასიდან თბილისში გადმოიყ-ვანეს მშობლებმა. ნახევარი წლის შემდეგ მეც გადმოვედი თბილისში და ჩვენი მეგობრობა მთელი ცხოვრების მანძილზე არ შეწყვეტილა.

კოჯრის საბავშვო ახალშენების დირექტორი იყო ჯერ ალიოშა ჯიბუტი – ფიცხი და მკაცრი კაცი, რომლისაც ძალიან ეშინოდათ ბავშვებს, შემდეგ კი – დიმიტრი დუდუჩავა. ცალკე ახალშენებს თავიანთი გამგეები და აღმზრდელ-პედაგოგები ჰყავდათ. მეშვიდე ახალშენის გამგე იყო მიშა გობრონიძე. მათემატიკას გვასწავლიდა პარმენ სტურუა – ახოვანი, დამახასიათებელი მკაცრი სახით, არწივისებურით ცხვირით, ნაიარევით ლოყაზე, რაც კიდევ უფრო უმკაცრებდა სახეს; ფიზიკის მასწავლებელი ნამიჩეიშვილი – ბრგე, სახის მსხვილი ნაკვეთებით, დინჯი, დარბაისელი, რომელსაც ბავშვებმა „დინჯი სპილო“ შეარქვეს; ევა სულხანიშვილმა, ქიმიის მასწავლებელმა, შეგვაყვარა ქიმია და კარგადაც გვასწავლა; ბაბულია სულხანიშვილი იყო ბიბლიოთეკის გამგე. ევა და ბაბულია ბიძაშვილები იყვნენ. ბაბულია სულხანიშვილის ძმა იყო ის საშა სულხანიშვილი, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად ემიგრაციაში წავიდა ევროპაში და რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ სამშობლოში დასაფლავდა. კითხვა მიყვარდა და დეიდა ბაბულია მირჩევდა წიგნებს. ბაბულიას თან ჰყავდა თავისი დისწულები – სონიკო

და მაყვალა გარაყანიძეები. სონიკო მშვენივრად მღეროდა და ცეკვავდა. ბებიაჩემი თამრო და ბაბულიას დედა მეგობრობდნენ, ისინი თბილისში იქვე ჩვენთან ახლოს, სამხედრო ქუჩაზე ცხოვრობდნენ. დეიდა ბაბულია ყურადღებას არ მაკლებდა.

ცალკე უნდა გამოვყო ისტორიის მასწავლებელი, გვარად დარსალია, რომელიც მოგვიანებით აფხაზეთის განათლების კომისარი იყო, და მისი ისტორიის გაკვეთილები. ეს იყო სულ სხვა ყაიდის, სულ სხვა სულისკვეთების პედაგოგი, რომლის გაკვეთილები წარსული წყობის სიძულვილის პროპაგანდა უფრო იყო, ვიდრე ისტორიის გაკვეთილები. მინდა წარმოგიდგინოთ ერთი ნიმუში მისი გაკვეთილებიდან, ოღონდ წინასწარ ბოდიშს მოვიხდი მის ნაცვლად:

– თავადაზნაურობა ჯერ გაძღებოდა, შემდეგ თითს ჩაიყოფდა პირში და აღებინებდა, რომ შემდეგ ეჭამაო,

ან კიდევ:

– ჩონგურზე დამკვრელები მათ ნანას უმღეროდნენ, თან ფეხისგულებს უფხანდნენ და ასე აძინებდნენო.

და აი, მე – ბავშვი, გაჟღენთილი ამ აგიტაციით, ჩამოვედი თბილისში და მამიდას ვეუბნები: აი, თქვენ როგორები ყოფილხართ, რას აკეთებდით-მეთქი! და გავიმეორე ის, რაც მასწავლებელმა გაკვეთილზე გვითხრა. მამიდამ მიყურა, მიყურა და ცრემლები გადმოყარა.

კოჯორში გვყავდა აგრეთვე, ძალზე გულისხმიერი და ყურადღებიანი ექიმი გიორგი კაჭახიძე, რომელიც ხანგრძლივად ემსახურა კოჯრის საბავშვო სახლების ბავშვთა ჯანმრთელობას.

* * *

ქვეყანაში შემოღებული იქნა პასპორტები, რომლებიც 16 წლის ბავშვებსაც უნდა მიეღოთ. პასპორტების გაცემის დროს ორი ვაჟი შელაპარაკდა, რასაც მოჰყვა მკვლელობა. მოკლული იყო სვანი ბიჭი. ეს მოვლენა საგანგაშო იყო თავისთავად, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ სვანები ბევრნი იყვნენ და შეიძლებოდა სისხლი აეღოთ. დახურეს ათწლედი და მოზრდილი ბავშვები გადაანაწილეს სხვადასხვა ინტერნატებში. კოჯორში დავყავი შვიდწლედის დამთავრებამდე და შემდეგ მოვხვდი მანგლისის ინტერნატში. იქ საშინელი პირობები იყო. პირველი სემესტრის შემდეგ ჩვენებმა გადმომიყვანეს თბილისში, შემიყვანეს პედაგოგიურ სასწავლებელში, სადაც სტიპენდიას ვიღებდი და ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო 1934-35 სასწავლო წელი. აქაც შესანიშნავი პედაგოგები იყვნენ. სასწავლებლის დირექტორი იყო ივლიანე კვაჭაძე, რომელიც ამავე დროს გვასწავლიდა მათემატიკას, 1937 წელს ის რეპრესირებული იყო; სასწავლო ნაწილის გამგე – ალექსანდრე გვახარია; პედაგოგები – ანტონ მუჯირი, ათანასე ხარაბაძე, ონოფრე შუშანია, მიხეილ აბრამიშვილი, იაკობ კოსტავა, ვალერიან კობახიძე, აბესალომ მიქაძე, ანნა ლაისტერი (37 წელს რეპრესირებული), პლატონ კვირკველია, მეგი მიქელაძე, გულნარა ფაღავა, ქსენია ჯუღელი, დავით კუჭაიძე, თედო ჟორდანია.

რატომ ვუსვამ ასე ხაზს და რატომ ვასახელებ ჩემს პედაგოგებს? იმიტომ, რომ ეს იყო პედაგოგთა ის თაობა, რომლისთვისაც პირველ პლანზე იდგა თვითონ მოსწავლე, მისი უნარი, ნიჭი, მისი პიროვნება და არა ის, ვისი შვილია, ვინ

დგას მის უკან. ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო მშობლის მისვლა სკოლაში. ისე დავამთავრე სკოლა, რომ მშობლები არც ერთხელ არ ყოფილან დაბარებული ან თავისი სურვილით მისული სკოლაში. არ არსებობდა ეს პრაქტიკა. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, თუ ვისი შვილი ხარ. ჩემს გვერდით სწავლობდა ჩემი მასწავლებლის შვილი, მაგრამ მას ამის გამო არავითარი პრივილეგია არ ჰქონდა. ჩვენ, მოსწავლეები, მასწავლებლების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას რომელიმე მოწაფის მიმართ არ ვგრძნობდით. მასწავლებელს უყვარდა და ახარებდა ყოველი ნიჭიერი მოსწავლე, ვისი შვილიც უნდა ყოფილიყო ის. მე ჩამოვედი რომელიღაც სოფლის სკოლიდან და მაშინ, როცა სკოლას უკვე ჰყავდა თავისი წარჩინებული მოსწავლეები, არ გამჭირვებია მათ გვერდით დადგომა.

აქ მინდა ჩამოვთვალო ჩემი თანაკლასელები ამ სკოლიდან: ქეთო მეფარიშვილი (ექიმი), ლენა სააკაშვილი (ბიოლოგი), გუგული გიორგაია (გეოგრაფი), ტასო რაზმაძე, ეთერ ხოტივარი, ნინო ტაბატაძე (პედაგოგი), სოსო მაჭავარიანი (მედიცინის მეცნ. დოქტორი, პროფესორი), კოკონა შუშანია (დაიღუპა ფრონტზე სამამულო ომში), სულიკო კვაჭაძე (ისტორიულ მეცნ. კანდიდატი), დათო სეფიაშვილი (ფილოლოგი), აჩიკო შავიანიძე (მხატვარი).

მათ შორის, ვისაც ჩემს გაზრდასა და ფეხზე დადგომაში თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი, განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი ბიძაჩემის, დედაჩემის ძმის – მიხეილ სიდამონ-ერისთავის მადლს. თვითონ უკვე ბევრი აღარაფრის მქონეს, შეეძლო, როგორც იტყვიან, უკანასკნელი პერანგი გაეხადა და სხვისთვის ჩაეცმია. ბევრ უპოვარ ყრუ-მუნჯს მიუღია მისი დახმარება თუ გულისხმიერება. ბათუმიდან რომ დაბრუნდა (სადაც ის ყ/მ საზოგადოების თავმჯდომარე იყო), თან ჩამოიყვანა ერთი უპატრონო ყრუ-მუნჯი, ჯერ თავის სახლში შეივრდომა და შემდეგ ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გზით უშოვა სამსახური და ბინა. მრავალი მოდიოდა მასთან რჩევა-დარიგებისა თუ დახმარებისათვის. ბრწყინვალე ოფიცერი, კეთილი, გულჩვილი, თუმცა მეტად ფიცხი.

ახლადდაქორწინებული იყო მარიამ ლეონიძეზე და ბავშვს ელოდებოდა, როცა მენინგიტით გახდა ავად. მაშინ წამლები არ არსებობდა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ და ხშირად ავადმყოფობა სიკვდილით თავდებოდა. ძია მიშა გადარჩა, მაგრამ დაყრუვდა, სმენა დაკარგა. ეს იყო ტრაგედიის დასაწყისი მის ცხოვრებაში. სიყრუემ ეჭვიანი გახადა, დაენგრა ოჯახი, დედაჩემთან გადმოვიდა საცხოვრებლად. ვიდრე ამ სტრესიდან გამოვიდოდა და გონს მოეგებოდა, ძალიან გაუჭირდა. გაუჭირდა არა იმდენად მატერიალურად, რამდენადაც მორალურად. მას ძალიან უყვარდა თავისი მეუღლე და მთელი სიცოცხლე მის მოლოდინში გაატარა. საკვირველი იყო მათი ურთიერთობა. ისინი ერთად აღარ ცხოვრობდნენ, მაგრამ ურთიერთობა, მიმოსვლა, კეთილი განწყობა, ერთმანეთზე ზრუნვა გრძელდებოდა. ძალუა მარუსია დააპტიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს სპარსეთის კონსულთან ურთიერთობის ბრალდებით (სპარსული იცოდა). ძია მიშა სადილებს უზიდავდა ციხეში, ხოლო როცა ძია მიშას გაუჭირდებოდა რამე, იქვე გაჩნდებოდა ძალუა მარუსია. სმენის დაკარგვის შემდეგ ძია მიშას გაუჭირდა თავისი ადგილის პოვნა საზოგადოებაში, მაგრამ როდესაც ჩამოყალიბდა ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, სხვადასხვა დროს მუშაობდა ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის, საზოგადოება აჭარის განყოფილების თავმჯდომარის თუ სხვა თანამდებობებზე.

სამეგრელოში დედაჩემის საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ ამ ე.წ. „ბინაში“ ცხოვრობდა ძია მიშა, სადაც თელავიდან უკვე მუდმივად საცხოვრებლად გადმოვიდნენ ბებია თამრო, დეიდა ქეთო თავისი ქალიშვილით – ზიზიკოთი და მულით – ნადათი. მეც მათ მივემატე. ყველანი ძირითადად ბიძაჩემს დავაწექით კმაყოფაზე, თუმცა დეიდა ქეთო და მამიდა ნადაც მუშაობდნენ, როგორც შეეძლოთ (დეიდა – ფოსტაში დამტარებლად, მამიდა ნადა – კონიაკის ქარხანაში, მუშად).

სკოლის პერიოდში ჩემი სტიპენდია მყოფნიდა ჩაცმაზე – ე.წ. „ხუშუშას უნივერმაღში“ ვყიდულობდი ჩემთვის აუცილებელს – ეს იყო ფეხსაცმელი, კაბა, პალტო თუ სხვა. ხუშუშა იყო ჩვენი სახლის პატრონის ცოლი. ისინი, თავისი ორი ვაჟით, სომხეთიდან ახალი ჩამოსულები იყვნენ და ცხოვრობდნენ იმ ყოფილ სამრეცხაოში, რომელიც საცხოვრებელ ბინად გადაკეთდა და გაიყიდა. ისინი გახდნენ ამ სახლის მეპატრონენი და ჩვენ – მათი მდგმურები. ეს ცოლ-ქმარი უნივერმაღსა და სხვა მაღაზიებში ყიდულობდა საქონელს და ჰყიდდა, რა თქმა უნდა, მომატებულ ფასებში, მაგრამ ჩემთვის და, ალბათ, სხვებისთვისაც ხელსაყრელი იყო იმით, რომ გვაცდიდნენ, ნისიად გვაძლევდნენ.

* * *

1937 წელს დავამთავრე სკოლა. დადგა პროფესიის არჩევის დრო. ვფიქრობდი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ ჩვენ სულ გვეშინოდა – დღეს აქა ვართ, ხვალ სად ვიქნებით. გადავწყვიტე ამერჩია ისეთი პროფესია, რომელიც ყველგან – ჩემსა თუ სხვა ქვეყანაში – გამომადგებოდა. ეს იყო ექიმის პროფესია. პედაგოგიური სასწავლებლის ატესტატი, ე. წ. „ხუთპროცენტიანი გამოშვებით“, უფლებას მაძლევდა უგამოცდოდ შევსულიყავი პროფილის მიხედვით პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო სხვა დარგზე – სავალდებულო სტაჟის გარეშე, გამოცდების ჩაბარებით. მაშინ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდები ტარდებოდა ყველა საგანში, რომელიც კი საშუალო სკოლაში ისწავლებოდა. იმ წელიწადს (1937) გამოცდები სამედიცინო ინსტიტუტში ტარდებოდა მე-14 საშუალო სკოლაში (მახარაძის ქ.). სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი იყო ეზიაშვილი. არც კი ვიცი, რა მეცნიერული წოდება ჰქონდა. მე მგონი, არც არაფერი. მისი დირექტორობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, სულაც – მხოლოდ იმ გამოცდების პერიოდი. გამოცდები მიმდინარეობდა არც თუ ისე ობიექტურად, გასავალი ჰქონდა არა იმდენად ფულს, რამდენადაც პროტექციას, თუმცა მაშინაც დაისაჯა ერთი ცნობილი ქირურგი ფულის აღებისათვის. მე საგანგებოდ არ ვასახელებ მის გვარს. ამ ხაზს ვიცავ და ვატარებ სხვების მიმართაც, რომელთაც თავიანთი ცოდვები აქვთ ჩადენილი ჩვენი ოჯახის მიმართ. ღმერთმა შეუნდოთ... მაშინ ფულის აღებისა და პროტექციონიზმის მასშტაბები არც ისე დიდი იყო, ამბობდნენ – 3000 მანეთიო. შემდეგ და შემდეგ წლებში ეს მასშტაბები გაიზარდა. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ცოდნით მოხვედრა თუ, რასაკვირველია, ობიექტურად შეგიფასებდნენ ცოდნას და ნიშანს არ დაგაკლებდნენ. ასე „უპატრონოდ“ მისული, რა თქმა უნდა, არ მოვხვდი, არ მეყო ნიშნები და იმავე ნიშნებით შევედი უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედაგოგიური სექტორის ბიოლოგიურ ფაკულტეტზე იმის იმედით, რომ ეგებ გადავსულიყავი სამედიცინო ინსტიტუტში. აქ მოვისმინე

(მარცხნიდან) მზია სიდამონ-ერისთავი, ეთერ ბაგრატიონი და ელისაბედ ვაჩნაძე

ოთხი სრული კურსი და შესაბამისი საგნები ჩავაბარე. ეს მე გამომადგა და ჩამეთვალა სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრის შემდეგ (1945 წ.).

* * *

სკოლის დამთავრების პირველსავე წელს შევხვდი და გავიცანი პირველი მწერალი და მერე ვინ? – ბატონი კონსტანტინე გამსახურდია. აი ეს როგორ მოხდა: მამიდა მარგო, რომელიც მაშინ რკინიგზის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, იმ გაზაფხულს პრექტიკაზე გაგზავნეს გორში. მეც წამიყვანა – გამოცდების შემდეგ დაისვენებო. მარგო ბაგრატიონი იყო გ. მუშიშვილის (ხოფერია) ცოლი, მაგრამ ძალიან ადრევე, გათხოვების შემდეგ მოკლე დროში, გაშორდა მუშიშვილს, რომელსაც 37 წლისათვის უკვე სხვა მეუღლე ჰყავდა. სწორედ ამან გადაარჩინა მარგო 37 წლის რეპრესიებს, როცა ცოლები ქმრების ბედს იზიარებდნენ. ამდენად მას მწერლებთან ურთიერთობა ჰქონდა და იცნობდა კიდეც მათ.

ერთ დღეს სახლში დაბრუნებულმა გვითხრა, კონსტანტინე გამსახურდია შემხვდა და დამპირდა, რომ დღეს ჩვენთან მოვა, თქვენთან ვიდარბაზებო. გამეხარდა, რომ შევხვდებოდი ასეთ დიდ მწერალს და მთელი დღე ვცქმუტავდი, მოლოდინში ვიყავი. უმნიშვნელო ხმაურზეც კი ჭიშკართან მივრბოდი და საღამოს, უკვე იმედი რომ გადამიწყდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა ეტლი, რომელიც ჩვენს ჭიშკართან გაჩერდა და რომლითაც მობრძანდა ბატონი კონსტანტინე.

ძალიან დამამახსოვრდა მისი ჩაცმულობა: მოწითალო-მოყავისფრო კრაგები და გალიფე შარვალი, არადა ზაფხულია, ცხელა. ერთი კი შემოვიდა სახლში, მიესალმა ბებიას, დიდხანს აღარ შეყოვნებულა და იმავე ეტლით გავემგზავრეთ გორის სასტუმროში, სადაც მისი მეგობარი იყო (გვარი არ მახსოვს), რომელიც გორის ციხის რესტავრაციაზე მუშაობდა. იქიდან წამოვედით ფეხით და საუბრით. რა თქმა უნდა, საუბრობდნენ უფროსები და ძირითადად – ბატონი კონსტანტინე. მე სმენად ვიყავი გადაქცეული.

მაშინ გორში მთავარ ქუჩას ლენინის ქუჩა ერქვა და მას ორივე მხარეს – გზის სავალ ნაწილსა და ტროტუარებს შორის რაკრაკით ჩამოუდიოდა ნაკადულები. ლამაზი სანახავი იყო. ამაზე აიბა საუბარი და კონსტანტინემ ჩამოთვალა უცხო ქვეყნების ის ქალაქები, სადაც ის და მისი მეგობარი იყვნენ ნამყოფი და სადაც მსგავსი ქუჩები იყო. დასტურს ელოდა თავისი მეგობრისაგან, რომელიც მორიდებით ერეოდა საუბარში და საერთოდ ძალიან მოკრძალებული ჩანდა, შემდეგ ილაპარაკა იმაზე, რომ სადღაა დღეს არისტოკრატია:

– აი, რუსეთში ვიყავი, მოსკოვში, „ინტერნაციონალში“ ისეთი ქალები ცეკვავენ, რომლებსაც წინდებიც კი ვერ გაუსწორებიათო (გულისხმობდა „ხაზიან ჩულქებს“, რომლებიც მაშინ მოდაში იყო); დიდ თეატრში შევედი და ერთ მხარეს მომიჯდა კუზიანი, ხოლო მეორე მხარეს – სალდათი თავისი აყროლებული ჩექმებითო და ამ დროს მას სახეზე საშინელი ზიზღი ეწერა. სახტად დავრჩი.

ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება ამ დიდი მწერლის გაცნობიდან.

* * *

უკვე მძვინვარებდა 37 წელი, უმოწყალო და უსაზღვრო დაჭერებით. არავინ უწყოდა მეორე დღე სად გაუთენდებოდა, ვის რისთვის იჭერდნენ, თანაც ამ დაჭერებს მასობრივი ხასიათი მიეცა: დედა სულ მაფრთხილებდა – ნუ გავიწყდება, მამა დახვრეტილი გყავს, ბაგრატიონი ხარო. ბაგრატიონობა აკი ფეხებში ებორკებოდა ჯანო (ირაკლი) ბაგრატიონსაც მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე და ისე დაასრულა თავისი მოღვაწეობა ხელოვნებაში, რომ საზღვარგარეთ გასტროლებზე წასვლა არ აღირსეს. 37 წელს გააქრეს მისი სიძე მწერალი ნიკო მიწიშვილი, თამარ ბაგრატიონის მეუღლე და თამარიც გადაასახლეს. თამარი ლამაზი ქალი იყო, მისი პორტრეტი თამარ მეფის სამოსელში გიგო გაბაშვილმა დახატა, თამარი გამოაქანდაკა ვახტანგ კოტეტიშვილმა, ხოლო მისი სურათი ქართულ სამოსელში, როგორც ტიპური ქართველი ქალისა, ღია ბარათებით ვრცელდებოდა; როცა შინსახკომიდან მოვიდნენ ქონების კონფისკაციისათვის, გაბაშვილის მიერ დახატული თამარის სურათის წაღებაც მოინდომეს, მაგრამ ამას თამარის მამა კოტე ბაგრატიონი აღუდგა და არ დაანება.

როგორც კი გაიგო მამიდა მარგომ თამარის დაპატიმრება, მეორე დღესვე ადრიანად გაჩნდა პაპა კოტესთან, რომელსაც ამ ხანდაზმულ ასაკში ხელზე შემორჩა საპატრონეტლად ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი – ილამაზი და მარინე. ბებია დარო და მარგო გვერდით ედგნენ პაპა კოტეს, შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერით ამხნევებდნენ. თამარის უმცროსმა დამ, ნატო ბაგრატიონმა თავი დაანება უნივერსიტეტს და ჯანოს ანსამბლში დაიწყო მუშაობა, რათა ბავშვებისათვის ეპატრონა და ასე – ჯანოს, ნატოს და პაპა კოტეს ზრუნვით იზრდებოდნენ მშობლიურ ზრუნვას მოკლებული ბავშვები.

დაიწყო სამზადისი მისაღები გამოცდებისათვის. მე ვმეცადინეობდი ჩემი სკოლის ამხანაგთან, ქეთო მეფარიშვილთან, რომლის მამაც – გედეონ მეფარიშვილი საფინანსო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე იყო. სულ მოკლე ხანში ისიც დაიჭირეს. ის ქართველ მწერლებთან მეგობრობდა. ერთ დღეს მათთან სტუმრადმყოფი ერთ-ერთი მწერლის საუბრიდან ასეთ ფრაზას მოვკარი ყური: „ან ნიკოს უნდა დაესწრო, ან მე. მე დავასწარი.“

რა აზრი იდო ამ ფრაზაში, რას გულისხმობდა, ეს ჩემთვის მაშინ გაუგებარი იყო, მაგრამ ერთი აშკარად ჩანდა – ამ მწერლის წვლილი ნიკო მიწიშვილის დაპატიმრებაში. მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან, ძალიან ბევრი წლის შემდეგ, როცა დაიწყო რეპრესირებულთა რეაბილიტაცია და ბევრ საიდუმლოს აეხადა ფარდა, ესეც გასაგები გახდა: უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი სესიის მიმდინარეობისას შეეხვდი პ. ბერძენიშვილს, რომელიც ერთ დროს რესპუბლიკის პროკურორი იყო და მის ხელში გაიარა მრავალი რეპრესირებული ადამიანის რეაბილიტაციამ. იმჟამად ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის აპარატში მუშაობდა. საუბარში სიტყვა სიტყვას მოჰყვა და აი რა გაირკვა: ამ მწერალთან სტუმრობისას შეისვა ლავრენტი ბერიას სადღეგრძელო. ნიკოს ის სადღეგრძელო არ დაულევია, ღვინო ბუხარში შეუსხია.

დაჭერების ტალღის გაძლიერებასთან ერთად სახლში ძლიერდებოდა შიში, დიდი იყო უბედურების მოლოდინი – „აი ახლა მოვლენ, წამიყვანენ...“ და ყველაფერს სპობდნენ, წვავდნენ, ხევდნენ, იქნებოდა ეს წიგნები, სურათები, წერილები თუ სხვა რამ, რაც შეიძლებოდა დაკავშირებოდა რეპრესირებულ ადამიანებთან სიახლოვეს. მამიდა თამროს ჰქონდა თამარის სურათი ქართულ სამოსელში, კედელზე ეკიდა. დამენანა ამ სურათის მოსპობა და წამოვიღე სახლში. დედაჩემს შეეშინდა და გამიწყრა. სურათის დახევა მაინც არ მინდოდა და ჩემმა მეგობარმა თინათინ ოჩიაურმა წაიღო.

1959 წლის ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა თ. ოჩიაურის „მირზას გახსენება“ (პოეტი მირზა გელოვანი). თავისთავად ამ მეტად საინტერესო წერილიდან ერთი ადგილი მინდა მოვიტანო, რომელიც თამარის სურათს ეხება:

„ჩემმა მეგობარმა ე. ბაგრატიონმა მაჩუქა ნ. მიწიშვილის მეუღლის – თამარ ბაგრატიონის ქართულ ტანსაცმელში გადაღებული სურათი (თამარი იმჟამად საქართველოში არ იმყოფებოდა). ეს ფოტო კედელზე მეკიდა. მირზა ხშირად უყურებდა თამარის მშვენიერ სახეს, ხოლო ერთხელ იქვე დაწერა ლექსი, რომელიც ჩემთან ინახება:

„სიყვარული არ ჩამქრალა,
თუმც დღეები გარბის.
შენი თეთრი ლეჩაქი და
შენი შავი წარბი
მაგონდება ყოველ დილით
ქაშუეთის ახლო.
ზოგჯერ აჩრდილს ვეკონები
და ვიღვრები გლოვად,
ღვთისმშობელი მეგონები
და ლოცვისთვის მოვალ.
თამარ, ოხვრა დამყვა ბედად,
დაიღუნა ფრთები,
შენი თმები მენატრება
და წუხილით ვთვრები“.

(ჟ. „ცისკარი“, 1959, №5)

* * *

მიუხედავად ამ მძიმე დროისა, იყვნენ მეცნიერები, რომელთაც ჰყოფნიდათ გამბედაობა ეწარმოებინათ კვლევა სწავლულ ბაგრატიონთა შესახებ. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი ვახტანგ პარკაძის ღვაწლი. ბატონმა ვახტანგმა პეტრე, ანტონ, დავით ბაგრატიონების მეცნიერული დამსახურების კვლევა, მათი, როგორც მეცნიერების, წარმოჩენა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ტაბუ ჰქონდა დადებული და ხსენებაც არ შეიძლებოდა არა მარტო ამ გვარისა, არამედ ქართული კლასიკური მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლებისაც.

ჩემთვის პირადად, და საზოგადოდ ჩვენი თაობისთვისაც, კარგად არის ცნობილი ის ხანა ჩვენი ცხოვრებისა, რადგან საკუთარ თავზე გადავიტანეთ ამ ეპოქის საბედისწერო მოვლენები. ეს იყო დრო, როცა ქართულ სკოლაში არ ისწავლებოდა საქართველოს ისტორია, როცა თითქმის მთელი ჩვენი კლასიკური მწერლობა შეზღუდულად ისწავლებოდა; ეს ის დროა, როცა თვით ილია ჭავჭავაძის სწავლებაც კი აკრძალული იყო; ეს ის დროა, როცა ფილიპე მახარაძე, უპირისპირებდა რა ილია ჭავჭავაძეს დანიელ ჭონქაძეს, ამ უკანასკნელს ილიაზე მაღლა აყენებდა; ეს ის დროა, როცა ასეთმა ტენდენციამ და განწყობილებამ გიგლა ბერბიჭაშვილს, პირველი სკოლის მშობელთა კრებასა თუ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე თამამად და დაუფარავი სიამაყით ათქმევინა:

მე მოვკალ ილია ჭავჭავაძე!

ეს ის დროა, როცა მწერალთა კავშირის პლენუმებსა თუ ყრილობებზე მწერლებს – კონსტანტინე გამსახურდიასა და აკაკი ბელიაშვილს მწვავედ აკრიტიკებდნენ და უკიჟინებდნენ ჩვენი ისტორიის გაიდიალებას. ასეთ ვითარებაში თავისი ქვეყნის დიდი სიყვარული, თავდადება და, რაც მთავარია, გამბედაობა იყო საჭირო იმისათვის, რაც ბატონმა ვახტანგმა გააკეთა.

შემდეგ, უკვე მოგვიანებით (1969 წ.), როცა თითქოს ყინული დაიძრა, მისივე თაოსნობით ჩატარდა პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენცია, რომელზედაც თბილისში მცხოვრები ყველა ბაგრატიონი მიგვიწვია. ბატონმა ვახტანგ პარკაძემ გამოკვლევებში „გამოჩენილი ფიზიკოსები“ (1967 წ.) და „მსოფლიოს ფიზიკოსები“ (1973 წ.) მსოფლიოს გამოჩენილ ფიზიკოსებს შორის კუთვნილი ადგილი მიუჩინა ქართველ მეცნიერებს – პეტრე, ანტონ, დავით ბაგრატიონებს, ალექსანდრე დიდებულიძეს, რაჟდენ ხუციშვილს, დიმიტრი ღოღობერიძეს. ამ ნაშრომებისათვის ბატონი ვახტანგი 1971 წელს აირჩიეს საფრანგეთის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1983 წელს – ნამდვილ წევრად. 1977 წელს ლონდონში ფიზიკის ისტორიკოსთა საერთაშორისო შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა ვახტანგ პარკაძე. 18 საუკეთესოთა შორის ბატონი ვახტანგ პარკაძე დაჯილდოვდა ინგლისის დედოფლის – ელისაბედ მეორის საიუბილეო მედლით.

ბატონ ვახტანგთან დაკავშირებით კიდევ ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: ყირიმში დაუსრულებია ცხოვრება ორ ქალბატონს, გვარად ბაგრატიონებს, მგონი, დებს. ისინი, თურმე, დიდ ქველმოქმედებას ეწეოდნენ. მემკვიდრე არ დარჩენიათ. მადლიერ ყირიმელებს მათი მუზეუმის დაარსება განუზრახავთ და დახმარებისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის წერილით მოუმართავთ, ცნობებს თხოულობდნენ მათ შესახებ. ბატონ ნიკო მუსხელიშვილს ესეც ვახტანგ პარკაძისათვის დაუვალებია.

* * *

სკოლის დამთავრებისთანავე სწავლის პარალელურად მუშაობა დავიწყე. 1938-1940 წწ. ვმუშაობდი საბიბლიოთეკო სამმართველოში მდივნად, „სოიუზ-პეჩატში“ სტატისტიკოსად, სახბანკის საფინანსო განყოფილებაში – მდივნად. პარალელურად ვსწავლობდი, აგრეთვე, სტენოგრაფიის კურსებზე, რომელთა დამთავრების შემდეგ, 1940 წლიდან დავიწყე მუშაობა სტენოგრაფთა ბიუროში საყრილობო სტენოგრაფად.

სტენოგრაფიასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ჩემი მასწავლებელი – მარიამ ლეონიძე, ქართული სტენოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორი. ის იყო ფრიად განათლებული ქალი. მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი; ქართული და რუსული ენების გარდა კარგად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ და სპარსულ ენებს. როცა ძალიან გაჭირდა ცხოვრება და ეს სიდუხჭირე განსაკუთრებით ინტელიგენციას დაატყდა თავს, მაშინ შეისწავლა ქართულ-რუსული სტენოგრაფია. ის იყო ორ ენაზე მომუშავე სტენოგრაფი. გაჭირვებამ მიიყვანა სტენოგრაფიის დარგში სამუშაოდ ექიმები – ანეტა ჟღენტი, კოწია ვეფხვაძე, იურისტი ქეთევან წულუკიძე, მათემატიკოსი ტერენტი ტყემალაძე და სხვები. ეს ის დროა, როცა პროფესორის საათი ღირს 7 მანეთი, ხოლო სტენოგრაფისა, რომლის შრომაც თავისი დაძაბულობით გაიგივებული იყო თვითმფრინავის მმართველის შრომასთან – 18 მანეთი.

მარიამ ლეონიძემ თავისი მრავალწლიანი შრომის შედეგად დაამუშავა ქართული სტენოგრაფიის სისტემა და შეადგინა პირველი აკადემიური სახელმძღვანელო ქართულ სტენოგრაფიაში. სწორედ მან შემასწავლა სტენოგრაფია, რომელიც ძალიან გამომადგა ცხოვრებაში და შემიწყო ხელი გზის გაკაფვაში. მაშინ რვასაათიანი სამუშაო დღე არსებობდა და დიდი სიმკაცრე იყო, არც დაგვიანება შეიძლებოდა სამუშაოზე, მით უფრო – გაცდენა. სტენოგრაფიული სამუშაო მითავისუფლებდა დროს იმის გამო, რომ ერთ ადგილზე არ ვიყავი მიჯაჭვული სავალდებულო 8 საათის განმავლობაში და ხელს არ მიშლიდა სწავლაში.

1940 წლიდან ვმუშაობ სტენოგრაფიის დარგში. სტენოგრაფიამ ბევრი რამ მომცა განათლების თვალსაზრისით, რამდენი საინტერესო ისტორიული მოვლენისა თუ პროცესის მონაწილე, მოწმე და მემატიანე გამხადა. მარტო ის რად ღირს, რომ 21 წლის ასაკში მე ვიყავი ილია ჭავჭავაძის მკვლელის, გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის ერთ-ერთი სტენოგრაფი, რომელმაც შემოინახა ილია ჭავჭავაძის მკვლელის საბოლოო სიტყვა. აი როგორ მოხდა ეს:

სასამართლოს თავმჯდომარეს – ისიდორე ოდიშვილს პროცესი ისე მიჰყავდა, რომ დაემტკიცებინა „ოხრანკის“ ორგანიზატორული როლი ილიას მკვლელობაში, ხოლო სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ მოწმეთა ჩვენებებზე ყურს იყრუებდა, აფუჩეჩებდა. რამდენჯერმე შეეცადა ეიძულებინა ბრალდებული, რომელიც მეტად ჯიუტი და კუშტი კაცი იყო, ეღიარებინა, რომ მან ეს დანაშაული ჩაიდინა „ოხრანკის“ დავალებით, მაგრამ ამას ვერა და ვერ მიაღწია. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის, რომ ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვა სტენოგრაფებს არ ჩაგვაწერინეს, არ იცოდნენ, რა იყო მოსალოდნელი ამ ჯიუტი კაცისაგან, რას იტყოდა ის თავის საბოლოო სიტყვაში.

საერთოდ, ყოველი სამუშაოს შემდეგ მივდიოდი მარიამ ლეონიძესთან და ვუზიარებდი შთაბეჭდილებებს. ასე მოხდა ამჯერადაც. ვუთხარი, რომ წერა შეგვაწყვეტინეს გ. ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვის წინ და მოვუყევი, რა და როგორ თქვა. მან გამომიტანა რვეული და მითხრა, დაწერე, რაც მოყევი, თავის დროზე ეს საინტერესო მასალა იქნებაო.

და მეც დავწერე აი ეს:

„პატივცემულო მოსამართლენო! ნება მიბოძეთ იმდენ ხანს ვილაპარაკო, რამდენიც დამჭირდება. შეიძლება მე ისე ვერ ვილაპარაკო, როგორც პატივცემული პროკურორი ლაპარაკობდა, მაგრამ რა ვქნა? მე უსწავლელი კაცი ვარ. პატივცემული პროკურორი რომ დაიბადა, მას აკვანთან დახვდა უმაღლესი განათლება, ჩემი სკოლა კი ტყე იყო და დათვები.

პატივცემულო მოსამართლენო და პატივცემულო საზოგადოებავ! საბჭოთა კანონში, სოციალისტურ კანონში ასე წერია: „დასასჯელი უნდა დაისაჯოს“. ყველამ თავისი სასჯელი უნდა მოიხადოს, მაგრამ რა საჭიროა ადამიანს თავისი სასჯელის გარდა კიდევ ზედმეტი სასჯელი დაედოს! მე კი აქ პატივცემულმა პროკურორმა ცხრაჯერ დამსაჯა, როდესაც დამწამა ქურდობა და ყაჩაღობა. წადით ჩვენს სოფელში, იქ დღესაც არის ჩემი ხნის ხალხი, მოიკითხეთ, გაიგეთ, აბა თუ ვინმე იტყვის ჩემს ავაზაკობას, ჩემს ყაჩაღობას.

აქ გამოსული მოწმეები, ეს ცრუ ინფორმატორები, გამოდიან და ლაპარაკობენ, რომ მე თითქოს ვიყავი ყაჩაღი, ქურდი და ხალხს ვაწიოკებდი, ვძარცვავდი. ამას ლაპარაკობენ ეს ცრუ ინფორმატორები, მაგრამ დოკუმენტურად კი ვერ ასაბუთებენ.

თქვენ მიმტკიცებთ, რომ თურმე იმ 12-13 წლის განმავლობაში მე სპარსეთში კი არა, აქ – საქართველოში ვიყავი და არა მარტო ჩემს სოფელს, არამედ თურმე საქართველოს ვაწიოკებდი. ასეთი ყაჩაღი ვიყავი და დამიმტკიცეთ დოკუმენტურად ერთი ფაქტი, დამისახელეთ ერთი გვარი იმ ოჯახისა ან იმ კაცისა, რომელიც მე გავძარცვე და მოვკალი. ეს ცრუ ინფორმატორები თავისი სინდისის წინააღმდეგ გამოდიან და აქ სინდისს ჰყიდიან, არის ხალხი, რომელიც სინდისით სპეკულიანტობს. თუ მე ქურდი და ყაჩაღი ვიყავი, 1921 წლის შემდეგ ძალიან საპასუხისმგებლო ადგილები მეკავა. ჩემს ხელში მილიონები გადიოდა და რატომ არაფერი მოვიპარე? 12 წელიწადი „სამტრესტში“ ვმუშაობდი, ხან საწყობის გამგედ, ხან დირექტორის მოადგილედ და ხანაც ქარხნის გამგედ. ჩემს ხელში ამდენი ქონება გადიოდა, მაგრამ ერთი კაპიკისა არა დამკლებია რა. თვით განსვენებულმა ფილიპე მახარაძემ შეამოწმა ჩემი მუშაობა და თქვა: საკვირველია, უსწავლელი კაცია და არაფერი აკლიაო; მაშინ, როდესაც ათიოდე დირექტორი გამოვიცვალე, უფრო ბრტყელმანდატიანები, რომლებიც ხალხის მტრები აღმოჩნდნენ და რომლებმაც ხალხის ქონებით სასახლეები აიშენეს. გიგლა ბერბიჭაშვილს კი ოთხკუთხიანი ოთახი ენატრება, სამკუთხიან ოთახში ცხოვრობს, მობრძანდით და ნახეთ!

თუ ასეთი ქურდი და ყაჩაღი ვიყავი, როგორიც თქვენ გამხადეთ, ამოდენა ქონებაში ხელს ვურევდი და ვერ მოვიპარავდი? რა საჭიროა ზედმეტი ცილისწამება? ამოდენა კაცი ვარ და ჩემთვის ჯერ საყვედური არ უთქვამს პარტიას. აი ჩემი პირადი საქმე გადასინჯეთ. სარკესავით სუფთაა, არც ერთი შენიშვნა და არც ერთი საყვედური არ არის შიგ.

დაიკვეხაო ილიას მკვლელობა, იმ დიდი ილიასი, რომლის სიდიადეც მე დღეს შევიგენი თქვენის დახმარებით. მე დღეს გავიგე, ვინ იყო ილია საქართველო-

სათვის, ქართველი ხალხისათვის, თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას ქართველი ხალხის წინაშე. ეს რომ დასაკვეხი ყოფილიყო, მე ვიცოდი, სადაც უნდა დამეკვეხნა და სადაც დამაწინაურებდნენ. მე თვით ჩვენ სოვნარკომთან – ვალერიან ბაქრაძესთანაც მიმუშავია და მასთან ან პურის ჭამაში, ან ღვინის სმაში როგორ არ წამომცდებოდა?!

მე დღეს გავიგე, თუ ვინ იყო ილია და რა ვერაგობა და საზიზღრობა იყო მისი მკვლელობა. განა ეს არ არის საკმარისი, რომ ზედმეტი ცილისწამებით უფრო არ მსჯიდეთ?!

მე გთხოვდით, რომ ეს ზედმეტი ბრალდებები ჩემგან აგეშორებინათ. ჩემდა სამწუხაროდ, ამ ფაქტის უშუალო მონაწილეებიდან არც ერთი აღარ არის ცოცხალი, რომ გამორკვეულიყო ჩემი სიმართლე. მე შემთხვევითი მსხვერპლი ვარ. ისინი რომ აქ ყოფილიყვნენ, მაშინ პატივცემული პროკურორი თვითონ მეტყოდა: – წადი აქედან, შენ მართალი ხარო.

პატივცემულ პროკურორს სურს იმ ხუთივეს სასჯელი მე მომცეს და მათი ბრალდებები ჩემგან ამოიღოს.

ეს შავი რეაქციის ნაშთი ყარამან ფაღავა აქ გამოდის და ამბობს, რომ გიგლა ბერბიჭაშვილი მავნე ადამიანი იყო. საწყენი ის არის, რომ არც ერთი აქ დამსწრეთაგანი არ ეკითხება – ვისთვის იყო გიგლა ბერბიჭაშვილი მავნე.

დიახ, მე ვიყავი მავნე ყარამან ფაღავასა და მისი საყვარელი მაშინდელი მთავრობისათვის, რომლისგანაც ყარამან ფაღავას მკერდი ჯვარ-მედლებით ჰქონდა სავსე და რომელიც მე მდევნიდა. იგივე ფაღავა ამბობს, რომ მე ქურდი და ყაჩაღი ვიყავი. მაგრამ მას, როგორც უეზდის ნაჩალნიკს, ვერც ერთი ფაქტი, დოკუმენტი ვერ მოაქვს ამის დასამტკიცებლად, ვერც ერთ ოჯახს ვერ ასახელებს ჩემგან აკლებულს.

აქ პატივცემული პროკურორი და ყარამან ფაღავა ერთმანეთს შეეჯახნენ, წინააღმდეგობაში ჩავარდნენ. ყარამან ფაღავა აღნიშნავს, რომ მას მეფის ოხრანკამ ჩემს დასაჭერად 100 მანეთი მისცა. ამავე დროს პატივცემული პროკურორი აღნიშნავს, რომ მე მეფის ოხრანკის აგენტი ვარ და მეფის ოხრანკის დავალებით მოვკალი ილია ჭავჭავაძე. თუ მეფის ოხრანკის აგენტი ვიყავი, რაღად მისცა ოხრანკამ ფაღავას ფული ჩემს დასაჭერად და რაღად მიჭერდა მეფის ოხრანკა?

დასასჯელი უნდა დაისაჯოს, ყველამ თავისი სასჯელი უნდა მოიხადოს, მაგრამ სასჯელი მრავალნაირია. მე მგონი, არც თქვენ, არც პატივცემული საზოგადოება და არც თვით დიდი ილია, რომელსაც ხალხმა თავს დაადგა დაფნის გვირგვინი, არ ისურვებდა, რომ მისი დაფნის გვირგვინის მწვანე ფოთოლი სისხლის წვეთით შეღებილიყო.

(მოსამართლე ი. ოდიშვილი – რას სთხოვთ სასამართლოს?)

– რა შეიძლება ვთხოვო?.. მე გთხოვდით მიგეღოთ მხედველობაში ჩემი ხანი, მოხუცებულობა, ის, რომ ჩემი შვილი ფრონტზეა და მედგრად იცავს სამშობლოს. მე შემეძლო არ გამეშვა ჩემი შვილი ფრონტზე, არის ამის კანონი, მაგრამ მე თვითონ გავუშვი და ვუთხარი, რომ მედგრად და თავდადებით დაიცვას სამშობლო. ნუ დაანახვებთ ჩემს უბედურებას ჩემს ცოლ-შვილს და მათ რომ გავშორდები, მაშინ რაც მომივა, არ დავეძებ. ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს ცოლ-შვილს სამათხოვროდ და ხელგასაშვერად გაუხდება საქმე". (1942 წ. 5 იანვარი).

ასე დაიწერა გიგლა ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვა ჩემს მიერ არა სასამართლო პროცესის მიმდინარეობაში, არამედ საბოლოო სხდომის დამთავრებისთანავე.

* * *

მინდა გავიხსენო კიდევ მწერალთა კავშირში ჩატარებული ერთი კრება, რომელსაც ამშვენებდა ჩვენი მწერლობის შესანიშნავი დარბაისელი თაობა, მათ შორის – ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაქტიონი, რაჟდენ გვეტაძე და სხვები. კრებას თავმჯდომარეობდა ბატონი შალვა დადიანი. იხილებოდა ლიტერატურული პროდუქცია. მომხსენებელი იყო სანდრო შანშიაშვილი. მოხსენება მას დაწერილი ჰქონდა და კითხულობდა. შესავლის შემდეგ განაცხადა: – ახლა კი უნდა შევუდგე გოლგოთასო.

ეს გოლგოთა იყო გალაქტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას კრიტიკა. მისდგა და მისდგა ორივეს. დარბაზი გაირინდა. გალაქტიონს არავითარი რეაგირება არ მოუხდენია, კამათშიც კი არ გამოსულა. გამოვიდა კონსტანტინე გამსახურდია. ყველა ელოდა, რომ უპასუხებდა მომხსენებელს. დარბაზი დაძაბული უსმენდა. ის კი ვითომც არაფერი, ლაპარაკობდა სულ სხვა საკითხებზე და აი, რომ უნდა დაამთავროს და ჩამოვიდეს ტრიბუნიდან, როგორღაც მოულოდნელად მოაყოლა ერთი იგავი:

– ხალიფამ თავისი მსახურები გაგზავნა სადღაც დავალებით. გზად, ერთ ტრიალ მინდორზე დაინახეს უცხო რამ – თეთრი სახედარი. არ ენახათ. მოეწონათ ძალიან და მოჰგვარეს ხალიფას. ხალიფას ისე მოეწონა ეს უცხო ცხოველი, რომ შესანიშნავი პირობები შეუქმნა, მაგრამ სახედარი შემდეგ ისე გათავხედდა, ხალიფას ეუბნება, ჩამოდი შენი ტახტიდან, მე უნდა დავჯდეო.

თქვა ეს ბატონმა კონსტანტინემ და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

დარბაზში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ხმა არავის ამოუღია. თავჯდომარემ, ბატონმა შალვა დადიანმა, რეაგირებაც კი ვერ მოასწრო, რომ წამოვარდა სანდრო შანშიაშვილი და დაიყვირა: – რას გაჩუმებულხართ, ხალხნო, ვერ ხედავთ ვირი გამხადა ამ თვითონ ვირმა?!

როცა სტენოგრამას ვშიფრავდი და ვკარნახობდი ქალბატონ ნინო კლდიაშვილს, ვკითხე, ასე დამეშიფრა თუ არა ეს სიტყვები. ასე დაიშიფრა.

* * *

მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ საერთო კრებაზე ბატონი კონსტანტინე გამსახურდია ერეკლე მეორის დაუზოგავი კრიტიკით გამოვიდა და ყველა თავდადება და თავგანწირვა წყალში გადაუყარა სწორედ იმ პოლიტიკისათვის, რომლის გარდაუვალობაც ჩვენმა დღევანდელობამ ასე აშკარა გახადა.

* * *

სტენოგრაფს უფლება არა აქვს თავისი ჩანაწერის დედანი, ანუ – შავი, ექვს თვეზე ადრე გადააგდოს, უნდა შეინახოს ექვს თვემდე, რათა დაშიფრული და ჩაბარებული სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში (განადგურება, ხანძარი და სხვ.) შესაძლებელი იყოს მისი აღდგენა. მაგრამ ჩემი სტენოგრაფიული მუშაობის პრაქტიკაში, არა თუ ექვსი თვის შემდეგ, არამედ 34-37 წლის შემდეგ მომიხდა სტენოგრამების დაშიფვრა და რატომ?

თეატრალური საზოგადოების შექმნის დღიდან, ამ საზოგადოების პირველი თავმჯდომარე ბატონი შალვა დადიანი. ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას (ეს იქნებოდა საზოგადოების ყრილობა, პლენუმი თუ ცნობილ თეატრალურ მოღვაწეთა მოგონებები და საიუბილეო საღამოები) აფიქსირებდა და ამით საფუძველი დაუდო შესანიშნავი არქივის შექმნას. მაგრამ ერთხელ, როცა მე და ქალბატონი თამარ ღვინიაშვილი ვშიფრავდით რესპუბლიკის სახალხო არტისტის, უშანგი ჩხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრამას (თავმჯდომარე – შ. დადიანი, 1953წ.), გამოგვეცხადა საზოგადოების ბუღალტერი ვ. კიკნაძე და გვითხრა: არ არის საჭირო სტენოგრამა, საამისო თანხები არა გვაქვსო და შეგვაწყვეტინა მუშაობა. ეს და კიდევ რამდენიმე სტენოგრამა (სახალხო არტისტის, შალვა დადიანის დაბადებიდან 80 და ლიტერატურულ-თეატრალური მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი; თავმჯდომარე – ა. ხორავა, 1954 წ.; შალვა დადიანის საიუბილეო საღამო, თავმჯდომარე – ირ. აბაშიძე, 1954 წ.; ნატო ვაჩნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, თავმჯდომარე – კ. გოგოძე, 1954 წ.), რომელიც მაშინ დაუშიფრავი დარჩა, შევინახე და 1988-90 წწ. დავშიფრე და თითო ეგზემპლარი გადავეცი უშანგი ჩხეიძის მუზეუმს (ნ. ჩხეიძეს), ე. გუგუშვილსა და ელდარ შენგელაიას.

* * *

მწერალთა კავშირში ჩატარებულ ყოველ ღონისძიებაზე (ყრილობა, პლენუმი, დისკუსია და ა.შ.) სიტყვით გამოსვლის მსურველი, ცხარე მოკამათე, ყოველთვის ბევრი იყო, მაგრამ სულ სხვა სიტუაცია იყო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის იმ სხდომაზე (თავმჯდომარე – გრ. აბაშიძე, 1977 წ. 1 აპრილი), რომელზედაც ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის საკითხი იხილებოდა. ეს სხდომა რამდენჯერმე გადაიდო ზვიადის გამოუცხადებლობის გამო, არ მოდიოდა და სწორედ მისი მეუღლის, მანანას, თაოსნობაა, რომ გამოცხადდაო.

სანამ სხდომა დაიწყებოდა, მწერალთა კავშირის მეორე სართულის ვესტიბიულში, თავმჯდომარის კაბინეტის კარების წინ სკამზე იჯდა შემკრთალი და შეცბუნებული ზვიადი, ზურგით მიყრდნობილი მანანას, რომელიც მას თავთან ედგა. შეგებრალებოდათ. სად იყო მაშინ ის მრისხანე, თავის თავში დაჯერებული ზვიადი – პრეზიდენტი, რომელმაც თბილისი კარვების ქალაქად აქცია. ეს მოხდება შემდეგ, მოგვიანებით, 90-იან წლებში, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღზევების, საბჭოთა კავშირის რღვევისა და მასში შემავალი რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში.

ამ სხდომაზე სიტყვას არავინ ითხოვდა. თავმჯდომარე სათითაოდ მიმართავდა დამსწრეთ და იწვევდა სალაპარაკოდ. მწერლებს უჭირდათ ლაპარაკი, შებოჭილები იყვნენ. რიდი იგრძნობოდა, რიდი კონსტანტინესადმი, ყველას ახსოვდა, ვისი შვილი იყო ზვიადი.

* * *

რამდენი ლექცია, კრება, დისპუტი, კონფერენცია თუ თავყრილობა მაქვს დასტენოგრამებული მწერლობის, მეცნიერების, ხელოვნების დარგის წარმომადგენლებისა; პარტიის ყრილობები, პლენუმები, უმაღლესი საბჭოს სესიების სხდომები.

საინტერესო მოვლენების შუაგულში ვტრიალებდი, საინტერესო ხალხთან მქონდა ურთიერთობა და მეც ვიზრდებოდი. ეს ჩემთვის დიდი სკოლა იყო.

და რა სამწუხაროა, რომ სტენოგრაფიის სწავლებას აღარავითარი ყურადღება არ ექცევა. სტენოგრაფები თითქმის აღარ არიან. წავიდა, უკვე დიდი ხანია, ძველი განათლებული თაობა. ჩვენი თაობის ჯერიც დადგა, უკვე სულს ღაფავს. ახალგაზრდობა თითზედაც არ ჩამოითვლება. ერთ დროს საშუალო სკოლებში ისწავლებოდა ეს საგანი, განათლების სისტემაში არსებობდა სპეციალური სკოლაც, სადაც მზადდებოდა საყრილობო სტენოგრაფთა კადრები. ის კი არადა, სტენოგრაფიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის დაბეჭდვა გამომცემლობა „განათლებამ“ ოც წელზე მეტი ხნით დააყოვნა, მეორე ნაწილი ამდენივე დროს განისვენებს იმავე გამომცემლობაში და უიმედოდ ელოდება თავის რიგს.

ამ პერიოდების განმავლობაში კი ქვეყანაში იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება, სახელმწიფოებრიობა: იყო საბჭოთა კავშირი თავისი ბელადებითა და ხელმძღვანელებით, თავისი კერპებით, რომელთა გამოსვლების ტექსტების შეტანა სახელმძღვანელოში სავალდებულო იყო. იყო სტალინი, იყო ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, იყო გორბაჩოვი თავისი „პერესტროიკით“. ამას მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლა. რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. დაიწყო ეროვნული მოძრაობა თავისი პერიპეტიებით. ამ ძვრების ფეხდაფეხ გამომცემლობა სახელმძღვანელოს ავტორებისაგან მოითხოვდა სახელმძღვანელოს ხელახალ გადამუშავებას, სავარჯიშო ტექსტების შეცვლას და წარმოსადგენია, რამდენჯერ დაიწერა ახალი ტექსტები, გადაკეთდა სახელმძღვანელო, რამდენი ზედმეტი და გაუმართლებელი შრომა და ქაღალდი დაიხარჯა; და როცა კიდევ ერთხელ (ვინ იცის მერამდენედ) მოგვთხოვეს ტექსტების შეცვლა, გამომცემლობას გავახსენე – ჩვენი ვალია ვასწავლოთ სტენოგრაფიული წერა ყოველი სიტყვისა და გამოთქმისა, ვის მიერაც და დროის რა მონაკვეთშიც უნდა იყოს ის წარმოთქმული (ეს ხომ ისტორიაა და ისტორიიდან ვერაფერს ამოშლი). არ შეიძლება ცვალო ანბანი იმის მიხედვით, თუ ვინ წერს და ლაპარაკობს ამ ენაზე, ვინ არის ამ დროს ხელისუფლების სათავეში.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რა დროს სტენოგრაფიაა დღეს, როცა ქვეყანა ომის ქარცეცხლშია გახვეული და სკოლები თითქმის არ მუშაობენო. დღეს ეს გასაგებია, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ დღევანდელი ამბავი არ არის, ამ დარგის არადაგდების შედეგია სწორედ ის ოც-ოცწლიანი ლოდინი სტენოგრაფიის სახელმძღვანელოს გამოცემისა. ზოგისათვის, დღევანდელი ტექნიკური განვითარების პერიოდში იქნებ სტენოგრაფია არც არის საჭირო და ფიქრობს, რომ „მანქანურმა სტენოგრაფიამ“ შეიძლება შეცვალოს „ხელით სტენოგრაფია“. მაგრამ ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, ტექნიკას ყველგან ვერ ატარებ თან და მაგნიტოფონზე ჩაწერილი ისევ სტენოგრაფმა უნდა გადმოიღოს ქაღალდზე და მეორეც, ტექნიკის განვითარების დონით ვერ შევედრებით ევროპის ქვეყნებს, სადაც სტენოგრაფიას დიდი მოთხოვნილება და გასაქანი აქვს, ისწავლება სკოლებში. ყველა განათლებული ადამიანი ფლობს სტენოგრაფიას განსაზღვრული სისწრაფით (60 სიტყვა წუთში) და მას თავის ყოველდღიურ მუშაობაში იყენებს (ამის მაგალითად უნდა გავიხსენო ჰუგო ჰუპერტი, რომელმაც გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. თარგმნის პროცესში მას აკადემიკოს შალვა ნუცუბი-

ძესთან ჰქონდა ურთიერთობა, კონსულტაციები და ამ საუბრებს ის სტენოგრაფიულად იწერდა), ხოლო ვისაც სურს სტენოგრაფობა პროფესიად გაიხადოს, ის შემდეგ სწავლას აგრძელებს სპეციალურ სასწავლებელში, ეუფლება 120 და მეტი სიტყვის სისწრაფით წერას, ხდება „საყრილობო სტენოგრაფი“. ევროპაში ეწყობა სტენოგრაფთა კონკურსები და გამარჯვებულები ჯილდოვდებიან.

* * *

გავიდა დრო და ჩემი დეიდაშვილი ზიზო გათხოვდა. მისი ქმარი სტუდენტი იყო. შემდეგ უკვე ბავშვებიც დაემატნენ ძია მიშას ამ თავშესაფარს. ვიწროდ ვიყავით. მე და ჩემი მეგობარი მერი დადიანი სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის იანვრის სესიებზე კავშირგაბმულობის სალაპარაკო სადგურის მოსაცდელ დარბაზში ვმეცადინეობდით, ხოლო გაზაფხულზე – სანაპიროს ბაღში.

გადავწყვიტე შემეგროვებინა ფული და ჩემთვის კუთხე შემეძინა. ასეც მოვიქეცი და 10 000 მანეთად ე. წ. „ატსტუპნოით“ (გირაოთი) იოსებ ფარაჯანოვისაგან ვიყიდე ერთი პატარა ოთახი, დაახლოებით 8 კვ. მ. ფართობისა, სადაც ერთი საწოლი, პატარა მრგვალი მაგიდა, სამი სკამი იდგმებოდა. იოსებ ფარაჯანოვი იყო კინორეჟისორ სერგო (სერჟიკ) ფარაჯანოვის მამა. ფარაჯანოვების სახლს ორი მხრიდან აქვს მისასვლელი და მისამართიც: ერთი, კოტე მესხის ქუჩიდან; ორი კიბით შედიხარ სახლის პატრონის ბინაში და ის იქიდან პირველი სართულია, მაგრამ ყიფიანის შესახვევიდან, ეზოდან, ეს სახლი სამსართულიანია და სახლის პატრონის ბინა მესამე სართულზეა. აქედან წარმოსადგენია, თუ მიწის რა სიღრმეშია მეორე და, განსაკუთრებით, პირველი სართული. ფაქტობრივად, ოთახი, რომელიც მე ვიყიდე, იყო კლდეში გამოთხრილი სორო, რომელსაც ორივე მხარეს ესაზღვრებოდა პატარა ფარდულები, ე. წ. სარაიები, მარცხნივ – თვით სახლის პატრონისა, მარჯვნივ – ორი, მობინადრეებისა, რომლებსაც ისინი სამზარეულოებად იყენებდნენ. სახლის პატრონმა ოთახის კედელში ჩამისვა კარადა, წინ – ფანჯარა და პატარა კედლის თარო, მომიშენა ვიწრო პატარა აივანი, სადაც მედგა პატარა კარადა („ტუმბოჩკა“), ზედ „კერასინკით“ (ნავთქურით). ეს იყო ჩემი სამზარეულო. ყველაფერი მინიატურული იყო. ხის საწოლი და მრგვალი მაგიდაც სახლის პატრონისაგან ვიყიდე და ასე მოვაწყვე ჩემი „ბინა“.

ეზო პატარა იყო, მაგრამ სახლის პატრონმა აუზი გააკეთა, ლამაზად მოხატა. მე და ჩემმა მეზობელმა ნინა თოდაძემ (ჩვენ ორი ოჯახი ვცხოვრობდით პირველ სართულზე) ზედ ქოთნებით ცოცხალი ყვავილები შემოვაწყეთ. აუზს ვასუფთავებდით, სუფთა წყლით ვავსებდით. ეზოს შესასვლელში, კუთხის კედელთან, ალუბლის ხე იდგა, რომელიც გაზაფხულზე ლამაზად ყვაოდა თეთრად. ყიფიანის ქუჩიდან სახლი თავისი ეზოთი, სამი სართულის კიბისებრი განლაგებით და კიბეებით ლამაზი სანახავი, კოლორიტული იყო, თუმცა რატომ „იყო“, ის სახლი დღესაც ისევ დგას.

სახლი გაფორმებული იყო სერჟიკას დედის – სირანა ბეჟანოვას სახელზე და ის ითვლებოდა სახლის მეპატრონედ, რადგან ხაზეინი (როგორც მდგმურები ეძახოდნენ იოსებს) რამდენჯერმე ნაპატიმრალი იყო სპეკულაციისა და სხვადასხვა საქმიანობისათვის, ოფიციალური განქორწინებაც კი ჰქონდათ, თუმცა ერთად

ცხოვრობდნენ. იოსებს კომერციული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. იქ უცხო ენებს ასწავლიდა მარიამ ლეონიძე, რომელიც ამბობდა, რომ ფარავჯანოვი ძალიან ნიჭიერი კაცი იყო და მას სხვა დროსა და სხვა პირობებში რომ ეცხოვრა, დიდი კომერსანტი იქნებოდაო. ამ კაცს ყველა ხელობა ეხერხებოდა, მშვენიერი რესტავრატორი იყო ავეჯისა. ერთ დროს ძველებური ავეჯი მოდიდან გავიდა, განსაკუთრებით ხრუშჩოვის პროექტით აშენებულ სახლებში შესახლების შემდეგ, ხალხი ყრიდა ან კაპიკებად ჰყიდდა. მოიტანდა ამ გადაყრილ თუ იაფად ნაყიდ ავეჯს, გაუკეთებდა რესტავრაციას და ყიდდა. გემოვნება ჰქონდა, იცოდა ყველაფრის, განსაკუთრებით, განძეულობისა თუ ანტიკვარიატის ფასი.

ცოლ-ქმარს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. სერჟიკას დედა ანჩხლი ქალი იყო. მდგმურებთანაც ხშირად მოსდიოდა უსიამოვნება. დღე არ იყო ჩხუბის გარეშე. გადმოდგებოდა თავისი აივნიდან და რომელიმე მდგმურის მისამართით დაიძახებდა – „შენზედა მარომა ესა სთქვა“. ან კიდევ „ანიკომა“ და ასე შემდეგ. და ეგონა, ამით მეზობლებს წააჩხუბებდა, ამავე დროს თავის სათქმელს სხვისი პირით ეუბნებოდა. საზოგადოდ, ძალიან ჩაკეტილები იყვნენ. სერჟიკა თავისი ხასიათით კონტრასტი იყო მშობლებისა. როცა ის ჩამოდიოდა თბილისში, მაშინ ახმაურდებოდა მათი სახლი, მაგრამ ეს ქალი სრულად გარდაიქმნა მაშინ, როცა სერჟიკა ჩამოვიდა – ახლადდაქორწინებული ახალგაზრდა, 18 წლის მშვენიერ უკრაინელ ქალზე, თავს ევლებოდა, დაჰფოფინებდა რძალს.

* * *

1945 წელს განმეორებით ჩავაბარე მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1951 წელს. სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, როცა მე შევედი ინსტიტუტში, იყო აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ვიყავი აკად. გ. მუხაძის სახელობის სტიპენდიანტი და მივიღე დიპლომი წარჩინებით, ექიმის სამუშაო ადგილის შოვნა ძალიან გამიჭირდა. ასპირანტურაში ჩაბარებისათვის ხელს მიშლიდა მამას ამბავი, ორდინატურაში კი – ასაკი. 31 წლისამ დავამთავრე ინსტიტუტი, კანონით კი, ორდინატურაში კონკურსში დაიშვებოდნენ 31 წლის ასაკამდე, სასაცილოა არა, სატირალი რომ არ იყოს! ამ დროისათვის ინსტიტუტის დირექტორი იყო პროფ. მ. სააკაშვილი. დიდხანს ვიყავი უმუშევარი, როგორც ექიმი, მხოლოდ 1953-55 წლებში ვიმუშავე სტაჟიორად სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ბიოქიმიურ ლაბორატორიაში ექიმ-ბიოქიმიკოსის თანამდებობაზე.

მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი საერთო კრების სტენოგრაფირებისას შევხვდი ბატონ კონსტანტინე ერისთავს, რომელიც მაშინ იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი. გაიგო, რომ მე ექიმად არ (ვერ) ვმუშაობ, გარკვეული დროის შემდეგ დამიბარა და დამნიშნა უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე ბიოქიმიურ განყოფილებაში. ეს იყო 1960 წელი.

რომ არა ბატონი კონსტანტინე ერისთავი, მე ექიმობა არ მეღირსებოდა, ალბათ, მხოლოდ ქაღალდზე დარჩებოდა ჩემი, როგორც ექიმის, სახელი.

ცხოვრების ბარიერების გადალახვას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. დრო კი იწურებოდა, ამიტომაც ყველაფერს უფრო დაგვიანებით მივაღწიე, ვიდრე ჩემი უნარის მქონეს ნორმალურ პირობებში შეეძლო მიეღწია. დაგვიანებით დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი (1951 წ.), დაგვიანებით გავთხოვდი (1957 წ.) და დაგვიანებით დავიწყე ექიმად მუშაობა (1960 წ.). ამ დროისათვის მე უკვე ქვრივი ვიყავი. ჩემი გათხოვებაც სიზმარს ჰგავდა. ათ თვეში ყველაფერი დამთავრდა – გათხოვება, მშობიარობა, დაქვრივება და დავრჩი თვენახევრის ბავშვით.

ბატონმა კონსტანტინემ განყოფილების გამგე თენგიზ გოდერძიშვილი გაფრთხილა:

– ამას ბავშვი ჰყავს გასაზრდელი, და რომ გამოუძახებენ, იქ (იგულისხმებოდა სტენოგრაფიული სამუშაოები) უნდა გაუშვაო.

თენგიზი უაღრესად წესიერი, პედანტურობამდე აკურატული იყო მუშაობაში და ძალიან მომთხოვნი, რაც ასე საჭიროა ბიოქიმიური კვლევისათვის. მადლობელი ვარ მისი გულისხმიერებისა და თანადგომისათვის, რასაც ის იჩენდა ჩემს, და არა მარტო ჩემს, მიმართ ჩვენი ხანგრძლივი ერთად მუშაობის პერიოდში. საკვალიფიკაციო თემაც მისი ხელმძღვანელობით დავამუშავე.

* * *

ორიოდე სიტყვა ჩემს მეუღლეზე – შალვა ჩხიკვაძეზე. საინტერესო პიროვნება იყო თავისი ინტელექტით, უშიშარი ხასიათით, განათლების ფართო ჰორიზონტით, მშვენიერი გარეგნობით. საუკეთესო წლები, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ჩრდილოეთის ტრამალებში ჩააკვლევინეს. 26 წლის განმავლობაში იყო პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად რეპრესირებული და სამოქალაქო უფლებებთან ერთად წართმეული ჰქონდა საცხოვრებელი ადგილის ამორჩევის უფლებაც. 1953 წლის აპრილის თვეში, პატიმრობიდან განთავისუფლებული, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლებააყრილი, ცხოვრობდა კოჩეტკოვის ოლქის (ჩრ. ყაზანის მხარე) ჩისტოპოლის რაიონში. 1956 წელს მიეცა უფლება საქართველოში დაბრუნებისა და ჩამოვიდა 1956 წლის ივლისში. 1957 წელს დავქორწინდით. 1958 წლის მარტში შეგვეძინა ქალიშვილი – ნესტანი. 1958 წლის მაისში კი ჩემი მეუღლე გარდაიცვალა. ასე სწრაფად და მოულოდნელად დასრულდა ყველაფერი; მეხი დაგვეცაო – ამ გამოთქმის აზრი და მნიშვნელობა მაშინ გახდა ცხადი ჩემთვის. ლიზიკო ქავთარაძე, რომელიც შალვას მეგობარი და მასსავით რეპრესირებული იყო, სთხოვდა მას დაეწერა იმის შესახებ, რაც თავს გადახდა. მაგრამ ვერ მოასწრო.

ამ მხრივ საინტერესოა მისი მოკლე ბიოგრაფია, რომელიც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა სამსახურისათვის:

„დავიბადე 1904 წლის 28 მარტს (ძველი სტილით) სოფლისმეურნე კირილე დავითის ძე ჩხიკვაძის ოჯახში, ტყიბულის რაიონის სოფელ მანდიკორში (მაშინდელი ქუთაისის მაზრა). 1913 წლიდან ვსწავლობდი და 1924 წელს დავამთავრე ქუთაისის პირველი ჰუმანიტარული ტექნიკუმი (ყოფილი კლასიკური გიმნაზია). 1924 წლიდან 1928 წლამდე ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტის ფინანსურ განყოფილებაზე.

ჩემი შრომითი სტაჟი იწყება 1927 წლიდან. ვმუშაობდი სხვადასხვა დაწესებულებაში საბუხჰალტრო-საფინანსო დარგში 1927 წლიდან 1930 წლის იანვრამდე.

ახალგაზრდა მარქსისტთა არალეგალური ორგანიზაციის წევრობისათვის 1930 წლის 27 იანვარს დაპატიმრებული ვიქენი საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური სამმართველოს მიერ და გადასახლებული შორეულ ციმბირში ადმინისტრაციული წესით. 1931 წლიდან 1933 წლამდე ვმუშაობდი „ობრიბტრესტის" თევზის საკონსერვო ქარხანაში ბუხჰალტერის თანამდებობაზე (სოფ. სურგუტი, ეხლანდელი ოსტიაკოვოგულევის ოლქი). 1933 წლიდან 1936 წლის მარტამდე ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ვორონეჟის ოლქის კავშირგაბმულობის სამმართველოს სამშენებლო კანტორის უფროს ბუხჰალტერად.

გადასახლებიდან დავბრუნდი 1936 წლის მარტის თვეში. 1936 წლის აპრილიდან 1937 წლის აგვისტომდე ვმუშაობდი საქართველოს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სამმართველოს სისტემაში წაღვერის დასასვენებელი სახლის უფროს ბუხჰალტრად, სადაც დაპატიმრებული ვიქენი ხელმეორედ 1937 წლის 28 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბორჯომის რაიონული განყოფილების მიერ. შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებულმა სამეულმა მომისაჯა 10 წლის პატიმრობა და გადამაგზავნა შორეულ ბანაკებში".

ვორონეჟში შეხვდა ის გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს გრ. ლორთქიფანიძეს და ალ. დგებუაძეს. ცნობილია, რომ გრ. ლორთქიფანიძემ სტალინს გაუგზავნა ამიერკავკასიის ფედერაციის მისეული კრიტიკა, რომლის ერთი ცალი შალიკოს თბილისში მისი ძმის – პალადისათვის გამოუგზავნია. მაგრამ, როცა 37 წელს დაიწყო ის უმოწყალო დაჭერები, მოუსპიათ. მეორე ცალი გაუგზავნია ალ. დგებუაძის სახლში სამეგრელოში, თუ არა ვცდები თამაკონში და შალიკო აპირებდა იქ წასვლას, იქ იქნებაო დაცული.

„პატიმრობაში ყოფნისას კემეროვის საოლქო სასამართლოს გამსვლელი სესიის მიერ დამატებით მესამედ გასამართლებული ვიყავი 1943 წლის 21 მარტს და მომესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რომელიც იმავე წელს ივლისში საკავშირო უზენაესმა სასამართლომ შემიცვალა 10 წლის პატიმრობით და 5 წლით უფლებების აყრით.

პატიმრობიდან გათავისუფლებული 1953 წლის აპრილის თვეში და სამშობლოში დაბრუნების უფლებააყრილი, გადასახლებული ვიყავი ყაზახეთის ოლქში. ჩრ. ყაზახეთის ოლქში ვმუშაობდი შეპტიკულის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ბუხჰალტრის მოადგილედ, პერიოდულად – ამავე მეურნეობის მთავარ ბუხჰალტრად.

1956 წელს მომეცა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა და საქართველოში დავბრუნდი 1956 წლის ივლისის თვეში.

16 წლის პატიმრობაში მე ვმუშაობდი ბუხჰალტერისა და მგეგმავ-ეკონომისტის თანამდებობაზე, რისი საბუთები მე პირადად არ გამაჩნია, მაგრამ ისინი, უთუოდ, დაცულია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში".

ერთხელ ძერჟინსკის ქუჩაზე მივდიოდით. „სოიუზპეჩატთან" რომ გავიარეთ, შალიკომ თქვა:

– აი, აქ არის ის სარდაფები, სადაც 37 წელს პატიმრებს ხვრეტდნენო,

და მადლიერებით გაიხსენა ბორჯომის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივანი ვალოდია ცხოვრებაშვილი, რომელიც შემდეგ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი იყო და შინსახკომის ბორჯომის რაიგანყოფილე-

ბის უფროსი, რომლის გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს, სომხური გვარი ჰქონდა. მათ შემომითვალეს, დაპატიმრების ორდერია მოსული შენზე და თავს უშველეო. მაგრამ მან ვერ დატოვა მასთან მყოფი ავადმყოფი ქალი, ვაი თუ დაარბიონო. მაშინ მათ ბორჯომიდან პირდაპირ ეტაპით გაუშვეს რუსეთისაკენ. თბილისში არ გამოგზავნეს, თორემ აქვე დავიხვრიტებოდიო.

თურმე იმ საშინელ დროშიც არსებობდნენ ადამიანები, მათ შორის პასუხისმგებელი პირები, ადამიანური ღირსებებით, რომლებიც, რისკის მიუხედავად, დახმარების ხელს უწვდიდნენ განწირულ ადამიანებს.

„ჩემი ჩრდილოეთ ყაზახეთში ყოფნისას აღვძარი შუამდგომლობა საკავშირო მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო გენერალური პროკურორის წინაშე, რათა ჩემი საქმეები, დაწყებული 1930 წლიდან, გამხდარიყო შესწავლისა და განსჯის საგანი.

1956 წლის იანვრის თვეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა ჩემი საქმე და 1937 წლის ჩემი დაპატიმრება სცნო არასწორად, გამამართლა და მომცა რეაბილიტაცია. მე ხელმეორედ აღვძარი შუამდგომლობა საკავშირო პროკურატურის წინაშე, რათა განხილული ყოფილიყო ჩემი 1943 წლის საქმე, სცნო ის უკანონოდ, გამამართლა და გამიკეთა საბოლოო რეაბილიტაცია...

ამგვარად, მე დღეს მთლიანად რეაბილიტირებული ვარ საქართველოს და საკავშირო უზენაესი სასამართლოების მიერ.

1957 წლის 24 დეკემბრიდან დღემდე ვმუშაობ ამიერკავკასიის მეტალურგიული სამშენებლო ტრესტის რკინა-ბეტონის კომბინატის მთავარ ბუხჰალტრად.

შ. ჩხიკვაძე, 1958 წ.“

ამ მოკლე ბიოგრაფიიდანაც კარგად ჩანს, რა ტანჯვა გადაიტანა, რისთვის ეწამა და რა განწყობილება შეიძლებოდა ჰქონოდა მას საბჭოთა ხელისუფლებისა და სტალინის მიმართ. მიუხედავად ამისა, როცა ის გადასახლებიდან ბრუნდებოდა, ერთმა შემთხვევამ ძალზე ააღელვა:

მოსკოვში, სადგურზე, ბილეთების რიგში დგომისას შემოირბინა ახალგაზრდა ქალმა – ექსკურსიამძღოლმა და კრემლის დათვალიერების მსურველთა ჯგუფი შეკრიბა. ეს უკვე ის დროა (1956 წ.), როცა კრემლის კარები ჩვეულებრივ მოკვდავთათვისაც გაიღო. დამაინტერესა და მეც შევუერთდი იმ ჯგუფსო. ჩამოგვატარა ყველა კაბინეტი და თან გვიხსნიდა: აი, ამ ოთახში ამდენი და ამდენი წელი იჯდა და მუშაობდა ლენინი, აი აქ – კალინინი, და ა.შ. ჩამოაყოლა ყველა, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ უხსენებია სტალინი. მაშინ შალიკოს მიუმართავს მისთვის: მე ერთი კოლმეურნე ვარ შორეული ჩრდილოეთიდან და მაინტერესებს, ხომ არავინ გამოგრჩენიათო? – არაო. – როგორ? აქ იჯდა კაცი, რომელიც 30 წელი მართავდა სახელმწიფოს და ის თქვენ არ გახსოვთო?! – მე ეს პროგრამაში არა მაქვსო. შალიკო ძალზე აღშფოთებულა, და ხომ გასაგებია ამის მიზეზი.

აი ამ მიზეზმა განაპირობა საქართველოში 1956 წლის 9 მარტის ამბები, რომლის შესახებ მან ჯერ კიდევ გადასახლებიდან დაბრუნებამდე ყაზახეთში ყოფნის დროს გაიგო რადიოგადაცემებით იტალიიდან – საქართველოში ქრისტიანი ბავშვების სისხლი დაღვარესო. სტალინი ქართველობის გამო იყო დაგმობილი

შალვა ჩხიკვაძე გადასახლებაში

მაშინ, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო მისი მოთხრისა. ის რომ რუსი ყოფილიყო, დროშად აიფრიალებდნენ. მან ისეთი ძლიერი იმპერია შეუქმნა რუსებს, როგორიც ვერც ერთმა რუსმა მეფემ ვერ შეძლო, პეტრე პირველის გარდა. აკი ამდენი ხანია თვითონვე ანგრევენ იმპერიას და ვერა და ვერ დაანგრიეს, ისეა ჩაკირული.

1956 წლის 9 მარტს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით მე გავახსენე ბატონ ირაკლი აბაშიძეს მისი გამოსვლის შესახებ ცეკას პლენუმზე:

„ბატონო ირაკლი! 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით მე გამახსენდა 1956 წლის მარტში ჩატარებული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმული თქვენი სიტყვა.

რამდენადაც მახსოვს, ეს პლენუმი იყო რიგგარეშე და მიეძღვნა 9 მარტს მომხდარ არანაკლებ ტრაგიკულ ამბებს. 9 აპრილისა არ იყოს, 1956 წლის 9 მარტს სრულიად უდანაშაულო ქართველი ახალგაზრდობა დახვრიტეს. დიახ, დახვრიტეს!.. დახვრიტეს კი არა, გაჟლიტეს ის ახალგაზრდები, რომლებიც არა თუ ანტისაბჭოთა ლოზუნგებს, არამედ „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას“ იძახდნენ და „გაფრინდი შავო მერცხალოს“ მღეროდნენ.

ამ პლენუმზე იდგა მაშინდელი ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდლის – ფედიუნინსკის საქართველოდან გადაყვანისა და მის ნაცვლად როკოსოვსკის ამ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი. როკოსოვსკის შემოსვლას დარბაზი ოვაციებით შეხვდა.

პლენუმზე თქვენ წარმოთქვით სიტყვა ზეპირად, დაწერილი ტექსტის გარეშე. მაშინ, და ლამის ბოლო დრომდის, მიღებული იყო პლენუმებზე წინასწარ დაწერილი სიტყვით გამოსვლა და ისიც რუსულ ენაზე. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე, საბჭოთა სისტემის დანგრევამდე. თქვენი სიტყვა იყო ექსპრომტი, მე მინდა გაგახსენოთ ამ სიტყვის ძირითადი აზრი, რადგან მისი დედანი თქვენ, ალბათ, არა გაქვთ.

თქვენ თქვით, რომ ქართველი ხალხი თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია და ეს არა მარტო დღეს, არამედ ასე იყო დასაბამიდან საუკუნეების მანძილზე, რომ საქართველოში სხვადასხვა ერების წარმომადგენლები მეგობრულად და კეთილმეზობლურად ცხოვრობენ ერთად, რომ საქართველოში არასოდეს არ ყოფილა ებრაელთა დარბევები და ამის დასტურია ის, რომ ერთ პატარა ხელისგულისოდენა მოედანზე დგას სიონი, მეჩეთი და სინაგოგა, რომ ქართველმა ხალხმა ტოლბუხინი ისე დაიტირა, როგორც თავისი შვილი.

თქვენ კი, – მიმართეთ ფედიუნინსკის, – მიდიხართ რა საქართველოდან, მიგყვებათ ქართველი ხალხის ზიზღი და სიძულვილი!

ამას მოჰყვა დარბაზის ერთსულოვანი ხანგრძლივი ტაში.

ფედიუნინსკისადმი მიმართული ეს სიტყვები როგორ მოუხდებოდა დღეს გენერალ-მაიორ როდიონოვს!..

როცა დარბაზიდან გავედი ჩვენს სამუშაო ოთახში, სადაც მემანქანისათვის თქვენი სიტყვა უნდა მეკარნახა, შემოვიდა აღელვებული ცკ განსაკუთრებული სექტორის გამგე (მაშინ ასე ერქვა ამ განყოფილებას) გურგენიძე და მეკითხებოდა: – ხომ ყველაფერი ჩაწერე, ხომ არაფერი გამოგრჩაო?

ბატონო ირაკლი! მე გავახსენეთ თქვენი სიტყვის ძირითადი აზრი, მონახაზი, ის, რაც ჩემს მეხსიერებას შემორჩა. ისე კი, ალბათ, თქვენი გამოსვლის ჩანაწერი შეიძლება მოიძიოთ საქართველოს კპ არქივში, სადაც ინახება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა თუ ყრილობების სტენოგრაფიული ანგარიშები.

პატივისცემით, ეთერ ბაგრატიონი“.

ისე კი, უნდა ითქვას, რომ როკოსოვსკის დანიშვნა, ეტყობა, დროებითი ღონისძიება იყო, უფრო ხალხის დასაწყნარებლად. როკოსოვსკი შემდეგ აღარ გამოჩენილა საქართველოში.

მე ეს გახსენება ბატონ ირაკლის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე გადავეცი.

* * *

ჩემს მეუღლეს, გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, რეაბილიტაციამდე თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. რუსთავში დაიწყო მუშაობა და ოთახიც იქ მისცეს. სტენოგრაფს, სამუშაოს ხასიათის მიხედვით, დრო არა აქვს მკვეთრად განსაზღვრული. არ იცი, როდის დამთავრდება სხდომა, მით უმეტეს იმ წლებში, როცა სხდომები საკმაოდ გვიანობამდე გრძელდება. ამიტომ ჩემთვის ძნელი იყო რუსთავში საცხოვრებლად გადასვლა. ამ ჩემს პატარა ოთახს, როცა მე მარტო ვცხოვრობდი, კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ოჯახისათვის, მით უფრო ბავშვით, უკვე აუტანელი იყო. ჩემი ბინა იმდენად პატარა იყო, რომ მიცვალებულის იქ დასვენება შეუძლებელი იყო. ჩემი მეუღლე მისი ძმის ბინიდან გამოასვენეს.

ბავშვობაში ბევრი რამ მაკლდა, ბევრზე მწყდებოდა გული. ისე გავიზარდე, რომ მოგზაურობებისა და აგარაკების შესაძლებლობები არ მქონდა. თუ რამე ვნახე, და ისიც საქართველოს ფარგლებში, ეს მას შემდეგ, რაც სტენოგრაფი გავხდი და მივლინებებში მიხდებოდა ყოფნა. მე და ჩემმა შვილმა პირველად ერთად ვნახეთ მოსკოვი, ლენინგრადი და ბალტიისპირეთი, მე 50 წელზე უფროს ასაკში და ჩემმა

შვილმა – 14 წლისამ. ამიტომაც ვცდილობდი მისთვის მიმეცა ყველაფერი – სათანადო განათლება, გამეღვიძებინა მასში ინტერესი და სიყვარული ხელოვნებისა, მეჩვენებინა რაც შეიძლებოდა მეტი, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, დამყავდა ზღვაზე, ექსკურსიებზე, ყველგან, სადაც კი ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი დადიოდა.

ფიქრობ, ღირსეულ ადამიანს – შალვა ჩხიკვაძეს ღირსეული შვილი გავუზარდე. დღეს ნესტანი ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია.

* * *

ჩემს ხასიათსა თუ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდა ის გარემო – ნათესაობა, მეგობარ-ამხანაგთა წრე, თუ საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელშიც მე ვიზრდებოდი და ვყალიბდებოდი. თავდაუღალავი შრომა, დროის სწორი განაწილება და გამოყენება, მოთმინება, სიცოცხლის სიყვარული, იმედი მომავლისა, ოპტიმიზმი, ერთურთის თანადგომა – აი ის, რაც მასწავლა ამ გარემომ.

1960 წელს მივიღე ბინა, სადაც ცხოვრება და ბავშვის გაზრდა შეიძლებოდა. ამისათვის მადლობა გ. გეგეშიძეს. ამავე წელს მივიღე ექიმის სამუშაო ადგილი, ვეღირსე ექიმობას.

1969 წელს დავიცავი დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და 1970 წლიდან ვმუშაობ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე.

დიდი მადლობელი ვარ აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის და ქირურგიის ინსტიტუტის გულისხმიერი კოლექტივისა, სადაც ურთიერთთანადგომის ატმოსფერო და მუშაობის შესანიშნავი პირობები იყო შექმნილი და ამის სულისჩამდგმელი ბრძანდებოდა თვით ბატონი კონსტანტინე ერისთავი.

1994 წლის ივნისი.

ქუჩუკ ქიქოძე
1918 – 2004

2003 წელს თბილისში ჩაიწერა
ნესტან ჩხიკვაძემ

დავიბადე ქუთაისში 1918 წლის 7 მაისს. სხვათა შორის, ჩემი ერთ-ერთი შვილთაშვილიც, ზალიკოს შვილიშვილი, 7 მაისს დაიბადა. 1918 წელი იდგა. საქართველოში უკვე დამოუკიდებლობა იყო გამოცხადებული. ქვეყნის სათავეში მენშევიკური ხელისუფლება იყო მოსული. ამ დროს მამაჩემი სვანეთში მსახურობდა. მამა, მიხეილ ქიქოძე (1889-1977) გურული იყო, დედა – სვანის ქალი, გარდაფხაძე. მამაჩემი ქვემო სვანეთის ერთ-ერთი პირველი თავადის ოჯახის სიძე იყო. ძალიან არ უნდოდა ამ საგვარეულოს მამაჩემი სიძედ, მაგრამ მას უკვე შვიდი-რვა წლის სტაჟი ჰქონდა სვანეთში პედაგოგიური სამსახურისა, მოსახლეობას ძალიან უყვარდა და ამიტომაც გაჰყვა დედა. მერე კი ოჯახიც შეურიგდა, დაიცვა და შეინახა.

დედაჩემის ოჯახი მატერიალურად ძალიან ღონიერი იყო. ივანე (შინაურულად – ალი) გარდაფხაძეს დღესაც პატივისცემით იხსენებენ სვანეთში. სადაც კი მივსულვარ და გაუგიათ, რომ ამ ოჯახის შთამომავალი ვარ ქალის მხრიდან, ყოველთვის ძალიან კარგად შემხვედრიან.

მენშევიკური გვარდია სვანეთში ვერ შედიოდა. გარდაფხაძეების გვარი ღონიერი გვარი იყო და ძლიერი ოჯახი ჰქონდათ. სწორედ ამათი შიშით ვერ იყვნენ მენშევიკები თამამად. მაგრამ მათ მოისყიდეს ადგილობრივი მოსახლეობა და, 18 წლის ივლისში, თუ არ ვცდები, ფიცზედაც კი გამოიტყუეს გარდაფხაძეები. ეკლესიიდან გამოასვენეს ხატი, შეჰფიცეს ერთმანეთს მომავალში კარგი დამოკიდებულება, მეგობრობა და, რაც მთავარია, მშვიდობა. მაგრამ მაშინვე გატეხეს ეს ფიცი. თავიანთი ხალხი წინასწარ ჰყავდათ ჩასაფრებული. შერიგებასთან დაკავშირებით გამართული პურ-მარილის შემდეგ რომ შესხდნენ გარდაფხაძეები ცხენებზე და წამოვიდნენ, ჩასაფრებულებმა დასცხეს თოფები და ბაბუაჩემი და მისი ყველა ნათესავი, სულ ექვსი კაცი, ადგილზევე გამოასალმეს სიცოცხლეს.

ეს გააკეთა მენშევიკურმა გვარდიამ. ჩვენს ოჯახში გადმოცემით არის შემორჩენილი ამ გვარდიის მეთაურის, ვინმე რუბენ ყიფიანის სახელი, რომელიც მენშევიკურ ხელისუფლებას გაჰყვა უცხოეთში და საფრანგეთში ცხოვრობდა. დედას ჰყავდა ორი მკვიდრი ძმა. ერთი ოდესაში სწავლობდა, იურიდიული დაამთავრა. ჩამოვიდა აქ, მსახურობდა და თავისი სიკვდილით გარდაიცვალა. მეორე, უმცროსი ძმა – კვიტია, მეზობელმა, ახლობელმა მოკლა – ჩუმად, ჩასაფრებულმა ესროლა. ეს მოხდა ტერორის პერიოდში – ლენტეხის ქვემოთ ჩაუსაფრდა და მაშინ ესროლა, როდესაც კვიტია ქუთაისიდან ცხენით ბრუნდებოდა. ამის საფუძველი ვითომ ქალი იყო. სინამდვილეში კი ყველაფერს მატერიალური საფუძველი ჰქონდა. ამ კვიტიას ბევრი მამულები რჩებოდა. მისი მკვლელი მეორე ძმის (რომელიც ცოცხალი გადარჩა და სხვაგან მსახურობდა) მოურავად ითვლებოდა. მან ქონების გამო მოკლა კვიტია.

კიდევ ერთი ვაჟი ჰყავდა ალის ზემო სვანელი ქალისაგან. ალი ადრე დაქვრივდა. ბებიაჩემი გელოვანის ქალი იყო სპათაგორიდან. ეს ძირძველი გელოვანების სოფელია ლეჩხუმში, ცაგერის რაიონში. სხვათა შორის, ჩვენს დროში რომ ცნობილი მარშალი გელოვანი იყო, იმ ოჯახიდანაა. ერთი ძმის შთამომავალი იყო ისა და მეორე ძმის შვილი – ბებიაჩემი, ალი გარდაფხაძის მეუღლე. როგორც ამბობენ, ბებია დედაჩემის მშობიარობას გადაჰყოლია.

დედაჩემი, დიგორხან (ფაფალა) გარდაფხაძე (1891-1946), ჯერ ქუთაისის კეთილშობილ ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა, ერთი წელიწადი – სიღნაღის წმინდა ელენეს სახელობის ქალთა სასწავლებელში. შემდეგ დაბრუნდა. ამ დროს სვანეთში იმოგზაურა ბავარიის დედოფალმა. სანამ იგი იმოგზაურებდა (ეს ამბავი დედაჩემის გიმნაზისტკობის დროს მოხდა), ქუთაისის გუბერნატორმა დაიბარა ალი გარდაფხაძე და უთხრა – ეს ჩვენი არაოფიციალური სტუმარია და არავითარი შეხვედრები არ აინტერესებსო. ეს ქალი განათლებით ეთნოგრაფი ყოფილა და სვანეთი აინტერესებს და თქვენ უნდა ახლდეთ მასო. არ უნდა აგრძნობინოთ, თუ იცით, რომ დედოფალია, შინაურულად იყავითო.“

ამ ქალს ახლდა ორი კაცი. ერთი თვე დაჰყვეს სვანეთში. რასაკვირველია, ძალიან კარგი დახვედრა მოუწყო ალი გარდაფხაძემ და ძალიან კმაყოფილები წავიდნენ უკან. სხვათა შორის, მას რამდენიმე ბოთლი ღვინოც ჰქონდა ჩამოტანილი, მაგრამ სვანეთში რომ გასინჯა ჩვენი ლეჩხუმის მამულიდან ატანილი ხვანჭკარის ჯიშის ღვინოები, თავისებისთვის ხელი აღარ უხლია. წასვლისას ქუთაისიდან ფოთში უნდა ჩასულიყო და ფოთიდან გემით უნდა გამგზავრებულიყო. კონვერტი გადმოუციათ ბაბუაჩემისთვის. ბაბუას არ მიუღია – აქ ფული იქნებაო. – ბოდიში, მაგრამ არაო. დაახლოებით ორი თვის შემდეგ კი მოვიდა სპეციალური ალი გარდაფხაძის ბავარიის წმინდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვების საბუთი და ეს ორდენი. ეს ამბავი მის პირად საქმეშიც არის აღნიშნული. ამით დამთავრდა ამ გერმანელებთან მისი შეხვედრა და ურთიერთობა. მათ თურმე დედას წაყვანა უნდოდათ იქ სასწავლებლად, მაგრამ უარი უთქვამთ და არ გაატანეს.

ჩემზე ადრე, 1916 წელს ჩემი უფროსი ძმა დაიბადა. ალიკო ერქვა, კარგი ბიჭი გაიზარდა, კარგი სპორტსმენი გახდა და სამხატვრო აკადემია დაამთავრა. იყო პიტიახშისა და მისი ცოლის ქანდაკებების ავტორი. დაიღუპა 1944 წელს ომში – უკრაიანის ქალაქ ნოვგოროდ სევერსკის გათავისუფლების დროს.

ალი გარდაფხაძის ერთი ვაჟი, რომელიც მას ზემო სვანელი ქალისაგან ჰყავდა, ალისთან ოჯახში იზრდებოდა. მან უფრო დიდხანს იცოცხლა. მოგვიანებით შეირთო მტრის ოჯახში გაზრდილი ქალი, რომლის ბიძამაც თავის დროზე მისი ძმა კვიტია მოკლა. ქორწინების ნიადაგზე ოჯახები დაახლოვდნენ, მაგრამ იმ კაცს მაინც აკრძალული ჰქონდა ოჯახში შემოსვლა. თუმცა თავიდან ისე მოხდა, რომ ეს კაცი ერთხელ შემოვიდა იქ. დამავიწყდა მეთქვა, რომ ალი გარდაფხაძეს, დედაჩემის გარდა, კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ისიც გელოვანის ქალისაგან. ეს ამბავი იმ დროს მოხდა, როდესაც, 24 წლის გამოსვლების ჩახშობის შემდეგ, სვანეთში იმალებოდნენ რუსეთის არმიის ცნობილი პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხაძე – ეკატერინე გურიელის მეუღლე და მისი მომავალი სასიძო ბიძინა პირველი.

ალი გარდაფხაძე
მხლებლებთან

...ზამთარია. სხედან შუაცეცხლთან, ხეებია იქ შეწყობილი. მოულოდნელად შემოდის ამ ოჯახის შვილის მკვლელი – გაბურძგნული, წვერმოშვებული კაცი და ამ დედაჩემის დას, ამ პატარა გოგოს, პაჭა (ნინო) გარდაფხაძეს ჩუმად ასტამი მიაქვს ცეცხლთან, აქუჩებს ცხელ-ცხელ ნაღვერდლებს და აყრის სახეში. დაუშაშრა სახე (ტირის), ადგა ეს კაცი და გავიდა. ხმა არავის გაუცია. ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა, ისეთი სიჩუმე იყო. ამის შემდეგ ის კაცი ჩვენს ოჯახში აღარ შემოსულა, რასაკვირველია. მერე თავისი უბედური სიკვდილით მოკვდა – ბუნებით დასჯილი. სხვათა შორის, ასეთივე ბედი ეწია ტერორის მომწყობ იმ ხალხსაც, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ალი გარდაფხაძისა და მისი ნათესავების მოკვლაში, რამდენიმე ადგილობრივ სვანს – ერთი ქვამ ჩაიტანა და მოკლა, მეორე 37-ში დახვრიტეს, მესამე სხვამ მოკლა კიდე და მეოთხე ისე გაუბედურდა, რომ ოჯახში არავინ აღარ შერჩა, მარტო დარჩა – ყველანი ამოწყდნენ.

ეხლა მამის მხრივ: პაპაჩემი – მამის მამა, იოსებ ქიქოძე, გახლდათ ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ძმის, ათანასეს შვილი. ათანასე იყო სოფლის მღვდელი. ერთ-ერთ სურათზე, რომელზეც ათანასეა გადაღებული, გაბრიელს ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: „მე რომ ჭკუა მქონოდა...“ (ტირის) – ესე იგი, ძალიან ჭკვიანი კაცი ყოფილა. იყო ძალიან მორწმუნე კაცი და ცხოვრობდა ნამდვილი ასკეტური ცხოვრებით, როგორც ამას ქრისტიანული სარწმუნოება – მართმადიდებლობა მოითხოვს. მისმა შვილმა, იოსებ ქიქოძემ, განათლება პეტერბურგში მიიღო. დაამთავრა სატყეო აკადემია. დაბრუნდა და მთელ საქართველოში მეორე კაცი იყო, რომელიც მეტყევე ინჟინრის ნიშანს ატარებდა. პირველი იყო გამრეკელი, აღმოსავლეთ საქართველოდან წასული, რომელსაც ორი წლით ადრე ჰქონდა დამთავრებული ეს აკადემია, მეორე კი იოსები – ბაბუაჩემი. იმსახურა და აქაც ცოტა ხნის მერე დააწინაურეს. გახდა ქუთაისის გუბერნიის ტყეების მთავარი რევიზორი. 280 მანეთი ჰქონდა თვეში ოქროთი. ძროხა ღირდა მაშინ 5 მანეთი. 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში მამაჩემი და მისი

მომყოლი ძმა – ზალიკო გახდნენ რევოლუციონერები. მაგრამ მამაჩემი უფროსი იყო და კამოს ჯგუფში მოქმედებდა. უფრო სწორედ, კამოს ჯგუფს ვინმე სტეპკო ინწკირველი – ცნობილი რევოლუციონერი, ხელმძღვანელობდა. იმათ ჩაითრიეს ბაბუაჩემი – მეტყევე იყო, ესენიც სულ ტყეში იყვნენ გავარდნილები. ის აჭმევდა იმათ, ინახავდა და ქუთაისშიც პატრონობდა. ბოლოს ბებიაჩემიც გახდა რევოლუციონერი, 1905 წლიდან – პარტიის ოფიციალური წევრი. შვილებიც აჰყვნენ. ბებიაჩემის, მიქელაძის ქალის ძმა, ალიოშა მიქელაძე, ვარშავის გუბერნატორი იყო, მერე ოდესის ჟანდარმერიის უფროსი გახდა და მონაწილეობდა 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომში. ზავზე მანაც მოაწერა ხელი. იქ ტყვესავით იყო და იაპონელებმა რომ გაიმარჯვეს, მაშინვე დაბრუნდა და ისევ ოდესაში დაიწყო სამსახური.

ბაბუაჩემმა, როგორც ვთქვი, უმაღლესი რუსეთში დაამთავრა. მაიაკოვსკის (პოეტის) მამა მისი მეგობარი გახლდათ – მისი ერთ-ერთი უბნის ინჟინერი იყო. ხშირად ასეთი დემოკრატიულად განწყობილი რუსი ინტელიგენტები, ზოგიერთი გამოქცეულიც კი, ამ ოჯახში იყრიდნენ თავს. ბაბუა – იოსები ბოლშევიკურ პარტიას არ თანაუგრძნობდა, არ სწამდა მისი საქმიანობა. ამ ნიადაგზე ხშირად ხდებოდა დაპირისპირება მასსა და მეუღლეს შორის და ცოტა ხანში ოჯახი დაიშალა კიდეც. ბებიაჩემი რუსეთში წავიდა.

მამაჩემი 1905 წლის რევოლუციის შემდეგ განუდგა რევოლუციონერებს. გიმნაზიიდან იგი მგლის ბილეთით იყო გამოგდებული რევოლუციური მოღვაწეობისთვის... კითხვის მოყვარული იყო საშინელი და, ბოდიში ამ სიტყვისთვის, მას ოჯახში „უტრაკო კვახი“ შეარქვეს – რო გორაობსო სულ. იწვა და კითხულობდა (იცინის) – გურულების ამბავი ხომ იცით? დაახლოებით 1909 წელს წავიდა სვანეთში და დაიწყო მასწავლებლობა. გზა ჯერ დილიჟანსით უნდა გაევლო ორბელამდე – ცაგერის რაიონში, და იქიდან უკვე ცხენით გაეგრძელებინა. ბედნიერი მგზავრობა გამოდგა – ნიკო მართან ერთად იმგზავრა. ძალიან დაახლოვდნენ ამის მერე ნიკო მარი და მამაჩემი.

მისი მომყოლი ძმა ზალიკო უცხოეთში, რუსეთში წავიდა – პეტერბურგში. დაიწყო იქ სწავლა სამედიცინო აკადემიაში. მერე ცნობილი რევოლუციონერი გახდა და სადაც გაჭირვება იყო რევოლუციის დროს, იქ აგზავნიდნენ. ჩარჩა და ჩარჩა ზალიკო რუსეთში. 1918 წელს თურქეთში მიდიოდა, გამოიარა თბილისში და შეიარა ტიტიკო ქიქოძესთან. ტიტიკო (დიმიტრი) ქიქოძე – ცნობილი ექიმი, ამ დროს უკვე ყოფილი თბილისის გუბერნიის მთავარი ექიმი იყო. არ მოეწონა ტიტიკოს მისი ავადმყოფური გარეგნობა. გასინჯა და – გახურებული ტუბერკულოზი არ აღმოაჩნდა! მანამდე ერთი-ორგან ფილტვი ჰქონდა გახვრეტილი ამ ომებში და ბრძოლებში. ტიტიკო არავითარ შემთხვევაში არ უშვებდა თურქეთში ზალიკოს – წავიდა მაინც. თურქეთიდან რომ ბრუნდებოდა, მახარაძეში დაიჭირეს, ოზურგეთში. დაიჭირეს და რამდენიმე თვე ჯერ იქ აყურყუტეს ციხეში, მერე აქ – „გუბერნსკში“. გამოვიდა იქიდან უფრო დაავადმყოფებული და 1922 წელს გარდაიცვალა აბასთუმანში. ამ დროს ბებიაჩემი (დედამისი) ჩამოსული იყო პეტერბურგიდან და თავზე ადგა, მაგრამ რაღას უშველიდა. ასე დაიღუპა ზალიკო.

ბებიაჩემს, პეტერბურგში რომ წავიდა 1905 წელს, უკვე ჰყავდა ოთხი ვაჟი და ერთი ქალი – ელისაბედი, რომელიც რევოლუციის პერიოდში პეტერბურგში

სწავლობდა. ბებიამ თან გაიყოლა თავისი უმცროსი და მარიამიც; პეტერბურგში ისიც ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ამ დროს იქ სამედიცინო აკადემია დაამთავრა მამია ორახელაშვილმა. მარიამმა და მამიამ იქორწინეს. დაახლოებით 1915-16 წლებში ბებია ჩამოვიდა ძაუჯიკაუში (შემდეგ – ორჯონიკიძე). ჯერ კიდევ პეტერბურგში ჰქონდა გახსნილი კერვის სკოლა (ჭრა-კერვას ასწავლიდა) და აქაც გახსნა, გახსნა ასევე პანსიონატი ქართველი სტუდენტებისათვის, სადაც მათ აცხოვრებდა და უვლიდა. თან რევოლუციურ საქმიანობაში იყო ჩაფლული. პეტერბურგში ყოფნისას ის დაუახლოვდა კიროვს. გასაბჭოების შემდეგ ორჯონიკიძეში ხელისუფლებაში იყვნენ კიროვი და ბებიაჩემი. შემდეგ ჩამოვიდა ქუთაისში, სადაც მენშევიკური მთავრობა იყო და ბებიაჩემი იძულებული იყო დამალულიყო. უფრო სწორად, სახლში იყო და აქტიურად არ ჩნდებოდა, მაგრამ მაინც სდევნიდნენ. ერთი-ორჯერ მენშევიკებმა ციხეშიც აყურყუტეს. 1921 წელს შემოვიდა რუსის ჯარი... სხვათა შორის, ჩვენი საზოგადოებისთვის ისეა ცნობილია, თითქოს რუსის ჯარს ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა – ეს აზრი მცდარია, არ არის სწორი. კავკასიაში ბაქოდან შემოსული მეთერთმეტე არმიის სარდალი იყო გეკერი, ორჯონიკიძე კი მთავარი კომისარი იყო. ორჯონიკიძე დარჩა ბაქოში. ჯარს გეკერთან ერთად გამოუძღვა შალვა ელიავა. არსებობს დიდი ნაშრომი ელიავაზე, სადაც აღნიშნულია, რომ როდესაც იგი თბილისში შემოვიდა, დეპეშა გაუგზავნა სერგო ორჯონიკიძეს ბაქოში, იმან კიდევ სტალინს მოსკოვში, თუ პეტროგრადში – თბილისზე წითელი დროშა ფრიალებსო.

ეხლა იმ ამბავს მოვყვები, 1905 წლის რევოლუციის დროს ბებიაჩემი რომ დაიჭირეს ახალდაბადებულ შვილთან ერთად. პატიკო დაარქვა იმ ბავშვს. ბებიაჩემი, მამის – თავადი მიქელაძისა და დედის – თავად თაყაიშვილის ქალის შვილი, ქუთაისის ბარიკადებზე იდგა. დედამისმა, კნეინა თაყაიშვილმა „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა – მე მოვესწარი მას და კარგად მახსოვს. დედაჩემის ძმა ალიოშა მიქელაძე ვარშავის გუბერნატორი, ოდესის ჟანდარმერიის უფროსი იყო და აზანზარებდა ყველაფერს. ეს ქალი კი თავისი აკვნითა და ბავშვით ქუთაისის ციხეში ყურყუტებდა. ერთ დღეს დიდი ბოდიშებით მივიდნენ და გამოუშვეს. ალიოშა მიქელაძეს გაუგია მისი ამბავი და ვარშავიდან თუ ოდესიდან გამოუგზავნია დედისთვის რუსულად დაწერილი დეპეშა: «Разве русское правительство не построило дом для умалишенных, чтобы мою сестру поместить?» (განა რუსულ მთავრობას არ აუშენებია საგიჟეთი, რომ ჩემი და მოგვეთავსებინაო?). ამაზე ნატაშა გადაირია და გაუგზავნა საპასუხო დეპეშა: «Алеша, пригласи психиатра для понятия и мундира» – ალიოშა, მოიწვიე ფსიქიატრიო... (იცინის). საინტერესო ამბები ხდებოდა, კაცო...

ცოტა ხნის მერე მისი ძმა ალიოშა მიქელაძე ჩამოვიდა აქა და 1900 წელს დაბადებული თავისი დისშვილი ნატაშა და ბიძაჩემი არჩილი წაიყვანა. თვითონ ალიოშას ერთი შვილი ჰყავდა – ქალბატონი მერი, შემდეგ ადამ ბაგრატიონის მეუღლე და ედიშერისა და მერაბ ბაგრატიონების დედა. მერი იტალიაში სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა, სადაც სამწლიანი კურსი დაამთავრა წელიწადნახევარში და ამის გამო უფლება ჰქონდა სამხატვრო აკადემიაში უგამოცდოდ შესვლისა, მაგრამ რომ ჩამოვიდა, აქ უკვე რევოლუცია იყო და აღარ გაუგრძელებია სწავლა, თუმცა ბრწყინვალე მხატვარი დადგა.

ალიოშას არჩილი (მამაჩემის ძმა) თავისთან ჰყავდა და ასაკი რომ მოუვიდა, მიაბარა ოდესის კადეტთა კორპუსში, რომელიც არჩილმა 1917 წელს დაამთავრა პოდპორუჩიკის – ახალგაზრდა ოფიცრის წოდებით. ამ დროს პეტერბურგში რევოლუცია მოხდა, მეფე გადმოაგდეს, დაიჭირეს და რუსული ყალიბით გაუმკლავდნენ მთელს ოჯახს. სასწავლებლიდან გამოსული არჩილი კი გაქრა. აღარ არის არც აქ, არც იქ, არსად. მერე მოვიდა ცნობა, რომ ის დენიკინის არმიაში წასულა და რუსულ „დიკი დივიზიაში“ (ველურ დივიზიაში) ესკადრონის მეთაური გამხდარა. 1920 წლამდე მის შესახებ მოდიოდა ამბები, რომ იბრძვის წითლების წინააღმდეგ. 1920 წლიდან კი გაქრა. ოჯახში ეძებდნენ, წუხდნენ, მარა არაფერი. ამასობაში აქ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ჩემი ოჯახი – მამაჩემი და დედაჩემი ჩამოვიდნენ თბილისში. მამაჩემი მივიდა ძველ რევოლუციონერებთან, რომელთაც 1905 წლამდე იცნობდა (ზოგიერთს უკვე დიდი თანამდებობი ეკავა), მიაკითხა ამ თავისი მოწმობებით, რომ ცხრა თუ ათი წელიწადი მასწავლებლობდა სვანეთში, ლეჩხუმში. ამის შემდეგ ის გააგზავნეს კოჯორში ახლადჩამოყალიბებული საბავშვო სახლის გამგედ. დედა კი – თბილისში, მთიელ ბავშვთა სახლში, აღმზრდელად. იქ ბინაც მიუჩინეს. მე და ჩემი ძმა ვიზრდებოდით ხან მთიელებთან, ხან კოჯორში. კოჯორში ხუთი საბავშვო სახლი იყო. მათ ერთი ცენტრალური სასადილო ჰქონდათ და ყველა იმ სახლში იყრიდა თავს დღეში სამჯერ ჭამის დროს. 1930 წლამდე უმეტესი დრო თბილისის მთიელ ბავშვთა სახლში გავატარე. დაახლოებით 1930 წელს ეს ბავშვთა სახლიც კოჯორში გადავიდა.

ამ დროს მარიამ ორახელაშვილი, დეიდაჩემი, განათლების კომისარი იყო. მამაჩემი ფიცხი კაცი იყო – ხანდახან წამორტყმა იცოდა ბავშვებისათვის და „მარდაბოიში“ (თავში ცემაში) დაადანაშაულეს, რის შემდეგაც მიატოვა იქაურობა და წავიდა საინგილოში. სამი წელი იქ კახის რაიონში, სოფელ ალიაბადში მასწავლებლობდა ქართულ სკოლაში. ძირითადად დაწყებით საგნებს ასწავლიდა. ნაკითხი კაცი იყო. ისეთი ნაკითხი, რომ აოცებდა სუყველას. სიმონ ჯანაშიამ შეიყვარა ძალიან... იგი გულით ავადმყოფი კაცი იყო, სპეციალურად თამარ აბაშიძის ქალი, კრემლის ექიმი მოიწვიეს – მოსკოვიდან ჩამოიყვანეს გასასინჯად და ამან რა უთხრა, იცით? თქვენ ისეთი ავადმყოფობა გაქვთ, რომ წამალი კი არა, წრე გჭირდებათ თქვენიო. აი, მიხეილ ქიქოძე და მასთან იყავითო... მამაჩემმა ზეპირად იცოდა, თუკი რამე იყო გამოქვეყნებული – მთელი რუსული თუ ქართული ლიტერატურა. პირველად ფული რომ ჩაიგდო, კარგად მახსოვს, ბროკჰაუზი (ენციკლოპედია) შეიძინა და ესენი (უთითებს წიგნის თაროს) – ბრემის ცხოველთა სამყარო.

საშუალო სკოლის შემდეგ ვეტერინარიის ტექნიკუმი დავამთავრე. გამაგზავნეს პრაქტიკაზე ბაკურიანის იქით ბერძნების სოფელში, სადაც დიდი, უზარმაზარი მეურნეობა იყო. იქ გავიარე პირველი პრაქტიკა. რომ დავბრუნდი, როგორც ვეტერინარიის ფერშალი, სამუშაოდ გამიშვეს ბაშკიჩეთში – დმანისის თუ ბოლნისის რაიონია, აღარ მახსოვს. აგვისტოში მშობლებმა ჩამომიყვანეს თბილისში და ინსტიტუტში მოვეწყვე. პრაქტიკიდან რომ მოვდიოდი, გზაში მეცხვარეებისაგან ვიყიდე ერთი 24-კილოიანი თავი ახალი ცხვრის ყველი. ო, რა სიხარული იყო!

უმაღლესი სასწავლებელი რომ დავამთავრე, ამ პერიოდში მე გართული ვიყავი სპორტით, ტანვარჯიშით და ქორეოგრაფიით. ჯანო ბაგრატიონის წრეში

მოვხვდი უნივერსტეტში – ჩუმად შევიპარე და ჩავდექი მწკრივში. მან დამინახა, გარეგნობით მოვეწონე და არაფერი არ მითხრა. გავაგრძელე და ცოტა ხანში წამიყვანა კავსაძის გუნდში მოცეკვავედ. მერე გაიგო, რომ, თურმე, სულ სხვა ინსტიტუტში ვსწავლობდი (იცინის). ჩემთან ერთად ცეკვავდა ნინა ღოღობერიძე. ბევრნი იყვნენ... ნონა გუნია – აუჰ! ნონა გუნია არაჩვეულებრივი იყო. სხვათა შორის, იმ პერიოდში, ომამდე, რუსეთში, მოსკოვშიც გააგზავნეს კონკურსზე ესტრადის მსახიობები. მოცეკვავეებიდან – რამიშვილი და სუხიშვილი და მეორე წყვილი – ბუხუტი დარახველიძე და ნონა გუნია. ბუხუტი დარახველიძე ტიპიური ბაში-აჩუკი იყო გარეგნობით – ტიპიური იმერელი, ისეთი ვაჟკაცური გარეგნობა ჰქონდა... აი, ამ სურათში ჩემს უკან დგას – ეს მოსკოვია, წითელი მოედანი. ვაჟებიდან პირველი ადგილი და ჯილდო მისცეს ილიკო სუხიშვილს, ხოლო ქალებიდან – ნონა გუნიას.

მთიელთა საბავშვო სახლზეც უნდა ითქვას ზოგი რამ. მისი ხელმძღვანელი იყო ქსენია – იოსელიანის ქალი, არაჩვეულებრივი ქალი. ჩვენი ექიმი გვყავდა – მარიამ ბოკერია, შემდეგ აღიარებული ბავშვთა ექიმი. მუსიკას გვასწავლიდა ვალერიან ცაგარეიშვილი. რა ვიცი, ვინ არ მოდიოდა? ხატვას გვასწავლიდა ჯერ მერი ბაგრატიონი და მასთან ერთად რუსი თედორე ჩუდეცკი –. გალაქტიონის მეგობარი, ბრწყინვალე მხატვარი – მსმელი კაცი. ცოლად ჰყავდა იოსელიანის ქალი. ის და გალაქტიონი უერთმანეთოდ ღვინოს არა სვამდნენ. ეს სახლი ნამდვილი სამოთხე იყო. უპატრონო ბავშვები იქ არასოდეს გრძნობდნენ უპატრონობას. სხვათა შორის, ჩვენთან იზრდებოდნენ თინა ოჩიაური და მისი უფროსი და დედიკა. მათი ძმებიც, ირაკლი და გოგი, მოვიდნენ მერე და ამ დაწესებულების და კოჯრის ხელი მათაც შეეხო და ამას უქმად არ ჩაუვლია.

იქ შემოდგომის ზეიმს – რთველს ვაწყობდით ხოლმე. ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ! მოგვიტანდნენ ყურძენს, ჩურჩხელებს. ერთ შემოდგომაზე ოჩიაურების მამა ჩამოვიდა და ტომრებით წაბლი ჩამოგვიტანა. ჩვენთან, უფროს ბავშვებს შორის, იყო მიხო კედელაძე – ხევსური. ჩამოვიდა ჯაჭვის პერანგით, სამუხლეებით, სამკლავეებით, ფარით, ხმალ-ხანჯლით. ყველაზე უფროსი იყო და დღესასწაულებზე – პირველ მაისობაზე ან ოქტომბრის დღეობაზე რომ ჩაგვამწკრივებდნენ, წინ მიგვიძღოდა ასე გამოწყობილი მიხო და ვმღეროდით:

„ციხეს რად უნდა რკინის კარები?

მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები!“

მაგრამ რა ვიცოდით, რომ ისეთი ციხეები აშენდება ახლო მომავალში, რომლებსაც რკინა-ბეტონიც კი ვერაფერს დააკლებს.

გოგოებს სათავეში ედგა ქისტის ქალი მარიამი – ალდამაშვილი. ბავშვების უმეტესობა სვანები იყვნენ. ხევსურებიც იყვნენ, მაგრამ მაინცდამაინც ბევრი არა. იყვნენ ქისტებიც. კოჯორში თავს აფარებდა ზოგიერთი დადიანი, ბაგრატიონი, მამაჩემი სუყველას უღებდა კარს. მერე რამდენს შევხვედრივარ... ერთ-ერთმა აქ გაზრდილი დადიანებიდან ორივე ფეხი დაკარგა სამამულო ომში.

კოჯორში იყო ერთი რუსი ბავშვი კოლია უშაკოვი. კოჯორი მაქსიმ გორკიმაც მოინახულა. ეს კოლია უშაკოვი გამოდგა ისეთი ნიჭიერი... სავსე იყო თბილისი და საერთოდ სამხრეთის ქალაქები და სოფლები რუსეთიდან გამოქცეული ბავშვებით (სამოქალაქო ომების და შიმშილობის გამო).

ეხლა ბიძაჩემებს მივუბრუნდები. ესე იგი, ბებიაჩემის სულ ბოლო შვილი იყო პლატონი – პატიკო, რომელიც რუსეთში სწავლობდა. დაბრუნდა დაახლოებით 1932 წელს და გააგზავნეს ჯერ ქუთაისში გაზეთ „სიტყვა და საქმის“ რედაქტორად. იქ დაჰყო ერთი წელიწადი, რის შემდეგაც თბილისში გადმოიყვანეს ლიტერატურული გაზეთის რედაქტორად. შეირთო რუსი ებრაელის ძალიან კარგი გარეგნობის ქალი, გაუჩნდათ ბავშვი. 1934 წელს ეს ბიძა დაიჭირეს. დედამისი (ბებიაჩემი) ამ დროს სოფელში ცხოვრობდა. გახსნილი ჰქონდა მეაბრეშუმეობის არტელი, რითაც ძალიან შეუწყო ხელი მეაბრეშუმეობის განვითარებას – ეს არტელი საკავშირო მნიშვნელობისა იყო. ქსოვდნენ აბრეშუმის უბრწყინვალეს ნიმუშებს – სქელ საკოსტუმეებს და სულ კრემლში მიდიოდა ყველაფერი. დააჯილდოვეს შრომის გმირის ორდენით. შვილის დაჭერა ძალიან განიცადა ნატალიამ. დაჰკრა ფეხი, წავიდა და ინახულა გადასახლებული პატიკო. რო დაბრუნდა იქიდან, ცოტა „აპალაში“ მოხვდა (შერისხული აღმოჩნდა), ასე ვთქვათ. ჩამოართვეს მანდატიც და ჯილდოც. იძულებულუ გახდა დამჯდარიყო სახლში. მამაჩემმა ლექსიც კი გამოუთქვა:

„ვენაცვალე სტალინსაო –
დედაჩემი მაღირსაო“.

მაგრამ ენერგიული ქალი იყო, მისი გაჩერება არ შეიძლებოდა. ძალიან მალე – თვენახევარში დაუბრუნეს სუყველაფერი და ბოდიშიც მოუხადეს. ეს პატიკო წავიდა და წავიდა, საბოლოოდ მაინც, როგორც ჩანს, დახვრიტეს – აღარსად გამოჩნდა. ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ, თუ ცოტა უფრო ადრე, რუსულ პრესაში გამოჩნდა სტატია ვიღაც რუსი ყოფილი პოლიტპატიმრისა, რომელიც აღწერს იმ „ლაგერს“, სადაც ბიძაჩემი იყო. იგი წერს, რომ ეს იყო „ლაგერად“ გადაქცეული ძველი დიდი სამონასტრო კომპლექსი (საკონცენტრაციო ბანაკი „სოლოვეცკი“). იქ იყო დარჩენილი ძველი ბიბლიოთეკა, – სადაც მე ხშირად ვხედავდი თბილისის უნივერსტეტის ახალგაზრდა პროფესორს ვინმე ქიქოძესო. ის, ალბათ, ბიძაჩემი იყო. მერე დაიწყო ომი. ეს ბანაკი პეტერბურგისკენ იყო სადღაც და ალბათ გაიყვანეს და დახვრიტეს – ვინ იყო მაგათი შემბრალებელი?

მისი უფროსი ძმა, არჩილი, რომელიც ოდესაში წაიყვანა ალიოშა მიქელაძემ – ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა, და დაამთავრებინა კადეტთა კორპუსი, – ისიც არ ჩანდა და სამამულო ომი რომ დამთავრდა, ჩემი უფროსი ძმა დაიღუპა, მაგრამ ვფიქრობდი, კაცო, ოფიციალურად ჩემს განცხადებებზე მწერდნენ, უგზო უკვლოდ არის დაკარგულიო, არაოფიციალურად კი მისი მეგობრისაგან მოვიდა პატარა, მოკლე წერილი, რომ: ამა და ამ ადგილას, ამა და ამ დროს დაეცა მამაცურად და გიგზავნი მის ჯიბეში ნაპოვნ ფოტოსურათებსო. ამათში ერთი ჩემი სურათი იყო – სხვა ფრონტიდან გაგზავნილი. ეს იყო მისი მეგობრების და, მათ შორის, ქალი მეგობრების სურათები. ერთი-ერთი მათგანი – ნელი ჩიქოვანი, მხატვარი, შეირთო ჯაბუამ, რომელიც მაშინ სატყეო მინისტრი იყო, მისი ქალიშვილია მომღერალი მაია ჯაბუა. ულამაზესი ქალი იყო ნელი, აუჰ, ზღვასავით თვალები ჰქონდა – სხვანაირი. მეორე – ცნობილი მხატვარი ეკატერინე ბაღდავაძე. მე ვფიქრობდი, რომ, ხომ იცი, კაცი იმედით ცხოვრობს (ტირის) სულ, კაცო, ვფიქრობდი, რომ ხომ შეიძლება... ჩემი ძმა ოცნებობდა იტალიის ნახვაზე – მიქელანჯელოზე, მოქანდაკეებზე... ვიფიქრე, იქნება დაჰკრა ფეხი და... მისი

დოკუმენტები კი ვინმემ გამოიყენა-მეთქი. ასე ვფიქრობდი, მარა ეს წერილი მაინც უტყუარი გამოდგა. რამდენჯერმე ვიყავი, ვიარე, ვიარე, საბოლოოდ მაინც მივაგენი იმ ადგილს. მერე გავაკეთე ისე, რომ მოსკოვმა განკარგულება დაუშვა და იქ ძმათა სასაფლაოზე წარწერა გააკეთეს. პატარა კუთხეც გავუკეთე ნოვგოროდ სევერსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ამ ჩემი ძმის ძებნაში, ერთ მეგობარ კაცს, რომელიც თურმე გაგზავნილი იყო ყარაგანდაში – ყაზახეთში, გაუკითხავს იქ ლაგერებში მყოფი ქართველების გვარები და უთქვამთ, რომ ერთ-ერთში – სპასკის ლაგერში არის ვიღაცა ქიქოძე. ჩვენ გავგზავნეთ შეკითხვები და მოგვივიდა პასუხი – არჩილ იოსების ძე ქიქოძე. ამ დროს, 1954 წელს, მე მაიორის წოდება მქონდა და ვმსახურობდი შინაგან საქმეთა სამინისტროში. ვხელმძღვანელობდი ვეტერინარულ სამსახურს. ეს იყო ოფიცრის თანამდებობა, მქონდა გიგანტური მეურნეობა სოღანლუღში. მათი დამოუკიდებელი ვეტერინარული სამსახური ჩემი კონტროლის ქვეშ იყო და, გარდა ამისა, რესპუბლიკაში გვყავდა რამოდენიმე ასეული ცხენი – ყველა რაიონში დაახლოებით 15-20 ცხენი და კიდევ ცხენები სასაზღვრო რაიონებში. მე დავდიოდი და ვამოწმებდი. მანამდე თუ მიშვებული იყო ყველაფერი, მე ნამდვილი სამხედრო წესრიგი დავამკვიდრე, რითიც ყველა კმაყოფილი იყო. კარგი ხელფასი მქონდა – ოჯახს ვარჩენდი. ჰოდა, არჩილის ლაგერებში გამოჩენის გამო ჩვენს საოჯახო, სანათესაო მსჯელობაზე გადაწყდა, რომ იქ წასასვლელად ვივარგებდი მარტო მე, რომელსაც შემეძლო მენახა, შემეძლო რაღაც გამეკეთებინა... სოსო (სტალინი) უკვე აღარ იყო ცოცხალი. ციხეებისა და ლაგერების კარები შედარებით გაიხსნა. ბევრი გამოყარეს, ბევრს რეაბილიტაცია გაუკეთეს და სხვა ვითარება იყო უკვე. გადავწყვიტე, დავკარი ფეხი და წავედი. ჯერ შევედი სამინისტროში – მინისტრთან. მე აქ უშუალოდ მას ვემორჩილებოდი. ამ დროს მინისტრი იყო ვლადიმერ ჯანჯღავა – ეს მწყობრის ოფიცერი, გენერალ-ლეიტენანტი – მაგარი მებრძოლი და დიდი ავტორიტეტის მქონე რუსეთის შეიარაღებაში. მან აქ საკმაოდ კარგი რეფორმა ჩაატარა პიროვნების უფლებასთან დაკავშირებით. ეს ცალკე თემაა და ამაზე ცალკე უნდა დაიწეროს. მან აკრძალა ღამის დაკითხვები, გახსნა ჰაუპტვახტი, აკრძალა ყოველგვარი ფიზიკური ზეწოლა...

მე რომ სამინისტოს უზარმაზარი მეურნეობა-გიგანტი ვახსენე, რომელიც მოგვიანებით, მჟავანაძის პირველი მდივნობის დროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასცეს, ის მეურნეობა მაშინ ჩვენს დაქვემდებარებაში იყო. ამ მეურნეობას უკრაინიდან, ზაპოროჟიეს ერთ-ერთი დიდი „კონცლაგერიდან“ გადმოსცეს ასი მეწველი ძროხა თავისი სანაშენე ბულით და გამაგზავნეს მე ჩამოსაყვანად. ჩამოვუყვანე ყველა. ეს ისე გავაკეთე, რომ კინაღამ გადაირია ჯანჯღავა.

მივედი მასთან ყარაგანდაში გამგზავრებასთან დაკავშირებით. ვუთხარი, რომ ასე შორს წასვლა-მოსვლა ძვირი ჯდება, ხოლო შვებულებით თუ გამიშვებენ – უფასო მაქვს მგზავრობა სადაც მინდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით-მეთქი. შევედი და ავუხსენი ეს მდგომარეობა. უკრაინაში ძმის საფლავს რომ ვეძებდი, შევხვდი რამდენიმე ოფიცერს, რომლებმაც ზღაპრული ამბები მიამბეს ჯანჯღავაზე: დივიზიის მეთაური იყო, დაახლოებით 15 ათასი კაცი ებარა და რა წესრიგი ჰქონდა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მის ჯარში მყოფი ქალების მიმართ.

ბოდიში თქვენთან, მაშინ „პროსტიტუტკები“ (მეძავები) დაჰყავდათ თან... ვითომ კლუბის მუშაკებად, კავშირგაბმულობის მუშაკებად... სპეციალურად. ამერიკელებმა კიდეც უთხრეს, თქვენ ჩვენზე ჭკვიანურად მოქცეულხართო. ჯანჯღავასთან კიდევ, დედამისის შვილი იყო და ვინმეს გაებედა უდიერი საქციელი ქალისთვისო, არც თვითონ იკადრებდა არაფერს, ეგეთი კაცი იყოო...

მივდიოდი, მაგრამ თან მეშინოდა. ჯერ კიდევ შიში იყო, კაცო – ეს ჩემი ბიძა თეთრგვარდიელი იყო და ჩვენს ხელისუფლებას ამოღებული ხმლით ებრძოდა. მის მოსაყვანად ცოტა ადრე რომ წავსულიყავი – მიზამდნენ რაღაცას, ახლა კი ვითარება უკვე ცოტა დაწყნარებული იყო... ადგა, გაიარ-გამოიარა ჯანჯღავამ და მეუბნება: «Хвалю, товарищ Кикодзе, поезжайте, оформите отпуск – я поддерживаю вас» (ყოჩაღ, ამხანაგო ქიქოძე, გაემგზავრეთ, გააფორმეთ შვებულება – მე მხარს გიჭერთო). იქ დამხვდა მისი ხალხი – დაურეკია. „სმირნაზე“ იყვნენ ყველანი.

ყარაგანდაში წასვლის წინ ჩემთან მოვიდა ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე (საქართველოს დემოკრატიულლი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი), ჩვენი ნათესავი იყო, მენშევიკური მთავრობის წევრი, მერე მთელი ცხოვრება ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობდა. მოიყვანა ქალი – ეს ჩემი ბავშვობის მეგობარიაო. ამ სამი დღის წინ წერილი მიიღო ყარაგანდიდან, ლაგერების მმართველობიდან, სადაც მისი ქმარი გიორგი ვაწაძეა ინვალიდთა სახლშიო. სწერენ, რომ გამოვუშვათ, მიიღებთ თუ არაო? (ტირის) წარმოგიდგენიათ? მე ვუთხარი: მამიდა ჩიტო (მამიდას ვეძახდი), უსათუოდ ვინახულებ, თუ შევძელი ფიზიკურად და თუ მივუდგები-მეთქი. თან დამაფიცა, ცოტა ფული უნდა მოგცე და უარი რომ მითხრა, მეწყინება და შენთან აღარასოდეს მოვალო. მე ვუთხარი, შენ პატარა ხელფასი გაქვს და მე კიდევ ფული მეორე ბიძამ, ბაგრატამ მომცა-მეთქი. მე მივლინებით მივდივარ და ჩემთვის არ მჭირდება-მეთქი. მაინც არა და არა ქნა. იმ კაცის, გიორგი ვაწაძის ცოლს, პეპელა ერქვა. თურმე მისი ქმარი, კაცო, (მერე გავიგე იქ) 1945 წელს, უკვე ომის დამთავრების შემდეგ, გამარჯვების შემდეგ, გამოდიოდა, ლექციებს კითხულობდა, სამედიცინო ინსტიტუტში რომელიღაცა კათედრას ხელმძღვანელობდა და შესვენების დროს კარებში აიყვანეს, წაიყვანეს და გააქრეს.

ჩავედი ყარაგანდაში. შევედი სამმართველოს უფროსთან. ეს სპასკის ლაგერი ქალაქიდან დაახლოებით 45-50 კილომეტრით დაშორებულ ერთ ჭაობიან კუნძულზე მდებარეობდა. შუაში კუნძულია – გარშემო გაუვალი ჭაობები და ერთ ადგილას – ქვაყრილი, ამ ქვაყრილზე გამავალი გზით უკავშირდება ეს ლაგერი გარესამყაროს. ზამთარში, როცა ჭაობი იყინება, გარეთ დაცვის გაძლიერება ხდება საჭირო. დანარჩენ დროს ეს ყელი გადაკეტილია და ბუზიც ვერ გადაფრინდება. მივედი და ვნახე, რომ ეს ლაგერი ისეთი დიდია, როგორც მთელი ქალაქი. მოკლედ, შორს რომ არ წავიდე, სამი დღის მერე გამოვიყვანე არჩილი, ჩავისვი მანქანაში და ჩამოვიყვანე ყარაგანდაში. იქ გავიცანი ამ ლაგერის მთავარი ექიმი, ნამდვილი რუსი პატრიოტი და ნამდვილი ექიმი. რუსეთი ხომ სულ ციხეებად იყო გადაქცეული და ასეთ ადგილებში თავს იყრიდნენ ან ყოვლად უსინდისო, გამყიდველი და გამომძალველი ექიმები, ანდა ყველაზე განათლებული და კაცთმოყვარე ადამიანები. ასეთები უფრო ხშირად ლეპროზორიუმებში ხვდებოდნენ

– კეთროვანთა თავმოყრისა და სამკურნალო ადგილებში. აი, ამდაგვარი ექიმი გამოდგა ეს კაცი (ტირის).

მე რომ მოძებნა მთხოვეს, იმ დაპატიმრებულ ექიმზე მითხრა: – რას ამბობ, რის ინვალიდი, ლომივით ჯანმრთელია, ამას გარდა ისეთი სპეციალისტია, რომ სულ ხელის გულზე ვატარებდითო. მთელს რესპუბლიკაში ვინმე რომ მძიმედ ხდებოდა ავად, მის გარეშე არ ვმკურნალობდითო. ეს ექიმი ვაწაძე ლაგერიდან უკვე ინვალიდთა სახლში იყო გადაყვანილი. მე რომ იქ ჩავედი (ვინ არიან ეს რუსები, კაცო; ეს ოხერი, რამდენადაც პოლიტიკოსები არ უვარგათ, იმდენად უკეთესები არიან უბრალო ადამიანები, საოცარი განსხვავებაა!), სასტუმროს გამგედ რუსის ქალი იყო...

ჰო, დასახლებაში კვების საკითხებს ჯერ იმ რუსი ექიმის ცოლი ხელმძღვანელობდა. ჰქონდათ თავიანთი სკოლაც. სასმელი და კიდევ რაღაცეები მქონდა წაღებული და არაფრით არ გამომართვა. მერე ჩემი მისამართი დავუტოვე, როდესმე ვინმე თქვენიანს ან თქვენ რომ დაგჭირდეთ-მეთქი და არ მომკარებიან, არა!

მოკლედ, სასტუმროს გამგე ქალმა ფორმით რომ დამინახა, საერთო ნომერში შემიყვანა. როგორც ჩანს, არ უყვარდა სამხედროები. მარა როცა გაიგო, რაზე ვიყავი ჩასული, უკან გამომიყვანა და ცალკე ნომერი მომცა. გამაცნო სამი ქალი – სამივე ჩემნაირი მიზეზით ჩამოსული, მაგრამ უკვე სამ-სამი თვე ნამყოფი იქ და სულ აწვალებდნენ – აი, დღეს, აი, ხვალო. ისინი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან იყვნენ. შემომეხვივნენ – შენ რომ მოხვედი, ეგებ ჩვენმა საქმემაც წინ წაიწიოსო. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ლაგერიდან რომ გამოვედი, ჩემს მანქანაში ამათი ოჯახის კაცებიც დამხვდნენ.

მე ჯერ კიდევ მანამდე ყარაგანდაში ჩავიტანე სასიხარულო ამბავი – გასახლებულ ჩეჩნებსა და ინგუშებს, რომლებიც იქ დიდი რაოდენობით იყვნენ – ხელში მთელი ქალაქი ეჭირათ, მე ხომ ყარაგანდაში მოსკოვიდან ჩავედი და მათ სადგურშივე ვახარე ის, რაც მოსკოვში მითხრეს, რომ: «Сегодня подписали указ об освобождении и возвращении этих репортированных» (დღეს ხელი მოაწერეს ბრძანებულებას ამ რეპორტირებულთა გათავისუფლების შესახებო) – აბა, იქ სიხარული იყო...

ბიძაჩემი და კიდევ ის სამნი რომ წამოვიყვანე და ქალაქში ჩამოვიყვანე, რობოტებივით მოდიოდნენ ოთხივე – არავითარი რეაქცია (ტირის). მე 1918 წელს დავიბადე, და ის კი ჩვიდმეტში გაქრა, ასე ვთქვათ. ზონიდან რომ გამოიყვანეს – რო შევხედე, ვიცანი – ბიძაჩემ ბაგრატს ჰგავდა გარეგნობით, მოძრაობით, სილუეტით... ვუთხარი: ამ დღეებში სახლში წაგიყვან-მეთქი (ტირის)...

მოკლედ, ეს ოთხი კაცი იქ დავაწვინეთ, ქალები გადაყოლილები არიან – უვლიან, ცხელი საჭმელი გავუკეთეთ უცებ. მე მანქანა მელოდებოდა, უფროსმა შემიწყო ხელი და მაშინვე წავედი კოლონიაში – ინვალიდთა სახლში, იმ ქართველი ექიმის სანახავად. ინვალიდთა სახლი კი არა, ისე კარგად იყო მოწყობილი... შევედი ოთახში – სამი საწოლი, სამი „ტუმბოჩკა“, ტანსაცმლის ჩამოსაკიდებლები, ოთახი მშრალია, აქვს აივანი, სუფთად ჩამოფარებული ფარდაც, მაგიდა შუაში გრაფინით და სამი კაცი ზის. ერთი ქართველს ჰგავდა ძალიან. ვკითხე, ბატონი გიორგი თქვენ ბრძანდებით-მეთქი? კი, მე ვარო. გადავეცი მისი მეუღლის წერილი და დავუდგი ერთი ბოთლი ხვანჭკარა. ვუთხარი: რაჭველი

კაცი ბრძანდებით და რომ ჩამოხვალთ, 12 ლიტრა თქვენზე იქნება-მეთქი (იცინის). არ მენდო, ხო იცი? ვერაფრით შუბლი ვერ გავახსნევინე. ბოლოს ვუთხარი, მეჩქარება-მეთქი, მანქანა მელოდება. წერილი დაწერე და გამატანე-მეთქი. არაო, ფოსტით გავაგზავნიო. მე მაინც ჩემსაზე დავდექი და ბოლოს დავაწერინე რაღაცნაირად. ჩიტო (შარაშიძე) რო ვახსენე და რაღაცეები მოვუყევი, დაწერა; ჩავჯექი მანქანაში და წამოვედი.

მერე ამ გიორგი ვაწაძეს თბილისშიც შევხვდი ბიძაჩემის იუბილეზე. მე ბიძა მყავდა – გარე ბიძა – სიმონიკო ქიქოძე. აქ, მთაწმინდაზე, ჩვენს გვერდით ცხოვრობდა – ცნობილი ექიმი, რესპუბლიკის სანიტარული სამსახურის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის შრომის გმირი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ნამდვილი ექიმი იყო. ყველაფერი იცოდა და სანიტარულ სამსახურს მიუძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე. საცა კი ვყოფილვარ და ჩემი გვარი – ქიქოძე მითქვამს, მაშინვე ყველგან სიმონიკოს ახსენებდნენ. მისი იუბილე იყო, პლეხანოვზე იხდიდნენ. ის ვაწაძე უკვე ჩამოსული იყო, თბილისში იყო უკვე.

მე იუბილეზე ცოტა დაგვიანებით მივედი. დარბაზში ძალიან წყნარად შევედი, მაგრამ, როგორც ჩანს, წინა რიგებიდან შემამჩნია კაცმა, ადგა და წამოვიდა ჩემსკენ; რომ მომიახლოვდა, ვიცანი ვაწაძე. გადამეხვია, გადამკოცნა. სხვათა შორის, მე ეს ამბავი დაწვრილებით მაქვს აღწერილი სტატიაში მის შესახებ. მისი ქალიშვილი ექიმია და მერე დავურეკე... ვუთხარი: ასე და ასე, მოგონება გამოვაქვეყნე და ნახეთ ეს გაზეთი-მეთქი. გაუხარდებოდა...

ისევ ბიძაჩემის, არჩილის ამბავს დავუბრუნდები. ყარაგანდიდან წამოვედით სახლში. იქიდან ორჯერ მოგვიხდა გადაჯდომა მატარებელზე. სტალინგრადში ჩამოვედით ჯერ. მაშინ სტალინგრადის მშენებლობა მიმდინარეობდა და რკინიგზის სადგურსაც იმ პერიოდში აშენებდნენ – შიგნით უკვე გამთავრებული იყო, ფრესკებით, ბრძოლის ეპიზოდებით იყო სავსე კედლები. ამ კედლების ყურებამ ბიძაჩემი ცოტა გამოაფხიზლა. მითხრა: «Кучуки, знаешь, какой я иконописец?» (ქუჩუკი, იცი, მე როგორი ხატმწერი ვარო?). როცა ცოტა გამოვიდა მდგომარეობიდან, მოამბო, რომ 1920 წელს არმიისთვის თავი დაუნებებია და ბულგარეთში გამგზავრებულა. იქ ბულგარეთის მოქალაქე გამხდარა და ხატწერის სკოლა დაუმთავრებია პროფესორ ივანოვთან. ერთი სიტყვით, ფრესკებში ვერკვევიო, რა.

სტალინგრადიდან გამოვედით და რომელიღაც სადგურზე მოსკოვი-თბილისის მატარებელში გადავსხედით. მაშინ უკვე სოჭით დადიოდა მატარებელი. გამთენიისას (1954 წლის ბოლო იყო) სამტრედიაში ჩავედით. ჯერ ბნელა, ახალი ნაწვიმარია, შევიყვანე დარბაზში, იქ სოფლიდან ჩამოსული ბევრი იმერელი ქალი იყო, გათენებას ელოდებოდნენ, რომ ზოგი ბაზარში წასულიყო, ზოგი სად. დავსვი იქ და ვუთხარი რუსულად: ძია არჩილ, აქ იყავი და არსად წახვიდე-მეთქი. ნაციხარი და გაუბედურებული რომ არის, ეტყობა, კაცო (ტირის) – თვალები დაჭყიტეს ქალებმა. ქუდი რომ მოიხადა, გადაპარსული იყო, შვიდი თუ რვა ნაჭრილობევი ჰქონდა თავზე. რო ვკითხე: კაცო, რაღა დასავლეთში მიდიოდი, ჩვენ რომ შემოვედით 44-ში ბალკანეთის ქვეყნებში, როგორ წახვედი-მეთქი? მიპასუხა – დასავლეთისკენ იმიტომ წავედი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ვებრძოდი და დაბრუნება უხერხული იყოო. მერე მოხვედრილა ინგლისელებთან და ინგლისელებს გადაუციათ რუსებისათვის. თავიდან მოიშორეს ძველი თეთრგვარდიელი.

სამტრედიის სადგურიდან გარეთ გავედი მანქანის საძებრად. მამაჩემი ამ დროს უკვე გურიაში იყო. დედამისი ხომ გურიაში გარდაიცვალა 1952 წელს. ეს კიდევ ცალკე ისტორიაა. რაიონის პარტიულ კონფერენციაზე გარდაიცვალა. თავის დროზე, სამამულო ომის წინ, როცა კიროვი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო – ესე იგი 1936 წლამდე, მან მასა და ორჯონიკიძეს სთხოვა მიეცათ მასალა ბახვში სკოლის ასაშენებლად. თავის დროზე ეკლესიის დანგრევაში მიიღო მონაწილეობა და ეს ამბავი ძალიან აწუხებდა. მაშინ ოზურგეთამდე მატარებელი ჯერ არ მიდიოდა და ორი თუ სამი ეშელონი მასალა დაიცალა ნატანებში ბახვის სკოლის ასაგებად. მანქანებით ზიდა და ზიდა ეს მასალა და ბახვში ელაგა ყველაფერი. მშენებლობა მაშინვე დაიწყო, მაგრამ ამასობაში ომი გაჩაღდა. ვისღა ეცალა სკოლის მშენებლობისთვის? მასალების უმეტესობა ქვედა სართულზე სადღაც შეინახეს. ზედა სართულზე უკვე იყო რაღაც გახსნილი. იქ უნდა ყოფილიყო საცურაო აუზი, უზარმაზარი სამსართულიანი სპორტული დარბაზი ცენტრალური გათბობის ქვაბებით, „ფეჩებით“ – გეგმაში ყველაფერი იყო გათვალისწინებული. ეკლესიის დანგრევაც გეგმამ მოითხოვა. გაბრიელის აშენებული პატარა ეკლესია იყო. ვგულისხმობ გაბრიელ ქიქოძეს, იმერეთის ეპისკოპოსსა და ამჟამად წმინდანად შერაცხულს. 1887 წელს ააშენა გაბრიელმა და აკუთხა კიდეც. მის კურთხევაზე წარმოთქმული სიტყვა მის წიგნებშია დაბეჭდილი. გალანძღა გურულები: ქრისტიანობა მოკვდა თქვენთანო! – პირდაპირ ამ სიტყვებით უთხრა.

რაიონის ხელმძღვანელობამ ბებიაჩემს მოზიდული მასალა გაუძარცვა. ეს ამბავი ძალიან აწუხებდა, დადიოდა, იბრძოდა, მაგრამ არაფერს უკეთებდნენ. გამოვიდა რაიონის პარტიულ კონფერენციაზე. მაშინ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უნდა ჩატარებულიყო ყრილობა, სადაც დაგეგმავდნენ ახალი ხუთწლედის გეგმას. ამასთან იყო დაკავშირებული ეს კონფერენციაც. გამოვიდა, ტრიბუნაზე ავიდა, განაცხადა, თქვენ გამძარცვეთო, – განსაკუთრებით ნერვიულობდა. დაბერებული იყო და გრძნობდა, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა. გალანძღა ხელმძღვანელობა – თქვენ რა კომუნისტები ხართ? თქვენ კუჭისტები ხართ და მარტო სმა-ჭამა გინდათო. ჩამოვიდა, დაჯდა და მოკვდა (ტირის). სავარძელში განუტევა სული.

დარეკეს თუ არა და მომცეს მანქანა დაწესებულებაში – დავტვირთეთ ღვინო, პური, მარილი, რაც იყო საჭირო და დილას გათენებისას დავადექით გზას. თავის ფაცხა სახლში იყო დასვენებული, მეზობლები და ნათესავები თავს ეხვეოდნენ...

ჰოდა, მამაჩემი მარტო იყო გურიაში, დედა კი გარდაიცვალა, გესმით? არჩილი იქ ჩავიყვანე ცოტა ხნით. მერე და მერე გაურთულდა ვითარება. ნეტა არ ჩამომეყვანა, კაცო... (ტირის). ვერ მოვუარეთ, კაცო... მერე და მერე აირია, გართულდა ცხოვრება, მატერიალურად გაგვიჭირდა სუყველას. მისი და ცოცხალი იყო, მარა თავისი ოჯახი ჰქონდა. მეც მატერიალურად არ ვიყავი კარგად... არჩილი ხან კარსანში გვყავდა, ხან არმაზში იყო მამაჩემთან. ბოლოს მამაჩემმა თქვა, ნამდვილად ცუდ წამლებს თუ რაღაცას აძლევდნენო. წავიყვანეთ მერე ფსიქიატრიულში და აქ არ მიიღეს – ეგო, ისეთ მდგომარეობაშია, ცხინვალში რო ფსიქიატრიულია, იქ უნდა წაიყვანოთო. წავიყვანეთ და იქ გარდაიცვალა. იქვე დავკრძალეთ, ასე წავიდა. ასეთი იყო მისი ბოლო.

თანაც ისე მოკვდა, არ გაუგია, რომ სახლში დაბრუნდა. მან ხომ ლაგერებში ძალიან ბევრი იტანჯა. ომის პერიოდში, სამოქალაქო ომებში რომ მონაწილეობდა

და შემდეგ. თავზე რომ დაღები ჰქონდა, მათგან ერთი-ორი შეიძლება ომში მიღებული ჭრილობა იყო, მაგრამ დანარჩენი სულ ლაგერებში ცემისგან ჰქონდა გაჩენილი. რა ვიცი, აბა – ესე წავიდა მისი საქმე. ასე რომ ეს ჩემი მეორე ბიძაც დაიღუპა. ამ რევოლუციის ამბებსა და მის საწინააღმდეგო ბრძოლებს შეეწირა.

ამ ამბებამდე, ეხლა რომ ვიგონებ, მე მთელი სამამულო ომი გამოვიარე. ამ ომში ქართველმა ხალხმა შესანიშნავი სიტყვა თქვა, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მონაწილეობა მიიღო და დიდი მსხვერპლიც გაიღო. იმდენი ხალხი დაიღუპა. ზოგიერთი, ომში გაგზავნილი, ბრძოლასაც ვერ ასწრებდა, ისე ინვალიდდებოდა უპატრონობისა და იმის გამო, რომ არ იცოდა რუსული. მაგალითად, მოიყვანეს ერთი რაჭველი, დევივით კაცი. დამიძახა კონტრდაზვერვის განყოფილებამ – „სიკვდილი ჯაშუშებს.“ ასე ერქვა ფრონტზე ამ დაწესებულებას – კაგებეს! ყველა ნაწილში იყო მისი წარმომადგენელი. მეძახიან, დეზერტირი არის ვიღაც ქართველიო. ახალი მოყვანილიაო, ომიანობა, არაფერი არ უნდაო. მივედი, დევივით კაცი დგას – ვეშაპივით. მე ვუთხარი, რა მოგივიდა-მეთქი. რა მომივიდა? – არაფერიო. რუსული არ ვიცი არც ერთი სიტყვაო. როსტოვში ჩამომიყვანეს, ჩამაცვეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი მომცეს ვიწრო და გზაში ორივე ფეხი გამეყინაო. აღარ არის ეს ჩემი ფეხებიო, ვყვირი, ვტირი და... მე ვუთხარი უფროსობას, რომ ფეხები ჰქონდა მოყინული. დაუძახეს ექიმს, ანახეს და ექიმმა თქვა: ამპუტაციაა საჭიროო. იმავე ღამეს მოკვეთეს ფეხის თითები. ესეთი რამდენი იყო. ქერჩში, ქერჩში უამრავი ჩვენი ხალხი დაიღუპა.

1945-ში, ომი რომ დამთავრდა, ბერლინის აღებაში მივიღე მონაწილეობა, ჯილდოც მივიღე და მერე იქვე ახლოს, პატარა ქალაქივით დასახლება იყო, ჩრდილოეთ ნუტა ერქვა, იქიდან აგვყარეს და უკეთეს ადგილზე – დრეზდენში გაგვიშვეს. ეს იყო უკვე ივნისის თვე. დრეზდენის მიდამოებში ვიდექით ვიღაც სპორტული ბაღის მფლობელის სახლში. დაგვითმო ერთი სართული. ხეხილის შესანიშნავი ბაღი იყო, შიგ ჰქონდათ მოწყობილი სპორტული დარბაზები და საცურაო აუზი. ჩვენ ცხენები ბევრი გვყავდა. გვერდით დაწესებულება იყო, რომელსაც გერმანული აბრა ჰქონდა – *Apfel wine* (ვაშლის ღვინო). მოვიდა მისი პატრონი და ცხენის თხოვება მთხოვა. მეც ავიღე და ვაჩუქე ერთი ცხენი (იცინის), აბა! მერე ის კაცი ხილის ღვინოებს მიგზავნიდა...

აგვისტოს ბოლოს დაგვშალეს და მე მოსკოვში გამგზავნეს მთავარი კადრების სამმართველოს განკარგულებაში. წამოვედი იქიდან. ჯერ ბერლინში უნდა ჩავსულიყავი, ამეღო დოკუმენტები... ბერლინში უკვე მუშაობდა ტრამვაი, საბჭოთა ადმინისტრაცია ბერლინის ერთ უბანში იდგა, რომლის სახელწოდებაც იყო *Karlshorst*. იქ ტრამვაით მივდიოდი. ხალხი ბევრი არ იყო, მაგრამ ყველა დასაჯდომი ადგილი დაკავებული იყო და ფეხზე ვიდექი. შემდეგ გაჩერებაზე ამოვიდა ორი რუსი ოფიცერი. მე მაშინ კაპიტნის ჩინით ვიყავი. ამ ორიდან – ერთი კაპიტანი იყო და მეორე – მაიორი. რო შემოვიდნენ, წავიდნენ წინ და თავისუფალი ადგილი რომ არ იყო, ერთთან მივიდნენ და უთხრეს: *Aufschtelen! Shnell!* (ადექი სასწრაფოდო). ირგვლივ მყოფებს შერცხვათ, ეს ყველაფერი ვითომ სიცილში გაატარეს და იდგნენ ესე. რუსი ოფიცრები კი დასხდნენ. მე რომ ამას ვუყურე, ვიფიქრე, რუსმა ოფიცერმა ეს როგორ გააკეთა-მეთქი. გადავწყვიტე, რომ ესენი რუსულ ფორმაში გადაცმული ვიღაც სხვები არიან, რომლებსაც

ჩვენი ავტორიტეტის შეურაცხყოფა სურთ. მაგრამ ისინიც ჩემს გაჩერებაზე ჩამოვიდნენ და იმ შტაბში შევიდნენ, სადაც მე მივდიოდი. გამახსენდა ხალხური გამონათქვამი, რომ გლახა კაცი ყველგან გლახაა და რიგიანი ადამიანი კიდევ, რაც უნდა ცუდი ვითარება იყოს, არ დაეცემა.

მანამდე, მახსოვს, ერთი მთვრალი რუსის სერჟანტი ვცემე – ერთი გავარტყი და გონება დაკარგა – გახეთქილი მთვრალი იყო. ვისვენებდით ერთგან – მოსახლეობა გადაგვყავდა ერთი ქალაქიდან სადღაც მეორე დასახლებაში. ერთი „ავტომატჩიკი“ მახლავს მე და სადღაც ვისვენებთ და გვერდით სახლიდან მესმის საშინელი ყვირილი – ქალის ყვირილი. წამოვიყვანე ეს ჩემი „ავტომატჩიკი“, გავაღე კარი, შევედი და რასა ვხედავ? ორი მოხუცი ქალი და ერთი კაცი სხედან, გახეთქილ მთვრალ სერჟანტს წაუვლია ახალგაზრდა გოგონასთვის ერთი ხელი მკლავში, მეორე ხელში უჭირავს ბალიში და ამ გოგოს სადღაც მიათრევს. ვიფიქრე, კაცო, ჯერ ომი არ დამთავრებულა, ეს ამბავი ოდერის ნაპირზე ხდება, ეს ორი მოხუცი ადამიანი, კაცო, ყველანი, ჩვენ მხეცებად გვთვლიან, ისევე, როგორც ჩვენ ვთვლიდით იმათ, როდესაც ასეთ რამეს სჩადიოდნენ. მივედი, გავაშვებინე ხელი, გონება დაკარგა ამან და ჩემმა „ავტომატჩიკმა“ ფეხებით გაათრია. ყველა კი არ არის, კაცო, მხეცი. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მეჩვენებინა იმათთვის – ჩვენ კი შემოვედით, გამარჯვებულები ვართ, მაგრამ ჩვენთან ვირებიც არიან და წესიერი ადამიანებიც-მეთქი.

ისე კი, მოსახლეობას ძალიან ეშინოდა ჩვენი. აუჰ, ბავშვებს ეშინოდათ განსაკუთრებით. ძალიან დაშინებულები იყვნენ. ...ჩრდილოეთ ნუტაში ერთი ბერლინელი კაცი შევიჩვიეთ – ასაკოვანი კაცი. შევიჩვიეთ და მოდიოდა ეს კაციც ჩვენთან. ვპატრონობდით, კაცო, თუკი შეგვეძლო ჰური ან რამე მიგვეწოდებინა. ერთხელ მოვიდა და კარგად ვუმასპინძლეთ ამ კაცს. იცი, რას შვრებოდა? ვითომ მსახიობობდა (არც მსახიობი იყო და არც არაფერი), ვითომ გვართობდა და ყურადღებას იქცევდა, რომ რაღაცა მიგვეცა. მერე თავის შვილთან ერთად მოვიდა. რომ მოვეფერე ამ ბავშვს, ატეხა წიოკობა, აუჰ, ისტერიული წიოკობა.

მერე, როცა ომი უკვე დამთავრებული იყო, მოვდიოდი დასახლებაში, ცხენით მოვდიოდი და ჯიბეში კამფეტები მქონდა ბავშვებისთვის მისაცემად. აუჰ, ატეხეს იმათაც წიოკობა და გაიქცნენ. აშინებდნენ, მაგრამ ვერც გაამტყუნებ, კაცო. ბევრმა რუსმა ცოლი, შვილი, დედა, მამა, სახლი, კარი დაკარგა, კაცო, ცოტა ხო არ აიღეს მაგათ – რუსეთის იმპერიის მთელი სამხრეთ-დასავლეთი გაიარეს ცეცხლითა და მახვილით.

ომიდან რომ ჩამოვედი, პირველად ლოგინში ვერ ვიძინებდი, კაცო. მე 1946 წლის დასაწყისში დაბრუნდი. მოსკოვში რომ ჩავედი, მგზავნიდნენ იაპონიის ომში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული – იქ უნდა წახვიდეო. მე ომში ექიმად ვიყავი წასული. წლის თავზე დამაწინაურეს და დივიზიის ლაზარეთის უფროსად დამნიშნეს. ეს ისეთი თანამდებობა იყო, აკადემიები ჰქონდათ დამთავრებული (მოსკოვის ვეტერინარული სამხედრო აკადემია) და არ ნიშნავდნენ. მოსკოვში ვარ ჩამოსული და მგზავნიან იაპონიაში – თქვენნაირი სპეციალისტები სჭირდებათ იქო – ბევრი ცხენები ჰყავთო. მე ვუთხარი: არ მინდა-მეთქი წასვლა. არა, უნდა წახვიდეო. მატარებელს „დალნი ვასტოკამდე“ (შორეულ აღმოსავლეთამდე) თხუთმეტი დღე და ღამე უნდოდა. ამ 15 დღის „სუხოი პაიოკი“ (მშრალი

ულუფა) უნდა ამეღო და ვდგავარ ამის რიგში. ამ დროს რადიომ გამოაცხადა იაპონიის კაპიტულაციის შესახებ (იცინის). გამიშვეს მერე ოდესის ოლქში. ცოტა ხანი ვიმსახურე და 1946 წლის დასაწყისში ჩამოვედი.

ჩემი ბედნიერი წელიწადი იყო მთელი 1946 წელი. ჩამოსვლისთანავე მამაჩემთან ერთად დავიწყე მუშაობა ბატონ სიმონ ჯანაშიასთან. განვაგებდი კარსანის სახლის, ასე ვთქვათ, სამეურნეო საქმიანობას, მაგრამ ჩემი ოცნება ისევ ცხენებთან დაბრუნება იყო. ბატონი სიმონი ისეთი ადამიანი იყო, რომ მაშინვე შემაყვარა თავი. ჯერ ერთი, მადლიერი ვიყავი იმისათვის, რომ მთელი ომის განმავლობაში პატრონობდა ჩემს მშობლებს – მარტო ჩემს მშობლებს, კაცო?! რანაირი კაცი იყო, როგორ ახერხებდა ამდენს?

ეშელონით გერმანელები რომ გაასახლეს ომის დროს, ეშელონიდან გადმოსვა რენე შმერლინგი – ეს ცნობილი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, რომელმაც უდიდესი ნამოღვაწარი დატოვა. ეშელონში იჯდა და გზავნიდნენ მას და მის მოხუც დედას. ძმას ვერ უშველა – ძმა გააგზავნეს და კიდეც დაიღუპა იქა. არადა, მათი მამა ცნობილი მხატვარი იყო – არაჩვეულებრივი კარიკატურისტი, ოსკარ შმერლინგი. ერთ-ერთ კარიკატურაზე მეფის კარეტა აქვს დახატული – „ეშმაკის მათრახი“ რომ გამოდიოდა თაგუნას (შალვა შარაშიძე) რედაქტორობით, იმის მთავარ გვერდზე იყო ეს კარიკატურა, „კოზლაზე“ მეფე-დედოფალთან ერთად ზის გრიშკა რასპუტინი, ცხენების მაგივრად კი რუსეთის მინისტრები არიან შებმული. ამ დროს დაემთხვა დიდი მთავრის მიხეილის ჩამოსვლა თბილისში. თურქეთთან ომი იყო, სადაც რუსის ჯარებმა მარცხი განიცადეს და ის გამოაგზავნეს სარდლად. რედაქციაში შეშინებულები იყვნენ, ფიქრობდნენ, რომ კარიკატურის გამო დაარბევდნენ. ერთ მშვენიერ დღეს რედაქციაში შედის რუსი პოლკოვნიკი, მისი უდიდებულესობის ადიუტანტად ეცნობა და გადასცემს მის თხოვნას – გაატანონ ჟურნალის რამდენიმე ეგზემპლარი. გაოცდნენ, კაცო! რომ გამოუტანეს ორი-სამი, უთხრა – არაო, დაახლოებით სამოცამდე უნდა, რუსეთში გასაგზავნადო. ესე იგი, ისე იყო ამყრალებული რუსეთის სასახლე, რომ აი, იმათაც აჩვენა, რა.

სიმონ ჯანაშიას ამის გარდაც ბევრი სიკეთე ჰქონდა გაკეთებული. გოგი ლომთათიძე, არქეოლოგი, დაპატიმრებული იყო – ციხიდან გამოიყვანა კაცი. ომის დროს მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას ამუშავებდა მისი ავტორიტეტით. როდესაც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს და მოსკოვში ჩავიდა (საერთო ღონისძიება ტარდებოდა, ყველა რესპუბლიკიდან პრეზიდენტები, ვიცე-პრეზიდენტები და მათი მოადგილეები იყვნენ ჩასულები) რუსეთის აკადემიის პრეზიდენტმა შეიყვანა დარბაზში და გააცნო სუყველას. „ეს საქართველოს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ აკადემიას დაამშვენებდაო“. ხუმრობ შენ?! საწყალი წლისთავზე გარდაიცვალა. 1947 წელს აღარ იყო უკვე. რამდენი სიკეთეც მაგას გაუკეთებია ხალხისათვის...

ვმუშაობდი იქა, ვახლდი ბატონ სიმონს, სადაც კი წავიდოდა. იმ ზაფხულში ამოვიდნენ ვარლამ თოფურია თავისი ცოლ-შვილით, გერონტი ქიქოძე თავისი ქალიშვილით. იქ გაიცნეს მანანამ და ირაკლი ციციშვილმა ერთმანეთი. ცხენი მოვუყვანე ჯარიდან კაი გახედნილი. ბატონი სიმონი მე ძალიან დიდ პიროვნებად მიმაჩნდა და ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, გარშემო ტყეებიც კი დამეთვალიერებინა – რა ვიცი, უცხო ხომ არ იყო ვინმე, ის სახლი ტყეში იდგა.

ერთხელ ტყიდან გამოვედი პირდაპირ იმ სახლის წინ, სადაც მეორე სართულზე ბატონი სიმონი ცხოვრობდა. ვხედავ, კაცი დგას იქა და ორ ცხენს ატარებს, მშვენიერი ჯიშის ცხენებია. გამიკვირდა, მივედი ახლოს და ვკითხე, ვისია ეს დონური ცხენები-მეთქი? მაშინ დედა ახალი გარდაცვლილი მყავდა და წვერი მქონდა მოშვებული, ზემოდან კი, ზაფხული იყო და თეთრი პერანგი მეცვა. ეს რომ ვკითხე, თურმე ჩემს უკან მდგარი სახლის ფანჯრიდან იცქირებიან ბატონი სიმონი და კონსტანტინე გამსახურდია (რომელიც ამ ცხენებით ამოსულა, ცხენები კი თბილისის საარტილერიო სკოლას ეკუთვნოდა). რა იცი შენ, ბიჯო, რომ ეს დონური ცხენებიაო? – მომესმა ფანჯრიდან ხმა. შევხედე და კონსტანტინე გამსახურდიაა. ბატონ სიმონს ძალიან არ ესიამოვნა მისი ჩემდამი ასეთი მომართვა, იმ წუთში დაიწია უკან და წავიდა – გაშორდა ფანჯარას. მეც არც ვაციე, არც ვაცხელე: ვიცი-მეთქი და ისიც ვიცი, რომ არა მარტო დონური, დონური ველის ცხენებია-მეთქი. აღარ გაუცია მეტი ხმა.

ერთხელ ბაგინეთზე გათხრების დროს გაიხსნა უძვირფასესი სარკოფაგი. იქიდან განძი ამოვიდა – უამრავი. ნიკო ბერძენიშვილი, ბატონი სიმონი, ანდრია აფაქიძე – ყველანი იქ იყვნენ. საღამო ხანს ბატონი სიმონი და მე უკან ვბრუნდებოდით ველიდან. სახლამდე გრძელი აღმართია. ბატონი სიმონი ცხენზე შევსვი და მე ფეხით მოვყვები. ამ კარსანის ფერდობზე კაკბებს გააქვთ კაკანი – ცხენს სულ ფეხიდან უფრინდებიან. ის დღე ძალიან ჯაფიანი დღე იყო, ცხელიც. იმ მიდამოებში წყალი არსად არ არის. ბატონო სიმონ, პირის გასველება ხომ არ გინდათ-მეთქი? და გაუკვირდა – აქ რამე წყალიაო? არა-მეთქი, თუ გინდათ, ვაშლი მაქვს და გაგითლით... გავუთალე, ავიყვანე სახლში...

ჩემს მშობლებს მარტო სიმონ ჯანაშიასთან კი არა, ქართული მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილთან ჰქონდათ ურთიერთობა. სვანეთში არც ერთი ექსპედიცია არ წავიდოდა ისე, რომ დედაჩემი არ წაეყვანა. ლაშხეთის თემში არის სოფელი ჩუკული. ჩუკულის პატარა ეკლესია გამოირჩეოდა თავის განსაკუთრებით მდიდარი კარებით – მოჩუქურთმებული ხის კარები იყო. სანამ დედაჩემი არ წაიყვანეს, ვერ წამოიღეს. ის კარები დღესაც მთელია, ცოცხალია და კარგად არის შენახული მუზეუმში. რომ არ წამოეღოთ, დიდი ხნის წინ ჩალპებოდა მოუვლელობისაგან. ამ ექსპედიციებს ხელმძღვანელობდნენ ჩვენი დიდი ეთნოგრაფები – ვერა ბარდაველიძე და გიორგი ჩიტაია, მისი მეუღლე. დედა ყველა მათ ექსპედიციაში მონაწილეობდა. გიორგი ჩიტაიას ექსპედიციაში მამაჩემიც ახლდა – დაღესტანში იყვნენ ერთად. მანამდე მამაჩემი გიორგი ჩუბინაშვილს ახლდა დავით-გარეჯის ექსპედიციაში. იმ ექსპედიციაში გიორგი ჩუბინაშვილი და მისი ჯგუფი თათრებმა გაიტაცეს. მამაჩემს იარაღი ჰქონდა, მაგრამ მოახერხა იქიდან სადღაც გაძრომა, დაიმალა. მერე ნელ-ნელა გაჰყვა, იმ ღამეს მივიდა ელდარის საბჭოთა მეურნეობაში (მეცხვარეობის უზამაზარი მეურნეობა იყო), იქიდან შეატყობინეს მთავრობას და ორ თუ სამ დღეში სუყველა უვნებლად დააბრუნეს. შემდეგ და შემდეგ... უმაღლესი განათლება არც მამას ჰქონდა და არც დედას, მაგრამ რუსული ბრწყინვალედ იცოდა ორივემ. ამ ექსპედიციებში დედაჩემს დავალებებს აძლევდნენ. მისი ჩანაწერები მერე გამოაქვეყნეს, უკვე ჩემ დროს. მითხრეს, რომ გალაქტიონ ტაბიძეს ჰყავს მოხსენიებული – ფაფალა გარდაფხაძე, თავადის ქალი გვახლდა მწერლებს სვანეთში, დედოფალივით

იღებდნენ და მისი მეშვეობით ჩვენთვის მთელს სვანეთში ყველგან ღია იყო კარიო (12-ტომეულის ბოლო ტომი). მამაჩემი საბოლოოდაც შემორჩა ამათთან ყოფნას და საქმიანობას. დედა კი ჯანაშიას მუზეუმში მუშაობდა ეთნოგრაფიულ განყოფილებაში და 1946 წელს სულ ახალგაზრდას სისხლი ჩაექცა თავში და გარდაიცვალა. ჩემი უფროსი ძმის (აი, ფრონტიდან რო არ დაბრუნდა, იმის) დარდით... ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი შემოსულა და ვიღაცას უყვირია: ალეკო მოვიდაო... (ტირის) არადა, ძალიან დიდი ნებისყოფის ქალი იყო...

დედა როცა გარდაიცვალა, მამაჩემი ამ დროს მცხეთის არქეოლოგებთან საქმიანობდა. პატარა ლექსიც უძღვნა ამ ამბავს. ძალიან კარგი ლექსები აქვს, მინდა მოვაგროვო და ვერ მოვაბით თავი, პატრონი უნდა.

მამას განსაკუთრებით ახლო მეგობარი იყო არნოლდ ჩიქობავა. ყოველ ახალ წელს მოსალოც დეპეშებს უგზავნიდა. მამაჩემიც თანაუგრძნობდა და სულ აკითხავდა ოქროყანაში. ხან ხეს აუტანდა და ეზოში დაურგავდა. როცა დედა გარდაიცვალა და დავკრძალეთ ვაკის სასაფლაოზე, უკან წამოსვლისას მამაჩემი ადრე წამოვიდა, დამთავრდა თუ არა პროცესია, ცუდად იყო და სახლისკენ წავიდა. მე მანქანით დავეწიე და ვნახე, რომ არნოლდი მიჰყვებოდა მამას... (ტირის).

როცა შევარდნაძე მცხეთის რაიონის პირველ მდივნად დაინიშნა (შეიძლება ცოტა ხნის მერე, ზუსტად არ მახსოვს, ჯერ ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციის მდივნად დანიშნეს), მამაჩემთან, არმაზის მუზეუმში ღია ცის ქვეშ, გამოაგზავნა რაიკომის ინსტრუქტორი და შემოუთვალა, ხვალ ან ზეგ მოსკოველი სტუმრები მყავს – კომუნისტური პარტიის ვეტერანები. ასაკით ყველა თქვენზე უფროსია და, თუ შეიძლება, კარგად შეხვდითო. მამაჩემი ისეთი ახირებული კაცი იყო, რომ თუ არ მოეწონებოდა ვინმე, იმას მაინცდამაინც გულს ვერ გაუხსნიდა. რასაკვირველია, ვინც არ უნდა მოსულიყო მუზეუმში, ისაუბრებდა მასთან და ყველაფერს გაუკეთებდა, რაც შეეძლო. მოვიდნენ სამი თუ ოთხი მანქანით (მეც დავესწარი ამ ამბავს და შემდგომ ცნობილი არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძეც). გაიღო არმაზის არქეოლოგიური ბაზის ჭიშკარი და შიგნით დახვდათ სამოთხე, სამოთხე, კაცო! მცხეთელი თავადების ადგილ-სამყოფელი იყო, ადრე კი – პიტიახშებისა და მეფეებისა, მარტო ამ ბარელიეფების პატრონები როგორები იქნებოდნენ, კაცო?! შეხედა – დარბაისელი, ასაკოვანი ხალხია, ზოგი – ღრმად მოხუცებულები, ხელჯოხით, და მოეწონა, კაცო, გაახსენდა თავისი იატაქქვეშა მოღვაწეობა. მივიდა ახლოს და სანამ მიესალმებოდნენ, ზეპირად უთხრა გორკის ლექსი – «Буревестник» (ქარიშხალა) – იატაკქვეშა ბოლშევიკების ჰიმნი. ბიჭო! ამ ხალხმა გაოცება ვერ დამალა და ერთ-ერთმა ჰკითხა: ჩვენი რევოლუციური ჰიმნი ასე კარგად საიდან გახსოვთო? ედუარდიც იქაა, უკან დგას და უყურებს, რა პასუხს გასცემს ესა. მიხეილი პასუხობს: იცით, რომ 1905 წელს ამ სიმღერას მთელი გურია მღეროდაო? გურია რაღა არიო? – იმათ ჰკითხეს. ამან უთხრა: გურია ქვეყანაა, გურულები კი ხალხია, რომელსაც არასოდეს არც ერთი პარტია არ უყვარდა და არც ერთს პატივს არა სცემდა, მათ შორის – თქვენსასაცო. ატყდა სიცილი.

შემდეგი საუბარი მამაჩემისა მახსოვს ავლიპ ზურაბიშვილთან. პირადად მას არ იცნობდა მამაჩემი. გაგებული კი ჰქონდა – მასზე ათასი ანეკდოტი დადიოდა. ავლიპმა თავისი რუსი სტუმრები არმაზის დასათვალიერებლად მოიყვანა. მამაჩემი

იქ იყო და, რასაკვირველია, გამოეგება. საუბარში მიადგნენ დოსტოევსკის. მამაჩემმა ზეპირად იცოდა. ისეთი რამეები უთხრა, რომ გააოცა ეს კაცი. პატარა მოთხრობა აქვს ასეთი – «Мальчик у Хиста на елке» (ბიჭი ქრისტესთან ნაძვისხეზე). ამ მოთხრობის შესახებ ესაუბრა და დაუმტკიცა, რომ დოსტოევსკი ამ ნაწარმოების მიხედვით ანტიქრისტეა, რომ, აი, პატარა ბავშვი ვითომ დღესასწაულზე მიჰყავს, და მერე კლავს. ავლიპ ზურაბიშვილმა გამოთხოვებისას მოიხადა თავისი ახალი შავი კარაკულის ძვირფასი ქუდი და მამას არ აჩუქა?! მამაჩემს არ უყვარდა ეგეთი რამეები – არაფერი ძვირფასის ქონა არ უყვარდა. ხანდახან ჩავუტანდი რამეს და ვხედავდი,რომ სხვას აძლევდა. ჰოდა, არაფრით არ დაიბრუნა ავლიპმა და დაუტოვა, მაგრამ ცუდად დამთავრდა ეგ ამბავი – მე ვიზარალე და იცი, როგორ? გავიდა ორი თუ სამი დღე და არ მოადგა მამაჩემს ავლიპის შვილი? უთხრა, ბატონო მიხეილ, თქვენ რაიმე ძველებური ცივი იარაღი ხომ არა გაქვთო? მამას არაფერი არა ჰქონდა. ჯერ კიდევ ჩემს ომში წასვლამდე მამამ თვითონ მომცა შიშველი ხანჯლის პირი, რომელიც მას 1922 წელს ხევსურეთში მოგზაურობიდან წამოეღო. ღამე გაუთევიათ სადღაც სამჭედლოში, სადაც დიდი გროვა ეყარა ნახმარი და ძველი იარაღებისა, – ჰოდა მთელი ღამე ვამოწმებდი უკეთესი რომელი იყო და ის წამოვიღეო – შიშველი პირი. მე რომ ცეკვის გუნდში მოვხვდი და ჩოხა შემიკერეს, ეს ხანჯალი წავიღე ვერცხლის ქუჩაზე მდებარე სახელოსნოში,სადაც კარგი ტარი დაუსვეს, გამიპრიალეს, ქარქაში გაუკეთეს და მქონდა. სადა იყო – მარტო ერთი კამეჩის ძვლის ტარი ჰქონდა და ეგ იყო და ეგა. ომში რო წავედი, ჩემი ჩოხა-ახალუხიც, ის ხანჯალიც, სამეგრელოში გაუგზავნა საჩუქრად მოხუც კაცს – ბესელიას, რომელიც მეტყეევედ, მცველად ახლდა მამამისს, ადრე – მსახურობდა მასთან. ძალიან მეწყინა, რომ დავბრუნდი, მაგრამ რას ვეტყოდი? ჰოდა, მან იცოდა, რომ მე ხევსურეთში რო დავდიოდი (უკვე ომის შემდგომ), ერთმა ხევსურმა ხმალი მაჩუქა და რო დავქორწინდი – მეორე, პატარა, ქალის ხმალი. მე ისეთი იარაღი ვაჩუქე იმას, რომ... არაჩვეულებრივი კარაბინი – თურქების დაკვეთით სპეციალურად გაკეთებული ჩეხური კარაბინი.

მომადგა მამაჩემი, ერთ-ერთი ხმალი მომეციო. მამა-მეთქი, შევეხვეწე, – არ წაიღო, ვინმე რუსის სტუმარი ეყოლება, ნამდვილად მისთვის უნდა და ტყუილად დაიკარგება-მეთქი. არაფრით არა ქნა და ის ქალის ხმალი, უფრო პატარა რომელიც იყო, ის წაიღო და მისცა. მამაჩემი ოჯახში ძალიან მძიმე, ნერვიული კაცი იყო. ბავშვობაში, მახსოვს, თუთაზე ავედი სბავშვო ბაღის ეზოში. უსაყვედურა გამგემ – ლომინაძე იყო, მგონი. შემიყვანა სახლში და მირტყა მათრახი. სვანის ქალი იყო ჩამოსული – ჩვენი ახლობლის ოჯახის წევრი და გადაირია. იმან უთხრა: კაცო, სვანებმა არ იციან ბავშვის ხელის ხლებაო (არც სვანებმა, არც ხევსურებმა არც ერთმა მთის ხალხმა – ბავშვს არც უჯავრდებიან).

მამაჩემი 1977 წელს გარდაიცვალა ავადმყოფობით. ამ დროისთვის იგი მცხეთაში იყო, იქაური მუზეუმი ებარა და გახდა ცუდად. მაშინვე წამოვიყვანე, მაგრამ ჩაწვა და ვეღარ ადგა – 89 წლის ასაკში. დავკრძალეთ დედასთან – ეგ იყო მაგისი ბოლო. მისი ბოლო თქმა კი ის იყო, სიკვდილის წინ რომ მითხრა – არ მეგონა, ქუჩუკი, შენ თუ ასე მომივლიდიო (ტირის).

ეხლა უკან წავალ და მოვყვები, როგორ მოვხვდი შინაგან საქმეთა სამინისტროში: მცხეთაში მიმავალი გზა საბურთალოზე გადიოდა. საქართველოს სამხედრო გზა

იწყებოდა იქ, სადაც ახლა ხიდის ყურეა – მესამე კორპუსი პოლიტექნიკური ინსტიტუტისა. ეს გზა იქიდან ჩადიოდა და ბაქტერიოფაგის დაწესებულების წინ გადიოდა. იქ სულ შიშველი მინდვრები იყო გარშემო, ცოტა უფრო ზემოთ კი, ლისის მიმართულებით, დასახლებელი ადგილები იყო. იქვე იყო თბილისის მილიციის ცხენოსანი ესკადრონი. ერთ დღეს შევედი, დავათვალიერე, ცხენები ძალიან ცუდად იყვნენ მოვლილი. შევედი უფროსთან და ვუთხარი, სირცხვილი არ არის-მეთქი? ასე მითხრეს – თქვენ რაო? ვუპასუხე, მე სამხედრო ვეტერინარი ვარ, ჯარიდან მობრუნებული-მეთქი და, – თუ შეიძლება, მოგვეხმარეო. შევუდგინე განრიგი, ზუსტად სამხედრო განრიგის მიხედვით ავუწყე ყველაფერი და მოგვარდა მერე ყველაფერი. ცხენები რო დავათვალიერე, ერთი ფაშატი მომეწონა, არაბული ჯიშის ნარევი იყო. ოო! ეს ბერიას ნაჩუქარი ცხენია – შალვა წერეთელს აჩუქაო. შალვა წერეთელი სასაზღვრო ჯარების სარდალი იყო, საშინელი მკვლელი და დესპოტი კაცი. თუმცა, როგორც ჩანს, ურთიერთობაში არ იყო ცუდი. ავუწყვე, დავულაგე ეს საქმე და რომ აყვავდა ყველაფერი, – მოდიო, ჩვენთან იმსახურეო, ვაკანტური თანამდებობა გვაქვსო და მოვხვდი იქა. როცა გაიგეს, რომ ბატონ სიმონთან ვმსახურობდი, დაიხიეს უკან – ჩვენ როგორ გავბედავთ მისი თანამშრომლის გადმოყვანასო, მაშინ მოდი, თუ თვითონ გაგიშვებსო. მაშინ ბატონი სიმონი სოხუმში იყო და მე წერილი გავუგზავნე – გამიშვა. ექსპედიციაში ძალიან დაბალი ანაზღაურება მქონდა და აქ კიდევ ათჯერ მეტი ხელფასი მექნებოდა. წამოვედი, დავიწყე იქ მუშაობა და დავრჩი ბოლომდე – სანამ ცხენები იყო. 1956 წლიდან ცხენები აღარ იყო და დამტოვეს საინტენდანტო, სამეურნეო სამსახურში. მერე გამაგზავნეს ძალიან სერიოზულ სამეურნეო უბანზე. როცა 1964 წელს შევარდნაძე მოვიდა მინისტრად, ისიც კაბინეტში ივჯდა, როცა მისი წინა მინისტრი ქავთარაძე დავალებებს მაძლევდა – უნდა მოსპო იქ ქურდობა და ლოთობაო. მე ვუთხარი: თუ ეგეთი ნიჭი შემამჩნიეთ, მოსკოვში გამაგზავნეთ-მეთქი (იცინის). გადავედი იქა და დაახლოებით 11 წლის შემდეგ პენსიაზე გავედი.

იქ რომ მუშაობა დავიწყე, შეუცვლელი ვიყავი, იმიტომ რომ თბილისის მილიციას ცხენები ჰყავდა და მე ვუმოწმებდი მაგათ ცხენების მდგომარეობას. ჩემი ეშინოდათ, რადგან საკმარისი იყო დამეწერა, რომ მოუვლელი ჰყავთ ცხენი, და ოპერატიული მუშაკი იყო თუ ვიღაც, იმწუთში დაისჯებოდა. თავიდანვე, რომ მივედი და რაიონებში ვნახე და შევამოწმე, და არ იყო შესრულებული ჩემი დავალებები – ბრძანებები გააფორმეს, ყველაფერი ხელად მოწესრიგდა და მერე ავტორიტეტიც ამეწია. აბა როგორ?! ჩავედი ერთხელ ახალციხეში, დამიბარეს სპეციალურად – ცხენი იყო ავად და იქაურებს ვერაფერი ეშველათ. მაშინ მატარებელი ადიოდა ვალემდე. გათენებისას ავედი, შევედი თავლაში და რას ვხედავ? ბედაური ცხენი დგას და თვალში აქვს ამოსული სიმსივნე. გამოვიყვანე ცხენი, წავაქცევინე, ამოვკვეთე ეს სიმსივნე და მორჩა – თვითონ ვერ გაებედათ, როგორც ჩანს. ჯერ უფროსები არ იყვნენ მოსულები. იქ სასაზღვრო ზონა იყო და სულ სხვანაირი მომარაგება და სისტემა ჰქონდათ, არჩევდნენ უკეთესებს, განათლებულებს, სანდო პირებს.

ეხლა პოლიციას ავტორიტეტი შერყეული აქვს. როცა მე იქიდან წავედი და პენსიაზე გავედი, მაშინაც იყო უწესრიგობა, მაგრამ ჯერ კიდევ არა ჰქონდა ასეთი მასობრივი ხასიათი... ავტოინსპექტორი, მაგალითად, წესრიგს თუ არ

არღვევდი, არ გაგაჩერებდა. რაც შეეხება პატიმრების ფიზიკურ შეურაცყოფას, ჯანჯღავამ ისე აკრძალა, ისე აკრძალა... შესამოწმებლად სპეციალური „ატრიადი" (რაზმი) შეიქმნა – დადიოდნენ რაიონის განყოფილებებში, მილიციებში, როგორც ქალაქში, ისე ქალაქგარეთ და ამოწმებდნენ – ადგილი აქვს თუ არა პატიმრის ცემას. მახსოვს, ერთხელ მეც გამაგზავნეს ამ საქმეზე.

ერთხელ, მახსოვს, ოქტომბრის რაიონის მილიციაში ვარ. სისხლის სამართლის განყოფილების უფროსთან ვზივარ და ვსაუბრობთ. ამ დროს შემოდის რიგითი მილიციონერი – უფროსო, ჯიბის ქურდი დავიჭირეთ და შემოიყვანა. ბიჭო, არც აცია, არც აცხელა და არ გაარტყა სილა?! თანაც მიუბრუნდა და უთხრა – აი, ამ კაცმა რომ გამიფორმოს, რომ ხელით შეგეხე, ალბათ სამსახურიდანაც გამაგდებენ და ციხეშიც ჩამსვამენო. თქვი ეხლავე, უთხარი ამას – რატომ გაგარტყეო! ასწია თავი და თქვა – მეორედ მომიყვანეს თქვენთანო – ვერ გავუფორმე...

ომის შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოებში და მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ბევრი ომგამოვლილი მოვიდა. სინდის-ნამუსიანობით და მოქმედებითაც ისინი გაცილებით მაღლა იდგნენ იმათზე, ვინც იქ დახვდათ...

მე ჩემმა სამსახურმა ბევრი კარგი საქმის გაკეთების საშუალება მომცა. გავიმეორებ, ჩემი წარსული ცხოვრებით არა ვარ უკმაყოფილო. ეს შემაძლებინა ჩემმა სამსახურმა, სამხედრო ფორმა მეცვა, თან ყოველთვის იარაღი მქონდა – ოფიციალურად, კანონიერად. ჰოდა, რა ვიცი, იმდენი სიკეთე მაქვს ნაკეთები, რომ კმაყოფილი ვარ ჩემი წარსული ცხოვრებით: წყლიდან ბავშვის ამოყვანა, გადარჩენა, სახანძრო საქმიანობები, ჩაქრობებში მონაწილეობის მიღება, მოსისხლე მტრების შერიგებაში, კოტე ხიმშიაშვილის სიცოცხლის შენარჩუნება – რო არ მოკლა სვანმა. სპეციალურად ჩამოსული იყო და საფასურიც ჰქონდა აღებული მისი მოკვლისათვის. ჩემს ხელში მოხვდა აქ – ჩარქსელიანი იყო ერთი, მე ავაღებინე ხელი, – უკან წავიდა და ჩააბარა ვერცხლის ქამარი და რაღაცეები, რაც მისი მოკვლისთვის ჰქონდა წინასწარ აღებული.

ეს ომამდელი ამბავია. ყმაწვილები ვიყავით, ბევრი ვეხვეწე და მართლა დაანება თავი – თორე სულ დასდევდა თბილისში. კოტე ხიმშიაშვილი მერე კომუნისტებმა იმსხვერპლეს და აღარ არის ცოცხალი. რა მამა ჰყავდა, იცით? ალექსანდრე ხიმშიაშვილი, პროვიზორი იყო, კოჯორში ცხოვრობდა. ხალხმა უნდა შეისწავლოს ესეთი ადამიანები და მათი ცხოვრება. რაც უნდა ეჭვიანი ქმარი ყოფილიყო, თავის ცოლს მაინც ყველგან გაუშვებდა, სადაც ალექსანდრე იყო – ისეთი რაინდი კაცი იყო. ჯერ ერთი, ჩოხა-ახალუხს ატარებდა, წარმოსადეგი იყო. ქულაჯაც ჰქონდა, ხანჯალი სულ მუდამ თანა ჰქონდა. აფთიაქი ჰქონდა კოჯორში საკუთარი და თანაც იქვე იყო საქართველოს მონადირეთა კავშირის მეძაღლეობის, მდევარი ძაღლების მეურნეობა და ხელმძღვანელობდა იმასაც. გაუბედურდა საწყალი შვილის ამბებთან დაკავშირებით. არადა, იმ გულედანს ერთი რომ ეთქვა, ბოდიში რომ მოეხადა კოტესთვის... სამჯერ ეხვეწა, სამჯერ შეუთვალა, მომიხადე ბოდიშიო. ის სვანი ფიზიკურად უფრო ძლიერი იყო, ნამდვილი მუტრუკი და დაჯაბნა და... არ აპატია დედის შეგინება, არ აპატია ქალის შეურაცხყოფა და ჰკრა ტყვია...

ჩემი სამსახურეობრივი ამბებიდან კი ერთი შემთხვევა მახსენდება: ეს მაშინ მოხდა, როცა სტალინი გარდაიცვალა, ბერია კი ჯერ არ გაეყენებინათ იმ ქვეყნის

გზაზე. ხელისუფლებაში გადატრიალებები მოხდა. აქ უშიშროების ხელმძღვანელობაში შეცვალეს ყველა და ერთ-ერთ მოადგილედ (თუ არ ვცდები, კადრების დარგში) მოიყვანეს სრულიად ახალი კაცი, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ ორგანოებთან. მგონი, მანამდე ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსად მუშაობდა და როგორც, ასე ვთქვათ, მუშათა კლასის წარმომადგენელი, კადრების დარგში მოადგილედ დანიშნეს. ჰოდა, მას ჰყავდა მეუღლე – აისორის ქალი – არაჩვეულებრივად კარგი ქალი, გარეგნობითაც და შინაარსითაც, რომელიც მეგობრობდა ჩემი ცოლის ძმის მეუღლესთან. ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ და მე მათ ოჯახს იქიდან ვიცნობდი. როდესაც ბერიასთან დაკავშირებით დაჭერების მეორე პარტია დაიწყო, ამ დროს ეს კაცი უკვე იქ იყო რუხაძის მოადგილედ გაგზავნილი. რუხაძე რომ დაიჭირეს, ესეც ზედ მიაყოლეს. ეს კაცი, რომელიც გრიბოედოვის ქუჩაზე, „ჩერდაკში“ (სხვენში), თავის სამტრედესავით პატარა ბინაში იყო გაზრდილი, დახარბდა და საცხოვრებლად შევიდა ამ უშიშროების მინისტრის (რომელიც გამოსახლებული იყო) ბინაში. ვზივარ მე ჩემს ოთახში და მესმის, სამმართველოს უფროსის მოადგილე აძლევს დავალებას ერთ რუს ოფიცერს, გომბორელ რუსს, სპირიდონოვი იყო გვარად – შესანიშნავი ყმაწვილი იყო, ქართულიც კარგად იცოდა. დავალება კი ასეთია: უნდა წაიყვანოს სატვირთო მანქანა, 15-20 მუშა, გამოასახლონ ის კაცი იქიდან და შეასახლონ თავის ძველ ბინაში, გამოსახლებული რაფავას ოჯახი კი დააბრუნონ უკან. რაფავას ოჯახი იქ უნდა შეიყვანოთო. ეს იმ დიდ გენერალ რაფავაზეა ლაპარაკი. მე გამახსენდა, რომ ამ ქალს ვიცნობ, ავდექი, მივედი და ვუთხარი უფროსს, რომ მივლინებაში ხვალ წავალ, ზეგ წავალ – ეს ჩემზე ნაკლებად კი არ გააკეთებს ამ საქმეს, მაგრამ რუსია-მეთქი... გამიშვი და მე გავაკეთებ ყველაფერს უკეთესად და არც რუსებისადმი გაუჩნდება ვინმეს უსიამოვნო გრძნობა-მეთქი. რაფავა რატო შეასახლეს? ჯერ ბერია მომსპარი არ არის. ბერია მეგრელების პროცესშია გარეული – ამ დროს ხდება ეგ ამბავი, ექიმების პროცესმა რო ჩაიარა.

მაშინ ავდექი და წავიყვანე მთელი ეს „ატრიადი“ (რაზმი), შევედი ამ სახლში, დამხობილია ეს ქალი თავით და რომ შემხედა, არ ესიამოვნა. მე ვუთხარი, ქალბატონო, მე აქ არ უნდა მოვსულიყავი, – დავიფიცე სუყველაფერი, – მაგრამ სხვას აგზავნიდნენ, ყური მოვკარი, მე თვითონ ვითხოვე და წამოვედი-მეთქი. რა გატირებს (ტირის), აქედან რომ გადიხარ, შენ ეხლა ბედნიერი ქალი ხარ-მეთქი. აქ რამ მოგიყვანა, შენი ქმარი ღარიბი, გაჭირვებული ოჯახიდანაა და დახარბდა-მეთქი. შენი ქმარი არაფერში დამნაშავე არ არის და თვე არ გავა, რომ დაბრუნდება-მეთქი (მოსკოვში ჰყავდათ წაყვანილი), ნუ ტირი, ახლა ჩავალაგოთ და წავიდეთ, შენი არაფერი არ გაფუჭდება-მეთქი. მართლაც ჩავალაგებინე ყველაფერი და აი, ამ „ჩერდაკში“ ისე ავატანინე ყველაფერი, რომ არაფერი არ დაშავებულა და დაკარგულა. გავიდა დრო და...

ამ რაფავას რუსის ქალი ჰყავდა ცოლად და როდესაც გამოასახლეს და ნივთები გაჰქონდათ, ძალიან ცუდად მოიქცა. – «Вот вам сапоги этого мерзавца, уберите!» (აი თქვენ ამ არამზადას ჩექმები, მომაშორეთო!) საკუთარი ქმრის ნივთებზე თქვა. გავიდა დრო და რუსთაველზე მოვდივარ... (ტირის) ის ქალი... (ტირის) მოვიდა, გადამეხვია და რუსულად მითხრა: ღამით დარეკეს მოსკოვიდან, გაუშვიათ, ბრუნდებაო... აი, ეს ამბავი გამახსენდა იმ ეპოქიდან, იმ დროიდან. მერე

რუხაძეც დახვრიტეს, რაფავაც გაანადგურეს და მთელი მათი თაობა წავიდა... გაჰყვნენ სტალინს. ყველანი ეახლნენ იმ ქვეყნად.

სულ ვფიქრობდი ამ ამბავზე, მინდოდა აღმენიშნა სადმე. მართალი გითხრათ, ცოტა საორჭოფო ისაა, დადებითად ჩამეთვლება თუ უარყოფითად ეს ჩემი საქმიანობა. როგორია, გამოასახლო ადამიანი? მაგრამ სხვა რომ მისულიყო, რას იზამდა? გააკეთებდა ესე? ეტყოდა, დაამშვიდებდა იმ ქალს? – ვერა, რასაკვირველია.

სამსახურიდან ჩემს დედულეთში, სვანეთშიც მომიწია მოგზაურობა. აი, როგორ იყო ეგ ამბავი: მაშინ სვანეთიდან ძალიან საგანგაშო ამბები მოდიოდა. სახალხოდ განვიხილეთ ეს საქმე და მე ავდექი და ვთქვი, სვანებს კარგად ვიცნობ, ეს რაღაცა ტალღა წამოვიდა, თორემ არასოდეს მომხდარა ესეთი ამბები-მეთქი. საჭიროა, ვინმე ღირსეული კარგად მოემზადოს, მოხსენებით გამოვიდეს იქაურ მოსახლეობასთან და მეათე-მეთერთმეტე კლასების მოწაფეებსაც ჩაუტაროს საუბრები-მეთქი. არ ამკიდეს მე, კაცო?! შენზე კარგად ვინ გააკეთებს ამ საქმესო. გამოვართვი მასალები, თუკი რაიმე დანაშაულებრივი საქციელი მომხდარა გასაბჭოების მერე სვანეთში – ყველას ანალიზი გავუკეთე კარგად, მოხსენება დავბეჭდე და მივეცი მინისტრის პირველ მოადგილეს, რომელსაც ეს სისხლის სამართლის დანაშაულებები ეხებოდა. დააწერა: „ყოველი შენიშვნის გარეშე მთლიანად მისაღებია – კარგია." წავედი. ვატარებდი ამ საუბრებს სოფელ-სოფელ, სკოლებში, ზედა კლასებში. შენ წარმოიდგინე, ისეთი დადებითი შედეგი გამოიღო ამან, რომ ძალიან დიდხანს, სანამ უფრო არ გაირყვნა საზოგადოება მასობრივად, იქ აღარაფერი მომხდარა. ამას რატომ ვამბობ, კაცო?

ბევრი ჰყავთ სვანებს დღეს შესანიშნავი ადამიანი – აი, მაგალითად, მარტო დავით წერედიანი რად ღირს? თითქოს მას ავტორიტეტი არა აქვს საზოგადოებაში, თითქოს არ იცნობენ. არადა, სვანეთში იცნობენ, არის ძალიან ცნობილი, განათლებული პიროვნება. მოამზადე, ავტორიტეტი აუწიე, და გაუშვი მერე, წავა და ჩაატარებს საუბრებს. აი, ეხლა რაღაც თავყრილობა ჩაუტარებიათ იქა. როგორცა ჩანს, ვერ გაუკეთეს რიგიანი ორგანიზაცია. საწყენია, რომ ერთი კუთხე იყო და ახლა... ძველი მოგზაურები სვანეთის შესახებ აღნიშნავენ, რომ არსად კავკასიაში არ შეიძლება ასე უშიშრად მოგზაურობა, როგორც სვანეთშიო. ხმას არასოდეს არავინ გაგცემს, არავინ დაგიბრიყვებს. პირიქით – ღამეს გაგათევინებენ, საჭმელსაც გაჭმევენ და მოგივლიანო, ყველა მოგზაური ამას აღნიშნავს.

სვანეთი ძალიან თავისებური კუთხეა. თავის დროზე ორჯერ გადაწვეს ქუთაისი სვანებმა. ეს ძალიან ძველი ამბავია – თამარ მეფემდე. აიყოლიეს აფხაზებმა, მეგრელებმა და დაეცნენ ქუთაისს. ბოლო შემთხვევის დროს ავიდა თამარის ჯარი ეცერში და გამოცვალა იქაური თავადი. დააყენა გელოვანი – გელოვანებს გადასცა თამარ მეფემ იქაურობის ბატონ-პატრონობა.

საქართველოში თუ სადმეა მდიდარი ეკლესიები, – სვანეთშია, ყველა სოფელში. ზოგი იმერეთის სამეფო კარის მხატვრის, ზოგიც საქართველოს მეფის მხატვარის მოხატულია. იქ არის ასახული სცენები – ლატალში, მაგალითად, მგონი, დემეტრე პირველის მეფედ კურთხევის სცენა – წელზე ხმალს არტყამენ სვანეთის მთავარი და იმერეთის რომელიღაცა კუთხის მთავარი. წელზე იარაღის შემორტყმა ნიშანია, სიმბოლო იყო იმისა, რომ ძალაუფლებას, ასე ვთქვათ, აბარებს კაცი, რომელსაც აბარია ამ ქვეყნის მშვიდობა. სამღვდელო პირი კი გვირგვინს

ადგამს. სვანეთში არის კიდევ მოხატული საყდრები, სადაც ადრინდელი ქრისტიანობის ნიშნებია შემორჩენილი. იქ რო შეხვალ, დიდი პიედისტალია და იმაზე დგას დიდი, უზარმაზარი მოვერცხლილი ჯვარი. მე რომ პირველად შევედი კვირიკეს ტაძარში, ასე სამოციან წლებში, შემბოჭა ამან, ხო იცი!

მე მორწმუნე კაცი არა ვარ – ჩვენი თაობა ისე გაიზარდა, რომ საერთოდ არ ვიცოდით... დიდი ნაკლი იყო ეს ჩვენი თაობისა, რომ არაფერი არ ვიცოდით ქრისტიანობის შესახებ. ერთადერთი, ოჯახებიდან ვიცოდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წინაპრები რევოლუციონერები იყვნენ, თუ რა დამსახურება მიუძღვის მართლმადიდებლობას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. აი, ასეთი შემბოჭავი მოქმედება ყველა ტაძარს ჰქონდა. დაგიპყრობდა და მთელი ყურადღებით იყავი იქითკენ. ცხადია, სვანეთში ბევრი იყო წარმართული ძეგლი – ძველი ტრადიციების შემნახველი და ჰყავდათ მათ თავიანთი სასულიერო პირები, რომლებსაც ბაპებს ეძახდნენ. გაბრიელი, კაცო, არ შეუშვეს კვირიკეში. პირდაპირ გადავიდა ცხენით, მივიდა იქა და არ მიიღო იქაურმა ბაპმა – არ იცნობდა და იმიტომ.

გაბრიელი ჭკვიანი კაცი იყო, შემოაბრუნა ცხენი და ავიდა უშგულში (რომელიც 5-6 კილომეტრში იყო), სადაც მოღვაწეობდა ბესარიონ ნიჟარაძე (მეცნიერი, რომელიც იქვეა დაკრძალული) და იქ მიიღეს კარგად, რის შემდეგაც დაიარა მთელი სვანეთი. ზოგიერთ საყდარში არის წმინდანების გამოსახულებები, რომლებიც შუა საუკუნეებში განდევნა ეკლესიამ, არ უნდა იყოს, ვითომ, მაგრამ ეს ყველაფერი დარჩა იქ. ეს კარგად აქვს რენე შმერლინგს აღნიშნული თავის ნაშრომში სვანეთის შესახებ. ცხადია, ღერბეტ, ღერბეტ (სვანურად ღმერთი არის ღერბეტ) – ეს ფიცი სწამდათ. იყო შემთხვევები, როცა ყალბად დაიფიცებდა ვინმე. ამ შემთხვევაში ქალამანში იყრიდა მიწას (იცინის) და მიწას დაიფიცებდა – რაღაცნაირად ისე გადააბამდა, რომ ეშველა მიწას, თუკი ტყუილს ამბობდა (იცინის).

ცალკე თემაა სვანებისა და მათი ჩრდილოელი მეზობლების ურთიერთობა. მჭიდრო ურთიერთობები იყო. მიდიოდნენ, მოდიოდნენ. მაგალითად, ბოლო დადეშქელიანზე გეტყვით (მგონი თენგიზი ერქვა)... დადეშქელიანების ორი შტო იყო და ერთი ეცერში ცხოვრობდა – ნამდვილი, ძირითადი, და მეორე – ბეჩოს ხეობაში, უშხვანათში, ზემოთ. ჰოდა, ბოლო დადეშქელიანმა ცოლად შეირთო ყაბარდოელი თავადის ქალი და არ გამოატანეს, სანამ მათი სარწმუნოება არ მიიღო. ჰოდა, გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქუთაისის ეპისკოპოსად რომ დანიშნეს) მთელი დასავლეთი საქართველო და მათ შორის სვანეთიც მოიარა. სპეციალურად ჩავიდა ამ კაცთან და – უნდა მოგნათლოო! – უთხრა. ბოდიში მოუხადა იმან და უარი უთხრა – ახლა არ შემიძლია ამის გაკეთება, ისე დავქორწინდიო... ცოტა ხანში ჩამოვალ ქუთაისში და მოვინათლებიო. დაჰპირდა, მაგრამ არა მგონია, ჩასულიყო – არა აქვს აღნიშნული გაბრიელს.

სვანეთი ძირითადად უბატონო იყო – სვანეთის ძირითადი უბნები. მესტია უბატონო სვანეთში შედიოდა, თუმცა ჯაფარიძეების გვარის წარმომადგენლები, რატომღაც, საკუთარ თავს ბატონებად წარმოაჩენდნენ და თუ ჯაფარიძესა და სხვა გვარის წარმომადგენელს შორის სისხლი დაიღვრებოდა, ჯაფარიძეებს მიაჩნდათ, რომ ერთ ჯაფარიძეში ორი სხვა გვარის კაცის სისხლი უნდა აეღოთ.

რახან სვანეთის მეტი წილი უბატონო იყო, სვანეთი საბჭოთა ხელისუფლებას, შეიძლება ითქვას, ცუდად არ შეხვედრია. ასე იყო, თუ ისე, საბჭოთა ხელისუფლებამ

პირველ ხანებში გზა გაიყვანა, გახსნა, მარილი აუტანა, ბავშვები შეიყვანა სკოლებში – რასაც კარგი შედეგი ჰქონდა. თუმცა, 1924 წელს გამოსვლები რომ იყო, სვანეთში სერიოზული ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც, ასე ვთქვათ, ოპერატიულად ხელმძღვანელობდა ყოფილი რუსი ოფიცერი, ქართველი – ნესტორ გარდაფხაძე. პრაქტიკულად შემსრულებელი იყო ბიძინა პირველი – არაჩვეულებრივი ადამიანი, მერე ნესტორის ქალიშვილი შეირთო ცოლად იმან. მათი წინააღმდეგობის შედეგად რუსის პირველი საბჭოთა რაზმი, რომელიც მოდიოდა ცენტრალური – სამეგრელოს გზით, ენგურის ხეობით, ვერ შევიდა სვანეთში, ისეთ ადგილას დახვდნენ, რომ გააბრუნეს უკან. მაგრამ მერე და მერე, ცხადია, ვერაფერს გახდებოდნენ ამ ძალის წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ბევრი ემხრობოდა კიდეც ამ ახალ წყობილებას. მან კანონი გამოსცა ასეთი, მიწა – გლეხებსო (იცინის) და ბუნებრივია, რომ ხალხი მას მხარს დაუჭერდა.

კაცის მოკვლას სვანი არავითარ შემთხვევაში არ განიზრახავდა, თუკი ვინმეს არ ემართა მართლა სისხლი. მერე კიდევ, იცით, რა? ზოგან ასეთი ჩვეულება იყო – სვანი რო გადაწყვეტდა, კაცი უნდა მოვკლაო, გაშიშვლდებოდა წელს ზემოთ, გავიდოდა გარეთ და მიწას დაიყრიდა ტანზე – აი, ვიგრძენი სიკვდილი რა არისო. ისე უბრალოდ არ ხდებოდა ესეთი რაღაცეები.

მე სვანეთში ძალიან ბევრს ვმოგზაურობდი. შემხვედრია უბრალო გლეხი, რომელსაც თითები ჰქონდა ქალამნიდან გამოყრილი და თივას ეზიდებოდა მთიდან – ისეთ რამეს გეტყოდა, ისეთ რამეს გააკეთებდა რო... სვანეთში დავლილი მაქვს ყველა უღელტეხილი – გზამკვლევს ვამზადებდი სვანეთზე და რენე შმერლინგი მეხმარებოდა. ერთი თავი კიდეცა მაქვს ამაზე მაშინ დაბეჭდილი. მარა ბოლო სამსახურში რომ მოვხვდი, მას მერე თავი დავანებე საჯარო და ამ საქმიანობასაც, ყველაფერს.

ჰოდა, ზემო სვანეთიდან გადავედი და ერთ-ორი უღელტეხილი ჩრდილოეთ კავკასიაშიც მოვიარე; თუ რაიმე სამთო ფეხსაცმელი მქონდა, სულ გამიცვდა იქა. საბოლოოდ ენგურის ხეობიდან ცხენისწყლის ხეობაში გადავედი ლასდილის უღელტეხილით. იფარიდან გადმოდის ეს უღელტეხილი და ჩადის ლენტეხსა და ჩოლუხს შორის. იქ ახლობლებში მოვხვდი, ბაბუაჩემის ავტორიტეტის წყალობით დიდი ამბით მიმიღეს, საგზალიც გამაყოლეს და კაციც გამომყვა მთის წვერამდე. რო აღარ მქონდა ფეხსაცმელი, კარგი სვანური ქალამანი ჩამაცვა. წვერამდე ამომყვა და მერე აღარ ვქენი მე და დავაბრუნე უკან. ქალამანი რო გახმა – პატარა გამოდგა. აღმართში არაფერი, მაგრამ თავდაღმართში რომ წამოვედი, გაშრა და ფეხებზე მომიჭირა... არადა, ზემო სვანეთიდან უფრო ადვილი აღმართია ასასვლელი, აქ კიდევ ძალიან მკაცრად ეშვები თავქვე. როგორც იქნა, ჩამოვაღწიე სოფელ საყდარში. ჯერ ერთი, გზა ამებნა. სუბალპურ ზონაში ტყე რომ იწყება, აი, იმ გადასასვლელში არ წამოვედი სწორად. ვიღაცას დავუნახივარ ქვემოდან და მიყვიროდა – ასე ნუ მოდიხარ, პირიქით წადი, პირიქითო! მივადექი ვიწრო ჩასასვლელს. ამ ვიწრო ჩასასვლელში წყაროა გაკეთებული – ჩიტის წყარო. პატარა ღარია ახალი შედგმული, ეს წყარო გადმოდის და ამ ღარზე იქცევა – ეს ნიშნად იმისა, რომ ასე გადიო. შეიძლება იმ კაცმაც კი გააკეთა, ქვევიდან რომ მეძახდა. ჩავყევი, ჩავედი და სოფელში რომ მივედი, სოფლის ნაპირას ეს წყარო იყო კარგად გადიდებული. გავიძრე, დავიბანე

ფეხები და ვიცვამ. ამ დროს პატარა გოგოები მოვიდნენ წყაროზე, ბავშვები. საიდან მობრძანდები, ბიძიაო? საით მიდიხარო? ვინ ბრძანდებითო? გამეხარდა ასეთი საუბარი და თუ რამე მქონდა დარჩენილი (კამფეტები და რაღაცეები), მივეცი. სახლში წამობრძანდით, უფროსები ჯერ არ არიან, მარა მალე მოვლენო, ღამე გაათიეთ და დილას წაბრძანდითო. ძლივს მოვიშორე, კაცო. მერე სხვები მოვიდნენ კიდე, ესენი ცოტა უფროსები იყვნენ. ისინიც როგორღაც მოვიშორე. კიდეც ჩავიცვი და ვხედავ, მოდის თივით დატვირთული ურემი, წინ კაცი მოუძღვება ხარებს და უკან ქალი მოსდევს. შევხედე ამ კაცს, ქალამნებში გამოყრილი აქვს თითები, ორივე ქალამანი გაცვეთილი აქვს და რო შევხედე, მაშინვე გამახსენდა ვაჟას ლექსი:

არც ტანთ მაცვია, არც ხელთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგიდანა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა (ტირის).

მომიახლოვდა ნელ-ნელა, გამარჯობა, გაგიმარჯოსო და ეს ჩემი კარგი წინდები (მაგრამ სველი) მარხილზე გავუკეთე – არ გეწყინოს-მეთქი, სულ ახალია, აი, გზაში დამისველდა-მეთქი. გავესაუბრე და აღარ მომეშვა, კაცო – ღამე ჩემთან გაათიეო. მე კიდევ ვჩქარობ. უკვე ხიდია, ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროა, გზა კი მარცხენა სანაპიროზე მიდის და მერე ხიდით ისევ მარჯვნივ გადადის. შემეძლო დავჩენილიყავი, მაგრამ იმიტომ არ შევედი, რომ იმ სოფლის მკვიდრი იყო ერთი კაცი, რომელიც ჩემი წინაპრების დახოცვაში აქტიურად მონაწილეობდა. მართალია, უკვე აღარ იყო ცოცხალი, თანაც უცოლშვილოდ და უპატრონოდ დაიღუპა, მაგრამ მაინც გავერიდე.

წამოვედი. იმ სოფლიდან თუ წახვალ მარცხნივ, 7-8 კილომეტრში დედულეთია ჩემი, თუ წახვალ მარჯვნივ, თითქმის ამავე მანძილზე რაიონის ცენტრია, სადაც მისვლასაც ვჩქარობდი. ვიფიქრე, ვივლი და საითაც მიმავალი მანქანა შემხვდება, იქით გავყვები-მეთქი. არ გასულა ხუთი წუთი, რომ ვხედავ, ზემოდან „ვილისი“ მოდის, გამიჩერა. მანქანაში სხედან აღმასკომის თავმჯდომარე (ასე ვთქვათ, ნათესავი კაცი – მისი და იყო გარდაფხაძეებში გათხოვილი), მძღოლი, უკან კი – ერთი ახალგაზრდა სვანი. იქ რომ დამინახეს, გაუკვირდათ: აქ საიდან მოხვდიო? მეც ვუთხარი და ამ უკან მჯდომ სვანს ეწყინა რაღაცა – რას დადიხარ, რო დადიხარო. გული მომივიდა, მე ვუთხარი – კაცო, გლეხი შემხვდა, ბავშვები შემხვდნენ, ყველას გაუხარდა ჩემი დანახვა და სახლში მეპატიჟებოდნენ და შენ ვინა ხარ-მეთქი? სვანეთში დავდივარ – ჩემს სამშობლოში და არ უნდა გიხაროდეს-მეთქი? ქართველ კაცს სიარულის უფლება არ მაქვს-თქო? შერცხვა, და იმ ნათესავმა მერე მითხრა, სულელიაო. მე სვანური მაშინ კარგად ვიცოდი და ეხლაც ვიცი, თავისუფლად ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ ბევრი რამე მახსოვს...

ჩემი თაობა ნელ-ნელა წავიდა. მეუღლე შემხვდა კარგი, თამარ ტაბლიაშვილი (1918-1991), დიდი ოჯახი გვქონდა. ექვსი შვილიდან ოთხი შემოგვრჩა. ორი ვერ გავზარდეთ (ტირის) – ჩვენი და ექიმების დაუდევრობით. თამარის დედა, მარიამი, მეჯვრისხეველი ქალი იყო. მისი ამაგი ჩემს ოჯახზე ძალიან დიდია. მე სულ მივლინებაში ვიყავი, ცოლი მსახურობდა და იმან დაზარდა ბავშვები. თამარს კარგი სამსახური ჰქონდა, განათლებული ქალი იყო, ადმინისტრა-

ციული ნიჭი ჰქონდა შესანიშნავი – ჩემზე უფრო მეტად. ბოლო 15-20 წელი საისტორიო არქივს ხელმძღვანელობდა. მისთვის ნაჩუქარი იმდენი წიგნები გვაქვს სხვადასხვა ისტორიკოსებისგან და მწერლებისგან, რომელთაც ხელს უწყობდა მასალების მოძიებაში. ამ მასალების მოგროვებაში, მოვლა-პატრონობაში მეც ვეხმარებოდი. ძალიან განიცადა რუსების მიერ რაღაც საისტორიო მასალების წაღება (ეს მასალები სამხედრო საქმეებთან იყო დაკავშირებული). არაფრით არ უნდოდა გატანება, მაგრამ მეტი ნაწილი მაინც წაიღეს. ფიზიკურად არ იყო ძლიერი ქალი, მარა საქმიანობაში და ურთიერთობაში ვერ შეატყობდით, თუ მას რაიმე სისუსტე ჰქონდა. მერე სისხლი ჩაექცა თამარს. დიდხანს იწვა საავადმყოფოში, მე ვადექი თავზე, ვუვლიდი. მერე სახლში გვეწვა დიდხანს...

თამარ ტაბლიაშვილი

ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა კარსანის მამულს. არ ვიცი, კარსანი მე პირადად ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია... ჯერ ერთი, შვილები იქ დაიზარდნენ. ერთი ძროხა ყოველთვის მყავდა მიბარებული მეზობლებთან – რძე გვქონდა, ყველი გვქონდა და ბოსტნეული ყოველთვის იყო. ცოტ-ცოტა ღვინოსაც ვაკეთებდით. მერე და მერე მეურნეობა გაიზარდა, უფრო დიდი გახდა, მაგრამ მომვლელი აკლია – ვენახი, საქონელი გვყავს, მარტო უშანგი ტრიალებს და ვერ აუდის. მე კიდევ აღარ შემიძლია.

ამას წინათ ერთმა ებრაელმა სტუმარმა გვიანგარიშა და გვითხრა, რომ ერთი კილოგრამი ყველი გვიჯდება ათჯერ უფრო მეტი, ვიდრე, რომ ვიყიდოთ და ასევე ღვინოც, თავისი მისვლა-მოსვლით. მაგრამ ფულში ხომ არაა საქმე, მე გამოვიტანე ზალიკოს ქორწილში თხუთმეტი თუ ოცი წლის შენახული კარსანის ღვინო – სპეციალურად მისთვის შენახული დალუქულ ბოთლებში! ერთხელ ვახუშტი იყო კოტეტიშვილი ჩემთან კარსანში, ზალიკომ ამომიყვანა, ჰოდა, შავი ღვინო გამოვუტანე, ბოთლი გავხსენი და ვახუშტიმ მითხრა: მეტი არ მოიტანო, მაგის შენახვაა საჭირო, მხეცები ხომ არა ვართ, ასეთი ღვინო დავლიოთო.

ეს იყო ჩემი ცხოვრება. რო ვიხედები უკან, წავიდოდი ისევ იმ გზებით და გავივლიდი იქ, სადაც მივლია.

მარია (რუყიათა) ჯაბათხანოვი
1932 – 2011

2008 წელს ყვარლის რაიონის სოფ. თივში ჩაიწერა
ცისანა გოდერძიშვილმა

დედაც მახსოვს და მამაც. მამაჩემს მათიაშვილი ქვიოდა, ქართული გვარი ქონდა. მანდ (ახალსოფელში) ერთი დიდი კაცი იყო მათიაშვილი, სურათებ იღებდა, ის მეტყოდა ხოლმე, ბიძაშვილოო, და ავტობუსში ფულს მიხდიდა. მამაჩემი საბჭოში მუშაობდა, საკირეს უფროსადაც იყო, კარგ ადგილებზე მუშაობდა. მთელ ქართველებმა იცოდა ეგ. მახმადა ალიბეგოვი, მე ლეკურად ვიძახი, თორე, არი მათიაშვილი მახმადა, სუ ქართულად ეწერებოდა. ნახევარი ქართველი იყო. რა ვიცი, მამა იყო ქართველი თუ დედა იმისი, პირველკლასელი ვიყავ, რო მოკვდა და იმდენი ხო არ ვიცოდი, მეკითხა. ხოდა, წავიდა ერთხელ მთაში და ერთი თვე რო გახდა, მოკვდა მამა იქ. იქიდან წამოიდა ჩვენი ნათესავი აქ, ქელეხ მანამ გადაიხდიდნენ, ის იყო. მერე ათი დღის შემდეგ დედაც მოკვდა. მაშინ ხო ტიფობა იყო. ბევრი ხალხი დახოცა ამ ომის დროზე, ზოგი გათხოვილი მოკვდა, ზოგი პატარა რძლები. ხოდა, დავრჩით ორი ბიჭი და ორი გოგო. უფროსი მე ვიყავი. ჩვენს გარდა ერთი უფროსი ძმა იყო კიდე, დედაჩემს უფროსი ძმის მერე მუცელი მოეშალა, ალბათ, ის გაზრდილი იყო, მე რო ვეყოლე. დედაჩემს ბევრი შვილები დეეხოცა. ის უფროსი ძმა ომში წაიყვანეს. ჯერ თბილისიდან გამოუგზავნეს, ორჯერ-სამჯერ ბაქოდან გამოუგზავნეს, ობოლი ბავშვები არიან, შამნახავი არავინა ჰყავთო და უკან მოდიოდა. ის თავის განცხადებით მაინც წავიდა ომში. არ მოიდა ის.

ხოდა დარჩა ჩემზე ეს: წლინახევარის ერთი ბალღი იყო, ორწლინახევარის ორი იყო, სამწლინახევარისა და მე კიდე იმის გამოყოლებით, კლასდამთავრებული ვიყავი. სამი-ოთხ ძროხა იყო ჩვენი, ერთი ძროხა დაუკალი მამაჩემზე, ერთი ძროხა დედაჩემზე დაუკალი და ორი დარჩა. მერე ერთი ძროხა, ძალიან რომ გაგვიჭირდა, გავყიდე, რო გავყიდე, იმ ერთი ძროხისა ფული მქონდა მე შანახული. ერთი ძროხისა კიდე ხან რძეს გავყიდიდი, ხან ახალსოფელში მატყლის დაჩეჩვას დავიწყებდი, ხან თავთავის დასაკრეფად წავიდოდი ხოლმე. ეს ყარაულები ხო იყო, თავთავის საკრეფადაც არ უშვებდა მაშინ, შიმშილობა რო იყო, არ უშვებდა. კოლექტივისა იყო და აკრძალება იყო. არა, კანონი კი არ იყო, მაგრამ თითონ თავისთვინ უნდოდა. მე და ჩემი და გავიპარებოდით, წაქცეულ ვიყავ მიწაზე, როცა ყარაულ დაინახავდით, ხან დავიმალებოდით ჯაგებში. წაართმევდნენ ეს მოკრეფილ თავთავს და დათესდნენ. ხან ცოტას მოვიტანდით, ხან ცარიელები მოიდოდით. როგორც თქვენ მიგაქვთ საყდარში ფული, ქათამი, ნათქვამი რო გაქვთ, ეგრე ჩვენი ხალხი ზოგი ფქვილს მაძლევდა, ზოგი ყველს. თან კითხვა ვისწავლე და ამ მკითხაობაზეც მაძლევდნენ ზოგი შოთი პურს, ზოგი ლობიოს. ომში წასული ხალხისთვის მაკითხებინებდნენ, ობოლი რო ვიყავი, იცის მაგანო და... ხან მუშაობდი, წავიდოდი თქვენ ხალხთან ზოგი ვენახში სამუშაოდ, ზოგს შეშა რო უნდოდა, წავიდოდით პატარა გუდურით, შეშას მოვიტანდით წყლიდან და ხან ერთ ჯამ ფქვილში გამიცვლიდნენ, ხან ერთ ჯამ წნილში. თუ არადა,

ჩვენ არ წავიდოდით სხვის კარებზე, სულაც არ წავიდოდით. ძალიან შიმშილობა რო იყო, ქატო ხო გვქონდა, ქატო, ამ თაგვების კურკლიან ქატოს, ნიავზე გაუშვებდი და თაგვის კურკლებს ვკრეფავდი იქიდან, როგორც ბრინჯი ავარჩიო. გავრეცხავდი დარჩენილ ღერღს, დავკრეფავდი ბევრ ჭინჭარს და ფაფას ვაკეთებდი. იმ უმარილო ფაფას ვჭამდით ბავშვები და მე. ობოლის დროზე ხორცი რო მინდოდა, მარილი რო მინდოდა, მეზობელთან არ წავიდოდი. იმასაც უმარილოდ ვჭამდი. ესე ტანჯვით ვარ გაზრდილი. ეგრე იოლად გავიყვანე ეს ბალღები.

ორი წლის მერე ჩაჩანში (ჩეჩნეთში) გარეკა. ორმოცდაორი თუ ორმოცდასამი იქნებოდა, ეგ ზუსტად არ ვიცი. სოფელში მოვიდნენ თქვენი მანქანებით, ქართველების მანქანებით. არავინ არ დატოეს, არავინ. მანქანა რო მოიდა ხალხისთვინ, მამაჩემის ძმიშვილი იყო ქალი, ჩემი ბიძაშვილი, იმან თავისთან ერთად წაიყვანა ჩვენ. ჯერ მანქანით წაიყვანეს, წნორამდინ, მერე მატარებელზე ჩასვა ხალხი და წაიყვანეს. იი, რა ამბავი იყო! იქ თურმე ჩაჩნები ომის წინააღმდეგები ყოფილან, ხოდა გადაასახლეს (1944 წლის 23 თებერვალს დაიწყო ჩეჩნებისა და ინგუშების გასახლება, პირველივე დღეს 100 000-მდე ადამიანი აყარეს თავიანთი სახლებიდან; ამ საქმეს ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა). ცარიელი სახლები იყო, რო მივედით. ადგილებზე იყო სიმინდები დადებული, ქეჩეჩი. იმათი სახლის ვეშჩი (ავეჯი, ნივთები), ერთ სახლში იყო გადაყრილი. ზოგი სახლი დამწვარი იყო, დანარჩენი სახლები ვეშჩით სავსე. ომში ვინც არიან (ვისაც ოჯახის წევრი ჰყავს ომში), იმათთვინ ხალიჩებ აძლევდა, თუნგებ აძლევდა, ჭურჭელს. ჩვენ არ ავიღეთ. სხვის რამე რათ მინდა, მე უთხარი, ცოდვიანი.

ჩაჩნები ხო მოკლეს, ზოგი მოკლეს, ზოგი ზღვაში ჩაახრჩეს, ზოგი ყაჩაღობაზე წავიდნენ იმათი ხალხი, გაყარეს. ობლები ვიყავით, მაგრამ იმათი არაფერი არ ავიღეთ. ჩვენი ხო იყო წაღებული, ზოგი ლოგინი წავიღე, ბევრი რამე ვერც წავიღე, როგორ წავიღებდით პატარა ბალღები. ჩვენი ლოგინი დავყარეთ იქ. სამი სახლი მამცეს, მაგრამ ჩვენ ვერ მოიწონეთ იმათი ბინა, ქაღალდები მოდიოდა, წერილები, ჩვენი შაღობილი ღობეები არ შაცვალოო, ჩვენი სახლები არ დაანგრიოო, ჩვენ სახლებზე არაფერი ზიანობა არ გააკეთოო, ჩვენ თოფებით ვართ ტყეშიო, იწერებოდნენ რუსულად და არ შანშიდებოდი შენ? ერთხელ, მართლაც, წისქვილში რო მივდიოდი, ოცდახუთმეტი კაცი იყო თოფებით, დავინახე, ტყიდან გამოიდნენ და წავიდნენ. ხბოს ტყავის ქუდები ეხურათ. ყაჩაღიდან შაშინებული კრაოტქვეშ (საწოლქვეშ) ფიცარდაუდებდი და ტანსაცმლით იქ მიწაზე ვიწვებოდი დამალული. ის ზამთარი ისე წავიდა, რო კრაოტქვეშ დამალული ვიყავი, როგორც კი დაბინდდებოდა. ბავშვებ კიდე ფსელ მოდიოდა შიშისგან, გათენებამდინ კანკალებდნენ. ერთხელ ერთ მეზობელი სახლი გაითხარა, სახლიდან ღამე ხალხი გადაყარეს თოფებით, ექვსი-შვიდი კაცი მოიდოდა ჩაჩნები ცხენებით. მოიდნენ, გამოთხარეს სახლის შუა ადგილი და ერთი სამ-ოთხ მეტრომდინ ღრმად იყო დადებული თოფები, ხანჯლები, ვერცხლები, ჭურჭელი, ხალიჩები და წაიღეს ღამე.

ერთი ზამთარი ვიყავით იქ. იქ ხო არ ვიცოდით ჩვენ, აფთიაქი საით არი, იმ ახალ წასულებმა უცხო სოფლებში, ჩვენი მომლელი არავინ არ იყო. პატარა ძმას, მე რო ვზრდიდი, ძალიან კარგი ბიჭი იყო, ცხვირიდან მოიდა ჭიები, პირიდან მოიდა ჭიები, ბიბლიები დააყარა ზედ ტანზე, როგორც ბურთისავით ბიბლიები

დააყარა. ერთიც, მე წისქვილში წავედი, შორი იყო, დილით რო წავიდოდი, შუადღემდე არ მოვიდოდი, ისე შორს იყო. ერთი ვედრა ავიკიდებდი ხოლმე, წავიდოდი, დავრჩებოდი ღამე და მერე უკან ვბრუნდებოდი. ხოდა რო მოვედი, ეს ჩემი ძმა ჭიით ავად რო იყო, მეუბნება, ნეტა ცხვრის ხორცი ჩემს ხელთ იყოსო, გავაკეთო და ვჭამოო. ხორცი მინდაო, თურმე ჭიას ხორცი ყვარებია, ქონიანი. ხოდა ფქვილი წავიღე დიდი ნახევარლიტრიანი მათლაფით. წავიღე ერთ ჩემ მეზობელთან, ბებერ ქალთან, უთხარი, ნედლი ყველი და კარაქი მამეც-მეთქი. ხორცი უნდა და ხორცის მაგიერ ამას ვაჭმევ-მეთქი. ხოდა იმ ქალმა მამცა ყველი და კარაქი და ხინკალ ვაკეთებდი. დავუჭყლიტე იმ კარაქში ყველი და ისე. რო გავაკეთე, ეგე ხინკალ გავაკეთე-მეთქი, კარაქ მააქ-მეთქი და ვაძლევ, რო შეჭამოს, თურმე მოკვდა, მკვდარია. ჭიები იყო მოსული. ესე ექვსი შვიდი წლისა მაინც იქნებოდა. სკოლის ბალღებმა ამოუთხარეს იქ საფლავი. არ იყო მოსათხრელად ხალხი. სულ წავიდა ხალხი, ყველა წავიდა ომში. ბალღიც არ დარჩა დაზრდილები, ერთი ხუთმეტი წლის ბიჭიც წავიდა განცხადებით. აქ ვინ დადგებაო, იმოდენა ხალხი წავიდაო. ეგრე წავიდა თავისით ხალხი ომში.

რუყიათა ჯაბათხანოვი

მე და ჩემმა ბიძაშვილმა ეს მკვდარი გზამდინ ჩვენ წავიღეთ. მერე მასწავლებელმა თავის ბავშვები წამაიყვანა და წაიღეს და... საფლავზეც არ ვიყავი ჩემი ძმის იქ. ეს ჩემი ძმა მეუბნება, თუ მე მოკვდაო, თუ თქვენ წახველთო ჩვენ სოფელ-ქვეყანაშიო, ესო იქ გაყიდული ძროხის ფულიო გაიყოფო ოთხივესო და ის ჩემი გაყოფილი ფული შოფერს მიეციო და მკვდარი აქ არ დამტოვოო, დედაჩემ ხო იქ არი დამარხულიო. იმ ბალღმა, პატარამ: ჩემი და თუ არი, არ დამტოვოო. შენ ხო დედასავით იყავიო და აქ არ დამტოვოო. სულ მაგონდება იმისი სიტყვა, ეგ მაგონდება...

მერე წამოველ, ჩემი ძმა წამოვიყვანე. ერთი და კი იქ დავტოვე, რო საშუალება არა გვქონდა, ისიც რო მოეყვანა. იქ ვისთან დავდგები-მეთქი მდგმურად, არ ვიცოდი. მეც გასათხოვარი, ისიც გასათხოვარი არ შეიძლება-მეთქი, პატარები. ბარათა იყო აქ ერთი, იმათ მოვყევი მთამდინ, ჩვენ მთამდინ. სუ მთა და მთა ვიარეთ. ჩაჩნიდან გამოყოლებით რამდენნაირი სოფელი გავიარე, რამდენი აღმართი და დაღმართი, წყლები. ჩემი ძმა პირქვეში იყო წაქცეული, საჭმელი რო მორჩა, მშიერს ვერ შეეძლო სიარული და სისხლი მოიდა პირიდან. მერე მთაში ჩემი და იყო უფროსი, მანდ მამაჩემის პირველი ცოლისა ქალი იყო ის. პირველი ცოლი მთაში მამკვდარიყო და მერე შეირთო დედაჩემი. იმ ქალისგან ერთი გოგო დარჩა, ის უფროსი და ჩემი. იმან ჩემი ძმა ინტერნატის სკოლაში გაუშვა. ერთი თვე ავად გახდა ჩემი ძმა შიმშილისაგან, გზაზე რო დატანჯეს. იქიდან

ახალსოფელში ჩამოელ მე. ხან მილიციელი გარეკავდა გურჯაანამდი. არ უშვებდა აქ, წადი ისევ საცა იყავი, იქო. ახალსოფელში ქალები მაღლა ჩარდახში მალავდნენ. ხალხ რო რეკავდნენ უკან, მე დამალული ვიყავი, აღარ წაველ. საყდართან ნაბდების არტელი გვქონდა ახალსოფელში, იქ მატყლის დაჩეჩვა დავიწყე, იქ ვმუშაობდი ერთი ორი-სამი წელი.

მერე, ერთი უშვილო დედაკაცი იყო, იმან: შენო ლამაზი ხარო და ვინმემ არ მოიტაცოს, მე უნდა გავათხოვო შენი თავიო. ობოლი რო ვიყავ, დიდმა ქალებმაც, არ შეიძლებაო, ვიღაცამ სახელ არ გააფუჭოსო. ამ ქალმა გაათხოა ჩემი თავი. არ მინდოდა გათხოვება, მაგრამ უარი რო მეთქვა, მაინც ძალად გაათხოვებდა. ობლად რო ვიყავ, არაფერი არ ვიცოდი. პირველად რო მოიდა თვიური, მე მეგონა რაღაცა გაჭრა იქ-მეთქი. ცხვრის ქონი დაუდე და ხილაბანდით შავიკარი. რო გათხოვდა, ძუძუებიც არა მქონდა. თოთხმეტი წლისა ვიყავი, პატარა. იქამდე სულაც არ ვიცნობდი ჩემ ქმარს, უცხო იყო და უცხოს მიმათხოვეს. იქ, ახალსოფელში, იყო ერთი ლეკი კაცი ცხვარში, იმას ყოლია ქართველი ქალი, ანიკო ქვიოდა. ის ქალი წასულა ლელიანში მზითევით. ცხვარში რო ქმარი იყო, იქ არ წაიყვანა ცოლი. ხოდა ამ პირველ ცოლს გეეყიდნა სახლი, სახლში რაც იყო, ვენახი, ყველაფერი, მანამდე ქმარი წამოიდოდა ცხვრიდან, ის გასულიყო ლელიანში. ხოდა ეს კაცი მოიდა სათხოვნელად, იმისი ნათესავები მოიდა.

ქორწილი ძალიან კარგი იყო, ჩემმა ქმარმა გადაიხადა. მეთოფეანთ სიმონასთან ვიყავი ზევით საყდართან და ქვევით ფიდაანთას მიმიყვანეს. ლილეინკით წამაიყვანა ქალი. ქართველი კაცი, ცუკიაანთ გიგუცა იყო ჩემი კაცის მაყარი. თიველი ქალები, ვინც ლეკები იყვნენ აქ, მოიდნენ ქორწილში და ზოგმა ტანისამოსი მისცა, ზოგმა შალი მისცა და ეს ობოლი გოგო გაათხოვა (იცინის). დამაფარეს აბრეშუმის რაღაცა. მერე ცალკე რო გაუშვეს და მე ეს კაცი რო დაინახე, ჩვენ იქამდე დანახვა არ ვიცით ხოლმე, ვყვირივარ, ვწივივარ. სულ ახლო არ გაუშვა მე, ყვიროდა დილამდინ. მე რო პატარა ვიყავი, და რო ვყვიროდი და ვწიოდი, ქორწილის ხალხმა უთხრა, არ შეიძლება შენ ცოლთანო, არ გაუშვეს იმ ღამით. მერე წავიდა ცხვრების მოსაყვანად ჩემი კაცი და ჩემი მაზლი თივში, ცხვარი ყოლიათ იმათ და დასაკლავად უნდოდათ ქორწილში. მე კიდე, იმის და იყო, იქ სწავლობდა ის გოგოც, ზინა ქვიოდა. ის წამოიყვანე წყლით, უთხარი, წამო, ფეხადგილში წავიდეთ-მეთქი. ეს წყალი გადავღვარე უბორნიაში და გავუტანე. ეს ქალი სახლში გავგზავნე, რო წყალი მაიტა-მეთქი. მაატყუე და მე წამოველ აქეთ საფლავისკენ. დილამდინ ვიყავ მსხლის ხეზე დამალული. ჯერ ხელი არ არი დადებული. შუაღამემდინ ვიყავ ხეზე უჭმელი, მინდა მთაში გაიპაროს, რო კაცთან არ წავიდეს. ეს ჩემი ბალია, ესე ქვიოდა იმ ქალს, მეძახის, რუყია მქვიოდა ლეკურად, მოდი შვილო, უქალობას იტყვის შენზეო, ესე იგი რო ქალწული არ არისო. იმისთვის გაიპარაო, ეგრე იტყვის, იჭორაებსო. წამოდი, სადმე თუ დამალული არიო. ხმას ვერ ვაძლევ მე. ხოდა, როცა ისინი დაიძინებენ, მინდა, რო პური მოვიპარო სახლიდან, თურმე ყარაულად ყოფილან ესენი ჩემთვინ. პურისთვინ რო წაველ, გადამიდგნენ და ერთმა ქართველმა ქალმა დაიჭირა. წამიყვანა ისევ იქ. სამი თვე ვიყავი კლიტედადებული, გარეთ არ უშვებდა არც ქმარი და ის რო წავიდოდა, თავის და, მაზლი, ხო იყვნენ, არც ისინი არ უშვებდა.

იმის მერე ვიყავი იქა, ახალსოფელში, ოცდაცამეტი წელიწადი ვიყავი იქ მდგმურად. ჩემი ქმარი ცხვარში იყო ხალხისთვინ ქედში. მანამ იქიდან მოიდოდა ცხვრით, მე ღანძილზე დადიოდი. მთაში ქალებს ხიდზე გავიყვანებდი ხოლმე. ერთხელ, უფროსი ბიჭი რო მყავს, მაგაზე დღე-დღეზე ვიყავი და მოიდნენ თელავიდან ქალები, ჩემი მულები. შენ ავად არა ხარო. ოთხჯერ ვიყავი ღანძილზე წასული. თავიანთი გულისთვინ, ხიდზე გადაყვანის გულისთვინ ძალათ წამიყვანეს ამხელა ღიპიანი, მუცელი მქონდა დიდი. ხიდზე ეშინოდათ და მე უნდა გედემეყვანა. მე არ მეშინოდა.

ერთი ხიდია იქ, მთაში, ამხელა სავსე მეშოკებს დავუდებდი გარდიგარდმო ხეზე, წყალზე რო იყო დადებული და დაგორებით გამქონდა ხიდს იქით. ესე გავიყვანდი ხოლმე მთაში ხიდზე ხალხს. ხოდა, შუაგზაზე მეტკინა მუცელი ბიჭისთვინ. ეხლა რო უკან წამოიდე, ისინი არ მოვლენ. მარტოკა, ვაითუ დაბადა ბალღი გზაზე-მეთქი! მეშინიან! ისევ წინ წაველ. იქ ყველა წასვლის ადგილები მე ვიცოდი. იქ, ღანძილზე რო მივდიოდი, ერთი ხუთმეტი შოთი პური დაუდე, ორი მარგანინი დავუდე, ორი კარაქი დაუდე, პაჩკები ხო გვქონდა მაშინ. მარგარინიც გვქონდა. ერთი ნახევარი კილო თაფლი დაუდე. იმათ არ იციან, მე რაც დაუდე მეშოკებში. ერთი მეტრო თექა დაუდე, პატარა ნაჭერი, რო ვაითუ, ბალღი დააბადა-მეთქი, ბალღის ბოღჩა, ხილაბანდი სამსე შიგ: თავის შასაკრავი, ჩასაცმელები, ჭიპის მოსაჭრელი, ჭიპზე დასადები, ყველაფერი წაუღე. სამი დღე უნდა იქ, რამდენიც მუცელი ტკივა, მე თხრის ღანძილ, მეშოკი ავამსე, კარგად გავძეკე ფეხით. მესამე დღეს, აქ რო უნდა მოვსულიყავით, დილას მზე რო მოიდა მაღლა, თერთმეტ-თორმეტ საათზე, ეს ბიჭი გააჩინა. რო დაბადებს, რო ყვირის, უკვე თავი გარეთ არის და მოდის ერთი კაცი მთიდან გუდით. მე უთხარი, ის კაცი მოდის-მეთქი და ორ საათამდინ ბალღი დააკავა. იმ კაცისა შამრცხვა. ბავშვი სულ გალურჯდა. იმ კაცმა იქით მხარეზე რო გაიარა, მერე გააჩინა ბალღი და არც ხმა აქ, არც თვალები გახილებული არ არი. მე უთხარი ქალებს, ეს კისერი არი დაკეტილი, ბავშვი მკვდარი არ არი, ცოცხალია, პირზე პირი დაადე და სული გააწურე-მეთქი, სული გააწურე ბალღს-მეთქი!

რა სული გააწურეო, ზოგი წავიდა, საფლავი გავთხაროთ, მკვდარია ბალღიო. მე უთხარი, რას მაიმუნობთ, მკვდარი არ არი, ცოცხალია-მეთქი და მე ავიყვანე და მე გაუწურე სული. იჰ, იჰ, იჰო და ხმა ამაიღო, ეს ბალღი გაცოცხლდა. ჭიპიც მოჭერი, ჭიპიც დაუბი, კარგად შაუკარი კიდეც, გეგონებოდა, საავადმყოფოში არიო, ეგრე იყო ბალღი გაკოხტავებული. იცეკვეს ქალებმა, ექიმიც თითონ ყოფილაო, ყველაფერი თითონ უსწავლიაო. კამპანია გააკეთეს და ეს საჭმელები სულ არ შაჭამეს, ესე! ეს მარგარინი, თაფლი, ეს პურები... მერე ეს ბალღის ბოღჩა რო ნახეს, შაკრეს ბალღი, გაალამაზეს. მერე მეუბნებიან, ერთი ნახევარი საათის მერე, წავიდეთო.

მერე აქედან ხალხი მოიდა იმ დღეს. ჩვენი წამოსვლის დღეს, თორმეტი იყო თუ რვა ქალი მოიდა. ხოდა ეს ბავშვი ხილაბანდით წინ დავიმაგრე, ავიკიდე ეს მეშოკი და ამათზე მაგრად მივდივარ მე. მოიდა ერთი ქალი ახალი მოსული, აქედან არც ღანძილ წამოიღებო, შენ წამოიყვანე შენი ბალღი და არ წახვიდე მაგათთანო. იქაც არ მივიდეს ცოცხალი და აქაც არ დარჩესო, ეგენიო, თავიანთი გულისთვინ წამოგიყვანეს და თითო ხილაბანდი ღანძილი რატო არ დაუდეს

თავიანთ ღანძილზეო, მეშოკებზე და არ წამოგიღესო. ახალმშობიარე ქალი ხარ და მარტო ბავშვი მაინც რატო არ მიგყავსო. მაგათ მოსაკვდომად წამოგიყვანესო! არ გაუშვა, იმ ღამეს იქ დარჩა.

თურმე იმ დღით, ისინი რო წავიდნენ, ერთი ახალგაზრდა გოგო იყო პირველ ბავშვზე, თივის (ლეკების სოფელია) ქალი იყო ახალგათხოვილი, ისიც იყო იქ თავის დედასთან ერთად, წაუყვანია წყალს. ხიდიდან ჩავარდნილა მეშოკთან ერთად. მეშოკი რო დასველდა, ხო ათრევს, მერე თოვლის ზვავი წამოსულა და დაუკეტია წყალი, ეს დაკეტილი წყალი მოსულა იმათზე, მანამ ისინი ხიდზე მოიდოდა. დიდი წყალი მოსულა. სეტყვაც მოიდა იქ, წვიმაც მოიდა, ეს ქალები დარჩენილან კლდის ქვეშ. ეს გოგო წაუყვანია. ფეხმძიმე იყო ოთხი-ხუთი თვისა პირველ ბალღზე. წაუყვანია საცხენომდე. დიდი მორები, დიდი ხეები ეტაკებოდნენ, ისე დიდი წყალი იყო. იქ ძებნიან თურმე კაცები, თავის მეშოკმა გააგებინა, ორი ხე რო არი შუაზე გაყოფილი, იმ ხეზე იყო გაჭედილი, იქიდან გამაიყვანეს მკვდარი ის ქალი. შუაზე თავი ქონია გატეხილი, ქვიშით სამსე.

მერე, ჩვენ რო მოვდივართ... ჭიპამდე მოდიოდა წყალი. ერთი ხუთ მეტრომდე იყო გზის ნაპირზე წყალი, კლდის ნაპირზე. ამ წყალში ვერავინ ვერ მოდიოდა. თვრამეტი ქალი იყო და თითო-თითო ქალი გამოვიყვანე წყალში. ეს ახალგაჩენილი ბავშვი იქ ნაპირზე წავიყვანე და დატოვე. ეს ქალებიც სუ თითო-თითოთ ავათრიე, ზოგი მოხუცი, ზოგი ჯეელი. წყალი იყო სისხლით წითელი. მე რო შიგ ვიდექი ახალნამშობიარები. ოთხმოცდაათი კილო იყო ღანძილი ჩემი მოთხრილი. ეს ბავშვიც მოიყვანე, ღანძილიც. მერე ვისთანაც მდგმურად ვიყავ, იმან მითხრა, მარი, მოგკლავო, მარი მქვიოდა ქართულად, რაზე წახველ, რაზე მაატყუებინე თავი, იქ რო მამკვდარიყავი, შენ ქმარს რა უნდა ეთქვაო. ქმარი ქედში იყო ცხვარში. რა ვუყოთ-მეთქი, ეგრე მოხდა. ავადაც არ გავხდი.

ეს ჩემი მეხუთე შვილი იყო, ვინც გავაჩინე, წინები მკვდარი მყავდა. ყიანახველამ მოკლა პირველი ბავშვი, მაშინ ქართველი ბალღებიც ბევრი დაიხოცა. ზოგი ცხენის რძეს აძლევდა, ზოგი ვირისას, ვითომ ყიანახველასთვის კარგიაო, არაფერმა არ უშველა. ერთი ხუთი წლისა მოკვდა, ერთი წლისა, რვა თვისა, ხუთი თვისა, ალბათ, ღმერთს ეგრე უნდოდა. მერე ეს ათი შვილი გავზარდე. მე რო უდედმამიშვილო ვიყავი, ბევრი ნათესავი რო არა ყავთ, ვთქვი, იყოს ბავშვები-მეთქი და ხუთი ბიჭი და ხუთი გოგო გავზარდე. ორი ბალღი იქ გავზარდე, ახალსოფელში. მერე ჩაჩანიდან ხალხი წამოიდა, აქ დასახლდნენ და აქ წამოვედით.

მანამ სახლებ გავაკეთებდით, დიდი სარაეები გვქონდა, იქ ვიყავით. თივში მერე ადგილები გაყოფეს, ადგილი მომცეს. ორი სახლი გავაკეთე წნელისა. წაველ, წნელი მოიტანე ჩემთვინ ტყიდან და სახლი გავაკეთე, მერე წნელის კრაოტიც გავაკეთე და ჩარდახაც. ტახტებს შეშის ფეხები გაუკეთე, წნელით მოვწანი, ლასტები დაუდე და იყო ტახტები. ბუხარი ქვისა გავაკეთე. რა ვიცი, ვიწვალე, ვიწვალე და ეგრე მოვდიოდი. ქმარი რო წაიყვანეს სამხედროში, სამი ბალღი მყავდა. წლინახევრის მერე უკან გამოგზავნეს გერმანიიდან, სამი ბავშვის მამას აქ რა უნდაო. წერილი და სურათები რო გაუგზავნეთ, ოჯახში არც მამა ჰყოლია, არც დედა და ძმა და შენც რო აქ ხარ, ცოდო არ არიო?! ჩემი ქმარი ხან ქედში წავიდოდა მწყემსად, ხან ტიბაანში, ხან ყვარელში.

ერთხელაც ჩემზე გაჭირვებული ამხანაგი ქალები მოვიდნენ ისევ ჩემთან, ძველი მოვიგონოთო და წავიდეთ ტყეშიო. სკოლის ბალღები წავიყვანეთ და წავედით ღანძილზე. ბალღები გაზრდილები იყო, შუახევში დავტოვეთ, რვა ბალღი იყო, თქვენ აქ იყავით, ჩვენ ზევით მთაში წავალთო. ხევიდან ბინამდე წავედით მთაში. ახალი ღანძილი იყო მოსული, ერთი ხუთმეტ-ხუთმეტი კილო ამოვთხარეთ და მოდის ზევიდან დათვი. დათვია – როგორც კამეჩი. ორი მტკაველი ბალანი აქ. მოდის თაფ-თაფით. ჩვენ ორნი გატეხილ ხეზე, ფუტურო ხეზე ავედით მაღლა. კვერცხისხელა ფუტოროები ჰქონდა ადგილ-ადგილ, ჩიტებისგან ამოცლილი. მესამე ქალი დაბლა წაქცეულ ხეზე თავისი მეშოკით გადაწვენილია გულწასული. ჩვენ მაღლა ვართ. დათვი უყურებს ხან მაღლა ჩვენ, ხან იმას. მოვიხსენი თავშალი, ტიტველა თავით, გაწეწილი თმებით ვარ და ვიქნევ და ვიქნევ თავშალს. სამი საათი კისერი ეტკინა დათვს, გვიყურებს და მე კიდე ვყვირივარ, იგრე ყვირივარ, რო თბილისიდან ხალხი მოიდოდა, იგეთი დიდი ვყვიროდი. მერე წავიდა დათვი საცა თითონ იყო, იქ. გაბრუნდა უკან, დაიღალა. ეს ორივე ქალი მეუბნება, ხო წავიდა, მოდი მოვთხაროთ კიდეო. თქვენი ღანძილიც და თქვენც-მეთქი, მანდ დაიხოცეთ ღანძილიც და თქვენც-მეთქი. ცოცხალი დავრჩით და რაღა ღანძილი მინდაღა მე-მეთქი. იქ იქნება ბავშვებთან წავიდა ხევში, რო შააშინოს-მეთქი. იქ წვრილი ღანძილი იყო მოსათხრელი და იქ დავტოვეთ. მოდი წავიდეთ, თქვე გასაქრობებო, ძლივს დათვმა დაგვტოვა, უკან გაბრუნდა, ღმერთმა დაილოცა და მე უნდა წავიდე-მეთქი. ერთი ჩარექამდე წაველ, რო ისინიც დამეწივნენ, აბა ის ორი ქალი იქ დარჩებოდა! შეეშინდათ. მიველ ბავშვებთან, წამოიყვანე და წამოელ. იგეთი დიდი აბავი იყო რო ეხლა როგორ უნდა მოყოლო მე!

მერე ეს სახლი ავაშენე, ექვსი თვის ფეხმძიმე ქალი, სამუშაოზე ნამყოფი, მაღლა კიდე ქვებ დაუდებდი ხოლმე, წყლებ ვიმარაგებდი, რამისთვინ დამჭირდება-მეთქი. ძალიან ტანჯვით მაქ ეს სახლი აშენებული, ძალიან ტანჯვით. იტყოდი, ეს ქალია თუ რკინაო.

სად არ მიმუშავნია! თელავში ვიყავ სამი წელი, ნაბდებზე ვიმუშავე, მერე ყვარელში. ღვინის მარანი რო არი დიდი, ჩვენი ხალხის ხელითაა აშენებული. სამი წელიც მანდ ვიმუშავე მშენებლობაზე. ოცდაათნი ვიყავით მოქუჩული ხან იქიდან, ხან აქედან ეს ლეკები, ქალებიც და კაცებიც. ბრიგადირად მე დამაყენეს, დაწერა არ ვიცოდი, მაგრამ შენ მაგარი ხარ ყველაფერშიო. აგური, ცემენტი და ვედრები სუ მე მებარა. მოადგილე მყავდა კაცი დასაწერად. თბილისიდან ინჟინერი იყო მომაგრებული, იმას მოქონდა ყველაფერი და მეც ხელს გამიმართავდა ხოლმე, თუ რამე საჭირო იყო. ვინმე რამეს თუ იტყვის, მითხარი და ციხეში გაუშვებ, რო ხმა აღარ ამაიღოსო, ისეთი კაცი იყო. მერე მაიდან მეურნეობაში გადავედი, ვენახში სამუშაოდ. ამ ჩვენი ხალხის მეგოდორედ მე ვიყავი. წელზე მქონდა შემორტყმული და დღეში ას გოდორს ასწრებდი, ისეთი ყოჩაღი ვიყავ. იმ დროზე ჩემი თავი ჟურნალში გაუშვეს. ჩვენ ბრიგადირს, რო გავიმარჯვეთ, ხელით მაღლა აგდებდნენ. მე მებაირაღეთ წავედი ილია ჭავჭავაძის დღესასწაულზე. წითელი დროშით აველ ზევით, ილია ჭავჭავაძის საფლავთან, ზევით მთებამდე სუ დროშით გაატარა ჩვენმა ბრიგადელმა, გამარჯვებულები რო ვიყავით.

იქ რო მორჩა საქმე, მერე ყვარელში არხები როა ცემენტის, ის არხები გავაკეთეთ ჩვენმა ხალხმა. ოთხ წლამდინ კიდე იქ ვიყავი. სახლი მამცეს, დიდი

ბინები ჩვენი ხალხისთვინ. ბოსელიც გვქონდა იქ, გომიც გვქონდა, ერთი ძროხაც მყავდა. დიდი გოგო იქ მყავდა ინტერნატში. ჩემი არა, ინტერნატის შანახულია ეგ. დილით წაიყვანდნენ გოგოები, საღამოთი მაიყვანდნენ, მე რო მუშაობიდან მოიდოდი. მერე მაიდან ვეჯინში ვიმუშავეთ დიდ ხანს. სკოლები ავაშენეთ. ბევრი ხალხი იყო ჩვენთან ახლსოფლიდან, ჭიკაანიდან, ინჟინრები, მშენებლები. მერე წითელწყაროში წავედით ისევ ნაბდებზე სამუშაოდ. დიდი შენობა გვქონდა იქაც.

იქიდამ იორში გადავედით ხახვზე. მთელი მანქანა წავედით თივიდან. ,,ქერეცები" (?) მუშაობდნენ იქ ბრიგადელად, თვალები რო აქთ პატარა, შავი ხალხია. ორგექტარნახევარი ავიღე იორში, ხახვის ამოღებაში. ერთი გოგოც წავიყვანე ჩემი იქ და ვიყავი დღე და ღამე. კოღოები იცის იქ ისეთი, უიმეე. ბურდოებ დაუწვავდით ხოლმე კოღოების მოსაშორებლად. მანამ ხახვის სეზონი მორჩებოდა, მანამდე იქ ვიყავი. ხახვში ბალახი რო იყო, ისიც გავცელე და ერთი მანქანა გამოიდა. რაც ბალახებში ხახვი იყო დარჩენილი, გონგოლები, ისიც თქვენი იყოსო და თორმეტი მეშოკი კიდე ის გამოიდა. რვა მეშოკი ქერიც ვიყიდეთ, აქ სახლში მოსატანი, იქ იაფი იყო და კარგად წამოედით.

ქედშიც ვმუშაობდი ყანებზე, იქ ძალიან ტალახი იცის ხოლმე, მანქანა ვერ დადიოდა, სუ ფეხით დავდიოდით. მაგის მერე სახლიდან ვმუშობდი, სეზონებზე, ხან ლობიოს მოსაყვანად, ყარფუზის ბაღებში, ხან ყანებში თოხზე და რა ვიცი, სულ ესე წვალებაში ვიყავ... ჩემი ფეხი სად არ მისულა, სადაც მისასვლელი ადგილი არ არი. დუისში, ბირკიანში და ჯოყოლაში რო არიან, ქისტები რო ქვიანთ, იქაც ნამყოფი ვარ, ცხენები იყო ჩემები მოპარული. იქ წავედი, იქ ძალიან დიდი ქურდობა იყო, იქ არის ხოლმე დაკარგული ცხენები.

არც დაწერა ვიცი, არც არაფერი. მარტო ენით მივდიოდი და მოვდიოდი. ეს ქართული ვიცი, რუსულიც ვიცი ცოტა-ცოტა. ნაცნობ ხალხმა, მასწავლებლებმა წამიყვანეს მოსკოვში რაღაცის მოსატანად. ერთი ექვსასი მანეთი მქონდა, მაშინ კარგი ფული იყო, იმით ნავაჭრები წავიღე მერე მთაში და იქ სამოცდაათი ცხვარი ვიყიდე. წამოვიყვანე ცხვარი, ვთქვი, ჩემი კაცი სულ სხვისი მოჯამაგირეა ცხვარში და ჩვენც გვყავდეს-მეთქი. სახლის გულისთვინ გაყიდული გვქონდა სულ ცხვარი, არ გვყავდა. არადა ცხვარზე მიჩვეულ ხალხს ცხვარი ხო უნდოდა.

ისიც ობოლი იყო, ჩემი კაციც. ოცდახუთი წელიწადია, რაც მოკვდა ჩემი ქმარი. ერთხელაც წავიდა ცხვარში და მესამე დღეს მკვდარი მაიყვანეს. დიდი ელვარდი ყოფილა მთაში, წვიმა, სეტყვა და ქარი. ცხვარი გაფანტულა და რო აქუჩებდა, ქარმა სული გაუბრუნა. დავრჩი ეგრე მარტოხელა. შვილები კი ყველა გავათხოვე, დავაქორწილე. ერთი მოსკოვშია, ერთი როსტოვში, ერთი კრასნოდარშია, გოგო. ამას ექვსი ბალღი ყავ, გოგოს. როსტოვში როა ბიჭი, იმას სამი. უფროს ბიჭს, ბოინში მუშაობს მახაჩყალაში, იმას ოთხი, მეორე გოგოს ყვარელში – ერთი.

აქ, ყვარელში, ნანულა ქვიოდა უფროს ექიმს, იმან დაკუწული ამაიყვანა ბიჭი მუცელიდან, თითონ გოგო კიდე პროფესორებთან მყავდა თბილისში. ხოო, ზამთარი იყო რო წაველ და იქიდან, ჟონჟოლი რო ყვაოდა, მაშინ ჩამოველ. სისხლი ვიყიდე, ძალიან ბევრი სისხლი ჩავასხი და გავაცოცხლე. ეს გოგო გადავარჩინე. საშვილისნო ექვსგან გაჭრილი, თირკმელიც გაფუჭებული, აბა ცოცხალი ბავშვი დაკუწული გამოიტანა და რა იქნებოდა! საშვილოსნოც ამოიღო, თირკმელიც ამოიღო და ეგრე უშვილო დარჩა ჩემი გოგო ერთ ბავშვზე,

გოგო ყავს ერთი. ახლა კარგი ქალია, მეორე ჯგუფის პენსიაზეა. იმან გამიზარდა ეს ბავშვები მე რო დავდიოდი ხან მთაში, ხან მოსკოვში, ხან როსტოვში. ეგრე ვიწვალე, ვიტანჯე. ეგრე ვცხოვრობდი. მერე დახმარებას მაძლევდნენ, ბევრი შვილი რო მყავდა. საბუთის ასაღებად რო მივდიოდი, ამდენი შვილები რა ამბავიაო. ჩვენ დროზე ტელევიზორი არ იყო-მეთქი, ვაცინებდი ხალხს.

ეხლაც დახმარება მქონდა ჩემზე გაკეთებული და ვითომო, სახლს ფანჯარა რათ გაუკეთეო, ეს ორი თვეა აღარ მაძლევენ, არ გეკუთვნისო. არადა ჩემმა გოგომ გააკეთა, თავისი ნაშრომით. აბა უფანჯაროთ ვიყო? თუკი სიცივისგან მოკვდები, მაგათი დახმარება რაღათ მინდა? გომში შეშა მქონდა მშრალად შანახული, იმ გომის კედელი არ დაინგრა ჩემზე შეშაიანად! ხბორებს ვბანავდი, ტილი არა ჰქონდეს-მეთქი და უცბად ეს კედელი წამოიდა და ჯერ შეშა და შეშაზე კედელი სულ ჩემზე მოიდა. სისხლით სამსე ვიყავ, ეს სახე, ეს მკლავი, ერთი საათნახევარი კედელქვეშ ვიყავი. მერე მარჯვენა ფეხი როგორღაც ამოიღე, მერე მარჯვენა ხელი და ეგრე გამოელ. კარები გომის დაკეტილი იყო და ვერავინ ვერ გაიგო, რო დავიძახე. მერე როდის მოიდა მეზობელი გოგო და მეუბნება, რათა ხარ სისხლით სამსეო. ეგე, კედელს უყურე, სულ ჩემზე იყო დანგრეული-მეთქი.

სახლი დაზღვეული მქონდა, მაგრამ დაზღვევა არ მოსულა ჩემთვინ. მაშ შეიძლება, ეგრე დანგრეული უნდა ვყოფილიყავი? მერე ზოგი ქათამი გავყიდე, ზოგი გოგომ გააკეთა და ავაშენეთ კედელი ისევ. სოცაგენტი რო მოიდა, მე უთხარი: სახლში ხალიჩები არ არი, მაცივარი არ არი, ტელევიზორი არ არი, დიდი ბუფეტები არ არი, ფანერკები არ არი, ერთ კრაოტზე სამი ხელი ლოგინი მაქ და ეგ არი სულ, ცარიელი სახლებია და თან დანგრეულ კედლებში უნდა ვყოფილიყავი? ერთი ქათამი მყავ და, მე უთხარი, ეგეც თქვენ წაიყვანეთ-მეთქი. ჩემმა გოგომ გააკეთა და თქვენ არ უნდა გიხაროდეთ, რო მოხუცი ქალი ვარ-მეთქი?! ეს გოგო ჩემთან დავწერე. ყველანი წასულები არიან, არავინ არ მოდის და რო მოვკვდე, ხო უნდა დავწერო ვისმეზე, ეს მოდის ხოლმე სანახავად.

ეეხ, ეხლა უფრო არ ვარგა. წინათ შიმშილობა იყო, მაგრამ კარგობა იყო. ესე თვალების დათხრა არ იყო, გზის გაწყვეტა არ იყო. სადმე რო წავიდე, ვიზა უნდა, შეიძლება? იქნება სულ საწყალი, ღარიბი ადამიანი არი, გარეთ ხალხი ყავს და წასვლა უნდა, მოსვლა უნდა, შეიძლება ესე გაცარცვა? რო მიდიან, ორასი-სამასი თუ მისცა, უშვებს, რო მოდიან, თუ გინდა პასპორტიც ქონდეს, ასი ლარი მაინც წაართმევს. მთაზე სამხედროა და იქიდან სუ აღარ უშვებენ. არა, ნუ გაუშვებს, ყაჩაღებს, ბანდიტებს, მაგრამ ჩემნაირისგან რა უნდათ?

ეხლაც რო წავიდე, ორი დღე უნდა რო ყველა ვნახო, მარი ჩვენთან დარჩი, მარი ჩვენთან დარჩიო. შე მიწადასაყრელო, შენაო, რატო არ მოდიხარო. აქედან რამე საქმეზე რო წავალ, იქიდან როდის მოვბრუნდები, აღარ ვიცი ხოლმე, ხან ათი-ხუთმეტი დღე ვრჩები. ფიდაანთ ლევანამ, ტრაქტორისტია, ჩემი ხათრით ორი პირი ვენახი მოუხნა, გიგამ კიდე თავისთვინ შანახული ვაზი მოიტანა კონებით და აქ ვენახი ჩაყარა ჩემთვინ, არაფერი არ გამაართვა, ეგრე ხათრი ქონდა ჩემი. ჩვენ ცხვარი დაუკალით და კარგი ქეიფი გვქონდა.

ერთ ჯამში ჭამდა ხალხი საჭმელს და უფრო – ახალსოფლის ბიჭები, ახალგაზრდები... ძველი ხალხი ხო იმათ არ იცოდნენ. რა ვიცი, მაღაზიაშიც იყვნენ ჩვენი ხალხი მანდ, კარგად პურ ჭამდნენ ერთად, ვენახში შველოდა. და

მერე რა მოხდა... ახალსოფელში პურისთვინ არ უშვებდა, ზევით ხიდზეც ხაფანგით დადგა ხალხი, ქვეითაც დაკეტა გზა და ალბათ უნდოდა, რო ჩვენით წავიდეს, თორე რათ გააკეთეს ეს ამბავი, არ ვიცი. ციხესავით ვიყავით ჩაკეტილები.

თუ ვინმეს საჭმელი გვქონდა რამე, ერთმანეთ ვაძლევდით. ერთ თვეზე მეტი იყო ეგრე. ეგე აჭარლები, უცხოები, თავიანთი ნათესავები არ არი, როგორც ჩვენ ვიცნობთ, იგრე ხო არ იცნობდნენ, იმათთან წყლებიც გამაიყვანა, სახლებიც გამართა და ერთ ჯამში ერთად რო ვჭამდით და ერთმანეთის მოყვარები ვიყავით, ეგრე გაამწარა. პურსაც არ უშვებდნენ თითონ აქაურები (ახალსოფლელები), ბრძანება არის, არ შეიძლებაო. რაღაცნაირი ამბავი იყო მაშინ, რა ვიცი, რათ იყო ეგრე. ტრაქტორი ყავდათ მოყვანილი სახლების დასანგრევად მილიციებს და ხალხს. მერე ჩვენმა ქალებმა ეს „პაგონები", მილიციებს რო აქთ „პაგონები", გადაუწყვიტეს, იჩხუბეს. ამ გოგოებმა ზოგმა ლომები წაიღო, ზოგმა კეტები წაიღო, მაგარი ჩხუბი გვქონდა. მერე ზოგს ფეხი ქონდა შუაზე გახეჩილი, ზოგს მუცელი მოწყდა ჩხუბში, ზოგს თავი გატეხა. მე ვერ წაველ, ხეზე ვიყავი დამალული. ბევრი ნაცნობი იყო, ეხლა იმათი გულისთვინ მეც ხო არ ვიჩხუბებდი. ჩემი ბავშვები წავიყვანე საფლავზე და იქ ვიყავ დამალული. ჩხუბი არ მინდოდა. იმათ შვილებ მე ვიცნობდი. იმათ შვილებმა ხო არ იცის, მე ვინა ვარ.

ერთხელ, იქამდე მანდ ხიდთან პატარა ბიჭებმა ქვების სროლა დამიწყეს, წაველ, ფიდას ბიჭთან ვიჩივლე, ქვები ისროლეს ხიდიდან-მეთქი, იმ ბავშვების მშობლებს ყველას ვიცნობდი, წავიყვანე ის, ფიდას ბიჭი და წავედი ყველასთან. თქვე მამაძაღლებო, თქვენ ვიღაცა ხო არა გგონიათ, აქ არი გაზრდილიო, რათ უშვრებით ეგრეო, იჩხუბა. იმის მერე ჩემსკენ არ გამოუხედიათ.

მერე დაწყნარდა ეს ამბავი, საჩივარი იყო ყველგან, თბილისში, თელავში და დაწყნარდნენ. ეხლა ისევ ისე ვარ, ახალსოფელში ჩემი ნებით ავიღებ საჭმელს, თუ მინდა, შარიგდა ხალხი. თითონ უკმაყოფილოები იყვნენ იმაზეც ქართველი ქალები, იჩხუბეს, რათ აკეთებთო ეგეთ რამეს.

მანდ ახალსოფელში ბეზარაშვილები რო არიან, იმათი პაპები და ჩემი კაცი ერთად დადიოდნენ ყიზლარში თავიანთ ცხვრით. გასავალი იყო, მაშინ გზები არ იყო დაკეტილი. იქ მიდიოდა ხალხი, აქაც მოდიოდა. ავტობუსი ხო დადიოდა, მახაჩყალიდან ფქვილებ ეზიდებოდა აქეთ. სამსე ავტობუსით ფქვილები მოდიოდა იქიდან. ეხლა რა ვიცი, რა დააშავა ამ ხალხმა. ეს გზების დაკეტვა კარგი კი არ არი. ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას რა ჯობდა. ეხლა რა სიზმარი დაინახა ამ ხალხმა, რა მოუვიდათ?

ეს ქვეყანა ხო ჩვენ არ დაგვრჩება. ქართველია, ლეკია, რუსია, ყველა მიწის საჭმელი ვართ. მთებში ქართველი ქალებიც მიდიოდნენ. ყინვარაანთ მარუსა ბეშტაში, თარაშტაში სუ ცხენით დადიოდა. რამდენი ნაცნობი დადიოდა. აქ, უმა რო ქვიოდა, საბჭოში მუშაობდა, საბჭოს თავჯდომარედ, იქ მთაში პენსია გააკეთა თავის ცოლისთვინ და თავისთვინ. აქ კიდე ღამე დადიოდა, სახლებსა დაუწვამდა. ორი სახლი როა ზევით დამწვარი, იმან დაწვა. ჩვენი ხალხი არ უნდოდა აქ. თან ეგრე კბენავდა. ბევრ რამე შურ გააკეთებდა, თან დადიოდა ჩემ ხალხთანაც და იქაც კარგად იყო. და კბენავდა კიდეც. არ შეიძლება ეგრე, მე რო შენთან კარგადა ვარ, შენც კარგად უნდა იყო. ჩემი აქ არც სახლი დარჩება და არც სახელი, ატამივით ხალხი ვართ.

ზეინაბ თაქთაქიშვილი

დაბადების წელი: 1923

2004 წელს თბილისში ჩაიწერა
მარიამ სეხნიაშვილმა

საშინელი დრო დაგვიდგა... ასეთი სიბერე თუ მექნებოდა, არ მეგონა; ყოველთვის უზრუნველყოფილი ვიყავი, ახლა კი...

დავიბადე მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, 1923 წლის 15 აპრილს, მოსამსახურეთა ოჯახში. მამა ეკონომისტი იყო, დედა – პედაგოგი. ხშირად ბებიები კისრულობენ ბავშვის აღზრდას, მეც თითქმის 9 თვე გავატარე ბებიასთან. 9 თვის შემდეგ მშობლებმა წამომიყვანეს თბილისში. ვსწავლობდი თბილისის 27-ე საშუალო სკოლაში. სკოლა ჯერ 4-კლასიანი იყო, მერე გადაკეთდა საშუალო სკოლად. 27-ე სკოლა დავამთავრე 1940 წელს. 1941 წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვაბარებდი გამოცდებს, საგამომგონებლო-საალმშენებლო ფაკულტეტზე. ქულები არ მეყო და ვერ მოვხვდი. მეორე წელს ჩავაბარე რკინიგზის ინსტიტუტში. ეს იყო 1942 წელი.

ომში პირველი კურსის სტუდენტი წავედი, მეორეზე უნდა გადავსულიყავი. ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყავი. ომში თითქმის მოხალისედ მიდიოდნენ სტუდენტები. თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირელი გოგონები შევიკრიბეთ და მოხალისედ ჩავირიცხეთ 415-ე საზენიტო საარტილერიო პოლკში, რომელიც არსენალზე იყო განთავსებული. არსენალი არის სამხედრო ნაწილი. ტერიტორიულად მდებარეობს თბილისის ზღვისკენ (დღესაც). იქ გავიარეთ ორთვიანი კურსები. კურსები დაყოფილი იყო სხვადასხვა განხრის მიხედვით: მეზენიტეები, მეკავშირეები, მეტყვიამფრქვევეები. მე მოვხვდი მეკავშირეთა განყოფილებაში. ეს შემთხვევით მოხდა, თავად გვანაწილებდნენ. მაგალითად, 10 ქალი ერთი ხაზით განაწილდა, 10 ქალი – მეორე ხაზით. 2 თვის შემდეგ კურსები დავამთავრეთ და უკვე ნაწილებში გაგვანაწილეს. ჩვენი ნაწილი იდგა თბილისში, ლისის ტბასთან, მაღალ მთაზე. ამ ადგილას დავყავით აპრილის თვიდან სექტემბრამდე. ეს იყო 1942 წელი.

სექტემბერში უშუალოდ ფრონტზე წაგვიყვანეს. პირველი პერიოდი უკრაინის ფრონტზე გავატარეთ, დონეცკში ვიყავით, ქვანახშირის შახტებს ვიცავდით. შემდეგ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ უკრაინა თითქმის დაკავებული იყო გერმანელების მიერ და ჩვენ პირდაპირ ფრონტის მოწინავე ხაზზე წაგვიყვანეს.

პირველი ქალაქი იყო დნეპროპეტროვსკი, სადაც კილომეტრნახევრიანი ხიდის დაცვაზე დაგვაყენეს. ეს ხიდი უკრაინის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს აკავშირებდა. მახსოვს ზამთარი, ყინვა, მთლიანად გაყინული დნეპრი. კილომეტრახევრიანი ხიდი სულ მთლად იყო დანგრეული. საბჭოთა ნაწილებს დნეპრის მეორე მხარეს გადასვლა არ შეეძლოთ. იქ უკვე გერმანელები იყვნენ.

დნეპრის ხიდის დაცვაში ჩვენ ძალიან დიდი როლი შევასრულეთ. 415-ე პოლკი ძირითადად გოგონებისაგან იყო დაკომპლექტებული, ხელმძღვანელები კი ოფიცერი მამაკაცები იყვნენ. ჩვენს პოლკში იყვნენ მეტყვიამფრქვევეები, „პულემიოტ-

ჩიკები“, სიმაღლის გამზომები, რომლებიც რადარით ზომავდნენ, თუ რა სიმაღლეზე მოდის თვითმფრინავი. ჩვენი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დაახლოებით 25 თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული. ნაწილში ბევრი სომეხი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი გვყავდა. ვერ ვარჩევდით ერთმანეთში ვერავის, ჩვენ არ ვიცოდით მაშინ, ეროვნება რა იყო, ისეთი დამოკიდებულება გვქონდა. გვიყვარდა ერთმანეთი, 60 წელი გავიდა და კვლავ ვმეგობრობთ. ცოტანი დავრჩით ძალიან.

ჩვენ რომ ვიცავდით, ის ხიდი პონტონისა იყო. პონტონის ხიდი ეწოდებოდა ხის ხიდს, რომელიც ჰაერით გაბერილ რეზინის „მილებზე“ იყო გადებული. ფიცრებზე გადიოდა ფეხოსანი არმია. ჩვენ იქ 2 თვე ვიდექით. ის ხელოვნური ხიდი ჩვენ შევინარჩუნეთ და მოვახერხეთ მასზე გადასვლა, შევედით ტერიტორიაზე და დავიკავეთ ქალაქი დნეპროპეტროვსკი.

დნეპროპეტროვსკში რომ შევედით, გერმანელები უკან წავიდნენ. ამ ქალაქში ვიდექით რამდენიმე თვე. ვიცავდით ქალაქს, რომ ხელმეორედ არ შემოსულიყვნენ გერმანელები. ეს იყო 1943 წელი. ამ დროს ფაშისტური გერმანია უკან იხევდა.

შემდეგი ქალაქები, რომელთა დაცვაშიც ვღებულობდით მონაწილეობას, იყო – დნეპროძერჟინსკი, ზაპოროჟიე. ერთი თვე რომ ერთ ადგილზე ვიყავით, მეორე თვეს მეორე ადგილზე გადაგვიყვანდნენ ხოლმე... ხალხი ტყეში იყო გახიზნული და ბინები თავისუფალი რჩებოდა. თუ საშუალება იყო, ბინაში შევდიოდით, მაგრამ იყო ისეთი მომენტებიც, როცა მინდორზე გვიხდებოდა ყოფნა, ამიტომ, ქალაქში რომ შევიდოდთ, ორი დღითაც რომ ვყოფილიყავით, თავად ვთხრიდით მიწურებს. რასაკვირველია გოგონები იმდენად არა, უფრო კაცები თხრიდნენ. მიწურებში ვცხოვრობდით, თივას დავყრიდით და იმაზე გვეძინა.

კვების მხრივ – მომარაგება ძალიან კარგი იყო, ჩვენ იქ არ მოგვშივნია, საკვები ძალიან ბევრი გვქონდა. ქალაქებს რომ ვათავისუფლებდით, ვიკავებდით საწყობებს, პროდუქტი ჩვენ არ გვაკლდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც გერმანელები ტერიტორიის დატოვებისას პროდუქტებს წამლავდნენ, მაგალითად, მოწამლეს სპირტის ქარხანა. რუსები შევიდნენ ქარხანაში, – ხომ იცი მათ როგორ უყვართ სასმელები, დალიეს სპირტი და ძალიან ბევრი დაიხოცა. შემდეგ გამოვიდა ბრძანებულება, რომ პროდუქტებისათვის ხელი არ გვეხლო.

წყალი არ გვქონდა და დნეპრის წყალს ვსვამდით, ქალაქიდან მოშორებით ვიდექით მდინარის ნაპირას. ყინული მოგვქონდა და ვადნობდით. ერთ დღეს მზარეულის მოადგილემ გოგონებს გვითხრა, მე წავალ და წყალს მე ამოგიტანთო. წავიდა და ნახა, რომ ყინული სქელი იყო და ვერ გატეხა, იფიქრა „სნარიადს“ წავიღებ, დავარტყამ და ყინულს გავხეთქავო. „სნარიადი“ რკინის ჭურვია, რომლის შიგნით ნალმსატყორცნი ნივთიერებაა. ჩავიდა დნეპრზე და ყინულს რომ დაარტყა, „სნარიადი“ აფეთქდა. დაიღუპა ის ბიჭი. ასეთი შემთხვევების შემდეგ ერთი კვირა მკვდრები ვიყავით. გარდაცვლილებს იქვე ვმარხავდით და მერე ვატყობინებდით ოჯახს, რომ დაკრძალულია ამ ადგილას. ნაწილში თუ არ ცხადდებოდა ადამიანი, ძებნას იწყებდნენ, შეიძლება სხვა ნაწილში ყოფილიყო გადასული, თუ ვერ იპოვნიდნენ, აგზავნდენ ოჯახში უგზო-უკვლოდ დაკარგვის ცნობას.

ზოგიერთი უხასიათო პიროვნება, რომელსაც არაფრად მიაჩნდა სამშობლო, გერმანელების მხარეს გადადიოდა, იპარებოდა. მოწინააღმდეგე მხარე კი

ალბათ იყენებდა, როგორც მზვერავს, ყველაფერს ათქმევინებდა. ასეთი ქართველი არ გამიგია. რუსები ხშირად მიდიოდნენ.

ერთი ამხანაგი მყავს, ქართველიშვილია გვარად, კახელი გოგოა, ჩვენს ნაწილში იბრძოდა, 10 წლის წინ გამოუჩნდა ქმარი, დაკარგული იყო. მოუვიდათ ქაღალდი უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. თურმე ის წასულა საფრანგეთში, მდიდარ ქალს შეჰკედლებია და ისე ცხოვრობდა. 10 წლის წინ მოსწერა წერილი ოჯახს – მე ცოცხალი ვარ და თუ მიმიღებთ, ჩამოვალო. მეუღლე წინააღმდეგი იყო, მაგრამ შვილებმა – ჩამოვიდესო. ჩამოვიდა, ბევრი სიმდიდრე ჩამოუტანა ამ ოჯახს, ახლაც ცხოვრობენ მშვენივრად.

მეორე ამხანაგი კი საფრანგეთში ვიღაც ქალთან იყო და მთელი ომის პერიოდი მასთან გაატარა. ჩამოვიდა ვითომ დემობილიზაციით, იმავე ღამით პატიმრობაში აიყვანეს. ჩვენი ორგანოები იცი, როგორ მუშაობენ! მამაკაცი კი იკადრებდა ყველაფერს, ქალი ამას როგორ გაბედავდა? ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

1944 წლამდე უკრაინის ტერიტორიას ვიცავდით. მერე წაგვიყვანეს ბერლინის შტურმზე. ჩვენი ჯარი ბერლინს მიუახლოვდა. ბერლინის მისადგომებთან დაგვაბანაკეს. ეს 1944 წელია.

ბერლინის მისადგომებთან კარგა ხანს ვიდექით. 1945 წლის 3 მაისი იყო, როცა გვითხრეს, ხვალ დილით შტურმით შევდივართ ბერლინშიო. დავიწყეთ მომზადება. ყველა სამხედრო იარაღი მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო. მე მაშინ მეკავშირეთა განყოფილების უფროსი ვიყავი, მებარა 20 გოგონა. ბატარეა 100 კაცისაგან შედგებოდა, რომელსაც კავშირი ჰქონდა დივიზიონთან. დივიზიონში რამოდენიმე ბატარეა შედის. ჩვენი III დივიზიონის IV ბატარეა იყო. ჩვენ ყველა ნაწილთან გვქონდა კავშირის ხაზი. ეს დამაკავშირებელი ხაზები ხეზე და მიწაზე გადიოდა, მტერი მათ ხშირად აზიანებდა და გვიხდებოდა შესაკეთებლად წასვლა.

ერთი ასეთი მომენტი მინდა გავიხსენო: ბერლინის მისადგომებთან ვართ და სამეთაურო პუნქტთან ხაზი გაწყდა, სასწრაფოდ უნდა აღგვედგინა. ჩვენი მეკავშირეები ხაზზე იყვნენ წასულები და მხოლოდ 2 გოგონა და მე ვიყავით დარჩენილი. დავტოვეთ ყველაფერი და თავად წავედით სამეთაურო პუნქტთან ხაზის აღსადგენად. მივდივართ... გერმანიას ძალიან ტყიანი ადგილმდებარეობა აქვს. მივდივართ ტყეში და ვიცით, რომ იქ, 50 მეტრის დაშორებით, გერმანელთა ნაწილებია. წარმოიდგინეთ, არავითარი შიში არა გვქონდა, პირიქით, გვინდოდა, რომ რაღაცა გმირული საქმე ჩაგვედინა იქ და ჩვენი სახელი დარჩენილიყო. ასეთი პატრიოტიზმი ჰქონდა ახალგაზრდობას. საიდან, არ ვიცი, ალბათ აღზრდის ბრალი იყო, სკოლაში, ოჯახში; გვწამდა, რომ თავი უნდა გაგვეწირა სტალინისათვის, საქმისათვის და სახელმწიფოსათვის. არ გვეშინოდა არაფრის, 18-19 წლისები ვიყავით... 19 წლისა გავხდი კიევში.

მივდივართ, გვესმის, რომ გერმანელები რუპორებით გველაპარაკებიან, – „დევოჩკი, ნე ბოიწეს, იდიწე სპოკოინო“ (გოგონებო, ნუ გეშინიათ, ჩვენ ხელს არ გახლებთო). მივყვებით სატელეფონო ხაზს და ყოველ წამს გვგონია, რომ ნამდვილად გვესვრიან, მაგრამ მშვიდად მივედით, ერთი სამ ადგილას იყო ხაზი დაზიანებული, გავაკეთეთ ყველაფერი. ვბრუნდებით უკან და გვესმის, გერმანელები ჩვენს სიმღერას, სულიკოს უკრავენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჰქონდათ... ასეთი

ზეინაბ თაქთაქიშვილი (ზის, მარჯვნიდან მეორე) თანამებრძოლებთან ერთად. 1943, 22 თებერვალი

მუსიკით გამოგვაცილეს, შევეცოდეთ. მათაც ჰქონდათ რაღაც ადამიანური. ასე გადავრჩით. ეს ერთი შემთხვევა.

მეორე შემთხვევაც მახსენდება: სწორედ გერმანიაში შესვლის წინ ჩვენი ეშელონის წინამძღოლს გზა აერია და შევედით პირდაპირ გერმანელების ტერიტორიაზე. ეშელონი 40-50 მანქანისაგან შედგებოდა. დაიწყო დაბომბვა, მოდიან თვითმფრინავები, ხელი რომ ასწიო 50 მეტრის სიმაღლეზე, თითქმის მისწვდები თვითმფრინავს. ვხედავთ ყველას, მფრინავსაც და თუ ვინ სად ზის, იმასაც. დაიწყო დაბომბვა, ვინ სად იმალებოდა... ეშელონის წინა ნაწილი, რამდენიმე მანქანა – სულ დაბომბეს, ახლა ჩვენზე წამოვიდნენ, ხელებს გვიქნევდნენ თვითმფრინავიდან. ყველა დაიმალა. მე დავიბენი, ჩვენი ნაწილის უფროსს ვუყურებდი, რომელიც იქვე მაგიდის ქვეშ შეძვრა. მე ვერაფერი ვეღარ მოვახერხე. ჩვენს მანქანას ჰყავდა მძღოლი, ძალიან მსუქანი რუსი კაცი. მძღოლმა რომ დამინახა ასე დაბნეული, მომკიდა ხელი, კედელს მიეყრდნო და ზურგს უკან დამმალა. ვხედავდით, როგორ მოდიოდა ჩვენზე თვითმფრინავი და ტყვიამფრქვევიდან ჭურვებს ისროდა. ამ კაცს მოხვდა ფეხში და დავარდა. გაშეშებული დავრჩი, ისეთ დღეში ჩავვარდი, რომ მეტი არ შეიძლება. შემეშინდა კიდეც, მაგრამ თავი შევიკავე, ადგილიდან ვერ დავიძარი. რომ გადაიფრინეს, მოვიდნენ დასახმარებლად სანიტრები, მძღოლი წამოაყენეს. იმ კაცმა, სახელიც არ მახსოვს, შეიძლება – საშა, გადამარჩინა. ჩვენი ნაწილიდან მაშინ ძალიან ბევრი დაიღუპა.

1945-ში ვიდექით ქალაქ ბრესლაუში (ახლანდელი ვროცლავი). ის ძლიერი ქალაქი, ციხესიმაგრე და ბერლინის პლაცდარმი იყო. ქალაქში ბევრი ქარხანა და ფაბრიკა იყო, ხალხი კი ქალაქიდან გახიზნული.

სანამ მაისი მოვიდოდა, გერმანიის ქალაქები სულ დაცარიელებული იყო, დაცარიელებულ სახლებში შესვლა აკრძალული გვქონდა, ბრძანება იყო გამოსული – ხელი არაფერს არ ახლოთ, არ შეხვიდეთ სახლებშიო. გოგონები მაინც

ვიპარებოდით. სახლები იყო ცარიელი, მიტოვებული, დალაგებული, დასუფთავებული, საათიც კი მუშაობდა. ენით აუწერელი სახლები იყო, სიმდიდრე... შევდიოდით, როცა დრო გვქონდა, თან გვეშინოდა ჩვენი ნაწილის მეთურებისა, რომ არ გაეგოთ. გვაინტერესებდა, მაინც ახალგაზრდები ვიყავით. კარები ღია გვხვდებოდა, ხალხი გახიზნული იყო ტყეში. ღამე მოდიოდნენ სახლში დასაძინებლად. სითბო იყო, მაისის თვე... შევიდოდით და გამოვაღებდით გარდერობებს, რა გინდოდა, იქ არ ყოფილიყო – ნაირნაირი ტანსაცმელი! გვენატრებოდა ტანსაცმელი... გვინდოდა ადამიანური ტანსაცმელი გვცმოდა.

ჩვენ სამხედრო ფორმა და ჩექმები გვეცვა. ყოველ კვირას აბანოში დავდიოდით, სადაც უნდა ვყოფილიყავით, კაცები აბანოს გვიმართავდნენ. ამ მხრივ, როგორც ქალებს, ჩვენ არაფერი არ გაგვჭირვებია. ძალიან გვპატრონობდნენ. ვხსნიდით ამ გარდერობებს, ნაირნაიებს ვიცვამდით, ვიცვლიდით... თითქმის ყველა ოჯახში დიდი სარკეები იყო. ამ სარკეების წინ ვტრიალებდით და ერთი ამბავი გვქონდა. ასე ვიპრანჭებოდით, გვსიამოვნებდა. საჭმელი... ეს მაცივრები გავსებული ჰქონდათ ყველაფრით, მაგრამ ჩვენ ხელს არაფერს ვაკარებდით, მეთაურის ბრძანება იყო გამოსული, ძალიან გვეშინოდა, მოწამლული არ ყოფილიყო.

მახსოვს, ერთხელ ნაწილიდან სამი გოგონა წავიდა, ღამე მოვალთო. წავიდნენ, აღარ ჩანან, თურმე ბინა დანაღმული ყოფილა. კარი გააღეს თუ არა, ნაღმი აფეთქდა, სამივე გოგო ისე დაიჭრა, არავის ეგონა, თუ გადარჩებოდნენ. ამის შემდეგ უფრო მკაცრი ბრძანება გამოვიდა და ვეღარ ვბედავდით ქალაქში გასვლას, გვეშინოდა.

რამდენიმე თვე ვიდექით ბრესლაუში, ისეთი სასიამოვნო ცხოვრება გვქონდა, რომ მეტი არ შეიძლებოდა. გერმანლების დანატოვარი თბილი ბინები, გათბობაც კი გვქონდა. ისე ვიყავით, როგორც ჩვენს საკუთარ სახლში. იქ გვეძინა, ჩვეულებრივი ცხოვრება გვქონდა. ჩვენი ხელმძღვანელობა შეარჩევდა ტერიტორიას, ბინებს გაასუფთავებდნენ და იმ ბინებში ვიყავით. ლოგინიც მათი იყო, ბუმბულის ლოგინში ვიწექით გოგონები. მოკლედ, გერმანიაში კარგი ცხოვრება ვნახეთ. ეს არის, რომ შიში გვქონდა, ჩუმ-ჩუმად გავიპარებოდით და მივდიოდით ქალაქის დასათვალიერებლად. გერმანიაში ხარ და ხომ გინდა, რომ ქალაქი დაათვალიერო, რაღაცა ნახო. მაღაზიებში დავდიოდით. მაღაზიები ღია იყო. ჩვეულებრივი ცხოვრება იყო. აი, რომ დატოვონ თბილისი... კარებს კი არ კეტავდნენ სახლში... მაღაზიებიც სულ ღია იყო, მაგრამ ხელს არავინ არ ახლებდა არაფერს. მაღაზიებში გაყიდვა არ წარმოებდა. ქარხნები კი დაკეტილი იყო, საათების ქარხანა, ასევე რადიოტექნიკის ქარხანა, ძვირფასეულობის ქარხანა, იმათ ხელს ვერავინ ახლებდა. ადრე ჩვენ ხალხს მაღაზიებიდან გამოჰქონდა საქონელი, მერე, განკარგულება რომ გამოვიდა, ეშინოდათ. იმიტომ რომ ჩვენს ნაწილში რამე რომ მოგეტანა, მაგალითად, უცხო ტანსაცმელი, ამაზე საყვედური იყო და „გაობახტში“ გიკრავდნენ თავს, 2-3 დღე ჩაგსვამდნენ „კუკუშკაში“. მაინც ახერხებდნენ, ხომ იცი ადამიანი როგორია. მე თვითონ ისეთი კარგი კაბები მქონდა რამდენჯერ წამოღებული, მაგრამ ლოგინის ქვეშ ვმალავდი ხოლმე.

გვქონდა თავისუფალი დროც. შაბათი და კვირა ვისვენებდით. წარმოიდგინეთ, შაბათ-კვირას გერმანელები არ ომობდნენ, არ ისროდნენ. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, გერმანელები როდის უნდა წამოსულიყვნენ იერიშზე. მაგალითად, შესვენება ჰქონდათ

დილით 12 საათზე, შემდეგ 4 საათზე და საღამოს ვახშმის დროს. იმ პერიოდში ჩვენც თავისუფალი ვიყავით, ქალაქში ვიპარებოდით და რაღაცეები მოგვქონდა.

ბრესლაუში ერთი დიდი სახლი იყო. იქ, ალბათ, რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, დიდი სიმდიდრე იყო, მაცხოვრებლები წასულები იყვნენ. ამ სახლის გამოცლას ჩვენი ახალგაზრდობა ერთი კვირა მოუნდა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ძვირფასეულობა, ვერცხლეულობა, ოქროულობა, ყველაფერი გამოჰქონდათ. პატარა ნივთის გამოტანა შეგეძლო, ისეთის, რომლის დამალვასაც მოახერხებდი, მაგრამ ფრთხილად უნდა მოქცეულიყავი, ვინმეს რომ არ ენახა. სასტიკად იყო აკრძალული, ზედმეტი ტვირთი რომ დაენახათ ხელში, სასტიკი საყვედური არ აგცდებოდა, საყვედური კი არა, ერთ-ორ დღეს ჩაგსვამდნენ „გაობახტში“. იცი, რა არის „გაობახტი“? (იცინის).

„გაობახტში“ დასჯილებს ათავსებდნენ. სპეციალურად გამოყოფილი ოთახი იყო, თუ რაღაცას დააშავებდი, ერთი-ორი დღე ჩაგსვამდნენ. იქ უნდა მჯდარიყავი. ჩემი მეგობარი, მარო კახიძე სულ „გაობახტში“ ივჯდა. ძალიან ცოცხალი ქალია, არავის არ ემორჩილებოდა, ხშირად უფროსს ეპასუხებოდა, შეტევაზე გადადიოდა. „გაობახტში“ საწოლიც იდგა, ყველაფრით გამართული ოთახი იყო, სამაგიეროდ ერთხელ გაჭმევდნენ, ჩვენ კი კარგად ვჭამდით. „გაობახტთან“ ყარაული იდგა, ოთახი დაცული იყო, ვერავინ ვერ მივიდოდა, უფროსის გარდა. ძალიან ჯიუტი გოგოები იყვნენ და ბევრს ხვდებოდა „გაობახტი“. 150 „გაობახტი“ მქონდაო, მარო კახიძე იძახის. მე კი ძალიან დამჯერი ვიყავი.

ერთხელ ტელეფონთან ვმორიგეობდი. 3 გოგონა ვიყავით და ოთხ-ოთხი სააათი ვმორიგეობდით. მე მომიწია ღამე მორიგეობა. ჩვენი ნაწილი განთავსებული იყო შენობაში, ჩვეულებრივ სახლში. თბილისში რომ ვიდექით, ლისის ტბაზე, მიწურებში ვცხოვრობდით, ასევე უკრაინაშიც. გერმანიაში კი, როცა ხალხი სახლებიდან გაიხიზნებოდა, ჩვენი ნაწილი მიტოვებულ სახლს აიღებდა და იქ განგვათავსებდნენ. გერმანიის ტერიტორიაზე საცხოვრებელ სახლებში ვცხოვრობდით, ჩვენს ტერიტორიაზე კი მიწურებში.

მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს მორიგე ვარ. უფროსი ყოველთვის გვამოწმებდა, გვაფრთხილებდა, გოგონებო, არ დაგეძინოთო. დამძინებია, გვერდში ტელეფონი მიდგას და რადიოაპარატურა. ჩვენი უფროსი მოვიდა და ერთ ფეხზე გამხადა. ვერ გავიგე ვერაფერი. მაშინ ბატინკა მეცვა, „შნურებიანი“ (თასმებიანი). როგორ გამხადა, რომ ვერ გავიგე, ამისათვის მომცეს ერთი „ნარიადი“, ერთი დღე ვიჯექი იმ „გაობახტში“. ასეთი ერთი დღე მახსოვს, მეტი არა (იცინის). არ შეიძლება ძილი. ძალიან უწყინარი, ლმობიერი გოგო ვიყავი, უდედმამოდ გაზრდილი ყველას ვეცოდებოდი. მათაც შევეცოდე ალბათ და ერთი „გაობახტი“ მომცეს. ის იყო და ის. იმის შემდეგ „პოსტზე“ არ დამიძინია.

კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება. ბრესლაუში ღამე საყარაულოში ვდგევართ, ვიცავთ ერთ პოსტს, რომ ვიღაც უცხო პირი არ შემოვიდეს. თოფი მაქვს ხელში. ღამეა, ქარია, მესმის შრიალი. ახლაც მიკანკალებს გული... ვიფიქრე, ვიღაც გერმანელი მოდის-მეთქი. ხდებოდა ასეთი შემთხვევები, შემოდიოდნენ და ჩვენს ჯარისკაცებს კლავდნენ. მესმის შრიალი, ხმაური, აღარ ვიცი, რა ვქნა. საპატრულო შორს არის, რომ დავიყვირო. ვხედავ, ვიღაცის სილუეტი მოდის ჩემსკენ. ერთი კი დავიყვირე და გავისროლე. იარაღი გვქონდა და სროლაც

ვიცოდით. გაიქცა ეს სილუეტი. სამეთაურო პუნქტში იყვნენ პოლკის უფროსი, შტაბის უფროსი, მოადგილეები. რომ გავისროლე, გამოცვივდნენ. მოვუყევი რაც მოხდა. დიდი მადლობა გამომიცხადეს. მეორე დღეს გავიგეთ, რომ ნამდვილად გერმანელი ყოფილა შემოპარული. იქვე ახლოს ჩვენი მეორე ნაწილი იყო ბინაში განთავსებული და იმ ბინაში შეუგდია ყუმბარა. მე რომ გავისროლე, ის მიხვდა, რომ შტაბი იყო. ამაზე მადლობა გამომიცხადეს, მომცეს წერილობითი საბუთი. მე იმდენი მადლობები მაქვს მიღებული...

ამის შემდეგ წავედით უკვე ბერლინის შტურმზე. 3 მაისია, ყველანაირი იარაღი მზადყოფნაში გვაქვს. მოვიდა ნაწილის უფროსი და გაგვაფრთხილა, არ შეგეშინდეთ, ფხიზლად იყავით, არ დაიძინოთ, ამაღამ შეიძლება ძლიერი შეტევა იყოსო. ჩვენი ნაწილი 4 მაისს მზად იყო. ველოდებით... – არაფერი. 5-ში დილით მოხდა კაპიტულაცია, გერმანელები დაგვნებდნენ, დათმეს პოზიციები, წავიდნენ მოლაპარაკებაზე. გამოაცხადეს თავისუფალი მდგომარეობა.

წარმოიდგინე, გვეწყინა ძალიან, იმიტომ, რომ გვინდოდა გვესროლა, გადავსულიყავით იერიშზე. თუმცა ეს ფაქტი 9 მაისამდე არ იქნა გამოცხადებული. 9 მაისს გამოაცხადეს გამარჯვების დღედ. ნეტა გენახა ჩვენი სიხარული, რა ამბავი იყო, რა ვიცი, რას არ ვაკეთებდით, გოგონებს აგვიყვანდნენ და ჰაერში გვისროდნენ. იმ სიხარულის გადმოცემაც არ შეიძლება. სროლა იყო ისეთი, შტურმი გეგონებოდა, ყველაფერს ისროდნენ. მაგრამ ჩვენ უფრო ის გვიხაროდა, რომ ბერლინსა და რეიხსტაგს ვნახავდით. ჯერ ნაწილიდან არ გვიშვებდნენ. ერთი კვირის შემდეგ დავიწყეთ ბოდიალი ბერლინში, ქალაქის დათვალიერება. ქვა-ქვაზე იყო გასწორებული, ბერლინი სულ განადგურებული იყო. თუმცა ბერლინის მისადგომებთან, ქალაქ ბრესლაუში, არაფერი არ იყო დანგრეული. ასე დავამთავრეთ იქ ომი.

მერე მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო – 4 თვე ისევ ვიდექით ბერლინის მისადგომებთან, კიდევ ვიცავდით. იცით, რა ამბავი იყო ომის შემდეგ? ომის შემდეგ მეორე ომი იყო. გერმანელები შემოდიოდნენ ჩუმად, წვავდნენ ჩვენს ჯარისკაცებს, ემტერებოდნენ ხალხს, ემტერებოდნენ ნაწილებს. მაინც დაცვა იყო საჭირო.

თბილისში რომ ჩამოვედი დემობილიზაციით, ჩვენს სახლში სამუშაოებს გერმანელები ასრულებდნენ, მთელ თბილისში გერმანელი ტყვეები იყნენ მოდებულები. მუშაობდნენ ეზოებში, მშენებლობებზე, წყალგაყვანილობას, სახურავებს აკეთებდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლაც მაქვს მათი გაკეთებული სკამები შენახული. რასაკვირველია, გერმანელებს ჩვენ ძალიან პატივს ვცემდით, ვაჭმევდით, ვასმევდით, ყურადღებას ვაქცევდით, თვითონაც ისეთი გულთბილი ხალხია... ისინი იცი რას იძახდნენ, – განა ჩვენ გვინდოდა ომიო? ჩამოჯდებოდა კიბეზე პროფესორი კაცი და გვაჩვენებდა სურათებს თავისი ოჯახისას. ისე მეცოდებოდა. არაფერი არ იცოდა თავისი ოჯახის შესახებ. ძალიან თბილი ხალხია გერმანელები, – რომ გააღიზიანებ ადამიანს, ქართველი ქართველსა კლავს. რცხვენოდათ, რომ დავპატიჟებდით და საჭმელს გამოვუტანდით. როგორი ჩაცმულები იყვნენ, შეგეცოდებოდა, გაღლეტილები, პროფესორს კი არა, მათხოვრებს ჰგავდნენ. მერე ტყვეების გაცვლა მოხდა და წაიყვანეს. ომი რომ დამთავრდა, ორი წელიწადი იყვნენ აქ.

ბრძოლისათვის მაქვს მთავრობის ჯილდოები და მადლობები მიღებული. ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია საბჭოთა კავშირის მთავარსარდლის ორი

მადლობა, პირველი მადლობა დავიმსახურე მდინარე დნეპრზე კილომეტრნახევრიანი ხიდის დაცვაში მონაწილეობისათვის და მეორე მადლობა – ქალაქ ბერლინის შტურმში მონაწილეობისათვის, ბრესლაუში.

1945 წელს დავბრუნდი და შევუდექი მშვიდობიან შრომას, მაშინვე ვერ გავაგრძელე სწავლა ინსტიტუტში, იმიტომ რომ ტყვიამფრქვევებისაგან, ბომბებისაგან შუილი მქონდა ყურებში. 2-3 წელიწადი ნევროპათოლოგთან დავდიოდი, ვმკურნალობდი და ვერ შევძელი სწავლა. მერე გავთხოვდი, დავოჯახდი 1949 წელს და დავიწყე სწავლა.

1954 წელს დავამთავრე თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. სწავლა საინჟინროზე ვეღარ გავაგრძელე, ფრიადოსანი ვიყავი, მათემატიკა მიყვარდა უაღრესად... რომ დავბრუნდი, მათემატიკა გამოსული მქონდა თავიდან, მათემატიკისა აღარაფერი მახსოვდა. ომის შემდეგ ტვინი აღარ აზროვნებდა ისე, როგორც საჭირო იყო. მათემატიკა სულ დამავიწყდა. პუშკინის ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე დაუსწრებლად, მაგრამ ამ პერიოდში ვმუშაობდი სატყეო მეურნეობის სამინისტროში კადრებისა და სპეცმუშაობის ინსპექტორად. დამთავრების შემდეგ დამზადების სამინისტროში ვმუშაობდი ისევ კადრებისა და სპეცმუშაობის ინსპექტორად. პედაგოგიური მუშაობა დავიწყე 1955 წელს, ვმუშაობდი მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში საშუალო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. იქ მე და ჩემი მეუღლე ერთად გაგვანაწილეს. ჩემმა მეუღლემაც ჩემთან ერთად დაამთავრა, ოღონდ მან რუსული სპეციალობა დაამთავრა. ერთად წავედით მარნეულში. მუშაობის პერიოდში განათლების სისტემაში ბევრი მადლობები მაქვს მიღებული. 1978 წელს მომენიჭა განათლების წარჩინებული მუშაკის წოდება. შემდეგ გადმოვედით თბილისში და დავიწყე მუშაობა მე-17 საშუალო სკოლაში. 7 წელიწადი მარნეულში ვიმუშავეთ, მერე უკვე შეგვეძლო ქალაქში მუშაობა. მაშინ ასეთი წესი იყო. შემდეგ გადამიყვანეს მე-7 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ, მერე კი დირექტორად ვმუშაობდი.

პენსიაზე გასვლის შემდეგ საზოგადოებრივ საწყისებზე დავიწყე მუშაობა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ვეტერანთა საბჭოში. ეს მოხდა 1997 წელს. ვმუშაობთ საზოგადოებრივ საწყისებზე, ხელფასი არა გვაქვს. გვაფინანსებს ქალაქის ვეტერანთა საბჭო, ისინი წელიწადში 2-ჯერ რაღაცას გვაძლევენ, დახმარებას. ვმუშაობ პასუხისმგებელ მდივნად. ჩემი ღვაწლი ხელმძღვანელობამ დააფასა და 2003 წლის 8 მარტს პრეზიდენტმა შევარდნაძემ დამაჯილდოვა ღირსების მედლით. ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ჩემი სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახურს მოვანდომე – ჯერ სამამულო ომის ფრონტებზე, ხოლო შემდეგ განათლების ფრონტზე, ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. 1955 წლიდან სულ ჩაბმული ვარ საქმიანობაში. ერთი დღე არ გამიცდენია. 60 წელია ვმუშაობ, ჯერ-ჯერობით ფორმაში ვარ. მიყვარს ჩემი საქმე, რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაფერი მინდა წესიერად იყოს გაკეთებული. ასე ვიყავი ბავშვობიდან, ასე გავიზარდე. ბებია მყავდა პედაგოგი, გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, მან გამზარდა.

პასუხისგებაში არა ვარ ნამყოფი. მყავს ქალიშილი და 2 შვილიშვილი. ეს არის ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია.

ამჟამად, გამარჯვების 60 წელთან დაკავშირებით, მიწვეული ვართ მიღებაზე პუტინთან. შემდეგ აღლუმში მივიღებთ მონაწილეობას, 20 ვეტერანი მიიწვიეს საქართველოდან, 19 კაცში ერთი ქალი ვარ. მე ქებით არ ვიტყვი, მაგრამ ჩვენს ორგანიზაციას მთელი საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი უკავია ყველაფერში. ამიტომ შემარჩიეს, როგორც კარგი, დამსახურებული მუშაკი. თუ მივაღწიეთ 9 მაისამდე, ხომ წავალთ.

ძალიან ენერგიული ვარ, და რა ენერგიაც მაქვს, უნდა დავხარჯო. ძველებური სტიმულით ვმუშაობ, პატრიოტი ვარ ჩემი სამშობლოსი. მინდა, ჩემი ენერგია ხალხს მოვახმარო.

შევარდნაძის დროს ჩვენ უკეთესი პირობები გვქონდა, ზუსტად არ მახსოვს, ალბათ – 70-იან წლებში. როდესაც რესპუბლიკას უჭირდა და შიმშილობდა, ჩვენ ყელამდის ვიყავით პროდუქტებით მომარაგებული. ტანსაცმლის, პროდუქტების სპეციალური მაღაზია გვქონდა, ყველანაირ დახმარებას ვღებულებდით. მართალია, შეღავათები არ გვქონდა ჯერ, მაგრამ შეღავათიან ფასებში ვყიდულობდით პროდუქტსაც და ტანსაცმელსაც.

შევარდნაძის პერიოდში, 1995 წლიდან დაგვენიშნა შეღავათები, მაგრამ ამ შეღავათებს ხან ჩამოგვართმევდნენ, ხან ისევ დაგვიბრუნებდნენ, ასე გვაწვალებდნენ. 1995 წლიდან დამატებით უნდა მოეცათ მოხუცებულობის პენსიებიც, მაგრამ დღემდე არ გვაძლევენ. მხოლოდ ომის მონაწილის პენსიას ვღებულობთ, 45 ლარს. მოხუცებულობისა და სტაჟის მიხედვით პენსიებს არ ვღებულობთ. შარშან გავასაჩივრე, გადაწყვიტეს, რომ 2004 წლის 1 იანვრიდან უნდა მიმეღო დამატებით მოხუცებულობის პენსია – დღესაც არაფერია. ახლა შემპირდნენ, ვითომ წელს უნდა მოეცათ, წელსაც უარი გვითხრეს და 2006 წლისათვის გადადეს. ასე გვაწვალებენ 10 წელია, 1995 წლიდან. ჩვენს პენსიებს ვიღაცა ჭამს.

საჩივარი გვქონდა დაწერილი ნოღაიდელის სახელზე პენსიების შესახებ. ახლა შეჩერებულია. ნოღაიდელი პრემიერი გახადეს, ჩვენ კი დავრჩით ისევ ისე. 45 ლარით რანაირად უნდა შეინახო ოჯახი?

არავითარი პატრიოტიზმი არ არის ახლა ჩემს ოჯახში, შვილიშვილები მყავს, ისინი იმას არ გააკეთებენ, ჩვენ რაც გავაკეთეთ. ჩვენ ომში იმისათვის წავედით, რომ სამშობლოსათვის შეგვეწირა თავი, სტალინისათვის შეგვეწირა თავი. თავდადებულები ვიყავით, გვინდოდა საგმირო საქმეები გაგვეკეთებინა. ახლა ვის სად წაიყვან?

შეიცვალა დროება, შეიცვალა წყობილება, ყველაფერი ხომ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებულია. ხელმძღვანელობა როგორც დააყენებს საქმეს, ისეთი სახელმწიფოც იქნება. ჩვენ ისე ვიყავით აღზრდილი, რომ არავითარ შემთხვევაში თავს არ დავზოგავდით სახელმწიფოს ღირსებისათვის, ახლა ვის აინტერესებს სახელმწიფო? ყველა თავის ჯიბეზე ფიქრობს, მაშინ არ იყო ფულების გაფლანგვა, კორუფცია. ორი წუთი რომ სამსახურში დაგეგვიანებინა, ჯერ ერთ გაფრთხილებას მოგცემდნენ, მერე მეორე გაფრთხილებას, მესამე გაფრთხილებაზე კი გათავისუფლებდნენ. დისციპლინა უმაღლეს დონეზე იყო, ეს არის მთავარი საზოგადოებისთვის. ახლა რომ დისციპლინა იყოს, ასეთი აურზაური კი არ იქნებოდა. ჯერ

მაშინდელ ჯარს რომ ვადარებ ახლანდელ ჯარს, საშინელებაა, ისეთი განსხვავებაა. როგორი დისციპლინა იყო, უკან მოხედვის საშუალება არ გვქონდა, ერთი ნაბიჯი უკან რომ გადაგედგა, დაგხვრეტდნენ. „არც ერთი ნაბიჯი უკან“ – ასეთი დევიზი იყო. ახლა რა გააკეთეს? ეს რეზერვისტები მოიგონეს, ფულები რომ შეჭამონ. ამოდენა ხალხი გაიყვანეს სამუშაოდან და სადღაც რაიონში, ოსიაურში, რაღაცა შექმნეს, ვითომ ავარჯიშებდნენ. რაღაცეებს მაიმუნობენ. იმაში ჩადებული თანხა ჯარისთვის მიეცათ, ჯარი ხომ მშიერია? რომ იძახიან, თითქოს უკეთესი პირობებია ჯარშიო, არავითარი პირობები არ არის. მეზობლის შვილი ვაზიანში მსახურობს, საწყალი მოდის ყოველ კვირას სახლში და აღარ უნდა ნაწილში წასვლა. მშივრები არიან, რაღაცა „ბალანდას“ გვაჭმევენო. „ბალანდას“ ეძახიან სუპს, სადაც ერთი კარტოფილი გდია და ერთი მაკარონი, უხარისხო საჭმელია. ხელმძღვანელობაზეა ყველაფერი დამოკიდებული. თუ ხელმძღვანელი კარგი გყავს, შენც კარგი იქნები. სტალინი იყო ჩვენთვის ყველაფერი! ღმერთი, ღმერთი იყო სტალინი.

კატო კიკნაძე

დაბადების წელი: 1925

2004 წელს თელავის რაიონის სოფ. გულგულაში ჩაიწერა
მარიამ სეხნიაშვილმა

დავიბადე სოფელ გულგულაში, კიკნაძეების ოჯახში. ძველი სახლი გვედგა. ძალიან ძველი, ნატანჯი ქალი ვარ, სადღა აღარ მიმუშავია, ეს ბინა ნახევარი მე ავაშენე. ჩემი ძმა მეურნეობის დირექტორად მუშაობდა, იმანაც ხელი მომიმართა და ძველ სახლს ნაწილი ოთახები ქვევიდან მოადგა. სახლის ერთი ნახევარი ჩემი ძმისაა, მაღლა 2 ოთახი, ქვევით მარანი და ერთი ოთახი ჩემია.

ბავშვობა აქ გავატარე, მეოთხე კლასამდე. მეოთხე კლასიდან ვსწავლობდი მე-4 საშუალო სკოლაში, თელავში. სკოლის დირექტორი იყო პეტრიაშვილი ქეთო. თელავში დავამთავრე საშუალო სკოლა. მერე სწავლა განვაგრძე საფერშლო სკოლაში. საფერშლო სკოლა დავამთავრე 1941 წლის 25 ივნისს. 21 ივნისს კი ომი გამოცხადდა. 10 დღის დამთავრებული მქონდა სასწავლებელი, 16 წლისა ვიყავი, გიჟმაჟი, რომ იტყვიან, „ჩრდილს ვეთამაშებოდი". იმ ჩრდილს, გზაზე რომ მიდიხარ და რომ მოგყვება. ჩრდილისა ისე მეშინოდა, თითქოს მომდევდა და გავურბოდი.

მოკლედ, საფერშლო სასწავლებელი დავამთავრე 1941 წლის 15 ივნისს, 21 ივნისს ომი გამოცხადდა, 22 ივნისს გამომიძახეს სამხედრო კომისარიატში, გამატარეს აღრიცხვაზე. ჩვენ არ ვიცოდით რა ხდებოდა, სამხედრო საიდუმლოებას არავინ გეტყვის. ახლა კი ყველაფერი ვიცი, მაგრამ იმ დროს გიჟმაჟი ვიყავი, არც კი ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი. „პრიპისნოი" (მიწერილობა) გამოგვიტანეს, ამონაწერი, და „ვეშჩევოი მეშოკი" მოგვცეს, სამხედროებს რომ ჰკიდიათ, ისეთი. „მეშოკი" ცარიელი იყო, სამი დღის მარაგი უნდა ჩაგედო, საჭმელი წაგვეღო ნაწილში, სადამდედაც გვეყოფოდა... დამაყენეს ასეულში, მეთაური კითხულობდა გვარებს, მავანი და მავანი გამოცხადდეს ჩემთანო. მივდიოდით და ყველას გვაძლევდნენ „პრიპისნოის", თან გვანაწილებდნენ – შენ ამ ნაწილში ხარ, შენ იმ ნაწილშიო.

22 ივნისს წაგვიყვანეს, 23 ივნისს ისეთი ამბები იყო, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. პირველად ხარკოვში ვიყავი. ხარკოვში, რომ არ დაგიმალოთ, შემხვდა ჩემი მამიდაშვილი, რაიონის მთავარი ექიმი იყო, დაგვინახა მე და ჩემი ამხანაგი, ჩიკვაიძე თამარა. ძალიან ვუყვარდით ორივე, კარგი მეგობრები ვიყავით, ისიც ჩემნაირი სამამულო ომის მონაწილეა, წინანდალში ცხოვრობს. ჩემმა მამიდაშვილმა დაგვსხა და გვითხრა, სად მიდიხართ, ჭკუა არა გაქვთ, აბა გამომყევით ახლავეო. წამოგვიყვანა უკან თელავში და მიგვიყვანა სამხედრო ჰოსპიტალში, გაგვაფრთხილა, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ, სადაც მე წავალ, სულ იქ მეყოლებითო.

ომი რომ დაიწყო, ჰოსპიტალში ჯერ-ჯერობით არავინ შემოდიოდა, თუმცა ჰოსპიტალი სულ მზად გვქონდა დაჭრილთათვის, თეთრეული სულ გაშლილი გვქონდა. ეს შენობა დღესაცა დგას, მაგრამ ჰოსპიტალი აღარ არის. ჰოსპიტალის შემდეგ ინსტიტუტი იყო, ახლა ქალაქის მუზეუმია.

პირველად გერმანელები მოგვივიდნენ. კავკასიონის მთაზე თვითმფრინავები ჩამოყარეს. ერთ გერმანელს მარჯვენა ფეხი ჰქონდა მუხლში მოჭრილი, იქნებოდა ასე 19-20 წლის ბიჭი, მფრინავი, მეორეს კი მუხლის დაბლა ჰქონდა მოჭრილი. ჩემს თავზე იმას კი არ ვიტყვი, რომ გინდა თუ არა ყველაფერი ვიცოდი-მეთქი, მაგრამ მე ყველაზე ძალიან მაინტერესებდა, როგორია გერმანელი.

გერმანელები ცუდები გვეგონენ, იმიტომ რომ ჩვენ გვებრძოდნენ. შევედი პალატაში, იმისთანა ბიჭები იყვნენ, ოთხნი, ნამდვილად იტირებდი, შვილო. ჩვენც ხომ დედ-მამის შვილები ვართ. ისეთი კულტურულები იყვნენ, უმაღლესი ცოდნით. იმათ ჩვენი ენა არ იცოდნენ, ჩვენ იმათი ენა. რა ერქვათ არ ვიცი, შვილო, გერმანული სახელი ძნელი დასამახსოვრებელია. ჰანსი ჰქვია ჩემს მეგობარს, რომელიც ჰოსპიტალში გავიცანი, ახლაც ვმეგობრობთ, ტელეფონზე მელაპარაკება, ველაპარაკები. ჩემმა გოგომ იცის გერმანული და მე რომ რაღაცის თქმა მინდა, ჩემი გოგო გერმანულად უთარგმნის.

გერმანელები გვაინტერესებდა. ეს ოთხი ორ პალატაში გავანაწილეთ, ორი ერთ პალატაში გვიწევს, ორი მეორეში, შუაში „ხოდი“ იყო, გასასვლელი კარი. მოდის და მოდის ხალხი გერმანელების სანახავად. 10 საათი რომ გახდებოდა, თუკი ვინმე თელავში მუშა-მოსამსახურე, პასუხისმგებელი ადამიანია, ყველას აინტერესებდა როგორები იყვნენ, განა მარტო ჩვენ. მეტი წილი, სულ უშიშროების ხალხი მოდიოდა, პოლიციის ხალხი და ღამე დაკითხვებს ატარებდნენ. ჩვენ რომ გიჟები ვიყავით, ვიცოდით, მაგრამ ეს დარბაისელი ხალხი რომ მოდიოდა სანახავად... ისე ბრაზდებოდნენ გერმანელები... ადგებოდნენ, პალატებში შევიდოდნენ – აქ რა, ცირკია, თუ მაიმუნები ვართო. თავმოყვარე ბიჭები იყვნენ, დაიფარებდნენ საბანს და სახეს არ აჩენდნენ.

პალატის ექთანი ვიყავი, რა უფლება მქონდა, რომ არ შევსულიყავი და არ გამეკეთებინა ყველაფერი. „პერევოდჩიცები“ (თარჯიმნები) გვყავდნენ, პედაგოგი-მასწავლებლები, გერმანულად მითარგმნიდნენ, ასე ველაპარაკებოდით. საჭმელს არ ჭამდნენ ჩვენსას. ჩვენ, რომ გითხრათ სიმართლე, თეთრი პური იშვიათად გვქონდა, მეტი წილი შავ ფურნის პურს ვჭამდით, ისე ბორშჩი ბევრი გვქონდა. ბორშჩს, რომ მივუტანდით, გვეუბნებოდნენ – სესტრა, ეტო კუშაეტ ნაშა საბაკაო, ჩვენი ძაღლი ჭამს ამასო. ჯიბეზე ჰქონდათ „მოყოლილი“ შოკოლადები. გაჩხრეკის შემდეგ ჯიბეზე როგორ შერჩათ, არ ვიცი. თურმე გერმანელები, რომ დაფრინავდნენ, საჭმლის მაგივრად შოკოლადით იკვებებოდნენ. ჩხრეკის შემდეგ 4 ცალი შოკოლადი ჯიბეზე შერჩათ. ეს შოკოლადი ჭამეს ოთხ დღეს. არავისგან არაფერი არ მიიღეს, წყალი რომ წყალია, არ დალიეს, დავიხოცოთო, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნიაო. არ ჭამდნენ იმიტომ, რომ სიკვდილი უნდოდათ, ჩვენ აქ კარგი დღე არ დაგვადგებაო, ფიქრობდნენ. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ღამის 2 საათზე თბილისში გადაიყვანეს.

არ მახსოვს, რომელი წელია. ეშალონი ეშალონზე მოდის... ვერ აგიწერთ, იმოდონა ხალხი მოგვივიდა, ჩვენი ქართველი დაჭრილები. აი წვერები, მამაკაცებს, ომში ნამყოფებს. ტილიანები, შვილო. და ეს ტილები, როგორც ღორს ჯაჭვი შეაბა საყელოზე, ისე დასდევდათ. ტილები ზედიზედ იყო დაწყობილი. ჰოსპიტალში გვქონდა საპარიკმახერო, საპარიკმახეროში ასი კაცი იყო. შეგვყავდა დაჭრილები აბანოში, ვწმენდდით, ჭრილობებს ვამუშავებდით. თბილისიდან ჩამოგვივიდნენ

პროფესორი ანთელავა და პროფესორი ბუღაძე. მე ოფიციალურად მაგათთან ვმუშაობდი საორგანიზაციო დარგში. მე, ახალქალაქელი ლენა და ჭიბალაშვილი ქეთო ოპერაციებს ვაკეთებდით, ძალიან დიდძალი ხალხი მივიღეთ. მერე ეს ჩვენი ჯარისკაცები სამი კვირის შემდეგ გაასახლეს ჩვენი ჰოსპიტალიდან. ჰოსპიტალი გადაიქცა ტყვეთა ჰოსპიტლად. მოვიდა გერმანელთა ეშელონები, ნუღარ მეტყვი, უამრავი ტყვეები... იმოდონა ტყვეები მოგვივიდნენ, რომ პირდაპირ ვერ აგიწერ.

ერთხელ ეშელონთან მივდიოდი სადგურზე, ავადმყოფის ჩამოსაყვანად, ავარიაში მოვყევი. ბარძაყი სულ წამართვა მანქანამ და ფეხი მარტო დუნდულას დაეკიდა. ერთი სამი თვე თაბაშირში ჩამაწვინეს, იქვე ჰოსპიტალში დამაწვინეს (მაჩვენა ჭრილობა). ჩემთვის შვილის ყოლა არ შეიძლებოდა, მენჯის ძვალი და ნახევარი დუნდულა არა მაქვს. აი ამაზე გული მომდის, რომ ისეთები ღებულობენ სახელმწიფოსაგან დახმარებას, ისეთებსა აქვთ ხელის შეწყობა, იმდენი ჭირ-ვარამი მაქვს გადატანილი, რატო უნდა ვიყო უპატრონოსავით.

ტყვეები მოიყვანეს საავადმყოფოში, სულ გერმანელები იყვნენ. ორმა გერმანელმა მოიგიჟიანა თავი ჰოსპიტალის შემოსასვლელში. მახსოვს, მავთული გვქონდა გაბმული, მავთულის აქეთ ჩვენ ვიყავით, მავთულის იქით ტყვეები უნდა ყოფილიყვნენ. ტყვეებმა რომელიღაც ექიმს დაუძახეს, მოჰკიდეს ხელი, ვითომ უნდა დაახრჩონ. გამოუდგნენ ექთნები. ქეთო იყო, თუ თამარა, არ მახსოვს, იმის შემდეგ 50 წელი გავიდა. დაიყვირა რამიშვილმა, პოლიციის უფროსმა, „სესტრა“, ჩქარაო, ნიშანი გვქონდა. გადახტა ექიმი გარეთ, ეს ავადმყოფიც გაჰყვა, რომ ვითომც უნდა დაიჭიროს, დაახრჩოს და მოკლას. რამიშვილმა ესროლა აივნიდან და მოკლა გერმანელი. ალბად განგებაც მოკლა, იმიტომ რომ სხვა ტყვეები დაშინებულიყვნენ და არ გაეკეთებინათ ასეთი რამე. მერე, ჩვენ პოლიციის დაცვის გარეშე არ ვყოფილვართ, ფეხს სადაც გადავდგამდით, სულ პოლიცია დაგვდევდა.

ასე იყო, თუ ისე იყო, დავამუშავეთ ეს ტყვეები. აღარა გვქონდა ადგილი, რომ დაგვეწვინა, ათასობით კაცი მოდიოდა, სულ გერმანელები, ძალიან პატარა პალატები იყო. ჯერ თითო-თითოს ვაწვენდით „კრაოტში“ (საწოლში), მერე ავდექით და ეს კრაოტები მივატყუპეთ, მატრასები სიგანეზე გავფინეთ, მატრასებს პირებს ვუერთებდით და 8 კაცს ვაწვენდით 2 მატრასზე, ორ-ორი ბალიში ედოთ მათ, ზედიზედა ჰქონდათ დადებული თავები... როგორც ჯარისკაცები, ისე ვმუშაობდით, განა როგორც ექიმები. ჩვენთვის დღე და ღამე სულ ერთი იყო, დაუსვენებლად ვმუშაობდით. ასე ვუვლიდით გერმანელებს, სანამ თბილისში გადაიყვანდნენ.

გერმანელი მეგობარი რომ ვახსენე, ის ბიჭი აქ გავიცანი. აი, როგორ გავიცანი, შვილო. ბევრი კეთილი ადამიანია, ბევრი კარგიც არის და ცუდიც. ჰოსპიტალში სტუდენტი ბიჭები იყვნენ, კარგად არა, მაგრამ ცოტ-ცოტა იცოდნენ რუსული. პალატაში რომ შედიოდი, შვილო, იმათ შენი ენა არ იცოდნენ, შენ იმათი ენა არ იცოდი, უნდა გეკითხა გვარი, სახელი, სიცხე რამდენი აქვს, რა აწუხებს, რა წამალი უნდა მისცე. ჩვენ გვყავდნენ ამორჩეული პალატის ზედამხედველი ახალგაზრდა ბიჭები, ჩვენი მარჯვენა ხელები იყვნენ ეს ავადმყოფები. ტყვეები იყვნენ, თუ რაც იყვნენ, ვარჩევდით, ვინც რუსული იცოდა.

ჩემი მეგობარი, რომ ვახსენე, ჩემი ტყვე იყო, ჩემი ავადმყოფი იყო, ჩემს პალატაში იწვა, ჩემს კუთვნილ პალატაში. წამლებს ავიღებდი, „კალიასკა“

(ურიკა) მქონდა, შევდიოდი პალატაში და ეს ტყვე მიმყავდა თანა. წამალს ავიღებდი, ამოვიკითხავდი გვარსა, ის კი გერმანულად ამოიკითხავდა პალატაში, ამ წამლებს მივატანინებდი, დაალევინებდა, მოვიდოდა, ახლა მეორე პალატაში შევიდოდით, ახლა მესამეში, ახლა მეოთხეში, პალატები გვქონდა გაყოფილი. აი ეს იყო, მეტი არაფერი.

ჰანსი ერქვა, ჩემი გოდა (წლისა) იყო, 17-18 წლის, მეტის არა. მერე გადაიყვანეს გამაჯანსაღებელ ნაწილში, ვინც გამოჯანმრთელდა, გადაარჩიეს და მშენებლობაზე გადაიყვანეს. ბევრი რამე აშენდა გერმანელების მიერ. აქ თელავშიცა და თბილისშიც... გული დამეღალა...

ახლა, ცოტა ხნის წინ, აქ იყო გერმანელი, უნდა წავეყვანე ვითომ, არ წავყევი. ფული არა მქონდა, შვილო, იქ რომ ჩავიდე და თვალი მიმივიდეს, რამე მომინდეს ვიყიდო, რა უნდა ვქნა, ვუთხრა, არა მაქვს ფული-თქო?

ამ გერმანელთან აღარ ვმეგობრობდი! (აღშფოთებული ტონი) მეშინოდა გერმანელების! მე რა ვიცი, რატომ... კატოს საყვარელი მოუვიდაო, დამცინოდნენ ბიჭები (იცინის). ბიჭები ძალიან ოხრები არიან, ჩემი სოფლელები, ძაან ახლოს ვარ ბავშვებთანა. დიდი ბიჭები არიან, რომ გაიგეს, ჩამოვიდა ჰანსი, მეუბნებოდნენ, –კატო დეიდა, კატო დეიდა, დაგვპატიჟე რა! საყვარელი მოდისო.

მე როგორ შევინარჩუნე, ან მაგან როგორ შემინარჩუნა... ჩვენ გავწყვიტეთ ყველანაირი კონტაქტი. არც სახელი ვიცოდი, არც გვარი. მახსოვდა, რომ გერმანელი მყავდა, მარჯვენა ხელი, და რაც მჭირდებოდა, ყველაფერში მეხმარებოდა. აქედან რომ წასულა, თბილისში მშენებლობაზე უმუშავია და იქ დაუმეგობრდა ზურა ოშხნელს, ბავშვთა ტელევიზიის უფროსს. ზურა არის ჩემი მეგობარი.

ზურა პატარა რომ იყო, გერმანელები აკეთებდნენ ფეხბურთის სტადიონს. ბავშვებს ხომ უყვართ ფეხბურთი. თურმე ზურაც იქა თამაშობდა. ბებია ჰყავდა ძალიან კარგი. თურმე ეს ბებია საჭმელს ატანდა ოშხნელს ამ გერმანელთან, ხომ იცოდა, რომ ის ეთამაშებოდა ბავშვსა, და ეცოდებოდა, საჭმელი რომ არა ჰქონდა. ამ გერმანელმა ამ ოშხნელთან დაიჭირა საქმე, დაუმეგობრდა. ბავშვსაც ხომ უყვარს ყურადღება, არა? ის ფეხით გაუგორებდა ბურთს, ეს ოშხნელიც გამოუ-გორებდა ბურთსა. მერე ამის გამო დაიჭირეს ოშხნელი, ცხადია, დაკითხეს და აუკრძალეს სტადიონზე შესვლა.

ეს გერმანელი წავიდა თბილისიდან, მოხდა ტყვეების გაცვლა. ჰანსიც წავიდა გერმანიაში, გაცვალეს. ამან არ იცოდა, რომ მე წარმოშობით გულგულიდან ვარ, მაგრამ დაიხსომა, რომ თელავიდან იყო მისი ექთანი კატო კიკნაძე. ალბათ დაიწერა, ან რავი...

მე და ზურას კინაღამ ჩხუბი არ მოგვივიდა ამ თემაზე, – კატო დეიდა, ძაან უყვარხარ, განა! – მეუბნებოდა. კარგი, შვილო, გამანებე თავი-მეთქი. გერმანელს გავყვებოდი? აქაური ბიჭები არა მთხოულობდნენ? იცი, როგორი თანამდებობის ხალხი მთხოულობდა, მაგრამ არ გავთხოვდი, შვილო, ბავშვის ყოლა არ შეიძლებოდა ჩემი, ავარიაში რომ მოვყევი, მუცლის ძვალი არა მაქვს, მუცელი დაგდებული მაქვს, აბა რანაირად, რისთვის უნდა გავთხოვილიყავი...

ერთ ლუკმა პურს ისედაცა ვჭამ, რაღაზე უნდა გავთხოვილიყავი, თუკი რამე მაქვს, სამ ძმისშვილს ვასწავლი, ნეტა დამიფასონ მაინც, ერთი ინჟინერია, მეორე ეკონომისტი. რუსეთში დავამთავრებინე, გოგომ საექიმო დაამთავრა, იქ, რუსეთში

მუშაობდა, შეყვარებით შეირთო ვიღაცა თბილისელი ბიჭი, ბავშვიც ჩამოგვიყვანა. ზუგდიდში ომი რომ დაიწყო (აფხაზეთის ომი), 2-3 დღის გათხოვილი იყო, მისი მეუღლე ომში წაიყვანეს და „აბლავაში" (უეცარი თავდასხმა, ალყა) დააბეს. 4 დღეში თბილისში მკვდარი მოგვიყვანეს. ქვრივი დამრჩა ეს ძმისშვილი.

ჰანსს ჩემი გვარი და სახელი დაუმახსოვრებია. წავიდა გერმანიაში, შეირთო ცოლი, გერმანელი. მოუკვდა ეს ქალი 1961 წელს. ერთი ბავშვი დარჩა. ეს კაცი მძებნის იმის შემდეგ. მთელი თბილისი, მთელი ჩვენი საქართველო შეძრა, მთელი პრესა, სადღა აღარ გაუგზავნია წერილი. წერდა: „მე თელავის გოსპიტალში ვიწექი, მყავდა ექთანი კატო კიკნაძე, როგორც ვიცი, ის თელაველია და ძალიანა გთხოვთ, რომ მოგვიძებნოთ".

მერე გერმანია ჩარია, გერმანიის პრესამ თბილისის პრესას მოსწერა, თბილისის პრესამ თელავის პრესას. მე და მერი ზაალიშვილი, თელავის რედაქციის კორესპონდენტი, მეზობლად ვცხოვრობდით. ერთ დღეს მერი მეუბნება, კატო დეიდაო, შენზედა რაღაც ბარათი მოვიდა და ნეტა კი რედაქციაში შემოიაროო. რა არი-მეთქი, და რა უნდა რედაქციაში წერილს, სიკვდილისთვინ ხო არ მაცხადებენ-მეთქი. გაეცინა, არა, არაო, ვინა წერს-მეთქი, ვიღაც ახალგაზრდა ბიჭია ოშხნელიო, მითხრა. ჩამომართვა ჩვენება, ჩვენმა რედაქტორმა, რედაქციაში. გაუგზავნეს წერილი ზურას, ზურამ გერმანიაში გაგზავნა. მერე (როგორც ჩანს, მოგვიანებით, მაშინ, როცა ზურაც გაიზარდა და უცხოელებთან კავშირების გაბმაც გახდა შესაძლებელი) ზურამ დაიმეგობრა ეს გერმანელი, ჭკუაში ჩავარდა, სამსახური დაიწყო. დაიწყო გერმანიაში ამ კაცთან მსვლელობა, იქ ღამეებიცა რჩებოდა, კვირიდან კვირამდე, არ ვიცი, თავისი საქმე თვითონ იცის. ეს კაცი დიდი მამაძაღლი კაცი იყო, გერმანელი, ზურას ფილმს ართმევდა და გერმანიაში უშვებდა, ხოდა დამეგობრდნენ. ერთ დღეს ზურა ჩამოვიდა და ჩამომიყვანა განათლების მინისტრის მოადგილე, კვარჭახიაო, თუ რა ვიცი, რა გვარი იყო, მორიგე ვიყავი, საავადმყოფოში მოვიდნენ, მომაკითხეს.

ეს ხდებოდა, თუ არა ვცდები... – არ არის დიდი ხანი გასული, – ერთი თხუთმეტი წლის წინ. ხოდა მოვიდნენ უცხო მანქანით, საავადმყოფოში მიძახიან, კატო, უცხო მანქანა არისო, კაცები სხედან შიდაო და გეძახიანო. გოგო, საყვარელი ხომ არ მოგივიდაო? ხო არ გინდა გამოგყვეთო, საჩვენოც ხომ არავინ არიო? დამცინოდნენ. არ ვიცნობდი მაშინ ზურას. გვარით ვიცოდი და შეხედულებით არა. „აი, მე ვარ, წერილი რომ გამოგიგზავნეთ რედაქციაში," – მითხრა ზურამ, ეს განათლების მინისტრის მოადგილე არისო. აპარატი ჰქონდათ შვილო და ის გერმანელი მაჩვენა იმ აპარატში.

მე ვუთხარი, მე რა ვიცი ეს ვინ ოხერია-მეთქი. ვერ ვიცანი, შვილო, აბა, 16 წლის ქალი ვიყავი, 50 წლის შემდეგ რომ მაჩვენეს, როგორ უნდა მეცნო? არ ვიცი-მეთქი. – მე მაინც გავიპრანჭე, – არ ვიცი-მეთქი. მართლა ვერ ვიცანი. მერე შევედით დარბაზში, საავადმყოფოს დარბაზში დადგა ის აპარატი. ამხანაგებს დავუძახე, მოდით გოგოებო აქა-მეთქი. დაატრიალა იქ აპარატურა. მერე მითხრა, ქალბატონო, ხომ არ გეწყინებათ, რომ იმ კაცს ვაცნობო გერმანიაში თქვენს შესახებ, რომ ჩამოვიდესო, როგორი აზრისა ხართო, მიიღებთ თუ არაო? შვილო, სტუმარი ღვთისა არის-მეთქი, კი ბატონო, მობრძანდეს. მობრძანდით-მეთქი, რამდენ ხანში მოხდება ეს ამბავი, ხო მომზადება მინდა შვილო-მეთქი.

თითქმის გადის 2 კვირა, მოვუყევი ეს ამბავი ჩემიანებს, ახლობელი მყავს თელავში ისეთი, მხნე კაცი, 70 წლამდინ არი. დისშვილის ქმარიც ბავშვთა ექიმი მყავს, მძახალიც ბავშვთა ექიმი იყო. სულ ყველანი შევკრიბე, უმაგათოდ რად დავიჭერდი საქმეს, რატომ უნდა გადამედგა ნაბიჯი, საზღვარგარეთიდან ან თბილისიდან ჩამოდიოდნენ უცხო კაცები, რა უნდა ეთქვა ჩემს ნათესაობას?

ჩემმა სიძემ მითხრა, წარბი არ შეიხაროო, ჯერ ცოცხლები ვართ კაცებიო, ჩვენთან მოვიდნენო, შენთან ოჯახში არავის არ გამოვუშვებთო, არც დასაძინებლადაო და არც ისეო. ოჯახები გვაქვსო, ადგილები გვაქვსო, ვიქეიფებთ კიდეცა და დროსაც გავატარებთო.

აქედან წავიღე ინდაური, ქათმები, ბოსტნეული, ბაზარზე ხომ არ ვიყიდდი, 60 ლიტრამდე ღვინო გვქონდა, ვიფიქრე არ დაგვაკლდეს-მეთქი. ჩავაბარგე ყველაფერი თელავში, სახლში, „კუხნაში“ შევკიდე. ამ დროს ჩემი დისშვილი გამოჩნდა, კატო დეიდა, კატო დეიდა, ტელეფონზე ბასილაშვილი ნათელა გეძახისო. ბასილაშ-ვილი ნათელა სოფელში ჩვენი მეზობლის ცოლია, შარაზე წყაროსთან ცხოვრობს. მივედი, რაშია-მეთქი საქმე, თბილისიდან არიან ჩამოსულები, თქვენი ნახვა უნდათ, მუზეუმში არიან და აქ მობრძანდითო. მე ვუთხარი ჩემს ნათესავებს: „აბა, ახლა თქვენ იცით, სადილი გაამზადეთ, მე აღარ მოვალ აქა. სამი-ოთხი ქალი ხართ და ყველაფერი გააკეთეთ, მე წავალ მუზეუმში“.

ნათელამ, რომ დამინახა, მივედი, დაღლილი სახე მქონდა – ორი თონე პური გამოვაცხე, შოთები, ძაან დავიღალევი. „უი, კატო დეიდა, გერმანელებთან ასე მიგიყვან, ქალო? არავითარ შემთხვევაში!“. შემაგდო აბანოში, მაბანავა... „ნათელ, მიგვიანდება, უნდა წავიდე“, ვეუბნებოდი. გრიმები წამისვა, გამალამაზა, წამწამებზე რაღაც წამისვა. ვეუბნები, ნათელ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ადრე სახეზე არაფერს არ ვისვამდი, უცხო კაცებთან ეგრე ნუ გამიშვებ, გოგო, არ შემიძლია-მეთქი. არაო, გოგო ჰყავდა კარგი, ვაჟკაცური, ახლა გაათხოვა. ის გოგო ჩამიყენა გვერდზე, თითონაც „პოდრუჩკი“ (ხელკავი) გამიკეთა, და წავედით.

მივედით, ხალხი, ხალხი, ხალხი! ყველა მე მიცდის, რომ ის კატო ვინ არი, უნდათ მნახონ, გაიგონ, როგორ შევხვდით მე და ის ტყვე. მთელი მიტინგია, მთელი ეს თელავის ქალაქის ხალხი... რომ მივდივარ, ვიღაცამ თქვა, აგერ კატო მოდის, კატოო... ოშხნელმაც გაიცინა. დამიწყეს ყურება, ხოდა, რომ მივედი, იმ ხალხმა გზა დამითმო და შევედი, მოვიდა ეს კაცი, გადამეხვია, მაკოცა, ვაკოცე, მოვიკითხე. რუსულად მომიგო პასუხი.

მუზეუმში კიდევ, გენაცვალე, მთელმა თელავმა შეხვედრა მოგვიწყო, ერთი 400-500 კაცი დაესწრო. სურათები გადამიღეს იქა, გერმანელი რო მკოცნიდა, რომ შევხვდით, გავიხსენეთ იმან რომ გამიცნო, მე რომ გავიცანი.

ჭაღარა თმები ჰქონდა, ცოტა იერით ვიცანი, რომ ძალიან მეცნო, – არა. ისე, ცოტათი ვიცანი. იმან მიცნო. მაგას, გენაცვალე, ტყვეობა გადახდა, პატიმრობა გადახდა, ახლა იქ ცოლ-შვილი ამოეფშუტა, ათასი რამე და კაცზე ძაან მოქმედებს.

მერე წავედით მუზეუმში, დავათვალიერეთ, ვაჩვენე რომელ პალატებში, რომელ სართულზე იწვა. როგორა ტიროდა, როგორი ღვარძლი ჩამოსდიოდა, სულ სათითაოდ დაიარა ოთახები. გაუკვირდა, ნუთუ თელავს ასეთი მდიდარი განძი და ასეთი კარგი მუზეუმი აქვსო. სულ სურათები გადაუღო ყველაფერს.

წავედით სახლში, დავსხედით. დაღლილები იყვნენ, მეც ძაან დაღლილი ვიყავი, რამდენიმე მეგობარს ვუთხარი, ოჯახშიც მეტი ადგილი არა მქონდა, თორემ ერთი 5 კაცი კიდევ მინდოდა მომეყვანა, კარგი დრო გავატარეთ, მთელი ღამე იქეიფეს ამ კაცებმა. მე კი, სიმართლე გითხრა, მივიძინე, დაღლილი ვიყავი. მაგათ 2 ოთახი ეკავათ, გაუწყვეთ „კრაოტები", და ვუთხარი, რომელ ოთახშიც გენებოთ, იქ დაიძინეთ-მეთქი.

მეორე დილას ავდექით, წავიყვანე გრემში. გრემს, გარედან რომ შეხედო, კლდეა, შიგნიდან კი კარგი ტრიალი მინდორია, დიდი ეზო ჰქონია, კარგი სანახაობაც არი. ვაჩვენეთ, სურათები გადაიღო. იქედან ნაფარეულში წავედით, ქვემო ალვანზე გავიარეთ, ზემო ალვანის თავზე გადმოვიარეთ და ალავერდში მივიყვანეთ. ამ ალავერდში გადაიღო ბევრი სურათი, თითონ ზურამაც გადაიღო, იმ ბიჭებმაც გადაიღეს, სულ სურათებს იღებდნენ. იქიდან ამოვედით თეთრ გიორგში, თეთრი გიორგიდან შუამთაში ამოვედით, შუამთიდან ახალ შუამთაში გადმოვიყვანეთ, წარმოდგენა რომ ჰქონოდა საქართველოზე. მერე მოვედით სახლში, რომ დაღამდა. დანარჩენი ოთხი დღე ვათენებდით და ვქეიფობდით, მეხუთე დღეს წავიდნენ.

მომცა გერმანული მაღალი წიგნი (ხელით აჩვენებს), მე გერმანული კითხვა არ ვიცი, ჩემი დისშვილი კარგად კითხულობს. თავის თავზე ეწერა, სურათები ჰქონდა თავისიანებისა.

ეს წიგნი ჩემს დისშვილთან არის დარჩენილი. სურათები გადავიღეთ ჩვენცა იქ, ეკლესიებში რომ ვიყავით, კარგი დრო გავატარეთ. უცხო რომ იყო ჩამოსული, არ მინდოდა რომ....

იმის მერე, ერთხელღა იყო, არ ვიცი, აღარ მახსოვს, ეს როდის იყო, წერილები მოგვდის და მოგვდის... მოკითხვებს გვითვლის, სხვა რაღა უნდა მომწეროს, იმას ხომ არ მომწერს, ჩემი საყვარელი ხარო. მე მოკითხვას ვუთვლი იმის ცოლს, მარიშას, მაგის ცოლს მარიშა ჰქვია. მეორე ცოლი მოიყვანა, იმასთან ქალ-ვაჟი ჰყავს, სამი შვილი ჰყავს, ახლა შეეძინა შვილიშვილი, გოგოსი.

ამასა ჰქონია დასასვენებელი პარკი, ამ კაცსა. არც ვიცი საიდან არის ეს კაცი, რა ქალაქში ცხოვრობს, რა ვიცი, შვილო, რაღაცა კონცხი მითხრა, ტყიან ადგილას ყოფილა გაშენებული, კარგი, დიდებული ბაღი ჰქონია, იქა აქვს დასასვენებელი სახლი. დამპატიჟა, მაგრამ მე არ წავედი, არა შვილო, ფული არა მქონდა და სად წავსულიყავი. ჩვენი ფულით წაგიყვანთო, ჩვენი ფულით გამოგგზავნითო. ვერ ვიკადრე შვილო, კი ბატონო, გზის ფული გადაიხადე, მაგრამ მე იქნებ რა მინდა ვიყიდო, იქნება რაზე მიმდის გული, აი რანაირად, სიკვდილმა ძაან გამაჩანაგა შვილო, სულ სიკვდილი, სიკვდილი და აღარა მაქვს გული, არითმია მაქვს დარღვეული, თითონ მთელი ეს მხარე მივარდება გარეთ. ხომ არ ეხუმრები, სამთვენახევარია ვწევარ თელავში.

ანიკო ხარებაშვილი
1921 – 2008

2004 წელს ყვარლის რაიონის სოფ. ალმატში ჩაიწერა
მარინა ტურაშვილმა

დავიბადე სოფელ შილდაში, გამოვთხოვდი ალმატში, ჩვიდმეტი წლისა. ოთხი წელი მყავდა ქმარი. ოთხი წლის შემდეგ დაიწყო ომი და წავიდა ომში. წავიდა ომში და აღარ დაბრუნებულა, დარჩა იქ.

ვმუშაობდი კოლექტივში. ისე გმირულად ვმუშაობდი, რომ დღეში ორი შრომადღე მეწერებოდა, სულ მცირედ რომ ვთქვა. კალოზე ვმუშაობდი, მოსადილე ვიყავი, ჰოდა ღამე და დღე იქ ვიყავით, ღამეც გვეწერებოდა და დღეც. ამაზე მომცეს მედალი, მერე კიდევ დამიბარეს და კიდევ მომცეს, სულ სამი მედალი მაქვს, მაგრამ ეს ჩემი შვილი ცოტა რომ გაიზარდა, ვითომ ფულები იყო, თამაშობდა და დაკარგა. რა ვიცი, ყურადღება არ მივაქციე, არაფრად არა ვთვლიდი, რომ მაძლევდნენ, კიდევაც ვუთხარი, ამის მოცემას ცოტა ხორბალი მოგეცათ, ის მერჩია-მეთქი.

ომის დროს შიმშილობა და უქონლობა იყო. ჩვენ, ქალები, მაშინ კალოზე ვაშრობდით ხორბალს, მერე ვწონიდით და ვგზავნიდით „ზაგოტზერნოში“ (მარცვლეულის დამზადებელი უწყება). მე სადილს ვამზადებდი და კომბაინერებს ვასადილებდი. საღამოთი, თუ იქ დავრჩებოდი, ბრიგადირებს ჩამოჰქონდათ ხოლმე საჭმელი, თუ არა და მე ამოვიდოდი და მეორე დღის გასამზადებელი პროდუქტი ჩამქონდა. სამი კომბაინი და სამი ტრაქტორი მუშაობდა, მე ვუმასპინძლდებოდი ამ ხალხს.

ჩემი ქმარი ომიდან მიგზავნიდა წერილებს. ერთი წერილი კიდევაც მაქვს შენახული. დანარჩენი, რძლებმა, რა ვიცი, სად გადაყარეს.

წერილებში სულ იმას მწერდა: ვიცი, გაგიჭირდებათ ცხოვრება, თუ რამე გაქვს, გაყიდე და მე რომ ჩამოვალ, ისევ ვიყიდიო, – მაგრამ არ ჩამოვიდა.

ჩემი ქმრის უგზო-უკვლოდ დაკარგვის დეპეშა როდის მივიღე, არ მახსოვს. „დალნივასტოკიდან“ (შორეული აღმოსვლეთიდან) მივიღე მისი უკანასკნელი წერილი. მერე მომივიდა დეპეშა, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მე მაშინ ოცდაექვსი წლისა ვიყავი. მყავდა ერთი შვილი. გვაძლევდნენ თითო კილო ფქვილს. როგორც ომში წასულის შვილს, ჩემ ბიჭს ერთ კილოს დამატებით აძლევდნენ. კოლექტივი აცხობდა პურს და გამომცხვარს გვაძლევდნენ. მე სამუშაოზე ვიღებდი ჩემს ნორმას, ჩემ შვილი კი აქ. საღამოთი მივიდოდა კანტორაში, ფურნე იყო, ვალიას დედამთილი და მისი ქმარი მუშაობდნენ პურის მცხობელებად. სია ჰქონდათ დაწერილი, ვისი შვილებისთვის უნდა მიეცათ, და ისინიც აძლევდნენ. ჩემი შვილიც ჩავიდოდა საღამოთი და თავის წილს იღებდა.

დედამთილი მყავდა და ის ინახავდა გურამს, ჩემს შვილს. მე, აბა, ღამეც კი კალოზე ვრჩებოდი და, რა თქმა უნდა, ისეთ ყურადღებას ვერ ვაქცევდი, როგორიც საჭიროა.

ყველაფერი აკლდა ჩემს შვილს. ჩაცმაც, ჭამაც, მაგრამ გაიზარდა როგორც იყო. ღმერთმა არ მოკლა. ეხლა, ნაირ-ნაირებს რომ ჭამენ, მაშინ ესე არ იყო,

მიუხედავად ამისა, არც ქურდი გამოვიდა და არც შპიონი, ერთი სიტყვით, თავისი შრომით ცხოვრობდა. ჯარში რომ მიდიოდა, მეხვეწებოდა: დედი, უწიგნაკოდ *(მანქანის მართვის მოწმობა)* არ გამგზავნო, რომ იქ მანქანაზე დავჯდეო.

თელავში წავიყვანე, „საშოფრო“ სკოლა იქ დავამთავრებინე, წიგნაკი ავუღე და ჯარში ისე წავიდა. წვალებით და ტანჯვით ვზრდიდი შვილს. კოლექტივში ხომ ვმუშაობდი და ვმუშაობდი და სეზონზე მარანშიც კი მიმუშავია, მეურნეობაში კი – არასდროს. მერე უკვე სავადმყოფოში დავიწყე მუშაობა. ოცდაექვსი წელი ინფექციურში, „კუხნაში“ ვმუშაობდი. მერე გაუქმდა ეს საავადმყოფო და დავრჩი უმუშევარი. გადამეკიდნენ ჩემი თანამშრომლები – ყვარელში წავიდეთ, იქ ვიმუშავოთო. ისინი კი წავიდნენ, მაგრამ მე მეძნელებოდა აქედან იქ სიარული. თანაც, რვა საათი უნდა მემუშავა „კუხნაში“ და საჭმელი დამემზადებინა, ძალიან გამიჭირდებოდა. ბოლოს დამლაგებლად დავიწყე მუშაობა ქირურგიაში. ათი წელი ვიმუშავე. მთელი ჩემი ახალგაზრდობა სულ შრომაში გავატარე, უქმად არც ერთი დღე არ გამიტარებია, რაც მიშოვია, ვისაც არა ჰქონია, იმათთვის მიმიცია.

ომის მომსწრე ხალხი სულ ოთხი ადამიანიღა ვართ ცოცხალი, დანარჩენები დაიხოცნენ. ლესტოს დედა, ემზარას დედა, ქვევით ანიკო, ფაჩოაანთ ქალი თამარა, ბევრნი იყვნენ, მაგრამ აღარ მახსოვან. ომის დროს ყველა მუშაობდა. თუ არ იმუშავებდი, ყვარლიდან კაცი იყო მომაგრებული, სახლებში დადიოდა და იქ დაეძებდა ქალებს.

ერთხელ გამოვიპარეთ კალოდან ორნი. კაცო, დაბანა ხომ გვინდოდა, ჭუჭყი გვჭამდა. ისე მე ღმერთმა მიშველოს, ამ სიმართლეს ვიტყვი. ჭუჭყი რო გვაწუხებდა, ტილ-მატლი გვეხვეოდა. წყალს გავაცხელებდი ხოლმე და გოგოებს ვეტყოდი, წამოდით, დამისხით-მეთქი. წავიდოდით ცოტა გარეთა, დამისხამდნენ წყალსა და დავიბანდი ხოლმე თავსა. მერე ალაზანში წავიდოდით ხოლმე შუადღისასა და ტანს კიდევ იქ ვიბანდით.

ერთხელ გამოვიპარენით ორნი. აღარ მახსოვს, ვინ იყო ის მეორე. მიხაანთ მაყვალა ჩვენზე პატარა კი იყო, მაგრამ ჩვენთან ერთად მუშაობდა ხოლმე. გამოვიპარენით და მეორე დღეს, რომ გვნახა ამ მომაგრებულმა კაცმა, გვითხრა, გზაზე რომ მომესწრო თქვენთვის, გცემდით ორივესაო. მე ვუთხარი, ჩემ ქმარს არ უცემია ჩემთვის და შენ როგორ მცემ-მეთქი.

ეე, მაშინ ხმაც დიდი მქონდა, ჯანიც და სიტყვაც მეთქმოდა, წითელარმიელის ცოლი ვიყავი.

მედლები იმაში მომცეს, რომ თავდაუზოგავად ვმუშაობდი. თვეში სამასი შრომადღე მქონდა ხოლმე. ღამე გვიანობამდე ვმუშაობდით, დაბნელდებოდა, ცოტას ჩავიძინებდით და დილით, გარიჟრაჟზე, უკვე ფეხზე ვიყავით. მუშაობის მერე სახლში რომ წამოვსულიყავი, ან როდის ამოვიდოდით, ან როდის ჩავიდოდით. შაქრიაანი *(სოფელია ყვარლის რაიონში)* როგორ შორსაა და ტურისციხეც *(ადგილის სახელია, იქ ალმატელებს ნაკვეთები აქვთ)* შორსაა. ისევ ღამე და დღეც იქ ვიყავით. დედამთილი მიზრდიდა ბავშვს, მაშინ ცოცხალი იყო.

ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით: დედამთილი, მაზლი, მაზლის ცოლი, ჩემი შვილი და მე. ორი ოთახი გვქონდა. ერთ ოთახში მე და ჩემი შვილი ვცხოვრობდით, მეორეში – ისინი. ჩემს არყოფნაში ისინი უგდებდნენ ყურს ჩემს შვილს. თუ საჭმელი დააკლდებოდა, ისინი აჭმევდნენ. მშიერს არა სტოვებდნენ.

სადმე როცა ვიყავი და საჭმელს მოიტანდნენ, ჭამაზე უარს ვამბობდი, რომ სახლში გამოეტანებინათ და ჩემი შვილისთვის მეჭმია. მე ვჭამო და ჩემმა შვილმა არა-მეთქი?

ვინ რას შეჭამდა, ყველას ვაწერდი. საჭმელი ჩემს ხელში იყო.

ჩემი შვილი ძალიან მორიდებული იყო. ეხლანდელი ბავშვები არ მომწონან. არ არიან კარგად გაზრდილები. ჩემი შვილი კი ისეთი მორიდებული იყო, მეზობელთან რომ ვყოფილიყავი და რამე საჭმელი მოეტანათ, მიდღემჩი არ მივიდოდა ახლო. „პომოშნიკად“ *(დამხმარედ)* იყო გურამი კოლექტივში შუქოშვილ ფირუზასთან. ერთ დღეს დავიწყებოდა სახლში საჭმელი. „შოფერს“ ეთქვა, დედაშენი აქ არის, წადი, სთხოვე, ერთი კილო პური და ორასი გრამი ყველი გამოგატანოს და ვჭამოთო.

ანიკო ხარებაშვილი მეუღლესთან ერთად

გამოეგზავნა, მაგრამ ჩემთან არ მოვიდა. იქ, ახლოს, ერთი მუხა იდგა და იმ მუხის ქვეშ წოლილიყო მთელი დღე მშიერი. არა თქვან: თავის შვილს აჭმევსო. უკან რომ მიბრუნებულა, ფირუზას უკითხავს: ბიჭო, სადა ხარ ამდენ ხანს, რატომ არ მოიტანე პურიო? – იქ მივიდოდი? რას ლაპარაკობ შენაო, მერე შოფრებს რო ეთქვათ: თავის შვილს აჭმევსო, უპასუხია. ისეთი მორიდებული იყო, არ მოვიდა ჩემთან და მთელი დღე კი იშიმშილა.

მე სახლში, სხვა თუ არაფერი, სულ მქონდა პური და ყველი.

ჩემი ბიჭი ჯარში რომ წავიდა, მე ცუდად ვიყავი, ვმკურნალობდი. ეხლა, შეიძლება თქვენ არაფერი არა გჯერათ, მაგრამ უცნაური სიზმარი ვნახე. თათრის ქალები მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, შენ ჩვენი ვალი გაქვსო. ხან ლეკის ქალები მოვიდოდნენ და მეუბნებოდნენ, ვალი გაქვსო. სიზმარშივე ვპასუხობდი, ვაიმე, ეხლა არაფერი მაქვს, მაპატიეთ, ჩემი შვილი რომ ჩამოვა ჯარიდან, ყველას გაგისტუმრებთ-მეთქი.

მერე ავდექი და სანამ ჩემი შვილი ჩამოვიდოდა, მეზობელს ვუთხარი:

– ესეთი სიზმარი ვნახე და როგორ მოვიქცე, როგორ წავიდე სალოცავის კარზე, როცა არც ფქვილი მაქვს, არც ღვინო. ორად ორი ქათამი მყავს და მარტო იმითი როგორ წავიდე-მეთქი. ესენიც, ჩემმა დამ კრუხი დამისვა და მარტო ეს ორიღა, დედალ-მამალი გავზარდე-თქო.

ეს იმ ქალის ქმარმა გაიგო და ცოლს უთხრა, თამარ, გაავსე ერთი ვედრა ფქვილით და ანიკოს გაატანეო. აი, ნათქვამია: საწყალი ადამიანის მშველელი ღმერთი არიო.

თამარამ ერთი ვედრა ფქვილი გამატანა, რომ ქადები და პური გამოვაცხო. ეხლა ღვინო არა მაქვს და ის მაქვს საშოვნელი. გადავედი ირაკლის ბებიასთან. იქვე ცხოვრობდა. განა, ეხლა ყველა სახლს რომ გალავანი აქვს, მაშინ ესე იყო? ეზოები შეულობავი იყო. ზევით, ყველაზე ბოლოს ცხოვრობდა ბუზიაანთ *(მეტსახელია ამ ქალის მამის)* ქალი, ეხლა აღარავინ ცხოვრობს, შვილები ქვევით გადავიდნენ

საცხოვრებლად. ჰოდა, ეგ ქალიც იქ არის და ჩემი მაზლის ცოლს, ნინას ვუთხარი: – ნინავ, ქადა მინდა გამოვაცხო, ნიგოზი არა მაქვს და ცოტა მომეცი-მეთქი. ეხლა ვენახში მივდივარო, მითხრა და მეტი არაფერი. არადა, ვიცოდი, რომ ნიგოზი ჰქონდა. თანაც, ცომი უკვე მოზელილი მაქვს, რა ვქნა, არ ვიცი. ახლა ირაკლის ბებიასთან ვთქვი, ვაიმე, როდის ჩამოვა ნინა ვენახიდან, ცომი დამიმჟავდება-მეთქი. ეს გაიგო ბუზიაანთ ქალმა და მითხრა: – შვილო, ოღონდ შენ კარგად იყავი, მე მოგცემ ნიგოზს, მაგაზე რა გაჯავრებსო. წავიდა, ერთი ჯამი გაავსო ნიგვზით და მომიტანა. კარგი, ამან ნიგოზი მომცა, იმან ფქვილი მომცა, ქადები და პური კი გამოვაცხე, მაგრამ ღვინო არა მაქვს. ჰოდა, ღვინოს კიდევ, იმ ირაკლიანთ ქვევრიდან თავიანთ ქვევრში ეზიდებოდნენ ისინი. ღვინის არქონაც იქა ვთქვი და ბუზიაანთ ქალის ქმარმა მითხრა, ანიკო, ოღონდ შენ კარგად იყავი და ღვინოს მე მოგცემ, მაგაზე რა გადარდებსო. ადგა და ექვსლიტრიანი „ბაჩონკა“ გამომიტანა. ღვინოც ვიშოვე, ქადები და პურიც გამოვაცხე, ქათმები მყავდა და წამოვედი გოგიასთან და ვუთხარი: – გოგი, თეთრ გიორგში *(წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი თელავის რაიონში)* უნდა წავიდე ამ გაჭირვებაში და შენ უნდა წამიყვანო-მეთქი. გინდა ღირდეს ოცი მანეთი, გინდა – ოცდახუთი, ერთი კილო სიმინდი უნდა მოგცე-მეთქი.

გოგიამ წაყვანაზე თანხმობა მითხრა, მაგრამ ვიფიქრე, მარტო ხომ არ დავჯდები „ტაჭკაზე“ *(ორთვალა ურემი, რომელშიც ცხენს აბამენ და ტვირთის გადასაზიდად და სამგზავროდ იყენებენ)*, უწინ მანქანები არ იყო, თორემ მანქანით არ მერჩია წასვლა? ავდექი და ირაკლის ბებიას ვუთხარი: – კეკავ, ნათლიდედ, შენ უნდა გამომყვე-მეთქი. – აბა რას ვიზამ, გამოგყვებიო, უარი არ მითხრა. გავემზადეთ წასასვლელად და ამ დროს ქალაქიდან სტუმარი ქალიც ჩამომივიდა. როცა ბაზარში რამე მიმქონდა გასაყიდად, ახლოს ცხოვრობდა და მის სახლში ვრჩებოდი ხოლმე ღამე. მერე კი ნათლიად მოგვევკიდა. შაქრო, ჩემი შვილიშვილი, განათლა.

ეს ქალიც მოვიდა. მე ვუთხარი: – უი, ნინავ, რა კარგ დროს მოხვედი, საყდარში უნდა წაგიყვანო-მეთქი.

გავამზადეთ ყველაფერი, მაგრამ მეორე დღეს პარასკევია. მარიამობის წინა დღეა, მარხვაა *(14/28 აგვისტო)*. არ შეიძლება მარხვაში რომ წავიდე, ქათამს ვერ დავკლავ. მეზობლებმა მითხრეს: – თუ წახვალ, ორი ღამე უნდა დარჩე, რომ ქათამი დაკლა და ისე წამოხვიდეო.

ავდექი და დავრჩი, არ წავედი. ჩემს სტუმარს ვუთხარი: – წამოდი, მარიამობაა და გრემში *(ყვარლის რაიონის სოფელი)* წავიდეთ. ჩავიდეთ, სანთლები მაინც დავანთოთ-მეთქი.

წავედით. ჩემმა სტუმარმა ისე მოილხინა, რომ დოლ-გარმონზეც კი ითამაშა. სანთლებიც დავანთეთ და წამოვედით. წამოვედით იქიდან და გრემში ცხოვრობდა ჩემი ერთი და. ჰოდა, ამის ქმარი დაგვხვდა გზაში და გვითხრა: – აბა, სად მიდიხართ, ეხლავე მობრუნდით აქაო. მე ვუთხარი: – მე დღეს არაფერს არა ვჭამ, რომ მოვბრუნდე, რად მინდა-მეთქი. – ეხლავე მობრუნდით, რომ გეუბნებითო.

მიგვაბრუნა. დედაჩემიც იქ დამიხვდა. კარტოფილი მოეხარშა იმას კიდევ და მითხრა: – გოგო, თუ არაფერს არა ჭამ, ეგ კარტოფილი ხომ ქონიანი არ არის და ეგა ჭამეო. ვისადილეთ და მე ვუთხარი, რომ თეთრ გიორგში ვაპირებდი წასვლას. სიზმარში დავპირდი და რომ არ წავიდე, არაფრით არ იქნება-მეთქი.

ჩემ დას ეზო ჰქონდა მოზრდილი და ედგა ყველაფერი: წიწაკა, ბადრიჯანი, ფიჩხის ლობიო, პამიდორი. ყველაფერი ედგა ეზოში. მკითხა: – რა მიგაქვსო? ვუთხარი, ეგრე, ეგრეა-მეთქი. წავიდა და დამიკრიფა ბადრიჯანი, ლობიო, პამიდორი და მწვანილები. ზეთიც გამომატანა და წამოვედით. ეს ყველაფერი მოვიტანეთ და ზეთში გავაკეთეთ, იმიტომ რომ მარხვა იყო.

მეორე დღეს უნდა წავიდე საყდარში. ოთხნი ვართ და ეს ორი ქათამი რა არი. ჩემს თავს ვეუბნები. უცილობლად ხორცი უნდა დავიმატო თელავში-მეთქი, მაგრამ ფული არა მაქვს. წავედი მარიასთან, წკირიას *(მამის მეტსახელი)* ქალს ეძახდნენ, ეხლა ცოცხალი აღარაა. ფულს ასესხებდა ხოლმე და როცა გამიჭირდებოდა, მეც იმისგან ვსესხულობდი. ხან პროცენტს მართმევდა, ხან არა, ვეცოდებოდი ხოლმე. მივედი და ვუთხარი:

– მარი, ექვსი თუმანი უნდა მასესხო-მეთქი. თუ გადავრჩი, იმ ექვს მანეთსაც (სხვაც მემართა) მოგცემ და ამ ექვს თუმანსაც. თუ მოვკვდი კიდე, არა უშავს, იზარალე-მეთქი. ეგრე ვუთხარი.

დედამ უთხრა: – ადე, შვილო და მიეციო. გინდა არაფერი მოგცეს, მაინც მიეციო.

წავიდა და გამომიტანა ცხონებულმა ექვსი თუმანი. თელავში რომ გავივლი, ხორცი უნდა ვიყიდო. მარტო ორი ქათამი ამ ხალხისთვის რა არის.

მივედი სახლში, გავემზადენით და წავედით. თელავზე რომ გავიარეთ, გათენებული იყო. გოგიას ვუთხარი: – გააჩერე ტაჭკა, ბაზარში უნდა შევბრუნდე-მეთქი.

შევედი, ვიყიდე ორი კილო ცხვრის ხორცი. პამიდორი გვაქვს და პამიდორში გავაკეთებთ-მეთქი. წავედით პირდაპირ. მივედით და კეკამ მითხრა: – წამო, შვილო, ეკლესიას შემოვუაროთ და სანთლები დავანთოთ. გოგია ცეცხლს დაანთებს და ეს ქალი კიდევ საჭმელებს გააკეთებსო.

წავედით. შემოვუარეთ ეკლესიას და სანთლებიც დავანთეთ. პირჯვრის წერა არ ვიცოდი. კეკამ ხელი წამავლო, ეგრე დაიწერე, ეგრეო. იმის შემდეგ ვისწავლე პირჯვრის დაწერა. მერე წამოვედით, მონა ქალი *(ქალი, რომელიც სალოცავში იყო, მისულებს ქადებს უჭრიდა და ლოცავდა ხოლმე)* მოვიყვანეთ, სუფრა დავალოცვინეთ. გოგიას, ღმერთმა გაანათლოს, აქეთ-იქიდან სუფრები იყო გაშლილი და ეძახოდნენ: – მოდი, ერთი ჭიქა დაგვილიეო. – არაო, რა მეჩქარებაო. ღამე დიდი ჩამოვაო. არ მივიდა მაინც, სანამ ჩვენი სუფრა არ დავალოცვინეთ, იმათსას პირი არაფერს არ დაადო. დავალოცვინეთ სუფრა და დავიწყეთ პურის ჭამა. ის ღამე გავათენეთ და მეორე დილას კეკამ მითხრა, წამო, ეხლა უნდა გამოვემშვიდობოთ თეთრ გიორგისაო.

წავედით, შემოვუარეთ ისევ გარშემო, დავანთეთ სანთლები, რამე, აქეთ-იქით, და ეს კეკა მეუბნება, ეგრე უთხარი თეთრ გიორგისაო: შენ ნუ მომიკითხავ და მე როცა დრო მექნება, თვითონ მოვალო.

ეგრე კი არ ვუთხარი, იმ დალოცვილმა, იმან, ეგრე მათქმევინა: – თეთრო გიორგი, ოღონდ კარგად მამყოფე, როგორი ჯანიცა მქონდა, ეგეთი ჯანი მომეცი და ჩემი შვილი ჯარიდან რომ ჩამოვა, ექვსი კაცით მოვდივარ შენ კარზე, საკუთარი დამკვრელებითა-მეთქი.

კეკამ სხვანაირად მითხრა და მე კი სხვანაირად მათქმევინა იმ დალოცვილმა. ამ დედაკაცმა ჩემს ნათქვამზე სიცილი დაიწყო. მივედით დანარჩენებთან, ,,ვიზა-

კუსკეთ“ (ვისაუზმეთ) და წამოვედით სახლში. ისე კარგად ვიყავი, რომ იმის შემდეგ დავიწყე საავადმყოფოში მუშაობა. ისეთი ხალისი მქონდა და თანაც რა შიში, რის შიში? წინათ ისე მეშინოდა, რომ მზე როგორც ჩავიდოდა, გარეთ ველარ გამოვდიოდი, რაღაცეები მელანდებოდა. ასე გავხდი კარგად.

ამ დროს გრემის საავადმყოფოში *(ეს საავადმყოფო გაუხსნია გერმანელ ექიმს, ვინმე შტეინს XVIII საუკუნის ბოლოს. მისი დაღუპვის შემდეგ მისი შთამომავლები აქცევდნენ ყურადღებას. ომის დამთავრებისთანავე იქ გაუხსნიათ ინფექციური საავადმყოფო. ეს შენობა დღესაცაა, თუმცა გადააკეთეს უნარშეზღუდულთა სახლად)* ექთნად მუშაობდა იმედოს და. იმათ ეზოში ერთი დიდი მსხლის ხე ედგათ და დაკრეფაში ვეხმარებოდი, როცა მსხლის წასაღებად მოვიდა ამ საავადმყოფოს გამგე თევდორაშვილი. მოვიდა ეს კაცი და მეც იქა ვარ. იმედოს მამამ უთხრა: – ესაო, ჩემი რძალიაო და იქნება ადგილი გქონდეს რამე, ამუშავეო. – ვნახოთო, ჩამოვიდეს ჩემთანო.

გავიდა ორი დღე და დამიბარა თევდორაშვილმა *(დღესაც ცხოვრობს სოფელ შილდაში).* იმედოს დისთვის დაებარებინა, ის ქალი ჩამოვიდეს ჩემთანაო. მივდივარ და ღაფოლიაანთ *(მამამისის მეტსახელი)* თამარამ, ვალიას დედამთილმა, მკითხა, ანიკო, რამდენი ხანი დარჩები იქაო. მე ვუთხარი, გააჩნია მდგომარეობას, თუ ჭკუაში დამიჯდება, დავრჩები, თუ არა და, ვინ დამაბამს-მეთქი.

სხვა სამუშაოზე რომ მივდიოდი, თუ ჭკუაში არ დამიჯდებოდა, გინდა მშიერი მოვმკვდარიყავი, არ დავდგებოდი, ხელად გამოვიქცეოდი ხოლმე. კეკამაც მითხრა: – რამდენი სამარილე მარილი შემითქვამს შენთვინაო, შენ დიდხან ვერ გაჩერდები ვერსადო, იმანაც მასხარად ამიგდო. მე ვუთხარი, თუ ვინმე რამეს მაწყენინებს, იმ წუთში წამოვალ-მეთქი, იქ რა გამაჩერებს-მეთქი. ახალგაზრდა ვიყავი, თან ქმარიც არა მყავდა და მეშინოდა, ვინმემ ცუდი არაფერი მაკადროს-მეთქი. თუ ვინმე რამეს მაკადრებდა, გინდა მილიონი მოეცათ, იქ რა გამაჩერებდა.

მოკლედ, ჩავედი და ექიმს ვუთხარი, ექიმო, დამლაგებლად არ შემიძლია მუშაობა, სულ შიმშილით რომ მოვკვდე და თუ „კუხნაში“ ადგილი გაქვს, ვიმუშავებ, თუ არა და არ მინდა-მეთქი. – არაო, სწორედ „კუხნაში“ მჭირდება ქალიო. ეხლა ვინც მუშაობს, „დაბრუციანდა“ *(დაბრმავდა)* და უნდა გავათავისუფლო, საჭმელში რამე რომ შეაყოლოს, რა ვქნა მერე მეო.

ჰოდა, დავიწყე „კუხნაში“ მუშაობა. ამხანაგი მყავდა ისეთი კარგი, რომ მეტი არ შეიძლებოდეს. ძალიან სუფთა იყო. საჭმელს ისე არ გააკეთებდა, თუ ყველაფერს სამჯერ არ გარეცხავდა. ქვაბი წკრიალა და მოხეხილი თუ არ იქნებოდა, შიგ საჭმელს არ გააკეთებდა. ვაა, ესეთი სუფთა ქალი შემხვდა და მეც სწორედ ესეთი ვარ, მეტი რა მინდა. თუ ვიღაცა ბინძური იქნებოდა, იქ რა გამაჩერებდა. ჰოდა, ერთი დღე ვუყურე, ორი დღე ვუყურე და დავრწმუნდი მის სიკარგეში. ეს ქალი, დილით რომ მოვა რვა საათზე, ჯერ მტვრებს დაწმენდავს ყველაფერზე. აიხედავს, ბებერები ხომ არ არის სადმე და დაიწყებს „ზაკუსკის“ *(საუზმის)* გაკეთებას. სწორედ, ესეთი სუფთა ქალი მინდა ამხანაგად, შევეწყე და დავრჩი იქ.

მკაცრად ვიცავდით წესებს. რაც „კუხნაში“ ჭურჭელი გვქონდა, ის გარეთ არ გადიოდა, გარეთ სხვა იყო და იმაში გადავასხამდით ხოლმე. ასე მიდიოდა ავადმყოფებთან საჭმელი. ინფექციური იყო და სხვანაირად არ შეიძლებოდა. ესე ვმუშაობდით თხუთმეტი წელიწადი ერთად მე და ეს ქალი. მაგრამ მაღალწნევიანი

იყო, ყვარლიდან სპეციალურად ჩამოდიოდნენ დონორები და სისხლს უღებდნენ ხოლმე. ავადმყოფობის გამო წავიდა. მერე ერთი სხვა მოვიდა, გრემელი. ესეც კარგი სუფთა ქალი იყო, მაგრამ ისიც ავად იყო. იმასთან ორი წელი ვიმუშავე და მალევე მოკვდა საწყალი. იმის შემდეგ ხუთი ქალი გამოვიცვალე. ვაა, რომ მოიყვანდნენ, ზოგი სუფთა არ იყო, ზოგი ქურდი იყო, „კუხნაში“ იპარავდა საჭმელებს. ვეუბნებოდი ხოლმე, ქალო, რასა სჩადით-მეთქი! თანაც, თურმე, ვახშამს არ ამზადებენ და მე მაბრალებენ, ანიკო დეიდას არ გამოურთმევია პროდუქტი და ვახშამს ვერ ვაკეთებთო.

ვახშმად მაკარონი ან ფლავი, ჩაი და კვერცხი უნდა იყოს. ეს კი არ აკეთებს ამეებს. შინ მიაქვს მაკარონი და ბრინჯი. მარტო ჩაის და კვერცხს არიგებს. ეს ყველაფერი მაშინ ხდება, მე რომ იქ არა ვარ. ჩავალ მეორე დღეს და ავადმყოფები მომიტანენ ამბავს, წუხელ ვახშამი არა გვქონდაო, ესე თქვა, ანიკო დეიდას არ აუღია ვახშამიო.

გამოვდიოდი და ვეუბნებოდი, ქალო, არა გრცხვენია, ხომ დაგიტოვე მაკარონი და ბრინჯი, რატომ არ გააკეთე-მეთქი? შინ მინდოდა წამეღოო, გამოტყდებოდა ხოლმე. კაცო, შინ წაღება რასა ჰქვია, ავადმყოფები ჩივიან და ექიმმა მე უნდა დამაბრალოს-მეთქი? ერთხელ ვუთხარი, ორჯერ ვუთხარი და მერე ექიმთან მივედი. ექიმო, ამასთან მუშაობა მე არ შემიძლიან. გინდა მე გამათავისუფლე, გინდა ის-მეთქი. ადგებოდა ექიმი და ეტყოდა, თუ გინდა, დამლაგებლად გადადიო.

ამას იქით გადააგდებდა და ახლა სხვას მოიყვანდა. ესეც ვერ მივიღე ჭკვაში. „კუხნის“ ხალათები გვქონდა, ოთხი ხალათი, რომლებსაც მარტო „კუხნაში“ ვიცვამდით. გარეთ რომ გამოვდიოდით, სხვა ხალათები უნდა ჩაგვეცვა. ჩვენ თვითონვე ვირეცხავდით ხოლმე. ეს ჩემი ხალათები დარეცხილი და დაუთოვებული მიკიდია. მეორე დღეს დასვენების დღე მაქვს, სახლში ვარ. როცა ჩავედი, გადმოვიღე ხალათი, უნდა ჩავიცვა და რასა ვხედავ, ჯიბე გასისხლული აქვს. თურმე, ჩემს არყოფნაში ხორცი მოუპარია, ქაღალდში გაუხვევია და ჩემი ხალათის ჯიბეში დაუმალია. ეს რომ დავინახე, ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვაზე და, ვთქვი: ვინა სჭამეთ დედითქვენისა-მეთქი, რომელმა ჭამა-მეთქი.

მე არც ხორცი მინდა, არც ბრინჯი მინდა, არც მაკარონი მინდა, სახლში არავინა მყავს და რომ მოვიპარო, ვის წავუღო-მეთქი. თანაც, მე ისეთი ავტორიტეტი მქონდა ექიმთან და საერთოდ მთელ საავადმყოფოში, რომ თუ ოცდახუთი ავადმყოფი მყავდა, ოცდაათს მაწერდნენ, თუ ოცდაათი – იცდათხუთმეტს. თუ კომისია მოდიოდა, ჩქარ-ჩქარა იმ ხუთი ავადმყოფისას დამიმატებდნენ ხოლმე, რომ არ შევრცხვენილიყავი. რევიზია რომ მოვიდოდა, პირდაპირ „კუხნაში“ შემოვიდოდა და მაშინვე მენიუს მომთხოვდნენ ხოლმე. მივუტანდი, უარს როგორ ვეტყოდი. თუ მენიუში მეწერა ოცდაათი ავდმყოფი, ყველაფერი: ბრინჯი, კარაქი, მაკარონი, კვერცხი ზუსტად უნდა მქონოდა. რაც მიღებული მქონდა, ყველაფერს მაწონინებდნენ. ერთხელაც არის, ერთი სინი გულიანი კამფეტი მაქვს მიღებული. მკითხეს, როგორ არიგებ ამ კამფეტსო? გააჩნია-მეთქი, ეს კამფეტი მსუბუქია და ექვს-შვიდ ცალს ვარიგებ. თუ შოკოლადი მაქვს, იმას ოთხ ცალს-მეთქი. აბა, ეს კამფეტი გადათველეო, მითხრეს.

ეგრე, ჯიუტად ჩამყვებოდნენ ხოლმე. მე არასოდეს უფროსობა არ შემირცხვენია. ისევ ჩემ თავს შევირცხვენდი, იმათ კი – არა. ჰოდა ვთვლი, ვთვლი ამ

კამფეტს. ამ დროს ჩვენი ექიმი ელაპარაკება რევიზორს და როცა ის იქით მიიხედავს, მე ჩუმად, მუჭით ვაყრიდი დაუთვლელს, მეტი რომ არ მომივიდეს. ვთვლი, ვთვლი და დამრჩა შვიდი ცალი. რევიზორმა მკითხა, ამ შვიდ ცალს რა უნდა უყო, რომელს მისცემო? ეს შვიდი ცალი ჩემი ნორმა არის-მეთქი, ვუთხარი და გავიცინე. თვითონაც გაიცინა, არაფერი არ მითხრა.

ხანდახან, ნამცხვარსაც ვაცხობდით ხოლმე. ეხლა აღარ მახსოვს, თორემ *(იცინის)*, სულ აბურთულ ნამცხვრებს ვაცხობდი. საერთოდ, ექიმს მოჰქონდა „კორჟიკი“ ან „ბულკი“, თუ ვერ მოიტანდა, წინა დღეს გაგვაფრთხილებდა ხოლმე, ხვალ ნამცხვარი ვერ მომაქვს და თქვენ გამოაცხეთო. ჩვენც მაშინვე დავიწყებდით გამოცხობას, რომ მეორე დღისთვის მზად გვქონოდა. ერთხელაც, როცა რევიზია გვყავდა, მაკლია ხუთი კვერცხი. იმიტომ მაკლია, რომ ნამცხვარი გამოვაცხე, საწყობის გამგეს კი ვუთხარი, მაგრამ დაავიწყდა მოცემა. უმიზეზოდ კი არ მაკლია, მაგრამ მაინც ხომ მაკლია. რევიზორმა მითხრა, რომ ხუთი კვერცხი მაკლია. იმან რომ არ მითხრას, მეც ხომ ვიცი. ჩემმა ექიმმა ყვირილი დამიწყო, ქალო, რამ გამოგაშტერა მაგრეო. ამ ხუთ ავადმყოფს რა უნდა მისცეო.

მე მიზეზი ვუთხარი და თან ბოდიში მოვიხადე. იმან კი იცოდა, რომ მე არა ვტყუივარ, მაგრამ მაინც მიყვიროდა. ეგ არაფერი, ეგ მაპატიეს. ეეხ, ბევრი შემთხვევა მქონია. ოცდაექვსი წელიწადი ოცდაექვსი დღე ხომ არ არის.

დღეში ოთხჯერ ვარიგებდით საჭმელს. დილით „მანიქაში“, ჩაი, კარაქი და კვერცხი იყო. თუ ვინიცობაა კვერცხი არ იყო, მაშინ დაჭრილ „კალბასს“ *(ძეხვს)* ვარიგებდით. თორმეტ საათზე თითო ნაჭერი ნამცხვარი და ერთი ჭიქა რძე იყო. ორ საათზე სადილი უნდა გაგვეცა. პირველი წვნიანი იყო, მეორე – „სოუზი“, მესამე – „კისელი“. სამნაირი უნდა დაგვერიგებინა. საღამოთი, თუ ზაფხულის დღე იყო, ვახშამს ექვს-შვიდ საათზე ვარიგებდით, თუ ზამთრის დღე, მაშინ ხუთ საათზე. უნდა ყოფილიყო: მოხრაკული მაკარონი ან ბრინჯი, თითო კვერცხი და ჩაი. დავარიგებდით ვახშამს და წამოვიდოდით სახლში. გინდა შუაღამე ყოფილიყო, თუ ყველა ქვაბს არ გავხეხავდით, არ წამოვიდოდით ხოლმე. არასდროს არ დავტოვებდით საჭმლიანს. არ შეიძლებოდა, რომ მეორე დღისთვის ქვაბები მზად არ ყოფილიყო. ოცდაექვსი წელი ვიმუშავე და ერთი ღამეც არ გამითევია იქ. გინდა კარგად დაბნელებული ყოფილიყო, მაინც მოვდიოდი შინ, ისეთი ხალისი და ენერგია მქონდა. არც მეშინოდა და მოვდიოდი. ჩემს სახლში ვიძინებდი და მეორე დილას, შვიდ საათზე ავდგებოდი და მივდიოდი. კვირაში მხოლოდ ერთ დღეს ვისვენებდით. ორნი ხომ ვმუშაობდით, ერთი კვირას დაისვენებდა ხოლმე, მეორე – ორშაბათს. ისე, ექიმისაგან გაფრთხილებული ვიყავით, სადილს დავარიგებდით თუ არა, ერთ-ერთს შეგვეძლო წავსულიყავით და მეორე გასცემდა. ორივეს გვქონდა ოჯახი და საქმეები. იქ ბაღჩაში გვქონდა დასათესი ან რაღაცა, რა ვიცი, ქალის საქმეს რა გამოლევს.

ოცდაექვსი წელიწადი ვიმუშავე, რომ არ გაუქმებულიყო, კიდევ ვიმუშავებდი. მერე, ახლა ათი წელიწადი ყვარელში, ქირურგიაში ვიმუშავე სანიტრად. დილით გადავიდოდი ხოლმე საბუეში *(ყვარლის რაიონის სოფელი)*, იქიდან დადიოდა ყვარლის ავტობუსი, თუ არ იყო, ჩავიდოდი ხოლმე ენისელში *(ყვარლის რაიონის სოფელი)* და იქიდან მივდევდი რამეს. სამ დღეში ერთი „სუტკა“ *(დღე-ღამე)* ვიყავი იქ. არ მიჭირდა სიარული, მაგრამ მერე ტრანსპორტის გამო მიგვიანდებოდა.

მართალია გამგე არაფერს მეუბნებოდა, იცოდა, რომ შორიდან დავდიოდი. ის კაცი, ბახუტაშვილი ოთარი, დღესაც ცოცხალია, მაგრამ მე ხომ ჩემი სინდისი მქონდა.

ერთხელაც, დავუწერე განცხადება გათავისუფლებაზე და დავუდე, თან ვუთხარი: – ავტობუსი მალე არ გამოდის, ვაგვიანებ და უნდა გამათავისუფლოთ-მეთქი. განცხადება შუაზე გადახია და მითხრა: – რა დროსაც მოხვალ, მაშინ მოდიო.

მე ისეთი ქალი ვიყავი, რომ არ შემეძლო უფროსი შემერცხვინა. მთელი „სუტკა“ ფეხზე ვიდექი. ახალგაზრდა ქალები წავიდოდნენ, დაწვებოდნენ და დაიძინებდნენ ხოლმე, მე კი სულ მზადყოფნაში ვიყავი. ამის გულისთვის არ მიშვებდა ექიმი. უკვე დიდი ვიყავი, მაგრამ მაინც ვმუშაობდი. იმის შემდეგ აღარსად მიმუშავია. ვარ ჩემთვის. ერთი ოთახი მაქვს, გამოვგვი და გამოვწმენდავ ხოლმე. თუ დაბანა მინდა, დავიბან, თუ სადმე მინდა, წავალ ან მოვალ. ერთი სიტყვით, ჩემი დამშლელი არავინაა.

ეს სახლი, სადაც ეხლა ვცხოვრობ, ჩემ შვილთან ერთად ავაშენე. როცა მე მომიყვანეს რძლად, მიწური სახლი ედგათ და თანაც მარტო ერთი ოთახი იყო შიგ. დედამთილი, მაზლი, მაზლის ცოლი, მე და ჩემი ქმარი, ყველანი ერთ ოთახში ვცხოვრობდით. მერე მოიტანეს ქვიშა და ქვა. მე და ჩემ ქმარს ცალკე უნდა აგვეშენებინა სახლი, მაგრამ ჩემმა დედამთილმა არაფრით არა ქნა. აქაო, ძმები არ იყრებიან და შენ ძალადა ჰყრიო?!

რაღას ვიზამდით, გვერდზე მივადგით ერთი ოთახი. გავუკეთეთ კარები და „აკოშკები“ *(ფანჯრები)*. ამ დროს დაიწყო ომი და ჩემი ქმარი წავიდა. დავრჩი ამ მიწურ სახლში მარტო. ჩემი მაზლი ჩემ ქმარზე წინ წაიყვანეს. მერე წავიდა ჩემი ქმარი. დავრჩი ეგრე, ორი პატარა შვილით, ერთი წლინახევრისა დამრჩა, მეორე – ექვსი კვირისა. უფროსი მომიკვდა, კბილი სტკიოდა, კენკელა *(სახადი)* გაუჩნდა, წინათ ეგეთი საშუალებები არ იყო. კენკელამ ღრძილები დაუჭამა და ამით მომიკვდა. ბაღში დამყავდა, თურმე ბავშვი საჭმელს ვერა სჭამს და განა მითხრეს. მაშინ დილით მივდიოდი სამუშაოზე და საღამოს გვიან ვბრუნდებოდი. მერე კი მეორე შვილს უკვე დედამთილთან ვტოვებდი და ღამეც ვმუშაობდი.

ჩემი ბიჭი ჯარიდან რომ მოვიდა, ქალი მოინდომა. მე ვუთხარი, შვილო, ალმატელი ქალი არ მინდა, შორიდან მოვიყვანოთ-მეთქი. მაგრამ რახან თვითონ უნდოდა, რაღას ვიზამდი. ის კი ვუთხარი – შვილო, თუ რამე გეწყინა შენ იმ ოჯახიდან, მე არ დამემდურო-მეთქი.

მოიყვანა ცოლი და მერე ვუთხარი, შვილო, დაპირებული ვარ, ექვსი კაცით თეთრი გიორგის კარზე უნდა წავიდე-მეთქი.

მაშინ გრემში ვმუშაობდი. ფულიც მქონდა და ყველაფერიც. ცხვარი მე თვითონ ვიყიდე გრემში და სახლში მოვიყვანე. ჩემმა შვილმა, – ჯარიდან რომ ჩამოვიდა, ცოტა ფული დავხარჯე და ყვარელში მანქანაზე დავაწყებინე მუშაობა, მითხრა, დედი, სერგიამ ცემენტის მიტანა მთხოვა და ამაში, ფულის მაგივრად, ღვინოს გამოვართმევო.

იმან ღვინო გამოართვა, მე ცხვარი მოვიყვანე, პური გვაქვს, ცოტა რაღაცეებიც შევამზადეთ და წავედი ზევით ოსიასთან, მეთხოვა ტაჭკით წავეყვანეთ. კარგი ცხენი ჰყავდა. იმან ერთი წუთით არ მითხრა უარი, მაგაზე ლაპარაკი რად გინდა, წავიდეთო.

ეხლა დოლ-გარმონი მინდა. იმედოს ვუთხარი, გარმონი ჰქონდა და კარგადაც უკრავდა. იმან, მედოლეს მე ვიშოვიო, და ლესტო მოიყვანა *(იცინის)*, პატარა

ბიჭი იყო მაშინ. ვივახშმეთ, სახლშიც კარგად ვიმღერეთ, მერე დავსხედით ტაჭკაზე და წავედით. ექვსი ადამიანი ვისხედით ტაჭკაზე: მე, ჩემი შვილი, ჩემი რძალი, მეტაჭკე – მეოთხე, და დოლ-გარმონიც – ექვსი კაცი გამოვიდა. მარიამობის სწორზე წავედით. მივედით, ცხვარიც გავაკეთეთ, სუფრაც გავშალეთ და დავიწყეთ ქეიფი. ისეთ მაგარ დროს ვატარებდით, რომ თუ ვინმე იყო ღამის სათევად, ყველა ჩვენს სუფრაზე მოდიოდა. კარგი ცხენი გვყავდა და იმ ღამეს კინაღამ მოგვპარეს, მაგრამ ერთი კაცი მოვიდა და გაგვაფრთხილა, იცოდეთ, ამ ცხენს ემტერებიან და ფრთხილად იყავითო.

გალავნის ძირზე სულ ტაჭკებია დამწკრივებული. მერე ჩვენებმა გამოიყვანეს ჩვენი ტაჭკა, შეიყვანეს შიგნით ცხენი, დაუყარეს სიმინდი, თანა გვქონდა წაღებული, მიადგეს ისევ ტაჭკა და როგორღა მოიპარავდნენ, აქეთ-იქიდან სულ ტაჭკებში იყო ცხენი. ჩვენც დავსხედით და თავისუფლად ვიქეიფეთ. მოკლედ, მე ჩემი დანაპირები შევასრულე. ვისაც რას დაჰპირდები, არ უნდა დაგავიწყდეს და თუ დაგავიწყდა, ეგ კარგად არ გამოვა. ან რა ჭირი მაცოცხლებს ამდენი ხანი. ვაა, ოთხმოცდაექვსი წელიწადი, ოთხმოცდაექვსი დღე ხომ არ არის. როგორ ვიცოცხლე ამდენი ხანი, არ ვიცი. ღმერთი არა მკლავს, აბა რა ვქნა.

პენსია მაქვს შრომისა, ოცდათხუთმეტ ლარს ვიღებ. მე მყოფნის, ჩემი ჭამა-სმა რა დიდად გააჭირებს საქმეს. ერთი შოთი ერთი დღე მყოფნის. ნახევარს დილით შევჭამ ხოლმე და ნახევარს საღამოს. მაღაზიის პური კი – ორი დღე მყოფნის. სულ პირველად, ჯერ კიდევ გრემში ვმუშაობდი, წლოვანი რომ გავხდი, გავიკეთე პენსია და თოთხმეტ მანეთს ვიღებდი, მერე უკვე – თვრამეტ მანეთს მაძლევდნენ. ოცდათხუთმეტ ლარს ორი წელია რაც ვიღებ. ესეც შემთხვევით გავიგე. ჩემმა მეზობელმა ციალამ გააკეთა და მითხრა, არქივიდან საბუთს რომ ვიღებდი, იქ შენც ეწერე, მაგრამ მამაშენის სახელი არ ვიცოდიო.

თურმე, როგორც შრომის გმირს და ომში დაღუპულის ცოლს, ოცდათხუთმეტი ლარი მეკუთვნის და რა ვიცი. მერე, ჩემს შვილიშვილს, თბილისში ცხოვრობს, ვთხოვე მისულიყო არქივში და საბუთი აეღო. როცა მოუცლია, მისულა. აუღია „პროპუსკი“ *(საშვი)*, ისე არ შეუშვებდნენ თურმე, შესულა. იქ ერთ ქალს მიუცია წიგნი და უთქვამს, შენ მოძებნეო.

ხომ ძნელია ამ წიგნების თვალიერება. თურმე ემხელა *(ხელებით მანიშნებს ზომას)* წიგნი ყოფილა და შიგა სწერია ყველა რაიონის ხალხი, ვინ შრომის გმირია და ვინ რა არის. ეს ჩემი შვილიშვილი ეძებს, ეძებს და მანამ ბოლოში გავა, ხომ დრო უნდა.

– რომ ვერა გპოულობდი, გუნებაში ვთქვი, ჩემმა ბებიამ ხომ არ მომატყუაო. ბოლოს, ცოტა რომ იყო დარჩენილი, გადავშალე და რასა ვხედავ, იქა წერიხარო. ჯერ შენა ხარ და მერე ციალა წერიაო. – იმან ჩემზე ერთი წლით ადრე გაიკეთა პენსია და იმას რომ არ ეთქვა, მე საიდან გავიგებდი, რომ ესეთი რაღაცა იყო. მოკლედ, იქა ვწერივარ, რომ ვარ მედალოსანი, შრომის გმირი. გაემზადებინათ ეს საბუთი, დაერტყათ ბეჭედი, უფროსს ხელი მოეწერა და ჩამომიტანა ჩემმა შვილიშვილმა. ყვარელში მივიტანე ეს საბუთი, იქ ახლა კომისარიატიდან მომთხოვეს ცნობის მიტანა, რომ ქმარი ომში მყავს დაკარგული. მე ყველაფერი გავამზადე და ასე დამენიშნა ეს პენსია.

გათხოვებით, გარიგებით გავთხოვდი. ალმატი არც კი ვიცოდი სად იყო. მოგიყვებით როგორ გავთხოვდი:

საბუეში გვყავდა ნათესავები. ბერიკაობა *(დღესასწაული, რომელსაც ყველიერის ბოლო ორშაბათს ზეიმობს ხალხი. დაკავშირებულია ნაყოფიერებასთან)* იყო და იმათთან ვიყავი. კარგი ოჯახი ჰქონდათ, დუღუნაანთ *(მეტსახელი)* ეძახდნენ. სამნი ძმანი იყვნენ. ორი რძალი ჰყავდათ, მესამე ძმა საქორწილო იყო. ისინი ხშირად მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან, დღეობებზეც *(შილდელების დღეობაა მაისობა – 20 მაისი და კოხიაობა – 21 მაისი)* და ისედაც. მოკლედ, იმათი გარიგებით გავთხოვდი. იმათთან ვიყავი ყველიერში და რძალმა მითხრა, ანიკო, წამოდი ყველა გარეთ არის და ჩვენც გავიხედოთო.

საერთოდ ბერიკაობაზე იციან გახედვა. გამოვიხედეთ, ხევის პირას ერთი დიდი კაკალი იდგა, ზედ საქანელა იყო ჩამობმული და აქ იყო თავმოყრილი მთელი ხალხი, დიდი და პატარა. აქ დავენახე ჩემს დედამთილს. კარგი თმები მქონდა, ორი მკლავის სისქე ნაწნავი მება. შეჭრა მინდოდა, მაგრამ დედაჩემმა არ შემაჭრევინა. ჰოდა, მოვწონებივარ ჩემს დედამთილს, უკითხავს, ვინ ვიყავი. ჩემი დედამთილის მეზობლის ქალი იყო სწორედ დეიდაჩემის ერთ-ერთი რძალი. ესენი ჩაერივნენ ჩემს გათხოვებაში. სამჯერ მოვიდნენ, ჩემი დედამთილი და ოთარას დედა, მაგრამ თანხმობა არაფრით არ ვუთხარი. ვიძახოდი: ეე, უარი რახამ ვთქვი, აღარ მოვლენ-მეთქი. ერთხელ საბუელები, დედაჩემის დეიდაშვილი და მისი რძალი მოვიდნენ, გაეგოთ, რომ ჩემი საქმრო კარგი ბიჭი იყო. თურმე, ვისთვისაც კი უკითხავთ, ყველას ეთქვა: – ისეთი რა გოგოა, ამ ბიჭს უარს რომ ეუბნებაო. მართალია, ღარიბები არიან, მამა არა ჰყავთ, ორივე ძმა ობლად დაიზარდა და ერთი კოჭლი დედა ჰყავთ, მაგრამ თვითონ ბიჭი კარგიაო. თანაც საქონლის ფერმის გამგედ მუშაობსო.

ესენი რომ დავინახე, დამცხა. ამათი დიდი ხათრი მქონდა და უარს ვერ ვეტყოდი. სად უნდა დავმალულიყავი. რომ მოვიდნენ, მე მაღლა ვიყავი და იქიდან ჩამოსასვლელი კიბე კი იმ ოთახში იყო მიყუდებული, სადაც ისინი უნდა შემოსულიყვნენ. რა მექნა, არ ვიცოდი, ავდექი და კარების უკან დავიმალე. მოვიდნენ ისინი და იძახიან, ანიკო სად არის, ანიკო სად არისო!

მეძებენ აქეთ-იქით და მიპოვეს. იქით მითხრეს, აქეთ მითხრეს, მე გაჩუმებული ვარ, არაფერს არ ვამბობ. მერე, დასანიშნად მომადგნენ კარებზე და დამნიშნეს. რომელ ოქროს მომიტანდნენ, ერთი საკაბე და კამფეტები მომიტანეს მარტო. ასე გამათხოვეს ჩვიდმეტი წლისა. დედაჩემმა მზითვად ერთი ყუთი, საკერავი მანქანა, ერთი ქვაბი და ორი ხელი ლოგინი მომცა.

ჩემი მაზლი ჩემს ქმარზე ადრე იყო დაქორწინებული, მაგრამ იმისი ცოლი მეორე შვილს გადაჰყოლოდა. მერე, მალევე, პირველი შვილიც მოჰკვდომოდა და დარჩენილა ასე ქვრივად. ერთი წლის მერე მოეყვანა მეორე ცოლი, ფუას *(მეტსახელი)* ქალი ნინა. იმასთან შვილი არა ჰყავდა და როცა ჩემი ქმარი ომში წავიდა, თუ რამეს იშოვიდა, ჩემს შვილს ახმარდა. იმ ერთ შვილსა ვზრდიდით. მთავრობისაგან ფრჩხილისოდენა დახმარება არ მახსოვს.

ჩემით მომყავს ცოტა ხახვი, ცოტა ნიორი, ცოტ-ცოტა ყველაფერი. ეხლაც ბაღჩაში ვიყავი, მწვანილი მედგა, ბურბურებდა. ვედრო და დანა წამოვიღე, დავკრეფ და ვჭამთ-მეთქი, მაგრამ რა დაგიდია, რას ეძებ, ისე მოუჭამია საქონელს,

სულ ძირიანად არის ამოთხრილი. განა შეიძლება სოფლის ქალმა ან მწვანილი არ დათესოს, ან ხახვი, ან ლობიო, ყველაფერი უნდა ჰქონდეს. მე ჯერ შრომა შემიძლია და მომყავს ჩემი სამყოფი. ლოგინად თუ ჩავვარდები, თუ გადამაგდებენ, გადამაგდონ. ჯერ კი ჩემ თავს მე ვინახავ. არც არავის დაურეცხია ჩემთვის, არც არავის მოუვლია ჩემი ოთახისათვის და პატივი არ უცია. თუ საჭმელი გაუკეთებიათ, თითო ჯამი ის მიჭამია იმათი, დანარჩენი არაფერი. მე ჩემი შრომით ვირჩენ თავს. ღმერთს კიდევ ვეხვეწები, რომ ლოგინად არ ჩამაგდოს, სანამ ცოცხალი ვარ, ვიყო და როცა ღმერთს ჩემი სიკვდილი მოუნდება, უცბად მომკლას. ამხელა ვარ და არაფერი არ მაწუხებს. ცოტა სმენა მაკლია და ხანდახან, როცა ვტრიალებ ან საჭმელს ვიკეთებ, ან სარეცხს ვირეცხავ, თავბრუტი დამეხვევა ხოლმე. დავჯდები ცოტა ხანი და თავისით გადამივლის.

ერთი შვილი, სამი შვილიშვილი და შვიდი შვილთაშვილი მყავს. სახლში ორნი არიან, ორნი – ქალაქში და სამიც მამუკასა *(უფროსი შვილიშვილი)* ჰყავს. არც ერთი ჩემთან არ არის და როგორ გამაბრაზებენ.

კომბაინერებს რომ ვაჭმევდი პურს, თან ხელს ვაწერინებდი – ვინ რასა სჭამდა. ოცდაათ კაცს ვმასპინძლობდი და არც ერთი არ დამავიწყდებოდა ხოლმე, ისეთი გონება მქონდა. დავწერდი ამას და მერე დასასვენებლად რომ გამოდიოდნენ, ხელს მოვაწერინებდი ხოლმე უწყისზე. ერთხელაც, ერთი ბიჭის გვარი არ ვიცოდი და ვკითხე, ხომ უნდა ჩამეწერა. იმათ სიცილი ატეხეს, ეგონათ ვეხუმრებოდი. მე გავბრაზდი. ამ დროს ყვარლიდან მომაგრებული კაცი მოვიდა და ვუთხარი, ამ ბიჭს, მე პურს აღარ ვაჭმევ-მეთქი, და რათაო? გვარს არ მეუბნება და მაგის შეჭმული ვის დავაწერო-მეთქი. ბიჭებმა ისევ სიცილი ატეხეს. ამ ბიჭმა თქვა, როგორ არ მიცნობს, განა ერთხელ და ორჯერ ყოფილა ჩვენი ქლიავის კენწეროზეო? თურმე შილდელი ყოფილა *(იცინის)*, ხაბარაანთ *(ხაბარაშვილების)* ბიჭი. მე ვუთხარი, კაცო, კი ვყოფილვარ, მაგრამ ჩემს შემდეგ დაიბადე და გაიზრდე და როგორ უნდა გიცნობდე-მეთქი?

კომბაინერები და ტრაქტორისტები ყველანი სოფლებიდან იყვნენ. ომი რომ დაიწყო და ჩემი ქმარი წავიდა, იმის შემდეგ კაცები დაიჯავშნენ და აღარ მიჰყავდათ. საწყობის და ფერმის გამგეები, ბრიგადირები, ყველანი აქ იყვნენ. საკმარისი ჰყავდათ წაყვანილი და აღარ უნდოდათ. ტრაქტორისტები და კომბაინერები, 18-19 წლის ბიჭები, ომისთვის პატარები იყვნენ. მაგათ ვემსახურებოდი მე. საჭმელს ხომ ვაკეთებდი და თან კალოზეც ვმუშაობდი. ქალები, დასასვენებლად რომ გამოდიოდნენ, მეხმარებოდნენ ხოლმე, ზოგი რას მირჩევდა და ზოგი რას. ქათმები და ბატები თუ მყავდა გასაპუტი, იმასაც მიპუტავდნენ ხოლმე.

საჭმელს კილექტივი აჭმევდათ. მე თუ წამოვიდოდი, მივიდოდი ხოლმე კანტორაში და იქ ავიღებდი პურს, ყველს, არაყს, ღვინოს, ერთი სიტყვით, რაც გამოწერილი მექნებოდა. შინაგოს *(მეტსახელი)* ტაჭკა მემსახურებოდა და იმით მიმქონდა ყველაფერი. თუ ვინიცობაა იქ ვრჩებოდი ღამე, შინაგოს დავუწერდი, რა უნდა ჩამოეტანა მეორე დღეს და იმას მოჰქონდა. მე კიდევ გავაკეთებდი ხოლმე. სანამ პატარა შვილი ცოცხალი მყავდა, ღამე იქ არა ვრჩებოდი, მაგრამ ის რომ დაიღუპა, – წლინახევრისა მომიკვდა, იმის შემდეგ ორშაბათს რომ წავიდოდი, შაბათამდე არ ამოვდიოდი იქიდან. ღამის შრომადღესაც გვიწერდნენ.

კალოზეც მიმუშავია ხორბლის მწონავად, მერე „სემიჩკის“ *(მზემსუზირის)* მწონავადაც. სიმინდს რომ დაამტვრევდნენ, ახლა იმას ვწონიდი. ათი კლასი დავამთავრე შილდის საშუალო სკოლაში.

ჩემი ქმარი საწყობის გამგედ მუშაობდა, ომში რომ წავიდა. გასაღებები შინ დაყარა და ისე წავიდა. არც მიჰყავდათ, თავი გაიკლა. კიდევაც ვეუბნებოდი, იქნება კომისარმა წყობილებაში არ ჩაგაგდოს-მეთქი. რომ არ ჩამაგდოს, მაინც წავალო, მიპასუხა.

ალმატიდან თხუთმეტი ბიჭი წავიდა ერთად. ზოგი ცოლშვილიანი იყო და ზოგი უცოლშვილო. ბევრი ვეღარ დაბრუნდა იქიდან. ბუთხუზას *(მეტსახელი)* ორი საქორწილო ძმა დარჩა იქ, ქვევითა გოგიას – ორი ძმა, თუთაანების *(მეტსახელი)* ორი ძმა და რა ვიცი, ზოგი მობრუნდა უკან და ბევრი კი ვერა. ჩემი ქმარი, რადგან საწყობში მუშაობდა, არ მიჰყავდათ, მაგრამ ძალით წავიდა. რა ვიცი, სიკვდილმა გაიტაცა, თუ რა იყო. ადგა და წავიდა. ორ თვეზე აქა ვართო! – ეგრე სიხარულით წავიდნენ. იმათ ეგონათ, მამიდასთან მიდიოდნენ. იმ უბედურმა არ იცოდა, რომ იქ დარჩებოდა, ძვალი და რბილი იქ რომ უნდა დაეტოვებინა. გაიკლა თავი და წავიდა. გასაღები შინ დააგდი და მითხრა, უშენოდ არ გადაიბარონ საწყობიო.

მე გადავაბარე საწყობი ლამაზოაანთ *(მეტსახელი)* გიგას. კი გადავაბარე, მაგრამ არაყს მედავებოდნენ. „ბოჭკას“ *(ხის კასრი)* ცოტა ეკლდა და შენმა ქმარმა სახლში წამოიღოო. მე ვეუბნებოდი, მე ვიცი, რომ ჩემ ქმარს სახლში არაყი არ მოუტანია და არ მაკლია, მოიტანეთ ჭურჭელი და გადარწყეთ-მეთქი.

ერთი მომაგრებული აგრონომი გვყავდა. შილდაში კი ცხოვრობდა, მაგრამ სხვა მხრიდან იყო. იმან გამაფრთხილა, რაც არ უნდა გითხრან, ხელი არაფრით მოაწეროო.

ნათქვამია: საცა მტერი გყავს, იქ მოკეთეცა გყავსო. არ მოვაწერე და არ მოვაწერე ხელი. მიუხედავად იმისა, რომ მაძალებდნენ. როგორც დამარიგეს, ისე ვუთხარი, დაწერეთ აქტი, რომ დაიღვარა, ჯერ თქვენ მოაწერეთ ხელი და მერე მე მოვაწერ-მეთქი. მართლაც, სხვა გამოსავალი რომ არა ჰქონდათ, ასეც მოიქცნენ.

ერთი ძროხა მყავდა, ჩემი ქმარი ომში რომ წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მარტოხელა ვიყავი, „დამზადება“ ხორცის, ყველისა და კვერცხის ჩაბარებას მავალებდა. ჩემს შვილს შრატს ვასმევდი და ყველს კიდევ მაღაზიას ვაბარებდი. მაღაზია თორნიკეაანთ სახლში იყო. ერთი დრო არის, ყველს ვაბარებ და ამას ჩაბრაანთ *(ჩაბრაშვილი)* სოსო შეესწრო. ის გრემის კოლექტივის თავმჯდომარედ მუშაობდა. ჩავაბარე ყველი და წამოვედი. დამეწია სოსო და მითხრა, რად ჩააბარე ყველიო? მაწერენ, მთხოვენ და რა ვქნა-მეთქი. არ გეკუთვნისო, მითხრა, შენ არ უნდა აბარებდეო და ამის შემდეგ აღარ ჩააბარებო. თუ ვინმემ რამე გითხრას, უთხარი, სოსომ დამარიგა-თქო.

მართლაც ასე მოვიქეცი. იმის შემდეგ ყველი აღარ ჩამიბარებია. ხორცისა და კვერცხის ჩაბარებას კი გვთხოვდნენ. ამ ყველაფერს რას უშვრებოდნენ, რა ვიცი, ვითომ ომში გზავნიდნენ? თვითონა სჭამდნენ, ომი სახელი იყო.

„ნალოგის“ *(გადასახადის)* გადახდასაც მთხოვდნენ. ფული რომ არა მქონდა და ვერ ვაძლევდი, გადმოვიდოდა საბუიდან „ფინგანი“ *(ფინანსური განყოფილების მოხელე)*, ჩააბამდა ძროხას თოკს და წაიყვანდა. სახლში მივიდოდი და ვიკითხავდი, ძროხა სად არი-მეთქი? საბუის საბჭოშიაო, მეტყოდნენ. გადავიდოდი,

ჩავაბამდი ისევ თოკს და წამოვიყვანდი, ორი დღის შემდეგ ისევ მიჰყავდათ. კაცო, სხვებსაცა ჰყავდათ ძროხები, მაგრამ „ნალოგის“ გადახდას და ხორცის ჩაბარებას არა სთხოვდნენ. კვერცხსაც მაწერდნენ ხოლმე. ასი კვერცხი უნდა ჩამებარებინა. არა მქონდა და ვყიდულობდი, რა უნდა მექნა. ერთხელაც, კვერცხის ჩაბარება მოგვთხოვეს. ჩემს რძალს, ნინას ვუთხარი, წამოდი, ფშავლებში წავიდეთ და იქ ვიყიდოთ-მეთქი. თან გამოგვყვა მეზობლის ქალი ბაბე. წავედით და სადაც კი მივედით, უარს გვეუბნებიან, არა გვაქვს, კრუხები დავსვით და აღდგომას შევჭამეთო. მერე ბაბემ, ეშმაკი დედაკაცი იყო, უთხრა, ღმერთი არა გწამთ თქვენაო? ამისი ქმარი (ფუას ქალზე უთხრა) მოვიდა ომიდან დაჭრილი და ექიმმა კვერცხი გამოუწერა. მაშ არა გაქვთ, რომ ერთი ხუთ-ხუთი ცალი გამოუტანოთო? ეს რომ გაიგეს, სულ მუქთად გვაძლევდნენ, ფულს აღარავინ გვართმევდა (იცინის). ასე შევაქუჩეთ ასი კვერცხი და ჩავაბარეთ.

ასეთი უბედური დრო იყო მაშინ, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი და ყველაფერს ვიტანდი. ძროხა ხომ მყავდა და რძესა ვყიდდი ხოლმე. ათ ლიტრასა ვწველიდი ყოველ საღამოს. თორნიკეაანთ ბიჭები ჩემი ძროხის რძით არიან დაზრდილები. თორნიკეს ცოლი სკოლაში მუშაობდა, სახლში ერთი მოახლე ქალი ჰყავდა, მოვიდოდა, გავუვსებდი ბოთლს რძით და მიჰქონდა ხოლმე. აბა, ისე ფული საიდან მექნებოდა. პენსია მაშინ არ იყო და რამე. მაშინდელი გადაუხდელი ქვითრები ეხლაც შენახული მაქვს.

ჩემი ქმარი ომიდან წერილებს მიგზავნიდა ხოლმე. ქაღალდი რომ არა ჰქონდა, კარაქის ქაღალდზე დაწერილი წერილიც კი გამოუგზავნია. ეხლა მარტო ეს ერთი წერილიღა მაქვს შენახული, დანარჩენები რძლებმა დამიფანტეს. ოთხი რძალი შემოვიდა ჩემს ოჯახში და თავის ჭკუაზე აკეთებდნენ ყველაფერს. წერილებში ძირითადად სულ მოკითხვებს იწერებოდა, ომისას არაფერს. ერთხელაც, შვილი რომ მომიკვდა, იმას არ გავაგებინეთ, მომწერა წერილი და მწერს: ანიკო, სიზმარში სახლში მოვედი და „კუშეტკაზე“ *(პატარა ტახტი)* დავჯექიო. გურამი მოვიდა, მუხლებზე მომეხვია და გოდერძი აღარა გყავსო. რა ხდება, ძროხა ხომ არ მოგპარესო. ეხლანდელებს სიზმრისა არა გჯერათ, მაგრამ ჩემმა ქმარმა სიზმრით გაიგო შვილის სიკვდილი და რადგან ქურდობა იყო, იმითი ახსნა. დარდიანი ვიყავი და არაფერი არ მივწერე. მერე მომწერა კიდევ: სხვაგან გადავდივართ და სანამ ჩემი წერილი არ მოგივა, შენ არ მომწეროო. იმის შემდეგ მისი აღარაფერი ვიცი.

ქურდობა ძალიან იყო მაშინ. მიწური სახლი მქონდა და კუთხეში ერთი პალო მქონდა ჩარჭობილი და ზამთარში იქ მება ხოლმე ძროხა, რომ არ მოეპარათ. ზაფხულობით კიდევ „აკოშკაზე“ *(ფანჯარაზე)* მება და მეც იქვე მეძინა. რა ვქნათ, ღმერთმა როგორც გაგვაჩინა, ისე დაგვარჩინა. ბედია ყველაფერი. ვინც რა ბედზე დავიწერებით, იმ ბედზე უნდა დავიბადნეთ და მოვკვდეთ. ჩვენ რომ გავჩნდით, შუბლზე გვეწერა, რითი უნდა მოვკვდეთ: ავადმყოფობით, ცეცხლზე უნდა დავიწვათ, წყალში უნდა დავიხრჩოთ თუ ავარიით. ყველაფერი შუბლზე გვაწერია. მე ნანახი მაქვს ადამიანის თავის ქალა. თბილისში ერთ ოჯახში ვიყავი. ის ქალი ექიმი იყო. სახლის ერთ კუთხეში ედგა ჭურჭლის კარადა და იქ ჰქონდა ძვლები, სურათები და რაღაცეები. იმან მანახა თავის ქალა.

ომის დროს არაფერი არ იშოვებოდა. ერთი თევზი გამოდიოდა მარტო. კოლექტივი მეურნეობაზე რომ გადავიდა, მე იქ უკვე აღარ მიმუშავია. სანამ

საავადმყოფოში დავიწყებდი მუშაობას, თბილისში ჩემი მოყვანილი რაღაცეები მიმქონდა და ვყიდდი ხოლმე. სწორედ იქ სიარულისას გავიცანით მე და ჩემმა მეზობელმა ერთი ქალი, რომელიც სამინისტროში მუშაობდა. მაშინ შაბიამანი არ იშოვებოდა და იმ ქალმა ამ ჩემს მეზობელს უშოვა და გამოატანა. იმის მერე დავუახლოვდით იმ ქალს, რთველშიც დავპატიჟე, ისიც მოდიოდა და მეც, როცა რაღაცეები მიმქონდა გასაყიდად, იმასთან ვრჩებოდი ხოლმე, ბაზართან ახლოს ცხოვრობდა. მარტოხელა ქალი იყო, ქმარი ომში ჰყავდა დაღუპული და ორ შვილს უვლიდა, სახლში ერთი გასათხოვარი დაც ჰყავდა. ერთელ, ჩასული რომ ვიყავი, მითხრა, ანიკო, ჩვენ სამინისტროში ჭურჭელია მოსული და რომ გამოვიტანო, სოფელში არ გაიყიდებაო?

მართლაც, გამოვიტანეთ ჭურჭელი და წავიღეთ შილდაში. უცბად გავყიდეთ. თითოს ხუთას-ხუთასი მანეთი შეგვხვდა მოგება. მერე შილდელებმა მითხრეს, არ შეგიძლია, ნეკრესობა *(შილდელები ზეიმობენ 7 იანვარს, შობის დღეს)* მოდის და „პესოკი“ (შაქრის ფხვნილი) ჩამოიტანოო?

ახლა სხვასთან მივედი, იმან საწყობიდან ნაცნობის დახმარებით გამომიტანა ოცდაათი კილო „პესოკი“. წავიღე შილდაში, თვრამეტი კილო კი გავყიდე, მაგრამ ვიღაცამ დამბეზღა და მისულიყო ინსპექტორი ბიძაჩემის სახლში, იმათთან მქონდა დატოვებული და ყვარელში წაეღო. მე ამ დროს ალმატში ვარ. დამეძებს ეს ინსპექტორი, ის ალმატში გადმოვა, მე შილდაში ვარ, იქ მივა – ალმატში ვარ. ვემალები, რა ვქნა, რომ დამიჭიროს, როგორღა დავბრუნდები სახლში. არ იტყვიან, ნაციხარიაო? მოკლედ, ჩემს ძმას ვუთხარი, შენ უნდა დამეხმარო, რომ დამიჭირონ, სირცხვილით ვეღარც ალმატში მივალ და ვეღარც შილდაში. წავალ და სადმე გადავიკარგები-მეთქი.

ერთი ჩვენი მოგვარე ქალის ქმარი მილიციაში მუშაობდა და იმასთან წავედით. იმან სამასი თუმანი მთხოვა, კაპიკი არ დააკლო. სადა მაქვს მაგდენი, რა ვქნა, არ ვიცი. წამოვედი სახლში და დამხვდა ის თბილისელი ქალი. თურმე ჩემს რძალს მოუყოლია ჩემი მდგომარეობა. ამ ქალმა მითხრა, რამ დაგაღონა, ხვალევე წამიყვანე ყვარელში, მე გზა არ ვიციო. იქ ჩვენებური კაცი მუშაობს, იმას ვნახავ და ყველაფერს მოვაგვარებთო.

მართლაც, მეორე დღეს წავედით. მე შორს დავდექი, იქ რა მიმიყვანდა, და იმ ქალს დავანახე კიბეები, აი, იქ მიდი და იკითხე-მეთქი.

წავიდა ეს ქალი. თურმე ადვილად უპოვია ის კაცი. იმას რომ დაუნახავს, გაჰკვირვებია, აქ რამ მოგიყვანაო? ამ ქალს უთქვამს, გამომძიებელს შემახვედრეო. მისულან იმასთან და როცა მისვლის მიზეზი უკითხავს, უპასუხია: – ერთი უბედური ქალი მყავს ახლობელი და დახმარება სჭირდება. ესე და ესეა, „პესოკი“ წაგირთმევიათ. ვაჭარი კი არ არისო. ეს პესოკი მე გამოვატანე, ერთი შვილი ჰყავს და შიმშილით უკვდებაო. ის „პესოკი“ იმიტომ გამოვატანე, ზოგი სიმინდზე გადაცვალე, ზოგი ხორბალზე და შვილს აჭამე-თქო. ბიჭია და რომ გაიზრდება, შეიძლება სადღაც ისევ თქვენ გამოგადგეთო. იმ ქალმა სხვებიც გამოგვიგზავნა, თვითონ კი აქამდე ვერ მოვიყვანეთო, უთქვამს იმ კაცს. იმას აქ როგორ მოიყვანთ, ფორმიან კაცს რომ დაინახავს, გული მისდის შიშითაო. ეხლაც ქვევით მელოდება, შენობასთანაც კი ვერ მოვიდაო. ამ გამომძიებელმა ჩემი მისვლა ითხოვა: – დავინახო მაინც ვინ არის, იქნებ სადმე შემხვდეს, ხომ

უნდა ვიცნოო. ამ ქალს უთქვამს, იცოდეთ, არ მომატყუოთ, არ მომაყვანინოთ აქ და არ დააპატიმროთ, თორემ მეც იმასთან ერთად ჩავჯდებიო.

მერე, როგორც იყო, ძლივს-ძლივობით მიმიყვანეს. კარებში შევედი თუ არა, შიშისაგან ისტერიული ტირილი ამივარდა, ხმით კი არა ვტიროდი, მაგრამ ცრემლები თავისით მომდიოდა. მაშინ, ჩემმა ახლობელმა ქალმა გამომძიებელს უთხრა, ხომ გეუბნებოდი, ვაჭარი არ არის. ვაჭარი რომ იყოს, ასეთ დღეში იქნებოდაო?

მოკლედ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. დაწერეს, ვითომ ვაჭარ ხალხს ვშპიონობ და თავდებში გამათავისუფლეს. ამ ქალმა გამომძიებელს უთხრა, ისეთი პატივი გვეცით, რომ კარგი მაღარიჩი ჩემზეაო.

ეს ქალი თბილისში წავიდა და მე სახლში წამოვედი. გავიდა დრო და ვფიქრობ: იმ კაცს მაღარიჩს დაჰპირდა და უნდა წავუღო, ფული არა მაქვს და რა ვქნა. ღმერთმა გაანათლოს კონა. ათი ლიტრა შავი ღვინო იმან მომცა, ანიკო, ოღონდ შენ კარგად იყავი და არაფერი არ მინდა შენიო.

ჩემმა მეზობელმა მართიკომ კიდევ კარგი ინდაური დამიჭირა. გავამზადე რაღაცეებიც და ეხლა ვფიქრობ, რა ვქნა. მარტო იქ რა წამიყვანს. წავედი თბილისში იმ ქალთან და ვუთხარი – ამდენი სიკეთე მიყავი და ბარემ ეს მაღარიჩი წამაღებინე-მეთქი.

იმან კიდევ „კალბასი“ *(ძეხვი)*, თევზი და თბილისური რამეები დაამატა და წამომყვა. ჩავედით ენისელში, დავიქირავეთ მანქანა და წავედით. სახლი არ ვიცით, რომ შინ მივუტანოთ, ამიტომ ისევ მილიციაში მივედით და ერთი ფორმიანი კაცი გამოგვაყოლა. ეს გამომძიებელი თელაველი იყო, მაგრამ ცოლ-შვილით ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა ყვარელში. მივუტანეთ ეს „კარზინკა“ *(ჩანთა)* და „ბაჩონკა“ და წამოვედით. სხვისი ჭურჭელი კია, მაგრამ რა ვქნა, ხომ არ ვეტყოდი, დაცალეთ-მეთქი. წამოვედით სახლში. იმ ჩემს ახლობელს ვუთხარი, ხვალ, სანამ თბილისში წახვალ, ჯერ იქ გამომყევი, ჭურჭელი წამოვიღოთ, მე მარტო იქ არ მივალ-მეთქი. მართლაც, მეორე დღეს წავედით, რომ მივედით, ცოლმა გვითხრა, ჩემმა ქმარმა – აუცილებლად მოვიდნენ ჩემთან, ისე არ წავიდნენო.

რაღას ვიზამდით. ძალიან კი არ მინდოდა, მაგრამ მივედით. ამ კაცმა დაგვარიგა: – ამათ ჰგონიათ, რომ მე თქვენგან სამასი თუმანი ავიღე და იმიტომ გაგათავისუფლე. ამიტომ, ცოტა ხანს სადმე გაერიდე, მიწყნარდეს ყველაფერი და ისე დაბრუნდიო. მერე კარადიდან გამოიღო ის თორმეტი კილო „პესოკი“ და უკან გამომატანა – შენ შვილს ჩაი დაალევინეო. წამოვიღეთ „პესოკი“ და წამოვედით სახლში. აი, სხვა ადამიანმა როგორი სიკეთე გამიკეთა. ამ ქალმა მითხრა, წამოდი ჩემთან, იქ იყავი და რასაც მე შევჭამ, შენც იმას გაჭმევო. შვილის დატოვება კი არ მინდოდა, მაგრამ რა მექნა, ცოტა ხანს იქაურობას უნდა გავცლოდი. შვილი დედამთილს და რძალს დავუტოვე და წავედი თბილისში. ეე, რამდენიც მე გადამხდენია თავს, იმდენი თმა არა მაქვს თავზე.

ჯულიეტა ჩიქოვანი

დაბადების წელი: 1926

2003 წელს ბათუმში ჩაიწერა
ზეინაბ ფილიპოვამ

დავიბადე 1926 წლის 8 მარტს ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში. წარმოშობით ვარ ლაზი. მამა მუშაობდა... რეფიკი ერქვა. პირველი კოლმეურნეობა რომ დაარსდა გონიოში, მამაჩემი იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.. როგორი თავმჯდომარე იყო, იცი? კოლმეურნეობის პლანტაციებში სამუშაოდ რომ გაყავდა ხალხი (მამაჩემის გაშენებულია ჩაის პლანტაციები გონიოში), რომ არ მომცდარიყვნენ, ურემზე, ან ერთი „პოლუტორკა“ რომ ჰქონდათ, იმ მანქანაზე დააჯენდა და ისე წაიყვანდა ხალხს სამუშაოდ. რომ მოვიდოდა მაღაზიაში რამე – ფართალს ეძახოდნენ მაშინ, – თქვენ წადით, მე ადგილზე მოგიტანთ ყველაფერს მაღაზიიდანო, – ხალხს ასე ეტყოდა. იქ მიუტანდა, სადაც მუშაობდნენ. არ უნდოდა, რომ მოცდენილიყვნენ. სასადილოც ჰქონდათ, დააწყობინებდა „კატიოლებს“ ურემზე, მიატანინებდა პლანტაციებში და იქ აჭმევდა ხალხს. გონიოში მეურნეობაც იყო, სადაც სულ რუსები მუშაობდნენ. მამას დამსახურებაც აღნიშნეს. იმ დროს მამაჩემს ჰქონდა პირველი პატეფონი, რომლითაც დააჯილდოვეს, როგორც მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

11 წლისა ვიყავი, 1937 წელს მამა რომ დაიჭირეს. ერთი წელი „პერედაჩებს“ ღებულობდნენ; მერე გავიგეთ, რომ თბილისში გადაიყვანეს და დახვრიტეს. მამა რომ დაიჭირეს, კარგად მახსოვს. სახლში იყო შესვენებაზე მოსული. მამა დილით ადრე მიდიოდა სამუშაოდ და 12 საათზე მოდიოდა საჭმელად. რომ დაიჭირეს, იმ დღესაც მოვიდა, ჭამა და ამასობაში მოვიდნენ შინსახკომელებიც. შეიყვანეს ოთახში, იარაღს ატარებდა, რა თქმა უნდა. მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და ასეთებს იარაღი ეძლეოდათ. იარაღი ჩამოართვეს და გამოიყვანეს სახლიდან. ჩვენი სახლიდან გამოსასვლელი ცემენტისაა, ბეტონია ხიდად. მაშინ ხის ხიდი იყო, ბეტონი არ იყო; რომ გადიოდა ხიდზე, გამობრუნდა და დედაჩემს დაუძახა, მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის, მაგრამ... დავბრუნდები მგონია, თუ ვინცობასაა არ დავბრუნდი, ერთადერთი სათხოვარი მაქვს, რაც არ უნდა გაგიჭირდეს, შვილები უსწავლელი არ დამიტოვოო. ყველამ ვისწავლეთ.

ვიღაცამ დედაჩემს უთხრა, შენი ქმარი დაასმინეს, რომ ტროცკისტიაო, ეს მთავრობა არ უყვარსო. მამაჩემი რაის ტროცკისტი იყო? ვიღაც თურქს დაუსმენია. დედამ ბოლომდე არ თქვა, ვინ დაასმინა, ისე – იცოდა. ჩვენი მეზობელი ოსმანიც იყო დაჭერილი, იმას ენახა მამა ციხეში. ის მეზობელი კი გამოუშვეს, მამაჩემი – არა...

ამასწინათ ვფიქრობდი, ნუთუ მამაჩემის სურათი რომ მოვითხოვო არქივებში, არ იქნება? ერთი კოლმეურნეობას ჰქონდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაწვა, შეეშინდა ალბათ. თურქეთში სურათები რომ დარჩა, ისინიც გაანადგურეს, ეშინოდათ, ალბათ ტროცკისტი რომ იყო, რამე ჩვენც არ წამოგვეკრასო. საერთოდ, აქ ძალიან იშვიათად იღებდნენ სურათებს. ჩვენ ბათალოღლები გვეწერა, გათურქებუ-

ლი გვარი. მამას ნათესავები ჰყავდა თურქეთში. სარფი ხომაა გაღმა-გამოღმა, მისი ნათესავები გაღმა დარჩნენ და მერე თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

მამის ერთი ძმა აქ მუშაობდა შინსახკომში, ოსმანი ქვიოდა. ცოლ-შვილი იქ, გაღმა სარფში, ესე იგი თურქეთში ჰყავდა, მაგრამ თვითონ აქ იყო. შინსახკომში მუშაობდა და აგზავნიდნენ იქეთ-აქეთ. გაგზავნა-გამოგზავნა ხომ იცი. საზღვარი რომ დეიკეტა, მერე ცოლ-შვილს ვერ ნახულობდა. იქედან, გაღმიდან, გვსტუმრობდა ხშირად ბიძაჩემის, ოსმანის ცოლისძმა (მაშინ ჯერ კიდევ გადმოდიოდნენ), ცოტა შიზოფრენიკი იყო. ერთ მშვენიერ დღეს ოსმანი ჩვენგან ნასადილევს მიდიოდა ფეხით, უკანიდან დაედევნა ცოლისძმა, ესროლა თოფი და გონიოს ციხესთან მოკლა. რა თქმა უნდა, დაიჭირეს და მერე ალბათ დახვრეტდნენ, აბა რას უზამდნენ? გონიოს ციხესთან დაასაფლავეს ბიძაჩემი. სად, არ ვიცი, მაშინ ქალები არ დადიოდნენ სასაფლაოზე.

მამაჩემი კარგად ფლობდა გერმანულ და თათრულ ენებს. ადრე გაღმა ნათესავებთან ურთიერთობა ჰქონდა. 1936 წლამდე ეს ურთიერთობა როგორი იყო, იცი? „პროპუსკს“ (საშვს) მოგცემდნენ, საზღვართან მიხვიდოდი და ნათესავებს ნახავდი სარფის საზღვართან. „კანვოი“ რომ იდგა, იქ შეიძლებოდა ერთი-ორი სიტყვა გეთქვათ ერთმანეთისთვის. 36 წლამდე იყო ასე. „პროპუსკი“ დედაჩემს ჰქონდა. მამაჩემი არ დადიოდა გაღმა. იქ მიწა გვქონდა, დედა დადიოდა და იქედან რამე შემოსავალი (მოსავალი) თუ იქნებოდა, წამოვიღებდით აქეთ. 37 წელს, ტროცკისტობა რომ დაიწყო, მამაჩემი უკვე დაპატიმრებული იყო. ჩვენ იქით ვინღა გაგვიშვებდა? „პროპუსკს“ ვინ მოგვცემდა? ყველაფერი აკრძალული იყო, არც მიწერა, არც მოწერა, არაფერი არ შეიძლებოდა.

ახლა არ მახსოვს, რომელი წლები იყო, როცა ოფიციალურ ვიზას (მოწვევას) გამოაგზავნიდნენ-ხოლმე. დედაჩემი ერთხელ წავიდა იქ ასეთი ვიზით. ათი დღით წავიდა. თითქმის ყველა მაზლი უკვე მკვდარი იყო მაშინ, მაზლიშვილები ნახა და მათი ცოლები. მანამდე, 37 წლის მერე, მიმოწერა ან რამე ასეთი, არაფერი არ იყო.

საზღვარი რომ გეიხსნა, ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, იმიტომ რომ ნათესაობა ნახევარი იქეთ იყო, ნახევარი აქეთ, აღდგა ერთმანეთში მიმოსვლა, მაგრამ მაინც საშვი იყო საჭირო მაშინ. ახლა პასპორტებს აკეთებენ და მიდი-მოდიან. ურთიერთობა გაიოლდა. რა მხრივ, თუ იცი? ვინმე რომ მოკვდება, ნათესავს დილას გაუშვებენ, მის მკვდარს დეიტირებს და მოვა. მაშინ ესეც არ იყო. რაფერ იყო, მერე მოგიყვები – მამიდა რომ მოკვდა, რაფერ ვიტირეთ.

დედაჩემს ცხრა შვილი ჰყავდა. აქედან ერთ უმცროს ძმაზე (რომელიც აფთიაქის გამგედ მუშაობდა, ამჟამად გარდაცვლილია) შვიდი თვის ფეხმძიმე იყო, მამა რომ წეიყვანეს. იმას მამა არ უნახავს. მე პატარაობიდანვე ჩამინერგა მამამ, ექიმი უნდა გამოხვიდეო. დედამ ყველაფერი გააკეთა, რომ გვესწავლა. შვილებიდან სამი ექიმი ვიყავით, ერთი – ფარმაცევტი, ერთი – აგრონომი, ერთი – ინჟინერი. ერთი და პედაგოგი იყო, ბაღის გამგედ მუშაობდა. ერთი და – ექთანი, მარტო ერთი და იყო საშუალო განათლებით. ბავშვები ძალიან შრომისმოყვა-რეები ვიყავით... დედა მარტოხელა ქალი იყო (მამის დაპატიმრების მერე მარტო გვზრდიდა). ზაფხულში, სკოლიდან გამოსულები, არდადეგების სამი თვის განმავლობაში 350 კაცდღეს გამოვიმუშავებდით ხოლმე კოლმეურნეობაში

და დედასაც ვეხმარებოდით ოჯახის საქმეში. საშუალო რომ დავამთავრე 1943 წელს, გაცხარებული ომის დროს, გამომიძახეს და საშუალოსკოლადამთავრებული გამაგზავნეს სარფის რვაწლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 2 წელი ვიმუშავე, ამასობაში ჩემმა ერთმა დამაც — ჰიდამ, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია, დაამთავრა საშუალო სკოლა და ორთავე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მოვეწყვეთ 1945 წელს.

ინსტიტუტი 1951 წელს დავამთავრე და დავიწყე მუშაობა ხელვაჩაურის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად, ორწელნახევარი ვიყავი იქა, შემდეგ გადამიყვანეს მახინჯაურის „სერნი ვანების“ (გოგირდის აბაზანების) მთავარ ექიმად. იქ ვიმუშავე 2 წელი და 6 თვე, მერე გავთხოვდი, ოჯახური პირობების გამო ვერ შევძელი იქ მუშაობა და გადავედი მახინჯაურის ბავშვთა სახლში ექიმის თანამდებობაზე. პარალელურად დასასვენებელი სახლების ექიმადაც ვმუშაობდი. 1962 წლიდან დავიწყე მუშაობა ტუბდისპანსერში ფტიზიატრად. თან 10 წელი შეთავსებით ვმუშაობდი სასწრაფოში. ვიმუშავე ექიმად მე-4 სამმართველოს დასასვენებელ სახლშიც. მერე პერიოდულად გავდიოდი კვალიფიკაციას. 4-ჯერ მაქვს კვალიფიკაცია გავლილი ფტიზიატრიაში. ერთხელ ვიყავი მოსკოვში სამხედრო კომისარიატის მიმართვით, ერთი თვე დავყავი მოსკოვში, შემდეგ მეოთხე სამმართველოდან ერთი თვით მიმავლინეს თერაპიის ინსტიტუტში. ასე რომ კვალიფიკაცია 6-ჯერ მაქვს გავლილი და ამჟამადაც ვმუშაობ ბათუმის ტუბდისპანსერში.

ახლა ჩვენი ოჯახის მდგომარეობაზე გეტყვი: გარდამეცვალა ორი და და ორი ძმა. ერთი ძმა იყო ფარმაცევტი, ერთი — ინჟინერი. ერთი და იყო ბავშვთა ექიმი, მეორე — მასწავლებელი. დანარჩენები, დისშვილები, ძმისშვილები — ყველანი მუშაობენ. გათხოვილები, დაქორწინებულები არიან. ცხრა დედმამიშვილიდან ოთხი მაკლია. დარჩენილი ვართ ხუთნი. ორი და ამჟამად რუსეთში ცხოვრობს, დანარჩენები აქეთ ვართ.

მამაჩემი რომ დაიჭირეს, მას მერეც დედაჩემს, როგორც მრავალშვილიანი ოჯახის დედას, მაინც ძალიან დიდ პატივს სცემდნენ. გმირი დედის წოდებაც მიანიჭეს. კოლმეურნეობაში რომ ვმუშაობდით, ყველას ძალიან უხაროდა და რომ წავედით ინსტიტუტში ჩასაბარებლად, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ცნობა მოგვცა, რომ მრავალშვილიანი ოჯახიდან ვართ, რომელსაც მცირე შემოსავალი აქვს. ერთი წლის სწავლის ქირა იყო გადასახდელი და ამ ცნობით ის ქირა არ გადავიხადეთ. ძალიან პატივს სცემდნენ დედას, სტუმრების მიღება რომ დასჭირდებოდათ (მაშინ სად იყო სასადილოები), სტუმრების პატივისცემა, ყოველთვის ჩვენთან მოდიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მამა არ მყავდა.

მასწავლებლები კიდევ, ეს გონიოში ჩამოსული მასწავლებლები, სულ ჩვენს სახლში ბინავდებოდნენ. იმიტომ, რომ ოჯახში კაცი არ იყო, ეს მასწავლებლები კი ქალები იყვნენ და ჩვენთან უნდოდათ ყოფნა. დედას უხაროდა, რომ ეს მასწავლებლები, როგორც ოჯახის წევრები, ისე გრძნობდნენ თავს მის ოჯახში. დედა ქალისა და კაცის საქმესაც თვითონ აკეთებდა. მიდიოდა, მოდიოდა და ეს მასწავლებლები ყურადღებას გვაქცევდნენ, ფულს კი დედა იმათ არ ახდევინებდა... ჩვენც უმეთვალყურეოდ არ ვიყავით. ეს ჩამოსული მასწავლებლები იყვნენ ყუფარაძე, ძიძიგური, რამიშვილი, ხომერიკი, ხაზარაძე. ბუნებისმეტყველების მასწავლებელი

იყო ყუფარაძე, რომელსაც დედა ოჯახის წევრივით ჰყავდა მიღებული. ზაფხულის არდადეგების შემდეგ რომ ბრუნდებოდა, სადგურში ჩამოსული გაქურდეს (ძალიან კარგი ჩამცმელი ქალი იყო, ორი ძმა ჯარში ჰყავდა დაკარგული, კახჩიში ცხოვრობდა ქუთაისთან ახლოს). სახლში რომ მოვიდა, აღარაფერი აღარ ჰქონდა, გარდა იმისა, ტანზე რაც ეცვა. დედაჩემმა ყველაფერი აჩუქა, უთხრა: აგერ, ნადია, აირჩიე რაც გინდაო. შეძლებული ოჯახიდან იყო ეს ქალი. მაგრამ სანამ სახლში წავიდოდა, რაღაცა ხომ სჭირდებოდა? მერე უკვე, რამოდენიმე წლის შემდეგ, ძმები რომ დაეკარგა ჯარში, უკვე 44 წელი იყო, დედამისმა გაიგო, რომ შვილები დაელუპა. თათრებშია ჩემი შვილიო, თქვა და წევიდა განათლების სამინისტროში. იქედან მოიტანა ქაღალდი, რომ გაეთავისუფლებინათ ნადია და აქედან წაეყვანათ. რომ ჩამოვიდა დედამისი და ჩვენი ოჯახი ნახა, თქვა, რა ტყუილა მოვიკალი თავი, რომ ვამბობდი, თათრებშია ჩემი შვილიო, აი, რა კარგი ხალხი ყოფილაო. ნადია მასწავლებელს ერთი ჩამოსული ექიმი ეძლეოდა, დედას ძალიან უნდოდა, რომ ნადია გათხოვილიყო, მაგრამ ნადიამ არაფრით არ ქნა. წევიდა ჩვენგან. მიმოწერა გვქონდა. მერე, რადგანაც ძმაი არ ჰყავდა და ოჯახში მარტო დარჩა, არც გათხოვდა, აიყვანა ბიძაშვილის ბავშვი. ის ბიძაშვილიც ომში იყო დაღუპული. იშვილა ბიძაშვილის გოგო და ისე გავაგრძელეთ ბოლომდე ურთიერთობა, რომ იმ ბავშვის ქორწილზეც დაგვპატიჟა. ჩვენ, რა თქმა უნდა, წავედით – ჩემი ქმარი, მე, ჩემი ძმა. მერე მამა გარდაეცვალა – ვიყავით, დედა გარდაეცვალა – ვიყავით. ჩვენ, ინსტიტუტში რომ ვსწავლობდით, როგორც დედაჩემი გვიგზავნიდა, ისე გვიგზავნიდა ისიც ყველაფერს. პლიუს კიდევ, როცა არდადეგები იწყებოდა, ჩავდიოდით და, განსაკუთრებით შემოდგომაზე, როცა ყურძნის კრეფის დრო დგებოდა, მივდიოდით და რთველში ვეხმარებოდით.

ყველა დანარჩენი ჩამოსული მასწავლებელი გათხოვდა. მელქაძე იყო ერთი ლამაზი მასწავლებელი, ყველა ეპრანჭებოდა, დოლიძე იყო ერთი... მოკლედ, ნადია მასწავლებლის გარდა ყველა ჩამოსული მასწავლებელი გათხოვდა. თავი-ანთ კუთხეებში გათხოვდნენ და წავიდნენ. ნადია მასწავლებელთან ბოლომდე გვქონდა მიმოწერა. როცა წერილები შეწყდა, გავიგე, რომ გარდაცვლილიყო.

დედის მხარე ძალიან გვეხმარებოდა. დედას ძალიან უწყობდნენ მისიანები ხელს. დედას ერთი ძმა ჰყავდა თურქეთში. დედის მხრიდან ბიძები ჰყავდა, ტერიტორიულად იქ რომ მოხვდნენ, მერე გზა ჩაიკეტა და უკვე ვეღარ წამოვიდნენ აქეთ. მამის მხარე აქ არ გვყავდა, გაღმა იყვნენ. ზაფხულობით ხშირად ბებიასთან, დედის დედასთან ჩავდიოდით სარფში, იქ სულ ლაზები ცხოვრობენ. ლაზები ბავშვობიდანვე კარგად ცურავენ. ამბობენ, ლაზი სიარულზე ადრე ცურვას სწავლობსო. სარფში უფრო განვითარებული იყო ცურვა, მეთევზეობა. ჩემი ამხანაგებიც თევზაობდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ხორავა, მოკვდა. ის მეთევზე იყო. ნოდარ დუმბაძეს მასზე აქვს დაწერილი წიგნში „ნუ გეშინია, დედა“. ალი ხორავა ჩემზე 2 წლით წინ სწავლობდა. ბავშვობაში მე და ის ერთად ვმონაწილეობდით წარმოდგენებში. ერთად ვცეკვავდით ქართულ ცეკვას. ალიმ საშუალოს დამთავრების შემდეგ აღარ ისწავლა, ხუმარა კაცი იყო ძალიან და ამავე დროს ზოგადად განვითარებული.

ომის დროს სარფში აკრძალული იყო თევზაობა. ზღვაზე ვერ გახვიდოდი. ალბათ, საზღვართან რომ იყო, იმიტომ. მერე და მერე დართეს ნება. თევზჭერა

ძალიან იყო განვითარებული სარფში. ახლა და ახლა გონიოშიც დეიწყეს თევზაობა, გონიოში თევზს არავინ იჭერდა. უფრო სარფში, სარფში იჭერდნენ და ხანდახან ნავებით თურქეთიდანაც გადმოპარებოდნენ ხოლმე, აქეთ მხარეს უფრო იყო თევზი, თუ რა, არ ვიცი. როგორ იყო, იცი? ჩვენ საღამოობით საბანაოდ სარფში ჩამოვდიოდით ხოლმე ზღვაზე. მე ცურვა არ ვიცოდი, ისე ვჭყუმპალაობდი. იქეთ რომ მიდიხარ, სარფისკენ და დიდი ქვა რომ არის, ქვაომხაზს ეუბნებიან იმ ქვას, აი, იმ ადგილზე შევდიოდი მოფარებულში. დაბრუნების დროს უკვე დაბნელებული იყო, მაშხალებს გავაკეთებდით და სახლში ისე ავდიოდით. ახლა სარფში კარგი გზებია, მაშინ კი ასე არ იყო, წამოვიღებდით ხოლმე რამე საჭმელს (ხომ იცი, ცურვის შემდეგ რა გემრიელია ჭამა) და იქ ვჭამდით ზღვასთან.

ჩემმა და-ძმებმა კარგად იცოდნენ ცურვა, მე არ ვიცი, საცურაოდ არ მეცალა. დედა ბავშვებს მე მიტოვებდა ხოლმე. ახლა არ იკითხავთ, როგორ ვსწავლობდი? მე უფროსი შვილი ვიყავი და აკვნის ბავშვსაც მე მიტოვებდა დედა. დილით ძალიან ადრე უნდა ავმდგარიყავი, დედა თუ სადმე იქნებოდა წასული, ყველა ბავშვი სკოლაში უნდა გამეშვა. ძროხა მე უნდა მომეწველა, კამეჩებიც გვყავდა, კამეჩიც უნდა მომეწველა, ყველა დამეპურებინა, ჯერ ბავშვები გამეგზავნა სკოლაში და ბოლოს მე წავსულიყავი. მახსოვს, ერთი-ორჯერ დამავიწყდა სამზარეულოს ფართუკის მოხსნა და ფართუკიანად წევედი სკოლაში. მაშინ ლამფის შუქი იყო. სინათლეს ღამე გვაძლევდნენ და ომიანობის გამო შუქშენიღბვა იყო. ერთი ლამფა აინთებოდა და ყველა ბავშვი შემოუსხდებოდა ირგვლივ. მე მიდღემჩი გაკვეთილს სახლში ვერ ვსწავლობდი. ბავშვები რომ თამაშობდნენ დასვენებაზე, მხოლოდ მაშინ, იმ შუალედში ვკითხულობდი. წიგნებიც იმდენი არ იყო. მათემატიკის დავალების დაწერას რომ დაამთავრებდა მასწავლებელი, მეც მასწავლებელთან ერთად დამთავრებული მქონდა გამოყვანა. მათემატიკაში ძლიერი ვიყავი. ისტორია და ბუნებისმეტყველება მაინტერესებდა, დაზეპირება მეზარებოდა, სკოლაში ვსწავლობდი ყველა გაკვეთილს. ყველა საგანში ხუთები მყავდა. ნათესავი ბიჭები რომ მოვიდოდნენ ჩემთან, დაყრიდნენ ჩანთებს და აბა, დავალება დაგვიწერეო, მთხოვდნენ. ჭადი უნდა მოვზილო და ფქვილს ვცრი-მეთქი, ვეუბნებოდი. ჩვენ გავცრით და შენ ამასობაში დაგვიწერეო და რომ არ დავუწერდი, თმებით მათრევდნენ, გამლახავდნენ და გეიქცეოდნენ.

ომი რომ გამოცხადდა, დილას რომ მივედი სკოლაში, იქ არც ერთი კაცი მასწავლებელი აღარ იყო. ღამით ყველა გაეწვიათ ჯარში. მათემატიკის მასწავლებელი გვყავდა ერთი, ხომერიკი სონია, ძლიერი მასწავლებელი; ის სასწავლო ნაწილად და დირექტორად მუშაობდა, მერე რაიონის განათლების განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. საშუალოს ატესტატი რომ ავიღე 43-ში, მოვიდნენ საბჭოდან და მითხრეს, დაბარებული ხარ განათლების განყოფილებაშიო. მიმიყვანეს იქ და ვნახე, რომ ჩემი მასწავლებელი განათლების განყოფილების გამგეა. მითხრა, შენ სარფში რვაწლიანი სკოლის მასწავლებლად წახვალო. გამიკვირდა: მასწავლებელო, მე ახლა დავამთავრე და როგორ უნდა შევძლო-მეთქი? ნუ გეშინია, შეძლებ, დაგეხმარებითო, მითხრა. ეს იყო და წავედი სამუშაოდ. 6 თვე არ მქონდა ნამუშევარი, შემოწმებაზე მოვიდა და გაკვეთილზე დამესწრო. ჩავატარე გაკვეთილი, რა თქმა უნდა, ყველა გაკვეთილისთვის ვემზადებოდი. სკოლის დირექტორი

ბიძაჩემი იყო, განსვენებული ალი თანდილავა, დედაჩემის ალალი ბიძაშვილი. თბილისში უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. დამესწრო და ძალიან კმაყოფილი დარჩა. მერე მითხრა, საბუთები ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში უნდა შეიტანოო, შევიტანე საბუთები. პირველი სემესტრი დავხურე. ამასობაში ჩემმა დამ, ჰიდამ დაამთავრა სკოლა და ერთად წავედით თბილისში.

ერთი რამე მახსოვს კიდევ: დედაჩემი ძალიან მშრომელი ქალი იყო. სანამ სკოლას დავამთავრებდი, 1943 წელს, როცა ომი იყო, ბიძაშვილს ქორწილი ჰქონდა. დედამ ჩემი ორი და წაიყვანა, რომ ქორწილისთვის რაღაცა მატერია (ქსოვილი) ეყიდა და კაბები შეეკერა. ჰოდა, ვიღაცამ უშპიონა, სავაჭროდ აქვს წაღებული საქონელიო. დედა მატერიას ყოველთვის ბევრს ყიდულობდა ხოლმე და ინახავდა – ბავშვები პატარები არიან, გაიზრდებიან, დასჭირდებათო. დედაჩემი დაიჭირეს. ეს 43 წელს მოხდა. ასე დაახლოებით საღამოს 7 საათზე მოვიდა მილიციის წარმომადგენელი; ჩვენ იმდენი არაფერი გაგვეგებოდა, რომ საბუთი მოგვეთხოვა. დაცხრილეს სახლში ყველაფერი, ისე გაგვჩხრიკეს. დედაჩემს მატერიები ჰქონდა, 900 მეტრამდე ნაირ-ნაირი მატერია. ის მატერიები, მამაჩემის ტანსაცმელი, ფეხსაცმელები, ყველაფერი წაიღეს. ჩხრეკის მერე არაფერი დოუტოვებიათ სახლში. დედას და ქეთო და ჰიდა მოვიდნენ და გვითხრეს, რომ დედა დაიჭირეს. დავურეკეთ ბიძაჩემს, ინჟინერი იყო, ახმედ თანდილავა.

დავრეკეთ მილიციაში და გვითხრეს, დედათქვენი დაჭერილია და ნუ გეშინიათო. რას ვიზამდით? დაკითხვაზე რომ გაიყვანეს, დედამ უთხრა, მე სპეკულიანტი არა ვარო, ეს მატერია ამდენი მეტრო ამ ნოქრისაგან მაქვს ნაყიდი, ამდენი და ამდენი მეტრო – ამა და ამ ნოქრისაგანო. ბავშვები რომ პატარები მყავდა, ვყიდულობდი და ვინახავდიო. ყველა ნოქარი გამოიძახეს და ნოქრებმაც დაუდასტურეს, რომ ჩვენთან ყიდულობდა და ფულს გვიხდიდაო. ამათ დაკითხვასაც არ დაუცადა ბიძაჩემმა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მისი კლასელი რომ მუშაობდა ერთი (გვარი დამავიწყდა იმ კაცის), იმას უთხრა, ბიჭო, ასეთი ამბავი გვჭირს, ფადიმე დაიჭირესო. რაზეო? ასეთ და ასეთ ამბავზეო. მოდი ახლა შენ ახმედ აქაო, მისმა ამხანაგმა უთხრა ახმედ ბიძიას, და გააგზავნინა რადიოგრამა სტალინის სახელზე და ყველაფერი ჩამოათვლევინა დაწვრილებით იმ რადიოგრამაში – რამდენი შვილი ჰყავს, როგორ არის. დილის ათ საათზე რომ გაუგზავნეს რადიოგრამა, საღამოს ხუთ საათზე დედაჩემი გაათავისუფლეს. „ნემედლენნო ოსვობოდიტე, ვერნიტე ვსიო“ (დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ, ყველაფერი დაუბრუნეთ), – ასეთი იყო ბრძანება. დედაც გამოუშვეს და სუყველაფერიც დაგვიბრუნეს. 43-ში გაჭირვება რომ იყო, გაჭირვება იქნებოდა, რა თქმა უნდა – ორი წელიწადი იყო, რაც ომი მიმდინარეობდა, დედაჩემმა ეს მატერიები, ეს ყველაფერი გაცვალა სიმინდში და პროდუქტში. აი, ასეთი იყო ჩვენი მდგომარეობა. მერე, რა თქმა უნდა, ჩვენც დავიწყეთ მუშაობა და ოჯახი წინ წევიდა, დედას კი მერეც არ დაუყრია ფარ-ხმალი.

როცა მამა დაიჭირეს, ჩვენ ერთი კვირა საჭმელი არ გვიჭამია. მარტო ვტიროდით. ძროხა ბღაოდა, ქათამი კრიახობდა, მაგრამ კაციშვილი არ იხედებოდა ჩვენსკენ – ტროცკისტების შვილებიაო. მერე დედამ თქვა, ჩვენ არავინ არ მოგვხედავს, ჩვენი გარჯით, ჩვენი შრომით უნდა შევქმნათ ჩვენი ოჯახიო. და ასე

დევიწყეთ. მერე ზოგი გავთხოვდით, ოჯახს მოვეკიდეთ და გაგრძელდა ცხოვრება. დედა ძალიან ყოჩაღი იყო. ძროხები ჰყავდა, ფრინველი ჰყავდა და ბაღი გვქონდა. ჩემს ძმას მე ვასწავლე, კაკოს, ახლა რომ მომიკვდა, იმ ძმას მე ვასწავლე, მე წევიყვანე ინსტიტუტში და ფულს მე ვუგზავნიდი. როცა მამა დაიჭირეს, ნაკვეთი არ ჩამოურთმევიათ. ჩვენ ისედაც პატარა ნაკვეთი გვქონდა, სულ რაღაც 3 000 კვადრატული მეტრი.

ახლა ჩვენ გვარზე გეტყვით. ჩვენ ბათალოღლები ხომ გვეწერა, გათურქებული გვარი. ავდექით და დევიბრუნეთ ჩვენი გვარი. ამოქექა საბუთები, ყველაფერი, ციხის უფროსი რომ იყო ჩიქოვანი ვარლამი, იმან. მამაჩემს იცნობდა და ამიტომ დაგვეხმარა გვარის დაბრუნებაში. ეს გვარი ჩვენ როდის დევიბრუნეთ იცი? – 49 წელს. ინსტიტუტში ვიყავით უკვე. იქამდე ვეძებდით ჩვენს გვარს, რა თქმა უნდა. მაშინ მასობრივად უკვე იყო დაწყებული გვარების ძებნა. თუ ვინ საიდან იყო, როგორ იყო. ჩვენი წარმოშობის შესახებ კი აი რა მინდა გითხრა: ვისაც ისტორიაში რამე გეეგება, ყველამ იცის, რომ ჩვენ, ლაზები, პირველი ქართველები ვიყავით. დავიბრუნეთ ჩვენი გვარი. თბილისში სასწავლებლად ბათალოღლებად წავედით. ყველა – თათრები, თათრებიო, – გვეუბნებოდა, მაგრამ ჩვენ თათრობის რა გვეტყობოდა. სხვათა შორის, ერთ რამეს ვიტყვი, სარფში სკოლა რომ გაიხსნა, მხოლოდ სარფელები სწავლობდნენ წმინდა ქართულ ენას. ახლა რომ სარფში სხვადასხვა კუთხის ხალხი შევიდა ხულოდან, აქედან-იქედან, ცოტა ბავშვებსაც შეეცვალათ ენა. იქაურ ბავშვებს, და სუფთა ლაზები რომ არიან, იგენს, ენა არ შეცვლიათ.

ჩვენ უფრო ქართულად და ლაზურად ვლაპარაკობთ. ისე, მეზობლები, გვერდით, გონიოში ვინც იყვნენ, სულ თათრულად (თურქულად) ლაპარაკობდნენ. ახლა ძველებიდან თითო-ოროლაა დარჩენილი და იგინი თათრულად ლაპარაკობენ, თვარა დანარჩენები სულ ქართულად ლაპარაკობენ. გონიოში ლაზები ბევრნი არ არიან. გონიოში ლაზები ვიყავით მხოლოდ ხალვაშები და ჩვენ, ჩვენი ოჯახი. დანარჩენები სულ ეს ძველი ხალხი იყო, მაგრამ აჭარლები.

ჩვენ სახელებიც შევიცვალეთ. მმაჩის ბიუროში რომ მივედი, იქ მუშაობდა ქემხაძე, დედას ძალიან დიდ პატივს სცემდა. ახლა, ბაბაიაო, – მითხრა, – მე უნდა შეგირჩიო სახელიო, რა უნდა დამარქვა-მეთქი, ვკითხე. შენ ჯულიეტა უნდა დაგარქვაო. ადრე მე სულთანი მერქვა. ეს იყო 1948 წელი. ყველა ჩვენი სახელი მაგან შეარჩია და დაგვარქვა. მოთხოვნაც იყო, თუმცა ჩვენც გვინდოდა სახელის შეცვლა. გვარს ვიცვლიდი, სახელსაც შევიცვლიდი. ჩვენ რომ გავთვითცნობიერდით უკვე და ვკითხულობდით ისტორიას და რამეს, გვინდოდა, რომ ქართული სახელები გვქონოდა. ჩემს ძმას, რომელიც ახლა მკვდარია, კაკოს ვუძახდით, ისე მუხამედი ერქვა, მაგრამ მას ბოლომდე შერჩა სახელი კაკო. მუხამედი მისთვის არ დაგვიძახია, თავიდანვე სულ კაკოს ვეძახდით. ჩემს ერთ დას ადრე ქერიმე ერქვა, მერე ქეთევანი დაირქვა, ჰიდას კი თავიდან ბოლომდე ჰიდა ერქვა, მეორე დას, რუსიკოს, ადრე ერქვა ფადიმე (დედაჩემსაც ფადიმე ერქვა, დედის დედასაც ფადიმე ერქვა, ჩემს დასაც ფადიმე დაარქვეს). შემდეგ მოდიოდა ნედიმე, რომელიც მერე ნელი გახდა. ქემხაძემ შეუფარდა მერე ეს სახელები. ნედიმეს შემდეგ დეიბადნენ ბიჭები: შუქრი, ახლა შოთა ქვია, მერე მუხამედი. მერე იყო ლიანა, ლიანას ადრე ერქვა აიშე. ლიანას შემდეგ იყო ჯევდეთი და იმას

ვახტანგი დაარქვეს. ვახტანგი აფთიაქის გამგე იყო. ჰიდა საზღვარგარეთული სახელიაო, და დარჩა ჰიდად.

ერთი და, რუსიკო, რუსეთში გათხოვდა. დედასთან ერთად რუსეთში მანდარინი წაიღენ გასაყიდად, იქ ბაზარში გაიცნეს მილიციის ლეიტენანტი. ეს იყო ჩემი მომავალი სიძე. ამ კაცმა მერე მისამართი გამოართვა დედაჩემს, ჩამოვალ თქვენთან ზაფხულში დასასვენებლადო. ჩემი და კარგი შეხედული იყო, მოეწონა. ჩამოვიდა ერთხელ, მერე მეორედ და ჩემი და რომ წევიდა სავაჭროდ იქა, რომ დაინახა, უკვე აღარ გამოუშვა. ასე გათხოვდა ჩემი და რუსიკო. ახლა ხარკოვში ცხოვრობს, იდეალური ოჯახი აქვს. ეს კაცი, ჩემი სიძე, მერე მილიციაში კი არ მუშაობდა, ტაქსომოტორების პარკის დირექტორი იყო. მერე ხარკოვში დაამთავრა ჩემმა ორმა ძმამ ინსტიტუტი. ერთმა ჩემმა დისშვილმა ინსტიტუტი იქ დაამთავრა, მეორემაც იქ დაამთავრა ფარმაცევტული. რუსიკოს, ჩემს დას, უმაღლესი არ დაუმთავრებია, თავისით ისწავლა კერვა და მკერაობა დაიწყო. პოდგორნი რომ იყო კრემლში, იმის რძალი იყო ჩემი დისშვილი, რუსიკოს გოგო, ირა. პოდგორნის შვილიშვილს გაყვა.

ასეა, ნაწილი ნათესავებისა ხარკოვში მყავს, ნაწილი – მოსკოვში, ნაწილი კი – თურქეთში, გაღმა სარფში. გაღმა სარფში ჩვენი ბიძაშვილები არიან. მე ვიყავი იქ, ახალი გზა რომ გაიხსნა, ერთი ათი დღით წავედი. მოვინახულე ჩემი ბიძაშვილები და მამიდაშვილები, ბიძებიდან კი მხოლოდ დედაჩემის ძმა იყო ცოცხალი. ათი დღე დავრჩი. მოგიყვები ერთ ამბავს:

დედის ძმა, რომელიც ადრე, სანამ საზღვარი გადაიკეტებოდა, იქ სწავლობდა, ჩაება თურქეთის კომუნისტურ მოძრაობაში და დააპატიმრეს. ციხიდან გამოსვლის მერე გახდა ადვოკატი და გზა რომ გაიხსნა, ჩამოვიდა აქ. თანდილავა იყო გვარად, ბეხრი ქვიოდა. აქ რომ ჩამოვიდა, ქართველების გვარები ჩამოიტანა, თუ ვინ საიდან იყო, მერე მახარაძეშიც ჩავიდა, იქაურმა ქართველებმა დააბარეს. იქ, თურქეთში, ბეხრიმ გახსნა ქართული დაწყებითი სკოლები, ეს სკოლები იყო მურღულში. მურღული ტერიტორიულად სად არის, იცი? ხოფადან მიდიხარ და დაბასავითაა მურღული. აქედან სახელმძღვანელოები ნათესავებმაც წაუღეს და მანაც წაიღო. მერე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება რომ შევიტყვეთ, აქედან წავედით, იქ რომ გარდაიცვალა, გაღმა სარფში ჩამოიყვანეს, ისე ანკარაში ცხოვრობდა, დაასაფლავეს გაღმა სარფში და ჩვენ დასაფლავებას დავესწარით.

სარფი, ხომ იცი, ორადაა გაყოფილი – გაღმა და გამოღმა სარფია. გაღმა სარფი, ხომ ვთქვი, ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. მამიდა რომ მომიკვდა და ჩვენ რომ ავიყვანეთ სარფის სასაფლაოზე – გაღმიდან კარგად ჩანს სასაფლაო, – იქედანაც ყველა გამოვიდა. მაშინ ერთმანეთთან ურთიერთობა არ შეიძლებოდა. გაღმა-გამოღმა ვერც დავუძახებდით ერთმანეთს, აქ რომ დედაჩემმა იტირა, იქ ყველას ესმოდა. გაღმა-გამოღმა სარფში სახლები იმდენად ახლოს არის, რომ მიხვდებოდი, რომელი სახლიდან გაიყვანეს მკვდარი. ვინ გაიყვანეს. მამიდაჩემის ამბავი იქეთ არ იცოდნენ, მაგრამ დედაჩემმა რომ იტირა, ესა და ეს მკვდარიაო, იქედან ბიძაშვილებმაც დეიწყენ ტირილი. მამიდას იქ დები ჰყავდა, შვილი ჰყავდა გათხოვილი და იქედან გორაზე ამოვიდა ყველა და ტიროდა. აქედან კიდევ ჩვენ ვიყავით ჩამწკრივებული და დედაჩემი რომ ტიროდა, იმათ ხომ იცოდნენ, რომ დედას ცხრა შვილი ჰყავდა; ფადიმეს, დედაჩემს, ყველანი შემოვეხვიეთ.

ყველა რომ შევიკრიბეთ და ვიდექით, იქედან დაითვალეს და დედას ტირილით ჰკითხეს (დაძახება და ლაპარაკი არ შეიძლებოდა), ერთი შვილი სად არისო? ის ერთი შვილი, ჩემი და, ხარკოვში იყო უკვე გათხოვილი და რომ ვერ დეინახეს, მოიკითხეს გაღმიდან, რატომ მეცხრე არა გყავთ აქაო და დედამ გააგებინა, რომ რუსეთშიაო.

იქ, გაღმა სარფში, უფრო ლაზური იციან. ზოგიერთებმა, რომლებსაც ახლა ქართველებთან აქვთ კონტაქტი, თითო-ოროლა სიტყვა კიდევ იციან. აჭარლებსა და ლაზებს შორის არსებითად განსხვავებული წესები არ იყო, მაგრამ მუსლიმანურ წესებს უფრო აჭარლები მისდევდნენ და ჩადრსაც ატარებდნენ. ლაზები მაიცდამაინც არ ატარებდნენ. თუმცა, ოჯახს გააჩნდა. რადგანაც ჩვენს სახლში ბევრი მასწავლებელი ცხოვრობდა, დედაჩემი ქართულ წეს-ჩვეულებებს უფრო მისდევდა. დედაჩემი თანამედროვე ქალი და სწავლის გიჟი იყო, ოღონდაც შვილებს ესწავლათ, არაფერს დაიშურებდა, უკანასკნელ კაპიკს გასცემდა. ისეთი სიტყვა-პასუხიანი იყო, ჩემი მეუღლე ეუბნებოდა, ამ დროში რომ ყოფილიყავი, ალბათ კაი იურისტი გამოხვიდოდიო. დედა ნასწავლი არ იყო. მაგრამ ზოგადად განვითარებული იყო ძალიან. დედას ერთი ძმა ადვოკატი იყო, მეორე, ახმედი – ინჟინერი. დედის დები, რა თქმა უნდა, ნასწავლები არ იყვნენ, ერთს საშუალო განათლება ჰქონდა, მეორეს – დაწყებითი. დედა 19 წლისა იყო, მე რომ შევეძინე. 18 წლისა გათხოვდა.

აი, როგორ მოხდა დედას გათხოვება: თურქეთში, ბებიაჩემი – დედის დედა, ჩვენი გვარის ქალი, ბათალოღლი იყო, დედა კი – თანდულოღლი, ანუ თანდილავა. ბებიაჩემის (დედის დედის) მამა მამაჩემის ძმამ მოკლა. ესე იგი ჩემი დიდი ბაბუა დედის მხრიდან მოკლა ჩემმა ბიძამ მამის მხრიდან. სისხლისღვრა კიდევ რომ არ მომხდარიყო, ადგენ და დედაჩემი მისცენ მამაჩემს და ამით შერიგდნენ. თანდულოღლიმ ბათალოღლის მისცა ქალი, მტრობა რომ არ ყოფილიყო. მაშინ თხოვა-გათხოვება და დაქორწინება დეიდაშვილებს შორის არ უნდა ყოფილიყო, ბიძაშვილებს შორის კი შეიძლებოდა. ლაზებშიც ასე იყო, რადგანაც თურქების ხელქვეითები იყვნენ, თურქებში კი შეიძლებოდა. თუმცა ახლა აღარ მიკვირს, რადგან ამერიკაში თურმე უარესი ხდება. ლაზები ცოტანი იყვნენ აქეთ და იქნებ იმიტომ არ უნდოდათ სხვისთვის ქალის მიცემა. მერე, გზა რომ გაიხსნა, წასვლა-მოსვლა უფრო იოლი გახდა და ახლა სარფიდანაც კი თხოვდებიან გოგოები იქეთ და გაღმა სარფიდან აქეთ. ლაზებს მიყვებიან, რა თქმა უნდა, მაგრამ რწმენა აქვთ განსხვავებული. ახლა აქეთ სარფში მუსლიმანობას არავინ მისდევს.

ჩვენს სოფელში იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც ლაზურს ასწავლიდნენ. ჩემი სკოლა, ადრე კოლმეურნეობის კანტორა რომ იყო, ჯაფარიძეების იმ სახლში (ჯაფარიძეებს ეს სახლი ჩამოართვეს და გააკულაკეს) იყო მოთავსებული. გონიოში რუსული ყველამ კარგად იცოდა, მეურნეობაში რუსები ცხოვრობდნენ და ყველამ კარგად აითვისა რუსული ენა. როგორც კი ომი დაიწყო, ხალხი წამოვიდა და დასახლდა გონიოში, ისევე, როგორც მახინჯაურში, სადაც გათხოვების შემდეგ მომიწია ცხოვრება.

ჩემი მამამთილი ხალადან არის, ჩაქვისთავიდან. ადრე უყიდია მახინჯაურში მიწა. მაგრამ წერა არ სცოდნია მაშინ ჩემს მამამთილს და ამიტომ ჯვარი აქვს დასმული დოკუმენტზე, რითაც მიწა დაუმტკიცდა, რითაც მიწა იყიდა. ეს

დოკუმენტი თათრულადაა დაწერილი, მიწის პატრონები ყოფილან ლიტვინოვები. ფოსინკოვებსაც ჰქონიათ მიწა მახინჯაურში. ფოსინკოვის ბაღს ეძახიან იმ ბაღს, სადაც ბავშვთა სახლია მახინჯაურში. მე იმ ბავშვთა სახლშიც ვმუშაობდი. გონიოშიც იყვნენ რუსები, მაგრამ ისინი უფრო ევაკუაციის მერე ჩამოსახლდნენ. მათგან ვისწავლეთ რუსული ენა. გონიოში უფრო კარგად ლაპარაკობდნენ რუსულად, ვიდრე სარფში. სარფში უფრო ლაზურად ლაპარაკობდნენ – სუფთა ლაზურად და ქართულსაც თუკი სწავლობდნენ, წმინდა ქართული იცოდნენ. თურქულიც იცოდნენ, თუმცა უფრო ძველებმა. ბიძაჩემმა, სკოლის დირექტორი რომ იყო, დედაჩემის ბიძაშვილი ალი თანდილავა, კარგად იცოდა თურქული. ის ძალიან „სტროგი“ (მკაცრი) იყო, თბილისში ჰქონდა დამთავრებული უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

თბილისში სასწავლებლად რომ წავედი, არ ვიყავი ნამყოფი თბილისში. სკოლა რომ დავამთავრეთ, მე და ჩემი და ჰიდა წამოვედით თბილისში. ჩემი სკოლის ამხანაგებიც იყვნენ გამოცდების ჩასაბარებლად წამოსული. ლაზი ნარაკიძე ოთარი (მერე ჩემი და შეირთო, ჰიდა), ამ დისპანსერის მთავარი ექიმი იყო მერე და კიდევ დოლიძე აკაკი იყო, ისიც ლაზი. ნარაკიძეს ჩემზე ადრე ჰქონდა დამთავრებული და ხულოში მუშაობდა. ესენი წავიდნენ 45-ში ამბის გასაგებად თბილისში, ჰოდა, რომ ჩამოვიდნენ, დედასთან მოვიდნენ, ასეთი ამბავია და შენ თუ გამოუშვებ გოგოებსო, წამოვიდნენ ჩვენთან ერთადო. დედა ცოტათი შეყოყმანდა პირველად, გოგოები რაფერ გავუშვაო. – ბიცოლა, ნურაფრის გეშინია, ჩვენთან ერთად იქნებიან, გამოცდას ჩააბარებენო. დედაჩემი მათი ბიცოლა არ იყო, მაგრამ პატივისცემით ბიცოლას ეძახდნენ. და დედაჩემმაც გაგვიშვა თბილისში. ჩვენ რომ მივდიოდით ჩასაბარებლად, რა უთხრენ, იცი, მეზობლებმა დედაჩემს? სად აგზავნი გოგოებს, ყველა გაბოზდება იქაო. დედა სწავლას იყო მოწყურებული, მხოლოდ ოთხი კლასის ცოდნა ჰქონდა. იცოდა თურქული, ლაზურიც, რა თქმა უნდა, ქართული კი, ჩვენთან მასწავლებლები რომ დადიოდნენ, იმათგან ისწავლა. რუსულიც იცოდა ცოტ-ცოტა, რუსები რომ იყვნენ გონიოში, იმათგან. ავდექით და წავედით თბილისში ჩასაბარებლად. მე უკვე ორი წელია მაქვს სკოლა დამთავრებული. ჰიდას კი – ახალი დამთავრებული. ჩევედით, ჩავაბარეთ საბუთები. კონკურსი ძალიან დიდია. დემობილიზებული ხალხი – ზღვა, ერთ ადგილზე 55 კაცი მოდიოდა.

გონიოში ადგილობრივი კადრი არ ჰყავდათ. შაშიკაძე იქ მინისტრად იყო, მერე თბილისში გადაიყვანეს. მანელიშვილი ქობულეთში იყო გინეკოლოგად. ჭიჭინაძე, ჩვენ რომ მოვეწყვეთ, მაშინ სტუდენტი იყო. მანელიშვილიც სტუდენტი იყო, მაგრამ ჩვენზე ორი წლით წინ იყვნენ. აჭარაში ექიმებად სულ ქართველები მუშაობდნენ. ჩვენთან გიგინეიშვილი იყო, ტახტაჯიანიც მუშაობდა. სულ რაღაც თითო-ოროლა – ადგილობრივი. წავედით ჩვენ, ინსტიტუტში ჩავაბარეთ გამოცდები. ორი ოთხიანი, ორი სამიანი მივიღეთ. კონკურსი ძალიან დიდია. არ ვიცით, მოვხვდებით თუ არა. კომისიის თავმჯდომარეები გვარწმუნებდნენ, თქვენ, საზღვრისპირა სოფლიდან ჩამოსულები, როგორც გამონაკლისი, აუცილებლად ჩარიცხული იქნებითო. ამ იმედით, გამოცდა რომ დავამთავრეთ, სიების გამოკვრამდე, გადავწყვიტეთ წასვლა სახლში. იმიტომ, რომ 15 დღე სეტკიან (რკინის ბადე) კრაოტზე ვიწექით, ერთი „ადიალა“ გვქონდა დაგებული და ისე ჩავაბარეთ

წარწერა სურათის უკანა მხარეს: მომავალ ექიმს, ლაზ ქალს სულთანეს წარმატების სურვილით არნ. ჩიქობავა 26.IV.1949

არნოლდ ჩიქობავა

გამოცდები. ნაქირავებში ვიყავით. დედა თბილისში არ გაგვყოლია. ბიჭებმა, ოთარ ნარაკიძემ და აკაკი დოლიძემ, ცალ-ცალკე იქირავეს, ჩვენც – ცალკე.

წამოვედით, და ამხანაგებმა, ვისაც იქ დავუმეგობრდით, გვითხრეს, სია რომ გამოიკვრება, გამოგიგზავნით დეპეშასო. ჩამოვედით. ეს არის 31 აგვისტო და ვღებულობთ დეპეშას, არც ერთი არ ხართ ჩარიცხულიო. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდით. წავედით ბიძაჩემთან, სკოლის დირექტორ ალი თანდილავასთან.

უნივერსიტეტის პროფესორები სარფში ჩამოდიოდნენ ზაფხულობით, სწავლობდნენ ლაზურ ენას, ამათ შორის აწ განსვენებული მეცნიერ-მუშაკი ჩიქობავაც იყო. ბიძაჩემს, ალი თანდილავას, ვუთხარით, რომ აი, ასეთი მდგომარეობაა და რა ვქნათო. მეო, გვიპასუხა, თქვენ წერილს მოგცემთ და არნოლდ ჩიქობავასთან წადითო. მეორე დღესვე მივედით ჩიქობავასთან სახლში. წერილი წეიკითხა. გაუხარდა ჩვენი ნახვა. მაგრამ ჩვენმა ამბავმა ძალიან შეაწუხა. ახლა მე რა გიქნათო, – ლაზურად გვკითხა. სულ ლაზურად გველაპარაკა. აქ დაჯექითო. დავჯექით. მოგვცა ფურცელ-კალმისტარი. დაგვაწერია განცხადებები. თითოეულზე დაწერა შუამდგომლობა, ცეკას მდივანი იყო კანდიდ ჩარკვიანი, უმაღლესი სკოლების სამმართველოს უფროსი კი – კვაჭაძე. ჰოდა, გვითხრა: ახლა თქვენ თქვენი მისამართი დაწერეთ, რომ ვიცოდეთ, სად იქნებითო. არსად არ წახვიდეთ, ფეხი არ გაადგათო. წამოვედით, ქობულეთის შესახვევში ვცხოვრობდით. დღის 5 საათზე მოგვაკითხა ვილისმა, ჩაგვსვეს ყველა, წაგვიყვანეს ცეკაში. შეგვიყვანეს ამ კვაჭაძესთან, მოგვცეს საბუთი: ორი ბიჭი სამკურნალო ფაკულტეტზე ჩარიცხეს. ორი გოგო – პედიატრიულ ფაკულტეტზე. რა თქმა უნდა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დავბრუნდით სახლში. არ დაიჯერეს მეზობლებმა, რომ ჩვენ უფასოდ და ასე ადვილად მოვეწყვეთ. მაშინაც იყო ქრთამი. მაგრამ ცოტა ქრთამი გადიოდა იმიტომ, რომ იყო კონკურსი და კონკურსი რომ დიდი იყო, ცოტა ძნელი იყო მოწყობა. მაგრამ ახლა რომ ქრთამია, ასე ბევრი კი არ უნდოდა.

მერე, რა თქმა უნდა, სწავლა რომ დავიწყეთ, სულ გვაკონტროლებდა ჩიქობავა. კითხულობდა, როგორ არიან, როგორ სწავლობენო. 49 წელს დიდი თოვლი მოვიდა და 7 ნოემბერს ჩამოვედით არდადეგებზე სამი თუ ორი დღით სახლში, მანდარინა და ფორთოხალი ძალიან ბევრი იყო, დედას დავეხმარებითთქო და დავრჩით. დიდი თოვლი იყო და ვერ დავბრუნდით უკან. რაიკომის მდივანი იყო ესაძე. ძალინ უხაროდა. რომ ჩვენ სასწავლებელში ვიყავით. მალადეც შენო, დედაჩემს ეუბნებოდა, პირველი ქალი ხარ, რომელიც შვილებს აგზავნის ასეო, სასწავლებლადო... ჰოდა, დაუძახა ამ ესაძემ დედაჩემს და უთხრა, ეს ბავშვები რატომ არიან აქო. რა ვქნაო, ხე ფუჭდებაო, მანდარინია მოსაკრეფიო,

დედამ უპასუხა. არავითარ შემთხვევაშიო, გაუშვი ეს ბავშვები, მე კოლმეურნეობიდან ხალხს დაგახმარ, მე მოგამაგრებ მუშახელსაც და ურემსაცო. – ასეთ ამინდში როგორ გავუშვაო, დედამ. ხვალე კატერი გავაო, კატერზე დააჯენ ამ ბავშვებს და გააგზავნიო. დავჯექით კატერზე დილას, მივედით შუა გზამდე და დაგვაწყებინა ღებინება. მოვაბრუნეთ კატერი და ჩამოვედით ისევ გონიოში. დილას ადრე ავდექით. თოვამ რომ გადაიღო, დილას გადმოვედით ზედა გზიდან და საღამოს მატარებელს მოვუსწარით და წავედით მატარებლით. ამასობაში ხომ ჩამოვრჩით სწავლას, ანატომია საშინელი საგანი იყო, პედაგოგიც მკაცრი გვყავდა. ჩიქობავას გაეგო, რომ ჩვენ ასე გაგვიცდა დღეები. დაურეკა ანატომიის პროფესორს და უთხრა, დამატებით ამეცადინეთ, რა იქნებაო. ჰოდა, ის გაცდენა აგვანაზღაურებიეს და მერე აღარ გამჭირვებია. აქედან წასულებს ძალიან პატივს სცემდნენ. სწავლა და სახლი – ეს იყო ჩვენი სტუდენტობა. ჩვენ სასიარულოდ და სალაზღანდაროდ არ გვეცალა, მით უმეტეს, რომ საზღვრისპირა რაიონიდან ვიყავით, თანაც ლაზები. კონტროლიც იყო, როგორ დავძლევდით, როგორ ვისწავლიდით. სწავლაც ძალიან მკაცრი იყო. მაშინ ერთი სამედიცინო იყო საქართველოში. ახლა მომრავლდა ინსტიტუტები. ამასწინათ ახალგაზრდები მოვიდნენ ჩვენთან დისპანსერში, აქ დაამთავრეს, ბათუმში. რა არის, იცი? ბათუმში თეორიულად სწავლობენ. პრაქტიკულად კი არაფერი იციან. ჩვენსობას საავადმყოფოში ავადმყოფები იყვნენ. დამწყებმა ექიმმა ავადმყოფი უნდა ნახოს, უნდა იმორიგეოს. ახლა ავადმყოფი არ წევს საავადმყოფოში, ავადმყოფს ფული არა აქვს და როგორ უნდა ნახოს სტუდენტმა? მით უმეტეს – ტუბერკულიოზიანი. სადა აქვთ საავადმყოფოში დასაწვენი ფული ტუბერკულიოზიანებს!

უხარისხოა ეს მომრავლებული კერძო სასწავლებლები. მერე რაა, იცი? შეჩვეული არიან ამ ფულს. ფულით რომ ნიშანს უწერენ, რა გამოვა მაქედან? ჩვენს დროს ასე არ იყო. ერთ საათს ვერ გააცდენდი. თუ გააცდენდი, უნდა აგენაზღაურებინა. ღამის მორიგეობით თუ სხვა გზით, არავითარი ფული და რამე არ ჭრიდა. არავითარ შემთხვევაში. ძალიან ბევრს ვმეცადინეობდით.

მერე ჩემი და გათხოვდა, ბავშვი შეეძინა სტუდენტობის დროს. ნაქირავებში ვცხოვრობდით. ის ბავშვი გამოცდების დროს აქეთ ჩამოგვყავდა დედაჩემთან და გამოცდებს ასე ვაბარებდით. დავამთავრეთ და ჩამოვედით თუ არა, დავიწყეთ მუშაობა.

თბილისში დარჩენა კი იყო კარგი, მაგრამ ვერ დავრჩი, დედა მრავალშვილიანი იყო და ხომ უნდოდა დახმარება. ამიტომაც ვერ დავრჩი, თორემ ჩემთან ერთად ვინც სწავლობდა, თითქმის ნახევარზე მეტმა ხარისხიც დეიცვა. ვერც ჩემმა სიძემ დეიცვა ხარისხი. სულ ვეუბნებოდი – დაიცავი ხარისხი-მეთქი! ძალიან კარგი სტუდენტი იყო ოთარი.

1954 წელს დავინიშნე მახინჯაურის პირველი სანატორიუმის მთავარ ექიმად იქ ერთი წელი ვიმუშავე და გავთხოვდი. გათხოვების შემდეგაც ვიმუშავე წელიწადნახევარი და მერე უკვე შვილები შემეძინა, ოჯახის მოვლა და თან მთავარექიმობა გამიძნელდა, ამიტომაც 1956 წლის მარტის ბოლო რიცხვებში გავთავისუფლდი იქედან.

მომავალი მეუღლე, ხასან გორგილაძე, ჩემს გასაცნობად რომ მოვიდა, ვითომ გოგირდის აბაზანების მიღება უნდოდა. ამავდროულად ჩემთან მისი ბიძა მუშაობდა ღამის დარჯად და მისი ხელშეწყობით გავიცანი. მერე, რა თქმა უნდა, წინადადება

ჯულიეტა ჩიქოვანი მეუღლესთან ერთად

მომცა, რომ ცოლად გავყოლოდი. არც თვითონ მიცნობდა, სანამ ჩემთან სამსახურში არ მოვიდა. შემოვიდა კაბინეტში ბიძასთან ერთად და ბიძამ მითხრა, პატივცემულო დირექტორო, უნდა გაგათხოვოო. მე ყურადღება არ მიმიქცევია, ისე კი მომეწონა, შეხედულად ჩემი ქმარი მართლა ლამაზი კაცი იყო. წავიდნენ და მერე, ერთი თვე რომ გავიდა, მევიდა ამხანაგის თანხლებით და პირობა მომეციო, მითხრა. იქამდე არ გამოჩენილა. მე ვუთხარი, ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ-მეთქი. მერე მითხრა, მე ახლა სავაჭროდ მივდივარ რუსეთში, მანდარინი მიმაქვს და მინდა, ხელი მოვაწეროთო. ვუპასუხე: ჯერ არ ვარ მომზადებული გათხოვებისათვის, მერე კიდე მე დედა მყავს და დედას უნდა შევეკითხო-მეთქი. წავედი დედასთან, დედას ვუთხარი, ასეთი ამბავია-მეთქი. დედამ მითხრა, შენ სრულწლოვანი ხარ და შენი საქმე თვითონ გადაწყვიტეო. დედამ რომ ასე მითხრა, მერე მივედი ჩემს სიძესთან, დის ქმართან, ჯემალი ქვიოდა, რედაქციაში მუშაობდა. უფროსი სიძე იყო. ვუთხარი ასეთი და ასეთი ამბავია-მეთქი, იმანაც იგივე მითხრა – სრულწლოვანი ხარ და შენით გადაწყვიტეო. მერე, რა თქმა უნდა, პირობა მივეცი.

ჩვენთან, ლაზებში, აკვანში დანიშვნა და რამე ასეთი არ იყო. გახდებოდა გოგო 17-18 წლის და გაათხოვებდნენ. ჩემს დას, ჰიდას, ინსტიტუტში ყავდა შეყვარებული ოთარი და სტუდენტობისას გათხოვდა. ყველაზე ადრე გათხოვდა ქეთო, ჯემალის გაჰყვა. ჰიდას მერე გავთხოვდი მე. თბილისში კი მყავდა მთხოვნელები სტუდენტობისას, მაგრამ მე მაშინ გათხოვებაზე არ ვფიქრობდი. მერე ოჯახს მინდოდა მოვხმარებოდი. მოკლედ, დედას და სიძეს რომ ვკითხე, მერე მივეცი პირობა ჩემს მომავალ ქმარს და არ გასულა 15 დღე, მოვიდა ხელმეორედ და ხელი მოვაწეროთო. შენო აქ მუშაობო, ახალგაზრდა ხარო და ახლა „სვიდანიებზე“ (პაემნებზე) ხომ არ უნდა ვიაროთო, – ასეთნაირად დამიწყო, – ჯობია ხელი მოვაწეროთო. 1954 წელი იყო, აგვისტოს თვე და ხელი მოვაწერეთ. ადრიდანვე მითხრა, სანამ გავყვებოდი, მეუღლე მკვდარი მყავს და ბავშვი მყავსო 4 წლის. მე ამის გამო უკან არ დამიხევია. მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდე, ბავშვები ძალიან მიყვარს, რადგანაც პირდაპირ მითხრა ხასანმა, ასე არისო, ალბათ ჩემი ბედი იყო ასეთი. ჩემთან ერთად იყო ექიმი სოსელია. ის იყო ჩემი მეჯვარე. ქორწილი არ გვქონია. მერე დედა მესტუმრა შინაურებთან ერთად. შვილი რომ შემეძინა, დედა კიდევ მოვიდა, აკვანი და საჩუქრები მომიტანა. ჩემი უფროსი გოგო, ჟუჟუნა სახლში დამხვდა. ჩემი დედამთილი ზრდიდა. მერე, რა

თქმა უნდა, მე შემეძინა ბავშვი. მზევინარი 1955 წლის 11 ივნისს დაიბადა, მაგრამ შვილებს შორის განსხვავება არ ყოფილა. თვითონ ბავშვიც ისეთი კარგი გუნების იყო. დედამისი არ იცოდა, ძუძუც არ უწოვებია დედამისს, ავად იყო და ძალიან ადრე მოკვდა. მე, რა თქმა უნდა, ჟუჟუნა დედას მეძახდა. მერე მე ვასწავლე. ტექნიკუმი დავამთავრებინე. სამუშაოზე მოვაწყე, ექთანია, გავათხოვე და ძალიან კარგი ოჯახი აქვს. მასაც არ უგრძვნია, თუ მე მისი დედინაცვალი ვიყავი. თუმცა იცოდა, რომ დედა მკვდარი ჰყავდა. რომ შევედი პირველად ჩემს ახალ ოჯახში, დედამთილმა შემომიყვანა გოგო და უთხრა, ეს არის შენი დედა, შენი ახალი დედაო. იმის შემდეგ დედას მეძახდა. ხასანის ბიძაშვილის გოგო იყო ჩვენთან მოსული, ჟუჟუნას ტოლია ის გოგო. ჰოდა, გეიქცა სახლში და მამამისს უთხრა, ჟუჟუნას ახალი დედა ჰყავს და მეც მინდა ახალი დედაო. ისმინოს ღმერთმაო, – გახუმრებია მამამისი. მზევინარის მერე შემეძინა მერაბი, 56 წელს. მერე ზურიკო, 58-ში. მერე უშანგი დაიბადა 60 წელს. დედაჩემი 9 შვილის დედა იყო. მე 5 შვილი მყავს.

დილით ადრე მივდიოდი სამსახურში, საღამოს გვიან მოვდიოდი. მამამთილი იდეალური კაცი იყო. დილას რომ ავდგებოდი, პატარას მივალაგებდი, რამეს დავხვეტავდი. სამსახურში არ დაგაგვიანდესო, მეტყოდა და თვითონ დამეხმარებოდა. თან დააყოლებდა, შენ ქალი ხარ, სტუმრები მოვლენ თბილისიდან ან კომისია მოვა – რესტორანში უნდა დაპატიჟოო, მართალია, რესტორანში შენ ალბათ არ დაჯდები, მაგრამ ფული გადაუხადე, სირცხვილი არ ჭამოო.

სანამ გავთხოვდებოდი, ჩემი ძმა წავიყვანე სასწავლებლად, მე მოვაწყვე და ფულსაც ვუგზავნიდი ყოველთვის. ახალი გათხოვილი ვიყავი, მამამთილმა რომ დამიძახა და მითხრა, არ აგრძნობინო ბავშვს, რომ ვერ დაეხმარებიო. შენი ხელფასიდან ყოველთვიურად, როგორც უგზავნიდი, ისე გაუგზავნე ძმას ფულიო. მართლაც ისე ვუგზავნიდი. ერთხელაც არ წამოსცდენია, რატომ უგზავნი ფულსო, პირიქით, გაუგზავნე აუცილებლად ბავშვს ფულიო, მეუბნებოდა. კაკოს მერე სულ ახსოვდა როგორ ვუწყობდი ხელს და მერე ჩემი ბავშვები რომ სწავლობდნენ, თვითონაც ყოველთვის ხელს მიწყობდა. დედამთილი და მამამთილი არ მუშაობდნენ. რომ გავთხოვდი, მამამთილი ორ წელიწადში გარდამეცვალა. დედამთილმა ბავშვები ისე გამიზარდა, მე საავადმყოფოში ბავშვები არ წამიყვანია და არც ავად არ გამხდომია, ისე უწყობდა ხელს ბავშვებს. სად იყო მაშინ ეს ფაფები და რამე. მე მეტყოდა, შენ ოღონდაც საჭმელი მოუტანე ამ ბავშვებს, დანარჩენი კი, რა დროს უნდათ ჭამა და რა დროს სხვა რამე, ნუ შეგაწუხებსო. არც ერთ ბავშვზე არ გავსულვარ დეკრეტში. დედამთილი კარგად უვლიდა ბავშვებს. კარგი მაცხოვრებლები ვიყავით, პირიქით, ხელს სხვებსაც ვუწყობდით. დიდი პლანტაცია გვქონდა ციტრუსის. მე ვმუშაობდი. მუშაობაში ხელი არ მეშლებოდა, რა თქმა უნდა. სახლსაც ვაშენებდი. მინდოდა, ეკონომიურად უფრო ძლიერი ვყოფილიყავი.

ჩემი ქმრის ოჯახი ძალიან დიდი არ იყო. დედმამიშვილები ბევრი არ იყვნენ. მარტო ერთი მული დამხვდა გასათხოვარი და ჯარიდან ჩამოსული მაზლი... მაზლი რომ დაოჯახდა, მერე მე ჩემთვის დამოუკიდებლად გადავედი. ცალკე სახლი ავაშენეთ და დამოუკიდებლად ვიყავით.

დილით რომ გავიდოდი სახლიდან, შუადღეზე მოვიდოდი პირველიდან ორ საათამდე და მერე უკვე 11-ზე, 12-ზე მოვდიოდი სახლში. ბავშვები ისეთ დამოუკიდებლობას შეეჩვიენ! დილას მოზრდილები სკოლაში რომ მიდიოდნენ, თვითონ დაისხამდნენ ჩაის, დალევდნენ, დარეცხავდნენ თავიანთ ჭურჭელს და წევიდოდნენ სკოლაში. მე ბავშვებთან არ დავმჯდარვარ, არ მიმეცადინებია. თვითონ დამოუკიდებლად დასხდებოდნენ და მეცადინეობდნენ. ისე დაამთავრეს სკოლა, რომ მე სკოლაში არავის გამოვუძახივარ – შენი ბავშვები არ სწავლობენო, ან რამე სხვა საყვედური არ უთქვამთ ჩემთვის მასწავლებლებს. ისწავლეს და მისით დაამთავრეს, მხოლოდ გამოშვების დროს, როცა ბავშვებმა დიპლომი მიიღეს, მაშინ მივედი სკოლაში... ახლა ჩემი შვილები თავიანთ შვილებს ეუბნებიან საყვედურს, დედა ჩვენ არასოდეს დაგვჯდომია და თქვენ რატომ გჭირდებათ დახმარებაო.

ექიმი არც ერთი არ გახდა. მე კი მინდოდა, მაგრამ ისეთი კონკურსები იყო...

უშანგიმ საშუალო რომ დაამთავრა, მუშაობა დაიწყო და მერე თბილისში წავიდა, „გეპეიში“ მოეწყო და სწავლის მოუწყვეტლად მუშაობდა. ერთდროულად სწავლობდა და მუშაობდა. ასე დაამთავრა ინსტიტუტი. ზურიკომ დაუსწრებლად დაამთავრა ხარკოვში. ისიც ინჟინერია. მერაბმა თბილისში დაამთავრა რკინიგზის საინჟინრო. მზევინარი მინდოდა ექიმად, საფერშლოს რომ დაამთავრებდა, ვამზადებდი საექიმოსთვის. მაგრამ 15 წლის ბაღანა მომტაცეს და ჩეიფუშა ყველაფერი. სამივე რძალი კი ექიმი მყავს.

მე უკვე 42 წელია აქ ვმუშაობ, ტუბდისპანსერში. უკანასკნელი სამი წელია, ძალიან მოიმატა ავადმყოფების რიცხვმა. ვინც ნარკომანია ან ლოთი, უიმედოები არიან. ვერ უვლიან თავს. არის სიკვდილიანობის შემთხვევებიც. მასობრივად არა, მაგრამ მაინც არის. ამას ცხოვრების პირობებიც იწვევს. იმიტომ, რომ ავადმყოფი მარტო წამალს იღებს, კვება არა აქვს, დასვენება არა აქვს. ახლა აგერ მოვიდნენ, ქმარიცა და ცოლიც, ორივე ავადმყოფი. ეტყობა ეს ქალი ადრეც ავად იყო და თავს ყურადღებას ვერ აქცევდა. ხალხს საჭმელიც არა აქვს წესიერად და მარტო ეს მედიკამენტები, რომლებსაც გერმანია გვაწვდის, არაა საკმარისი. გერმანიასთან ხელშეკრულებაა დადებული და იმის მიხედვით გვეძლევა ყველა მედიკამენტი უფასოდ. ტუბერკულოზს რა იწვევს, იცი? ტუბერკულოზის ჩხირები. ორგანიზმში უნდა მოხვდეს ეს ჩხირები. ადამიანს ყოფა-ცხოვრების პირობებიც უნდა ჰქონდეს კარგი, რომ გამოჯანმრთელდეს. მე რომ მუშაობა დავიწყე, მაშინ უფრო ნორმალური პირობები იყო. ავადმყოფები კი იყვნენ, წამლები უფასო იყო მაშინაც, მაგრამ ხალხს უკეთესი პირობები ჰქონდა. რა მხრივ იყო უკეთესი პირობები? იმ მხრივ, რომ ავადმყოფებს სანატორიუმში ვაგზავნიდით. ავადმყოფს, რომელსაც მწვავე პროცესები ჰქონდა, ჯერ საავადმყოფოში ვაგზავნიდით უფასოდ და ორი თვე რომ იმკურნალებდა და შედარებით კარგად გახდებოდა, სანატორიუმში ვაგზავნიდით. სანატორიუმში ორთვიანი საგზურები სულ უფასო იყო. მერე და მერე გაჭირდა ცხოვრება და არც უფასო საგზურები აღარ არის, უფასოა მხოლოდ სტაციონარი. აბასთუმნის ყველა სანატორიუმი ჩამოერთვენ. არის მხოლოდ საავადმყოფო, საავადმყოფოს ორი კორპუსი. ავადმყოფი იქ რომ გავაგზავნოთ, ძალიან მძიმე უნდა იყოს. ჩხირებს უნდა გამოყოფდეს. ინფილტრატი უნდა ჰქონდეს, კავერნა უნდა ჰქონდეს და მხოლოდ ამ მდგომარეობით

შეიძლება გავაგზავნოთ აბასთუმნის როგორც საავადმყოფოში, ისე სანატორიუმში. იქ იმ მხრივაა კარგი, რომ აბასთუმანის ჰაერი საუკეთესოა.

მე ფტიზიატრიის ინტერესი თავიდან, სანამ აქ მუშაობას დავიწყებდი, მაინცადამაინც არ მქონდა, მაგრამ იმ პერიოდში სხვაგან აღარ იყო ადგილი. სამინისტრომ გამომიშვა ფტიზიატრად. არც სანატორიუმის მთავარი ექიმობა მაინტერესებდა, უფრო ექიმობა მინდოდა, განუწყვეტლივ ვმუშაობდი. სანატორიუმის მერე დავიწყე ბავშვთა სახლში მუშაობა, მერე ბავშვთა სახლში მუშაობისას შეთავსებით დასასვენებელი სახლის ექიმადაც ვმუშაობდი მწვანე კონცხზე. შეთავსებით რომ ვმუშაობდი, სპეციალობა ხომ მინდოდა, მივედი ჯანმრთელობის სამინისტროში და აქ გამომიშვეს დისპანსერში. აქ რომ მოვედი, მერე კიდევ დავიწყე შეთავსებით მუშაობა მეოთხე სამმართველოს დასასვენებელ სახლში. აქ პირველად ბავშვთა განყოფილებაში ვმუშაობდი. ბავშვთა განყოფილება უფრო იზოლირებული იყო. 4-5 წელი ბავშვთა განყოფილებაში ვიმუშავე. მერე კვალიფიკაცია ავიმაღლე და უკვე დიდებში გადმოვედი. სხვათა შორის შიშის გრძნობა არ მქონია იმის გამო, რომ ტუბერკულოზი გადამდებია. რა თქმა უნდა, ჰიგიენურ წესებს ვიცავდი. წარმოიდგინე, აქ ხომ ამდენს ვმუშაობდი, ზაფხულში კი ორი თვით მივდიოდი ბეშუმში, ბეშუმის დასასვენებელი სახლის ექიმად. აქაც ვღებულობდი ხელფასს და იქაც. იმიტომ რომ მაშინ ექიმების ნაკლებობა იყო. მთიან რაიონებში არავის უნდოდა წასვლა. ჰოდა, მინისტრი მაგზავნიდა მე ყოველთვის. ბეშუმის მთელი იმხელა დასასვენებელი სახლის დამსვენებლებს ვემსახურებოდი. იაილებში (იაილებს ეძახიან ადგილებს, სადაც საქონელი მიჰყავთ საძოვარზე ზაფხულობით. ოჯახებით მიდიან, იქ სახლები აქვთ მთიანი რაიონების აჭარლებს) მშობიარობასაც ვიღებდი, იქ გამოცდილი ბებიაქალები იყვნენ და მეხმარებოდნენ. მარტივ ქირურგიულ დახმარებასაც ვუწევდი პაციენტებს. განსაკუთრებული სამუშაო საათები არ იყო იქ გამოყოფილი, სულ ვმუშაობდი, ეს იაილები კილომეტრით ან 2 კილომეტრით იყო დაშორებული, იქაც დავდიოდი. ღამითაც წავსულვარ ჭრაქით იაილებში. ყველგან ხალხის სიყვარულს ვიმსახურებდი, იმიტომ რომ – იქაური ქალების ამბავი ხომ იცი? კაცი ექიმი არ უნდოდათ. ჩემთან კი, რადგანაც ქალი ვიყავი, დილიდან დადგებოდა რიგი, ინექციების გაკეთება და რაღა არ მიწევდა. სხვათა შორის, ძალიან უყვარდათ ნემსების გაკეთება. ნემსები უკეთესად მოქმედებს ჩვენზე, ვიდრე დასალევი წამალიო, ასე მეტყოდნენ. ამავდროულად იქ აფთიაქიც მქონდა ჩაბარებული. როცა წამლები გამითავდებოდა, ბეშუმიდან ხულოში ჩავდიოდი და ვიმარაგებდი მედიკამენტებს. დაახლოებით თვეში ორჯერ მაინც მიწევდა ხულოში ჩასვლა. ისეთი შემთხვევაც იყო, რომ ბეშუმიდან ხულოში წამიყვანეს ავადმყოფთან, სოფელი იყო ქედლები, ერთი მოხუცებული ქალი იყო ავად და იქ წამიყვანეს. ცხენზე დამჯდარი მივედი.

ჩემი ბავშვებიც მთელი ზაფხული იყვნენ ბეშუმში. რომ წამოიზარდნენ მე-5, მე-6 კლასებში რომ იყვნენ, მაშინ ცემში, სანატორიუმში ვაგზავნიდი. სანატორიუმ „ცემში“ სწავლაც იყო და დასვენებაც, ამიტომ მთელი მეოთხედი იქ მყავდა ბავშვები... თავიდანვე შევაჩვიე ბავშვები დამოუკიდებლად, ჩემს გარეშე ყოფნას. მე და ჩემი მეუღლე 15-20 დღეში ერთხელ ჩავაკითხავდით მანქანით. მეუღლეც სულ მუშაობდა. ჯერ ბუღალტერი იყო მახინჯაურის კოლმეურნეობაში. მერე შემფუთავ ქარხანაში მუშაობდა, მერე პენსიაზე გავიდა.

ჩემი მეუღლე არასოდეს მიშლიდა მუშაობას. არ ეჭვიანობდა, ზოგიერთმა ეჭვიანობა რომ იცის, ისე. სანატორიუმში რომ ვიყავი, გვიანობამდე მიხდებოდა მუშაობა, ღამის 11-12 საათამდე, სანამ დამსვენებლების დაძინების დრო არ მოვიდოდა და სანამ ყველაფერს არ მოვაწესრიგებდი, არ მოვდიოდი სახლში. ერთხელაც არ უთქვამს საყვედური. 14 წელია ხასანი აღარ არის.

მაინც რამდენ რამეს მოვესწარი, არა? ახლა რევოლუციასაც მოვესწარი, და ძალიან კმაყოფილი ვარ. აბა, რატომ უნდა ვყოფილიყავი ასლანის კმაყოფილი? კარგი რა გააკეთა აჭარისათვის? აჭარა წყალს მიაქვს, ერთი ჰესი აეშენებია, მილიარდების წაღებას, ხომ აჯობებდა? რა გააკეთა ბათუმში? მარტო ზღვისპირი გააშენა, დანარჩენი ქუჩები კი, რომ გაწვიმდება, წყალს მიაქვს.

მთელი ოჯახი აბაშიძის ოპოზიციაში ვიყავით. ჩემს უფროს ბიჭს, მერაბს დუუწყენ ჩხიკინი. ნაციონალების მხარეზე რომ იყო, დირექტორმა დაუწყო ჩხიკინი და დააქვეითა. რკინიგზაში მუშაობს. ერთი თვე იყო დაქვეითებული. ახლა ისევე თავის ადგილზე დაბრუნდა.

ჩემმა პატარა შვილიშვილმა ამისი სურათი, პრეზიდენტის სურათი ნახა სადღაც, ვინ მისცა არ ვიცი. მამამისს უთხრა, გააკარიო და შესასვლელში გააკვრევინა. პირველი კლასის მოსწავლეა. მერე დეეხატა ასლანი, ჩეესვა კლეტკებში, ამას დაიჭერენო; რევოლუციამდე ქნა ეს ყველაფერი... სოფლის ბავშვებს, პირველი-მეორე კლასის მოსწავლეებს, ჰქონდათ სააკაშვილის სურათები. ბაღნებს რას ეტყოდი? რაფერ უუკრძალავდი? პირველი და მეორე კლასის ბავშვები დადიოდნენ დიდი ჯოხებით ხელში და ჯოხებზე ქაღალდები ჰქონდათ წამოცმული წარწერებით – „გაუმარჯოს მიშას!“. „მიშა-მიშას“ გაიძახოდნენ სულ. ვიფიქრე, რას შობიან-თქო? „ძირს ასლანი!“ – ყვიროდნენ. რაღაცა ნამეტანი იყო მაშინ მაინც ხალხი ახმაურებული. კი გვეუბნებოდნენ ასლანისტები, ჩოლოქზე წამოდითო, მაგრამ ვინ წევიდა – არავინ! ერთადერთი, მილიციაში მუშაობდა ბიჭი და ხმის მიცემის დროს იმან მოუწოდა სოფელში ხალხს – ხმა მიეცით აღორძინებასო, მაგრამ ვინ დაუჯერა? აქ კი გვითხრენ, სამსახურში, წამოდით ჩოლოქზეო, მაგრამ არ წევედით. ასე ვუთხარი – მანამდე არ უუდგენ გვერდები, იქ არ წევიდეთ-მეთქი. ორი ახალგაზრდა ექიმი იყო და იგენს აძალებდნენ, მაგრამ არც ისინი წასულან. არავინ წასულა ჩვენგან.

იმედი გვაქვს, კარგად დაიწყო და თუ ხელი არავინ შეუშალა, გააკეთებს რამეს... ახლა ოსეთიც თუ შეიერთა...

რევოლუციის დროს სულ არ მეშინოდა. სულ შეტევაზე გადავდიოდი, მარშრუტკაში რომ ჩავჯდებოდი, იქ ჩხუბი იყო სულ ასლანისტებსა და ჩვენს შორის. ჰოდა, მე არაფრის არ მეშინოდა. იქ რომ იდგნენ, უნივერსიტეტთან, იქაც უნდა წავსულიყავი, მაგრამ ამხნის ქალის იქ დგომა უხერხული იყო. დედაბერი ვარ და რას წავალ-მეთქი, ვამბობდი, მთელი ოჯახი კი იქ იყო შვილიან-რძლიან-შვილიშვილიანად.

ახლა თურქეთში რომ ქართველები არიან, იმ ქართველებს როგორ უხარიათ! იქაურებიც რამდენად კმაყოფილები არიან! აი, საზღვარზე როგორი წასვლა-მოსვლაა, როგორი თავისუფლებაა. სად იყო ასეთი თავისუფლება? მით უმეტეს, ახლა, სააკაშვილი რომ ჩევიდა თურქეთში, მთლად გახარებული არიან.

ასლანი ალბანელიაო, ამბობდნენ. რაფერი შუღლი იცოდა? ჯერ სახეზე რომ შეხედავდი, ამოიკითხავდი ყველაფრის ზიზღს, საზიზღარი. თავისი გოგო რომ გამოუშვა, რას ფიქრობდა, ხალხი ტაშს დოუკრავდა?!

ისე, ახლა ყველაფერი შეიცვალა. ჯანმრთელობის სამინისტროში დიდი შემცირებები წავაო, ამბობენ. რაშია საქმე, იცი? ეს შემცირებები – კაი. მაგრამ ხალხის გათავისუფლება? თუ პენსიები არ გაიზარდა, რაით უნდა იცხოვროს ამ ხალხმა? მთელი ცხოვრება ვიმუშავე და რა პენსია მექნება? კომუნისტების დროს 120 მანეთი რომ მქონდა ხელფასი, იმასთან ერთად ჩემს პენსიასაც ვღებულობდი. ახლა მამაჩემის პენსიასაც ვღებულობ 45 რუბლს, რეაბილიტირებული რომ ვარ, იმიტომ.

ჩემს შვილებს ყველას მის-მისი ოჯახი აქვს. იმ დროს მანდარინის გატანა შეიძლებოდა. ჩააბარებდი აქ და ფულს ღებულობდი, ეს აღარ არის. არც შემოსავალი არაა. ჩემი ბაღი შვიდ და რვატონიანი იყო, მაგრამ ახლა არაფერი არაა. არავინ არ იბარებს მანდარინს. გაძნელდა ცხოვრება, მაგრამ მაინც იმედიანად ვარ.

მარიკა ბარათაშვილი
1908 – 2008

2006 წელს თბილისში ჩაიწერა
ცისანა გოდერძიშვილმა

ეს არის ჩემი ახალი წიგნი. საპოვნელები მეოთხე გვერდზე უფრო ჩანს, ისეთები, როგორებიც არიან, გარეკანზე, გარეკანის მეორე გვერდზე. აი, მანდაა პატარა საპოვნელები. ომის წლებში საჩხერეში ვიყავი მივლინებული ანტიფაშისტური საღამოების ჩასატარებლად მწერალთა კავშირიდან და რომ ჩავედი რაიკომის მდივანთან, მითხრა, დღესო სოფელ ბერეთისაში, გვაქვს ანტიფაშისტური საღამოო და აბა, გაგზავნით ახლა, იქ წახვალთო. და რომ მივდიოდით, ერთ ნელს დაღმართზე საპოვნელები პირველად ვნახე ჩემს სიცოცხლეში. უი, რა ლამაზი ყვავილებია-თქო და იცითო, ამას საპოვნელა ქვიაო, – მითხრა ინსტრუქტორმა, – და ვინმეს რომე რამე დაეკარგება სოფელში, მოწყვეტავს მაგ ყვავილს და ეხვეწება, საპოვნელა, მაპოვნინეო. იმ ღამეს დაიწერა ჩემი ლექსი „საპოვნელა“ და მერე რაიკომის მდივანი ცალკე მამადლიდა, მე რომ არ გამეშვი, „საპოვნელა“ არ დაიწერებოდაო, ინსტრუქტორი მეუბნებოდა, მე რომ არ მომეყოლა თქვენთვის მისი ისტორია, ეს არ დაიწერებოდაო. მძღოლი მეუბნებოდა, მე რომ არ წამეყვანეთ, ქალბატონო მარიკა, აბა, როგორ იქნებოდაო?! ერთი სიტყვით, იყო სახუმრო იმათი, ამგვარი იყო „საპოვნელას“, ჩემი ერთ-ერთი ლექსის ისტორია. (პაუზა)

ეთერი (შემოსულ მომვლელ ქალს მიმართავს), ეხლა ის გამახსენდა, დილანდელი, იმ კაცის ამბავი. ეთერი აგრძელებს: „დიდი კურიოზები გვაქვს, მოკლედ, მე და ქალბატონ მარიკას. დილით ვიღაცა კაცმა დაურეკა ბებოს, თუ შეიძლება, ქალბატონო მარიკა, თქვენთან მოსვლაო. მიღებაზე აიღო ნებართვა. ხოდა ბებომაც მითხრა, ეხლა ვიღაცა კაცი მოვა და აბა შენ იცი, გაუღე კარებიო. მართლაც დარეკა კარებზე და ერთი დაბალი, ძალიან კარგად გამოწყობილი კაცი დამხვდა, მეო, ქალბატონ მარიკასთან ვარო. მობრძანდით-მეთქი. აქ შემოვიყვანე, ვიფიქრე, ან რედაქციიდან ან საიდანმე იქნება-მეთქი. ბებომაც გამოხედა და: ოოო, მობრძანდით, მობრძანდითო, დიდი ოვაციებით. მეთქი, ალბათ ნაცნობია, და აქ დავსვი. მე ჩემმა გოგონამ დამიძახა, თმები დამილაგეო და იმას გავხედე. მერე კონსერვატორიაში ვაცილებდი და ის კაციც გამოვიდა და ისიც გავაცილე. შემოვედი და ბებო ზის და მიყურებს, იცი ეხლა რა მოხდაო, ეს კაცი მოვიდა და მეუბნება, თოთხმეტი ლარი მასესხეო. ხოდა უკანასკნელი ოცლარიანი მქონდა, ზუსტად თოთხმეტი ლარი სადა მქონდა და ოცი ლარი მივეციო. ბებო, ვინ იყო-მეთქი და რა ვიციო, კაცი რომ თავს დაიმცირებს და თოთხმეტ ლარს მოგთხოვს, ხელს არ გავუმართავდიო?“

...ლექსს ვწერდი-მეთქი. ერთი ათი დღეა, არა, ერთი კვირა იქნება, არ მწვევია მუზა და მეგონა, რომ მორჩა, უკვე აღარაფერს დავწერ და ძალიან გამეხარდა, რომ ამ დილას ისევ მომესალმა და მოვიდა. რაღაცას ჩემთვის ისე... იცით რად მჭირდება, რომ ვწერ, არაფერს ისეთს დიდს და საინტერესოს მე არ ვწერ, მაგრამ მე ამით ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ვცოცხლობ. თორემ ამით შემოიფარგლა ჩემი სამყარო, აგერ ნაცრისფერი ცის ნაფლეთი (ფანჯარაში

იყურება), მწვანე გორაკის რაღაცა ნატეხი და ერთი-ორი აყუდებული სახლი. სამყარო მეპატარავებოდა, ამით შემოვიფარგლე ახლა და ესაა, თენდება დილა და... ოთხი წელია, რაც მე თეძოს ძვალი გავიტეხე და მის შემდეგ ასე შევიზღუდე, ასე რომ, სახლიდან ფეხი არ ჩამიბიჯებია ძირს. ძალიან ძნელია ეს ჩემთვის, იმიტომ, რომ ძალზე მღელვარე ცხოვრებას, ყოველდღიურ ალიაქოთს ვიყავი მიჩვეული, ცხოვრება თითონ მაჩქარებდა, არ მაძლევდა მოსვენების, დასვენების, ნებივრობის საშუალებას, მართალი გითხრათ. ალბათ შინაგანი სწრაფვა იყო ასეთი ჩემი, რომ სულ მოძრაობაში ვიყავი.

პატარა ვიყავი, რომ მამაჩემი ცხენზე შემომისვამდა ჭიათურაში (ჭიათურაში ვცხოვრობდით) და გადამიყვანდა ხოლმე... მამა იყო პედაგოგი. ადრეულ წლებში ასწავლიდა უფრო საღვთო სჯულს, მერე ქართულ ენასა და რუსულს. ერთ სკოლაში ქართული ლიტერატურის მასწავლებელი იყო, მეორეში – რუსული ენის, ხან დირექტორობდა, ერთი სიტყვით, ცხოვრობდა ოჯახი ნამდვილი ქართველი ინტელიგენტის ცხოვრებით. ხუთშაბათობები იყო ხოლმე ჩვენს ოჯახში; იყო მსჯელობა, სულ საქართველოს ბედზე იყო ხოლმე ლაპარაკი. სულ პატარა ვიყავი და მესმოდა, საქართველო – ეს, ის, გაჭირვების ამბები. სოფელი უყვარდა მამას, სოფლის ხალხი, მეზობლები, ზრუნავდა იმათზე. ოჯახში სულ იყო ჩვენთან ვინმე გაჭირვეებული, ვინმე ობოლი, რომელსაც ზრდიდა ოჯახი. ჩვენთან იკრიბებობდნენ. ბესარიონ ჟღენტის მამა მამაჩემის მეგობარი იყო, კიტა აბაშიძე მამას მეგობარი იყო, გიორგი ზდანევიჩი მამას მეგობარი იყო და ამათ ერთვოდნენ კიდევ საუკეთესო პედაგოგები და თითქმის ყოველ ხუთშაბათს ჩვენს ოჯახში იყო ხოლმე მათი შეკრება. საუზმე, რაც ჰქონდათ ოჯახში, დიდი წვეულება კი არა, რაც ჰქონდათ, ან სადილიდან მონარჩენი ან რაღაც ეგეთი, გამოჰქონდათ, ისხდნენ, მაგრამ ისეთი მსუყე იყო ეს საუბრები, ისეთი საინტერესო, რომ სულ პატარა ხუთი-ექვსი წლის გოგონას მესმოდა სულ – ეს საქართველო, სამშობლო, იმის ბედზე დაფიქრება.

შემდეგ ძმა წამოიზარდა, ხუთი წლით ჩემზე უფროსი იყო, და შემდეგ მისი ამხანაგები, ლევან ასათიანი, იყო ასეთი ინტელიგენტი, მერე ბესარიონ ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი, ესენი ჭიათურლები; შემდეგ შემოგვემატა კიდევ რევაზ ჯაფარიძე და ესენი, იცით, მოდიოდნენ ჩემ ძმასთან – პატარა ოთახი ჰქონდა ჩემ ძმას გადაყოფილი თავისთვის, თავისი წიგნებით, საწოლი ოთახის ერთი კუთხე, და იქ იკრიბებოდნენ. ისინი იქ საუბრობდნენ ამ ამბებზე, აქ – უფროსები, და ასე მიდიოდა ჩემი ბავშვობის წლები.

შემდეგ ოცდაერთი წელი შემოვიდა საქართველოში და ეს უკვე ძალიან მძიმე იყო ქართველებისთვის. მანამდე ისმოდა სულ, ლაპარაკობდნენ უფროსები, რომ თურმე რუსები მოდიან და სამოცმეტრიანი საბნები მოაქვთ და ქალი და კაცი ერთად უნდა ააძვრინონ, ერთ საბნის ქვეშ მოაქციონო, რაღაც გადაჭარბებული ასეთი ხმა მოდიოდა, ხოდა, ძალიან გვეშინოდა, მართალი გითხრათ, იმ რუსების შემოსვლისა.

დიდი უბედურება დაგვატყდა იმ წლებში, თვრამეტ წელს ბიძა მომიკლეს, მამაჩემის ძმა, ციმბირიდან დაბრუნებული, ის სადღაც საუკუნის პირველ წლებში გადაასახლეს, თხუთმეტი წლის გადასახლებული და გადასახლებიდან დაბრუნებული ბიძა იმავე წელს ჩვენივე სოფლის ბოლოს მოკლეს ეგრეთწოდებულმა ბოლშევიკებმა. ტყეში იყვნენ გაცვენილი ავაზაკები და ბოლშევიკებს უწოდებდნენ

გერვასი და ვერა ბარათაშვილები; შვილი — ვახტანგი

თავიანთ თავს, ყაჩაღობდნენ... მარიამობა დღეს ბიძაჩემი ცხენით მიდიოდა ჭიათურაში, რაღაც უნდა ევაჭრა, მოეტანა, ჭიათურიდან მეგობრები უნდა გადმოსულიყვნენ.

დედა ავად იყო, დედა სულ ავადმყოფობდა, ცხრა თვის ვიყავი, დედა რომ ტუბერკულიოზით დაავადმყოფდა. დედამ დაამთავრა თბილისის ეპარქიული სასწავლებელი, მამამ — სასულიერო სემინარია და ორთავენი გორში იყვნენ მასწავლებლებად განაწილებული. იქ შეხვდნენ ერთმანეთს, იქ დაქორწინდნენ, იქ გაჩნდა ჩემი ძმაც. სამი წლის იყო ჩემი ძმა, რომ მამამ...

იცით, ამ დროს ეს იყო განათლების შეტანა სოფელში. ესეთი დიდი ლოზუნგი იყო და ერთი სიტყვით, ყველა კულტურული ადამიანი ეტანებოდა სოფელს, რომ იქ რაღაცას დახმარებოდა. მამაჩემმა მაშინ მიატოვა გორი წამოვიდა და „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“ ჭიათურაში და წერეთლებსა და აბაშიძეებს თხოვა, რომ შეეკრიბათ ფული და მამამ გახსნა, დაიქირავა ვინმე ასანიძის სახლი სოფელ მერევში, და იქ გახსნა სკოლა, რომელიც ემსახურებოდა ირგვლივ რვა სოფელს. მოდიოდნენ ბავშვები ახლომახლო სოფლებიდან. დედა დაინიშნა იმ სკოლის დირექტორად. ცხრა თვის ვიყავი მე (იქ გავჩნდი, მერევში), ცხრა თვის ვიყავი რომ დიდთოვლობას, ზამთარი იყო, უსაშველოდ დიდი თოვლი მოვიდა, ისე, რომ გვირაბებს თხრიდნენ და ურმები ისე მიდი-მოდოდნენ. ასეთი თოვლი იყო და მამა შემორჩა ჭიათურას. წამოვიდა სკოლის რაღაც საქმეებზე და ვეღარ გამოაღწია, ვეღარ მოვიდა სოფელში.

ამ დროს, დედა რომ გაკვეთილებს ატარებდა, იმავე სახლის გვერდითა ოთახში რომ ჩვენ ვიყავით პატარები (იმავე სახლში ცხოვრობდა ჩვენი ოჯახი), გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლი გაუჩნდა სკოლას. სახლი ცოტა მოშორებით იყო სოფლიდან. დედა აიჭრა სახურავზე და ამ თოვლს აყრიდა ცეცხლს და ყვიროდა, გვიშველეთო. მოცვივდნენ სოფლელები, გადაგვარჩინეს, მაგრამ დედა გაცივდა, ნაზი ქალი იყო ძალიან, დაემართა ფილტვების ანთება, სოფელში ექიმი არ იყო. გზა გადაკეტილი იყო ყოველგვარი დახმარებისა, ცოტათი რომ ჩაუცხრა ეს ანთება, დააწვინეს ურემზე და ურმით წამოიყვანეს ჭიათურაში. უფრო გაურთულდა, შეუბრუნა ანთებამ და დაემართა ტუბერკულიოზი. და მთელი სიცოცხლე დედა, ასე ვთქვათ, შეწირული იყო იმ თავის გმირობას. გმირობად

მიმაჩნია მე, როცა ქალაქელი ისეთი ნაზი ქალი ავარდა და ყვიროდა ზემოთ, და ამ სიცივეში, ზამთარში თოვლს რომ ყრიდა ხელებით და აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ დახმარებოდა. ის როგორ ჩააქრობდა ცეცხლს, მაგრამ რაღაცას წვალობდა, იცოცხლა იმან კარგა ხანს, სამოცდაექვს წლამდე იცოცხლა დედაჩემმა, მაგრამ დედისგან მე ალერსი, კოცნა, დედის მუხლებზე ნებივრობა, არ მახსოვს. ძალიან გვერიდებოდა, თავისთვის ჰქონდა ყველაფერი, ეშინოდა, რომ არ გადაგვდებოდა ბავშვებს და სულ პატარობიდან ერთგვარი სევდა გამოგვყვა.

შემდეგ იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ სოფელი და წამოვიდნენ ჭიათურაში. იქ ერთი პატარა სახლი გვქონდა, კარგი ლამაზი სახლი, წინ ყვავილნარით, სართულებად იყო ეზო, ზემო სართულზე კუთხეში იდგა ალუბალი, კომშები, მრგვალი მაგიდა და სკამძელი. ის სკამძელია ჩემი საუკეთესო მოსაგონარი, ჩემი ოცნების პირველი საყრდენი, შეიძლება ითქვას. მერე იცით, რომ წამოვქალიშ-ვილდი, ვიჯექი ამ სკამძელზე და გადავჩერებოდი ქალაქს, ჩემს შავ მთებს, რომლებიც ძალიან მიყვარდა, ძალიან მიყვარდა ჩემი ჭიათურა, იქაური ხალხი, წამომეწია ამ დროს ოცდაოთხი წელი.

ოცდაოთხ წელს აჯანყება ჭიათურამ დაიწყო, და მე ვხედავდი, როგორ გადადიოდა ხელისუფლება ხელიდან ხელში, მესმოდა ეს ზათქი, ეს ხმაური, ეს ყვირილი, შეტევები, უბედურება, ამას მე ვხედავდი, ვხედავდი, როგორ დამარცხდა ეს აჯანყება. მერე, რამდენიმე დღის შემდეგ, გავიგე შორაპანში როგორ დახვრიტეს დატუსაღებული საჩხერის, ჭიათურის ინტელიგენცია, თავადაზნაურები. ამათით გატენილი სამი ვაგონი შორაპანში დახვრიტეს, დაცხრილეს. და ყვებოდნენ, როგორ მიედინებოდა თურმე იმათი სისხლი ნაკადულებად პირდაპირ ქუჩებში, და ამან, ეტყობა, გამოიწვია ის დიდი სევდა, რომელიც შემდეგ გამომჟღავნდა ჩემ ლექსებში.

დავიღალე, ძალიან დავიღალე, იმდენი ვეძებე და მაინც ვერ შევძელი, მიმეგნო იმ ჩემი პირველი ლექსებისთვის, რომლებიც სულ სევდას, მწუხარებას, ტკივილებს გამოხატავდა ჩემი სულისას. ეს ამბები დაემთხვა ჩემი სკოლის დამთავრებას. ჰუმანიტარული ტექნიკუმი დავამთავრე ჭიათურაში და თბილისში უნდა წავსულიყავი, ვოცნებობდი თბილისში წასვლაზე და ამ დროს ჩემი ძმა დაატუსაღეს, გადამისახლეს, დედა ავადმყოფი, ეს ერთადერთი ძმა დატუსაღებული...

მამამ გაიხადა ანაფორა ბოლშევიკების შემოსვლამდე, როგორც კი გაიგო, რომ ბოლშევიკები ამასხარავებდნენ მღვდლებს, ხდიდნენ ანაფორებს, უკუღმა სვამდნენ ცხენზე, ჯორებზე. ეს მამაჩემმა რომ გაიგო, არ გავამასხარავებინებ თავსო, გაიხადა ანაფორა. ამ ყველაფერმა ის განაპირობა, რომ მე ვერ დავტოვე ოჯახი და ვერ წავედი თბილისში სწავლის გასაგრძელებლად. ძალიან მინდოდა სწავლის გაგრძელება, ძალიან. მაშინ ვერ შევძელი, შემდეგ წლებში კი დავიწყე მუშაობა, სულ ახალგაზრდამ, ახალსკოლადამთავრებულმა.

სკოლა დავამთავრე თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლისამ, ჰუმანიტარული ტექნიკუმი ერქვა იმ სკოლას. შვიდწლიანი იყო, ოთხი განყოფილება, და შემდეგ... სულ შვიდი წელი. ახლა იმ ოთხ განყოფილებაში, იმ სკოლაში რა მოხდა, მამა ხომ მასწავლებელი იყო, გარდა ამისა, ჩემი ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც მასწავლებ-ლები იყვნენ, დიდები იყვნენ, მართალი გითხრათ, ცოტა დაჩაგრული ვიყავი იმათგან, იმიტომ, რომ ვინც რას დააშავებდა კლასში, მე მაძლევდნენ შენიშვნას. რომ ვერ მოხერხდა სწავლის გაგრძელება, ამით ვიყავი დასევდიანებული.

ხანდახან თეატრში მივყავდით. პატარა ვიყავი, ჩამოვიდა ჭიათურაში ოპერეტის თეატრი, მისი ერთ-ერთი მსახიობი იყო დედაჩემის მამიდაშვილი, დედა ქართლელი მყავდა, მამა იმერელი, მამიდაშვილი ჩაგუნავა იყო გვარად, და წამიყვანეს თეატრში, ვნახე „არშილმალალნი", ძალიან მომეწონა. ბებიაჩემს გამოვართვი დიდი თავშალი და, რომ ჩავედი სოფელში, სოფლელებს წარმოვუდგინე ის „არშილმალალანი", ხან მოვიხდი ამას და ხან ვიხურავ და... ხან ასკარა ვარ და რა ვიცი, რაც იყო იქ სახელები, ყველა იმ გმირების სახელები დავირქვი და დიდი მოწონება დავიმსახურე სოფელში. ვიყავი სულ პატარა. მერე ჭიათურაშიც გადავწყვიტე, რომ განმეგრძო ეს ჩემი მოღვაწეობა. ერთი საქათმე იყო, ჩვენ ორსართულიანი სახლი გვედგა და ჩვენი ბინის კიბის ქვემოთ, ახლო იდგა საქათმე ყავრის სახურავით. ეს სახურავი გადავწყვიტე გამომეყენებინა სცენად. ერთ დღეს, როცა დედა და მამა ისვენებდნენ სადილის შემდეგ, კვირა დღეა, მე უზარმაზარი ბაბთა მაქვს თავზე გაკეთებული, მაცვია ახალთახალი მშვენიერი კაბა, პირველად იმ დღეს ჩავიცვი, ჩვენებს სძინავთ, მოვიხმე მეზობლის ბავშვები, დავსვი დერეფანში, ავედი ჩემი დედოფალებით ამ საქათმის თავზე და დავიწყე მსახიობობა. გავდივარ, გამოვდივარ და კი ჩაფსკვნილი გოგო ვიყავი პატარა, მსუქანი ვიყავი, ჩამიტყდა ყავრის სახურავი, ჩავვარდი საქათმეში, დავეცი თავზე კრუხს, რომელიც საბუდარზე იჯდა, წიწილები უნდა დაეჩეკა, ატეხა ამ კრუხმა კივილ-წივილი, მირტყამს ნისკარტს, შემომრჩა ბაბთა ერთ ხარიხაზე დაკიდებული, კაბა ჩამომეხა, ეს ახალი კაბა და აღრიალებული, ამოსვრილი ამომათრიეს იმ საქათმიდან. ეს იყო ჩემი რეჟისორობის დასაწყისი და მისი ბოლოც. მერე რეჟისორი აღარ ვყოფილვარ, აღარ მიცდია იმ სიმწარის გამოცდილებით. შემდეგ ავუტყდი მამაჩემს, რომ სწავლა სკოლაში მინდა და სკოლაში მინდა. ვტიროდი და ვტიროდი, რომ წავეყვანე და მამამ თქვა, წავიყვან, დაჯდეს, იყოსო, თუ ხმას არ გაიღებ და იჯდებიო, იყავი გაკვეთილებზეო, მიმიყვანეს მართლა ბავშვებთან, დამსვეს პირველ კლასში პატარა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ისე კარგად დავიწყე იმ ბავშვებთან ერთად სწავლა, რომ გადავედი მეორე კლასში და ასე ცოტა ადრე დავამთავრე სკოლა. მოწაფეობის წლებში, უკვე მოზდილა გოგონა ვიყავი, ერთი თორმეტ-ცამეტი წლის, იქნებ თოთხმეტისაც, ჭიათურის კლუბში გაიმართა საღამო დიდი, კომედია დადგეს – „მასესხეთ ოცდახუთი მანეთი", და მე მიმიწვიეს მსახიობად. ესე იგი, მე, თორმეტ-ცამეტი წლის გოგო, ვთამაშობდი მთავარ როლს. ეს რა იყო, იცით, ველოდები სატრფოს, რომელიც უნდა მოვიდეს და ცოტა კი მომწონდა ის ბიჭი, რომელიც უნდა მოსულიყო ჩემთან, მაგრამ იმას ჩემი ხმაც არ გაეგონა და მე მისი ხმა, რა ხმაზე ლაპარაკობდა, ვინ იყო, რა იყო, ნუ, გარეგნობით მომწონდა ძალიან. ხოდა ის

მარიკა ბარათაშვილი

უნდა მოვიდეს, იყო ბორის გამრეკელი, მსახიობი ასეთი, მისი უმცროსი ძმა (იმათი მამა მრეწველთა საბჭოში მუშაობდა), ხოდა ეს უნდა მოვიდეს და უნდა დაიჩოქოს ჩემს წინ და ველოდები ეხლა იმას, რომ დაიჩოქებს ახლა და ამიხსნის სიყვარულს. ხოდა გავდივარ, გამოვდივარ, ვლელავ ამ სცენაზე, ვარ ერთ ამბავში, და ბოლოს და ბოლოს იღება კარი და შემოდის ჩემი გმირი, მოდის, მოდის, მოვიდა ჩემთან და ახ, გულზე ხელს ვიდებ, საითაა გული არც ვიცი, ხოდა დაეცა ბოლოს მუხლზე, ოხ, ახლა უნდა ამიხსნას სიყვარული, და მეუბნება, გთხოვთ, გთხოვთ, ოჰ, აბრძანდით ზეზე, ადექით, – ვეუბნები. აბრძანდა ზეზე და მეუბნება: „გთხოვთ, მასესხოთ ოცდახუთი მანეთი.“ მე მეგონა, სიყვარულს მეფიცებოდა, ეს კი ფულს მესესხება-თქო. იყო ერთი დიდი მხიარულება ჩვენს დარბაზში. ესეთი იყო ჩემი მსახიობობის ცდა. ეტყობა იმ გარემომ, იმ ყველფერმა, ჩამოაყალიბა ჩემში ერთგვარად, ყოველ შემთხვევაში, საწყისი რაღაცეები ისეთი, რომ ჩემი გატაცება იყო სულ ლიტერატურა, ხელოვნება. ავად თუ გავხდებოდი, მიხაროდა, სკოლაში თუ არ მივდიოდი, დედას ჰქონდა გამოწერილი ჟურნალი „ნივა“ და იმას ვფურცლავდი, წერა-კითხვა ქართულთან ერთად რუსულიც ვისწავლე ძალიან პატარამ, იმდენი, რომ კითხვა შემეძლო და ოღონდ მეკითხა... ჩვენი სკოლის პირდაპირ იყო გორაკი და ის რომ ამწვანდებოდა, მიხაროდა, დასვენების დროს გავრბოდი და ვკრეფდი ყოჩივარდებს, იას, და აი, ასე იზრდებოდა ჩემში მისწრაფება პოეზიისაკენ, ხელოვნებისკენ, თეატრისკენ. ხომ არ გაცდენთ, ძალიან გთხოვთ, შემაჩერეთ, იცით, მე მინდა გავხსნა ჩემი ბავშური სამყარო, სად იბადებოდა მარიკა ბარათაშვილი, მარიკელა კი არა, მარიკა ბარათაშვილი.

უბრალოდ, მინდა, ჩემს სულში ჩაგახედოთ... ბავშობიდანვე მიტაცებდა მოღვაწეობა, ბებია სოფლის მკურნალი იყო და მიხაროდა, რომ მოდიოდნენ მასთან და შველოდა რაღაცას. გამორჩეული ვიყავი იმით, რომ სხვა გოგონებს, ჩემთან ერთად რომ იზრდებოდნენ, ვიღაცა ბიჭები მოსწონდათ, ხვდებოდნენ, სეირნობდნენ. მე – არა. მე ჩემ სამყაროში ვიყავი როგორღაც ჩაკეტილი, მინდოდა ძალიან, სწავლა მინდოდა. ამ აჯანყებას მერე ძმის გადასახლება მოყვა, მამაჩემი შეშინებული, დაშინებული, მაინც სასულიერო სემინარიადამთავრებული, დედა ავადმყოფი...

ამავე დროს გვერდით, ჩვენ ახლოს, ცხოვრობდა მამიდას ოჯახი, მღვდელი იყო ბიძაჩემიც, მამიდას ქმარი, მისი ერთ-ერთი ქალიშვილი, რებეკა ვაშაძე, კონსტანტინე გამსახურდიას პირველი ცოლი იყო, მე იქ დავესწარი იმათ ქორწილსაც, პატარა წამიყვანა დედაჩემმა ხელჩაკიდებული, მივყავდი და სერვიზი მიგვქონდა, ეგრეთწოდებული, თავზე უნდა გადავაგდოო, დედამ თქვა და ძალიან ვწუხდი ბავშვი, კი ვერ ვეუბნებოდი დედას, რას ქვია გადააგდო, როგორ შევეპასუხებოდი დედას, მაგრამ ვფიქრობდი, რაღა ვქნა, ამისთანა ლამაზ ჭურჭელს რომ გადააგდებს, ხომ სულ დაიმსხვრვა-მეთქი. მერე კონსტანტინე მეტყოდა ხოლმე, გახსოვს, მარიკელა, მუხლზე რომ მეჯექიო და „მე პაწია მერცხალი ვარ“ რომ მღეროდიო? რებეკა ვაშაძე სწავლობდა ქუთაისში, კონსტანტინეც სწავლობდა ქუთაისში, იქ შეხვდნენ ერთმანეთს, დაქორწინდნენ, ჩამოდიოდა ხოლმე კონსტანტინე, სანამ დაქორწინდებოდნენ, რამდენიმეჯერ ჩამოვიდა, გაგვეცნო ყველას, მაშინ არ იყო ჯერ სახელმოხვეჭილი, არ იყო ჯერ კონსტანტინე.

ბიძაჩემმა, მამიდაჩემის ქმარმა, მღვდელი იყო ის და ჭიათურიდან ჯორით მიდიოდა ხოლმე სოფელში, იქ წირავდა რომელიღაც ეკლესიაში, და ეს ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მერე ბავშვები ჟივილ-ხივილით მისდევდნენ უკან: „მღვდელოო, კუდი აუწიი, მღვდელოო, კუდი აუწიი!“ იგდებდნენ მასხრად მღვდლებსა, შეურაცხყოფდნენ. მერე შვილები თავისი ბიძამ გერმანიაში გაგზავნა სასწავლებლად, ორი ვაჟი ჰყავდა და ორი ქალი, რებეკა და მისი ქმარიც რომ დაქორწინდნენ, ბიძაჩემმა გაგზავნა გერმანიაში სასწავლებლად, ქალიშვილიც და სიძეც, კონსტანტინე და რებეკა. ამ დროს დაიწყო ომი, ცხრაას თოთხმეტის, და გერმანიაში მაგ დროს სდევნიდნენ უცხოელებს, ამ რებეკას დაუწყეს შევიწროვება, შემოეხვეოდა ბრბო ქუჩაში, რომ დაინახავდნენ უცხო ტომის ქალს, ჩქმეტდნენ, აწვალებდნენ, თმებს უწეწავდნენ. იძულებული გახდა გერმანიის მთავრობა, რომ უკან გამოეგზავნათ საქართველოში. გემზე მოაწყვეს მოსამსახურე ქალად, ჩააცვეს ისე, რომ აღარ შეევიწროვებია ხალხსა და დასვეს გემზე და გამოუშვეს. კონსტანტინე დარჩა იქა, ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვიდა ჭიათურაში.

უფრო შემდეგ იყო, რომ წავიდნენ ვაჟებიც გერმანიაში, უფრო მოგვიანოდ წავიდნენ, იმ ორი ვაჟიდან ერთ-ერთი ჩამოვიდა საქართველოში, დახვრიტეს, მეორეს სწავლა არ ჰქონდა დამთავრებული, დარჩა და საერთოდ დარჩა და იქ მოკვდა, გერმანიაში. ბიძაჩემს კიდევ, როგორც მღვდელსა, ორჯერ შეასყიდინეს საკუთარი სახლი აუქციონზე, ორჯერ იყიდა საკუთარი სახლი ბოლშევიკების დროს! მესამედ მოუვიდა კიდევ უწყება, რომ მისი სახლ-კარი იყიდება აუქციონზე და ადგა ბიძაჩემმა, გააღო თავის სახლის ფანჯარა ზემოთ სართულზე, თავით გადმოეშვა ძირს და მოიკლა თავი, მიუხედავად იმისა, რომ ღრმადმორწმუნე მღვდელი იყო. ეშინოდა წაწყმედის, მაინც ვეღარ აიტანა მეტი და მოიკლა ასე თავი! წარმოიდგინეთ, ჩემი ძმა გადასახლებული, მამიდაჩემის ოჯახში ეს ამბები, მამა ფიქრობს, დღეს თუ ხვალ, როდის ჩაავლებენ ხელს...

ჩემში, ეტყობა, ძალიან ბევრი იყო სიცოცხლის ხალისი, იცით, თანდაყოლილი. სოფელში რომ ჩავიდოდი სკოლის არდადეგებზე, ორი თუთის ხე იდგა ჩვენს ჭიშკართან, ავცოცდებოდი ხეზე, ვჭამდი ამ თუთას და თან ვმღეროდი, ვმღეროდი და ვმღეროდი. დედა და ბებია მეტყოდნენ: შვილო, მოასვენე ერთი წუთით ჩვენი ყურიო. რა მამღერებდა, მითხარით, რა მამღერებდა?! ალბათ, სულს სიმღერა უნდოდა. მაშინ ჯერ გადასახლებები არ იყო, სულ პატარა ამას ჩავდიოდი, შემდეგ კი დედა მეუბნებოდა, ვაიმე, შვილო, რატომ გიშლიდი სიმღერას, როცა გემღერებოდაო. მერე აღარ მემღერებოდა, მართალი გითხრათ. მერე, ოცდაცხრა წელს გავთხოვდი. სასწავლებელში ვერ წავედი, აქ, ჭიათურაში ვიყავი, მონგარიშედ დავიწყე სამსახური, ჯერ აღმასკომში, შემდეგ სახელმწიფო ბანკში. ვისწავლე ის მოანგარიშეობაც და ვიყავი, მაგრამ უჯრაში წიგნი მედო, გამოვწევდი იმას, რომ სხვებს არ დავენახე და როცა ვისვენებდი, ვკითხულობდი. ძალიან ბევრს ვკითხულობდი. ჩემი თავი რად აღარ წარმომედგინა, ტურგენევის ლიზა და ვინ აღარ ვიყავი, ღმერთმა იცის და სულ ველოდი ვიღაც პრინცს.

ბოლოს, ბატონო ეს პრინცი ოცდაცხრა წელს მთავარ ქირურგად ჩამოვიდა ჭიათურაში. ეს იყო ქირურგი ყურაშვილი, უცოლო კაცი, ლამაზი კაცი, და შეიქმნა დიდი მითქმა-მოთქმა ქალიშვილებში, ჩამოვიდა ასეთი და ასეთიო... მეუბნება ექთანი, მეზობელი: მარიკა, იცი, ჩვენთან ჩამოვიდა ასეთი, ასეთი ქირურგიო

და ვისხედით და თქვაო, მაინც ვინ არიან კარგი ქალიშვილები თქვენს ჭიათურაშიო. გამეცინა და მე ვუთხარიო, ერთი ძალიან კარგია, მაგრამ არავის ახლო არ იკარებს, ტყუილად არც იფიქროთ იმაზე-მეთქი, მიტო რომეო, ალბათ, არც გაგეცნობათო, რომ ვუთხარი, ჭიათურაში ასეთი და ასეთი ქირურგი ჩამოვიდაო, მითხრა, ნეტა, „ბაგაჟი“ თუ ჩამოყვა რამეო, ასე მიიკაკუნა თითი შუბლზეო. და შემდეგ ერთ დღეს, შემთხვევით, მამიდაშვილი ჩემი, რებეკას და და მე უნდა წავსულიყავით თეატრში, სადღაც იყო მეზობლად და უნდა გამევლო მისთვის, გავუარე ჩემს მამიდაშვილს და რომ დავრეკე კარზე, კარი გაიღო და ვხედავ, სუფრაა გაშლილი შუშაბანდში, სტუმრებია, ხოდა, შემოდი, შემოდიო, ჩამაცივდა დიასახლისი. არა-თქო, მე ვუთხარი, მარგარიტას უთხარით, რომ მე აქ ვარ-თქო, და წამოდგა ამ დროს სუფრიდან ყმაწვილი კაცი და „თქვენ ბრძანდებით ის მარიკა ბარათაშვილი, რომელსაც ჩემი „ბაგაჟი“ აინტერესებსო? – ორი ჩემოდანი და ერთი „კარზინკა“, შენ გენაცვალეო. ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. შემდეგ წავიდა ჭიათურიდან და ჩამოდიოდა ხოლმე ჭიათურაში რომ ვენახე, მოდიოდა ხოლმე, მაგრამ როგორი იყო ახლა, ჩემი პირველი, როგორ გითხრათ, ტრფიალი, მოვყვე ამ ამბავს?

მოვიდა ჩემს სანახავად, დედა და მამა სახლში არ არიან, მამიდაჩემთან არიან და მე გამოვედი და ვზივარ ეზოში. ეს ყმაწვილი, რომ მოვიდა და მიკითხა, დაბრძანდით, მე ვუთხარი, დაჯდა. ვსხედვართ და ავდექი ზეზე და კომში იყო დამწიფებული, ავწიე ხელი კომშის მოსაწყვეტად, ამ დროს მოვიდა და მაკოცა. მაკოცაო?! შევწყრი ძალიან, როგორ მაკადრე-თქო, მე ვუთხარი, გთხოვთ მიბრძანდეთ აქედან-თქო. გავუშვი ეს კაცი, ავედი ჩემთან, დავჯექი საწოლში, მაქვს ასე მუხლებზე ხელი შემოხვეული, ვარ საშინლად დამწუხრებული, როგორ გამიბედა და მაკოცა კაცმა. მოვიდა დედაჩემი, მხედავს, – რა მოგივიდა, გოგო, დედამ მითხრა, – დედა-თქო, მაკოცა და წავიდა, და რო აღარ ჩამოვიდეს-თქო?! – არა, შე სულელო, რას ამბობ, გამიგონიაო? – დედამ დამამშვიდა. მე შემეშინდა უკვე იმის, რომ გავაგდე სახლიდან, როგორ თუ მაკადრე-თქო და წავიდა ახლა თავის ფოთში (ახლა იქ მუშაობდა). გავიდა ხანი, ჩამოვიდა, დავქორწინდით და წამიყვანა ფოთში. ხუთი თვის შემდეგ, დედიკო, იქა, პალიასტომზე წავიდნენ ექიმები დილით, მიდიოდნენ, ცურაობდნენ, გაუსხლტა ნავი, ჩავარდა ტბაში, დილა იყო, ოქტომბრის დილა, დასველდა, შერცხვა ქალაქში სველი დაბრუნებისა, გაწურა ტანსაცმელი, და მთელი დღე ოქტომბრისა, მზიანი იყო მართალია, მარა მთელი დღე იშრო ტანზე ტანსაცმელი. მეორე დღეს დაემართა თირკმელების ანთება, და იმ ანთებით იცოცხლა თორმეტი წელიწადი, არა – ცხრა წელიწადი ისე, რომ იყო, მუშაობდა, ცხოვრობდა, ყველაფერი, მაგრამ ექიმი იყო და იცოდა, რომ იყო განწირული. შვილები გავიჩინე იმიტომ, რომ მას არ ეფიქრა, რომ მე ვფიქრობ რომ დავქვრივდები და მარტო დავრჩები... მეუბნებოდა, მარიკუნა, იცი რა, იმ ექიმებმა, ოხრებმა, არაფერი არ იციან, იმათ ჰგონიათ, რომ მე მალე დავიღუპები, ერთადერთი – შენ მინერგავ იმედს, რომ მე ვიცოცხლებ, თორემ შენისთანა ჭკვიანი გოგო შვილებს გაიჩენდაო?! ვინ გყავსო პატრონი შენ, რომ შვილები დაგაზრდევინოსო, მშობლებს თავისი გაჭირვებიათო. აი, ასეთი იყო, დედა, ეს ამბავი. შემდეგ სწავლა რომ დავამთავრე... გიყვებით ისე, როგორც ჩემ ახალ მეგობრებს, თუ გეჩქარებათ, თქვენი ჭირიმეთ, მითხარით. თუ – ეს საინტერესოა ჩემი ბუნების გასახსნელად...

ხო, ასე, დედიკო. ძალიან ამაღლებულად წარმომედგინა ყველაფერი. მაგალითად, ჩემი ტოლი გოგონები ბიჭებს ხვდებოდნენ... ძალიან ვწუხდი, უმაღლესში რომ ვერ წავედი, თითქოს ეს შავი მთები აღიმართა ჩემს წინ, და რომ ვერ შევძელი ამის დაძლევა, ჩემს ლექსებში სევდაა, წუხილი. შიო მღვიმელი იყო ჩემი ბაბუა, დედაჩემის დედის ძმა. (კასეტის შეცვლა ხდება საჭირო) ხომ არ გაგითავდა, შვილო, საწერ-კალამი. საწერ-კალამი-მეთქი (იცინის).

მგონი ამბობს ეს ბავშვი (ოპერატორზე ამბობს) ჯერ არ შემხვედრია ქალი, რომელიც ჩვენთან ასეთ რამეებზე საუბრობდესო. ასე მგონია, თქვენ გაინტერესებთ ჩემი სულიერი პორტრეტის დანახვა და ამიტომ – რამ მიმიყვანა მწერლობამდე, როგორ მივედი, როგორ მოხდა ეს ამბავი – ესე იგი ჩემმა პირველმა სევდიანობამ, შემდეგ ჩემმა პატარებმა, ორი ბავშვი შემეძინა და უკვე 36 წელს დავიწყე იმათთვის წერა. და თქვენ წარმოიდგინეთ, პირველი პოემა რომ დავწერე, ჩემი პირველი პოემა, საინტერესო აღმოჩნდა სხვა ბავშვებისთვისაც. ჯერ არ ვიყავი გაწვრთვნილი და წარმოიდგინეთ, ეს პოემა ითარგმნა სხვადასხვა ენებზე. საინტერესო გამოჩნდა. ამას მოყვა სხვა საბავშვო ლექსები, მიძღვნილი ლექსები. მერე ბავშვები თავის ამხანაგებს ეუბნებოდნენ კიდევ, არიქაო, ცუდად არ მოიქცეთ, თორემ დედაჩვენი თქვენზე ლექსებს დაწერსო. რამდენიმე საბავშვო წიგნი მაქვს გამოცემული. რამდენიმე კიდევ ლექსთა კრებული. ჩემი პირველი ლექსები მიეძღვანა ჩემს პატარებს.

ხო, იყო ასეთი შემთხვევა, პატარა ვიყავი და ჩვენთან შიო მღვიმელი ჩამოვიდა, საღამო მოუწყვეს შიო მღვიმელს (ტელეფონი რეკავს, პასუხობს: მერე დაგირეკავ, დედა), ჩვენი სახლიდან თეატრამდე გზა ყვავილებით მოუფინეს და იქაც ყვავილებით მოურთეს სცენა. ცოცხალი ყვავილებით, ბავშვებით. მეც ვიყავი ერთერთი ყვავილი, მარა რომელი ვიყავი, ეს აღარ მახსოვს. ხოდა, დედა მეუბნებოდა, დილითო, ძია შიო არ გააღვიძო, იმიტომ რომ ლექსს წერსო. ძალიან დამაინტერესა, როგორ წერს შიო ლექსებს. შევიჭვრიტე გასაღების იმიდან, ვხედავ, შიო ზის, როგორც მამაჩემი რვეულების სწორების დროს და წერს, უცებ გაიღო კარი და გამოვიდა შიო: ჩემო ცუგრუმელა, რა, გაინტერესებს? იცი, რომ ლექსი დაგიწერე:

ჩემ პატარა, ციცქნა ბელას,
რომ უცინის ტკბილად ყველას,
ცუგრუმელას, ცისარტყელას,
ბარათაშვილს მარიკელას.

ეს წავუმძღვარეო იმ ლექსსო და თავად ლექსი დავკარგე სადღაც. ასეთი იყო ჩემი შეხვედრა უშუალოდ პოეზიასთან, ესე იგი შიო მღვიმელთან, და მაშინ ვუთხარი შიოს: იცით, შიო პაპა, მე რომ დიდი გავიზრდები, თქვენსავით ლექსები უნდა ვწერო-თქო. „აბა, შე იციო“, – მითხრა. მერე გაუხარდა, რომ წავუკითხე, რომ გავიზარდე, დავქალდი და წავუკითხე ჩემი ლექსები.

გუშინ წავაწყდი, სხვათა შორის, ჩემს პოემას, პირველს, „ქალის გაზაფხული“, რატომ იცით, ქალთა საკითხები მაინტერესებდა უფრო. მერე რედაქტორი ვიყავი ქალთა ჟურნალის, 26 წელი ვრედაქტორობდი ქალთა ჟურნალს, თბილისში რომ ვცხოვრობდი. „საქართველოს ქალი“, ასეთი ჟურნალი გამოდიოდა, ეხლაც გამოდის, იშვიათად გამოდის უფრო, სამ-ოთხ თვეში ერთხელ. სტალინურ

პრემიაზე წარმადგინეს მე, სხვათა შორის. რომელ წელს მოკვდა სტალინი? 54-ში არა? თუ 53-ში. მაშინ წარდგენილი ვიყავი სტალინურ პრემიაზე, მაგრამ სტალინის გარდაცვალებასთან თუ რაღაცასთან იყო დაკავშირებული, იმ წელს გაუქმდა ის პრემია. აღარ ყოფილა ეს სხდომა. ისე, რამდენიმე ჯილდო მქონდა მიღებული და ბოლოს ღირსების ორდენიც არის. ეს ეხლა, ამ წლებში, მაგრამ იმ წლებში, საპატიო ნიშნის ორდენიო, და რაღაცა ბევრი, ჩამოწერილი მაქვს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი ორდენი რა იყო იცი, მე რომ მივდივარ ქუჩაში, მხვდება ვიღაც ქალი, დამინახავს, გაშლის ხელებს და მოდის ჩემსკენ: – უი, თქვენ გენაცვალეთ, ქალბატონო მარიკა, თქვენ გენაცვალეთ, – მომეხვია უცნობი ქალი, – მიცანით? – რაღა ვქნა, ვერა-თქო, – მე ვუთხარი. თქვენ მაჩუქეთ მე სიცოცხლე, თქვენ დამეხმარეთ მე უდიდესი გაჭირვების დროს, – მე მითხრა. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი ორდენი.

კიდევ რა იყო, იცით, ორმოცი ქალი, გადასასახლებლად გამზადებული ორმოცი ქალი, იმ დღეს რომ უნდა გაეშვათ მატარებლით ჩრდილოეთისაკენ, ჩამოვახსნევინე მატარებლიდან. ჩემი ბედნიერება იმაში იყო, რომ ჩემში ეჭვი, რომ რაღაც წინსვლისთვის ვიბრძვი, მე აკრძალული მქონდა, არავის არ ჰქონდა უფლება, ჩემთან რომ მოვიდოდა რედაქციაში, რამე ჩემთვის მოეტანა. ყვავილი? – კი, ბატონო, ვთქვათ ერთი ფილა შოკოლადი, – კი, ბატონო, არ დავინახო სხვა რამ. ერთმა თათარმა მითხრა, „ია ვამ ბარან ფრინიოს.“ (ცხვარი მოგართვითო) მე ვუთხარი: „ია ვამ უჟე ნე სდელაიუ, ტო შტო ია ვამ აბეშალა, ზაბირაიწე სვოი ბარან“ (აღარ გაგიკეთებთ შეპირებულს, აქედან მოაშორეთ თქვენი ცხვარი). მენდობოდნენ ამ მხრივ, რომ მე რაიმე იმით არავის არაფერს არ გავუკეთებდი და პირიქით გაჭირვებულებს ვეხმარებოდი. ბევრს თავის გზა ვაპოვნინე, ბევრს ბინა ვაშოვნინე, რაღაცეებში ვეხმარებოდი, იცით? დები რომ იყვნენ, მომღერლები, ოთხი, და ერთ ოთახში ცხოვრობდნენ, ერთი პიანინო ედგათ და ერთმანეთს გოგოები ნაწნავებით ათრევდნენ, პიანინოსთან ახლა მე დამსვი, მე დავუკრა, ახლა მე დამსვიო. ვუშველე იმათ, რაღაცა ბინა მივაცემინე. ასეთ რამეებს ვაკეთებდი და ეს იყო ჩემი სულიერი საზრდო. ვფიქრობ, ამან მაცოცხლა აქამდე.

არავისთვის, არასოდეს ჩემთვის, ვფიცავ იმ ჩემი ორი შვილის, დაღუპული შვილის სულს, ჩემს სიცოცხლეში არაფერი არ მითხოვია. თუმცა, მიჭირდა, ძალიანაც მიჭირდა ხოლმე, მაგრამ არავისთვის არაფერი, მით უმეტეს მთავრობისთვის, არაფერი არ მითხოვია. თავისით მოდიოდა ხოლმე ის ორდენები იყო, თუ რაც იყო. პარტიაში მიმიღეს. პარტიაში როგორ ვითხოვდი შესვლას, ძმა გადასახლებული, ოჯახი დარბეული იყო მამიდაჩემის, და როგორ მოვისურვებდი მე პარტიაში შესვლას?

რედაქტორად რომ მნიშნავდნენ, გამომიძახეს, თეო აბაშმაძე, წინა რედაქტორი ჩემი, თავის ქმართან ერთად დაიღუპა კატასტროფაში და მერე რატომღაც გამომიძახეს მე, მე ვიყავი სარედაქციო კოლეგიაში ჟურნალისტად. გამომიძახეს და მითხრეს, თქვენ უნდა იყოთ რედაქტორიო. მე ვუთხარი: მე არ შემიძლია, მე ოჯახი მყავს და მეუღლე მყავს ლოგინად ჩავარდნილი, ავადმყოფი. მე არა მაქვს მაგისი საშუალება და ძალა, რომ მოგეხმაროთ, გავაკეთო რაღაცა, გარდა ამისა, ჟურნალი არის პარტიული, მე ვარ უპარტიო, ჩემ სიცოცხლეში არც მიფიქრია არავითარ პარტიულობაზე. თქვენისთანა პარტიული ხუთი არ გვეგულება

საქართველოშიო, – დევი სტურუამ. წავედი, ვწუხდი, მერე ვიფიქრე, სამაგიეროდ პარტიულობა რომ მექნება, ყველგან შესვლის და ხალხის დახმარების საშუალება მექნება-თქო და ამან დამათანხმა პარტიულობაზე. ჩემთვის რაიმე სარგებლობა არ მოუტანია იმ პარტიას, უბედურების მეტი, მაგრამ ეს, რომ მე მენდობოდნენ და დავეხმარებოდი ადამიანებს, აი, ამან. და ეს სურვილი კი დიდი მქონდა, რომ ადამიანებს დავხმარებოდი. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო. არ იფიქროთ, რომ მე ვხატავ ჩემს თავს აი, იმათ სულს ვფიცავ (ხელს იშვერს კედელზე გაკრული გარდაცვლილი შვილების პორტრეტებისკენ), უბრალოდ მინდა, რომ დამინახოთ, საიდან მოვიდა დღეს მარიკა ბარათაშვილი თავისი საპოვნელათი, ამ ჩემი საპოვნელათი დავდიოდი და დავეძებდი ქვეყნად სილამაზეს, სიკეთეს, მაგრამ მწუხარების მეტი ვერაფერი ვნახე.

ორი შესანიშნავი ჩემი შვილი, ბიჭი იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, გოგო იყო „საქართველოს რესპუბლიკის", „კომუნისტის" ერთ-ერთი განყოფილების გამგე, ორი კარგი, კეთილი შვილი და ის ჩემი ძმაა კიდევ დაღუპული. ძმა სოციალ-ფედერალისტი იყო თავისი რწმენით. სულ ახალგაზრდა ძმა დამეღუპა. ოცდახუთ წელს გადაასახლეს ოცდაორი წლისა, ოცდათხუთმეტში დაბრუნდა და მოუსწრო იმ დროს ოცდაჩვიდმეტმა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად პატიოსანი და კარგი იყო ეს ჩემი ძმა, რომ მისმა გამომძიებელმა, რომელმაც საქმეები მოაკეთა და გადაასახლა, მისმავე გამომძიებელმა დააწყებინა სამსახური, რომ დაბრუნდა. მიიღო სამსახურში. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ოხერ ბერიას ეთქვა სადღაც და მოვიდა ჩემამდე ეს ამბავი, რომ „ჯერ იმისთანა ახალგაზრდაო, ხომ რამდენმა გაიარა ჩემ ხელში, ისეთი სუფთა, გაუტეხელი ახალგაზრდა ჯერ არ მინახავსო, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ გაიტეხა სიცოცხლე, გაიუბედურა.

დაავადმყოფდა ცემენტის იატაკზე, მოსკოვში რომ ჩაიყვანეს, მერე იქიდან გაანაწილეს სალონკაში (ნიშნავს ციხეს, ჟარგონი), მოსკოვის ციხეში ცემენტის იატაკზე. მამა მივიდა ჩემს ძმასთან, ძმამ უთხრა, მამა, მე ხვალ მიშვებენ, მათავისუფლებენ და ეტლით ხარ და წაიღე ჩემი საბანი და ჩემი ტანსაცმელი, თბილიო. წამოიღო მამამ. ვუცდით, მეორე, მესამე, მეოთხე დღეს, არ არის. მიაკითხა მამამ და გაიგო, გადავასახლეთო. გაიქცა სოფელში, გაყიდა სახლი და გაედევნა გადასახლებულ შვილს და გზა-გზა კითხულობდა სადგურებში, ეტაპს ხომ არ ჩამოუვლია, ხომ არ ჩამოუვლიაო. არა, არა, არა, არა, არა! ჩავიდა მოსკოვში, დაიარა ციხეები, ხომ არ არი აქ? – არა. და ბოლოს ბუტირკის ციხეში მივიდა მამა და იქ უთხრეს, გადავასახლეთ სალოვკებშიო. სახლის ფული ხომ ჰქონდა წაღებული, იმითი იყიდა მისთვის თბილი ტანსაცმელი და გაუდგა სალოვკის გზას. მივიდა, ჩვენი ქართველი იყო იქ პრეზიდიუმის მდივანი, იმან მოუხერხა მამას წასვლა სალოვკებში, მისთვის საგზური. სამი დღის მეტი არ დარჩეო, უთხრა. თორემ მერე ნავიგაცია იკეტება და შენც იქ მოყვები, მერე ჩიტი ვეღარ გადმოფრინდება აქეთო. ჩავიდა მამაჩემი და ჩავიდა იმ დროს, როცა, თურმე ცხრამეტი დღეა, შიმშილობს. ჯერ ჩვიდმეტი დღე აქ იშიმშილა ციხეში ჩემმა ძმამ და მერე იქ შიმშილობა აქვს თურმე გამოცხადებული ცხრამეტი დღე. ჩემ ძმას უთხრეს, რომეო, მამა ჩამოვიდა, მოხსენი შიმშილობა და გაჩვენებთო. მამა კი არა, დედაც რომ ჩამოვიდეს საქართველოდან, მე შიმშილობას არ მოვხსნი, იმიტომ რომ თქვენ ქართველებს აგვკიდეთ ბანდიტიზმის იარლიყი, და

თუ თქვენ არ მოგვხსნით ამ იარლიყს, მე არ მოვხსნი შიმშილობასო. და უნდა წამოსულიყო მამა იქიდან ისე, რომ ვერ ნახავდა შვილს, რომ ამ დროს ერთ-ერთ ვიღაც მცველს, აი, როგორი შემბრალებლები არიან! – შებრალებია მამაჩემი და ჩუმად უჩვენებია ჩემი ძმა. ჩემ ძმას ნათქვამი ჰქონდა, მოსკოვიდან რომ მოდიოდა..., ღმერთო ჩემო, ვინ იყო ის ქართველი კაცი, ვინ იყო? ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, გამახსენდება, იმან უთხრა მამას, რომ დაბრუნდები იქიდან, მოხსენებითი ბარათი დაწერეო, რა და როგორ არისო. მამამ დაწერა მოხსენებითი ბარათი, რომ ასეთი ამბავია, ცხრამეტი დღეა, ქართველები შიმშილობენ, იმიტომ რომ მათ მიაკრეს იარლიყი ბანდიტიზმისო. ერეკებოდნენ თურმე ტყეში, აჭრევინებდნენ იმ ყინვებში ხეებს ამ საწყლებს. აგერ, მე ლექსი მაქვს, სხვათა შორის, სალოვკელ ქართველებზე. ხოდა, აჭრევინებდნენ თურმე ტყეს და საწყლები, როგორ იქნებოდნენ, თქვენ წარმოიდგენთ იმას. პროკურორმა გამოიძახა მამაჩემი, წარმოგიდგენიათ, საკავშირო პროკურორი ეძახის მამაჩემს! იცოდნენ, სად იყო დაბინავებული. მივიდა მამა, შეხედა, მაგიდაზე გაშლილია მამაჩემის მოხსენებითი ბარათი და გახაზულია წითლად. ეს თქვენი დაწერილიაო? – პროკურორი ეკითხება, – დიახ, – მერე იცით, რა მოგელით თქვენ ამისთვისო? ჩვენ განკარგულება გვაქვს მთელ ბანაკებზე, რომ არ დაუშვან სადმე შიმშილობაო, არა აქვთ უფლებაო. თქვენ წერთ, რომ ცხრამეტი დღეა შიმშილობენო. – იცით რაო, იმ ერთი შვილის მეტი არაფერი გამაჩნიაო, – მამამ უთხრა, – რაც ადრე მომკლავთ, ის მირჩევნიაო, ჩემი ხელით თავი არ მოვიკალი და ეგ კი, რაც მანდ დავწერე, ყველაფერი ჭეშმარიტებაა, შეამოწმეთ და გაიგებთო. შეამოწმეს, დედა, და ერთ კვირაში მთელი ხელმძღვანელობა იმ სალოვკის მოხსნეს. და იმ ტუსაღებს მერე, დიდი ხანი არ გასულა, მისცეს თავისუფალი გადასახლება. ერქვა იმას „-6“, ე. ი. ექვს მთავარ ქალაქში და მათ შორის მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი, არ ეცხოვრებოდათ. ჩემი ძმა გაამწესეს სარატოვში. დიახ, სარატოვში ჩავედით ძმის სანახავად მე და მამაჩემი. მერე ჩებოქსარი, მერე ალტაი და ბოლოს ათი წლის შემდეგ დაბრუნდა გადასახლებიდან.

დაბრუნდა დაავადმყოფებული, მაშინდელი ცემენტის იატაკზე წოლისას დაავადებული. ასე რომ, ძალიან მოეჩვია ჩვენ ოჯახს ნეფრიტი. ქმარი იმან დამიღუპა და ძმა იმან დამიღუპა. ოცდაჩვიდმეტმა წელმა მოუსწრო ამ დროს, ნათესავებთან, ვინმესთან არ მიდიოდა. სამუშაო მისცეს ჩემ ძმას, ეს იყო ხაშური, გორი და სურამი, სამ ადგილას ჩადიოდა ხოლმე შემოწმებებზე თუ ასეთზე, ერთი სიტყვით, სამუშაო მისცეს, სამსახური. იქ ნათესავებთან მიდიოდა ხოლმე, ღამეს იქ ათევდა. ახლა აღარ მივიდა აღარავისთან, ზამთარი იყო, დაწესებულებებში მაგიდაზე იწვა თურმე გაუხდელი, გაურთულდა ნეფრიტი და იმ ნეფრიტმა იმსხვერპლა ოცდათვრამეტ წელს.

გადასახლებიდან რომ დაბრუნდა ჩემი ძმა, ერთხელ, დილით შემოდის ჩემთან, დილით ადრე შემოიხედა და ხედავს, მე ვწერ, ბავშვებისთვის ვწერდი ლექსებს, ჩემი პატარებისთვის. რას აკეთებო, – მითხრა, დახედა, – ლექსს წერო? – ხო-თქო, – მე ვუთხარი, – ჩემი ბავშვებისთვის. დაიწყო ტირილი. თავის დღეში, ჩეკისტებმა რომ ვერ ატირეს, ახლა დაიწყი ტირილი და – იცი რაო, სულ ის მტანჯავდაო, რომ შენ ძალიან ნიჭიერი იყავი და ჩემს გამო გზა გადაგეკეტაო, როგორ გამახარეო და თქვენ წარმოიდგინეთ, იმის გასახარებლად, ძალა მომეცა და ვწერდი და ვწერდი და აი, გამოვედი ამ გზაზე, რომელმაც თქვენთან მომიყვანა.

ახლა მკითხველმა განსაჯოს, რამე მოვიტანე ამ ჩემ გზაზე, ვერ მოვიტანე, რამე გავაკეთე თუ ვერ გავაკეთე, არ ვიცი. მინდოდა, ვყიფილიყავი სიკეთის მსახურად, მინდოდა, ჩემი სამშობლოსათვის რაღაცა მეკეთებია. რაც შემეძლო, ვაკეთე, მაგრამ ძალიან მცირედ მეჩვენებოდა. ღმერთო ჩემო, ახლა რომ გადავხედე, ეს არის წიგნი ჩემი ცხოვრებისა, დავამთავრე თითქმის და რომ გადავხედე, თავმოწონებით კი არ გეუბნებით, ღმერთმანი, ათ ადამიანს ეყოფოდა ეს რომ დაანაწილო, რაც მე მიკეთებია, სად მქონდა ეს ენერგია, ეს ღონე... ალბათ, ჩემი ქვეყნის სიყვარული, ჩემი წასულების, ისინი რომ ოცნებობდნენ, ოცნებობდნენ სულ საქართველოს ბედნიერებისათვის! პატიოსანი შვილები გავზარდე, ძალიან პატიოსანი. ეხლა დამირეკა ჩემმა გერმა.

მეორედ გავთხოვდი მე, შვიდი წლის შემდეგ, პირველი ქმარი რომ მომიკვდა, გავყევი ქვრივს. პატარა ბიჭი ჰყავდა. ისიც ისეთი ტრაგიკული ბედის ბიჭი იყო! მისმა მშობლებმა ათი შვილი დაკარგეს. ეს იყო მეთერთმეტე. ტუბერკულიოზით დაუწყდათ ყველა. ეს პატარა ბიჭიც, ჩემთან რომ მოვაყვანინე, ფილტვების დაჩრდილვა ჰქონდა და კანდიდატი იყო, ასე ვთქვათ, იმ ავადმყოფობის, მაგრამ ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, ფეხზე დავაყენე. ზაფხულობით ცემში მყავდა, წაღვერში მყავდა, ზამთრობით ზღვისპირას მყავდა. ჩემი შვილიც, ბავშვს რომ არ ეფიქრა, დედინაცვალია და მომიშორაო, ჩემს შვილსაც იმ სკოლებში ვაწყობდი, იქ გადავიყვანე სკოლაში ჩემი შვილიც, ჩემი მერაბიც იქ სწავლობდა. და მართლაც დიდი ჯილდოა ჩემი ის, რომ ძალიან ვუყვარვარ მაგ ბიჭს და ძალიან ჯანმრთელია.

სამი შვილი ჰყავს, სამივე ძალიან კარგები. დიმა სწორედ ამ სულხანის შვილია. არ გამომირჩევია ჩემი შვილებიდან. ეს სიკეთე გავაკეთე. მისთვის კი არა, ჩემთვის გავაკეთე. ეგოისტი ქალი ვარ. აბა, რა გითხრათ მეტი ჩემს ცხოვრებაზე. დანარჩენს, ალბათ, ჩემი წიგნები გიამბობენ. დღევანდელობა მე ძალზე მაწუხებს, ძალზე მტკივა. რაღაც ვერ მიდის ჩვენი საქართველოს საქმე ისე, როგორც უნდა მიდიოდეს. დაიფლითა, იქით ოსეთი, იქით აფხაზეთი, იქით ჯავახეთი. მე ვიყავი, მივლინებებში დავდიოდი. სად აღარ ვყოფილვარ! ღმერთმა გადაგვირჩინოს, ჩვენ ვართ დამნაშავე, შვილო, არის რუსული ასეთი „პირ ვა ვრემია ჩუმი“ (ლხინი შავი ჭირის დროს), და ჩვენ ვქეიფობთ ამ დროს, დროს ვატარებთ. დავსევივართ ერთმანეთს თუ დანებით, თუ იარაღით და ვხოცავთ ერთმანეთს.

ეს მიხეთქავს გულს, რა უფლება გვაქვს, არც ერთ ქართველს არა აქვს იმის უფლება, ივჯდეს დამშვიდებული, და მით უმეტეს, იყოს ყანწებით ხელში, სვამდეს საქართველოს სადღერგძელოს და არ აკეთებდეს არაფერს მისთვის. ამის უფლება აქვს ვისმეს? ამოდენა მსხვერპლი გავიღეთ, რომ თავისუფალი საქართველო გვქონოდა და ზნეობისგან თავისუფალი კი არ უნდა იყოს საქართველო, ჩვენ უნდა ვათავისუფლებდეთ ყველა იმ უბედურებისაგან, რაც მას ასევია და ახვევია.

ბავშვები, კაცო, ქუჩაში! ერთი მხრივ, უზარმაზარი სიმდიდრე, მეორე მხრივ, აგერ ქუჩაში პატარა მათხოვრები, სანაგვეზე გადაგდებული ახალშობილები. ერთი, გენაცვალე, სააკაშვილი კი არა, ღმერთკაცი რომ იყოს, ის ვერ მოუვლის ერთი ქვეყანას, თუ მას არ ეყოლა ძლიერი ადამიანები გვერდით, რომ ხალხს უშველოს. მუდამ მე ვიყავი, დედა, ინტერნაციონალისტკა, საუკეთესო მეგობარი, ვინც იყო ჩემი, იყო ორი მეგობარი, ერთი ჩემი მეზობელი იყო სომხის ქალი, უმაღლესდამთავრებული კი არა, ერთი დიასახლისი ქალი, მეორე ჩემი მუსიკის

მასწავლებელი, საოცრად საყვარელი ადამიანი. რუსეთშიც საუკეთესო მეგობრები მყავს, მაგრამ მეგობრობა ერთია, სიყვარული ერთია და ქვეყნის მოვლა მეორეა. რატომ უნდა მოუაროს ჩემმა მეგობარმა ჩემ ქვეყანას, მე უნდა მოვუარო, კაცო, ჩემსას, მე უნდა მოვუარო. რატომ მოვითხოვთ სხვისგან პატრიოტიზმს, თუ ჩვენ არა ვართ პატრიოტები, თუ ჩვენ მასხარად ვაგდებინებთ ჩვენი ზედმეტი ღორმუცელობით ჩვენს ქვეყანას.

მაპატიეთ, თქვენ იქნება ფიქრობთ, რომ მე მეტისმეტად ვამუქებ, არა, არ ვამუქებ, დედა, ვხედავ, როგორ ვიძირებით სადღაც, ქვეყანა, თორე ჩემთვის სიკვდილი არაფერია. მხოლოდ მინდოდა მოვმკვდარიყავი დამშვიდებული, რომ ჩემი ხალხი სწორ გზას ადგას, ჩემი ხალხი ჩემი ქვეყნის გაბედნიერებას ცდილობს და არა იმას, ვინ მოატყუოს, ვის წაართვას, ქვეყანას როგორ წაგლიჯოს, ეს არ არის ჩვენი რაინდული ბუნების შესაფერისი. მაპატიეთ, მტკიოდა და გაგიზიარეთ. ძალიან მიყვარხართ შვილებო, და მიტომ გაგიზიარეთ.

ეხლა დამირეკეს, სადღაცა უნდა შეიტანოთ განცხადებაო, პენსია რომ მოგემატოსო. ჩემ სიცოცხლეში არავისთვის არაფერი მითხოვია და არც არავის არ ვთხოვ. მოგვკლა მათხოვრობამ, არაა საჭირო. ისე უნდა ცხოვრობდე, როგორც შენ შეგფერის. მაგრამ ყველა უნდა ვცდილობდეთ ამას, ერთი და ორი ადამიანი ვერაფერს ვერ გააკეთებს. რამდენია მოღვაწე, მაგრამ დიდ მოღვაწეებს ველარ ვხედავ. ზოგს ხმა ჩააკმენდინეს ახალგაზრდას, თავის დროზე, ასაფრენად რომ ჰქონდათ ფრთები გამზადებული, ზოგი დახოცეს, ეგერ ხომ გითხარით, სამი ვაგონი ნაფოტებად აქციეს – იყო ეს. სად შეიძინა ჩემმა ძმამ ნეფრიტი? შეიძლება მოსკოვში ცემენტის იატაკზე გდებულიყო თეთრი ტანსაცმლით ადამიანი? მაპატიეთ ახლა, შეიძლება შორს შევტოპე, პირადულებშიაც გადავედი, მაგრამ რატომღაც, იცით, დღეს აღსარებასავით მომინდა ჩემი სათქმელის თქმა, ჩემი ტკივილების გახსნა. განა რამდენიღა დამრჩენია... ოთხმოცდათვრამეტი მისრულდება შვიდ აპრილს, ხარება დღეს ვარ დაბადებული, მარიამი. ზოგი მეუბნება, ერთი წელი დაგიკლეს, პატარა რომ იყავიო, ოთხმოცდათვრამეტის კი არა, მაშინ ოთხმოცდაცხრამეტის უნდა ვიყო. აგერ საუკუნის ქალი ვარ, რა, მადევს მხრებზე საუკუნე.

...ჩემ ძმას იმ თავისუფალ გადასახლებაში როგორ გაეხარდა, რომ გაიგონა ჩემი ხმა, როგორ მივედი სიხარულით, სამ დღეს შემეძლო დავრჩენილიყავი იქა, როგორ მივედი სიხარულით. იმავე ღამეს რომ დაგვატყდნენ ჩეკისტები თავზე და რომ წაიყვანეს ჩემი ძმა ისევ დასაპატიმრებლად იქ, სარატოვში, ამას რა დამავიწყებს, რა ბედნიერი ვიყავით იმ დღეს, რომ ჩავედი და ჩემ ძმასთან ვიყავით მე და ჩემი მეუღლე. რომ გავთხოვდი, მაშინ ჩავედით, თავისუფალ გადასახლებაში რომ იყო, მაშინ ჩავედი. ერთხელ კიდევ მამაც ჩავიდა. მამაჩემმა ძალიან კეთილი საქმე გააკეთა იქ, შვილს რომ ჩააკითხა იქ და რომ დაწერა ის მოხსენებითი ბარათი. ხელმძღვანელობა მოხსნეს იქ და იმ ხალხს შეუმცირეს ვადა. ფედერალისტი იყო ჩემი ძმა, სხვა პარტიის წევრი იყო. ოცდაოთხში რომ აჯანყება იყო, ეგენი ემალებოდნენ.

გარდა მაგისა, კორნელი კეკელიძის ბინაზე ხომ მოხდა ის ამბავი... ჩემი ძმის მეგობარი იყო აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ვაჟი, ჩვენი ნათესავიც იყო, დედას ბიძაშვილის მეუღლე იყო, კიტა აბაშიძის ვაჟიც იმათთან იყო, ჩემი ძმის

მეგობარი იყო, და რამდენიმე ქართველი იყო, რომლებიც ოცდაოთხი წლის შემდეგ აპირებდნენ საზღვარგარეთ გაპარვას. ორმოცდაათკაციანი ჯგუფი. ისინი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ქობულეთში. ჩავიდა ჩემი ძმა, იქ უნდა შეკრებილიყვნენ, სხვებიც იყვნენ ჩასულები და ამ დროს იმ ორმოცდაათი კაციდან რომელიღაცამ გასცა. დაატყდნენ თავს, დაიჭირეს ის ხალხი და გადაასახლეს. მათ შორის იყო ჩემი ძმაც. ის ქობულეთში დაიჭირეს. ერთი წელიწადი იჯდა, და ოცდახუთ წელში გადაასახლეს მოსკოვიდან. რამდენიმე თვე იჯდა აქ ციხეში.

ჩემი ბედნიერება იყო, თუ შეიძლება ამას ბედნიერება ეწოდოს, იმაში, რომ მე ვიყავი ის, რაც ვიყავი. ხომ გითხარით, დევი სტურუამ (პარტიული ფუნქციონერი, 1962 წლიდან – საქ. კპ ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი) თქვა, ხუთი არ გვეგულება თქვენისთანა პარტიულიო. ყველა მოწინავე იდეას ვიზიარებდი და ზურგს უკან რაღაცეებს არ ვაკეთებდი. ეს იცოდნენ და ამით მენდობოდნენ, რომ მე ნამდვილად ხალხისთვის ვარ, რომ იმათ გავუკეთო სიკეთე, ესაა ჩემი სურვილი. ის კი არა, დაწინაურება და წინსვლა, ჩემი თანამდებობა გამოვიყენე იმისთვის, რომ გაჭირვებულებს დავხმარებოდი. პირველი რაც იყო ჩემი დეპუტატობით, ჩემ სოფელს წყალი გავუყვანე, შუქი გავუყვანე, სკოლა ავუშენე, კიდე რაღაც-რაღაცეები. არა მარტო ჩემ სოფელს, სხვებსაც ვეხმარებოდი, მაგრამ იმ ჩემ სოფელს, ბავშვი რომ ვპირდებოდი, ის ოცნება შევისრულე. იქნება ცოტა ეგოისტური გამომივიდა, რომ ჩემ სოფელს გავუკეთე, არა, სხვებსაც გავუკეთე, ვისაც რა სჭირდებოდა. გადასახლებაშიც ბევრს დავეხმარე, ძნელია დამახსოვრება, ეგერ, ჩემი წიგნი მოგიყვებათ.

ორმოცი ქალი ჩამოვახსნევინე! როგორ გაკეთდა ეს ამბავი – მიველ და მე ვუთხარი, რაიკომის მდივანთან თუ ვიღაცასათან მივედი და ვუთხარი: აი, დღეს ასახლებენ ორმოც ქალს, ე. ი. ობლდება ორმოცი ოჯახი. რა დააშავეს ისეთი ამ ქალებმა, რომ ორმოცი ოჯახი გავაუბედუროთ, იმათ შვილებს გაჩენა ვაწყევლინოთ, რატომ სჩადით ასეთ საცოდავობას, იმათი გადასახლება ხომ უფრო მეტი ცოდვა იქნება, უფრო მეტი დანაშაული იქნება, ვიდრე იმათი დატოვება-თქო. ისინი ხომ დაისაჯნენ უკვე და აღარაფერს აღარ ჩაიდენენ, ეყოთ, რაც დაისაჯნენ. ძალიან გთხოვთ, რომ ნუ გააუბედურებთ ორმოც ოჯახს-თქო. თქვენ წარმოიდგინეთ, გასცეს განკარგულება და დატოვეს ის ორმოცი ქალი. თუ მახსოვდეს ეხლა, გეტყოდით უეჭველად, ვის ველაპარაკე, მარა აღარ მახსოვს, ვინ იყვნენ ეს ხელისუფლება, მაგრამ რომ მივედი, ვთხოვე, ვეცადე და მოვახერხე, ეს კარგი იყო. ეს ალბათ, სამოციანი წლები იქნებოდა. მივდიოდი დანაშაულმისჯილებთან, მივდიოდი საპატიმროებში.

ერთხელ რაღაცა ამბავი გავიგე, გამოვიკვლიე, რომ თურმე ის არ ყოფილა დამნაშავე, ვინც ციხეში იჯდა. აი, ასეთი რამეებით ვიყავი გატაცებული და ამას ხედავდნენ და ამას არ მიშლიდნენ, არა, არ მიშლიდნენ. ეს იყო ჩემი სიხარული და თუ რამე გამომდიოდა – ბედნიერება. ერთი ის, რომ თუთის ხეებზე ვიჯექი და ვმღეროდი და თუთას ვყლაპავდი და ერთი ესა. სხვადასხვა რამეებში ვმონაწილეობდი, ყრილობებზე მგზავნიდნენ, კონფერენციებზე, გამოვდიოდი რუსულ ენაზე, კარგად ვფლობდი ენას. სადაც ჩავდიოდი, მეგობრობებს ვამყარებდი. ჩემ აჭარასთან ხომ ისე ვიყავი, რომ ვაყვარებდი საქართველოს, რაღაცა გერივით რომ იყო მაინც, მაინც და მაინც აჭარელი ქალები მყავდა მეგობრები, და ასე

ჩემებურად ვმოღვაწეობდი ვითომ ადამიანებთან, ცალკეულ ადამიანებთან. არავისთან არც იარაღით მივსულვარ, არც დამუქრებით. ერთადერთი ძალა მქონდა იმის, რომ მეგრძნობინებინა, რომ მე მართლა მჯერა ის, რასაც ვლაპარაკობ.

გაუთხოვარი დეიდა მყავდა, ძალიან საინტერესო ბიოგრაფიის, ოცდაოთხი წელიწადი რომ მისცეს... ჩემი დეიდა და მისი მომავალი საქმრო წერილობით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, წერილობით აუხსნეს ერთმანეთს სიყვარული აქედან საფრანგეთში. ის პარიზში იყო, ცოლგაშვებული იყო. გაიქცა საფრანგეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად. ოცდაოთხი წელი ელოდა დეიდაჩემი და ოცდაოთხი წლის შემდეგ დაბრუნდა როგორი, იცით! იქ საექიმო დაამთავრა ყველაფერი, მაგრამ დაბრუნდა ისე, რომ გზის საშუალება არ ჰქონდა ფულის და რაც აღარ ეყო ფული, მერე მოდიოდა ფეხით, საშინელ ამინდებში. შემოეფლითა ფეხსაცმელი, ტანზე იხდიდა და იხვევდა ფეხზე. ისე მოდიოდა ამ გზებზე. ჩამოვიდა ბოლოს თბილისში, გაუბედურებული, გაწვალებული, დაავადმყოფდა, გაეხსნა ტუბერკულიოზის პროცესი, და დაიღუპა ისე, რომ 24 წელი რომ ილტვოდნენ ერთმანეთისკენ, ისე დაიღუპა აქ, რომ ერთ ჭერქვეშ ერთი ღამე არ გაუტარებიათ. კი, ივჯდა დეიდაჩემი ავადმყოფის საწოლთან და დღე და ღამე არ დგებოდა. და რომ გარდაიცვალა და ჩაიცვა დეიდამ შავი, სიკვდილამდე არ გაუხდია – კაცზე, რომელთან ერთი დღე ერთ ჭერქვეშ არ გაუტარებია. აი, რა საოცარი ამბავი იყო. ეს იყო გვარად ქარუმიძე, ექიმი, პირველი ცოლი ჰყავდა რუსის ქალი, და ორი ვაჟიშვილი. ის ოჯახი, სანამ წავიდოდა, მანამდე ჰყავდა, მაგრამ სადღაც მიუსწრო ამ თავის ცოლს ვიღაც კაცთან და რომ გამოხურა კარი, უთხრა, მე და შენ უკვე ერთმანეთს აღარ ვიცნობთო. ეს დაემთხვა იმას, რომ კიდევაც მიდიოდა ჩოლოყაშვილი და გაჰყვა უცხოეთში. გაჰყვა და დეიდაჩემი იყო მისი პარტიული ამხანაგი, ის კი არა, მის ცოლს პარტახიანი ტიფი ჰქონდა და თავზე ედგა დეიდაჩემი. რას წარმოიდგენდა, ამხანაგები იყვნენ. იქიდან მოწერა მხოლოდ, მე ვერ გაგიბედე, ვერ გითხარი, მაგრამ შენ იცოდე, რომ თუ მე ოდესმე დავბრუნდები საქართველოში, შენთვის დავბრუნდებიო. მხოლოდ შენ გამაგებინე, რას ფიქრობ ჩემზეო. ასე გაიბა მიწერ-მოწერა 24 წელი, ჩამოვიდა დაავადებული, გაუბედურებული და შეიძლება ითქვას, რომ საავადმყოფოში დეიდაჩემის ხელზე მოკვდა. უკანასკნელი სიტყვა, რაც ამოთქვა, ეს იყო – ელენე.

ვაჟებმა მერე დიდი საყვედური უთხრეს დეიდას, რატო არ გვითხარი, თუ ასე რამე იყო თქვენს შორის, ჩვენ ხომ მოგეხმარებოდით მის ჩაწერაში, აქ რომ ჩამოვიდაო, მერე მის ექიმად გამწესებაშიო. გაამწესეს სადღაც ექიმად, აქა, ახლო. ყველაფერში მოგეხმარებოდითო. როგორ მოგვიბრუნდებოდა ენა, რომ მამასთვის გვეთქვა, დაბრუნდი შენს ოჯახშიო. მარა ელენემ არ უთხრა. ისე კი დიდად მეგობრობდნენ დეიდაჩემს. მოდიოდნენ იმასთან. ის ისე გლოვობდა სიკვდილამდე. ოცდაოთხი წელიწადი ელოდებოდა, ჩამოვიდა და მერე დანარჩენი სიცოცხლე გლოვობდა.

გალაკტიონი და მე დიდი მეგობრები ვიყავით. მის წიგნშიაც არის, გალაკტიონის წიგნში (ამბობს):

მადლობელი ვარ მე თქვენი, მარიკა,
როს ჟამი მქონდა ყოფნა-არყოფნის,
თქვენმა გულწრფელმა ხმამ შემარიგა
აქ ბევრ რამესთან... სიტყვა არ მყოფნის.

რამეს თუ ისეთს გააკეთებ, არ შეიძლება, იმან თავი არ წამოყოს, ხალხმა არ გაიგოს, თქვენ წარმოიდგინეთ, სიკეთესაც რომ აკეთებ, ისიც თავს წამოყოფს სადღაც და გშველის, რომ შენ მოიპოვო ნდობა, რომ უშველო, იმისთვის უნდა მოიპოვო ნდობა,იმისთვის უნდა მოიპოვო ნდობა,რომ ადამიანებს რაღაცა გაუკეთო,ბედისგან დაჩაგრულ ადამიანებს და რაც შემეძლო, თუ იყო არასწორად მისჯილი და მე მჯეროდა ამის, მე ამისთვის ვიბრძოდი, რომ მიმეტანა სადაც ჯერ არს, იქამდე.

მირეკავენ, უბრალოდ აინტერესებთ, ცოცხალი ვარ თუ არა. უი, თურმე კიდევ ცოცხალი ყოფილაო. მაინც კარგია სიცოცხლე, მაინც კარგია. მაგრამ რატომ იყო წუხელ, რომ ასე გულგატეხილად დავიწყე ლექსის წერა, რატომ იყო, რომ მე უკვე ვთქვი, ვეღარაფერს ვაკეთებ და ალბათ, დროა რომ უკვე მიძინებულებს... იქნებ დავიღალე.

ისეთი მორწმუნე, თვალდახუჭული, არა ვარ. მაგრამ სიკეთე მწამდა და სიკეთის შემოქმედს ვეძებდი სადღაც. ეს მწამდა, რომ სადღაც არის დიდი ბუნება, რომელიც ჩვენ განგვაგებს, ჩვენს ცხოვრებას. ეს მწამდა, მაგრამ ის, რომ მე საკურთხით მეცადა მისი მომადლიერება – ეს არა. უნდა აკეთო სიკეთე და უნდა გწამდეს, რომ შენც სიკეთით გადაგეხდება. მაგალითად, მე ადამიანს ბოროტებას, მკვლელობას ვერ ვაპატიებ. მაგრამ იმდენად მეცოდება, რომ მაინც მიყვარს ის ადამიანი, იცით, ტკივილით მიყვარს, მეცოდება და მინდა ვუშველო. თვალდახუჭულად არა, მაგრამ შემოქმედის მწამს, იმიტომ პირველვარსაც ვიწერ. აგერ ჯვარსაც ვატარებ. ყველაზე დიდი შემოქმედი არის თავად სიკეთე. დიდი ღმერთის თავად შემოქმედიც არის სიკეთე. ის იმიტომ მოსულა, რომ სიკეთე თესოს და ამრავლოს ამქვეყნად, ბედნიერები ვიყოთ ადამიანები. ჩვენ ვამახინჯებთ ამას, ჩვენ ვხოცავთ ერთმანეთს, ჩვენ ვღალატობთ ერთმანეთს. ჩვენ რაღაც საშინელებას ვსჩადით. ამაში არავინ არაა, ჩვენს მეტი, დამნაშავე. ადამიანი თვითონ უნდა მოერიოს თავის ვნებებს. ჩემი ბედნიერება, მე მგონია, იმაშია, რომ არ ყოფილა ქვეყნად ადამიანი, რომლის სიძულვილი გამყოლოდეს მე. აღვშფოთდები, შევწუხდები, ვებრძვი მერე ჩემს თავს, და ვცდილობ იმ უბედურებაში კეთილი თესლი დავინახო და მაინც შევიბრალო და გავამართლო. ჩემს თავს ვადანაშაულებ ყოველთვის და ეს მშველის. ვფიქრობ, ალბათ, მე მოვიქეცი ისე, რომ მე მეზღო ესა. ალბათ, მე ვარ დამნაშავე და მეცოდება პირიქით ის, ვინც მე რაღაცას დამიშავებს. არ გაგეცინოთ ამაზე, მაგრამ ასეა. არავის არ ჰგონია, ვინც ცუდს სჩადის, რომ ის ცუდს სჩადის.

ბიჭი მაცუცის მეძახდა და გოგო – მარიკუნას. მეფერებოდნენ სულ. გოგო კიბოთი დაიღუპა, ბიჭი – თირკმელებით. ავთვისებიანი იყო ისიც. როგორ ვცოცხლობ... ხანდახან ვკითხულობ: რატომ ვცოცხლობ, რატომ? იქნება კიდე დამრჩა ქვეყანაზე რამე გასაკეთებელი. ხომ არ დაგღალეთ? (პაუზა)

საერთოდ ვარ ძალიან დაბნეული ეხლა. მინდა რეზიუმე გავუკეთო ამ ბოლო წლებს, მინდა ერთგვარად შევაფასო, მაგრამ ძალიან პესიმისტური განწყობა შემექმნა. არ მინდა ასე პესიმისტურად დავამთავრო ეს წიგნი. კი არა, თვითონ სააკაშვილიც გაორდა ჩემ თვალში, ერთი მხრივ, ლაპარაკობს ძალიან კარგს და სწორად, მაგრამ ცხოვრება მიდის სულ სხვა გზით. ამდენი მკვლელი და ამდენი მათხოვარი არ ყოფილა არასოდეს და თანდათან მრავლდება, არ მცირდება და ბოლოს აქ მაქვს ლექსიც, წაგიკითხავთ...

სხვათა შორის, მაგ სააკაშვილის ბაბუა იყო ცხრუკვეთელი წერეთელი, არ ვიცი, მამის მამა თუ დედის, ცხრუკვეთი არის ჭიათურის მახლობლად ერთ-ერთი სოფელი. ცხრუკვეთში იყო სასულიერო პირი, დეკანოზი იყო თუ რა იყო, აღარ მახსოვს, პატარა ვიყავი ძალიან, და ჩამოდიოდა ჩვენთან, მამაჩემიც მიდიოდა. ეს იყო სააკაშვილის ბაბუა, ალბათ, ქალიშვილის მხრიდან. ალასანია იყო, მგონია, დედის მამა. და მისი ერთ-ერთი ბებია – მზია წერეთელი. ახალგაზრდობაში ვიცნობდი იმას და ეხლა გამოვეცნაურეთ რამდენიმე წლის წინ. კარგი ნაცნობები ვიყავით. გარდა ამისა, იმ მზია წერეთლის შვილი, ნიკუშა წერეთელი იყო ჩემი საუკეთესო მეგობარი ჭიათურაში. ცოლი მისი კიდევ, თამარა აბაშიძე, მრეწველი ჯიბო აბაშიძის ქალიშვილი, ესენი ორნი იყვნენ ჩემი ბავშობის საუკეთესო მეგობრები. შემეძლო მე, ვინმე პატარა საქმოსანი რომ ვყოფილიყავი, მივსულიყავი მიშა სააკაშვილთან და მეთქვა ამ ახლობლობის შესახებ. ან მისი ბებიისთვის დამევალებია და მეთქვა, რომ უთხარი ამაში და ამაში მომეხმარე. არა! არაფერი, ვითომ არც ვარსებობ. მზიას რომ ველაპარაკებოდი, ველაპარაკებოდი როგორც ჩემი ყმაწვილქალობის ამხანაგს. ესაა და ეს. არ მოვისურვე, მართალი გითხრათ, მესარგებლა, როგორც იციან, სარგებელს ელის ყველა რაღაცაში, არა, არ მოვისურვე. მიჭირდა ხოლმე, ძალიანაც გამიჭირდა, იყო ისეთი მომენტები, მაგრამ არა, ბატონო, არავის მოწყალება არ მინდა.

ახალი მისული ვარ, საერთოდ, მწერალთა კავშირში, ვესწრები იმ საღამოებს, ქმარი მყავს სახლში, ავად არი. და წავედი მწერალთა კავშირში საღამოზე. დამირეკეს, წავედი. გვიან ვბრუნდები იქიდან. არის უკვე თითქმის ღამის პირველი საათი. უნდა ჩავსულიყავი ტრამვაიზე და ტრამვაით გავსულიყავი ქალაქის მეორე მხარეს და ერთი სიტყვით, მიმეღწია ჩემს ბინამდე და სანამ შეწყდება ეს ტრამვაის მოძრაობა, ვიჩქარი, მივატოვე ეს საღამო, მერე ისხდნენ იქა, საუბრობდნენ, სუფრაც ჰქონდათ, გონია და მივატოვე და გავიქეცი. მივდივარ შინისკენ. ჩავჯექი ტრამვაიში და ვხედავ – ჩემს მეტი და კონდუქტორის მეტი არავინაა. რომ უნდა დაიძრას ტრამვაი, ამ დროს ამოვიდა გალაკტიონი. შევხედე, ვიცანი. ეს არის გალაკტიონი, ნასვამია. მოვიდა, დაჯდა, დაჯდა ჩემ პირდაპირ. მე მაცვია რაღაცა თხელი ცისფერი, ჰაეროვანი კაბა, ახალგაზრდა ვარ, ადამიანს ვგევარ ერთი სიტყვით, ჩამომაჩერდა, ჩამომაჩერდა და ბუტბუტებს რაღაცას თავისთვის, შემეშინდა, მივხვდი, რომ მთვრალია. ვფიქრობ, რაღა ვქნა ახლა, ამ მთვრალმა ან ხელი წამოიღოს ჩემსკენ, ან გადმოიწიოს ჩემსკენ, რა ვქნა, უნდა გავაწნა სილა? როგორ, გალაკტიონს სილა გავაწნა? არა! ავდექი და რომ მიბრუნდა რაღაცაზე, უცბად გავიპარე და შუა გზაზე, ეს ტრამვაი რომ მირიხინობს, ღამის მეორე საათია, ბნელ ქუჩაში, ჩავედი ერთ-ერთ გაჩერებაზე.

ეს იყო პირველი შეხვედრა გალაკტიონთან. მერე გავიდა ხანი და მწერალთა კავშირში დავინახე ხოლმე ეს გალაკტიონი. თაყვანს ვცემდი, ძალიან მიყვარდა გალაკტიონის ლექსები, ვგიჟდებოდი. ხო, მერე გავიცანი ეს გალაკტიონი და ძალიან დიდი პატივისცემით ვექცეოდით ერთმანეთს. სადაც გავიგებდი, გალაკტიონის საღამოაო, უეჭველად წავიდოდი მის მოსასმენად, თვითონაც უხაროდა ძალიან, რომ მეც მივდივარ და ვუსმენ. ერთხელ გვერდით მიზის გალაკტიონი, სცენაზე დაგვსვეს ეს მწერლები და გვერდით მიზის და გამოაცხადეს გალაქტიონის გამოსვლა. ადგა გალაქტიონი, მივიდა სცენაზე წინ, ავანსცენაზე და დაიწყო

ლექსის კითხვა, დაიწყო „მე და ღამე“, მგონია. კითხულობს, შეეშალა ლექსი, დაავიწყდა, მაგრამ დარბაზში ტაშმა დაიქუხა, ე.ი. გაამხნევა დარბაზმა. მოვიდა ჩემთან გადაცვარული შუბლით, დაჯდა, „რა მომივიდა, ქალბატონო მარიკა, ეს რა მომივიდა“, მე ვუთხარი: ბატონო გალაკტიონ, გადახედეთ დარბაზს, როგორ არის გადაჭედილი დარბაზი. რა ბედნიერი იქნებოდა ყველა მათგანი, რომ დაეწერა ასეთი რაღაც, თუნდა ასე შეშლოდა ყოველი სტრიქონის შემდეგ-თქო, და დამშვიდდა, დაჯდა, დაწყნარდა. ჰოო? – ჰო, მე ვუთხარი, – ეგ არაფერი, გულს ხომ არ დავიწყნია, თქვენს რვეულს ხომ არ დავიწყნია, თქვენს წიგნებს ხომ არ დავიწყნია. არა, ჩემო კარგო, არა, არ შეწუხდეთ ამაზე-მეთქი.

მერე ერთხელ მოდის ჩემთან და, რედაქციაში იყო მგონია, მეუბნება: – ქალბატონო მარიკა, იცით, მე თქვენ წუხელ ლექსი დაგიწერეთო. – უი, თქვენ გენაცვალეთ, როგორ გამახარეთ, როგორ გამახარეთ! არა, სახლში დამირეკა, იცით, მე თქვენ ლექსი დაგიწერეთ და როგორ მოგაწოდოთო? და მე ვუთხარი, ჩემ გოგონას გამოგიგზავნით-თქო. ხვალ დილით გამოგიგზავნით და გამოატანეთ იმას-თქო. მეორე დილით ვერ გავგზვნე ჩემი გოგონა. მესამე დღეს გავრცელდა ხმა ქალაქში, რომ გალაქტიონი მტკვარში გადავარდა. შეიქმნა ერთი ამბავი ქალაქში, შევწუხდით, შეწუხდა ქვეყანა, დიდი ამბავი იყო. გადარჩა, წყალში კი არ ჩავარდა, ნაპირზე დაცემულა იქ ქვევით და ამოიყვანეს და წაიყვანეს პირდაპირ საავადმყოფოში. იწვა რამდენიმე ხანს საავადმყოფოში, რომ გამოეწერა, მერე შემხვდა ქუჩაში, მე შევეკითხე, ბატონო გალაკტიონ, თქვენ რომ ჩემზე ლექსი დაწერეთ, სად არის ის ლექსი-თქო, და გაჩუმდა. მისულან თურმე, გადაუფურცლავთ ყველაფერი, ის რომ საავადმყოფოში იწვა და ეტყობა, რაც ისეთი მოეჩვენათ, საეჭვოდ, ის ლექსები ალბათ, გაანადგურეს ან თან წაიღეს. ვინ იცის, რას წერდა იმ ლექსებში, ვინ იცის, რისი თქმა უნდოდა, დარჩა მხოლოდ შესავალი, რომელიც თვითონ ახსოვდა და მერე შეიტანა კიდეც თავის კრებულში.

მადლობელი ვარ თქვენი, მარიკა,
როს ჟამი მქონდა ყოფნა-არყოფნის,
თქვენმა გულწრფელმა ხმამ შემარიგა
აქ ბევრ რამესთან, სიტყვა არ მყოფნის.

ეს არის მის წიგნში შეტანილი. დიახ, ასე ვმეგობრობდით. ის ლექსი, რა თქმა უნდა, რაც დამიწერა, ის დაიკარგა, ის მთავარი. ვინ იცის, რისი თქმა უნდოდა ჩემთვის, რისი განდობა უნდოდა ჩემთვის, თუ ის სასიკვდილოდ და მტკვარში გადასავარდნად მიიჩნევდა თავს? ეს ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, როგორ ვერ მოვახერხე იმ დღეს ჩემი გოგონას გაგზავნა ლექსისთვის. ეს იყო – ძალიან კარგად, ძალიან თბილად, ძალიან დიდი სიყვარულით ვხვდებოდით ერთმანეთს ყოველთვის. პირველი შეხვედრა იქნებოდა, ალბათ, 30-იან წლებში, ასე, 32-33 წელი იქნებოდა, ვერ გეტყვით, თარიღი არ მახსოვს, მაგრამ მე ახალი ფეხადგმული ვიყავი მწერალთა კავშირში, ხო, ალბათ, 35-36 წლებში, მტკვარში გადავარდნის ამბავი სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე იყო, მერე კიდევ იცოცხლა იმან, წლები იცოცხლა. ამაზე არ წერდნენ, ისე იყო ლაპარაკი, განგაში.

ცოტა ცინიკოსები ვართ ქართველები, ცინიკურად, იცით, გალაკტიონის სულს კი ვერ ხედავდნენ, მის ტალანტს კი ვერ ხედავდნენ, ზოგი მწერალიც კი, დაცინოდნენ, როგორ არ აცვია კარგად, როგორ არ აქვს ის კარგი გარეცხილი,

როგორ არ გამოიყურება ლამაზად, შნოიანად. (რეკავს ტელეფონი. „ხო, მერაბ, მოდი დედიკო, მოდი, მომეფერო? ხო, კარგი, მოდი, მოდი.“) ჩემი მერაბის მეგობარია, ჩემი შვილის. ცოტა ეს (დალევა) უყვარს. ნუ რა ვქნა, მეცოდება, იმიტომ რომ ეს უყვარს და იმახინჯებს ცხოვრებას. როგორ შეიძლება ეხლა ადამიანი თავს იბრუებდეს, ეხლა კი არ უნდა იბრუებდეს, უნდა იფხიზლებდეს თავს, საიდან, რომელი კუთხით უნდა მივეხმარო ქვეყანას. როგორ ვუშველო, რომ ეს ჩემი პატარა საქართველო არ შთაინთქას ხალხთა ოკეანეში, არ დაიღუპოს, თავისი სახე არ დაკარგოს, ქვეყანა მოგვჩერებია, როგორც სამოთხეს, ისე უყურებს ქვეყანა საქართველოს, ყველას უნდა ირგვლივ, რომ მიიტაცოს და ჩვენ ამის საშუალებას ვაძლევთ.

იმ ღონესაც იმაში ვხარჯავთ, რომ არაფერი ვაკეთოთ. მაპატიეთ, ასე აგრესიულად რომ ვლაპარაკობ, მაგრამ ამას მალაპარაკებს ის, რომ ვერ ვიტან, შემძულდა ტელევიზორი, შემძულდა დატიტვლებული ქალები. ჩემი მეუღლე იტყოდა ხოლმე, იცი მარიკაო, როდის მაინტერესებს ქალიო? როცა აქამდე (ყელამდე) აქვს შებნეული გულის საკინძეო. ვფიქრობ იმასო, რომ ამას რომ გაიხსნის, ნეტა როგორი მკერდი ექნებაო. ახლა მკერდი კი არა, ყველაფერი გაიშიშვლა ამ ქალებმა, კაცო. იმიტომაა, რომ ვერ თხოვდებიან ქალები, ვის რათ უნდა გაშიშვლებული ქალის ცოლად მიყვანა. მითხარი თუ გიყვარდე, თუ აღარაფერია შენში რაღაცა საოცნებო, რაღაც მისაღწევი. თუ არ მიაჩნიხარ საინტერესოდ, რათ უნდიხარ, რათ? ამიტომაა, დაგვრჩა ამდენი გაუთხოვარი ქალი, ამიტომაა აივსო სახლები „პროსტიტუტკებით“, ამიტომაა, რომ აივსო ქვეყანა უცოლშვილო კაცებით. არ შეიძლება, დედა, სიყვარული ასე იმათა, ეს არ არის ისე ხორციელი. ეს არის სულიდან მომდინარე, სიახლოვე რომ გინდა ადამიანის, ფერება რომ გინდა მისი, საუბარი რომ გინდა მასთან, და არა ის, რომ უეჭველად ლოგინი. ბოდიშს ვიხდი, მარა ლოგინში ყველა ერთია, „პროსტიტუტკა“ და პატიოსანი, კარგი და ცუდი. მაწუხებს, დედა, რომ ქართველმა ქალმა ტანთ გაიხადა, თავის სულის სიმახინჯე გამოაჩინა. ზოგიერთმა, განა ყველამ, მაგრამ ეს ისე გადამდებია, ადამიანებს ისე გონიათ ჩამორჩენილად თავიანთი თავი, თუ ბაზარზე არ გაიტანეს თავისი სულიც და ხორციც, რომ მეშინია, რომ კიდევ უფრო მეტად ჩავითრევით ამაში. ქართველ ქალს თავისი სინაზე ჰქონდა, თავისი კდემამოსილება. მე არ ვამბობ იმას, რომ უეჭველად მიწაზე მიაფორთხიალებდეს ტანსაცმელს და ყელამდე ჰქონდეს საკინძე შებნეული, მაგრამ ხომ არის რაღაც ზომიერების გრძნობა. ეს გრძნობა არ უნდა დაკარგოს არც ქალმა, არც მამაკაცმა. ანდა, რომ იგინებიან კაცები, კაცო, რომ იგინებიან, როგორ შეიძლება, დედა, ენას წამოსცდეს ეს გინება. ადამიანში არის ჩრდილოვანი მხარეც და არის მზიანი მხარეც. უნდა ვეცადოთ ჩვენი სხივი ჩვენსავე ჩრდილში შევიტანოთ, ნამეტანი „კაზიონურად“ ლაპარაკი გამომდის აბა, განვაგრძოთ ჩვენი საქმე. დავუბრუნდეთ გალაკტიონს.

იშვითად ვხვდებოდი, მარა სადაც გავიგებდი, გალაკტიონის საღამოაო, ყველაფერს ვტოვებდი და მეზურნესავით, უეჭველად ვიყავი ხოლმე იქ, დარბაზში. გრიშაშვილიც კარგი მეგობარი იყო ჩემი. მაგრამ გრიშაშვილის ლექსი რომ წავიკითხე, მოიცადე, რა იყო? მედო ჩემ თავთან გრიშაშვილი, გალაქტიონი და კონსტანტინე გამსახურდია. დილით რომ გავიღვიძებდი, რომლის ხასიათზეც ვიყავი, იმას ვკითხულობდი, რომ

იმით ამევსო სული და იმით გავსულიყავი სახლიდან. ხოდა დავუწერე გრიშაშვილს ლექსი „ვისი ბრალია“. არ წავიკითხავ ახლა იმ ლექსს, არა, თორე მახსოვს, გინდათ წავიკითხო? (სანამ დავეთანხმებოდეთ, იწყებს)

მე ვაცქერდები სტრიქონებს შენსას,
ვნების ქარცეცხლში გამონაწრთობებს,
აქ არის ოხვრაც, ხალისიც, კვნესაც,
ო, ეს ლექსები გრძნობით მათრობენ.
შენ მთელი ნიჭი მოიშველიე,
მუზისთვის დიდი სამსახურია,
შენი ლექსები ყოველ მშვენიერს,
შესამკობელად თავს ახურია.
სიყვარულისთვის დამდგარხარ ლოცვად,
ქალის მშვენებას დიდად აფასებ,
კოცნა და ხვევნა, ხვევნა და კოცნა,
შემოახვიე ყველას, ლამაზებს.
გიტაცებს მხოლოდ სხეული ქალის,
შემდეგ დასტოვებ და ემდურები,
დასევდილი და ძილგანამქრალი
სტრიქონი ჩივის საყვედურებით.
რომ ქალს არა აქვს გრძნობა ფაქიზი,
რომ ქალის გული მეტად ცივია,
რომ ქალის მკერდზე ვერ სძლებს ნარგიზი
და კიდევ, კიდევ რას არ სჩივიან.
და თუმცა ჩვენი არ შეხვდა გზები,
ვერ გაგიცანი, ვერ გამიცანი,
რას ვეძებ, მაგრამ ნუ გამიწყრები,
რა ვქნა, არ მესმის შენი მიზანი.
ერთი მითხარი, როცა გიყვარდა,
როცა ტრფობით და ვნებით აივსე,
ეძებდი ქალში, სხეულის გარდა,
სხვა რამ სიწმინდეს და სიფაქიზეს?
რისთვის ეძახი ქალს მაცდუნებლად,
ეგეთი წყევლა ან რა რიგია?!
ვის დავაბრალოთ, ქალის ბუნება
თუ (...) კოცნით ვერ გაგიგია?!
თუ მუდამ მხოლოდ სხეულით დამთვრალს,
ქალისთვის მარტო წამით გცალია,
თუ ქალის სული ვერ იცან მართლა,
ერთი მითხარი, ვისი ბრალია?

ეს ლექსი ინკოგნიტოდ გავუგზავნე გრიშაშვილს, დადიოდა და ეკითხებოდა ქვეყანას, ვისი ლექსია, ვისი ლექსიაო? ჩასულა წყალტუბოში და თურმე გიტარაზე დაუმღერეს ეს ლექსი. არ ვიცი, საიდან გაჟონა, როგორ გაჟონა. ხო, მაგრამ არ იცის, ვისია. და ერთხელ პლეხანოვის კლუბში ვართ საღამოზე,

ზამთარია, ცივი ღამეა და ძალიან კარგად, თბილად, ჩაიარა საღამომ. საღამოზე იყვნენ მწერლებიც, თქვეს, მოდი, ქალბატონი მარიკა ყველამ გავაცილოთ ფეხით სახლამდეო. ღამეა, გვიანია. ღამის პირველი საათია. მთვარიანი ღამეა, ცივი, ცივი ღამე და მოდიან, მომაცილებენ და არის ერთი საუბარი, იქით, აქეთ, სიცილი, ეს, ის და გრიშაშვილი მეუბნება, ქალბატონო მარიკა, ქვეყანას რომ ლექსს უძღვნით, რატომ ერთი სტრიქონი არ გაიმეტეთ ჩემთვისო? მომიარა ამ დროს ამ ჟინმა და სტრიქონი კი არა, მთელი ლექსი დაგიწერეთ-თქო. რა ლექსი, ქალბატონო მარიკა? ძალიან გთხოვთ, ძალიან გთხოვთო – აქეთ-იქიდან ეს ბორისა ჩხეიძე, ისინი, ძალიან გთხოვთ, წაიკითხეთ ის ლექსი თუ გახსოვთ, რა! და წავიკითხე. ქალო, მაშ შენ დამიწერე?! – გრიშაშვილი მეუბნება. არადა, სულ მეუბნებოდა, საცა გამოვდიოდი, მარიკა, იცოდეთ, მე თქვენი ტრუბადური ვარო.

ეს თქვენ დამიწერეთ! – მეუბნება. ოო! სოსო, ეს რა უქნია ქალბატონ მარიკას, და ხარხარებენ კაცები, არი ერთი ამბავი. ასე მიმაცილეს სახლამდე, დედიკო, და მეორე დილით ვიღვიძებ და რას ვიღვიძებ! აი, მაშინ დავმახინჯდი, აი, ხედავთ, როგორა მაქვს ნაკერები და ესენი. დილით მომაკვდავმა გავიღვიძე. დამემართა ძალიან იშვიათი დაავადება – „ლუდოვიკოს ანგინა“. ე. ი. განგრენოზული ფორმა ანგინის. დიდხანს ვეწვალე, დიდხანს მქონდა კრიჭა შეკრული, ძალიან დიდხანს ვერ ვლაპარაკობდი, ვერ ვჭამდი, დიდი სიცხეები, გადადებული ავადმყოფი ვიყავი. ბოლოს იძულებულები გახდნენ გაეჭრათ ესენი და გადმოცვივდა მათლად მკვდარი ქსოვილები. მარა გადავრჩი, ასე გამკერეს, გამომკერეს და ასე დავრჩი, ასე დავდიოდი. ასე მიწია გრიშაშვილის ცოდვამ. ახლა ეს გადახვევა იყო ჩვენი თემატიკიდან, აბა მითხარით, თქვენ რა გაინტერესებთ. ჭრიჭინა? ჭრიჭინა როგორ დაიბადა?

ხო, პატარა ჭრიჭინა მეც ვიყავი, როგორც მოგახსენეთ, როცა თუთის ხეებზე ვიჯექი, მაგრამ ახლა რა იყო, მე ვმუშაობდი პოემაზე „ქალის გაზაფხული“. ბიძაჩემი დავით კასრაძე (მწერალი, მთარგმნელი; 1885-1965), ქართლოსის (ცნობილი იუმორისტი) მამა, დედაჩემის მკვიდრი ბიძაშვილი იყო, მოდიოდა ხოლმე ჩვენთან ოჯახში, ერთხელ მითხრა, მარიკა, წამოდი ამაღამ მწერალთა კავშირში – მისი პიესის განხილვა იყო. იქიდან რომ წამოვედი და დავწექი, აღარ დამეძინა და ვიფიქრე, რომ თავი დამენებებინა „ქალის გაზაფხულისათვის“ და მემუშავა პიესაზე. მართლაც დავიწყე ერთ პიესაზე მუშაობა, მოიცა, გავიხსენო, რა ერქვა იმ პიესას? რომელიც „ჭრიჭინას“ შემდეგ დაიდგა. გავიდა რაღაც დღეები და ამეკვიატა პიესაზე ფიქრი. ამ დროს ვშლი ერთ რუსულ გაზეთს და ვკითხულობ, რომ ორ ემინე მევლუდის ასულ მესხიძეს, ორივეა ემინე მევლუდის ასული მესხიძე, მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირობა. აქედან უეცრად ჩემ თავში დატრიალდა სიუჟეტი. ხომ არ შეიძლება, რომ ორივე ერთდროულად გამარჯვებული ყოფილიყო. იქნება ერთის გამარჯვება მიეწეროს მეორეს... მერე ეს სიუჟეტი წამოვიდა, წამოვიდა და დავწერე პატარა ასეთი ანოტაცია. მოდის ჩვენთან დავითი სადილად და, მარიკავ, რამდენი ხანია შენი ლექსი აღარ წამიკითხავს, რამდენი დღეაო. – მე ვუთხარი: – ძია დავით, იცით რა, მე პიესას ვწერ-თქო, – პიესა? არ გამაგონო, ქალო, ეხლა ყველა პიესას ჯღაბნის, – რა ვქნა, ასე მომეძალა-თქო, – აბა რაა, რა პიესაა? რა ქვია სახელი? – ჭრიჭინა, – ჭრიჭინა? ეგ საინტერესოა, მაჩვენე ერთი, რა დაწერეო. გამოვუტანე და წავუკითხე ჩემი

მოკლე შინაარსი ჭრიჭინასი. იმავე წუთში აიღო და დარეკა მარჯანიშვილის თეატრში, ჩხარტიშვილთან, იცით რა, ჩვენმა მარიკა ბარათაშვილმა, პოეტმა, დაიწყო პიესის წერა ასეთი სახელწოდებით, დაუძახეთ, წაიკითხეთ მისი პიესის მონახაზი და თუ დაგაინტერესებთ, აბა თქვენ იცით, უთხარით, გაამხნევეთო. მივედი და მართლაც წავიკითხე, მომიწონეს ამ ჩხარტიშვილმა და პიერ კობახიძემ და მერე მირეკავდნენ სულ, როგორაა ქ-ნო მარიკა საქმე, როგორაა საქმე, თუ წერთ და თუ წერთო და დავწერე, მივიტანე, მოიწონეს, მოიწონეს და ჯერ გამგზავნეს კულტურის სამინისტროში, კულტურის სამინისტროსაც მოეწონა, მაგრამ პიესა ცეკას უნდა დაემტკიცებინა, გამგზავნეს ცენტრალურ კომიტეტში, და გადის კვირა ერთი, ორი, სამი. (რეკავს ტელეფონი, – ალო, მადლობთ, ჩემო თამრიკო, მეც გილოცავ სიყვარულის დღეს, დაე, სიყვარულით და სიხარულით აივსოს შენი გული, თამრი, მე დაგირეკავ, დედიკო, მერე) სად შევჩერდი, ეს ტელეფონი მართლა უნდა გაგვეტანებია, ხელს გვიშლის, ხანდახან ისეა, რომ უამისოდ ვერ ვიცოცხლებ. ხო, ხოდა არა და არა, არის თურმე ერთი შეხლა-შემოხლა, სადა გვყავს ჩვენ ჭრიჭინები, რამ დააწერია მარიკა ბარათაშვილს ასეთი პიესა, ვერ მივცემთ ნებას, რატომ უნდა გავლანძღოთ ჩვენი ახალგაზრდობა.

ხოდა მივდივარ ერთ დროს ქუჩაში და შევხედე, მოდის ვასილ ეგნატაშვილი, სტალინის ნახევარძმა. ის ვასილ ეგნატაშვილი „კომუნისტის“ რედაქტორი იყო, როცა დაიწერა ჩემი პირველი ლექსები, პირველი არასაბავშო ლექსები, ერთი იყო „სამშობლოს“ და მეორე იყო კიდევ რაღაც ლექსი, ჭიათურაში ვცხოვრობდი მაშინ და ეს ლექსები დაიბეჭდა „ჭიათურის მაღაროელში“, ვშლი გაზეთს და ვკითხულობ ჩემ ლექსს „კომუნისტში“, ძალიან გამიკვირდა, გავიდა კიდე ხანი და დავბეჭდე კიდევ მსგავსი რაღაც „ჭიათურის მაღაროელში“, და გავშალე კომუნისტი და ვკითხულობ შიგ. მაშინ დეიდაჩემს მოვწერე, დეიდა-თქო, იცი რა, ჩემი ლექსები დაუბეჭდია გაზეთ „კომუნისტს“-თქო, ამ და ამ ნომერში ერთი, და მეორე ამაში-თქო, შენი ჭირიმე, ერთი გამიგე, როგორ მოხვდა იქ, მე არ გამიგზავნია-მეთქი. მივიდა დეიდაჩემი რედაქტორთან, ვასილ ეგნატაშვილთან, და უკითხავს. და – იცით რა, ისეთი მადლიანი კალმით წერს, – მაპატიეთ, როგორ ვიქებ თავსა, – ისეთი მადლიანი ენა აქვსო, რომეო, გამოგზავნოსო და კიდევ დავუბეჭდავთო, რა მშვენიერი ლექსებიაო, და დაწეროსო, ოღონდ დაწეროსო...

და ეხლა რომ შემხვდა ეგნატაშვილი, ჩემი პიესის ამ მდგომარეობის დროს, მითხრა, ქალბატონო მარიკა, როგორღაც თქვენმა ლექსებმა ამ ბოლო ხანებში შეაგვიანა, რაშია საქმეო. იცით რა, ბატონო ვასილ, პიესის წერამ გამიტაცა, პიესაზე ვმუშაობ-თქო. იმანაც შეიცხადა, თქვენი მადლიანი კალმის პატრონი, პიესას წერთ?! არა, ქალბატონო მარიკა, განაგრძეთ ლექსების წერა, რა ქვია თქვენს პიესას? – „ჭრიჭინა“. – ერთი, მომაწოდეთ თქვენი პიესაო. მივაწოდე, დედა, პიესა და გადაწყდა მისი ბედი. და დაუბრუნეს მარჯანიშვილის თეატრს პიესა, რომ – უნდა დაიდგას ეს პიესაო. ასე გადაწყდა ჩემს ჩაურევლად, ასე ვთქვათ, ეს თუ გაინტერესებდათ, მე მგონია, გაინტერესებდათ, როგორ დაიწყო ჩემი დრამატურგობა. მერე მოყვა სხვა პიესები. რამდენიმე დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. მერე აღმოჩნდა სხვებისთვისაც საინტერესო, მერე ითარგმნა და დაიდგა სხვაგან და სხვაგან. საბჭოთა კავშირის ასსამოცდაათ თეატრში დაიდგა და ოცდაორ უცხოეთის თეატრში. მერე გაკეთდა ფილმი, რომელმაც მოიარა

მართლაც მთელი ქვეყანა. ლექსები გითხარით, როგორ დავიწყე, დრამატურგია გითხარით როგორ დავიწყე, ახლა რაღა გაინტერესებთ?

ვასილ ეგნატაშვილმა იმ პიესაში მარტო სიმახინჯე კი არ დაინახა, არამედ ლტოლვა სიმართლისკენ, ბრძოლა მეშჩანობის წინააღმდეგ, უქნარობის წინააღმდეგ, რომ ასე მარცხდება უქნარობას აყოლილი ადამიანი, რომ მხოლოდ შრომაა, ადამიანს რომ აძლევს სახელსაც და დიდებასაც და ყველაფერს, მან დაინახა დადებითი, უეჭველად დადებითი.

ვასილ ეგნატაშვილი მივიდა პირდაპირ, დაინტერესდა ამ საკითხით, თუ რაშია საქმე, რატომ არ იძვრის პიესა თავისი ადგილიდან და მისმა დაინტერესებამ გააკეთა ის, რომ გადაიგზავნა პიესა თეატრში დასადგმელად, ნება რომ მისცეს პიესას სიცოცხლისა. ეგნატაშვილი ხომ უმაღლესი საბჭოს თავჯდომრის მოადგილე იყო. უმაღლეს საბჭოში თუ ცეკაში, არ მახსოვს, ერთ-ერთში. დიდი პარტიული იყო და სტალინის ნახევარძმა იყო და სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. და მის ნახევარძმას მიუგდებდნენ, რა თქმა უნდა, ყურს. იმას მოეწონა და ამან გადაწყვიტა ბედი „ჭრიჭინასი“ და დაიდგა.

მერე მე გავთამამდი და მოყვა იმას სხვა პიესებიც. ყველა მათგანი, თითქმის, აიღეთ „ჩემი ყვავილეთი“ – ეს არის ჩვენს მიტოვებულ და გავერანებულ სახლ-კარზე სოფლად, ჩვენს მიტოვებულ სოფელზე; „სართულები“ – ეს არის ის, რომ ჩვენ ვმაღლდებით, ვაშენებთ, მაგრამ ვცვივდებით იმ ჩვენს მიერ აშენებული სართულებიდან, იმიტომ რომ სუფთა ხელით არ ავდივართ სართულებზე. და იცით რა, ჩემ პიესებს ყველას ჰქონდა ქვაკუთხედი – შრომის სიყვარული და პატივისცემა, კაცურკაცობის სიყვარული და პატივისცემა და აი, ასეთი ამბები. იცით, კომედია, ჩემთვის, არ იწერებოდა მხოლოდ სიცილისათვის, არა, პიესა იწერებოდა ნაკლოვანებებთან საბრძოლველად. ჩვენ ადამიანურ ნაკლოვანებებთან საბრძოლველად. ასე ვმონაწილეობდი ამ დრამატურგიაში. და ლექსებიც ჩემი, მეტწილად, უაზრო არ უნდა იყოს, ხომ? სადღაც, ჩემი ნაწილია ჩადებული – სამშობლოს სამსახურის და კაცთმოყვარეობის და სიკეთის გამარჯვების სურვილი. მაღალფარდოვანი სიტყვები მეზარება და რომ გამომდის კი მაღალფარდოვანი, რა ვქნა. შეანელეთ, თქვენი ჭირიმეთ, მეტიჩარა დედაკაცად არ გამოვიდე, კაცო...

მედეა ჯაფარიძეს როგორც კი ჩაუვარდა გულში ეს პიესა, რომ წაიკითხა, მერე ძილსა და მოსვენებას არ მაძლევდა. ღამის პირველი საათიდან რომ იმართებოდა ჩვენი საუბარი, ხანდახან დილამდე გრძელდებოდა. ამას როგორ ვხედავ და იმას როგორ ვხედავ... მოეწონა, ძალიან მოეწონა. სამაგიეროდ, მერე კინოს დადგმა რომ გადაწყდა, რომ დატრიალდება, ბედის ბორბალი რომ დატრიალ-დება, ვეღარაფერს მოუხერხებ. რომ დატრიალდა, მერე მოინდომეს კინოსურათის გადაღება და მაშინ რატომღაც რეჟისორმა ლეილა აბაშიძე მოინდომა, მე გვიან გავიგე ეს ამბავი და გინდაც გამეგო, რეჟისორმა და თეატრმა ასე მოინდომა და... მედეას უნდოდა კინოშიც რომ ეთამაშა, მაგრამ გვერდი რომ აუარეს, ძალიან მწვავედ განიცადა. და მე ვიკლავდი თავს, ნეტავი ხელი მომტეხოდა და ეს პიესა არ დამეწერა-მეთქი. მეშინოდა, რომ მედეას არაფერი მოსვლოდა. ძალიან რომ განიცდიდა, რაღა ვქნა, იმას რომ რამე მოუვიდეს, იმას რომ რამე მოუვიდეს, რატომ დავწერე, რატომ ხელი არ გამიხმა-თქო, მაგრამ გადახარშა იმანაც და ლეილა აბაშიძე ცუდი არ გამოვიდა „ჭრიჭინას“ როლში, კარგია. მედიკო

მომხიბლავი იყო ძალიან. მაგრამ ყველა „ჭრიჭინა“ ამ ასსამოცდაათი თეატრიდან, ყველა მიგზავნიდა წერილებს, რომ ჩვენისთანა „ჭრიჭინა“ არ შეიძლება სადმე სხვა იყოსო. ეგონათ, რომ იმათი საუკეთესო იყო. ასე ავაჭრიჭინე, რა, ხალხი.

მერე მოჰყვა იმას, როგორც გითხარით, „ჩემი ყვავილეთი“, „სართულები“, მერე „ფრთხილად, სასიკვდილოა“... იცით, ყველა მათგანი ემსახურებოდა მტკივნეულ პრობლემებს, ცდილობდა, რომ დაენახვებინა ხალხისთვის ის, რასაც ჩვენ ზოგჯერ ვუყურებთ, მაგრამ ვერ ვხედავთ. ვცდილობდი, ასე ჩამეხედა ადამიანის სულში და რაღაცა მეთქვა. (პაუზა) როგორ მიდის საქმე, სწორად?

(ხანგრძლივი პაუზის შემდეგ აგრძელებს პასუხად კითხვაზე გალაკტიონის შესახებ)

ხო, ხო, მაგრად დასცინოდნენ და ვიყავი მისი ამოღებული ხმალი და დავყვებოდი, სადაც კი გავიგებდი, რომ გალაკტიონის საღამოაო და მივდიოდი, ამიტომ მწერს, დედა, „თქვენმა გულწრფელმა ხმამ შემარიგა აქ ბევრ რამესთან, სიტყვა არ მყოფნისო“. ზოგჯერ ზოგიერთი მწერალიც დასცინოდა, რომლებსაც მის სიმაღლეებამდე კარგა დიდი აკლდათ. ისინი გარეგნულად აფასებდნენ ადამიანს, რომელსაც იქნება მთლად სუფთა ის ვერ სცმოდა, ლამაზად, ღამენათევი ადამიანი... რა ვიცი სად, როგორ... მე მებრალებოდა, მტკიოდა გალაკტიონი, ასე ვთქვათ, იცით, მინდოდა, შვილივით ამეყვანა ხელში, ის და მისი პოეზია. ეს ხომ ოცნებაა მხოლოდ, რომ ამ ხალხის ქირდვასა და მაიმუნობას გადამერჩინა. რაღაც დედობრივი იყო ჩემი სიყვარული, მიუხედავად იმისა, რომ ის ბევრად ხნიერი იყო ჩემზე. სხვა, ოჯახური ურთიერთობები არ გვქონია, ის არასოდეს ჩემთან ბინაში არ ყოფილა. მე იმასთან ბინაში არა ვყოფილვარ.

არა, ის ვერ იცოცხლებდა, დედა, იმ ბუნებით ვერ იცოცხლებდა. ის იმდენად დაუცველი იყო, ბავშვივით დაუცველი იყო, რო ის ამ მკაცრ პირობებში ვერ იცოცხლებდა. თქვა თავისი სათქმელი და ეგ იყო. რა თქმა უნდა, აბა, გალაკტიონს მისაფრებული იყვნენ, აბა, არ უნდოდათ, გაპარულიყო რამე მისი საწერი მაგიდიდან, დედა! იქნება, მე მიღებ ამ დროს, ჰა? დედიკო, შენი ჭირიმე, იქ სადაც გადაჭარბებულად ვლაპარაკობ, ის ჩამოაცილე, რა! არ მინდა, ხალხმა იფიქროს, რუსულად რომ იტყვიან „ჩტო ია რისუიუს“, ჩემ თავსა ვხატავ.

ნანა კაკაბაძე, ადამიანის უფლებების დამცველი

დაბადების წელი: 1962

2003 წელს თბილისში ჩაიწერა

ია მერკვილაძემ

იბეჭდება შემოკლებით

მრწამსის ჩამოყალიბება

დავიბადე 1962 წლის 23 თებერვალს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. ის წრე, სადაც მე ვტრიალებდი, ეკლესიაში დადიოდა. ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ეკლესია იყო ის ადგილი, სადაც სხვანაირად მოაზროვნე ადამიანები იკრიბებოდნენ. ეს იყო ერთგვარი თავშესაფარი იმ ადამიანებისათვის, ვისთვისაც ახლოს იყო ეროვნული ღირებულებები, დისიდენტური მოძრაობა. ეკლესიაში ბევრი ჩემთვის პატივცემული ადამიანი დადიოდა. მახსოვს, მაშინ ვცხოვრობდი ჭავჭავაძის გამზირზე. მეც სიონში დავდიოდი. პარალელურად უნივერსიტეტში დაიწყო აკაკი ბაქრაძის ლექციები ხელოვნებაზე. კარგი პერიოდი იყო. 1970-იან წლებში – ნამდვილი დისიდენტური მოძრაობა, ხოლო 1980-იან წლებში – დისიდენტობას პლუს საინტერესო ლექციები უნივერსიტეტში. სიონში შაბათ-კვირას ვიყრიდით ყველანი თავს... მეც ამ ეკლესიის მრევლი ვიყავი. სკოლაში სწავლის დროსაც დავდიოდი ეკლესიაში.

გია ჭანტურია, თამრიკო ჩხეიძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, მამუკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, მარიკა ბაღდავაძე, ვანო ხუხუნეიშვილი, ირაკლი წერეთელი, მარინე კოშკაძე... ეს ის ადამიანებია, რომლებსაც ბევრი რამ აერთიანებდათ უწინ, მაგრამ მერე სხვადასხვა პარტიებში გადანაწილდნენ. პირველი პარტია, რომელიც შეიქმნა საქართველოში, ეს იყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. ამ პარტიაში გაერთიანდნენ თავიდან თითქმის ყველა იმ დროს მოქმედი დისიდენტი, თუ ზოგადად ეროვნული მოძრაობის მონაწილე... თუმცა არა ზვიად გამსახურდია.

პირველი დისიდენტი, ვისთანაც მე მქონდა ურთიერთობა, იყო ზვიად გამსახურდია. ის ცნობილი დისიდენტი იყო, მაგრამ ამავე დროს მას მაშინდელ დისიდენტებთან პრობლემები ჰქონდა თავისი „ძონანიების“ და სხვა საკითხების გამო. ჩვენი ნაცნობობა საქმიან ურთიერთობაში გადაიზარდა. მე ის გავიცანი, როგორც მორწმუნე, ეკლესიური ადამიანი. იგი გამოსცემდა ჟურნალს „საქართველო“. გამუდმებით ხდებოდა საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმციების გაცვლა-გამოცვლა.

ასევე დიდ ყურადღებას ვაქცევდით აფხაზეთის მოვლენებს, სადაც მიმდინარეობდა მოსახლეობის უმრავლესობის – ქართველების დისკრიმინაცია, მიმდინარეობდა ანტიქართული პროპაგანდა, ისტორიის ფალსიფიკაცია. ეს ის პერიოდია, როცა დააპატიმრეს ბორია კაკუბავა და მერი მარკოზიას მამა – არკადი მარკოზია. ჩვენ, 1981 წელს, გავმართეთ მთავრობის სასახლის წინ საპროტესტო მიტინგი. ამ მიტინგზე სხვა აქტუალურ საკითხებთან (ძეგლთა დაცვა, გასახლებული ქართველი მაჰმადიანების დაბრუნება და სხვ.) ქართველთა უფლებების დაცვისთვის დაპატიმრებულთა განთავისუფლება და ზოგადად, აფხაზეთში ქართველთა შევიწროვებაც იყო.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ჩემი აქტიური ჩაბმა ეროვნულ მოძრაობაში. ამ დროს ხდება ერთი შემდგომში მეტად გახმაურებული ფაქტი: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წამების შედეგად დაიღუპა ჟურნალისტი ნაზი შამანაური. ის დედამისთან ერთად დააპატიმრეს ჩარგალში ვაჟაობის დღესასწაულის დროს, როდესაც იგი სიტყვით გამოსვლას ცდილობდა. საქმე ის იყო, რომ იგი თავის მრავალრიცხოვან სტატიებში ამხელდა პარტიულ-სამეურნეო ნომენკლატურის კორუფციულ საქმიანობას. სამწუხაროდ, ნაზი შამანაურის და დედამისის პატიმრობისა და ფსიქიატრიულში წამების ფაქტი ჩვენთვის მხოლოდ ნაზის მოკვლის შემდეგ გახდა ცნობილი. მომხდარი ტრაგედიის სათანადო გახმაურებამ და ჩვენმა ეროვნულ-დისიდენტურმა მოძრაობამ დედის, სარა ინაშვილის განთავისუფლებაღა შეძლო.

ხელისუფლებამ წარმომადგენლები მთავრობის სასახლეში შეგვიყვანა, სადაც შევარდნაძე დაგვპირდა, რომ ამ საკითხების განსახილველად უნივერსიტეტში მოხდებოდა სტუდენტებთან მისი შეხვედრა. თუმცა, ხელისუფლებამ ჩვენი მოტყუება გადაწყვიტა და უნივერსიტეტში, ნაცვლად შეპირებული შეხვედრისა, რომლის თარიღიც შეთანხმებისამებრ წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი, კომკავშირულ აქტივთან ფარული შეხვედრა გამართა. ჩვენ ეს შემთხვევით შევიტყვეთ, შევედით დარბაზში და პროტესტი გამოვხატეთ. შევარდნაძეს მაშინ კომკავშირულ აქტივთან შეხვედრა ჩავუშალეთ.

პოლიტექნიკურში შეხვედრაზე ხაბეიშვილი იყო მოსული და კავსაძეც, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო... პეტიციებზე ხელმოწერები, რაც შეგროვილი მქონდა, სამწუხაროდ, თან არ მქონდა. მქონდა სახლში. პეტიციის ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე სწავლების პრობლემებს ეხებოდა და აფხაზეთში ქართული მოსახლეობის შევიწროებას აღწერდა... მე ვთქვი, მალე დავბრუნდები, ამ პეტიციებს სახლიდან მოვიტან-მეთქი. სამი სტუდენტი გამომყვა. მანქანა გავაჩერეთ და ჩემი სახლისკენ წავედით. ვარაზისხევში პოლიცია დაგვეწია და გაგვაჩერა. გზა გადაგვიკეტეს... გვითხრეს, ეს მანქანა გატაცებულია და უნდა გავარკვიოთო. ერთი სიტყვით, აღმოვჩნდით ისანსამგორის მილიციის ხელში, ანუ – მათ მანქანაში. გზაში ერთი მილიციელი მეუბნება: „მე კი ვიცი, რომ არაფრისთვის გიჭერენ, მაგრამ არ ვიცი, რა ვქნა, რით დაგეხმაროო“. ეს ხდება მანქანაში. მილიციელებმა ერთ-ერთ ჩემს თანმხლებს უთხრეს: „ნანას ვიჭერთ, თქვენ ხომ არაო... გაგიჩერებთ მანქანას, ერთ-ერთი გადახტეს და თქვენიანებს შეატყობინეთო, რაც ხდება, ნანა რომ დააკავესო“. მილიციას რომ ვუახლოვდებოდით, ოდნავ დაამუხრუჭეს და ორი ჩემი თანმხლები ბიჭი გადახტა. მე კი ამ დროს ჩანთაში პროკლამაციები მედო და მათი ჭამა დავიწყე. დავიწყე პროკლამაციების ჭამა, მაგრამ რას გავათავებდი, იმდენი იყო. მერე ამ მილიციელმა მითხრა, მომეცი, მეც შევჭამო, დაგეხმარებიო, მაგრამ რას გავათავებდით, იმდენი იყო. ამ შეგნებულმა მილიციელმა კი ჩემთან ერთად მართლა დაიწყო პროკლამაციების ჭამა. გვეხმარებოდა. უცხო ადამიანის, თანაც მილიციელის, ამგვარი საქციელი ჩემთვის და საერთოდ, ზოგადად, მთელი ჩვენი მოძრაობისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი იყო.

სხვა დრო იყო მაშინ. სხვა დრო იყო, როცა ყველას ერთმანეთი უყვარდა, დღეს ეს სული დაიკარგა. ჩემი მეგობრები: გია, თამრიკო, ირაკლი, მარიკა და

მრავალი სხვა... სულ სხვა სულით ვსულდგმულობდით. ეს ადამიანები კი რამოდენიმე ხნის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ...

ჰო, ვაგრძელებ იმ ისტორიას: ბიჭები გადახტდნენ და გაიქცნენ პოლიტექნიკურისკენ. იქ ხომ ხალხი მელოდებოდა, ხელმოწერებს ელოდებოდნენ. გადის დრო და მე არ ვჩანვარ. ეს ჩემთვის ცუდი იყო, რადგანაც ვიღაცას ეგონებოდა, რომ მე მივატოვე ამდენი ხალხი და თავს ვუშველე. ვინმეს ხომ უნდა გაეგო მიზეზი, თუ რატომ არ მივედი... ეს ჩემი მეგობრები მისულან იმ დროს, როცა თამრიკო სიტყვით გამოდიოდა... „ნანა აიყვანესო!!!“ – დაუყვირიათ და მთელი პოლიტექნიკური ჩემს დასახსნელად დაიძრა. ამ დროს, ხაბეიშვილმა ეს გაიგონა და ისიც შეიტყო, რომ ხალხი ჩემს დასახსნელად დაიძრა. დარბაზიდან სტუდენტები გარეთ გამოვიდნენ, ხაბეიშვილი კი ისევ დარბაზში იყო. სასწრაფოდ უბრძანებია, ნანა კაკაბაძე გამოუშვითო! მილიციაში მითხრეს, წადიო და გამწარებული გამოვვარდი. სახლში გავვარდი, ავიღე ეს პეტიცია ხელმოწერებით და გიჟივით მოვრბივარ. დავეშვი ვარაზის ხევზე და რას ვხედავ, მოდის ლამის მთელი პოლიტექნიკური. თან მეჩხუბებიან, რას წამოხვედი, ჩვენ შენსკენ მოვდიოდით, შენს დასახსნელადო!

მცხეთის ამბები

ე.წ. „მცხეთის ამბების“ დაწყების თარიღი არის 1980 წელის 14 აპრილი. ჩვენ ცნობილი 14 აპრილის ორი წლისთავი გვინდოდა აღგვენიშნა. დავიწყეთ პროკლამაციების გავრცელებით უმაღლეს სასწავლებლებში. გვინდოდა 14 აპრილი, ქართული ენის დაცვის დღე, საქართველოსთვის ლოცვით აღგვენიშნა: სვეტიცხოველში შევკრებილიყავით და მერე, რასაკვირველია, მშვიდობიანად დავიშლებოდით. ამ დღეს გულისფანცქალით ველოდით. ეს დღეც მოვიდა. ნელ-ნელა ვიკრიბებოდით პოლიტექნიკურთან და უნივერსიტეტში. მოხდა ისე, რომ ჩვენ ადრე ჩავედით მცხეთაში. ჩვენი მანქანა მილიციამ დაუბრკოლებლად გაატარა. მივედით დათქმულ ადგილას და ვხედავთ – არავინაა. კანტიკუნტად მოდის ხალხი. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოდის 12-15 ბიჭი და 2 გოგონა და გვეუბნებიან, ჩვენ ფეხით მოვედითო და ალბათ, იცით, რაც ხდებაო. რაო? – ვკითხეთ. გვითხრეს, რომ ყველა გზა გადაკეტილია, ყველა შესასვლელი ჩარაზულია, სტუდენტებმა ტივები შეკრეს, მტკვრით მოდიან და ალბათ ნელ-ნელა შემოგვიერთდებიანო. ხელისუფლებამ, გზების გადაკეტვის მიზნით, სახელდახელოდ რაღაც სპორტული გადარბენაც კი მოაწყო. მაგრამ ამავე დროს მთელი „ცეკა-ტეკა“, „კაგებე“, მილიცია – მცხეთაშია. „დამსწრეთა“ შორის არის „კაგებეს“ გენერალი გივი კვანტალიანიც. მოკლედ, ხალხი ფიზიკურად არ მოუშვეს, თუმცა, ვინც შევძელით სვეტიცხოვლამდე მიღწევა, ეს დღე მაინც ავღნიშნეთ.

1981 წლის მცხეთობას, იგივე სვეტიცხოვლობასაც, არ ჩაუვლია ეროვნული მოძრაობისა და ხელისუფლების დაპირისპირების გარეშე. როგორც ჩვეულებრივ, ეროვნული და საზოგადოებრივი აქტიურობით ცნობილი ახალგაზრდები ეკლესიაში ვიყავით შეკრებილი. ამ დროს ირაკლი წერეთელმა დაიწყო ხელმოწერების შეგროვება დავით აღმაშენებლისთვის ძეგლის დადგმის მოთხოვნით, ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვის თაობაზე, და უცებ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ვხედავ, გარეთ მარიკა ბაღდავაძე და თამრიკო ჩხეიძე მილიციას ვიღაც კაცს

გლეჯენ ხელიდან. თურმე წერეთელს იჭერდნენ, რატომ აგროვებო ხელმოწერებს და ჩემი გოგონები ექომაგებიან. ხელმოწერები მილიციას წაურთმევია, ვიღაც მოქალაქე გამოსარჩლებია, თავადაც ამ კაცს სამი წლის ბავშვი ხელში ეჭირა. მერე ამ კაცს ეცნენ დასაპატიმრებლად, როგორც იქნა გავაშვებინეთ ხელი. 15 წუთის ჩაწყნარებული იყო აყალ-მაყალი, მე და ზვიად გამსახურდია ვდგავართ და ვსაუბრობთ, ამოვისუნთქეთ, გვგონია მშვიდობიანად დამთავრდა, თითქოს, ყველაფერი. ამ დროს მოგვიახლოვდა გენერალი კვანტალიანი და ზვიადს სთხოვა, ერთი წუთით გამოგვყევითო. ვხედავ, რომ კვანტალიანს მანქანისკენ მიჰყავს ზვიადი და უნდა შიგნით შეიტყუოს. მე გავძახე ზვიადს, სად მიჰყვები-მეთქი. ის კი მეუბნება: – „ეს კვანტალიანიაო!“. ვეუბნები: „კვანტალიანია, სახაროვი ხომ არა-თქო!“. კვანტალიანი აილეწა და თან ზვიადს მანქანისკენ ექაჩება. ორმა ქალმა წეღან წერეთელი ძლივს გამოვგლიჯეთ ამ ჩეკისტებს და ახლა ზვიადი უნდა დაგვეხსნა. კვანტალიანს გავყვირე: „რა იყო, ზვიადს ხომ არ იჭერთ-მეთქი“ და უცებ ატყდა ისევ პანიკა. იჭერენ!, იჭერენ! – აყვირდა ხალხი. უცებ ხალხი გამოენთო გარეთ, თამრიკო და მარიკა ისევ გამოვარდნენ, მარიკა მანქანას ჩაუხტა, მძღოლმა მანქანა დაძრა (ზვიადი მაინც ჩასვეს მანქანაში)... მარიკა გვარამიამ, „უგროზისკის“ უფროსმა „გამოიტაცა“ საბურავებიდან, თორემ გადაუვლიდა. სვეტიცხოვლიდან ფეხით წამოვედით. მილიცია ავტობუსით მოგვყვებოდა გვერდით და თან ავტობუსში გვეპატიჟებოდა, დაბრძანდითო. ჩვენ უარს ვეუბნებოდით. გვინდოდა რკინიგზის სადგურამდე ჩავსულიყავით. თბილისში მატარებლით ჩავიდოდით და ზვიადს იქ მოვიკითხავდით. იქ, სადაც არსენას ძეგლია, ჩოჩქოლი ატყდა. მილიციელები მოგვვარდნენ, აგვწიეს ჩვენ, სამი გოგო და მანქანაში ჩაგვსვეს. ბაბელის ქუჩაზე, სადაც საპატრიარქოა, იქ იყო მილიციის განყოფილება, დ. სარალიძე იყო მაშინ უფროსი. ღამის 3 საათამდე გვაყურყუტეს. ყველა სხვა გაუშვეს, ჩვენ დაგვტოვეს. გვითხრეს, თითქოს ზვიადი არ დაუპატიმრებიათ, სახლში გაუშვესო. ამ დროს მისმა ცოლმა, მანანა არჩვაძემ, გაიგო მისი დაპატიმრების ამბავი და მოვიდა განყოფილებაში. გურამ მამულია, ჩვენი ახლობლები უკვე იქ იყვნენ. მერე „გაგვაგებინეს“, რომ 120 მილიციელი გვყოლია თურმე ნაცემი. სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. ჩვენ ხუთს – წერეთელს, კოშკაძეს, ბაღდავაძეს, კაკაბაძეს, ჩხეიძეს თურმე 120 კაცი გვიცემია... ჯერ ხუმრობა გვეგონა, მერე სულაც არ აღმოჩნდა ხუმრობა...

მილიციელები გვიჩიოდნენ, თითქოს ჩვენ ისინი ვცემეთ. ჩვენ საქმეს პროკურორი ხარშილაძე იძიებდა. ბრალი გვედებოდა... ხულიგნობაში. მოგვცეს 228-ე მუხლის მეორე ნაწილი – ბოროტი ხულიგნობა... და ამ ხუმრობა-ხუმრობაში გადაგვცეს სასამართლოს. სასამართლო ჩატარდა მცხეთაში. იყო ძალიან უჩვეულო პროცესი. ქალაქი ტანკებით იყო გარშემორტყმული, ხოლო სასამართლოს შენობის კარებთან 2 ტანკი იდგა. ეს იყო ენით აუწერელი პარადოქსი. პროცესი ისე დაიწყო, რომ დაკითხვაც კი, დაზარალებულებისა და „ხულიგნების“ დაპირისპირებაც კი არ ყოფილა. იყო მხოლოდ სასამართლო. პროცესი დახურული იყო. მე, მარიკა ბაღდავაძეს, მარიკა კოშკაძეს, თამარ ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს მოწმეები პირზე დაგვადგნენ, რომ ჩვენ ისინი უმოწყალოდ ვცემეთ და სერიოზულად დავაზიანეთ. კიდევ კარგი, რომ „სიცოცხლის მოუშლელად“. ცხოვრებაში ასეთ ურცხვ და ამავე დროს სასაცილო მდგომარეობაში არ

ვყოფილვარ. ისეთი სისულელეები გვესმოდა, რომ თავს ვერ ვიმაგრებდით, სიცილისგან ვიხოცებოდით. ისეთ აბსურდულ მარაზმატულ ბრალდებებს გვიყენებდნენ! ზოგ „ბრალმდებელს“ რცხვენოდა, ზოგს – არა. უმეტესობას არ რცხვენოდა. 5 წელი პირობით მოგვცეს... მერე ჩვენ, ქალებს, ამნისტია შეგვეხო.

ამის გარდა ჩემს ცხოვრებაში ბევრი სხვა ტრაგი-კომიკური ისტორიაც იყო: აი, ერთ-ერთი: საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში ბრეჟნევი სტუმრობდა. რასაკვირველია, ჩვენც ვემზადებოდით. აქცია უნდა გაგვემართა. მილიციამ ყველა ცალ-ცალკე აგვიყვანა სხვადასხვა ქუჩაზე... მე და ჩემი ინსტიტუტის მეგობრები მოვდივართ და ყველას ერთად არ გვტაცეს ხელი და შეგვყარეს მანქანაში?! წაგვიყვანეს გლდანის მიმღებ-გამანაწილებელში. მე კიდევ არა მიშავს, ხოლო ის სამი გოგონა, მე რომ მახლდა, ძალიან შორს იყო პოლიტიკისაგან, მათ გარდა, ვინმე ჩემიანი თუა კიდევ მილიციის შენობაში, არ ვიცოდი... გვარამია მეუბნება, ცოტა ხანში სიურპრიზს მოგიწყობო. სიურპრიზი, რასაკვირველია, ციხეში გამგზავრება მგონია... სხვა რა სიურპრიზი უნდა იყოს მილიციაში? ღამის სამ საათზე მოვიდა თხუთმეტკაციანი ბადრაგი და ალყაში მომაქციეს. მითხრეს, რომ მათთან ერთად უნდა წავსულიყავი. უცებ ვხედავ ჩემს მეგობრებს: მარიკა ბაღდავაძეს, მარიკა კოშკაძეს და თამრიკო ჩხეიძეს. ჩაგვსვეს მანქანაში და წაგვიყვანეს სასტუმრო „კახეთში“, თელავში. წინასწარ ყველა იქ მცხოვრები გამოასახლეს, ეუბნებოდნენ – უცხოური დელეგაცია მოდისო... ასე დაცალეს მრავალსართულიანი სასტუმრო ჩვენთვის, 4 გოგონას გამო... 10-12 დღე იმ სასტუმროში ვიყავით. ჩემებს ჩვენი დაკავების შესახებ მეორე დღეს გააგებინეს, დაცვა ჩვენს გვერდით ოთახში იყო დაბანაკებული. არავის უშვებდნენ ამ სასტუმროში მთელი ამ ხნის განმავლობაში... სასაცილო ის იყო, რომ ყველაფერი ამ სასტუმროში „გრაფიკით და განრიგით“ მიმდინარეობდა. 8 საათზე, როცა სავახშმოდ შევდიოდით სასადილოში, ორკესტრი, მუსიკა უკრავდა. მომღერლები მღეროდნენ... ზოგი ძლიერი შთაგონებით მღეროდა, ზოგიც უხერხულობას გრძნობდა. მთელს სასტუმროში ჩვენ, 5 ადამიანი ვიყავით, ჩვენთვის მუსიკა უკრავდა და... ჩვენთვის მღეროდნენ. ხალხი ამაში ხელფასს იღებდა!

როცა ბრეჟნევი წავიდა, უკან ჩამოგვიყვანეს, თბილისში. ძალიან სასაცილო იყო ეს ყველაფერი. მთელი თელავის „კაგებე“ და თბილისის ჩეკისტები აქ იყვნენ, ჩვენთან. მთელი სასტუმრო სავსე იყო ამ ადამიანებით. იმ ოთახების გარეთ, სადაც გვეძინა, მუდმივად მორიგეობდა 2 კაცი. ჩვენ ვიყავით უკანონო პატიმრობაში. ვიყავით გატაცებულნი, რადგანაც ჩვენზე სანქცია არ იყო გაცემული, ჩვენზე სისხლის სამართლის საქმე არ იყო აღძრული!

1983 წელს, კომპარტია გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს აღნიშნავდა და ამასთან დაკავშირებით ირაკლი წერეთელმა, რამდენიმე მეგობართან ერთად, პროკლამაციები გაავრცელა ტრაქტატის შეფასებით... ჯავახიშვილის მე-5 ტომიდან ციტატით. ამგვარი, „არასაავტორო“ ლიტერატურის გავრცელება არანაირ აღმკვეთ ღონისძიებას არ ექვემდებარებოდა, მაგრამ ირაკლი მაინც დაიჭირეს. მის გასათავი-სუფლებლად გენერალურ პროკურორს შევხვდით და მოთხოვნა გადავეცით; ამ შეხვედრიდან ჩამოსულებმა, დაახლოებით 80-100 კაცმა, რუსთაველზე პლაკატებით მსვლელობა მოვაწყვეთ, 50-მდე ადამიანს მილიციის განყოფილებაში გვიკრეს თავი... დღის ბოლოსთვის დანარჩენები გაუშვეს და დაგვიტოვეს მე, თამრიკო,

მარიკა, გია ჭანტურია. და ისტორიკოსი ზურაბ ცინცაძე... (აწ გარდაცვლილი). ეს უკანასკნელი თვითონ ავიდა მილიციის მანქანაში, რადგანაც სხვები დააკავეს. ლუიზა შაკიაშვილი შემდეგ დღეს შემოგვიერთეს, რადგანაც შეატყვეს, რომ მეგობრების დაპატიმრებას პასიურად არ შეეგუებოდა. მუხლი 206 – საზოგადოების წესრიგის დარღვევა. გაგვასამართლეს, სამ-სამი წელი მიგვისაჯეს. შევარდნაძე რეზო ჩხეიძეს პირდებოდა, ტრაქტატის დღესასწაულს რომ ჩავატარებ, ამათ გამოვუშვებო, თუმცა მოგვიანებით ჩვენებს ჩვენს გაციმბირებაზეც კი ესაუბრებოდნენ. სამჯერ მანქანას ჩაუვარდა დედაჩემი, სასწრაფო-სასწრაფოზე მოდიოდა მასთან. ეს იყო ოჯახის ტრაგედია...

ვიცოდი, რაზეც მივდიოდი

დისიდენტობის დროს მე ვიცოდი, რაზეც მივდიოდი. მზად ვიყავი ყველაზე ცუდისთვის. რასაკვირველია, ეს ყველაფერი დახვრეტით და პატიმრობით შეიძლება დამთავრებულიყო. საუკეთესო შემთხვევაში – პატიმრობით. მკვლელობებიც ხდებოდა. იყო ისეთი შემთხვევები, როცა, უკრაინაში და რუსეთში, დისიდენტებს უსწორდებოდნენ, კლავდნენ. ამიტომ ფსიქოლოგიურად მე ამისთვის მზად ვიყავი. დაპატიმრების პირველ დღეს, მაშინ რომან გვენცაძე იყო სამძებრო განყოფილების უფროსი, მასთან ვიჯექით ღამის სამ საათამდე. რომანი ელოდებოდა „ზემოდან“ გადაწყვეტილების მიღებას. მასთან ჩვენ შინაურული საუბრები გვქონდა – არანაირი გაღიზიანება. მე, თამრიკო ჩხეიძე და მარიკა ბაღდავაძე ვიყავით ოთახში. სანამ ჩვენი დაპატიმრების მაუწყებელი ზარი გაისმებოდა, უამრავი სატელეფონო ზარი იყო ჩვენი თანდასწრებით და რომანს უამრავ ზარზე უხდებოდა პასუხის გაცემა, ტელეფონზე გაუთავებელად საუბრობდა. ის ზარი, რომელიც ჩვენი დაპატიმრობის მაუწყებელი იყო, რომანის სახეზე წავიკითხე. მივხვდი, რომ რაღაც ძალიან ცუდი მოხდა. მან უცებ ფერი დაკარგა, გათეთრდა, გაფითრდა, თითქოს დაპატარავდა კაცი. იჯდა თავჩაღუნული, ჩვენსკენ არ გამოუხედია. თამრიკო და მარიკა ლაპარაკობდნენ და მხოლოდ მე ვუყურებდი რომანს თვალებში. იჯდა, არ განძრეულა და რამდენიმე წუთის მერე ადგა სკამიდან და გვითხრა, უნდა წამომყვეთო. როცა მივყვებოდით ქვევით, სარდაფში, მაშინაც კი ვერ წარმოგვედგინა, რომ ეს ნამდვილი დაპატიმრება იყო. თამრიკო მეკითხება, რა ხდებაო და ვუპასუხე, მგონი გვიჭერენ-თქო... მაინც არ გვჯეროდა, მაშინაც კი, როცა „კაპეზეში“ ჩაგვიყვანეს. გაგვიღეს საკნები და ცალ-ცალკე საკნებში გვიშვებდნენ. თამრიკომ მითხრა, იქნებ ყველაფერი გააკეთო, რომ ერთად მოვხვდეთო. ცალ-ცალკე – არა! მივტრიალდი და ვუთხარი რომანს, იქნებ ერთად გაგვაჩეროთ-თქო. მარიკა გაიყვანეს. რომანს ვთხოვე, რაღაცა ჰქენით, თუ შესაძლებელია, მე და თამრიკო ერთ საკანში ვიქნებით-თქო. კარგიო, ამას ჩემს თავზე ავიღებო, მიპასუხა და „კაპეზეს“ უფროსს უთხრა, რომ მე და თამრიკო ერთად შევეშვით საკანში.

ეს იყო მძიმე სურათი. საკანში იყო ცემენტრის იატაკი, საწოლები არ იყო, კუთხეში კი ოდნავ, 20-25 სმ-ზე შემაღლებული ცემენტი „იდგა“. ეს იყო წინასწარი დაკავების საკანი. ერთი ქალი იყო იქ. არ ვიცი, ჩვენი მეთვალყურე თუ მართლაც პატიმარი. არა ზეწარი, არა გადასაფარებელი, არაფერი. და მახსოვს: ცემენტს ზევიდან ჰქონდა თხელი „ფანერა“, რომელიც ამდენი წოლისგან

გაქონილი და ოფლით გაჟღენთილი, მუქი ყავისფერი იყო და ისე შემზარა იმის გრძნობამ, რომ ამ „საწოლზე“ უნდა დავმჯდარიყავი, ლამის გული შემიწუხდა. „პოდიუბკა“ გავიხადე და დავაფინე და მთელი ღამე ასე ვიჯექით. „საწოლი“ თითქმის იატაკზე იყო. იქ ვიყავით 3 დღე და მერე გადაგვიყვანეს მე-5 იზოლიატორში. მერე, მოგვიანებით, გავერკვიე „ციხის სიტუაციაში“.

როცა ციხეში ხარ, ბევრი დრო გაქვს საკუთარ ცხოვრებაზე დასაფიქრებლად. ადამიანის ცხოვრებაში ციხის პირველი სამი დღე ყველაზე საშინელია. ეს არის ნამდვილი შოკი. როცა ადამიანი პირველად ჩაიდენს დანაშაულს და მას დააპატიმრებენ, მაქსიმუმი, ალბათ, რაც უნდა მიუსაჯონ, ეს ციხეში ყოფნის სამი დღეა. ეს იმოდენა შოკია ადამიანის ფსიქიკისთვის! ეს სამი დღე ისეთი სერიოზული დარტყმაა, რომ თუ ადამიანი მეოთხე დღეს გათავისუფლდება, იგი არასოდეს აღარ ჩაიდენს დანაშაულს. მერე კი უკვე ხდება ციხესთან შეგუება და ეს ყველაფერი გადადის ჩვეულებრივ რიტმში და ისეთი შემზარავი აღარაა. ყველაფერს ეგუები ადამიანი. ადამიანი იმიტომაცაა ადამიანი, რომ ყველაფრიდან ხედავს გამოსავალს და ეგუება იმ პირობებს, რა პირობებშიც მას ცხოვრება აყენებს. პირველი პატიმრობა სერიოზული დარტყმა იყო ჩემთვის.

მე პირველი ნასამართლობა მქონდა 1981 წელს, მეორე – 1983-ში. ციხეში, ამ მიწისშქვეშა საპყრობილეში, „კაგებეს“ იზოლატორში, იყო არაადამიანური გარემო. ეს იყო ნამდვილი სასაფლაო. აქ ცოცხალი ადამიანები იყვნენ დასამარებულნი. საკანში ხმაური არსაიდან არ გადიოდა და არ შემოდიოდა... სქელი ნოხები იყო დაგებული. ადამიანური მოპყრობა აქ არ არსებობდა. არც ერთი გარეთ გამყვანი, ანუ „ვივოდნოი“ არ გელაპარაკებოდა. ის ბიჭები თუ კაცები საკნის კარებთან იდგნენ და როცა ჩაუვლიდნენ საკანს, შენს საკანთან „გლაზოკში“ შემოგხედავდნენ.., როცა ასე გამოწმებდნენ, „გლაზოკში“, თვალი „დიდდებოდა“ და თითქოს მისი შიგთავსი სრულად ჩანდა. ეს იყო ნამდვილი საშინელება...

პატარა სივრცე იყო საკანში. შუაში პატარა ტუმბო, კუთხეში ნარი. ნარსა და ნარს შორის „პარაშა“ იდგა, რომელსაც არ ვხმარობდი. დილას და საღამოს გარეთ გავყავდით... როცა ციხეში ხარ, იქ ადამიანის ორგანიზმი სხვაგვარად ფუნქციონირებს. ფიზიოლოგია თითქოს ეგუება ექსტრემალურ პირობებს. ქალის კრიზისული დღეებიც თითქოს ამ რეჟიმზეა მორგებული.

საკანში ხმაური აკრძალული იყო... ხმამაღლა რომ დაგელაპარაკა, შემოვიდოდნენ, გავიყვანდნენ საკნიდან და კარცერში ჩაგსვამდნენ. მე ვიღაც არანორმალური ქალი შემომიყვანეს საკანში. ასეთი სიმკაცრის ფონზე, ეს ქალი გაუთავებლად აწყობდა ისტერიკებს. მაბრალებდა, თითქოს მისი დახრჩობა მინდოდა, რაღაცეები ეჩვენებოდა, ბოდავდა. ეს, რასაკვირველია, ჩემს გონებაზე მოქმედებდა. მერე ჩემთვის ვფიქრობდი: ან ეს ქალია გიჟი, ან მე ვარ გიჟი. ველარ ვიძინებდი, შიშები მქონდა, ვაითუ ღამე, ძილის დროს რაიმე ევნო ჩემთვის.

როცა ეს ქალი კიოდა, არავინ იხედებოდა ჩვენს საკანში. ასეთი ისტერიული შეტევები ხშირად ემართებოდა. სულ დაძაბული ვიყავი. 6 თვე ჩემთან იჯდა საკანში. სწორედ იმ დროს მოხდა „თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგედია. ეს არის 1983 წელი. მერე გავიგე, რომ იმ შენობაში შემოიყვანეს, სადაც მე ვიყავი. ჩვენთვის ჩვენი ციხეში ყოფნაც და „თვითმფრინავის ბიჭების“ დაჭერაც სერიოზული სტიმული იყო ბრძოლისთვის...

იზოლატორიდან ციხეში გადაყვანის დღე, როგორც „სანატორიუმის დღესასწაული“, ისე იყო ჩვენთვის. სამი თვე, როცა სრულიად მარტო ხარ საკანში და დამლაპარაკებელიც არა გყავს, ნამდვილი, ენით აუწერელი საშინელებაა... მერე შიმშილობა გამოვაცხადე. მარტო როცა ხარ, არაფერი გახალისებს. უბრალოდ, საჭმელს არ ვჭამდი. არ მინდოდა. მერე, ალბათ, იფიქრეს, არ მოკვდესო. და ვიღაც ქალი შემომისახლეს – თელიანის ღვინის ქარხნის დირექტორი. მანამდე კი სამი თვით ვიღაც პოლონელი ქალი შემომიყვანეს. დამლაპარაკებელი შემომისახლეს...

ჩვენი დისიდენტობა იმით დაიწყო, რომ ვიცოდით ერთი რამ – ადამიანის ძირითადი უფლებებია: სიტყვის, რწმენის, არჩევნების უფლება, რაც არ არსებობდა, ანდა გამუდმებით ირღვეოდა მაშინდელ სსრკ-ში. ჩვენ კი, დისიდენტებს, ძირითადად გვაპატიმრებდნენ ცრუ ინფორმაციის, „ჭორის გავრცელების“ მუხლით. ეს კი საქართველოს კანონმდებლობით ისჯებოდა. ასევე ისჯებოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდა და თვითგამოცემების გავრცელება. ჩვენ, ნებსით თუ უნებლიედ, ამ კანონის „უხეში“ დამრღვევები ვიყავით. ამავე დროს ვამბობდით, რომ ჩვენ არა ვართ დამნაშავეები,ჩვენ არ ვარღვევთ კანონსტიტუციას. ჩვენი პრინციპები ეფუძნებოდა იმას, რომ ადამიანი არის ღმერთისგან შექმნილი არსება, სულიერი, მას აქვს უფლება გამოთქვას თავისი აზრი, შეიკრიბოს იქ, სადაც სურს შეკრება და გაუზიაროს თავისი აზრი თანამოაზრეებსა თუ მოწინააღმდეგებს. ეს უფლება არის ფუნდამენტური უფლება და არ შეიძლება მას სახელმწიფო ვინმეს ანიჭებდეს ან ართმევდეს. ვინაიდანაც შენ ადამიანად დაიბადე, შენ ეს უფლება უკვე გაქვს! გაქვს უფლება აირჩიო შენი ხელისუფლება, ანუ ის, თუ ვის ანდობ შენი უფლებების ნაწილს, რომელიც უნდა განახორციელო...

ჩვენ ვიყავით სინდისის პატიმრები, ანუ ადამიანები, რომლებიც თავისი შეხედულებებისა და რწმენის გამო იდევნებოდნენ. კომუნისტების დროს იკრძალებოდა რწმენა, ეკლესიაში სიარული, იდევნებოდა განსხვავებული აზრი. თუნდაც – აკაკი ბაქრაძის ლექციები, რომელიც „კაგებეს“ გამუდმებული ყურადღების ქვეშ ექცეოდა.

მაშინ, რასაკვირველია, რისკთან იყო დაკავშირებული ნებისმიერი არაკომუნისტური გამოთქმა... იმდროინდელი დისიდენტები მკვეთრად განსხვავდებოდნენ გორბაჩოვის დროინდელი დისიდენტებისაგან. ჩვენ ვიბრძოდით სულიერი იდეალებისათვის. მერე შემოვიდა კერძო, მერკანტილური, პოლიტიკური ინტერესები... მერე დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებაში მოსასვლელად. დისიდენტობა შეიცვალა ხელისუფლებისთვის ბრძოლით, შეიქმნა პოლიტიკური პარტიები. შემდეგ შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციები და ჩვენც დავაფუძნეთ ასეთი ორგანიზაცია: *ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის.*

70-იანი წლების ბოლოს იყო *საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი* – ჩხეიძე, იმნაძე, ნიკოლაიშვილი და სხვები, ისინი სხვა საქმიანობასთან ერთად პროკლამაციებსაც ავრცელებდნენ. „პერესტროიკამდელ“ ორგანიზაციებს შორის იყო აგრეთვე ე. წ. „*სეგო*“, – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია. ასევე *რესპუბლიკური პარტიაც.*

შემდეგ ნელ-ნელა დისიდენტობას ჩაენაცვლა პოლიტიკური პარტიების სიმრავლე. შეიქმნა პოლიტიკური ჯგუფები. ლიდერები თითზე ჩამოსათვლელნი

იყვნენ: ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა. ამ ადამიანებმა ჩათვალეს საჭიროდ ცალ-ცალკე პარტიები ჩამოეყალიბებინათ. მე ვთვლიდი ასევე, რომ იმ პერიოდში ხელისუფლებაში მოსვლა ვერაფერს ვერ შეცვლიდა და კომუნისტების დროს არჩევნების ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ ბინძური თამაშის გაჩაღების საბაბი იქნებოდა. მე არც მაშინ და არც ახლა არ ვთვლი, რომ ჩემი ადგილი პოლიტიკაშია. არასამთავრობო ორგანიზაციას უფრო აქვს საშუალება დაიცვას ადამიანის უფლებები.

ჩვენ 1995 წელს ვქმნით ჩვენს ორგანიზაციას და 1996 წელს ვრეგისტრირდებით. შემდეგ რეგიონებში ვაყალიბებთ ჩვენს ორგანიზაციებს. ძირითადად ჩვენს ორგანიზაციაში ვმუშაობთ ქალები: თეონა ლოლაძე (ახმეტა), ანაიდა ოგანესიანი (ახალციხე), შუქია ნაროზაული (ქუთაისი). ლევან სახვაძე მუშაობს რუსთავში.

ახალგაზრდული ენთუზიაზმი დისიდენტობის დროს ნამდვილად იყო. ყველას უხაროდა საქმე. დღეს კი, არსებული ორგანიზაციები, ძირითადად, უცხოურ შემოსავალზეა ორიენტირებული. მაშინ ჩვენ არანაირი შემოსავალი არ გვქონდა... ჩვენს საქმიანობას ჩვენი ოჯახის სამკაულები, ძვირფასეულობა ეწირებოდა. ეს იმისთვის, რომ გაზეთი გამოგვეცა, პროკლამაციები დაგვებეჭდა. მეც ჩემი მშობლების თანხებით ვსარგებლობდი. არ გვენანებოდა, რადგანაც ვთვლიდით, რომ ეს ყველაფერი ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს ეწირებოდა. ვიცოდით, რომ ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანს და ღირებულს ვაკეთებდით.

მახსოვს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ხელისუფლებამ მიმამაგრა ტყავ-საგალანტერეო საწარმოში. იქ ვმუშაობდი და მაქსიმალურად ვიტვირთავდი თავს. ძალიან რთული იყო ეს საქმიანობა. ის, რასაც ჩვენ, დისიდენტები, ვაკეთებდით, მოითხოვდა ჩვენგან მაქსიმალურ დროს და დანახარჯებს, სულიერ რესურსებს. მერე ეს ტყავ-საგალანტერეოც კი გახდა ჩემთვის დისიდენტური საქმიანობის არენა. იქ ხმარობდნენ ტიპოგრაფიულ საღებავებს. ამ ტიპოგრაფიული საღებავებით სიტყვებს წერდნენ იარლიყებზე. თანამშრომლებს ვთხოვდი (ძალიან თანამიგრძნობდნენ), ისინი ამ საღებავებს ბოთლში მისხამდნენ და საღებავს პროკლამაციების დასაბეჭდად ვიყენებდი. ღრუბლებს – „გუბკებსაც“ ვხმარობდი. ამ „გუბკებით“ ვასუფთავებდით საბეჭდ მანქანას, რომელსაც ამოღებული ჰქონდა საბეჭდი ფირი, და მის მაგივრად ვდებდით სანთლის ქაღალდს. როცა მას მანქანა ურტყამდა, ანარეკლი იბეჭდებოდა, ქაღალდზე რჩებოდა ამოტვიფრული ასოები. შემდეგ ამას ტიპოგრაფიულ ღრუბელს ვაფენდით, და ამ ქაღალდზე ვადებდით ჩვეულებრივ თაბახის ფურცელს. მასზე კი უკვე იბეჭდებოდა პროკლამაციის ტექსტი. ასე 500-1000 ეგზემპლარს ვაკეთებდით და მერე ამ ეგზემპლარებს ვაშრობდით. ეს „სარეცხი“ გაფენილი იყო ჩვენს ოთახებში. რასაკვირველია, გამრავლების პროცესი უნდა ყოფილიყო კონსპირაციული, უხმაურო. ჩვენ ფანჯრებს ფარდებს ვაფარებდით, ამას თავისებური ეგზოტიკური აურა და რომანტიკული განცდები ახლდა.

მახსოვს, თამრიკო გადაასახლეს გარეჯის უდაბნოში, თითქოსდა ინსტიტუტიდან განაწილებით გაუშვეს. მარიკა ბაღდავაძეც იქ იყო. ორივე იქ „სტაბილურად“ ცხოვრობდა, განდეგილებივით. მაშინ იქ მედიკო მეზვრიშვილი იყო კომპარტიის პირველი მდივანი. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ იქაც, იმ სახლსაც კი ვიყენებდით პროკლამაციების დასამზადებლად და გასავრცელებლად.

სადაც კი ჩვენ მოვხვდებოდით, ყველა ადგილის გამოყენებას ვცდილობდით ჩვენი საქმიანობისათვის. როცა ვიხსენებ იმას, თუ რას და როგორ ვაკეთებდით, გული მწყდება, რომ ახლა ასე გულიანად ცოტა ვინმე თუ აკეთებს საქმეს. ახლა გრანტებია მოდაში და გრანტის გამცემი ორგანიზაციების უკან კი იმ ქვეყნის ინტერესები დგას, რომლებიც აფინანსებენ ამა თუ იმ პროექტს. დისიდენტობის დროს საქართველოსთვის უფრო მეტი კეთდებოდა, ვიდრე დღეს კეთდება.

მიწისქვეშა სამყარო

იურიდიული განათლება, შეიძლება ითქვას, ოფიციალურად არ მიმღია, პროფესიით ქიმიკოსი ვარ... მაგრამ რადგანაც მინდოდა ადამიანის უფლებების დამცველი ვყოფილიყავი, ძალიანაც „გამოსადეგარი" იყო ის, რაც ციხეში ვნახე და იმ ცხოვრებით ვიცხოვრე. ბავშვობაში სერიოზული დაბრკოლებები, პრობლემები არ მქონია, ციხე კი დამეხმარა დამენახა, თუ როგორ ცხოვრობს ყველაზე მეტად დაჩაგრული საზოგადოება და რა პრობლემები აწუხებს მას. ადამიანზე მზრუნველობა და სითბო ყველა ადამიანს სჭირდება. სჭირდება თანაგრძნობა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს გამოცდილება ჩემი პროფესიული გამოწრთობისთვის. არ მინანია, რომ ციხეში ვიჯექი და არც ახლა ვინანებ და ვიწუწუნებ, თუ კვლავ იქ ჩამსვამენ.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ გარე სამყარო ჩემთვის მოულოდნელი და ლამის მიუღებელი იყო. გამიჭირდა ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნება. სახეები დამავიწყდა, მავიწყდებოდა ნაცნობ-მეგობრების სახელები. ისეთი განცდა მქონდა, რომ გარე სამყარომაც დამივიწყა და მეც მავიწყდებოდა გარე სამყარო. დეპრესია მქონდა, ყველაფერს მოწყვეტილი ვიყავი. ციხეში მონაზვნურ ცხოვრებას ვეწეოდი, ლოცვებს ვკითხულობდი, სახარება-ბიბლიას ვკითხულობდი. წიგნი იქ შეგეძლო მოგეთხოვა, წაგეკითხა, ბიბლიაც კი...

ჩემი საკანი რაღაცით სამონაზვნო კელიას დაემსგავსა... მაგრამ როცა თავისუფლება მეღირსა, ძალიან გამიჭირდა გარე სამყაროსთან შეგუება.. როცა გარეთ გამოვედი, სიხარულის განცდა არ მქონდა. პირიქით, საშინელ წუხილს, სინდისის ქენჯნას განვიცდიდი, რომ იქ, იმ კედლებში ისევ დარჩნენ ადამიანები... მე თავისუფლება მეღირსა, ხოლო ამ ადამიანებს – არა. როცა მათთან ერთად ცხოვრობ, ძალიან ძნელია დაიჯერო, რომ ისინი ნამდვილი კრიმინალები არიან. შეუძლებელი იყო იქ, ციხეში, არ გეცხოვრა მათი ცხოვრებით. იქ მეორე პლანზე გადადის დანაშაული. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ამ დანაშაულისათვის ახსნა მოეძებნათ, ცხოვრებაში ხომ არავინ არაფრისგან არაა დაზღვეული. დღეს ამ ადამიანს მოუვიდა უბედურება, ხვალ შეიძლება შენ მოგივიდეს ანალოგიური რამ.

ძალიან ხშირად, უკვე ციხიდან დახსნილი, მივდიოდი მეხუთე იზოლატორთან ჩიტაძის ქუჩაზე ან ორთაჭალის ციხესთან. ღამეა, სიჩუმეა და იქიდან ყრუ ხმები გამოდის... რამდენჯერ მომისმენია ამ ხმებისთვის. ყმუილი კი არა, რაღაც ხმები, რამდენჯერ ამ ხმებისთვის მიმიყურადებია და მიცვნია კიდეც ნაცნობი ხმა. რამდენჯერ მიმიყურადებია, რათა გამეგო, რა ხდებოდა შიგნით... ეს ტკივილი დიდხანს გამყვა და ყოველთვის მეგონა, რომ ორი ცხოვრებით ვიცხოვრე. ერთი ის, რომელიც თავისუფლებაში გავატარე და მეორე ის, რომელიც ციხეში განვვლე.

ერთხელ მე და თამრიკო ერთად ვართ ოთახში და ჩვენი ექიმი შემოვიდა. გვეუბნება: გოგონებო, რამდენი ხანია ქუჩა და თავისუფლება არ გინახავთ! აბა,

ჩქარა გაიხედეთ ფანჯარაშიო. თამრიკო მაგიდაზე ახტა, მაგიდაზე სასწრაფოდ სკამი ავდგით, სკამზე – სკამი და აძვრა ზევით. პატარა ფანჯარა იყო: ნანა, ნანა, ჩქარა, ჩქარა, ამოდი, ამოდი, ნახეო, მიძახის. ავძვერი. ვხედავთ, გარეთ ქუჩაში გოგო და ბიჭი მისეირნობენ, ისინი მიდიოდნენ ტროტუარზე და აზრზეც კი არ იყვნენ, თუ სად მიაბოტებდნენ! სად მიაბიჯებდნენ!

გახედე, ვეუბნები თამრიკოს, როგორ დადიან! აზრზე არ არიან, რომ თავისუფლნი არიან. არ იციან, რომ ციხის გვერდით დადიან! აზრზე არ არიან, რა თავისუფლები არიან, არ იციან, თუ რა არის თავისუფლება! ჩვენ კი პატიმრები ვიყავით, ციხეში ვიყავით და სწორედ ჩვენ ვიცოდით, თუ რა არის თავისუფლება და როგორია მისი ფასი. მხოლოდ ციხეში შევიგრძენი, თუ რა არის „გარეთ“ ყოფნის ბედნიერება, ანუ – თავისუფლება. როცა თავისუფლებაში ხარ, ამას ვერ გრძნობ. ისე, მართალი გითხრათ, არც არასოდეს მინანია, რომ ციხეში ვიჯექი. მე ვიცოდი, რა მინდოდა ჩემს ცხოვრებაში და რა ცხოვრებითაც ვიცხოვრე მანამდე, სწორედ იმ ცხოვრებით მინდოდა გამეგრძელებინა ჩემი გზა. ეს ჩემი ცხოვრების აუცილებელი მონაკვეთი იყო და, ალბათ, ასე იყო საჭირო. მე უნდა მენახა, თუ რა იყო ციხე. ამიტომაც შევქმენით ეს არასამთავრობო ორგანიზაცია და სწორედ ციხეში, საპყრობილეში მყოფი ადამიანების დახმარება გახდა ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი.

ციხეში ჩვენი საკნების ნომრებიც კი მახსოვს: მე – 139-ში, თამრიკო – 138-ში, მარიკა – 142-ში. ვერ ვივიწყებ იმ პირველ დღეებს და იმ პატიმარ ქალებს, რომლებმაც ჩვენს მიმართ დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეს. მათ იცოდნენ, რომ ჩვენ ბავშვები ვიყავით, რისთვის ვისჯებოდით და მთელი გულწრფელი გრძნობითა და სიყვარულით გვეპყრობოდნენ... ამის გამოც, შემიძლია ვთქვა, ჩემი ცხოვრების მიზანი გახდა ამ ადამიანების ყოფის შემსუბუქება. იქ არ ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ქურდი ხარ თუ მკვლელი. იქ ეკითხებოდნენ სახელსა და გვარს. ჩვენც ერთმანეთი სახელებითა და გვარებით გავიცანით. მერე ერთმანეთს ჩვენს გაჭირვებასა და უბედურებას ვუყვებოდით. ყველანი ერთად ვიჯექით, ჩემს გვერდით, „პოლიტიკური დამნაშავის“ გვერდით, კრიმინალურ საქმეებზე გასამართლებულები იჯდნენ.

18 ადამიანი ვიყავით ერთ საკანში. იჯდნენ ქალები სახელმწიფო ქონების განიავებისთვის, ქურდობისთვის, მათ შორის იყვნენ პედაგოგები, უნივერსიტეტის ლექტორები: ჯულია გორდელაძე, მანანა რცხილაძე, ისინი თაღლითობაში იყვნენ დადანაშაულებულნი და მათ სპეკულაციას აბრალებდნენ. ეს კი დღეს ბიზნესად ითვლება. ჩვენ, პატიმრები, გაჭირვებაზე, უსამართლობაზე და ცხოვრების უკუღმართობაზე ვსაუბრობდით. ციხე ისეთი ადგილია, სადაც ყველაზე უფრო ავლენ შენს თავს. როცა მარტო ხარ, არ გჭირდება არაფრის გამოვლენა, შენს თავს ეკუთვნი მხოლოდ. ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ ავლენ შენს თავს მეგობრებთან და უცხო ადამიანებთან. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ ადამიანს თავისი გაჭირვება და უამრავი პრობლემა ჰქონდა, ჩვენ ისინი ყურადღებით გვისმენდენ და თანაგვიგრძნობდნენ. ისინი ტიროდნენ მიტოვებულ ქმარ-შვილს, ნათესავებს. ჩვენც ვყვებოდით ჩვენს ამბებს. ასე ისხდნენ ჩვენს გარშემო და გვისმენდნენ. მხოლოდ ასე შეიძლება დაინახო შენი თავი, როგორი ხარ... გაჭირვების დროს თავის თავს ყოველთვის ავლენს ადამიანი, ვინც როგორია. მათაც სჭირდებოდათ მსმენელი, რომ გული მოეოხებინათ. ზოგი სად ჩამოჯდებოდა, ზოგი სად და

მისმენდნენ... ამავე დროს თავს იკავებდნენ და არ გვახვევდნენ თავიანთ პრობლემებს. პირიქით, სულ გვეკითხებოდნენ ჩვენი გასაჭირის შესახებ და ამ ლაპარაკში გვიმსუბუქებდნენ მდგომარეობას.

1983-ში, როცა ჩაგვაჯინეს ციხეში, თავიდანვე ჩვენ, ჩვენი უკანონო დაპატიმრების გამო, პატიმრობის პირველივე დღიდან შიმშილობა დავიწყეთ. და იცით, რა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩვენ შიმშილობა შევწყვიტეთ? იმიტომ, რომ არავინ ჩვენს გარშემო აღარ ჭამდა. კი არ ამბობდნენ, არ შევჭამთო, არამედ, უბრალოდ, სოლიდარობის ნიშნად არ ჭამდნენ. როცა გვაწოდებდნენ, იქნებ ეს ან სხვა რამ მიირთვათო, და ჩვენ არ მივირთმევდით, მერე თავადაც არაფერს არ ჭამდნენ... მხოლოდ ჩაის სვამდნენ... და ჩვენც შევწყვიტეთ შიმშილობა. დავინახეთ, რომ ამ ადამიანებმაც შეწყვიტეს შიმშილობა. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა საკუთარი თავის და სხვა ადამიანების გამოცდაა.

ჩვენს ირგვლივ იყვნენ შეყვარებულებიც, რომლებმაც საყვარელი ადამიანი გარეთ დატოვეს. ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც არც არავინ ჰყავდათ ციხის გარეთ. ჩვენ კი შეყვარებულები არ გვყავდა. ჩვენ ჩვენი დისიდენტობით და საგამომცემლო საქმიანობით გვქონდა ჩანაცვლებული ყველაფერი. ეს იყო ჩვენთვის შეყვარებულობაც და პირადი ცხოვრებაც. არც კი ვფიქრობდით ასეთ რაღაცეებზე.

თავიდან, სკოლაში სწავლის დროსაც კი, მქონდა „თეთრი ყვავობის“ განცდა. სანამ გარეთ ვიყავი, ჩაცმითა და დახურვით თითქოს გამოვირჩეოდი, თამრიკო იყო ძალიან განსხვავებული: სამშობლო განსაცდელშია, ამბობდა იგი, ბიჭურად იჭრიდა თმას, რა დროს თმების ვარცხნა არისო... ჭამა ქუჩაში არ შეიძლებოდა. მეუბნებოდა, მთელი „კაგებე“ შენ გიყურებს, შენ კი „პონჩიკების“ ჭამა გიყვარსო, რა დროს ნაყინი და საჭმელიაო, სულ მაკომპლექსებდა, მაგრამ მე მაინც ვაკეთებდი იმას, რაც მინდოდა... ციხეში კი რა დავინახე? დავინახე როგორ ილამაზებდა ხალხი თავს, როგორ უვლიდნენ თავის თავს ქალები 24 საათის განმავლობაში. სხვა რა საქმე იყო? თმებს იჭრიდნენ და ლაქს ისვამდნენ ფრჩხილებზე... მერე ჩემზეც გადმოვიდნენ, ზოგი მივარცხნიდა თმას, ზოგიც მიწნიდა. ყველაზე უმცროსი მე ვიყავი მათთან. მე და თამრიკო მოგვათავსეს ერთ საკანში. პირველი, რაც გავაკეთე, როცა ციხეში ჩაგვაჯინეს, ის იყო, რომ თამრიკოს თმები შევჭერი... პირველად ვიხმარე იქ მაკრატელი და მერე შევეჩვიე თმების შეჭრას. მას მერე, რაც იმ საკანში ჩაგვსვეს, არავინ არ ილანძღებოდა და არ იგინებოდა. ჩვენი ზედამხედველებიც კი არ საუბრობდნენ ქუჩურ ჟარგონზე. მათ ჩვენთან ძალიან კორექტული ურთიერთობა ჰქონდათ.

მახსოვს, ერთი აზერბაიჯანელი გოგონა იჯდა ჩვენთან საკანში, ალა აბდულაევა. ძალიან ლამაზი გოგონა იყო, ნარკოტიკების გასაღებაზე იჯდა. 1980-იან წლებში „ელასტიკები“ და მოდური „ბლუზკა“ ეცვა საკანში. იმისთვის ყველაზე დიდი ოცნება ნარკოტიკი იყო. იყო კიდევ მანანა, „სოხუმჩანკა“. ისიც ნარკოტიკებზე იჯდა, მეკითხებოდა: „მაგ დისიდენტობას დიდ ყუთ ნარკოტიკებზე არ გაყიდდიო?“ არა-მეთქი. აუუუ, რა ყოფილაო ეს პოლიტიკაო, უკვირდა. მე კი ყველაფერს გავცვლიდიო. მისი შეყვარებულიც ნარკოტიკებზე იჯდა. იქ, ციხეში, კარგად უვლიდა თავის თავს. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ იმ კაცს გაშორდა და ნარკოტიკებს ნელ-ნელა დაანება თავი. გადაეჩვია. ისე, 15 წელი ჰქონდა მისჯილი. ნარკოტიკების მომხმარებელიც იყო თავად...

საერთო ჯამში 2 წელი გავატარე ციხეში. ეს წლები უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. წარმოიდგინეთ რა „თავისუფლება“ იყო დისიდენტობის დროს და რა ხდებოდა „პერესტროიკის“ პერიოდში. რაც გინდოდა, თავისუფლად შეგეძლო გელაპარაკა! ხალხს ამის ნებართვა მისცეს. ქალებიც და კაცებიც ალაპარაკდნენ, მაგრამ რაღაც ღირებულებები გაუბრალოვდა და დღეს ასეთი რამ მივიღეთ: ერთს ფიქრობენ, მეორეს ამბობენ და მესამეს აკეთებენ... გაუფასურდა ცნებები: სამშობლო, თავისუფლება, დემოკრატია.

თალიკო აბულაძე

დაბადების წელი: 1935

2003 წელს თბილისში ჩაიწერა

ია მერკვილაძემ

ბავშვობა

– ზუსტად არ ვიცი, როდის დავიბადე, სოფელ ბირცხაში, სოხუმთან. ამბობენ, 1935 წელსო. ბაბუაჩემმა მითხრა, ტყემალი რომ კარგად აყვავდა, იმ წელს დაიბადეო. ბებიამ მითხრა, პირველ მაისს დედაშენი „პარადზე“ გავიდა, დაბრუნდა და მუცელი ასტკივდაო. მამა მთვრალი იყო. ბებიას უთქვამს, მშობიარობა ეწყება, საავადმყოფოში წაიყვანეო... „უჰ, ხვალამდე მოიცდისო“. ბებიას ცხენი გამოუყვანია, დროგზე დაუსვია დედაჩემი – ცაცა და სამშობიაროში წაუყვანია. მე გავჩნდი. „მეტრიკა“ სამშობიაროში არ გაუკეთებიათ. როცა გავთხოვდი, მერე გავაკეთე დაბადების მოწმობა. 1935 წლის 2 მაისი ჩავწერე.

ჩემი დაბადება მამას არ გახარებია: რად მინდა გოგოო... ბებიასთვის უთქვამს, თქვენ თუ გინდათ ეს ბავშვი, თქვენთვის მომიციაო. ჰოდა, ბებია და ბაბუა მზრდიდნენ. მამაჩემს თავად ცუდი ბავშვობა ჰქონდა. ობლად გაიზარდა: 11 ძმა და ერთი და ყოფილან. მამაჩემის მამას, გერასიმე ამბრალაძეს, პირველი ცოლი – 12 შვილის დედა – გარდაეცვალა, მეორე ქალი შეირთო და მისგან ორი შვილი შეეძინა. ე. ი. მამაჩემს უკეთესად დედინაცვალი ახსოვს და ამავე დედინაცვლის გამო ჰქონდა ორი თითი დამწვარი მარჯვენა ხელზე. სახლში თურმე კერიაზე ღომი დუღდა. მამაჩემს ღომისთვის ხელის მოკიდება უნდოდა. დედინაცვალმა კი მაგრად დაარტყა ხელზე, ისე, რომ ხელი ღომში ჩარჩა. მამა გოდოგნელი (ორი გოდოგანია, მარტვილისა და თერჯოლის რაიონებში) კაცი იყო. ამ ამბის მერე მატარებელს დააჯდა და სოხუმში წამოვიდა... ასე გაიპარა სახლიდან სამუდამოდ. 15 წლის იყო მაშინ. ჩემს ბებია მატრონას კი პირველი ქმარი მოუკვდა, ხურცილავა გრიგოლი, რომლისგან დედაჩემი და ოთხი შვილი ჰყავდა. ბებია მეორედ გათხოვდა და ისაკ ჯიმშელეიშვილს გაჰყვა. ბაბუანაცვალი ისე გვივლიდა, როგორც ღვიძლ შვილიშვილებს, თავად მათ საერთო შვილები არ შესძენიათ.

სახლიდან გამოქცეული 15 წლის მამაჩემი სამუშაოს როცა ეძებდა სოხუმში, ბაბუაჩემი (ჯიმშელეიშვილი) გაუცვნია და მოჯამაგირედ დასდგომია. დედაჩემი დაუნახავს, მოსწონებია და ბაბუასთვის მისი ხელი უთხოვია. ასე შეიქმნა სოხუმელების კიდევ ერთი ოჯახი. ბაბუას მამაჩემისთვის მიწა და სახლი მიუცია. აბა, მოჯამაგირეს რა სახლ-კარი ექნებოდა? გაჭირვებით ვიზრდებოდით, შვიდნი ვიყავით. ოთხი და და სამი ძმა. მე ბებიასთან და ბაბუასთან ვცხოვრობდი. დედას ბიცოლას ვუწოდებდი, ბებიას – დედას. ავადმყოფი ბავშვი ვყოფილვარ, რაქიტიანი. დიდი თავით და დიდი მუცლით. ბებია რომ მკოცნიდა, ეუბნებოდნენ თურმე: ამ მახინჯ გოგოს როგორ კოცნიო... ბებიას ეკლესიაში დავყავდი, ლოცულობდა, ჭინჭრის ნახარშში მბანდა. ნუ გეშინია, ბებია, – მეუბნებოდა, – ყველაზე ლამაზი შენ იქნებიო...

მართლაც, გამოვკეთდი. ჩვენი სახლი სოხუმში ჩამბას ქუჩაზე მდებარეობდა. ქუჩის ბოლოს ბერძნების ეკლესია იდგა. ბებიას იქ დავყავდი. კარგად მახსოვს,

რომ ბებიას ბიბლია ჰქონდა სახლში, ლოცვებს ბუტბუტებდა. საქმიანი ქალი იყო, ქსოვდა, კერავდა, ქარგავდა. მეც მასწავლიდა. მეც ხმამაღლა ვამბობდი, ნამდვილი ქართველი ქალისა და კაცის გაზრდილი ვარ-მეთქი.

შვიდი წლისა რომ გავხდი, ჩემი სწავლა-განათლების დროც დადგა. აგურის ქარხნის გვერდით სკოლა მდებარეობდა. მიმიყვანეს პირველ კლასში. მახსოვს კარგად, რომ კლასში აფხაზი და ბერძენი ბავშვებიც იყვნენ. რუსები არ იყვნენ. ისინი რუსულ სკოლებში სწავლობდნენ. ვისწავლე სამი დღე... მხოლოდ სამი დღე. „აი ია“ მახსოვს. მერე ბებიამ სკოლიდან გამომიყვანა. ვტიროდი თურმე, სწავლა მინდოდა. მაგრამ ოჯახი, ძროხები, ქათმები მოსავლელი იყო... სხვა გზა არ იყო. ჰოდა, ამგვარად მე სამი დღის განათლება მაქვს.

დილით ადრე, 6 საათზე, ბაბუა ამაყენებდა. დავიბანდი და ბოსელში მივდიოდი. ძროხის სავარცხელს მომცემდნენ და ძროხას ვასუფთავებდი, ვვარცხნიდი. ბებია კი თამბაქოს მოსაკრეფად მიდიოდა. ძროხას დავასუფთავებდი და ჯიქანსაც გავუსუფთავებდი. მერე ძროხის წველას ვიწყებდი. დილის 9 საათამდე ორივე ძროხისგან 9-10 ლ. რძეს მოვწველიდი, ჩავასხამდი ჭურჭელში – ორ დიდ ბიდონში და ქალაქისკენ გავეშურებოდი. ავტობუსით „პატარა ბაზრამდე“ მივიდოდი და გაჩერებაზე ჩამოვიდოდი... ერთ ბიდონს რომ დავდგამდი წინ, მეორეს ვუბრუნდებოდი და მოვაპორწიალებდი. ასე მოვივლიდი სახლებს, ეზოებს, ვყიდდი რძეს. 1 ლიტრს 50 კაპიკად. ფული და ცარიელი ბიდონები სახლში მიმქონდა. სახლს დავალაგებდი, დავასუფთავებდი. მერე ისევ ბაზარში წავიდოდი და ბებიასა და ბაბუას დავალებებს ვასრულებდი. ხილს, ბოსტნეულს ვყიდულობდი და სახლში მომქონდა. ხშირად ქალები ხმამაღლა შემიცოდებდნენ ხოლმე... სწავლობო? – მკითხავდნენ და არაო, რომ ვეტყოდი. – უი, შე საწყალოო, – მეუბნებოდნენ.

ბებია უსწავლელი ქალი იყო. ბაბუა კი გემზე მუშაობდა მეზღვაურად და წერა-კითხვა იცოდა. ჩემი და-ძმებიდან არც ერთს არა ჰქონდა სრული საშუალო განათლება მიღებული. ზოგს 4, ზოგს 5, ზოგს 7 კლასი ჰქონდა დამთავრებული. მე კი – 3 დღე. ვტიროდი, სკოლაში რომ ვერ დავდიოდი. ბაბუა მაძლევდა კინოს ფულს. ძაფის ფულსაც მაძლევდა და ქსოვა დავიწყე. დედას ვეცოდებოდი, რომ სკოლაში სიარულის საშუალება და დრო არ მქონდა. უკვე 16 წლის ვიყავი, საღამოს სკოლაში რომ მიმიყვანეს, მაგრამ მე თვითონ შემრცხვა. ამხელა ქალი როგორ უნდა დავმჯდარიყავი პატარა გოგონების გვერდით. უბრალოდ, ატესტატი მომცეს... თითქოს სკოლა დავამთავრე.

სახლში საათი არ გვქონდა. როცა მოსაღამოვდებოდა, ჭრაქს ავანთებდით, ვქსოვდით, ვქარგავდით, მატყლს ვპენტავდით. მამალი რომ იყივლებდა, შუაღამეა, – იტყოდა ბაბუა, – და აბა, დავწვეთო. ასე გადიოდა დღეები. დილით ადრე კი ბებიას ბრძანებით ეზოს და გზას ვასუფთავებდი. მაშინ სოხუმში პირველი მდივანი ვინმე მგელაძე იყო (აკაკი მგელაძე, საქართველოს სსრ კომ. პარტიის სოხუმის ქალაქკომის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი 1943-1951 წლებში; იქიდან სამუშაოდ ქუთაისში გადავიდა; მასთან დაკავშირებით ამბობდნენ – ქუთაისიდან რომ წამოვიდა, ებრაელები რელსებს კოცნიდნენო...) იმას უყვარდა თურმე ეზოებში შესვლა და თვალიერება. ჰოდა, ბებია ყოველდღიურად ეზოს მალაგებინებდა.

ერთსართულიანი სახლი გვქონდა (ბაბუას სახლი). ბაბუას ოთახი ყველაზე დიდი იყო. ბევრი საწოლი იდგა... ბავშვები რომ გახდებოდნენ ავად, ყველანი

ბაბუასთან გადმოდიოდნენ. აქ „იხდიდნენ“ დაავადებას. როცა ბებიაჩემი ჩემს დაძმას ეფერებოდა, ვბრაზდებოდი, რადგან მეგონა, რომ ბებიას და ბაბუას სახლში მე ვიყავი მთავარი.

18 წლის ასაკში უბედურება დამატყდა თავს. 35 წლის დედა ავთვისებიანი სიმსივნით გარდამეცვალა. ჩემი უფროსი და უკვე გათხოვილი იყო... დედას საშვილოსნოს კიბო ჰქონდა. როგორ არ ვუმკურნალეთ, მაგრამ ვერ გადავარჩინეთ. სულ პატარა ჩემი და 3 წლისა დარჩა. მამამ სმა დაიწყო. მოვიდოდა, აყვირდებოდა, გაგვყრიდა სახლიდან... მერე გონს რომ მოვიდოდა, მოგვძებნიდა და უკან გვაბრუნებდა. ყოველდღე ნასვამი მოდიოდა... უგონოდ მთვრალი თავის ცხენსა და დროგს მოჰყავდათ. ვეუბნებოდით, ვეხვეწებოდით – მამა, ცოლი მოიყვანე-თქო... – არა, მე ვიცი, დედინაცვლობა რაც არისო, გვპასუხობდა. როცა ჩვენ დავოჯახდით, მაშინაც ვთხოვდით – ცოლი მოიყვანე-თქო. – აწი რად მინდა ცოლიო, – გვპასუხობდა. მამაჩემი დედაჩემის გარდაცვალებიდან 15 წლის მერე მოკვდა.

15 წლისა რომ გავხდი, ნათესავმა ქალმა ერთ-ერთ ლაბორატორიაში დამლაგებლად დამაწყებინა მუშაობა. 15 მანეთი მქონდა ხელფასი. მიხაროდა, სამსახური რომ გამიჩნდა. რამდენიმე ხანში სამკერვალოში შემომთავაზეს მუშაობა. მაშინ სამკერვალოში არ მიგიღებდნენ, სანამ ცეკვისა და სიმღერის გუნდში არ ჩაეწერებოდი. ორივეგან ჩავეწერე. სიმღერაც და ცეკვაც ვისწავლე. კარგად დამამახსოვრდა, რომ ცეკვის მასწავლებლები იყვნენ გივი ვაშაკიძე და თენგიზ დავითაია, სიმღერის – ნაზი ჭანტურია. ჩვენ წრეში ყველაფერზე ვსაუბრობდით სიყვარულისა და პოლიტიკის გარდა. ანეკდოტებს არ ვყვებოდით. ვსაუბრობდით ჩვენს საქმიანობაზე სახლში და სამსახურში. თეატრი მიყვარდა განსაკუთრებით. მსახიობები კობერიძე, ყანჩაველი, ლაფარაძე, კალანდაძე ლამის ჩემი ოჯახის წევრებად მიმაჩნდა. ბიჭებსა და გოგონებს შორის განსაკუთრებული და-ძმური ურთიერთობა სუფევდა. ჩემთან ერთად ქართულს ერთი თბილისელი უცხო ბიჭი ცეკვავდა. სადღაც დამპატიჟა. ჰოდა, ჩვენმა ბიჭებმა ლამის სიკვდილამდე მიიყვანეს, ისე სცემეს. ჩვენს გოგოს ხელი არ ახლოო! ბიჭები პატიოსან გოგონებს დიდ პატივს სცემდნენ. უწესოს გუნდიდან გაადებდნენ. მე „ლამაზოს“ მიძახოდნენ. როცა, გათხოვების შემდეგ, უზბეკეთიდან ჩამოვედი, იქაური კაბა მეცვა და სოხუმელმა ბიჭებმა „უზბეჩკა“ შემარქვეს. ყველანი ვიცნობდით ერთმანეთს, ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით – ქართველები, აფხაზები, რუსები.

ბუნდოვნად მახსოვს, 6 წლის ვიყავი, ომი რომ დაიწყო. მაშინ ხშირად დავძვრებოდი ხილის ხეებზე, ვკრეფდი და ბაზარში მიმქონდა გასაყიდად. ტყემლის ხეზე ვიჯექი, ბებიამ რომ შემომძახა: – „ჩამოდი, თალიკო, ომი დაიწყო...“

მახსოვს, რომ ჩემი ქალაქი დაბომბეს. სოხუმს რამდენიმე ბომბი დაეცა. ბევრმა დატოვა ქალაქი. ჩვენ არ დაგვიტოვებია. უფროსებმა ტყეში გააკეთეს სამალავი – ბუნკერი და ლამის მთელი ქალაქის ბავშვები იქ ვიმალებოდით. არ ვიცი, ასე მახსოვს, თუ უბრალოდ მეგონა, რომ ომი მეც გადამხდა.

მამაჩემმა, როცა კარგად იყო, სახლის შენება დაიწყო, იქვე, ჩამბას ქუჩაზე. ცარიელი კედლები იყო მხოლოდ... მიყვებოდნენ, რომ იქ თურმე პარტიზანები იმალებოდნენ. არ ვიცი, არასოდეს მინახავს ისინი. ის სახლი მერე მთლიანად დაინგრა. უფროსებს ბუნკერში ყოველდღე საკვები მოჰქონდათ ჩვენთვის. ჩვენ ასეთ სიმღერებს ვმღეროდით: „მე ვარ წითელი არმიის ალამი“, ანდა – «Белорусь

родная, Украина – золотая...» მამაჩემი დეზერტირი იყო. ჯარში არ წასულა. მე რომ მომკლან, ჩემს შვილებს ვინ უპატრონებსო, ამბობდა. ისე, არც 1937 წლის რეპრესიები შეხებია ჩვენს ოჯახს. პატიოსანი მუშა ხალხი, გლეხები ვიყავით. თამბაქოს ვკრეფდით, სიმინდს გვაძლევდნენ და თვეში ოჯახში 100 მანეთი შემოგვდიოდა.

სტალინის დროს ჩვენ შიმშილი არ განგვიცდია... არც სამამულო ომის დროს... სტალინის სურათი სულ გვქონდა ბაბუას სახლში. მჭადს ვჭამდით. არ ვშიმშილობდით. დავსეირნობდით სოხუმში, მაიმუნების საშენში (პათოლოგიისა და ექსპერიმენტული თერაპიის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტი, გახსნილი 1927 წ.), ბოტანიკურ ბაღში. წყალი მაშინ ყველა ეზოში არ იყო და მე, მაიმუნების საშენში რომ ონკანი იყო, იქ დავდიოდი გასარეცხად. იგი ჩამბას ქუჩიდან 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა, მიმინოშვილის ქუჩაზე, „ტრაპეციას“ უწოდებდნენ მიმინოშვილისა და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთას. ასე ვცხოვრობდით...

დედის გარდაცვალების მერე ჩვენი ოჯახის საქმე ცუდად წავიდა. ბებია ავად გახდა. თანაც, ბებიას შვილი, დედაჩემის ძმა ივლიანე ხურცილავა უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ომში მამაჩემის 3 ძმაც დაიკარგა... მამაჩემმა კი აიღო და სამი ჩვენთაგანი... გააშვილა (ტირის). ორი და და ერთი ძმა. ციალა – 14 წლის, ხუტა 13 წლის და ეთერი – 3 წლის. გააშვილა არ არის კარგად ნათქვამი. საბუთები არ გაუფორმებიათ... ისე მისცა. ველარ გვპატრონობდა და თან სვამდა. გავიგე, რომ ციალა ძროხებს მწყემსავდა. წავედი იმ ოჯახში, გამოვაპარე და ჩამბას ქუჩაზე დავაბრუნე, ბაღმარანში (სოფელი სოხუმის სიახლოვეს) იყო ვიღაც უცხოსთვის „მიბარებული“. მერე ჩემი ძმა – ხუტა მოვძებნე. მამაჩემს ნათესავებისთვის „მიუცია“. ისიც პირუტყვს მწყემსავდა. პატარა კი ვერ ვიპოვეთ. ეთერის „ქუჩუჩის“ ვეძახდით. ხუჭუჭა თმები ჰქონდა მამაჩემივით... გვეგონა, სამუდამოდ დავკარგეთ. წლების შემდეგ ხუტამ იპოვა...

ჩემმა ძმამ ხუტამ ქურდობა დაიწყო ტრანსპორტში. პატრონი ჩვენ არა გვყავდა და ასეთ გზას დაადგა... ერთხელაც სოხუმში ავტობუსში ვიღაც გოგოს შეხვდა და ჩვენი ეთერი არ იცნო? ჩასულა ავტობუსიდან და უკან გაკიდებია. – რა გინდა, რას მერჩიო? – უთქვამს „ქუჩუჩის“ რუსულად. – შენ ქუჩუჩი არა ხარო? – უყვირია ხუტას, – ქუჩუჩი, შენ ჩემი და ხარო!.. და გადახვევიან ერთმანეთს.

ქუჩუჩი მამაჩემს აფხაზი აშხარავასთვის მიუშვილებია. მაიკოპის ქუჩაზე 207 ნომერში ცხოვრობდნენ. არ ჰყავდათ შვილები. ეს კაცი ავტოსადგურის დირექტორად მუშაობდა. ეთერი რომ წამოიზარდა, თავის სამსახურში დააწყებინა მდივნად მუშაობა. ეთერის, თურმე, ამ წლების განმავლობაში ახსოვდა, რომ და-ძმები ჰყავდა. ეთერის ერთი ფრაზა ახსოვს. ხუტას ხუმრობით ხელში აუყვანია და წყალში გადაგაგდებო, – უთქვამს. ეთერის კი უყვირია: თუ ჩემი ძმა ხარ, ნუ გადამაგდებო. ჰოდა, ეს ფრაზა დამახსოვრებია ქუჩუჩის... ახსოვდა, რომ ძმა ჰყავდა. მაშინ მე შუა აზიაში, ყაზახეთში, გულისტანში (ქ. გულისტანი არის ყაზახეთშიც და უზბეკეთშიც) ვცხოვრობდი... ოთხი შვილი მყავდა უკვე. ჰოდა, ხუტა მირეკავს გულისტანში: თალიკო, ქუჩუჩი აღმოვაჩინეთო! სასწრაფოდ ბილეთი ავიღე სოხუმისკენ. გადმოვფრინდი. თან ოქროს სამკაულები ვიყიდე... ძმასთან მივედი აეროპორტიდან. სახლში შევედი, წამოვწექი და... ბავშვების

ყვირილი მესმის: ქუჩუჩი მოვიდა, ქუჩუჩი მოვიდაო! გამოვვარდი გარეთ და რას ვხედავ!.. (ტირის) ჭიშკართან... დედაჩემი დგას... ოღონდ ხუჭუჭთმიანი... აღარაფერი მახსოვს. ძირს დავცემულვარ, გონება დამიკარგავს. ასე შევხვდით ერთმანეთს 20 წლის შემდეგ... ჩემს მშობლებს არაფერი უთხრათო, გვთხოვა ქუჩუჩიმ. აფხაზმა აშხარავებმა ასწავლეს ჩემს დას, სკოლაში დაიწყო მუშაობა, გათხოვდა. სოხუმის დაცემის შემდეგ ჩემი და აღარ მინახავს. ქმარმა ლენინგრადში წაიყვანა. იქ კარგად გრძნობს თავს, ბედნიერი ქალია.

ბაბუა და ბებია რომ ცოცხლები ყოფილიყნენ, არავითარ შემთხვევაში არ გააშვილებდნენ ჩემს და-ძმებს. ბებია ძალიან მოტყდა დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. თანაც დედაჩემის დედას ერთი 13 წლის შვილი აკლდა... ვეღარ გადაიტანა კიდევ ერთი შვილის სიკვდილი...

მე ვაგრძელებდი თამბაქოს კრეფას. როცა ბებია ცოცხალი იყო, ორივე წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში ვმუშაობდით. ყურძენი და ჩაი აფხაზეთში არაა, ჩვენ ციტრუსებისა და თამბაქოს საშუალებით ვირჩენდით თავს. საღამოს გავდიოდით თამბაქოს მოსატეხად. 2 ჯიშის თამბაქო მახსოვს – „ტრაპიზონი“ – გრძელი ფოთლებით და „სამსონი“ – მრგვალი და სქელი ფოთლებით. ვკრეფდით თამბაქოს ფოთლებს, ყვავილებს ვაშორებდით. ამბობდნენ, რომ ყვავილები ძალას ართმევსო თამბაქოს. ჩვენ თამბაქოს ბაწრებზე ვკიდებდით. რაც მთავარია, არც ერთი ქალი არ ეწეოდა პაპიროსს. პატიოსნად ვცხოვრობდით... არც მეძავეობა იყო ისეთი, ახლა რომაა და არც თამბაქოს მკრეფავი ქალები ეწეოდნენ თამბაქოს.

ასე გაიარა ბავშვობამ.

გათხოვება

დედის სიკვდილის შემდეგ სამკერვალოში ვმუშაობდი და თან ვსწავლობდი. სწავლის ფული იყო გადასახდელი. მრცხვენოდა, ბიძაჩემისთვის მეთხოვა. ბიძაჩემმა, იქნებ უკეთესი რამ მოძებნოსო და, როცა 20 წლის გავხდი, თავის გათხოვილ შვილთან გუდაუთაში გამაგზავნა. ბიძაშვილის ქმარი, ვასილი, რუსი იყო, გვარად დიდოვსკი. სკოლაში ასწავლიდა. იმავე სკოლაში, ჯიხვაში, გერმანულის მასწავლებლად 16 წლით უფროსი ჩემი მომავალი მეუღლე მუშაობდა. გიორგი (ჟორა) იახიას ძე ბაქრაძე. ომში ნამყოფი იყო, უამრავი ჯილდო და წოდება ჰქონდა, დაჭრილიც იყო რამდენჯერმე.

გათხოვება არ მინდოდა, სწავლა მინდოდა! მაგრამ თავი მობეზრებული მქონდა. მთელი ცხოვრება ვშრომობდი, და-ძმას ვუვლიდი და ჩემი საკუთარი კუთხე არ მქონდა. ვიფიქრე, ჩემი ჭერი მაინც მექნება-მეთქი... არასოდეს კარგად არ მეცვა. ტიტველი არ დავდიოდი, მაგრამ საშინლად ღარიბულად მეცვა. მრცხვენოდა ჩემი მდგომარეობის. ბაქრაძემ ჩემი ხელი ბიძაჩემს სთხოვა. არ ვიცნობდი და არ მიყვარდა. ქორწილამდე მხოლოდ ოთხჯერ ვნახეთ ერთმანეთი. ნორმალურად არც დაგვილაპარაკია. ძირითადად ჩემებს ესაუბრებოდა. მოგვატყუილა, სულ მარტო ვარო, არავინ მყავსო. ჰოდა, არაფერი არ გაგვიკითხია. ვიფიქრე, ესეც მარტოა და მეც მარტო ვარ, ერთმანეთს კარგად გავუგებთ-მეთქი. როცა გავიგე მამამისის არსებობის შესახებ, მითხრა, აბა, ტაშკენტიდან ხომ არ ჩამოვიყვანდი მოხუც მამას ქორწილისთვისო. 7 ნოემბერს ქორწილი გადავიხადეთ. ასე

გავხდი „თურქი მესხის“ – მუსლიმანის ცოლი ისე, რომ არც კი ვიცოდი. ჩემი ქმარი ახალციხიდან, სოფელ უდედან იყო. 1944 წელს სტალინმა ერთ ღამეში შუა აზიაში რომ გადაასახლა, აი, იმ ხალხის წარმომადგენელი. ჩემი ქმრის ოჯახი უზბეკეთში დასახლდა. სერდარინსკის რაიონის ახუმბაბაევის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე. მერე პოგრანარლოვსკის რაიონში გადავიდნენ. მეც ჩემს ქმარს გავყევი, რასაკვირველია, და 42 წელი უზბეკეთში ვცხოვრობდი. თუმცა ლამის ყოველ წელს სოხუმში მოვფრინავდი ჩემებთან.

უზბეკეთამდე კი ერთი წელი ჯიხვაში გავატარეთ. ბევრი აფხაზი, სომეხი და ბერძენი გავიცანით. მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ერთი წელი იქ დავყავით და პირველი შვილი – ჯემალი (ჩემმა მამამთილმა ქამალი შეარქვა) ჯიხვაში შემეძინა. ჩემი ქმარი სკოლის დირექტორად დანიშნეს. მას ორი ძმა ჰყავდა შუა აზიაში. ორივე – სამხედრო პირი. შუა აზიიდან შეატყობინეს, რომ ძმას ავარია მოუვიდა. ჩემებმა ფული შეუგროვეს და 2 თვით ჩემი ქმარი იქ დარჩა. მეზობლები, რატომღაც, მაქეზებდნენ, ალბათ, მიგატოვაო... როცა იქიდან ჩამოვიდა, სოხუმში გადმოვედით და ჩემს მშობლიურ ქუჩაზე – ჩამბას ქუჩაზე ბინა ვიქირავეთ. ჩემმა ქმარმა სოხუმში სამხედრო სანატორიუმში დაიწყო მუშაობა. ფული არ გვყოფნიდა, ხელფასი პატარა ჰქონდა. მამაჩემი, ჩვენს სახლთან რომ გაივლიდა, საჭმელ-სასმელს დაგვიტოვებდა.

სოხუმში ერთი წელი დავყავით. არასოდეს მიგრძვნია ქართველებისა და აფხაზების ურთიერთსიძულვილი. საცეკვაო ანსამბლში რუსები, აფხაზები, ბერძნები, ქართველები, შერეული ოჯახების შვილები ერთად ვცეკვავდით „ქართულს“, „ფერხულს“, „მოხევურს“... „განდაგანა“ ჩემი ცეკვა იყო... ჩემი მეწყვილე აფხაზი იყო – ზური მარღანია. მის ცოლთან ვმეგობრობდი. არასოდეს გაგვირჩევია ვინაა ქართველი და ვინაა აფხაზი. ერთად ვიყავით, ერთად ვჭამდით და ვსვამდით.

ერთი წლის თავზე ქმარმა შუა აზიაში წამიყვანა. 1955 წლის ნოემბერი იყო. ასე აღმოვჩნდი სერდარინის რაიონის პოგრანორლოვსკის სოფლის საბჭოს კოლმეურნეობა „ილიჩში“ (კუასაი).

საკომენდანტო საათში, იმის გამო, რომ ჩემი ქმარი „თურქი მესხი“ იყო, მას ქალაქიდან გასვლა ეკრძალებოდა, ქალაქიდან გასვლა მეც შეზღუდული მქონდა. ასე გრძელდებოდა 1956 წლამდე. შემდეგ ეს შეზღუდვა მოხსნეს. მაგრამ ჩემი ქმარი ამ საკომენდანტო საათს არღვევდა და ვინაიდან სამხედრო ჩინი ჰქონდა, შეეძლო სხვა ქალაქებში გადაადგილება.

6 თვის გათხოვილი ვიყავი (?), როცა შუა აზიაში წამიყვანა. სოხუმის და ჩამბას ქუჩის შემდეგ ეს ჩემთვის დიდი სტრესი იყო. წყალი არ მოდიოდა. აქა-იქ პატარა წყლის გუბეები იყო ბაყაყებით. ხალხი იქიდან იღებდა წყალს, ადუღებდნენ და ისე სვამდნენ. ბევრი იწამლებოდა და იღუპებოდა. ჩემს თვალწინ ბევრი ახლადჩამოსული დაღუპულა. ღამ-ღამობით ზმანებები დამეწყო. მესიზმრებოდა, თითქოს სოხუმის წყალს ვსვამდი. მეღვიძებოდა და ვტიროდი... ცუდად გავხდი, ვავადმყოფობდი. ქმარმა უკან გამიშვა, სოხუმში და პირველი ბავშვი იქ გავაჩინე... (?) მერე ისევ აზიას დავუბრუნდი.

ჩემი მამამთილი იახია ბაქრაძე მაჰმადიანი მესხი იყო და ქართველობდა. მე ქართულად მელაპარაკებოდა. სწორედ იქ გავიგე, რა არის მუსლიმანობა. თუმცა ყველა ჩემი შვილი ქრისტიანულად მოვნათლე. პირველი შვილი, ერთი

წლის ბიჭი, დამეღუპა... ავად გახდა, ვერ გავიგეთ რისგან, და მომიკვდა. ქრისტიანულად დავასაფლავეთ.

უცნაური იყო, რომ ყველაფრის მიუხედავად, ქრისტიანულ დღესასწაულებს ჩვეულებრივად აღვნიშნავდით, ისე, როგორც საქართველოში. ახალ წელს, შობას აღვნიშნავდით. მეზობლები, ქრისტიანები და არაქრისტიანები ახალ წელს ჩემთან იკრიბებოდნენ. აღდგომას კი კვერცხებს ვღებავდით. წითელი კვერცხების შეღებვაში უზბეკი ქალებიც მონაწილეობდნენ. ჩემგან საცივის და ხაჭაპურის კეთება ისწავლეს. ქართული სუფრის რეცეპტებს იწერდნენ. მე თავისუფლად დავდიოდი მართლმადიდებლურ ეკლესიაში. არც პოლიცია და არც „კაგებე“ არ გვაწუხებდა. ამავე დროს ჩვენს ოჯახში ყურბან-ბაირამს და არავარი-ბაირამს მისდევდნენ. დღისით არ ჭამდნენ, ანდა ერთი თვით იკავებდნენ ჭამიდან თავს. ჩემი ქმარი და მამამთილი არანაირად არ მიშლიდნენ ქრისტიანული წესების აღსრულებას. მოლა დილის 6 საათზე იწყებდა ლოცვას, მე კი მის ლოცვასთან ერთად ბავშვების და ოჯახის მოვლას ვიწყებდი. ძალიან მაინტერესებდა, როგორი იყო მეჩეთი... ვიცოდი, რომ ქალებს იქ არ უშვებდნენ, მაგრამ ერთხელ მოვახერხე და ექსკურსიით გავძვერი.

როცა თავსაფარს შევეჩვიე, ჩემთვის მნიშვნელოვანი აღარ იყო ის, რომ ჩემი ქმარი სხვა სარწმუნოების იყო. მამამთილმა ამიხსნა, რომ ღმერთი ერთია და შენ როგორ ილოცებ, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვსო. ჩემი ახლო მეზობლები საბერძნეთიდან ჩამოვიდნენ და რომ იცოდნენ, არამუსლიმანი ვიყავი, ჯვარი ჩამომიტანეს საბერძნეთიდან საჩუქრად. მაგრამ არ ვიკეთებდი, რადგანაც არ მინდოდა ჩემს მამამთილს გული სტკენოდა. ისიც ვიცოდი, რომ მუსლიმანებმა მრავალცოლიანობა იცოდნენ. ჩემს მაზლს ჰყავდა ორი ქალი, თუ ორი ცოლი... ერთი დოკუმენტების მიხედვით, ერთი ისე... ჩემს ქმარსაც ბევრი ცოლი „აღმოაჩნდა“ და არავის მიუქცევია ყურადღება, რომ მუსლიმანი იყო, მაინც გაასამართლეს. მაგრამ განა ქართველებშიც არ არის მრავალცოლიანობა, თუმცა ისინი მართლმადიდებლები არიან?!

ჩემს ქმარს არ უთქვამს, მამამთილმა მიმითითა, რომ თავზე თავსაფარი უნდა დამეხურა. თან ისიც მითხრა, თუ გინდა, სახლში არა და გარეთ, ქუჩაში რომ გახვალ, მაშინ დაიფარეო. მამამთილი ქართველობდა და იქ, სადაც ის ცხოვრობდა – ტაშკენტთან, პაგრანარლავსკში, – ძალიან ბევრი ქართველის ოჯახი იყო დასახლებული. ესენი „თურქი მესხების“ ანუ მუსლიმანი მესხების ოჯახები იყვნენ, რომლებიც ქართული წესით აგრძელებდნენ ცხოვრებას. ლობიოს, მჭადს აკეთებდნენ, ქართულად ქეიფობდნენ, ბევრს შურდა მათი. მესხები მუშა ხალხია და კარგადაც შოულობდნენ ფულს...

მე პატივს ვცემდი ჩემს მამამთილს და თეთრ თავსაფარს, რომელსაც „ფოშს“ უწოდებდნენ, ვიხურავდი თავზე. იქაური კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სომეხი კაცი, მსაყვედურობდა: – ქართველი არა ხარ, რატომ დადიხარ მუსლიმანივითო? მე კი ვპასუხობდი, რომ ეს ჩემთვის დიდი პრობლემა არ იყო, რომ ჩემთვის მთავარი იყო მოხუცებულ კაცს გული არ სტკენოდა. ჩემს მამამთილს დიდ პატივს სცემდნენ, ხოლო მე, თალიკოს კი არა, „იახიბაშას რძალს“ მეძახდნენ. ჩემს მამამთილს მძიმე ცხოვრება ჰქონდა. როცა 1944 წელს მესხები გადაასახლეს, მატარებელში, სადაც ისინი შეყარეს, უამრავი ადამიანი დაიღუპა. მკვდრებს, თურმე გზადაგზა ვაგონებიდან გარეთ აგდებდნენ.

მამამთილი დიდი პატივით სარგებლობდა. მას მიჩურინს უწოდებდნენ, რადგან ბაღს აშენებდა. ხილი სულ ჰქონდა, ჰოდა ჩვენც, მე და ჩემმა ქმარმა, დიდხანს ცალკე ცხოვრება ვერ შევძელით, გადმოვედით იახიასთან საცხოვრებლად, სერდარინსკის რაიონის, პაგრანარლოვსკის საბჭოს 8 მარტის ქუჩაზე, სამწუხაროდ, ნომერი აღარ მახსოვს. იმ რაიონში მესხების 500-მდე ოჯახი იყო. მესხების კოლმეურნეობაც კი არსებობდა. თავიდან თურმე ამ რაიონში იყო ცარიელი სტეპი, მაჰმადიანმა მესხებმა დაიწყეს მისი დამუშავება და ააყვავეს. თანაც მუსლიმანურ წესებს მკაცრად იცავდნენ და მეც მათ წესებს ვემორჩილებოდი. მაგალითად, ყურბან-ბაირამობის დროს ცხვარს დაკლავდნენ და ამ ცხვრის ხორცი ყველა მეზობელზე უნდა გადანაწილებულიყო. მეც დავდიოდი მეზობლებში და ვარიგებდი ხორცის ნაჭრებს. ვიცოდი, რომ ქათამი მე არ უნდა დამეკლა. ქათამს ოჯახში კაცი კლავდა. თანაც 40 დღე ცალკე გამომწყვდეული უნდა ყოფილიყო, რათა გარეთ გაშვებულს რაიმე სიბინძურე არ „მიერთვა“. 40 დღის მერე – დაკლავდნენ. ღორის ხორცს არ ჭამდნენ. ღორებს ძირითადად რუსები აშენებდნენ, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ მუსლიმანი უზბეკებიც აშენებდნენ ღორებს და მერე ჰყიდდნენ, თავად კი არ ჭამდნენ. უცნაურია ისიც, რომ ბევრი ჩემი ნაცნობი უზბეკი ღორის ლორს ჭამდა და როცა მაღაზიაში ეს პროდუქტი მოდიოდა, უზბეკებიც, ტაჯიკებიც, მაჰმადიანი მესხებიც რიგში იდგნენ და ყიდულობდნენ. მე ღორის ხორცს ახლა აღარ ვჭამ. სოხუმიდან რომ გამოგვყარეს, თბილისში ტელევიზორით ვნახე, თუ როგორ იჩიჩქნებოდნენ ღორები გვამებს შორის, ქართველებისა და აფხაზების გვამებს შორის. მას მერე ღორს ვერ ვიტან... ჩემებმაც ნახეს ეს და მას მერე ღორის ხორცის ჭამა კი არა, ღორის დანახვა მზარავს უკვე!

* * *

სანამ წვრილშვილიანი გავხდებოდი, ბამბის პლანტაციაში გავედი სამუშაოდ. არავის უთქვამს ჩემთვის და ამიტომაც „რეიტუზების“ გარეშე წავედი და დასისხლიანებული ფეხებით დავბრუნდი სახლში. ხელთათმანების ხმარება მოუხერხებელი იყო, ბამბას ვერ მოწყვეტდი, ხელები სულ დამსკდარ-დახეთქილი მქონდა, მაგრამ, აბა, სხვას ხომ არ ჩამოვუვარდებოდი! პირველ დღეს 6 კილო მოვკრიფე, მეორე დღეს ძალიან მოვინდომე და – 12 კილო, მესამე დღეს კი – 24 კილოგრამი. დილის 11 საათიდან 3 საათამდე ბამბის პლანტაციებში ვმუშაობდი. იყვნენ ქალები, რომლებიც ამ დროის პერიოდში 100 კილოგრამ ბამბას კრეფდნენ. ბრიგადირი კაცი იყო, რომელიც თვალს გვადევნებდა, რომ უქმად დრო არ დაგვეკარგა. მაგრამ ქალები მაინც ვახერხებდით „წაქეიფებას“ პლანტაციაში. დასვენების დღეები მაშინ გვქონდა, როდესაც ვერტმფრენიდან წამლებს ასხურებდნენ ბამბას, რათა ბამბის ფოთლები ძირს დაცვენილიყო და მხოლოდ ბამბა დარჩენილიყო. ქალების ძირითადი სამუშაო ბამბის კრეფა იყო. სიცხეში, პაპანაქებაში მოკრეფილ 1 კგ ბამბაში 10 კაპიკს გვაძლევდნენ. წინსაფარში ვიყრიდით ბამბას და იქვე ვაბარებდით. მაგრამ ჩემთვის ის ფული რატომღაც არ მოუციათ. მეც მალე წამოვედი პლანტაციიდან და აღარასოდეს დავბრუნებულვარ. შვილების აღზრდა და ოჯახის რჩენა დავიწყე... ბამბით შემოსული შემოსავალი კი ვერაფერი შეღავათი იყო მრავალშვილიანი ქალისათვის.

ჩემი ქმარი კომუნისტი იყო... მეც შემომთავაზეს, პარტიაში ხომ არ შეხვალო, მაგრამ ამის არანაირი სურვილი არ მქონდა, არც ვიცოდი წესიერად კომუნისტური პარტია რას ნიშნავდა. ისე სოხუმში, როცა სამკერვალოში ვმუშაობდი, კომკავშირში მიმიღეს. უცნაური ის იყო, რომ მიმიღეს პიონერის სტადიის გავლის გარეშე. პიონერად ვერ მიმიღებდნენ იმიტომ, რომ სკოლაში არ მისწავლია. მაგრამ 4 გოგონასთან ერთად (ისინი სკოლაში სწავლობდნენ) კრებაზე საზეიმო ვითარებაში მიმიღეს კომკავშირში. კომკავშირის ნიშანს დიდის პატივით ვატარებდი ჩემი ქორწილის დღემდე. მიხაროდა, რომ ასეთი უსწავლელი კომკავშირის წევრი გამხადეს.

როცა ჩემი მამამთილი უდედან უზბეკეთში გადაასახლეს, ჩემი მეუღლე და მისი ორი ძმა ომში იყვნენ, სამშობლოს იცავდნენ. ამ დროს კი მათ მამას შუა აზიაში ასახლებდნენ. მთელი უდე გადაასახლეს მაშინ. იახია ბაქრაძის ცოლი, ქალიშვილი და და შუა აზიაში დაიღუპნენ, ძმათა სასაფლაოზე დაუსაფლავებიათ. ჩემი ქმარი რომ ყოფილიყო უდეში, იმასაც გადაასახლებდნენ. ომიდან დაბრუნებულს სახლში არავინ დახვდა. გაიგო, სადაც გადაასახლეს მისი მშობლები და უზბეკეთში წამოვიდა.

ამ დროს კი ჩემს მამამთილს სერდარინსკის რაიონში, პაგრანარლოვსკის სოფლის საბჭოში, კოლმეურნეობა „ილიჩში“ ცოტაოდენი მიწა აუღია, სახლიც ჩაუდგამს. სახელმწიფოს დასახლების უფლება მიუცია. როცა ჩემი ქმარი ომის შემდეგ უზბეკეთში დაბრუნდა, ჩემს მამამთილს სახლი უკვე ჰქონდა აშენებული. ჩემმა ქმარმა ცოლი ითხოვა. მისი პირველი ცოლი მისი პირველი სიყვარული ყოფილა. იქვე იყო ის გოგო, ისიც გადასახლებული, მესხი იყო, შურა ერქვა. ხომ მოგიყევით, რომ უზბეკეთში საშინელი წყალი იყო, შურას ტუბერკულოზი დაემართა. უკვე კვდებოდა თურმე, ჩემს ქმარს რომ ცოლად მოუყვანია. ერთი დღე მაინც ვიცხოვრებთო ერთად. 15 დღეში გარდაცვლილა.

ჩემმა ქმარმა გადაწყვიტა თბილისში წასულიყო და იქ მოეკიდა ფეხი. არაფერი გამოუვიდა. მერე უდეში დაბრუნდა, მაგრამ არც ახალციხეში შეუშვეს. „თურქი მესხები“ მტრებად იყვნენ გამოცხადებული და თავად ქართველებმა არ შეუშვეს იგი ახალციხეში. თანაც გადასახლებულის სტატუსი საშიშ ადამიანად აქცევდა. მე უკვე ვიყავი მისი ცოლი, როცა 1956-58 წლებში რამდენჯერმე ახალციხეში დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ.

ჩამოვიდა უზბეკეთში უკან და მეორე ცოლი ითხოვა, რუსის ქალი. ცოტა ხანში ის ქალი გაუგდია და ვიღაც მესხი მოუყვანია ცოლად, ისიც გაუშვია და... მე მისი მერვე ცოლი ვყოფილვარ! მეორე ბავშვზე (ბიჭზე) ვიყავი ფეხმძიმედ, როდესაც ეს ამბავი შევიტყვე. თვითონ დამიმალა! სულ შემთხვევით გავიგე. რუსის ქალმა ერთხელ დამინახა და მკითხა: შენ ვინა ხარ, მესხების რძალი ხარო? – მეც ვუპასუხე: გრიშას ცოლი ვარ-მეთქი. „გრიშას“ ეძახდნენ ჩემს ქმარს – უი, უი, შე საწყალო, – მითხრა, – მაგას შენამდე 10 ცოლი ჰყავდა, ასეთი კარგი გოგო, რაღა მაგას გაყევიო! – და თან ჩემი ქმრის ცოლების სახელები ჩამომითვალა. გავგიჟდი, გადავირიე, ამივარდა ტირილი, თავის მოკვლა მინდოდა... ჩემს მაზლთან გავვარდი აქვითინებული... მაზლის ცოლმა კი „დამაწყნარა“: – რა მოხდა, თალიკო, ასეთია ქალების ბედი. კაცებს ყოველთვის ჰყავთ ქალები, ცოლები. ქმარი ხომ გინდაო?.. მაგრამ რა დამაწყნარებდა. სოხუმში

ერთ კარგ სოხუმელ ქართველს ვუყვარდი, ცოლად ვუნდოდი; გავიგე, რომ საყვარელი ჰყოლია და არ გავყევი! აქ კი მრავალცოლიანი კაცის მერვე ცოლი გავხდი! ეს რა მომივიდა! ვტიროდი. მინდოდა გავშორებოდი, მაგრამ უკან წამოსასვლელი გზა მოჭრილი მქონდა. სახლი მე არ მქონდა და კარი. ჩემი გათხოვება მთვრალი მამისგან გაქცევა იყო. ანდა რა უნდა მექნა, როცა მეორე ბავშვზე ვიყავი ფეხმძიმედ...

ჩემს ქმარს რომ მივახალე ყველაფერი, მითხრა – ტყუილიაო. ძმაკაცებიც კი მომიყვანა მოწმედ. მერე გავიგე, რომ ჩემს ქმარს თათარი, ყაზახი, თურქმენი და აზერბაიჯანელი ცოლები ჰყავდა ჩემამდე... შვილებიც ჰყოლია, მაგრამ მე არასოდეს დავინტერესებულვარ ჩემი ქმრის შვილებით.

რა მექნა? შევეგუე ამ ყოფას. სულ ვნანობდი მერე, როგორ არ გაიკითხეს ჩემებმა ამ კაცის წარსული, როგორ მიენდვნენ ბრმად და მომიშორეს, ვითომ პატრონს ჩამაბარეს. მაგრამ მოგვატყუა, პასპორტი არა მაქვსო, თქვენი რწმენის ვარო. ერთადერთი, სამხედრო საბუთები და ჯილდოები მოგვაყარა. ვიფიქრეთ, სერიოზული და პატიოსანი კაცია-თქო.

ძალიან ვნანობ, ამ ადამიანს რომ დავუკავშირე ჩემი ცხოვრება. როცა ვმშობიარობდი, სამშობიაროში რომ ვიწექი, მაშინაც კი არ მაქცევდა ყურადღებას. პალატაში ყოველთვის 5-6 მშობიარე ქალი იწვა. მთელი სამშობიაროს მედპერსონალ-საც კი უკვირდა ჟორას საქციელი. კობაზე რომ ვიმშობიარე (მეორე შვილზე) უფროსი, ჯემალი, სამშობიაროში მომიყვანა: ექსკურსიაზე მივდივარ და ჩაიბარე შენი შვილიო.

თვეობით იკარგებოდა, მე მამამთილთან გადავიდოდი ხოლმე საცხოვრებლად. მერე გამოჩნდებოდა. მეუბნებოდნენ, საყვარლებთან დადისო, მართლაც დადიოდა. ფულს და საჭმელს სახლში არ მოიტანდა. ამის გამო დიდი უკმაყოფილება გვქონდა, ვეჩხუბებოდი, ის კი ისე მცემდა, რომ სულ შავი დავდიოდი. მხოლოდ მაშინ არ მცემდა, თუ მამამთილთან ვიყავით. ერთხელ ისე მცემა, მესამე ბავშვზე ვიყავი ფეხმძიმედ, მეზობლები გაგიჟდნენ, ფული შემიგროვეს, რომ სოხუმში დავბრუნებულიყავი. მინდოდა უკან დაბრუნება, მაგრამ სოხუმში ხომ არაფერი მქონდა, თანაც ვიფიქრე, კარგია თუ ცუდია, ჩემი შვილების მამაა, და მოვითმინე. მე თვითონ და ჩემი და-ძმებიც ობლად გავიზარდეთ და არ მინდოდა, რომ ჩემი შვილებიც ობლები ყოფილიყვნენ ცოცხალი მამის ხელში... როცა მცემდა, ბავშვები კიოდნენ და ტიროდნენ.

ერთხელ მოსკოვში წავიდა. 5 დღეში ჩამოვალო, მითხრა და 50 კაპიკი დადო მაგიდაზე. ეს თანხა დამიტოვა. მალე ჩამოვალო, შემპირდა და დაიკარგა. რაღა ვქნა? ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი. ზამთარია, სიცივეა. ბავშვებს საჭმელი არა აქვთ. სამი შვილი მყავს... რაც კი ხეები იყო ეზოში, ყველა მოვჭერი და შეშად დავჩეხე. მერე ხის საკუჭნაო დავშალე და ცეცხლს შევუკეთე. ვგრძნობდი, რომ ცოტაც და შვილები სიცივით და შიმშილით დამეღუპებოდნენ. ბედად ერთი ქალი გავიცანი, ქვრივი, ყაზახი თათარი ზოია გალეულინა. სანიტრის ადგილი შემომთავაზა ტუბერკულოზიანთა საავადმყოფოში. მითხრა, დაგეხმარებიანო. მორიგე რომ იქნები სამსახურში, მე დავჯდები შენს შვილებთანო. სიხარულით დავთანხმდი. მამამთილი ხანდახან კი მიტოვებდა 10 მანეთს, მაგრამ განა ამ თანხით ბავშვებს გამოვკვებავდი? დავიწყე სანიტრად

მუშაობა. მერე ჩვენთან გახსნეს 14-დან 18 წლამდე გოგონების კოლონია. ტუბდისპანსერის მთავარმა ექიმმა მომიხმო და მითხრა: თალიკო, ცოდვა ხარ, ბავშვების პატრონს ტუბერკულოზი არ დაგემართოსო და კოლონიის სასადილოში გადამიყვანა სამუშაოდ.

ჩემი სახლის მეზობლად ჩაიხანა იყო. საღამოობით იქ რომ ხალხი შეიკრიბებოდა, იმას ყვებოდნენ, ვის რა უჭირდა. ყველაზე ხშირად თურმე ჩემზე საუბრობდნენ. ზოგს ფქვილი, ზოგს რძე, ზოგს ფული მოჰქონდა ჩემთვის. ასე გადავიტანე 1963 წლის ზამთარი. 5 თვის მერე ჩემი ქმარი დეპეშას მიგზავნის... ჩამოვდივარ, ამა და ამ მისამართზე 30 მანეთი გამომიგზავნეო. 10-10 მანეთი ხან ვისგან, ხან ვისგან მოვაგროვე, გავუგზავნე. მეზობლები მლანძღავდნენ – რად გინდა ასეთი ქმარი, სიცოცხლე გაგიმწარა, შენ კი მაინც ეხმარებიო... ალბათ, მიყვარდა. ესაა ქალის ბედი. ჩამოვიდა ჩემი ქმარი და მეც სიხარულით დავხვდი. არც მიკითხავს, მოსკოვში რას აკეთებდა. მანაც კოლონიაში დაიწყო მუშაობა. 300 მანეთი ჰქონდა ხელფასი. მე იმ დროისათვის დაუღალავად ვმუშაობდი კოლონიაში. 70 მანეთი მქონდა ხელფასი. ჩემს ქმარს კი სახლში ხელფასი არ მოჰქონდა. ქალებთან ერთობოდა. დროს რესტორნებში ატარებდა. მე კიდევ ოჯახისთვის როცა ვყიდულობდი ნივთებს, ჭურჭელს, მეზობლებთან ვმალავდი. ქმარი მიშლიდა, რად გინდა, საბნებს რომ ყიდულობო.

ერთხელ კოლონიიდან ორი გოგონა მოიყვანა, 18-18 წლისანი. ესენი მოსკოვში უნდა გავამგზავროო. ერთხელ ღამე ავდექი და რას ვხედავ: ჩემი ქმარი არ წევს გულსარაზე გვერდით? ფეხსაცმელი ვესროლე. რას ჰქვია, ფეხსაცმელი მესროლეო – ისე მცემა, ისე მცემა, გამაშავა. კოლონიის დირექტორმა (გვარად ხოხოლი იყო) მეორე დღეს რომ დამინახა, გაგიჟდა. მეც ვუთხარი, რომ 18 წლის გულსარასთან ატარებს დროს-მეთქი. დირექტორმა 47-ე მუხლის თანახმად ჩემი ქმარი სამსახურიდან მოხსნა.

აღარ მინდოდა ქმართან ცხოვრება (ტირის). სოფლის საბჭოში წავედი. იქ საზკვების დირექტორი, საავადმყოფოს მთავარი ექიმი და სხვები დამხვდნენ. გავეყრები-მეთქი, ვუთხარი, სახლიდან წავალ-თქო. შენ კი არა, შენი ქმარი წავაო, მითხრეს. მეოთხე ბავშვზე ვიყავი ფეხმძიმედ. მაშინ არ ვიცოდი, ვისთვის უნდა მიმემართა. სოფლის საბჭოში კი არა, თურმე სასამართლოში უნდა წავსულიყავი და გაყრა ოფიციალურად დამეფიქსირებინა. მაგრამ ამდენი არ ვიცოდი და თანაც სოხუმში ვერ დავბრუნდებოდი. იქ ვისთან უნდა მეცხოვრა?

ჩემს მეზობლად ბერძნები ცხოვრობდნენ. ისინი 1944 წელს სოხუმიდან შუა აზიაში გადაასახლეს. შევეცოდე და მე და ჩემი ბავშვები ყაზახეთის ქალაქ სლავიანკაში წაგვიყვანეს. ეს ქალაქი უზბეკეთის საზღვარზე მდებარეობდა. მერე ტაშკენტში გადავედი. კიროვის რაიონში საერთო საცხოვრებელში ოთახი მოგვცეს. სამსახურის ძებნა დავიწყე. ამ დროს მაზლმა და მთელმა ქმრის ნათესაობამ მომაკითხა: დაბრუნდი, დაბრუნდიო... ჟორას შეველევით და შენ – არაო. მე კი ჯერ დამლაგებლის ადგილი, მერე ერთ-ერთ დაწესებულებაში შეფ-პოვრის ადგილიც ვიშოვე.

ამ დროს ჩემი მამამთილი გარდაიცვალა. შემომითვალეს, ოღონდ დაბრუნდი, მამამთილის სახლს მთლიანად დაგითმობთო. დავთანხმდი. ჩემი ქმარი კი გულისტანში წავიდა სამუშაოდ. კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა და მერე ისევ

მიდიოდა. მე სამსახურს თავი დავანებე. სახლში დავჯექი. ბავშვებს ვზრდიდი. უკვე ოთხი მყავდა. კობა, ჯემალი, ლამარა და ლენარა. ხანდახან ჩემი მამამთილის ეზოს ხილს დავკრეფდი და ბაზარში ვყიდდი. ერთხელ ჩემთან ქმარი მაზლთან ერთად მოვიდა და მითხრა – მოდი, დროებით ეს სახლი გავყიდოთ, გულისტანში გადავიდეთ და მერე სოხუმში დავბრუნდეთო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! მაშინვე სოხუმისთვის დავიწყე მზადება! სულელი და მიამიტი ვიყავი. ის სახლიც იმიტომ გამაყიდინეს, რომ მაზლს ფული სჭირდებოდა! გადავედით გულისტანში ერთოთახიან ბინაში. ქირას ვიხდიდით და ჩემს ქმარს თავისი საყვარლები იმ ერთოთახიან ბინაში მოჰყავდა. ხანდახან კი დიდი ხნით იკარგებოდა. ბინის ქირა გადასახდელი იყო და პატრონი ყოველდღე მთხოვდა ფულს. მამამთილის გაყიდული სახლიდან მე კაპიკი არ ამიღია... შიმშილით ვკვდებოდი, ბავშვები ტიროდნენ. უმცროსი, ლენარა ერთი წლისა იყო...

ავიღე და საქვაჭრობის დირექტორთან, საფარ ტურაევიჩ ტურაევთან მივედი. კაბინეტში რომ შევედი, ტირილი ამივარდა. ვთხოვე, სადმე მუშაობა დამაწყებინე-მეთქი. ვკვდებით შიმშილით-თქო. 1968 წლის 26 აპრილი იყო. კარგად მახსოვს. იმ კაცმა 10 მანეთი მომცა: წადი, ბავშვებს საჭმელი უყიდეო, მითხრა. წამიყვანა ებრაელებთან, რომლებიც ნაყინით და ლიმონათით ვაჭრობდნენ და სთხოვა, ამ ქალს კარგი ადგილი მიეცითო. 27-ში რაიონულ საბჭოსთან „ლატოკი“ დამიდგეს. 28-ში მუშაობა დავიწყე. მეშინოდა, როგორ უნდა გავყიდო-თქო... მაგრამ ნელ-ნელა მივეჩვიე. პირველ მაისს 10 „გილზი“ ნაყინი მომცეს. მახსოვს, ამდენი ნაყინის დანახვაზე კანკალი დამეწყო. იმ დღეს 120 მანეთისა გავყიდე... ებრაელი უფროსი მყავდა, დეიდა მუზა. მასთან მივედი და ფული მივაწოდე. იმან კი ფაქტურები, რაღაც ქაღალდები დახია და მეუბნება: „გილოცავ, თალიკო, მუშაობის დაწყებას. ეს ფული მთლიანად შენია...“

2 მაისი გათენდა. ჩემი დაბადების დღე. 160 მანეთი გამოვიმუშავე. „ეს ფული სულ შენია“, – მეუბნება დეიდა მუზა. ახლაც ყურში ჩამესმის მისი სიტყვები. გავვარდი, ბავშვებს საჭმელი ვუყიდე... ჩემთვის კი, კარგად მახსოვს, ვიყიდე თეთრი ზედა, შავი ქვედაკაბა და შავი ქოშები. მერე ბინის პატრონს 3 თვის ქირა გადავუხადე. მეუღლე ერთი თვის განმავლობაში საერთოდ არ გამოჩენილა...

ის დაქირავებული ბინა დავტოვე და 40 მანეთად უფრო უკეთესი, სამოთახიანი ბინა დავიქირავე... წელში გავიმართე. 7 თვის თავზე რაიონული საბჭოს შენობის გვერდით გაზიანი წყლის გაყიდვა შემომთავაზეს. 300 მანეთს ვშოულობდი დღეში. მეგონა, ხელახლა დავიბადე. ბავშვები ბაღში წავიყვანე, ვიყიდე ავეჯი, სახლი მოვაწყვე, შვილები დავაპურე, ქმარსაც ვეხმარებოდი. ყველაფრის მიუხედავად, ჩავაცვი, დავაპურე და რა მივიღე სანაცვლოდ? უარესად დამიწყო ჩხუბი და აყალმაყალი... ჩემი სამსახურის კადრების განყოფილებაში მოსულა – ჩემი ცოლი ლოთი და უწესო ქალი არისო... სამსახურიდან გააგდეთო... (ტირის). საქვაჭრობის უფროსამდე მისულა მისი ნალაპარაკევი. დაუბარებია ჩემი ქმარი და უთქვამს: შენი ცოლისნაირი ლოთი ნეტავი ბევრი გვყავდესო...

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სამსახურში ფულის ჩასაბარებლად მივედი, ამბავი დამახვედრეს: შენი ქმარი გლანძღავს, ბოზი არისო... თვალთ დამიბნელდა. ჩემი სამსახურიდან ჩემს სახლამდე 7 კმ იყო. მახსოვს, რომ გიჟივით გავვარდი

თალიკო — ტკბილი წყლის გამყიდველი

სახლისკენ და 5 წუთში ფეხით დავფარე ეს მანძილი. ჩემი მეგობარი შემხვედრია გზაში, დაუძახია ჩემთვის. მე, რასაკვირველია, ვერ შევამჩნიე. ის კი უკან გამომყოლია. მეზობლის ქალსაც დავუნახივარ. მე კი ამ დროს თურმე სასწრაფოდ მომისწრია ბაწრის ჩამოკიდება და... თავი ჩამოვიხრჩვე (ტირის). ამ დროს ჩემს მეზობელს და მეგობარს კარი შემოუღიათ... ამტყდარა კივილი... ჩამომხსნეს როგორც იქნა. სამი საათი უგონოდ ვყოფილვარ. საშინლად ვნანობ იმას, რაც გავაკეთე. ბავშვებს ვის ვუტოვებდი? (ტირის) მაგრამ იმ წუთებში ვერ ვაზროვნებდი, რაღაც დამემართა, მე თვითონ არ ვიცი... ერთი თვე სახლში ვიყავი (ხანგრძლივი პაუზა). იმ დღეს ჩემი ქმარი გვიან დაბრუნდა. მოცვივდნენ მეზობლები და სცემეს... სახლიდან გააგდეს.

დღემდე ვნანობ ჩემს საქციელს... მეზობლის „თურქი მესხი" ქალი ცხოვრობდა შორიახლოს. ქმარი არ ჰყავდა. ხუთ შვილს ძლივს ზრდიდა... მერე მალევე გარდაიცვალა. უპატრონოდ, მშიერ-მწყურვალი დარჩნენ ის ბავშვები. სახლში რომ ვბრუნდებოდი, ღობესთან ხუთივენი იდგნენ. საცოდავები... როცა მათ გავხედავდი, გავიფიქრებდი, ჩემი შვილებიც ასე უპატრონოდ და გაძვალტყავებული იდგებოდნენ ღობესთან, მე რომ მოვმკვდარიყავი. ფიცი მივეცი ჩემს თავს — ქმარს გავშორდები საბოლოოდ, ათას ადგილზე ვიმუშავებ, ბავშვებს არაფერს მოვაკლებ! მაგრამ (ტირის) ჩემი ქმარი მაინც მოდიოდა... ჩემი ფულით ნაშოვნ საკვებს ჭამდა, ხანდახან ტანსაცმელსაც ვყიდულობდი მისთვის. არ ვიცი, ალბათ, მეცოდებოდა მაინც. ჩემი შვილების მამაა...

მერე ამდგარა და მილიციაში უჩივლია, ფულს აკეთებს, „ლევად" ყიდის გაზიან წყალსო... მილიციის უფროსმა დამიბარა და მაჩვენა, აი, რას წერს შენზე

შენი ქმარიო... ვიჯექი გაშეშებული. არაფერი მითქვამს. გამოიძახეს ჩემი ქმარი. შემოვიდა თუ არა, მილიციის უფროსმა დახია საჩივარი და... სახეში შეაყარა ყვირილით: „შენი ცოლის დამსახურებაა, შენ და შენი შვილები შიმშილით რომ არ კვდებით... შენ კი რას აკეთებ! განა არ ვიცით, თალიკო რომ „ლევად“ აკეთებს ფულს, მაგრამ ჩვენ შენი შვილების გამო თვალს ვხუჭავთ...“

ასე გააგდეს ოთახიდან.

მერე საჩივარი დაწერა ქალაქის ქალთა საბჭოში. ვიღაც ქალი მოვიდა იქიდან. მაღაზიაში თანამშრომლებს გამოჰკითხა, მართლა ვარ თუ არა კახპა. თანამშრომლები გაგიჟდნენ. ჩემს ქმარზე უთხრეს, ინტრიგანი და უწესო კაციაო... მერე ჩემს ქმარს საოლქო პროკურატურაში უჩივლია, კახპა არისო. პროკურატურის წარმომადგენლები მოვიდნენ. ბავშვები და მეზობლები, თანამშრომლები დაკითხეს. ბავშვებმა თქვეს, დედა პატიოსნად მუშაობს და ცხოვრობსო. კაცებში არ დადისო. არ დარჩენილა ორგანიზაცია, სადაც ჩემზე საჩივარი არ შეეტანა...

ერთხელ 100 ყუთი არაყი მქონდა გასაყიდი... ქორწილი ჰქონდა მეზობელს, ჰოდა, მეზობლის კაცს ამ არყის თაობაზე ჩემს სამსახურში გავყევი. მაშინ არაყი 3,62 მანეთი ღირდა. მე კი, რადგან ბევრი უნდოდა, 2,5 მანეთად მივყიდე. დაინახა, იმ კაცს რომ მივყვებოდი. სახლში რომ დავბრუნდი, საშინლად მცემა. დამაშავა. ადგნენ მეზობლები და პროკურატურაში უჩივლეს... თან დამემუქრნენ, ან შენ მოგკლავთ, ან შენს ქმარსო. პროკურატურაში დამიძახეს. გაერკვნენ საქმის ვითარებაში... ვაპატიე, სახლში შემოვუშვი მაინც (ტირის). სულელი ვიყავი! ერთი თვე თითქოს წყნარად იყო... მერე ისევ დამიწყო ლანძღვა-გინება. სამზარეულოში ვიყავი... ავიღე და ტაფა ჩავარტყი თავში. სისხლი წამოუვიდა თავიდან. ბავშვები შეშინდნენ, სახლიდან გაიქცნენ. გარეთ გამოვარდა და მეზობლებთან დაიწყო სირბილი... აი, ნახეთ რა მიყოო! – ყვიროდა. ყველამ კარი მიუკეტა. მე ბავშვებთან ერთად მეზობელთან გადავედი საცხოვრებლად. ჩემი ქმარი წავიდა და მილიციაში მიჩივლა. სასწრაფო გამოუძახებია, დაუფიქსირებია თავისი გატეხილი თავი. მე კი არასოდეს მიფიქრია ამგვარი რამის გაკეთება. ნათხოვარი ტანსაცმლით და ფეხსაცმლით ჩემს შვილებთან ერთად მივედი მილიციაში. დაგვიბარეს და იმიტომ. გამომძიებელმა ჩემი გაშავებული ხელი შეამჩნია... ყველაფერს მიხვდა. მეზობლებმაც ჩემი მხარე დაიჭირეს... 15 დღით ციხეში ჩასვეს. ცოტა მოვისვენე.

15 დღის მერე უფრო გამწარებული და გაგიჟებული დაბრუნდა. მივიღე... რა მექნა (ტირის). იმდენი ჯილდოები ჰქონდა სამამულო ომიდან, გარეთ ისეთი ავტორიტეტით სარგებლობდა, არავინ დაიჯერებდა, თუ ეს კაცი ასეთი მოძალადე იყო სახლში. ბავშვები რომ დაინახავდნენ, მამა მოდისო! – აყვირდებოდნენ და სახლიდან გარბოდნენ. ბოლოს სასამართლოში განცხადება მივიტანე. გვარის გამოცვლა მინდოდა, ანუ ქალიშვილობის გვარის დაბრუნება. ბავშვების ჩემს გვარზე ჩაწერა გადავწყვიტე. მეზობლებმაც ჩემთან ერთად შეიტანეს განცხადებები, რომ ჩემს ქმართან ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. ერთი სიტყვით, განქორწინება გადავწყვიტე. სასამართლოზე ჩემმა ე. წ. ქმარმა მოსამართლეს უთხრა, შენ ჩემი ცოლის საყვარელი ხარო...

ერთხელაც სამსახურში, მაღაზიაში ვარ. მირეკავენ და რაიონულ საბჭოში მიბარებენ. მივედი. მოსამართლეს ხელში პური უჭირავს. მეუბნება, ამ პურს

ხელი დაადე და დაიფიცე სხვების თანდასწრებით, რომ მე და შენ საყვარლები არა ვართ, რომ მე არასოდეს შეგხებივარო...

პურზე დაფიცება იქ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დავიფიცე. მერე ვიხუმრე: ჩემმა ქმარმა მთელი შუა აზია ჩემთან დააწვინა... რა კარგია, ამდენი ხალხი გავიცანი-მეთქი.

ვხუმრობდი, მაგრამ რა მეხუმრებოდა? იქაური „ქალთა გაზეთის" რედაქციაშიც კი დაუწერია, ასეთი და ასეთი ცოლი მყავსო... და დაიწყო სხვა გაზეთებში ჩემს შესახებ საჩივრების წერა...

სასამართლომ მალე გააფორმა განქორწინება. ჩემი გვარი კი დავიბრუნე, მაგრამ ბავშვებს გვარი არ გამოვუცვალე. ვიფიქრე, საქართველოში რომ ჩავალ, ჩემს სოხუმში, ვაითუ ქართველები დაეჭვდნენ, რად ჰყავს თავისი შვილები თავის გვარზეო... ალბათ, ქმარი არ ჰყავდა და საყვარლებისგან ჰყავს შვილებიო... ასე გადავედი ჩემს გვარზე. ისევ თალიკო აბულაძე გავხდი. ნეტავი ადრე გადამედგა ეს ნაბიჯი. რას ველოდებოდი? რას ვიტანჯებოდი? რისთვის?

ჩემს ქმარყოფილს 3 წელი მიუსაჯეს 93-ე მუხლის თანახმად, მრავალცოლიანობის გამო და მეუღლის მუდმივი ცემის გამო, როგორც თაღლითი, ისე გაასამართლეს. მას მერე, რაც ციხეში ჩასვეს, უამრავი მევალე მოაწყდა ჩემს სახლს... ფანჯრებს მიმტვრევდნენ, ფულს მთხოვდნენ...

ციხიდანაც დაიწყო ჩემზე საჩივრების წერა! (ხანგრძლივი პაუზა) როგორც დამსახურებული ადამიანი და ვეტერანი წელიწადნახევარში ციხიდან გამოუშვეს და... ისევ ჩემთან მოვიდა! მე მილიციაში გავვარდი და განვაცხადე: ცხვარი და მგელი ერთად ვერ მოძოვს-მეთქი! ეს კაცი მომაშორეთ, ვიხვეწებოდი და საქალაქო საბჭოში დაიბარეს. ერთოთახიანს სთავაზობდნენ, როგორც ომის მონაწილეს. არა, არ მინდაო... ჩემს სახლში და ჩემს ოჯახში მინდაო (?!). მაშინ მილიციაში ხელწერილი დააწერინეს, რომ იმ ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობდი, არ გაივლიდა. გააფრთხილეს, თალიკო აბულაძეს თავი დაანებეო... გაქრა ეს კაცი ჩემი ცხოვრებიდან. სადღაც დაიწყო მუშაობა. როგორც იქნა, მოვიშორე ეს კაცი. 1989 წლის ივნისში გარდაიცვალა. ასე მახსოვს... 3 დღე თურმე ძაღლივით ეგდო, უპატრონოდ. შემთხვევით აღმოაჩინეს მისი გვამი. ჩემი შვილები არ წასულან დასაფლავებაზე. წლისთავზე ბიჭები წავიდნენ. მინდა ვთქვა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ჩემს მაზლიშვილებთან და მულიშვილებთან, ქმრის ნათესავებთან კარგი ურთიერთობა მქონდა ყოველთვის და ახლაც ასეა. ხანდახან პროდუქტებს მიგზავნიდნენ, ფულით მეხმარებოდნენ. იცოდნენ ჩემი ქმრის აუტანელი ხასიათი. გაძაღლებული ცხოვრება მქონდა ქმართან. ბედნიერ წუთებს ვერ ვიხსენებ. 45 კილო ვიყავი, გამხდარი და უბედური. ქმარს რომ გავეყარე, ცოტა დავემსგავსე ადამიანს. მოვიმატე წონაში.

ქმრის გარეშე

სამ რამეს ვნანობ ცხოვრებაში: იმას, რომ ვერ ვისწავლე, ჩემს ქმარს რომ გავყევი და... საქართველოში რომ დავბრუნდი.

მთელი ცხოვრება ვმუშაობდი. მე რომ განათლება მიმეღო, წარმომიდგენია, როგორი ადამიანი გავხდებოდი. წერა-კითხვა მე თვითონ ვისწავლე. ბიძაჩემი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ბევრი წიგნი ჰქონდა. მე ვიჯექი და ასოებს

ვხაზავდი. თვლა ბაბუაჩემისაგან ვისწავლე. როცა რძეს და ხილს გავყიდიდი 6-7 წლის გოგო და ბაბუას ფულს მივუტანდი, ბაბუაჩემი საანგარიშოს მიუჯდებოდა და ანგარიშობდა. თვლა ასე ვისწავლე. ჩემი უფროსი ძმა ამბობდა, ეს ჩემი და ნასწავლი რომ ყოფილიყო, უზბეკეთს დაიპყრობდაო. „ა“ და „ბ“ არ იცის და მთელ მაღაზიას მართავსო... ჩემი უფროსი ძმა ყველაზე განათლებული იყო ჩვენს შორის, 10 კლასი ჰქონდა დამთავრებული. ამიტომაც ვიკლავდი თავს. არ მინდოდა ჩემი შვილები უსწავლელები ყოფილიყვნენ. გაჭირვება, ობლობა და გაუნათლებლობა მეზიზღებოდა! 18 წლის განმავლობაში სკოლაში მშობელთა კომიტეტის ხელმძღვანელი ვიყავი. ძალიან აქტიური „ობშესტვენნიცა“ (საზოგადოებრივად აქტიური) გავხდი. კრებებზე გამოვდიოდი, სკოლის პრობლემებს ვაგვარებდი. ახალი წლის სასკოლო „ოგონიოკები“ (საზეიმო შეხვედრა-კონცერტები, მსგავსად ცენტრალური ტელევიზიის იმდროინდელი გადაცემებისა – „გოლუბოი ოგონეკ“) უჩემოდ არ ტარდებოდა.

დილით 8 საათზე მაღაზიას ვაღებდი, შესვენებაზე – 11 საათზე სახლში მივრბოდი და პატარებს ვაჭმევდი... ეზოს, ქათმებს ვუვლიდი... მე თვითონ ხშირად საჭმელად არ მეცალა... ცრემლები მომდიოდა თავისთავად, სულ მეტირებოდა, ვიღლებოდი, ყველას ვეცოდებოდი. მეორე ცვლაში ვმუშაობდი... თანამშრომლები ხელს მიწყობდნენ. 2 საათს ვთხოვდი... გამიშვებდნენ... სახლს დავალაგებდი, დავრეცხავდი. ჩემი შვილები ყოველთვის სუფთად და ახალ ტანსაცმელში დადიოდნენ. ქართველი ქალი ვარ და იქ, უზბეკეთში არავის მივცემდი არც ჩემი თავის და არც ჩემი შვილების დაცინვის უფლებას! ღამეს არ დავიძინებდი, შვილებს ყოველნაირად ვემსახურებოდი, ვზრუნავდი. ჩემი სიხარული ჩემი შვილები იყვნენ და თანაც ჩუმად სოხუმზე ვოცნებობდი... დარწმუნებული ვიყავი, რომ ოდესმე დავბრუნდებოდი. მიხაროდა, რომ ოჯახს მე თვითონ ვარჩენდი. ნამდვილი „ბიზნესმენი“ ქალი გავხდი.

შუა აზიაში ვისწავლე, რა არის ცხოვრება, როგორ უნდა გამომეჩინა ფხა, როგორ უნდა მებრძოლა... ახლა ნამდვილად გამიჭირდებოდა ცხოვრება, იმიტომ, რომ დღეს ადამიანები ერთმანეთს არ ეხმარებიან. მაშინ კი ყველა მეხმარებოდა. უწინ ადამიანები უფრო იჩენდნენ ერთმანეთის მიმართ გულისხმიერებას. აქ ვარ, საქართველოში, და ძაღლივით მექცევიან. არაფერი არა ვარ. ჩემი შვილები (გოგონები) ანტალიაში წავიდნენ სამუშაოდ. მე და ლამარას შვილი, 9 წლის ირაკლი ვართ აქ... ხვალ-ზეგ ჩვენც წავალთ... საქართველოს არ ვჭირდებით და იმიტომ... როგორც დეპორტირებული „თურქი მესხის“ ცოლი, პენსიას 45 ლარს ვიღებ, ხოლო როგორც სოხუმიდან დევნილი – 11 ლარს. ესაა ჩემი საარსებო წყარო...

მესხების შესახებ

მესხები თავიანთი ინიციატივით ეწერებოდნენ თურქებად. ქართველებად ისინი ვეღარ გრძნობდნენ თავს და არც უნდოდათ ქართველობა... არც უზბეკები იყვნენ. მესხობიდან ბევრს ჰქონდა ქართული გვარი, მაგრამ ქართველებად არ იწერებოდნენ. მაგალითად, ჩემმა უმცროსმა მაზლმა, ლადო ბაქრაძემ თავისი შვილები თურქებად ჩაწერა, გვარად ლატიფოვებად... ამბობდა, საქართველოში არ გვღებულობენ, არავის ვჭირდებით, ამიტომაც მუსლიმანურ გვარად ჩავწერებითო.

იქ, სადაც მე ვცხოვრობდი, მესხების ოჯახები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. შეძლებული ოჯახები იყვნენ და ხშირად ქეიფობდნენ. ეს „არამესხებს“ არ მოსწონდათ, შურდათ. ისიც კი შურდათ, მესხებმა ქართველი რძალი რომ მოიყვანეს. უზბეკებს ეგონათ, რომ მესხები ქართველები არ იყვნენ. მესხები თურქებად იმიტომ ეწერებოდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ აქედან მათ არავინ გააგდებდა, როგორც 1944 წელს გააგდეს. თუმცა მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ამბობდნენ, ნეტავი ერთხელ მაინც ქართული წყალი დაგვალევინა და მეორე დღეს მოგვკლაო... მესხები უზბეკებადაც ეწერებოდნენ, აზერბაიჯანლებადაც, თურქებადაც. სახელმწიფო მათ ამას არ ავალდებულებდა, არავინ აიძულებდა, გვარები შეეცვალათ. მაგრამ მათ ასე სჭირდებოდათ. ჩემს ქმარს ისინი არ უყვარდა, არ ემეგობრებოდა, არ ჰქონდა ურთიერთობა მათთან... თუმცა, ერთი ჩემი ბიჭი ქართველად ჩაწერა „მეტრიკაში“ (დაბადების მოწმობა), მეორე – აზერბაიჯანელად. ყველაზე ახლობელი მეგობრები მესხები და აზერბაიჯანელები იყვნენ ჩემთვის. მეც ვმესხობდი, რადგან ქმარი მესხი მყავდა და ჩემი შვილებიც ამბობდნენ, რომ მესხები იყვნენ, მესხობდნენ.

უზბეკეთში მყოფი მესხები სტალინს ვერ იტანდნენ, მე კი... მიყვარდა სტალინი. თანაც ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, სტალინის სურათები იყო გამოდებული. უზბეკებს მანქანებში, სახლებში სტალინის დიდი სურათები ჰქონდათ. მეც მქონდა მაღაზიაში ასეთი სურათი გამოკიდებული... ზოგი მესხი მემდუროდა იმის გამო, რომ სტალინის სურათი მქონდა კედელზე. ადამიანები ვერ იტანდნენ სტალინს, განსაკუთრებით „თურქი მესხები“, მაგრამ მანქანებში თუ სახლებში სტალინის სურათი ეკიდათ. მაღაზიაში რომ დავიწყე მუშაობა, სწორედ სტალინის სურათი მაჩუქეს ჩემმა თანამშრომლებმა. როცა სტალინი მოკვდა და ხრუშჩოვი დადგა, ჩემთან შემოწმებაზე მაღაზიაში რევიზია მოვიდა. ვერაფერი ვერ მიპოვეს და სტალინის სურათს გამოედავნენ. ეს სურათი ჩამოხსენიო! – მითხრეს. მე კი მივუგე: აქედან რომ წავალ, მაშინ წავიღებ-მეთქი. აღარაფერი უთქვამთ... ყველამ იცოდა, რამდენი რამ გადავიტანე, მაინც ძლიერ ქალად მთვლიდნენ და ავტორიტეტი ვიყავი ყველასთვის. მეორე სტალინი ხარო, – მეუბნებოდნენ ჩემი ნაცნობები...

ჩემი ქმარი კომუნისტი იყო, ომის ვეტერანი, სამშობლოს დამცველი. „კანტუზია“ მიიღო იქ. სტალინმა კი 1944 წელს დედაბუდიანად ყველა მესხი გადაასახლა... მაგრამ მე არასოდეს მსმენია, ოდესმე ჩემს ქმარს სტალინზე აუგი ეთქვას. სტალინი გვეგონა ჩვენი პატრონი... მეც ჩემს შვილებს სტალინივით მკაცრად ვზრდიდი. ყველამ იცის, რომ თბილი გულის პატრონი ვარ, მაგრამ ჩემს შვილებს მტრებივით ვექცეოდი. არ ვანებივრებდი, გოგონებს მოდაზე არ ვაცმევდი. ახლაც არ მიყვარს, როცა ქალს შარვალი აცვია. ჩემი ლამარა შარვალს თუ ჩაიცვამდა, ვეტყოდი, ხალათი გადაიცვი-მეთქი... ასე გადიოდა სახლიდან, თუმცა ხმები მომდიოდა, როგორც კი სახლს გასცდება, ხალათს იხდის და ისე მიიპრანჭებაო... ამას მეზობლები მეუბნებოდნენ.

სტალინის პოლიტიკას არავინ აკრიტიკებდა. უზბეკებსაც ძალიან უყვარდათ სტალინი. ვიცოდი, რომ სტალინზე ბევრი ანეკდოტი დადიოდა, მაგრამ არავინ ყვებოდა ანეკდოტებს ჩემი თანდასწრებით. იცოდნენ, რომ გავბრაზდებოდი. ვბრაზდებოდი იმის გამოც, რომ როცა აქ (თბილისში) აფხაზეთიდან დევნილად

ჩამოვედი, ქართველებმა დაცინვა დამიწყეს, მაჰმადიან მესხებთან რომ დავიწყე მეგობრობა და მიმოსვლა... ჰო, ჰო, იარე მუსლიმანებთანო, – დამცინოდნენ – იმიტომაცაა შენი საქმე კარგადო, – ასე მეუბნებოდნენ. მე კი ვპასუხობდი: მესხები მუშა, მიწის მოყვარული ხალხია. მეც მიყვარს-მეთქი მესხები. მესხები რომ ყველანი საქართველოში ჩამოასახლონ, მთელი საქართველო აყვავდება-მეთქი. ბევრს არ ესმოდა, რომ ეს მესხები ქართველები იყვნენ, ოღონდ არამართლმადიდებლები, არაქრისტიანები. საიდან მოდის ამ ხალხის სიძულვილი „თურქი მესხებისადმი", ძალიან მიკვირს. თუმცა ჩემზე, როგორც „თურქი მესხის" ოჯახის წევრზე, სახელმწიფომაც არანაირად არ იზრუნა. 7 წლის წინათ გურამ მამულიამ (ქართველი ისტორიკოსი და მუსულმანი მესხების უფლებების დამცველი, გარდ. 2003 წელს) მარნეულში წამიყვანა, რაღაც სახლი მაჩვენა 40 კვ. მ. ფართი მიწით და გამომიცხადა: „ეს სახლი შენია!" გამიხარდა, მაგრამ ჩემთვის არანაირი საბუთები არ მოუცია არავის იმის თაობაზე, რომ ჩვენ ვიყავით ამ სახლის პატრონი. „სახლი" – ხმამაღლაა ნათქვამი. ეს იყო ორსართულიანი სახლის ჩონჩხი. ეზო და ხეხილი არ იყო... მერე იქაურმა აზერბაიჯანელებმა მითხრეს: აბა, საბუთი გვაჩვენე, რომ ეს სახლი შენიაო! ჩემთვის კი გურამ მამულიას არანაირი საბუთი არ მოუცია. ჰოდა, გამოგვაბრძანეს იქიდან.

ერთ რამეს მართლაც ვნანობ – 15 წლის წინ გარდაბნის რაიონის პირველი მდივანი ჩემი მეგობრის ბიძაშვილი ავთო მარგიანი იყო. მან შემომთავაზა გარდაბანში ბინა. შემომთავაზა კი არა, მომცა. მაგრამ ჩემმა შვილებმა თანხმობა არ განაცხადეს. მათ სოხუმში უნდოდათ ცხოვრება. მეც, რასაკვირველია.

როცა ვინმე ტაშკენტში ან გულისტანში ჩამოვიდოდა, „აფხაზ" თალიკო ბაქრაძეს აუცილებლად მოიკითხავდა და სახლში მესტუმრებოდა.

ერთხელ ტაშკენტის აეროპორტში აფხაზმა კაცმა დამიძახა „ზემლიაჩკა". სიხარულისგან გავგიჟდი. ერთხელ ჩემს ქალიშვილთან, ლენარასთან (გათხოვდა განჯაში, აზერბაიჯანელს გაჰყვა) მივდიოდი. ბაქოში თვითმფრინავი იგვიანებდა. აფხაზები შემხვდნენ. მაშინ სოხუმის ტრაგედია დატრიალებული იყო. აფხაზებიც სადღაც მიდიოდნენ... მიცნეს. „ზემლიაჩკა" იმათაც დამიძახეს და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ცხოვრება გრძელდება

უზბეკეთში ყოფნისას თურქული ენა ვისწავლე. მესხები თურქულად საუბრობდნენ და მეც თურქული ვისწავლე ძალაუნებურად... მესხები – ბერიძეები, კიკნაძეები, ბაქრაძეები – ყველანი თურქულად ავლაპარაკდით. ბევრმა დაივიწყა ქართული. მე ვცდილობდი, ქართული შემენარჩუნებინა, თუმცა ჩემი ქმარი, როგორც ვატყობდი, დიდად არასოდეს მესხობდა. ვერ გაიგებდი მისას. თუმცა იქ, უზბეკეთში, არავინ არჩევდა ადამიანებს ეროვნების მიხედვით. სად არ ვმუშაობდი: მაღაზიაში, გარეთ, წყლის, ნაყინის გამყიდვლად. მერე ლიმონათის წვენებისა და „კრასიტელების" (ფერის მიმცემი) ჩამოტანა დავიწყე სოხუმიდან. ჩემი ბიზნესიც დავატრიალე. 130 მანეთად დიდი ბიდონით ვყიდულობდი გაზს, სიროფს – 25 მანეთად და „ლევად" ვყიდიდი წყალს. 4 შვილს ხომ სჭირდებოდა რჩენა. არაჩვეულებრივი წყალი გამომდიოდა. სოხუმიდან წამოღებული მასალით გაკეთებულ გაზიან წყალს უზბეკებს ვასმევდი. ისინიც კმაყოფილი იყვნენ და

მეც მშვიდად მეძინა. მეკითხებოდნენ: თალიკო, ასეთი კარგი წყალი საიდან გაქვსო? – სოხუმიდან-მეთქი, – ვპასუხობდი. ტარხუნა მოსწონდათ განსაკუთრებით უზბეკებს. ჰოდა, ორ თვეში ერთხელ სოხუმში ჩამოვდიოდი, როცა სსრკ არსებობდა, მომქონდა ტარხუნის „კრასიტელი“ და გაზიან წყალს ვაკეთებდი. „ამარანი“ ერქვა ამ ლიმონათს. ჰოდა, ფულსაც ვშოულობდი – 300 მანეთს დღეში და ავტორიტეტიც მქონდა. მაშინ არც ქურდობა იყო ასეთი და არც რეკეტი. სამსახურიდან რომ მოვდიოდი, კარებს არ ვკეტავდი. მხოლოდ ღამღამობით ვკეტავდი. სახლში გვიან ვბრუნდებოდი, ოქრო-ბრილიანტი მეკეთა, მაგრამ არავის დავუყაჩაღებივარ. 300 მანეთი ჩანთით მომქონდა, არავის გავუქურდივარ... მით უმეტეს, იცოდნენ, რომ საკმაოდ დიდ თანხას ვშოულობდი.

მინდოდა ჩემს გოგონებს და ბიჭებს ქართული ოჯახები შეექმნათ. სოხუმში მინდოდა დაბრუნება. ლამარა გაიზარდა, გალამაზდა, ტანადი გოგო იყო. 16 წლის ასაკში უკვე ზრდასრული ქალის შესახედაობა ჰქონდა. ვიფიქრე, უზბეკებმა არ წამართვან-მეთქი. ავიღე ბილეთი სოხუმისკენ და გავუშვი ჩემებთან ჩემი გოგო. ლამარამ ქართული არც ერთი სიტყვა არ იცოდა. სოხუმელი ნაცნობიც შემპირდა, სოხუმში მოვაწყობ ინსტიტუტში შენს გოგოსო. ბავშვი ჯერ ჩასული არ მეგონა, ჩემი უფროსი ძმა მირეკავს. მაისურაძეები მოვარდნენ, ლამარა მოეწონათ და 26 წლის სასიძოს სასწრაფოდ ცოლად წაყვანა უნდა მისიო. უკან რომ წამეყვანა, უზბეკი სიძე არ მინდოდა. არ მინდოდა ლამარა მუსლიმანს გაჰყოლოდა. ქართველი და მართლმადიდებელი სიძე მინდოდა. 10 წლით უფროსი იყო ჩემი სასიძო ჩემს გოგონაზე. ჩავედი სოხუმში და ლამარა მეუბნება: დედა, არ მინდა გათხოვებაო. მე ჯერ ვუბრძანე, მერე კი ვცემე და ისე გავაყოლე ჩემი ლამარა იმ კაცს (ტირის), „ქართველობას“ შევწირე ჩემი გოგო... თურმე ჩემს შვილს საშინელი ცხოვრება ჰქონია. ძალიან ეჭვიანი ყოფილა ჩემი სიძე. უყვიროდა, სცემდა. ლამარა კი მიმალავდა ამას ყველაფერს (ტირის). დედას რთული ცხოვრება ჰქონდა და ინერვიულებს, რომ ვუთხრაო. 20 წელი ითმინა (ტირის). ჩემსავით უბედური ყოფილა პირად ცხოვრებაში. ერთადერთი, რაც არ მომეწონა, მაგრამ აღარ მიმიქცევია ყურადღება, ის იყო, რომ როცა ლამარა დანიშნეს, ოქრო-ბრილიანტები: საყურეები, ბეჭდები – უამრავი მოიტანეს. ქორწილის მეორე დღეს კი ყველაფერი გაქრა. თურმე ნათხოვარი ჰქონდათ და უკან დაუბრუნეს პატრონებს. ტაშკენტში დაბრუნებამდე საკმაოდ დიდი თანხა მივეცი ლამარას დედამთილს, ახალდაქორწინებულებს ავეჯი უყიდეთ-მეთქი (ტირის). დედამთილს კი ეს არ გაუკეთებია. მერე მითხრა, იმ ფულით ჩვენი ვალები გავისტუმრეთო...

ლამარას გათხოვებიდან 8 წლის მერე ჩემი მაზლის ქალიშვილი სოხუმში ჩემებთან ჩავიდა. გაგიჟებული დაბრუნდა. მითხრა, შენი ლამარა სამი ბავშვით ვაგონში ცხოვრობსო! მეხი დამეცა თავზე... სოხუმში გავქანდი და რას ვხედავ: ლამარას მაზლს ლამარა და მისი ქმარი სახლიდან გაუგდია. ჰოდა, ჩემი გოგო მართლა ვაგონში არ ცხოვრობს?! (ტირის) მაზლს უთქვამს ლამარასთვის, შენ კი გცემ პატივს, მაგრამ ჩემს ძმას ვერ ვიტან, ამიტომაც აქედან უნდა წახვიდეთო! რატომ მიმალავდა ჩემი გოგო ასეთ ცხოვრებას? როცა სოხუმში ჩავდიოდი, სახლში მხვდებოდა ყოველთვის... მაზლი იმ დროისათვის თავის სახლს „უთმობდა“... ორი თვით ჩამოვედი სოხუმში და შევეცადე ლამარას ცხოვრება როგორმე

მომეწესრიგებინა. ვუყიდე ავეჯი, თეთრეული. სიძეს – მანქანა... „ვაგონი“ მოვუწყე და ბინის ყიდვის იმედით ისევ უზბეკეთში დავბრუნდი. იყო დრო, როდესაც ვეჩხუბებოდი ჩემს შვილიშვილებს (ლამარას შვილებს), რატომ არ მიყვებოდით ჩემი შვილის გასაჭირს-მეთქი. ისინი კი მპასუხობდნენ: ბებო, დედა გვიშლიდაო.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, 1991 წლის ზაფხულში, ლამარამ და მისმა ქმარმა უფასოდ მიიღეს რვაოთახიანი ბინა. ჩვენმა ერთმა ნაცნობმა გამსახურდიამდე ხმა მიიტანა, რომ მრავალშვილიან ოჯახს უჭირდა. ჰოდა, ასეთი ბინა მიიღო ჩემმა გოგონამ კომკავშირის ქუჩა №9-ში. გამსახურდია მაშინ ძალიან ბევრს დაეხმარა. მე მისი მწამდა. 1991 წლის არჩევნებში სპეციალურად ჩამოვედი ტაშკენტიდან და მთელი ოჯახის მაგივრად გამსახურდიას მივეცი ხმა.

ტაშკენტში დაუსწრებლად ჩემს ლამარას რუსულის ენის ფაკულტეტი დავამთავრებინე, მაგრამ რად გვინდოდა ეს განათლება? ქმარი თურმე კარს იქით არ უშვებდა. ორჯერ წავიდა სამსახურში ჩემი შვილი და ორჯერვე ქმარს კართან უცემია. ესეც დამიმალა ჩემმა შვილმა. განათლება არაფერში გამოადგა! იქ იყო და ქმარი ჩემს გოგონას სამსახურში არ უშვებდა, როცა დევნილები გავხდით, თბილისში მასწავლებლის ადგილს ვინ მისცემდა? ცოტ-ცოტას ვვაჭრობ-დით, ჭურჭელს ვრეცხავდით საქორწინო დარბაზებში. ახლა ჩემი გოგონა ანტალიაშია... ქმარს გაშორდა. ისიც მას მერე, რაც მე თავად შევესწარი აქ, დევნილობის პერიოდში, როგორ სცემდა ქმარი...

მე კი აქ ვარ, ლამარას უმცროს ბიჭთან, ირაკლისთან ერთად და ხვალ-ზეგ ჩვენც ანტალიაში წავალთ! (ტირის) უზბეკეთში, გულისტანში კარგად ვცხოვრობ-დით... აქ კი ვაჭრობა დავიწყეთ ძონძებით. ლამარას საიდანღაც ძველი, „სექენდ ჰენდის“ (მეორადი) ტანსაცმელი მოჰქონდა და „სამგორის“ მეტროსთან ჰყიდდა. მე „საჩებურეკეში“, ქავთარაძის ქუჩაზე, ჩებურეკებს ვაცხობდი. მერე ღვეზელების ცხობა დავიწყე და სკოლის სასადილოში მიმქონდა. ლამარამ ჭურჭლის მრეცხავად დაიწყო მუშაობა სარიტუალო დარბაზში „იავნანა“ და ასე ვართმევდით თავს ცხოვრების სიდუხჭირეს.

ფერგანა

20 წლის შემდეგ, რაც წყლის გაყიდვა დავიწყე, კაფე შევისყიდე... უფრო სწორად, მე ვიყავი დირექტორი. გულისტანში, სადაც მუდმივად ვცხოვრობდი, ყველა მესხი საღამოობით ჩემთან მოდიოდა. მოიტანდნენ მაგნიტოფონს, მუსიკას ერთად ვუსმენდით, ახალ და ძველ ამბებს ერთმანეთს ვუყვებოდით. ჩემმა ბიჭებმა უზბეკეთის ქალაქ კუასაიში კარგი სამსახური იშოვეს და იქ გადავიდნენ. კუასაი ფერგანიდან 3 კმ-ით დაშორებული ქალაქია.

1983 წელს მეც გადავედი კუასაიში, გულისტანში 26 წლის ცხოვრების მერე. იქ კაფე გავხსენი. ბიჭებმა რესტორანი გახსნეს. ყველაფერი თითქოს კარგად აეწყო. კუასაიშიც ბევრი მესხი ცხოვრობდა და მათთანაც კარგი ურთიერთობა დავამყარეთ. პატივს მცემდნენ... ვინც კი ქართველი გაჭაჭანდა იმ პერიოდში კუასაიში თუ ფერგანაში, ყველა ჩემთან მოდიოდა, სოხუმელები კი – განსაკუთრებით. მე მათ არ ვიცნობდი, მაგრამ მაინც გულღიად ვღებულობდი სახლში.

ვიხსენებ, რომ ჩემთან მთელი გასტროლების (4 თვე) განმავლობაში ცხოვრობ-და აფხაზების მუსიკალური ანსამბლი „შარატონი“, ასევე „ადილოვის საქმის“

ქართველი გამომძიებლები. ყველამ იცოდა, რომ გულისტანში, მერე კუასაიში თალიკო ცხოვრობს, რომელთანაც შეიძლება მიხვიდე და ქართულად პატივს გცემსო. სხვა რესტორნებში თუ შევიდოდი, ჩემს დანახვაზე მუსიკოსები მაშინვე „სულიკოს“ უკრავდნენ. ჩემთან სტუმრად ანსამბლი „ივერიაც“ კი იყო...



თალიკო შვილებთან ერთად სოხუმში

9 აპრილის (1989 წ.) ტრაგედიის დროს სოხუმში ვიყავი. კარგად მახსოვს, რომ აფხაზები, ქართველების მსგავსად, ძალიან აღშფოთებულები იყვნენ იმით, რაც თბილისში დატრიალდა. ამ უბედურების დასაწყისის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, მაგრამ ის კი ვიცოდი და ვხედავდი, რომ ჩემს ნაცნობ აფხაზებს ის 9 აპრილი და ადამიანების სიკვდილი არ გახარებიათ. რატომ უნდა გახარებოდათ? არც ერთ აფხაზს ჩემთვის არ უთქვამს, ასე მოგიხდებათო...

12-ში ფერგანაში დავბრუნდი. აეროპორტში შემხვდა ერთი ე. წ. მესხი, მეტსახელად „ჩაჩი“. კუასაიში „ჩაჩს“ ყველა იცნობდა. იცნობდა იმით, რომ საქართველოს და ქართველებს ვერ იტანდა. თან გაუთავებლად გაიძახოდა, თურქი ვარო. არადა, ვიცოდით, რომ გადმოსახლებული მესხი იყო. ჰოდა, მხვდება და სახეში მახლის თურქულად: თალიკო, 9 აპრილს რატომ ყველა ქართველი არ გაწყდაო! გავგიჟდი... ეს როგორ მითხრა-მეთქი და ჩემს ცხოვრებაში მგონი პირველად, ადამიანი დავწყევლე. რუსულად ვუთხარი: «Дай Бог, чтобы ты пятый угол искал». პირველ მაისს კი ომი ატყდა, უფრო სწორად, დაიწყო...

ბევრმა არ იცის, რომ ფერგანის არეულობა პირველად ჩემი სამწვადიდან დაიწყო, რომელიც გამარჯვების პარკში მდებარეობდა. სამწვადეში პირველ მაისს ვიღაცეები მისულან და ჩემს მუშებთან დაუწყიათ ჩხუბი, – მწვადს რატომ ყიდითო, ვიღაც მესხს რატომ ემორჩილებითო... არადა, ჩემთან უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები მუშაობდნენ ერთად. ოფიციანტები რუსები მყავდა. მისულან გამყიდველთან და ფული მოგვეციო, ახირებიან. ფულის წართმევა სდომებიათ. ხომ ვთქვი, რომ იქაურ მოსახლეობას არ მოსწონდა, რომ „თურქი მესხები“ კარგად ცხოვრობდნენ და ბიზნესს ატრიალებდნენ. მოვარდნენ ჩემთან – თალიკო, სამწვადეში ჩხუბობენო. მეც გამოვიძახე მილიცია და ეს ამბავი იმ დღესვე ჩაწყნარდა. 2 მაისს მილიციის უფროსი მოვიდა ჩემთან, დაბადების დღე მომილოცა და თან გამაფრთხილა, რომ ეს ინციდენტი შეიძლება განმეორებულიყო. მთელი 20 დღე სიწყნარე იყო... არავინ არავის ერჩოდა. თურმე ომისთვის ემზადებოდნენ...

23 მაისს ფერგანის ერთ-ერთ რესტორანში „თურქი მესხი“ ზის სუფრასთან. უზბეკს მისთვის მიუმართავს: ჭიქა მომაწოდეო... მესხს კი უთქვამს – ეს ჭიქა მე მჭირდებაო. უზბეკი ამდგარა და იმ კაცის სუფრაზე პური მოუტეხია... და

ჭიქაც აუღია... მაგარი ჩხუბი ატეხილა ამის გამო. მეორე დღეს, 24 მაისს ქალაქის ერთ ადგილზე 500-მდე უზბეკმა მოიყარა თავი და „თურქი მესხების“ სახლებში დაიწყეს შევარდნები. ფერგანაში პირველი მაისის ქუჩაზე ძირითადად „თურქი მესხები“ ცხოვრობდნენ. დაიწყო დარბევა... თურმე წინასწარ მომზადებულან, დაუგეგმავთ. სხვადასხვა რაიონებიდან მატარებელში ჩასხდნენ და ფერგანაში ჩამოვიდნენ „ანგარიშის გასასწორებლად“. ნეტავ დროზე დავებრუნებინეთ საქართველოს... ათასობით „თურქი მესხი“ გაწყდა მაშინ. მესხები ხშირად მეუბნებიდნენ: წადი, თალიკო, შევარდნაძეს, მერე პატიაშვილს უთხარი, უკან დაგვაბრუნონო.

23-ში ჩემი რესტორნის დამლაგებელი ქალი მოვარდა და აქოშინებული მიყვებოდა, რომ დაინახა, ღამით პურის საცხობის შენობიდან მამაკაცები რაღაცას როგორ ტვირთავდნენ მანქანაზე. „დუბინკებს“ იმარაგებდნენ თურმე. მესხები ტუტუცი და „ნაგლი“ (თავხედი) ხალხი ხართო, – აი, ასე ამბობდნენ... არ უყვარდათ მესხები, იმიტომ, რომ ისინი უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. 24 მაისს ერთი „თურქი მესხი“ მოკლეს. საღამოს აგურის ქარხანასთან „თურქი მესხები“ და უზბეკები „შეხვდნენ“ ერთმანეთს. ერთი ტაჯიკი ბიჭიც დაიღუპა მაშინ. უფრო სწორად, კი არ მოკლეს, გადათელეს. მერე ტაშკენტში დაიწყო არეულობა. ჩვენ არც პრესა წაგვიკითხავს, ამას თურმე არც წერდნენ, და ტელევიზორისთვისაც არ გვიყურებია... 4 ივნისს კუასაიდან ჩემი ბიჭები გულისტანში წავიდნენ საქმეზე. 5 ივნისს მაზლის გოგონას დაქალმა დაგვირეკა და შეგვატყობინა, ფერგანა იწვისო. მაშინვე ტაქსით გავვარდი... კაკანში რომ ჩავედი, პოლიცია აღარ მიშვებდა – გზის გაგრძელება აღარ შეიძლება, ომი დაიწყო, ყველგან ჯარი დგასო. ავტირდი, ჩემი ბიჭები, არ ვიცი, ცოცხლები არიან, თუ არა, გამიშვით-მეთქი... ყველა მიცნობს... როგორც იქნა, გამიშვეს. გულისტანში, ჩვენს ძველ სახლში მივვარდი. მანქანა დგას, ცოცხლები არიან. ამივარდა ტირილი. გადავრჩით. მეორე დღეს დავკეტეთ ორივე სახლი, დავტვირთეთ მანქანები და ყირგიზეთში გადავედით.

„თურქი მესხები“ ხშირად ინიშნებოდნენ წამყვან პოსტებზე მილიციაში, საქალაქო საბჭოებში. მაგრამ ფერგანას არეულობა ყველას შეეხო. ყაზახები არავის ინდობდნენ. ქვებით ქოლავდნენ, მანქანებით დასდევდნენ... პოლიცია ვერ ერეოდა ამ განუკითხაობაში. სამხედრო ძალები თითქოს ჩაერივნენ, მაგრამ ისინი ვერ აჩერებდნენ გაგიჟებულ უზბეკებს. უზბეკი პოლიციელი უზბეკს ხომ არ მოკლავდა? უზბეკი კი უზბეკ პოლიციელს ნამდვილად მოკლავდა, თუ ჩათვლიდა, რომ ის პოლიციელი წესრიგს კი არ ამყარებდა, არამედ „თურქ მესხებს“ ემხრობოდა.

საშინელი ამბები მოგვდიოდა ფერგანიდან. უზბეკებმა ყველა „თურქი მესხის“ სახლი დაწვეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, კუასანში, უზბეკები არ შესულან, რადგანაც კუასანში ძირითადად თურქები ცხოვრობდნენ. უზბეკებმა თავიანთი სახლების კარებებზე თავსაფრები – „ბულბახები“ ჩამოკიდეს. „თურქ მესხებს“ კი ასეთი „ბულბახები“ არ ჰქონდათ. ასე იცნობდნენ „თურქი მესხების“ სახლებს, ოჯახებს. ბევრი ადამიანი დაიღუპა. დღემდე არ არის ცნობილი ზუსტი ციფრი. ქალებს, გოგონებს, არასრულწლოვნებს აუპატიურებდნენ. ფეხმძიმე ქალებს კლავდნენ! საქალაქო საბჭოში ერთი ჩემი ნაცნობი ქალი მუშაობდა. დამიძახა: – თალიკო, მოდი ვიდეოს გაყურებინებ,

უზბეკები როგორ აწამებენ „თურქ-მესხებსო“. შევედით ვიღაცის ბინაში და რა ვნახე!. უზბეკებმა გამოიყვანეს აკივლებული ორსული გოგო, იქვე გაჭრეს და ბავშვი ძირს დააგდეს! (ტირის) რა ვნახე! ერთ ქალს ბავშვი წაართვეს და მის თვალწინ წვავდნენ. გავგიჟდი და ანის ვეუბნები: გამიყვანე აქედან, მეტი არ შემიძლია-მეთქი. ამბობენ, ვიღაც რუსი ჟურნალისტი ქალი, სახელად ლუდა, იღებდა... უზბეკები აღებინებდნენ... მერე ის ლუდა სადღაც გაქრა. ბევრს აინტერესებდა ამ ქალის შესახებ შეეტყოთ რაიმე, მაგრამ ამაოდ... კასეტა კი ყველგან გავრცელდა.

როცა ყირგიზეთში გადავედით, მანქანით გავემართეთ ოშის რაიონის ქალაქ კოკიანგარქში. სასტუმროში ოთახი ავიღეთ. იქაც პატარა სახლი ვიყიდეთ და... იქაც ომი ატყდა. უზბეკები და ყირგიზები დაერივნენ ერთმანეთს. ჩემი სახლის გარშემო „ბეტეერები“ იდგა... აღარ დაგვედგომებოდა არც აქ. მერე ხმები მოგვდიოდა, რომ ნამდვილ მესხებს თითქოს ფერგანაში არ ერჩოდნენ, მხოლოდ თურქებს... მაგრამ ბევრი თვლიდა, რომ ჩვენ თურქებს ვგავდით... თუმცა თურქები კი არა, ქართველები ვიყავით. ომის დროს ხომ არ დაიწყებდნენ გარჩევას, შენ ქართველი ხარ თუ თურქი? დღემდე არ არის ცნობილი, რამდენი ადამიანი დაიღუპა... ზოგი 3000-ს ამბობს, ზოგი – 10 000-ს. ზოგიც – 500-ს. არ ვიცი.... ერთი თვე დაველოდეთ სიტუაციის დაწყნარებას... გვეუბნებოდნენ – დაბრუნდით, დაბრუნდითო. კოკონგარქში რომ დავყავით რაღაც დრო, მერე კუასანში დავბრუნდით, 5-ტონიანი ტრაილერი დავტვირთეთ და სოხუმში წამოვედით... კონტეინერები ჩემი ძმის მისამართზე გავუშვი სოხუმში. 11 ივლისს ჩვენ გადმოვფრინდით სოხუმში, მეორე დღესვე, ანუ 12 ივლისს სახლი ვიყიდეთ ძიძარიას ქუჩაზე... დავბინავდით და 15 ივლისს (1989 წლის) ისევ არეულობა დაიწყო... ოღონდ ახლა სოხუმში. წითელ ხიდთან ერთმანეთს აფხაზები და ქართველები დაერივნენ... ეს რომ შევიტყვე, იმ დღესვე ფული უკან დავიბრუნე, ბინიდან გამოვედი და საერთოდ, სოხუმიდან წასვლაც გადავწყვიტეთ... ისე დაშინებული ვიყავით ფერგანის მერე... 3 დღეში ეს არეულობა სოხუმშიც ჩაწყნარდა... ჰოდა, კომკავშირის ქუჩაზე 120 000 რუბლად ვიყიდე სახლი... გზაში ჩვენი კონტეინერი ორჯერ გაქურდეს.

სახელმწიფომ, სხვათა შორის, იმ „თურქ მესხებს“, ვინც ფერგანიდან გამოაგდეს, ფული მისცა კომპენსაციის სახით. არა მარტო თურქებს და მესხებს, ყველას, ვინც იმ ომის დროს თავისი სახლები და სამუშაო დატოვა. საქართველომ ჩვენ არანაირი კომპენსაცია არ გადაგვიხადა. მოსკოვიდან 8 ათასი გამომიგზავნეს კომპენსაციის სახით. აქ, თბილისში კი რას ვიღებ დევნილობისთვის? 11 ლარს! პენსიას 45 ლარს ვიღებ, იმიტომ რომ დეპორტირებული მესხის ოჯახის წევრი ვარ... იმ 11 ლარსაც წივილ-კივილით და რის ვაი-ვაგლახით ვიღებ! დღესაც ვიყავი... რიგში ვიდექი 11 ლარისთვის. ვერ ავიღე. არაფერი აღარ მინდა (ტირის). ისეთი დატანჯული ვარ... საქართველო-საქართელოო გავიძახოდი... სოხუმის წყალი მესიზმრებოდა... აქა ვარ და შიმშილით ვკვდები... სახლი მე არა მაქვს და კარი. შვილები საზღვარგარეთ გამექცნენ... შვილიშვილები თან წაიყვანეს. მე და ლამარას შვილი – ირაკლი ვართ. აქ რომ მოვკვდე, დამსაფლავებელიც არა მყავს. გული მტკივა, რომ იმ ქვეყანამ, რომელიც ჩემთვის საოცნებო იყო, არ მიმიღო და მე ახლა ლამის გამათხოვრებული ადამიანი ვარ. არადა, საქართველოს მოქალაქე ვარ. ჩემი დანაშაული ისაა, რომ ქართველად დავიბადე?

აფხაზეთი

1992 წლის 16 აგვისტოს (14 აგვისტოს) ომი ატყდა აფხაზეთში... ჩვენც ავდექით და ტაშკენტში გადავფრინდით. 28 აგვისტოს გამოცხადდა დროებითი ზავი. როგორც კი გავიგეთ, კვლავ სოხუმში დავბრუნდით. თბილისში ჩამოვფრინდით და თბილისი-სოხუმის მატარებელში ჩავსხედით. 2 დღე გზაში ვიყავი. ჩამოვედი და დასაფლავებაზე აღმოვჩნდი. აფხაზებმა ძმისშვილის ქმარი – სოსო მოგვიკლეს. მეორე დღეს ძმასთან ვარ. ძმისშვილის ცოლი დილის 7 საათზე, კვირა დღეს, თავზე მადგება და მეუბნება: დამესიზმრა, ოდიშიდან შავებში ჩაცმული ქალების ჯარი გამორბოდაო... ამას მიყვება და არ დაიწყო ავტომატების კაკანი?! (ტირის) სროლა შრომიდან (სოფელი სოხუმის სიახლოვეს) ისმოდა. გიჟივით გავვარდი ჩამბას ქუჩიდან ჩემს სახლამდე, კომკავშირის ქუჩამდე. ლამარა მეუბნება, – დედა, წავიდეთ სამხედრო „სანატორიაში“. რა ხდება, იქ უკეთესად გავიგებთო... ყველა თურმე იქ გარბოდა ამბის გასაგებად...

გავქანდით „სანატორიაში“ დღის 5 საათზე. კარები ჩაკეტილი დაგვხვდა. არავის უშვებდნენ! (ტირის) ღობის გისოსებს იქით ლამარა გაძვრა, ბავშვებიც გაძვრნენ და გაიქცნენ. მე ვერ გავეტიე. ავიწიე, ჩავიწიე, შევისუნთქე... ვერ ვეტევი... ვხედავ, ლამარა და ბავშვები თავისუფალი მანქანისკენ გარბიან... დედა, ბებია, – მიძახიან, – ჩქარა, ჩქარაო!.. სად გავრბოდით, არ ვიცოდი, მაგრამ გავრბოდით! როგორც იქნა, გამოვეტიე ღობის გისოსებში და მეც გავიქეცი ჩემებისაკენ. იქვე ეზოში იკარუსის ტიპის მანქანა იდგა. ამბობდნენ, ამ იკარუსს ბავშვები უნდა გადაეყვანაო. ჩვენ გზა განვაგრძეთ და შენობისკენ გავიქეცით. ერთი მეტრი არ გვქონდა გავლილი, რომ ყუმბარა მოხვდა იკარუსს და აფეთქდა!.. ღმერთმა გადაგვარჩინა... უფრო ახლოს რომ ვყოფილიყავით იკარუსთან, ჩვენ გვამებსაც ვერ იპოვიდნენ... ირაკლი მაშინ 2 წლისა იყო... დედამისს ხელში ჰყავდა და ისე გარბოდა ლამარა. მეც ბავშვები კალთაზე (ეკა და ლიკა) მყავდნენ მოწებებული. როცა იკარუსი აფეთქდა, უკან მივიხედეთ... დავინახეთ, რომ რამდენიმე თავგახეთქილი კაცი მორბოდა... იკარუსის ნაწილები აქეთ-იქით ცვიოდა. „ბებია, ბებია“, – ყვირიან ბავშვები, – „სად მივრბივართ, სად?“ – მეკითხებიან. მე კი არ ვპასუხობ, უბრალოდ წინ გავრბივარ და თან ვფიქრობ, რა ბედი მაქვს. ამგვარი რამ ფერგანაში გადავიტანე და ახლა აქ, ჩემს სანატრელ სოხუმში... მივრბივარ და თან ვტირი. თან იმედს არ ვკარგად, რომ ღმერთი გადაგვარჩენს... შევედით „სანატორიაში“ და იქ „დავბინავდით“... ღამე იქ გავატარეთ. მჯდომარედ. დაბომბვის ხმა აქა-იქ გვესმოდა. სამხედრომ გვითხრა, სოხუმზე 28 ბომბი ჩამოაგდეს, ქალაქი ბოლშიაო... „სანატორიას“ არ შეეხნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ ის რუსების ტურბაზა იყო. ეს ტურბაზა თბილისის ქუჩაზე იდგა სოხუმში. არ ვიცი, ისევ ეს სახელი ჰქვია თუ არა ქუჩას, მაგრამ როცა 2003 წელს სოხუმში ვიყავი, ვნახე, რომ ეს „სანატორია“ ისევ იდგა ხელუხლებელი! (ტირის)

მთელი ღამე სროლა იყო. როცა გათენდა, ლამარა მეუბნება: – წავიდეთ სახლში, რაც მოგვივა, მოგვივა, სახლში სიკვდილი სჯობსო... გამოვედით და ამ დანგრეულ ქალაქში ჩვენი სახლების სანახავად წავედით. ვხედავთ, რომ არც ჩამბას ქუჩას, არც კომკავშირის ქუჩას არც ერთი ბომბი არ დასცემია. მთელი ნათესაობა, ახლობლები, ჩამბას ქუჩაზე შევიკრიბეთ... მოდიოდნენ რძლები,

ბიძაშვილები. სიძე მოვიდა და სატვირთო მანქანა მოგვაყენა. აბა, ყველა ჩასხედითო, თბილისში მივდივართო სასწრაფოდ... ლამარას ვეუბნები: – დედა, შენ წადი ბავშვებთან ერთად, მე დავრჩები და სახლს მივხედავ-მეთქი... ფული მქონდა, 30000 მანეთი შენახული საწოლის ლეიბში... სამკაულებიც იქ მქონდა. მხოლოდ 10000 მანეთი ავიღე. მეტი რაში დამჭირდება-მეთქი, გავიფიქრე. მაინც ხომ უკან უნდა დავბრუნდე, სოხუმში და ის ფული დავტოვე. რა სულელი ვიყავი! ვერ განვსაზღვრე... ავიღე ეს 10000 მანეთი და ლამარას მივეცი. მანქანით აეროპორტში მიგვიყვანეს. ხალხი უამრავი იყო იქ. ქალები თვითმფრინავის ტრაპზე იდგნენ და კიოდნენ... კაცები უკან ექაჩებოდნენ. ზოგს თმაში, ზოგს სად, ნახევრადტანსაცმელ-შემოგლეჯილები იდგნენ თვითმფრინავის ტრაპზე. ზოგი ფეხშველა, ზოგიც შემოხეული კაბით. რა ნახა ჩემმა თვალებმა! (ტირის) ლამარას ვეუბნები: – რაღა თვითმფრინავზე ავიდეთ და იქ გადაგვთელონ, ჯობს ჩემს მიწაზე მოვკვდე-მეთქი.

ხალხი ბრბოდ იყო გადაქცეული. მე და ლამარა ოთხი ბავშვით (მეოთხე გოჩა გვახლდა, ჩემი ბიჭის შვილი) უკან მოვბრუნდით. ვხედავთ, თვითმფრინავში ბარგს ტვირთავენ. ლამარას ვეუბნები: – ლამარა, იქნება ბავშვებთან ერთად საბარგულში ჩავსხდეთ-მეთქი. ის კი მპასუხობს: – დედა, შენ წადი, მე ბავშვებს მივხედავ. მეორე თვითმფრინავში ჩავსხდებით და გამოვემგზავრებითო. სამი სამხედრო ფორმიანი კაცი ტვირთავდა ბარგს თვითმფრინავში. ვთხოვე, თქვენთან ერთად წამოვალ-მეთქი. – კარგით, დეიდა, დაჯექითო. აფრინდა თვითმფრინავი, მივფრინავთ... ვზივარ შეშინებული საბარგულში, ნახევრად სიბნელეა. თვალი რომ სიბნელეს შევაჩვიე, ვხედავ, ჩემს გვერდით კუბოს ზომის გრძელი ყუთი დგას. ერთი ნაწილი დაჭედილი იყო, მეორე ნაწილი კი – ოდნავ გადახდილი. ერთ-ერთმა სამხედრომ შემამჩნია, რომ ამ კუბოს ვაკვირდებოდი... მეუბნება, ძმაკაცი დაგვეღუპა და თბილისში მივასვენებთო... როცა მიიხედა, ხელი ჩავყავი ღრიჭოში. ეჭვი მქონდა, რომ იქ კაცი არ ესვენა და ხელში მომხვდა თეფშები და ქვაბი... მეტყველებაზე მივხვდი, რომ ეს სამხედროები არ იყვნენ სოხუმელები, თბილისელები იყვნენ. გავჩუმდი. იქ ხომ არ დავიწყებდი ამბის გარჩევას, აქ კაცი კი არა, ჭურჭელი „გისვენიათ-თქო“. 20 წუთში თბილისში დავეშვით... აეროპორტში გვითხრეს, 2 თვითმფრინავი კიდევ უნდა გადმოფრინდესო.

უცებ ხმა დაირხა, მეორე თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდაო!.. (ტირის) მე კი ლამარა, ბავშვები და ჩემები იმ თვითმფრინავში მეგულებოდნენ. (ტირის) გავგიჟდი... დავიფიცე, ჩემი შვილი და შვილიშვილები რომ დამეღუპონ, წყალში გადავვარდები-მეთქი... გვერდით ერთი კაცი მეჯდა. კივილი და ღრიალი მორთო. მეორე თვითმფრინავში ჩემი ტყუპისცალი უნდა მჯდარიყოო... თვითონ თავისი შვილები ჩამოაცილა და სოხუმში უკან უნდოდა დაბრუნება. წარმოიდგინეთ, მესამე თვით-მფრინავის ჩამოცლას როგორ ველოდებოდი... ტრაპზე ლამარა და ბავშვები რომ გამოჩნდნენ, ისტერიული ტირილი ამივარდა. ცუდად ვიყავი... გავგიჟდი!

თბილისის აეროპორტიდან წავედით გლდანში, სასტუმრო „მეგობრობაში“. იქ ლამარას უკვე ჰქონდა „ბინა“ აღებული, როდესაც სოხუმში პირველი ტყვია გავარდა, თბილისში წამოვიდა და მერე დაბრუნდა სოხუმში... და ისევ თბილისში – „მეგობრობაში“ ჩამოვედით იმ ტანსაცმლით, რაც ტანზე გვეცვა.

თბილისში ჩამოვედით თუ არა, დაიწყო ზამთარი... წვიმა, თოვლი, უშუქობა. სამჯერ მეტროში ჩავრჩი... ბნელ გვირაბში ხელისცეცებით მივდიოდი... სამჯერ

ნაძალადევის მეტროდან გლდანის „მეგობრობამდე“ ფეხით გავედი... იმ ფულით, რაც სოხუმიდან წამოვიღე, ღუმელი ვიყიდე. პირველი ღუმელი მე დავდგი „მეგობრობაში“. სხვას არავის ჰქონდა. ყველა ჩემს ოთახში შემოდიოდა... რიგი იდგა ჩემს ოთახთან. იდგნენ ჩაიდნებითა და ქვაბებით... სიგარეტს ეწეოდნენ, როცა საჭმლის გაკეთებას ან წყლის ადუღებას ელოდებოდნენ. ერთი კვირა ვითმინე, მეორე კვირაც მოვითმინე. მერე კი ველარ შევძელი. ჩემს შვილიშვილებს საჭმელს ვერ ვუკეთებდი, ბავშვების ადგილი აღარ იყო ოთახში! (ტირის) ხანდახან თბილისელებს ნახმარი ტანსაცმელი, ძონძები მოჰქონდათ სასტუმროსთან. ძირს დაყრიდნენ და წავიდოდნენ. იმ ძონძებიდან ერთი თეთრი ქვედაკაბა შევარჩიე (მოკლე მქონდა, მაგრამ რა მექნა?) ზედა პულოვერი კი, ალბათ, მამაკაცისა იყო... რაღაც საბოები შევარჩიე... წყალი გადიოდა და გამოდიოდა შიგ. ჭყაპ-ჭყუპ, – ისმოდა ჩემი ფეხებიდან...

დავიწყე სიგარეტის გაყიდვა... გაგრელი ქალი იყო ერთი, იმან გვითხრა, სამსახურს დაგაწყებინებთო. მე და ლამარა სხვადასხვა მეტროებთან ვიდექით და სიგარეტს ვყიდდით. ერთი ბრილიანტის ბეჭედი გამომყვა სოხუმიდან და ისიც გავყიდე... მერე საყურეებიც... ხან სიგარეტს ვყიდდი, ხან ათას სხვა რამეს. საჭმლის ფულს ვაგროვებდი... „მეგობრობაში“ უფასოდ მანანის ბურღულს გვაძლევდნენ. „ღომს“ ვხარშავდით... არც მარილი გვქონდა, არც შაქარი. ხანდახან, იშვიათად, ლობიოს დავდგამდი, პურს ვიყიდდით და ასე ვცხოვრობდით. თავი მომბეზრდა. სად წავსულიყავი, არ ვიცოდი... ლტოლვილთა განსახლების მინისტრს ვ. ვაშაკიძეს მივმართე. მან კი თანხა მომცა, რათა ტაშკენტში დავბრუნებულიყავი.

5 დეკემბერს გავემგზავრე. 3 საათზე რომ უნდა გასულიყო მატარებელი, 7 საათზე გავიდა... ძლივს ჩავედი ბაქომდე... ჯერ ჩემს ქალიშვილს, რომელიც აზერბაიჯანელს გაჰყვა, განჯაში გავუარე. მერე იქიდან ტაშკენტში მინდოდა წასვლა... ბორანით უნდა გავმგზავრებულიყავი. თურქმენეთმა არ მიგვიღო. 12 საათი წყალზე ვიდექით. – რა ბედი მაქვს, აქაც თუ ომი ატყდა, სადღა წავიდე-მეთქი, ვფიქრობდი...

როგორც იქნა, 5 დღის შემდეგ ტაშკენტში ჩავედი. იქ ჩემი მაზლის შვილი ცხოვრობდა. დამინახეს თუ არა, მომვარდნენ და გადახვევა უნდოდათ... არ მომეკაროთ, სულ ტილიანი ვარ-მეთქი. რაც სოხუმიდან ჩამოვედი, თავი საერთოდ არ დამიბანია... ორ-სამჯერ თუ ვიბანავე. ჩვენ ხომ იქ ადამიანებად არავინ გვთვლიდა. აბანოში გავვარდი და მერე საპარიკმახეროში. ნაცნობ პარიკმახერთან, ვალიასთან მივედი. „ვალია, – ვეუბნები, – თავში „პარტიზანები“ მყავს, აბა შენ იცი, როგორ იყოჩაღებ... მერე ქიმია გამიკეთე“. გრძელი, წელამდე თმა მქონდა.

თმა შემჭრა, ქიმია გამიკეთა, ადამიანს დამამსგავსა, თან ლამის მოთქვამდა: „რა გინდოდა, თალიკო, იმ საქართველოში, იმ სოხუმში რომ ბრუნდებოდი... აქაც ხომ კარგად ცხოვრობდი! ჭკუა არა გაქვს, თალიკო!..“

ჩემი მაზლის გოგონამ იტირა... ჩემი კაბა და ფეხსაცმელები ცეცხლში შეუკეთა და დაწვა. ჩამაცვეს, დამახურეს, დამაპურეს. სულ ჩემს ბედისწერაზე ვფიქრობდი. ჩემი ლენარა, სანამ განჯაში გადავიდოდა საცხოვრებლად, თავის ქმართან ერთად (ინსტიტუტში გაიცნო აზერბაიჯანელი და ცოლად გაჰყვა) ნამანგანში (უზბეკეთი) ცხოვრობდა, იქაც ომი ატყდა... „თურქი მესხები“ გამოაგდეს. როცა უზბეკებს მიუკითხავთ და კაცები მოუთხოვიათ, ჩემი ლენარას დედამთილი

გამოსულა და უთქვამს, მე მომკალით ჯერო. სასწაული მოხდა და გადარჩნენ... ამიტომ ლენარა უზბეკეთიდან ჩემზე ადრე წამოვიდა და განჯაში დასახლდა.

გაგრა რომ აიღეს, მე ტაშკენტში ვიყავი... ჩემი ძმისშვილი მაშინ მოუკლავთ აფხაზებს. ცოლი დარჩა საწყალს ფეხმძიმედ. მინდოდა ჩავსულიყავი დასაფლავებაზე, მაგრამ შვილებმა ამიკრძალეს, აფხაზეთში აღარ დაბრუნდეო... ჩემი ძმისშვილის სიკვდილის შემდეგ 2 თვეში ჩვენს რძალს, ილონას, გოგონა შეეძინა. ია დაარქვეს. ყაზახი იყო ილონა და დაქვრივების შემდეგ ალმა-ატაში დაბრუნდა მამის ოჯახში.

თმაშეჭრილი და სოხუმიდან გამოგდებული ვზივარ ტაშკენტში... ნათესავები დამცინიან, კიდევ წახვალ შენს სოხუმშიო? ალბათ, საქართველო არ გთვლის იმის ღირსად, რომ იქ იცხოვროო. ჩემი ბიჭები ისევ წამოვიდნენ ტაშკენტში, მუშაობა დაიწყეს... ჩემი 5 ბიძაშვილი წამოვიყვანე სოხუმიდან შუა აზიაში... მათაც თავიანთი ოჯახები წამოიყვანეს და ასე ჩამოშორდნენ სოხუმს. ნელ-ნელა ცხოვრება აეწყო... ლამარა კი კვლავ თბილისში რჩებოდა, სასტუმრო „მეგობრობაში". მერე ყირგიზეთში გადავედი და ბინა ვიყიდეთ იქ... მაღაზია შევისყიდეთ მე და ჩემმა დაქალმა. 2 წელი ვიმუშავე, ცოტა ფული მოვაგროვე... გულმა არ მომითმინა და... თბილისში დავბრუნდი! ლამარას ბავშვები ტიტველ-შიშველი, უჭმელი, ფეხშიშველი დამხვდნენ. ჩავაცვი, დავახურე და ისევ უკან დავბრუნდი. რა მექნა. ლამარას წაყვანა მინდოდა, მაგრამ ქმარმა არ გამოუშვა... მაშინ ჯერ კიდევ ერთად იყვნენ. სიძემ განმიცხადა: ყველა რომ წავიდეს ამ ქვეყნიდან, ვინღა დარჩებაო.

რა მექნა. ისევ აზიაში დავბრუნდი. ვმუშაობდი, ჩემებს ვეხმარებოდი. მერე ვხედავდი, რომ შუა აზიაშიც ინგრეოდა ყველაფერი. ჩემი უფროსი ბიშკეკში გადაიყვანეს, მე კი – ფერგანაში „დავბრუნდი". იქ ოროთახიანი ბინა ვიყიდე, მერე – ოთხოთახიანი. ისევ დაიწყეს ჩემთან აბსოლუტურად უცნობმა ადამიანებმა სტუმრობა. 9-10 კაციანი ჯგუფები, ძირითადად საქართველოდან წამოსულები (ყიდდნენ ხე-ტყეს, ხახვს და ათას რამეს), ყველა ჩემთან მოდიოდა. ისევ გამეთქვა კარგი მასპინძლის სახელი. 3-4 თვე ცხოვრობდნენ ზოგჯერ. არავის გავუქურდი-ვარ... სოხუმში 2-ჯერ გამქურდეს, „მეგობრობაში" – სამჯერ, აქაც (უთითებს იმ ე. წ. ოთახს, სადაც ჩვენ ვსაუბრობთ, ოთახი ნორჩ ნატურალისტთა ყოფილ შენობაში ქ-ნ თალიკომ იყიდა). ახლა ვფიქრობ, ისევ სოხუმში ხომ არ დავბრუნდე? მეორე ბიჭს რუსეთში ავარია მოუვიდა, ციხეში ზის, მისი ცოლი კი სოხუმში მამასთან დაბრუნდა. რძალი მაინც მცემს პატივს და დამასაფლავებს-მეთქი.

ორწელიწადნახევრის წინ სოხუმში ჩავედი, დასთან და დისშვილთან ერთად. დისშვილი გათხოვდა სოხუმში. აფხაზმა რუსლან ჩერგეზიამ ითხოვა. რუსლანის დედას აურჩევია სარძლო, ჩემი დისშვილი უნახავს, ჰოდა, შვილისთვის ურჩევია. სასიძო ენგურზე დაგვხვდა. ხიდზე რუსები, ქართველები და აფხაზებიც იდგნენ. ლამარასაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ შეეშინდა... ახალგაზრდა ქალისთვის უფრო საშიშია „საზღვარზე" გადასვლა. მოხუცები უფრო მეტად დადიან. მოხუცებს არ ერჩიან... ქორწილი კარგად ჩატარდა. ერთადერთი, გუდაუთელი აფხაზები მიყურებდნენ ალმაცერად. ვგრძნობდი, დიდად არ „მოვწონდი"... გულში ვფიქრობდი, რაც მიწერია, არ ამცდება-მეთქი. აღმოვაჩინე, რომ ის აფხაზები, რომლებიც სოფელში ცხოვრობდნენ, ახლა ქალაქში გადასულიყვნენ საცხოვრებლად. წავედი კომკავშირის ქუჩაზე... ჩემს სახლში (ტირის). სახლი გატიალებული

დამხვდა. ლეიბები, ბალიშები – გაწეწილი. რომ შევედი, სახლი ვერ ვიცანი... ლეიბში ფული და ბრილიანტები მქონდა „ჩაკერებული“... სულ ნაკუწ-ნაკუწ დანაწევრებული დამხვდა ყველაფერი. ჩემი უმცროსი გოგონასთვის შეფუთული ავეჯი მქონდა შენახული... მეზობელმა მითხრა, ისე კარგად იყო შეფუთული, ყველაფერი ადვილად წაიღესო... მანქანა მიაყენეს და დატვირთესო... მაცივარი დავინახე. გამიკვირდა, რატომ არ წაიღეს. აღმოვაჩინე, რომ ძრავა აღარ ჰქონდა. სახლის კარები ჩამოვარდნილი იყო, ჭაღები ჩამოხსნილი, რუსული წიგნების ბიბლიოთეკა მქონდა... ყველაფერი გაეტანათ... ჩემს რძალს (ბიჭის ცოლს) ვუთხარი, როცა გავდიოდი სოხუმიდან: აქა და აქ „განძი“ მაქვს-მეთქი შენახული. გამოვედი სახლიდან (ტირის), ჩამოვჯექი კიბეებზე და ტირილი დავიწყე. ჩემმა რუსმა მეზობელმა დამინახა და გადმოვიდა ეზოში. მეუბნება: „თალიკო, არც ერთი აფხაზი არ გვინახავს შენს სახლში. შენს რძალს ვხედავდით მხოლოდ. ყოველდღე გაჰქონდა სავსე ყუთები... ის ყუთები შენი ნივთებით იყო დატვირთული და ჰყიდდა ბაზარში“. გულში გავიფიქრე, თუ გაყიდდა, ისევ ჩემს შვილიშვილებს მოახმარდა-მეთქი... მიწაში ხომ არ წაიღებს.

მანდარინი გვქონდა ეზოში. სულ გაეპარტახებინათ. სარეველა იყო გარშემო მოდებული. ეს ჩემი სახლი არ იყო!.. (ტირის) ცუდად გავხდი. თითქოს არც არავის უცხოვრია აქ. მკვდარი სახლი იყო... ჩალით იყო სავსე. მეზობლებმა მითხრეს, ღამე შენს სახლში აფხაზები დადიან და სძინავთო... ქართველ პარტიზანებს სდარაჯობენო... ჩემი ძმების სახლებიც დავიარე. აგურებიც კი აღარ იყო დარჩენილი... მეზობლებმა ისიც მითხრეს, რომ სომხებს გაუტანიათ ჩემი ძმების ქონება რუსეთში.

აი, ასეთი ამბავი დამახვედრეს.

წავედი სასაფლაოს მოსანახულებლად. წერეთლის კოლმეურნეობასთან იყო. ვერავის საფლავს ვერ მივაგენი. ყველაფერი ტყედ და ეკლად იყო ქცეული. ვერც ბებიის,ბაბუის,მამის და დედის საფლავი ვიპოვე,ვერც ძმისშვილების... ვარდები მქონდა წაღებული... დედის საფლავზე მინდოდა დამედო. 10 წლის გაჯაგნარებულ სარეველებში ვის საფლავს მივაგნებდი. დავბორიალობდი მარტო ვარდებით ხელში ამ ტყეში. მინდოდა უფრო ღრმად შევსულიყავი, ტყემ არ გამიშვა. აფხაზებს კი თავიანთი სასაფლაო ოდნავ ქვევით „ჩამოუტანიათ“. ეს სასაფლაო მოვლილი და მოწესრიგებული იყო... ჩვენს საფლავებს კი ქვებიც აღარ ედო...

როცა უკან დავბრუნდი, ნაცნობ აფხაზებს ვუსაყვედურე, რა არის, საფლავებს ქვებს რომ არ უტოვებთ-თქო. იცით, რა მიპასუხეს? ისევ თქვენს ქართველებს მიჰქონდათ ეს გრანიტის ქვები... „საზღვარზე“ გადაჰქონდათ, ზუგდიდში „რესტავრაციას ახდენდნენ“, ანუ გარდაცვლილის გვარს აშორებდნენ და ისევ ჩვენზე ყიდდნენო.

ებრაელების სასაფლაო კარგად იყო მოვლილი. ქართველი მებრძოლების სასაფლაო ცალკე იყო. იქვე ვიღაცის საფლავზე დავდე ვარდები და წამოვედი... ქართველი ბიჭების სასაფლაო შორს იყო, 1 კილომეტრის დაშორებით. ვეღარ შევძელი იმათი საფლავების მონახულება. ასე დავბრუნდი უკან, გლდანში, „მეგობრობაში“...

* * *

ჩემს ცხოვრებაში ბევრი მიმოგზაურია. მიყვარდა ადამიანების გაცნობა, ურთიერთობის დამყარება მათთან, ახალი ენის სწავლა. 42 წელი ვცხოვრობდი

შუა აზიაში, მაგრამ ჩემი ენა და ჩემი რწმენა არ დამვიწყებია. ქმარი მიშლიდა ეკლესიაში სიარულს, მაგრამ მე მაინც დავდიოდი. ნათლულებიც მყავს. ლამარამ ბავშვები რუსულ სკოლაში შეიყვანა, მაგრამ მალევე გამოიყვანა და ქართულ სკოლაში დააწყებინა სწავლა. ჩამბას ქუჩის მსგავსი ქუჩა საქართველოში არ არსებობს. მთელი საქართველო იქ იყო.

ამ საქართველოში კი ან სახალხო ბანკის რიგში ვიდექი 11 ლარის მოლოდინში, ან წვრილმანით ვვაჭრობდი. სულ ომს გავურბივარ, რაც თავი მახსოვს.

ქაშვეთის ეკლესიაში დავდიოდი. იქ ფქვილს არიგებდნენ. ბანკში ფულს რომ ავიღებდი, მაშინვე ეკლესიაში შევდიოდი.

ლამარამ, როცა ანტალიაში წავიდა, უმცროსი შვილი, ირაკლი მე დამიტოვა. მეც ვგრძნობდი და, რასაკვირველია, ირაკლიც გრძნობდა, რომ დევნილებს თბილისში ვერ იტანდნენ. მასწავლებელი ხშირად წამოაძახებდა ირაკლის, დედაშენს, თურქეთში წასვლას, ჯობდა შენთვის მიეხედაო. იმას არ კითხულობდნენ, რატომ წავიდა თურქეთში...

მე ნასწავლი ქალი არა ვარ, მაგრამ ის კარგად ვიცი, რომ ყველა ბავშვს თავისებური მიდგომა სჭირდება. ბავშვთან დამეგობრებაა საჭირო და არა შენიშვნები და დედის თურქეთში წასვლის დაყვედრება. ბავშვი 65-ე საშუალო სკოლაში დადიოდა. მართალია, ზარმაცობდა, მაგრამ ამის გამო განა შეიძლება დედაზე ასე ელაპარაკონ სკოლაში? ახლა ანტალიაში მივდივართ მე და ირაკლი. ირაკლი ცეკვის ჯგუფს მიჰყვება. სკოლის დირექტორი კი მეკითხება, მაგ ბავშვმა ცეკვა იცისო? ეს საშინელ შეურაცხყოფად მივიღე. ცეკვის წრეში ყოველთვიურად 15 ლარი იყო გადასახდელი. ირაკლი რომ დაინახა, ცეკვის მასწავლებელმა მითხრა, ამ ბავშვს უფასოდ ვამეცადინებო... ჰოდა, უფულოდ მიიღო... ანტალიაში კონცერტის ჩასატარებლად სამგზავრო თანხა 160 დოლარი იყო თითო ბავშვზე. მე და ირაკლის შეღავათი გაგვიკეთეს – 120 დოლარად მივყავართ. მეც მივყვები. ალბათ, იქ დიდი ხნით დავრჩებით. წამოვალ უკან საქართველოში, თუ არ მოვკვდი...

კაცად რომ დავბადებულიყავი, ალბათ ასეთი გატანჯული არ ვიქნებოდი ცხოვრებაში. ხანდახან ძალიან გავმწარდები და წამომცდება, „რისთვის დამსაჯე, ღმერთო?!“ (ტირის) ყველა უბედურება ჩემს თავზე რატომ უნდა დატრიალებულიყო... თავში უამრავი რამ მიტრიალებს, მაგრამ ყველაზე დიდი სიმწარე ქართველებმა დამატეხეს თავს. „ჩამოთრეულებს“ გვიწოდებდნენ... მე სულაც არ მინდოდა თბილისში ცხოვრება... მშვენიერი სახლი მქონდა სოხუმში. მეუბნებოდნენ, ლტოლვილები თბილისელებზე უკეთესად ცხოვრობენო... როგორ? (ტირის) თბილისელს საკუთარი სახლი და საკუთარი ჭერი აქვს... ჩვენ? ვინმე არის ჩვენზე უარესად? საწოლი არ მქონდა, რომ ჩამოვედი და ხის ყუთებზე მეძინა. მიუხედავად ამისა, პროდუქტის სათხოვნელად ყველა თალიკოსთან მოდის. ისევ ის ძველი თალიკო ვგონივარ ამ ხალხს...

ადრე კი ლამარასთან „მეგობრობაში“ ვცხოვრობდი. მერე ერთი ოთახი ჩემთვის მინდოდა. „დოსაფის“ შენობაში ორთაჭალაში (5 დეკემბრის ქუჩა) 150-150 ლარი შეგვაგროვებინეს დევნილებს, ვიღაცას მივეცით, რომ ერთი პატარა კუთხე გვქონოდა ჩვენი... არც ბინას გვაძლევენ იქ და არც ფულს გვიბრუნებენ...

3 წლის წინ ჩემმა გოგომ ათასი დოლარი გამომიგზავნა და ამ სახლში (ყოფილი ნორჩ ნატურალისტთა სახლის შენობა) ერთი ოთახი ვიყიდე... ახლა, რადგანაც ანტალიაში მივდივარ, გავყიდე ის ჩემი ოთახი 1300 დოლარად. ამ თანხის მხოლოდ ნაწილი მომცეს, ვენდე, მაგრამ აღარ მაძლევენ დარჩენილ ნაწილს.

ამ დღეებში „დოსააფის" შენობაში „ომონის" რაზმი შევარდა. ყველა დევნილი გამოაგდეს და თავად დაბინავდნენ.*

მას მერე, რაც ჩამოვედი, არ გამიხარია. ჩემი ცხოვრება დარჩა ტაშკენტსა და სოხუმს შორის... ცუდი თუ კარგი, მე საქართველო მინდა... ჩემი კუთხე (ტირის). სად დამასაფლავებენ, ღმერთმა უწყის. რამდენგზის დევნილი ვარ, უკვე თვლა ამერია. თანაც ვხედავ, რომ ადამიანები ძალიან გაბოროტდნენ. ერთი მესხი მეუბნება: ჩვენ, მესხებმა, 60 წელი ვუცადეთ საქართველოში დაბრუნებას, თქვენ 100 წელი მოგიწევთ ლოდინი აფხაზეთში დასაბრუნებლადო.

რა იცოდა, რომ მე ორმაგად დევნილი ვიყავი... დამწყევლა ალბათ, არ ვიცი.

ყოველ ზაფხულს ჩემი შვილები: ჯემალი, კობა, ლამარა, ლენარა ყაზახეთიდან სოხუმში ჩამომყავდა დასასვენებლად. აეროპორტში რომ დამინახავდნენ სოხუმელები, გაიძახოდნენ: ნახეთ, საქართველო ჩამოვიდაო! როცა იქ, უკან, ყაზახეთში ვბრუნდებოდი, იქაც იგივეს ამბობდნენ ყაზახები: „ნახეთ, ნახეთ, საქართველო ჩამოვიდაო...

P.S.

ქალბატონი თალიკო თურქეთში, ქალაქ ანტალიაში გაემგზავრა.

გამგზავრების წინა დღეს მეც გახლდით მასთან. იგი გატეხილ სარკეს 60 თეთრად, დამპალ ლეიბს – 2 ლარად, ფეხებმომტვრეულ სკამს კი 1,5 ლარად ყიდდა. მყიდველები – აფხაზეთიდან დევნილები, ბლომად იყვნენ ოთახში. (ია მერკვილაძე)

* მეც შევესწარი სცენას, როცა „დოსააფიდან" გამოდგებული დევნილი ყმაწვილი შემოვარდა თალიკოს ბინაში და გამოგვაგდესო! – დაიყვირა. სასწრაფოდ „რუსთავი 2"-ში დავრეკე. მობილური ტელეფონის ნომერი ჩაიწერეს, მაგრამ არავის დაურეკავს არც 5 წუთის და არც ერთი დღის მერე. (ია მერკვილაძე)

არჩილ ქიქოძე

იანეთელი მესხები

ქუთაისსა და სამტრედიას შორის, კოპიტნარის აეროდრომის სიახლოვეს, მთავარი საავტომობილო ტრასიდან ხელმარჯვნივ, რამდენიმე ასეულ მეტრში არის დასახლება, რომელსაც იანეთის მეცხრე უბანი ეწოდება. ეს დასახელება ძალიან პირობითია, რადგან თავად სოფელი იანეთი აქედან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს და ზედ სამტრედიაზეა მიბმული. იყო დრო, როდესაც ფირნიშზე სხვა წარწერა იყო – „იანეთის მესხთა დასახლება". ეს წარწერა ერთ-ერთი აწ განსვენებული „საზოგადო მოღვაწის" დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ჩამოხსნა ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

მესხთა დასახლება ოცდაათამდე შენობას წარმოადგენს, რომელთაგან 25 მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ააშენა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაშინდელმა მთავრობამ უზბეკეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული მაჰმადიანი მესხებისათვის.

როცა ამ ხალხზე და მის ბედზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის გვექმნება უხერხულობა მათ სახელთან დაკავშირებით. როდესაც 2004 წლის გვიან შემოდგომაზე მათ დასახლებაში საცხოვრებლად მივდიოდი, რომ ევროპული ფონდის EKMI-ს დავალებით საველე სამუშაოები ჩამეტარებინა, თვენახევრის მანძილზე მათ ოჯახში მეცხოვრა და ამეღო ინტერვიუები, ვიცოდი, რომ მივდიოდი თურქ მესხებთან. სოფელში, სადაც ჩემი და ჩემი კოლეგის გამოჩენას დიდი ენთუზიაზმით არავინ შეხვედრია, სახელწოდების – თურქი მესხები – ხსენებამ ჩემი მომავალი მასპინძლების (იბრაგიმოვ-ჩხეიძეების ოჯახთან დღემდე მეგობრული და ძალიან თბილი ურთიერთობა მაკავშირებს) ხმაურიანი პროტესტი გამოიწვია. მას მერე ჩემს ანგარიშებში იანეთის მეცხრე უბნის მკვიდრებს, რომელთაც სიტყვა „თურქი" ძალიან უხეშად მოხვდათ ყურში, მაჰმადიან მესხებად ვიხსენიებდი და ჩემს სტატიაშიც ასე მოვიხსენიებ.

როგორც აღვნიშნე, 2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში მე თვენახევარი ვიცხოვრე იანეთის მეცხრე უბანში და ძალიან გამიჭირდა იქაურების ნდობის მოპოვება. ყველა ეჭვის თვალით მიყურებდა, როგორც მოგზავნილსა და მინიმუმ უშიშროების აგენტს. ყველაზე მტკივნეულად აღიქმებოდა ჩემი სამუშაოს ის ნაწილი, რომელიც ანკეტირებას ეხებოდა, განსაკუთრებით – შეკითხვები მრწამსის შესახებ. იანეთელ მესხებს სულაც არ მოსწონთ, რომ მათ გაუთავებლად აკვირდება ვიღაც. როდესაც, შარშან ზაფხულში, დამიკავშირდა დანიელი სტუდენტი გოგონა, რომელიც მესხების თემაზე მუშაობდა და რამდენიმე თვით სურდა იანეთში ჩასახლება და ადგილზე საველე სამუშაოების ჩატარება, მე მას ბინა ვერ ვუშოვე, თუმცა დანიელი სტუდენტი მზად იყო საკმაოდ კარგი საზღაური გადაეხადა. მესხთა რეაქცია მსგავს დაკვირვებებზე ასეთია: „რით ვერ შეგვისწავლეს ამდენი წლის მანძილზე, ლამის 30 წელიწადია აქ ვცხოვრობთ. ან შემოუშვან ჩვენი ხალხი, ან გაგვყარონ ჩვენც, თუკი ამას გვიპირებენ." იგივე პრობლემებს მეც შევეყარე. მე და ჩემს კოლეგას, ნათია ჯალაბაძეს, გვიყურებდნენ, როგორც

რაღაც აუცილებელ ჭირს და ამიტომ ითმენდნენ ჩვენს იქ ყოფნასა და შეკითხვებს. ნდობა ჩვენს შორის მძიმედ, მაგრამ მაინც ჩაისახა ჩემი იქ ყოფნის ბოლო კვირების მანძილზე, ხოლო როცა, რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ დეპორტირებულ მესხთა პრობლემებზე გადაღებული ფილმი გაუშვა, სადაც ერთ-ერთი რესპონდენტი მეც ვიყავი და დასახლებაში ეს ფილმი ნახეს და ჩემი პოზიცია უკვე ეკრანიდან მოისმინეს, იანეთიდან ბევრმა გახარებულმა ადამიანმა დამირეკა მადლობის სათქმელად და ჩვენს შორის ნამდვილი, უანგარო მეგობრობა დაიწყო.

ეხლა ოდნავ უკან წავალ და იმას გიამბობთ, თუ როგორ გაჩნდა მესხთა დასახლება სამტრედიის მახლობლად დაცემულ ტრიალ მინდორზე. ამის გასაგებად მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ დამოკიდებულება ხალხის მიმართ, რომელთაც დღეს „თურქ მესხებს“ ვუწოდებთ, საქართველოში ყოველთვის არ ყოფილა მკვეთრად უარყოფითი. სამოცდაათიანი წლების ბოლოს მათი სამშობლოში დაბრუნება ეროვნულ საქმედ აღიქმებოდა როგორც ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის, ასევე დისიდენტური მოძრაობის მიერ. არსებობს ედუარდ შევარდნაძის სახელზე მიწერილი მაშინდელი წერილი მესხთა სამშობლოში დაბრუნების თხოვნით, რომელსაც არაერთი გამოჩენილი და სახელოვანი ქართველი აწერს ხელს. თავად დეპორტირებულებს მესხეთში (და არა საქართველოში – სამშობლოდ „ვათან“ (თურქ.) ისინი სწორედ მესხეთს აღიქვამენ და არა საქართველოს) დაბრუნების მცდელობა მანამდეც ჰქონდათ. სტალინის სიკვდილის შემდეგ მათი დიდი ნაწილი უზბეკეთიდან აზერბაიჯანისკენ დაიძრა, იქიდან მათმა ნაწილმა თბილისშიც შემოაღწია და მიტინგიც კი გამართა ცენტრალური კომიტეტის შენობასთან. მაშინ დეპორტირებულები არ მიიღეს და მათი დიდი ნაწილი სამუდამოდ დარჩა აზერბაიჯანში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ საათლისა და სადირაბადის რაიონებში, ხოლო უფრო შეძლებულები (მათ შორის 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მომხდარი ორი პროთურქული აჯანყების მოთავეთა – გამუსულმანებულ მესხ თავადთა შთამომავლები, რომლებიც, ამავე დროს, პროთურქული ორიენტაციის მქონე ორგანიზაციის „ვათანის“ ლიდერები არიან) ბაქოში სახლობენ.

ოთხმოციანი წლების ბოლოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დეპორტირებულთა ნაწილს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა, თუმცა მესხეთი მათთვის ისევ მიუწვდომლად დარჩა (არსებობს თურქულ ენაზე დაწერილი საკმაოდ ცნობილი ლექსიც, რომლის სათაური ასე ითარგმნება: „სამშობლოს კარიბჭე დახშულია“. გადმოცემით, ეს ლექსი აწყურის ტეკთანაა შექმნილი, იმ ადგილას, რომლის იქით იწყებოდა მითოლოგიზებული სამშობლო, სადაც შეღწევა დეპორტირებულთათვის ტურისტის სტატუსითაც კი შეუძლებელი იყო).

საქართველოში გაჩნდა მაჰმადიან მესხთა რამდენიმე დასახლება, მათ შორის იანეთის მეცხრე უბანიც – მეცხოველეობის უზარმაზარ კომპლექსზე მიბმული დაბა. თავიდან ასე იყო ჩაფიქრებული – სახელმწიფო მესხებს სახლებს აუშენებდა. თავიდან დაპირებული მესხური სოფელი 150 სახლისაგან უნდა შემდგარიყო, მაგრამ დანაპირები არ შესრულდა და მხოლოდ 25 სახლი აშენდა. დასახლებულთა დაახლოებით ნახევარი პირდაპირ უზბეკეთიდან ჩამოვიდა, ნახევარი კი აზერბაიჯანიდან. სახლის საფასურს სანახევროდ საქართველოს სოციალისტური

რესპუბლიკა იხდიდა, მეორე ნახევარი კი მესხებს თავად უნდა გადაეხადათ. ეს თანხა მათ რეგულარულად ექვითებოდათ ხელფასიდან, რომელსაც მეცხოველეობის კომპლექსში იღებდნენ. ასე იქცნენ ადამიანები, რომელთაგანაც შუა აზიაში ცხოვრებისას ზოგი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, ზოგი კინომექანიკოსი და ზოგიც – რკინიგზის მუშა, მეცხოველეებად.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ კომპლექსიც დაინგრა, გაპარტახდა და გაიძარცვა, მესხები კი დარჩნენ მარტოები ტრიალ მინდორზე, სადაც მათ 5 კილომეტრის რადიუსში არა ჰყავთ მეზობელი, სადაც მიწა საკმაოდ მწირია და თუკი არ წვიმს, მუდმივად ქარი უბერავს. წინ კიდევ სამოქალაქო ომების, ძარცვა-გლეჯისა და განუკითხაობის წლები იყო. ამ წლებმა მთელი საქართველო დააზარალა და გამონაკლისი არც ერთი მუჭა აქაური ხალხი გამხდარა. ხოლო გეოგრაფიულმა იზოლაციამ იანეთელების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის საქმეში ძალიან ცუდი როლი ითამაშა. მეორე მესხური დასახლება, რომელიც გურიაში, სოფელ ნასაკირალში მდებარეობს, ბევრად უფრო ინტეგრირებულია და ქართული ენის ცოდნის პრობლემა იქ პრაქტიკულად არ დგას.

იანეთის მესხთა დასახლებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ აბსურდულ სიტუაციას აქვს ადგილი. დასახლების ნაწილი სამტრედიის რაიონს ეკუთვნის, ნაწილი – წყალტუბოსას, რაც გაუთავებელ პრობლემებს ქმნის. სოფლის გარშემო საძოვრები კი საკმაოდ მოშორებით მყოფი სოფლების – მაღლაკისა და ფარცხანაყანების საკუთრებაა, რომელთა მკვიდრებსაც მესხები საძოვრებით სარგებლობისთვის ივჯარას უხდიან.

სამტრედიის რაიონის გამგეობის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2004 წელს (როცა მე, ჩემს კოლეგასთან ერთად, იქ ჩავედი) იანეთის მეცხრე უბანში მუდმივად მესხთა 29 ოჯახი, სულ 171 ადამიანი ცხოვრობდა.

დღევანდელ დღეს დასახლება საკმაოდ პასიური სოციალური ცხოვრებით ცხოვრობს. ერთადერთი მესხური არასამთავრობო ორგანიზაცია „მაიაკი“ მიძინებულია, თუმცა გარკვეულ კონტაქტებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ინარჩუნებს (კავკასიური სახლი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სოროსის ფონდი); როგორც უფროსი თაობის ადამიანთა მონაყოლებიდან ჩანს, ყოველთვის ასე არ ყოფილა. ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როდესაც მესხთა ჩამოსახლება ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ეროვნულ და საჭირო საქმედ იყო აღქმული, იანეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უფრო აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ბევრი მათგანი პირადად იცნობდა ადამიანებს, რომელთაც მესხების ბედში გადამწყვეტი როლი ითამაშეს (ზვიად გამსახურდია, იუსუფ სარვაროვ-დიდებულიძე და სხვები). ხელისუფლებაში პრეზიდენტ გამსახურდიას მოსვლას, მესხების მიმართ პირადად მისი პოზიციის შეცვლას, მოჰყვა საზოგადოების ძირითადი ნაწილის პოზიციის შეცვლაც, მესხთა აქტივობები შეწყდა და მათი ძირითადი საზრუნავი საკუთარი თავის, ოჯახისა თუ მატერიალური დოვლათის გადარჩენა გახდა.

გამსახურდიას მმართველობის, შემდეგ კი სამოქალაქო ომების პერიოდში ამ ხალხს მართლა ბევრი რამ ცუდი გადახდა: ჯერ ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე დევნა. შემდეგ კი უბრალოდ ბანდიტიზმი, რომელსაც იზოლირებულად მცხოვრები პატარა დასახლება ვერაფრით უპირისპირდებოდა. გახშირდა საქონლის

ქურდობა – თითქმის არ დარჩენილა ოჯახი, სადაც ნიღბიანი და კარგად შეიარაღებული ყაჩაღები არ შევარდნილან და არ გაუძარცვავთ.

1993 წელს იანეთის მესხთა დასახლება ბრძოლის ასპარეზიც გახდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის (ერთი მხრიდან ზვიად გამსახურდიას მომხრეები, მეორედან – მხედრიონი). მაშინ სამტრედიის მხრიდან გამოსროლილმა „გრადის“ ჭურვებმა 16 წლის გოგონას და სამი წლის ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლეს.

მესხები ახლაც ვერ გრძნობენ თავს მთლად დაცულად, მით უმეტეს მას მერე, რაც დანარჩენი მესხების ჩამოსახლების საკითხი (საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულება) აქტუალური გახდა და ტელევიზიაში, უფრო კი პრესაში, გახშირდა მათ შესახებ მომზადებული სიუჟეტები. იანეთელ მესხებს ეშინიათ, რომ საზოგადოების პრობლემისადმი ნეგატიური დამოკიდებულება იმავე საზოგადოებას მათ მიჩუმათებულ არსებობას შეახსენებს, რამაც შეიძლება ძალადობის ახალი ტალღა გამოიწვიოს.

სწორედ 2004 წელს, დასახლებაში ჩემი ყოფნის მანძილზე, გახშირდა საგაზეთო პუბლიკაციები როგორც რესპუბლიკურ, ასევე ადგილობრივ პრესაში. მე ამ პროცესისთვის თვალის მიდევნების საშუალება მქონდა, რადგან მესხები აგროვებდნენ იმ პუბლიკაციებს, რომლებიც მათ ეხებოდა და ხშირად უფროსი თაობის ადამიანები მე მთხოვდნენ მეთარგმნა, ამიტომ არათუ მხოლოდ პუბლიკაციებს ვეცნობოდი, საშუალება მქონდა მათი რეაქციისთვისაც მედევნებინა თვალი. მით უმეტეს, რომ ერთი ქუთაისური და მეორე სამტრედიის გაზეთის პუბლიკაციები სწორედ მათ დასახლებას ეხებოდა, უფრო სწორედ – ზოგადად „თურქი-მესხების“ პრობლემა იანეთის დასახლების ჭრილში იყო განხილული (რისაც იანეთელ მესხებს ყველაზე მეტად ეშინიათ).

მესხები ძალიან უჩიოდნენ ჟურნალისტთა თვითშემოქმედებას, გამონაგონს და მათი ნათქვამის არასწორ ინტერპრეტაციას. ბევრი მათგანი შეგნებულად ამბობდა ინტერვიუებზე უარს, რადგან თვლიდა, რომ მათი სიტყვები მაინც დამახინჯდებოდა.

ასეა თუ ისე, მესხთა დასახლება არსებობას განაგრძობს. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში იგი გადაურჩა დარბევას და გასახლებას, ხონის, ბანძის და კიდევ რამდენიმე დასახლებისაგან განსხვავებით. ეკონომიურად იანეთს ისევე უჭირს, როგორც მთლიანად ქართულ სოფელს. აქაურთა ძირითად შემოსავალს სოფლის მეურნეობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მესაქონლეობა შეადგენს. ჩემი 2004 წლის გამოთვლებით, იანეთელ ოჯახს საშუალოდ 6-7 სული მსხვილფეხა საქონელი ჰყავდა (რა თქმა უნდა, არსებობენ შედარებით ღარიბი და უფრო მდიდარი ოჯახები). ყველს და რძეს ისინი სამტრედიის ბაზარზე ყიდიან, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან გვერდი-გვერდ ვაჭრობენ და მშვენიერი ურთიერთობა აქვთ (მესხურ ქორწილში, რომელსაც მე დავესწარი, დაპატიჟებული ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობას სწორედ სამტრედიის ბაზარში მათ გვერდით მოვაჭრე ქალები შეადგენდნენ).

ამას გარდა, მთელს რაიონში იანეთის მეცხრე უბანი ერთადერთი დასახლებაა, სადაც თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს ცხვარი, რომლის გამოყენებაც ქართულ რეალობაში (ქელეხი – ჭირის სუფრა, რიტუალური მსხვერპლშეწირვა), გარკვეულ და საკმაოდ მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებს. დასახლებაში ჩემი ყოფნის

მანძილზე ალბათ არ ყოფილა დღე, რომ ერთი ან რამდენიმე მანქანით არ მოსულიყვნენ მახლობელი სოფლებიდან, უფრო კი ქუთაისიდან, ცხვრის ან ბატკნის ყიდვის სურვილით. მესხები ვაჭრობაში საკმაოდ მომჭირნეები არიან. მე თითქმის არ მინახავს შემთხვევა, რომ მათ თავიდან დასახელებული ფასისთვის ოდნავ მაინც დაეკლოთ და ცხვრის ყიდვის მსურველები ხშირად ხელცარიელები გაბრუნებულან.

ამავე დროს, მესხთა თითქმის ყველა ოჯახი ფლობს მიწის პრივატიზების შედეგად მიღებულ 1,5 ჰექტარ ნაკვეთს (რამდენიმე ოჯახს ივარით ბევრად დიდი ფართობები აქვს აღებული), რომელზეც ყველა იმ კულტურას თესავს, რაც რეგიონში მოდის. ესენია: სიმინდი, კვახი, პომიდორი, კარტოფილი და სხვა. მაგრამ იქაური მიწა საკმაოდ მწირია და მუდმივი მოხმარებისაგან გამოფიტული. მწირია ამ კულტურების მოყვანის შედეგად მიღებული მოგებაც და, მოუსავლიანობის შემთხვევაში, ხშირად ისეც ხდება, რომ მესხები წაგებულები რჩებიან.

არის კიდევ ერთი კულტურა, რომელიც რეგიონში მესხებმა უზბეკეთიდან შემოიტანეს. ესაა მიწის თხილი, რომელსაც თითქმის ყველა ოჯახი თესავს. მოწეული მოსავლიდან ნაწილს ყიდის, ნაწილს კი წლის განმავლობაში თვითონ მოიხმარს. მიწის თხილს თავიდან, თურმე, უფრო სარფიანად ყიდდნენ, მაგრამ დროთა მანძილზე იმერლებს მათგან სათესლედ შეძენილი მიწის თხილის მოყვანა თვითონაც დაუწყიათ და ახლა ეს კულტურა რეგიონში დიდ იშვიათობას აღარ წარმოადგენს.

სოფლის მახლობლად განთავსებულია თბილისური ფირმა, რომელსაც რამდენიმე იანეთელი ოჯახის მიერ ივარით აღებულ მიწებზე დიდი სათხილე აქვს გაშენებული. ეს ივარით აღებული მიწები მუდმივი დავისა და შუღლის საგანია დასახლებაში, რადგან მიწის მფლობელები, და შესაბამისად ფირმაში დასაქმებული ოჯახები, სისხლით ნათესავები არიან და სათხილეში მხოლოდ თავიანთ ნათესავებს ამუშავებენ. ფაქტია, რომ ამ ხუთ ოჯახს გარკვეული და ალბათ მნიშვნელოვანი შემოსავალი სათხილედან აქვს.

რამდენიმე იანეთელი ახალგაზრდა სოფლის სიახლოვეს მდებარე ორ ბენზინგასამართ პუნქტში სამუშაობს და ითვლება, რომ იქაური პირობებისათვის მათ კარგი სამსახურები აქვთ. სხვათა შორის, მათ ძალიან ეხმარებათ თურქული ენის ცოდნა, რადგან იქვეა პარკი, სადაც თურქეთიდან მომავალი სატვირთო მანქანები ჩერდებიან ღამის გასათევად და სხვადასხვა პრობლემებზე თურქი მძღოლები სწორედ ბენზინგასამართ სადგურზე მომუშავე იანეთელებს მიმართავენ დახმარებისათვის. საერთოდ, თურქული ენა იანეთელებს ძალიან ადგებათ. უკანასკნელი წლების მანძილზე უკვე რამდენიმე ახალგაზრდა ჩამოვიდა თბილისში მშენებლობებზე სამუშაოდ. მშენებლები ძირითადად არიან თურქები, რომელთაც იანეთელები თარჯიმნობას უწევენ და მრავალი პრობლემის მოგვარებაში ეხმარებიან. იანეთელები სამუშაოდ დადიან თურქეთშიც (ძირითადად ხოფაში, რიზეში, ტრაბზონში და შავიზღვისპირა ქალაქებში), სადაც მეტწილად მშენებლობებზე მუშაობენ.

წვრილი ვაჭრობით და აღებ-მიცემობით იანეთელები ნაკლებად არიან დაკავებულები. სოფელში არ არსებობს მაღაზია. ამბობენ, რომ სანამ რუსეთი სავიზო რეჟიმს შემოიღებდა, მესხები უფრო აქტიურად იყვნენ დაკავებული ვაჭრობით. მიემგზავრებოდნენ რუსეთის იმ რეგიონებში, სადაც მათი თანამოძმეები ცხოვრობდნენ და იქიდან გასაყიდად მანქანის ნაწილები და მსგავსი წვრილმანები

ჩამოჰქონდათ. ახლაც, თუკი აზერბაიჯანში გაემგზავრება მოუხდათ, ცდილობენ ხელს რამე ისეთი გამოაყოლონ, რაც სამგზავრო ხარჯებს მაინც აუნაზღაურებთ.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ იანეთელ მესხებს რეგიონში რაიმე ეკონომკური ნიშა უკავიათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი საამისოდ ძალიან ცოტანი არიან. ხოლო ის ეკონომიური სიდუხჭირე, რომელსაც მესხები განიცდიან, მთლიანად რეგიონისთვის და ზოგადად ქვეყნისთვისაც არის დამახასიათებელი.

აქვე ერთ-ორ სიტყვას განათლებაზეც ვიტყვი. უკანასკნელ წლებამდე იანეთის მეცხრე უბანში ფუნქციონირებდა საბაზისო სკოლა, რომლის პედაგოგები უდავოდ დიდ შრომას ეწეოდნენ. საქმე ისაა, რომ იანეთელი მესხების მშობლიურ (ოჯახში სალაპარაკო) ენად დღემდე რჩება თურქული. ამ ენაზე ლაპარაკობენ მოხუცები – ოჯახის უფროსები. სკოლაში წასულ პატარა იანეთელებს ექვსი წლის ასაკში (ზოგს კი უფრო გვიან) უხდებოდათ ქართულის შესწავლა. დასაწყისში სკოლას ძალიან ეხმარებოდა „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოს“ გრანტები, მასწავლებლები იღებდნენ კარგ ხელფასს და გახანგძლივებულად მუშაობდნენ ბავშვებთან. შემდეგ გრანტები შეწყდა, მაგრამ სკოლას მუშაობა არ შეუწყვეტია და არც მასწავლებლებს მოჰკლებიათ ენთუზიაზმი. მათ კარგად ესმოდათ, რომ იანეთის მეცხრე უბნის საბაზისო სკოლა ერთადერთი ადგილი იყო, სადაც იზოლაციაში მცხოვრებ მესხ ბავშვებს ქართულის სწავლა შეეძლოთ. მით უფრო, რომ, რვა კლასის დამთავრების შემდეგ, იანეთელი ბიჭები სოფელ დიდი ჯიხაიშის კოლეჯში აგრძელებდნენ სწავლას, სადაც მუდამ წარმატებულ მოწაფეებად ითვლებოდნენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ განათლების სამინისტრომ სკოლას აკრედიტაცია არ გაუგრძელა და იანეთის მეცხრე უბანი სკოლის გარეშე დარჩა. ჩემთვის ეს ძალიან საწყენი ფაქტია, მით უფრო, რომ მესხურ დასახლებაში ჩემი ყოფნის მანძილზე არაერთხელ ვწვევივარ სკოლას, დავსწრებივარ გაკვეთილებსა და ზეიმებს და გარდა იმისა, რომ ვიცი, თუ რა მნიშვნელობის სამუშაოს ატარებდნენ პედაგოგები, – უბრალოდ მიყვარს იქაურობა.

იანეთის მეცხრე უბანი არის სოციუმი, სადაც ოჯახი და ნათესაობა ალბათ ყველაზე ძლიერ ინსტიტუტს წარმოადგენს. ყველა სხვა ფასეულობა თუ გრძნობა (მეგობრობა, სიყვარული...) თითქოს უკანა პლანზე იწევს, ფერმკრთალდება და იჩაგრება იმ დიდი ინსტიტუტის ფონზე, რასაც მესხური პატრიარქალური ოჯახი ჰქვია (სხვანაირი იანეთში მე არც მინახავს). ამ ოჯახის სიძლიერე, პირველ რიგში, დამყარებულია აქსიომაზე, რომ ასაკით უფროსი ყოველთვის მართალია. მას მეტი უნახავს, იგი უფრო გამოცდილია... იანეთის სკოლაში მოღვაწე პედაგოგები მიამბობდნენ, რომ ერთადერთი, რაც მათ ურთულეს სამუშაოს უადვილებდა იყო, თითქოს მესხების სისხლში გამჯდარი, უფროსის პატივისცემა, მისი ყურის გდება და მისი აზრის გათვალისწინება.

თავად მესხები აღიარებენ, რომ უფროსისადმი ასეთმა ბრმა მორჩილებამ მათი ბედის გადაწყვეტაში ბევრჯერ უარყოფითი როლი ითამაშა, რადგან მათი სახელით ყველაზე ხშირად ლაპარაკობდნენ უხუცესები, რომლებსაც ამა თუ იმ პოლიტიკური, თუ ყოფითი სიტუაციისათვის ალღო არ ჰქონდათ აღებული, ანდაც, უბრალოდ, დროს იყვნენ ჩამორჩენილები. თუმცა, ისიც მართალია, რომ ადილობრივ დონეზე უფროს-უმცროსობა თითქმის ერთადერთი ბერკეტია, რაც მესხურ ოჯახს კეთილდღეობას, მორალურ სახეს და ერთიანობას უნარჩუნებს.

ბევრი რამ იცვლება და ახალგაზრდებს ხშირად აღარ უნდათ დედის მიერ არჩეულ ქალიშვილთან ოჯახის შექმნა, მაგრამ არა მგონია, რომ რომელიმემ მხოლოდ საკუთარი სურვილით, მშობლების თანხმობის გარეშე ცოლის მოყვანა გაბედოს.

უფროსი თაობის ადამიანები ჩივიან, რომ უფროს-უმცროსობა ნელ-ნელა იკარგება და მაშინ, როცა მათ ბავშვობაში და ყრმობაში დედის ან მამის ერთი წარბის აწევა იყო საკმარისი, ახლა შვილების გადასარწმუნებლად ჩხუბი და აყალ-მაყალი უწევთ. მაგრამ ეს მოსაზრებები, მგონი, გადაჭარბებულია. უფროს-უმცროსობა ამ სოციუმში ხშირად ჩემთვის პარადოქსულ და გაუგებარ ფორმებს იღებს (30 წლის კაცი ვერ ეწევა სიგარეტს ორი წლით უფროსი ძმის თანდასწრებით, რომელიც თავის მხრივ ვერასდროს მოწევს სიგარეტს და ვერ დალევს სასმელს მშობლების ან სიმამრის თანდასწრებით).

ძალიან ძლიერია ნათესაური კავშირებიც. ნათესავი არის საუკეთესო მოკავშირე და პარტნიორი ნებისმიერ წამოწყებაში. „ჩემთვის ისეთი კარგი კაცი იყო, რომ შეიძლება ბევრ ნათესავზე უკეთესი“ – ერთ-ერთი მოხუცის მიერ ნათქვამი ეს ფრაზა, მგონი, უკვე ბევრ რამეზე მიუთითებს.

დავუბრუნდები ოჯახს, სადაც როლები ძალიან მარტივად არის განაწილებული. ოჯახის მამა მართავს დანარჩენ წევრებს მეუღლესთან ერთად. თუკი ოჯახის მამა იღუპება, მის ადგილს, და შესაბამისად ოჯახის უფროსობას, დედა იკავებს. ანკეტირების დროს, როდესაც ვკითხულობდი, თუ ვინ იყო ოჯახის უფროსი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს მიერ გამოკითხული ახალგაზრდა კაცი მეტყოდა – მე ვარო, ორჯერ პასუხად მივიღე: დედაჩემი, ან – დეიდაჩემი. მშობლების შემდეგ იერარქიაში მოდიან უფროსი ვაჟი, საშუალო ვაჟი და ა.შ.

ქალიშვილებს ოჯახში თითქოს არანაირი როლი არ უკავიათ. მომეჩვენა, რომ მშობლების ოჯახი მათთვის მხოლოდ რაღაც მოსამზადებელი ეტაპია იმ როლისათვის, რომელსაც, გათხოვების შემდეგ, თავიანთ ახალ ოჯახებში შეასრულებენ. რძალი კი მართლაც ოჯახის ყველაზე ჩუმი და მშრომელი წევრია, რომელიც ხმაამოუღებლად ასრულებს ყველას დავალებას, მითითებას და ბრძანებას. ემსახურება სუფრას, რეცხავს სარეცხს და სხვა. ამავე დროს კარგი რძალი დიდი განძია და ოჯახის დიასახლისისათვის ნამდვილი შვება, რომელიც შრომას უმსუბუქებს და შედარებით იოლ სიბერეს ჰპირდება. ამიტომაა, რომ რძლის არჩევაში ვაჟების დედები ძალიან აქტიურად მონაწილეობენ და გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მათ ეკუთვნით.

მესხთა სოციალური ქსელები სწორედ ნათესაობაზეა დამყარებული. სხვათა შორის, მესხები ბიძაშვილ-მამიდაშვილებსაც ძმებს ეძახიან, რაც ჩემი კვლევების დროს ხშირად გაუგებრობას იწვევდა. ეს ქსელები ძალიან ძნელი შესანარჩუნებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არათუ ბიძაშვილები და შორეული ნათესავები, ძმები და დებიც კი სხვადასხვა ქვეყნებში არიან მიმოფანტულები. მესხები ყველაზე მტკივნეულად განიცდიან იმას, რომ ერთმანეთის ავ-კარგი არ იციან, დროულად ვერ იგებენ ნათესავის, ხანდახან კი ძმის ან დის გარდაცვალებას და თუ იგებენ, ხშირად სხვა ქვეყანაში გასამგზავრებელი ფული არა აქვთ, ან დროზე ვერ ასწრებენ გამგზავრებას, რომ დაკრძალვას დაესწრონ.

როდესაც დანარჩენი მესხების საქართველოში ჩამოსახლებაზე მიდგებოდა ლაპარაკი, მათი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ყველანი ახლოს იქნებიან, ნუ

იქნებიან ყველანი მესხეთში, მაგრამ ერთ ქვეყანაში იცხოვრებენ და ერთმანეთის ლხინისა და ჭირის გაზიარების საშუალება ექნებათ – ერთმანეთისაგან რამდენიმე საათის სავალზე მყოფები არც დაკრძალვას დააკლდებიან და არც ქორწილს.

თავად მესხები ამბობენ, რომ მობილური ტელეფონების გამოჩენამ მათ შორის კონტაქტი გააიოლა. და მაინც, რამდენადაც დაკვირვების საშუალება მომეცა, იანეთელ მესხებს უფრო ხშირი კონტაქტები ჰქონდათ აზერბაიჯანში და რუსეთში – სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში მცხოვრებ მესხებთან. ეს ხდებოდა არა მარტო იმიტომ, რომ სწორედ ამ მხარეებში ცხოვრობდნენ მათი ნათესავები, ან ყოფილი მეზობლები. მომეჩვენა, რომ ამ მხარეებთან უფრო ადვილი იყო კონტაქტი, უფრო ხშირი იყო მიმოსვლა. მესხებმა დანამდვილებით იცოდნენ, როგორ იყვნენ და რას აკეთებდნენ ამ მხარეში მცხოვრები მათი ნათესავები და ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, თუ რას შვებოდნენ ყირგიზეთში თუ უკრაინაში, თუნდაც თურქეთში მყოფი მათი ძმები ან დები.

ჩემი იქ ყოფნისას შევესწარი ერთ საინტერესო მომენტს, როდესაც 2004 წლის 15 ნოემბერს, მათი სამშობლოდან დეპორტაციის 60 წლისთავზე, ტელეკომპანია „იმედის“ ყოველკვირეულმა გადაცემა „დროებამ“ კრასნოდარიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში წასული მესხების შესახებ გაუშვა სიუჟეტი. გადაცემის გასვლამდე ერთ დღით ადრე, როცა უკვე რამდენიმე დღის მანძილზე ტრიალებდა გადაცემისა და შესაბამისად – სიუჟეტის ანონსი, ერთმა ქალმა ჩემს თვალწინ მობილურით შვილს დაურეკა კრასნოდარში და ამ უკანასკნელმა უკვე იცოდა, რომ კვირას თბილისის ტელევიზიით ამერიკაში წასული მესხების შესახებ უნდა ყოფილიყო სიუჟეტი...

ნამდვილად გამიჭირდება იმის თქმა, რომ დღევანდელ დღეს ამა თუ იმ სოფლიდან წარმომავლობა ამ ხალხის სოციალურ ორგანიზებაში რამე როლს თამაშობდეს. შეიძლება ეს იმითაცაა განპირობებული, რომ თავად იანეთის დასახლებაა პატარა და ყოფილი თანასოფლელები ერთად თითქმის არ ცხოვრობენ. სამაგიეროდ ცოცხალია ბევრი ანეკდოტი ამა თუ იმ სოფლის მკვიდრებზე. ეტყობა, ნათესაობის შემდეგ, წარმომავლობა (ვგულისხმობ სოფელს) რიგით მეორე ფაქტორი იყო პიროვნულ იდენტიფიკაციაში. ანუ დაახლოებით ასეთი სქემა გამოდის: ადამიანი – ოჯახი – სანათესაო – სოფელი – ჩვენი ხალხი.

თვითონ მესხები ახსენებდნენ განსხვავებას, რომელიც იანეთში პირდაპირ უზბეკეთიდან ჩასულ და აზერბაიჯანში ნაცხოვრებ მესხებს შორის არსებობს. ამბობდნენ, რომ ეს განსხვავება აისახება რაღაც წეს–ჩვეულებებში, რომლებიც უკანასკნელებმა აზერბაიჯანლებისაგან გადაიღეს და რომლებიც მათი, ანუ მესხური არ არის. მაგრამ სამწუხაროდ მე ვერაფერს ვერ ვიტყვი ამ განსხვავებების შესახებ, რადგან თუკი ისინი არსებობენ, ჩემთვის, გარეშე თვალისათვის, ექვსი კვირის მანძილზე შეუმჩნეველი დარჩა. ალბათ იმიტომ, რომ განსხვავებები ბევრად მცირეა იმასთან შედარებით, რაც ამ ადამიანებს აერთიანებს. ეს კი, უდავოდ, მათი საერთო ხვედრია.

ჩვენი ხალხი – „ბიზიმ შენნიკ“, ჩვენიანი – „ბიზიმ სის“ და „სურგუნ ლმიშლარ?“ – გადასახლებულებიდან ხარ? – ეს ის სახელწოდებებია, რომლებსაც მესხები საკუთარ თავს ეძახიან, რითიც არკვევენ, მათ ეკუთვნის ესა თუ ის ადამიანი, თუ არა. ყველა დისკუსია და კამათი თემაზე – მესხად, ქართველად

თვლის ადამიანი თავს, თუ თურქად, მეორე პლანზე იწევს თავიანთ ხალხთან ერთად ცხოვრების სურვილთან შედარებით.

იანეთის დასახლებაში ცხოვრობს ერთი ქურთული ოჯახი – გვარად კუჟმიანები. ჩემს იქ ყოფნაში ოჯახის მამა, ძია პავლე, სოფლის ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო. ეს კაცი თითქოს პირდაპირ ემირ კუსტურიცას ფილმიდან იყო სამტრედიის რაიონში მოხვედრილი. თუმცა ყველამ იცოდა, რომ პავლე ძია და მისი შვილები ქურთები იყვნენ, ისინი საკუთარ თავს მაინც მესხებს უწოდებენ და ჩვეულებრივად შეუძლიათ შექმნან ოჯახი და დასახლების სხვა მკვიდრებს დაუნათესავდნენ. ისინი მუდამ სასურველი სტუმრები და სასიძოები არიან, რადგან ამ ხალხს საერთო ისტორია, საერთო ბედი აქვს. ასევე გავიგე, რომ დასახლებას ხშირად სტუმრობს ბათუმში მცხოვრები ხემშილების (მაჰმადიანი სომხები, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და რომლებიც 1944 წელს ასევე იქნენ დეპორტირებულნი) ოჯახი და დიდი მეგობრობა და მისვლა-მოსვლა აქვთ ერთმანეთთან.

საერთო ტრაგიკულმა ბედმა და იმის შეგრძნებამ, რომ მათთვის არავის არ უნდა კარგი, მესხები ძალიან ჩაკეტილ სოციუმად აქცია. ოჯახების შექმნისას კი პირველი კრიტერიუმი სწორედ თავისიანზე, „ჩვენიანზე“ გათხოვება და ასეთივეს ცოლად მოყვანაა. საქართველოში იანეთელ მესხებს არჩევანი არც ისე დიდი აქვთ. თუმცა ისეც ხდება, რომ ცოლები აზერბაიჯანიდანაც მოჰყავთ, მაგრამ ძირითადად ან თანასოფლელებთან ქმნიან ოჯახებს, ან ნასაკერალში მცხოვრებ მესხებთან. ამის გამო ხშირია შორეულ ნათესავებზე დაქორწინება, ან ერთი და იმავე ოჯახთან ორჯერ დანათესავება (მაგალითად, როცა ორ ძმას ორი და მოჰყავს ცოლად). თუმცა იტერვიუებში მესხები მუდამ მპასუხობდნენ, რომ წინ არასოდეს აღუდგებიან საკუთარი შვილების სხვა ეროვნების ან რწმენის ადამიანზე დაქორწინებას, არა მგონია, რომ მათი პასუხები მთლად გულახდილი იყოს. ისიც სათქმელია, რომ არც ადგილობრივი მხარე (იმერლები) იკლავენ თავს მესხებთან დანათესავების სურვილით.

იზოლირებულად მცხოვრებ სოფელს, სადაც განსხვავებული რელიგიით და ადათ-წესებით მცხოვრები, ძირითადად უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს, ადგილობრივები მესხებისთვის ძალიან საწყენ სახელს – „თათრების დასახლებას“ ეძახიან. თავად მესხებს არავინ ეძახის მესხებს ან თუნდაც „თურქ მესხებს“ – მხოლოდ თათრებს. ადგილობრივებს ძირითადად არანაირი წარმოდგენა არა აქვთ, არათუ ამ ხალხის წარმოშობაზე, არამედ თვით დასახლებაში მაცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ანდაც იმაზე, თუ რამდენი „თათრული“ ოჯახი ცხოვრობს იანეთში. როდესაც იმერლები იგებდნენ, თუ სად ვცხოვრობდი, ყველა გაოცებული მიყურებდა და მერე დაახლოებით ამ ტიპის შეკითხვებს მისვამდა: „რას აკეთებენ? რითი ცხოვრობენ? რას თესავენ?“...

თავად მესხებზე რეგიონში მრავალი ანეკდოტი და მოგონილი ამბავი დადის – ძირითადად მრავალცოლიანობასთან (მესხებს არა აქვთ მრავალცოლიანობა) და მუსლიმანურ ადათებთან დაკავშირებული, ამ ანეკდოტებს, რომლებიც მესხებს განსაკუთრებით სწყინთ, სიმართლესთან არანაირი შეხება არა აქვთ.

დასახლებაში ჩემი ყოფნის მანძილზე გამოვავლინე მხოლოდ ერთი ადამიანი (ქუთაისის მკვიდრი, შესანიშნავი პიროვნება, სამწუხაროდ, აწ განსვენებული –

ვაგნერ გვასალია), რომელიც ამ ხალხთან მართლა გულთბილად მეგობრობდა, აინტერესებდა და იცოდა მათი ტრადიციები, ნებისმიერ დროს შეესვლებოდა მათ ოჯახებში, მისი შვილები მეგობრობდნენ მესხთა შვილებთან და ა.შ.

ინტერვიუებსა და საუბრებში აღმოვაჩინე ადგილობრივი ადამიანები, რომლებსაც მესხების მიმართ მტრული თუ არა, უარყოფითი პოზიცია უჭირავთ, თუმცა მოსახლეობის მხრიდან იანეთელი მესხებისადმი დამოკიდებულება (ჩემი დაკვირვებით) ძირითადად წარმოადგენს ირონიულ ინტერესს მათდამი, როგორც რაღაც უცხოს და ჯერ უნახავისადმი.

ასეთ დამოკიდებულებაზე ყველაზე მტკივნეულად მესხი ახალგაზრდები რეაგირებენ, სწორედ ისინი, ყველაზე მეტად ინტეგრირებულები, ენის მცოდნენი, ქართველობას და ამ ქვეყნის სრულფასოვან წევრობას დანატრებულები. ახალგაზრდები, რომლებიც უკვე აქ, საქართველოში არიან დაბადებულები, ან ძალიან ადრეულ ასაკში ჩამოსულები. ახალგაზრდები, რომელთაც ბევრი რამ მოსწონთ აქაური და რაც კი შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ, რათა ეს თავიანთი უზარმაზარი სურვილი სხვასაც დაანახონ. მე ვნახე იანეთის საბაზო სკოლაში გამართული კონცერტების ვიდეოჩანაწერები, როდესაც თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული სტუმრებისათვის იანეთელი ახალგაზრდები ყველაზე პატრიოტულ, გამორჩეულად სამშობლოს – საქართველოსადმი მიძღვნილ სიმღერებს მღერიან, ლექსებს ამბობენ, ასრულებენ ქართულ ხალხურ ცეკვებს, მაგრამ ამ კონცერტებს არავინ ესწრება იმათ გარდა, ვისაც მესხების პრობლემისადმი მკაფიოდ დადებითი დამოკიდებულება (ვგულისხმობ ჩამოსახლების მომხრეებს) აქვთ. ასეთები კი ძალიან ცოტანი არიან. დანარჩენები მიწვევას ყოველთვის იგნორირებას უკეთებენ და ღონისძიებებზე არ ჩამოდიან.

ძალიან საწყენია, რომ იანეთის ახალგაზრდები, რომლებიც უფროსი თაობის წარმომადგენლებზე ბევრად ლაღები და გახსნილები არიან (მათ არ მოუწიათ უცხო მიწაზე ერთი ადგილიდან მეორეზე უსასრულოდ ხეტიალი), ასე იჩაგრებიან და უსაზღვრო სევდას დაატარებენ გულით. ეს მათთან ჩატარებულ პირად საუბრებში (და არა ინტერვიუებში) აშკარად ჩანდა. თვითონ ამბობენ, რომ იმის იმედად არიან, რომ მათი შვილები მაინც გახდებიან ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები.

ახალგაზრდებს კარგად ესმით, რომ მათი საზოგადოებისაგან გარიყულობის, თუ მათდამი ირონიული დამოკიდებულების მთავარი განმსაზღვრელი მათი განსხვავებული რელიგია – ისლამია. საერთოდ რელიგია ერთ-ერთი ის საკითხია, რომელზეც მესხები საკმაოდ მტკივნეულად რეაგირებენ, მაგრამ ამაზე მაინც ბევრს მესაუბრებოდნენ და მუდამ ცდილობდნენ აეხსნათ, რომ თავად ისლამში ცუდი არაფერია, რომ ისლამი ცნობს იესო ქრისტეს როგორც წინასწარმეტყველს, რომ ფაქტობრივად ეს ორი რელიგია ერთსა და იმავეს ქადაგებს და ბოლოს, რომ მათ წინაპრებს მუსლიმანური რელიგია ძალით მოახვია ოტომანურმა თურქეთმა. ამავე დროს მესხები ცდილობდნენ ჩემთვის მიეთითებინათ ის წესები და ტრადიციები, რომლებიც, მათი აზრით, ქრისტიანული გადმონაშთია (მიცვალებულს გულზე გახსნილ მაკრატელს ადებენ ჯვრის ფორმით, როგორც ამბობენ, იმისთვის, რომ არ გასივდეს, მაგრამ ეს იმდროინდელი გადმონაშთია, როცა მესხები თურქებისაგან ფარულად ძველი ადათების შენარჩუნებას ცდილობდნენ;

ანდა: ახალ ოჯახში შესვლამდე პატარძალს თაფლში აწობინებენ თითს და იგი ახალი სახლის კარზე თაფლიანი თითით ჯვარს გამოსახავს).

ძნელია შეაფასო, თუ რამდენად მორწმუნე მუსლიმანები არიან მესხები. ჩემს იქ ყოფნაში რამაზანის მარხვას ცოტა ვინმე თუ იცავდა, უფრო მეტად – უფროსი თაობის წარმომადგენლები, და ისინიც – იშვიათად... ხოლო ნავრუზ ბაირამი უფრო საერო დღესასწაულის სახეს ატარებდა, ვიდრე რელიგიურისას (თუმცა ბაირამის დილას ერთ-ერთ ოჯახში აუცილებელი ნამაზი შესრულდა, რომელსაც თითქმის მთელი სოფლის მამაკაცები დაესწრნენ). სხვათა შორის, ბაირამის დღესასწაული, რომელიც, ერთ-ერთ ეზოში გამართული, ახალგაზრდობის დიდი დისკოთეკით დასრულდა და რომელიც ჩემს დღიურებში დეტალურად მაქვს აღწერილი, სამის ნაცვლად მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა, რაც ასე ამიხსნეს: მუჰამედი და მისი თანამოაზრეები ვაჭრები და დიდებულები იყვნენ, გასართობი და დასასვენებელი დრო ბევრი ჰქონდათ, ჩვენ კი ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს და ერთ დღეზე მეტი დასვენების უფლებას საკუთარ თავს ვერ მივცემთო. ისიც სათქმელია, რომ, თუმცა მოსახლეობის უმეტესობა რამაზანის მანძილზე მარხვას არ ინახავს, ამ პერიოდში ალკოჰოლს მაინც არ ეტანება, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

იანეთის რელიგიურ ლიდერებს რაც შეეხება, არაბულის მცოდნე სამი ადამიანიდან ორი მოლას სტატუსს ატარებს (იანეთში არ არის მეჩეთი ან რაიმე სხვა საკულტო ნაგებობა). ამ ორიდან მხოლოდ ერთი სარგებლობს ავტორიტეტით, რადგან მეორე რელიგიური ლიდერისათვის არასახარბიელო ჩვევებშია შემჩნეული (გადამეტებული სმა, ხულიგნობა, უპატიოსნება და სხვა), და მაინც, ის ერთადერთი, ყველას მიერ აღიარებული მოლა, რომელიც ამავე დროს ტრაქტორისტი, ხელმარჯვე და სიმპათიური ადამიანია, ვერაფრით ითავსებს დასახლების სახელით მოლაპარაკე საერო ლიდერის სტატუსს. უფრო მეტიც, ასეთი ლიდერი იანეთის მეცხრე უბანში საერთოდ არ არსებობს.

მე არ შემიმჩნევია, რომ იანეთელ მესხებს (სუნიტები) საქართველოში მცხოვრებ სხვა მუსლიმანებთან (აჭარლებთან, აზერბაიჯანლებთან, დაღესტნელები) რაიმე სულიერი კავშირი ჰქონდეთ, თუმცა ადრე ისიც მომხდარა, რომ ბაირამის წინა ნამაზზე მეჩეთში დასასწრებად რომელიმე იანეთელი ბათუმს გამგზავრებულა.

ჩემი დაკვირვებით, რელიგია ამ ხალხისათვის (ზოგადად მესხებს ვგულისხმობ) კიდევ ერთი გამაერთიანებელი და მათი საერთო ტრაგიკული ბედისთვის ხაზის გამსმელია. ამავე დროს ისლამი, საქართველოში მიმდინარე ზოგადი გლობალიზაციური პროცესების ფონზე, რომლებსაც ისინი თვალს ადევნებენ, მყარი გარანტიაა მათი პატრიარქალური ოჯახებისა და ნათესაური კავშირების შენარჩუნებისა.

მესხებმა ჩემთან საუბარში რამდენჯერმე შეადარეს თავიანთი ბედი ებრაელების ბედს და ხუმრობით ისიც თქვეს – იმდენს ვწვალობთ, რომ შეიძლება ჩვენგანაც გამოვიდეს რამეო. საერთოდ, მაჰმადიანური მესხური საზოგადოება არის სოციუმი, რომელშიც ძალიან პოპულარულია სტერეოტიპები. პირველი მათგანი არის ის, რომ მესხებისათვის კარგი არავის არ სურს. „უზბეკეთში იმიტომ წაგვიყვანეს, რომ ბამბის მოსავალი გაგვეზარდა – ჩვენ ხომ ყველაზე მშრომელები ვართ.“ „ეხლა ამერიკაში უნდათ ჩვენი ხალხის წაყვანა, რომ იქაც ბამბაზე გვამუშავონ, იქ ხომ ზანგებსაც აღარ უნდათ ბამბაზე მუშაობა, იქ ნიანგებია, მძიმე შრომაა და

ვინ იმუშავებს – თუ არა მესხები.“ ძალიან მიამიტურად ჟღერს, მაგრამ მსგავსი რეპლიკები იანეთში მე არაერთხელ მომისმენია. ეს არის ძირითადი სტერეოტიპი საკუთარი თავის შესახებ – მშრომელი ხალხი, რომელიც სამოთხედ აქცევს ნებისმიერ მიწას, სადაც კი მოხვდება („შუა აზიაში რომ ჩაგვასახლეს, იქ ისეთი ადგილი დაგვხვდა, რომ არათუ მოსავალი, სასმელი წყალიც კი არ იყო. ცხენი თუ გაივლიდა სადმე, მერე მოწვიმდა და იმის ნაკვალევში ჩამდგარ წვიმის წყალს ვსვამდით. ცოტა ხანში კი იქაურობა ისე ავაყვავეთ, რომ იმ მხარეს „გულისტანი“ – „ვარდების ქვეყანა“ დაარქვეს“). სწორედ ამიტომ მათ ხან აქეთ მოისვრიან და ხან იქით. მხოლოდ იმისათვის, რომ მერე მათივე მიერ აყვავებული, ადრე უნაყოფო მიწიდან გამოაძევონ.

2005 წელს მე ვიმოგზაურე აზერბაიჯანში და საათლის და სადირაბადის რაიონში იქაურ მაჰმადიან მესხებსაც შევხვდი (რომელთა დიდი ნაწილი თურქული ორიენტაციისაა), და არათუ იგივე სტერეოტიპები დავინახე, ჩემთვის კარგად ნაცნობი იგივე ფრაზებიც კი გავიგონე.

მეორე მთავარი სტერეოტიპი სამშობლოს, ანუ მესხეთს ეხება – მითოლოგიურ, მშვენიერ კუთხეს. მოხუცები, რომლებიც 1944 წლის გასახლებისას ბავშვები იყვნენ, მიამბობდნენ, რომ ქვეყნად არ არის მეორე ასეთი ლამაზი კუთხე, ხილს არსად აქვს ასეთი გემო, ნაკადული არსადაა ასეთი სუფთა, ხოლო ტყეები – ნადირით სავსე. ერთმა მოხუცმა ისიც მითხრა, ჩვენთან ირმები, დათვები, ტახები და მაიმუნები ცხოვრობდნენო. რომ გავიკვირვე, ეწყინა: რა გიკვირს, ჩვენთან ბევრი მაიმუნი იყოო! ყოველმა მესხმა, გინდ სულ პატარა ბავშვი იყოს, აუცილებლად იცის თავისი მშობლიური სოფელი, საიდანაც სამოცი წლის წინათ მისი ოჯახი გაასახლეს. იანეთის მცხოვრებლები უმეტესად ადიგენის რაიონის სოფლებიდან არიან, უფრო ცოტანი არიან ახალციხიდან, ასპინძის რაიონიდან კი არავინაა. მშობლიური სოფელი მათ პიროვნულ იდენტიფიკაციაში ძალიან დიდ როლს თამაშობს.

ხშირად მოისმენთ ისტორიებს იმის შესახებ, თუ მატერიალურად შედარებით უზრუნველყოფილი შუა აზიაში მცხოვრები მესხები როგორ იღებდნენ ბორჯომის საგზურს და საქართველოში ჩამოდიოდნენ დასასვენებლად, რომ რამდენიმე კვირა სამშობლოს სიახლოვეს გაეტარებინათ. შუა აზიაში დაბრუნების წინ კი აუცილებლად ჩადიოდნენ აწყურის პოსტზე და სამშობლოს დახშულ კარიბჭესთან შლიდნენ სუფრას, ტიროდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

ზოგი მათგანი, ქრთამებით თუ ნაცნობობით, მაინც ახერხებდა მესხეთში შეღწევას და მშობლიური სოფლებისა თუ ნასოფლარების მონახულებას. ისინი ყვებიან, რომ მესხეთის ის მოსახლეები (კათოლიკე ქართველები – „ფრანგები“), რომელთაც მათი კეთილმეზობლობა ახსოვდათ, სიხარულით ხვდებოდნენ და გულუხვად უმასპინძლდებოდნენ. უკან, შუა აზიაში, თუ აზერბაიჯანში დაბრუნებულ მესხებს ყველაზე ძვირფასი საჩუქრები ჩაჰქონდათ: იქაური ვაშლი, მესხური სიმინდის ფქვილით გაკეთებული მჭადი, სამშობლოს მიწა. ასეთ საჩუქრებზე თურმე დიდი ტაციაობა იყო.

ერთ-ერთი იმათგანი, ვინც საბჭოთა კავშირის დროს მესხეთში მოგზაურობა მოახერხა, იყო იანეთში მცხოვრები ზაქარია ეიბოვის აწ განსვენებული მამა – ჯემალი, რომელიც ცნობილი და პატივცემული ხალილ გოზალიშვილის თანამოაზრე და, შესაბამისად, მესხთა პროქართული ფრთის წარმომადგენელი

იყო. ჯემალ ეიბოვმა მოინახულა მაჰმადიან მესხთა თითქმის ყველა სოფელი და ნასოფლარი და თითოეულზე ლექსი დაწერა. ეს ლექსები, რომლებიც აზერბაიჯანში დაბრუნებულმა საჩუქრად უძღვნა იქ მცხოვრებ სხვადასხვა სოფლებიდან აყრილ მესხებს, დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

რა თქმა უნდა, ბევრი უკვე გადასახლებაში დაბადებული მესხი აღიარებს, რომ როდესაც საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ მშობლიური სოფელი მოინახულა, იქაური შთაბეჭდილებები სულაც არ დაემთხვა უფროსების მონაყოლთა მიხედვით მის ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს სამშობლოზე. ბევრი ახალგაზრდა გულახდილად ამბობს, რომ საცხოვრებლად იქაურობა მათთვის უვარგისია – აქ ურჩევნიათ, დიდ ქალაქებთან, ქუთაისთან და სამტრედიასთან სიახლოვეს, მაგრამ სამშობლო – მესხეთი მაინც შეუცვლელია.

ამის მიზეზი მხოლოდ 1944 წელს გასახლებული მამებისა და ბაბუების მიერ მითოლოგიზებული ნაამბობები არ უნდა იყოს. თავად მოხუცების ნაამბობებიდან ჩანს, რომ ისინი ცუდად ან სულაც არ იცნობდნენ დანარჩენ საქართველოს – ხაშურს იქით ხომ თითქმის არასდროს მგზავრობდნენ. ამიტომ შვილებსა და შვილიშვილებს ვერაფერს უამბობდნენ დანარჩენი საქართველოს შესახებ... ხოლო საკუთარი ქართული წარმოშობის შესახებ „ქართული ფრთის“ წარმომადგენლებმაც კი საკმაოდ გვიან შეიტყვეს (მაგ. იგივე ჯემალ ეიბოვმა, რომელსაც ხალილ გოზალიშვილმა თურმე ბევრი ისტორიული წიგნი წააკითხა, გაანათლა და მესხთა ქართულ საზოგადოებაში დაბრუნებისათვის მებრძოლად აქცია; ანდაც იანეთში მცხოვრები სხვა მესხის მაგალითი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს შვილები ქართული წესით გაზარდოს და ქართულ გარემოში ინტეგრირებულები გახადოს – ის თურმე 18 წლისა ჯარში ციხის სამეთვალყურეო ნაწილში მსახურობდა და იქ ერთ ქართველ პატიმარს – „ცეხავიკს“ – წარმომავლობა რომ გამოუკითხავს, უთქვამს: შენ ქართველი ხარო! ახალგაზრდა მესხს კი მაშინ ეს არ დაუჯერებია. ანდა იგივე ადამიანის ყირგიზეთში მცხოვრები მოხუცი დეიდის ამბავი, რომელსაც სტუმრად ჩასულმა იანეთელმა მესხმა უთხრა: ქუთაისის მუზეუმში თამარ მეფის სურათი ვნახე და, დეიდა, შენ გგავდა ძალიანო! მოხუცი კი გაბრაზებულა: რა უნდოდა თამარ მეფეს ქუთაისის მუზეუმში, ის ხომ ჩვენი მეფე იყო, რა, ქართველებმა უკვე ეგეც წაგვართვესო?!).

როგორც თვითონ მესხები ხსნიან, 1944 წლამდე ისინი თავიანთ თავს არც ქართველებს უწოდებდნენ, რადგან ქართველი – გიურჯი, ქრისტიანთან იყო ასოცირებული, – და არც თურქებს. მაშინ სოციუმის შიგნით ყველაზე გავრცელებული სახელწოდება „იერლი“ იყო, რაც თურქულად აქაურს, ამ მიწის შვილს ნიშნავს და აქაურობად კი სწორედ მესხეთი მოიხსენიება და არა სხვა რომელიმე რეგიონი.

ამას გარდა, როგორც თავად ამბობენ, არ არსებობდა საბჭოთა კავშირის რომელიმე რესპუბლიკა (შემდგომ კი – ქვეყანა), სადაც მესხები თავს სახლში გრძნობდნენ და არ ჰქონდათ შეგრძნება, რომ იქ დროებით იმყოფებოდნენ. თავად ფერგანაშიც, 1988 წლის მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ადგილი ჰქონია რაღაც მსგავს, ოღონდ ნაკლებად მასშტაბურ მოვლენებს (ინტერვიუ ტელმან ერისთავთან), ხოლო იანეთელი მესხების მონაყოლებიდან ჩანს, რომ ისინი არასოდეს ეშურებოდნენ ისეთი მატერიალური დოვლათის შეძენას (მაგ. ავეჯი), რასაც ადვილად ვერ წაიღებდნენ თან, თუკი

ახალ ადგილზე გადაბარგება მოუწევდათ („სულ ჩემოდნებზე ვისხედით, რამე ხდებოდა და ჩვენივე ხელით ვამტვრევდით ყველაფერს, რისი წაღებაც არ შეგვეძლო და ვბარგდებოდით“ – ალიხან იბრაგიმოვთან პირადი საუბრიდან). ამ საერთო ფონზე, ცოდნა იმისა, რომ სადღაც არსებობს მიწა, რომელიც იმთავითვე შენი იყო, სადაც მამა-პაპის ძვლებია დამარხული და საიდანაც უსამართლოდ, ღალატით გაასახლეს უმწეო მოხუცები, ქალები და ბავშვები (მამაკაცები ფრონტზე იბრძოდნენ), ამ მიწას, სამშობლოს, სულ სხვანაირ დატვირთვას აძლევს.

მაგრამ სამშობლოსთან – მესხეთთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად მახსენდება ჩემი მასპინძლის ალიხან ჩხეიძე-იბრაგიმოვის მონაყოლი მესხეთში მოგზაურობის შესახებ, რომელიც ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ წავიდნენ პირველად ძია ალიხანი და მისი ძმა მუსტაფა (სამწუხაროდ, უკვე განსვენებული) მესხეთში და როგორ მოინახულეს პირველად სოფელი კიკინეთი, საიდანაც მათი მშობლები 1944 წელს გადაასახლეს. „ჩვენი სოფელი სულ ბოლოსაა, უკვე მთებში“, – მიყვებოდა ძია ალიხანი, – „იმის იქით აღარაფერი აღარაა – ულამაზესია იქაურობა.“ (შარშან მე ვნახე კიკინეთი და ის, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა იმ ზღაპრული ადგილისაგან, ჩემმა მასპინძელმა რომ ამიწერა). ძმები საკუთარი მანქანით ჩავიდნენ კიკინეთში, იქაურობა დაათვალიერეს და როცა ადგილობრივებს უთხრეს, ვინც იყვნენ, ამან დიდი დაძაბულობა და აურზაური გამოიწვია. სტუმრად როცა გინდა ჩამოდიო, – ასე გვითხრეს, – მაგრამ მეზობლად ვერ მიგიღებთ, კარგი ხალხი ჩანხართ, მაგრამ სოფელში მაინც ვერ შემოგიშვებთო... სინამდვილეში მე არ ვიცი, თუ რა ფორმით და როგორ ელაპარაკნენ კიკინეთელები (ეს სოფელი ადიგენის რაიონში სოფლების – ვარხანის და წახანის სიახლოვეს მდებარეობს), მაგრამ ამ ისტორიაში მე სხვა სურათი უფრო მაღელვებს – როდესაც ძმები უკან გამობრუნდნენ და კრიჭაშეკრულები დაადგნენ გზას, ერთ-ერთმა, რომელიც საჭესთან იჯდა, უსიტყვოდ გააჩერა მანქანა და ორივე ხმისამოუღებლად გაიქცა გზისპირა ბაღებისაკენ აკრძალული ხილის, იქაური ვაშლის საჭმელად. იმ ვაშლისა, რომელზეც ამდენი რამ ჰქონდათ გაგებული ბავშვობიდან. ამ სცენაზე მართლა ბევრი მიფიქრია, ამიტომ, შეიძლება მსგავსი შინაარსის სტატიისათვის შეუფერებლად მხატვრული გამომივიდეს, მაგრამ ძალიან მაღელვებს ორი უკვე თითქმის ასაკოვანი, თავიანთ საუკეთესო სამოსში გამოწყობილი კაცი, მაღალ ბალახში რომ მიიკვლევენ გზას ვაშლით დახუნძლული ხეებისაკენ. მესხური ვაშლი ხომ მართლაც საოცარია...

მესხები ხშირად ამბობენ, რომ მათ ატყუებენ, როცა ეუბნებიან, თითქოს მესხეთში საცხოვრებელი ადგილი და თავისუფალი მიწები არ არსებობს. ისინი ნამყოფები არიან რეგიონში და ამბობენ, რომ იცნობენ იქაურ დემოგრაფიას. იანეთელები ხშირად იშველიებდნენ შოთა ლომსაძის წიგნის – „მესხეთი და მესხების“ რუსულ გამოცემას, სადაც მოცემული იყო მესხეთის რუკა და ზედ დატანილი იყო 220-ვე (ეს ციფრი ყველამ კარგად იცის) მესხური სოფელი. ამათგან შავი წერტილებით აღნიშნული იყო ის სოფლები, რომლებიც 1944 წლის გასახლების შემდეგ მთლად დაცარიელდნენ და აღარასოდეს აღარ აღდგენილან. ასეთი წერტილები (რომლებიც რუკაზე საკმაოდ ბევრია) დასტურია იმისა, რომ თავისუფალი ადგილები მესხეთში მაინც არის, ოღონდ საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ნება, რომ დეპორტირებული მაჰმადიანები ძველ ადგილზე დააბრუნოს.

ის, რომ ქართული მთავრობა და საზოგადოება სწორედ მათ მაჰმადიანობას უფრთხის, იანეთელ მესხებს კარგადა აქვთ გაცნობიერებული („ჩვენ რომ სომხები ან ბერძნები ვყოფილიყავით, უფრო იოლად გადაწყდებოდა ჩვენი საკითხი"). ჩემი აზრით კი პრობლემა ბევრად უფრო ღრმაა და ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთ მხარეს (მესხები – ქართული საზოგადოება), წლების მანძილზე წარმოებული პოლიტიკური თამაშებისა და დეზინფორმაციის შედეგად, არა აქვს გარკვეული, თუ ვინ არის ეს ხალხი, ან ვინ არიან თავად – წლების განმავლობაში მიმდინარე პროთურქული პროპაგანდის წყალობით მესხებს უკვე სულ მთლად არეული აქვთ გონება, ქართულმა საზოგადოებამ კი რეალურად არაფერი იცის ამ „ეთნოსის" წარმომავლობის შესახებ. ამ საზოგადოების ყველაზე განათლებულმა ნაწილმა, რომელსაც მეტი მოეთხოვებოდა, არაფერი გააკეთა (თუ არ ჩავთვლით სამოცდაათიანი წლების ბოლოს ინტელიგენციის გარკვეულ აქტივობებს) საზოგადოების ინფორმირებულობისა და მესხების ამ საზოგადოების წიაღში დაბრუნებისათვის. ამ ადამიანებისათვის თითქმის არავის უთქვამს, რომ ისინი მთელი საქართველოს შვილები არიან და ისინი საქართველოს მიწა-წყალზე სტუმრად არ უნდა გრძნობდნენ თავს, როგორც უკრაინასა თუ უზბეკეთში...

დღესდღეისობით დისკუსია 1944 წელს დეპორტირებულთა სამშობლოში დაბრუნება-არ დაბრუნების შესახებ დროებით შეწყვეტილია, მაგრამ გავა დრო და ეს საკითხი აუცილებლად კვლავ იჩენს თავს. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მე იმ დროსაც არ მექნება ზუსტი პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორ, რა რაოდენობით, რა სისტემატურობით უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში მესხები და სად უნდა იცხოვრონ. არა მგონია, შექმნილ სიტუაციაში რაიმე შეიცვლოს აზერბაიჯანში, შუა აზიაში, რუსეთსა თუ თურქეთში მცხოვრებ მესხთა მენტალიტეტ-შიც და მათ უარი თქვან თავიანთ, ჩემი აზრით, საბედისწერო შეცდომაზე (რომელშიც ყველაზე ნაკლებად მესხთა დღევანდელი თაობაა დამნაშავე, ყველაზე მეტად კი – კავკასიის ბედუკულმართი ისტორია და გეოპოლიტიკა) და სამშობლოდ არა მხოლოდ მითოლოგიზებული მესხეთი, არამედ მთელი საქართველო აღიარონ.

საერთოდაც ძალიან ბევრი რაღაცა მაფიქრებს და მაეჭვებს, არა მარტო მაჰმადიან მესხთა, არამედ მთელი ჩემი ქვეყნის, ჩემსა და ჩემი შვილების მომავალში. მაგრამ ყოველთვის, როცა მესხეთში მოვხვდები, ამ ადგილებს სხვა თვალით ვუყურებ, რადგან თვენახევრის მანძილზე მოსმენილი მითები უკვე ჩემშიცაა გამჯდარი; ყოველთვის, როცა მაჰმადიან მესხთა პრობლემა მახსენდება, ანდა მას ტელევიზორის ეკრანიდან მახსენებენ, მუდამ ჩემი მასპინძლები და იანეთის მეცხრე უბანი, ერთი კონა მუდმივად საკუთარ და თავის ხალხის მომავალზე დაფიქრებული და გაფაციცებული, წარსულსა და მომავალში ვერგარკვეული ხალხი მიდგება თვალწინ. მე მათი შეყვარება მოვახერხე, იმიტომ რომ ღია გულით მივედი იქ და როგორც თვითონ მესხები იტყვიან, გულში „ეშმაკობა" არა მქონია. ეს ხალხი დღემდე მიყვარს და მათი ბედიც მადარდებს, მათი კარგი გამეხარდება და მათი ჭირი მეწყინება – სულ ეს არის და ეს, არც ძალიან ცოტა მგონია და არც ძალიან ბევრი.

2008 წელი

არჩილ ქიქოძე

ერთი სოფლის ამბავი[1]

1993 წლის 16 სექტემბერია. დაახლოებით დილის 5 საათზე ერთ-ერთი ქართული სოფლის მაცხოვრებლებს ძლიერი სროლა აღვიძებთ. სროლა აფხაზური სოფლების მხრიდან ისმის. ეს მხოლოდ ერთ რამეს შეიძლება ნიშნავდეს – მოწინააღმდეგემ დაარღვია რუსეთის შუამავლობით მიღწეული საზავო ხელშეკრულება, რომელმაც სოფელს ერთი მხრივ თითქმის ერთთვიანი სულის მოთქმის საშუალება მისცა, მეორე მხრივ კი – ასეთი მოულოდნელი თავდასხმისთვის მთლად მოუმზადებელი დატოვა. სოფლიდან უკვე გაზიდულია მთელი ჯავშანტექნიკა, სოფლის მისადგომებთან კი უკვე თითქმის ერთი თვეა აღარავინ მორიგეობს იარაღით ხელში. ახლადგაღვიძებულმა ხალხმა არაფერი იცის რეალური ვითარების შესახებ. მამაკაცები იარაღს ისხამენ და სოფლის გარშემო პოზიციებისკენ მიემართებიან. სოფელში გაურკვევლობა სუფევს. ინფორმაციის ერთადერთი წყარო სახელმწიფო ტელევიზიაა, რომელიც ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებს და განახლებული ომის მალე, ქართული მხარის გამარჯვებით დამთავრებას წინასწარმეტყველებს.

მოწინააღმდეგე სწრაფად ახლოვდება. სოფლის მამაკაცთა ხელთ არსებული იარაღი არ არის საკმარისი სოფლის დასაცავად. გადაწყვეტილია – სამხედროების მიერ დატოვებული ერთადერთი გაუმართავი ტანკი აამუშავონ. ასეც იქცევიან, ოღონდ ტანკის შეკეთებას ერთი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ასეთ ფასად ამუშავებული ჯავშან-მანქანა ამიერიდან ხან სოფლის ერთ ბოლოში ჩნდება, ხანაც – მეორეში, იმის მიხედვით, საიდან უფრო გახშირებული სროლა ისმის. ამ მანევრებით სოფლის დამცველები ცდილობენ მტერს ილუზია შეუქმნან, რომ სოფელს ერთი კი არა – რამდენიმე ტანკი იცავს.

სროლები კი სულ უფრო ახლოდან ისმის და, თუმცა, ტელევიზია კვლავაც გამარჯვებას წინასწარმეტყველებს, ბევრს უკვე ეჭვი ეპარება ამაში. ზოგი სოფლის დატოვებაზე ფიქრობს, ზოგს მათი შიში სასაცილოდაც არ ყოფნის. აზრი ორად იყოფა, მაგრამ მათთვისაც კი, ვისაც წასვლა გადაუწყვეტია, ადვილი არ არის მოვლილი სახლ-კარის უცბად, ხელაღებით მიტოვება. ბევრი ყოყმანობს და სანამ გაირკვევა, თუ ვინ მიდის და ვინ რჩება, მოწინააღმდეგის ჭურვები უკვე სოფლში სკდება. მრავალი ადამიანის გზაზე ერთად გადაადგილება უკვე ძალიან სახიფათოა – ისინი შეიძლება მტრის არტილერიისთვის ადვილ სამიზნედ იქცნენ. ვიღაცას აზრად მოსდის ისარგებლონ ხეხილის გაუქმებული სარწყავი არხით, რომელშიც წყალი დიდი ხნის წინათაა დამშრალი. არხი გავერანებულია და რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მთლიანად ეკალ-ბარდითაა დაფარული. ამ ჯაგნარში იჭრება ორკილომეტრიანი გვირაბი, რომელიც საშუალებას აძლევს

[1] კრებულიდან „წამების კვლევისას“, რომელიც წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრმა მოამზადა და გამოსცა 2004 წელს.

წასვლის მსურველებს, ასეთი კი სოფლის მთლიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარია, მტრისთვის შეუმჩნევლად გააღწიონ სამშვიდობოზე.

დარჩენილი ნახევარისთვის ეკალ-ბარდში გაჭრილი გვირაბი მხოლოდ თანასოფლელთა სასაცილო ახირებაა – მართალია, სროლა სულ ახლოა, ტელევიზია მაინც არაფერს გადმოსცემს საგანგაშოს. ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება. სროლა ყველა მხრიდან ისმის. დაცვის ერთ-ერთ ხაზზე მოწინააღმდეგე გარღვევას ახერხებს და თუმცა სოფლის დამცველები მალევე აგდებენ უკან, მაინც ასწრებს ათამდე სახლის გადაწვას. ცხადი ხდება, რომ სოფელი ალყაშია, ერთადერთი გასაქცევი გზა ზღვაზე გადის და სოფლის თავკაცები სოხუმს უკავშირდებიან, სთხოვენ მათ გასაყვანად გემის გამოგზავნას და თავად პირდებიან საწვავს, მაგრამ სოხუმი მათ ვერაფერს პირდება. ახლა დარჩენილები უკვე წასულების ბედს შენატრიან.

როდესაც დაბომბვა ძლიერდება, სოფელში დარჩენილ ადამიანებს ერთად ყოფნის და მოსალოდნელი უბედურების ერთად დახვედრის სურვილი იპყრობთ. დაახლოებით ხუთასამდე ადამიანი სოფლის ყველაზე დიდ სახლში იყრის თავს. ეს სახლი მკვიდრად არის ნაშენი, თუმცა სოფელში მასზე უსაფრთხო ნაგებობიც არსებობს (მაგალითად: სკოლის სასწავლო ბუნკერი), მაგრამ მთავარია, რომ იგი ყველას იტევს. აქ აკითხავენ თავისიანებს პოზიციებიდან ცოტა ხნით მობრუნებული მამაკაცები, მერე უკან ბრუნდებაინ და ჯერ არც იციან, რომ ბევრი მათგანისთვის ეს უკანასკნელი შეხვედრაა – *„ბოლოს სოფლის დაცემის დილას ვნახე ჩემი ქმარი, შემოიარა – „დიდი არეულობაა და შტაბში მივდივარო“ – მითხრა. მას მერე აღარ მინახავს...“*

ამ პირობებშიც ბევრი რისკავს და ბილიკებით ცდილობს სოფლიდან თავის დაღწევას. ზოგი გზაში იღუპება, მაგრამ ზოგი მაინც ახერხებს სამშვიდობოზე გასვლას:

თექვსმეტი წლის გოგონა თავის ქმართან (ორივე თხუთმეტი წლისანი იყვნენ, როდესაც დაქორწინდნენ), სამი თვის ვაჟთან და მულთან ერთად სოფლის განაპირას ბიძის სახლში იმყოფებოდა, სწორედ ბიძამ დაიჟინა სოფლის დატოვება და თუმცა ახალგაზრდები უარზე იყვნენ, რადგან არაფერი იცოდნენ საკუთარი მშობლების შესახებ, ბიძამ მაინც თავისი გაიტანა.

გაქცეულებმა მოახერხეს საიდუმლო ბილიკებით კინდღამდე ჩაღწიათ, იქ კი მათ ბედად სანაპიროს მაშველი გემი მოადგა. მაგრამ გემამდე მიღწევის მსურველი ბევრი იყო, ნავი კი – ერთადერთი. გადაწყდა – ნავი ქალების და ბავშვებისთვის დაეთმოთ, კაცებს კი – ცურვით ეცადათ გემამდე მიღწევა. ბოლო წუთში საერთო პანიკასა და არეულობაში ნავზე კაცებიც აღმოჩნდნენ. ნავმა ამხელა წონას ვერ გაუძლო და გემამდე არმისული ჩაიძირა. გოგონა სამი თვის ბავშვთან ერთად იხრჩობოდა, ორივე ვიღაც უცნობმა მამაკაცმა გადაარჩინა. როგორღაც გემამდე მიაღწიეს. ჩვილის ტანისამოსი, ისევე, როგორც ყველა დანარჩენის, სველი იყო. ერთადერთი მშრალი ნაჭერი, რომელიც დედამ ბავშვის გასახვევად მონახა, გემბანის საწმენდი ბინძური ტილო იყო. უკვე სამშვიდობოზე ბინძური სახვევისაგან ბავშვს კანის უმძიმესი ინფექცია განუვითარდა...

ამ დროს კი სოფლის ყველაზე დიდ სახლში შეკრებილი ხალხი სროლას უგდებს ყურს და ძრწოლით ელოდება მომავალს. ისინი სამი დღე არიან ერთად

უჰაერობაში და გაუსაძლის პირობებში. სამი დღის თავზე კი სოფელი ეცემა და სახლის ხიზნები თავიანთი თავშესაფრიდან მოწინააღმდეგის ჯარისკაცებს და ტანკებს ხედავენ. ვიღაცა ამბობს: „სჯობს ვინმე ჩვენიანი მათ შესახვედრად თეთრი დროშით გავიდესო.“ ამის გამგონე ერთ-ერთი ქალბატონი უთქმელად, იმპულსურად ახვევს ჯოხზე ჩვილი ბავშვის მუშამბას და დაუფიქრებლად გადის გარეთ. (*„შიში არ მიგრძვნია, თითქოს ყველაფერი სულერთი იყო.“*) მას გარეთ თანასოფლელი მამაკაცი, სკოლის დირექტორი, მიჰყვება. თეთრდროშიანი ქალის თვალწინ მოწინააღმდეგის ჯარისკაცები სკოლის დირექტორს ავტომატის კონდახების რტყმითა და ლანძღვა-გინებით ძირს აგდებენ და დიდხანს თელავენ ფეხებით. ეს მხოლოდ დასაწყისია. სახლს შეფარებული ხალხი გარეთ გამოჰყავთ, ქალებს და ბავშვებს კაცებს აცალკევებენ და სკოლის შენობისკენ ერეკებიან...

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სოფლის დაცემას თანასოფლელთა გარეშე, მარტო, საკუთარ სახლებში შეხვდნენ.

ქალბატონი ნ. საკუთარ სახლში იმყოფებოდა ავადმყოფ, პარალიზებულ დედასთან ერთად. როდესაც სოფელში მოწინააღმდეგე შემოვიდა, ქალბატონმა ნ-მ დედასთან ერთად სახლის სარდაფს შეაფარა თავი. მტერი ყველა სახლს ჩხრეკდა და წვავდა. დადგა მათი სახლის ჯერიც. სარდაფში დამალული დედა-შვილი მოწინააღმდეგემ ვერ იპოვა და სახლი ცეცხლს მისცა. ქალბატონმა ნ-მ როგორღაც მოახერხა მოწინააღმეგისთვის შეუმჩნევლად პარალიზებული დედა ცეცხლმოკიდებული ფანჯრიდან ეზოდან გადაეყვანა, რომლის ბოლოსაც დიდი თხრილი ეგულებოდა და სწორედ მასში დაიმალა დედასთან ერთად. ამ თხრილში დედა-შვილმა ორ კვირაზე მეტი გაატარა. იკვებებოდნენ იმით, რასაც ქალბატონი ნ. ღამით ბაღ-ბოსტანში პოულობდა. შემოდგომა იყო და როგორღაც თავი გაიტანეს.

ყოველ ღამით ქალბატონი ნ. ოთხით მიდიოდა საკვებისა თუ გადარჩენილ თანასოფლელთა საძებრად. ერთ ღამეს ისე შორს წავიდა, რომ ოჩამჩირესაც მიუახლოვდა, იმედი ჰქონდა – იქ მტერი ჯერ არ იქნებოდა შესული, მაგრამ დარწმუნდა, რომ ოჩამჩირეც მოწინააღმდეგეს ჰქონდა დაკავებული და უკან, დედასთან დაბრუნდა.

თხრილში მათ შემთხვევით გადაწყდა სასწაულით გადარჩენილი ახალგაზრდა ნათესავი ქალი, რომელიც მათთან დარჩა.

ბოლოს თხრილში დამალულები მაინც აღმოაჩინა მტერმა. მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ქალბატონ ნ-ს გარშემო ავტომატის ჯერით მიწა დახვრიტეს. ახალგაზრდა ქალი მაშინვე თან წაიყვანეს, ქალბატონი ნ. და დედამისი კი იქვე დატოვეს, თუმცა ხშირად აკითხავდნენ, აწვალებდნენ და საშინლად ამცირებდნენ.

დედა-შვილისათვის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთადერთ რგოლად იქცნენ სომეხი ქალები, რომლებიც შემთხვევით გადაეყარნენ თხრილის მკვიდრებს, მერე კი რამდენჯერმე მოაკითხეს საჭმლით და სოფლის ამბებით. ქალბატონმა ნ-მ საკუთარი დამწვარი სახლის ერთ-ერთი კუთხე მოასუფთავა, მოაწყო და დედაც იქ გადაიყვანა. ერთ-ერთ მოსვლაზე ქალბატონმა ნ-მ სომეხ ქალებს სთხოვა, თბილისში მის ნათესავებთან დეპეშა გაეგზავნათ და ხმა მიეწვდინათ, რომ თვითონ

ქალბატონი ნ. და დედამისი ცოცხლები იყვნენ. როგორც მერე აღმოჩნდა, სომეხმა ქალებმა მართლაც გააგზავნეს დეპეშა, რომელიც ადრესატამდე მივიდა.

იმავე ქალებისგან გაიგო ქალბატონმა ნ-მ, რომ მოწინააღმდეგე გადარჩენილ ტყვეებს კრებდა, და თითქოს ქართველების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიისკენ უპირებდა გაგზავნას. ქალბატონმა ნ-მ უყოყმანოდ გადაწყვიტა, როგორმე დედა იმ სახლში გადაეყვანა, სადაც ტყვეებს უყრიდნენ თავს. თხრილში და, შემდეგ, დამწვარ სახლში გატარებული დღეების მანძილზე ქალბატონი ნ. ხომ სულ იმას ოცნებობდა, რომ თავისიანებთან ერთად ყოფილიყო. ასე ეგონა, თანასოფლელთა გვერდით დამცირების და წვალების გადატანა უფრო გაუადვილდებოდა, მაგრამ როდესაც ავადმყოფ დედასთან ერთად შეკრების ადგილს ძლივძლივობით მიტანებულმა შეიტყო, თუ რისი გადატანა და ცქერა მოუხდათ თანასოფლელებს, თავის პირით თქვა: „რა ბედნიერებაა, რომ იქ არ ვიყავიო...“

იმას, თუ რისი არცქერით იყო ბედნიერი ქალბატონი ნ, ამ სოფლის კიდევ ერთი მკვიდრის, ქალბატონ თ-ს ნაამბობიდან ვიგებთ:

სოფლის დაცემის დღეს საერთო თავშესაფრიდან დროებით გამოსულმა ქალბატონმა თ-მ, მისმა ქალიშვილმა და მულმა სასტიკი სროლისგან სოფლის სასკოლო ბუნკერს შეაფარეს თავი. აქვე იყო მათი რამდენიმე თანასოფლელი. ბუნკერშივე მიაგნო მათ ქალბატონი თ-ს მეუღლემ, რომელმაც არაფერი იცოდა მასავით პოზიციებზე გასული ვაჟის შესახებ და მხოლოდ იმას იყო მიმხვდარი, რომ ბრძოლა წაგებული იყო. ქალბატონ თ-ის მეუღლეს მოჰყვა ორი ახალგაზრდა თანამებრძოლი, ორივე დაჭრილი. მათ სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ დახმარება და ქალბატონ თ-ის მულმა გაბედა ტყვიების წვიმაში გარეთ გახოხებულიყო და მალე ასევე ხოხვით დაბრუნდა უკან დოლბანდითა და იოდით.

ქალბატონ თ-ის მეუღლე დარწმუნებული იყო მარცხის გარდუვალობაში. მან საბუთები სვანურ ქუდში შეინახა და კედლის ნიშაში დამალა. ქალბატონი თ. დარწმუნებულია, რომ საბუთები დღესაც იქა დევს. მისი მეუღლე სვანი იყო და ტყვეობის შემთხვევაში, თუკი მისი სვანობა გამჟღავნდებოდა, მას უეჭველად მოკლავდნენ. თუმცა უამისოდაც არ ელოდა კარგი დღე და ესეც გაცნობიერებული ჰქონდა.

იგი ალერსით ემშვიდობება ცოლ-შვილსა და დას, სთხოვს და არწმუნებს – არ შეეშინდეთ გარდუვალის და მოსალოდნელ სიკვდილს ღირსეულად შეხვდნენ. შემდეგ ბუნკერს ტოვებს, რათა ბრძოლა განაახლოს, მაგრამ ძალიან მალე ბრუნდება უკან – სიცოცხლის უკანასკნელი წუთების გატარებას ოჯახის წევრებთან არჩევს.

მოწინააღმდეგე კი უკვე სოფელშია, მალე ის ბუნკერსაც ხსნის და ხიზნები გარეთ გამოჰყავს. კაცებს ქალებისგან აცალკევებენ და ადგილზე ხვრეტენ. ქალბატონი თ-ის თვალწინ იღუპებიან ახალგაზრდა, დაჭრილი მებრძოლებიც და მისი ქმარიც – სკოლის მასწავლებელი, რომელსაც საკუთარი ნამოწაფარი კლავს თავის ხელით.

ტყვეები ჯერ სოფლის ყველაზე დიდ სახლში, სხვა თანასოფლელებთან გადაჰყავთ, იქიდან კი ქალებს, ბავშვებს და მათთან ერთად დახვრეტას გადარჩენილ 25-მდე მამაკაცს სოფლის მთავარი ქუჩით აფხაზური სოფლებისკენ ერეკებიან. გზად ერთ-ერთი თანასოფლელის სახლში ათავსებენ და თითქოს დაწვასაც უპირებენ. სახლს უკვე ყოველი მხრიდან ნავთს ასხამენ, მაგრამ რატომღაც

განზრახვაზე ხელს იღებენ და ტყვეები ისევ ეზოში გამოჰყავთ. ეზოში კი მათი თანასოფლელების – სახლის პატრონის და მისი მეუღლის დახვრეტილი სხეულები ყრია, მაგიდაზე კი ორი მოჭრილი თავი დევს.

ტყვეები პირველ ღამეს ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში, მიტოვებულ სახლებში ატარებენ. მაშინვე იწყება ქალებზე ძალადობა. ქალბატონ თ-ს დღესაც ყურებში აქვს ერთი მოხუცი ქალის გოდება, რომელიც მთელი ღამე მტრის ჯარისკაცების მიერ გარეთ გაყვანილ 14 წლის შვილიშვილს ეძახის. ბედად, ქალბატონ თ-ის ქალიშვილის ნათლია მებრძოლებში ნაცნობ აფხაზს ხედავს და ეძახის. ამ აფხაზს სთავაზობენ ქალები ტანისამოსში გადამალულ ოქროულობას, რომლის საფასურად აფხაზი მათი ოთახის კარებთან იარაღით ხელში დგება და მომხდურებს შიგნით არ უშვებს.

მეორე დღეს ტყვეები ბადრაგთან ერთად აგრძელებენ გზას, თუმცა ბევრი მათგანი (მათ შორის ქალბატონი თ-ს ქალიშვილი და მისი რამდენიმე მეგობარი) ნაცნობობით თუ გარკვეული გამოსასყიდის საფასურად ახერხებენ, რომ ყველაზე უარესს დააღწიონ თავი. ისინი აფხაზურ ოჯახებში გადაყავთ, სადაც მეტ-ნაკლებად ასატან პირობებში ამყოფებენ და მათზე არ ძალადობენ. მაგალითად, ქალბატონ თ-ს ქალიშვილს და მის მეგობრებს აფხაზების ბერძენი რძალი ესარჩლებათ, ხოლო იმ ოჯახის, რომელმაც გოგონები შეიკედლა, ქალბატონი თ. დღესაც მადლობელია. დანარჩენი ტყვეები (სულ 300-მდე ადამიანი) ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში ჩაჰყავთ და სკოლის შენობაში, მეორე სართულზე, რამდენიმე საკლასო ოთახში, თითოში ორმოცდაათიდან ოთხმოც ადამიანამდე, ათავსებენ. ამ დროისათვის თითქმის ყველა ტყვე მამაკაცი უკვე ქალების თვალწინაა დახვრეტილი.

და აქ იწყება ყველაზე საშინელი... სკოლის შენობაში გამომწყვდეული ტყვე ქალები, დამშეულები და ნაწამები, სივიწროვეში იატაკზე და მერხებზე წვანან. ხდება მათი სელექცია: მტერი ყველაზე ახალგაზრდებს და ლამაზებს არჩევს და გარეთ გაჰყავს. ქალები ცდილობენ გადამალონ, გადაეფარონ და სხეულით დაიცვან ასეთები. 10-12 წლის გოგონებს ტომრებში მალავენ – ვითომ ბარგი იყოს და ხანდახან ზედაც ასხდებიან, დარაჯებისთვის თვალის ასახვევად. გასათხოვარი დების მაგივრად გათხოვილი მრავალშვილიანი დედა გადის გარეთ. „ან გასვლა რა იყო, ან უკან შემოსვლა“ – ყველამ იცის რისთვისაც გაყავთ ისინი და როგორებსაც აბრუნებენ უკან...

ახალგაზრდა რძალს გადაფარებულ მოხუც დედამთილს კაზაკი ადგილზე კლავს...

დედას ესმის, მეზობელ ოთახში როგორ მთელ ღამეს სცემენ და აბუჩად იგდებენ მის თერთმეტი წლის ვაჟს...

მეთვალყურეების მიერ დარიგებულ პურსა და წყალზე საშინელი ბრძოლა და ტაციაობაა, ზოგი თავისთვის იბრძვის, ზოგი შვილისთვის და ზოგი შვილიშვი-ლისთვის...

დღეში რამდენჯერმე ყველა ერთად გაჰყავთ ტუალეტში, მაგრამ ეს ხშირად საკმარისი არ არის და საკლასო ოთახებში საშინელი ანტისანიტარია სუფევს...

ოცამდე გადარჩენილ ტყვე მამაკაცს ცალკე ამყოფებენ და ქალები მათ მხოლოდ კორიდორში, ტუალეტისკენ მიმავალ გზაზე, ხედავენ, მაგრამ კაცები ისეთი ნაცემები არიან, რომ მათი ამოცნობა – რომელი რომელია, უკვე შეუძლებელია...

გავა დრო და ბევრი ამ ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანი ვერ აპატიებს დანარჩენებს იმას, რომ მისი სირცხვილის, მასზე ძალადობის მოწმენი გახდნენ. ვერ აპატიებს იმ ჭუჭყს, რომელიც ერთად გამოიარეს. უკვე სამშვიდობოზე გასულები, ბევრი დააბეზღებს ერთმანეთს ქმრებთან, ან საქმროებთან, ანდაც სულაც უცხო ადამიანებთან. ამ ამბების შემდეგ უკვე ათი წელია გასული, მაგრამ გადატანილი ტრავმა კვლავინდებურად მძიმეა, ამის მოგონება და გაცნობიერება დღესაც ძალიან ჭირს.

...სოფლის სკოლაში კი დღეები დღეებს მისდევს და ტყვეთა რიცხვი ნელ-ნელა კლებულობს. მტრები, განსაკუთრებით კი აფხაზები, ერიდებიან ქალებისა და ბავშვების დახოცვას. ბევრ ტყვეს პატრონი და მფარველი უჩნდება, მათ სკოლიდან აპარებენ, უსაფრთხო ადგილას, ნაცნობ აფხაზთა ოჯახებში ასახლებენ. ბევრი მათგანი იცვლება სხვა ტყვეზე, ანდაც მათი გამოსყიდვა ხდება. არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე ტყვის საცოდაობით გულაჩუყებული მოწინააღმდეგე მას გამოაპარებს, სკოლას გამოარიდებს და უშვებს. ხშირ შემთხვევაში ასე გათავისუფლებულებს უარესი ტანჯვა და შეურაცხყოფა ელის წინ – თერთმეტი წლის გოგონას გზად შემთხვევით გადაყრილი მოწინააღმდეგის ჯარისკაცები იჭერენ და თავისი დების თვალწინ თავით ხეს ანარცხებენ. მიღებული ტრავმა იმდენად ძლიერია, რომ მოგვიანებით ფსიქიურ აშლილობას იწვევს...

სხვადასხვა ადამიანების მონათხრობ იმ დღეების ამბებში ჩნდება გადამთიელი მხსნელის, მტრის მხარეზე მებრძოლი ყაბარდოელის სახე. ყაბარდოელი უანგაროდ და თავგამოდებით შველის ტყვე ქალებს. ერთ-ერთი მათგანი მას სკოლის შენობიდან გამოჰყავს და, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, სოხუმში ჩაჰყავს, სადაც მსგავსი განუკითხაობა უკვე აღარ სუფევს. ქალს საკუთარი მხსნელის არც სახელი ახსოვს და არც გარეგნობა. ახსოვს მხოლოდ, რომ ქრისტეს ჰგავდა... ამასვე ეუბნება სოხუმში აფხაზებს, რომლებიც ეკითხებიან – აქ ვინ მოგიყვანაო. პასუხი მათზე მომნუსხველად მოქმედებს და ამიერიდან ქალს არავინ არც აკარებს ხელს და აღარც შეურაცხყოფს.

სხვათა ნაამბობიდან უკვე ვიგებთ ყაბარდოელის სახელსა და გვარს, ვიგებთ იმასაც, რომ ის დაბალი, ჯმუხი და პირქუში ადამიანია. თურმე სოფლის დაცემის დღესვე მას სოფლიდან გაუყვანია ოთხი ქალი, მათ შორის ერთი – ექვსი თვის ორსული. ყაბარდოელი მათ აფრთხილებს გზად სხვებისთვის თვალის ასახვევად შეიძლება გაგინოთ და შეურაცხყოფა მოგაყენოთ, რისიც არ უნდა შეგეშინდეთ და არც უნდა გაიკვირვოთო. ასეც იქცევა, ოღონდ ქალებთან მარტოდ დარჩენილი, მათ მზრუნველობას არ აკლებს: ხელით ძირკვავს მავთულის ღობეების ბოძებს, რომ ტყვეებს მათზე გადასვლა გაუადვილდეთ, ტყეში განსაკუთრებით ძნელად სავალ ადგილებში ორსული ქალი ხელით გადაჰყავს...

ქალებმა არაფერი იციან თავიანთი მხსნელის მოტივაციის შესახებ. ჰგონიათ, რომ ყაბარდოელი მებრძოლი მათ ანგარების გამო შველის. ტყვეებს ტანსაცმელში ოჯახებიდან წამოღებული ოქროულობა აქვთ გადანახული და სთავაზობენ ყაბარდოელს დახმარების სანაცვლოდ. ამ უკანასკნელს შემოთავაზება სწყინს და თავს შორს იჭერს. მოგვიანებით ქალები თავიანთ გამყოლს უშინაურდებიან და იგებენ, რომ ის 26 თავის თვისტომთან ერთად ჩამოსულა დაქირავებულ მეომრად აფხაზების მხარეს საომრად, მაგრამ აფხაზების მხრიდან ისეთი სისასტიკე

უნახავს, რამაც შეზარა, ხოლო მის თანამებრძოლთა ნაწილი კი თვითონ აფხაზებს დაუხოციათ, რათა მათთვის ფული არ გადაეხადათ. ნანახის სისასტიკით შეძრული ყაბარდოელი სამშობლოში აპირებს დაბრუნებას, მაგრამ წასვლამდე კეთილი საქმის გაკეთება უნდა – «Хочу доброе дело сделать перед уходом» – ეს მისი სიტყვებია.

ყაბარდოელი ქალებს ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში ნაცნობ ოჯახში აბინავებს. ოთხივეს ერთ ოთახში ათავსებს, თავისთვის კი მასპინძლებს ოთახის კართან იატაკზე აშლევინებს ლოგინს, სადაც ავტომატით ხელში სძინავს და, მართალია, მეორე დილით ქალების დატოვება უხდება, შემდგომი დღეების მანძილზე სისტემატურად აკითხავს, რომ მათ უსაფრთხოებაში დარწმუნდეს. ორი კვირის თავზე კი, ქართველი ნათესავების და აფხაზი ნაცნობების ჩარევით, ქალებს ათავისუფლებენ.

დავუბრუნდეთ სოფლის სკოლას, რომელში გამომწყვდეული ტყვეების რიცხვი ნელ-ნელა კლებულობს. საბოლოოდ სკოლაში 500-დან მხოლოდ 80 ადამიანი რჩება. მათ პატრონი და მფარველი არ გამოსჩენიათ. მათი არც გაცვლა ხერხდება და არც გამოსყიდვა. მათი წამება გრძელდება. განსაკუთრებით ერჩიან იმათ, ვისგანაც ეროვნული სულისკვეთება ახსოვთ. საბოლოოდ ტყვეები მაღალმთიან აფხაზურ სოფელში გადაჰყავთ, სადაც ისინი სულის მოთქმას ახერხებენ, რადგან აქ დარაჯებად მხოლოდ ქალები და მოხუცები ჰყავთ.

ბოლოს, ოთხმოცივე ტყვეს ერთ იკარუსში ტენიან და ქართული პოზიციებისკენ, ენგურისკენ, მიჰყავთ. თავად ტყვეებმა არ იციან, თუ საით მიდის ავტობუსი. ერთ იკარუსში ოთხმოცი ადამიანის ყოფნა გაუსაძლისია. ყველას ჰგონია, რომ დასახოცად, დასახვრეტად მიდიან. ბოლოს ავტობუსი ენგურთან ჩერდება, სადაც, ხიდის მეორე მხარეს, გათავისუფლებულ ტყვეებს თავისიანები ელიან. ვიღაცისთვის ეს საბოლოო გათავისუფლებაა – ავტობუსის კარს გარედან აღებენ და იქიდან პირველი უჰაერობით გაგუდული მოხუცი ქალი ვარდება...

ძალზედ დრამატულია სოფლის გადარჩენილ მამაკაცთა ბედი, ბევრი მათგანი სოფლის დაცემის დროს იარაღით ხელში პოზიციებზე იმყოფებოდა. ბატონი დ. ერთ-ერთი მათგანია:

მას ომში მონაწილეობა არ მიუღია, ყოველთვის ზარავდა მიცვალებული და სისხლი. იარაღი მხოლოდ სოფლის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე აიღო, როდესაც სოფელი ალყაში მოექცა. მოწინააღმდეგე სამდღიანი ბრძოლის შემდეგ სოფელს იკავებს და ბატონი დ. ღამით მალვით მიიკვლევს გზას სახლისკენ, სადაც მეუღლე, ორი ქალიშვილი და ვაჟი ეგულება. სახლისკენ მიმავალი იგი მრავალ გვამს ხედავს, „რომელთა ცქერას თითქოს თვალიც შეეჩვია...“

სახლი ცარიელია. თენდება. სოფელი მოწინააღმდეგეებითაა სავსე. ბატონი დ. სხვენში იმალება და იქიდან ხედავს, თუ როგორ სათითაოდ უკიდებენ ცეცხლს მისი მეზობლების სახლებს. დგება მისი სახლის ჯერიც. ბატონ დ-ს სხვენიდან კარგად ესმის, თუ როგორ ბჭობენ მის სახლში შემოსულები: ზოგს „ამხელა სიმდიდრე“ ცეცხლში დასაწვავად ენანება და ნივთების ნაწილის გარეთ გატანას ითხოვს. საბოლოოდ წყდება, რომ „ბრძანება – ბრძანებაა!“ და წყდება სახლის ბედიც. მოწინააღმდეგე (სულ 15-მდე კაცი) დროებით ტოვებს სახლს, მაგრამ შორს არ მიდის. ბატონი დ. მათ საკუთარი ეზოს ჭიშკართან ხედავს. სწორედ ამ დროს ტყდება ძლიერი სროლა, რასაც ბატონი დ. თავისიანების

იერიშად და ბრძოლის განახლების ნიშნად იღებს, დაიმედებული სხვენს ტოვებს და ოთახში ჩამოდის. იმედი აქვს, რომ შეუმჩნევლად მოახერხებს გარეთ გაღწევას. მაგრამ სროლა მალევე წყდება, სახლს კი მოწინააღმდეგის ორი მებრძოლი უახლოვდება. ბატონი დ. იმასღა ასწრებს, რომ კარს უკან იმალება. შემოსულები ცეცხლის მოსანთებად ოთახის შუაგულში ავეჯის დალაგებას იწყებენ. გარეთ ისევ სროლაა და ბატონი დ-ც ისვრის კარს ამოფარებული. ისვრის და ორივე მოწინააღმდეგე ეცემა. ბატონ დ-ს შემდეგი აზრია, გარეთ მყოფთა ეჭვების გასაფანტად საკუთარ სახლს თვითონვე მოუკიდოს ცეცხლი და შეუმჩნევლად შეეცადოს გარეთ გაპარვას. ცეცხლის მოსანთებად რომ იხრება, ესმის კვნესა. ორიდან ერთ-ერთი ცოცხალია და ბატონ დ-ს თხოვს მოკლას, ოღონდ ცოცხლად არ ამობუგოს სახლში. ბატონი დ. არაფერს ამბობს იმის შესახებ, ესროლა დაჭრილს, თუ ის ცოცხლად დაიწვა.

ბატონი დ. ახერხებს სახლის შეუმჩნევლად დატოვებას, მაგრამ მტრით სავსე სოფელში იგი შორს ვერ წავა. მისი მანდარინის ბაღი კი დასამალად საუკეთესო ადგილი არაა – ხეებს მეჩხერი, ფარღალალა ტოტები აქვთ და მხოლოდ ერთზეა ასული ხვიარა კვახი, რომელიც ბატონმა დ-მ თავის დროზე სილამაზის გამო არ ჩამოაცილა ხეს. სწორედ ამ ხეზე, კვახის ფოთლებში იმალება. მოწინააღმდეგეს კი უკვე ეჭვი იპყრობს – სახლი იწვის, ცეცხლის მოსაკიდებლად გაგზავნილი ორი კაცი კი არ ჩანს. მოწინააღმდეგე მანდარინის ბაღის ჩხრეკას იწყებს, მაგრამ ხელახლა ამტყდარი ძლიერი სროლა ამის გულდასმით გაკეთების საშუალებას არ აძლევს.

ღამემდე იმალება ბატონი დ. ხეზე. მხოლოდ ბნელში ბედავს ჩამოსვლას და შემოგარენის დათვალიერებას – ვინმე თავისიანის პოვნის იმედით. კიდევ ხუთი დღე იმალება სოფელში და კიდევ ხუთი ღამე ეძებს ოჯახის წევრებს. ამ ღამეების მანძილზე ვერავის ნახულობს ცოცხალს, სამგიეროდ ბევრს პოულობს დაღუპულს – საკუთარ მეზობელს და თანასოფლელს. მათი ასე უპატრონოდ, დაუმარხავად, ღია ცის ქვეშ დატოვება უწევს და ეს უფრო უმძიმებს გულს.

მეხუთე ღამეს ბატონი დ. ტოვებს სოფელს და ზღვისკენ მიიკვლევს გზას, სადაც ბედად ქართველ მებრძოლებს გადაეყრება, მათთან ერთად იხევს კოდორისკენ, მდინარეს გადადის და იქ ხვდება გადარჩენილ თანასოფლელებს და, რაც მთავარია, საკუთარ ვაჟს. შვილის დანახვაზე ბატონი დ. ეშვება და მუხლი ეკვეთება, ისევ ვაჟი ამხნევებს. მათ ხომ დები და დედა ჰყავთ ერთად მოსაძებნი.

თანასოფლელები თავისიანების გამოსახსნელად ისევ სოფელში დაბრუნებას ცდილობენ, უკან გადმოდიან ფონს, მაგრამ უშედეგოდ. ისინი მოწინააღმდეგის სასტიკ ცეცხლში ხვდებიან, რამდენიმე მათგანი ბრძოლაში იღუპება, ბატონ დ-ს სამი ახალგაზრდა თანასოფლელი კი უკან დახევისას კოდორში იხრჩობა.

საბოლოოდ ბატონი დ, მისი ვაჟი და რამდენიმე მათი თანასოფლელი, ლტოლვილთა ძირითადი მასისგან განსხვავებით, რომლებიც კოდორის ხეობით სვანეთისკენ იხევდნენ, ზუგდიდისკენ გზას ზღვით მიიკვლევენ. მოძრაობენ მხოლოდ ღამით და სამიოდ დღეში ზუგდიდში ჩადიან. სწორედ აქ, რამდენიმე დღის შემდეგ ხვდება ბატონი დ. ტყვეობაგამოვლილ ცოლს და ქალიშვილებს.

თავის ოჯახის ქალებს პოულობენ სხვა მამაკაცებიც, რომლებიც ბატონ დ-ს მსგავსად, ყველაფერს აკეთებდნენ მათ გამოსახსნელად: კვეთდნენ ფრონტის ხაზს,

იყვანდნენ მძევლებს, ცდილობდნენ მათ გაცვლას თავისი ოჯახის წევრებზე. ეს შეხვედრა არ არის იოლი, ბევრ მათგანს არასოდეს უსაუბრია მეუღლეებთან თუ შვილებთან იმაზე, თუ რა მოხდა მტრის მიერ დაკავებულ სოფელში. ამ უთ-ქმელობით და გაურკვევლობით მრავალი ოჯახი დაინგრა და მრავალიც არ შედგა.

ენგურის ხიდთან შეყრილ ხალხს წინ აქვს ახალ ადგილებზე, მამა-პაპის სახლებისგან შორს, უცხო მიწაზე გაჭირვებაში ცხოვრება და ლტოლვილის სტატუსი. ახალი ოჯახები, ბავშვები, რომლებიც უკვე მერე დაიბადებიან და ისე გაიზრდებიან, რომ საკუთარი სამშობლო მხოლოდ მშობელთა მონაყოლით ეცოდინებათ... გადატანილის მერე ამ ახალი და უფრო ძნელი ცხოვრებისთვის ძალაა საჭირო. ძალა და, ალბათ, სიყვარულიც. ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალი, ენგურის ხიდის მეორე ბოლოში მის მომლოდინე ქმარს ხედავს, სახეზე ხელებს იფარებს, გვერდით ჩაუვლის და მოთქმით ეუბნება: „მე შენი აღარ ვარ!“ ქმარი ეწევა, თავისკენ შემოაბრუნებს, გულში იკრავს და ეუბნება: „შენ წმინდანი ხარ...“

მერი ცხოვრებოვა

დაბადების წელი: 1934

ამონარიდი 2003 წელს ცხინვალში ჩაწერილი ინტერვიუდან, რომელშიც ჩართულია მერი ცხოვრებოვას დღიურის ნაწილი და ქართველ მწერალთა და მეცნიერთა წერილები მისდამი. მერი ცხოვრებოვასთან იმუშავა **ნინო პოპიაშვილმა**

1991 წლის 10 ნოემბერი

ყოველ დღე ისეთი შემზარავი ამბები ხდება, ძარღვებში სისხლი გაგეყინება!

როგორ გადაირია ხალხი! ასე მოკლე დროში ასეთი მეტამორფოზა ადამიანის ფსიქიკაში – რაღაც საოცრებაა.

მხოლოდ-ღა გასვენებებზე დავდივარ და ამდენი მკვდრების გამოტირებითა და დარდით სულ გაბრუებული მაქვს თავი. განუწყვეტლივ მწიწკნის გული. თუ ტკივილი შეჩერდა, მეშინია: რაშია საქმე, რა მოხდა?

და ისევ ამეწვება მარცხენა ბეჭქვეშ.

ეგრე! ეგრე ჯობია. თუ ტკივილს გრძნობ, მაშასადამე ცოცხლობ და ტკივილებსაც უნდა გაუძლო!

ომია.

პრესა, რადიო, ტელევიზია კი კონფლიქტად იხსენიებს.

კონფლიქტი – სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება. საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავება, რასაც ზოგჯერ მოსდევს შეიარაღებული შეტაკება, – ასეა განმარტებული უცხო სიტყვათა ლექსიკონში.

ურთიერთობათა გამწვავებამ კი შეტაკება კი არა, ომი გამოიწვია, ომი ყველა თავისი ატრიბუტებით: ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა, ხანძარი... ყველაზე უსინდისო, გიჟური ომი მოჰყვა ამ უთანხმოებას.

უცხო ქვეყნებთან ომი, უცხო ხალხთან ომი შეიძლება ასე უსინდისოდ არ ჩაითვალოს (ომი ყოველთვის და ყველგან საშიშინელებაა და საზიზღრობა). მაგრამ ეს ომი ყველაზე საშინელი, გაუმართლებელი ომია. საუკუნეთა მანძილზე გვერდი-გვერდ მცხოვრები ხალხი, უკვე სისხლით ნათესავებად ჩამოყალიბებული ხალხი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ წაეკიდება – რა შეიძლება დაერქვას ამას?

ჯერ კიდევ გუშინ ერთ სუფრაზე ვისხედით, ერთი ყანწით ვსვამდით ერთმანეთის სადღეგრძელოს, ერთი გვქონდა ჭირიც და ლხინიც.

დღეს კი...

დღეს ალექსი ბუქულოვის ერთადერთი ვაჟი მოკლეს, არაადამიანური წამებით მოკლეს არაფორმალებმა.

მოაჭრეს ენა, ცხვირი, ყურები, ამოსწვეს თვალები და ჩააგდეს ცხელ თონეში...

და მკვდარსაც არ იძლევიან.

ეშინიათ?

ვისი?

ღმერთის? ღმერთი რომ სწამდეთ, ღვთის ნებით გაჩენილები რომ იყვნენ, გზად მიმავალ უდანაშაულო ვაჟკაცს ასე უდიერად, ასე წამებით მოკლავდნენ?

უნდა დაიჯერო ბრძენ წინაპართა ნათქვამი: „რასაც სახელი აქვს, ყველაფერი არსებობსო“. მაშასადამე, სატანაც არსებობს და სატანისაგან დაწყევლილს ადამიანისა აღარაფერი სცხია. ნადირიც კი არ ერჩის ადამიანს, თუ არას დაუშავებ – გვერდს აგივლის და გაგეცლება...

კვირაზე მეტი გავიდა, მაინც არ იძლევიან ბიჭის ცხედარს, არაფერი არ ჭრის – არც ხვეწნა, არც გამოსასყიდი ფული. დღეები კი გადის დარდში, ფიქრში, უძილო დღეები და ღამეები.

ალექსი – ჩემი ძმა და მეგობარი, – ცნობილი ოსი მწერალი და ჟურნალისტი... უსაზღვრო სიმწრის და ტანჯვის მნახველი კაცი. იყო სამამულო ომში, რეპრესიების მსხვერპლიც გახდა, ციხეებშიც ამყოფეს... ახლა, სიბერეში, შვილის სიმწარეც ხვდა წილად.

როგორ შევუმსუბუქო ეს მწველი დარდი? სად მოვძებნო ისეთი სიტყვები, გულზე რომ მოეფონოს?

ვერაფერი მომიფიქრებია. მე თვითონ გახეთქვაზე მაქვს გული. სად არ წამიღებს ოხერი ფიქრი. გამახსენდა, ალექსიმ რომ გვიამბო თავისი მწარე ცხოვრების ერთი ეპიზოდი: „ადინოჩკაში“ იმდენ ხანს მამყოფეს, დღეების სათვალავი ამერია. კამერის ერთ კუთხეში ობობას ქსელი გაება. მე მას – ობობას ხმამაღლა ვესაუბრებოდი, ჩემივე ხმა რომ გამეგონა. ხვრელში რომ შეძვრებოდა, ვეხვეწებოდი: „გამოდი, რა, გამოდი. შენც ხომ სულიერი ხარ. ეს იმათ ჰგონიათ, რომ მარტო ვარ“. სულ იმისი შიში მქონდა, არავინ შემოვიდეს, ცოცხი არ ჩამოუსვას და ნაგავს არ გააყოლოს-მეთქი“.

რად გამახსენდა აგერ ოცდაათი წლის წინათ მონაყოლი ამბავი? თუმცა მე ალბათ ღვთისაგან სასჯელად მაქვს – მახსოვდეს ყველაფერი, დეტალურად მახსოვდეს და ვიტანჯებოდე (1961 წლის აპრილში უფროსი გოგონა ავარიაში დამეღუპა. დღემდე ყველა წვრილმანი მახსოვს – როგორ არავის დავანებე და მე თვითონ გავაბანე მისი სისხლიანი სხეული, მე თვითონ ჩავაცვი და... დღემდე ყურში მიდგას ჩემი დის შეკივლება: „მიშველეთ“!... დენმა რომ გაათავა 1970 წელს) და ათასი ასეთი გულსაკლავი სურათი აწყვია დასტებად გონებაში.

ახლა ალექსის ტრაგიკული ცხოვრების სურათებიც მიემატა ჩემი ხსოვნის ალბომს.

1991 წლის 20 ნოემბერი

ორი კვირა გავიდა, ორ წელიწადზე უფრო გრძელი ორი კვირა. ცხედარს არ იძლევიან, არანაირ ფასად არ იძლევიან. მერე უკიდურეს ზომას მიმართეს მაირბეგის (მოკლულის) თანაკლასელებმა: დაატყვევეს იმათიანი, ქართველი ბიჭი და... ახლა კი გაუცვალეს ცოცხალი მკვდარში.

ჩამოიტანეს, თვითონ ჩამოიტანეს ალყაშემორტყმული ქალაქის კარიბჭესთან.

წავედი. უფრო დიდი წამება მშობლისათვის რაღა შეიძლება იყოს, არ ვიცი. ნახევრად დამწვარი ძვლები-ღა მოუტანეს... ხოროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიაგამოვლილი ქვეყნის – იაპონიის მკვიდრმაც, ჟურნალისტმა ვერ აიტანა ამ შემზარავი სურათის ხილვა და გული შეუღონდა.

ალექსი კი...

„ვერ აიტანს, ვერ გადაიტანს, ვერა“, – ტვინს მიხვრეტდა ეს ტკივილიანი აზრი.

მაგრამ მადლობა შენთვის, უფალო! უდიდესი სულიერი ძლიერება გამოამჟღავნა ამ ჩია ტანის გულკეთილმა, უთქმელმა კაცმა. აქეთ გვამშვიდებდა ისტერიკადამარ-თულებს: „დაწყნარდით, თავებს ნუღარ იხოცავთ, ჩემი შვილი იყოს უკანასკნელი მსხვერპლი. ოღონდ დამთავრდეს ეს ძმათამკვლელი ომი, ოღონდ ჩვენი შვილები აღარ იხოცებოდნენ“... „ეხ, ჩემო ალე, დამთავრდება ომიც, დამშვიდდება ქვეყანაც, როცა იქნება; შენი გული კი ვეღარასოდეს დამშვიდდება. დაოჯახება მაინც მოესწრო შენს 27 წლის ვაჟკაცს, ერთი ყლორტი მაინც დაგრჩენოდა კერაზე“... – ვფიქრობდი გულში.

გულმავიწყი არა ვარ, აკი ვამბობ, საუბედუროდ მაქვს ასე გამახვილებული მეხსიერება-მეთქი. მაგრამ, რა ვიცით, წლებს მაინც მიაქვს თავისი ჯანიც, თვალის სინათლეც, სმენაც, მეხსიერებაც... მე კი სულ მგონია, ყვავივით სამას წელიწადს რომ ვიცოცხლო, მაინც არ დამავიწყდება ის სურათი. პირღია სამარესთან მდგარი ალექსი როგორ დაემშვიდობა შვილს: „ნახვამდის, ჩემო მწვადივით შემწვარო ბიჭო“, – ჩაიჩურჩულა და აქვითინდა, მამაკაცური მორიდებით აქვითინდა.

მანამდე, დასაფლავების დღემდე, ცრემლი არავისთვის უჩვენებია. აქ კი, საფლავთან მაინც...

რამდენჯერაც გამახსენდება, იმდენჯერ მთელ სხეულში ტკივილი მწარედ დამივლის ხოლმე.

იმ დღეებში დაიღალა, დაიქანცა მოლოდინით, დარდით, ნერვები დააწყდა და ალბათ სიცოცხლეც აღარ უნდოდა. ეგონა, ვეღარ გადაიტანდა და მალე მიეწეოდა შვილს, ამიტომაც ჩასძახა: „ნახვამდეო“...

მაგრამ იმ უსაზღვრო სიმწარესაც გაუძლო, თვითონაც რომ არ ეგონა, ისე კაცურად გაუძლო.

მე ვამაყობ ჩემი ძმით, ჩემი კეთილი მეგობრით – ძნელბედობის ჟამს მართებს ადამიანს ვაჟკაცობა და ალექსიმ აქაც აჯობა თავის თავს.

სიცოცხლეცა და სიკვდილიც ღვთისაგან ყოფილა ბოძებული...

1992 წლის 20 მაისი

იმდენი შემზარავი ამბავი გადავიტანეთ ამ ორი წლის მანძილზე, თითქოს აღარაფერმა აღარ უნდა გაგვაოცოს, მაგრამ დღეს მოხდა, სახელს რომ ვერ დაარქმევ, ისეთი...

ცხინვალი უკვე კაი ხანია ალყაშია. გადამწვარი სოფლებიდან სულ ქალაქს მოაწყდა ცოცხლად დარჩენილი ხალხი. ერთადერთი სასიცოცხლო არტერია როკის გვირაბია. გვირაბამდე მისასვლელი გზის მთავარი მონაკვეთი – თამარაშენი-კეხვის გზატკეცილი, მოწინააღმდეგის ხელშია, ვერ გააღწევ.

ბიჭებმა ძარის ტყეზე გააკეთეს გზა ითრაფისამდე და ამ ოღრო-ჩოღრო გზით გაჰყავთ ქალები, ბავშვები, მოხუცები ვლადიკავკაზისაკენ. სურსათიც ამ გზით შემოაქვთ აქ დარჩენილებისათვის.

ამ დილითაც გავიდა რამდენიმე მანქანა ქალებით და ბავშვებით სავსე. მოწინააღმდეგის შეიარაღებული ჯგუფი ტყეში ჩაუსაფრდა და მიმავალი ლტოლვილები ავტომატებით დაცხრილა.

36 მოკლული და 60 დაჭრილი ჩამოიტანეს საავადმყოფოში. მე არ ვიცი, რა უნდა დაარქვა ასეთ ქმედებას, როცა ესვრი უდანაშაულო ქალს, ბავშვს, მოხუცს, რომელიც კი არ გეომება, ომს, ტყვიას გაურბის.

დაჭრილ-დახოცილთა შორის ჩვენი ოჯახის ნათესავებიც ერია. ერთი მათგანი კი ჩვენი ოჯახის კარის მეზობლის, – გაბილ გაგლოევის ერთადერთი ქალიშვილი ირინა, რომელიც წინა დღით თავისი 4 წლის ბიჭუნას წასაყვანად ჩამოვიდა. გავიდნენ დილით დედა-შვილი და 2 საათის შემდეგ ირინა საკაცით ჩამოიტანეს მკვდარი, ბიჭუნა ორივე ფეხში დაჭრილი, საავადმყოფოში მოათავსეს.

ირა სროლის დროს ბავშვს ზედ გადაეფარა და ყველა ტყვია თვითონ მოხვდა.

ღმერთო ჩემო, როცა მიცვალებული გავბანეთ, ბეჭზე ხელის გულის ოდენა ხორცი ჰქონდა აგლეჯილი, ყურის ძირში კი, თხილი რომ გაეტეოდა, ისეთი ხვრელი ჰქონდა ტყვიისაგან დატოვებული.

ბიჭი გადარჩა.

ირინა 28 წლის იყო მხოლოდ. იქ, ვლადიკავკაზში, 6 წლის გოგონა ელოდა.

1992 წელი, 23 მაისი

დღეს თეატრალურ მოედანზე მოასვენეს ბარის გზაზე დახოცილთა ცხედრები. არა, ეს ამდენი კუბო, ეს ამდენი მოღრიალე ხალხი...

მიტინგი, სამგლოვიარო მიტინგი...

არ ღირს რამის თქმა, არ შემიძლია...

1992 წლის 12 ივნისი

უკვე თვეზე მეტია, სარდაფში ვათენებთ. ჩვენთან არიან ჩემი კარის მეზობლები – ოსები: კოჩიევა ლუბა, ხარებოვა ზამირა თავისი ქალიშვილით, სომეხი მელქოევა მანია, ქართველი რომელაშვილი ანო. ყურის ძირში ცხოვრობენ, მაინც ჩემთან ურჩევიათ – თქვენთან რაღაც იმედიანად ვგრძნობთ თავსო. იყვნენ, ასე ჯობია, ერთმანეთს გავაძლებინებთ. შემოიტანენ, ვისაც რა აქვს საჭმელი. მოეწყობიან ზოგი სკამზე, ზოგი ტახტზე და სულ ერთი და იგივეზე ჩივიან: „როგორ შეიძლება ოს-ქართველობაში ჩხუბი, ადამიანო, სულ ნათესავები ვართ, ნათელ-მირონები, იჰ, რამ შეშალა ეს ხალხი?“...

უკვირთ ამ ერთად სიბერეგატარებულ ქალებს ეს უკადრისი ამბავი და ამიტომაც ისევ ერთად არიან, ძველებურად აგრძელებენ კეთილ მეზობლობას, ერთად უძლებენ ომის ყველა სიძნელეს.

წუხელისაც ეგრე მსხდომარეებმა გავათენეთ. მთელი ღამე ქუხდა და ზან-ზარებდა იქაურობა, ძალიან რომ მოგენდომებინა, მაინც ვერ მოხუჭავდი თვალს.

– ამაღამაც თუ გადავრჩით, ხვალ სანთლები ჩამოვქნათ და დავანთებ, – მიმქრალი ხმით თქვა ლუბამ. ეს ქალი ტანად ყველაზე მაღალია, ჯანიანი, მაგრამ საოცრად მშიშარა. ვერადა ვერ შეეჩვია ამდენი ხნის მანძილზე სროლების, აფეთქებების ხმას. სულ ერთთავად კანკალებს ფერდაკარგული.

ჩემი დედამთილი კი, – ელიკო ბაბო, დაჯერებულია, რომ არაფერიც არ დაგვემართება, ყველანი უვნებლად გადავრჩებით და ჩვენს სახლს არც „რაკეტა“ მოხვდება, არც – არაფერი; თუმცა მეორე სართულზე არც ერთ ოთახს მინები

აღარ შემჩა, სახურავიც დაცხრილულია და წვიმის დროს ჭერიდან წურწურით ჩამოდის წყალი.

გადავრჩით იმ ღამესაც. არ მოხვედრია ჩვენს სახლს ყუმბარა, ავტომატის ტყვიებს მაინცადამაინც არად ვაგდებდი – მთავარია, ადამიანს არ მოხვდეს, ფანჯრები – ჯანდაბას.

გათენდა, როგორც იყო, გათენდა. ისეთი მზიანი, კაშკაშა დილაა, გვინდა გარეთ გავიდეთ, მაგრამ სროლები არ წყდება, არ იცი, სად მოგისწრებს ბრმა ტყვია, ამიტომ, ჯერ უნდა იჯდე. ვსხედვართ და ფანჯარას მივჩერებივართ. აქედან მოჩანს ბაღჩის ის ნახევარი, სადაც ვარდებია ჩარგული. ოჰ, რა საამოდ გაშლილან თეთრი, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, შავი ვარდები. ბრიალებენ მზეზე და გიხმობენ. ვუყურებთ და წამით ყველაფერი თითქოს გადაგვავიწყდა.

– თუ გადავრჩით, შენს თეთრ ვარდს ვახარებ, პუდრის სუნი რომ უდის, აი, იმ ვარდს, – ანო მეჩურჩულება.

„თუ გადავრჩით“, „თუ გადავრჩით“ – ყველას ესღა აქვს საფიქრალი! (ანო ომის დამთავრებას მართლაც ვერ მოესწრო, ნათელში იყოს ის კეთილი, ტკბილმოუბარი ქალი).

ათი საათი ხდებოდა, ჩვენი ეზოს რკინის კარზე ბრახუნი ატყდა. ქალებს ფერი ეცვალათ, ნანამ დაგვამშვიდა:

– ნუ გაშინიათ, ჩვენიანი იქნებაო.

მალე ხმამაღალი ძახილიც მოგვესმა:

– ნანაა, გააღეთ კარი, მიშიკო ვარ!

ნანა (ჩემი ქალიშვილი) გავიდა და მეზობლის ცამეტიოდე წლის ბიჭს, მიშიკოს შემოუძღვა. ბიჭს ბოევიკის ფორმა ეცვა; დიდი ზომის ფორმა ნათხოვარი-ვით ადგა ტანზე, მაგრამ გახუმრებას ვინ გაუბედავდა – თავი მოჰქონდა ყმაწვილს, მეომარი ვარო და გულს ვინ ატკენდა. სალამიც არ უთქვამს, ისე მივიდა ტელეფონთან და ნომრები აკრიფა. სახეზე და ხალათზე სისხლი შეხმობოდა.

– მიშიკ, დაჭრილი ხარ? – ნანამ ჰკითხა.

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ქალები უხმოდ შესცქეროდნენ.

– რა ამბავია, აღარ იტყვი?! – ისევ ნანამ შეუტია.

რომ არავინ უპასუხა, მიშიკმა ტელეფონის ყურმილი დადო, ორივე ხელი სახეზე აიფარა და ატირდა, ნაცემივით ატირდა.

ელიკო ბაბო მივიდა, მკერდზე მიიხუტა ბიჭის თავი:

– თქვენ შემოგევლეთ, შვილებო, ალბათ, კიდევ რომელიმე აღარ არის, არა?...

– რომელიმე, – ამოისლუკუნა ბიჭმა, – შვიდი ბიჭი მოკლეს, შვიდი, წუხელის, – დაუსხლტა ხელიდან მოხუცს და დიდი ბათინკების ტყაპა-ტყუპით გარეთ გავარდა.

ერთმანეთს შევხედეთ, სატირლად მოქცეული სახეებით შევხედეთ ერთმანეთს და ჩამოვსხედით. უხმოდ გამოვიტირეთ ყველანი, თუმცა ჯერ არ ვიცოდით, ვინ იყვნენ. მერე ნანამ შტაბში დარეკა და გაიგო: იმ შვიდი ბიჭიდან ორი ჩვენი მეზობელი აღმოჩნდა: რადიკ თაბუევი და ალან ოსტაევი; ჯერ ოცი არცერთს არ შეეთავებინა. ის ხუთი გაღმელი ბიჭიც ეგრე პირტიტველა ყმაწვილები ყოფილან.

1992 წლის 26 ივნისი

ვაი, რა დღე გავატარე გუშინ! ეს იყო რაღაც საშინელება! ტყვიების სეტყვა, ყუმბარების სკდომის ხმა გვაყრუებდა. ჩვენს ირგვლივ ცვიოდა და ფეთქდებოდა ბომბები. დაეცა სასამართლოს შენობას, „კაიტროს“ სახლს, ჩავარდა ლიახვში, ქუჩაზე აფეთქდა... ღმერთო, ნამდვილად შენი კალთა გვიფარავს ამდენი ხანი. ღმერთო, იდიდოს შენმა სახელმა! მხოლოდ შუშები ჩაიმსხვრა, სახლიც გადარჩა და ჩვენც გადავრჩით. ოცდაოთხში ძლივს გავაღწიე სახლიდან – ექვსი რიცხვის შემდეგ სახლიდან არ გავსულვართ.

ოცდაოთხში ლეონიდ ხარებათიმ დამირეკა, – გამოდი, ნაკვეთში მივდივართ, სულ გადაბალახდა შენი ნათესიო. გავრისკე და სულ სირბილით გადავიარე ხიდი. იქით მხარეს არა უშავთ, ჩვენ ვყოფილვართ ცეცხლში. ფეხით ავედით. დავრგე პომიდორი, წიწაკა, გავთოხნე ლობიო, მაგრამ ისე დავიქანცე, მკლავებს ვეღარ ვანძრევდი. იქიდანაც ფეხით ჩამოვედით. ეგეც შენი 16 კილომეტრი. დაბნელებამდე ვეღარ მოვაღწიე შინამდე და ნანა დარდისაგან გაფითრებული და დამუნჯებული დამხვდა. ისე ვინანე, რად წავშავდი, განა ღირდა იმად, რომ ბავშვი ასე ვანერვიულე, რა დროს სიმინდ-ლობიოა, ცა თავზე გვექცევა, არ ვიცით, ხვალ გაგვითენდება თუ არა... მაინც გაუტეხავია ხალხი. ირგვლივ სროლებია და მინდორში მაინც ვთოხნით.

საღამოთი ნანას მეგობარმა დაგვირეკა და გვიამბო ტელევიზიით გადმოცემული ახალი ამბები: დაგომისში შეხვდნენ შევარდნაძე, ელცინი, გალაზოვი, კულუმბეგოვი. ოცდარვაში ნეიტრალური ჯარი ჩადგებაო საზღვარზე და სისხლისღვრა შეწყდებაო. ოცდარვამდე გადავრჩებით? დღე და ღამე სროლაა, რომელ წამს რა მოგველის, არ ვიცით. გუშინ, იმ სროლების დროს, 6 კაცი მოკვდა, ბევრი დაიჭრა. მოკლეს ყველაზე უწყინარი, ყველაზე საბრალო ბიჭი – ალან ჯიოევი, ორივე ფეხით ინვალიდი, მაგრამ ჭკუით, გონებით, ადამიანობით სავსე ჭაბუკი. მამით ობოლი, ბებია-ბაბუის გაზრდილი სათაყვანებელი ბიჭი. ძალიან, ძალიან მეტკინა გული. სამძიმარზეც ვერ მიხვალ ამ სროლაში. ესაა ცხოვრება?

ლიახვის გაღმა სულ დაიცალა ხალხისგან ქუჩები. მამისაანთუბნიდან ჩვენამდე ოცი კაცი აღარ დაითვლება. ვართ მხოლოდ ჩვენ: მე, ნანა, ზამირა, მარინა, ცაცო, გაბიდა, ზემო უბანში – მოხუცი ქალი მარია და და იულია. ვანათის ქუჩაზე ქართველები: ცოტნიაანთ ნუნუ ქალიშვილით, ნოდარი ცოლით და გოგინოვები. ეგ არის და კასრაანთ და ლეკის უბანი! ყველა წავიდა ხიდსგაღმა. ერთს ვეკითხები: სად მიგაქვს ლოგინი, მეც მასწავლე-მეთქი. ხიდს გაღმაო. ხიდს გაღმა რა ყარსის სიმაგრეა, თუ შემოვლენ, იქით ვეღარ გამოვლენ-მეთქი? აქ დაგვხოცავენო. იქ თავზე ხელს გადაგისვამენ-მეთქი? ნუ გარბიხართ, არავინ დაგვხოცავს, გერმანელები ხომ არ არიან-თქო. თუ არ გეშინია, იყავიო. არ ვიცი რატომ, მაგრამ ნამდვილად არ მეშინია მოკვლისა. ოღონდ რაკეტა არ მოხვდეს სახლს და თუ შემოვლენ, რად უნდა მომკლან, რა დავაშავე?

ჰო, მარია, მოხუცი მარია მეუბნებოდა ამ წინებზე, გაიქცნენ ჩემი რძალი და შვილიშვილი, მე არ წავედი, ამ ორ გოჭს და ძაღლს თან ხომ ვერ წავიყვან, უპატრონოდ როგორ დავტოვოო, შენ რომ გუშინ პური მომეცი, ნახევარი გოჭებს მივეცი, ნახევარი მე შევჭამეო... არაფერი ვუთხარი და ღამე სულ მესიზმრებოდა მარია, გოჭები და მისი ძაღლი... ამ მოხუცს გოჭების და ძაღლის დატოვებაც

კი უჭირს, მე ამხელა სახლი, ამდენი წიგნები, ავეჯი, ლოგინი და ათასი საოჯახო ნივთი მივატოვო და ცარიელ-ტარიელი ვის მივადგე კარზე ქალიშვილითა და მოხუცებული ქალით? საით წავიდე?...

(...)

– ქალბატონო მერი, გვიამბეთ თქვენს ბავშვობაზე

– დავიბადე ქარელის რაიონ სოფელ ბრეძაში, 1934 წელს. დედაჩემი იყო ეკატერინე გრიგოლის ასული ბეკოევა. მამა – ბატონკა ფარსადანის ძე ცხოვრებაშვილი. ოჯახში ექვსი დედმამიშვილი ვიყავით.

ჩემს დროს 8 წლიდან იღებდნენ სკოლაში. მე ჯერ 8 წელი არ შემსრულებოდა და ჩემი მეზობლის ბავშვები, ვისთან ერთადაც ვთამაშობდი, ყველანი წავიდნენ სკოლაში და მე დავრჩი მარტო. მარტო რომ დავრჩი, წავედი სკოლაში: ფეხშველა, უბრალო ტანსაცმლით. ზარი რომ დაირეკა, ბავშვებში გავერიე და ვითამაშე. შესვლის ზარი რომ დაირეკა, ბავშვებს მეც შევყევი და დავჯექი, შემოვიდა მასწავლებელიც. დამიძახა, მოდი, გოგონა, ჩემთანო. მივედი. სკოლაში სწავლა გინდაო? მე თავი დავუქნიე. ჯერ რომ პატარა ხარ, შვილიკოო? მე ტირილი დავიწყე. დამაწყნარა და მითხრა, დაჯექიო. იმ დღიდან დავიწყე სკოლაში სიარული. მახსოვს, მაშინ იაკობ გოგებაშვილის დედა ენით ვსწავლობდით, ფერადყდიანი წიგნი იყო, ლამაზი გოგო და ბიჭი ეხატა ზედ, ხის ქვეშ ისხდნენ. ბავშვებს უკვე ნახევარი ანბანი გავლილი ჰქონდათ, მე დავეწიე და პირველი კლასიდანვე ფრიადოსანი ვიყავი.

მე დედითაც და მამითაც ოსი ვარ. ჩვენთან, ოჯახში ცხოვრობდა ბებიაც, რომელიც სულ ოსურად ლაპარაკობდა იმ მიზნით, ბავშვებს ოსური არ დაავიწყდეთო. ქართველები ძალიან უყვარდა და პატივსაც სცემდა. ჩემი ორი მამიდა ქართველებზე იყვნენ გათხოვილი. ბებიას მიზანი იყო ის, რომ ოჯახში ოსური ენა არ დაკარგულიყო.

8 კლასი დავამთავრე ბრეძაში, საშუალო სკოლა – მეზობელ სოფელ ავლევში. სწავლა გავაგრძელე ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1956 წელს.

– თქვენ სწავლობდით ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენისა დალიტერატურის ფაკულტეტზე. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი და როგორი იყო დამოკიდებულება და განწყობა თქვენს მიმართ?

– მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს მოწაფეობაში, ჩემს სტუდენტობაში ქართულ-ოსური დამოკიდებულება იმდენად თბილი, იმდენად ახლონათესაური იყო, რომ ჩემთვის თავზარდამცემი და დაუჯერებელია, ახლა რასაც მოვესწარი. 1989-1991 წლის ამბები ჩემთვის ახლაც შემზარავია. საშუალო სკოლაში რომ ვსწავლობდი, 800 მოწაფეზე მეტი ვიყავით და მხოლოდ მე ვიყავი ოსი და ერთი რუსულის მასწავლებელი გაგლოევა. ისეთ პატივს გვცემდნენ ორივეს ქართველები, რომ იტყვიან, ხელის გულზე დავყავდი. „ოსო, ოსოს“ მეძახდნენ და მეძახდნენ სიყვარულით. ასეთი კარგი ურთიერთობები გვქონდა. ასე რომ, ოს-ქართველობაში ამ კონფლიქტამდე მე არასოდეს მიგრძვნია, რომ მე ოსი ვარ და ის ქართველი

და ჩვენს შორის რაიმე განსხვავებაა და რომელიმე ჩვენგანი პრივილეგირებული იყო რაიმით.

– თქვენი სტუდენტობის საუკეთესო მოგონება, ალბათ, ცხინვალში გალაკტიონის სტუმრობას უკავშირდება.

– ჩვენმა კურსმა ითავა გალაქტიონის მოპატიჟება ცხინვალში.

1956 წლის აპრილში პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა და ჩემმა მეუღლემ, გივი თედეევმა ჩამოიყვანეს გალაკტიონი ცხინვალში. არაჩვეულებრივი საღამო იყო. თბილისიდან გალაკტიონი და დიმიტრი ბენაშვილი ჩამოვიდნენ. ჩვენ ინსტიტუტის საქტო დარბაზში ველოდით. შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა. ამ დღისათვის სპეციალურად დაეწერა ლექსი.

(...)

პოეტის ნერვიულობა და ცოტა უხალისობა რომ გაექარწყლებინა, პროფესორმა შოთა გაფრინდაშვილმა „წყალტუბოდან ქუთაისში“ წამოიწყო. ისევ გამხიარულდა სუფრა. მოილხინა გალაკტიონმა. იგი დაინტერესდა ირგვლივ მჯდომი სტუ-დენტებით. გამოიკითხა გვარები: ირაკლი გურული, იულია ბესტაევა, მარო მამისაშვილი, გრიშა გობოზოვი, ანა სუდაძე... დიდად ესიამოვნა ერთად რომ სწავლობდნენ ქართველები და ოსები, სახე გაუბრწყინდა, ზე წამოდგა, ყანწის შევსება ითხოვა: „ასე იყო, ძმიკოებო, ძველადაც. სემინარიაში ერთად ვსწავლობდით ქართველები და ოსები. ჩემი ახლო მეგობარი იყო ოსი ვალოდია ფარნიევი. ნიჭიერი ბიჭი იყო, ყველას გვიყვარდა. ოსურ „ასსას“ რომ დასძახებდა, ცეკვით იატაკს აზანზარებდა. იმან გამიღრმავა ოსების სიყვარული.

მუდამ ასე ტკბილად იყავით, ჭაბუკებო და ქალიშვილებო. ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობას, ძმობას გაუმარჯოს!“ – თქვა პოეტმა და ლიცლიცა ყანწი სულმოუთქმელად გამოსცალა.

მერე მოლხენა გაგრძელდა. ცეკვა „ქართული,“ მერე „სიმდი“...

გალაკტიონი ჩვენთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა. პოეტი სათითაოდ გვეფერებოდა, გვეხვეოდა, მადლობას გვიხდიდა. აქ იყვნენ ჩვენი ქართველი ლექტორები, ოსები, ვმღეროდით ქართულად, ოსურად...

(...)

– ქართველები და ოსები თქვენთვის ერთნაირად ახლობელია?

– ჩემთვის ქართველი და ოსი განუყოფელი იყო. ჩემი მეუღლის ოჯახიც შერეული იყო. დედამთილი ქართველი იყო, მამამთილი – ოსი. ჩემი და ქართველის ცოლია, ზედგენიძეების, ჩემს ძმებსაც ქართველი ცოლები ჰყავთ, ერთის მეუღლე შუბითიძეა, მეორის – ბუთხუზი. ჩემი ქალიშვილი ქართველზეა გათხოვილი და ჩემი შვილიშვილები ქართველები არიან. ამიტომ, რამდენადაც არ უნდა დაიძაბოს ურთიერთობა და როგორც არ უნდა გამწვავდეს მდგომარეობა ამ ორ ხალხს შორის, მე მწამს და სიკვდილამდე ასე ვიწამებ, რომ არ შეიძლება ქართველებისა და ოსების გათიშვა. როგორც სახიდან ცხვირს ვერ მოვიშორებთ, მე ასე მწამს, რომ ასევე არ შეიძლება ქართველისა და ოსის გათიშვა. ამ ორი ხალხის ნათესაობა და მეგობრობა არც ჩემით იწყება, და არც აქ დამთავრდება.

თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ქართველთა მეფე ფარნავაზის დის ქმარი ოსი იყო, ბაგრატ IV-ის ცოლი ოსთა ასული იყო, გიორგი III-ის ცოლი ოსი იყო... ოსები ედგნენ ქართველებს მხარში, მტრების წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ.

ახლა ზოგიერთი ვაიპატრიოტი რომ იძახის: „საქართველო ქართველებს", „საქართველო ქართველებს", „გავწმინდოთ საქართველო უცხო თესლისაგანო", ოსები საქართველოსთვის არასოდეს ყოფილან „უცხო თესლი". საქართველოს საზღვრებზე დასახლებული ოსები თავისით არ შემოჭრილან. ისინი ქართველმა მეფეებმა ჩამოიყვანეს და დაასახლეს. საუკუნეების განმავლობაში ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის ნათესაური და მეზობლური, მეგობრული გახდა. შერეული ოჯახები უფრო ამტკიცებდნენ სიყვარულსა და პატივისცემას.

საინტერესოა, რომ სოზერიკო ყულაევსა და ალექსანდრე ჟაჟიევის თხზულებებში მხვდებოდა 1920 წლის ამსახველი ამბები. აქ კი ჩანს, რევოლუციის პერიოდში რა ტკივილი მიაყენეს ქართველებმა ოსებს. ჩვენ გვესმოდა და გვესმის, რომ მაშინ ერთი წყობა იცვლებოდა მეორით და არც ერთი წყობა, არც ერთი ხელისუფლება სისხლის გარეშე არ მოსულა. მაშინაც ამ ნიადაგზე დაიღვარა სისხლი და გაწყდა ოსი ხალხი. ხუთიათასამდე ადამიანი დაიღუპა, როცა გადარეკეს მთებს იქით, სოფლები გადაწვეს. ვალიკო ჯუღელი, ცნობილი მენშევიკი, იყო მაშინ ამის მოთავე. დრო როგორც იცვლება, იცვლება სიტუაციაც, შეხედულებებიც. გამოდის, რომ მაშინ ქართველები თავიანთი მართალი საქმისთვის იბრძოდნენ, მაგრამ ხალხმა რა დააშავა? მე რომ მკითხოთ, არც ერთი ხელისუფლება ადამიანების სისხლისღვრად არა ღირს. შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ ასე მწამს, რომ ხელისუფლება სისხლისღვრით არ უნდა მოდიოდეს.

– როგორ ცხოვრობდით ცხინვალში კონფლიქტის დროს?

– იმდენად, რამდენადაც ჩვენი ოჯახი შერეული იყო და ორივე ხალხის სიხარულიცა და ტკივილიც ერთნაირად გვიხაროდა და გვწყინდა, ჩვენთვის ეს დაპირისპირება წარმოუდგენელი იყო და უკვე ფაქტის წინაშე რომ ვიდექით, მაშინაც კი ვფიქრობდით, რომ სიტუაცია ძალიან არ დამძიმდებოდა და სისხლი არ დაიღვრებოდა.

ჩემი შვილი ქართულ სკოლაში სწავლობდა, ცხინვალში სწავლა აღარ იყო. ქართული სკოლები დაიკეტა და ჩვენი უჯახი ორად გაიყო. ჩემმა მეუღლემ, გივი თედეევმა უმცროსი ქალიშვილი წაიყვანა თბილისში, რომ სასკოლო პროგრამას არ ჩამორჩენოდა. როგორც ჩვენ გვეგონა, დროებით. მალევე ქალაქს ალყა შემოარტყეს და ცხინვალში შემოსვლა შეუძლებელი გახდა.

ჩემი მეუღლე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტში", როცა მთავრობა შეიცვალა და გაზეთიც გადაკეთდა „საქართველოს რესპუბლიკად", გამსახურდიას ბრძანებით, გაათავისუფლეს ჩემი მეუღლე, როგორც ეროვნებით ოსი.

აღმოვჩნდით გაორებულ და უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში. თითქოს აღარც თბილისში დაგვედგომებოდა და აღარც ცხინვალში. სამსახურიდან გათავისუფლებული გივი ცხინვალში ვერ ჩამოდიოდა. ძალიან გვიჭირდა, მატერიალურ გაჭირვებას კიდევ გავუძლებდით, მაგრამ სულიერი შეჭირვება უარესი იყო. მეუღლე და ერთი შვილი თბილისში დარჩნენ, მე და ერთი ქალიშვილი – აქ, ცხინვალში. ჩვენ არც ქართველების წყენინება და გაწირვა გვსურდა, არც

ოსების. თვეობით ვერ ვიგებდი მათ ამბავს. აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. თუ შემთხვევით ვინმე თბილისში დააპირებდა წასვლას, თვიდან თვემდე ვინ წავიდოდა აქედან თბილისში, ვაბარებდი, ჩემს ქმარ-შვილთან შეიარე-მეთქი. წერილები რომ მომდიოდა ჩემი მეუღლისგან და ქალიშვილისგან, ვკითხულობდა და ვხევდი, არავინ გაიგოს-მეთქი, რომ თბილისიდან ამბებს ვიგებ.

– როგორ შეაფასებდით იმ მოვლენებს, რაც 1989-1991 წლებში ხდებოდა?

– ყველაფერი საიდანაც დაიწყო, ეს მღვრიე ნაკადი საიდანაც წამოვიდა, ყველამ ვიცით, თუ ვის აძლევდა ხელს ოსისა და ქართველის გადაკიდება, ეს ცნობილია. დღესაც ვინ მართავს ამ სიტუაციას, ესეც ცნობილია, მეზობელ სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა ამის ინტერესი, მაგრამ რუსეთში არაფერი მზადდებოდა ისეთი, რომ ოსები და ქართველები ერთმანეთს დაუნდობლად და ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებოდნენ.

1989 წელს და იქამდეც, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა ფრთებს შლიდა, თბილისიდან ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები და ქართულ მოსახლეობაში აგიტაციას ეწეოდნენ. არც მაშინ და არც დღეს, ასეთი დემოკრატია ოსურ ინტელიგენციას, ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა. ამაში არაფერია დასამალი. დემოკრატია თანასწორუფლებიანობას გულისხმობს მაშინ და ახლაც, ეს თანასწორ-უფლებიანობა არ იყო და არ არის მიღწეული. ამიტომ, წინააღმდეგობას უწევ-დნენ. როცა 400 ავტობუსი, მომიტინგეებით სავსე, მოადგა ცხინვალის შემოსასვლელს, მაშინ არ შემოუშვეს ქალაქში, რადგან იმდენი ხალხი აქ „ფეხად“ არ დაეტეოდა და რისთვის მოდიოდნენ? ისინი რადიკალური მოწოდებებით ჩვენს ასაწიოკებლად მოდიოდნენ, ამას არავინ ელოდა აქ და კარგი იყო, მაშინ რომ არ შემოუშვეს, მაგრამ ამ არეულობას მაინც ვერ ავცდით. გულსატკენი კი სწორედ ის არის, რომ სისხლისღვრა ვერ ავიცილეთ თავიდან. ამ არეულობამ მარტო ოსებს კი არ მოუტანა სისხლი და უბედურება, ქართველებიც დაზარალდნენ. მერე ამას სამოქალაქო ომიც დაერთო თბილისში. მე იმისი თქმა მინდა, რომ არეულობა სუფევდა საერთოდ ქვეყანაში და ყველაზე მეტად ზარალდებოდა მოსახლეობა.

ია შეღვიაშვილი

დაბადების წელი: 1989

2004 წელს ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში ჩაიწერა
მარინა ტურაშვილმა

მე, ია შეღვიაშვილი, დავიბადე 1989 წლის 19 აგვისტოს ერევანში. მამა პატიმარი მყავდა და დედას ძალიან უჭირდა, ამიტომ ვაჭრობდა და მე და ჩემს უფროს დას ასე გვარჩენდა. ჩემზე ორსულად ყოფნისას, მიუხედავად დიდი მუცლისა, წასულა ერევანში სავაჭროების ჩამოსატანად და წამოსვლისას ავტობუსში ასტკიებია მუცელი, თურმე ყვიროდა, – ვაიმე, მიშველეთ, მშობარობა მეწყებაო!

დედაჩემთან ერთად ერთი მეზობლის ქალიც ყოფილა. მას და იქ მყოფებს წაუყვანიათ დედაჩემი სამშობიაროში. ასე გავჩნდი მე. გაუგიათ, უბედურის შვილი ვიყავი და თანაც მამა პატიმარი მყავდა, მიუციათ დედაჩემისთვის „პილიონკები“ (ბავშვის საფენ-სახვევები), შეუგროვებიათ ცოტა ფულიც და ასე გამოუგზავნიათ დედაჩემი თოთო ბავშვით საბუეში. ბებიაჩემისთვისაც გაუგებინებიათ ჩემი დაბადება, მაგრამ საშუალება არა ჰქონია და ვერ ჩასულა. მამაჩემს კი როგორ გააგებინებდნენ, ციხეში იყო.

ვიზრდებოდი ბებიის, ბიძების, ნათესავებისა და მეზობლების დახმარებით. მყავს ორი ბიძა, ვანო და ზურა, რომელსაც მეტსახელად ჭაღარასაც ეძახიან. ეს მეტსახელი პატარაობაში მამიდას დაურქმევია. თურმე ძალიან ქერა ყოფილა, თანაც წინ რამდენიმე თეთრი თმა ჰქონია და უთქვამს: – უი, შენ შემოგევლოს მამიდა, ჩემო ჭაღარაო. იმის შემდეგ მისი საკუთარი სახელი აღარავის ახსოვს, ყველა ჭაღარას ეძახის.

მყავს ასევე ძალო ეთერი და ბებია რუსიკო. მათი მზრუნველობით ვიზრდებოდი. დედაჩემიც იღებდა, რა თქმა უნდა, მონაწილეობას ჩემს გაზრდაში, მაგრამ როგორ ყურადღებასაც ბებია, ბიძები და ძალო მაქცევდნენ, ისე ვერა, რადგან ძალიან გვიჭირდა და ისევ ვაჭრობა დაიწყო.

დედაჩემი რომ ერევანში დადიოდა სავაჭროდ, მე და ჩემი და მარტოები ვცხოვრობდით. ის ჩემზე თხუთმეტი წლით უფროსი იყო და მივლიდა. როცა ცოტა გავიზარდე, ორწლინახევრისა გავხდი, მამაჩემი გამოვიდა ციხიდან.

ერთხელ დედაჩემსა და მამაჩემს საქანელასთან (აივანზე გვიდგას) მოუვიდათ ჩხუბი. რის გამო, არ ვიცი, ძალიან პატარა ვიყავი, ბუნდოვნად მახსოვს. მამაჩემმა დამავლო თმებში ხელი და მიმათრია საქანელასთან. თან ყვიროდა თურმე – რად მინდოდა რომ გააჩინეო – ჩემზე *(ეტირება)*, თუ ვინმე მომიახლოვდებით, ყელს გამოვჭრიო.

თურმე ყველა ტიროდა და ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა. მე სულ პატარა ვიყავი და იმდენად კარგად არ მახსოვს, როგორც მერე ბიძაჩემმა მიამბო. ამ ტირილში და ყვირილში დრო უხელთებია ჩემს ბიძაშვილს, ვანოს გოგო ნინოს, გამოუტაცია ჩემი თავი მამაჩემისთვის და თავის სახლში გავურბენინებივარ (ბიძაჩემის და ჩვენი სახლები ახლოსაა ერთმანეთთან). ამ დროს ბიძაჩემი ვანო აივანზე მდგარა, მისთვის მივუწვდებივარ ჩემს ბიძაშვილს, მას კი საკურდღლეში

გავუქცევივარ (იმ დროს კურდღლები გვყავდა), საკურდღლეში ვიმალებოდით ორივე. თურმე ბიძაჩემს ვეუბნებოდი: – ჩუ, ვანო ძიავ, ჩუ-მეთქი. მერე მამაჩემი ცოტა დამშვიდებულა, მაგრამ ჩემს თავს ორი დღე მაინც არ აჩვენებდნენ თურმე.

მამაჩემი ძალიან ნერვიული კაცი იყო. მთელი ცხოვრება, ორმოცი წლისა მოკვდა, სულ ციხეში აქვს გატარებული. გამოვიდოდა ციხიდან, დააშავებდა რამეს, ისევ დაიჭერდნენ. სულ რამდენი წელი იყო ციხეში, მაგდენი არ ვიცი, მაგრამ თითქმის სულ იქ იყო.

სანამ მამაჩემი დაიღუპებოდა, მისი წინააღმდეგობის მიუხედავად ჩემი და, ლია, სოფელ გრემში გათხოვდა. მამაჩემი ჩემი ყოფილი სიძის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ისიც ქურდი და ნაციხარი იყო. თან თვითონ რომ იცოდა, რა იყო ქურდის ცოლობა, ებრალებოდა ჩემი და იმ ცხოვრებისთვის, რაც ელოდა. ჯემალი, ჩემი ყოფილი სიძე, ჩემს დაზე თხუთმეტი წლით იყო უფროსი, თითქმის მამად ერგებოდა, მაგრამ სიყვარულმა არ იცის, ვინ როგორია *(ეღიმება)*.

გათხოვდა ჩემი და და დაიწყო კიდეც ოჯახში არეულობა. მამაჩემი ეუბნებოდა დედაჩემს, შენ გაათხოვეო, შენ „გადაადგეო“. სულ ჩხუბობდენენ. სახლში იმ დღის შემდეგ სიმშვიდე აღარ ყოფილა. მამაჩემი ძალიან იყო გაბრაზებული და არ ურიგდებოდა ლიას, უმძრახად იყო იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ წავიდა და გათხოვდა, მაგრამ როცა ძალიან ცუდად გახდა, დედაჩემისთვის უთქვამს: – ხომ ხედავ, ეკვდები, წადი, ამოიყვანე, ლიას ნახვა მინდაო.

დედაჩემი ჩავიდა და გააგებინა ჩემს დას, მამაშენი გიბარებს და აუცილებლად ამოდიო. ლიას ეშინოდა, ამდენი ხნის შემდეგ მამა როგორ უნდა ენახა. მაგრამ ამოვიდა. როცა ერთმანეთს შეხვდნენ, ორივე ტიროდა და ერთმანეთს ეხვეოდა. ამის შედეგ დიდი დრო არ გავიდა და მამაჩემი მოკვდა. ბაბოჩემს ხელებში ჩააკვდა საკუთარი შვილი, პირიდან სისხლი ამოსდიოდა და ასე სისხლად დაიცალა. მერე რამდენიმე თვეში მამაჩემის დარდს პაპაჩემიც გადაჰყვა. დარჩა ბებიაჩემი მარტო. ასე ნაწამები და უბედური ბებია მზრდიდა.

მე ეს ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს, რადგან პატარა ვიყავი. ახლა რაღაცეებს რომ მიყვებიან, არ მაინტერესებს როგორ მოხდა, ყველაფერი ცუდის დავიწყება მინდა და მხოლოდ კარგი მინდა რომ მახსოვდეს, მაგრამ რა ვქნა, როგორი ცუდიც უნდა იყოს, ეს ხომ ჩემი წარსულია, ჩემი ცხოვრების ცუდი, მაგრამ მაინც ნაწილი.

გავიდა რამდენიმე თვე და ჩემი სიძე მოკლეს. მისი მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოცული, ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცი მიზეზი. იცით, ჩემი სიძე შეიძლება ქურდი და ნაციხარი იყო, მაგრამ ჩემი და ძალიან უყვარდა და დიდ პატივსაც სცემდა. ლია ხომ თავის ქმარზე ჭკუას ჰკარგავდა. მას საერთოდ არ გასჭირვებია მის გვერდით ცხოვრება. ამ ცხოვრებას პატარაობიდანვე უკვე იცნობდა. როცა ჩემი სიძე მოკლეს, ლია მის სახლში ვეღარ ჩერდებოდა, თანაც სახლში მხოლოდ მოხუცი დედამთილი ჰყავდა და წამოვიდა ჩვენთან, ჩემთან და დედაჩემთან. ის ფეხმძიმედ იყო, მაგრამ მისი ქმრის ნათესავებმა ეს არ იცოდნენ, მერე კი, რა თქმა უნდა, გაიგეს და ძალიან გაუხარდათ, ჩვენი მკვდარი შვილის სანაცვლო ღმერთმა გამოგვიგზავნაო. ჩემს დას ეყოლა ბიჭი, ქმრის სახელი, ჯემალი დაარქვა. ეხლა იმ ბავშვს ჩემი სიძის და ზრდის.

მამის დაღუპვის შემდეგ ჩვენი ოჯახიც აირია. ისევ ძალიან გვიჭირდა და დედაჩემმა და ჩემმა დამ ერთად დაიწყეს ვაჭრობა. აქ ყიდულობდნენ ტანსაცმელს, მიჰქონდათ ლეკებში და იქ ყიდდნენ. თუ ფულზე ვერა, სხვა რამეზე ცვლიდნენ და იმას კიდევ აქ, ჩვენს სოფლებში ყიდდნენ.

საბუიდან ლეკებამდე ერთი დღის სავალია ფეხით. ასე წვალობდნენ დედაჩემი და ჩემი და, რომ როგორმე თავი გაგვეტანა და პურის ფული გვქონოდა. ლეკებში სიარულისას ჩემმა დამ გაიცნო ლეკი ბიჭი მუსა, მოეწონათ ერთმანეთი და გადაწყვიტა ცოლად გაჰყოლოდა. ცხოვრება უკვე არეული ჰქონდა და თანაც გაჭირვებამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. მასთან ეყოლა სამი ბიჭი: მაგამედა – ლეკური სახელია, რამაზი – ქართული სახელი დაარქვა, მესამეს კი ლიამ მამაჩემის სახელი – აკაკი დაუძახა, მაგრამ მუსამ ყურბანა დაარქვა, ლეკური სახელი. ჩემი და იმ კაცსაც დასცილდა.

მოგიყვებით რის გამოც: ჩემი და ყავაზე, კარტზე და სანთელზე მკითხაობდა. იმიტომ, რომ ღმერთისგან დამიზეზდა. 15 წლისა ყოფილა ლია, როცა ძილში მოლანდებია მარიამ ღვთისმშობელი. ჩემი და თურმე მარიამ ღვთისმშობელივით ლაპარაკობდა. ოღონდ, როცა გაღვიძებია, არაფერი აღარ ხსომებია. თურმე ჩემი და მძინარე ეძახის დედაჩემს: – ქალბატონო ნანა! ერთი წუთით მობრძანდიო. დედაჩემი მისულა. – მე მარიამ ღვთისმშობელი ვარო, და თურმე სერიოზულად ლაპარაკობდა რაღაცეებს. რას ელაპარაკებოდა, არ ვიცი. დედაჩემი მიმხვდარა, რაც სჭირდა ჩემს დას. გაგონილი ჰქონია, რომ ასეთი რამ ხდება. მაგრამ მას ეს ყველაფერი არ გამოუმჟღავნებია. რომ ეთქვა, მიხედავდნენ ნათესავები, ან სალოცავში წაიყვანდნენ, ან რამეს უშველიდნენ. დედაჩემს ჰგონებია, რომ თავისით გაუვლიდა. მაგრამ არა, რამდენჯერმე კიდევ დამართნია ჩემს დას იგივე.

ერთხელ თურმე ჩემი და, ისევ მძინარე, წმინდა გიორგის (ჩვენ რომ თეთრ გიორგისაც ვეძახით) პირით ალაპარაკებულა. თურმე ეძახის დედაჩემს კაცის ხმით: – ქალბატონო ნანა! ერთი წუთით მოდიო. დედაჩემი ისევ მიმხვდარა რაშიც იყო საქმე – ეხლა შენაო – უთქვამს ჩემს დას – 23 ნოემბერს წამოხვალ ზევითო (მალე მოდიოდა 23 ნოემბერი), ღამის თევით წამოხვალთ ყველანიო, მამალს წამოიყვანთ და ღამეს იქ გაათევთო (საბუის ტყეში, რომელსაც საბუელები მუგუდას ეძახიან, არის წმინდა გიორგის სალოცავი, მუგუდის წმინდა გიორგი).

მართლაც, 23 ნოემბერს დედაჩემს მეც, ჩემი დაც და ნათესავებიც წავუყვანივართ. მე ამ დროს სამი თვისა ვყოფილვარ და რომ არ გავციებულიყავი, ბევრ სახვევებში გადავუხვევივარ დედაჩემს და ცეცხლის პირას ხან ვის ვჭერივარ, ხან ვის.

ერთხელ კიდევ ჩემს დას უნახავს უცნაური სიზმარი; როცა გათენებულა, შეშინებულს დედაჩემისთვის მოუყოლია, რომ თურმე სიზმარში ზურგზე ხურჯინ-აკიდებული ვიღაცა კაცი მისდევდა უკან, ამ კაცს ხურჯინიდან ამოუღია ყავის ჭიქა და ჩემი დისთვის უსვრია, თან მიუძახებია: ამ დღის შემდეგ იცოდე მკითხაობაო. თუ ხურჯინს ესროდა, ჩემი და მათხოვარი იქნებოდა, აი ჩამოტარებით რომ დადიან სოფელ-სოფელ და ვინც რას მისცემს, რომ აგროვებენ, ისეთი. მაგრამ მას ყავის ჭიქა უსვრია და ჩემს დას არ მიუხედია. თურმე გარბოდა, რაც შეეძლო. მერე ამ კაცს კარტის შეკვრა უსვრია, არც მაშინ მიუხედია ჩემს დას. ბოლოს კი ხურჯინიან კაცს სანთლის შეკვრა უსვრია. მას შემდეგ სამ რამეზე იცის ჩემმა დამ მკითხაობა: ყავაზე, სანთელზე და კარტზე. მთელი

მახაჩყალა (დაღესტნის დედაქალაქი) მაგასთან დადის სამკითხაოდ. ყავაშიც იხედება, კარტსაც შლის და სანთელზეც მკითხაობს. თანაც ისე გაითქვა სახელი, რომ მოსკოვიდანაც ჩადიან მასთან სამკითხაოდ, თავისი მუდმივი კლიენტებიც ჰყავს.

ერთხელ, როცა ჩემი და ცუდად იყო, წყლული ჰქონდა, ერთმა მოსკოველმა კლიენტმა, რომელიც უკვე მისი დაქალი იყო, სთხოვა წაჰყოლოდა მოსკოვში სამკურნალოდ. იმკურნალებდა კიდეც, თან იმკითხავებდა და ცოტა ფულსაც გააკეთებდა. ჩემმა დამ უარი უთხრა, მაგრამ როცა ძალიან შეაწუხა წყლულმა, ჰქონდა იმ ქალის მისამართი და ჩააკითხა. იმ ქალმა თავისი ფულით გაუკეთა ოპერაცია, ძალიან მდიდარი ყოფილა. ლიას ფული არა ჰქონდა და უთქვამს, მერე გადაგიხდიო. ერთი თვე იყო ჩემი და მოსკოვში, ნაოპერაციებს ცოტა მოშუშება ხომ უნდოდა. იმ ქალის მეზობლად ცხოვრობდა თურმე პუტინის (რუსეთის პრეზიდენტი) მეორე კაცი, სახელი არ ვიცი რა ჰქვია, მისი ცოლი ჩემი დის დაქალს ყავაზე დაუპატიჟნია. როცა ჭიქა გადაუტრიალებია, იმ ქალს უთქვამს: – რად გინდა, გოგო, ჭიქა რომ გადაატრიალე, რომელი მკითხავები ჩვენა ვართო. ჩემი დის დაქალს ლიაზე უთქვამს: – ჩვენ თუ არა ვართ, ეს არისო.

იმ ქალს ძალინ გახარებია და უთხოვია, მიმკითხავეო. სულ გადარეულა, როცა ჩემს დას მისთვის უთქვამს, რომ მის ქმარს სმა უყვარდა. ლია დაჰპირებია, რომ თუ მის სურათს მიუტანდა, შეავჯავრებდა სასმელს. არ ვიცი ჩემმა დამ რა გაუკეთა, რა არა, ის კაცი კი მართლა გადაჩვეულა სმას. ერთხელ მის ცოლს სალამო გაუმართავს, სტუმრები დაუპატიჟია და მაგიდაზე სასმელებიც დაულაგებია ქმრის გამოსაცდელად. იმ კაცს რომ დაუნახავს, სასმელის აღება უთხოვია, რომ ვხედავ, გული მერევაო.

ცოლი გადარეულა სიხარულისაგან, გავარდნილა ჩემს დასთან და თურმე ეხვევა, კოცნის და მადლობებს უხდის. ჩემი და და მისი დაქალი ვერ მიმხვდარან რა ხდება და როცა იმ ქალს სიხარულის მიზეზი აუხსნია, ჩემი დის დაქალს უთქვამს, შენ რა, არა გჯეროდაო?

პუტინის მეორე კაცის ცოლს, – მგონი ანჟელა ერქვა, – ჩემი დისთვის უთქვამს, შენ ისეთი სიკეთე გამიკეთე, როგორ გადაგიხადო, არ ვიციო. თურმე ეხვეწებიდა, ოღონდ აქ დარჩი საცხოვრებლად და შენც გიყიდი ბინას და შენს სამივე ბიჭსაცო, მაგრამ ჩემი და როგორ დარჩებოდა იქ საცხოვრებლად. ერთი თვე კი ყოფილა თავის დაქალთან და მერე ისევ ლეკებში დაბრუნებულა. მაშინ იმ ქალს – პუტინის მეორე კაცის ცოლს, ჩემი დისთვის ხუთი მილიონი მიუცია. ამ ფულიდან ჩემმა დამ დაქალს ოპერაციის ფული გადაუხადა, ცოტა მეც გამომიგზავნა, იცოდა, რომ პურის ფული არა გვქონდა, დანარჩენი კი შვილებს მოახმარა. უფროსი შვილი იმ წელს სკოლაში შედიოდა და ბევრი სჭირდებოდა.

საერთოდ, ჩემი და ჯადოებს არ აკეთებს. პირიქით, თუ ვინმეს აქვს გაკეთებული, ხსნის. ეს ნიჭი თხუთმეტი წლისა რომ გახდა, მაშინ დამიზეზდა და მას შემდეგ აქვს. როგორ აკეთებს ამას, არ ვიცი. მე რომ მასთან ვიყავი, ზღვაზე ნიჟარებს და რაღაც მცენარეებსაც აგროვებდა.

ისე მაგრად მკითხაობდა, რომ მალე გაითქვა სახელი. ბევრი ხალხი მიდიოდა სამკითხაოდ და ფულსაც საკმარისად შოულობდა. ერთხელაც ჩემს სიძეს დაუნახავს, რომ ჩემი და საკმაო ფულს იღებს მკითხაობით და მანქანის

ყიდვა მოუთხოვია. ლიას კი უთქვამს, იმუშავე და თვითონ იყიდეო. მაგრამ ის თურმე ჯიუტად მოითხოვდა, ამაზე მოსვლიათ სერიოზული ჩხუბი. მერე ჩემ სიძეს დაუჭერია ჩემი და და ყელზე დანა მიუჭერია. ეხლაც კი, ამდენი წლის შემდეგ, ეტყობა გამოსმული დანის კვალი, ვინმემ რომ ნახოს, ადვილად შეატყობს. ასე გაჩნდა მათ ოჯახში არეულობა. მერე ჩემმა დამ მეტი ვეღარ მოითმინა, ისიც ახალგაზრდა გოგო იყო და ამ ცხოვრებაში ტანჯვის მეტი არაფერი უნახავს, და დაცილდნენ. მაგრამ ჩემი სიძე მაინც თავს არ ანებებდა, შერიგებას ეხვეწებოდა. დიდი ხვეწნის შემდეგ ლიამ ერთი შანსი კიდევ მისცა, თანაც, რაც უნდა ყოფილიყო, მისი შვილების მამა იყო. შეურიგდა და ეხვეწებოდა ემუშავა, მაგრამ ჩემი სიძე მარტო იწვა და ჭამდა, არაფერს აკეთებდა. ფული ვერ შეჰქონდა, მაგრამ ხომ შეეძლო სახლში ან ბაღში რამე გაეკეთებინა?! მაგრამ არა, მარტო იწვა და ჭამდა. ყველაფერი ჩემი დის საზრუნავი იყო, ბავშვებიც და ოჯახიც, თან ერთი ძროხა ჰყავდა და მაღლა ადიოდა მთებში, ბალახს თიბავდა და იქიდან აკიდებული მოჰქონდა. ხან დაგორდებოდა ხოლმე, მაგრამ რას იზამდა, ყველაფერი მისი გასაკეთებელი იყო. დედაჩემმა აღარ იცოდა, რა ექნა, ისიც ეცოდებოდა და მეც, ამიტომ ხან ჩემთან იყო, ხან ლიასთან. უფრო მეტად მასთან იყო, რადგან უპატრონოდ, უცხო მხარეში იყო გადახვეწილი და დახმარება მას უფრო სჭირდებოდა. მე აქ ბებია და ბიძები მაინც მაქცევდნენ ყურადღებას და არა მიშავდა, თუმცა ისინი ძალიან მენატრებოდა.

ლეკებში ორჯერ ვარ ნამყოფი. პირველად, როცა სკოლაში არდადეგები გვქონდა და ჩემი და იყო ჩამოსული ჩვენს სანახავად საბუეში, თან წამიყვანა. იქ ძალიან გამოუსვლელები არიან. ჯუნგლებივით ცხოვრობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მე როცა იქ ვიყავი, ასე იყო. ჩადუნას და თიხა-მიწას ზელდნენ ერთმანეთში და ისე აშენებდნენ სახლებს. ერთ სართულს რომ ააშენებდნენ, იქ ერთი ოჯახი იწყებდა ცხოვრებას, მეორე სართულს უკვე სხვა ააშენებდა და იქ ის ცხოვრობდა. ასე აშენებდნენ სამ სართულს. ზოგიერთები კლდეებში ცხოვრობდნენ, იქ გამოთხრიდნენ ხოლმე მიწას, მოაწყობდნენ როგორც თვითონ უნდოდათ და იწყებდნენ ცხოვრებას. ეხლა და ეხლა უფრო გამოდიან. მიწითა და ქვით აშენებენ. ეს უკვე მეორედ რომ ვიყავი, მაშინ ვნახე.

ჩემს იქ ყოფნაში, ჩემმა სიძემ ლიას ჩხუბი აუტეხა. არ ვიცი, რაზე. მუსამ წამოავლო ხელი „პოლის“ ჯოხს და ჩემი დისთვის უნდა დაერტყა თავში. მე გადავუდექი და თან დედაჩემს ვუყვიროდი, – ის ამ დროს იქ არ იყო, ბავშვებს ასეირნებდა მთაზე, – დედი, დედი, ჩქარა მოდი-მეთქი.

თან მივვარდი ჩემს სიძეს, „პოლის“ ჯოხი ხელიდან გავაგდებინე, მაგრამ მის ღონესთან ჩემი რას მოვიდოდა და გვერდზე გადამაგდო. „ფეჩზე“ იდგა მდუღარე „ჩაინიკი“, წამოავლო ხელი და ჩემს დას გამოეკიდა. უნდოდა მდუღარე წყლით დაეწვა. მე ამ დროს ჩემს დას ხელი ვკარი, გარეთ გავაგდე და მეც მივყევი. ამ სირბილში მდუღარე წყალი მეც მომესხა. თან დედაჩემიც მოვარდა, კარგი ვაჟკაცური ქალია, წამოავლო ხელი დიდ ჯოხს, ჩემს სიძეს დედაჩემისა შეეშინდა და იმწუთშივე გაჩერდა. მერე ცოტა დაწყნარდნენ. ამის შემდეგ ქმარს დაშორდა ჩემი და და საცხოვრებლად მახაჩყალაში გადავიდნენ. მანამდე, სანამ მუსას ცოლი იყო, ცხოვრობდნენ სოფელ ხუფრაში *(ყიზლარის რაიონი, დაღესტანი)*. ასე აეწეწა ჩემს დას მეორედ ოჯახი. აღარც მინდა მოვყვე ჩემი დის აწეწილი ცხოვრება.

ორი წლის შემდეგ შეირთო სხვა ქმარი – რუსლანი, ისიც ლეკი. მუსასგან განსხვავებით ძალიან კარგი ბიჭია. ჩემი და ბედნიერია. რუსლანასთან ორი ბიჭი ჰყავს: რუსლანა და მუსტამა (სულ ჩემს დას ექვსი შვილი ჰყავს, ბიჭები), მე მათ არ ვიცნობ, არც კი მინახავს. უჭირთ ცხოვრება, მაგრამ რას იზამენ. ზრდიან შვილებს და არიან ასე ჩვენგან შორს. დედაჩემი იქ არის, მათთან. მეექვსე წელია უკვე, რაც არ მინახავს. მათ ამბავს თითქმის ვერ ვიგებ. წელიწადში ერთხელ ერთი-ორ წერილს თუ გამომიგზავნიან და თავიანთ ამბებს ასე თუ შემატყობინებენ. დედაჩემმაც მიმანება თავი, აღარც მას ვუნდივარ. მამა მკვდარი მყავს და მზრდიან მოხუცი ბებია და ბიძები, როგორც შეუძლიათ. აბა რა ვქნათ, ცხოვრება ასე ითხოვს, წვალებით და გაჭირვებით ვიზრდები *(ეტირება)*.

ჩემი და სანამ რუსლანაზე გათხოვდებოდა და ჯერ კიდევ მუსას ცოლი იყო, ერთი უცნური ამბავი მოხდა და მოგიყვებით: ერთხელაც არის, გათენდა დღე. მოვიდა ბებიაჩემთან ერთი მეზობელი ქალი და უთხრა, რუსიკო, ვერ გიბედავ, მაგრამ რაღაც უნდა გითხრაო, თურმე შენი შვილიშვილი მოუკლავს თავის ქმარსო, მერე ნანას მოუკლავს შენი სიძე, მუსაო და ლეკებს კი შენი რძალი მოუკლავთო, სისხლი აუღიათ, ასე სცოდნიათ ლეკებსო. თურმე ნანას და ლიას გვამები მთიდან გადმოუყრიათ და ასე ყრიანო. ბავშვები კიდევ უპატრონიდ არიან და არავინ აქცევს ყურადღებასო.

ამ დროს მე შიგნით ოთახში ვიყავი. მეზობელმა ეს არ იცოდა. როცა მისი ნათქვამი გავიგე, ამივარდა ტირილი და ველარ ვჩერდებოდი. წავიდა თუ არა ეს ქალი, გამოვედი და ბებიაჩემს ვუთხარი, ხომ იცი ლიას ბავშვები როგორ მიყვარან-მეთქი. წავალ მარტო როგორმე, გზები ვიცი (ეხლაც რომ დამჭირდეს, წავალ ლეკეთში, ფეხით ერთი დღის სავალია). წავალ, ჩემს დისშვილებს წამოვიყვან, სულ ხახვის ფოჩს ვაჭმევ და ისე გავზრდი-მეთქი. პატარა ვიყავი, ათი წლისა და ცხოვრების ნაკლებად გამეგებოდა. ბებიაჩემმა უარი მითხრა ბავშვების ჩამოყვანაზე, მაინც სხვისი შაქნილები არიანო და არაო, სად უნდა ჩამოიყვანოო.

თანაც ჩვენ თვითონ ძალიან გვიჭირდა ცხოვრება. ხან რამდენიმე დღე მშივრებიც კი ვყოფილვართ. რომელიმე მეზობელი მოგვცემდა სიმინდს, დავფქვავდით, ჭადს გამოვაცხობდით და იმას ვჭამდით ხოლმე. ვფიქრობდი, იქნებ ან ერთ ბიძას, ან მეორეს მუშაობა დაეწყო და დაგვხმარებოდნენ. იმ დროს ორივე უმუშევარი იყო. მართალია, ვანო ძიას თავისი ოჯახი ჰქონდა სარჩენი, მაგრამ მაინც უკანასკნელ ლუკმას გამოიღებდა და მე მომცემდა. მეორე საქორწილო ბიძა – ჭაღარა კი აქეთ ჩვენი შესანახია.

მე ყოველ დღეს ტირილში ვაღამებდი და ყოველ დილას ტირილში ვათენებდი. დედაჩემის, ჩემი დისა და დისშვილების სურათებს გულში ჩავიხუტებდი და ისე ვიძინებდი. მათი ნატვრის სურვილს ასე ვიკლავდი. ჯერ თხუთმეტი წლისა ვარ და უკვე რამდენი ტანჯვა მაქვს გამოვლილი. ისე კარგად და დაწვრილებით ვერცა ვყვები.

ერთხელაც არის, გათენდა დილა და დედაჩემი მოვიდა. სიხარულით გავგიჟდი, ხუთი წლის უნახავი მყავდა. მათი დაღუპვის ამბავი კი ტყუილი აღმოჩნდა. საბუეშივე დაუგდიათ ტყუილი ჭორი.

ძალიან საინტერესოა მამაჩემისა და დედაჩემის დაქორწინების ამბავი და იმასაც მოგიყვებით: დედაჩემი მეზობელი სოფლიდან – ალმატიდანაა (ყვარლის რაიონი). მამაჩემს, სანამ ციხეში ჩასვამდნენ, თურმე დედაჩემი მოსწონდა. როცა დაუჭერიათ, იქ ერთ საკანში მსხდარან დედაჩემის ძმა გოგია და მამაჩემი. ბიძაჩემზე ადრე უნდა გამოსულიყო მამაჩემი ციხიდან და მისთვის სანაძლეო დაუდია თურმე, სანამ შენ გამოხვალ, შენს დას ცოლად შევირთავო. მართლაც, გამოსულა და დედაჩემი ცოლად მოუყვანია. ასე შეიქმნა ჩვენი არცთუ ბედნიერი ოჯახი.

ახლა მე დავდივარ საბუის საშუალო სკოლის მე-10 კლასში. ეხლაც, ალმატში იმიტომ ვიყავი გადმოსული, რომ წიგნი მეთხოვა და გაკვეთილი მესწავლა. მთელ კლასში მარტო ეს ერთი გეოგრაფიის წიგნი გვაქვს. მეც ვერა ვყიდულობ. თოთხმეტი ლარი ღირს და საშუალება არა მაქვს. ზოგი წიგნი, ნახმარი, ძლივს-ძლივობით იაფად ვიყიდე, ზოგი კიდევ მათხოვეს. გეოგრაფიის წიგნი კი სხვა წიგნებთან შედარებით საკმაოდ ძვირი ღირს და ვერა ვყიდულობ.

კლასში სულ ოცდაშვიდი მოსწავლე ვართ, მაგრამ მე უფრო მეტად ოთხთან ვამხანაგობ: მარისთან, ნატოსთან, ბექასთან (ვისაც გეოგრაფიის წიგნი ვეთხოვე) და ნიკასთან, რომელიც, ამავე დროს, ჩემი ნათესავიცაა. ბედნიერი ვარ იმ მხრივ, რომ ძალიან კარგი ამხანაგები მყავს.

პენსიას ვიღებ თვრამეტ ლარს. ცოტა ხნის წინ დიდი წვალებით დამინიშნეს ოცდაორლარიანი დახმარება და მე რომ თოთხმეტი ლარი გეოგრაფიის წიგნში მივცე, რა ვჭამო (ამბობს დარდიანად). ამიტომ ამ წიგნს ვთხოულობ, რვეულში გადავიწერ ხოლმე გაკვეთილს, რომ პატრონს დროზე დავუბრუნო, მოასწროს სწავლა. მერე კი ღამე დავჯდები და ვსწავლობ. ალბათ გაგიკვირდებათ, გადაწერაში დროს რაღას კარგავსო, მაგრამ ხომ მინდა განვლილი მასალის გასამეორებლად. ამიტომ ორმაგად ვწვალობ და ვიწერ. თუმცა ცხოვრებამ ისე დამტანჯა, რომ სწავლაც აღარ მაინტერესებს. ძირითადად სამები მყავს. ასეთი ნიშნები ცხოვრების გამო მყავს. ასეთი დატანჯული ცხოვრება რომ მაქვს, სწავლის გული აღარა მაქვს. თანაც, რომც ვისწავლო, ჩვენებს საშუალება არა აქვთ, რომ ინსტიტუტში ჩამბარებინონ.

ბებიაჩემი სამოცდათოთხმეტი წლის ქალია, პენსონერი. იმდენი ტანჯვის გადამტანი კიდევ რომ ასე მხნედაა, ძალინ მიკვირს. ჯერ იყო და მთელი ცხოვრება სულ ციხის კარზე დადიოდა მამაჩემთან, მერე მისი უდროო სიკვდილი – ორმოცი წლის ასაკში, მერე კი, მალევე, პაპაჩემის დაღუპვა, ეხლა ამ სიბერეში ეს გაჭირვებული ცხოვრება. არ ვიცი, ამდენის გადამტანი კიდევ ცოხალი როგორაა, მაგრამ ვაჟკაცური ქალია, ცოტა იუმორიცა აქვს და ალბად ეს ატანინებს.

რაც მიხეილ სააკაშვილი გახდა ჩვენი პრეზიდენტი, იმედი მომეცა. შევარდნაძის დროს არაფრის იმედი არა გვქონდა არავის. მიხარია, რომ სწავლასაც ფასი ედება. ჩაბარებას რომ ფული აღარ ენდომება. კი მინდა რომ სტუდენტი გავხდე, მაგრამ გზის, ჭამის და ჩაცმის ფული ხომ მინდა, საწყალ ბებიაჩემს კი სადა აქვს მაგდენი, სტუდენტი შემინახოს. ისე, ძალიან მინდა ბებიაქალი გამოვიდე. იმაზე დიდი ბედნიერება რა არის, როცა უყურებ, როგორ იბადება ახალი სიცოცხლე.

როგორც გითხარით, ვცხოვრობ სოფელ საბუეში ბებიასთან და უცოლო ბიძასთან. ბიძაჩემი უმუშევარია და აქეთ მე და ბებიაჩემი ვინახავთ ჩვენი პენსიით. ბებიაჩემიც ჯერ კი ვაჟკაცურადაა, მაგრამ ასაკს თავისი გააქვს. მე, სკოლას რომ დავამთავრებ, პენსიასაც აღარ მომცემენ. ჩვენი პრეზიდენტის იმედი კი მაქვს, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, მაგრამ სკოლას რომ დავამთავრებ და პენსია აღარ მექნება, სულ ვფიქრობ, რა უნდა ვქნა. ახლა ორმოც ლარს ვიღებ – თვრამეტ ლარს ობლობისას და ოცდაორ ლარს – სოციალურ დახმარებას. ამას კიდევ ბებიაჩემის პენსიაც ემატება და სამ სულს გვყოფნის ასე თუ ისე ფქვილში, ცხიმში, „პესოკში“ (შაქარი) და ხანდახან რაღაცა ჩასაცმელსაც ვყიდულობ.

ერთხელ ჩვენი სოფლის საკრებულოც დამეხმარა როგორც ობოლს და მოხუცი ბებიის ანაბარად დარჩენილს, ასი ლარით. ეგ დღე რომ გათენდა, აღარ ვიცოდი რა მექნა სიხარულით. აგვისტოს ბოლო იყო, უკვე სკოლაში უნდა მივსულიყავით. იმ ფულით ერთი „მეშოკი“ (ტომარა) ფქვილი ვიყიდე. დანარჩენით – რვეულები, კალმები და ტანსაცმელი. ყველაფერი იაფფასიანი ვიყიდე, რომ ბევრი რამე მომსვლოდა.

ბიძაჩემი ჭაღარა ძალიან მკაცრად მზრდის. ჩემი და იყო ჩამოსული, უნდოდა ცოტა ხნით წავეყვანე, არდადეგების პერიოდი თავისთან ვყოლოდი ლეკებში, თან ყველაფერს ვუყიდიო, მაგრამ ბიძაჩემმა არ გამიშვა. ჩემი და ახლა შედარებით უკეთ ცხოვრობს. მკითხაობით ფულს შოულობს. თუმცა დიდი ხანია, მისი არაფერი არ ვიცი. ადრე წერილებს ვუგზავნიდი ფოსტით და ისიც მიგზავნიდა, მაგრამ თითქმის ერთი წელია, აღარაფერი ვიცი მისი. ტელეფონი რომ ვიცოდე, დავურეკავდი, მაგრამ როგორ? ისევ ის თუ გამომიგზავნის წერილს და თავის ამბავს მომწერს.

დედაჩემიც ძალიან მენატრება. არ ვიცი სადაა და როგორაა. ის ვიცი, რომ ხანდახან ჩემს დას უკავშირდება, რადგან ისიც ლეკებშია. რა ვიცი, იქნებ იქ გათხოვდა კიდეც, მე აქედან რას ვხედავ.

წასვლა რომ მინდა მეზობელთან, ბიძაჩემს უნდა დავეკითხო. ძალიან მკაცრია. ძალოსთანაც კი არ მიშვებს ხოლმე. ამხანაგებთან როცა მინდა წასვლა, ხან რას მოვიტყუები ხოლმე და ხან რას. ჩემი აზრით ასეთი სიმკაცრე უკვე ზედმეტია. თუ ცუდის გაკეთება მინდა, ისეც გავაკეთებ. მკაცრად მოქცევით ვერ შემაკავებენ. მე თუ მინდა, ცუდიც ვიქნები და კარგიც. მაგრამ მე მინდა ვასახელო ბიძების სახელიც და ბებიაჩემისაც, ყველასი, ვინც გამზარდა. მამაჩემის სახელიც, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ნაციხარი იყო, სოფელში ძალიან აფასებენ. ქურდი იყო, მაგრამ თავის სოფელში არასოდეს არაფერს იპარავდა. მიდიოდა სხვაგან, სადმე შორს და იქ ქურდობდა, თუმცა ეს მაინც არ ამართლებს მის საქციელს.

როცა ბიძაჩემი სახლში არ არის და სადმეა წასული, ან ვინმეს შველის, რომ როგორმე სახლში ცოტა ფული შემოიტანოს და რამე ვიყიდოთ, მე ჩემს მეგობრებთან, მარისთან და ნატოსთან მივდივარ ხოლმე. მყავდა მესამე დაქალიც, თაკო, რომელიც ჩვენთან ერთად სწავლობდა, მაგრამ მერე თბილისში წავიდა და იქ სწავლობს. სანამ აქ იყო, ჩვენ ოთხნი – მარი, ნატო, თაკო და მე, სულ ერთად ვიყავით.

ერთხელაც, როცა მე და თაკო ნატოსთან წავედით, იქ მოყვანილი ჰყავდათ მეზობლის პატარა ბავშვი, რომელსაც „ბულაბკით“ (ინგლისური ქინძისთავი) თვალი ეკეთა (ბავშვებს უკეთებენ, რომ თვალი არ აიღოს). დაკარგეს ეს „ბულაბკა“. ქურდობას ჩვენ გვაბრალებდნენ, თუმცა მე იმდენად არა, უფრო ჩემს დაქალს ადებდნენ ხელს. მეც მაიძულებდნენ, ჩემს დაქალზე მეთქვა, დავინახე როგორ მოხსნა-მეთქი. მაგრამ მე ამას როგორ ვიტყოდი, ტყუილად ქურდობას როგორ დავაბრალებდი დაქალს, თანაც ტყუილისათვის ღმერთიც ხომ დამსჯის და სამაგიერო გადამეხდება. მე ვამტკიცებდი, ჩემს დაქალს ბავშვი საერთოდ ხელში არ აუყვანია და „ბულაბკას“ როგორ მოხსნიდა-მეთქი.

რადგან ტყუილი არა ვთქვი და თაკოს ქურდობა არ დავაბრალე, მეც დამადანაშაულეს. მაგრამ მე იმ საქმიდან ცუდად არ გამოვსულვარ. ხომ შემეძლო მეთქვა, ჩემმა დაქალმა მოიპარა-მეთქი და ამდენი ნერვიულობა თავიდან ამეცილებინა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ თაკო ქურდობას არ ჩაიდენდა, ტყუილი კი არა ვთქვი. თანაც მათ ის „ბულაბკა“ სამი დღის შემდეგ მოუკითხავთ. ბავშვის დედას უთქვამს კიდეც, იმ დღისით ბავშვი პუნქტშიც მყავდა და შეიძლება გზაშიც დაგვეკარგაო, ან შეიძლება ჩემმა ქმარმა არყის გულისთვის გაყიდაო (ლოთი ქმარი ჰყავს), ზუსტად არ ვიცი, როგორ იყოო. მაგრამ ხელს მაინც ჩემს დაქალს ადებდნენ. ამ ამბის გამო მთელი ერთი კვირა თვალები არ დამიხუჭავს. ღამეც და დღეც სულ ვტიროდი, თვალებდასიებული დავდიოდი. მეც და ჩემი დაქალიც რომ უბედურის შვილები ვართ, ხელს იმიტომ გვადებდნენ. აბა კარგი პატრონი გვყოლოდა, მაშინ როგორ გაბედავდნენ ქურდობის ტყუილად დაბრალებას. ობლები რომ ვართ, დაგვჩაგრეს.

ერთხელ კიდევ ჩემმა მეზობელმა ლენამ საათის მოპარვა დამაბრალა, ამისი მამა ქურდი იყო და ეს მოიპარავდაო. თვითონ იძახდა, ვერცხლისა იყოო, მაგრამ არ ვიცი. რა თქმა უნდა, არ მომიპარავს, მაგრამ ჩემს სიმართლეს ვერ ვამტკიცებდი. გავიდა დრო და ბებიაჩემმა სხვა მეზობელს დაუნახა ხელში ის საათი და პატრონს უთხრა, ვისაც ჰქონდა მისი საათი (არ ამხელს საათის ქურდის ვინაობას). მერე ლენა მივიდა იმასთან, სინამდვილეში ვინც მოპარა საათი, წაართვა უკან და უთხრა, შენ ეს როგორ გაბედეო. მაგრამ რა, რაღას იზამდა. ის ქალი, საათის პატრონი, ჩემთან მოვიდა და სულ ბოდიშებს მიხდიდა, მაგრამ ეს ბოდიშები იმას როგორ გადაფარავდა, რაც გადავიტანე. მაინც ბედნიერი ვარ, რომ წინა ქურდობისაგან განსხვავებით, აქ ყველაფერი გაირკვა და ჩემი სიმართლე დამტკიცდა. ვფიქრობ ხოლმე, ნუთუ მამა რომ ქურდი მყავდა, მხოლოდ იმიტომ აძლევენ თავს უფლებას, ცილი დამწამონ?

ერთხელ ჩემმა კლასელებმა მოიფიქრეს, ცოტა ფული შევაგროვოთ და ვიქეიფოთო. მე ხომ არ ვიტყოდი, ფული არა მაქვს და არ ვიქეიფოთ-მეთქი, და თანხმობა ვთქვი. სახლში რომ მივედი და ბებიაჩემს ვუთხარი, კლასი ვქეიფობთ და ორი ლარი მჭირდება-მეთქი, არა მაქვსო და ბიძაჩემთან გამაგზავნა, მაგრამ არც იმას ჰქონდა. წავედი ახლა ძალოჩემთან. სწორედ იმ დროს იქ იყო ჩემი ბიძაშვილი ნინო, რომელიც გათხოვილია. ძალიან მერიდებოდა ორი ლარი მეთხოვა, მაგრამ სესხება რომ მეთქვა, რა მიმეცა. როგორც იყო გავუბედე, კლასი ვქეიფობთ და ორი ლარი შეგიძლია რომ მაჩუქო-მეთქი? ჩემი ბიძაშვილი

გადაირია, ამას ვერ მიბედავდიო, ამოიღო და ათი ლარი მაჩუქა. ბებიაჩემს რომ ვუთხარი ფული ნინომ მაჩუქა-მეთქი, გაუხარდა, უი, ენაცვალოს ბებიაო.

თუმცა ის კი არ მითქვამს, ათი ლარი რომ მომცა. იმ ფულიდან ორი ლარი ქეიფისთვის დავდე. დანარჩენი შევინახე. ქეიფზე ძალიან კარგი დრო გავატარე. მთელი დღე კლასი ერთად კი ვართ, მაგრამ ასე ერთად ყოფნა სულ სხვაა. ჩემს დაქალს, ნატოს, დაბადების დღე მოსდიოდა. წავედი მაღაზიაში და შენახული ფულიდან ხუთლარიანი საჩუქარი ვუყიდე. ეხლაც ხუთ დეკემბერსა აქვს და უნდა მივულოცო. ისევ ხუთლარიან საჩუქარს ვერ ვუყიდი, მაგრამ ვფიქრობ, მთავარი მაინც ყურადღებაა. ბიძაჩემები ცოტ-ცოტას მუშაობენ და ხანდახან თითო ლარს მჩუქნიან, ასე რომ, ცოტა ფული უკვე მაქვს ხოლმე.

ყველაზე სასიამოვნო ჩემს ცხოვრებაშია ისაა, რომ შეყვარებული მყავს (იცინის). ის ძალიან მდიდარია, თბილისში და თელავშიც კი აქვს სახლები. ძალიან მიკვირს მე, ასეთი ღარიბი, როგორ შემიყვარა. მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ და ეს ცოტა ხანსაც რომ გაგრძელდეს, მაინც არა ვარ უკმაყოფილო.

ბედნიერი ვარ, მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, მამაჩემი რომ ცოცხალი იყოს და მშობლებთან ერთად ვცხოვრობდე, როგორც ყველა ჩვეულებრივი ოჯახი. ჩემი დაც სადმე ახლოს, თელავში ან თბილისში ცხოვრობდეს, რომ ნახვა ბევრჯერ თუ არა, წელიწადში ერთხელ მაინც შემეძლოს.

მე რომ მდიდარი ვიყო, ალბად მთელი ცხოვრება სულ ღარიბებს დავეხმარებოდი. მოხუცებს, პურის ფული რომ არა აქვთ და შიმშილით იხოცებიან ჩვენს სოფელში. დავეხმარებოდი ჩემს უბედურ დაქალს – მარიკას, რომელსაც დედა ჩემსავით გაქცეული ჰყავს და უპატრონოდ ცხოვრობს. ჩემგან განსხვავებით მამა კი ჰყავს ცოცხალი, მაგრამ ლოთია და მარიკა ხან ჩვენთანაა და ხან სხვა მეზობლებთან. ტანსაცმელს რომ მჩუქნიან ბებიაჩემის ნათესავები და მე პატარა მაქვს, ან ისე ძალიან არ მომწონს, ვჩუქნი ხოლმე. დავეხმარებოდი ჩემს უბედურ მეზობელს ვალიკოს, რომელიც უცოლშვილოა, დედაც მოუკვდა და არავინ არა ჰყავს.

სკოლას რომ დავამთავრებ, ვიცი, ვერსად ჩავაბარებ, ამის საშუალება არა გვაქვს, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი სურვილია უპატრონო ბავშვთა სახლში მუშაობა. გავზარდო და მოვუარო ჩემნაირ უპატრონო ბავშვებს. მინდა, რომ მათ დედობრივი სითბო მივცე. თუმცა ისიც ვიცი, რომ შვილს დედას ვერავინ შეუცვლის. გამზრდელმა ბებიამ ყველაფერი მომცა, რაც შეეძლო, სიგიჟემდე მიყვარს, მაგრამ დედის სიყვარული სულ სხვაა.

ნინო მინდიაშვილი

დაბადების წელი: 1972

2008 წელს თბილისში ჩაიწერა
თამარ შარაბიძემ

მთელი ჩემი ცხოვრება სამაჩაბლოსთან არის დაკავშირებული. დავიბადე ულამაზეს ქალაქ ცხინვალში, ძალიან კარგ ოჯახში, ასე ვიტყოდი, იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი მშობლები მყავს. დედაჩემი მუსიკის მასწავლებელი იყო, მამა – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. ერთი და მყავს, ოთხი წლით ჩემზე პატარაა და ძალიან კარგად მახსოვს ჩემი დის დაბადება, იმიტომ, რომ ერთსა და იმავე დღეს ვართ დაბადებულნი. მე ვარ დაბადებული 13 აგვისტოს და მახსოვს, წინა დღეს დედა ტორტს რომ მიცხობდა. დაბადების დღეს ყოველთვის მიხდიდნენ, დიდი ტორტით აღნიშნავდნენ ხოლმე, ბევრი სტუმარი მოდიოდა და, აი, დილით რომ გამეღვიძა 13-ში, მეუბნებიან, დედიკომ ცოცხალი დაიკო გაჩუქაო. ეს იყო ჩემთვის შოკი. ისე გამეხარდა, რომ ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. მამამ ჩამაცვა და წამიყვანა სამშობიაროში. შემიყვანა შიგნით და დავინახე უცებ ბევრი ბავშვი. ყველა ჩუმადაა და ერთი ტირის. მითხრეს, რომელიც გინდა, ამოირჩიე და ის იქნება შენი დაიკოო. დიდხანს ვიარე ამ ბავშვებს შორის, დიდხანს ვიარე, მაგრამ რატომღაც, ეტყობა შემეცოდა ის ბავშვი, რომელიც ტიროდა, სწორედ იმ ბავშვთან მივედი და ვთქვი, აი ეს მინდა, რომ ჩემი დაიკო იყოს-მეთქი, და აღმოჩნდა, რომ მართლაც ის იყო ჩემი დაიკო. ესე იგი, 13 აგვისტოს ვართ ორივე დაბადებული, ერთსა და იმავე საათზე, დილის ცხრა საათზე. ვგიჟდებოდი ჩემს დაზე, ისე მიყვარდა; საოცარი ის იყო, რომ ჩემი და ამჟღავნებდა უფრო ძლიერ თვისებებს, მე უფრო მშვიდი ვიყავი. მახსოვს, სკოლაში რომ ვსწავლობდით, ჩამოდიოდა ხოლმე თამუნა, ოთხი წლით ჩემზე პატარა, და ბავშვებს ეუბნებოდა, ჩემს დას ხომ არავინ აბრაზებსო, არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო.

სკოლის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდით და ეს პირველი სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ტრადიციებით, ძალიან კარგი პედკოლექტივი იყო და ძალიან კარგად მახსოვს ჩემი ნატო მასწავლებელი. ჩემი ბავშვობა, შეიძლება ითქვას, რომ მასთან არის დაკავშირებული. როცა პირველ კლასში მივედი, მაშინვე შემიყვარდა ჩემი ნატო მასწავლებელი. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. რაღაცნაირად ეს ქალი ახერხებდა, რომ მთელი კლასი ერთ ოჯახად ვექციეთ. დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო, ნატო ლაფაჩი. და რაღაცნაირად ისეთი ბირთვი შეიკრა, რომ უძლიერესი ბავშვები მოვხვდით ნატოს კლასში. რა თქმა უნდა, ეს მისი დამსახურება იყო უპირველეს ყოვლისა. და ძალიან კარგად მახსოვს, მოხდა ასეთი შემთხვევა: ნატო ცოტა დაუმორჩილებელი ბუნების ქალი იყო, კონფლიქტი მოუვიდა სკოლის დირექციასთან და გადაწყვიტა სკოლიდან წასულიყო. ბავშვებმა ავტეხეთ ერთი ამბავი. ვიყავით, სადღაც, დაახლოებით მეორე ან მესამე კლასში, უფრო – მეორეში. ვამბობდით, თუ ნატო მასწავლებელი წავა სკოლიდან, არც ერთი არ

მივალთ სკოლაში. ასეთი პროტესტი ბავშვების მხრიდან მაშინ წარმოუდგენელი იყო. 72-ში დავიბადე და სადღაც 77 წელია, დაახლოებით. მივაკითხეთ სახლში ამ ნატო მასწავლებელს ბავშვებმა, სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა, და ვეხვეწებით, – „ნატო მასწავლებელო, დაბრუნდით" და ნატო ტირის, მაგრამ ამბობს – „არ შემიძლია, ბავშვებო, ჩემს თავმოყვარეობას ვერ გადავაბიჯებ; თქვენ აუცილებლად მოგაკითხავთ ხოლმე და თქვენც მოდით ჩემთან სტუმრადო". შემოვიდა ჩვენთან ახალი მასწავლებელი, მაყვალა მასწავლებელი და პროტესტის ნიშნად ავდექით და გამოვედით კლასიდან. ჩაერივნენ მშობლები, შევიდნენ დირექტორთან, იმიტომ, რომ უკვე უმართავი იყო სიტუაცია. ჩვენ ვტიროდით, ვნერვიულობდით და მერე დირექტორმა თქვა, ბავშვები შემოიყვანეთო. შეგვიყვანეს ბავშვები დირექტორთან, დირექტორი სათითაოდ გვეკითხებოდა: „აბა, შენ რას იტყვი, აბა, შენ რას იტყვი?" მე ვტიროდი, ბოღმა მახრჩობდა და მახსოვს სიტყვები, რომელიც მაშინ ვთქვი: „იცოდეთ, მე ნატო მასწავლებელი ისე მიყვარს, თუ ნატო მასწავლებელი არ იქნება, გინდ ზაფხული იყოს და გინდ ზამთარი, მე სკოლაში აღარ მოვალ". აი, ზუსტად ეს სიტყვები ვთქვი და ამ კაცს შევამჩნიე, როგორ წამოუვიდა ცრემლები. თვითონ მისულა ნატოსთან სახლში, ბოდიში მოუხდია, და დააბრუნეს ჩვენი ნატო მასწავლებელი სკოლაში. რაღაცა საოცარი ბუნების ქალი იყო, თან იყო ძალიან მკაცრი. მახსოვს, ერთხელ როგორ გამომაგდო კლასიდან. ეს ძალიან მწარედ დამამახსოვრდა. პირველ სექტემბერს რომ მივედი სკოლაში, თმა მქონდა შეჭრილი და მაშინ ასეთი წესი იყო, რომ დიდი ბაფთა უნდა გვკეთებოდა აუცილებლად, და მითხრა მე, და ჩემთან ერთად ოთხ გოგოს, „მიბრძანდით ეხლა და სანამ ბაფთას არ გაიკეთებთ, არ მოხვიდეთ სკოლაშიო". გავედით ეს ხუთივე, ვდგავართ საკლასო ოთახის კართან და ვტირივართ. მეორე დღეს იძულებულები გავხდით „ნივიძიმკაზე" დაგვემაგრებინა ეს ბაფთები და ასე დავდიოდით კარგა ხანს სკოლაში, სანამ თმა არ წამოგვეზარდა.

უფროს კლასებში რომ გადავედით, მეხუთე კლასში, მეექვსე კლასში, საუკეთესო მასწავლებლების ნაკრები გვხვდებოდა, ჩემს კლასს – განსაკუთრებით. რაღაცნაირად ეს ბედის წყალობა იყო ალბათ. ქართული სკოლა იყო. ცხინვალში იყო ორად ორი ქართული სკოლა: პირველი და მეოთხე. მეოთხე სკოლას ეძახდნენ ებრაელების სკოლას იმიტომ, რომ, ისეთ უბანში იყო, რომელშიაც ძირითადად ებრაელები სახლობდნენ. ქართველი ებრაელი ბევრი ცხოვრობდა ცხინვალში. ჩვენი სკოლა კი იყო სუფთა ქართული. ქართული სული მუდამ ტრიალებდა ამ სკოლაში. არაჩვეულებრივი ოლიმპიადები ტარდებოდა ყოველწლიურად. ისე ვემზადებოდით ამ ოლიმპიადებისთვის, რომ რეჟისორიც კი აგვყავდა. ჯერ იყო კლასებს შორის შეჯიბრი. ვინ გავიდოდა პირველ ადგილზე, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მერე ტარდებოდა სასკოლო ოლიმპიადები, ე. ი. ცხინვალის სკოლებს შორის და, როგორც წესი, ყოველთვის აუცილებლად პირველი სკოლა გადიოდა პირველ ადგილზე, ყველაფერში აბსოლუტურად, რაც არ უნდა ჩატარებულიყო. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის იყო, რომ არაჩვეულებრივი პედაგოგები მუშაობდნენ. და, აი, მე ძალიან კარგად მახსენდება ოლია კასრაძე, ქართულის მასწავლებელი, მეხუთე კლასში რომ გადავედით, მაშინ შემოვიდა. ხანში შესული ქალი იყო, მაგრამ, აი, ნამდვილი ქართველი, ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით. ამ ქალმა მოახერხა ის, რომ მთელ კლასს შეგვაყვარა ქართული

ლიტერატურა, ქართული ენა და არ არსებობდა არც ერთი ბავშვი, ოცდათორმეტნი ვიყავით კლასში და აი ოცდათორმეტიდან თხუთმეტი ხუთოსანი იყო, ასე იყო. მისი ახსნილი გაკვეთილი მე ცხოვრებაში არ დამავიწყდება. გარეშე თვალს რომ შეეხედა, აუცილებლად იტყოდა, ამ ქალს თეატრალური ინსტიტუტი აქვს დამთავრებულიო; იმიტომ, რომ გრძნობებში შედიოდა და არ დამავიწყდება, ნებისმიერ გაკვეთილს რომ ხსნიდა, ხან ვტიროდით და ხან ვიცინოდით. შეგვაყვარა ქართული. მე ამას ვუკავშირებ, რომ ჩემში სწორედ აქედან იწყება ქართული ლიტერატურის სიყვარული; შემდგომშიც ისე წარიმართა ჩემი ცხოვრება, რომ ეს პროფესია (ფილოლოგია) ამოვირჩიე, მაგრამ ამაში სხვა ადამიანებსაც განსაკუთრებული როლი მიუძღვით.

ძალიან კარგად მახსენდება ჩემი მეზობლებიც, ჩემი ეზო. ძირითადად ოსები ცხოვრობდნენ, მაგრამ ის ურთიერთობა ცხოვრებაში არ დამავიწყდება. დღესაც, მიუხედავად ყველაფრისა, სიტყვა „ოსი“ არის ჩემთვის ძალიან ახლობელი. რომ იწყებენ ხოლმე ოსებზე რაღაც უარყოფითად საუბარს, მე ძალიან გული მტკივა. უბრალოდ ხანდახან ჩემს აზრს ვერ ვამბობ ხმამაღლა, რაღაცა გარემოებების გამო, ძალიან ხშირად კი ვამბობ, – არა, იცით რა, ოსები ასეთები არ არიან, და ეს ძალიან ბუნებრივიცაა, რადგან მე მათგან იმხელა სითბო, სიყვარული და ყველაფერი კარგი მახსოვს, რომ არ შემიძლია მათზე ცუდად ვიფიქრო.

ეზოში გარჩევა არ გვქონდა, ვინ ოსია და ვინ ქართველი. უბრალოდ ის იყო, რომ, მე ამას მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, ეზოში ძირითადად რუსულად ვსაუბრობდით. ოსური მე ვიცოდი, მაგრამ რაღაცა კომპლექსი მქონდა ყოველთვის, ვერ ვლაპარაკობდი. რასაც მელაპარაკებოდნენ, ყველაფერი მესმოდა, წერა-კითხვაც ვიცოდი, მაგრამ ოსურად მაინც ვერ ვლაპარაკობდი. სკოლაში ოსურს არ ვსწავლობდით, ისე ვიცოდი, ჩემით ვისწავლე. აი, ბარიერი კი მქონდა და ვერ ვლაპარაკობდი, ცალკეულ სიტყვებს კი ვამბობდი. ამიტომ რუსულად ვსაუბრობდით ეზოში ბავშვები, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართული ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ რატომღაც არც ისინი არ საუბრობდნენ. ეს მერე გავაცნობიერე, რომ გავიზარდე, თორემ მაშინ ვერ ვხვდებოდი.

კარგად მახსენდება, უკვე რომ წამოვიზარდეთ და ვიყავით მეშვიდე-მერვე კლასში, გოგოებმა პრანჭვა დავიწყეთ. ჩვენი სკოლის წინ იყო მე-6 სკოლა, რუსული სკოლა, მაგრამ ფაქტიურად ოსური იყო, ოსი ბავშვებით იყო დაკომპლექტებული და იმ სკოლიდან რომ გვეპრანჭებოდნენ ბიჭები, რაღაცა ისე ვამბობდით ხოლმე გოგოები ერთმანეთში, – „უფ, ეგ ოსია“. როგორც ჩანს, ეს მომენტი მაინც იყო, მაგრამ, როგორ აგიხსნათ, ისე არა, რომ ოსი ცუდია და ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ ამას ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ოსია, და ვიცინოდით. ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდათ 1-ლი სკოლის მოსწავლეებს აი იმ მე-6 სკოლის მოსწავლეებიდან.

ოსური სკოლებიც იყო ცხინვალში, თუ არ ვცდები, სამი იყო, ზუსტად არ მახსოვს. ძალიან კარგად მახსენდება ჩემი მეზობელი, ოსის ქალი იყო, ზაირა ერქვა. რომ იცოდა ჩემი სკოლიდან მოსვლის დრო, ძალიან უჭმელი ბავშვი ვიყავი და ყოველთვის მახვედრებდა ხოლმე ოსურ ხაჭაპურებს; დამიძახებდა, «деточка, заходи ко мне,» დამახვედრებდა ამ ხაჭაპურებს და სანამ ერთ ნაჭერს არ შევჭამდი, არაფრით არ გამომიშვებდა. ასეთი თბილი ურთიერთობა

და დამოკიდებულება ყოველთვის იყო მეზობლებში. არ მახსოვს ესეთი გარჩევა, რომ ეს ოსია და ეს ქართველია. ასეთი რამ არასოდეს არ მომხდარა.

რაც შეეხება მასწავლებლებს... მასწავლებლებზე ვლაპარაკობდი და მეზობლებზე გადავედი. არაჩვეულებრივი მასწავლებლები მყავდა. აი, ოლია კასრაძეზე უკვე გითხარით. შემდეგ უკვე, უფროს კლასებში ქართულს მასწავლიდა მზია ზანგალაძე, ასევე არაჩვეულებრივი პედაგოგი. ახალგაზრდა ქალი იყო და ისიც ყველანაირად ცდილობდა ჩვენში ქართული სული გაეღვივებინა, გაეცოცხლებინა. თუმცა ეს უკვე აღარც გვჭირდებოდა. ამჟამად მზია ზანგალაძე გორის უნივერსიტეტში ასწავლის და დღემდე ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს მასთან. ხშირად ვაწყობდით ხოლმე სპექტაკლებს და ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით ამისთვის. ერთხელ მახსოვს, ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებული ღონისძიება მოვაწყვეთ. რეჟისორმა გადაწყვიტა, რომ მე უნდა შემესრულებინა ილია ჭავჭავაძის მეუღლის, ოლიას როლი. ეს წარმოდგენა უნდა ჩაგვეტარებინა სახელმწიფო თეატრში. ძალიან კარგი თეატრი იყო მაშინ ცხინვალში. ქართული დასიც არსებობდა და ოსური დასიც, და არ არსებობდა პრემიერა, რომ ჩვენ გაგვეცდინა, ისე აქტიურად დავდიოდით თეატრში...

ახლა, ვემზადებით წარმოდგენისთვის, რეჟისორმა მამეცადინა, მავარჯიშა და მითხრა, ყველა უნდა აატიროო. მახსოვს, ვფიქრობდი, როგორ უნდა ავატირო ყველა? დავდგებოდი სარკის წინ და ვამბობდი. ასეთი სიტყვები იყო: „რად მომიკლეს ჩემი ილია, რად წამართვეს ჩემი ნუგეში, ჩემი თვალის ჩინი“ და უნდა ჩაბნელებულიყო დარბაზი, ერთი კუთხე უნდა განათებულიყო. ამ კუთხეში ვიდექი მე, შავი ხავერდის კაბაში გამოწყობილი, და აი ეს მონოლოგი უნდა წამეკითხა და თან, დარბაზი უნდა აატირაო, ეს გოგია (რეჟისორი) მოითხოვდა კატეგორიულად ჩემგან, – „აი, უნდა აატირო დარბაზი“. ისე დავითრგუნე ამით... ბოლოს, გრიმი რომ გამიკეთეს, მითხრა: „ნინო, მე ვიცი, რომ შენ ამას შეძლებ“ და მახსოვს ის განცდა, ვკანკალებ მთლიანად და ვამბობ – მე დარბაზი უნდა ავატირო! როგორც კი განათდა დარბაზი და მე დავიწყე მონოლოგის კითხვა, ჩემი ხმის მე თვითონ შემეშინდა, ისე მიკანკალებდა ხმა. ისეთი განწირული ხმით დავიძახე, რომ ახლაც მეტირება: „რად მომიკლეს ჩემი ილია“... ვკითხულობ ამ მონოლოგს და თან ვხედავ, რომ ყველა ცრემლებს იწმენდს, და ვიფიქრე, რომ მე გავაკეთე ის, რასაც ჩემგან ელოდნენ. ბოლოს, რა თქმა უნდა, ტირილით დავამთავრე მეც მონოლოგი და იგრიალა ტაშმა. ყველა გაოცებული იყო. ამბობდნენ, ამ პატარა გოგომ როგორ მოახერხა და მთელი დარბაზი აღრიალაო. მართლა ძალიან კმაყოფილი ვიყავი საკუთარი თავის. ყველა მოდიოდა და მილოცავდა. ისეთი ამაყი ვიყავი მაშინ, რომ არ ვიცი... მაგრამ ჩვენთვის ეს განსაკუთრებული რამ არ იყო, იმდენად შეჩვეულები ვიყავით სცენას.

აი, ამ ოლიმპიადებს, შეხვედრებს, ამ ყველაფერს აკეთებდა ქართულის მასწავლებელი. ეს მისი ფუნქცია იყო. რა თქმა უნდა, კლასის დამრიგებელიც ერეოდა ამაში, მაგრამ მაინც ქართულის მასწავლებლის პრეროგატივა იყო. ასე რომ, სცენას ბავშვობიდან ვიყავით შეჩვეულები და ძალიან ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩავატარეთ სკოლის პერიოდში. დანანებით ვფიქრობ ხოლმე, რომ ახლაც სიამოვნებით მივიღებდი ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობას. მეუბნებოდნენ კიდევაც, სხვათა შორის, თეატრალურზე ხომ არ ჩააბარებო. რა თქმა უნდა, არა. ეს იყო უბრალოდ ბავშვური გატაცება.

მეთერთმეტე კლასში ჩვენი დამრიგებელი იყო პავლე დევიძე, არაჩვეულებრივი პიროვნება, ფიზკულტურის მასწავლებელი იყო. როგორ გითხრათ, „კეთილშობილება“ სიტყვას რომ ახსენებთ, აი ამ კაცთან იყო დაკავშირებული ყველანაირი თვალსაზრისით. მთლიანად გადაფარებული იყო ჩვენს კლასზე, ყველა გაკვეთილის ბოლოს შემოდიოდა და ყველანაირად ცდილობდა, ყველა პრობლემა მოეგვარებინა. თუკი რაღაცა მოხდებოდა ისეთი, ჩვენი კლასი რაღაცას დააშავებდა და ეს ბუნებრივი იყო, ბავშვები ვიყავით, პავლე ამოღებული ხმალივით გადაგვეფარებოდა ხოლმე და გვიცავდა ყოველთვის. ერთხელ მახსენდება, ჩვენთან კაბინეტური სისტემა იყო სკოლაში და... ბიოლოგიის გაკვეთილი გვაქვს. ბიოლოგიის მასწავლებელიც განსაკუთრებით გვიყვარდა. დღემდე მახსოვს იმ ქალის ლამაზი თითები. არაჩვეულებრივი გარეგნობის ქალი იყო, აი ახლა სახელი დამავიწყდა, სულ მომწონდა, თავისებური მანერა ჰქონდა საუბრის, ხელებით ლაპარაკი უყვარდა და ამ ხელებს ვუყურებდი მთელი გაკვეთილი. ლამაზი ფრჩხილებიც ჰქონდა და ლამაზ სამკაულებსაც ატარებდა, მთელი კლასი გიჟდებოდა ამ ქალზე.

ბიოლოგიის გაკვეთილი გვაქვს. სანამ გაკვეთილი დაიწყებოდა, ჩანთა რაღაცნაირად ჩემდაუნებურად მოვისროლე, ფანჯრის რაფაზე რომ დამედო, არადა ვიყავი ძალიან წყნარი და ძალიან გაწონასწორებული ყოველთვის, და რაღაცნაირად მოხდა, რომ ჩანთა მოხვდა ფანჯარას და ჩაიმსხვრა. დავჯექი, დავიწყე ტირილი, ეხლა ვიცი, ატყდება ამბავი, დირექტორი შემოვა და – „ვინ გატეხა ფანჯარა?“ და როგორ ავდგე მე ახლა და როგორ ვთქვა, რომ ფანჯარა მე გავტეხე. მართლაც დაიწყო გაკვეთილი და ცოტა ხანში შემოვიდნენ კლასის დამრიგებელი, ჩვენი საყვარელი პავლე და დირექტორი – „აბა, ვინ გატეხა ფანჯარა? თავისი ფეხით წამოდგეს!“ რა ვქნა ახლა? ვემზადები. უნდა ვთქვა, რომ მე გავტეხე, რასაც მიზამენ, მიზამენ და უცბად ათი ბიჭი ერთად წამოდგა და „მე გავტეხე, მე გავტეხე, მე გავტეხე“, – ყველა ამბობს. თვალები გამიფართოვდა, რასაც ჰქვია. ისეთი ამაყი და კმაყოფილი ვიყავი. მე, რა თქმა უნდა, არ ავდექი. მერე გაეცინა ამ ჩვენს დირექტორს, გოჭოს ვეძახდით, ძალიან საყვარელი კაცი იყო, ელიოზი ერქვა და გოჭოს ვეძახდით იმიტომ, რომ დაბალი და პუტკუნა იყო. გაეცინა და სხვათა შორის ესე უთხრა: „ყოჩაღ, ბიჭებოო, აი ზუსტად ასე უნდა გაგეკეთებინათო. როგორც ვხედები, ეს ფანჯარა გოგომ გატეხაო, თქვენ კი რაინდული საქციელი ჩაიდინეთ და ამიტომ აღარ გთხოვთ ფანჯრის გაკეთებასო, ჩემ თავზე ვიღებო. ბატონ პავლესაც დიდ მადლობას ვუხდი. როგორც ჩანს, ეს მისი დამსახურება არისო“.

როგორი კმაყოფილები ვიყავით, ეს არ დამავიწყდება! ზუსტად იმ პერიოდში გამოვიდა ფილმი „ჭირვეულის მორჯულება“, ჩელენტანო რომ თამაშობს. ბიჭები მოვიდნენ და გვეუბნებიან, ბილეთები ვიშოვეთ, მაგრამ ცხვაროს გაკვეთილიდან მოგვიწევს გაპარვაო. ცხვარო იყო ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი, ძალიან სასაცილო კაცი, მაგრამ ჭკვიანი. კინოთეატრიც ზუსტად ჩვენი სკოლის წინ იყო. წყნარი იყო ძალიან და ცხვაროს ეძახდნენ. იმდენად ყველა ცხვაროს ეძახდა, რომ ერთხელ ერთი მშობელი მისულა და უთქვამს, „ბატონო ცხვარო, ჩემი შვილის მდგომარეობა მაინტერესებსო“ და გაგიჟებულა ეს კაცი. ერთხელ მახსენდება, გაკვეთილზე ვზივარ ცხვაროსთან და არ მისვენებს ჩემს გვერდზე მჯდომი, დათო ბაბუციძე იყო, ნუ, სკოლის ამკლები, რაღაცეებს მელაპარაკება და მეც ვპასუხობ. სამჯერ

შემომხედა ამ ცხვარომ და გაჩერდიო, მანიშნა. ვიკავებ თავს, მაგრამ მეც ბავშვი ვიყავი ჩვეულებრივი. დამელაპარაკება ეს დათო და მეც ვცემ პასუხს და ბოლოს მომიტრიალდა და მეუბნება: „შენა, გოგო, ჯუნგლების დედოფალს რომ ჰგევხარ, არ გაჩერდები?!“ გრძელი თმა მქონდა, ხვეული და ატეხა კლასმა სიცილი...

კარგად მახსოვს, უნდა გავიპაროთ ამ ცხვაროს გაკვეთილიდან. სხვა დროს ველარ წავალთ, ისეთი ამბავი იყო, რიგები ბილეთებზე და მთელი ამბავი. გავიპარეთ მთელი კლასი. შევედით, დავსხედით და ვართ ბედნიერები. დაიწყო ფილმი, ვუყურებთ და ამ დროს, არ არის ნახევარი საათიც კი გასული, აინთო სინათლე, შემოვიდა ჩვენი გოჭო და ამბობს: „აბა, მეათე პირველი კლასი, ადექით ეხლა და გამოდით გარეთო“. „სირცხვილი, – ვფიქრობ ეხლა, – ამხელა გოგონები როგორ უნდა ავდგეთ და ყველამ დაგვინახოს, რომ გაკვეთილიდან გავიპარეთ, მაგრამ რაღას ვიზამდით, ავდექით ასე გაწბილებულები და გამოვედით კინოთეატრიდან. არადა, „ჩერმენი“ ერქვა ამ კინოთეატრს, ზუსტად ჩვენი სკოლის წინ იყო და მიხვდებოდა, აბა რას იზამდა ეს ჩვენი დირექტორი, რომ კინოში წავიდოდით. ისეთი ამბავი იყო ამ ფილმზე, ბუნებრივია, კინოში წავიდოდით, სხვაგან სად უნდა წავსულიყავით?!

მერე ჩემს ცხოვრებაში, ასე ვთქვათ, რთული პერიოდი დაიწყო. გამორჩეული ვიყავი, ჯერ ერთი იმით, რომ კარგად ვსწავლობდი, მერე – განებივრებული ვიყავი ყურადღებით ოჯახის მხრიდანაც და საერთოდ კლასელების მხრიდანაც – ყველა ბიჭი ჩემზე იყო შეყვარებული, ასე ვთქვათ. ერთი მომენტი მახსენდება კარგად. სტუდენტი იყო უკვე ის ბიჭი, ჩვენ კი მეათე კლასში ვიყავით. და ერთი ბიჭი შემოვიდა კლასში, სოსო ვახტანგაშვილი, მე და ის ერთად დავდიოდით ყოველდღე სკოლაში და სკოლიდან სახლში, და მთელი ათი წელი ჩემი ჩანთა იმან ათრია. შემოვიდა და მეუბნება: „ნინო, არ გახვიდე გარეთ, სახლში არ წავიდეთ ჯერ“. რა ხდება-მეთქი, მე ვუთხარი. „დათოა მოსული მანქანით, უნდა მოგიტაცოსო“. ხოდა, ვაიმე, ნინო უნდა მოიტაცონო და ერთ ამბავში ვართ ბავშვები. ვსხედვართ სკოლაში და ვფიქრობთ, რა გავაკეთოთ. მერე, ბოლოს და ბოლოს, მოვიფიქრეთ. გადაიკიდეს ეს ჩემი ჩანთა და ყველა ბიჭმა ერთად გამაცილა სახლში. მომიყვანეს სახლამდე და ისიც გაწბილებული გაბრუნდა უკან, ვერ მომიტაცა. აი, ასეთი პერიოდი მქონდა, მართლა ყველა ბიჭი ჩემზე იყო შეყვარებული და ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, დიდად არ ვაქცევდი ამას ყურადღებას. კლასელებს ჩემთან ძალიან თბილი და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ და ძალიან ბევრი მერე გამომიტყდა, მაგრამ მე არ გამკვირვებია, რადგან ვიცოდი.

ძალიან ბევრ ოსსაც ვუყვარდი, ძალიან ბევრს, მეზობლებს, ახლობლებს. ამასთან დაკავშირებითაც გეტყვით. შეიძლება ამან გადამარჩინა ერთხელ სიკ-ვდილსაც კი. იმდენად რთული მომენტი იყო, რომ, თუ არა ეს შემთხვევა, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, არ ვიცი. ცოტა იქითკენ გადავინაცვლოთ. უკვე გათხოვილი ვარ, ცხინვალის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი და გამოც-დებზე უნდა ჩამოვიდე. ცხინვალში ვსწავლობდი, მაგრამ ცხინვალში აღარ ვცხოვრობდი (აგარაში ვიყავი გათხოვილი), როცა შემოტრიალდა ყველაფერი და დაიწყო ეს ავადსახსენებელი მოვლენები. ჩემი ქმარი რუსეთში იყო წასული საქმეზე, მე კი ცხინვალში უნდა წამოვიდე, გამოცდები მაქვს ჩასაბარებელი და ჩემი მაზლი წამომყვა. ტაქსით მოვდიოდით, კარგად მახსოვს. იმ ტაქსის

მძღოლის სახე ცხოვრებაში არ დამავიწყდება, დღესაც მახსოვს. თურმე იმ დროს დაწყებულა ომი, დაპირისპირება, სროლა და ერთი ამბავი, მაგრამ ეს მე არ ვიცოდი. ეს რომ მცოდნოდა, ხომ ვერ შევიდოდი ცხინვალში. შეიძლება შევსულიყავი მაინც იმიტომ, რომ დედა და მამა იქ იყვნენ და, ბუნებრივია, უფრო მოვინდომებდი შესვლას. მივუახლოვდით ნიქოზს. ეს არის 90-იანი წლები, 91, სადღაც. ზამთარი იყო, 6 იანვარი. მივუახლოვდით ნიქოზს და ვხედავთ, შეიარაღებული ბიჭების ჯგუფი მანქანას გადაუდგა, გაგვაჩერეს. ის შიში დღესაც არ დამავიწყდება: „აბა, გადმოდით ყველა მანქანიდანო!“ მძღოლი გადავიდა, შეშლილი სახე ჰქონდა. მეც ძალიან შეშლილი გადმოვედი მანქანიდან და ჩემი მაზლიც, რომელიც ჩემხელა იყო. ვიქნებოდი მაშინ ასე 19 წლის, თუ უფრო პატარა – 18 წლის. „თქვენ სად მოდიხართო, არ იცით, რა ხდებაო? ამოიღეთ ფული, საბუთები, რაც გაქვთო. არ იცით, სად მოდიხართო? რა ხდებაო? მანქანა წაიყვანეო“, ერთს უთხრეს. ერთი რუსულად საუბრობდა, დანარჩენები ოსურად. მე ხომ ოსური მესმოდა და ეს გავიგონე, ერთს რომ უთხრეს, მანქანაში ჩაჯექი და წაიყვანეო; ამათ წაართვით, რაც აქვთ და იქით წაიყვანეთო. ვფიქრობ ეხლა, რა გავაკეთო და ხმას ვერ ვიღებ, იმდენად შეშინებული ვარ.

ამ დროს გამოვიდა ერთი ბიჭი ამ ჯგუფიდან, სამხედრო ფორმები ეცვათ და ვერ ვიცანი, ახლა გვარს და სახელს არ ვიტყვი შეგნებულად იმიტომ, რომ თანამდებობის პირია ის ბიჭი, ოსია და ოსურად მეკითხება: „შენ ნინო არა ხარო?“ ხო-მეთქი, – ქართულად ვუპასუხე, – ნინო ვარ-მეთქი. „ჯაფარიძის ქუჩაზე არ ცხოვრობდი, ამადაამ სახლშიო?“ კი-მეთქი. „მიშას გოგო არა ხარო?“ კი, ნინო-ვარ-მეთქი. მერე მიუტრიალდა ამ ბიჭებს და უთხრა: „ესო, ჩვენი გოგოაო და უნდა გაუშვათო“ და ვიღაცამ, არ ვიცი უფროსი იყო თუ ვინ იყო, „მე არ ვიცი ჩვენი გოგო, რანაირად ჩვენი გოგო არისო?“ „არაო, ქართველიაო, მაგრამ ჩვენთან არის გაზრდილი, ცხინვალელიაო“, უპასუხა. ამ დროს გამოვიდა კიდევ ერთი ბიჭი, სხვა ჯგუფიდან, რომელიც იქით იყო, ბევრნი იყვნენ, ერთი ოცდაათ კაცამდე. როგორც კი დამინახა, განწირული ყვირილი დაიწყო: „ჩასვით მანქანაში და გაუშვითო“. ვიცანი, ამ ბიჭსაც მე ვუყვარდი სკოლის პერიოდში. რა თქმა უნდა, ორის ნათქვამი რომ დაემთხვა ერთმანეთს, ეს მეორეც ოსი იყო, უფრო დაიჯერა იმან, რომელიც მე ჩავთვალე უფროსად, მაგრამ მაინც კატეგორიულად ამბობდა: „არ გავუშვებ ამათო“. იმ ბიჭმა კი, რომელიც ახლა თანამდებობის პირია, ჩემმა „პაკლონიკმა“ (თაყვანისმცემელმა), ასე ვთქვათ, კატეგორიულადვე უთხრა: „ჩვენ ახლავე წავალთ აქედან, თუ ამათ არ გაუშვებთო“. მერე ის, ჩემი ყოფილი „პაკლონიკი“, ჩაგვიჯდა მანქანაში და შეგვიყვანა ცხინვალში. პირობა მოგვცა, ამ ტაქსის მძღოლს ასევე უსაფრთხოდ გავიყვან აქედანო. ის ხომ უნდა დაბრუნებულიყო! და გზაში მეუბნება, „რამ ჩამოგიყვანა აქ, გეხვეწები, წადი აქედან“. ვუთხარი, რომ არავითარ შემთხვევაში აქედან არ წავალ, სანამ ჩემს მშობლებს არ ვნახავ-მეთქი. მითხრა, „კარგიო, მე მიგიყვან სახლამდეო“. ეს ჩემი მაზლი იმდენად იყო გაშტერებული, რომ სულ აქეთ-იქით იხედებოდა, ფიქრობდა, რა ხდებაო. მაგრამ რა ხდებოდა და ომი იყო, გაქანებული ომი. ისმოდა სროლის ხმა, ქალაქში რომ შევედით, გარეთ თითქმის არავინ დადიოდა.

ის სიმწარე ცხოვრებაში არ დამავიწყდება. აი – ნაცრისფერი ქალაქი, ორი სიტყვით ასე შემიძლია გადმოვცე. თითქოს გულში ისეთი მწარე ტკივილი

ვიგრძენი, ისეთი მწარე ტკივილი ვიგრძენი, მინდოდა მეტირა, მეყვირა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, აი, მომწყდა ყველაფერი და ჩემს შიგნით ყველაფერი დაცარიელდა. ფეხი მეკვეთება და ისე ავდივარ კიბეზე, მეორე სართულზე ვცხოვრობდით, ფეხი მეკვეთება იმიტომ, რომ იქ დედაჩემია, ჩემი დაა და არ ვიცი, როგორ დამხვდებიან ისინი. ერთი ხაზბი იყო, თუ რა ერქვა, აღარ მახსოვს, მეზობლის კაცი, იმისი გაოცებული სახე მახსოვს. ეტყობა, გაუკვირდა, როგორ შემოვიდა ქალაქშიო, მაგრამ არაფერი უთქვამს. მეც ერთი მივესალმე და ავირბინე უცებ კიბე. აი ამ ბიჭმა კი, ჩემი „პაკლონიკი"-მეთქი, როგორც შემპირდა, თვითონ დაჯდა საჭესთან, ჩასვა ეს ტაქსის მძღოლი მანქანაში და გაიყვანა ქალაქიდან. სხვათა შორის, საღამოს მოვიდა და მითხრა, „არ ინერვიულო, ის ტაქსის მძღოლი მშვიდობით გავაცილეთ და მშვიდობით წავიდაო"...

დედაჩემმა რომ დამინახა, ტირილი დაიწყო, „შვილო, რამ ჩამოგიყვანა, კავშირი არ იყო და ვერ დავრეკე, ვერ გაგაფრთხილე, რომ არ ჩამოსულიყავიო. მე ვუთხარი, დედა, ჩამოვიდოდი, აბა რას ვიზამდი, თქვენ ხომ აქ მეგულებით-მეთქი. დედაჩემი და ჩემი და ვნახე რომ კარგად არიან, ეხლა მამაზე ვნერვიულობ. მამა ორი სახლის იქით ცხოვრობდა, ახლოსვე. მინდა რამენაირად მამაჩემი ვნახო. დედაჩემმა დამამშვიდა – ტელეფონი სახლის მუშაობს და შეგიძლია მამაშენთან დარეკო, თუ სახლში იქნება, გაგაგონებსო. და დავრეკე. ცალკე მამაჩემმა დაიწყო ტირილი, როგორც კი ჩემი ხმა გაიგო, რამ ჩამოგიყვანაო და მერე მითხრა, ნუ ნერვიულობ, რაღაცნაირად, იქნება და მოვახერხო თქვენი ქალაქიდან გაყვანაო. საშინელება ხდებოდა. გაოგნებული ვიყავი.

მანამდე ნიშნები კი იყო, რომ აუცილებლად მოხდებოდა დაპირისპირება, მაგრამ ომი თუ მოხდებოდა, ამას არ ველოდი. იმართებოდა მიტინგები. სასაცილო იყო, თუკი შეიძლება ასე ვუწოდოთ, ოსები ცალკე მიტინგებს მართავდნენ და ქართველები – ცალკე. საღამოობით რომ გაგეხედა აივნიდან, დაინახავდი, გამოპრანჭული ოსები როგორ მიდიოდნენ მიტინგის ჩასატარებლად და მეორე დღეს, დავუშვათ, გამოპრანჭული ქართველები მიტინგის ჩასატარებლად. ეს იყო 90-იანი წლები, ეროვნული მოძრაობის დასაწყისი, მაგრამ ამ ყველაფერმა კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც ზვიად გამსახურდიამ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. და ეს დაპირისპირება დაიწყო ზუსტად 6 იანვარს და აი დღემდე, სხვათა შორის, ოსები იმას ამბობენ, რომ, თუ ქართველები ქრისტიანები არიან, 7 იანვარს ანუ შობა დღეს როგორ დახოცეს ოსებიო, ანუ სწორედ 7 იანვარს როგორ მოხდა ბრძოლაო. ხალხი დაიღუპა ამ დღეს. რა თქმა უნდა, ეს ომის კანონია და ბრძოლაში იღუპებიან ქართველებიც და ოსებიც, ვერც ქართველებს გავამართლებ და ვერც ოსებს, მაგრამ ძალიან ბევრი ცუდი რამ მოხდა და რამდენი წელიც არ უნდა ვიცოცხლო, ამას ვერ დავივიწყებ, ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია ჩემს ცხოვრებაში...

როგორც კი საღამოვდებოდა, უფრო აქტიურად ისმოდა სროლის ხმა და ბოლოს კულმინაციას მაშინ მიაღწია ამ ყველაფერმა, როცა რაკეტების ხმაც გავიგე. რაკეტების ხმა უკვე ძალიან აქტიურად ისმოდა. ჩვენ შეშინებულები ვსხედვართ შუა ოთახში, იმიტომ, რომ შესაძლებელი იყო ბრმა ტყვია შემოვარდნილიყო სახლში. სწორედ ასე დაიღუპა ჩემი მეზობლის 15 წლის გოგო – ლანა, ოსის გოგო იყო. ესეც ძალიან დიდი შოკი იყო ჩემთვის, რადგან ერთად გაზრდილები ვიყავით.

ბოლოს ისე გააქტიურდა ეს სროლის ხმა და ისეთი საშინელება ხდებოდა, რომ დედაჩემმა თქვა, მოდი, სინათლე ჩავაქროთ და იატაკზე დავწვეთო. და შუა ოთახში იატაკზე ვწევართ შეშინებულები, რა მოხდება, არ ვიცით. რაც ყველაზე საოცარია, სატელეფონო კავშირი არ გაწყვეტილა. რეკავენ ეს ქართველი მეზობლები და ყველა ახალ-ახალ ჭორს ამბობს. ზოგი ამბობს, რომ ეხლა ქართველებს უნდა დაუარონ, გამოიყვანონ და დახოცონ. ზოგი ამბობს, ნუ გეშინიათ, ეს ყველაფერი ხვალ დილით დამთავრდება. ზოგი ამბობს, რომ ჩვენი პოლიცია უკვე ქალაქში შემოვიდა და ათასნაირი ჭორი იყო, მაგრამ... ხო ამბობდნენ, ქართველებს უნდა ჩამოუარონ და დახოცონო, ერთი წუთითაც არ დამიჯერებია. რატომ არ ვიჯერებდი, იცი? ეს იყო ჩემთვის წარმოუდგენელი. მე ვიცოდი, რომ ის ადამიანები, ვის ხელშიც მე გავიზარდე და რომელ გარემოშიც მე გავიზარდე, აი ახლაც სულ მაკანკალებს, აი, ამას რომ ვიხსენებ, არც ერთ შემთხვევაში ჩემს წინააღმდეგ ტყვიას არ აიღებდნენ. ეს იყო როგორი გამორიცხული, იცი?! ამაში მე დღესაც ღრმად ვარ დარწმუნებული. ასეც რომ ყოფილიყო და ვინმე შემოსულიყო ჩემთან, მე ვიცი, რომ ყველა დამიდგებოდა დასაცავად. ამაში ვარ ასი პროცენტით დარწმუნებული...

ღამის ორი საათია და სანამ ორი გახდებოდა, ერთი 15 წუთით ადრე, კარებზე ზარია, დალი იყო, ჩვენი კარის მეზობელი, მსახიობი ქალი, ახალგაზრდა, მერე, საწყალი, გარდაიცვალა. ძალიან მიყვარდა. უცნაური ბუნების იყო, თავისებური, მაგრამ ძალიან გულკეთილი. ეს დალი შემოვიდა, იმასაც შეშლილი სახე ჰქონდა და «деточка, не бойся, если что, я здесъ» ისეთი დარწმუნებით მეუბნებოდა ამას, თითქოს მთელი ჯარის შეჩერება შეეძლო, აი, იმ თავისი უმწეო ხელებით ტყვიების წვიმის გაჩერება, მაგრამ ისეთი დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ რაღაც გულიდან მომეხსნა.

გავიდა თუ არა დალი, ტელეფონის ზარია. მე ახლოს ვიყავი ტელეფონთან და ავიღე ყურმილი. „გამარჯობათ," კაცის ხმაა. „გამარჯობათ", ვუთხარი მე. „მინდიაშვილების ბინაა?" „დიახ, მინდიაშვილების ბინაა-მეთქი". „მე ზვიად გამსახურდია ვარო". ჯერ ვიფიქრე, ვიღაცა მაშაყირებს, მაგრამ ხმა აშკარად მივამსგავსე. „დიახ, ბატონო ზვიად, გისმენთ-მეთქი", უკვე ინსტინქტურად ვმოქმედებდი, ასე ვთქვათ. წარმოუდგენელი რამ იყო ჩემთვის, ახლა რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან ზვიად გამსახურდიას?! „ჩვენ ვდგავართ ცხინვალის შესასვლელთან, ნუ გეშინიათ, გამაგრდით, მე ახლა ყველა ქართველს ვურეკავო და იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენს გვერდით ვართო" და გათიშა ტელეფონი. დედაჩემი მიყურებს გაშტერებული და ვინ იყოო, მეკითხება. მე ვუთხარი, ზვიად გამსახურდია-მეთქი და აი, გაოცებული სახეები... ერთხანს ასე ვუყურებდით ერთმანეთს და მერე დავიწყეთ მეზობლებთან რეკვა. ყველამ თქვა, ჩემთანაც დარეკა, ჩემთანაც დარეკაო. როგორც ჩანს, მერე როგორც გავიგეთ, აუღია ტელეფონების წიგნი და ქართული გვარით ვინც შეხვდებოდა, ყველასთან რეკავდა სათითაოდ. გამხნევების თავისებური ფორმა იყო ესეც, თუ რა იყო. იმდენად შოკირებული ვიყავი იმწუთას, გამეხარდა-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ რაღაცა, თითქოს, როგორ გითხრა, თითქოს ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ვიღაცა ჩემზე ფიქრობს. ისეთი უმწეობის შეგრძნება მქონდა იმ ტყვიების წვიმაში, იმ უბედურებაში, რომ... საშინელება ხდებოდა. არ იცოდი, რომელ წუთას შეიძლება აფეთქებულიყო მთლიანად სახლი. სიმართლე რომ გითხრათ, დიდად ვერ გამოვხატავდი გრძნობებს მაშინ.

დილის შვიდი საათია, რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ გვძინებია მთელი ღამის განმავლობაში, მამა მირეკავს. მამაჩემი ყოველთვის გამორჩეული ადამიანი იყო, დღემდე ცხინვალში ცხოვრობს, გამორჩეული ყველანაირი თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას. ჯერ ერთი, ცოცხალი ენციკლოპედიაა, რა თემაზეც არ უნდა ელაპარაკო, მას ყოველთვის აქვს პასუხი და ისე იმახსოვრებს ყველაფერს, რომ მე ხანდახან მიკვირს, ამ კაცს ტვინში კომპიუტერი უდევს, თუ საერთოდ ცოცხალი ადამიანი არ არის-მეთქი. ბავშვობიდან ვარჯიშობს, სპორტის ოსტატი იყო კრივში და ა.შ. და ა.შ. ყოველ დილით მიდიოდა სავარჯიშოდ და ზამთარში, თოვლშიც კი, ლიახვზე დადიოდა საბანაოდ. ამოტეხდა ხოლმე გაყინულ წყალს და ჩაწვებოდა შიგ ცოტა ხანი... დღემდე ყოველ დილით ვარჯიშობს და იქ ტყე არის ცხინვალში, «дубовая роща»-ს (მუხიანი) ეძახიან და აი ამ «дубовая роща»-ში ავიდოდა, ივარჯიშებდა. 7 საათზე მიდიოდა აუცილებლად ყოველ დილით და 8-ზე ბრუნდებოდა ხოლმე სახლში. და კარგად მახსენდება, გაზაფხულის პერიოდში, აი იები და ყოჩივარდები რომ დაიწყებდნენ ამოსვლას, მამას ყოველ დილით აუცილებლად მოჰქონდა ჩვენთვის და ჩვენ კიდევ მასწავლებლებისთვის მიგვქონდა და ნატომ ყოველთვის იცოდა, ჩემმა ნატო მასწავლებელმა, – „ა, უკვე ამოვიდა?!“ არავინ არ იცოდა, რომ ყოჩივარდები და იები უკვე ამოსული იყო. და მამაჩემის წყალობით უკვე ყველა იგებდა იმიტომ, რომ თაიგულებს ვარიგებდი ხოლმე სულ და ძალიან კმაყოფილი ვიყავი ყოველთვის.

აი, მამა რეკავს დილით, ჩაიცვითო შენ და თამუნამო, ახლა არ დაიწყოთო ბარგის აღება და ისეო, გოგიტაც წამოიყვანეთ, მე მოვალ ახლა 15 წუთში და სახლთან ჩამოდითო. დილის 7 საათია და სროლის ხმა ისე აქტიურად აღარ ისმოდა. მხოლოდ აქა-იქ ისმოდა და – „ვეცდები იქნებ როგორმე გაგიყვანოთ ქალაქიდანო.“ კარგი-მეთქი, ვუთხარი და აი, ტკივილი მახსენდება, რომ დედაჩემს ვტოვებ. ვიტირე, ბევრი ვიტირე, ვიტირე, ჩემი დაც ტირის. ჩემი და სკოლის მოსწავლე იყო მაშინ და მახსოვს, ჩემი დის ტანსაცმელს რომ ვალაგებდი. და ვეუბნები, „ნუ გეშინია, თამუნა, არ გინდა, მე ყველაფერს გიყიდი“. მიმყავდა ჩემთან ჩემი და. და დედაჩემის რაღაცა უმწეო გამომეტყველება მახსოვს, ე.ი. მე ეხლაღა ვხვდები, ორ შვილს უშვებდა, ამ მისთვის უცხო ბავშვსაც, და არ იცოდა, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. თან ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ვერაფრით ვერ გვეხმარებოდა. წამოვედით ჩვენ, დედა დარჩა და როცა დედაჩემზე ვფიქრობ ხოლმე, სულ ის მომენტი მიდგას თვალწინ. აი, ძალიან საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა მაშინ. წამოვედით.

მამა მართლა დაგვხვდა ქვევით. ატირებულები, მე და თამუნა მოვდივართ ტირილით. როგორც გითხარით, დედაჩემი და მამაჩემი გაცილებულები იყვნენ და მამაჩემმა გვითხრა მაშინ, „ბავშვებო, ნუ ტირიხართ, ხომ იცით, რომ სანამ პირში სული მიდგას, ვეცდები, რომ დედათქვენიც ასევე უსაფრთხოდ გამოვიყვანო, ნუ ნერვიულობთო. ეხლა მე ვიცი, რომ თქვენ დედათქვენზე ტირიხართო“. და ეს ბიჭიც ჩვენთან ერთად, ეს გოგიტაც ტირის. მოვდივართ ღრიალით. რატომღაც ისე მოხდა, რომ კაციშვილი არ შეგვხვედრია. ჯერ გათენებულიც არ იყო, თან ზამთრის პერიოდია და ზამთარში ხომ გვიან თენდება! და ტყე, აი «дубовая роща»-ს რომ ვამბობ, ამ ტყით გადმოგვიყვანა, ასე ვთქვათ, და ჩაგვიყვანა

ქართულ სოფლებში. რამდენიმე საათი ვიარეთ და ძალიან დავიღალეთ. სამშვიდობოს რომ გამოვედით, გააჩერა მანქანა და მახსოვს, როგორ ეხვეწებოდა მამაჩემი მძღოლს, ფულიც ჩაუტენა ხელში, „ესენი ჩემი შვილები არიან და თუ კაცი ხარ, გეხვეწები, გაფიცებ ყველაფერს, უსაფრთხოდ და მშვიდად ჩაიყვანე აგარაშიო“. ეს კაციც დაპირდა. მამაჩემი იდგა კარგა ხანს და გვიყურებდა. და მეორედ მაშინ მეტკინა ძალიან გული, მამაჩემს რომ ვუყურებდი. ვფიქრობდი, ნეტავ, ვნახავ კიდევ როდისმე მამაჩემს-მეთქი?! და კიდევ ერთხელ ავტეხეთ ღრიალი მე და ჩემმა დამ. ასე ღრიალ-ღრიალით ჩავედით აგარაში. ჩემი დედამთილი გადაირია, არაჩვეულებრივი ქალი იყო, თბილი. მე ძალიან პატარა ვიყავი, მაგათ ოჯახში რომ მოვხვდი, 16 წლის, და სითბო და სიყვარული არ მომკლებია.

პირველი დარტყმა ეს იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა მე გავთხოვდი. წარმოიდგინეთ, სკოლაც არ მქონდა დამთავრებული. პერსპექტიული ბავშვი ვიყავი. ძალიან კარგად ვსწავლობდი, სულ ხუთიანებზე და ძალიან ისეთი გეგმებიც მქონდა სამომავლოდ. მინდოდა, უნივერსიტეტში ჩამებარებინა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. მამაჩემის მეგობარი იყო სოსო მეგრელიძე, რომელიც იმ პერიოდში წერდა წიგნს ლიახვის ხეობაზე. და მამაჩემი არის ამ წიგნის თანაავტორი. მამაჩემი ქიმიკოსია პროფესიით და იკვლევდა ცხინვალის რაიონში მინერალურ წყლებს და ხშირად დადიოდა ექსპედიციებში. ეს სოსო, ხანშიშესული კაცი იყო, მაშინ 70 წლის იქნებოდა, თან დაჰყავდა. „სიძველეები ლიახვის ხეობაში“, ასე ჰქვია მის წიგნს. ამ სიძველეებს იკვლევდა და ხშირად რჩებოდა ხოლმე ჩვენთანაც, ხშირად მესაუბრებოდა ხოლმე და მამაჩემს უთხრა, „ამ ბავშვს განსაკუთრებული ხედვა აქვს და მოდი, მე მომეცი უფლება...“ მაშინ, აი, ეხლა რომ ემზადებიან, ეს არ გვჭირდებოდა. სკოლაში ისე ვსწავლობდით, რომ სკოლის მერხიდან ყველა ჩვეულებრივად აბარებდა უმაღლეს სასწავლებელში და, მით უმეტეს, მეც არ მექნებოდა გართულება, რადგან კარგად ვსწავლობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ აუცილებლად სტუდენტი გავხდებოდი. და აი სოსომ სხვა კუთხით წარმართა ჩემი ცნობიერება, იმდენ რაღაცაზე მესაუბრებოდა ხოლმე! ხშირად ვსაუბრობდით და მეუბნებოდა, ხომ ასეთი პატარა ხარ, მაგრამ ძალიან მიყვარს შენთან საუბარიო, და დავთქვით ასე – კვირაში ორი დღე, როცა ცხინვალში იყო. საუბრების დროს გამოვნახავდით ხოლმე, ერთი საათი, ორი საათი და მერე მაძლევდა დასაწერ თემებს, თავისუფალი თემები იყო. კონკრეტულ რაღაცას დამისახელებდა, აბა, დამიწერეო და მეც ვიჯექი და დიდი სიამოვნებით ვაკეთებდი ამას.

თანაც, სკოლის პერიოდში ძალიან ხშირად ვაქვეყნებდი სტატიებს, რეცენზიებს ვწერდი. ახალი სპექტაკლი რომ დაიდგმებოდა, ისე მიყვარდა თეატრი, რომ აუცილებლად დავწერდი რეცენზიას და მივარბენინებდი „სამხრეთ ოსეთის“ რედაქციაში. მაშინ ასეთი გაზეთი იყო და, სხვათა შორის, ახლაც გამოდის ეს გაზეთი. მაშინ ქართულად და რუსულად გამოდიოდა, ახლა კი მხოლოდ რუსულად გამოდის. რედაქციაში ყველა მიცნობდა, იცოდნენ, რომ მე აუცილებლად ჩემი რეცენზია უნდა მიმეტანა, ან თუ სკოლის ცხოვრებაში რაღაც მოხდებოდა, უნდა დამეწერა და მიმეტანა. ძალიან აქტიური ბავშვი ვიყავი. სულ საჯარო ბიბლიოთეკაში ვიჯექი. იქ თუ რაღაც ღონისძიება ტარდებოდა, აუცილებლად მე უნდა მიმეღო მონაწილეობა. ასეთი ცხოვრებით ვცხოვრობდი და აი უცბად,

ბიძაჩემის მეზობელი იყო, მაყვალა ერქვა ამ ქალს, მისი ნათესავი ჩამოვიდა და რა ვიცი, ამ ბიჭს მოვეწონე თუ რა იყო, მაშინვე უთქვამს, ეს გოგო ჩემი ცოლი უნდა გახდესო.

უთხრეს, ეს ძალიან პატარააო შენთან შედარებით, 14 წლით ჩემზე უფროსი იყო, და დაანებე ამ გოგოს თავი, ძალიან კარგი მოსწავლეა, ცოდოა და რაღაც... ნუ – არა, არა, არა და არა. სხვათა შორის, მხვდებოდა ხოლმე სკოლასთან. მე ვიცოდი, რომ მაყვალას ბიძაშვილის შვილი იყო, მაგრამ შევამჩნიე, რომ სხვანაირად მიყურებდა... ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ურჩევდნენ ამას საცოლეს, რადგან არა და არ მოიყვანა ცოლი. დედაჩემი მუსიკალურ სკოლაში მუშაობდა, იქ ბევრი ახალგაზრდა გოგო ასწავლიდა და ამ მაყვალამ სთხოვა დედაჩემს, რომ იქნებო, ერთი კარგი გოგო გავაცნოთ ამ თემურისო, გავურიგოთო. დედაჩემმა ძალიან შორს დაიჭირა თავი. მერე იმდენი სთხოვა და იმდენი სთხოვა, – „კარგიო, ერთი გოგო არისო, თან ჩემს მეზობლად ცხოვრობსო და კი ბატონო, გავაცნოთ და მერე მე ვერ ჩავერევიო; თუ მოეწონებათო ერთმანეთი, კი ბატონოო“. ვითომ შემთხვევით უნდა მოეწყოთ ამათი შეხვედრა, შეხვდნენ კიდევაც, მაგრამ ბიჭმა შორს დაიჭირა თავი იმიტომ, რომ მე მოვწონდი. და აი ჩემი დაბადების დღეა, უკვე მე-11 კლასში გადავედი, სტუმრებს ველოდებოდი, ჩემი კლასელები უნდა მოსულიყვნენ. ესე გვიხდიდნენ ხოლმე, ჩემს დას – დღის საათებში, მე – საღამოს საათებში.

ზოგი სტუმარი უკვე მოსულია, ზოგს ველოდებით და ჩემი კლასელი იყო ერთი დათო დათაშვილი და მანქანით დადიოდა იმ პერიოდში. მამამისი „გაის“ უფროსი იყო და აძლევდა ამ ბავშვს იმის უფლებას, რომ მანქანით ევლო. და უცბად მეზობელმა დამიძახა, ნინო, გეძახიანო. გავიხედე და სახლის უკან მანქანა იდგა, უკან კი არა, გვერდით, უფრო სწორად და წინა ცხვირი დავინახე მარტო. მწვანე მანქანა იყო და „უი, დათო მოვიდა-მეთქი“, ვიფიქრე და დათოსთან ერთად სხვა ბიჭებიც უნდა მოსულიყვნენ. ამ დროს უკვე გამოპრანჭული ვარ, ჰა და ჰა, უნდა დავიწყოთ ქეიფი, ასე ვთქვათ. კი გამიკვირდა, რატომ არ ამოდიან-მეთქი, ვიფიქრე, რომ ერიდებათ და რატომ ერიდებათ, ესეც გამიკვირდა იმიტომ, რომ ჩემთან მოსვლა ყველას ძალიან უყვარდა. დედა არის განსაკუთრებული ბუნების ადამიანი, ძალიან სტუმართმოყვარე და ყველას უყვარდა ჩემს სახლში მოსვლა და ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე. იქ მიდიოდა სიმღერები, დედა მუსიკის მასწავლებელია და ვერთობოდით ძალიან კარგად.

მაინც ჩავედი, ჩავედი და რას ხედავს ჩემი თვალები – აი ეს თემური არ გადმოდის მანქანიდან?! უზარმაზარი ვარდების თაიგული მომართვა და მეუბნება, გილოცავ დაბადების დღესო, და მერე აღარაფერი აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი მანქანაში, აღარ მახსოვს. ჩამაგდო მანქანაში და დაძრა, უკან კიდევ ორი მანქანა მოჰყვებოდა. იმ მანქანაში, რომელშიაც ჩამაგდო, კიდევ სამი ბიჭი იჯდა. აი, დღესაც არ მახსოვს, რანაირად ჩამაგდეს მანქანაში. იმდენად დავიბენი, რა მოხდა, არ ვიცი. მერე ავტეხე წივილ-კივილი: „რას შვრები, გამიშვი ხელი“, ესე, ისე. წამიყვანა დეიდამისთან, სოფელი იყო ასეთი – ბცა. მე ძალიან ბევრი ვიტირე. ეს ბიჭები ცალკე მაწყნარებდნენ, „დამშვიდდი, კარგი ბიჭია“ და იყო ერთი ამბავი. რომ ჩამიყვანა, დეიდამისს ერქვა ნათელა და ეს ნათელა გაოცებული მიყურებდა, მაშინვე დაეტაკა ამ თავის დიშვილს და დაუწყო ჩხუბი, „ეს პატარა

გოგო რომ მოგყავს, სად მოგყავსო, ჩასვი ახლავე მანქანაში და უკან წაიყვანეო“, მაგრამ ამან შორს დაიჭირა თავი. ამასობაში ვიღაცას დავალებული ჰქონდა, ერთ-ერთ მეგობარს, რომ უნდა დაერეკა ჩვენთან და ეთქვა, „არ ინერვიულო, შენი შვილი ამან და ამან წაიყვანაო“. ამტყდარა ერთი ამბავი, ბუნებრივია. დაბადების დღე მაქვს, ამდენი სტუმარია მოსული და უცბად ურეკავენ, აი ესე, შენი შვილი ამან და ამან წაიყვანაო და თანაც მეზობელს დაუნახავს გვერდითა კორპუსიდან, როგორ ჩავუგდივართ მანქანაში. და ის ქალი ჩამოსულა, არ გვიცნობდა ჩვენ, მაგრამ კითხვა-კითხვით მისულა. უფრო სწორად, მე მიცნობდა, დედაჩემს კი შორიდან იცნობდა. მისულა და უთქვამს, ესე, ესე, თქვენი გოგო მანქანაში ჩააგდეს და წაიყვანესო. იქ ატყდა ერთი ამბავი, დედაჩემს ასულიერებენ. სამი დღე და ღამე ვერ გვიპოვეს. ჩადიან აგარაში, მაგრამ მშობლებმაც არ იცოდნენ, სად ვიყავით, ბცას კიდევ ვინ მოიფიქრებდა?!

სხვათა შორის, ვერ გეტყვით, რომ უხეშად მომექცა ან რაიმე – საერთოდ არაფერი ჩვენს შორის არ ყოფილა. უბრალოდ სამი დღის განმავლობაში მიმტკიცებდა და მეც ბავშვი ვიყავი, როგორც ჩანს, და ვერ ვაცნობიერებდი, აი ახლაღა ვხვდები ამას, თორემ... მიმტკიცებდა იმას, რომ, თუ წავიდოდი, თავს მოიკლავდა. და მე დარწმუნებული ვიყავი ასი პროცენტით, რომ ასე იქნებოდა. ახლა რა გრძნობა უნდა მქონოდა მე იმ ადამიანის მიმართ, როცა არ ვიცნობდი, ხო?! იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ვინმე მიყვარდა. არც არავინ მიყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ 16 წლის ვიყავი. უბრალოდ განებივრებული ვიყავი ყურადღებით და რაღაცა ესე. როგორც იქნა, დედაჩემი და დედაჩემის ახლობლები ჩამოვიდნენ ამ ბცაში. როგორც ჩანს, მერე ჩემმა დედამთილმა უთხრა, სადაც ვიყავით. და მე დედაჩემს კატეგორიულად განვუცხადე, რომ არ წავყვებოდი. მახსოვს დედაჩემის გაოცებული სახე. არავინ არ ელოდა ჩემგან ამას. რატომ მოვიქეცი ასე, დღესაც არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ შემეცოდა. თან მეუბნებოდა, „შენ არ გეგონოს, რომ მე შენ რამეზე უარს გათქმევინებ, შენ ისევ ისე ისწავლი, ყველაფერში ხელს შეგიწყობო“ და არ ვიცი, რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ დავრჩი. და ძალიან კარგად მახსოვს, რომ დავჯექი და მამაჩემისთვის წერილის მიწერა დავიწყე.

მამაჩემი იყო... დღემდე არ მახსოვს, რომ მე მამაჩემს უხეშად დავლაპარაკებოდი, დღემდე მაქვს მამაჩემისადმი რიდი, თუ რა დავარქვა ამას, არ ვიცი, ძალიან დისტანციური დამოკიდებულება მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. და დავწერე წერილი, სადაც ვწერდი, რომ „ჩემი ბედი ასეთი იყო, მაპატიე, მე არ მინდოდა, ასე რომ მომხდარიყო, მაგრამ რადგანაც ასე მოხდა...“ მამაჩემს სულ იმის ფიქრი ჰქონდა, რომ ჩვენ კარგად უნდა გვესწავლა, რომ მომავალი შეგვექმნა, „შენ იცოდე, რომ მე სწავლას მაინც აუცილებლად გავაგრძელებ, მაგრამ მაპატიე, აი ასე გადავწყვიტე, რომ მე აქ უნდა დავრჩე“. ხო ვწერდი ამ წერილს, და თან ვტიროდი. იმიტომ, რომ წარმოუდგენელი იყო ჩემთვის მამისთვის ასეთი წერილის მიწერა, მაგრამ სხვა გზა არ მრჩებოდა და დავრჩი.

აი, სიმართლე რომ გითხრა, ეს იყო პირველი იმედგაცრუება ჩემს ცხოვრებაში, იმ მომენტამდე არა, მერე უკვე, დარჩენა რომ გადავწყვიტე, თავის სახლში რომ მიმიყვანა... არაჩვეულებრივი დედამთილი და მამამთილი მყავდა. სამი ბიჭი ჰყავდათ, გოგო არ ჰყავდათ და წარმოიდგინეთ ახლა, 16 წლის გოგო რომ შეუვიდათ ოჯახში... ჩემი მამამთილი ჩამისვამდა ხოლმე კალთაში და ისე

მეფერებოდა, ნინოს რა ესიამოვნება და როგორ ესიამოვნებაო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი სიცარიელეს. ძალიან დიდი იმედგაცრუება დამეუფლა. მოვხვდი იმ გარემოში, რომელშიაც სრულიად არ მინდოდა მოხვედრა და ამას ჩემს თავს ვაბრალებდი: რატომ მოხდა ასე? რატომ აღმოვჩნდი აქ? ეტყობა სულიერი კავშირიც არ იყო ჩვენს შორის. სულ სხვაგვარი დამოკიდებულება გვქონდა, როგორ გითხრა, არ იყო ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობა, უფრო ისეთი – მანებივრებდა, როგორც პატარა ბავშვს. დამოუკიდებელიც არ ვიყავი, სხვათა შორის. მთლიანად ჩამოკიდებული ვიყავი დედამთილ-მამამთილზე და ქმარზე. ძალიან განვიცდიდი ამას გულში. რა თქმა უნდა, არ ვამბობდი ხმამაღლა, მაგრამ ჩავიკეტე საკუთარ თავში. ერთი წელი დამჭირდა სულ ცოტა, რომ მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. ეს იყო შოკი ჩემთვის და სულ ვფიქრობდი, სად ვარ? ჯერ ერთი, ვერაფრით ვეგუებოდი გარემოს – აგარაში ვცხოვრობდით. ეს იყო დაბა. ურთიერთობა კი მქონდა ადამიანებთან, მეზობლებთან, ჩემებთანაც ხშირად მივდიოდი და ისინიც ჩამოდიოდნენ, მაგრამ ძალიან უცხო იყო მაინც ეს გარემო ჩემთვის. თვითონ ადამიანებიც. ასე მეგონა, რომ რაღაცა უცხო ქვეყანაში მოვხვდი. ვერაფრით ვერ შევეგუე ვერც ოჯახს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თბილი ურთიერთობა მქონდა და ძალიან მიყვარდა ჩემი დედამთილ-მამამთილი, და ვერც ქმარს. კი, რაღაცა გრძნობები გაჩნდა, პატივს ვცემდი, როგორც ჩემს ქმარს, დედამთილი მიყვარდა, მამამთილი მიყვარდა, მაგრამ სხვაგან ვიყავი თითქოს.

რა მინდოდა, მე თვითონაც არ ვიცოდი, ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ ძალიან განვიცდიდი იმას, რომ მე მაშინ არ წავედი და არ დავბრუნდი ჩემს სახლში. და აი, მოახლოვდა უკვე მისაღები გამოცდები... ჩემმა ქმარმა მითხრა, რადგანაც ჩვენ ახლა აგარაში ვცხოვრობთ, ძალიან ძნელი იქნება ჩემთვის შენი თბილისში გაშვება, ამიტომ ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება, ცხინვალის ინსტიტუტში რომ ჩააბაროო. ბევრი ქმარი სულაც არ გაუშვებდა თავის ცოლს სასწავლებლად, ამიტომ იძულებული ვიყავი, დავთანხმებოდი. სხვა გზა არ მრჩებოდა. სხვათა შორის, ჩემი დედამთილიც დაინტერესებული იყო, რომ მე სწავლა გამეგრძელებინა, იმიტომ, რომ იცოდა ჩემი შესაძლებლობების ამბავი. სიმართლე გითხრათ, არც მოემზადებულვარ, უბრალოდ ბოლოს, მისაღები გამოცდების წინ ცოტა გადავხედე, გადავიმეორე და გავედი მისაღებ გამოცდებზე. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ცხინვალის ინსტიტუტის დოცენტი იყო და თანამშრომელი, ისეთი ტიპი იყო, რომ საკუთარი შვილი კი არა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, დაუმსახურებელ ნიშანს არ დაუწერდა, ანუ – ეს ვარიანტი ჩემთვის გამორიცხული იყო იმიტომ, რომ ვიცოდი, მამაჩემი არავის არაფერს სთხოვდა იმის გამო, რომ მე მისი შვილი ვიყავი, პირიქით. ერთხელ ჩემს კლასელზე ვთხოვე, გეხვეწები რა, შენთან გამოცდა აქვს და სამიანი დაუწერე-მეთქი, და ორიანი დაუწერა. კარგა ხანს ვტიროდი, რატომ შემარცხვინე-მეთქი, და მერე სულ მეუბნებოდა, ხო ისწავლა და სამიანზე ჩამაბარა და არ ჯობია, ის სამიანი თავისით რომ მიიღოო?! თანაც ის ბიჭი ხშირად იყო ხოლმე ჩვენთან და რატომ შემარცხვინე-მეთქი, ვტიროდი დიდხანს. ვიცოდი, რომ მამაჩემი ამას არ გააკეთებდა და გავედი ჩემი საკუთარი თავის იმედად. ოთხი გამოცდა უნდა ჩამებარებინა: ქართული ენა, ზეპირი, ისტორია და უცხო ენა. გერმანულს ვაბარებდი. ქართული წერის გამოცდა იყო პირველი და ასეთი თემა დავწერე, მახსოვს კიდევაც – „მოძღვრება მიჯნურობასა

და შაირობაზე „ვეფხისტყაოსანში“. მაშინ ასე იყო, პირველი გამოცდის შედეგს იგებდი და ისე გადიოდი მეორე გამოცდაზე. გულის ფანცქალით ველოდი, რა ნიშანს მივიღებდი. მაშინ შეფასების ხუთბალიანი სისტემა იყო და ხუთიანი მივიღე ამ პირველ გამოცდაში. ისეთი ბედნიერი და კმაყოფილი დავბრუნდი სახლში, რომ... ცხინვალში ვიყავი მაშინ. რაღაცა ამაყი ვიყავი ძალიან. მეორე გამოცდაზე გავედი, მეორეზეც ხუთიანი მივიღე, ისტორიაშიც ხუთიანი მივიღე და უცხო ენაშიც. შეზღუდული იყო ადგილების რაოდენობა და ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვხვდებოდი. სწორედ იმ წელს დაემთხვა, რომ გუმბარიძემ (საქ. კომ. პარტიის ცკ პირველი მდივანი 1989-1990 წლებში) გამოუშვა კანონი – დადებითი ქულებით ვინც იყო, ყველა ჩარიცხეს. კიდევაც ვიცინოდი ხოლმე, რატომ ვინერვიულე ამდენი-მეთქი, თუკი მაინც ჩავირიცხებოდი...

სტუდენტობის წლები ძალიან კარგად მახსენდება. ორი წელი ვსწავლობდი ცხინვალში. მერე ამ ცნობილი მოვლენების გამო, ომის გამო, გადავედით გორში. ძალიან კარგი კურსი იყო ჩვენი. ახლო ურთიერთობა მქონდა კურსელებთან და ლექტორებთანაც, რა თქმა უნდა. ძალიან კარგად მახსენდება ავთო ცოტნიაშვილი, უახლეს ქართულ ლიტერატურას მასწავლიდა და თან მამაჩემის ბავშვობის მეგობარი იყო, ისიც მამაჩემის ხასიათის, რთული ხასიათის კაცი იყო ძალიან, მაგრამ თავისებური და თან ძალიან საყვარელი. ვიანორ ახალაია ენის ლექტორი იყო, მეხრიკიძე, შოთა ქურდაძე, ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ და მიხაროდა ყოველთვის მათთან ურთიერთობა. და აი, ეს ომი რომ დაიწყო, ერთი მომენტი მოვახერხე რაღაცნაირად ჩასვლა ცხინვალში და მერე უკვე თქვეს, იძულებულნი ვართ, გორში გადავიდეთო. იმიტომ რომ შეუძლებელი იყო ქართველების იქ გაჩერება. ჩვენი დეკანი იყო ვანო ხაბალაშვილი. ვანოსთან, პრინციპში, მთელი ჩემი ბავშვობაა დაკავშირებული იმიტომ, რომ იყო მამაჩემის კარის მეზობელი, საოცარი ბუნების კაცი, არაჩვეულებრივი პიროვნება, ასეთი, მკვეთრად ოსური აქცენტი ჰქონდა. არაჩვეულებრივი ცოლი ჰყავდა და თვითონ ვანო იმდენად მიყვარდა, რომ ბავშვობაშიც ხშირად მივდიოდი მათთან და მერე უკვე სტუდენტი რომ გავხდი, რომ ჩავიდოდი ცხინვალში, აუცილებლად ვანო უნდა მენახა. ოსი იყო, ხაბალოვი, გადაკეთებული ჰქონდა გვარი. აი, ვანოზე რატომ ვამახვილებ ყურადღებას, ახლავე გეტყვი. ინსტიტუტში თუ ვერ ვნახავდი, სახლში რომ მოვიდოდი, აუცილებლად შევირბენდი და კისერზე ჩამოვეკიდებოდი ხოლმე. ბუთქუნა კაცი იყო და სიგიჟემდე მიყვარდა. ძალიან კარგი კაცი იყო... პარტისტორიას გვიკითხავდა. დაიწყებდა ხოლმე ლენინზე და სტალინზე ლაპარაკს და ჩვენ სულ ვაშაყირებდით, ზურგს უკან ვიცინოდით ხოლმე სტუდენტები მის აქცენტთან დაკავშირებით, მაგრამ ისე ყველას უყვარდა ძალიან. და აი, მახსოვს, ჩამიკრა გულში ვანომ და მითხრა, ხომ არასოდეს დამივიწყებო, არა-მეთქი, მე ვუთხარი, როგორ შემიძლია თქვენი დავიწყება-მეთქი.

ჩვენ წავედით უკვე გორში, იქ გავაგრძელეთ სწავლა და ერთი მომენტია, ავთო ცოტნიაშვილის ბიჭი, ახლა გორის უნივერსიტეტის რექტორია, ზაზა ცოტნიაშვილი მხვდება, ერთად ვსწავლობდით მაშინ. ისიც ცხინვალის ინსტიტუტ-ში სწავლობდა, ოღონდ ერთი წლით არის ჩემზე დიდი. ჩვენ ბავშვობიდან ვმეგობრობდით, ერთად გაზრდილები ვართ. ზაზა მხვდება და შეშლილი სახე აქვს: „ნინო, რა მოხდა, იციო?“ „რა მოხდა-მეთქი?“ შეჩვეულები ვიყავით, რომ

აუცილებლად ცუდი რაღაც უნდა მომხდარიყო. ე. ი. ეს ის პერიოდია, როცა ძალიან ბევრი ჩემი ახლობელი დაიღუპა ამ ომში, ძალიან ბევრი ტკივილი და უბედურება გადავიტანეთ და აი ამ ტკივილს უკვე შეჩვეულები ვართ და „რა მოხდა-მეთქი", ვკითხე. ვიცი, რომ ცუდი რაღაც უნდა მომხდარიყო იმიტომ, რომ კარგი მაშინ არაფერი ხდებოდა და „იციო, ქართველებმა ვანო დაიჭირესო და ისე სცემეს, ისე სცემესო, რომ სულ დასისხლიანებული იყოო და მერე სტუდენტები მივედითო (როგორ გაიგეს ამის შესახებ, არ ვიცი), როგორღაც იყო, გამოვგლიჯეთ ხელიდან და ცხინვალში შევიყვანეთო.

აი, რატომ ვამახვილებ ამაზე ყურადღებას, ე. ი. არ იყო აქ ოსი და ქართველი. უბრალოდ ეს არის ომის კანონი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ქართველები რაღაცას დააშავებდნენ, ოსები ასმაგად უარესს აკეთებდნენ, ოსები დააშავებდნენ და ქართველები უხდიდნენ სამაგიეროს და ასე, ვანო იმ წუთას ხელში მოხვდათ, როგორც ოსი. მაგრამ არ შეიძლებოდა, ვინც ვანოს იცნობდა, ყველას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ის ისეთი პიროვნება იყო, ქართველების წინააღმდეგ არასოდეს არ წავიდოდა. და ეს იყო იმხელა შოკი ჩემთვის, რომ კარგა ხანი ვერ გამოვდიოდი მდგომარეობიდან. ყოველთვის იმას ვფიქრობდი, ვაიმე, ვანოს რომ შევხვდები, როგორ უნდა შევხედო თვალებში-მეთქი. სირცხვილის მომენტი მქონდა, რომ ქართველებმა ეს გააკეთეს, ნუთუ ვანო არ იციან, ვინ არის-მეთქი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოსებმა ნაკლები რამე გააკეთეს.

ძალიან კარგად მახსენდება სპარტაკი მინდოდაშვილი, ჩვენს სკოლაში სწავლობდა, ოთხი წლით უფროსი იქნებოდა ჩემზე, შეიძლება ხუთითაც. და რატომ დამამახსოვრდა ეს ბიჭი? აი, მთელი სკოლა ეჭირა ხელში. „სპარტაკა მოდის, სპარტაკა მოდისო", – როგორც კი გამოჩნდებოდა. ათლეტური აღნაგობის, ძალიან კარგი გარეგნობის ბიჭი იყო. და აი, ამბობენ, რომ სპარტაკა მოკლეს ოსებმაო. სპარტაკამაც, როგორც კი დაიწყო ეს არეულობა, იარაღი აიღო ხელში და იბრძოდა ქართველების დასაცავად, ასე ვთქვათ. დაუჭერიათ ეს სპარტაკა, ერთადერთი შვილი იყო თავისი მშობლებისათვის. ჯერ გამოსასყიდი მოითხოვეს. მთელმა სოფელმა შეაგროვა ეს თანხა, სოფლიდან იყო, თუ არ ვცდები, ერგნეთიდან. კი, ერგნეთიდან იყო და ერგნეთი გადაბმული იყო ცხინვალზე. ფული გაუგზავნეს. ფული რომ გაუგზავნეს, მერე ხელი მოუჭრიათ და ხელი გამოუგზავნეს. წამებით მოკლეს და, როგორც იქნა, დანაწევრებული სხეული გამოუგზავნეს მშობლებს. რომ გაკვეთეს, ქვები ჰქონდა გადაყლაპული. აი, ქვები გადააყლაპინეს... ასეთი წამებით სიკვდილი, მე არ ვიცი!

რამდენი ასეთი შემთხვევის გახსენება შემიძლია. აი, მაგალითად, ბიცოლაჩემის ძმას ხერხით მოაჭრეს თავი, პავლე მინდოდაშვილს. პავლე დევიძე, ჩემი საყვარელი მასწავლებელი იყო, მის ნათესავებს ისე გაუსწორდნენ, რომ ცოლი ქმრის თვალწინ გააუპატიურეს, მამამთილი მოკლეს და ქმარი ტყვედ აიყვანეს. რა ვიცი, ძალიან ბევრი ასეთი შემთხვევა იყო, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ხომ მესმოდა, რომ ოსებმა ეს გააკეთეს, ქართველებმა ეს გააკეთეს, აი, არასოდეს, აი, დღემდე არ გამჩენია ოსებისადმი ზიზღი. რატომ ხდება ეს, არ ვიცი. როგორც ჩანს, ეს ჩემს ბავშვობასთან არის დაკავშირებული. არაფრით არ მინდა დავიჯერო, რომ ზოგადად ოსები ასეთები არიან. ეს წარმოუდგენელია.

აი ამიტომ ვიმეორებ სულ ასე, რომ ეს ომის კანონია, ომის კანონია, რომ ეს ბუნებრივი რეაქციაა. ისინი რაღაცას აკეთებენ, ქართველებიც აკეთებენ იმასვე, ტყვედ აყვანა გინდა, ხალხის ხოცვა გინდა თუ ა. შ. და ა. შ.

ჩვენი მეზობელი იყო ცნობილი ოსი მწერალი რევაზ ასაევი. ახლა, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ცნობილი პოეტი იყო რევაზ ასაევი და ძალიან პატივსაცემი პიროვნება. რევაზ ასაევი მამაჩემის მეგობარი იყო და ხშირად მოდიოდა ჩვენთან სტუმრად. საღამოობით იკრიბებოდნენ ხოლმე და ჩაის ერთად სვამდნენ, საუბრობდნენ... ათას რამეზე საუბრობდნენ ხოლმე და ყოველთვის, რომ დაწერდა ლექსს, პირველად მე მაკითხებდა. მომიტანდა და მეტყოდა: «Ниночка, вот новое стихотворение!» ქართულადაც მელაპარაკებოდა და რუსულადაც. წავიკითხავდი ხოლმე ლექსს და ძალიან ამაყი ვიყავი... სულ ვამბობდი, რომ რევაზმა ახალი ლექსები დაწერა და წამაკითხა. და, სხვათა შორის, უკვე რომ გამოიკვეთა ჩემი სიყვარული ლიტერატურისადმი, უკვე სტუდენტი რომ ვიყავი, რევაზ ასაევისგან გავიგე, რომ გალაკტიონთან ჰქონდა ძალიან ახლო ურთიერთობა. გალაკტიონი სამჯერ არის ცხინვალში ნამყოფი და სამჯერვე რევაზ ასაევთან ყოფილა სტუმრად. მან სურათებიც გადმომცა გალაკტიონთან ერთად გადაღებული. ამაზე სტატიაც დავწერე და გამოვაქვეყნე კიდევაც. სულ აღნიშნავდა, განსაკუთრებული ბუნების ადამიანი იყოო გალაკტიონი, ისეთი არ იყოო, როგორიც გარეგნულად ჩანდაო, სულ სხვანაირი იყოო. ბევრს მიყვებოდა ხოლმე. ძალიან ბევრ ცნობილ პიროვნებასთან ჰქონდა ურთიერთობა და აი მაშინ, სანამ ჯერ კიდევ ომი დაიწყებოდა, მამაჩემი და რევაზი რომ საუბრობდნენ ხოლმე და მეც იქ ვიყავი ხშირად, რევაზი ამბობდა, რომ აი, ამ მესამე ძალის ჩარევით კარგი არაფერი მოხდებოდა, ეს ცუდ რამესთან მიგვიყვანდა აუცილებლად და გადაიზრდებოდა დაპირისპირებაში. ეს ყველამ იცოდა, რა თქმა უნდა, ყველა აცნობიერებდა, ოსებიც და ქართველებიც; მაგრამ, როცა უკვე მიდგება საქმე მკვლელობასთან და ხოცვასთან, ვეღარ აცნობიერებ, რომ ამაში მესამე ძალაა ჩარეული და მოდი, გაჩერდი რა! შენ შვილი მოგიკლეს და მოდი, გაჩერდი, სამაგიერო არ გადაუხადო ოსს ან ქართველს.

ჩვენი სკოლის დამთავრების 10 წლისთავის ბანკეტი უნდა ყოფილიყო. დამირეკეს ჩემმა კლასელებმა, თამარაშენში ვიკრიბებითო. წავედით, რა თქმა უნდა. ეს იყო, 1989-ში დავამთავრე სკოლა და ეს იყო 1999 წელი, დაახლოებით. შემოვლითი გზა არსებობდა. თამარაშენი ქართველების კონტროლირებადი ტერიტორია იყო და იქ უნდა ჩავსულიყავით. ჩასვლა არანაირი პრობლემა არ იყო, მხოლოდ ცხინვალზე ვერ გახვიდოდი იმიტომ, რომ ცხინვალს უკვე რუსები და ოსები აკონტროლებდნენ. ჩავედით. ეს ბანკეტი ძალიან კარგად მახსენდება. თითქმის ყველა ჩემი კლასელი ვნახე და ძალიან ბედნიერი ვიყავი. რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ ბევრს ვერ ვხვდებოდი იმიტომ, რომ თითქმის ყველა იქვე დარჩა, აი ამ ქართულ სოფლებში ცხოვრობდნენ: ქურთა, კეხვი, აჩაბეთი, თამარაშენი და ა.შ. იქ ვნახე ჩემი ერთ-ერთი კლასელი კახა ინაური. ეს კახა არის ნინო პოპიაშვილის დეიდაშვილი. კახას ბავშვობიდან ვუყვარდი. და მეც ძალიან მიყვარდა, როგორც მეგობარი. რომ გაუგია ჩემი გათხოვების ამბავი კახას, მაშინვე უთქვამს, მე ცოლს აღარ მოვიყვანო. ამას მერე უკვე ნინო მიყვება, – „ისეთ დღეში იყოო, რომ ძლივს გამოვიყვანეთ მდგომარეობიდანო.“ მერე წავიდა და იქ რა მოხდა, არ ვიცი. მოკლეს. ერთი ძმა ჰყავდა, დათო, ისიც რუსეთში მოკლეს. აი, მაშინ ვნახე იქ ბოლოჯერ კახა და ისეთი ბედნიერი და კმაყოფილი იყო, სულ ამბობდა, – „რა კარგია, რომ შევხვდით, ამ ომმა დაგვაცილა ერთმანეთსო“.

იქ იყო კიდევ ერთი ჩვენი კლასელი, ბონდო, რომელიც ასევე ძალიან მიყვარდა და რომელიც აი ამ ბანკეტის შემდეგ ძალიან მალევე, დაახლოებით ორ თვეში, გავიგე, რომ ოსებმა ჩაცხრილეს მანქანაში და ეს კიდევ ერთი შოკი იყო ჩემთვის.

აი ძალიან ბევრი ცუდი რამე მოხდა, ძალიან ბევრი ცუდი რამე. ძალიან ბევრი ჩემი ახლობელი დაიღუპა ამ ომში, მაგრამ მაინც, ნეტავ, თუ ვეღირსები იმ დღეს, რომ აი ეს აღარ არსებობდეს – ოსი და ქართველი და ეს დაპირისპირება რაღაცნაირად დამთავრდეს.

სხვათა შორის, რაღაცნაირად აქეთკენ მიდიოდა ყველაფერი აი ამ ბოლო პერიოდში. ყველა ამბობდა, რომ რაღაც დათბა ურთიერთობები. ქართველები და ოსები შერიგდნენ კიდევაც და ეს ყველაფერი აისახა ლიტერატურაშიც. მე მქონდა იმის საშუალება, მამაჩემის წყალობით, რასაკვირველია, შემეძლო იქაურ პრესას გავცნობოდი. მამაჩემს სულ ჩამოჰქონდა ხოლმე. ცხინვალში გაზეთი გამოდიოდა – „სამხრეთ ოსეთი“, ვლადიკავკაზში კი ჟურნალი „დარიალი“, სადაც ძირითადად ოსები აქვეყნებდნენ ხოლმე რუსულ და ოსურ ენებზე. მე ოსურადაც ვკითხულობ, მაგრამ ძირითადად რუსულ ენაზე დაწერილს ვეცნობოდი, მაინტერესებდა ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები და რაღაცნაირად, როდესაც უნივერსიტეტში დავიწყე მუშაობა და უკვე დავინახე ჩემი თავი, მივხვდი, რომ მე უნდა დამეწყო მუშაობა ოსურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობაზე, ეს მე შემეძლო რომ გამეკეთებინა და საერთოდ, თუკი რამის გაკეთება მინდოდა, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ეს ცხინვალთან და ოსებთან დამეკავშირებინა. არაერთი სტატია მაქვს დაწერილი. ამის საშუალება მე მქონდა. როგორც უკვე გითხარით, მამაჩემს გამოჰქონდა ეს ჟურნალები, გაზეთები და ვეცნობოდი სიახლეებს. აი, მანამდე, ასე ვთქვათ, არაფერი არ იყო ხელჩასაჭიდი, რამე რომ მეთქვა. სულ ისეთი ლექსები თუ ნარკვევები ქვეყნდებოდა, რომ «убийцы грузины» და რაღაცა.

უკვე ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ, რომ ოსების მხრიდან ეს დამოკიდებულება, ეს ურთიერთობა რაღაცნაირად დათბა და ნელ-ნელა ოსურ პრესაშიც გამოჩნდა ისეთი ლექსები, როგორიც არის მაგალითად, «Грузинке«, «Наш двор». ზინაიდა ხუჯაევაა ამ უკანასკნელის ავტორი. როდესაც წავიკითხე მისი ლექსი, იმდენი ვიტირე, იმდენი ვიტირე, მოვიკალი თავი ტირილით:

«Кавказ утомленный в крови,
Кавказ без дружбы и любви,
А ты, грузинка, теперъ мне враг,
А мы росли в одних дворах...»

ამ სიტყვებით ამთავრებს ლექსს ავტორი:

«Гиви, Тамрико,
Не уходите далеко».

ანუ, ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიყოთო. ისეთი არაჩვეულებრივი ლექსია და ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ აი ეს ზინაიდა ხუჯაევა, მე პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ბევრი რამ მსმენია ამ ქალზე, გამოირჩეოდა ყოველთვის ექსტრემალური მიდრეკილებებით. ექსტრემისტი ქალი იყო და აქტიურად იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ბოლოს გააცნობიერა, სინამდვილეში

რაც ხდებოდა, და აი უკვე ასეთი ლექსების წერა დაიწყო. არა მარტო ეს, ძალიან საინტერესო ლექსები ქვეყნდებოდა და გეუბნებით, რომ ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ, აშკარად, შერიგება შესაძლებელი იყო. იქამდეც კი, რომ მე ურთიერთობა მქონდა ცხინვალის უნივერსიტეტთან, ბევრი ვერ ბედავდა გამოსვლას და ჩვენთან თანამშრომლობას, მაგრამ ამის სურვილი დიდი იყო. აი, მაგალითად, ჩვენ ასეთი პროექტი გვქონდა, მე და თამრიკო პაიჭაძეს, „კონფლიქტების დარეგულირება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა რაკურსიდან“ და ჩვენ დავიწყეთ იმაზე მუშაობა, რომ რაღაცნაირად ოსებთან გვქონოდა ურთიერთობა. ძალიან ბევრმა ოსმა გამოთქვა ამის სურვილი, ჩემდა გასაოცრად. მე მქონდა ამის შესაძლებლობა, რასაკვირველია, მამაჩემის წყალობით, და ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა, რომ დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებდა, – „უბრალოდ, აი, რეჟიმია ჩვენთან ისეთი, რომ გაგვიგონ, სამსახურიდან მოგვხსნიანო“; მაგრამ მაინც, ჩუმად, ამას აკეთებდნენ. რაღაც ფორმით მოდიოდნენ ჩვენთან თანამშრომლობაზე.

და, როგორც ჩანს, მე ამას ვაბრალებ ყველაფერს, დაინახეს, რომ ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა დათბა და ჩათვალეს, რომ ომი აუცილებელი იყო და ისევ ხელმეორედ გააღვივეს ეს ყველაფერი ქართველებში და ოსებში, და აი სწორედ ამას ვუკავშირებ ამდღევანდელ მოვლენებს, ამ ომს. სხვათა შორის, ყველა ერთხმად აღიარებს ამას, ვისთანაც მე მაქვს ურთიერთობა, ქართველებიც და ოსებიც, „დრო ყველაფრის მკურნალიაო“, ამბობენ. ნაწილობრივ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, თუმცა ყველაფრის მკურნალი მაინც არ არის დრო.

ძალიან ძნელია უთხრა დედას, რომელსაც შვილი მოუკლეს, რომ, იცი რა, დრო გავიდა და შენ შეეგუე იმას, რომ შენი შვილი ასე მხეცურად და სასტიკად მოკლესო. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, რაღაცა ქართველებმაც და ოსებმაც გააცნობიერეს, რომ მაინც უერთმანეთოდ ყოფნა წარმოუდგენელი იყო, თუმცა თვითონ ცხინვალში შეინიშნებოდა ორი კატეგორია ხალხის: ერთნი ფიქრობდნენ, – „ჩვენ ქართველებთან უნდა ვიყოთ და სხვა გამოსავალი ჩვენთვის არ არსებობს“; მეორე ნაწილი ხალხისა კი ფიქრობდა, – „არა, ჩვენი ერთადერთი ხსნა არის რუსეთთან ურთიერთობა“, მაგრამ ეს იყო ძალიან მცირე ნაწილი, მე რამდენადაც ვიცი. კი არ დავიჩემებ, რასაკვირველია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ძალიან ბევრ ოსთან მქონდა ურთიერთობა ამ წლების განმავლობაში და მათგან ვიგებდი აი ამ ინფორმაციას და ყველა ერთხმად აღიარებდა, – „არა, აშკარად შეცვლილია ჩვენი პოზიცია“.

მეც პირადად ასე ვფიქრობდი, ქართველებიც ამასვე ფიქრობდნენ, ეს ყველაფერი არ უნდა მომხდარიყო! თვითონ მოსახლეობა შერიგებულიც კი იყო, აი იქამდეც კი, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხინვალში ჩადიოდნენ ქართული სოფლებიდან გლეხები ჩვეულებრივად და ყიდდნენ ყველს, ბოსტნეულს. გლეხი მიდიოდა ბაზარში ჩვეულებრივად, ქართველი გლეხი და ყიდდა თავის საქონელს, და არც ერთი ოსი არ უშლიდა ამას – შენ ქართველი ხარ და რატომ ჩამოდიხარ ცხინვალში და რატომ ყიდი აქო.

მე ერთადერთხელ ვიყავი ჩასული მამაჩემთან ამ წლების განმალობაში. განა არ მქონდა ჩასვლის საშუალება, მაგრამ რატომღაც მამაჩემი სულ მიშლიდა, მაინც მეშინია და არ ჩამოხვიდეო. როცა ჩავედი მამაჩემთან, სულ რაღაც ერთი დღე ვიყავი, საღამოს ისევ უკან გამოვბრუნდით. მანქანით ვიყავით ჩვეულებრივად,

სხვათა შორის, უპრობლემოდ შევედით, მამაჩემთანაც უპრობლემოდ ვიყავით; მაგრამ მამა ჩამოდიოდა ხოლმე ხშირად, თვეში ერთხელ აუცილებლად ჩამოდიოდა და გვეუბნებოდა, მაინც მეშინია, არ ვიცი ყოველ წუთას რა შეიძლება მოხდეს და ნუ ჩამოხვალთ, მე ჩამოვალო. ერთადერთხელ ვიყავი ჩასული, მაგრამ ოსები ჩამოდიოდნენ თვითონ თბილისში, ან სატელეფონო საუბრები გვქონდა. აი ასეთი დამოკიდებულება და აზრები იყო მათგან წამოსული, ეს აშკარად ასე იყო. გეუბნებით, ბოლოდროინდელ ლიტერატურაშიც კი გამოჩნდა. არადა, სრულიად რადიკალურად იყო განწყობილი ადრინდელი ოსური მწერლობა, ასე ვთქვათ, ბოლო პერიოდამდე, ბოლო სამი წლის განმალობაში შეინიშნებოდა სიტუაციის დათბობა, როგორც გითხარით. თუ გაინტერესებთ, მე შემიძლია ეს ყველაფერი გაჩვენოთ, იქ გამოქვეყნებული, და თქვენი თვალით ნახოთ ყოველივე.

ახლა ცოტა იქით გადავინაცვლოთ. ერთი წელი დამჭირდა დაახლოებით, რომ შევგუებოდი ჩემს ყოფას. უკვე სტუდენტი ვარ, ვსწავლობ, რაღაცა უკვე საქმეც გამიჩნდა, ვმეცადინეობ, ლექციებზე დავდივარ და აი, ჩემმა მამამთილმა მოიფიქრა, რომ მოდი ეხლა, მივალ, სკოლის დირექტორს დაველაპარაკები და იქნებ შესაძლებელი გახდეს, სკოლაში დაგაწყებინოთ მუშაობაო. რაღაცა, უმნიშვნელო თანამდებობაც რომ იყოსო, კარგია, გახვალ სახლიდან, შენთვისაც კარგი იქნება, სახლში რომ ზიხარ, სულაც არ მინდაო. და მართლაც წავიდა იმ სკოლის დირექტორთან, მისი მეგობარი იყო და იმანაც უთხრა, კი ბატონოო. მაშინ რუსული სექტორი იყო იმ სკოლაში და შესთავაზა რუსულ სექტორში, დაბალ კლასში ქართულის მასწავლებლად მუშაობა. პირველი კურსის სტუდენტი ვარ და თან ვმუშაობ, კვირაში უნდა ჩამეტარებინა ორი საათი. მახსოვს, რა ბედნიერი ვიყავი!

ესე იგი, 17 წლის ვარ და სკოლაში მასწავლებლად უნდა დავიწყო მუშაობა. ამიხსნეს, რა უნდა გამეკეთებინა, როგორ უნდა გამეკეთებინა, ყველა მეხმარებოდა და ძალიან დიდი ენთუზიაზმით შევუდექი მუშაობას. ისე მოხდა, რომ ამ პერიოდში მე-11 კლასი იყო ძალიან რთული ქართულ სექტორში. სამი ქართულის მასწავლებელი გამოიცვალეს. ვინც შედიოდა, ყველა გამორბოდა უკან და ყველა ერთხმად ამბობდა, მხეცები არიან, მერხებს ფანჯრიდან ყრიან, ლეწავენ ყველაფერს და ა.შ. და ა.შ. და ბოლოს ერთი ქართულის მასწავლებელი იყო, ვარდო, ყველაზე მკაცრი ქალი, ეს ქალიც კი გამოიქცა იმ კლასიდან და აი, მიბარებს დირექტორი. ვიფიქრე, კი გამიკვირდა თავიდან, რა საქმე უნდა ჰქონდეს დირექტორს ჩემთან, და მეუბნება: გვარი არ მახსოვს იმ კაცის, ლეო კი ერქვა და მეუბნება: – „ნინო, შენთან ერთი თხოვნა მაქვსო, გეხვეწები, ოღონდ ეს თხოვნა შემისრულე და მერე რაც გინდა, ის მთხოვეო“. – „რაშია საქმე, ბატონო ლეო?“ – „ერთი რაღაც მოვიფიქრე და თუ გაამართლებს, გაამართლებსო და თუ არ გაამართლებს, შენც კარგად იყავი და მეც ვეცდები, რომ კარგად ვიყოო. ესეთი და ესეთი კლასიაო ეს მეთერთმეტეო, შენც ხომ გსმენია, ყველა მასწავლებელი გამოიქცა ამ კლასიდან და გეხვეწები, უნდა შეხვიდე ამ კლასშიო“.

გავგიჟდი, მე მეთერთმეტე კლასში როგორ უნდა შევიდე-მეთქი, ერთი წლით ვარ ამ ბავშვებზე უფროსი?! – „აი, სწორედ მაგიტომ გადავწყვიტეო. იქნებ რაღაცა ბიჭების მხრიდან მორიდების მომენტი გაჩნდესო, მხეცები არიანო, ვერაფრით ვეღარ ვიმორჩილებთო, იქნებ რაღაცა მორიდების მომენტი იყოს, ახალგაზრდა გოგოს რომ დაინახავენო, ან იქნებ ვიღაც გაგეპრანჭოსო“, –

პირდაპირ მითხრა. ,,რა ვქნა, აბა, ყველას ხომ ვერ გავრიცხავ სკოლიდან, მოდი, ვეცადოთო". გავშტერდი, ისიც მომერიდა, უარი რომ მეთქვა და თან შიშმაც ამიტანა. კარგით-მეთქი, ვუთხარი. – ,,ხვალვე, გეხვეწები, შედიო". ვფიქრობ ახლა, ან გაკვეთილი როგორ უნდა ჩავატარო ამ მე-11 კლასთან, ან როგორ უნდა მოვახერხო, როგორ შევიდე და ვუთხრა, – ,,დაჯექით, ეს გააკეთეთ, ის გააკეთეთ", როცა ფაქტიურად ჩემი ასაკის ბავშვები არიან თითქმის.

დიდი ამბით ვემზადებოდი მეორე დღისთვის. სახლში მივედი და ვამბობ, ასეთი და ასეთი ამბავია. ჩემი ქმარი გაბრაზდა, ,,ეგ ხომ არ გაგიჟდაო, ახლა შენ რომ იქ ვინმემ რაღაცა გითხრას, ვიღაცა შემომაკვდებაო". ყველა ღელავს ჩემთან ერთად. ჩემი დედამთილი ნერვიულობს, ,,ვაიმე, ჩემი სიკვდილი, ახლა შენ რომ განერვიულონ, მე გავგიჟდებიო" და არის მთელი ამბავი ოჯახში. გამოვიპრანჭე მეორე დღეს საგანგებოდ. ზუსტად მახსოვს, მე-3 გაკვეთილი იყო ქართული, უნდა შევიდე და ესეთი წარმოდგენა მქონდა, რომ შევალ გაკვეთილზე, უცბად ატეხენ წივილ-კივილს, როგორც ახასიათებდნენ ამ ბავშვებს. ვიცნობდი სახეზე, ვინც იყვნენ, მაგრამ ახლოს არ ვიცნობდი. შევედი კლასში, ჟურნალი მიჭირავს ხელში და ხელები მიკანკალებს. სამარისებული სიჩუმეა. ხმას არავინ იღებს. ,,ვაიმე, ვიძახი, – ეხლა რა ვქნა, არც ყვირიან, არც არაფერს არ ამბობენ. აი ეხლა რაღა ვქნა?!" მერე მოვიფიქრე, რომ სია ამომეკითხა. იმდენად დაბნეული ვიყავი, რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. დავიწყე სიის ამოკითხვა. ამოვიკითხე სია, გავეცანი ამ ბავშვებს და ვუთხარი: ,,ბავშვებო, მე მესმის, რომ თქვენთვის ძალიან რთულია, ჩემთვისაც რთულია, ბავშვებს რომ გიწოდებთ-მეთქი, მაგრამ როგორ მოგმართოთ, სახელებს დავიმახსოვრებ-მეთქი და რა ვიცი, მე დამავალეს, რომ თქვენი ქართულის მასწავლებელი უნდა ვიყო და თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, მე დიდი სიამოვნებით ვიქნები თქვენი ქართულის მასწავლებელი-მეთქი" და ერთი გია იყო, ყველაზე ცელქი ბიჭი, ასე ვთქვათ, ის ადგა და მითხრა: ,,ნინო მასწავლებელო, – ასე მომმართა, – ჩვენ დიდი სიამოვნებით ვიქნებით თქვენი მოსწავლეები და მე პირობას გაძლევთ, – ასე, ძალიან კაცურად თქვა, – რომ ხელს გაკვეთილში არავინ არ შეგიშლითო". და თვალები გამიფართოვდა – ,,ახლა რაღა გავაკეთო?" ვერაფრით ვერ მოვერგე სიტუაციას. რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვიყავი, როგორც იქნა გაცნობა-გამოცნობაში დამთავრდა გაკვეთილი და რომ გამოვედი, ერთი ათი მასწავლებელი იდგა კლასის კართან და ლეოს გაფართოებული თვალები: – ,,რა ხდებაო?" მითხრა. ,,არაფერი-მეთქი, მშვიდობაა". შემიყვანა თავის კაბინეტში და წვრილად მომაყოლა, რაც მოხდა. ვუთხარი, ,,ასე თქვეს, ასე თქვეს". – ,,აი, ხომ ვიცოდი, გაამართლაო. ვნახოთ, ერთ კვირას შევხედოთო". ეხლა მეორე დღისთვის საგანგებოდ ვემზადებოდი, როგორ უნდა ამეხსნა ამ ბავშვებისთვის გაკვეთილი, როგორ უნდა დამეინტერესებინა. სარკესთანაც ვიდექი და ვყვებოდი. თან ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ, საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, ისე კარგად დაიწყეს ბავშვებმა სწავლა, რომ ოროსან ბიჭებსაც კი ოთხიანები გამოყვათ; დღემდე მეგობრობენ ჩემთან; მირეკავენ და მოდიან სტუმრად. ასე დაიწყო ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა. რომ დაინახეს, მე-11 კლასთან კარგად გავართვი თავი, მერე უკვე გადმომიყვანეს ქართულ სექტორზე. თან ვმუშაობდი, თან ვსწავლობდი. თან ეს პერიოდი უკავშირდება იმას, რომ ცხინვალში ომია

გაჩაღებული. მე ძალიან განვიცდი. ჩემი და უკვე ჩემთან არის. დედაჩემმაც როგორღაც მოახერხა გამოსვლა ცხინვალიდან, მაგრამ მამაჩემი კატეგორიულად ამბობს, რომ ცხინვალიდან არ გამოვა.

ცხინვალის ამბებს აფხაზეთის ამბებიც დაემატა. თვითონ აგარა, სადაც მე ვცხოვრობდი, ცხელ წერტილად ითვლებოდა იმიტომ, რომ ოსურ სოფლებთან იყო ახლოს და მუდმივად იყო – „ამ სოფელში ეს გაიტაცეს, იმ სოფელში ეს დააყაჩაღეს“. თვითონ აგარაში ძალიან ბევრი ოსი ცხოვრობდა და შეიქმნა ბიჭების ჯგუფები, რომლებიც დადიოდნენ, ამ ოსურ მოსახლეობას აწიოკებდნენ და ყრიდნენ სახლებიდან. ამას მე თავად შევსწრებივარ და ჩემი თვალით მინახავს, როგორ დადიოდნენ ეს ბიჭები და... როგორც ჩანს, ომს ესეც ახასიათებს, რომ ვიღაცეები ითბობენ ხოლმე ხელს. ეს მაშინ კარგ საქციელად ითვლებოდა, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდ ტკივილს მაყენებდა ყოველთვის, მაგრამ ისეთი სიტუაცია იყო, რომ მე ჩემს აზრს ხმამაღლა ვერ ვამბობდი იმიტომ, რომ ყველა გიჟად ჩამთვლიდა. ოსები საყოველთაოდ მოიაზრებოდნენ ქართველების მტრებად და მე გამოვდიოდი მაშინ მოღალატე, ეს რომ მეთქვა, „ნუ ყრით ამ ხალხს...“ არადა ამას ისე განვიცდიდი, ისე განვიცდიდი, ისე მტკიოდა გული, ხორცი რომ ჩამოაჭრა ადამიანს, ისე. მე ხომ ვიცოდი, რომ ეს ხალხი არაფერში არ იყო დამნაშავე. ისინი მხოლოდ იმაში იყვნენ დამნაშავენი, რომ ოსები იყვნენ, ეთნიკური ოსები. იგივე ხდებოდა სამაჩაბლოში, ოსურ სოფლებში, იქიდანაც ქართველებს ყრიდნენ და საბოლოო ჯამში ისე მოხდა, რომ განთავისუფლებულ სახლებში, საიდანაც ოსები გაყარეს, იქიდან გამოყრილი ქართველები ჩასახლდნენ; აქედან გაყრილი ოსები კი წავიდნენ და ოსურ სოფლებში ჩასახლდნენ. „ბაევიკების“ ჯგუფები ოსების ქონებას ანადგურებდნენ, უფრო სწორად, ითვისებდნენ. ეს ყველაფერი გრძელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს იყო ძალიან რთული და მტკივნეული პროცესი ყველასათვის. აი ამ „ბაევიკების“ სახელებიც და გვარებიც ვიცი, ყველასი, მაგრამ შეგნებულად არ ვასახელებ, ბევრი დღეს ცოცხალი აღარ არის. ამ „ბაევიკების“ თვითონ ქართულ მოსახლეობასაც ეშინოდა იმიტომ, რომ, რასაც მოინდომებდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, განუკითხაობა იყო. რამდენადაც მე ვიცი, იარაღი ამ ადამიანებს მთავრობისგან ჰქონდათ. ეს იარაღი თავის დასაცავად დაურიგეს. მე თვითონ შევესწარი ამას, სკოლაში დარეკეს და თქვეს, „სასწრაფოდ დატოვეთ სკოლა, ოსები მოდიანო“. აგარაში ხდება ეს. აგარა ძალიან ახლოს იყო ოსურ სოფლებთან და მახსოვს, როგორ გამოვრბოდით, როგორ გამოგვყავდა ბავშვები, როგორ დავცალეთ კლასები. ყველა მასწავლებელი იღებდა ამაში მონაწილეობას და როგორი განწირულები მოვდიოდით, მახსოვს ეს მომენტი. ერთ მომენტში გავიფიქრე, „ოსები რომ მოდიან, მერე რა?“ მაგრამ, რადგანაც ყველა გარბოდა, მეც დავემორჩულე და დავცალეთ სკოლა. ანუ საფრთხე, რასაკვირველია, იყო, ეს იარაღი სწორედ იმიტომ დაარიგეს. ეხლა როგორ მოხდა და რანაირად მოხდა, მე ეს არ ვიცი, მაგრამ ძალიან დიდი რაოდენობით რომ იყო მოსახლეობაში იარაღი, რომელიც თავის დასაცავად დაურიგეს, ეს ყველამ იცოდა.

ჩემი ქმარი, როგორც გითხარით, 14 წლით უფროსი იყო ჩემზე, კარგი გარეგნობის ბიჭი იყო და ძალიან ვაჟკაცური, 2 მეტრა სიმაღლე ჰქონდა, და ისიც, ვერ ვიტყვი, დაახლოებული იყო-მეთქი ამ, ექსტრემისტები დავარქვათ,

მაგრამ კარგი ურთიერთობა კი ჰქონდა მათთან. ერთად გაზრდილები იყვნენ, ბევრი მისი ბავშვობის მეგობარი იყო. მე ეს სულაც არ მომწონდა და სულ ვეუბნებოდი, ,,არა აქვს მნიშვნელობა, ქართველს მოკლავ თუ ოსს მოკლავ, ეს ადამიანი ხელს აწერს კაცის მოკვლაზე და ის არ შეიძლება კარგი ადამიანი იყოს-მეთქი". ხშირად ვკამათობდით ამაზე. – ,,როგორ, კაცო, ერთად გაზრდილები ვართ!" – ერთ ტიპზე ამბობდა და ყოველთვის იცავდა. მე სულ პირველ ჩვენებას ვაწვებოდი და ვამბობდი, ,,არ შეიძლება ის ადამიანი კარგი იყოს, რომელიც მიდის და კლავს, არა აქვს მნიშვნელობა – ვის! ადამიანს ხომ კლავს-მეთქი." და ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება. ჩემი ქმარი მოვიდა სახლში და რაღაცა უჭირავს ხელში. დიპლომატივით იყო. და მე არასოდეს, დღესაც არ მახსოვს, რომ ჩემი შვილის ჯიბეში ჩამეყოს ხელი, არც ჩემი ქმრის ჯიბეში. არ მიყვარს ასეთი რაღაცეები. ხშირად ისე გამირეცხავს შარვალი და ,,სარორჩკა", რომ შიგ ფული ყოფილა. მეუბნებოდა ჩემი ქმარი, ,,ჩაყავი, გოგო, ხელი და ნახე, იქნებ რა დევს შიგნით". აი, არ მიყვარს. არ ვიცი, ასეთი რა ტვინში დამარტყა, ან კიდევ რა მომივიდა, ან რა ძალამ მიმიყვანა იმასთან; კი გამიკვირდა ახლა, დიპლომატი უჩვეულო იყო ჩემი ქმრისათვის, ანუ დიპლომატით არ დადიოდა არასოდეს და რატომღაც დავინტერესდი, რა იდო ამ დიპლომატში. რატომ? – დღესაც არ ვიცი. როგორც ჩანს, რაღაც წინათგრძნობა მქონდა თუ რა იყო, არ ვიცი. რომ წავიდა მეორე დღეს თემური, მივედი და კარგა ხანს ვიდექი იმ დიპლომატთან. ვფიქრობ – ,,გავხსნა, არ გავხსნა, გავხსნა, არ გავხსნა". აი, წინასწარ არ ვიცი, რა უნდა ყოფილიყო შიგნით; არც არანაირი გრძნობა არ მქონია, რომ რაღაცას ველოდი, მაგრამ აი, რომ უნდა გამეხსნა, ეს ვიცოდი და ამას ვაღიარებ, რომ შეიძლება ძალიან ცუდი საქციელი იყო და არ უნდა მექნა, არ უნდა გამეხსნა, მაგრამ თან ვიცოდი, რომ უნდა გამეხსნა. ბოლოს მაინც გადავწყვიტე, მივედი ამ დიპლომატთან და გავხსენი, და რომ გავხსენი, მახსოვს, რომ დავეცი სიმწრისაგან და აი ასე კარგა ხანს ვიჯექი იატაკზე გაოგნებული და რა გამეკეთებინა ამის მერე, აღარ ვიცოდი. დიპლომატი რომ გავხსენი, შიგ იყო საბუთები, ოსი ქალისა და კაცის პასპორტები და მე უკვე მივხვდი, რაც ხდებოდა. მე, რა თქმა უნდა, ამას ვერ დავუშვებდი, რომ თემური ამაში იყო გარეული, მაგრამ უკვე ასი პროცენტით მივხვდი, რომ ვიღაცეები დახოცეს, ოსები, და ეს მათი საბუთები ამას მისცეს, რომ დაემალა თუ შეენახა, თუ რა ხდებოდა, არ ვიცი. აი, ეს მომენტი არასოდეს არ მითქვამს, სხვათა შორის, არავისთან. პირველად ვამბობ და ალბათ უნდა მეთქვა იმიტომ, რომ ისე დიდხანს მაწუხებდა ეს ყველაფერი, ისე დიდხანს მაწუხებდა, რომ ხშირად ვფიქრობდი ამაზე. არავისთვის არ მითქვამს, არა, არც ახლობლისთვის, არც არავისთვის. შემზარა ამ ყველაფერმა და გამიჩნდა ზიზღი, თემურის მიმართ ზიზღი. როგორ-მეთქი ახლა, ჯერ ვფიქრობდი, ნუთუ ესეც იმათთან ერთად არის? მერე ვფიქრობდი, ნუთუ, დავიჯერო, არ იცის, ამ დიპლომატში რა დევს? და ზუსტად ამ დროს, რა ვიცი, ბედი იყო თუ რა იყო, მეზობლის ქალი შემოვიდა და ცოლ-ქმრის სახელსა და გვარს ასახელებს, ზუსტად იმ პასპორტებში რომ ამოვიკითხე, მტკვარში იპოვეს მკვდრებიო, დახოცილებიო. მე იმათ არ ვიცნობდი, სადღაც იქითკენ ცხოვრობდნენ თურმე. ავდექი უხმოდ, ხმა არ ამომიღია, ავედი ზემოთ, მეორე სართულზე და ვტირი, ვტირი, თავს ვიკლავ

ტირილით, რა უნდა ამ ყველაფერს ჩემს სახლში და როგორ მოხდა ეს, რატომ აღმოჩნდა ესე და ამ თემურის რატომ აქვს ეს ყველაფერი. როცა თემური მოვიდა და სახეზე შემომხედა, მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც საშინელება ხდებოდა. ვაჩვენე, დიპლომატისკენ მივუთითე და ვუთხარი, მე გავხსენი-მეთქი. მითხრა, ხომ იცი, რომ მე მხოლოდ მომცეს და ერთი დღე უნდა შემენახაო. მეტი ჩვენს შორის არაფერი თქმულა, ან – „რატომ გააკეთე, ან – რატომ გამოართვი". ისეთი პროტესტი მქონდა, ისეთი პროტესტი მქონდა, რომ თვითონ მისი დანახვაც არ მინდოდა, სიმართლე რომ გითხრა. ჩემთვის უკვე აღარაფერს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ისე მტკივნეულად განვიცადე ეს ყველაფერი, რომ კარგა ხანს ვერ გამოვდიოდი მდგომარეობიდან. მართლაც მეორე დღიდან ის დიპლომატი გაქრა, მაგრამ სულ ყურში მედგა იმ ქალის ნათქვამი, მიმინო ერქვა იმ ჩვენს მეზობელს, – ესა და ეს ადამიანები მტკვარში დახოცილები იპოვესო. ეხლაც მახსოვს იმათი სახელები და გვარები. დიდხანს ვფიქრობდი, ეს რა ხდება, რატომ ვარ მე, ღმერთო, ასეთი უბედური, რატომ უნდა გადავიტანო ეს ყველაფერი მე-მეთქი.

სულ შიშში და უბედურებაში გავატარე მთელი ეს პერიოდი. სულ ველოდებოდი, რომ აი იქიდან რაღაცას მეტყვიან. ეს ყველაფერი უპირველესად მამაჩემთან იყო დაკავშირებული, რომ დამირეკავენ და მამაჩემზე მეტყვიან რაღაცას. მუდმივად მესმოდა, – „ეს მოკლეს, ის მოკლეს, ეს მოხდა, ის მოხდა"... ნუ, საშინელება ხდებოდა. და აი ერთხელაც ჩამოდის მამაჩემი და ყვება, ჩავლილი ამბავიაო; ეტყობა, ყველა ადამიანს შუბლზე აწერია, როდის უნდა მოკვდესო, თორემ მე თუ ამ სიტუაციას გადავრჩებოდი, არაფრით არ მეგონაო. რა ხდება-მეთქი? საერთოდ მამაჩემს ასეთ თემებზე არ უყვარს ლაპარაკი, არც არასდროს ყვება არაფერს, პირიქით, ყოველთვის ამბობს ხოლმე, რომ ყველაფერი კარგად არის, რომ ძალიან კარგად გრძნობს თავს. – „ისე გახშირდა შემოვარდნაო, ისე მალ-მალე გვივარდებოდნენ ხოლმე ოსები სახლშიო, რომ ბოლოს კარს აღარ ვკეტავდიო; რაც სახლში მქონდა, ხომ ყველაფერი წაიღესო". სხვათა შორის, ვანო ხაბალაშვილი რომ ვახსენე, ის ვანო იფარავდა ხოლმე. როგორც კი მოდიოდნენ ოსები, ვანო შევარდებოდა, ვანო და მისი ოჯახი და ეუბნებოდნენ, – „ეს ჩემია". მერე მალავდნენ ხოლმე მამაჩემს და ამბობდნენ, რომ თითქოს სახლი მათი იყო, რომ თითქოს მამაჩემისგან მათ იყიდეს. – „შემოცვივდნენ ოთახში ოსი „ბაევიკები" და მითხრესო, შენ ქართველი ხარ, შენ აქ დარჩი და ახლა დედას გიტირებთო; დამადო ერთ-ერთმა შუბლზე იარაღი და მითხრა, ახლა ყველაზე მეტად ვინც გიყვარს, ის გაიხსენე და იფიქრე, რომ აღარასოდეს აღარ შეხვდებიო. მე, რა თქმა უნდა, შენ და თამუნა გამახსენდითო. რომ გამოკრა ჩახმახს ხელი, არ გავარდაო. გავახილე თვალი და ვიფიქრე, ცოცხალი ვარ-მეთქი. მერე ოსურად შეაგინა მეორეს და უთხრა, ეს რა მომაწოდეო, დაუმიზნა, ესროლა და ამ ბიჭს ფეხში მოხვდაო. შემომიტრიალდნენ და მითხრესო, შენ ან გიჟი ხარ, ან ბედი გაქვს ისეთი, რომ არ უნდა მომკვდარიყავიო და ასე უხმოდ გავიდნენ სახლიდანო. მე ვიცოდი, ვინც იყვნენ ისინიო, სახელები და გვარებიც ვიცოდიო. უბრალოდ გულდასაწყვეტი ის იყო, რომ, ვინც ერთ დროს ძალიან დიდ პატივს მცემდა, სწორედ ისინი მოვიდნენ ჩემს მოსაკლავადო".

ერთხელ, მორიგი ჩამოსვლის დროს, თქვა, ვლადიკავკაზიდან ბრუნდებოდნენ აი, ის ბიჭები, რომლებიც მაშინ ჩემთან იყვნენ შემოსულნი, ზვავი ჩამოწვა, ზვავში

მოყვნენ და დაიღუპნენო. მამა ამაზე ძალიან ნერვიულობდა, – „საწყლები, ახალგაზრდები...“ არც ერთხელ არ გაუხსენებია, არ უთქვამს, რომ აი, ასე გამიკეთესო. ხომ შეიძლება, გულში მაინც ჰქონოდა. არ უთქვამს. ესეთი რაღაცა, პირიდან არ ამოსვლია. უბრალოდ ამბობდა, „ვაიმე, როგორ შემეცოდნენ, ერთ-ერთი ძალიან კარგი სპორტსმენი იყოო“.

სულ ექვსი წელი ვიცხოვრეთ მე და თემურმა ერთად. ერთხელ ისე მოხდა, რომ რომელიღაც სოფელში მიდიოდნენ, ახლა იმ სოფლის სახელი აღარ მახსოვს, რაღაც საქმეზე და ოსებმა ტყვედ აიყვანეს, მანქანა წაართვეს, მისი მანქანა არ იყო, მეგობრის იყო და ყინულზე დააწვინეს. კარგა ხანს იწვნენ ყინულზე, როგორც ჩანს, მაშინ გაცივდა.

ერთი მომენტი მახსენდება კიდევ. ბოლო დროს რომ მოდიოდა ხოლმე სახლში, სულ არეული იყო. ვფიქრობდი, კაცო, ამას რა ემართება-მეთქი. ჩემთან ურთიერთობაში ისეთივე იყო, ძალიან ვუყვარდი, აი ძალიან ვუყვარდი. ეგეთი სიყვარული იშვიათია მართლაც, დღეს რომ ვფიქრობ. ეძინა ერთხელაც და რაღაცნაირად მივუახლოვდი, არათანაბრად სუნთქავდა და ვიფიქრე, ცუდად ხომ არ არის-მეთქი. ესე, ხელი ჰქონდა გადმოწეული და ხელზე რომ დავხედე, ნანემს... ნანემს... ნემსის კვალი იყო. აი მაშინ გამიელვა თავში – ეს წამალს იკეთებს! და რაღაცა ვერ ვიჯერებდი ამას. როგორ შეიძლებოდა ეხლა ჩემი ქმარი, ისეთი ათლეტური აღნაგობა ჰქონდა, რომ... ეხლა, როგორც მე ვიცოდი ნარკომანებზე, ბევრი არაფერი მსმენოდა, მაგრამ, როგორც ვიცოდი, გამხდარი უნდა ყოფილიყო. როგორც წესი, ნარკომანები ასეთები იყვნენ. ეს კი ორმეტრიანი და იმხელა კაცი იყო, რომ ვერ ვიჯერებდი. რომ გაიღვიძა, ვზივარ ასე... შვილი არ გვყავდა. რომ წავედით ექიმთან, გამოირკვა, რომ ჩემი ქმრის ბრალი იყო. რაღაც ისეთი ჰქონდა, რომ წესით მკურნალობას უნდა დაქვემდებარებოდა. სულ ამბობდა, ვმკურნალობ, ვმკურნალობ, ვმკურნალობო. და რომ გაიღვიძა, ასე ვზივარ და ვუთხარი ძალიან წყნარად, ხმამაღლა არაფერი არ მითქვამს, „ეს რა არის-მეთქი“ და ხელზე მივუთითე. უცბად სახე შეეცვალა და მითხრა, „მე არ მინდოდა შენთვის მეთქვა, ეხლა რაღაც ესეთი მეთოდიაო, ახალი, შვილი რომ არა გვყავსო, და ვმკურნალობო. წინასწარ არ გითხარი, რომ იმედი არ მოგცემოდა და აი, ვნახოთ, რა იქნებაო“. ვერ გეტყვი ეხლა, დავიჯერე თუ არ დავიჯერე, მინდოდა, რომ დამეჯერებინა, მაგრამ აი ეს ეჭვი ბოლომდე გამყვა და დღესაც არ ვიცი, სინამდვილეში რა იყო და როგორ იყო, მაგრამ რატომღაც მე ეჭვი მაქვს, რომ მაიმუნობდა.

მერე აღარ შემიმჩნევია. მერე აღარ შემიმჩნევია, მაგრამ რატომღაც მაქვს ეს ეჭვი და ვფიქრობ, რომ არ ვცდები, თუმცა... იმ წრეს რომ დაუახლოვდა, იმიტომ. იმ წრეში ყველა ნარკომანი იყო. რატომ მაქვს ეს ეჭვი? თავისი ბიზნესი ჰქონდა და ეკონომიურად არ გვიჭირდა. და ეხლა ის ადამიანები როგორ იყვნენ, იცი? ოღონდაც ვიღაცას დაახლოებოდნენ და სარგებელი ენახათ. ამიტომ ესეც ჩაითრიეს, თუმცა დარწმუნებით ვერ ვიტყვი. ძალიან მალევე, აი მაშინ, რომ გითხარი, ტყვედ აიყვანეს-მეთქი, დააგვიანა ძალიან, ღამის 4 საათი იყო, როცა მოვიდა. სხვა დროს ეს წარმოუდგენელი იყო. ჩვენ უკვე ცალკე ვცხოვრობდით და არასდროს არ აგვიანებდა იმიტომ, რომ იცოდა, მარტო ვიყავი. ხოდა, მოვიდა სულ სველი, გაუბედურებული, განადგურებული და თქვა, ჩქარა, ცხელი წყალიო,

და ჩაწვა ცხელ წყალში და კარგა ხანი გონზე ვერ მოდიოდა. მერე თქვა, მოყვა, რომ ესე, ესე, ტყვედ აგვიყვანეს, ბალო იყო მაგისი მეგობარი, მანქანა წაართვეს და ყინულზე ვიწექით 8 საათის განმავლობაშიო. მერე ისევ ვიღაცა ნაცნობის წყალობით, ოსი გამოჩნდა ვიღაცა, აი იმისი წყალობით რაღაცნაირად გათავისუფლეს და კიდევ ფულიც წაიღეს. ახლა აღარ მახსოვს, რა თანხაზე იყო ლაპარაკი. მალევე ავად გახდა, სიცხეები დაეწყო, ფილტვების ანთება ჰქონდა. მერე ყველაფერმა ჩაიარა ჩვეულებრივად. დაახლოებით ერთ წელიწადში, თუ ერთი წელიც არ იქნებოდა გასული, ისევ სიცხეები დაეწყო, ყოველდღე – ოცდაჩვიდმეტ-ნახევარი ან ოცდათვრამეტი, მაგრამ იმდენად ჯანმრთელი იყო, რომ არ ემჩნეოდა, რომ სიცხე ჰქონდა. სულ ამბობდა, რაღაც – ტანში მამტვრევსო, გავუზომავდი და სიცხე ჰქონდა. ვეუბნებოდი, „წადი ექიმთან, წადი ექიმთან“, არაფერი – „ეტყობა გავცივდი, ეტყობა გავცივდიო“. ბოლოს, რომ აღარა და აღარ გაიარა ამ ყველაფერმა, მივიდა ექიმთან და «начальная форма цероза», – ასეთი იყო დიაგნოზი, ყველა გაოგნებული დარჩა. ასეთ ჯანმრთელ ორგანიზმს ავადმყოფობა როგორ უნდა მორეოდა. მერე დააწვინეს ისანში, სამხედრო ჰოსპიტალში, ბორის ნიკოლაევიჩ მიზა იყო მისი მკურნალი ექიმი, ეხლაც მახსოვს. ჩაუტარეს გამოკვლევები და ამ კაცმა თქვა, ამან ორჯერ გადაიტანა ფარული ბოტკინიო, ფარული ფორმა, რაც ძალიან ბევრი რამისგან შეიძლება იყოს გამოწვეულიო. შეიძლება ეს ყველაფერი გამოეწვია გაციებას, შეიძლება – ნარკომანიას, შეიძლება – სმას და შეიძლება არაფერს არ გამოეწვია. აი, უბრალოდ მიდრეკილება აქვს ადამიანს. ერთი ფორმა მაინც რომ ადრე გამომჟღავნებულიყო, ძალიან ადვილად განიკურნებოდა. ეს ფორმები არ გამომჟღავნდა და ფეხზე გადაიტანა. დალევით ეგ არ სვამდა. დალევას ვერ დავაბრალებ. როგორც გითხარით, იმ ტყვედ ყოფნის შემდეგ დაეწყო ეს ყველაფერი. გაციებაც იქნებოდა, რა თქმა უნდა, 8 საათი რომ ყინულზე იწვები...

უკვე ნელ-ნელა ეს ბიჭი უკან-უკან მიდის. საავადმყოფოში დააწვინეს. ერთი თვე იწვა აქ, სამხედრო ჰოსპიტალში. რა თქმა უნდა, მე ექიმები არ მიმხელდნენ იმიტომ, რომ ხედავდნენ როგორი ახალგაზრდა ვიყავი, 20 წლის ვიყავი მაშინ, 21 წლის – რომ გარდაიცვალა. მეუბნებოდნენ, რომ «ничего страшного, он будет долго жить» და რაღაც ესეთები, მაგრამ დედაჩემისთვის უთქვამთ, რომ მაქსიმუმ ორი წელი იცოცხლებს, მეტს ვერაო და ისიც აი ამ ჩვენი ჩარევის წყალობით და მუდმივად მკურნალობის ქვეშ უნდა იყოსო. საავადმყოფოდან რომ გამოგვწერეს, ძალიან კარგად გრძნობდა თავს, ჩვეულებრივად გააგრძელა ცხოვრება. ვფიქრობდით, რომ ყველაფერმა ჩაიარა, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონ გულში იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, ხვდებოდა ამას, თუ აცნობიერებდა, არ ვიცი. დიაგნოზი კი იცოდა, მაგრამ ექიმები იმასაც ასე ეუბნებოდნენ, რომ არაფერი არ იყო, დიეტაზე უნდა ყოფილიყო და ყველაფერი თავისთავად გაივლიდა. მაგრამ პატარა ბავშვი ხომ არ იყო, აცნობიერებდა თავის დიაგნოზს. მე კი ვერ ვაცნობიერებდი მაშინ და ვფიქრობდი, რომ აი – სასწაულები ხდება. წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, ერთი წუთითაც ვერ დავუშვებდი იმას, რომ თემურის შეიძლება რაღაცა მოსვლოდა. ეს არაფრით არ მინდოდა, რომ დამეშვა. ნელ-ნელა, ნელ-ნელა ამას ებერება მუცელი; წყალმა დაიწყო მუცელში ჩადგომა, როგორც გამოირკვა მერე და ფეხებმაც დაიწყო დასიება,

მაგრამ სულ ამბობდა, კარგად ვარ, კარგად ვარ, კარგად ვარ და ერთხელაც ბოლოს თქვა – ცუდად ვარო. იმის მერე ორჯერ ჩამოვიდა კიდევ აქ, სამხედრო ჰოსპიტალში, მაგრამ არ დაწოლილა, რაღაცა მკურნალობას უნიშნავდა ექიმი და იმ მკურნალობას სახლში იტარებდა. ერთხელაც თქვა, საღამოს, ვაიმე, რაღაც ცუდად ვარ, გული მერევაო და, ბოდიში და, – სისხლი ამოიღო. მაშინვე დავრეკეთ სასწრაფოში. სასწრაფომ წაიყვანა, ქარელის საავადმყოფოში დააწვინეს და დაიწყო გაურკვეველი რაღაცეების ლაპარაკი. თავის ბებიას ელაპარაკებოდა, რომელიც გარდაცვლილი იყო. ხომ ვხედავდი, რომ ძალიან ცუდად იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაფრით არ მეჯერა, რომ რაღაცა შეიძლებოდა მოსვლოდა. მერე უკვე დაიძინა, სულ მეუბნებოდა, არ მომცილდე გვერდიდანო; მერე რაღაც გამოერკვეოდა და მეუბნებოდა, რომ იცოდე, როგორ ძალიან მიყვარხარ, მე უშენოდ არ შემიძლიაო და მერე უცბად ისევ მიცვალებულებში დადიოდა და რაღაცა... აი ეს რომ მახსენდება, საერთოდ არ ვიცი რა... მერე დაიძინა თითქოს. ამასობაში მოვიდნენ ჩემი დედამთილი, მისი ძმები და ექიმს უთქვამს, „უკვე მორჩა, აგონიაშიაო; წაიყვანეთ სახლში, ამისი გადარჩენა უკვე გამორიცხულია, სახლში დალიოს სულიო“. რომელ მანქანაშიც თემური ჩააწვინეს საკაცით, იმ მანქანაში მე არ ჩამსვეს. მე მეორე მანქანაში ვიჯექი. რაღაც მომენტში მანქანა გაჩერდა და დავინახე ეს ჩემი მაზლი, გადმოსული მანქანიდან, თავში იშენდა ხელებს და უკვე მივხვდი, რაც მოხდა და აი უცბად ჩემთვის მაშინ გავაცნობიერე, რომ ყველაფერი დამთავრდა.

ვფიქრობ, როგორ უნდა ვიცხოვრო, როგორ უნდა გავაგრძელო ცხოვრება, მინდა, რომ ეს გზა არ დამთავრდეს, რომ გადავალ მანქანიდან, როგორ უნდა დავინახო თემური. ყველაზე მეტად ამ მომენტის მეშინოდა. რატომ მეშინოდა, არ ვიცი. ეხლაც ეს შიში ხშირად მაღვიძებს ხოლმე ღამე. როგორც ჩანს, ეს ჩარჩა ჩემში – რომ, ნეტა, ეს გზა არ დამთავრდეს, მე მანქანიდან არ გადმოვიდე და თემური არ დავინახო-მეთქი. აი ეგ მომენტი მქონდა. მოვედით ბოლო-ბოლო სახლამდე და ცოცხალი თავით არ გადმოვდიოდი მანქანიდან. აი, ასე ავიფარე თვალებზე ხელი და ვამბობდი, როცა დამთავრდება ყველაფერი, მითხარით და მერე გადმოვალ-მეთქი. არც ვტიროდი, არც ვკიოდი, არაფერი. თითქოს გარეგნულად ძალიან მშვიდად ვიყავი, მაგრამ ჩემში რა ხდებოდა, ძალიან ძნელი გადმოსაცემია, სიტყვით ამას ვერ გადმოვცემ. ის დღეები, თითქმის არაფერი არ მახსოვს, რა ხდებოდა, ისე უცბად გაირბინა ამ ყველაფერმა და მახსოვს დაკრძალვის დღე.

ძალიან მაგარი თოვლი მოდიოდა. 29 ნოემბერს გარდაიცვალა და 4 დეკემბერს იყო დაკრძალვა, თუ 5 დეკემბერს, და ძალიან მაგარი თოვლი წამოვიდა. ქუჩაში რომ გამოვედით, თოვლი მოდის, ვუყურებ ამ თოვლს და ვხვდები, რომ აი ეს თოვლი არის ცარიელი. როგორ ავხსნა ეს, არ ვიცი, და მეც ისეთივე ცარიელი ვარ, როგორც ეს თოვლი. მივდიოდი, მსიამოვნებდა, ეს ცივი თოვლი რომ მეცემოდა. ისეთი ლამაზი იყო ყველაფერი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემთვის ამ თოვლმაც დაკარგა ძველებური, ბავშვობაში რომ მიყვარდა, ის სილამაზე. ამის შემდგომ ჩემთვის თოვლი გაიგივდა თემურის დაკრძალვასთან და იმასთან, რომ ამ დღეს გული ძალიან მტკიოდა და ისე ვიყავი, რომ ვერც კი ვაცნობიერებდი, რა უნდა გავაკეთო ამის შემდეგ, ან ცხოვრება როგორ უნდა გავაგრძელო, ან რა მოხდება, ამაზე არ ვფიქრობდი, არაფერზე არ ვფიქრობდი საერთოდ. მეგონა, რომ ამის

შემდგომ ჩემს ცხოვრებასაც აზრი აღარ ექნება. მართლაც ისე მოხდა, რომ კარგა ხნის განმავლობაში მდგომარეობიდან ვერ გამოვდიოდი.

ორმოცი არ იყო გასული, დამეწყო საშინელი დეპრესია, მაქვს მაღალი სიცხეები და ძალიან მაგარი თავის ტკივილი. ისეთი თავის ტკივილი მაქვს, რომ სასწრაფო სასწრაფოზე მოდის და ვერ მიყუჩებენ. რას არ მიკეთებენ. არანორმალური თავის ტკივილი მქონდა და ჩემს სახლში ვიყავი, დედამთილ-მამამთილთან არა, ჩემს სახლში. და ბოლოს ისე დავიღალე ამდენი ნემსით, ამდენი ხალხი თავს მეხვევა, დედაჩემი, ჩემი დედამთილი, მეზობლები, – გადით-მეთქი, რა, ყველა ოთახიდან! აი ასე მოვიკიდე თავზე ხელი და ეს თავი გამისკდეს-მეთქი მაინც, ვფიქრობ, იმიტომ რომ ერთი წამიც კი მენატრებოდა, რომ როგორმე უტკივილოდ ვყოფილიყავი. უცბად იღება ოთახის კარი. არ დამძინებია, აი დღემდე ამას დავამტკიცებ. ერთი წუთითაც არ დამძინებია. ამას ვხედავ ჩემი ორივე თვალით. იღება ოთახის კარი. ჩემს ოთახში ვიყავი. რაღაც, კაბინეტივით მქონდა მოწყობილი და ტახტი იყო იქ. ტახტზე ვიყავი მიწოლილი. შემოდის თემური, ზუსტად ისეთივე ფორმაში, როგორშიც დავასაფლავე. არც შემშინებია, არც არანაირი გრძნობა მქონია, უბრალოდ ჩვეულებრივად მივიღე. თავი გტკივაო? – მკითხა. კი, თავი მტკივა-მეთქი, – ვუპასუხე. აიღო ჩემი ხელი და აი ასე დამადო შუბლზე. ხელი ჰქონდა ისეთი სველი და ცივი... აი ეს გრძნობა დღემდე მახსოვს. ისე სასიამოვნო იყო ამ ხელის დადება შუბლზე, რომ თვალი დავხუჭე. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ სიმხურვალე თავიდან გამომდიოდა და ამ ხელში შედიოდა. ნელ-ნელა, ნელ-ნელა, ნელ-ნელა ეს ტკივილი გაქრა, თავი აღარ მტკივა და ისეთი კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, რომ თვალი უნდა გავახილო ახლა. გავახილე თვალი და თემური არსადაა. გავიხედე, საწოლზეც არ ზის და არც ოთახში არ არის. ავდექი ძალიან მშვიდად, წყნარად გამოვაღე კარი და ვამბობ, – „აღარ მტკივა თავი“. ყველას გაუხარდა, როგორ გაგიარაო? „თემური იყო-მეთქი, ამას ვამბობ მშვიდად და ვერ ვხვდები, რომ სასწაულს ვყვები. ეტყობა, ჩათვალეს, აფრენსო. რა იფიქრეს, არ ვიცი და მერე ხშირად მაყოლებდნენ ამას. დღესაც არ ვიცი, რა იყო ეს; არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ასე მოხდა.

...ყველა მთხოვდა, რომ სკოლაში გავსულიყავი და დამეწყო მუშაობა. ძალიან მიჭირდა სკოლაში გასვლა. რაღაცნაირად ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ყველა მე დამიწყებდა ყურებას, თან განადგურებული ვიყავი სულიერად. 21 წლის გოგო, შავებში ჩაცმული – ცუდად ვგრძნობდი თავს ძალიან. ჩემი თანამშრომლები ხშირად მოდიოდნენ, ზოგი ჩემი მეზობელი იყო, და მეუბნებოდნენ, – „გამოდი სკოლაში, გამოდი სკოლაში, რაღაცნაირად უნდა გააგრძელო მუშაობა, ცხოვრება არ დამთავრებულა“ და... ძალიან კარგად მახსოვს, მიყვარდა ძალიან ის ქალი, მანანა მეყანწიშვილი, ქართულის მასწავლებელი იყო და თან ჩვენს კორპუსში ცხოვრობდა პირველ სადარბაზოში; შვილივით ვუყვარდი, ჩემხელა შვილები ჰყავდა და ხშირი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. სკოლიდან რომ მოვდიოდით, ხან თვითონ ჩამოდიოდა ჩვენთან, ხან მე ავდიოდი მანანასთან. მანანა მეუბნება, და ის სიტყვები ცხოვრებაში არ დამავიწყდება, ჩამიკრა გულში და მეუბნება: „როგორც ჩემი შვილი, ისე მიყვარხარ და იცოდე, რომ აი ეს ექვსი წელი, რაც შენ აქ ცხოვრობდი, გავა დრო და სიზმარივით გაგახსენდებაო. შენ ჩათვლი, რომ ეს იყო ერთი სიზმარი, რომელიც ძალიან ცუდად დამთავრდაო. შენ

ისეთი კარგი გოგო ხარ, რომ ცხოვრებაში ძალიან ბევრ კარგს ნახავ და ბევრი სიახლეც გელოდებაო, უნდა იბრძოლო იმისთვის, რომ ცხოვრება გააგრძელო“ და რაღაცნაირად მოვუსმინე, არავის ლაპარაკს არ ვუსმენდი თითქოს, მაგრამ აი ამ სიტყვებმა ძალიან დამაფიქრა.

გავედი მერე სკოლაში და მათემატიკის მასწავლებელი იყო ნინო მაისურაძე, ძალიან უხეში ქალი იყო, მაგრამ შინაგანად ძალიან კეთილი. უხეში იმიტომ იყო, რომ პირდაპირ ამბობდა ყოველთვის იმას, რასაც ფიქრობდა. რაღაც საცოდავად შევედი სამასწავლებლოში, რაღაც სირცხვილის მომენტი მქონდა თუ რაღაც მორიდების მომენტი. უცბად ამოიხედა ნინომ თავისი სათვალიდან, შემომხედა და ძალიან უხეშად მითხრა, რა არის, გოგო, რას დამსგავსებულხარო! აი ესე და გააგრძელა თავისი ჟურნალის შევსება. მეტი არც ერთი სიტყვა არ უთქვამს და უცბად ვიგრძენი, რომ მინდა ტირილი – რატომ მითხრა-მეთქი ესეთი რაღაცა?! ტირილს ხომ არ დავიწყებდი?! როგორც იქნა, შევიკავე თავი და ეხლა მეცინება – სახლში რომ მივედი, კარგა ხანი ვიყურებოდი სარკეში, – რატომ მითხრა, რას დამსგავსებულხარო, და მერე შევამჩნიე, თხუთმეტი კილო მქონდა დაკლებული. წარმოიდგინეთ ახლა, რა დასანახი ვიქნებოდი. ნინომ გამოხატა უცებ თავისი აღშფოთება და მერე უკვე, ჩემდა გასაოცრად, დავიწყე ჩემს გარეგნობაზე ზრუნვა. რომ მივდიოდი სკოლაში, სარკეში დიდხანს ვიყურებოდი, ვფიქრობდი, – „აბა, როგორ გამოვიყურები?“, ანუ – რაღაცნაირად მივუბრუნდი ამ ცხოვრებას.

ეს ის პერიოდია, რომ ინსტიტუტს ვამთავრებ, სახელმწიფო გამოცდები მეწყება, სიტუაცია დალაგებული, რასაკვირველია, არ არის, ისევ არის ცუდი დამოკიდებულება და ცუდი ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის. ეს – მერე და მერე ცოტა დალაგდა სიტუაცია, მაგრამ იმ პერიოდში ისევ ძალიან ცუდად არის ყველაფერი და... აი, მამაჩემი ჩამოდის ჩემთან და მეუბნება, – „ნინო, გეუბნები, არ შემარცხვინოო, აქამდე ხომ არ მითქვამს და არც გჭირდებოდა შენ ამის თქმა, არ ისარგებლო იმით, რომ ქმარი მოგიკვდა და ვიღაცას თავი არ შეაცოდო; სახელმწიფო გამოცდები გაქვს და ნორმალურად უნდა მოემზადოო. მე იქ ვმუშაობ და არ მინდა, ვიღაცამ იმის გამო დაგიწეროს ნიშანი, რომ ეცოდები, ან კიდევ იმის გამო, რომ ჩემი შვილი ხარო. ძალიან გთხოვ, უხერხულ სიტუაციაში ნუ ჩამაგდებო“.

გორის ინსტიტუტზეა ლაპარაკი, მამაც გადმოვიდა გორში. ძალიან მეწყინა მამაჩემისგან ეს სიტყვები, რატომ მითხრა-მეთქი, ჩემთვის გულში ვფიქრობდი, მამები ისე უდგანან-მეთქი მხარში შვილებს, მერე რა მოხდა, ახლა სად მაქვს მეცადინეობის თავი-მეთქი. ყველამ ხომ იცის, რომ მე ყოველთვის კარგად ვსწავლობდი... რაღაცა გავნერვიულდი ძალიან. პირველი გამოცდა მქონდა ავთო ცოტნიაშვილთან, ჩემს საყვარელ ავთო ცოტნიაშვილთან. საცოდავი, ამ ამბებმა ისეთ დღეში ჩააგდო, რომ დიაბეტი დაემართა, ჯერ ერთი ფეხი მოაჭრეს, მერე მეორე ფეხი მოაჭრეს და სასტუმროში ცხოვრობდა. სასტუმროში იბარებს გამოცდებსო, ასე მითხრეს, იქ უნდა მივიდეთ, იქ უნდა ჩავბაროთ გამოცდაო...

არაფრით არ მინდოდა ავთოს დანახვა ასეთ მდგომარეობაში – ორივე ფეხი მოჭრილი და თითქმის დაბრმავებული. ჩემს კურსელებს ვეუბნები, ჯერ თქვენ შედით და ბოლოს მე შევალ-მეთქი. სადღა გავიქცეოდი ეხლა, უნდა შევსულიყავი და შევედი. არ დამავიწყდება: უბადრუკი სასტუმრო, ჩამოგლეჯილი ყველაფერი,

გაუბედურებული და აი, ავთო წევს საწოლში, ორივე ფეხი მოჭრილი აქვს, თითქმის დაბრმავებული, ასე ბალიშზე იყო მიყუდებული. რომ შევედი, გადავეხვიე, გადავკოცნე. „უმე, ნინო, შვილო, შენა ხარო?“ – ერთი მითხრა. მე ვარ-მეთქი, ბატონო ავთო. „მოდი, მე გელოდებოდი, შენთან საქმე მაქვსო. მე ვიცოდი, რაც შეგემთხვა და თუ არ ჩამოხვიდოდი, ზაზასთვის უნდა მეთხოვა (თავის ბიჭზე მითხრა) რომ რაღაცნაირად მოეძებნე, მინდოდა შენთან დალაპარაკებაო“. გისმენთ-მეთქი, ვუთხარი. „მე ჯერ შენთან მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკი და მერე მამაშენს დაველაპარაკებოდიო. მთელი ამ წლების განმავლობაში გაკვირდებოდი, შენ განსაკუთრებული ქალი ხარო („გოგოს“ არასდროს არ ხმარობდა, „ქალი“ – ამ სიტყვის ხმარება უყვარდა). შენგან ძალიან კარგი ლექტორი დადგება და ძალიან გთხოვ, გააგრძელე ასპირანტურაში სწავლაო“. ეს იყო ჩემთვის ისეთი მოულოდნელი შემოთავაზება, ამას ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი. ქმარი ახალი გარდაცვლილი მყავს და რა ასპირანტურა, რის ასპირანტურა. ის კი არა, ფეხზე ძლივს ვიდექი და ვაიმე-მეთქი, ბატონო ავთო, ახლა ისეთი... „არ გამაგონო შენი ხმაო, შენ ამის ყველანაირი შესაძლებლობა გაქვს და მომაწოდე, მანდ პასტა და ფურცელი დევსო“, იქვე სასთუმალთან ედო და მივაწოდე. ხელში დავაჭერინე და მაშინდელ ჩვენს რექტორს მისწერა წერილი: „ბატონო ვიანდერ, გთხოვთ, ნინო მინდიაშვილს რეკომენდაცია მისცეთ ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლადო“. „მე გაკვირდებოდი, შენ კარგად იცი ჩემი ხასიათი, მე საკუთარ შვილსაც კი არ ვეტყვი ამას, თუკი მას ამის შესაძლებლობა არ ექნებაო. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამას ძალიან ღირსეულად შეძლებო. რამდენადაც ვიცი, ახლა ძალიან ცოტა დროღა დაგრჩა რეფერატის დასაწერად და დღესვე, არ წახვიდე არსად, აიღე, მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის ესეებიო, დამისახელა პირდაპირ და დაწერე ერთი ოცგვერდიანი რეფერატი, გეხვეწებიო. ჩათვალე, რომ ეს არის სიკვდილის წინ ჩემი თხოვნა შენთან და ეს თხოვნა უნდა შემისრულოო“. გულში ვფიქრობდი, კი დავეთანხმები, მაგრამ ახლა ამის თავი ნამდვილად არა მაქვს-მეთქი და მითხრა, მამაშენმა აუცილებლად მნახოსო. წამოვედი, გორში ჩემი ბიძაშვილები ცხოვრობდნენ და ვუყვები ამ თამუნას, რომ ესე და ესე მითხრა ავთომ. „მერეო? ეგ ხომ იცი, როგორი კაციაო. წამოდი, ახლავე წავიდეთ საჯაროშიო, გამოვიტანოთ წიგნები, არავის არ შემოვუშვებ, დაჯექი და დაწერე, რა არის ეს შენთვისო“, – თამუნა მიჩიჩხინებს. და ზუსტად ბედად მამაჩემიც იმ დღეს ჩამოვიდა. ხომ იცოდა, რომ გამოცდა მქონდა. გამოცდაზე სხვა დროს დამიბარა. თან მითხრა, „ახლა ამის თავი არა მაქვს, ყველამ იცის ჩემი მდგომარეობა და უფლება მომცეს სხვადასხვა დღეებში დავიბარო სტუდენტებიო.“ მამას ვუთხარი, ავთოს შენი ნახვა უნდა-მეთქი, მაგრამ წინასწარ არ მითქვამს არაფერი, რაზეც მელაპარაკა და ეს წერილიც არ მიჩვენებია. მამაჩემი მოვიდა გაოგნებული ავთოსგან და მითხრა, ნინო, აუცილებლად ეს უნდა გავაკეთოთ, ავთო ამას ტყუილად არ იტყოდაო. ეს შენთვისაც კარგია სამომავლოდ და მეც, მართალი გითხრა, ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ამას ვერ ვბედავდი, შენთვის რომ მეთქვაო, მაგრამ ისე დაჟინებით მოითხოვს ავთო ამის გაკეთებას, რომ წინ ვერ აღვუდგებიო“. მე ვუთხარი, აი ეს წერილი-მეთქი, ვიციო და გავარდა მამაჩემი მაშინვე რექტორთან. გავარდა რექტორთან და, რა თქმა უნდა, იქიდან მოიტანა რეკომენდაცია, რომ მე მიხნობრივ ასპირანტურაში

უნდა გამეგრძელებინა სწავლა და ეს პრაქტიკულად ნიშნავდა გარანტირებულ ადგილს იმიტომ, რომ მიზნობრივი ასპირანტურა იყო, ესე იგი, თუკი უნივერსიტეტი ითხოვდა ამ ადგილს, უნდა დაეკმაყოფილებინათ. და ძალიან კარგად მახსოვს, შავები მეცვა ჯერ კიდევ, წლისთავი არ იყო თემურის გარდაცვალებიდან გასული, ეს რეფერატი დავწერე, მამაჩემი წამომყვა საჯაროში. ყველა წიგნი ავიღეთ, რაც გვჭირდებოდა, რაღაცა საგაზეთო სტატიები იყო კიდევ და სთხოვა მამაჩემმა, საბუთები დაუტოვა თავისი, ერთი ღამით გაგვატანეთო. იქიდან წიგნებს არ ატანდნენ. წამოვიღე და ღამე ვიმუშავე. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულს არაფერს დავწერდი, მაგრამ რაც შემეძლო, დავწერე ერთი ღამის განმავლობაში. ოცგვერდიანი უნდა ყოფილიყო, ასეთი იყო მოთხოვნა.

უახლესის მიმართულებით ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას იმიტომ, რომ ავთო მასწავლიდა სწორედ უახლეს ქართულ ლიტერატურას. და აი, გამოცდაზე რომ მივედი მაგასთან, ეს კიდევ სხვა თემაა, ამას მერე მოგიყვებით.

ჩამოვედით თბილისში. მაშინ კათედრის გამგე იყო რეზო მიშველაძე. რომ ჩამოვედით და შევედით ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე, ძალიან კარგად მახსოვს, ბატონი რეზო ლექციას ატარებდა. შევჩერდით კართან და მალევე დამთავრდა ლექცია. მამა შევიდა ჯერ, დაელაპარაკა, უთხრა, რომ ცხინვალიდან იყო ჩამოსული, რომ ცხინვალში ცხოვრობს და უთხრა ყველაფერი, რაზეც ვიყავით ჩამოსულები და ძალიან დაინტერესდა ბატონი რეზო. ჯერ გაუკვირდა ის, რომ აი ამ სიტუაციაში აღმოჩნდა ისეთი კაცი, ქართველი, რომელიც ცხინვალში ცხოვრობდა და ძალიან დიდხანს საუბრობდნენ. მერე დამიძახა. რომ დამინახა შავებში ჩაცმული ვიყავი (მამამ მანამდე უთხრა ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ), ძალიან თანაგრძნობით მომიდგა და მითხრა: „შვილო, შენთვის ეხლა ახალი ცხოვრება იწყება, მე ლამის შენხელა შვილი დავმარხეო, მაგრამ რა ვქნა, ცხოვრებას ვაგრძელებ და ამიტომ შენც უნდა შეეცადო, ცხოვრება გააგრძელო და ამაში ჩვენ ყველა ერთად დაგეხმარებითო“. შემიყვანა და გამაცნო კათედრის წევრები. ძალიან კარგად მახსოვს, ქალბატონი რუსუდან ბურჯანაძე იყო იქ, ქალბატონი თამარ პაიჭაძე იყო და მაკა შინჯიაშვილი. მოვიხიბლე მაშინვე ამ ადამიანებით და ძალიან კმაყოფილი დავბრუნდი სახლში. ერთი სული მქონდა, როდის დაიწყებოდა გამოცდები. მაგრამ მანამდე სახელმწიფო გამოცდები უნდა ჩამებარებინა. ყველა სახელმწიფო გამოცდა ჩავბარე გორში, ერთადერთი დამრჩა – ავთო ცოტნიაშვილთან. მივედი ისევ სასტუმროში და ძალიან კმაყოფილმა ვუთხარი, რაც თქვენ მთხოვეთ, ყველაფერი გავაკეთე-მეთქი და დიდი მადლობა გადავუხადე, მე ამას ვერც კი წარმოვიდგენდი-მეთქი. თვითონაც ძალიან კმაყოფილი იყო. ეტყობოდა, რომ უფრო ცუდად გრძნობდა თავს. მითხრა, აბა დავიწყოთ ეხლა გამოცდაო და პირდაპირ მეუბნება, მე მაინტერესებს, ჭოლა ლომთათიძეზე რა იციო. პირი დავაღე. იმიტომ რომ ყველა საკითხი მომზადებული მქონდა და ერთადერთი, რომელიც არ ვიცოდი, ეს იყო ჭოლა ლომთათიძე. გაოგნებული ვუყურებ ავთო ცოტნიაშვილს, თვითონაც რაღაც ეშმაკურად იცინოდა. ხოდა, რაო, რატომ გაჩუმდიო, – მეუბნება. ბატონო ავთო, რაც გინდათ, მკითხეთ, ეს არ ვიცი-მეთქი. აი, ვიცოდი, რომ ესე იქნებოდაო, მაშინვე თქვა, რატომღაც ასეა, ჭოლა ლომთათიძეს არავინ არ სწავლობსო. წადი ახლა, მე შენ ნიშანს არ დაგიწერ, თუ გინდა

სამიანს დაგიწერო. პირი დავაღე, როგორ შეიძლებოდა, ასპირანტურაში ვაპირებდი ქალი ჩაბარებას და სამიანს მიწერდა... მეორედ რომ მივედი, „რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, ეხლა შენ ყველაფერი იციო", მითხრა, ერთი-ორი კითხვა დამისვა ზოგადად, დამიწერა ხუთიანი და გამომიშვა. მერე მითხრა, „მე მინდოდაო, რომ ასი პროცენტით დარწმუნებული ვყოფილიყავი შენშიო, ახლა დარწმუნებული ვარ და სინდისი სუფთა მაქვსო". წამოვედი. ასე დავამთავრე ცხინვალის ინსტიტუტი, სახელმწიფო ინსტიტუტი და ძალიან მალევე ჩემთვის დაიწყო ახალი ცხოვრება.

მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მე რაღაცნაირად უნდა წამოვსულიყავი იქიდან, აგარიდან, იმ პერიოდში ჯერ კიდევ აგარაში ვცხოვრობდი. ძალიან ვნერვიულობდი იმაზე, როგორ მეთქვა ამის შესახებ ჩემი დედამთილისთვის და მამამთილისთვის. შვილი მოუკვდათ და მე მათთვის შვილის ტოლფასი ვიყავი, ისე მიყურებდნენ, ძალიან ვუყვარდით. ძალიან მიჭირდა, ყოველ შემთხვევაში, ამის თქმა. ამის შესახებ იცოდნენ, რასაკვირველია, მე რომ ასპირანტურაში ვაბარებდი, ძალიან უხაროდათ და მონდომებულებიც იყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონვე აცნობიერებდა ჩემი დედამთილი, შემდეგ რა მოყვებოდა ამას, მაგრამ ხმამაღლა არ ამბობდა. მერე დედაჩემმა მითხრა, მე დაველაპარაკები, შენ ნუ ნერვიულობო, მაგრამ უარი ვუთხარი. ჯობია მე დაველაპარაკო-მეთქი, მაგრამ ეს გაცილებით გვიან მოხდა. ანუ, მე რომ ასპირანტურაში ჩავაბარე, რამდენიმე თვის შემდეგ წამოვედი იქიდან საბოლოოდ.

ძალიან კარგად მახსოვს ასპირანტურის გამოცდები. ორი საგანი უნდა ჩამებარებინა: სპეციალობა – უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია და უცხო ენა. რამდენადაც მახსოვს, სამი ადგილი იყო სულ. ერთი მიზნობრივი, ჩემი ადგილი, მეორეც მიზნობრივი, ბათუმელი გოგო იყო ერთი, ფარასტაშვილი ეკა და თეა მეგრელიშვილი, ერთი ადგილი იყო უნივერსიტეტის. რომ გავდიოდით გამოცდაზე, გავიცანით მაშინვე ერთმანეთი, კიდევ სხვებიც იყვნენ და თქვეს, რომ ტარიელ კვანჭილაშვილიაო მანდ ერთ-ერთი პროფესორი და ძალიან ისეთი კაცია, რთული კაცი, მკაცრიო, და ყველას ეშინოდა გამოცდაზე გასვლა. მეც, რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი. გავედი. მკითხეს გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია და მესამე საკითხი არ მახსოვს, სამი საკითხი იყო. თავიდან ცოტა ისე დავიწყე საუბარი, მაგრამ მერე გავთამამდი და ძალიან თავისუფლად ვსაუბრობდი. ბატონი რეზო მოწონების ნიშნად თავს მიქნევდა, კომისიის წევრები იყვნენ: ბატონი რევაზ მიშველაძე, ტარიელ კვანჭილაშვილი, ბატონი ტარიელი, ქალბატონი მზია ძაძამია, ქალბატონი რუსუდან ბურჯანაძე და კიდევ ვიღაც იყო, აღარ მახსოვს – ვინ. გალაკტიონზე რომ გადავედი, მეუბნებოდნენ, ყოჩაღ, ყოჩაღო, საიდან ხარო. ვუთხარი, რომ გორის უნივერსიტეტი დავამთავრე, ანუ – ცხინვალის უნივერსიტეტი. მერე დაინტერესდნენ იმით, რომ მე ცხინვალელი ვიყავი, რაღაცები მკითხეს. იქ რა მდგომარეობაა, როგორ არის, როგორ გამოხვედით და ბოლოს ბატონმა ტარიელმა მითხრა: „მე იშვიათად ვინმე მომეწონოსო და ძალიან მომეწონეთო. თუ შეიძლება, თუ არ შეწუხდებიო, – ძალიან თბილად მომმართა, – ძალიან მინდა, რომ გალაკტიონის ნებისმიერი ლექსი წამიკითხო, ან რომელიც შენ გაგიხარდება, ნებისმიერი პოეტისო". დიდი სიამოვნებით-მეთქი, ვუთხარი და წავიკითხე გალაკტიონის ლექსი. ძალიან კმაყოფილი მისმენდა, მერე ხელზე

მაკოცა და აი, ასე გამოვედი გამოცდიდან აღფრთოვანებული. ვამბობდი კიდევაც, რა უნდოდათ ამ ტარიელ კვანჭილაშვილისგან, არაჩვეულებრივი კაცია-მეთქი. ეს გამოცდაც ჩავაბარე, სპეციალობაში ხუთიანი მივიღე. გერმანულში – ოთხიანი, ჩავირიცხე ასპირანტურაში და ძალიან კარგად მახსენდება ასპირანტურაში სწავლის წლები. მაშინვე ძალიან დავუახლოვდი კათედრის ყველა წევრს და აი, ეს იყო უკვე ჩემთვის მეორე ოჯახი, იმდენად კარგად და კომფორტულად ვგრძნობდი თავს, რომ უნივერსიტეტში მისვლა ყოველთვის მიხაროდა.

სადისერტაციო თემად ავირჩიე „მურმან ლებანიძის პუბლიცისტური ლირიკა“ და დავიწყე თემაზე მუშაობა. მერე ბატონმა რეზომ მითხრა (ჩემი ხელმძღვანელი იყო), კარგი იქნება თვითონ მურმან ლებანიძესთან თუ მიხვალო. ტელეფონის ნომერიც მომცა და მითხრა, „დაურეკე და ალბათ დიდი სიამოვნებით შეგხვდებაო“. რომ დავურეკე ბატონ მურმან ლებანიძეს და რომ გაიგო მასზე სადისერტაციო თემას ვწერდი, აღფრთოვანდა და მითხრა, სასწრაფოდ მოდი ჩემთანო. პლეხანოვზე ცხოვრობდა და მივედი მასთან სახლში. ძალიან კარგად მიმიღო, ძალიან ბევრი მასალა მომცა – მასზე გამოქვეყნებული სტატიები, რაც კი არსებობდა, ყველაფერი ჰქონდა და ეს ყველაფერი გადმომცა და მითხრა, თუკი რამე დაგჭირდება ან თუკი რამე გაგიჭირდება, ნებისმიერ დროს შეგიძლია დამირეკოო.

ჩემი ყურადღება მიიქცია – ბატონ მურმანს ჰყავდა ქალიშვილი ფიქრია – რასაკვირველია, მისი ლექსები წაკითხული მქონდა, ფიქრიასადმი მიძღვნილი, მაგრამ აი გამაოცა დამოკიდებულებამ მამასა და შვილს შორის. ეს იყო რაღაცა არა მამაშვილური ურთიერთობა, არამედ უფრო მეგობრული და კიდევ უფრო ახლო ურთიერთობა. თვალებში შესციცინებდნენ ერთმანეთს და მე ეს ძალიან მესიამოვნა. არც მე მაკლდა მამაჩემისგან სითბო, დავუშვათ, მაგრამ აი, რა სახელი ჰქვია ამას, ვერ ვიტყვი, სულ სხვანაირი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. მე მათთან ხშირად მივდიოდი ხოლმე. რომ დავამთავრებდი ერთ თავზე მუშაობას, დისერტაციის ერთ ნაწილზე, მივდიოდი და ვაკითხებდი. შენიშვნებს მაძლევდა, ხან მოსწონდა და ასევე ვტოვებდით. ასე ერთად ვმუშაობდით. მერე გავიგე მალევე, რომ ფიქრია გარდაიცვალა და წარმოვიდგინე, როგორი შოკი იქნებოდა ეს ბატონი მურმანისათვის. სხვათა შორის, როცა თემა დავიცავი, ეს იყო 2001 წელს, დავურეკე ბატონ მურმანს და ვუთხარი, დისერტაციის დაცვა მაქვს-მეთქი, მითხრა, ძალიან მძიმედ ვარ უკვე ავადო და რაღაცა ნემსებს ვიკეთებ, რომლებიც სულ 2 საათით მიყუჩებს აი ამ ტკივილებს და არ მინდა ჩაგაშხამო ეს დაცვა; მე ამას ჩემს პირად გამარჯვებად ჩავთვლიო, მომილოცა და წარმატებები მისურვა, მაგრამ დისერტაციის დაცვაზე არ მოსულა და მალევე გარდაიცვალა.

მერე... იძულებული გავხდი, აგარიდან წამოვსულიყავი. ეს იყო მანამდე, სანამ დისერტაციას დავიცავდი. 1994-ში დავამთავრე უნივერსიტეტი, დეკემბერი იყო, და 1995 წელს ჩავირიცხე ასპირანტურაში. რაღაც მაშინ ესე იყო, რომ გვიან იყო სახელმწიფო გამოცდები. არ ვიცი, მარტო გორში იყო ასე, ცხინვალის უნივერსიტეტი რომ გადმოვიდა, თუ რა ხდებოდა, აღარ მახსოვს. მაგრამ ეს კარგად მახსოვს, რომ ნოემბერ-დეკემბერში დავამთავრე უნივერსიტეტი და იანვარში უკვე ჩავირიცხე ასპირანტურაში. ანუ – რაღაც ერთ თვეში და მე მივედი ჩემს დედამთილთან და ვუთხარი, რომ ვაპირებ აქედან წასვლას იმიტომ, რომ აქ ჩემი

ცხოვრების გაგრძელებას აზრი აღარ აქვს და რაღაზე უნდა დავრჩე-მეთქი. მითხრა, სხვათა შორის, სანამ შენ ამას მეტყოდი, მე დიდი ხანი ვემზადებოდი ამისთვის, რომ ეს შენთვის მეთქვაო, მაგრამ თავს იმიტომ ვიკავებდი, რომ ისე არ გამოსულიყო, თითქოს მე შენი აქ ყოფნა არ მინდაო, პირიქითო, მითხრა, ერთადერთი რასაც ვნატრობ, იმას ვნატრობ, რომ ჩვენ ერთმანეთი არ დავკარგოთო. ხარ ძალიან ახალგაზრდა, შენ ახალი ცხოვრება გელოდება წინ და იცოდე, რომ მე შენ ყოველთვის მეყვარებიო. ამ დროისთვის უკვე გარდაიცვალა ჩემი მამამთილიც. მალევე გარდაიცვალა. და „არ დამკარგოო", – მითხრა. რაზე იყო ლაპარაკი. რასაკვირველია, მე იმ ამაგს ვერასოდეს ვერ დავივიწყებდი, რაც ამ ქალმა ჩემთვის გააკეთა. ბევრი ვიტირეთ, ბევრი ვინერვიულეთ და ასე წამოვედი იქიდან.

დავიწყე ცხოვრება თბილისში. უკვე ვსწავლობდი ასპირანტურაში და თან თემაზე ვმუშაობდი. ჩემთვის დაიწყო ახალი ცხოვრება. აი, ეს ცხინვალის ამბები ჯერ არ იყო მოგვარებული და ჩემი ერთადერთი და მუდმივი საზრუნავი იყო მამაჩემი, რომელიც ცხინვალში რჩებოდა. რაღაც პერიოდულად აირეოდა სიტუაცია, მერე თითქოს დალაგდებოდა, აირეოდა... აი ამას ხომ სჭირდება ნერვები და გამძლეობა. მუდმივად ვიყავი დაძაბული, ვაიმე, ეხლა რა მოხდება... საშველი არა და არ ჩანდა. ხშირად ვთხოვდით ხოლმე მე და ჩემი და მამას, გამოდი მამი, ვინ გყავს იქ, ორი შვილი გყავს, ორივე აქ გყავს, და გყავს ერთადერთი და ისიც აქ გყავს და მანდ რისთვის ჩერდები? მამა ამბობდა, – „მე იმით ვარ ბედნიერი, – მაშინ რაღაც არ მესმოდა თითქოს ამ სიტყვების მნიშვნელობა, – რომ... ვერაფერს ვაკეთებ ისეთს და ყოფილა მომენტები, რომ დავმალულვარ კიდეცო, მაგრამ იმით ვარ ბედნიერი, რომ ქართული ლაპარაკი ისევ ისმის ცხინვალშიო". როგორ, ქართული ლაპარაკი-მეთქი? – „როგორ და მე ჩემს ყოფილ კოლეგებს (მამა რომელ სახლშიც ცხოვრობს, ეს იყო უნივერსიტეტის კორპუსი და ძირითადად სულ უნივერსიტეტის თანამშრომლები ცხოვრობდნენ) ქართულად ვესაუბრები და ესეც მაკმაყოფილებსო." რაღაცა, ვფიქრობდი, რომ ზედმეტად სენტიმენტალური იყო მამა, მაშინ ყოველ შემთხვევაში ასე ვფიქრობდი, მაგრამ აი, ამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დამანახა, რომ ბევრი ადამიანი რომ აღმოჩენილიყო ისეთი, ვინც ასე ფიქრობდა, როგორც მამა, შეიძლება ეს ყველაფერი არც კი მომხდარიყო. ამაში უკვე ღრმად ვარ დარწმუნებული.

იმიტომ, რომ მაშინ ისეთი ისტერია იყო, უცბად ყველამ დაიწყო ქალაქიდან გასვლა, მაგრამ ამაში მოსახლეობასაც ვერ ვამტყუნებ. აი მე თვითონ ქალაქში ვიყავი იმ პერიოდში, ომი რომ დაიწყო ცხინვალში და ასე თქვეს, რომ სამი დღით გავიდეს ქართული მოსახლეობა და მერე ისევ შემოვიდესო, თითქოს სამი დღით ან ერთი კვირით გამოუშვეს მოსახლეობა იქიდან, მაგრამ აგერ უკვე ოცი წელია გასული და ჯერჯერობით ვერავინ ვერ დაბრუნდა უკან ცხინვალში. მამა სულ ამბობდა, – „ქალები და ბავშვები უნდა გასულიყვნენ, მაგრამ ეს კაცები როგორი სირბილით გაიქცნენ იქიდანო... აი ამაზე სულ გაბრაზებულია და დღესაც ამას ამბობს. და მეც, შეიძლება ითქვას, რომ დღეს თითქმის ამ აზრზე ვარ – მოსახლეობა რომ ერთად დამდგარიყო, შეიძლებოდა ასე არ გართულებულიყო მდგომარეობა. აი აფხაზეთის მოვლენები სხვა იყო და ცხინვალი სულ სხვა იყო იმიტომ, რომ ძალიან ბევრი შერეული ოჯახი იყო აქ. ოსი ქალი ქართველზე იყო გათხოვილი, ქართველს ოსი ჰყავდა ცოლად და ასე. ანუ უფრო მჭიდრო ნათესაობა იყო ამ ორ ერში; მაგრამ რატომღაც, სამწუხაროდ, ასე მოხდა.

დავიწყე ეხლა თბილისში ცხოვრება, დავდიოდი უნივერსიტეტში. უკვე ვემზადებოდი იმისთვის, რომ თემა, რაც მქონდა, მინდოდა მალე დამემთავრებინა, ვადაში ჩავტეულიყავი. ეს ის პერიოდია, როცა ჩემი ყველა ნათესავი ცდილობს ჩემს გათხოვებას. იმიტომ, რომ ვიყავი 21 წლის გოგო, შვილი არ მყავდა და, ბუნებრივია, ჩემი მშობლებიც მონდომებულები იყვნენ და ყველა, რომ მე ახალი ოჯახი შემექმნა, მაგრამ მე არ ვფიქრობდი ამაზე, არა იმიტომ, რომ რაღაცა წარმოუდგენელი იყო, – არაფრით არ მინდოდა ხელმეორედ ცხოვრების დაწყება. ისეთი შოკი მქონდა მიღებული... დეიდაჩემმა ძალიან აქტიურად დაიწყო ამაზე მუშაობა. სულ მეუბნებოდნენ, აი ეხლა, გინდა თუ არა, უნდა გათხოვდე, შვილი ხომ გინდაო. ამასობაში ისევ ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი გამომიჩნდა. მაგრამ მე სერიოზულად არავის ვუყურებდი. სადაც ვცხოვრობდი, იმ ეზოში, ახალგაზრდები ცხოვრობდნენ, გოგოები, და ძალიან დავმეგობრდით. ხშირად ვიკრიბებოდით ხან იმათთან, ხან ჩემთან, ხან კარტს ვთამაშობდით, ხან ისე ვერთობოდით. მათთან სტუმრად მოდიოდა ხოლმე ბიჭი, ახალგაზრდა ბიჭი.

ეს ბიჭი რაღაცა უჩვეულო სიტუაციაში გავიცანი. ისიც შავებში იყო ჩაცმული და მითხრეს, რომ ამ ბიჭს ცოლი გარდაეცვალა მოულოდნელად და სამი შვილი დარჩა. ისე შემეცოდა, ისე შემეცოდა, რომ ის გრძნობა დღემდე მახსოვს. ვაი, საწყალი-თქო, – ესე ვთქვი. ვფიქრობდი, როგორ უნდა ყოფილიყო ასეთი ახალგაზრდა ბიჭი სამი შვილის პატრონი! პატარა ერთი თვის დარჩა, ბიჭი იყო 2 წლის და უფროსი გოგო იყო 4 წლის. მერე გავიცანით ერთმანეთი და ამ ბიჭმაც მოუხშირა სიარულს. განსაკუთრებული არაფერი არ შემიმჩნევია. ჩვეულებრივად მოდიოდა და ჩვენთან ერთად ერთობოდა. სახლის წინ სკამი იყო და იქ ხან კარტს ვთამაშობდით, ხან ვლაპარაკობდით. ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე, ის თავისი მეუღლის გარდაცვალე-ბაზე, მე – ჩემი. რაღაცა ერთი სატკივარი გვაერთიანებდა. მეც გავიხსენი და ამ ჩემს გრძნობებზე ვესაუბრებოდი, რა განვიცადე იმ პერიოდში, როცა მეუღლე გარდამეცვალა, და ვერც კი გავაცნობიერე, ისე დავახლოვდით. იმდენად ახლობელი გახდა ეს ადამიანი ჩემთვის, რომ, რა ვიცი ეხლა, რა გრძნობა დავარქვა ამას. ვერ ვიტყვი, რომ შემიყვარდა, ან ვგიჟდებოდი მასზე. არა, ეს იყო უფრო საერთო ტკივილი, რომელმაც გაგვაერთიანა ორი ადამიანი. ვხვდებოდი ხანდახან, რაღაცის თქმა რომ მინდოდა, ვერავის ვერ ვეხსნებოდი, აი ამ ადამიანს ველოდებოდი, რომ მეთქვა. ახალი რაც მოხდებოდა, ყველაფერს ვუყვებოდი და ისიც – ასევე. მოკლედ, ძალიან დავახლოვდით. ეს ის პერიოდია, როგორც ვთქვი, რომ ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი მყავს და ყველა ცოლობას მთხოვს. დეიდაჩემები და ბიცოლაჩემები კიდევ ვიღაცებს მირიგებენ, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ ეს ადამიანი ავირჩიე. რატომ გავაკეთე ეს, ალბათ ვერც ვერასოდეს მივხვდები, არჩევანი შევაჩერე ამ ბიჭზე, გიაზე, და დედაჩემმა ეს ამბავი რომ გაიგო, შოკი ჰქონდა. სულ მეუბნებოდა, რას აკეთებ, ეს ძალიან არასერიოზული ქცევაა შენი მხრიდან, ახალგაზრდა გოგო, თანაც ასეთი პერსპექტიული, ყველაფერი გაქვსო, – მეუბნებოდა, – გარეგნობა, ოჯახი და სამი შვილის მამას მიყვებიო? ეს ბუნებრივია, დედის პოზიცია იყო. მერე თითქოს დავფიქრდი, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ეს ნაბიჯი გადავდგი და უცბად აღმოვჩნდი სამ პატარა ბავშვთან.

მანამდე მე პატარა ბავშვთან ურთიერთობა არ მქონია. მე შვილი არ მყავდა და საახლობლოშიც პატარა არავის ჰყავდა, რომ რაღაცა ფორმით გამოცდილება მაინც მქონოდა. პატარა იყო 1 წლის, ბიჭი იყო 3 წლის და გოგო – 5 წლის,

როცა მე გავყევი და ბავშვები ისე რაღაცნაირად იყვნენ მონდობილნი ჩემზე... მანამდე ოჯახში მივდიოდით ხოლმე. ერთი-ორჯერ რაღაცაზე ვიყავით მე და ეს გოგონები – ნინო და მარინა – და ვიცნობდით დედამისსაც. მამა ამ დროს გიას ამერიკაში ჰყავდა, იქ ცხოვრობდა, ლოს ანჟელესში, 14 წელი და ნუ, აი, რაღაც შეცოდების მომენტი იყო. თანაც რომ დამინახავდნენ ბავშვები, მერე ბავშვებიც მოჰყავდა ხოლმე ხშირად, განსაკუთრებით უფროსი გოგო სოფიკო, შემომეხვეოდა ხოლმე ეს ბავშვი. და რაღაც ისეთი ახლობლები გახდნენ ეს ბავშვები ჩემთვის რომ, რა ვიცი, ვერ ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი ალბათ და აღმოვჩნდი ამ სამი პატარა ბავშვის გვერდით უცბად და რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. დაიწყო ყველაზე რთული ეტაპი ჩემს ცხოვრებაში და რომ დავინახე, რამდენი სიძნელის წინაშე აღმოვჩნდი, უცბად ძალიან შემეშინდა და ისეთ დეპერსიაში ჩავარდი, რომ ჩვენს შორის ურთიერთობაც დაიძაბა. იმ მომენტში რაღაცნაირად პროტესტი გამიჩნდა, „მე არა, მაგრამ შენ ხომ იცოდი, დავუშვათ, მე რაზე მოვდიოდი და რატომ არ შემაკავე“, – ასე ვფიქრობდი მე მაშინ და რაღაც დაიძაბა ჩვენს შორის ურთიერთობა. გარეგნულად ეს არ ჩანდა, მაგრამ შინაგანად მეც ვგრძნობდი და, რა თქმა უნდა, გიაც გრძნობდა. ძალიან ხშირად ვტიროდი იმიტომ, რომ ძალიან რთული იყო უცბად ამ სამ ბავშვს გავმკლავებოდი. დედამთილი არ ცხოვრობდა ჩვენთან. დედამთილი ცალკე ცხოვრობდა. მანამდე, სანამ მე მომიყვანდა, ჩვენთან ცხოვრობდა, მაგრამ მერე გადავიდა. სხვათა შორის, თქვა მაშინვე, ბავშვებს მე წავიყვანო. მე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი. ისიც მითხრა, თუ გინდა, ორ ბავშვს წავიყვან, ან ერთს, ან სამივეს წავიყვან, არანაირი პრობლემა არ არისო, მაგრამ მე უარი ვთქვი. არა-მეთქი, მე ვიცოდი, რომ გიას სამი შვილი ჰყავდა და ვალდებული ვარ, რახან ეს ნაბიჯი გადავდგი, – ასე ვთვლიდი მაშინ და, მე მგონი, მართალიც ვიყავი, სულაც არ ვაპირებდი თავი ამერიდებინა მოვალეობებისთვის.

ერთხელაც მივედი უნივერსიტეტში. დილა იყო. ეს ის პერიოდია, როცა მე უნივერსიტეტში ლაბორანტად ვმუშაობ. ბატონი რეზო იჯდა მარტო თავის მაგიდასთან. ეტყობა შემამჩნია, რომ განერვიულებული და ნამტირალევი ვიყავი. არ ვიცი, რატომ დამიძახა, დამიძახა და მითხრა, „მოდი, ნინო, დაჯექი აქო“. დაჯექი, „გისმენთ, ბატონო რეზო-მეთქი“. მე ვფიქრე, რომ სამსახურთან დაკავშირებით ჰქონდა საქმე. შემომხედა და მითხრა: „შენ რომ ეს ნაბიჯი გადადგი, ყველას პირი ღია დაგვრჩაო. ძალიან მოულოდნელი იყო, მაგრამ იცოდე, რადგანაც შენ ეს ნაბიჯი გადადგი, შენ ძლიერი გოგო ხარო, ძალიან გთხოვ, იმედს ნუ გამიცრუებ, შენი გადაფურთხებული აღარ ალოკოო“. გამიკვირდა, ის, რაღაცნაირად, ცოტა უხეშად მელაპარაკა; მაგრამ რაც მითხრა, მითხრა სიმართლე. „ვიცი, რომ შენ ეხლა გიჭირს, მაგრამ უნდა ეცადო, რომ შენ თვითონვე გაიტანო თავიო“. სიმართლე გითხრათ, ძალიან შემრცხვა. სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა. მერე დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, როგორ ეხლა, ისეთი პატარა არ ვიყავი, ვიცოდი, რაც მოხდებოდა, მართალია, ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ... და აი უკვე შევეცადე რაღაცნაირად სხვა თვალით შემეხედა ამ ყველაფრისთვის. მერე უკვე, – „ვაიმე რა ცუდად ვარ“, ამაზე კი აღარ ვფიქრობდი, არამედ – „რა უნდა გავაკეთო, მორჩა, ეს არის ჩემი ხვედრი, ეს არის ჩემი ბედი და ახლა უნდა შევეცადო, რომ როგორც უკეთესია, ისე გავაკეთო“. და აი დავიწყე უკვე სულ სხვანაირი ცხოვრება. იყო ძალიან ბევრი სიძნელე.

ბავშვები მაშინ ბაღში დადიოდნენ, სოფიო პირველ კლასში იყო, 47-ე სკოლაში დამყავდა. წავიყვანდი ბავშვებს ბაღში, ჩემი მეუღლე წაგვიყვანდა მანქანით, სოფოს მივიყვანდით სკოლაში, მე მივდიოდი სამსახურში, უნივერსიტეტში. მერე გამოვდიოდი სამსახურიდან დაახლოებით I საათზე, გამომყავდა სოფიკო სკოლიდან და მივდიოდით საჯაროში. სოფიკო გაკვეთილებს სწავლობდა, მე ვიჯექი და მასალას ვაგროვებდი, თემაზე ვმუშაობდი, მერე სახლში მოვდიოდი, გამომყავდა ეს ბავშვები ბაღიდან, სახლის საქმეც ხომ მქონდა, ბავშვებს ვაჭმევდი, ვამეცადინებდი, დავაძინებდი და მერე ღამე ვიჯექი და ვმუშაობდი. ანუ რაღაცნაირად ისე ვიყავი დაკავებული და ჩართული, რომ უკვე აღარც იმისთვის მეცალა, რომ რაღაცაზე მენერვიულა და აღარც იმისთვის მეცალა, რომ რაღაცაზე უკმაყოფილო ვყოფილიყავი საკუთარი თავით. ნელ-ნელა შევეჩვიე ამ ყველაფერს და ძალიან ბედნიერადაც ვიგრძენი თავი. მერე იმასაც კი ვფიქრობდი, ალბათ სწორი ნაბიჯი გადავდგი და ალბათ ეს იყო ჩემი ბედი, რომ ამ ბავშვებს სწორედ ჩემი სახით უნდა გამოსჩენოდათ პატრონი-მეთქი. შეიძლება ითქვას, რომ ახლაც ამასვე ვფიქრობ, სულაც არ ვნანობ იმას, რაც გავაკეთე.

მერე უკვე დავიწყე ნელ-ნელა იმაზე ფიქრი, რომ ბავშვები უკვე წამოიზარდნენ და მე ბავშვი უნდა გამეჩინა. 2001 წელს გავაჩინე ნია, მეოთხე შვილი. ნიამ სულ სხვა ხალისი შეიტანა ჩვენს ცხოვრებაში. ბავშვები თავს ევლებოდნენ და, რაღაც, ყველა გავხალისდით. პატარა ბავშვს მაინც თავისებური ხიბლი და თავისებური სითბო შემოაქვს. ნიამ თითქოს შეაკავშირა ჩვენი ოჯახი, თუმცა მანამდე გიასთან მე სულ სხვანაირი ურთიერთობა მქონდა – თემურისგან განსხვავებით. თემური უფროსი იყო ჩემზე და სულ დამკანკალებდა, პატარა ბავშვივით მექცეოდა. გიასთან უფრო მეგობრული და ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა. ყველა პრობლემას ერთმანეთს ვუზიარებთ, უფრო მეგობრული ოჯახი გვაქვს, ძალიან ვუგებთ ერთმანეთს. მყარი ოჯახი გვაქვს, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, სიძნელე ყველა ოჯახშია; არც ერთი ოჯახი არ არის ამისგან დაზღვეული და ჩვენც ძალიან ბევრი პრობლემის გადალახვა მოგვიხდა, მაგრამ რაღაცნაირად ერთად შევძელით ეს ყველაფერი. რაღაც მომენტებში შეიძლება იმასაც რთული ხასიათი აქვს და მეც. მაგრამ რომ ვიცით ერთმანეთის ყველაფერი, ვცდილობთ, უფრო მეტად გავუგოთ ერთმანეთს და სიძნელეებიც ერთად გადავლახოთ. მქონდა, სიმართლე გითხრათ, იმის შიში, რომ ბავშვი, ნია რომ დაიბადებოდა, რაღაცა ამ ბავშვებს არ გასჩენოდათ ეგოიზმის მომენტი, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. პირიქით, ეხლაც, ბავშვებს რომ ველაპარაკები ხოლმე, ამბობენ, დედა ჩვენ საერთოდ არ გვახსოვს, უბრალოდ ვიცით, სასაფლაოზე რომ მივდივართ, რომ ის არის ჩვენი დედის საფლავი და აი, სიტყვა „დედა“ ჩვენთვის შენთან ასოცირდებაო. სოფიკოს ვეკითხები ხოლმე, შენ ხომ დიდი იყავი-მეთქი, 4 წლის... და, – საერთოდ არ მახსოვსო, – ამბობს, – ისიც კი არ მახსოვს, როგორი სახე ჰქონდაო. მიუხედავად იმისა, რომ სურათიდან ვიცი, რომ ეს დედაჩემია, აი, არ მახსოვს არც ერთი მომენტი, რომ, ვთქვათ, დედა ასე მეფერებოდა, დედა ასე მეუბნებოდა, არაფერი არ მახსოვსო. როგორც ჩანს, დიდი მწუხარებისგან გონება ბლოკირებას უკეთებს რაღაცა მომენტს, რომლის დამახსოვრებაც ბავშვს არ უნდა. დედის სიკვდილი იმდენად მძიმე იყო მისთვის, რომ ყველაფერი დაავიწყდა. მე ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს მათ ნათესავებთანაც. ყოველთვის ვცდილობდი,

თავიდანვე, რომ ბავშვებს არ დაეკარგათ ბაბუა, დედის მამა, დედა გარდაცვლილი ჰყავდა თამრიკოს, ძმა, ე. ი. ბიძა (ერთი ძმა ჰყავს), ბიცოლა, ბიძაშვილები და დღემდე ისეთი ახლო ურთიერთობა გვაქვს, რომ ძალიან ხშირად მოდიან ჩვენთან და ბაბუა ხომ გიჟდება ჩემზე. ესე იგი, არ გავა ორი დღე, რომ არ დამირეკოს და არ მომიკითხოს, ხომ არაფერი გჭირდებაო. აი, რა ვიცი, ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ამ ადამიანებთან და სულ უკვირდათ ხოლმე, ხშირად მეუბნებოდნენ ჩემი მეგობრები, გვიკვირსო, თქვენთან რომ მოდიან, პაპიდა მოდის კიდევ ხშირად, თამრიკოს მამიდა, რაღაცნაირად არ ღიზიანდებიო? სრულებითაც არა. პირიქით. მე სულ თავიდანვე ვფიქრობდი იმას, რომ აი, ამ ადამიანებმა რა დააშავეს?! შვილი დაკარგეს და ახლა მე როგორი უვარგისი უნდა ვიყო, რომ შვილიშვილები დავაკარგვინო. ბუნებრივია, ერთხელ რომ მოვიდოდნენ და თუ მე ცუდად შევხვდებოდი, მეორედაც მოვიდოდნენ და მესამედ უკვე გაუჭირდებოდათ მოსვლა. მე ყოველთვის ვცდილობდი, ვიყავი ხასიათზე, თუ არ ვიყავი ხასიათზე, ისე თბილად და ისე კარგად შევხვედროდი ამ ადამიანებს, რომ ყოველთვის გახარებოდათ ჩვენთან მოსვლა.

ეხლა უკვე ბავშვები დიდები არიან, უფროსი სტუდენტია, ბიჭი უკვე 16 წლისაა, შუათანა გოგო 14 წლის გახდება და ეს პატარა მალე 8 წლის გახდება, თვითონვე დარბიან ბიძასთან და ბიძაც ხშირად მოდის. ასე რომ, ვფიქრობ, ძალიან კარგი გავაკეთე, რომ ამ ბავშვებს დედის ნათესავები შევუნარჩუნე. პაპიდასაც კარგი ურთიერთობა აქვს ჩვენთან. პაპიდა უშვილო ქალია და თამრიკოზე იყო მიჯაჭვული, თავის შვილად თვლიდა და თამრიკოს სიკვდილი მისთვის სამყაროს დაქცევას ნიშნავდა, მაგრამ ეს ყველაფერი ახლა სოფიკოზე გადაიტანა. ეხლა, მაგალითად, სოფიკო გუშინაც მასთან იყო, ღამე იქ დარჩა.

უკვე 2001 წელს, ნია რომ დაიბადა, დავიცავი დისერტაცია. ეს იყო დიდი გამარჯვება ჩემს ცხოვრებაში. ამისთვის მე დიდი ხანია ვემზადებოდი, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ ვნერვიულობდი და განვიცდიდი. ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. როგორც წესი, ასე ხდება ხოლმე, რაკი აქამდე მიდიხარ, მერე უკვე ტექნიკური პროცესია. საბჭო უნდა შეიკრიბოს და ა. შ. მაგრამ მანამდე არავინ არ მიგიშვებს, თუკი, დავუშვათ, დისერტაციის დაცვა არ მოხდება. საბედნიეროდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. უზარმაზარი თოვლი მოვიდა. 11 იანვარი იყო დაცვის დღე. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან ჩემი ერთ-ერთი ოპონენტი იყო ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რომელიც ქუთაისიდან უნდა ჩამოსულიყო. მეორე ოპონენტი იყო ინგა მილორავა, ინგა, ბუნებრივია, მოვიდოდა. ბატონი ავთო რომ ვერ ჩამოვიდეს, რა მეშველება-მეთქი, ვფიქრობდი. საბედნიეროდ, გავიხედოთ და ბატონი ავთოც ჩამობრძანდა და დისერტაციამაც ძალიან კარგად ჩაიარა... და მოხდა ისე, რომ, რომელი წელი იყო – ზუსტად აღარ მახსოვს, ბატონი ტარიელ კვანჭილაშვილი გარდაიცვალა, მისი ადგილი გათავისუფლდა და მე დავიწყე უკვე კათედრაზე მუშაობა. რომ დავიცავი, მერე საათებიც მომცეს, თავიდან სემინარებზე შევდიოდი და მერე უკვე ასეთი კურსი იყო – „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“, არჩევითი საგანი იყო და მაღლივ კორპუსში იკითხებოდა. მეუბნებოდნენ, შენ ყველაზე პატარა ხარ და წადი მაღლივში, ნუ დაიზარებო. ძალიანაც მეზარებოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ლექციებზეც შევდიოდი. კარგად მახსოვს სტუდენტების ინტერესი. როგორც

წესი, ძალიან ბევრი ბავშვი ეწერებოდა ამ საგანზე. მაშინ არ იყო არჩევითი საგნები. ეს საფაკულტეტო, არჩევითი იყო. მე ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვბრუნდებოდი ხოლმე მაღლივიდან. მერე სხვადასხვა კურსსაც ვკითხულობდი – „თანამედროვე ქართულ დრამატურგიას“, სემინარებზე – „XX საუკუნის ქართული პოეზიას“, „XX საუკუნის ქართული პროზას“. ასე გაგრძელდა ჩემი მუშაობა. ვფიქრობ, რომ ჩემი ცხოვრება ნახევრად უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული, იმდენი კარგი რამ მახსენდება! რა თქმა უნდა, ბევრი ცუდიც იყო, განსაკუთრებით ამ ბოლო მოვლენებს ვუკავშირებ, როცა ამდენი ადამიანი წავიდა უნივერსიტეტიდან, კონკურსი გამოცხადდა და ეს, ბუნებრივია, ძალიან ბევრ ტკივილთან და იმედგაცრუებასთან იყო დაკავშირებული. მე კიდევ ერთხელ გავაცნობიერე, რომ, ადამიანები, როცა რაღაცა სირთულის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, ძალიან ბევრჯერ სულ სხვანაირი სახით წარმოჩინდებიან ხოლმე ჩვენს წინაშე, რაც ხანდახან ჩვენს გაოცებას იწვევს, მაგრამ ეს ფაქტია. კონკურსი რომ გამოცხადდა, 2006 წელი იყო, შევიტანე საბუთები პროფესორ-ასისტენტის თანამდებობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გავედი, სამაგიეროდ გამიფორმეს საათობრივი ხელშერულება და დღემდე ვმუშაობ უნივერსიტეტში, ვკითხულობ ლექციებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ამ ადამიანებთან ჩემი ურთიერთობა, უნივერსიტეტის თანამშრომლებს ვგულისხმობ. არ შემიძლია არ აღვნიშნო თამარ პაიჭაძე, ყოველთვის მაოცებდა ხოლმე ამ ადამიანში რაღაცნაირად გადამდები ოპტიმიზმი, რაც მას ახასიათებს. როცა შემოდიოდა ხოლმე კათედრაზე, და დღესაც რომ შემოდის სამსახურში, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, მას შეიძლება ძალიან ბევრი პრობლემა ჰქონდეს, ისეთი შემართული და ოპტიმისტურად განწყობილია ყოველთვის, რომ ხშირად მიფიქრია, რა კარგია, ასეთი ადამიანი რომაა. რაღაცნაირად ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენს შორის, ძალიან ბევრი პრობლემის შესახებ ვისაუბრეთ. ყოველთვის მირჩევს ხოლმე, როგორ უნდა მოვიქცე, მოკლედ რომ ვთქვათ, მე ძალიან დავალებულად ვთვლი ამ ადამიანის წინაშე თავს. ყოველთვის იზიარებდა ჩემს პრობლემებს, ყოველთვის ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დამხმარებოდა.

და აი, მოვედით ბოლოდრონდელ მოვლენებთან, რომლებმაც ერთხელ კიდევ თავდაყირა დააყენა ჩემი ცხოვრება. 2008 წელს, ზაფხულში, სოფელში ვიყავით წასულები, ბავშვები მყავდა დასასვენებლად წაყვანილი, აგარაკი გვაქვს ქვიშხეთში, ვისვენებდით იქ და 10 აგვისტოს ვაპირებდით ზღვაზე წასვლას. იქ რომ ვიყავით, მაშინ, დედაჩემს ბიძაშვილები ჰყავს ცხინვალში და თავის ბიძაშვილს დაურეკა. ეს იყო ივლისის დასასრულს. ტელევიზორში ჯერჯერობით არაფერი არ ცხადდებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ რაღაც დაძაბული სიტუაცია იყო, ან რამე იყო მოსალოდნელი, არაფერი. თავის ბიძაშვილს დაურეკა და უპასუხა სიძემ. რუსი სიძე ჰყავს. «Нателу хочу», უთხრა დედაჩემმა. – «А вы ничего не знаете?» «нет», – უთხრა დედაჩემმა. – «Нас, целую ночь бомбили. Мы были в подвале, а теперь, девочки спят», – გავოცდით მე და დედაჩემი, ერთმანეთს გადავხედეთ, – «как бомбили? кто бомбил?» «не знаю, бомбили со всех сторон». ტელევიზორში კი არაფერს არ აცხადებდნენ. საერთოდ არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა, რომ იქ ისეთი დაძაბული მდგომარეობაა. ეს შოკი იყო ჩვენთვის. მამაჩემს კი ველაპარაკებოდით ტელეფონზე, მაგრამ არაფერი ისეთი არ უთქვამს. ჩავრთეთ ტელევიზორი, 3-საათიანი კურიერის დრო იყო, ვფიქრობდით, იქნება რაღაცა

გამოაცხადონ, მაგრამ აბსოლუტურად არაფერი. არაფერი ამის მსგავსი. ცხინვალი არც უხსენიებიათ საერთოდ. ერთი ჩემი სოფლის მეზობელი „სპეცნაზში“ მსახურობს. მაშინვე მასზე ვიფიქრე, რომ ამ დღეებში არ გამოჩენილა საერთოდ. რაღაცა ხშირად გამოივლიდა ხოლმე, ჩემს ქმართან მეგობრობს და რომ იცოდა, მარტოები ვიყავით ქალები, „ხომ არაფერი გჭირდებათო“, ასე შემოირბენდა ხოლმე. „არ გამოჩენილა-მეთქი ეს დღეები“ და დავეჭვდი, რომ რაღაცა ხდებოდა და ზუსტად მეორე დღეს მისი ცოლი მოვიდა ჩვენთან სტუმრად და ვეკითხები, „სად არის შენი ქმარი-მეთქი?“ „უიმე, რამდენი ხანია, არ მოსულაო, 11 დღეში ერთხელ უწევდათ ხოლმე მორიგეობა და ახლა კი ეს დღეები სულ ნიქოზშიაო, იქიდან ძალიან ცუდი ამბებიაო“. მენიშნა ეს ყველაფერი. რა თქმა უნდა, არაფერი არ მითქვამს, ეხლა გულს ხომ არ გავუხეთქავდი ამ გოგოს, მაგრამ მენიშნა და მივხვდი, რომ სიტუაცია იძაბებოდა. დავრეკე მამაჩემთან, „მამი, როგორა ხარ?“ – ვეუბნები. ხოდა, „ძალიან კარგადო“, – მითხრა. „რა ხდება მანდ?“ – „არაფერი, მშვიდობააო“ – და მივხვდი, რომ მამამ ეს ყველაფერი დამიმალა. – „თქვენ რას აპირებთ?“ – მკითხა, მე ვუთხარი, „ჩვენ 10-ში მივდივართ ზღვაზე და ერთი სამი დღით ადრე ჩავალთ-მეთქი თბილისში და მოვემზადებით“. – „ნუ კარგი, კარგიო“, – მითხრა და დამემშვიდობა. მეორე საღამოსაც დავრკეთ იმ ნათელასთან. ნათელა გვეუბნება, „ეხლა, დღეს უკვე სიწყნარეა და არაფერი ისეთი არ ხდება, მაგრამ წუხელ საშინელება ხდებოდა, დიდი ბომბები და დიდი ამბები იყოო“. ამასობაში მირეკავს მამიდაჩემი, ცხინვალში მივდივარ მამაშენთან და ერთი სამი კვირა დავრჩებიო. მამიდა მყავს ინვალიდი ბავშვობიდან. 4 წლის იყო პოლიომიელიტი რომ დაემართა და ცალი ფეხი ნაკლებად განვითარებული აქვს. ულამაზესი გარეგნობის ქალია, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ძალიან ჭკვიანი და განათლებული, მაგრამ არ გათხოვდა აი ამ თავისი პრობლემის გამო. ორი ძმისშვილი ვყავართ, მე და ჩემი და. ერთადერთი ძმა ჰყავს – მამაჩემი და ყოველ ზაფხულს, მიუხედავად პრობლემებისა, ჩადის მამაჩემთან ცხინვალში სტუმრად. რომ ხედავენ ინვალიდი ქალია, ვინ რა უნდა უთხრას.

არც ოსური მხარე ეუბნებოდა რამეს და არც ქართული მხარე. თუ არა და შეიკეტებოდა სახლში და იქ იჯდა. სხვას რას გააკეთებდა. კი ვუთხარი, „მამიდა, სად მიდიხარ, მე მგონი, დაძაბული სიტუაციაა-მეთქი“. – „არაო, კაცო, მე მამაშენს ველაპარაკე და მითხრა, რომ ცოტა ისეთი სიტუაცია იყო, თქვენთვის არ უთქვამს, გოგოებმა არ ინერვიულონო, მაგრამ ეხლა დაწყნარდა ყველაფერიო. უნდა ჩავხედო, თორემ მერე ვეღარ ჩავალო, მაინც წავალ, იქ რაღაცას გავაკეთებო“. აღარ დავუშალე, რადგან თბილისში უკვე დიდი სიცხეები იყო, მამიდა კი ასთმიანია და უჭირს დიდ სიცხეში ყოფნა. წავიდა მამიდაჩემიც ცხინვალში. მამა ჩამოვიდა და წაიყვანა, მაგრამ ჩვენ მამას ვერ შევხვდით, იმიტომ რომ დასასვენებლად ვიყავით. უკვე დაახლოებით 2 აგვისტოდან, თუ მანამდეც, 2 დღით ადრე, დაიწყეს ტელევიზორში იმაზე საუბარი, რომ ცხინვალიდან ქალების და ბავშვების გაყვანა დაიწყესო, და ეს ძალიან ცუდად მენიშნა. ვრეკავდი ისტერიულად მამაჩემთან და მამიდაჩემთან და მეუბნებოდნენ, არაფერი არ ხდება, არაფერი არ ხდებაო. უკვე შეჩვეული ვიყავი. როგორც წესი, უცბად აირეოდა სიტუაცია და მერე დალაგდებოდა. არავინ არ ელოდა, რომ ასე განვითარდებოდა მოვლენები, რადგან იქამდეც კი იყო საქმე მისული, რომ...

მე ერთ ადამიანს შევხვდი, სწორედ ზაფხულში, არ ვასახელებ შეგნებულად გვარს და სახელს, იქაური უნივერსიტეტის თანამშრომელს, ჩემი შორეული ნათესავია, იქ თანამდებობის პირია, რუსია თვითონ ეს გოგო და დავარწმუნე, რომ ძალიან კარგი იქნება-მეთქი, რომ მემორანდუმი გაფორმდეს შიგ ცხინვალში რომელი უნივერსიტეტიც არის და თბილისის უნივერსიტეტს შორის. ეს იყო ჩემი ოცნება. მინდოდა, რომ რაღაცნაირად ეს გამეკეთებინა, მაგრამ არანაირად არ გამოდიოდა, რადგან კოკოითის მთავრობა ამის წინააღმდეგ წავიდოდა და ამის საშუალებას არ მოგვცემდა. ის კი არა და, იქიდან რომ უნდა ჩამოსულიყვნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები საჯარო ლექციების წასაკითხად, მოგვთხოვეს, რომ რექტორს გაეგზავნა მოთხოვნა ცხინვალის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, ოღონდაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, ამ გრიფით უნდა წამოსულიყო მოთხოვნა. რასაკვირველია, ამას არავინ გააკეთებდა და ერთადერთი გზა რჩებოდა, რომ, თუკი ვინმე მოისურვებდა ჩვენთან თანამშრომ-ლობას და ამის სურვილი ბევრმა გამოთქვა, როგორც უკვე ვთქვი, ჩუმად უნდა ჩამოსულიყო. ისე მოხდა, რომ ერთ-ერთი შეეწირა კიდევაც ამას და სამსახურიდან მოხსნეს, ანუ ძალიან ფრთხილად უნდა გაგვეკეთებინა, რასაც ვაკეთებდით. ამ გოგოს რომ ვესაუბრე, დავარწმუნე, რომ ეს ძალიან კარგი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გოგომაც აღიარა, ახლა ძალიან დაძაბულია სიტუაციაო, მაინც ესეთი პროგნოზი გააკეთა მაშინ რატომღაც – „მართალია, ახლა რუსეთი ჩარევას ცდილობსო“, – პირდაპირ მითხრა, და ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ – „უკვე თითქოს მოსახლეობა შერიგებულიაო – ქართველები და ოსები უკვე ძალიან კარგად არიანო. სწორედ ამიტომაც ცდილობენ, რაღაცა აურიონო; მაგრამ მაინც მე ვფიქრობ, არაფერი ისეთი არ მოხდებაო. კარგად იხსენებენ იმ დროს, როცა ქართველები და ოსები ერთად ვიყავითო“. შემპირდა, მე ამაზე დავიწყებ მუშაობას და იქნებ რაღაცა გამოგვივიდესო. მე ამის შესახებ არავისთვის არ მითქვამს და ველოდებოდი მას. ისიც მითხრა, – „ეს არ იქნება მარტივი პროცესი; ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, რომ დავარწმუნო ერთი-ორი ადამიანი და იქნებ ეს მოხერხდესო“. ისიც ვიცოდით, რომ, იქაური მთავრობის მხრიდან, ამას სერიოზული წინააღმდეგობა მოჰყვებოდა. და აი, ამ გოგოსთან შეხვედრის შემდეგ, ორ დღეში უფრო დაიძაბა და დაიძაბა მდგომარეობა. ვურეკავდი მამიდაჩემს და მამაჩემს. ისინიც რეკავდნენ და სულ მეუბნებოდნენ, – „ნუ გეშინია, არაფერი არ მოხდება“. ვეუბნებოდი, „გამოდით მანდედან, ხომ ხედავთ, იძაბება და იძაბება“; მაგრამ სინამდვილეში მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ცუდი არ მოხდებოდა. მორიგი რაღაცა იყო, ილაპარაკებდნენ, ილაპარაკებდნენ და დაწყნარდებოდნენ, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე ბოლო წლებში.

და აი, 5 აგვისტო იყო, კარგად მახსოვს, სოფლიდან წამოვედით თბილისში, უნდა მომემზადებინა ბავშვები და 10-ში მივდიოდით ზღვაზე. შევუთანხმდით კიდევაც დიასახლისს, ვისთანაც ყოველ წელს ჩავდივართ და ვისვენებთ და დავიწყეთ ზღვისთვის მომზადება. 7-ში უკვე აცხადებენ ასეთ ინფორმაციას, რომ დაიწყო გორის დაბომბვა და სამხედრო ოპერაციები, გამოაცხადეს, რომ ცხინვალი ქართველებმა აიღეს, ეს იყო ჩვენთვის შოკი. ტელეფონები ძალიან ცუდად მუშაობდა. ძალიან კარგი იყო, ცხინვალი რომ ქართველებმა აიღეს, მაგრამ მე ვიცოდი, ამას რაც მოჰყვებოდა, მე ვიცოდი, რომ, თუ როკის გვირაბს ჩვენ ვერ

გავაკონტროლებდით, მაშინ აუცილებლად რუსეთი სხვანაირად დაიწყებდა მოქმედებას და იმ „ჩვენ აღებულ ცხინვალს“ (ბრჭყალებში ვამბობ ამას), ძალიან მალე უკანვე წაგვართმევდნენ. ხან ვერ ვუკავშირდებოდი მამაჩემს, ხან ვუკავშირდებოდი და აი, ბოლოს უკვე მითხრა, „სარდაფში ვართ და აქ ცოდვის ტრიალია, საშინელება ხდებაო“. მანამდე ამ ჩემს მეზობელს დავურეკე, სოფლის მეზობელს, რომელიც ძალიან კარგ ხასიათზე იყო, „ჩვენ უკვე ცხინვალში ვართ, ცხინვალი უკვე ჩვენია და ნურაფერზე ნუ ნერვიულობო“. მე ისტერიულად ვიმეორებდი, „გეხვეწები, მიდი მამაჩემთან. მამაჩემი და მამიდაჩემი გამოიყვანე“, მაგრამ მითხრა, – „ჩვენ ცხინვალის შესასვლელთან ვართ და ვერანაირად ვერ მივალ და რომც მივიდე, ბოლოს და ბოლოს მივალ, მაგრამ აი ჩემი გამოჩენა იქ რას გამოიწვევსო? ამან კიდევ უფრო არ დაძაბოს იქ მდგომარეობაო, იმიტომ, რომ მოსახლეობა ჩაკეტილია, ქუჩები არის აბსოლუტურად ცარიელიო“. მერე რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ მართალი იყო და დავანებე თავი.

ესე იგი, 10 დღის განმავლობაში გადავიტანე, საშინელება რასაც ჰქვია. იმიტომ, რომ წარმოიდგინეთ, სინათლე არ არის, ქალაქი არის პარალიზებული, აფეთქებენ სახლებს, საშინელება ხდება, რაკეტებს ისვრიან იქითა მხარეც და აქეთა მხარეც და ზარალდება მოსახლეობა, ბუნებრივია. ბოლოს რომ ველაპარაკე, მამაჩემი მეუბნება, ამხელა კაცი ტიროდა, – „ჩვენს წინ არც ერთი კორპუსი აღარ არის, მარტო ჩვენი კორპუსი დგას და ყველა ჩვენი კორპუსის სარდაფში არის შემოსული, ვინც ცოცხალი გადარჩაო. ჩვენს წინ რომ ოთხსართულიანი კორპუსი იყო, ახლა ის კორპუსი იწვისო“ და ტიროდა ამხელა კაცი. ნუ, რა დღეში ვიქნებოდი და რა მდგომარეობაში ვიქნებოდი, ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ. ამას დაერთო ისიც, რომ მე ბიძაშვილები მყავს გორში და ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს მათთან, და-ძმანი არიან, მშობლები ადრე გარდაეცვალათ ამ ბავშვებს. თამუნასთან ვრეკავდი ისტერიულად, რომელიც სოფელში იყო თავის ძმიშვილთან და რძალთან ერთად. ჩემი ბიძაშვილი ბიჭი სამხედროა და აი, თამუნა მირეკავს, – „ზურა მოვიდაო უცბად, ჩაგვყარაო მანქანაში, თბილისისკენ მოვდივართ და მთელი გზა გატენილია რუსის ჯარითო“ და წივის და კივის ეს თამუნა, – „რა გვეშველება, ახლა აქ არ ჩაგვცხრილონო“. ვეუბნები, „თამუნა, დაწყნარდი“ ...რაღაც ისტერიული მდგომარეობა იყო. ეს არის 9 ან 8, თუ არ ვცდები. ზუსტად ამ დღეს, სანამ თამუნა დამირეკავდა, ჩემი ბიჭი მოვიდა, მე ისტერიულად ვზივარ ტელევიზორთან, რაღაც ნერვოზში გადამივიდა ეს ყველაფერი, ვუყურებ ყოველ საათში ერთხელ საინფორმაციო გამოშვებას და ველოდები სულ ცუდს. აცხადებენ, რომ იბომბება გორი, ეს დაბომბეს, ის დაბომბეს... და მსხვერპლი არ არის. კაცო, ვფიქრობ, სათამაშო ბომბებით ხომ არ ბომბავენ, როგორ შეიძლება, დაბომბეს და მსხვერპლი არ არის, რა ხდება?! მაგრამ მერე ნელ-ნელა დაიწყეს ჩემმა ახლობლებმა რეკვა გორიდან, ძალიან ცუდი კავშირი იყო მაშინ, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ვინმესთან დაკავშირება. აი, რაღაც ერთი საათი უნდა გერეკა, რომ რაღაცნაირად დაკავშირებოდი. „ესემესები“ უფრო ადვილად მიდიოდა და აი მომივიდა „ესემესი“: „ძალიან დიდი მსხვერპლია, გორში ჩამოყარეს ბომბები და ქალაქი ნელ-ნელა იცლება“. ეს იყო უდიდესი ტრაგედია ჩემთვის, რადგან გორი რაღაცნაირად ჩემი მშობლიური ქალაქია, მეორე მშობლიური ქალაქია, იმიტომ, რომ ცხოვრების ერთი ეტაპი იქ გავატარე,

როგორც გითხარით. ამის ხელმეორედ განცდა ჩემთვის იყო ტრაგედია. 24 საათი შოკირებული ვიჯექი და ვერაფრით ვერ გამოვდიოდი მდგომარეობიდან.

ამასობაში, სანამ თამუნა დამირეკავდა, ჩემი ბიჭი მოვიდა და მეუბნება, – „გარეთ, მე-13 სკოლასთან ბევრი ხალხი დგას ძალიანო, ასე ამბობენ, გორელები ვართო და გამოდი ერთი, შენი ნათესავი ხომ არავინ არისო“. მაშინვე გავვარდი გიჟივით და რას ხედავს ჩემი თვალები, პატარა ბავშვებით ქალები, კაცები, ლტოლვილები დგანან ამ მე-13 სკოლასთან, ტალახიანები, რაღაცა შეწუხებული სახეებით და მე დავიწყე გიჟივით ნაცნობების თვალიერება ამდენ ხალხში. ვკითხულობ, რა ხდება-მეთქი. რა ხდებაო და ასე სულ ფეხით გამოვიქეცითო, ძლივს ჩამოვაღწიეთ ცოცხლებმაო და საშინელებებს ყვებოდნენ, – „იქ დახოცილები ეყარა და აქ ესე ეყარა და აქ ესე ხდებოდა... ისეთი კანკალი ამივარდა, რომ მეზობელი წავიდა და კაპლი მომიტანა, რომ რაღაცნაირად დავწყნარებულიყავი. ვერაფრით ვერ ვაკონტროლებდი თავს. სკოლა იყო ჩაკეტილი, – „რა ვქნათო ახლა, ჩვენ წასასვლელი არა გვაქვსო და მასიურად დაიწყესო ლტოლვილებმა სკოლებში შესვლა და, ჩვენ ამ სკოლისკენ გამოგვიშვესო.“ ჩემი შუათანა გოგონა ამ სკოლაში სწავლობდა, მერე უცბად დავინახე ჩემი ბიჭის მეგობრები და ამათ ვეუბნები, „ბავშვებო-მეთქი, არავის ტელეფონის ნომერი არ იცით, ან დირექტორის ან სასწავლო ნაწილის (ის ბავშვებიც ამ სკოლაში სწავლობდნენ), ან ვინმესი მაინც-მეთქი, რომ სკოლა გავუღოთ, ასე ხომ არ იდგებიან?!“ – „ვაიმეო, არავის ტელეფონი არ ვიცითო“, მერე უცბად გონება გამინათდა და დავრეკე პატრულში. მობილური ხელში მეჭირა და რატომღაც მაშინვე დაირეკა. გამარჯობათ-მეთქი, გაწუხებთ იმიტომ, რომ მე-13 სკოლასთან ლტოლვილები დგანან, სკოლა დაკეტილია და იქნებ დაგვეხმაროთ, რომ რამენაირად ამ ხალხს კარი გავუღოთ-მეთქი, იმდენი ბავშვი იყო იქ, სულ პატარა ბავშვები – ერთი სამი იყო, სამი, ორი და ერთი თვის ბავშვები... რა თქმა უნდა, დიდებიც იყვნენ. პატრულმა გვითხრა, რაღაცა დაბნეულები მპასუხობდნენ, – „ახლა ისეთი სიტუაციაა ქალაქში, რომ ჩვენ მაგას ვერ გავაკეთებთ და რაიონულ განყოფილებაში დარეკეთო, იქნებ ისინი დაგეხმარონო“. მომეცით ნომერი-მეთქი, მომცეს ნომერი და უკვე განერვიულებულმა დავიწყე მეც, ისე, ცოტა ხმამაღლა, რა ხდება, ბოლოსდაბოლოს, მიხედეთ ამ ხალხს-მეთქი. სხვათა შორის, მალევე მოვიდა პატრულის მანქანა, ორი ახალგაზრდა ბიჭი იყო და ძალიან მორიდებით და ჩუმად გვითხრეს, თვალები ცრემლებით ჰქონდათ იმ ბიჭებსაც სავსე. არ დამავიწყდება, ისეთი თანაგრძნობით უყურებდნენ ლტოლვილებს, – ჩვენ არ გვაქვს ახლა უფლება, რომ შევამტვრიოთ სკოლის კარიო და გაძლევთო უფლებას, შეამტვრიეთო და, აბა, რას იზამენ, ხომ ვერ გამოგყრიან მანდედანო და მაშინვე დატრიალდნენ უბნის ბიჭები, ამასობაში მთელი უბნის მოსახლეობა მოგროვდა. დატრიალდნენ ეს ბიჭები და ეძებენ რკინის ნივთებს, რაღაცეებს, რომ შეამტვრიონ კარი. ესენი კი, ლტოლვილები, ისე საცოდავად დგანან, ამათი საცოდაობა ეხლაც რომ მახსენდება, აი უხმოდ... მიკვირდა კიდევაც, ეს ის ადამიანები არიან, ვისაც გადაუწვეს სახლები, ზოგს ვიღაცა დაკარგული ჰყავს, ზოგმა არ იცის, ქმარი სად არის, შვილი სად არის და უხმოდ, რაღაც ზვარაკებივით დგანან ამ სკოლასთან ატუზულები, მშივრები, აი, რაღაცა შეშლილი სახეებით და ერთ სიტყვას არ ამბობენ.

მერე ერთი ქალი გამოვიდა და თქვა, არაო, არ გვინდა ჩვენზე თქვან, ეს მხეცები ვინ არიან, სკოლა ჩალეწეს და დალეწესო. იქნება დაველოდოთ და ვიღაცა მოვიყვანოთო. და აი, გავშეშდით უცებ ყველა და მერე ერთ-ერთმა ბიჭმა თქვა, სამეურნეო ნაწილის გამგე რომ არის, უიმე, იმის სახლი ვიცი, გავიქცევი ახლავე და მოვიყვანო, იმას ექნება სკოლის გასაღებიო. წავიდა და მალევე მოიყვანა ეს კაცი. ესე იგი, არაფრით არ შევიდნენ ის ადამიანები, არ მოისურვეს სკოლის გატეხვა, ისე გამიკვირდა მაშინ. რა თქმა უნდა, ჩემთვისაც ეს ყველაფერი მიუღებელია, მაგრამ როცა მწარდები ადამიანი, როცა ასეთი რაღაცა ხდება, ნაკლებად აცნობიერებ ასეთ რაღაცეებს, მაგრამ არაფრით არ შევიდნენ...

მოვიდა ეს კაცი და ძალიან ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, ამბობს, – „ახლა მე თქვენ სკოლაში ვერ შეგიშვებთ; რემონტს ვაკეთებთ და თქვენ რომ სკოლაში შეგიშვათ, რემონტი შეჩერდება“. მერე უკვე მოსახლეობა დაეტაკა ამ კაცს: „შენ, კაცო, გაგიჟდი, რეებს ლაპარაკობ, რა დროს რემონტია, გული არა გაქვს, შეხედე, ნახე, ეს ადამიანები რა დღეში არიანო“ და მერე შერცხვა, როგორც ჩანს, და გააღო კარი. დაიწყეს ამ ადამიანებმა შესვლა სკოლაში, იქ რა დახვდებოდათ – ცარიელი მერხები, და რა უნდა გვექნა? უცბად დავტრიალდით მეზობლები და ვისაც რა გვაქვს სახლში – საჭმელი, დასაფარებელი, „ადიალა“, ტანსაცმელი, ვისაც რა გვაქვს, უცბად შევაგროვოთო. ზოგი გარბოდა, პური მოჰქონდა, ზოგს ძეხვი, კიტრი, პამიდორი, რაღაცა და უცბად შევკრიბეთ ეს ყველაფერი; ის ღამე რომ რაღაცნაირად ეჭამათ ამ ადამიანებს და გაეთენებინათ. მახსოვს, ერთი გოგო იდგა პატარა, ძალიან ახალგაზრდა, 22 წლის იქნებოდა და პატარა ბავშვი უჭირავს ხელში. ვეხვეწე, წამოდი-მეთქი, აქვე ვცხოვრობ, არ მოგერიდოს, აი, როგორც ჩემი და, წამოდი და ჩემთან დაგაძინებ-მეთქი. ახლა ეს პატარა ბავშვი როგორ უნდა იმასქნა-თქო, ან დაბანა გინდა-მეთქი, ცხელი აბაზანა, რაღაცა. არაფრით არ წამომყვა.

ესე იგი, არ დამავიწყდება, რომ ჩაიარა ამ მოვლენებმა და გორში რომ შეიყვანეს ეს ადამიანები, რაღაც საეკლესიო დღესასწაული იყო, მე მგონი – მარიამობა და მომდის „ესემესი“, რომელშიც წერია – „ისეთი დიდი მადლობაო... არ მომეცა საშუალება, მადლობა გადამეხადა თქვენთვისო. ღვთის წყალობით ახლა კარგად ვარო, მართალია, კარავში ვცხოვრობო, მაგრამ სამსახური დავიწყე უკვე და სხვებზე კარგად ვარო“ ...ძალიან დიდი „ესემესი“ იყო... „მინდა მადლობა გადაგიხადოთ, იმიტომ, რომ იმდენ უსამართლობას წავაწყდი ამ პერიოდშიო და არ დამავიწყდება შენი სახე, ისეთი გამწარებული იყავი და იმდენი თანაგრძნობა გქონდაო, რომ ამისთვის ძალიან დიდი მადლობა და მე ცხოვრებაში არ დამავიწყდებიო. მოკლედ, გილოცავთ ამ დღესასწაულსო“. იმდენი ვიტირე, ეს „ესემესი“, რომ წავიკითხე, დავურეკე მაშინვე და მითხრა, მინდოდა ჩემი გრძნობა გამომეხატა, რაც მაწუხებდაო. სანამ წამოვიდოდი, მინდოდა მოვსულიყავი გამოსამშვიდობებლადო (იცოდა, სადაც ვცხოვრობდი, სკოლის წინ), მაგრამ მომერიდა და ვერ მოვედიო.

როგორც კი გათენდა მეორე დღე, ჩვენ მივუტანეთ ამათ ეს საჭმელი, ვისაც რა გვქონდა. ამასობაში მეზობელი შემხვდა და მეუბნება, მე-11 სკოლა, მე-14 სკოლა, და მე-13 ხომ მე ისედაც ვიცოდი, გატენილია ლტოლვილებითო. თავზარი დამეცა. ახლა ვფიქრობ, რა გავაკეთო? მინდოდა, რომ რაღაცით

დავხმარებოდი. მანამდე, ამ ღამეს, რაღაცა სასწაული ღამე იყო, როგორც იქნა ჩამოაღწიეს ამ ჩემმა ბიძაშვილებმა, რომლებიც ჩემთან უნდა მოსულიყვნენ სახლში და ჩემთან უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ ვერ ვუკავშირდებით, ტელეფონები – არა და არა, არ ვიცით, ჩამოვიდნენ თუ არა ამ თბილისში და მერე შუაღამისას, ძალიან გვიან იყო, დაახლოებით 3 საათი, სახლის ტელეფონზე დამირეკა თამუნამ, – „ნინოო, ვიციო რომ ისტერიკაში ხარო შენო, მაგრამ ბევრნი ვართ, ათი კაციო და შენც ოთხი ბავშვით ხარო და ქეთოს ნათესავს (რძლის ნათესავს) ავლაბარში აქვს საკუთარი სახლი, მეორე სართული საერთოდ ცარიელი აქვს და აქ ვამჯობინეთ მოსვლაო. თუ რაღაცაა, მერე გამოვალთო“. ვეხვეწე, – „შე უნამუსო, არც კი გრცხვენია, რა მორიდება, რის მორიდება“, და – „არაო, ბევრნი ვართო, ქეთოს მშობლებიც ჩვენთან ერთად არიან, აქ არა ხარ, დაგირეკავო“. ახლა გათენდა დილა და გიჟივით გამოვვარდი გარეთ. კონკრეტულად რისი გაკეთება მინდოდა, არ ვიცოდი, მაგრამ რაღაცა უნდა გამეკეთებინა. გადავედი მე-13 სკოლაში. საცოდავად ეს ხალხი ზოგი მერხზე არის მიწოლილი, ზოგი რაღაცა და ვეუბნები, „არავინ არ მოსულა?“ ტელევიზორში სულ აცხადებ-დნენ, აი, ჩვენ მივდივართ ლტოლვილებთან, საჭმელი მიგვაქვს და ა.შ. – „არაო, არავის არ მოუკითხიაო“. გადავირიე. ავიღე ტელეფონი და მაია სულაბერიძე (უნივერსიტეტის თანამშრომელი) ხომ მერიაშიც მუშაობს და დავრეკე მაიკოსთან. ვერ ვუკავშირდებოდი. რაღაცა ერთ მომენტში დავუკავშირდი და ვუთხარი, მაიკო, ესეთი მდგომარეობაა, ლტოლვილები არიან-მეთქი მე-13 სკოლაში, მე-14 სკოლაშიც და იქნებ მანდ გააგებინო მერიაში, რომ ასეთი მდგომარეობაა და იქნებ ვინმე გამოგზავნონ-მეთქი. – „კი, კიო, ეხლავეო, ყველას საქმის კურსში ჩავაყენებო“. წამოვედი მე-11 სკოლაში, რომ ახლა იქ მენახა, რა ხდებოდა. იქაც საშინელება ხდებოდა – გატენილი ლტოლვილებით. ეს დირექცია მოსული. იმათაც ისეთი განწირული სახეები ჰქონდათ, რომ არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ... ქაოსური მდგომარეობა იყო.

მთელი დღე დავრბოდი, ხან ერთ სკოლაში მივიდოდი, ხან მეორე სკოლაში, ამათ ისევ ვეხვეწებოდი, „წამოდით ჩემთან“. ისეთი მორიდებით იქცეოდნენ, რომ... ზოგი ტიროდა ჩუმად, ზოგიც... ჩუმად თავისთვის განიცდიდნენ თავის უძლურებას. ამასობაში ვრეკავ მამაჩემთან, დაკავშირება შეუძლებელია და მერე რაღაცა ერთ მომენტში დარეკა და მითხრა, – „შენ იმიტომ ვერ გვიკავშირდები, რომ სარდაფში ვართო მე და მამიდაშენი. სარდაფში არ იჭერს ტელეფონი და თანაც უკვე მიჯდება და სად უნდა დავტენოო. რომ ვერ დაგიკავშირდეთ, არ ინერვიულო. იცოდე, რომ სარდაფში ვართო“. მე ახლა ყველაზე მეტად იმისი მეშინოდა, ესენი რომ ქართველები იყვნენ, გამწარებული ოსების მხრიდან აგრესია ამათზე არ წამოსულიყო. მაგრამ ამას პირდაპირ ვერ ვეკითხებოდი ტელეფონში. რაღაცა თითქოს მცხვენოდა კიდევაც ამისი თქმა. მაგრამ ისტერიულად ვეუბნებოდი: „მამი, საჭმელი გაქვთ? საჭმელი გაქვთ? როგორა ხართ?“ და „ნუ გეშინია, ნუ გეშინია, რაღაცნაირად თავს გავიტანთ“. – „რა ხდება მანდ“, – ვეუბნები. „არაფერი არ ვიცით, სარდაფიდან ვერ ამოვდივართ იმიტომ, რომ ისეთი სროლებია... აი, სახლს რაღაცა მოხვდა და ერთი ნაწილი ჩამონგრეულია და ვინც არის იმ კორპუსებიდან გადარჩენილი მოსახლეობა, ძალიან ბევრი არის ჩვენს სარდაფში შემოსული. მე თვითონ დაგირეკავ ხოლმე, სანამ ტელეფონი მეყოფაო, გაძლებსო“.

მერე უცბად მოვიფიქრე და ვუთხარი, „გამორთე-მეთქი ტელეფონი და დარეკვის დროს ჩართე-მეთქი, როცა დააპირებ დარეკვას“. რაღაცა რამდენიმე დღე ასე მირეკავდა, – „სარდაფში ვართ“, – და ბოლოს უკვე მითხრა, – „აღარც წყალი გვაქვს და აღარც საჭმელიო“. მანამდე, ვისაც რა ჰქონდა სახლში, ეტყობა, ჩამოიტანეს ამ სარდაფში და რაღაც. მერე კი ერთი მომენტი მითხრა, „ჩვენ აღარ ვჭამთ უკვე, რადგან ბავშვებს აღარ აქვთო საჭმელი და ბავშვებს ვუზოგავთო“. გაგიჟებული ვიყავი. რა შეიძლებოდა, რომ გამეკეთებინა. როგორ გინდა, რომ აქედან იქ დაეხმარო? არადა იცი, რომ შენი ორი ყველაზე ახლობელი ადამიანი იქ არის და მარტო ამათზე ხომ არ იყო საქმე?! მათ შორის იყო კიდევ ჩემი ძალიან ბევრი ნათესავი, ცხინვალში რომლებიც იყვნენ და გორში ხომ ცალკე საშინელება ხდებოდა. ერთი მომენტი მახსოვს კიდევ, რომ, როგორც იქნა, ზაზას (ცოტნიაშვილს) დავუკავშირდი და ზაზამ მითხრა, რომ აქ უკვე წარმოუდგენელია ყოფნა, ჩვენც სარდაფში გავათენეთ და ეხლა თბილისში მოვდივართო. მაშინ მივხვდი, რომ უკვე ძალიან ცუდად იყო ყველაფერი და ძალიან ვნერვიულობდი.

და უკვე, რამდენიმე დღეა, რაც არაფერი არ ვიცი მამაჩემის შესახებ, საშინელ დღეში ვარ. რა გავაკეთო, არ ვიცი. დავიწყე რეკვა ისტერიულად. ვისი ტელეფონიც კი ვიცოდი ცხინვალში, ვისი მობილურიც კი ვიცოდი, ყველასთან ვრეკავდი, რომ რაღაცნაირად ამბავი გამეგო, მაგრამ არც „მაგთისთან“ და არც „ჯეოსელთან“ არ იყო კავშირი.

როგორც ჩანს, დაბლოკეს იქიდან, რომ ზარი არ შესულიყო. მაგრამ, აი, რაღაცა ერთ მომენტში შემთხვევით, ბედის წყალობა იყო თუ რა იყო, დავუკავშირდი, იქ ქალი ცხოვრობს, იუზა ტატაევა, ოსია და ქართველი ქმარი ჰყავდა, გარდაეცვალა ეს ქმარი და ქართველი შვილები ჰყავს. გოგო აქ არის გათხოვილი, ბიჭი კი იქ არის, ვასიკო. და ვასიკოს დავუკავშირდი. ვკიოდი პირდაპირ, «Васико, вы живы?» ცოცხლები ხართ? რა ხდება, მითხარი!“ ძალიან ჩუმად მელაპარაკებოდა და მერე მითხრა, – „ნინოო, აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ ქალაქში ვერ გავდივარ და არც არაფერი არ ვიციო მამაშენის შესახებო“. ახლოს ცხოვრობენ ისე და მე ვუთხარი, ვასიკო, გეხვეწები-მეთქი, რამენაირად ის მაინც გამაგებინე, ცოცხლები არიან თუ არა-მეთქი. – „ვეცდები ყველანაირად, რომ ხვალ მივიდე მამაშენის სახლამდე და გაგაგებინო ამბავიო“, მაგრამ მეორე დღეც გავიდა, მესამე დღეც გავიდა, ზარი არა და არ არის. არაფერი არ ვიცი მამაჩემის და მამიდაჩემის შესახებ და ტელევიზორში კი საშინელებებს აცხადებენ და ლტოლვილებიც ამბობენ, რომ ცხინვალი ფაქტიურად აღარ არსებობს, უკვე ყველაფერი განადგურებულია და ცოცხალი უკვე აღარავინ არისო. აი ასეთი ინფორმაციები მომდიოდა და რა დღეში უნდა ყოფილიყავი, ეხლა წარმოიდგინეთ. ამასობაში მამიდაჩემის ახლობლები, ნათესავები, თანამშრომლები, ყველა ისტერიულად რეკავს და მაგათ ამბავს მეკითხება, მაგრამ მე თვითონაც არ ვიცი და სხვას რა უნდა ვუთხრა. და აი 13 აგვისტო მოვიდა უკვე. 13 აგვისტო მე და ჩემი დის დაბადების დღეა და აი ველოდებოდი... რაც არ უნდა მომხდარიყო, მამაჩემი გამოსავალს მაინც იპოვიდა და ერთი ზარით მაინც დამირეკავდა, ერთი წამით მაინც მოგვილოცავდა დაბადების დღეს, მაგრამ 13-მაც ისე ჩაიარა, რომ მამაჩემის ზარი არა და არ ჩანს. მამაჩემს არ დაურეკავს. მე ჩავთვალე, რომ ეს ძალიან ცუდის ნიშანი იყო და ჩავიქნიე ყველაფერზე ხელი.

ამასობაში ყველა მაწყნარებს, გიაც მეუბნება, აბა როგორ დარეკავენ, კავშირი არ არის, ნუ გეშინიაო. ეტყობა, ტელეფონი დაუჯდათ და როგორ უნდა დატენონ და ა. შ. და ა. შ. დაახლოებით 15 რიცხვი იყო, 15 – არა, 15-ში მამიდაჩემის დაბადების დღეა, 17 რიცხვი იყო და უცხო ნომერი დაფიქსირდა ჩემს ტელეფონზე, ვიღაცის ზარი შემოვიდა. ვუპასუხე, გისმენთ-მეთქი და კაცი მელაპარაკა ქართულად, ოღონდ ოსური აქცენტით. ოსი იყო. – „თქვენო, ნინო ხართო?“ „კი, ნინო ვარ-მეთქი“. – „იცი რაო, მე მამაშენის დავალებით ვრეკავ და ცოცხლები არიან და კარგად არიანო“. ამივარდა ისტერიული ტირილი და ვლოცავ ამ კაცს, შენ გაიხარე, ვაიმე, დიდი მადლობა. მე მგონი გიჟი ვეგონე იმ კაცს, ისე ვყვიროდი. ბოლოს გავაცნობიერე, რომ ისტერიკაში ჩავვარდი. – „დაწყნარდი, შვილო, ნუ ინერვიულებო, კარგად არიან, ცოცხლები არიან, მეტი არაფრის თქმა არ შემიძლიაო და თუ რაღაცას გავიგებ, დაგირეკავო“ და მორჩა. ეს ტელეფონი კი შევინახე, რაღაცა უცხო ნომერი იყო. გავიდა მერე ერთი-ორი დღე და „ესემესი“ შემოვიდა ისევ უცხო ნომრით. რუსულად მწერდა, «Я Лана. Тетя и папа живы. они себя хорошо чувствуют. Не нервничайте». მერე მე მივწერე წერილი, დიდ მადლობას ვუხდიდი და ვთხოვდი, რომ რაღაცნაირად ყურადღება მიექციათ მამაჩემისთვის და ცხოვრებაში არ დავუვიწყებდი ამ სიკეთეს. პასუხი ამ გოგოს აღარ მოუწერია. მერე 2 დღეში მამაჩემმა დარეკა, ისევ უცხო ზარი შემოვიდა +77 და რაღაც ნომერი. თურმე ეს იყო რუსული ნომრები. იქ აღარც „ჯეოსელი“ იყო და აღარც „მაგთი“ იყო და მხოლოდ და მხოლოდ ეს რუსეთის ნომრები იყო. მამაჩემმა დარეკა და მითხრა, მხოლოდ ერთი წუთით შემიძლია დაგელაპარაკო, იცოდე, რომ კარგად ვარო. ეს არის ნათელას ნომერი (დედაჩემის ნათესავის) და აქ შეგიძლია დარეკო და აქედან გაგაგებინებთ ამბებსო და აი, თითქოს ამოვისუნთქე. კი ერთი-ორი სიტყვით დაველაპარაკე, მაგრამ მითხრა, რომ უკვე დაიწყეს ჰუმანიტარული დახმარების შემოტანა ქალაქში, სროლები აღარ არის და რაღაცნაირად ნელ-ნელა ლაგდება სიტუაცია და ვეცდები ყველანაირად, როგორც კი საშუალება გამოჩნდება, გამოვიდეთ ქალაქიდანო...

დავიწყე ყოველდღე რეკვა, შეუძლებელი იყო, არ ირეკებოდა, მაგრამ „ესემესები“ იგზავნებოდა და მივწერდი ნათელას – „ნათელა, რა ხდება, ხომ კარგად ხართ?!“ და ნათელა მპასუხობდა: „ნუ ნერვიულობ, მამაშენი...“ შიგნით იქ, თვითონ ქალაქში, სახლის ტელეფონები მუშაობდა, ერთმანეთს ურეკავდნენ, და მეუბნებოდა, რომ სინათლე ჯერ არ არის, წყალი ჯერ არ არის, ჩვენო კი გვაქვსო და მამაშენი ჩვენთან მოდის და წყალი აქედან მიაქვსო, მაგრამ ქალაქში ჰუმანიტარული დახმარების შემოტანა დაიწყეს და ნუ გეშინია, საჭმელი უკვე აქვთ“; ნელ-ნელა, ნელ-ნელა დავწყნარდი. ნათელას საშუალებით ვიგებდი ამბებს. მეუბნებოდა, რომ ქალაქი ძალიან არის დაზიანებული, ქართული სოფლები თითქმის აღარ არსებობს, განადგურებულია ყველაფერი. რაც გადაწვეს, ხომ გადაწვეს და მერე ტრაქტორებით გადაუარეს, რომ იქ აღარავის შეძლებოდა დაბრუნება.

ქალაქში ცოცხალი ჯაჭვი რომ იყო, რომელი რიცხვი იყო, აღარ მახსოვს (1 სექტემბერი, 15 საათზე), უნივერსიტეტში ვიყავი, რომ ამ დროს მომდის „ესემესი“ – „მამიდაშენი დღეს გამოვაგზავნეთ წითელი ჯვრის მანქანით ერთი საათის წინ და ჩაიყვანენ კარალეთში“ და მორჩა, მეტს არაფერს არ მწერდა, ეხლა გავოცდი, რა უნდა მექნა, მე კარალეთში როგორ უნდა ჩავსულიყავი.

კარალეთს აკონტროლებდნენ უკვე ოსები და რუსები და როგორ უნდა ჩამომეყვანა მამიდაჩემი თბილისამდე?! დავიწყე „ესემესის“, გაგზავნა, მაგრამ არ მიდიოდა. მერე მოვიფიქრე, მოდი, დაველოდები – და მამიდაჩემის მობილურზე დავიწყე რეკვა. არაფერი. ნუ, გამორთულია მობილური. ამას ველოდი ისედაც. იმიტომ რომ სინათლე არ იყო და სად უნდა დაეტენა ეს ტელეფონი, ხო? მოდი-მეთქი, ვიფიქრე, დაველოდები და იქნებ და თვითონ გამაგებინოს ამბავი. გული დამწყდა, რა თქმა უნდა, იმაზე, რომ მარტო მამიდაჩემი მოდიოდა და მამაჩემი – არა. მაგრამ ვიფიქრე, რომ მამიდაჩემი რომ ჩამოვიდოდა, გამარკვევდა სიტუაციაში. ვიფიქრე, რომ რაღაცნაირად ეგებ მივსულიყავი მამიდაჩემის სახლამდე. საბურთალოზე ცხოვრობს, ტაშკენტის ქუჩაზე, მაგრამ ქალაქი პარალიზებული იყო. ეს ცოცხალი ჯაჭვი რომ იყო, მოძრაობა არ იყო და როგორ გინდა ახლა ვაკიდან საბურთალოზე გახვიდე. მერე თამუნამ მითხრა, პაიჭაძემ, – „ნუ ნერვიულობო, ჩავსხდეთო მანქანაში და რაღაცნაირად ნელ-ნელა იქნება მივიდეთო იქამდეო“ და როგორც იქნა, მივაღწიე მამიდაჩემის სახლამდე. ამასობაში დავურეკე მის მეზობელს. მეგობარია თან ეს ქალი, რომ „ესე, ესე-მეთქი, «тетя приезжает» და მეო, გავაღებო, რუსია ის ქალი, კარს გავაღებ, გავანიავებო და დაგელოდებიო.

სახლს რომ მივუახლოვდი, მირეკავს ეს ნატაშა, მამიდაშენმა დარეკა და ესე თქვა, დიდუბეში ვარ, წითელმა ჯვარმა ჩამომიყვანა და მომაკითხეთო. იმდენად დაბნეული იყო ისიც და მეც, რომ ვეღარ ვკითხეო, დიდუბეში – სად? სად-მეთქი, მეც ვეკითხები. – „ალბათ ავტობუსების გაჩერებაზეო“. მერე დიდხანს ვიცინოდით ამაზე, იმ წუთს კი საშინელ სიტუაციაში ვიყავი, მერე იყო ძალიან სასაცილო. ვურეკავ ჩემს ქმარს, „ჩქარა, – მე ვუთხარი, – წადი დიდუბეში, მამიდაჩემი ჩამოვიდა-მეთქი“. „სადო?“ – მაშინვე ეს მკითხა და ალბათ ცხინვალის მარშუტკები რომ ჩერდება-მეთქი. იმდენად გათიშული ვიყავი – რა უნდოდა ეხლა მაშინ ცხინვალის მარშუტკებს დიდუბეში? იმანაც ხმა არ გამცა და ეგრევე წასულა დიდუბეში. „კაცო, ამ დიდუბეში ავივლი, ჩავივლი, კაციშვილი არ ჩანს“, – მირეკავს, კაცო, დიდუბეში ვარო და არავინაო. ამასობაში მე ავედი სახლში. ხოდა, ვაიმე, ვიძახით, რა ვქნათ, რა ვქნათ და ისევ მე მოვიფიქრე, ნომერი დაფიქსირებული იყო იმის ტელეფონზე, გადავურეკე და ვიღაცამ მიპასუხა ინგლისურად. მე ვეუბნები, მინდიაშვილი მინდა, ანასტასია მინდიაშვილი, ერთი წუთითო, მითხრა და ვიღაცა ქართველი ახალგაზრდა ბიჭი იყო, დამელაპარაკა. დიახო, – მითხრა, – აქ არისო, შავი ტანსაცმელი აცვია და შავი ჩემოდანი უჭირავსო ხელში. მოაკითხეთო. იმდენად დაბნეული ვიყავი, რომ კიდევ დამავიწყდა მეკითხა, რომ – სად? გავთიშე ეს ტელეფონი და ვურეკავ ჩემს ქმარს – მანდ არის, შავი ტანსაცმელი აცვია და ჩემოდანი უჭირავს და თვალი გაახილე-მეთქი. ის მპასუხობს, „ვახელ და მაინც ვერ ვხედავო“. ვაიმე, გადავირიე... ამასობაში ზარია ისევ და ის ბიჭი მირეკავს, – „ჩვენ თვითონ ჩავსვით მანქანაში და გამოვუშვითო. ეს ისეთი პროცედურაა, რომ ახლობელს უნდა მოეკითხა და ხელი მოეწერა, მაგრამ თვითონ მოაწერა ამ საბუთებს ხელი, რომ უსაფრთხოდ ჩამოიყვანესო. თანაც, რადგანაც თქვენ გესაუბრეთ, ჩვენ თვითონ გამოვუშვით მანქანით და მოვა ახლა, სადაცაო“.

ჩავირბინე კიბეზე და მართლაც შემოვიდა სადარბაზოში მამიდაჩემი და გავშეშდი, რომ დავინახე: ქალს ჰქონდა შეშლილი სახე, აი, ადამიანს არ ჰგავდა

და განახევრებული იყო. ავტეხე ღრიალი ამ კიბეზე: „მამიდა, მამიდა“ და – „კაი, დაწყნარდიო, ნუ ყვირიხარო“, მითხრა. ამასობაში მეზობლები გამოვიდნენ და ნუ, დიდი იმეებით ამოვიყვანეთ ეს მამიდაჩემი სახლში. არ ვიცი, როგორ გავრცელდა ეს ინფორმაცია ელვის სისწრაფით, რომ მამიდაჩემი ჩამოვიდა, დაიძრა ნათესავების ჯარი, ასე ვთქვათ. ყველა მოდიოდა მამიდაჩემის სანახავად და საშინელება ის იყო, კარი რომ იღებოდა, ყველა – „ვაა...“ და ღრიალით შემოდიოდა, ცოცხალ მამიდაჩემს რომ ხედავდნენ. მოკლედ ის დღე მე როგორ გადავიტანე... და დაიწყო ამ ქალმა მოყოლა, სინამდვილეში რა მოხდა. თქვა, რა გადაიტანეს იქ, სარდაფში რომ ისხდნენ იმ ხნის განმავლობაში, ისიც თქვა, რომ არანაირი აგრესია იმათი მხრიდან არ წამოსულა, იმ სარდაფში ქართველებიც იყვნენ, ოსებიც იყვნენ და რუსებიც იყვნენ. როცა სიცოცხლის გადარჩენაზე მიდგება საქმე, საერთოდაც არავინ არ ფიქრობს, ვინ ვინ არის და ვინ ქართველია და ვინ ოსი. მაგრამ ერთი მომენტი მახსენდება ძალიან კარგადო, როცა დაიწყესო უკვე ჰუმანიტარული დახმარების შემოტანაო, მე და მამაშენი ვსხედვართო საცოდავად, რაღაც – ვერც ვითხოვდითო, რომ ჩვენთვის ვინმეს რამე მოეტანა, და ამოვედითო სახლში. არც ერთი ფანჯარა სახლს არა აქვს (კი, ზაფხული იყო და სიცივის პრობლემა არ ექნებოდათ). აბსოლუტურად ცარიელი ყველაფერი, წყალი არ არის. ერთადერთი, წყალი ნათელასგან მოგვქონდაო და ამასობაში გავიხედეთო და მეზობლის ბიჭები მოვიდნენ, ახალგაზრდა ბიჭები და გვითხრესო, – „მიშა ძიაო, როგორ გეკადრებათო, ჩვენო თქვენ ხელში გავიზარდეთო და ჩვენო იმას როგორ გავაკეთებთო, რომ ჩვენ საჭმელი ვჭამოთ და თქვენ მშიერი იყოთო და ორი წილი მოგვიტანესო ეს ჰუმანიტარული დახმარება და შაქარი და რაღაც... პური მოჰქონდათო. ერთი ადამიანის კი არა, ორი ადამიანის. ძალიან ცდილობდნენ, რომ უხერხულად არ გვეგრძნო თავიო. გაჭირვებამ გააერთიანა ეს ადამიანები. გვითხრეს კიდევაცო, ჩვენ რა, გვინდაო, ესე რომ ხდებაო? ჩვენ ყველა აი ამ დამპალი პოლიტიკის მსხვერპლნი ვართო. რა შუაში ვართ ჩვენ აქ, ადამიანებიო, როგორ, ამდენი წელი თქვენ გაძელითო აქაო, ცუდ ყოფაში იყავითო და ახლა არავითარ შემთხვევაში ჩვენ ზურგს არ შეგაქცევთო. იმასაც კი ეუბნებოდნენ, მიშა ძია, ხომ არ მიგვატოვებ და ხომ არ წახვალთ აქედანო, ხომ იცი, როგორ გვიყვარხარო. სპორტსმენი რომ არის მამაჩემი, ძალიან პატივს სცემდა ყველა. მერე მე ვუთხარი, მამა რატომ არ წამოვიდა-მეთქი?

ყვებოდა მამიდაჩემი კიდევ იმას, რომ ბევრი ადამიანი იყო, რომლებიც ცდილობდნენ ქალაქიდან გამოსვლას იმიტომ, რომ საზღვრები უკვე ჩაიკეტა და შეუძლებელია ქალაქიდან გამოსვლაო. ერთადერთი – „წითელი ჯვარი“ ახერხებდა ქალაქში შესვლას. საშინელებებს ჰყვებოდა მამიდაჩემი, რამდენი დაღუპული იყო ქალაქში, როგორ იყვნენ ეს მიცვალებულები და რა ვიცი, რა, ძალიან ბევრი საშინელი ამბავი მოყვა. როგორც იქნა, როგორც ინვალიდი, ეს მამიდაჩემი „წითელმა ჯვარმა“ ურიგოდ გამოიყვანა. შვიდნი ვიყავითო, თუ არ ვცდები, თუ ექვსნი, ვინც გამოგვიყვანა „წითელმა ჯვარმაო“. ძალიან კმაყოფილი იყო, ისეთი კარგი ახალგაზრდები იყვნენ, რომ ხედავდნენ, რომ შოკირებულები ვიყავით, მთელი გზის განმავლობაში ცდილობდნენ ჩვენს გამხნევებასო. ვერაფრით ვერ გამოვდიოდი მდგომარეობიდანო და თან ყველაზე ცუდი ის იყოო, მამაშენს რომ ვტოვებდიო. ეს იყო ყველაზე დიდი საშინელება ჩემთვისო, მაგრამ აი, მითხრაო,

გინდა მომკალი და ეხლა არაფრით არ შემიძლია აქედან წამოსვლაო. მე კიდევ ვიფიქრებ და ვნახოთ, თუ გადავწყვიტე, შეიძლება რაღაცნაირად გზა გამოვნახო და გამოვიდეო. შენ კიდევ აუცილებლად უნდა წახვიდე იმიტომ, რომ ავადმყოფი ქალი ხარ და შენთვის აქ გაჩერება აღარ შეიძლებაო. ეს ამბავიც გავიგეთ.

ახლა იმის მერე, რამდენი ხანი გავიდა უკვე და მამაჩემი დღემდე იქ არის. „ჯეოსელი“ უკვე მუშაობს ცხინვალში, ოღონდ რაღაცა ამაღლებულ ადგილას უნდა ახვიდე, ან სასაფლაოზე, სასაფლაოზე ადის ხოლმე, ან ტყეში უნდა ახვიდე, და იქიდან გვიკავშირდება. გუშინაც ველაპარაკე, მაგრამ მამიდაჩემმა მითხრა მაშინვე, ტელეფონში ნურაფრის ლაპარაკს ნუ დაუწყებ, თუ თვითონ არ გითხრა, რაც საჭიროა – თვითონ იტყვისო, ნუ დაუწყებ ზედმეტი შეკითხვების მიცემასო და მეც, რასაკვირველია, ასე ვაკეთებ. რომ დარეკავს, როგორა ხარ, კარგადა ვარ, და ძირითადად აი ეს – ბავშვები როგორ არიან, ახალი რა არის? ერთი პერიოდი ირეკებოდა კარგად, მეც ვრეკავდი, მაგრამ აი ამ ბოლო პერიოდში თვითონ თუ ახერხებს დარეკვას. ან დილის საათებში ძალიან ადრე, ესე 7 საათზე რეკავს, ან კიდევ დაახლოებით 12-ზე. მოკლედ, ან სასაფლაოზე უნდა ავიდეს იმ შემაღლებულ ადგილზე, ან კიდევ ტყეში, რომ რაღაცნაირად მოახერხოს დაკავშირება. და იქაც ყველგან არ იჭერსო. რაღაც კონკრეტულად ერთი ადგილია, საიდანაც ახერხებს ჩვენთან დაკავშირებას. ჯერჯერობით ეს პროცესი არ დამთავრებულა და კიდევ როგორ განვითარდება მოვლენები, კაცმა არ იცის. იმედია, რომ უკეთესობისკენ წავა საქმე. სიმართლე გითხრათ, ისე ვარ დაღლილი ამ ყველაფრით, რომ ძალიან მინდა, მალე დამთავრდეს და ბოლოს და ბოლოს რაღაცა გაირკვეს, რა მოხდება, როგორ იქნება, რა იქნება.

ახლა, ეს ხომ ფაქტია, რომ ეს გარდაუვალია – როდესღაც დადგება ის დღე, და მე ამაში დარწმუნებული ვარ, რომ ქართველები ისევ შევლენ თავის სახლებში, ყოველ შემთხვევაში მე ცხინვალზე რატომღაც ვფიქრობ, რომ ეს ასე იქნება, მაგრამ თვითონ ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ, როგორც ქართველებმა, ისე ოსებმა, რომ ეს არის გარდაუვალი და რაღაცნაირად უნდა შეეგუონ იმ ტკივილთან ერთად ცხოვრებას, რომელი ტკივილიც მათში არის, თითოეულ ადამიანშია და რა ვიცი, ძალიან ბევრი ისეთი რთული ისტორიის მოსმენა მომიხდა იქიდან გამოსული ადამიანებისგან, ზოგი რას ყვებოდა, ზოგი – რას, მაგრამ მიუხედავადა ამისა, მე ვერ ვხედავ, რომ ჩვენ სხვა გზა გვქონდეს. მე ვფიქრობ, რომ აი ამ ტკივილით უნდა შევეცადოთ ერთად ცხოვრებას და აი ნელ-ნელა ალბათ ყველაფერი დალაგდება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. რა ვიცი, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ყველაფერი ასე იქნება.

***

– ნინო, ჩვენი შეხვედრა განაპირობა იმან, რომ მე მოვდიოდი გორში საერთაშორისო კონფერენციაზე თემით „მტრის სიყვარულის მოტივი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“. ვფიქრობდი, რომ ეს თემა აქტუალური იქნებოდა გორის კონფერენციისთვის, გორის უნივერსიტეტისთვის, რომელიც ცხინვალის უნივერსიტეტთანაა გაერთიანებული. როგორ ფიქრობ, შენი თვალსაზრისიც მაინტერესებს და შენი ახლობლებისაც – გვჭირდება თუ არა დღევანდელ დღეს მტრის სიყვარულის

მოტივი, რომელიც ასე მძაფრად არის წარმოჩენილი არა მარტო ვაჟა-ფშაველას პოემებში, არამედ მოდის სახარებიდან და ლიტერატურაშიც ბევრ მწერალთან აისახება?

– აუცილებლად გვესაჭიროება, ჯერ ერთი, დავიწყოთ აქედან... პრინციპში კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის გაჩაღდა თითქოს, მაგრამ ეს ხომ აშკარაა და ყველამ იცის, რომ ეს მოხდა მესამე ძალის ჩარევით. ანუ მე თავიდანვე ცალსახად მინდა ვთქვა, რომ ოსებში მე მტერს არ ვსახავ. ეს არის გამორიცხული. და მიუხედავად იმისა, რომ მე აღვნიშნე და ვთქვი, რომ ძალიან ბევრი ცუდი რამ მოხდა ქართველებსა და ოსებს შორის, მაინც მე მათ სახეში მტერს არ მოვიაზრებ. აი, როგორც მე ვფიქრობ, ასევე ფიქრობს ჩემი ახლობლების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი. გორელებიც ამასვე ფიქრობენ, ცხინვალელებიც ამასვე ფიქრობენ, ყველა ერთხმად აღიარებს, – რომ თუ არა ის ვიღაცა, ვინც ჩაერია და გააღვივა ეს კონფლიქტი, არაფერიც არ მოხდებოდა. მე ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ცხინვალელებთან, რომ გავიგებ ვინმეზე, რომ ცხინვალელია, რომც არ ვიცნობდე, დავუშვათ, ისეთი გრძნობა მიჩნდება, რომ ჩემი ახლო ნათესავია და ვესაუბრები. ზუსტად იმასვე მეუბნებიან სხვებიც, ისინიც. ეს ბუნებრივიცაა, ჩვენ ერთმა ტკივილმა გაგვაერთიანა და აი, ნათესავებად მივიჩნევთ ერთმანეთს, ცხინვალელია და მორჩა. აი თუნდაც, გორის უნივერსიტეტში ძალიან ბევრი ცხინვალელი, ყოფილი ცხინვალის უნივერსიტეტის თანამშრომელი მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანდა ეს უნივერსიტეტები და გორელებიც დარჩნენ იქ და ცხინვალელებიც, ისეთი ახლობელია ჩემთვის ეს დაწესებულება, რომ რა ვიცი! ასევე ყველა ცხინვალელისთვის, და ყველა ერთხმად აღნიშნავს ხოლმე იმას, რომ დავსხდებით ხოლმე და ვიხსენებთ ცხინვალში გატარებულ წლებს, რომ გვენატრება ისევ ის ჩვენი მეგობარი ოსები, ვიხსენებთ მათთან ერთად გატარებულ წლებს, რაღაცა ურთიერთობებს, ამბებს ვიხსენებთ და სულაც არ არის ამ მოგონებებში ისეთი დამოკიდებულება, რომ აი ის ცუდია და ის ჩემი მტერია. არა, პირიქით, ამას ისეთი ნოსტალგიით ვიხსენებთ, რომ გვინდა, ეს ისევ მოხდეს ჩვენს ცხოვრებაში და იმ ადამიანებთან ერთად გავაგრძელოთ ცხოვრება. ასე რომ, გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ სულაც არ მოიაზრებენ ქართველები, ყოველ შემთხვევაში – ცხინვალელები ოსების სახეში მტერს. ეს კონფლიქტი ნამდვილად გააღვივეს რუსებმა. ამ ბოლო მოვლენებმა ეს ყველაფერი ნათლად დაგვანახა.

მე ვფიქრობ, რომ რუსების სიყვარულიც გვესაჭიროება, იმიტომ, რომ სიძულვილი კარგთან არაფერთან მიგვიყვანს. სწორედ სიყვარელია ის ერთადერთი ძალა (სიყვარული თავისი ფართო გაგებით), რომელიც ჭეშმარიტებასთან მიგვიყვანს. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არის არასწორი პოლიტიკის შედეგი, არა მარტო რუსული მხრიდან, ქართული მხრიდანაც და ოსური მხრიდანაც.

– ეს სიყვარული როგორ უნდა გამოიხატოს, ამაზე თუ გიფიქრია?!

– ჩემი თვალთახედვით, ეს სიყვარული უნდა გამოიხატოს ურთიერთპატივსცემაში, თუნდაც დღევანდელ დღეს. მიუხედავად ყველაფრისა, რაც მოხდა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ უნდა გადაიზარდოს სიძულვილში. არ არსებობს სიტუაცია, საიდანაც რაღაც გამოსავალი არ არსებობს. მაგრამ ეს გამოსავალი უნდა მოიძებნოს, ეს არ უნდა იყოს ძალისმიერ მეთოდებზე და სიძულვილზე დამყარებული გამოსავალი. ძალა არ იქნება გამოსავალი, ის კიდევ ერთ დაპირისპირებამდე

მიგვიყვანს. რასაკვირველია, ეს არ არის რუსი ხალხის ნება. პირიქით, პირად საუბრებშიც ჩემთან, ჩემს ახლობლებთან, ისინიც იმას აღიარებენ, რომ ძალიან ცუდია, ასე რომ მოხდა და სულაც არ გვინდა, რომ რუსებსა და ქართველებს შორის ასეთი დაპირისპირება იყოსო. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არის პოლიტიკოსთა ამბიციების შედეგი, რამაც ეს ადამიანები, ხალხი, ერი დაუპირისპირა ერთმანეთს, და ეს ყველა დროში ასე ხდება. თუნდაც 90-იან წლებშიც – ასე მოხდა. ავტონომიური ოლქი, რომელიც შეიქმნა 1922 წელს, ხელოვნურად იყო შექმნილი. მე ამაზე ვმუშაობდი და კარგად ვიცნობ ამ საკითხებს. როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, პრაქტიკულად ქალაქში ოსური მოსახლეობა არ არსებობდა. მერე ხელოვნურად მოხდა აქ მოსახლეობის ჩასახლება. რის საფუძველზე მოხდა ავტონომიური ოლქის შექმნა? ხომ უნდა არსებობდეს გარკვეული რაოდენობა მოსახლეობისა, რის საფუძველზეც ხდება ოლქის შექმნა? მაშინ არ არსებობდა ეს საფუძველი იმიტომ, რომ არ არსებობდა ოსური მოსახლეობა. ცხინვალი დასახლებული იყო ქართველებით, სომხებით და ებრაელებით. და რაღაც ძალიან ცოტა რაოდენობა ოსები ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე ხელოვნურად მოხდა ამ ადამიანების ჩამოსახლება. ე.ი. როგორც ჩანს, მაშინვე იყო ეს ნაღმი ჩადებული სამაჩაბლოშიც და აფხაზეთშიც, სადაც შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკა და აქ კიდევ – ავტონომიური ოლქი. მანამდე, ეს დაპირისპირება ახალი კი არ არის ქართველებსა და ოსებს შორის, რამდენადაც მე ვიცნობ სიტუაციას, სადღაც მე-19 საუკუნის დასაწყისში მოხდა მსგავსი დაპირისპირება, აი სწორედ 20-იან წლებში. XX საუკუნის დასაწყისშიც მოხდა მსგავსი დაპირისპირება, მაგრამ ასეთ მკვეთრ დაპირისპირებაში არ გადაიზარდა ეს ყველაფერი. როგორც ჩანს, ეხლანდელმა ჩვენმა პოლიტიკოსებმა და მაშინდელებმაც, ვინც მაშინ იყო, როცა ეს კონფლიქტი დაიწყო, ვერ განჭვრიტეს, სინამდვილეში რა ხდებოდა და რა შედეგებამდე მიგვიყვანდა. ვიღაცას აწყობდა, ესე რომ არეულიყო სიტუაცია.

ახლა, ფაქტია, ბოლოდროინდელ მოვლენებზე ვლაპარაკობ, ამაში მე დარწმუნებული ვარ და ვერავინ გადამარწმუნებს, რომ აი, დრომ შეუწყო ხელი, მოსახლეობა ერთმანეთს ისევ დაახლოებოდა. ხომ გაყინული იყო ეს კონფლიქტი და თითქოს არაფერი პოზიტიური არ ხდებოდა. ისევ იყო კოკოითის მთავრობა, ისევ იმ თავის საქმეს აკეთებდა, მაგრამ ქართული და ოსური მოსახლეობა ძალიან დაახლოვდა ბოლო პერიოდში.

როგორც ჩანს, მე მაინც ამას ვაბრალებ ყველაფერს, ვიღაცამ დაინახა, რომ შერიგება გარდაუვალი იყო. მე ვთქვი, ეს ლიტერატურაშიც აისახა-მეთქი. ამიტომაც მოხდა ეს მეორე დაპირისპირება, რომ ეს ადამიანები ერთმანეთისთვის ისევ დაეცილებინათ; ისევე შუღლი და მტრობა გაეჩაღებინათ მათ ცნობიერებაში და მათ გულებში, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ (შუამავლად) ჩემი თაობა დარჩა და ჩემზე უფროსი თაობა. ჩემზე უმცროსი თაობა – აღარა, ანუ – მე მახსოვს ცხინვალში გატარებული წლები, ჩემზე პატარები უკვე იქ აღარ დაბადებულან. ანუ – ისინი ისე პატარები იყვნენ, ცხინვალიდან რომ გამოვიდნენ, რომ აღარ ეხსომებათ იქ გატარებული წლები და იქ გატარებული ბედნიერი წუთები. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ჩემი თაობის და ჩემზე უფროსი თაობის გასაკეთებელია. ვისაც ისევ ახსოვს ცხინვალი, ვისაც ისევ

ახსოვს ოსებთან ურთიერთობა, ვისაც ახსოვს ის სითბო და სიყვარული, – თორემ აქ დაბადებულ ბავშვს, ვინც ამ გარემოში გაიზარდა, ვერანაირად ვერ ეტყვი, შენ ოსი გიყვარდესო. იმიტომ, რომ, რაც დაიბადა, იმის მერე ესმის, რომ აი ოსებსა და ქართველებს შორის არის კონფლიქტი და ოსებმა ეს დახოცეს და ოსებმა ეს გააკეთეს, ეს ააფეთქეს და ა. შ. ხო?

იმისთვის წარმოუდგენელია, რომ შეუყვარდეს ოსი. ასევე ოსი ბავშვები, რომლებიც ჩვენს შემდეგ დაიბადნენ, ისინი მუდმივად იზრდებიან იმ გარემოში, რომ აი, ქართველები აწიოკებენ ოსებს, ქართველებმა ოსები დახოცეს და ა.შ. და, რა თქმა უნდა, მტრის ხატად წარმოუდგენიათ ქართველები. აი ჩვენღა დავრჩით – ჩემი თაობა და ჩემზე უფროსი თაობა, ვისაც ახსოვს ეს ყველაფერი და რა ვიცი, იმედია, რომ აი იმ პერიოდში, სანამ ჩვენ ვართ და სანამ ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია სიტყვის თქმა, ეს კონფლიქტი მოგვარდება. ეს კონფლიქტი უნდა მოგვარდეს ერთმანეთის მოსმენით და ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით. სხვანაირად წარმოუდგენელია. მე, მაგალითად, ვერ ვხედავ სხვა გამოსავალს.

– ნინო, მე შენი საუბრიდან აი ეს დასკვნა გამოვიტანე, რამდენად მეთანხმები? რომ ადამიანებს შორის მაინც მოგვარდება პრობლემა და პოლიტიკოსებმა უნდა გამოძებნონ საერთო ენა. პოლიტიკოსებს უნდა გაუჩნდეთ ის განცდა, რომ მტრის ხატი არ უნდა არსებობდეს და ადამიანებმა ერთმანეთი სხვაგვარად უნდა დაინახონ.

– დიახ. აი ამის დასადასტურებლად ერთ ამბავს მოგიყვებით, ბოლოდროინდელ მოვლენებს ეხება. დედაჩემის ერთ-ერთი მეგობარი, ისიც ასევე, დედაჩემივით, მუსიკის მასწავლებელი იყო და თამარაშენში ცხოვრობდა... მან გაიხსენა ეს ამბავი. ძალიან განიცდიდა, როცა იბომბებოდა ცხინვალი და ეს ქართული სოფლები. მთელი ღამე იბომბებოდა და დილით უკვე სიმშვიდე იყოო. გამოვდიოდით დილით და ჩვენი ბაღის ბოლოდან ძალიან კარგად ჩანდაო ბრძოლის ველი. უამრავი დაღუპული ახალგაზრდა იყო იმ ბრძოლის ველზე და ჩვენო, ფორმების საშუალებით ვცნობდით, ვინ ქართველი იყო, ვინ ოსი, იქ ჩეჩნებიც იყვნენ, რუსები იყვნენ და ფორმების საშუალებით ვცნობდით, ვინ ვინ იყოო. და ერთხელაც ვხედავო, ოსი ბიჭები მოვიდნენ და დაიწყეს გადარჩევა ამ მიცვალებულებისო. ხომ ძალიან რთული საყურებელია ეს ყველაფერი, მაგრამ დავინტერესდიო, რას იზამდნენო. გათხარესო საფლავი იქვე, იმიტომ რომ იმის საშუალება არ იყო, სადმე წაეყვანათ ეს ბიჭები, ალბათ. რუსები და ეს ჩეჩნები პირდაპირ ჩააწვინეს და ქართველები და ოსები დატოვესო. გამიკვირდა ძალიანო, რატომ დატოვეს მაინცდამაინც ქართველები და ოსებიო. ცოტა ხანში, გავიხედე, წავიდნენ და მოიტანეს ვაშლის ხის ყუთებიო. ორი ყუთი გააერთიანესო და ასე პატივით ჩაწვინესო ქართველებიც და ოსებიც სახელდახელოდ გამზადებულ სასახლეში. ვერ გაიმეტეს, რომ პირდაპირ ჩაესვენებინათ მიწაში ეს ბიჭები. და ასე გამორჩევით ქართველები და ოსები პატივით დაკრძალეს.

ეხლა ეს რაზე მეტყველებს? იმაზე მეტყველებს, რომ აი ოსებმა, რომლებსაც იმ წუთას, ნახევარი საათის წინ ჰქონდათ აი ასეთი ბრძოლა ქართველებთან და შეაკლეს ერთმანეთს თავი, მაინც ვერ გაიმეტეს ეს ქართველი ბიჭები, რომ აი ასე პირდაპირ ჩაესვენებინათ მიწაში. რამდენი ასეთი ფაქტის გახსენება შემიძლია. აი, მაგალითად, გზააბნეული ქართველი სამხედროები რომ დადიოდნენ... გამოაცხადეს

იქ, სასწრაფოდ თავს უშველეთ და წადით თბილისისკენო და ზოგი ქართველთან აფარებდა თავს და ზოგი მოხვდა ოსურ სოფელში, ზოგი ცხინვალში აღმოჩნდა და ა.შ. მე ვიცი ძალიან ბევრი ფაქტი, რომ ოსებმა გამოიყვანეს ჩვენი ბიჭები სამშვიდობოს. მოსახლეობას ვგულისხმობ, რასაკვირველია, – „გაიქეცით ეხლა, ეს არის გზა, ამ გზით წადით და თავს უშველეთო“. ბევრი ფაქტი ვიცი, რომ ქართველებმა გადაარჩინეს ოსი სამხედროები.

ერთ ფაქტს გავიხსენებ კიდევ, დედაჩემის თანამშრომელზე რომ ვსაუბრობდი, თამარაშენში უზარმაზარი სახლი ჰქონდა, ძალიან კომფორტულად მოწყობილი და დაკარგა ეს ყველაფერი; აღმოჩნდა რაღაცა პატარა სასტუმროში და ყვება, – „ისე ვნერვიულობდი, ისე ვნერვიულობდი, მინდოდა ჩემი დამწვარი სახლის ნახვაო. ვფიქრობდი, ხო დავწყნარდები მერე, როცა ვნახავ, რომ ჩემი სახლი არის დამწვარი, მორჩა და გათავდაო, ხო? მაგრამ როგორ უნდა გამეკეთებინა ეს ყველაფერი? ვიცოდი, ამისი შესაძლებლობა არ არსებობდაო“.

და ამდგარა ეს ქალი, ისე რომ არ გაუფრთხილებია არც ქმარი, არც შვილი, – „რაღაცა თანხა მქონდაო, ფული ჩავიდე ჯიბეშიო და არაყი კიდევ ავიღე და წავედი, ჩავედი კარალეთამდეო. იქ იყო რუსის სამხედროების შტაბიო. მივედი ამ შტაბშიო და ვეუბნები, რომ აუცილებლად უნდა წამიყვანოთ თამარაშენშიო და ყველამ ისე შემომხედა, რომ გიჟი ვეგონეო. მითხრესო, რომ– «Нет, тетя, это невозможно». მე ვუთხარი, ვეხვეწეო, ხან ფული ვაძლიეო, ხან ეს არაყი ვაძლიეო. – „არაო, არა“, თავი შორს დაიჭირესო. – „არაო, როგორ შეიძლებაო, იქ გადამწვარია ყველაფერი, გადაბუგულია და რა გინდა თამარაშენშიო?“. ეტყობა, ისე კატეგორიულად მოვითხოვდი ჩემი სახლის ნახვას, რომ მერე მითხრეს, დაგველოდეთ, უფროსი მოვა და აბა, იმას ვკითხოთ, რას იზამსო. ამასობაში, არ გავიდა 15 წუთი, რომ მართლაც მოვიდა ეს ამათი უფროსი, ვიღაცა რუსი სამხედრო ჩინოსანი. უთხრესო, რომ ეს ქალი დაჟინებით მოითხოვს თავისი სახლის ნახვას, და მოვიდაო და ძალიან თბილად დამელაპარაკაო, რომ «Не надо», უნდა ინერვიულოო, და ძალიან რთული სანახავიაო. მერე მე ვუთხარიო, რომ ძალიან გთხოვთ, რა, და ტირილი დავიწყეო, არა, მინდა, რომ ჩემი სახლი ვნახოო. და მერე ამ კაცმა თქვა, რახან ასე დაჟინებით მოითხოვო, დაიცადე ცოტა ხანი, და დარეკაო, მოვიდა მანქანაო, ორი სამხედრო გამომაყოლაო და უთხრა, – ეს ქალი ჩაიყვანეთ თამარაშენამდე და ასევე უვნებელი ჩამომიყვანეთ აქამდეო. ჩამსვესო ამ მანქანაში და მივდივარ და რას ხედავს ჩემი თვალები – განადგურებული ყველაფერი, გადამწვარი, გადაბუგული. ცხინვალზე გავიარეთო. არის შემოვლითი გზა და ცხინვალზე გზა. ცხინვალი რომ დავინახე, შოკში ჩავარდი, ისეთი ამბავი იყოო ქალაქშიცო. ქალაქიც განადგურებული და თამარაშენს რომ მივუახლოვდითო, გააჩერა მანქანა და «Тетя, не надо», პატარა ბიჭი იყოო და იმასაც თვალები აუწყლიანდაო. არაო, მე ვუთხარიო, მიმიყვანე ჩემს სახლთანო. რომ მიმიყვანა სახლთანო, მითხრა, აქ დაგელოდებითო და გადავედიო და ვერ მოვდიოდი ერთი ათი წუთი აზრზე. რომ შევედი, აი – საერთოდ სხვა გარემოში აღმოვჩნდიო. აღარ იყო აღარც სახლი, აღარაფერი, ჩონჩხი ცარიელი. რაღაც ის მქონდაო, ავტოფარეხი. ის ავტოფარეხიც კი აღარ არსებობდაო და რაღაც ტრაქტორი, რომლითაც მოსავალს ვიღებდით, ისიც კი ჩამწვარი იყოო ბოლომდე. მერე, ჯერ ხომ ისტერიული ტირილი დავიწყეო, ვიტირე, ვიტირე, ვიტირე,

ვიტირე, მოვიკალი თავი ტირილითო და მერე უცბად, ჩემდა გასაოცრად, დავწყნარდიო. და დავიწყე ამ გადამწვარ სახლში ჩემი ნივთების ძებნაო. იქნებ რაღაცა იყოს გადარჩენილი და – ერთი კოვზი და ერთი ჩანგალი ვიპოვეო და ერთი ჭიქაო. და დიდი სიამოვნებით ავიღე ეს ნივთები, ჩავალაგე ჩანთაში და რომ ვაპირებ გამობრუნებას, უნდა ჩავჯდე მანქანაში და უცებ დავწყნარდიო. აი მომეხსნა რაღაცა თითქოს გულიდან, მივხვდი, რომ „ვსიო“, აღარ არსებობს, და აქ ცხოვრება არ შეიძლება. და დავინახე – ზემოდან მოდიოდნენ ქალებიო. როგორც ჩანს, ქართული მოსახლეობა რომ წავიდა, იქ ბაღებში ხომ ჰქონდათ რაღაცები და ეს ოსის ქალები დადიოდნენ და კრეფდნენ, აგროვებდნენ მოსავალს. პომიდორი და რაღაცები მოჰქონდათ ყუთებით. და ერთი კი გავჩერდი და ვიფიქრეო, რომ ეხლა რაღაც ის არ წამოვიდეს, ჩხუბი არ მოხდეს. იმიტომ რომ ყველა ყველას იცნობს იქ. ხო? და რომ მომიახლოვდნენ ეს ქალებიო, დამინახეს ნამტირალევი, მოვიდაო ერთ-ერთი, ჩამიკრა გულში და მითხრაო, „იცი, ჩვენც როგორ გვიჭირს ამ ყველაფრის დანახვაო, რა ვქნათო, აბა, ჩვენც არ გვინდა, ესე რომ ხდებოდესო და მაგრად იყავიო, თქვენ ისევ უნდა დაბრუნდეთ და ერთად ვიცხოვროთო“. და ისე მესიამოვნა, ესე ჩახუტებულები ვიყავით და დიდხანს ვტიროდითო. და ეს ბიჭებიც ისე ტიროდნენო, ეს რუსის სამხედროები, ისე ტიროდნენო... ჩამსვესო მანქანაში და ისე უხმოდ, ისე ჩამოვედი კარალეთამდე, ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვისო. ანუ – ამ სამხედროებმაც დაინახესო, რამხელა ტრაგედია მოხდა და როგორ განიცდიდა ამას ორივე მხრის მოსახლეობა (ის კაცი იქ დახვდათ, ჩინოსანი ვინც იყო, არ ვიცი რა თანამდებობა ჰქონდა). მერე ამ კაცმა გააჩერა ისევ მანქანა და მანქანით გამომიშვა გორამდეო. დიდი მადლობები ვუხადეო.

როცა მივედი სახლში, ღამე იყო და ჩემს ქმარს რომ ვუთხარი, თამარაშენში ვიყავი-მეთქი, მოულოდნელობისგან კინაღამ დაეცაო, – „რამ გაგაბედინა, როგორ წახვედი იქო?“ მე ვუთხარი, თქვენთვის რომ მეთქვა, არ გამიშვებდით და ამიტომ გავაკეთე ჩუმად ეს ყველაფერიო. ეხლა ვიცი, რომ იქ აღარაფერი არ არსებობს, აღარც სახლი მაქვს და აღარც კარიო, მაგრამ ისე ძალიან აღარ ვნერვიულობო. ისეთ გაურკვეველ სიტუაციაში ვიყავი და ისე მიჭირდა, ეს გამოსავალი მოვუძებნე ჩემს თავსო. ეხლა ვცდილობ, რომ რაღაცნაირად ცხოვრება თავიდან დავიწყოო. და იმით მაინც ვარ ბედნიერი, რომ ქმარი და შვილი ცოცხლები მყავს, რომ ვუყურებ გარშემო რამდენი ადამიანი დაიღუპა და რამდენი შვილი შეეწირა, უკვე ჩემთვის ესეც შვებააო“, – ასე ამბობს ეს ადამიანი.

ასე რომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, მოსახლეობამ იცის და კარგად აცნობიერებს, რასაკვირველია, უდიდესი ნაწილი მაინც, სინამდვილეში რა ხდება.

ელენე ხადური

დაბადების წელი: 1939

2010 წელს იძულებით ადგილნაცვალთა დასახლებაში ***კარალეთი*** ჩაიწერა
მაია მადუაშვილმა

ჩემი საკუთარი გვარია ელენე ხადური და ქმრის გვარი არის მაისურაძე. ჩემი ბავშვობა ძალიან მძიმე იყო, რაც მახსოვს. ომის ღარიბათ ვიზრდებოდი: ხან ნათესავთან, ხან აქ, ხან იქ და ამასობაში გავიზარდე უკვე, გავხდი 17 წლისა. 17 წელი რო შემისრულდა, ჩემმა ახლობელმა ბიძისშვილმა გამათხოვა. გამათხოვა, პერიოდი იყო, იმ... იმ მომენტში მამაჩემი ომში დაიკარგა, წაიყვანეს და ჩვენა ძალიან... იმ პერიოდში ჩვენ კი არა, საერთოთ ძალიან მძიმე დგმოიარობა დადგა. ყველაფერი გვიჭირდა, ძალიან, სოფელ ქურთაში, სადაც ძალიან კარგი მეუღლე აღმოჩნდა, დიდებული. დიდებული ისე, რო ხასიეთები, მშრომელი და აი ესეთი მაგვარი. ისე, ძალიან ღარიბები იყვნენ იგენიც. ის პერიოდი ეგეთი იყო საერთოთ. მერე ჩემი შრომით, მისი შრომით, კარგი ოჯახი შევქმენით. კარგი დიდი ბინებიც დავიდგით. მერე მიწისძრევამ დაგვინგრია ის ბინები, ხელმეორეთ კიდე დავიდგით. ხოდა, (ამოიოხრებს) ყველაფერით ავეწყეთ, რო იტყვიან. შვილები ორი მეყოლა, ქალ-ვაჟი: გიული და გურამი. ორივეს ვასწავლე. ეს ბიჭი ინჟინერი გამოვიდა, თბილისში დაამთავრა. გოგომ ლაბარატორიული დაამთავრა. მერე რო მუშაობა დაიწყო, მოიტაცეს, კახელმა ბიჭმა მოიტაცა. გაურთულდა დგმოიარობა იმასაც და აქეთ გადმოვიყვანე, უფრო სწორათ, ბინა უყიდევით და გადმოვასახლეთ. ქმარი ავარიაში მოუყვა იმ პერიოდში და წამოვიყვანე. იძულებული ვიყავი, რაღაცა... და მყაავს შვილთაშვილიცა, ნია ჩემი (იცინის). ეხლა ბიჭი ხან რუსეთში ატარებდა ბევრ წლებსა, ძაან დაუგვიანდა, ძალიანა ვნერვიულობდით. ამ ნერვიულობითა ჩემ მეუღლემ ვეღარ გადიტანა და გარდაიცვალა 69 წლის ასაკში. 10 წელია უკვე, 11 ხდება მარტში, რაც ის დაიღუპა.

მას შემდეგ განვაგრძე მე ოჯახის შრომა. ყველანაირათ ვშრომობდი, ძალიან, გავაორმაგე შრომა, ყველაფერი, და ეს ჩემი ბიჭი ჩამოვიდა. დავაქორწილე, ქორწილიც გადუხადეთ და ეხლა შეგვეძინა ორი თვის გოგონა, სოფიკო, დავარქვით სოფიკო, ჩემი დედამთილის სახელი. დედამთილი ჩემთან ერთად 30 წელი ცხოვრობდა. ძალიან მიხარია, რო იმის სახელი ქვია, ძალიან არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. მართალია ღარიბები ვიყაით, მარა მაინც სიყვარული გვქონდა. მეზობლები ძალიან ძვირფასები, გარშემო ვერავიზე ვერაფერს ვერ ვიტყვი. ძალიან ძვირფასი მეზობლები მყავს, არაჩვეულებრივი (ტირის), აი, ეხლაც, შორს რომ არიან, მენატრებიან ძალიან.

ეხლა ომის პერიოდში გადავალ. ესე იგი მთელი ახალგაზდობა რო წამოვიდა, თვით ჩემი ბიჭიცა და ყველა, დავრჩით ა ესე ხანშიშესული ხალხი და ისინი... დავარდნილი ხალხი, ისე, რო აი სიარულის თავი არ შეეძლოთ... პარალიზებულები, ზოგი კიდე 80 წლისანი იყვნენ. თამარაშნიდან რო დაიწყეს სახლების დაწვა და ჩვენამდე უკვე ამოვიდა, კუთხეში ხატები გვყვადა, ჩემი რძალი ძალიან ეკლესიურია და საერთოდ ჩვენი ოჯახი. ხოდა, ჩამოვხსენი

უპირველესი ეს ხატები და ჩანთაში ჩავიწყე. ჩავიწყე ჩანთაში და გამოვედი და გარაჯში ვიყავით მოგროვილები ერთათ 10 ადამიანი, მეტი აღარავინ ვიყავით ამ ორ მეზობლობიდან, უბნიდან, ასე ვეძახდით უბანს. ხოოდა, შეკრეფილები ვიყავით და ვფიქრობდით, ველოდით წითელ ჯვარს, მაგრამ არ უშვებდნენ. აი, თავს დავლუნავდი, რო თვითფრინავზე არ წამერტყა, ისე დაბლა დადიოდნენ. ტანკები რომ მოდიოდნენ და ოთხი ბიჭი ერთ გვერდზე იყო ავტომატებითა, ოთხი მეორეზე და ესენი დასტრიალებდნენ თავს, რო სოფლიდან იმათთვის ზიანი არავის მიეყენებინა, მარა ვინ იყო, ჩვენნაირი ხალხი რას ვიომებდით.

ეხლა დადგა ის დრო, სახლების დაწვა. ჩემი მეზობლის სახლი რო დაწვეს, ძალიან გული მეტკინა და, რა თქმა უნდა, ჩემი „ოჩერედიც“ დგებოდა. შევედი იმ ბინაში, ეს „სუმკა“ დავტოვე ჩემ ხალხთან და რო შევედი, შემოცვინდნენ ერთი თხუთმეტი ოსი, შეიარაღებული და ავიდნენ მაღლა ოთახში. მიიხედ-მოიხედეს, 15 წუთი გავიდა, ჩამოვიდნენ და წავიდნენ. მე ვთქვი, ღმერთმა მიშველა და გავიდნენ. გავიდა ნახევარი საათი და გაზელი მოაყენეს და „ტრანგალეტკას“ ეძახიან, ის. ყველაფერი რაც ოჯახში გაგვაჩნდა, ამ „გაზელზე“ დაუდეს და ღორები იმ „ტრანგალეტკაზე“ დასხეს. ორი... ორი მყავდა. წაი... წავიდნენ, ეს ყველაფერი წაიღეს. გავიდა 15 წუთი, ეზოში ვდგევარ დაღონებული და შემოცვინ-დნენ ისევა, სახლი უნა დაწვან. მე შევეხვეწე რო: ძალიანა გთხოვთ-მეთქი, სახლს ნუ დამიწვავთ. – ვინა ხარ შენაო და მოაბრუნა ავტომატის კონდახი და თავში ჩამარტყა. აი ექა, როგორც ორმოი, ისე მააქს თავი... სისხლი წამომივიდა, ცუდათ გავხდი, მანამ მე პირს მოვიბანდი ამ სისხლს და რაღაცას, მანამ, უკვე რო გამოვფხიზლდი ცოტა და გონს მოვედი, უკვე „კრიშა“ ჩაიწვა, დაწული იყო. ტირილი ამივარდა. გავაღე ეზოს ჭიშკარი და გამოვედი, ხელი მიკიდია კარებზე და ვფიქრობ, დავხურო თუ არა... ისევ ღია დავტოვე და გამოვეთხოვე ჩემ სახლ-კარს. მივედი ჩემ მეგობრებთან. ამ დროს, ერთი 10 წუთი არ გასულა, ჩემი შვილის ტანსაცმელი მქონდა „სუმკაში“ და ეს ხატები ჩანთაში მქონდა, შემოცვინდენ კიდე და ის სუმკა წინ ჩამიცხრილეს ავტომატითა. ერთი ნაბიჯით უკან არ დამიხევია. არ ვიცი, ხატები მამაგრებდა თუ მე გავქვავდი, ქანდაკებასავით ვიდექი. წავიდნენ.

ეხლა მე უთხარი: უნა ტყეზე წავიდე მეე-მეთქი, აღარ შემიძლია. ამათ ტირილი დაიწყეს, ჩემმა მეზობლებმა, სამმა: უნა წაგვიყვანოო ჩვენაო, 80 წლისანია ცოლი და ქმარი. მე უთხარი: სიარული შეგიძლიათ-მეთქი? მე ვერ გატარებთ იქ, ტყეზე. კიიო, ჯოხებს ავიღეფთ და ვივლითო. წამოვედით იქიდან, ვიარეთ, მანამ დაღამდებოდა, უკვე შევედით ტყეში. იქ ფიჩხებში დავიძინეთ. არ დავიძინეთ, მარა ვიყავით. გათენდა დილა, მაღლა მივდივართ ნელ-ნელა. რო ავედით ტყის წვეროზე, ძაღლების ხმაური მოგვესმა და რუსებისა და ოსებისაი. თან დიდი ცეცხლი უნთიათ. აგვისტო იყო, რათ უნდოდათ – არ ვიცი. ეხლა ამათ (მეზობლებს) შეეშინდათ. დასხდნენ ქვაზე, არ მომდევენ, მე უთხარი: კარგი, წავალ მე წინა და თქვენ უკან წამოდით. მე დაგეხმაურებით, თუ რამე საშიშოა. უკან დაბრუნების დრო არ იყო უკვე. ხოდა, ამ დროს გავიხედე ტყის ტოტებში და ორი, ავტომატით, გზაზე გადავიდა ჩემს დასახვედრათა. მიუახლოვდი. 30 წლისანი იყვნენ, რუსები.

– ზდრასტი, სინოკ-მეთქი – მე უთხარი.

– ზდრასტიო.

მე უთხარი: ვადა იესტ-მეთქი და – ნიეტო, 300 მეტრზეაო აქ წყალიო და დალიეთო. სპასიბა-მეთქი და დაუქნიე მეზობლებს ხელი, ნუ გეშინიათ, მოდით. მოვიდნენ. იმათაც მიესალმნენ. ხმა არ გაგვცეს. წავიდნენ. ორმა დიდმა ძაღლმა გვერდში ჩაგვიარა და იმისი ძალიან შემეშინდა და მე უთხარი, უჰ, მეთქი ჩემ თავსა, რაც იქნება – იყვეს, უკან დაბრუნების საშუალება აღარა გვაქ. ისე გაიარეს, ხმა არ ამოუღიათ. გავწიეთ გზა, განვაგრძეთ. მივდივართ. შევხედეთ კიდე, მანქანის „კუზაო“ დგა. აქ ალბათ-მეთქი შიგნით არიან, ოსებია თუ რუსებია, არა... ვერ გავარკვიეთ. მივუახლოვდი მე, ამათ შეეშინდათ, გაჩერდნენ და მე წავედი წინა. მივედი. კლიტე ედო დიდი წინ კარებს. ფანჯრისკენ მივუარე, რკინის ფანჯარა ქონდა. სუ ძაღლებით იყო სავსეი. ერთი 60 მაინც იყო. არავინ არ იყო ადამიანი. აღარ შემეშინდა. ისინი ვერ გამოვიდოდნენ. დაუქნიე ხელი ამათა და წამომყვნენ. რო წამოვიდნენ, ჩამოვედით დაბლა, წყალი გამოდიოდა, დავლიეთ, პირები დავიბანეთ და ქვებზე ჩამოვსხედით. ჩვენ თავებს უთხარით, ახლა უკვე ჩვენ სამშვიდობოზე ვაართ.

მაგრამ უფრო უარესი იყო აქეთ, რო გადმოვედით უკვე... ამ სოფლებს ერედვებს ეძახიან, სამი ერედვია, ის ამბავი ტრიალებს, რაც ჩვენ მხარეში: თვითმფრინავები, ტანკები, ცეცხლი, ცასა წვდება. მე უთხარი მეზობლებს: გაივლით-მეთქი? არაო, ვერაო. მაშ წამოდით-მეთქი. ერთი ბაღი დავინახე. ვენახი იყო და სიმინდი და მოთიბული თივა. გავხსენი ის ბაღი, შეკრული იყო ქამრით, ქალის ქამრით. გავხსენი და შევედი. გავშალეთ ის თივა და დავწექით ზედა. გატვრენილები ვაართ. ძილი არ გვეკარება. ოღონდ ექვსი დღეა, პური არ გვიჭამია. მარტო წყალი გვაქ. წყალი დავლიეთ და ვაართ ეგრე. ეს დილა რო გათენდა, წამოვდექი, გავიხედე, გზისკენ გამოვიხედე, სიწყნარეა (მცირე პაუზა). ამ დროს ამ ჩემ მეზობელს წნევამ აუწია. წნევამ რო აუწია (პაუზა), გადავასვენეთ თივაზე და წნევის წამალი, პატარა სუმკა ეჭირა მეუღლეს და იქიდან ამოქექა. წამალი დავალეინეთ და ველოდებით, რო გამოსწორდეს. ეს სახლები უკვე ჩაიფუქა. ჩაიფუქა. აღარაფერი არ არსებობს, როგორც ჩვენთან, ისე აქა..

გამოვდივართ... გამოვდივართ ნელ-ნელა, ესენი ჯოხებით მოდიან და გამოვედით ისე, რო კაციშვილი აღარ იყო, ყველა იყო გასული, წასული. ხოლოთ, გზაზე სუ მოძრაობდნენ ტანკები და ოსები და ყველა, რა, კაზაკი და რა ვიცი. მე უთხარი: ამ გორის გზას ნუ გავყვებით-მეთქი, ისევ ბაღებისკენ წავიდეთ. გზა ჩადიოდა. მივდივართ ამ გზაზე და თურმე ამ გზაზე კიდე ჯვარედინა გზა ყოფილა იქითაც გასავლელი და წითელი ნივა მიდის. უცბათ გააჩერა, დაატორმუზა და ჩვენსკენ წამოვიდა. მოგვიახლოვდა ჩვენა. ერთი 35 წლის ბიჭი იყო, ოსი, ქართულიც კარგა იცოდა. გადმოხტა და ოთხივეს მოგვიშვირა ავტომატი, უნა დაგხოცოთო. მე უთხარი, ამათ კანკალი დაიწყეს, მე უთხარი: შვილო, როგორ უნდა დახოცო, ჯოხებით არიან, არ შეგრცხვება-მეთქი?.. ვაჟკაცმა კაცმა. ესენი ცოცხლათაც მკვდრები არიან, თავიანთი სახლ-კარი დატოვეს და სულები მოაქთ, ან მოაქთ და ან არა-მეთქი. დახოცე, აჰა, შენ ვაჟკაცობაში ეს არ ჩაგეთვლება-მეთქი და, მოშორდით აქედანაო, დაგვიტია და არაფერი, წამოვედიით. ერთი ხის ძირას დავსხი ეგენი და მე მითხრა მეუღლემ იმისი... კაცმა, რო ოღონდ წადიო და გორის გზა იპოვეო.

წამოვედი. მივდივარ, მივდივარ და ტრიალ მინდორია. ძალიან ცხელა და შუაგულში ძალიან დიდი თივა იყო, ჭაობი. იქ დიდი ორმო იყო. იმ ორმოში ჩავვარდი. ჩავარდი იმ ორმოში და ბალახებს დავებღაუჭე და ისე ამოვედი. რო ამოვედი, ფეხსაცმელი შიგ ჩამრჩა. ფლოსტები მეცვა, ეგრე ვიყავით წამოსულები და სუ დავრჩი ფეხშველა, არაფერი არ გამაჩნდა. მაინც განვაგრძე გზა, წავედი. ვიპოვე ეს გზა. წყალი ჩამოდიოდა და ვიფიქრე, მე გავტოპამ, გავალ, მარა ეს მოხუცები ვერ გავლენ და ავყე, ავყე ამ წყალსა, რო გადასავალი მეპოვნა. გადასავალი ვიპოვე, ცემენტის ფილები იყო. ხოდა, უკან ხე დავნიშნე ხეთი, რო არ შემეშალოს-მეთქი და დავბრუნდი. რო მოვბრუნდი, ცოტა ქვეით მომივიდა წამოსვლა. პირდაპირ აღარ წამოვსულვარ და ატმის ბაღი დავინახე. გადავედი და 12 ცალი ატამი მოვგლიჯე, რო, შევჭამოთ-მეთქი, უკვე კვირა გახდა, არაფერი გვიჭამია წყლის გარდა. წამოვედი, მოუტანე ამათა. კაცმა, მოხუცმა ამოიღო, პატარა ჯიბის დანა ქონდა, გათალა, შევნაყრდით ამითი. მე უთხარი: ეხლა ნელა-ნელა წამო, გზა ვიპოვე-მეთქი, ძალიან გეეხარდათ. წამოვიყვანე. რო გამოვიყვანე ამ გზის აქეთა, დავსხი ხის ძირას და კაცს წნევამ კიდე აუწია, წამალი მისცა. ამ წამლის ამოქექვაშია, თავი ბიჭის „ადრესი“ იპოვა, თბილისში. ძალიან გეეხარდათ. მეც გამეხარდა. ესაო, ეხლა წადიო იმ სოფელშიო, ერთი კილომეტრ-ნახევარი იყო, „დიდს“ ეძახდნენ.

წამოვედი, ეს მუჭში მაქ, ფეხშველა ვარ, სად შევინახო, ჯიბეც არა მქონდა. წამოვედი, მოვდივარ და რო ერთ სახლს მივუახლოვდი, იქ არავინ არ იყო. მერე მეორე სახლთან წავედი, ალბათ, ბაღებში არიან-მეთქი გასულები და მიუახლოვდი ერთ 10 მეტრზე თუ არა ამ სახლსა, გარშემო შემორტყმული ავტომატიანები, უნა დეეწვათ ის სახლი, მე შემეჩეხნენ, მე მითხრეს: ვინა ხარ შენაო? და ავტომატი მომიშვირა. არაფერი არ უპასუხე, მივდივარ-მეთქი, ეგ უთხარი. გამოვბრუნდი ეს ფეხშველა და გამოვიქეცი. რო მოუახლოვდი ჩვენ ხალხსა, მესამე – 65 წლისა იყო – ისა და ეს ორი, ცოლ-ქმარი – ოთხმოცისანი, იმისთვის, მესამესთვის შარვალი გაუხდიათ, ტუფლებიც გაუხდიათ და ტრუსიკის ამარა ძროხებს არეკინებენ იმ მინდვრიდან. 100 სული ძროხა გამოარეკინა ავტომატიანმა ოსმა. მე რო მიუახლოვდი, მეთქი ჭკუაზე ხო არ შეიშალა ეს ბიჭი, რანაირათა ჩაანს. მე უთხარი: ომარ, რა დაგემართა-მეთქი და მხრებით მანიშნა, რა ვქნაო. მოუახლოვდი ამ კაცს და მე მითხრა ამ ოსმა: იმ მხარეში რო საქონელია, ეს შენ უნდა გადმომირეკო. მე უპასუხე: შვილო (ხმა უკანკალებს), ფეხთ არაფერი არ მაცვია და დავიჩხვლიტები, სისხლები დამდის-მეთქი და როგორ გადმოგირეკო. ჩემი საქმე არ არიო. არადა, აიო, მომიშვირა ავტომატი. რა მექნა, იძულებით გავიქეცი, გადმოურეკე ერთი 80 სული მაინც, ამ გზაზე გადმოვრეკეით. ეს ბიჭი თან გაიყოლეს, რო – ამარეკინეთ ერედვამდეო.

უცდით ეხლა ამას, გადავწყვიტეთ, რო მოკლავენ, ცოცხალი აღარ დაბრუნდება. საათ-ნახევარი ველოდეთ, გავიხედეთ და ეგრე მორბოდა საცოდავათა. რო მოვიდა, მე უთხარი: ჩაიცვი შენი შარვალი, ფეხსაცმელი და ბაღებზე უნდა წავიდეთ-მეთქი. – კარგიო. წავედით ბაღებზე. მივდივართ და ერთ ადგილას დავისვენეით. პამიდორი დავინახეი. გადავედი ბაღში, რამდენიმე ცალი მოვგლიჯე, წყალი ჩამოდიოდა, გავავლე და ეგრე გავინაწილეთ და შევჭამეთ. პური გვშია ძალიან, ერთი კვირაა უკვე.

შევედით სოფელში. ამ სოფლიდან სუ გასულები იყო ქალები, მარტო კაცები იყვნენ დარჩენილები. ჩამოვსხედით ერთ ხეზე და ვსხედვართ. მე უთხარი: თქვენ აქ დამელოდეთ, აქ იყავით და მე გავალ სოფელში და პურს ვითხოვ-მეთქი. გავედი სოფელში. ორი კაცი დავინახე, მოდიოდნენ. მე უთხარი: ჩემო ძმაო, ერთი პური, თუ ქრისტიანები ხართ, ერთი პური მომეცით. წლოვანი ხალხია, ომიდან გამოსულები ვართ-მეთქი ხეობიდან და უნა დავაპურო ცოტა მაინც-მეთქი. – ჩვენო დაოო, პური არ გვიდევსო, ქალები გავიდნენო, ფქვილიცა გვაქო, რამეო, მარა გამომცხობი არა გვყავსო. რაღას ვიზავდი, მოვბრუნდი. ჭანჭურები დავინახე, ცოტა მოვკრიფე და ის გამოვიყოლე. ის მივეცი და შევჭამეთ ერთათ.

ამ დროს მოდის ერთი ჩემი შვილისტოლა ბიჭი, განათლებული, უმაღლესდამთავრებული იყო. ხოდა, თოხი ეკავა ხელში და მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და გამოგვკითხა, საიდან ხაართო. ჩვენ უთხარით: ომიდან გამოვედით, ხეობის ხალხი ვართ. იქნებ, შვილო-მეთქი, ერთი პური გქონდეს და მოგვეცი-მეთქი. - ვაიმე, დეიდაო, პური ნამდვილათ არა გვაქო. თქვენ აქედან ვერ გახვალთო. მეო, თბილისში ვცხოვროფო, აქაცა ვარ, იქაცა ვცხოვროფო. მარაო... ჩემი მშობლებიც იქ არიანო, ჩემი ცოლ-შვილიცაო და მარტო შევრჩი აქაო. ვერ გავდივარო. მაღაზიები მაქო, რამეო, მარა ვერ გავდივარო. ა, ეს დიდი სახლიო და დაბლაო, მაღლა დაკეტილები აქო, სუ წავიდაო, დაბლა გარაჟია დიდიო და იქ შეგიყვანთო. გაგვეხარდა (პაუზა). შევყევით და მეო წავალო ზეთსა და მაკარონს ამოგიტანთო და ამაღამ ამითი დანაყრდითო. – მადლობთ შვილო-მეთქი, მადლობა გადუხადე. პატარა „სტოლი“ იყო, ა ესე პატარა, სამი პატარა სკამით, პატარა „შკაპი“ იყო რამდენიმე თეფშით და ქვაბით და გაზი იყო ბალონის (ამოიოხრებს). დავგავე, დავასუფთავე, მიწიანი ადგილი იყო და იმ ღამეს სკამებზე გავათიეთ, სანთელზე, შუქი არ იყო. დილა რო გათენდა, გამოვედი და... ის მაკარონი ამოგვიტანა, მოვხარშეთ და ის ცარელა შევჭამევით და ცოტა გული მოგვიბრუნდა. გამოვედი დილით და „იაშიკების“ (ვაშლის ჩასაწყობი ყუთები) წყება იყო. 20 ცალი შევიტანე და გავაკეთე ტახტივით. ეხლა დასაფენი არა გვაქ. გამოვედი, იმ დიდ სახლში დავაკაკუნე, არავინ ხმა არ გამცა, ყველა წასული ყოფილა. გარეთ „კუშეტკა“ იდგა, ორი საბანი და მუთაქა იყო, ისინი გადავახვიე (ტირის) და გავიტანე და გავფინე, იმაზე ვიწექით. მერე ამ ბიჭმა პამიდორი ამოგვიტანა კიდე, კართოფილი ამოგვიტანა, ძალიან პატივი გვცაა, გაიხაროს იმან. ხოდა, მითხრა: ორი ძროხა ყაავსო ამის პატრონსაო და ოთხი ღორიო, ამათ სიმინდს აჭმემო, ამათ მოწველიო, ყველს ამოიღეფო, ჩვენცაო და თქვენცაო. – კი-მეთქი, მე უთხარი და „პარაშოკის“ ბოთლი ქონდა, ის მომცა. ვიღებდი ყველსა, მიჰქონდა, ჩვენც გვიტოვდა. იმ ძროხებს ვწველიდი, უვლიდით და ამათაც უვლიდა ის ბიჭი, 65 წლისა რო იყო, ამათ უყრიდა, აჭმევდა და ყველანაირათ მეხმარებოდა.

მერე მითხრა: თუ პურის გამოცხობას შესძლებო, ფქვილს ამოგიტან „ტაჭკითაო“ და აგერ თონეაო, ფიჩხიაო და კი ბატონოო, თქვენცა და ჩვენცაო. მე უთხარი: დიახ, როგორ არა, მე შემიძლია-მეთქი. ამოგვიტანა ფქვილი „ტაჭკით“. ორ ტაშტზე მოვზილე ბლომათ. ბევრი ლტოლვილი ყავდა იმასაც ერედვიდან, ოთხ თონე პურს ვყრიდი ორ დღეში ერთხელ და ეს კაცი მეხმარებოდა, ის, 65 წლისა რო იყო, ფიჩხის მოტანაში და რაღაც ესეთ რამეში და ამ დროს წაიღებდა და დაგვიტოვდა ჩვენც და ესე გადიოდა დრო. 16 დღე... დავყავით იქა.

მერე, როგორც იყო, იქიდან დაურეკეით. სოფლის ბიჭი ამოვიდა ერთი პატარა, ამ ბიჭის მეშვეობითა. ამას წყალში ჩავარდნოდა თავისი ტელეფონი და არა მუშაობდა და სოფელში პატარა ბიჭი ნახა და იმან მოვიდა და გვითხრა, დაგარეკინებთო. დაგვარეკინა. დაველაპარაკეთ: ვცდილობთო, მღვდლებთან დავდივართო, სად აღარ ვაწუხებთო, მაგრამ ამაოაო. იქნებ როგორმე მოვახერხოო და ან ტაქსით რამე შორიდან, სოფლიდან შემოვიდეო. – კარგი-მეთქი, მადლობა გადუხადე ამ ბიჭსა. წავიდა. – თუ დაგჭირდეთო, კიდე ამოვალო. გავიხედეთ, მეჩვიდმეტე დღეს ტაქსით მოვიდა. სასწრაფოთ სოფლებზე შორს წამოსულა და ეგრევე დაგვსხა და ჩამოვედით გორში. რო გამოვედით გზაზე, გაგვაჩერეს რუსებმა. ტანკებით იდგნენ იქა, გაჩხრიკეს ჩვენი მანქანა, არაფერი ჩვენ არ აღმოგვაჩნდა ისეთი და დაგვანებეს თავი და გამოვედით. ჩამოვედით და მეორე დღიდან საბავშო ბაგაში ოთხთვე-ნახევარი გავატარე. 10 ადამიანი ვიყავით ერთათ, ძალიან ტკბილათ, ეხლაც მიმოსვლა მაქ იმათთან. ჩავდივარ ხოლმე, ვნახულობ. ძალიან კარგი ხალხია და უყვარვარ მათაც და მეც. აი ეს არი ჩემი თავგადასავალი (დიდი პაუზა).

– აქ ეხლა როგორ შეეგუეთ აქაურობას?

– აქაურობას – რას იზავ, ციხეში რო პატიმარი შედის, რა გზა აქ. სად წავიდე, მეტი არაფერი დამრჩენია. ძალაუნებურათ შევეგუე, მაგრამ (მცირე პაუზა) ფიქრი და გონება იქ... იქ მაქ. სიზმარში იქა ვარ სულ (მცირე პაუზა), იქა ვარ (ამოიოხრებს, პაუზა). ხოოდა, აი ესეთი ამბავი გამოვიარე. ორი ლექსიც მიუძღვენი ჩემ სამშობლოს. ძალიან ძვირფასი არა, მარა მაინც ჩემი გულის ჭია გადავიტანე მაზე. თუ...:

„ნეტავი ჩიტათ მაქცია (ხმა უკანკალებს),
ეს მთები გადამატარა,
ჩემი ლამაზი ხეობა,
სუ ფეხით შემომატარა (ტირის),
რომ მევეფერო ჩვენ სახლებს,
დაწულსა, დანაცრებულსა,
ვარდები როგორ დამჭკნარა,
ვაზები როგორ გამხმარა.
კავკასის მთა,
ამაყათ რო გადმომდგარა,
ზამთარ-ზაფხულ თოვლიანს,
ის თოვლი ცრემლათ დამდნარა.
ჩვენი დიდი ლიახვი
დაპატარავებულა და დამშრალა.
აღარსად ვარდი,
აღარსად ია,
მარტო ხმელი
ფოთლები ყრია“

...რავი, მოსაწონია თუ არა, მე მაინც ჩემ გძნობაში სითბოს ვგძნობ და უძღვნი.

– მეორე ლექსი?

– მეორე ლექსი:

„როდესაც მტერი შემოგვესია,
დაგვიწვეს სახლ-კარი და ფერფლად გვიქციეს,
და ჩვენი ხალხი ტყეზე გამოაქციეს,
ჩვენი ხალხი საით აღარ წავიდა,
ზოგმა ომი ვერ გადიტანა
და ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წავიდა.
იმედია დავბრუნდებით,
ავაშენებთ სახლებსა,
გავაშენებთ ვენახებს და ბაღებსა.
ისევ გაგალამაზებთ
ხეივნებით და ვარდებით,
ოხ ნეტა ეს ოცნება
აგვისრულდეს,
ჩვენთვინაც მზე გაგვიბრწყინდეს“
(პაუზა). აი ეს. მერე კიდე, რა ვიცი, კიდე მოვიფიქრებ. ეს შემიძლია.

– სათაურები ხომ არა აქვთ ამ ლექსებს?

– სათაური, რა ვიცი, როგორ...

– როდის დაწერეთ, ეხლა?

– ეხლახანს რა. აი ის... ტირილი მაწვება ხოლმე. შემიძლია ვწერო, მაგრამა ცრემლი უფრო იმას მიშვრება. „აჩკებიც“ იქა მქონდა, დამრჩა და ვერ იმასა ვშვრები კარქათ. აი, ჩვენი სითბო კიდე უფრო რა იქნებოდა, ერთათ რო ვყოფილიყაით. ა ის ჩვენი მეზობლები, რა... (პაუზა) და არც ერთი ახლო მეზობელი არა მყავს. მინდა მათი ნახვა. ვესაუბრებოდით, ვესალმებოდით და გული მტკივა. – დილა მშვიდობისა, როგორა ხარ? – გამოვკითხავდით – დღეს უნა ვიქეიფოთ. მე ხნიერი ქალი ვიყა, მაგრამ ჩვენ უბანში ერთი 12 პატარძალი იყო, უჩემოთ ისინი პურს არ შეჭამდნენ. ძალიან მიყვარდა ლხენა, ცეკვა, სიმღერა, ყველაფერი. ისე უტოლდებოდი იმათ, როგორც თავანთი ტოლი და ყოველთვის... ხანდიხან შემრცხვებოდა-ხომე, მე ამხელა ვარ და ესენი ახალგაზრდები. – არა, უშენოთ არაფერს არ გავაკეთეფთო. ა ისეთი ურთიერთობა გვქონდა. ძალიან მიყვარან და სადაც არიან, ღმერთსა ვთხოოვ ხომე, რო სუყველგან ჯანმრთველები და სუ კარგათ იყვნენ. და ა ეს ქალი, ვინც მე ჩემოვიყვანე, ცოლი და ქმარი, სამი თვის შემდეგ დაიღუპა და დაასაფლავეს ბაზალეთის ტბაზე. ვიყავი, წავედით ავტობუსით. ჩავედი, ვიტირე კიდევაცა და ძალიან გულნატკენი ვარ, ძალიანა (დიდი პაუზა).

– ყველასთან კარგი ურთიერთობა გქონდათ, ოსებთანაც და ქართველებთანაც, ხომ?

– ეხლა ოსები, რო გითხრა, უბანში ერთი ოჯახი იყო და როცა ეს... გამსახურდიას პერიოდში წავიდნენ და სუ ქართველები და თან ერთი გვარისანი ვიყათ, ბიძაშვილები (დიდი პაუზა).

– დღეობებს რას აღნიშნავდით თქვენს სოფელში?

– დღეობებსა ჩვენა, შვილო, ავღნიშნავდით (მცირე პაუზა) ღვთისშობლობას ვეძახდით. ეკლესია გვქონდა, დიდებული ეკლესია არი, დღესაც... თუ იმათ არაფერი ავნეს და იქ მივდიო... ჯერ ოჯახებში დიდ წვეულობას ვიხთიდით.

მოდიოდნენ. ძალიან ბევრი სტუმრიანობა. მერე სწორი რო გახდებოდა, ერთი კვირის შემდეგ, იქ ავიდოდით. იქა ვლოცულობდით, ამ ეკლესიაში და აი ეს იყო. დანარჩენი... ჩვენთან უკვე გაიხსნა ეკლესიები სუყველა, მივდიოდით, სანთლებს შაფათობით ვანთებდით, ვეხვეწებოდით. მთავარანგელოზს ვეძახდი, შევიდოდი და სიმღერასაც კი დავიწყებდი ხოლმე, რო გავახარო ჩემი ხატები-მეთქი რა, ხოდა...

– რას მღეროდით ხოლმე?

– აი რაც იმათ მოსწონდათ, ისეთს (იღიმება).

– ხომ არ გახსოვთ?

– (დიდი პაუზა) არა, რა ვიცი, ხანდიხან მავიწყობაცა მაქ და გავიხსენეფ:

„ჩემო წმინდანებო,

ჩემო ძვირფასებო,

იდიდოს თქვენმა სახელმა“ –

სიმღერით ვამობდი. ა ისეთ რამეს:

„შენ დაგვიფარე,

შენ გვიშველე,

ყოველივე განსაცდელში

შენი კალთა გვფარავდეს“

და ა ესე ვმღეროდი რა, სიმღერით ვეუბნეოდი (პაუზა). ხოო, ეხლა ვლოცულობდით კიდე, წმინდა გიორგი არის, დიდი ტაძარი. ახალი ტაძრები ავაშენეთ, ყველამ გავიღეთ, ავაშენეთ სუყველგან ახალი ტაძრები და იმ ტაძარში მღვდლები იყვნენ. ჩვენ ავდიოდით, ვესწრებოდით. ხან მთელი დღე, ხან საათობლივ, წირვას, რამესა და (პაუზა) მერე ვბრუნდებოდით სახში. ძალიან სიამოვნება იყო (დიდი პაუზა). ეხლაც ვიტყვი ხომე:

„ჩვენო წმინდანებო,

თქვენს სამრეკლოს

ობი ხო არ მოეკიდა-მეთქი.“

(ტირის). პატარა ბიჭები ყავდათ. მისახმარი რო ყაავთ, რა, ღვდლებს: მისატანი, საკმელი და რაღაც ესა და... ისინი რო დარეკავდნენ ხომე, ეხლაც ყურებში მიდგია (მცირე პაუზა) და ძალიან განვიცდი. აი როცა ჩვენ ხატებს ვიხსენებ, ტირილი რომ არ წამსკდეს... ტირილი, არ შემიძლია. დილასაც მაგრა ვიტირეი. ისე ვიტირე, ვიღაცას რო შემეეხედა, რავი რას დაარქმევდა, არ ვიცი, რაღაცა... იფიქრებდა რო, ამას რამე ზიანი ხო არ შეემთხვაო, ან რაღაცა, მარა ძალიან, ძალიან გული მტკივა. როგორც მე ჩემი სახლ-კარი დავტოვე (ტირის), იმათზეც ნაკლებათ არ შემტკივა გული. უფრო მეტათ. ა, ესეა ჩემი ყველაფერი, შვილო (დიდი პაუზა). ეხლა რაღა გვაქ...

ვზივარ ფანჯარაში, გავხედამ – ქვიანი გზა. ჭადრებს ავხედამ, ყვავები სხედან, ჩხავიან. რას გავხედო? იქ რო გავხედავდი: იქ ყურძენი, ხეივანი ლამაზი, ვარდები გაშლილი და მე ყვავილები ძალიან მიყვარს, ძალიან, აი დღემდის და იმ ყვავილებში ჩემ შვილიშვილებს სურათები გადულიათ. ყვავილებში რო ვდგევარ, არც მახსოვდა, ვარდების კონა ესე მიჭირავს (მაჩვენებს ხელებით) და გადაღებული ეგრე ვარ... ჩემი სახლ-კარი, რაც რამე ქონდა: ეზო, კარი, სუ ყველაფერი. ისეთი ლამაზათ და კარგათა და როცა სახლის ნახვა მამინდებოდა და რაღაც, არა... იმას გადმოვიღებდი და გავშლიდი. ვიტირებდი და შევინახავდი (ტირის, პაუზა). დიდი დაღი დაგვასვა.

– გაქვთ აქ რამე?

– კიი, კიი.

– რა გაქვთ, აბა?

– აი, სახლის გარშემო ა ესე, ბაღჩებია და იმას ვრგაავთ: ხახვს, ნიორს, პამიდორს, რაღაც ეგრე, რაც... ცოტ-ცოტა რამეები რო გვქონდეს, მწვანილი, და ისე ლამაზათ უვლი, დავბარავ. შემოდგომითვე დავალაგე ის ყველაფერი (იღიმება) და ეხლა ნიორიც ამოსული მაქ, ხახვიც და აი ასე, ვჩუჩუნობ ჩემთვის.

– თქვენ თვითონ გააკეთეთ?

– კიი, კიი, ქვა გავზიდე ერთი მანქანა მაინც, რო არ (მცირე პაუზა) შემრცხვეს, თორე მეზობლებმა იციან. ძალიან მშრომელი ქალი ვიყა, შვილო. ჩემ მეზობლებმა იციან ეს. ჩემი მეზობლები ყოველთვისა, აი, წყალზე თუ ჩქარი-ჩქარა მივდიოდი, წყარო გვქონდა ძალიან ძვირფასი, – მოდი, დაისვენე ცოტა ხანი. არა, საქმე მაინც ჩემი გასაკეთებელი იყო და იმ საქმეს უბრუნდებოდი. ჩემთვის არც მზე იყო, არც წვიმა, არც ქარი, არაფერი. ყველგან... ნახირშიც დავდიოდი. ობოლი შვილიშვილები დამჩა. მათი გულისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, რო გამიჭირდა (მცირე პაუზა) შემოსავალი... სახლ-კარი კი მქონდა, მარა მარტო კედლები ხო არაფერს მოგცემს, ფული ხო საჭიროა? მაგათთვისაცა ვზრუნავდი, რო ლუკმა-პური მიმეწოდებინა. ყველა ტანჯვა გავიტანე. ჩემსას ხო დავდევდი, მარა სხვების მაგიერათაც დავდიოდი. ძალიან მშრომელი... აი, ვიტყოდი-ხომე: ნეტა მთვარეც დღედ გადიქცეს-მეთქი, ღამეც, რო ჩემი შრომა მოვჩე-მეთქი. ა, ესე გავატარე ჩემი ტანჯული ცხოვრება (პაუზა). რო ვთქვაა რო სიხარული, ჩემი სიხარული რა არი, იცი? და რა მაცოცხლებს? შვილები, შვილიშვილები და აი ესენი (ნათესავებზე ამბობს). რძალი ძალიან კარგი გოგოა, არაჩვეულებრივი. ღმერთმა მაჩუქა კარგი. ფსიქოლოგია პროფესიით. ძალიან ძვირფასია, ვენაცვალე. ჩემ საკუთარ გოგოში არ გავარჩევ, ისეთია (მცირე პაუზა) და ღმერთისა მადლობელი ვარ (პაუზა) და ეს ჩემთვის დიდი სიმდიდრეა, რო ცოცხლები მყვანან ყველანი და ეგენი მახარებენ მე. ა ეს არი ჩემი სიცოცხლე (დიდი პაუზა, ამოიოხრებს). მეტი არაფერი ვიცი.

– თქვენი ბავშვობიდან რამეს ხომ არ გაიხსენებდით?

– ბავშობა, როგორ გითხრა, ძალიან მწარე მქონდა. არაფერი ბავშობისას, აი (მცირე პაუზა), ნაღვლის მეტს ვერაფერს გავახსენეფ რა, იმიტო, რო მამაჩემი საერთოთ არ მახსოვს, ისე წავიდა ომში, რო მე ძაან პატარა ვიყა, აკვნათ დავრჩენილვარ. მერე, რო გავიზარდეთ, ორი და და ერთი ძმა ვიყავით და დედაც ვერა სძლებდა იმდენს, რო ჩვენ დავეკმაყოფილეთ. მერე გაჭირვებით ვიყავით რა, ფეხშველა გავატარე ჩემი ბავშობა. არასოდეს ფეხსაცმელი რა იყო, არ ვიცოდი. ზამთარშიცა წყაროზე ჩავდიოდი, ფეხშველა ფეხით ამქონდა წყაროდან წყალი. რო იტყვიან რო, აი, ეს გაცივდება, ისა, არაფერი. მშივრები, ტიტვლები და... ერთი თბილისელი ქალი იყო... ჩვენთან იყო კოლმეურნობა და მეწველეობათ მუშაობდა, ყველს იღებდა რა, კოლმეურნობაში. რო გავიხედავდი, „ბანკები“ ეჭირათ ხელში და შრატის „ოჩერედში“ იდგნენ. ყველას არ შეხვდებოდა ესა. ზოგი რჩებოდა, მეორე დღეს აძლევდა იმას მერე. იხსომებდა, რო თქვენამდე არ მოვედიო. ჩამწკრიებული იყო „ოჩერედი“ და შავი პური იყო ხომე ცხინვალში. მაგაზეც ადრიან უნა წასულიყო. წავიდოდა დედაჩემი ადრიან, ოჩერედში ჩადგებოდა და

რამდენიმე პურს მოგვიტანდა, დაგვიჭრიდა და გვაკმარებდა. თითო ნაჭერი უნა გვყოფნოდა რამდენიმე ხანი და ესე... ხილ, რაღაცას შევჭამდით და ესე გავდიოდით, ისეთი გაჭირება იყო და რა მოვიგონო... უფრო მწარეა ყველაფერი.

სკოლა იყო... ჩვენთან, შიგ სოფელში მეოთხე კლასი, და საშუალო იყო ცოტა მოშორებით, სოფელში. ფეხშველები დავდიოდით. გაგვიჭირდა. ზამთარშიც ფეხშველები დავდიოდით და მეე ერთხელ ჩემ ძალოს მოვპარე ფეხსაცმელი და ისინი ჩავიცვი და რო გამოვედი სკოლიდანა, გავიხადე ისინი და იღლიაში ამოვიდე და უკან ისე ჩუმათ მივიტანე და დავაწყე. ა, ესეთი პერიოდები მაქ გამოვლილი. გავიზარდე როგორც იყო. 17 წლისა, ხო გითხარი, მეე უკვე... გამოკეთდა ეს ცხოვრებაც ნელ-ნელა, ხალხმა მუშაობა დაიწყო. მერე უკვე ჩვენ... ჩემმა მშობლებ... დედაჩემმაც... და... ძმა წამოიზარდა ჩემი, ბინაც ააშენეს, ყველაფერი, რამე, მარა ამ ომმა სუ გაანადგურა. აღარაფერი არც იქ არ დატოვა. ესე იგი, ჩემი სამშობლოდანაც ცარიელა დავრჩი და ჩემ... სადაც 53 წელი გავატარე მე... იქ, ხეობაში, სადაც შვილები დავზარდე, სადაც ვიშრომე, სახლ-კარი ავაგე.

მე რო მივედი, პატარა ხის სახლი დამხვდა, არაფერი. იმ დღიდან დავიწყე შრომა და ბინებიც დავდგით. მერე მიწისძვრა მოვიდა, ის ბინები დაგვინგრია. ხელმეორეთ ავაშენეთ ისევა და გავაკეთეთ და აი, ეხლა სუ მთლათ ცარიელა გამოვედით. ა, ეს იყო. რა იყო, არაფერი მინახია, არაფერი. ხო გეუნები, ერთადერთი ჩემი ცხოვრება და სიხარული არის ჩემი შვილები და შვილიშვილები და იმათი შვილი... ეს ჩემი ბიჭის ბავშვი. ძალიან კარგი ბიჭი მყავს, არაჩვეულებრივი. მუშაობდა 4 წელი რაიკომში, როცა სომშვიდე იყო, მაგრამ მერე აირია გამსახურდიას დროსა, დაანება თავი, წამოვიდა გორში. რკინა-ბეტონის ქარხანაში დაიწყო, ერთი სამი წელი აქ იმუშავა. ისევ კიდევ აირია, სუ ომში ვიყაით, სულ უბედურობაში. არ შეგვეძლო ჩვენ გზაზე თავისუფლათ გამოვლა საერთოთ. 18 წელი მას შემდეგ, გამსახურდიას შემდეგ, სუ ჩაკეტილი მქონდა გზა. ჩაკეტილი გზა და ტყეზე დავდიოდით. ტელეფონით დამირეკავდა, – დედა, მშვიდობით გადავედი. იქიდან რო გადმოვიდოდა, – უკვე დაბლა ვარ ჩამოსული, სუ სირბილით ჩამოვიდოდა, ესა...

ხან აფეთქდებოდა გზაზე, მინავდნენ, რომ დამინავდნენ, ზოგს ხან ფეხი მოსწყდებოდა, ხან კლავი, ხან სულ იღუპებოდა. ტყეში შევიდოდნენ შეშაზე, იქაც დამინულები იყო, შვილო და მამა და შვილი ცოცხალ-მკვდრები გამოიყვანეს. ფეხები წაეცალა, ხელები. რავი, რა ჩამოვთვალო. ა ესე დგმოიარობა გვქონდა ამ 18 წლის განმავლობაში, მაგრამ მაინც მაგრა ვიდექით, რო სამშობლო შეგვენარჩუნე-ბინა. მაგრამ ეხლა ცხინვალი ვერას გვიზავდა, რუსეთმა დაგვძლია (დიდი პაუზა). ისეთი მძლავრი ბიჭები გვყავდა, რო მანამ თვითმფრინავები შემოვიდა, სუ გაჟუჟეს, იქიდან რო გამოდიოდა, ტუნელიდან, მაგრამ მერე გენერალმა დაურეკა იქ, რო ჩვენი საქმე ცუდათ არიო, რუსსა, იქ. თვითფრინავები მოგვაშველეთო და მაშინ დაბომბეს ის ჩვენი ბიჭები ტყეში. რო გადათვალეს, იმათ ათასობლივ ეგონათ, თორმეტი ბიჭი იყო, რომელმაც ეს გმირობა ჩაიდინა. ბევრი ძვირფასი ადამიანები დავკარგეთ ჩვენა ა იმ ომში, ბევრი ძვირფასი ვაჟკაცი. ა, ეს მოგვიტანა რუსეთმა.

53 წელი იშრომო, შვილო, ააწყო სახლი, კარი, ყველაფერი და ცარელა გაგაგდონ, რაც გაცვია ზედა... მორჩა. ძნელია (პაუზა). ჩვენი მიცვალებულებიც

უპატრონოთ დარჩნენ. აქედან სანთელსაც ვანთებთ, რამეი, მარა რა ვიცი. მაინც გული გვტკივა, რო მათ არ ვასუფთავებთ. ყვავილებს ვრგავდით, ვალამაზებდით და ახლა.... ვინ შეგვიშვებს (დიდი პაუზა). თუ მოვესწარი... იმედები მააქვს, მარა ხანდიხან ისეთი რამეა ხომე ტელევიზორში, რო გული რაღაც გამიფუჭდება ხომე. ხან გავხალისდები და თავსა ძალას ვატან, რო იქამდე მივიდე-მეთქი და ერთადერთი, ჩემ შვილს ამას ვთხოვ, როცა მეე ჩემ თავს დავატყოფ, რო იქამდე ვერ წავალ და აქ რამე მომივა, მაინც გადამიტანოს იქა... თუ მშვიდობა დამყარდა და იქით გვეღირსა წასვლა. ეს იმას დაუტოვ ანდერძსა და, რა ვიცი, თითონ იცის მერე. რო ვეტყვი ხომე რამესა, არა დედა, შენ ბევრი ხანი უნა იცოცხლოო, მეტყვის ხომე, მარა მასზე ხო არა ვარ დამოკიდებული. მარტო მაგისთვის ვიცოცხლო, რო ჩემ შვილებს უცქირო და იქ მოვესწრო. სიზმრებში სუ იქა ვარ. არც საბავშვო ბაგაში, ოთხთვე-ნახევარი ვიყა, აქაც რამდენი ხანი ვარ, აპაა, სულ იქა ვარ. ჩემ ეზოში ვტრიალებ, ჩემ ხალხსა ვხედამ, მეზობლებსა და როგორი გახარებული გამომეღვიძება და როცა თვალებს გავახელ, ისეთი ნაღველი დამაწვება, რო აი, სიზმარში მაინც გნახეთ-მეთქი, ვიტყვი ხომე. ა, ეს არის ჩემი სუ ყველაფერი, შვილო.

ანონიმი

2010 წელს საბერძნეთში ჩაიწერა
არჩილ ქიქოძემ

მე ვიტყოდი, რომ საქართველოდან საბერძნეთში მიგრაცია ძალიან აქტუალურია. უკანასკნელ წელიწადში მიგრაცია გაიზარდა, ერთი წელია, აქა ვარ და რასაც ვუყურებ, გაიზარდა. ძირითადი მიზეზი ამისა კი საქართველოში ხალხის დაუსაქმებლობა და შრომითი პირობების უქონლობაა, ანაზღაურების არქონა. შეიძლება სამუშაო გეშოვა, მაგრამ რასაც გიხდიდნენ, არ იყო საკმარისი ოჯახის შესანახად. ჩემი მიზეზიც ეგ იყო, თორე სამუშაო კი მქონდა. მე ახლაც ერთწლიან შვებულებაში ვარ. თორმეტ დეკემბრამდე თუ დავბრუნდი, ისევ იმ სამსახურში გავალ, მაგრამ რომც გადავაცილო, ჩემთვის არ არის პრობლემა, რომ იქ სამსახური ვნახო. ხელფასია პრობლემა, თორემ სამსახურს ვნახავ. აქ კვირაში ვიღებ იმდენს, რასაც იქ სამ თვეში ვერ ვიღებდი.

ვინც ჩამოდის ახლები, ნახევარზე მეტთან მაქვს ურთიერთობა და ძირითადი მიზეზი ჩამოსვლის არის ეს ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური მიზეზებიც. ვინც ჩამოდის, ასი პროცენტი, ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს, მიზეზად ასახელებენ დღევანდელ მდგომარეობას საქართველოში. იცით, როგორ ხდება? – აიყვანე ადვოკატი და მოხდა, რომ საბუთზე მიდიხარ, მერე დაკითხვა ხდება. მეც მქონდა მცდელობები, მაგრამ არ შემიწყო ხელი არც ერთმა აქაურმა კანონმა, რომ მისულიყო საქმე სასამართლომდე და დაკითხვამდე, მაგრამ ვინც მივიდა, იქ დასაბუთება ხდება. მოგონილი ისტორიებია ძირითადად, ვიდრე – რეალური. ნაღდად ვიძახი. ადრე ზოგი ვითომ ზვიადისტი იყო, ეხლა ვითომ ბურჯანაძის მომხრე იყო, ან ჟვანიას მომხრე იყო და ახლა დევნიან. ისე რომ, მოგონილი ისტორიებია თითქმის ასი პროცენტი. აქამდე ჭრიდა ეს ისტორიები, ეხლა აღარ ჭრის უკვე. შეიცვალა სიტუაცია, მაგრამ რეალურად რომ აიღო, იმ ადამიანის წამოსვლის მიზეზი სულ სხვაა და რასაც მერე აქ მიზეზად ასახელებს, ის – სულ სხვა. მე ის მინდა ვთქვა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში არიან ადამიანები, რო ჩამოდიან აქ. ის ვინც მოდის, იმან რეალურად არ იცის, აქ რა ხდება, რასთან მოუწევს აქ შეხვედრა. აი, პირდაპირ რო დაგიჭირონ საზღვარზე, არ იცი, რა ილაპარაკო. თუ ეგრევე არ დაგაკავეს და ერთი-ორი დღე გაქვს ინტერვალი, ვიღაცას ხვდები და ის გარიგებს, აი, რო დაგიჭირონ, რა უნდა ილაპარაკო. იქიდან რო მოდიხარ, ძალიან იშვიათი, რომ ვიღაცამ დაგარიგოს. საზღვარზე კიდე ძალიან ბევრს იჭერენ. მე რო მოვდიოდი, მაგალითად, ხუთნი მოვდიოდით და ერთი დაიჭირეს ჩვენი. დეტალებში რო მოგიყვე, ძალიან საინტერესო ისტორია გამოვიარე მე...

სტამბულში ხო ჩავედი და უნდა მეძებნა გზა გადმოსვლისა. გზა არ ვიცი, კვალი არ ვიცი, რუკა კი ვიცი, რუკით კი გამოვიგნებ გზას, მაგრამ თუ არ იცი, როგორ უნდა წახვიდე, სად წახვიდე... და იქ სასტუმროში ავიღე ნომერი, აქ „სარაია“ ქვია, ავტოსადგურია, სადაც შედის ქართული ავტობუსები. ვიკითხე, აქავე სასტუმრო სად არის-მეთქი და მიმასწავლეს. მივედი. იქ ყველამ იცის, რო

ან იქ დასარჩენად მიდიხარ, ან საბერძნეთში. მე პრინციპში ვუთხარი, რო არ ვიცი, წამოვალ, დავრჩები. მეთქი – ჩამოვედი. რო შევედი სასტუმროში, „გურჯ, გურჯ“, მე ვუთხარი. მარტო ვარ, მარტო ჩავედი და ჩემმა სიძემ აქედან დამირეკა და დამარიგა, სასტუმროში რო მიხვალ სტამბულში, იქ მიაგნებო, ხალხი არიანო, ვინც იცის, როგორ გადახვიდეო. რო მივედი სასტუმროში, იქ ვიკითხე და მართლა ვნახე ქართველები, მეთქი საბერძნეთში როგორ უნდა გადავიდე, რანაირად გადავიდე და მანახეს ვიღაც ბიჭი, ვინც იცოდა გზა, მაგრამ მე მაგისთვის ფული არ გადამიხდია. ტყუილს ვერ ვიტყვი, მანეთი არ გადამიხდია მე აქ ჩამოსვლაში. შეიძლება სხვები აძლევენ რაღაცას და ვიცი, ზოგი სამი ათასს იხდის და ზოგი ათას ხუთასს, მაგრამ მე, პრინციპში, რო დაველაპარაკე, იმ ბიჭმა მითხრა, რო ფეხით მივდივარო და წაგიყოლებო, ვიცი გზაო და წამოვედით. წამოვყევით, ხუთი ვიყავით იმ სასტუმროში, ვისაც გადასვლა გვინდოდა. ვინც იცოდა გზა, იმიანად ვიყავით ხუთი. ეხლა ცოტა ისე ვყვები, კონკრეტულად გეტყვით რაღაც დეტალებს, რაც, ჩემი აზრით, საინტერესოა.

წამოვედით იქიდან. სტამბულიდან წამოსვლაც არის ცოტა პრობლემა. მოდიხარ ედერნე ქალაქში, თურქული ქალაქია – სასაზღვრო ქალაქი და ედერნიში რო მოდის ქართველი, ეგ თურქებმაც იციან, რო ამას უნდა საბერძნეთში გადასვლა. აბა, ედერნეში ღირებულება არაფერი არ არის ისეთი, რო ტურისტად ჩახვიდე და გიყურებენ, რო, აბა, რა გინდა. ადრე არ იყო, მაგრამ ბოლო წელს უკვე შემოღებული ჰქონდათ საპასპორტო შემოწმება, რო გაფიქსირებენ, რაზე მიდიხარ. მოლარესთან რო მიდიხარ და ავტობუსის ბილეთს რო იღებ და ქართულ პასსპორტს რო უყურებს, დაკითხვას გიწყობენ. ვიზა კი გაქვს თურქული, მაგრამ გვერდზე პოლიციელი უდგას და გეკითხება, რა გინდა ედერნეში? ჰოდა, რო მივედით პირველად ბილეთზე, არ მოგვცეს ბილეთი. კი ვერაფერს ვერ გვეუბნებიან იმიტო, რო თურქული ვიზა გვაქვს, მაგრამ ედერნეს ბილეთი არ მოგვცეს. უკვე პრობლემაა, იქ გადარეკავენ, რო ქართველები მოდიან და, სამი საათი უნდა სტამბულიდან, იქ გხვდება ვიღაცა და გადეგნებენ თვალყურს. ვერ მოახერხებ გადასვლას.

ვინც გზა იცოდა, ქართველი იყო, მაგრამ თურქულიც კარგად იცოდა, ეტყობა, ადგილობრივი ვიღაცა იყო, ვინც გადადის, გადმოდის და იცის ეს გზებიც და იმან თქვა, მე მოვუვლი ამ სიტუაციასო. წავიდა, გვითხრა, დამელოდეთო. სამი დღე მოვუნდით ამ სიტუაციას და მოიყვანა ვიღაც გოგო, რომელიც წყალივით ლაპარაკობდა თურქულად და თურქული პასპორტი ჰქონდა. ქართველი იყო, მარა ოცი წელი იქ ნაცხოვრები. მივიდა ეს გოგო ბილეთების ასაღებად სალაროსთან, ის თურქული პასპორტით რომ მიდის, პრობლემა არ არის, მარა თურქეთში არის ასეთი კანონი, რო ავტობუსში ქალი ქალთან ჯდება და კაცი კაცთან და ქალი და კაცი ერთად, თუ ცოლ-ქმარი არ არის, არ არსებობს ვარიანტი, რო ერთად დაჯდეს. თვითონ გოგო იყო და რო იღებდა ბილეთებს, შეეკითხნენ: რამდენი ქალი ხართ და რამდენი კაციო? და ხო არ ეტყოდა, ხუთივე კაციო, მაშინ კითხავდნენ: შენ ვინღა ხარო და აიღო, ოთხი კაცის და ერთი ქალის ბილეთი. მოიტანა ეს ხუთი ბილეთი და არ გვითხრა, რა სიტუაცია იყო. ჩვენ აზრზე არ ვიყავით. ავედით, დავსხედით ამ ავტობუსში და ერთი ყველაზე ხნიერი კაცი გვყავდა, არც სახელი ვიცი იმისი, არც გვარი, ის კაცი

მოხვდა ქალის ადგილზე და რო დაჯდა, იმ ბიჭმა, ვინც მოგვყვებოდა, იმან მაინც გადაამოწმა ბილეთები, რამე რო არ მომხდარიყო. იმან თურქული კითხვა იცოდა და: აუო, ესო, ქალის ბილეთიაო და პრობლემა გვექნებაო, იმიტო, რო აქ, ამის გვერდზე ქალი მოვაო. მარა ჭაღარათმიანი კაცი იყო, ერთი 55-60 წლის და მოდიო, ამ ბიჭმა უთხრა, შენ იცი რა ქენიო? ჩუმად იყავი და ცოტა გამოიდებილე თავიო და ვინმე რო მოვა, იფიქრებს, ან ცოლმა აუღო ბილეთი ან რაღაცაო.

გაივსო ავტობუსი და სულ ორი ადგილია ცარიელი დარჩენილი, ერთი – ამის გვერდზე, მაგრამ გაყიდულია თურმე ყველა ბილეთი და ვარიანტი არაა, მძღოლი არ წავა, თუ არ ამოვა ყველა. თანაც ხუთი წუთი იყო დარჩენილი გასვლამდე, ელოდება მძღოლი და გავიხედე და არ ამოვიდა, აი, მორწმუნე მუსულმანები რო არიან, ჩადრიდან მარტო თვალები რო უჩანთ, ესეთი ქალი! თვალებზე ეტყობოდა, რო ახალგაზრდა იყო და არ გამოექანა პირდაპირ ამის სკამისკენ! აუ, – ეს ბიჭი იძახის – ეხლა ეს ამბავს ატეხავსო! იმის დედა ვატირე, აქ ამბავი მოხდება – მაგარიო! და მართლა, რო მივიდა და კაცი რო დაინახა, სადაც თვითონ უნდა დამჯდარიყო, რო იკივლა, მე ვთქვი, დაინგრევა ავტობუსი-მეთქი. რა ამბავი ატეხა, იცით? გამომყოლი ბიჭი ამ კაცს ეუბნება, რო „დავაი“, ჩავიდეთ დაბლაო და მერე თუ რაღაცაა, წადიო. იმიტო, რო უკვე ვარიანტი არ იყო, რო ქალის ბილეთით კაცი წამოსულიყო, მაგრამ მერე მაინც მოლარეს დაბრალდა ბოლო-ბოლო. რავი, რა მოხდა, მაგრამ სასიკეთოდ მოხდა ყველაფერი იქა და წამოვედით ედერნეში, პატარა ქალაქია.

მერე იქიდან ფეხით გადმოდიხარ, ხიდი უნდა გადმოიარო. ჩვენ მდინარეზე *(იგულისხმება მდინარეში, წყალში გასვლა)* და რამეზე არ გადავსულვართ, მოვდიოდით ჩვეულებრივად გზაზე, სოფელი გამოვიარეთ, ჩვეულებრივი გზებია, სახნავებია, სათესებია, მინდორში მოდიხარ... ღამე მოვდიოდით და თან რა ხდება, იცით? საზღვარი არ ეტყობა. იმ ადგილს რო მოვუახლოვდით, გუგუნი გვესმის, მატორის ხმას გავს და ეს ბიჭი იძახის: რაღაცა ხდებაო, ასეთი რამე ადრე არ გამიგონიაო. გამომყოლი ბიჭი იმათთან იყო, დანარჩენ სამთან. შეიძლება იმათგან იღებდა ფულს და მე ავეკიდე, ჩემთვის არ უთხოვია ფული. გზაში ვერ ილაპარაკებ, მოდიხარ სულ ჩუმად, მინდობილი ხარ ამაზე – ამან იცის გზა. იტყვის, აქეთო და მიყვები, ხარ ჩუმად, ხმას ვერ იღებ. ეს ბიჭი იძახის: რაღაც ხდებაო და გავჩერდით. გავიხედე და სამ მეტრაში მედგა ტანკი, თურმე, თურქებისა. ტანკი დგას დაქოქილი და შიგ ზიან მესაზღვრეები. აქაო, სამხედრო ნაწილი არის ორ კილომეტრშიო და ეტყობა, რაღაცა ხდებაო. გამოვცდით. ღამის სამი საათი იყო თუ ოთხი, და ეტყობა, ეძინათ. გადავედით ნეიტრალურ ზონაში და ნეიტრალურს ორივე აკონტროლებს, ბენძნებიცა და თურქებიც. ორივე პატრული დადის. უყურებ და ერიდები. ეხლა უბრალოდ ვყვები, თორე მაგარ ტანჯვას გადიხარ. ჰოდა, ჩვენ კიდე ძაღლები გამოგვეკიდნენ. სოფელში რო გამოვიარეთ, აგვეკიდნენ ეს ოთხფეხა, ჩვეულებრივი ძაღლები, ვერ მოვიცილეთ ვერაფრით ეს თურქულ სოფელში აკიდებული ძაღლები, გამოგვყვნენ საბერძნეთამდე, ერთი ხუთი კილომეტრი ფეხით გვდიეს. ხან „კალბასი“... თუ რამე საჭმელი გვქონდა, დავუტოვეთ იმათ და არ მოგვეშვნენ. გვდიეს, გვდიეს და მოვედით საბერძნეთის საზღვარზე და ეს ბიჭი ამბობს: აქაო მავთულხლართიაო, „ზაპრეტკაა“ (აკრძალული ზონა), რა. მანდ რამოდენიმე თვით ადრე ქუთაისელი ბიჭები

აფეთქდნენ. დამინული იყო და სამი ბიჭი მოკვდა იქა თუ ორი, აღარ მახსოვს. და ეს იძახის: აქო, ხიდიაო გადასასვლელიო. ბერძნებს ნეიტრალურში აქვთ ნაკვეთები და გადიან, გამოდიან, ჩვეულებრივად ხიდი აქვთ გაკეთებული, ტრაქტორით ამუშავებენ და მიდიან უკან. გამომყოლმა ბიჭმა ზეპირად იცის, არი გათვითცნობიერებული სუყველაფერში. ამ ხიდზეო, არავითარი კონტროლი არ ხდებაო, იმიტო, რო ყოველ დილას გადმოდიან, ამუშავებენ მიწას, მიდიან, მოდიან. ამ ხიდის გარშემო ზოლზე უკვე საზღვარია გაკეთებული და დამინულია. ამან იცის ეს გზა და მიგვიყვანა იქ. რო გადავდივართ, სადღაც დილის ხუთი საათია – დეკემბერში გეუბნები. ეს ბიჭი მიდის წინ, მე მივყვები უკან, დანარჩენები ჩემს უკან მოდიან და გადავედით თუ არა ხიდზე, უკვე საბერძნეთში ვართ. მთვარის შუქზე ხე შევამჩნიე და ხის დაბლა რაღაცა მანქანის სილუეტი დავინახე და ამ გამომყოლ ბიჭს ვეძახი, რო რაღაცა მანქანა დგას-მეთქი ხიდთან. ასე ოცი-ოცდახუთი მეტრა იყო და ეს მეუბნება: არაო, გელანდებაო, რა მანქანა, რის მანქანაო?! ამის თქმა იყო და აინთო პროჟექტორი. აინთო პროჟექტორი და როგორ ვდგავართ, იცი? ერთ ოც მეტროში 50 კაცი დგას მესაზღვრე და გველოდება. მერე დასკვნა ეგეთი გავაკეთეთ, რო იმ თურქული სოფლიდან აკიდებულმა ძაღლებმა „დაგვწვეს“. აინთო პროჟექტორი და რაღაც საშინელი ხმით იკივლეს და იძახის ეს ბიჭი, რო ნუ გეშინიათ, არ გვესვრიანო და გავიქცეთო! ვერ გვესვრიანო! თავიდან ვერ მივხვდი, რო რატო ვერ გვესვრიან და მერე ამიხსნა, მაგან რო გესროლოს, შენ აგაცილოს და თურქი მოკლას – მთელი პრობლემაა და ამიტომ ტყვიები არც ერთს არა აქვსო. არც თურქებს აქვთ ტყვიები და არც ამათ აქვთ. ვერ ისვრიან, რა. მთელი პრობლემა მოხდებაო.

შემოვტრიალდით და გამოვიქეცით, მარა გამოგვეკიდნენ ესენიც და ის ხნიერი კაცი დაიჭირეს. ის ისე ვერ გამოიქცა. ორ-სამ მეტრაში მომდევდა ჯარი. ეს ბიჭი გარბოდა წინა, მე მივყვები უკან, ეს დანარჩენები დაგვეკარგნენ. მე აღარ მახსოვს, ვინ სად წავიდა. რო მორბიხარ, ფიქრობ თავის გადარჩენაზე და რო უნდა გაექცე... ეს ბიჭი მეძახის:

– რას შვები? შეგიძლია სირბილიო?

მე ვუყვირი:

– შემიძლია, მაგრამ როდემდე უნდა ვირბინოთ, ესენი მოგვდევენ.

– ეხლა მხედავ?

– გხედავ! – მე ვუთხარი.

ვხედავდი – მეტრით წინ გარბოდა. თუ მხედავო, ეხლა მე გადავხტებიო და სადაც გადავხტებიო, გადმომყევიო.

– კაი, – მე ვუთხარი, – მიდი, გადახტი!

გადახტა, გადავხტი. ვერ ვხედავ, სად ვხტები, როგორ ვხტები. იმან, ეტყობა, ზეპირად იცოდა. მივენდე, გადავხტი და სადღაც ჩირგვებში რო გაეჭედები თავით, დავიჩხაპნე სულა და თქაფ, სადღაც წყალში ჩავვარდი. ჩავვარდი და ვარ ჩუმად. არც ის იღებს ხმას და არც მე და ამათი ფეხის ხმა გავიგონე – გაირბინეს. და დაიწყო მთელი ღამე მანქანებით სიარული და დადიან, დადიან, მერე ძაღლებით მოვიდნენ. ძაღლი თავზე მაყეფავდა რაღაცა მეტრანახევარში რა, სულ წყალში ვიწექი. ეგ რო მოხდა, დილის ექვსის ნახევარი იქნებოდა და სანამ ისევ არ დაღამდა, სადღაც ღამის თორმეტი თუ პირველი საათი იყო, რო

ამოვედით იქიდან. რატომღაც არ გავცივდი, არც შემცივნია. ეტყობა, რაღაცას შვება მაგ დროს ორგანიზმი. არც შემცივნია, გაუნძრევლად ვიწექი – ჩვიდმეტი საათი გამოგვივიდა სადღაცა. მთელი შემდეგი დღე ვიწექი. დღისით არც შემოსულა არავინ. მთელი ღამე გვეძებეს, რო ინათა, გაგვანებეს თავი.

მანამდე ის დამავიწყდა, რო სანამ ხიდამდე მივედი, ერთ ოთხას-ხუთას მეტრაში, მანქანა დავინახეთ ერთ-ორ კილომეტრში. სუ მინდორია რა, გზებია დაქსაქსული, მისასვლელ-მოსასვლელი. დავინახეთ, მოძრაობდა. იმ ბიჭმა თქვა: ესო თურქები იქნებიან – აქეთ არ გადმოვლენო. ეტყობა, აერია ორიენტაცია. ბოლო-ბოლო ისე მოხდა, რო წამოვიდა და ძალიან ახლოს მოვიდა ჩვენთან და არაფერი არაა, ვერაფერს ვერ მოეფარები, არი მარტო პატარ-პატარა ჩირგვები და იძულებული გავხდით, გადავხტით და ამ ჩირგვებში დავწექით, გააჩერეს იქვე. ბერძნები იყვნენ. გადმოვიდნენ, ფანრები აანთეს და დაიწყეს ძებნა. მოვიდა ტიპი ჩირგვის მეორე მხარეს და ანათებს, ფეხებზე გადამატარებს ამ სინათლეს, გადმომატარებს, მაგრამ რატომღაც ვერ დამინახა, ახალი მოხნული იყო იქაურობა და ვერ დაგვინახეს, ერთი სიტყვით.

აი, ეგეთი რაღაცეები იყო. კინაღამ გავგიჟდი, ჩემთვის იყო ძალიან ძნელი რაღაცა. და აი, უკვე მეორე ღამეს, რო ავდექით, ტელეფონები ჩავრთეთ. როგორც კი ჩავვარდი წინა ღამეს, მაშინვე გამოვრთე ტელეფონი. იმანაც გამორთო. და მეორე ღამეს ჩავრთე, რო დაღამდა, ჩაწყნარდა, ჩავრთე, ოღონდ ხმა გავუთიშე. ზარი შემოვიდა. ის ორნი რეკავდნენ – სადა ხართო? ჩვენ ისინი უკვე დაჭერილები გვეგონენ. მერე ამ ბიჭს მივაწოდე ტელეფონი, ეს დაელაპარაკა, აუხსნეს ერთმანეთს, გაარკვიეს, თურმე ისინიც იქავე ყოფილან. ხიდიდან გამოვიდნენ თუ არა, ისინი იქავე ჩამხტარან. მესაზღვრეებმა, ეტყობა, სიბნელეში ვერ დაინახეს, სად წავედით ჩვენ, თორე არ მოგვეშვებოდნენ. მერე ღამე შევხვდით იმ ორსაც და დილისკენ ჩვეულებრივად გადავედით იმ ხიდზე, გადმოვიარეთ ფეხით და კაციშვილი არავინ არ იყო.

იქ პირველი ქალაქია ორესტიადა და ორესტიადაში გადმოვედით. იქ არის ერთი „საბომჟე“ – მე დავარქვი ეგრე – „საბომჟე“ არი-მეთქი. რაღაცა შენობაა, შედიხარ, ესე იგი, საქართველოდან თუ ვინმეა წამოსული, გინდა პაკისტანიდან, ყველა იქ იყრის თავს. პაკისტანელებიც ესე გადმოდიან საზღვარს, როგორც ჩვენ. ახლა გეტყვი, მე რა ვნახე. მანამდე მთელი დღე ვიარეთ და სანამ ამ საბომჟეში მივედით, დაგვაღამდა. მივედით ამ საბომჟეში. ეს არის ან წყალსადენის ან რაღაცის დანგრეული შენობა, რაღაცა უბედურობა და ტანსაცმელი არი ძირიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მოფენილი. რო დავინახე, მეთქი, რა არის ესა? ჰოდა, თურმე ეს თხუთმეტი წელი, თუ რამდენიც არის, რაც ხალხი გადადის საზღვარზე, ტანსაცმელს რო იხდის – ხო აღარ უვარგა ის ტანსაცმელი. მეც ერთი პატარა „სუმკა“ მქონდა თან გამოსაცვლელი ტანსაცმლით. და ეს ბიჭი მეუბნება, რო ეს არიო მთელი წლებით ნაგროვები გამოცვლილი ტანსაცმელიო. და ყრია იქ ეს ტანსაცმელი.

ღამე იყო და უკვე ისე ვიყავით დაღლილები, ორი ღამე არ გვიძინია და ერთი-ორი საათი რო დაგვეძინა, დავაყენეთ ტელეფონები გასაღვიძებლად და წავუძინეთ. ძილში ვგრძნობ, რაღაცამ გადამირბინა, მერე მეორემ გადამირბინა. მეთქი – რა ხდება?! წამოვხტი. ვხედავ, ერთი ოცი კაცი დგას. მეგონა

დაგვიჭირეს. წამოვხტი და წამოხტა ეს ბიჭიც და: არ შეგეშინდეთო! – ესე დაგვიძახა. თურმე პაკისტანელები თუ ვიღაცეები – ეგენი იყვნენ და – ვაჰ, თქვენი დედა! – ატეხა ამან ერთი ამბავი, ყველა ენა იცოდა, თუ რა იყო არ ვიცი. ტიპები, ესე იგი, ერთმანეთს ასწრებდნენ, გაიქცნენ, სულ დაიკარგნენ იქიდან. ესენი, ეტყობა, გადმოპარულები არიანო ჩვენნაირადო და ეხლა ესენი რო გავარდნენ, ეხლა საშიშია აქედან გასვლაო. უნდა მოვიცადოთო. ესენი ცოტა უტვინო ხალხიაო და მართლა, რო გათენდა, ესენი, იქიდან წასულები, სუყველა დაიჭირეს, სუყველა. და მაგიტომაც თქვა, რო არ გავყვეთო, „გაიასნებული“ იყო, რო ვიღაცა შემოსული იყო ქალაქში და ისინი დაიჭირეს. ჩვენ გადავრჩით.

მერე, საღამოს პირზე ორ-ორად გამოვედით. იქავეა ავტოსადგური რაღაცა 600-700 მეტრში. ჯერ რკინიგზის სადგურია და გადახვალ და იქავეა ავტოსადგურიც. გამყოლმა ბიჭმა მერე მასწავლა ორი სიტყვა. ეხლა კი ვიცი, მარა მაშინ უცხო იყო ჩემთვის ბერძნული და დამაზეპირებინა, როგორ უნდა მეთქვა ბერძნულად – „ბილეთი“. მივედი, ვუთხარი ბილეთი-მეთქი. რანაირად გაგვიმართლა, არ ვიცი – ძაან ბევრს იჭერენ. მერე რა ხდება, არ იცი! ავტობუსი რო იძვრება, იქ ერთი მძღოლია და მეორე არი ბილეთების შემმოწმებელი, რომელიც მოყვება ავტობუსს. შემმოწმებელი რო იწყებს ბილეთების შემოწმებას, ყველას ელაპარაკება, თან ეხლა, ორესტეადა ქალაქია, სადაც, ვინც კი მოდის საქართველოდან, ყველა იქ ჩამოდის. ყველას ელაპარაკება რაღაცას, ხო გაარკვევს, ვინ ქართველია, ვინ ენა იცის, ვინ არ იცის, წყნარად, გგონია, შეატყობ რამეს? სადგურიდან რო გამოდიხარ, იქავეა პოლიციის განყოფილება და შეუხვევს, შენ ხო არ იცი, აზრზე არა ხარ. შევა ეზოში, გაჩერდება, „ჩამობრძანდით!“ – გეტყვიან იქ. სუ ზეპირად იციან მერე, ვინ სად ზის. გელა, თუ რა ერქვა იმ ბიჭს, ის მეუბნება:

– ეხლა იმ პოსტს თუ გავცდითო ჩვენო, „ვსიო“, გადარჩენილები ვართო.

– აუ! – მე უთხარი, – კიდე რაღაცას უნდა გავცდეთ-მეთქი?! და გადავრჩით – არ შეუხვია იქა. რატო არ შეუხვია, იცი? რატო და იმ დღეს კონტროლიორი არ ყავდა ბილეთების. მძღოლი დაჯდა. ამან თქვა, – ეხლა შეგვამოწმებენო, მარა არავის არ შევუმოწმებივართ. გაგვიმართლა, ერთი სიტყვით და ეგრე ჩამოვედი, ჩამოვაღწიე სალონიკამდე.

თავიდან რო ჩამოვედი, პირველი თვეები, ყველა ბერძენი მეგონა საშიში იმიტო, რო მე ხო არ ვიცოდი, ვინ პოლიციელია, ვინ რა სამსახურიდანაა. აქ სხვადასხვა სამსახურებია... მერე ნელ-ნელა კი შევეჩვიე, მაგრამ მაინც ძაან პრობლემაა. ავტობუსში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადიხარ, ყველას ეჭვის თვალით უყურებ, ისა, ისა და ფსიქოლოგია გიფუჭდება, მე ზუსტად ამისა მეშინია. იცვლებიან აქ ადამიანები. ჩემ ქვეყანაში რო დავბრუნდები, ჰო, არ მინდა, რო ეს დამოკიდებულება დამყვეს. აფუჭებს ფსიქოლოგიას, ძაან მაგრა აფუჭებს, იმიტო რო იძულებული ხარ, ეჭვით უყურო შენ გარშემო ადამიანებს, ყველას ერიდები... მე კი ვაკონტროლებ, ვფიქრობ, რო ვაკონტროლებ ამ სიტუაციას, რო არ ჩავყვე ძალიან, მაგრამ აქ უმეტესობა ეგრე ცხოვრობს. საბუთები აქვთ აღებული, მარა მაინც შიშით დადიან. ის ძველი შიში უკვე გამჯდარი აქვთ. ძალიან ძნელია, რო თავი დააღწიო და ეგ არი ემიგრანტების დიდი პრობლემა, რა. მე რასაც ვუყურებ, ძალიან გაუჭირდებათ. თვითმკვლელობას ვერ გეტყვი, მაგრამ ფსიქოლოგიური აშლილობა თითქმის ოთხმოც პროცენტს აქვს.

დიდი წრე გვაქვს აქა – დაახლოებით ოცდაათამდე ადამიანი (იგულისხმება ახლობლები) და მარტო მე, ჩემი სიძე და კიდე ერთი ბიჭი არი – ჩვენ სამი ადამიანი დავრჩით, ვინც ვმუშაობთ. ეხლა ამ კრიზისმა ისე ქნა, რო დანარჩენი არის ყველა უმუშევრად, მაგრამ თუ საბუთიანია, იმას სახელმწიფო აძლევს დახმარებებს. ჩემი მეგობარი არის უმუშევარი, მაგრამ თვეში იღებს 520 ევროს. ისე, ვინც დასაქმებულია, იმათი უმრავლესობა არ იხდის „ნალოგს“ (გადასახადს). ვისაც საბუთი არა აქვს, არავინ არ იხდის. აქ უსაბუთო ორმოცდაათი პროცენტი მაინც არის და ეს პროცენტი იზრდება იმიტო, რო ვინც ჩამოდის, ის საბუთს უკვე ვეღარ აკეთებს. მუშაობს, მაგრამ საბუთს ვერ აკეთებს. ძაან დაბალი პროცენტი ახერხებს ოფიციალური გზით ლეგალიზებას. ახერხებდნენ აქამდე ქრთამით. იყო ეს, მაგრამ შეწყდა უკვე. კანონი როცა გამოდის, აქ არის სხვანაირი სიტუაცია: გამოვიდა, ვთქვათ, კანონი მიგრანტებზე საბუთის გაცემისა, რო, 2006 წლამდე ვინც არის შემოსული, იმათზე გაიცეს დოკუმენტაცია – საბუთები. მე არა ვარ ვიზით შემოსული, მაგრამ მერე მე ვიხდი დიდ ფულს და მიკეთებენ, ვითომ ვიზით ვარ შემოსული. ეს „ლევი“ (აქ – წესის დარღვევას ნიშნავს) ჯდება დაახლოებით სამი ათასიდან ხუთი ათას ევრომდე. უმეტესობას გაკეთებული აქვს „ლევად“, მაგრამ როგორი „ლევი“ არის, იცით? – „პრავი ლევია“. როგორ გითხრათ, რაღაც უცნაური შემთხვევაა. ისე აკეთებენ ამ ადვოკატების მხრიდან, შენ არც გაკარებენ ამ ადვოკატს, არც იცი, ვინ არი. მერე ლეგალიზდება ეს საბუთები. არ გეკუთვნის, იღებ და მერე ლეგალიზდება დროთა განმავლობაში. აი, მაგალითად, მე არ მეკუთვნის, გავაკეთებ, მარა არი გამართლებაზე, ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. ზოგს გამოსდის და ზოგს მთლად უფუჭდება ყველაფერი.

არალეგალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ხარ სრულიად უუფლელებო, მე არ ვიძახი ეხლა სააჩევნო უფლებებს და სამთავრობო დონეზე და სახელმწიფო დონეზე რაღაცა უფლებებს. მე ვგულისხმობ უბრალო ადამიანურ უფლებებს, რასაც ქვია თავისუფლად გადაადგილება. ამას ხარ მოწყვეტილი და გიწევს სულ მუდამ მალვით სიარული და მორიდება გარკვეული სამსახურების მიმართ, რომელიც აკონტროლებს ამ არალეგალურობას. მე ვცდილობ მაქსიმალურად, რომ გარეთ არ გავიდე, მაინც გავდივარ, მაგრამ სასეირნოდ არ დავდივარ – ვერ დავდივარ. გარეთ დავდივარ მაქსიმალური ყურადღებით. იმ დონეზე ვარ მისული, რო სალონიკში თითოეულ ამ სამსახურის თანამშრომელს ლამის უკვე სახეზე ვცნობ. ესეა, მე კი არ მიჩალიჩია, რო აქ შემესწავლა ვიღაცა, მდგომარეობამ მოიტანა, რო იძულებული ხდები, ყურადღება გადაიტანო მაგაზე, რა. ძალიან ცუდია ესა, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. ყველაზე ხშირად ილახება შრომითი უფლებაც. რა არი, იცით? რო არალეგალს უფრო მეტი შრომა გიწევს, შენც იცი, რო პრობლემის ქვეშ იმყოფები, უსაბუთოდ იმყოფები და იძულებული ხარ შეასრულო ყველა ის სამუშაო, რასაც ის გეუბნება. მე რვა საათი ვმუშაობ. განსაზღვრული სამუშაო დრო გვაქვს. მე ეგრე ვმუშაობ, თორე არიან ადამიანები, ვინც 12 საათსაც მუშაობენ და უხდიან ჩემს ნახევარს. მე 50 ევროს მიხდიან და არიან, 12 საათს მუშაობენ და 25 ევროს უხდიან. არავითარი უფლება არა გაქვს, რო წინააღმდეგობა გაუწიო.

საბუთი თუ გაქვს, არც ერთ შემთხვევაში არ ილახება შენი უფლებები, ყველა უფლებებით სარგებლობ და თუ არა გაქვს, კი არ ილახება, უბრალოდ რაღაცა საშინელ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდე.

შრომითი მიგრანტის უფლება ძალიან ხშირად ილახება. მე რო არალეგალი ვარ, ეგ იცის იმან, ვინც სამუშაოს მაძლევს, მარა აწყობს იმიტო, რო აქ სისტემა არი სხვანაირი, რო აღმოაჩინონ რო არალეგალებს ამუშავებს, იმას პრობლემა შეექმნება კი არა, საწარმოს დაუხურავენ, მარა რისკავს აი, რატო: თუ საბუთები გაქვს, ის ვალდებულია, რო ხელფასი გადაგიხადოს, თან უნდა გადაგიხადოს იმაზე მეტი, ვიდრე არალეგალს. მაგალითად, დღეში მე ეხლა მიხდიან 50 ევროს, მაგრამ ვისაც საბუთი აქვს, იმას 70-80 უნდა გადაუხადოს. ეგ ერთი. მეორე – იმას, რასაც ხელფასს გადაუხდის, ერთი იმდენი თითქმის, „ენსიმო“ ჰქვია – ეგაა სადაზღვეო თანხა, ის უნდა გადაიხადოს. ეგ არის დღეში 15-დან 45 ევრომდე. ეგ სიმძიმის მიხედვითაა. ჩემი სამუშაო მძიმედ ითვლება, წესით მე დღეში უნდა მიხდიდნენ 35 ევროს იმის ზევით, რაც ხელფასი მაქვს. ესე იგი, ჩემი სამსახური უნდა მიხდიდეს 70-80 ევროს და უნდა მიხდიდეს ენსიმოს 35 ევროს დღეში. წარმოიდგინე ეხლა, რამდენს ზოგავს ის მეპატრონე, არალეგალი რო ყავს, დაახლოებით 60-70 ევროს დღეში მოგებას ნახულობს.

ჩემი არი ჯანმრთელობისთვის მავნე სამუშაო. მხედველობა ძალიან მაგრა დამიქვეითდა. დილას რო ვდგები, თხუთმეტი წუთი საგნებს ვერ ვარჩევ. მე როგორი სამუშაო მაქვს, იცით? „შპაკლი“ როა, ეს ნივთი (კუბო) რო შეიჭედება, მერე ნალურსმევს უსმევენ „შპაკლს“. მერე არის სახეხი მანქანა, რომელსაც „შკურკა“ უკეთდება, „ბალგარკას“ რო ეძახიან. ჰოდა, იმას აქვს მტვერი, თან ქიმიური მტვერია ეგ მტვერი. ეგ ერთი. მერე – ეს მტვერი გეყრება სახეში. სათვალეს ვერ გავიკეთებ. სათვალეს რო ვიკეთებ, დაიბურება, ვიწმინდავ, დაიბურება, ვიწმინდავ და ვინ დაგაცლის იმ გაწმენდას, არ შეიძლება გაჩერება. მერე ეს ნივთი „იკრასკება“ (იღებება) სამ პირად. ერთ პირს რო „გაკრასკავ“, შედიხარ და „გუბკებივით“, „შკურკებია“, იმითი უნდა გახეხო-გააპრიალო. ეს ჩვენი პროდუქტი ღირს 100 ევროდან 500 ევრომდე, 700 ევროიანიც არის. ჰოდა, რისკავს და თან ამათ ყავთ ყველგან ხალხი. თუ რაღაცა შემოწმების ვარიანტია, მაშინ მიდის ყველგან ზარები, რო აი, შენთან შემოწმება მოდის. ისიც იმ დღეს გიშვებს სამსახურიდან, შემმოწმებელიც ვერაფერს ვერ პოულობს. ამათზე კორუფციული ქვეყანა მე არ მეგულება. აქ ყოველ ნაბიჯზე არი... აი, კორუფცია რაში გამოიხატება კიდევ: საბუთის გაკეთება რო მინდოდა, სანამ კანონი მოქმედებდა, დევნილობის საბუთის, ადვოკატთან მივედი. ადვოკატთან რო მიდიხარ, იმას ფული უნდა და ის არც გიმალავს, რო ზევით-ზევით ვიღაცეებს ფული უნდათ, რო შენ საქმე გაგიკეთონ. აქ თუ ფული გაქ, რა მნიშვნელობა აქვს საიდან ხარ ჩამოსული, ვინ ხარ, რა ხარ? არც გკითხავენ. გადაიხადე, გააკეთე რაც გინდა. კორუფცია მეტი კი არაფერი არ არი.

პირველი მიზეზი, საბერძნეთში რომ ჩამოდიხარ, არის ის, რო ახლობლები აქ გყავს. თავიდან კიდევ იმიტო აირჩიეს საბერძნეთი, რომ პირველ ეტაპზე საბერძნეთი იღებდა ამ ადამიანებს და სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ადვილი იყო. პირველ წლებში, აი, პონტიელებს რო ვეძახით, საქართველოდან წამოსულ ბერძნებს, ისინი რო ჩამოვიდნენ, იმათ ბევრი გამოყვა. უკონტროლო სიტუაციები იყო. ზოგმა გვარი გადაიკეთა მაშინ, ქორწინებები გააფორმეს, მაშინ ამას არ აქცევდნენ ყურადღებას. ბერძნული გვარი გქონდა – საბუთს იღებდი იმწუთას. მერე ესენიც რო გაერკვნენ სიტუაციაში, კანონები შეიმუშავეს. როცა

გაარკვიეს, ვინ ჩამოდის, როგორ ჩამოდის, ყველა წინაღობა შეიმუშავეს, მაგრამ უკვე უმეტესობა ადამიანის ახლობელი აღმოჩნდა საბერძნეთში. აი მეც, მაგალითად, რო გადავწყვიტე წასვლა, სად წავიდოდი? ჩემი და და სიძე არიან აქა, საბუთები აქვთ, ყველაფერი. ჰოდა, თუ წასასველია სადმე ქვეყანაში, წახვალ ახლობელთან, ვიდრე წახვიდე სადმე, პირდაღებული იდგე ქუჩაში და არ იცოდე, სად წახვიდე.

მე რო ჩამოვედი, ვაპირებდი ერთ წელიწადში უკან წასვლას. ბერძნული მაგარი ადვილი ენაა, მაგრამ ჩემ ინტერესში ენის სწავლა არ შედიოდა, განწყობით თუ არა ხარ რაღაცის მიმართ, ვერ ისწავლი, რაც არ უნდა ადვილი იყოს. ჩემს ინტერესში შედიოდა სულ სხვა რაღაც – რო ერთი წელი მემუშავა, რაღაცა კაპიტალი დამეგროვებინა და წავსულიყავი უკან, მარა კვირიდან კვირამდე ხელფასი არ მიმყვება და გადავწყვიტე დარჩენა და უკვე ენის სწავლაც. ენას ვსწავლობ ძირითადად ურთიერთობით. აი, ელემენტარული რაღაცეები ვიცი.

საქართველოში რო ვცხოვრობდი, მიგრანტებზე შეხედულება მქონდა სულ სხვანაირი. ზოგჯერ ზედმეტად კრიტიკულად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ეხლა ცოტა სხვა თვალით ვუყურებ. თუ არ იცხოვრე ამ ადამიანებთან ერთად, თუ დიდხანს არ იცხოვრე და არ განიცადე, რასაც ეს ხალხი განიცდის, ვერ მიხვდები, რა ხდება აქა. ხალხია ჩამოსული, მთელი ცხოვრება შრომაში რო გაატარა და ჩამოსულები არიან და მარტო შრომობენ. იქიდან სულ სხვანაირად ჩანდა. სულ განვიკითხავდი, ვაკრიტიკებდი, რო რატო არ ბრუნდებიან-მეთქი. დღესაც იგივეს ვფიქრობ ჩემ ქვეყანაზე, მაგრამ აი, ეხლა რო ჩამოვედი, რო ვმუშაობ, რო ვუყურებ, როგორ ცხოვრობენ, რატო ცხოვრობენ აქა, აზრი შემეცვალა ამ ადამიანებზე, რო ვუყურებ, რა წვალებას და ზოგჯერ რა დამცირებას იტანენ იმის გულისთვის, რო თავისი ოჯახი იქ კარგად ყავდეთ, ცოტა მცხვენია ხოლმე იმ აზრისა, რაც მანამდე მქონდა. აი, მაგას ვხედავ დადებითს იმაში, რო აქ ჩამოვედი და სინამდვილე, რეალობა დავინახე. უარყოფითი რა დავინახე, იცით? რო წლები აცივებს აქ ადამიანებს. მე არ ვერიდები ხოლმე ამის თქმას და ცოტა კონფლიქტიც მომსვლია მაგაზე, ჩხუბი კი არა, მაგრამ ჩემ თავსაც ვაკვირდები და მეც იქითკენ მივდივარ, სადაც ესენი, ზოგი უკვე მისულები არიან. გაცივება არის, თავისი ოჯახების, ქვეყნის მიმართ. მარტო ერთი ვალდებულება დარჩა – ფულის გაგზავნა. დანარჩენი ვალდებულება, უკვე იმის იქით, იხსნება ამ ადამიანებში, მე რასაც ვუყურებ. რაღაცა ნიჰილისტური დამოკიდებულებაა ჩვენი ქვეყნის მიმართ და საზოგადოებაში რო ჩავვარდნილვარ, ჩემ გასაგონად და შენ გასაგონად საქართველო უყვართ. აი, მე არ მიჭირს იმის აღიარება, რო მიჭირდა ეკონომიურად და იმიტო ჩამოვედი, მაგრამ აქ უმრავლესობა გასამართლებ-ლად იწყებს მთავრობის გინებას, იმის გინებას, ამის გინებას, და სხვაზე გადაბრალებას და არა საკუთარ თავზე იმისა, რა დღეშიც ესენი არიან. აი, ეს არი ცუდი, რა! დამოკიდებულება ბერძნებისა ჩვენ მიმართ მაგიტომ არის ცუდი. რო შეეკითხებიან: „რატო ჩამოხვედი?“ – აი, იმის დედა, მთავრობის დედაო... იმას კი არ ამბობს, რო მე მიჭირდა მატერიალურად და იმიტო ჩამოვედი. აი, გაციებულები არიან, რა. ძაან მაგარი გაციებული ხალხია და ძაან მიჭირს ხოლმე ურთიერთობა. თავისუფალ დროს ძირითადად თანამემამულეებთან მაქვს ურთიერთობა. ძირითადად კი არა, სულ ქართველებთან მაქვს ურთიერთობა. სუფრებზე ვხვდებით ძირითადად, აქ ქორწილებს იხდიან, დაბადების დღეებს იხდიან, ისეთ შემადგენლობით სუფრებზე

ვყოფილვარ, და როგორ არი: თამადა ადგება, იტყვის საქართველოს სადღეგრძელოს, ყველა ადგება, იტყვიან, მარა რო დაჯდებიან, ცუდის მეტს არაფერს არ იტყვიან და რატო, იცით? ერთადერთი მიზეზია, რო გაამართლონ თავიანთი აქ ყოფნა. აი, მე მიჭირდა და პურს ვეღარ ვყიდულობდი, ამათ ცხვენიათ ამის თქმა და იწყებენ გინებას ქვეყნისას, პრეზიდენტისას. მე შეიძლება პრეზიდენტი არ მიყვარს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იმის მიზეზი არ არი, რო მე აქ ვარ. მართლა ვერ ვიტყვი, რო არიქა, ვიღაცამ მაიძულა. შეიძლება რაღაცა თავი და თავი ჩემი მდგომარეობის იმისგანაც გამომდინარეობს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ის სიტუაცია არ არის, რო მე საქართველოს ვაგინო და ჩემ ქვეყანას ვაგინო, იმის გამო, რო მე აქ ვარ და ამით გავამართლო ჩემი აქ ყოფნა. საქართველოსთან დამოკიდებულებაც შეიძლება ჩვეულებრივი პრობლემაა იმიტო, რო ნევროზული მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ცუდ მდგომარეობაშია იმიტო, რო აქ ჩამოსულია, მონურად შრომობს და ამითი კმაყოფილი იყოს, არ მინახია ჯერ არავინ.

ადამიანები შევისწავლე ძაან მაგრად. ადრე არ მქონია ურთიერთობა და ეხლა საკუთარ თავზე გამოვცადე ერთი და მეორე – ახლოს გავიცანი ეს ადამიანები. სამომავლოდ თუ რაღაცა გადავწყვიტე, ეს გამოცდილება ძალიან ბევრ რამეში დამეხმარება. რა ვიცი, ცხოვრება წინ არი და... ოღონდ ამ ადამიანებთან დამოკიდებულება ცოტა სხვანაირად აქვს გადასაწყვეტი სახელმწიფოსაც და ჩვენცა – თვითოეულ ქართველს, იქ ვინც არი, საქართველოში დარჩენილი. ყველაზე ცუდი კიდევ რა არის იცი? ეს ადამიანები რატო არიან ასეთ დამოკიდებულებაში თავისი ქვეყნის მიმართ? სულ ვუკვირდები, აქ რაც ჩამოვედი, ვფიქრობ და თან ვიწერ ჩემთვის რაღაცეებს. როცა გამოდის პრეზიდენტი, გინდა პარლამენტის თავჯდომარე იყოს და გინდაც სხვა, და ლაპარაკობს მიგრანტების დაბრუნებაზე, ამას თუ არ მოაყოლა რაღაცა, ისე სახელმწიფოს ამ ადამიანებისადმი დამოკიდებულება ზოგადი არი – ჩამოდით! კაი, მოვდივარ მე. ვისაც არ უნდა შეეკითხო აქ, ყველა გეტყვის, რომ თავის ქვეყანაში უნდა დაბრუნება. პრეზიდენტზე კარგად და გულიანად თავის ოჯახის წევრები ეუბნებიან, ჩამოდითო, მაგრამ თუ კონკრეტული არ შესთავაზე ამ ადამიანებს რაღაცა გეგმა, არ შეიძლება. თან სამსახური შექმნეს და დანიშნეს კაცი ამ მიგრაციის და ემიგრანტთა მინისტრად, როცა არ არსებობს პროგრამა, თუნდაც ერთ ადამიანზე განსაზღვრული. გეგმა უნდა არსებობდეს, რომ ეს კაცი რო ბრუნდება, სახელმწიფო რას სთავაზობს, რას პირდება. სამსახურს სთავაზობს სპეციალობით, თუ რაღაც შეღავათს აძლევს – არაფერი ამდაგვარი.

პირველი, შრომითი უფლება ილახება და მერე – პიროვნული უფლებები ილახება ძალიან მაგრად, როგორც ვთქვი, განსაკუთრებით, ქართველების მიმართ. ეს არ არის აქ მცხოვრები ქართველების ბრალი, ეს არი ჩვენი სახელმწიფოს ბრალი, რასაც მე ვუყურებ და ვუკვირდები, რაც ჩამოსული ვარ. იმ პოლიტიკის ბრალია, რასაც სახელმწიფო აჩვენებს ევროპას. აჩვენებს, რო აყვავებულია ჩვენი ქვეყანა და ესენი გვიყურებენ როგორ, იცით? უმადურ ხალხად გვთვლიან, აი, თქვენთან ესეთი აღმშენებლობა მიდის, ლამაზი ქვეყანა გქონიათ და თქვენ კიდე მოდიხართ აქ და იპარებით... აი, ესეთი მდგომარეობაა. ძნელი ასახსნელია და პიროვნული შეურაცყოფა მიდის მერე. თუ ჩავარდი ამათ ხელში, არ გინდობენ. ყველაზე უკანასკნელი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ აქვთ. აქ ალბანელი

იქნება, პაკისტანელი, ზანგი თუ თურქი, მათთან შედარებით, სულ უკანასკნელი დამოკიდებულება ქართველების მიმართ აქვთ. მე რასაც ვუყურებ, ეგრეა. მე არ ვიძახი ჩვეულებრივ ბერძნებზე, მე ოფიციალურ სტრუქტურებზე ვამბობ.

აი, დაუშვათ დაგაკავა პოლიციამ, წაგიყვანა გინდა უსაბუთობაზე, გინდა სხვა რაღაცაზე ჰო, აი, შენ ყველაზე ნაკლები უფლება გაქვს იქ. ალბანელი უფრო სიტყვას ამოიღებს და თანადგომა აქვთ იმათ უფრო მეტი. აი, სათვისტომო ალბანეთის. ალბანელს რო დაიჭერენ, სათვისტომო უკვე იქ არი. სათვისტომოც, საკონსულოც, საელჩოც, ყველა გვერდზე უდგას თავის მოქალაქეს. ჩვენსას ვერ გამოიყვან შენობიდან, „გალსტუკს" გაიკეთებს, ზის და თავი გონია რაღაც უბედურობა. თუ ახლობელი არ არი, ნათესავი არ არი, ან რაღაცა ფულს არ გამოელის, ვერ გაანძრევ ადგილიდან.

სამედიცინო მომსახურების დონეც ძალიან დაბალია აქ. რაღაც საშინელება ხდება. რაის ევროკავშირი?! საქართველოში, ამ მხრივ, ჩვენა ვართ ასი წლით წინა. თუ ვინმე ქართველია, ან პონტიელი ან ბერძენი, რომელმაც იცის, რა ხდება, აქედან გარბის და საქართველოში მკურნალობს. თუ არა, მოგკლავენ. ელემენტარულს გეტყვით: ჩემი სიძე მივიდა ექიმთან. ის „კრასკავს" (კუბოებს ღებავს) და თვალების პრობლემა იმას უარესი აქვს. თვალის ექიმს გაესინჯა და ეს ექიმი ეუბნება, ბოდიშიო, მეო რეცეპტის დაწერა არ ვიციო და გააგზავნა სხვა ექიმთან, იქ გაესინჯეო. დიაგნოზს ვერ სვამენ, გადაგიღებენ სურათს და სურათს ვერ კითხულობენ. გეუბნებიან, საქართველოში გაგზავნე, პასუხი მომიტანე და იმის მიხედვით დაგინიშნავ მკურნალობასო. აი, ესეთი მდგომარეობაა. ესენი როგორ ცოცხლობენ კიდე, ეგ მიკვირს.

საქართველოში ფულის გასაგზავნად ორი არხი არსებობს: ბანკები და „გრაფიოები", კერძო დაწესებულებები. აქ „გრაფიოებს" ეძახიან, ქართულად რა ქვია, არ ვიცი. ავტოსადგურია, რომელიც აქედან ავტობუსებს აგზავნის საქართველოში. მიხვალ, ეტყვი: ასი ევრო მინდა, რომ ხაშურში გავაგზავნო. მიცემ, კი ბატონო, დარეკავს, იქ თავისი განყოფილება აქვს და ჩაიწერენ სახელს და გვარს, მივა ის ადამიანი და აიღებს ამ ფულს, იმავე წუთში აიღებს. ყველა ქალაქში აქვთ ეს წარმომადგენლობები. ბანკთან შედარებით ერთადერთი უპირატესობა აქვს, რომ არის სიტუაცია, როცა მე ფული არა მაქვს და ოჯახიდან დამირეკეს, რომ ფული აუცილებლად ჭირდებათ. ბანკი უფულოდ რას გაგიგზავნის? აქ მიდიხარ და ეუბნები, რო მჭირდება გავაგზავნო ასი ევრო, ორასი ევრო, ხუთასი ევრო და პრობლემა არ არის. იციან, ამ დროში მიიტან და გიგზავნიან. მენდობიან იმიტო, რო „პასტაიანნი" კლიენტი ვარ. შენ რო მიხვიდე პირველად, არ გაგიგზავნიან. ეს „გრაფიოები" ძირითადად პონტიელების ხელშია, რომელთაც აქვთ უკვე მოქალაქეობა აქაური, კარგად რო იცნობენ ქართულ კულტურასაც, ქართულ ხასიათსაც...

აქ ძირითადი პრობლემა არის კრიმინალი. მაგაზე აქვთ ბერძნებს გართულება. ეხლა კრიმინალი ბერძენიც არი, მაგრამ კონკრეტულად ქართველებზე თუ ავიღებთ, ბევრია. იმიტომაა ბევრი, რომ საქართველოდან თუ ვინმე გაიქცა, ორმოცდაათი პროცენტი რუსეთშია, 50 – საბერძნეთში. „რეკეტს" ბერძენთან ვერ იზამ. აი, „პასილკების" (გზავნილი ამანათების) წილებში ზიან, ადრე რო გაგეგზავნა, კილო ღირდა ერთი ევრო. ეხლა გახდა ორევრონახევარი. რო ეკითხები, რატო გააძვირეო, იმათ ვუხდითო და იმათ დაგვავალესო. ქურდები, ვინც საქართველოდან გამოიქცა,

ან რუსეთშია ან საბერძნეთში. აბრალებენ იმათ და გაიგე ეხლა. ზოგი შეიძლება სარგებლობს, შენ გართმევს ორევრონახევარს და მიზეზად ქურდებს ასახელებს. ასეთი შემთხვევებიც არის, რომ საქართველოში დაპირდებიან ადამიანს, რო თუ გადაიხდი 3000-3500-ს, ჩაგიყვანთ საბერძნეთში, დაგახვედრებთ სამუშაოს, აქ ჩამოიყვანებენ, აიღებენ ამ ფულს, მიატოვებენ და დგას ქუჩაში კაცი. ამას ქართველები პირდებიან, აბა, საქართველოში ბერძენი ვერ შეპირდება. ტრეფიკინგი მარტო ის გონიათ, რო ბორდელში წაიყვანონ ადამიანი.

ამას გარდა, სინამდვილეში რაც ხდება კრიმინალი, ეგ კიდევ სხვაა. ძირითადად ხდება ბინების ქურდობა. ბინის ქურდობაზე თუ ვინმეს იჭერენ, 50-60 პროცენტი ეს არის ქართველი. ალბანელებს კი არა, სუყველას ავჯობეს ამათმა და მწარდებიან ესენიც. სულ ვიძახი ხოლმე, – არ შეიძლება! მე რომ ვმუშაობ და მშრომელი ბევრია აქა, ფუჭდება ამათი სიტუაციაც. იმ დღეს ბერძენი მელაპარაკებოდა, ტელევიზიით ყოფილა, რომ მარტო სალონიკში ტყდება ორასიდან სამასამდე ბინა დღეში! გამწარებული აქვთ სული. დაიჭერენ 20 კაცს დღეში და ათი-თხუთმეტი ქართველია. მერე უკვე ამ გამწარებულ სულზე რო გიჭერენ მომუშავე ადამიანს, მერე იმ ბერძენისთვის სულერთია და თუ ზედმეტი მოგივიდა და შეეწინააღმდეგე, შეიძლება მოგაწერონ მთელი სალონიკის გაქურდვა. აქ ამბები ხდება!

საბერძნეთის პოლიტიკა მიგრაციასთან დაკავშირებით, ამ ბოლო წლებს თუ არ ჩავთვლით, არ იყო ხელისშემშლელი, მაგრამ ეხლა აღარავითარ უფლებას აღარ გაძლევენ. ესენი რო მოვიდნენ მთავრობაში, თითქოს ლეგალიზაციას გააკეთებენო, მაგრამ ჯერ არაფერი არ ჩანს. უფრო გამკცრდა ეხლა კონტროლი და ყველაფერი. ადრე თურმე ესეთი შემოწმებები კი არ მიდიოდა. ეხლა რეიდებია ყოველ წუთში და ყოველ წამში, მაგრამ ამ წმენდას აკეთებენ თურმე რატო: კანონის გამოშვების წინ იწყებენ გაწმენდას. ვინც დარჩება, მერე კანონი რომ გამოვა, მისცემენ ცხოვრების უფლებას.

აქედან უკან დაბრუნების პრობლემა არ არის. ბილეთს აიღებ, საკონსულოში აკეთებ დროებით პასსპორტს. მე რა პრობლემა მაქვს: რატომღაც იმ ტიპმა, რომელსაც მოვყავდი, არ ვიცი, არ იცოდა, თუ სპეციალურად გამიკეთა, მერე ვერც ვნახე ის ბიჭი, რო მეკითხა, რატო გამიკეთა – პასპორტი დამახევინა. როცა გადმოვედით საბერძნეთში, რო დაგვიჭირონო, და დამახევინა. არ უნდა დამეხია ის პასპორტი. მაინც არ იქნება პრობლემა, საკონსულოში პასპორტს გამიკეთებენ, სამი დღის ამბავია სულ მაგეების მოგვარება და დავჯდები თვით-მფრინავზე. ისე რომ, სურვილი თუ გაქვს, პრობლემა არ იქნება. პირიქით – გაუხარდებათ ბერძნებს, თუ ვინმე მოაკლდება აქაურობას.

ანონიმი

2010 წელს ჩაიწერა
მარინა თაბუკაშვილმა

სკოლაში ვმუშაობდი. როცა დავამთავრე, ზუგდიდში, სკოლაში გამანაწილეს და ვიყავი ფიზიკის მასწავლებელი. ჩემი მეუღლის ბიძაშვილი მუშაობდა ჩვენთან, ინგლისურს ასწავლიდა ეს გოგო, თან შეთავსებით ვმუშაობდი, რაღაც წრეები გვქონდა ბავშვების, კლასგარეშე მეცადინეობებს ვატარებდით. ეს გოგოც ჩემთან ერთად დადიოდა, ჩემზე უფროსია. მოდიოდა ხოლმე და ეტყობა ჩაიფიქრა, რომ მე გავხდებოდი მაგათი რძალი. ნუ, სარძლოდ მოვეწონე. რომ მითხრა, გადავირიე, რა გათხოვება, რის გათხოვება! თან, ჩემი მეუღლე ჩემზე უფროსი იყო, ერთი, 12 წლით. ასაკითაც ძაან დიდი იყო და ერთხელ მოვიდა, თუ მოიყვანეს... და ნუ, სასაცილოდ არ მყოფნიდა, მარა, რაღაცნაირად, ისე აეწყო ეს ამბავი და ეს ურთიერთობა... მოდიოდა ხოლმე ჩემს სანახავად და რაღაცნაირად, რაღაცნაირად კი არა, ზაფხულში ბორჯომში ვისვენებდით, მე, ჩემი მეგობარი შვილთან ერთად და იქიდან წამომიყვანეს. წამომიყვანეს და საწყალი დედაჩემი, როგორ ტიროდა...

არა ეხლა, ძალით – არა. მეც გადავწყვიტე და წამოვედი. მერე წავედით ლენინგრადში. ჯერ სოხუმში ვიყავით, მერე ლენინგრადში. არ ვიცოდი ეს სოფლის ცხოვრება რა იყო, ეს ძროხები, კამეჩები და როგორ უნდოდა ამათ მოვლა, აზრზე არ ვიყავი, გაგებაში არ ვიყავი. თან, სოფელში ხო ის არის, დილით რო ყველა დგება, მიდის, საქონელს უვლის და რაღაცა. ქალაქში არის სხვანაირად – დილით ყველა მიდის სამსახურში. ჩემს ოჯახში ასე იყო, ჩემი მშობლები მიდიოდნენ, ჩემი ძმა მიდიოდა, მეც მივდიოდი სამსახურში. არ ვიცოდი ეს როგორ იყო, რა ხდებოდა, გაგებაში არ ვიყავი და უნივერმაღში რო შევედით (ლენინგრადში), რიგები რომ არის, იყო საოცარი რიგი, ხოცვა და მეთქი, რა იყიდება აქ? რეზინის ფეხსაცმელები. მოდი, ვიყიდოთო, ჩემმა ქმარმა. ეხლა რიგში დადგომა? უი, გავგიჟდი, რისთვის? ვიფიქრე, ალბათ დედამისისთვის უნდა-მეთქი, თორე რა მგონია ეხლა მე, რომ ეს ჩემთვის არის. დგას მოხუცი ქალი და ყიდის და მოიზომეო, მითხრა. დედა, გავგიჟდი, შევიცხადე, რისთვის მინდა? არაო, მაინც, ხომ იცი, ვინიცობაა რაღაცაში დაგჭირდესო. იქო, სუყველაფერი მოასფალტებულიაო, მაგრამ ვინიცობაა რაღაცაში დაგჭირდეს, წამოვიღოთო. სულ მაგას ვამადლიდი მერე, აი, მაშინ უნდა მცოდნოდა მე, სად მოვდიოდი-მეთქი. წამოვიღეთ და დარჩა ეს ფეხსაცმელი რელიქვიად, მერე მე ფეხი გამეზარდა... მერე გიორგის ეცვა, მერე სოფოს და გვაქვს. სოფომ თქვა, ამ ფეხსაცმელს არასდროს არ გადავაგდებ და ჩემს შვილებს მოვუყვები, მამიკომ როგორ მოგატყუაო.

მერე, მე სკოლაში ვმუშაობდი, რომ დაიწყო ეს ომის პერიოდი. ქმარი საკონსერვო ქარხანში მუშაობდა, მე სკოლაში, რომ დაიწყო ეს არეულობა და დაიხურა სკოლები და იყო ერთი ამბავი. სად იყო ტრანსპორტი? არაფერი არ იყო. მახსოვს, ბაზარში რომ მივდიოდით, ტრაქტორი რომ გეშოვნა და მის საბარგულზე დამჯდარიყავი, ეს იყო დიდი ბედნიერება. მახსოვს, ჩემი მეჯვარე

ჩამოვიდა და ჩემმა მეუღლემ „კამაზი“ მოუყვანა, რომ გაეშვა სახლში და ეს იყო იმხელა პატივისცემა, თან რომ მძღოლის გვერდით მოათავსა.

საშინელი დრო იყო, რაღაც საშინელება გადავიტანეთ, მით უმეტეს ჩვენ, ვინც ამ საზღვარზე ვცხოვრობთ. ეს იყო მართლა საშინელება. რომ დაიბომბა აქაურობა, გემი და ეს ზვიადისტები რომ დაბომბა მთავრობამ. როდის და, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე სოხუმი დაეცემოდა. მთავრობამ გემით სოხუმისთვის გამოგზავნა პროდუქტი. ეს გემი აქ ლოთი ქობალიას ხალხმა, დაბანაკებული რომ იყვნენ ჩვენს სოფელში, დაიჭირა, გემის ხალხი დაატყვევა, ჩამოიყვანეს გემიდან და ერთი სამი დღე იმ გემის გადმოტვირთვას მოუნდნენ. ღამ-ღამობით ტვირთავდნენ – შაქარი იყო ქვეყნის, ფქვილი ტომრებით, სხვადასხვა, იარაღიც იქნებოდა, ალბათ. სულ კამაზებით გაჰქონდათ ეს ყველაფერი ზუგდიდში, მეომრებისთვის გვინდა და საწყობში ვინახავთო, ამბობდნენ. 4-5 დღე რომ გავიდა ამ გემის დატყვევებიდან, თვითმფრინავით დაბომბა მთავრობამ გემიცა და ნაპირიც. 2 თვითმფრინავი იყო, ერთი შემოუვლიდა წრეზე, ჩამოყრიდა, – მერე მეორე. პატარა მწვანე თვითმფრინავები იყო, წითელი ვარსკვლავი ეხატა. აქ, ჩვენს წინ, დაიბომბა ყველაფერი და ეხლაც იხსენებენ ბავშვები, მანდარინებში რომ ვიყავით შეყუჟულები. ჩემი მეუღლე არ იყო სახლში იმ დროს. როგორ მახსოვს, სოფო იყო პატარა, „პილიონკებით“ (სახვევები) და იმით... და რა უნდა ყოფილიყო სახლში, რომ მე იმისთვის შემოვსულიყავი და ის ამეღო და გამეტანა. არაფერი არ გინდა თურმე ადამიანს იმ დროს. ეს იყო რაღაც საშინელი დღეები. ამ დაბომბვით ის გემი ჩაძირეს, ალბათ, ზვიადისტებს რომ არ დარჩენოდათ, იმიტომ. არავინ დაღუპულა მაშინ, არც სოფელში, არც ქობალიას რაზმში, მარტო, როგორც ამბობდნენ, ორი კაცი, ქობალიასი, დარაჯად რომ დააყენეს გემზე, იმ გემთან ერთად ჩაიძირა. ეს დაბომბვა დღისით მოხდა, პირველი საათის შემდეგ, მახსოვს, ქათამს ვწვავდი, თან ბავშვს ვაძინებდი... ასე, ნახევარი საათი გრძელდებოდა. საიდან ვიცი, რომ თბილისმა გამოუშვა აქ ის თვითმფრინავები? ქობალიას ხალხმა თქვა თვითონ, ყველა ასე გეტყვის სოფელში...

ხელისუფლებამ გამოუშვა თვითმფრინავები, რომ ეს ზვიადისტები გაენადგურებინა, გემიც ჩაძირა, ამათ რომ არ დარჩენოდათ, იმიტომ. ჩამოყარეს ნაღმები თვითმფრინავებიდან და გაიქცნენ ესენი. რო გაიქცნენ, ხო დარჩა ეს შენობები და ტექნიკა ხო დარჩათ... გაიქცნენ როგორ, ესე იგი... თავქუდმოგლეჯილები.

დრო რომ გავიდა და სიტუაცია დაწყნარდა, ერთი 10-15 კაცი დაბრუნდა ქობალიას ბატალიონიდან, აქ დარჩნენ, ბატალიონის ქონების დასაცავადო... დანარჩენები, ეს ქობალიას ბატალიონი, ტყეში იყო გასული.

ამ გემის ამბამდე, როდესაც აფხაზეთის ომი მიმდინარეობდა, აქ იდგა ეს ლოთი ქობალიას ბატალიონი... ეს იყო რაღაც სასწაული – საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ჯარის მთავარსარდალი პოლკოვნიკი ვახტანგ (ლოთი) ქობალია! და ამის სახელით დადიოდა ვიღაცა ვანიჩკა, საწყობის გამგე, ვითომ, სამხედრო ნაწილის. ის ვანიჩკა მოვიდოდა, ქურდი იყო ეს კაცი, ძროხებს იპარავდა, ძაან უავტორიტეტო, ერთი ვიღაცა ვანიჩკა, საიდანღაც მოსული, მოვიდოდა და გეტყოდა, პოლკოვნიკმა – ქვაბი გვჭირდებაო, ან – საქონელიო, ან რაღაცა, რაც უნდოდათ, და მიჰქონდა ამ პოლკოვნიკის სახელით. ჩემი მეუღლე

ეტყოდა ხოლმე, ვინო, ვინ შემოგვითვალაო? – პოლკოვნიკმაო... ჩემი მეუღლე სულ მაგაზე ხუმრობდა მერე, გვეუბნებოდა, ესო, პოლკოვნიკმაო შემოგითვალათო...

ძარცვავდნენ, რას არ ძარცვავდნენ! ეხლა, ხარს დაუკლავდნენ ვიღაცა საწყალს, ხან ძროხას და ის ვანიჩკა იყო ამის სპეციალისტი.

ხოდა ლოთის ჰქონდა დაბადების დღე, დარბიან ქალები, არი ერთი ამბავი, ეს ქალები ყველანი ქუდებით, სამხედრო ქუდებით, „პილოტკებით“ (ნეტა, როგორ იმაგრებდნენ თავზე!?), ემსახურებოდნენ, და რა იყო, რა ხდება და – არიქა, დაბადების დღე აქვსო ლოთის. ხან ის უნდათ, ხან ეს უნდათ და მიაქვთ რაღაცეები. ყოველდღე აძლევდნენ ორ პურს ამათ, ამ ქალებს, ჩვენი სოფლიდან იყვნენ ეს ქალები, შიმშილობა იყო და ემსახურებოდნენ... ან ორი პური ან რაღაცა, კიდე, მგონი, დამატებით ან 5 ლარი, 5 თუ 3, არ მახსოვს კარგად, ეს იყო ამათი გასამრჯელო. გავიხედე, დილით, პატარა მყავს სოფო და ვასეირნებ, და ასე ცხენზე ამხედრებული ვიღაცა ქალი მოდის, აგერ, ჩემი ღობის იქით. ვინ არი, ვკითხულობ ეხლა, და რა ვიცი ეხლა მე ლოთის ცოლია თუ ვინ არი...

დედოფალიაო, ხო, დედოფალი... მერე ვკითხე, ანიკო-მეთქი, გოგო იყო ერთი, წალენჯიხიდან იყო ჩამოსული, მეზობელთან ცხოვრობდა, მეზობლის ძმიშვილი იყო და მუშაობდა იქა, გვარდიელებთან. თან ამათ, ეხლა, როგორ გაბედავდი, აგდებით ხო არ დაელაპარაკებოდი, მთელი სერიოზულობით უნდა გეკითხა, ეჭვი რომ არ შეპარვოდათ. მაინც ისე გვიყურებდნენ რა, ვინც ამ პროცესში არ იყო ჩართული, ძაან ცუდად უყურებდნენ. ჩვენ არც ზვიადისტები ვიყავით, ჩვენ ჩვეულებრივი მცხოვრებლები ვიყავით და არც იმას ვემხრობოდით, არც იმას. ქართველი რომ ქართველს კლავდა, რომელი მხარე უნდა დაგეკავებინა? ჩვენთვის ვიყავით, პურს რაღაცნაირად ვშოულობდით ჩვენი შრომით. და მთელი სერიოზულობით ვიკითხე, რა ხდება-მეთქი და ის ქალბატონი ვინაა, სტუმარია-მეთქი, ჩამოსული? და არაო, მითხრა, ეს არისო ლოთის მეუღლეო, დღესო, დაბადების დღე აქვსო ლოთისო. კარზე რომ მიართმევენ ამ ნამცხვრებს და ამ ხაჭაპურებს, რაღაცა ტორტებს, და იყო ერთი ღრეობა.

აქ, ზღვის პირას, ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატის კორპუსები იდგა, რვა კორპუსი, ორსართულიანი, ფაცაციას კორპუსებს ეძახდნენ, იმ კორპუსებში ცხოვრობდა ეს ლოთის ბატალიონი და თვითონ ლოთი ცხოვრობდა ყველაზე დიდ კორპუსში, „ბრატსკი დომს“ (საძმო სახლი, თუ ძმობის სახლი...) ეძახდნენ, სულ ხალიჩებით იყო და მდიდრულად გაწყობილი, აუზიც ჰქონდა შიგნით (არ მჯეროდა, მერე ვნახე ის აუზი, სახლი როცა დაინგრა); სხვა კორპუსებს, არც ერთს არ ჰქონდა აუზი, არც ფაიფურის ქარხნის სახლებს, არც საავიაციო ქარხნისას. სტუმრებსაც ამ სახლში იღებდნენ და აცხოვრებდნენ, სტუმრები ჩამოსდიოდათ... ზვიადიც იყო აქ ამათან სტუმრად ნამყოფი, რამდენიმე დღით იყო ჩამოსული. მე არ დამინახავს...

ხოდა, ამ ლოთის დაბადების დღეს, გაზაფხული იყო, სეირნობდნენ ცხენებით; ლოთი და მისი დედოფალი თეთრ ცხენებზე ისხდნენ. ლოთის თეთრი ნაბადი ესხა და თეთრი ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული, თეთრი წვერი... თავზე არ ეხურა... ქალი შარვლით იყო, ქუდი ეხურა, კეპკასავით, მაგრამ თეთრ ცხენზე იყო ისიც.

იარაღი დიდი არაფერი ჰქონდათ და საიდან ვიცი, ახლა... მაგათ 26 მაისი იზეიმეს ზუგდიდში, 93 წელს, სამხედრო პარადი მოაწყვეს საქართველოს

დამოუკიდებლობის დღეზე. პარადის რეპეტიციას აქ გადიოდნენ, რამდენიმე დღე ვარჯიშობდნენ ამ ჩვენს გზაზე. და ამ აღლუმზე გამოიტანეს რუსულ, ძველ საბჭოთა ბაზაზე დატოვებული ჩამოწერილი იარაღი, ტექნიკა, ნაღმტყორცნები და რაღაცეები. ეგ ბაზა იქ იყო, ახლა რომ პატრიოტთა ბანაკია აშენებული. ზუგდიდს გამოუცხადეს, გააფრთხილეს, ყველა გამოვიდეს აღლუმზეო, სოფლებიდან ავტობუსებით ჩაიყვანეს ხალხი. ლოთიმ ჩაიბარა აღლუმი ზუგდიდში. იარაღი გაუჩნდათ მაგათ მერე...

რომ დაეცა აფხაზეთი... ესენი, ლოთის ხალხი, ხო იყო ტყეში გასული, დაეცა აფხაზეთი სექტემბრის თვეში და დილით ვიღვიძებ და რა ხდება: მთელი ტექნიკა, ოჩამჩირის ბატალიონი იყო, ზუსტად მახსოვს და თუ იყო კიდევ სხვა – არ ვიცი, ვერ მოგატყუებთ, და გავიღვიძე დილით და ნუ, არის არანორმალური ხმა ტანკების. იმდენი იყო, იმსიგრძეზე გაწელილი, ჩემ ღობესთან რომ მოდიოდა, კუდი ცენტრში იყო იმსიშორეზე.

თურმე, ლოთი ქობალიას ბრძანებით, ეს აფხაზეთის ომიდან გამოსული ჯარები არ გაატარეს იქით, ენგურის ხიდზე დახვდნენ და შემოიყვანეს აქ, ჩიხში. სამხედრო მანქანები, მთელი ეს ტყვია-წამალი, ავტომატები, იცით როგორ ეყარა... მოფხიკავდი რამდენს... მერე ამათ ეს იარაღი, აქ რომ მოაგროვეს... ვინ არ მოდიოდა, საიდან არ მოდიოდა... მიჰქონდათ ეს იარაღი, მიდიოდა ვაჭრობა, სამთავრობო ჯარის იარაღი... ჯარი ყიდდა ამას, გადმოსულები... ამათმა ყველაფერი დააყრევინეს და იმ კაცს ერჩივნა პურის ფული ეშოვა და ეს გაეყიდა, ვიღაცა მოსულიყო და წაეღო, ვიდრე ამათ ჩავარდნოდათ მუქთად. მაინც ხო ვერ გაექცეოდნენ, ესენი ხო არაფერს გაატანდნენ...

მთელი სამი-ოთხი დღის განმავლობაში ჩვენ, მაგალითად, მე და ჩემი ბავშვები წასულები ვიყავით სახლიდან იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა აქ, ჩვენ ქუჩაზე... იარაღი აქ ეყარა, ზოგი ყიდდა 50 მანეთად, ზოგი რაღაცაზე ცვლიდა და იყო ერთი ამბავი... ყველაფერი ჩაწყნარდა... ამათმა დაყარეს იარაღი. ტექნიკა რაც იყო, საგუშაგო ხომ იყო აქ მიტოვებული, ძველი, მესაზღვრეების, რუსების საგუშაგო და იმ საგუშაგოში შეიყვანეს ეს მძიმე ტექნიკა და ეს ავტომატები და ყველაფერი, და მერე სად წაიღეს, არ ვიცი... რაც არ გაიყიდა, წაართვეს ამ ოჩამჩირის ბატალიონის ხალხს, რაც მოახერხეს და გაყიდეს იმათ, ხო გაყიდეს და წავიდა ეს ხალხი, ოჩამჩირლები. ყველა კი არ წავიდა, ზოგი დარჩა და ლოთის ბატალიონს შეუერთდა. ოჩამჩირელი ქართველები იყვნენ, ზოგმა მეგრული და რუსული იცოდა მარტო.

გაძლიერდა ლოთის ბატალიონი, გადაწყვიტეს, თბილისი უნდა ავიღოთო. წავიდნენ. ფოთში იყო პატარა წინაღმდეგომა, მაგრამ თითქმის უბრძოლველად აიღეს მაინც და ზეიმობდნენ, ფოთი ავიღეთო... მაშინ წამოვიდა ჯარი თბილისიდან, მიადგნენ ცხენისწყალს და ამათმა არ გადმოუშვეს ცხენისწყალზე, შეტაკება მოხდა, მაშინ იყო ის ბიჭი, ბოლქვაძე დათო რომ დახვრიტეს; ამის მერე დაიშალა, ძირითადად, ეს ლოთის ბატალიონი. ზოგი დაბრუნდა აქეთ, ქონება გაიტანეს აქაური სახლებიდან, სადაც იდგნენ, და წავიდნენ.

მერე იყო ისევ შიმშილი, უშუქობა იყო, მოვიდოდნენ, გინდა, არ გინდა და გაბედავდი ეხლა და... ხო, მხედრიონი. შენ იძულებული იყავი, უნდა მიგეცა რაღაცა. ვის ჰქონდა ამდენი, რომ ამდენ კაცს აჭამო ან რაღაცა...

ვისაც ჰქონდა შეძლებული ოჯახი, მიადგებოდნენ: ეს უნდა მომცე, ეს უნდა მომცე, ეს უნდა მომცე. თუ არადა, წაგართმევდნენ ძალით. იარაღით დაგადგებოდნენ პირდაპირ და გეუბნებოდნენ, ან უნდა მომცე ან რაღაცა გააკეთო, იშოვნო და მოიტანოო... და იყო ძალიან დიდი ქაოსი და მე მახსოვს, მაგალითად, ჩვენთან, ჩემს მეუღლეს ფარეხში ყავდა მანქანა, თავისი ამხანაგის მანქანა, იქ, დედამისის სახლში, ის მანქანაც გაიყვანეს. სულ ჩამოწერილი ჰქონდათ, ეტყობა ვიღაცა ჰყავდათ სოფელში ისეთი, რომელმაც იცოდა ვის ოჯახში რა იყო და რა არა. ჩვენთან მოვიდნენ პირდაპირ ფულზე. ან ოქრო, ან ფულიო და ჩემს მეუღლეს უთხრეს, ფული მოგვეცითო და ეხლა როგორ იყო:

მაშინ, ეს ციტრუსის ბაღი ხომ გვქონდა, და ტონობით მოგვდიოდა ციტრუსი და ეს იყო ზუსტად ბოლო პერიოდი, მაგის შემდეგ არც ისა... იმ წელს გაიტანეს რა, მარტო, იმ წელს გაიტანეს რუსეთში. იმის შემდეგ დამთავრდა ყველაფერი, ციტრუსის გატანა, მაშინ დამთავრდა, იმ წელს და რაღაცა ფული გვქონდა მოგროვილი რემონტისთვის და ავეჯი უნდა გვეყიდა, ამის ფული გვქონდა სახლში. ნუ, მოვიდნენ, მთელი დღე იწრიალეს, იტრიალეს, მოკლედ, იძულებული გახადეს, ამოიყვანეს სახლში, დაემუქრნენ, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო და ეს ფული შეაკვრევინეს და მიატანინეს იქამდე... ერთი ამოყვა, დანარჩენი ელოდებოდა იქეთ... ერთი ასი მეტროს იქეთ, და იქამდე მიატანინეს და წაიღეს. მოკლედ, მანქანები გაიტანეს, რა არ გაიტანეს აქედან. მაშინ იყო, კახათში და დარჩელში რომ სახლები დაწვეს, აი ის პერიოდი იყო ზუსტად. გაუპატიურება ჩვენ სოფელში არ ყოფილა, მაგრამ ყაჩაღობა, ძარცვა – ძალიან ბევრი იყო, ძალიან.

მერე იყო, მხედრიონი რომ გავიდა, შემოიყვანეს რუსი სამშვიდობოები. შემოიყვანეს და რიდი იყო, შიში იმისა, როგორი ურთიერთობა იქნებოდა მოსახლეობასთან. ისინი იყვნენ დაბანაკებული ცენტრში, ესე იგი, მოსახლეობასთან უშუალოდ ჰქონდათ კავშირი. შიში იყო მაინც, შევიყუჟებოდით ხოლმე იმ უშუქობაში, 7 საათზე რომ ბნელდება, ღამეა და რომ გეშინია, შუქი არ არი, არაფერი, და ასეთი პატარა ბავშვები... რომ ატყდება სროლა და რის გამო ისვრიან, არ იცი. მაშინ არ იყო, არც მობილურები გვქონდა. დათვრებოდნენ, ისროდნენ.

სამშვიდობოები, აბა! ტანკებით ჩამოიჯირითებდნენ, ბავშვების სკოლაში გაშვების გვეშინოდა იმიტომ, რომ ისე დადიოდნენ... ნასვამები... იყო მერე კონფლიქტი. გლეხს რომ ძროხას მოუკლავ და ღორს მოუკლავ, დაეჯახები, ხო გეტყვის, რატომ აკეთებ ამასო და იყო ერთი აურზაური. მერე გამგებელი ჩაერეოდა, მერე სამშვიდობოებიდან – მაგათი მეთაური, ვინც იყო... ასე იყო ჩვენი ცხოვრება და ეხლა აი, აგვისტოს მოვლენები ხომ დაიწყო, მაშინ ისევ აქ იყვნენ დაბანაკებულები და ყველას ეგონა, რომ ისინი რახან აქ არიან, არ დაგვარტყამენ. იმ დღეს, ათ აგვისტოს, ჩვენთან ჩამოყარეს ბომბები, ხუთი ბომბი ჩამოყარეს. მახსოვს, რომ აქ მყავდა ამხანაგი პატარა ბავშვით და ჩემი მაზლიშვილი სამი წლის ბავშვით. იმწუთას ვიყავით მოსულები ეკლესიიდან, ჩემი ძმა რომ მოვიდა და თავი თუ არ გეცოდება, ბავშვები მაინც გამატანე, ჩემებთან წავიყვანო, მითხრა.

გავაცილე ბავშვები, ძმას გავატანე, შუადღეა, ჯერ ჭიშკართან ვიდექი ისევ და მეზობელი მოვიდა და მეუბნება, რომ დაგვბომბონო, რა უნდა ვქნათო, ასე ვლაპარაკობთ და ისე წამიერად ხდება, ასე მოვა უცებ და მოფრინდება წამიერად, ხმა არ ისმის და არაფერი და უცბად ჩამოყრის რაღაცას.

არა, დაზიანდა – არა. არავინ დაზიანებულა, ოჯახები – როგორ, წვიმა რომ ჩამომდის სახლში, იმ ნაღმის ნატყორცნებისაგანაა... პირველი რომ ჩამოაგდეს, იქიდან აქამდე მოსვლა ძლივს მოვასწარი. აქ ჩემებს ხომ არ დავტოვებდი სახლში. ჩემი სტუმარი გამოვარდა, წინა ოთახში, სადაც ბავშვს აძინებდა, ჭაღი ჩამოვარდა, დაინგრა ქვეყანა. მე ვეუბნები, წამოდი რამენაირად, გავედი მეზობლის სახლამდე და მეორე ჩამოვარდა, ბომბის ნაწილები დაეცა მეზობლის სახლს, სახურავს, ეს ჩამოანგრია და ჩემს გვერდით ჩამოვარდა ამხელა რაღაცა. რომ დამცემოდა, იქვე გავაფრთხობდი სულს. საშინელება იყო, მოკლედ.

მეორე დღეს პარტიოტთა ბანაკი (განმუხურის) დაბომბეს თვითმფრინავებმა, მე აღარ ვიყავი სოფელში, წავედი, დავტოვე სახლი.

ორ დღეში დავბრუნდი. ამოვედი. დაღამდა, დაიწყო სროლები. ეხლა ამათმა, საშვიდობოებმა, უკვე რომ მომაგრდნენ, დაგვერივნენ ღამე, ეხლა ყველა ოჯახი უნდა შევამოწმოთო. იყო ერთი ამბავი და მეზობლის კაცები ქუჩაში დარაჯობდნენ და რომ დაიძახებდნენ, არიქა მოდიანო და რომ გავვარდებოდით ღამე, შუაღამე, ტანკებით მოდიანო. ვითომ წესრიგს აკონტროლებდნენ თავიანთი ჭკუით, ნასვამები, აზრზე რომ არ იყვნენ... გავრბოდით ჩვენ ყველანი ერთად. უკან, მანდარინებში გავრბოდით და კოღოები რომ დაგვერეოდა, იყო ერთი ამბავი. მერე გავიდა ერთი კვირა, ცოტა მიწყნარდა, ესენი, რუსები, არ იყვნენ გასულები, ბავშვები ჩამოვიყვანე ერთი კვირის შემდეგ. ღამეა და, მორბის მეზობლის კაცი, არიქა, ისვრიან ეხლა სადღაც და მოდიან აქეთო, ყველა უნდა გაწყვიტონო... გავიქეცით ისევ... იყო რაღაც საშინელება, საშინელება. ასე გაგრძელდა ერთი 20-25 დღე თუ ერთი თვე, სანამ ის პროცესი არ დაიწყო, მათი გაყვანის, მაგრამ პირველ ეტაპზე არ გაუყვანიათ აქედან, როგორც მახსოვს, მეორე ეტაპზე გაიყვანეს, მთელი მანქანების კოლონა წამოვიდა. ეკლესიაში ვიყავით, გვეშინოდა, რა ხდება, რას გვიზამენ... ბრძანება აქვთო, რომ – მიდიანო და გაატყავეს ყველაფერი, რაც იყო იქ, მაგათ ბაზაზე. დატოვეს მარტო ჩონჩხი, ფანჯრებიც ჩამოხსნეს, სადაც იყვნენ დაბანაკებულები, და გავიდნენ ასე.

– რაღაცეებს რომ ყიდდნენ, როგორ იყო?

– სანამ აგვისტოს ომი დაიწყებოდა, ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ჩვენ ვიკითხავდით ხოლმე და ის, „ემეესა“ (MC – „მიროტვორჩესკიე სილი“, საშვიდობო ძალები, რუსულად) თუ რაცაა, „ემეესსო“ აქვს თუ არა, დაუშვათ – კარაქი, აქვს თუ არა „ტუშონკები“ (ჩათუშული ხორცის კონსერვები). თუ უფროსი იცვლებოდა, ერთი კვირა არ შეიძლებოდა ამის გამოტანა იქიდან, ამის მერე ისევ გრძელდებოდა ეს ჩვეულებრივი პროცესი, ვაჭრობა. კონსერვი გინდოდა, ქილა (შუშის ქილები) გინდოდა, ფქვილი გინდოდა, კარტოფილი გინდოდა, ეს იყიდებოდა ნახევარ ფასში. მაისურები, MC რომ აწერია, შარვლები, ლაბადები რომაა სამხედრო, რეზინის ფეხსაცმელი... ეს იყო დეფიციტი იმიტომ, რომ სოფელში სჭირდება ყველას ეს ფეხსაცმელი რეზინის. მოკლედ, ამაზე იყო ტაციაობა.

– ანუ, უბრალოდ, როცა დაგჭირდებოდათ ეს ფეხსაცმელები, მიაკითხავდით...

– კი, მივაკითხავდით. ჭიშკართან არა, იქ ადგილობრივიც იყო, რომელმაც იცოდა ეს ყველაფერი. გადავიდოდა და გამოიტანდნენ. მე, ეხლა, შიგნით არასოდეს არ შევსულვარ. იქ მიდიოდი, იმის წინ სახლი იყო და იქედან გამომიტანდნენ ყველაფერს, რაც მე მინდოდა. ან დავრეკავდი და ვეტყოდი –

დღეს მე ეს მინდა, ხვალ მიიღებენო, და ასე... სხვათაშორის კარგი „გავიადინები“ (საქონლის ხორცი) ჰქონდათ, „ტუშონკები“ ჰქონდათ ძალიან კარგი და ვყიდულობ-დით ჩვენ ძალიან იაფად, ნახევარ ფასში. თან მუშები რომ მყავდა ეზოში, რომ მოყავდა ჩემს მეუღლეს, მოსავალი რომ უნდა აიღო, კაი საჭმელი იყო კარტოფილ-თან. კარაქიც კარგი ჰქონდათ და ესე... რეზინის ფეხსაცმელებზე, ამ ჩექმებზე ტაციაობა იყო, ლაბადები და „ემეესის“ იმითი რომ იყვნენ ეს ჩვენი კაცები ჩაცმულები, ეს იყო საოცრება. სხვათაშორის, ერთი ახლაც მიდევს, მე ხომ არ ჩავიცვამ მაგას, ჩემი მეუღლე ძროხებთან რომ გადიოდა, იცმევდა. ორი ცალი მოვატანინე, ერთი ჩემ მაზლს ვაჩუქე, მეორე – იყოს მაინც-მეთქი, მაინც გამახსენდება, და დავტოვე სახლში, ეხლაც მიდევს ეგერ.

ახლა რა არის – არის მიწა, არის მოსავალი, მაგრამ არ არის ფული. იყო იდეა, იდეა კი არა, მაშინ, კომუნისტების დროს, სერიოზულად მუშაობდნენ ამაზე. ჩემი მეუღლეც იყო იქ, სერიოზულად პროექტიც იყო შედგენილი, მაგრამ მაშინდელმა რაიკომის მდივანმა დაბლოკა, თბილისშიც იყვნენ ამ საქმეზე წასული, მახსოვს. რუსეთთან ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა და როცა იყო ეს კარგი ურთიერთობა, იყო ბაზარი, იყო ყველანაირი თანხა, ამის გაკეთების სპონსორიც იყო, მარა მაშინ დაიბლოკა ეს საკითხი, ყველანაირად, რაიკომის მდივნის მიერ. რატომღაც არ უნდოდა, რომ ეს ყველაფერი ყოფილიყო აქ – წვენების გადამამუშავებელი მიკრო ქარხანა უნდა აშენებულიყო აქ და მერე, რომ აირია, ეს ყველაფერი დარჩა იდეის დონეზე. მაშინ, საბჭოთა დროს, იყო პუნქტები, აქაც იყო, რომელიც, ხარიხსის მიხედვით, მოსახლეობისგან იბარებდა ხილს, ციტრუსებს. ჩვენ ვაბარებდით და თანხას, ჩვეულებრივ როგორც ხდება, სალაროში იღებდა მოსახლეობა... მოკლედ ეს ჩვენი პრობლემა არ იყო, ამაზე მუშაობდნენ ისინი თვითონ, რომ გაეტანათ... ხო იყო საბჭოთა მეურნეობები... მაგალითად, ერთი პერიოდი ჩემი მეუღლე მუშაობდა ციტრუსზე და გაჰქონდათ რუსეთის ბაზრებში, სად არ მიჰქონდათ... ახარისხებდნენ, რაც ნაკლები ხარისხისა იყო, საკონსერვო ქარხანაში ზუგდიდში მიჰქონდათ და მთელი რიგები იყო და მთელი ორი დღე ვერ მოდიოდა სახლში, რომ ჩაებარებინა. არც ერთ პროდუქტზე არ იყო შეზღუდვა, გვქონდა ტყემალი, ვაშლი, მსხალი. ეს ყველაფერი როცა მოიშალა, როცა დაინგრა ეს ყველაფერი, დავრჩით ასე...

– თქვენ ამბობთ, რომ 93 წელი იყო ბოლო წელი, როდესაც...

– ეს იყო ბოლო წელი, როდესაც ციტრუსების მოსავალი გაიტანეს, ამის გატანა მოხდა. მერე, მაგის შემდეგ – არა. შეიძლება ცოტა ვინმეს გემით გააქვს, მაგრამ ეს არის ძალიან პატარა. ზოგჯერ შეიძლება შემოვიდეს ვიღაცა, ესეც იყო, ერთი ათი წლის უკან იყო ასეთი, რომ ვიღაცა მოვიდა... ეს მე ვიცი ძალიან კარგად იმიტომ, რომ ჩემი მეუღლე იყო ამ პროცესში ჩართული და რომ მოვიდოდნენ, ეტყოდნენ, დაგვიმზადე 40 ტონა მანდარინი ან ლიმონი და ესენი აგროვებდნენ, მოსახლეობას ჩამოუვლიდნენ, დაურიგებდნენ ყუთებს და მერე დიდი ტრაილერებით გაიტანდნენ. ერთი წლის უკან ვიღაცა კერძო პირმა ისევ გააკეთა ეს, თორე სახელმწიფო დონეზე – არაფერი. ფოთში დატვირთეს მაშინ. შემოვიდა ვიღაცა, ერთი ტონა ციტრუსი მინდაო, ლიმონი უნდოდა. ეს იყო კერძო მეწარმე. ასე შეიძლება წელიწადში ერთხელ, სეზონზე გაიტანოს ვიღაცამ

მოსავლის 5%. ვიღაცა შემოვიდეს და კერძო პირმა გაიტანოს. 95% რჩება. ამ 95%-დან ერთი 50% მიაქვთ ქალებს.

ეს არის მართლაც არნახული წვალება და ტანჯვა ადამიანის, რასაც ქვია ქალის ტანჯვა. მაგას ჯობია გააკეთო ყველაფერი სახლში, მოწველო ერთი 15 ძროხა, მოთოხნო... რა ხდება ეხლა, მოვა ვიღაცა ქალი, დაუშვათ, არა აქვს პურის ფული, რა ქნას, მოვა და მეტყვის რომ აი, მომეცი მე შენი მანდარინი 40 თეთრად, სიტყვაზე ვამბობ, მანდარინი იმიტომ, რომ ეს დეზერტირების ბაზარში, ვაგზალზე თბილისში უნდა ჩავაბარო 80 თეთრად. მე ვაძლევ ამას, არ არის ფასი მეტიო, გეტყვის, ამ ქალს უნდა დარჩეს 20 თეთრი, 40 თეთრი კიდე მე უნდა მომიტანოს; 20 თეთრი უნდა ტრანსპორტირებას, კოლოზე 20 თეთრი. ამას ტომრები უნდა, მერე წახვალ, წამოხვალ და გზაში ფულს ართმევს, ხო, მძღოლი, ისე ხო არავინ წაგიყვანს და ტრანსპორტირება 20 თეთრი ჯდება როგორც წესი, ერთი კილოგრამი ციტრუსის ჩატანა თბილისის ვაგზლამდე. რჩება ამას 20 თეთრი. ამ ქალს შეუძლია... ეს არის განსაზღვრული, ერთ ქალს შეუძლია, ორიც აკეთებს ამას ზოგჯერ, მაგრამ თუ უნდა, რომ მეტი დარჩეს მოგება, ერთი მიდის. ეხლა რა ხდება, ესენი მოდიან ამ სუსხში, წვიმაში, დაუშვათ მიდის ზეგ, ხო უნდა გაამზადოს, 300-350 კილო მიაქვს თითოს, თუ ორნი არიან 700-ს წაიღებენ, 2 ჩაეწერება იმ მარშუტკაზე, თუ ერთს მიაქვს 700 კილო, მძღოლი არ წაუღებს. იმიტომ არ წაუღებს, რომ იმას ხო უნდა კიდე მგზავრობის ფული 15 ლარი იქეთ, 15 ლარი – აქეთ, 30 ლარით მერე ზარალშია მძღოლი. ეს არის რაღაც საშინელება. აი, მე, მაგალითად, რომ ვუყურებ ამას, ხო, სულ მინდა რომ ვიტირო, ადამიანურად რომ ვუყურებ ამათ.

ამ წვიმაში როგორ უნდა მოკრიფო, არ გადამრიო, რას შვები-მეთქი და რა ვქნა, სხვა გზა არ მაქვსო, ხვალ მიდის მარშუტკით. რას დაეძებ, ჩვენ მოვკრიფავთო. შევლენ ამ წვიმაში, გაწუწულები, მოკრიფავენ ამას, ჩქარა კრეფენ, 2 დღეში ამზადებენ ამ 350 კილოგრამს, ჩაყრიან ამას ტომრებში, შეკერავენ, სპეციალურად აქვთ ძაფები, აწონიან. კაი, დავუშვათ, მე მივატანინებ, ან ვეუბნები, რომ იყოს-მეთქი აქ და შემოვიყვანოთ მარშუტკა, ცოდვები ხართ, ამას რა აგაწევინებს და მოგეხმარები, ან ვინმე მოგვეხმარება და ჩავდოთ. მოვა ეს მარშუტკა, წაიღებს ამას, ეს უყურებს ამას, ეს მძღოლი, ეს კაცი დაიღალა, აღარ შემიძლია ამდენი ტომრების თრევაო. ამ ქალებმა, რომ დაიქირაონ ვიღაცა (ერთხელ მოგეხმარება, მეორედ – აღარ, თუ ფული ან სიგარეტი არ მიეცი) დაუდებენ ამას, დაიდებენ ამას ზევით რომ აქვს მარშუტკას, იმაზეც, ეს არის ტანჯვა. როგორც არის ამას დადებენ, დაიტვირთება ეს მარშუტკა და მიაქვთ ვაგზალზე. მერე ფეხები უნდა გედოს მანდარინზე. ესე ზიხარ ამ სიცივეში. რომ გაათბოს მძღოლმა სალონი, მანდარინი გაფუჭდება, თუ ცოტა მოყინულია, ხო საერთოდ.

– გამოცვლას ახერხებენ ეს ქალები?

– ესენი გაიქცევიან სახლში და ასე დაგვაჯულები მიდიან, ზოგჯერ ვერც ახერხებენ... ეს არის საშინელება. დაუშვათ წახვედი 8 საათზე ხო, – 9, 10, 11, 12, 1, 2, 3, სამ საათზე ჩაიღწევ თბილისში, 7-8 საათი უნდა. ამ მძღოლს ხან ეძინება, როგორია ეხლა, არ ისვენებს ის კაცი, მიდიან, მოდიან, მიდიან, მოდიან სეზონზე, არ ისვენებენ ფაქტიურად. ჩადიხარ, თუ გაგიმართლა და არ წვიმს, ეს ხო ბედნიერებაა. რაღაცეები მიაქვთ თან, ზოგს სასწორი, ზოგს პატარა „მეშოკი“ რომ შეიძლება... ამას იძახიან, „ოპტავოი“ რომ არ გამოვიდესო – შეიძლება

ყველა ერთად არ წაიღონ, ხომ უნდა გადაუწონოს... და თუ წვიმს... მე შევესწარი ამას, მე რო წავედი, წვიმა იყო თან.

– რა თვეა?

– ეს არის დეკემბრის შუა დღეები, დედა... ეს იყო... რაც მიწვალია ჩემს ცხოვრებაში, ყველაზე საშინელი მომენტი, აი, საშინელი მომენტი. ჯერ ხო გავიყინე, „დუბლიონკა“ მეცვა, თბილი რაღაცა, ესე შემოფხატული და მე და ეს ქალი, ციალა... ეს არის მართლა ბრძოლა გადარჩენისათვის. აქ არ არსებობს არავითარი ის, რომ ვიღაცამ პატივი გცეს, მოგეპყრას, ზრდილობის ფორმები, უკაცრავად და გადადიან, რა, ერთმანეთზე. მე რადგან პირველად მივდიოდი... თურმე მძღოლის უკან ვინც დაჯდებოდა სკამზე, ის არი საჯარიმო, იმიტომ, რომ ის მძღოლი ფანჯარას რომ გააღებს, გხვდება პირდაპირ ჰაერი ცხვირ-პირში და მე და ეს ციალა, ეს ქალი არის პედაგოგი, გერმანულის და სულ მაგას ვიხსენებთ, მე და ციალა ბრიყვებივით ვზივართ აქ. ზოგი მოკალათდნენ წინ, ზოგი ისე, დედა.. ნუ საშინელება და აქ, მოკლედ, დააწყვეს ეს... თავზე არ მადევს ეს ციტრუსი, თორემ ყველგან არის, ხუთი ქალის ამდენი ციტრუსი, ნუ რამდენია... ყვირიან, წივიან. ამ კაცმა მე პატივი მცა. იცის, რომ მე არა ვარ ამის გამყიდველი და ცხოვრებაში ერთხელ მოვინდომე ასეთი რაღაცა და ეს იმიტომ მოვინდომე რომ მე მოვიგებდი, დავუშვათ, 150 ლარს. მე 150 ლარს მოვიგებდი და ამით მე ვითომ ცოტა რაღაცას ჩემს ბიუჯეტს შევმატებდი, ოჯახისთვის საახალწლოდ 150 ლარს გამოვიყენებდი. მეთქი, რა იქნება ეხლა, წავალ, წამოვალ, რა მოხდა და ნუ, მოკლედ, წავედი...

ესე ზიხარ, მოკუნტული ფეხებით, ვერ შლი, ვერაფერი, ეს ქარი გიბერავს. მძღოლს დაეძინება, ერთი აფრთხილებს. წინ ორი ქალი რომ ზის, ერთი იძინებს, მეორე არ იძინებს, რომ მძღოლს რომ თვალები მოეხუჭოს, ჩაარტყას. ეს არი საშინელება... ძაან გავჭიმე და გაგვიანებთ ეხლა თქვენ... ეს არი საშინელება მართლა, ჩავედით როგორც იქნა, დედა... აქ არი რიგი... მთელი საქართველოდან ასე ჩვენნაირი ხალხი, წვიმს კოკისპირულად და მე ვამბობ, სად უნდა დავდგეთ-მეთქი და რაო? სად უნდა დადგეო? დადგები აგერო. დიდი ქოლგა მიმქონდა, დიდი ქოლგა და ვდგევართ ესე მე და ციალა, ბნელა, ველოდებით კლიენტს და მაშინ იყო, ცუდად რომ გავხდი. მითხრეს, აქ შენ ყველა გიცნობს, პირველად რომ ხარო, ეს ციალა მეორედ იყო, და აი პირველად რომ ხარო, ყველა გიცნობსო შენო და ამიტომ ხმა არ ამოიღოო. შენო, ხო ეს შენი მოგაქო, მარა ჩვენი ხო ჩვენი არ არიო და ზარალში ვიქნებითო, შენ კი გაყიდი იაფადო, ფასი არ დაადგოო. მე უთხარი, რომელი ვაჭარი მე ვარ, ოღონდ გამაყიდინეთ და – რას ქვია არ გაგაყიდინებთო! ვის ვახსოვდი, მართალია, ყველას თავისი პრობლემა აქვს იქ. რა ხდება: მოდიან ეს ქალები იქ, მოხუცები, ჯოხიანი, ზოგს 10 კილო მიაქვს, ზოგს 20, მოვიდა ვიღაცა, მაგრამ არ მიმაცემინეს ამათმა, რომ ეს არისო იაფიო და მე ვუთხარი, მომაშორებინეთ, გეხვეწებით, აღარ შემიძლია-მეთქი, ვერ დავდგები აქ-თქო, და – შენ გაგიჟდიო? კაი. მაშინ იყო, რომ, მოკლედ, მთელ ბაზარში ტუალეტს რომ ვეძებდი და რომ ვერსად ვნახე. მოკლედ აღარ შემეძლო.

ვეკითხები ახლა ამ ტუალეტს, თუ ვინმე ხანშიშესული ქალი დავინახე, იმას, ვეხვეწები... მანამდე მითხრეს, ვაგზლის ტუალეტში რემონტს აკეთებენ და არ მუშაობსო. თურმე მეორე მხრიდან დაუტოვებიათ შესასვლელი, ეს მითხრა ქალმა, ზემო მუქეთელი ქალი იყო. ძალიან ვთხოვე და გამომყვა, ხუთი წელია,

რაც სოფლიდან წამოვედიო, ღამე ჭადებს ვაცხობ და დღისით ჭადს და ყველს დავატარებ აქო, ხუთი წელიაო. მივედით და საშინელი სუნია, საშინელი... სისველე, კასრით წყალი იდგა... რა დავინახე! სამი ქალი იწვა ზედ ამ ტუალეტების კარებების წინ, პირდაპირ ცემენტზე და ეძინათ. შემეშინდა. რა ვქნა-მეთქი ეხლა, როგორ შევიდე-თქო, და გადაუარეო, ეს მუქეთელი ქალი მეუბნება... ვთხოვე, არ წახვიდე, არ დამტოვო-მეთქი; პატივი მცა, დამელოდა. ფულის ამღებიც იყო იქ, ივჯდა, ამთქნარებდა.

დავბრუნდი ისევ ამ ტომრებთან. სასტუმრო „კოლხეთის“ წინ ვიდექით. იქ, ამ სასტუმროს პირველ სართულზე ეწერა „საპილმენე“. ისე მიდი-მოდიოდნენ, რომ ვიკითხე, ეს რანაირი საპილმენეა-მეთქი, და თურმე საროსკიპოა, ყველამ იცის, საროსკიპო რამააო...

წვიმაში გამვლელი, გამომვლელი მიცნობდა, რომ არ ვარ გადამყიდველი. ვეხვეწებოდი ყველას, ოღონდ მომაშორეთ, წაიღეთ, არ მინდა არაფერი. ესენი დგანან და ბოლოს რაღაცნაირად, 20 თეთრი დამრჩა რა, 20 თეთრი და რომ ჩამოვედი... ესე იგი 20 თეთრად გავყიდე, აღმოჩნდა, რომ 20 თეთრად გავყიდე ეს ფორთოხალი. კაი მოსავალი იყო იმ წელს, 500 კილო მქონდა და 100 ლარი, არც კი, ისიც არ დამრჩა. სველი, ტალახიანი, გავცივდი და ესენი დგანან ჩამოფხატული და გიორგი მოვიდა უნივერსიტეტიდან და – დედა, რას გავხარო, შეიცხადა. მე ვუთხარი, ჩემ ძმიშვილებს არ უთხრა-თქო, რომ ჩამოსული ვარ. იმათმა არ იცოდნენ, მომკლავდნენ, გაცივდები, რა გიქნიაო და მოკლედ აღმოჩნდა, რომ ცუდი ბაზარი შეგვხვდა ჩვენ. დედაა...

ამ წვიმაში, წურწურით რომ წყალი ჩამოსდით ამათ, წურწურით და კილო-კილოთი სანამ არ გაყიდეს, ნაყიდი აქვთ, პატრონს ფული ხო უნდა მიუტანონ... ეს ხო გაყიდეს როგორც იქნა, რაღაცა 2 კაპიკი... და ითვლიან, ყველას კალკულატორი უდევს ჯიბეში, რა დარჩათ ეხლა, ზოგს დარჩა 10 ლარი, ზოგს 15, ზოგს 16, მოგება, მთლიანად. ერთს 16 ლარი დარჩა მოგება, მეტი არა და რა ვქნაო, იმახის, სახლში ბავშვებთან როგორ მივიდე ცარიელიო, გავარდა, არაჟანი იყიდა, რაღაცეები იყიდა ამ 16 ლარით, ეხლა მძღოლისთვის გადადო, პატრონისთვის, ვისგანაც იყიდა, გადადო და დარჩა 16 ლარი. დედა.. მშივრები, წარმოგიდგენიათ? და რომ გამოვდვართ, თონის პურები ხო იყიდება ცხელი და ყველი, მარხვა იყო, დედა, გეფიცებით რა, ეს იყო მართლა საშინელება. ბნელა ხო ეხლა სალონში და აანთო მძღოლმა შუქი და ხაჭაპური რომ იყიდო ეხლა, ძვირია, 5 ლარი უნდა ამ ერთ ხაჭაპურს და მოდიო, ეს ვიყიდოთო, შეაგროვეს ფული. მეც მივეცი და ამოაქვთ და ადევს ერთი ნაჭერი ყველი და ერთი პატარა თონის პურია. მე ყველს არ ვჭამ-მეთქი და ვისაც გინდათ, აიღეთ-თქო და გაქრა ეს ჩემი ყველი. დედა, არ დახოცეს ერთმანეთი ამაზე... ვინ აიღო მაგისი ყველიო, ვიღაცამ შეჭამა, ხო... როგორ ჩამწყდა გული... საშინელება ხდება მანდ, რა. ეს არის არნახული ტანჯვა, არნახული წამება, რაც ადამიანმა შეიძლება გაიაროს.

ხო ჩამოვიდნენ ეხლა, მივიდნენ სახლში, ნახა ზარალი, ზოგს შეიძლება დააკლდეს კიდე ფული, რო პატრონს მისცეს, ეს ხო უნდა ამოქაჩოს. ეს არ ისვენებს, მეორე დღეს ისევ წასასვლელია. სახლში მივა, გამოიცვლის, მერე მივა ვიღაცასთან, მოკავებული აქვს წინასწარ – რომ შენ არ დააკრეფინო სხვას, ჩემია, სხვა არ მოვა მაშინ შენთან, თვითონ აქვთ განაწილებული და ისევ უნდა მოკრიფოს. წვიმაა, თოვლია, მზეა, არა აქვს მნიშვნელობა. ისევ უნდა მოკრიფოს და აი ასეთი წამებაა ეს. ეს იყო 2009 წელი რომ შემოდიოდა, ის წელი. 2010 რომ შემოდიოდა, მაშინ მე არ ვყოფილვარ,

მაგრამ ასე ხდება ეს ყოველდღიურად. ეხლა იწყება, თითქმის დაწყებულია, მწვანეა ცოტა, შეიცვლის ფერს და თვის ბოლოსთვის დაიწყება ეს ტანჯვა.

ეხლა რომ იყოს ერთი გადამამუშავებელი, მიკრო-ქარხანა, ხომ არავინ არ წაიღებს, ხომ დასაქმდება ხალხი, ხო იქნება რაღაცა, წვენს გამოუშვებს, ნატურალური წვენიც იქნება, საღი პროდუქტიც იქნება, ხალხიც დასაქმდება. ის ქალები ხომ აღარ დაიტანჯებიან, არ იწვალებენ ამდენს, არა?

ანონიმი

2010 წელს საბერძნეთში ჩაიწერა
ცისანა გოდერძიშვილმა

აი, ახლა, თებერვალში გამიხდება ხუთი წელი, რაც საბერძნეთში ვარ. ეს არც ძაან ბევრია, არც ძაან ცოტა. თხუთმეტი და ოცი წელია ბევრი. საბერძნეთში კი არა, ბევრს არც საქართველოში ვმოგზაურობდი. რომ მკითხოთ, თბილისი უფრო არ ვიცი, ვიდრე სალონიკი. ჩამოვედი და ვარ მას შემდეგ აქ. საბუთები არა მაქვს, ეს დიდი პრობლემაა, საბუთები რომ მქონდეს და შემეძლოს წასვლა საქართველოში... 5 წელიწადში ერთხელ მაინც რომ მენახა შვილები, შვილიშვილები, თუნდაც ჩემი სახლი, რა ვიცი, ყველაფერი!.. მეუღლე რომ დამეღუპა, წელიწადი ეხლა გახდება დეკემბერში და წარმოიდგინეთ, რა გადავიტანე, რომ მაშინაც ვერ წავედი... ვერ მომინელებია, თითქოს რაღაც მტანჯავს, ასე მგონია, ჩემი ბრალია, მე რა დავაშავე მაგრამ... ოჯახიდან წამოვედი ოჯახის გულისთვის. სახეზე რომ მიყურებთ, ცოტა თავს ვიწესრიგებ, ეგეც იმიტომ, რომ მთლად არ მინდა, დავეცე. ჩემი ბუნებაა ასეთი. აბა, დაინახეთ ეხლა ჩემი ხელები! აქეთ კიდე ეს ხელი მაქვს დამწვარი, მაგრამ რა ვქნა, ისევ შვილებისთვის. მკვდარ მეუღლესაც იმდენი სჭირდება, რამდენიც, ალბათ, ცოცხალ მეუღლეს არ დასჭირდება: იქ გასვენება, იქ სასაფლაო, იქ საკურთხიო, იქ ორმოციო, იქ დაბადების დღეო, ესე იგი, ჩემი ყველა კაპიკი, აღებული არ მაქვს ხელფასი, რომ დახარჯული მაქვს წინასწარ. ადრე ბანკით ვაგზავნიდი ხოლმე ფულს და უფრო იაფი მიჯდებოდა, მაგრამ ახლა პასპორტს ვადა გაუვიდა, თანაც როცა ძალიან მჭირდება, დავურეკავ „გრაფიოს", გამიგზავნე ფული და მოგიტან აუცილებლად-მეთქი. ყოველ კვირას უნდა მიიტანო ფული უსიკვდილოდ. ხანდახან სხვისი პასპორტითაც ვაგზავნი ბანკიდან, ველოდები, ვინმე თუ შემოვა პასპორტიანი და მიგზავნიან ხოლმე.

სამი შვილი მყავს და ოთხი შვილიშვილი. ორი ისე დაიბადა, არ მინახავს. გოგო გამითხოვდა, ერთი გაჭირვება მაშინ გადავიტანე. ქუჩაში რომ მოვდიოდი და ვკიოდი და ვწიოდი, ხალხი სულ მე მიყურებდა. უკვე აღარაფერს ვერიდებოდი, აღარც მეშინოდა, იმდენად ძნელი იყო ამ ამბის გაგება. თორმეტი წლის ბავშვი დავტოვე და იქ რომ იმისი იმედები გაქვს და გათხოვდა! წამოსვლამდე ერთი ღამე არ სძინებია ცალკე, სულ ჩემთან ჩახუტებულს ეძინა. ჯერ თითქოს უხაროდა ჩემი წამოსვლა – დედა ამას გამომიგზავნის და იმასო, მაგრამ წამოსვლის წინა ღამეს წერილი ვნახე შემთხვევით, ეწერა: ნეტა რა უფრო მინდა, მდიდარი ვიყო და დედა არ მყავდეს გვერდით, თუ ღარიბი ვიყო და დედა აქ იყოსო? წარმოიდგინე, ამას რო წაიკითხავ და დატოვებ! მერე ვენატრებოდი, წერილებს მწერდა. ეს ბავშვი უპატრონოსავით დამრჩა. ძმები ცოლიანები ყავდა და ყველა თავის ცოლ-შვილზე ზრუნავდა. ამ ბავშვმა ვერავინ ვერ ნახა ისეთი, რომ მიკედლებოდა. მერე ჩემ ძმასთან გადავიდა, მაგრამ ჩემი ძმაც მკაცრია, რაღაცნაირი. იქიდანაც წამოვიდა. მაგის მერე ჩემ დას ვთხოვე და იმასთან ცხოვრობდა კარგად, მაგრამ ახლა მაინც იტყვის ხოლმე, პატრონი მჭირდებოდა და გავთხოვდიო. ორი-სამი დღის გაცნობილს წაყვა 16 წლის ბავშვი, სკოლის

მოსწავლე. გავიდა მერე ეს წლები... ამ მეუღლის სიკვდილმა ხომ მთლად გამანადგურა, რასაც ქვია. ახლა კიდე გამოვედი მდგომარეობიდან, იმიტომ რომ ჩემი მეგობრები ვინც არიან, მეუბნებიან: დავუშვათ, შენ მომკვდარიყავი და შენი ქმარი დარჩენილიყო, ცხოვრებას ხომ განაგრძობდა, ხომ არ მოიკლავდა თავსა და ხო არ დაგლახაკავდებოდაო. მეც ამ იმედით ვაგრძელებ ცხოვრებას, გულის სიღრმეში კი სულ კარგი მახსენდება, სულ წარმოვიდგენ იმ ჩემ ქმარს, იმის ხელებს, მზრუნველობას.

მეუღლე რომ დამეღუპა, თუკი ჩემი შვილები მეტყოდნენ, დედა, წამოდიო, მივდიოდი, მაგრამ შვილებმა მითხრეს, შენი ჩამოსვლით მამას აღარაფერი ეშველებაო, ისევ მანდ რომ ხარ, ჩვენი ოჯახისთვის ესე უფრო კარგიაო. მე არ წავედი, მაგრამ ჩემი შვილის ცოლი წავიდა. წარმოიდგინე ის დღეები რა დღეში ვიყავი! შვილებს შევუთვალე, რომ კასეტაზე ყველაფერი დაწვრილებით გადაიღეთ, რა აცვია, რა ახურია, რას აკეთებთ, მაგრამ გასვენება სრულყოფილად ვერ გამომიგზავნეს. ვერ გადაიღეს, სად გვეცალაო. მერე დაბადების დღე გადაიღეს და ის გამომიგზავნეს. ჩავიკეტებოდი ცოტა ხანს, მაგდენი საშუალებაც არა მქონდა, ცალკე ოთახიც კი არა მქონდა, რომ მეყურებინა, ისეთი ძნელი იყო... როცა კი მოვიხელთებდი სიმარტოვეს გასვენების მერე, ვუყურებდი და ვღრიალებდი. რაც მეტს ვღრიალებდი, მით მეტ შვებას ვპოულობდი.

წვალებით არ მომკვდარა, უცებ მოკვდა. ძალიან უყვარდა სმა. კიდეც მუშაობდა და კიდეც სვამდა, ღვიძლზე ქონდა რაღაცა პრობლემა, მერე ვუმკურნალეთ და გამოკეთდა. ერთხელ, მოვდივარ სამსახურიდან, ღამის პირველი საათია, შემოვდივარ სახლში, თან აესეთი ბუნება მაქვს, რომ რამე პრობლემა რომ მქონდეს, სადაც შევდივარ, იქ ალხინება მიყვარს. ჩემი პრობლემა ჩემია, შენ რა დააშავე, რომ არ გაგიცინო და ცხვირჩამოშვებული შეგხვდე. შევხედე ჩემ რძალს, ბილეთი ქონდა აღებული და მიდიოდა, ის მაინც მიდიოდა საქართველოში. ბილეთი კვირა საღამოს აიღო, ორშაბათ დილას კიდე გადიოდა, „სუმკები“ ქონდა ჩალაგებული. საქართველოში რომ მიდიოდა, თან მიხაროდა, თავის ქმარ-შვილთან მიდის-მეთქი და თან გული მწყდებოდა რაღაცნაირად. შემოვედი სახლში, თურმე ჩემმა რძალმა იცის, დაურეკავს ჩემ შვილს, დედაჩემი სად არის, მუშაობსო? მამაჩემი აღარ არისო, მე ვერ ვეტყვი და შენ უთხარიო. ამ ჩემ რძალს უთქვია, მეც ვერ ვეტყვიო. შემოვედი ამ დროს, როცა რეკავს ჩემი შვილი. შემოვაღე კარები და გათიშა ჩემმა რძალმა მობილური. შევედი გაცინებული. ჩემი რძლის დედა ისე არის მოწყენილი, რომ, რაღაცნაირად, არ მომეწონა. მანამდე რაღაც ცუდი გრძნობა მქონდა, რაღაც დიდს ველოდი. ჩემი რძალი და მე ერთად ვმუშაობთ. მაგან ადრე დაამთავრა და წამოვიდა. ექვსზე თუ რვა საათზე. მე დავრჩი სამსახურში. ჩემი რძლის წამოსვლა და თითქოს, რაღაც განვიცადე. ამივარდა ტირილი. ჩემი მეგობარი მეკითხება: რა იყო, რა დაგემართა, შენი რძალი რომ მიდის, გული გწყდებაო? არაფერი არ მკითხო, სასწაულად მინდა, რომ ვიტირო-მეთქი. ამ მოთქმით გავედი გარეთ, გული რაღაცნაირად ჩამწყდა, ეს თვალები დამიწითლდა. ვიტირე და მომეშვა. მოვედი სახლში, ვითომ გახარებული. ერთი მითხრა ჩემმა რძალმა, კოტემ დარეკა, დედაჩემმა დამირეკოს, საქმე მაქვსო, მამაჩემია ცოტა ცუდადო. – რა ცუდად, – მე ვუთხარი – გუშინ მელაპარაკა ჩემი ქმარი, კარგადა ვარ, გამოვკეთდი და ვმუშაობო. ქე მაინც მცოდნოდა, ეხლა

ველარ ჩავალ, წვიმს, ღამის პირველი საათია-მეთქი. აი, აგერ არის ტელეფონი და დაურეკეო. დავურეკე და ვეუბნები, – კოტე, რა იყო, როგორ არის-მეთქი. არა უშავსო და გამითიშა. არ მომეწონა, გული ცუდს მიგრძნობდა, მაგრამ სიკვდილს მაინც არ ვფიქრობდი. ვთქვი, – ალბათ, რაღაც ოპერაციას იკეთებს. ისევ დავურეკე და აიღო მეორე ბიჭმა, მამაშენი როგორ არის-თქო? მეუბნება: მამა აღარ არიო. – რაიო?! აღარ არიო? გუშინ კარგად იყო–მეთქი! თან ვყვირივარ ამ ღამეს. გამიცივდა მთელი სხეული, ტირილი ამივარდა, დანაშაული მივეც ჩემ თავს: „მე რომ იქ ვყოფილიყავი, არაფერი არ მოხდებოდა. ალბათ, მე ვტყუივარ, ჩემი ბრალია“. ღამე ხო თეთრად გავათენე, აღარ მივდივარ სამსახურში მეორე დღეს დასიებული თვალებით. დავურეკე ჩემ მეგობარ გოგოს და კარგი, ვეტყვი უფროსს, რომ ესეთი რამე დაგემართა და არ მოხვალ სამსახურშიო. მაგრამ გასაღები მე მაქვს სამსახურის. მე უნდა გავაღო, თორემ ველარ მივა ვერავინ. წარმოიდგინე, ესე თვალებდასიებული წავედი მაინც. კი, ყველამ ძალიან განიცადა. გულთან მიიტანეს ჩემმა თანამშრომლებმა, თითონ ბერძნებმაც. მაინც ვიმუშავე, რა ვქნა, ცხოვრება ესეთია.

ჩემი ქმრის ნათესავია, მამიდაშვილი, ეპისკოპოსი თბილისში და იმან გვითხრა, ქალები სახლიდან რომ გადიან, აი ისე, როგორც მე წამოვედი, იმ ოჯახის საქმე უკან მიდის, კაცები ვერ უძლებენო. ქალი კიდევ უძლებს, ქმარი რომ წავიდეს და კაცები კი – ვერაო. ასე მთავრდება, თურმე, ხშირ შემთხვევაში. ჩემი მულიშვილი რომ ჩამოვიდა, იმან მითხრა, რომ წამოვედი, თურმე როგორ იტანჯებოდა ჩემი ქმარი. ჯავრობდა ყველაფერზე, მერე სმასაც მიყო ხელი, მანამდეც სვამდა, მაგრამ ისე არა, როგორც ჩემი წამოსვლის შემდეგ. აღარ აინტერესებდა, თურმე, არაფერი. შეიძლება ამიტომაც, როცა გავიგე, რომ ყავდა ვიღაც ჩემ ქმარს, არ გადავრეულვარ. თითონ მითხრა. – არაუშავს, – მე ვუთხარი, გყავდეს-მეთქი. ფულსაც ვუგზავნიდი და იმ ქალსაც ველაპარაკებოდი, ოღონდ შენ ჩემ ქმარს მიხედე, მოუარე და პატივს გცემ-მეთქი და ვცემდი ხოლმე კიდეც. ვიცოდი, რომ ჩემი ქმარი ქალის გარეშე არ გაჩერდებოდა, ათთან წასვლას კი, ის ერთი ყოლოდა, მერჩივნა, ავად რომ იყო, მიხედავდა მაინც. ის ქალი უვლიდა და ტელეფონით ვეტყოდი ხოლმე, ძაან მადლობელი ვარ, აბა შენ იცი-მეთქი. იმ ქალს რომ უყვარდა, ყველასგან ვგებულობდი, ჩემი შვილისგანაც, გოგოსგან, – მამიკოს ეფეთება, მამიკოს ეფეთებაო. თუკი ეფეთება, რა ვუყო-მეთქი. რომ ჩავიდოდი, ვენდომებოდი, ჩემი ქმარი ჩემი ქმარი იქნებოდა, თუ არ ვენდომებოდი კიდე, რა მექნა, ალბათ, მაგასაც შევეგუებოდი. რომ მოკვდა, იმ ქალის სახლში მოკვდა.

არადა, ეს ქალი ჩემ სახლში ვერ მივიდოდა სატირლად, ხო ვერ მივიდოდა? ისიც მეცოდებოდა, წარმოიდგინე, კაცი უყვარდა, გვერდზე მოუკვდა და ვერ იტირებდა. მერე დავურეკე ჩემ შვილებს და ვუთხარი, ასე, ასეა და მიეცით უფლება, მოვიდეს და იტიროს-მეთქი. რახან მე უფლება მივეცი, ისინიც უარზე ველარ წავიდნენ. ამ ქალსაც დავურეკე, ვუთხარი, მე გაძლევ უფლებას, მიდი და იტირე ჩემი ქმარი, ჩემს მაგივრადაც იტირე-მეთქი. 50 ევრო გავუგზავნე, ჩემი ქმრის სახელზე შავი კაბა და ყვავილებიც იყიდე-მეთქი. მეორე დღეს, მართლაც, წასულა ბაზარში და ყვავილებიც უყიდია. ჩემი გოგო ურეკავს თურმე, ჩქარა მოდი, დოდო დეიდა, სად ხარ აქამდეო. ყვავილებს ვიყიდი და ტაქსით მოვალო, – უთქვამს. არ გინდა ყვავილები, არა უშავს, ჩქარა მოდიო. ჩემი გოგო იმიტომ ჩქარობდა, თურმე მამაჩემი და ჩემი ძმა უნდა მისულიყვნენ და იმათ

მაინც არ მოეწონებოდათ თავისი შვილის ქმართან ვიღაც ქალი რომ ენახათ. ასე ჩქარა-ჩქარა მიიყვანეს, რომ მოესწრო გამოტირება. ჩემი გოგო მიყვებოდა, იტირა და რა იტირა, აგვატირა სუყველაო. ასე... მივეცი უფლება. ჩემ ქმარს იქამდე არავინ ყოლია, მე ვუყვარდი ძალიან და ცუდად როცა მექცეოდა, ვეტყოდი ხოლმე, გაჩერდი, ნუ მამცირებ, თორემ მოგანატრებ თავს-მეთქი. რას იზამო, რასო, – იცინოდა. იმას როგორ წარმოიდგენდა, მე რომ ოჯახს გადავაბიჯებდი. ისეთი ქალი ვიყავი, ორი სიტყვა ერთად არ მქონდა ნათქვამი არც ოჯახში და არც გარეთ.

ბოლოს ეკონომიურად გაგვიჭირდა ძალიან, ისე, რომ ხანდახან ასანთიც არ გვქონდა, რომ სანთელი ამენთო, ყველაფერი ჩემი ქმრის კისერზე იყო და გაღიზიანებული დადიოდა სულ. ხოდა, რძალს ვერაფერს ეტყოდა, დედას ვერაფერს ეტყოდა და სულ მე მეძახდა ყველაფერს. მეზობელთან რომ ვყოფილიყავი გადასული, იქ მომაკითხავდა, წამიგდებდა წინ და – შენი დედა... აქ რა გინდაო. ხოდა, უკვე იდეები რომ მომდიოდა წამოსვლის, სულ ვემუქრებოდი, ასე ნუ მომექცევი, თორემ ვეღარ მნახავ-მეთქი და ეე! მაგრამ მერე სულ მეცოდებოდა, სულ ვჯავრობდი და ამიტომ საყვარლის ყოლაზეც არ ვიყავი წინააღმდეგი. ხალხი გიჟს მეძახდა, მაგრამ არ ვიყავი გიჟი, მინდოდა, ჩემი ქმარი ცოცხალი ყოფილიყო. სულ იმას ვფიქრობდი, რომ ჩავიდოდი, სულ სასიყვარულო რამეებს ვეტყოდი, გვერდიდან არ მოვშორდები-მეთქი. ჩვენც გვქონდა პრობლემები, გაუგებრობები, მაგრამ იმას სულ აღარ მივაქცევდი ყურადღებას. მტანჯავდა ესეთი რაღაცეები. ეხლა შვილებიც მყავს, შვილიშვილებიც, მაგრამ უპატრონოდ ვთვლი თავს.

გასვენების დღე ისეთი დღე იყო, სამსახურში ვერ მცვლიდა ვერავინ, ჩემი რძალიც აქ არ იყო, რა გინდა, რომ ქნა. იძულებული ხარ, წახვიდე, მაგრამ დილაადრიან არ წავედი, ასი ევროს ბარათები ვიყიდე და დავალაგე ასე. ვზივარ მარტო ოთახში, კიდევ კარგი, ერთი ჩემი მეზობელი ბიჭია, მეორე ოთახში ის ბავშვი იყო. ვზივარ ოთახში და ვტირივარ. ვრეკავ ყოველ წუთში, ეხლა რა ხდება, ეხლა რა ხდება? თან რა მოვითხოვე! ვუთხარი, ყურმილი მიიტანე, ჩართე მიკროფონი, ჩემ ქმარს უნდა გავაგონო ჩემი ხმა-მეთქი და ვტირივარ, ყველას ესმოდა ჩემი ტირილი: „მინდოდა, როგორიც დაგტოვე, ისეთი დამხვედროდი... ჩვენი შვილები ხო ერთად დავზარდეთ... რო დავბერდებოდით, ჩვენ ჩვენი თავის პატრონები ვიქნებოდით...“ და ესეთი რაღაცეები. მერე ჩემ რძალს ვეკითხები, – გეიგონა, გოგო, რაც ვუთხარი-მეთქი? – რა უნდა გეიგონოს ქალო, მკვდარია, რა უნდა გეიგონოსო. ეხლა იცინის ხოლმე ამაზე. მწუხარებისგან ისე ვიყავი, არ ვიცოდი, რას ვამბობდი, მეგონა გავაგონებ და გულზე მომეშვება-მეთქი.

ცოტა ხანში მომიზარუნა ბერძნის ქალმა, დაინტერესდა, რა ხდება ჩემ მეზობელ ქართველებშიო. შემომხედა და თვალები რომ არ მიჩანდა, რა გიჭირს ამისთანაო? მე ვუთხარი, – ქმარი დამეღუპა და დღეს არის გასვენება-მეთქი. დამაწყნარა, რა ვქნათო, ყველა ზევით წავალთ, ყველა ღმერთის შვილები ვართ, ესეთია ცხოვრებაო. ის ბიჭი, რომელიც ჩვენთან იყო, მიყურებდა როგორ ვტიროდი, ვეღარ გაუძლო ჩემ მწუხარებას და წავიდა. მერე რომ ჩავედი, სამსახურში წასასვლელად, ძირს დამხვდა.

სამსახურშიც მოდიოდნენ ბერძნები, მისამძიმრებდნენ ჩვეულებრივი წესით, მირეკავდნენ ყოველ წუთში, ჩემს მეგობარს უთხრეს, მიეცი ტელეფონი და

რამდენიც უნდა, ილაპარაკოსო, იმდენად ვეცოდებოდი, განიცდიდნენ. ჩემი ცხოვრება უკან მიდიოდა, აღარც ვისვამდი სახეზე, ისეთი ვიყავი, ქუჩაში ვინც მცნობდა, მეკითხებოდა, შენ რა დაგემართაო?!. მათხოვარს დავემგვანე, რაღაცნაირად ჩამოვბერდი. მეგობარიც მეუბნებოდა, უკვე შენი შემოხედვა აღარ მინდაო. ქუჩაში რომ დავდიოდი, იმისიც მეშინოდა, რომ ადვილად შემამჩნევდნენ, გამაჩერებდნენ და დამიჭერდნენ.

მერე ვთქვი, ცხოვრებას უნდა მივეწიო-მეთქი. ეხლა ისე გამოვიყურები, რომ მეტყვიან ხოლმე, არ გავხარ შენ ქართველს, რაღაც ევროპელივით გამოდიხარო. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა ისეთ ადგილებში დავდივარ, მილიციას ცხვირწინ გავუვლი, მივდივარ ჩვეულებრივად. ღმერთი მწყალობს, რომ ჩემი გარეგნობით ვერ მამჩნევენ, ბერძენი რომ არა ვარ. ქართველებს ძალიან ემჩნევათ. მეც კი მემჩნევა, მაგრამ ძალიან ვცდილობ, რომ ესე არ იყოს. ეხლა თქვენც რომ მიყურებთ, გგონიათ, ხალისიანი შეხედულება მაქვს, გგონიათ ევროპას მორგებული ქალი ვარ და ამ დროს ჩემ გულში ცხოვრებისეული, ადამიანური არაფერი ხდება.

სანამ აქ წამოვიდოდი, ვწერდი ლექსებს. ზოგჯერ ღამით მომივლიდა მუზა და წამოვხტებოდი, სანთელს ავანთებდი. ჩემი ქმარი სულ მეჩხუბებოდა: მომინდომა ახლა წერაო. ბევრჯერ შუქი რომ ვერ ამინთია, ბალიშის ქვეშიდან გამომიღია ფურცელი და კალამი და ასე ხელის მოხაზულობით დამიწერია. დილით რომ მინახია სულ ერთი-ერთმანეთზე იყო ასოები გადაწერილი. ერთი ასი ლექსი მაინც მექნება აი, ამ ცხოვრებაზე, აქ ვინც არიან, იმათზე. მაშინ მე არ გამომეცადა, მაგრამ მეგობარი, ვინც აქ წამომიყვანა, იმისგან ხო ვიცოდი, რა ცხოვრებაც იყო. რომ ჩამოვიდოდა ის გოგო და სულ ძილი რომ უნდოდა, ვფიქრობდი, ნეტავ ეხლა ამას, მუშაობს, ხელფასი აქვს, არ უნდა გარეთ გასვლა-მეთქი? ეხლა მახსენებს ხოლმე, ამას რომ მეუბნებოდი: „ნეტავი ეხლა ამასო“. ხოდა, ლექსები მქონდა დაწერილი ემიგრანტებზე და ეხლა აქ რომ კითხულობენ, ამბობენ, ეს ჩემზეა, ეს ჩემზეაო. ახლა უკვე მეც მეხება... ეხლა აღარ ვწერ, რატო – ვერ გეტყვით, თითქოს ეხლა სხვა ადამიანი ვარ. გცვლის აქაურობა, გაციებს.

იმ ოჯახში ვცხოვრობდით: დედამთილი, მამამთილი, მე, ჩემი ქმარი, ჩემი სამი შვილი, ორი რძალი და ორი შვილიშვილი, სულ – თერთმეტი ადამიანი. ძაან დიდი სახლი არა გვქონდა, ისეთი, ყველას თავისი ოთახი რომ ქონოდა და ყველას რომ კომფორტულად ეგრძნო თავი. ზამთარში, მითუმეტეს, გათბობა რომ არ იყო, ერთ ოთახში ათნი ერთად ვიწექით. ერთ დიდ გობ პურს რომ გამოვაცხობდი, მეორე დღეს აღარ იყო. მაგრამ მაინც კარგი იყო. ბედნიერება მაინც იყო მაგაში. ჩემი ქმარი იყო შემომტანი ძირითადად და – ჩემი მამათილის პენსია. ქმარი ხელოსანი იყო, ოქროს ხელი ჰქონდა და ჰყავდა თავის კლიენტები, მაგრამ ზამთარში იმდენად ჩერდებოდა, რომ ძალიან გვიჭირდა. თუმცა მოხერხებული იყო და თავს მაინც ართმევდა, სულ რომ არაფერი არ ყოფილიყო, რაღაცას მაინც ღმერთი გვწყალობდა. რო ვიტყოდით, აღარ გვაქვს და ხვალ რა უნდა ვქნათო, ვიღაცა დაიძახებდა, – წამოდი, ჯუმბერ, რაღაცა გვაქვს გასაკეთებელიო. ორ შაურს აიღებდა და მეორე დღეს ესე გავდიოდით. ბედნიერება იყო, გაჭირვება კი იყო, მაგრამ ყველა ერთად ვიყავით.

რატო წამოვედი? ჩემს წინა ფიქრში ვინმეს რო ეთქვა, საბერძნეთში მომიწევდა წამოსვლა, ვერც კი წარმოვიდგენდი. ცხოვრება, რომ იტყვიან, მოულოდ-

ნელობებით არის სავსეო, ზუსტად ასეა. ბოლოს, ძალიან რომ გაგვიჭირდა და ჩემ ქმარსაც ხასიათი უფრო დაუმძიმდა, შვილებს ვეუბნებოდი, წავალ საბერძნეთში, მაგრამ ვიცი, რომ მამათქვენი არ გამიშვებს და მოდი ეხლა, ჩემო შვილებო, მოვილაპარაკოთ, თუ არ გამიშვებს, უიმისოდ მაინც წავალ-მეთქი. მერე კი გაიგებს, მაგრამ რაღას იზამს-მეთქი. ეს ჩემი შვილები არც მაშინ მუშაობდნენ და არც ახლა. აქ რომ წამოვიდოდი, იმათაც ეშველებოდათ.

საბუთებით არ წამოვსულვარ, გამოპარვით ჩამოვედი. აქ არის ჩემი მეგობარი და ნათესავი გოგო, რომელმაც გადაიხადა 3000 ათასი ევრო „გრაფიოში". მერე ვიმუშავე და გადავუხადე ამ გოგოს, ერთი წელიც არ დამჭირვებია. ამან მოაწყო ჩემი წამოსვლაც. იქ „გრაფიოს" ავტობუსი ჩადის ზესტაფონში. წინასწარ დამირეკეს, დანიშნულ ადგილზე შეხვდითო. მაშინ ჩემმა ქმარმა კი არ იცოდა არაფერი. საღამო ხანია, ზამთარში ხომ მალე ღამდება, და უკვე ავტობუსი წამოვიდა თბილისიდან ზესტაფონში. რა დროსაც იქ მოვა, უნდა დავხვდეთ მე და ჩემი შვილი, რომ გაგვესაუბრონ. წამოვიდა ავტობუსი და დროში უნდა ჩავეტიოთ. არადა, ჩემი ქმარი ხომ შემეკითხება, სად მივდივარ, ყველა ჩემი ფეხის ნაბიჯი უნდა ცოდნოდა. მე და ჩემმა შვილმა მოვილაპარაკეთ, ვითომ, ჩემ შვილს ვიღაც უნდა შეხვდეს საქმისთვის. ვითომ, მარტო არ უნდა, რომ წამოვიდეს ღამე. საერთოდ იმ დროს ზესტაფონში აჩერებდნენ ბიჭებს ქუჩაში. მითუმეტეს, თუ შემჩნეული იყავი ქუჩაში, მილიცია იდგა და აჩერებდა. ხოდა, ღამე უდროო დროს რომ არ გაეჩერებინათ, ვითომ დედასთან ერთად იმიტომ მიდიოდა. „კოტეს მივყვები-მეთქი" – ქმარს ვუთხარი. მოვდივართ და ვიცინით მე და ჩემი შვილი: „რა კაია, მოვატყუეთ, მოვატყუეთო".

გამოიარა ავტობუსმა, გაგვესაუბრა მძღოლი და ვგრძნობ, რაღაცნაირად მიყურებს, ისიც და ხალხიც მაკვირდება. მერე მივხვდი, თურმე თვალით გზომავენ, სქელი ხარ, წვრილი ხარ, როგორი ხარ, რომ სად შეგტენონ, როგორ დაგმალონ. თუ სქელი ვიქნებოდი, უარს მეტყოდა, ესეთები არ აწყობთ. დანიშნული დრო დათქვეს და მეორე კვირას, მეორე რეისზე დილით უნდა დავხვედროდი ზუსტად იმ ადგილას. უკვე საქმე საქმეზე მიდიოდა და ხელი მეშლებოდა, ამიტომ იძულებული ვიყავი ჩემი ქმრისთვის მეთქვა ეს ამბავი. ერთი ღამეა და მაშინ გავუმხილე, რომ წასვლა მინდა: – გინდა აქ ვიყო, გინდა იქ, თუ ნდობა არა გაქ, რა აზრი აქვს. მე მაინც უნდა წავიდე, თუ შენი თანხმობით წავალ, შენთვისაც კარგია და ჩემი სახელისთვისაც და შენ რომ გაგეპარო, რა ქალი ვიქნები ან შენ რაღა კაცი იქნები-მეთქი. – კიო, დამთანხმდა, – გაგიშვებო. არ მოველოდი, შევვარდი ბავშვებთან, სიცივე იყო და ერთ ოთახში ეძინათ ერთ ბიჭს აქეთ, მეორეს იქით, ბავშვებით, ვეუბნები: – მამათქვენს გავუმხილე, რომ მივდივარ და უარი არ უთქვამს-მეთქი. არ გვჯერაო, არ გვჯერაო, – ყვიროდნენ, ისე გაუხარდათ! მეზობლებსაც უკვირდათ, რომ გაიგეს, გაგიშვაო, ჩვენთან გამოსვლასაც კი გიშლიდაო. რა ვიცი, რა იფიქრა, იმასაც ეგონა, ალბათ, უკეთესი ცხოვრება გვექნებაო.

მერე მალე მოხდა ყველაფერი. ამ ჩემმა ქმარმა გადაახურდავა ლარები, ტაქსი დამიჭირა, ბარგი ჩამატანინა. დავხვდით, მართლაც, ზუსტად იმ დროს, იმ ადგილას ავტობუსს ჩემი შვილი, ჩემი რძალი, ჩემი პატარა გოგო. ტაქსით ველოდებოდით. ციოდა, გარეთ ხომ ვერ დავდგებოდით. ჩემი ქმარი გარეთ იდგა.

როგორ მახსოვს, ყინავს, ღამეა. გამოიარა ავტობუსმა, დაუქნია ხელი, მძღოლმა გვიცნო და გააჩერა.

შთაბეჭდილი მაქვს თვალებში ის უკანასკნელი გამოცილება. რომ დავემშვიდობე ყველას და ჩავჯექი ავტობუსში, ტირილი ამივარდა. მძღოლს კიდე ეცინებოდა, სიმღერები ჰქონდა ჩართული, ისეთი სიმღერები, ეხლაც რომ ჩართო, ეხლაც ვიტირებ. არ იყო ბევრი მგზავრი. კარგად, კოხტად წინ ვიჯექი, სარფს რომ გამოივლი, ჩადიხარ შენი პასპორტით, არაფერი პრობლემა არ არის, ჩვეულებრივად გამომატარა ამ სარფმა. მერე უკვე, საბერძნეთში რომ მოდიხარ, თურქეთს რო ტოვებ, მერე გმალავენ ავტობუსში. ავტობუსში რომ ადიხარ, კიბესთან არის გამოჭრილი ოთხკუთხედი კედელი პატარაზე. შეძვრები, შეხვალ და დადგები ფეხზე მოკუნტული. მარტო მე კი არა, ერთი ბიჭი იყო და სამი ქალი ვიყავით პაწაწინა მონაკვეთში. მუხლებით დგახარ, ძლიერი უნდა იყო. დანარჩენები სად დამალეს, იცით? ავტობუსში „სიდენიები“ რომ არის, ერთ სკამს გადასწევდნენ, ამოჭრილი იყო შიგნით, იქ წვებოდნენ და ასე იყვნენ დაწოლილები მთელი გზა. ისინი ქვემოთ წვანან და ზემოდან ხალხი ასხედან, „სიდენიების“ ქვეშაც გადაწებებული აქვს, იმათ რა აღმოაჩენს... ვნატრობდი, ნეტა იქ მოვხვედრილიყავ-თქო. ზამთარი იყო, მარა კი არ გვციოდა, დაგვცხა, უჰაერობა იყო, როცა მოკეტეს კარები, რომელიც ესე ნოხივით არის კედელზე და არ ეტყობა არაფერი. მერე გადმოსაკეცი სკამია, ის მიაფარეს და ეგ არის. კარები ღია იყო სანამ შევიდოდით, მერე გაგვაფრთხილეს, აბა სიწყნარეო და კარები მოკეტეს. შუქი კი იყო შიგნით ანთებული. ვგრძნობთ ახლა, რო ამოდიან, ურტყამენ, აბრახუნებენ ეს იარაღებიანები, დადიან. დაათვალიერეს. ესე კაი ხანი ვიყავით. ის შემოწმება გავიარეთ, მაგრამ მერე კიდე ორი-სამი საათი ვიყავით გაჩერებულები. მე კიდე ბევრი არ მომიწია, ზოგს რვა საათი უწევს, ზოგს მთელი გზა. მე რატო არ მომიწია ბევრი, იცით? მგზავრები არ იყვნენ ბევრნი ავტობუსში, „ტამოჟნაიაზე“ (საბაჟო; საკონტროლო პუნქტი) რომ გადადიან, მგზავრებს დრო ხომ ჭირდებათ, სათითაოდ რომ გაიარონ რეგისტრაცია. ცოტა მგზავრი რომ იყო, ხო, ცოტა ხანი მომიწია და მალე წავიდა ავტობუსი. ზოგჯერ მთელი ავტობუსი გაჭედილია და 8-9 საათი იგუდებიან გზაზე. მერე კარები გააღეს, „ფორტოჩკაც“, მაგრამ დრო და დრო ჩაკეტავდნენ. მერე ისევ ამოგვიშვეს, ვიჯექი ჩვეულებრივად. ავტობუსში რომ ვისხედით, ჯუსმენდი, კაშირი აქვთ სულ მაგ წამომყვან „ჟრაფიოსთან“, ურეკავენ, ეხლა ეს „ტამოჟნაია“ გამოვიარეთ, ეხლა ესო. „ტამოჟნაიაზე“ თუ რამე პრობლემა ექნებოდათ, ერთმანეთთან „სვიაზი“ აქვთ და ეტყოდნენ.

მე წამოსვლაზე ძალიან ტანჯვა არ გადამივლია, ჩემი შვილი რო ჩამოვიდა კი – მტრისას. ის, სადღაც კასრი იყო, და იქ იყო შეკეტილი. ვერც ფეხს შლიდა, გაცივდა კიდეც. ვინტილიაცია უბერავდა. თან კიდე „სტეკლოვატა“ რომ არის, ჩამოცვივდა და ზედ დაეყარა გაოფლილზე, წარმოიდგინეთ, რა გადაიტანა, იმ ოფლიან კანზე სულ სწვავდა. ცხრა საათი ისე ივჯდა მოკრუნჩხული, კითხვის ნიშანს გავდა, რომ მოვიდა. აქ ჩამოსვლით ხალხი ისეთ სიკვდილს გადის, რომ რა ვიცი... იცით, რამდენი დაღუპულა გზაზე! სხვისი ტანჯვა რომ გამიგონია, ჩემი ბაირამობაა იმასთან.

ერთი სიტყვით, ასე ჩამოვედი. აქ დამხვდა კაცი, თვითონ იმ წამომყვან „ჟრაფიოდან“, დანიშნულ ადგილზე. მერე დაურეკა ჩემს მეგობარ გოგოს, ჩამოვიყვანე და მოდითო.

აქ რო ჩამოვედი, სამი თვე სახლში ვიჯექი, მერე კი ვჯავრობდი, ჩემ ქვეყანაში ვყოფილიყავი-მეთქი და თუნდაც მშიერი მოვმკვდარიყავი. გათენდებოდა დილა და ყველა გარბოდა, ყველა გადიოდა. მარტო ვრჩებოდი. საღამოთი მოდიოდნენ დაღლილ-დაქანცული, ყველას დასვენება უნდოდა. ვცხოვრობდით ოჯახში მეგობარი, ვინც ჩამომიყვანა, მისი ქმარი და კიდევ ერთი გოგო. ჩემ მეგობარს საქართველოში უფრო ხშირად ვნახულობდი, ვიდრე აქ. მეშინოდა გარეთ გასვლის, ასე მეგონა, მომდევენ და დამეტაკებიან-მეთქი. მერე შევისწავლე, ჯერ კიბეზე ჩავდიოდი, მერე გარეთ გაყოლა დავიწყე, მაგრამ მაინც მეშინოდა. „ბუტკაში“ რომ შევდიოდი, მეგონა მე დამიჭერენ-მეთქი. ახლადჩამოსულს ტყობითაც მაინც გეტყობა, მერე და მერე უფრო აღარ.

არც მაშინ მქონდა საბუთი და არც ახლა, მაგრამ ახლა უფრო მოვერგე, ახლა სად არ დავდივარ. სამი თვის მერე გამომიჩნდა რაღაც სამუშაო. იქ წასასვლელად ერთი გზა დავიმახსოვრე. ავტობუსს ჩავყვებოდი და მივიდოდი იმ სახლში. ერთხელ, საუბედუროდ, ავტობუსი შემეშალა. ესეც იქ მიდიოდა თურმე, მაგრამ სხვაგან აჩერებდა. ჩამოვედი, თურმე, ახლოს კი ვიყავი იმ სახლიდან, მაგრამ იმ ადგილას არ დავრჩი, საიდანაც გზა ვიცოდი. – დედა, რაღა ვქნა-მეთქი, ვაიმე, დავიკარგე. თან სამსახურში მაგვიანდება. უცებ მთავრობის სახლი დავინახე, ის სახლი ყველა მხრიდან ჩანს. მეშველა. ამოვედი ამ მთავრობის სახლთან ქოშინით, გამიგრძელდა გზა, მაგვიანდებოდა და თან ვნერვიულობდი. ის განცდა აღარ გამახსენოთ, ვაიმე ვიკარგები-მეთქი. ბოლოს ფეხით დავუყევი ისევ, იქიდან უკვე ვიცოდი გზა. ამისთანა ბევრი რაღაცეები ხდება. მერე, ენა არ იცი და ვერც შეეკითხები ვერავის. ენის არცოდნაც დიდი პრობლემაა ახალჩამოსულისთვის. მახსოვს, თავიდან სადღაც სასტუმროში ამოვყავი თავი სამუშაოდ, რას მეუბნებოდნენ, არ ვიცოდი, შევიყვანდი ოთახში და მუნჯურად ვანიშნებდი, მაჩვენე, რა გინდა, ტუალეტის ქაღალდი, თეთრეული თუ რა-მეთქი. ისინი მერე თითონ აიღებდნენ ხოლმე და იცინოდნენ. ასე წვალებით გამქონდა თავი. ახლაც არ ვიცი ენა გადასარევად, ვამახინჯებ. „ტავერნის“ უფროსი მეუბნება ხოლმე, რატო არ ლაპარაკობო. არადა, რომ ვლაპარაკობ და მეშლება, მერე დამცინებენ ხოლმე და იძულებული ვარ, აღარ დავილაპარაკო.

ამ „ტავერნაში“, ასე ქვია აქ რესტორანს, მე და ჩემი რძალი ვმუშაობთ ერთად. ჭურჭელსაც ვრეცხავთ, სალათებსაც ვაკეთებთ. თევზსაც ვწვავთ, მოკლედ ყველაფერს. მოვერგე, ერთი სიტყვით, აქაურობას. პირველად, ოჯახში ვისთანაც ვმუშაობდი, იმ ქალთან სახლიც მე უნდა დამელაგებინა და საჭმელიც მე უნდა გამეკეთებინა. ეს ქალი ეხლაც იტყვის ხოლმე, ერთს რომ დავანახებდი და ავუხსნიდი, მერე ჩემზე გემრიელს აკეთებდაო. იმდენი საჭმელი ვიცი, იმდენი დასახელების, რომ შეიძლება ბერძენმაც არ იცოდეს. ერთი სიტყვით, ბერძნებს ვკვებავ ჩემი „გეორგიანული“ ხელებით. ჩემი რძალიც, 24 წლის ბავშვია და ძალიან ბევრს მუშაობს. წუხელ მოვიდა პირველ საათზე და დღეს ისევ იქ წავიდა. ხვალ დილას, მე რომ სამსახურში წავალ, საღამომდე მე უნდა ვიმუშავო. მე გამზადებულს ვახვედრებ, რომ იმან არ იწვალოს, ერთმანეთს ვენაცვლებით და დილიდან საღამომდე სამსახურში ვართ ასე.

ჩემ რძალს არ ქონია წინააღმდეგობა ქმრისაგან წამოსასვლელად, რადგან ჯერ ჩემი შვილი წამოვიდა აქ და ჩემი რძალი და შვილიშვილი იქ იყვნენ. ეს

ბავშვი იტანჯებოდა მარტო. შვილი კი ყავდა, მაგრამ ქმარი უნდოდა. ის შვილი დატოვა და ჩამოვიდა ქმართან სხვისი საბუთებით, საქართველოდან წამოსული ბერძენის პასპორტით. თმები ქერა ჰქონდა და გადაუღებეს პასპორტში რა ფერიც ჰქონდა, იმფრად. მიამგვანეს პონტიელს. მატარებლით გადმოვიდა თურქეთიდან, რა ვიცი, ვერ გებულობენ თუ რა... კუპეში ძალიან ბევრი იწვალა, ბერძნული არ იცოდა და წინასწარ გააფრთხილეს, რო ამოვლენ შემოწმებაზე, თავი მოიმძინარეთო. ასეც მოიქცა და ისინიც მოტყუვდნენ, მაგრამ ძალიან ინერვიულა. ვისიც არის პასპორტი, წილში გაყავთ, უცებ რო გამჟღავნდეს, პატრონი იტყვის, დავკარგე, რა ვიცი, ვინ იპოვაო. ამ შემთხვევაში ის ისჯება, ვინც გადმოყავთ.

ერთხელ ერთ გოგოს მოყავდა ორი ქალი, დაიჭირეს, წამომყვანი ჩრდილში დარჩა. ის ორი გოგო ახლაც ციხეში სხედან, ექვს თვეს მოიხდიან, მერე გადაგზავნიან თურქეთში, არადა ორჯერ დეპორტირებულები არიან. 40 კაცთან, თან პაკისტანელებთან, ეს ორი ქალი ზის. ჭკუიდან არიან გადასულები, იქით დედ-მამა ღრიალებს ამ გოგოების და მადლობა ღმერთს, რომ ცოცხლები არიან.

ჩემი რძალი და შვილი რამოდენიმე წელიწადი იყვნენ ერთად აქ. კაცების სამუშაო უფრო ძნელია, ჩემი შვილიც ხან მუშაობდა და ხან – არა. რძალი მუშაობდა და ჩემი შვილი გახდა იძულებული, ბავშვთან წასულიყო. თან მაშინ ოთხი-ხუთი წლის იქნებოდა ჩემი შვილიშვილი და არც დედა ყავდა გვერდით და არც მამა. ჩემი შვილი იტანჯებოდა, უნდა ბავშვს მშობელი, ან ერთი, ან მეორეო. ერთი ღამეც არის და მითხრა, ხვალ გათენდება თუ არა, მივდივარ საქართველოშიო. რაკი ჩამოპარული იყო, მე ვუთხარი, დარჩი-მეთქი, მაგრამ მაინც წავიდა.

წასვლა არ არის პრობლემა, ეხლა მეც რომ წავიდე, დამაჯარიმებენ და პასპორტში რაღაცას ჩამირტყამენ, რომ დავურღვიე თურქეთს ვიზა. მეორედ ველარ წამოვალ, თუ არ გადავიხადე დავალიანება – 600 ევრო. ჩემ რძალს ეხლა „ორწლიანი“ საბუთები აქვს და მერე „ხუთწლიანი“ საბუთები ექნება. ზოგს მხოლოდ მარიამობას, შობას და ახალ წელს – წელიწადში სამჯერ შეუძლია წასვლა, ჩემ რძალს კი ამ ორ წელიწადში როცა უნდა წავა და წამოვა. მეორე რძალსაც უნდა წამოსვლა, მაგრამ იმას 5 თვის ბავშვი ყავს. ჩემ მეორე ბიჭსაც, მაგრამ გინდა იქ გირჩენია და გინდა აქ. იქ რჩენა უფრო ადვილია, აქ რისთვის უნდა ჩამოვიყვანო, კაცის სამუშაო ძალიან გაჭირდა, ის კი არა, ქალის სამუშაოც ჭირს უკვე. მეც, ადრე თუ ერთი წუთი დრო არა მქონდა, ეხლა უკვე აღარ მაქვს იმდენი შემოსავალი. სამუშაო თუ არ არის, მცირდება შემოსავალიც. მე რომ შემიმცირდა შემოსავალი, იმათაც გაჭირვება დაადგათ იქ. ის შვილი რომ ჩამოვიყვანო და არ იმუშაოს, აქ ქირა უნდა ვიხადო, სიგარეტიც უნდა ვუყიდო, ორმაგი ხარჯი მექნება, იქაც ხომ გადასახდელია გადასახადები და საჭმელი საშოვი, ბარემ იყოს თავის ცოლ-შვილში და აქედან ვარჩინო. საქართველოშიც ჭირს სამუშაო, არ არისო, ასე იძახიან. ხანდახან მიფიქრია, რომ მირეკავენ და ხან ეს გვინდა და ხან ის გვინდაო, არ უნდათ, რომ იმუშავონ-მეთქი. ერთი „სერვიტორი“ (მიმტანი) მყავს ტავერნაში, მე და ის მიმტანი კარგადა ვართ ერთმანეთთან და სულელი ხარო, მეუბნება. ხომ ხედავს, რომ ამდენს ვმუშაობთ. გასვლით ჩვენ არ ვერთობით, არ ვჭამთ და არ ვსვამთ სხვაგან,

მხოლოდ სამსახურში გვიწევს და მოვდივართ და ვიძინებთ. – გიჟები ხართ, გიჟებიო, იმათაც იმუშაონ, ან ხელი გაანძრიონ ან ტვინიო. – არ არის სამუშაო საქართველოში-მეთქი. – აბა, აკი კარგია საქართველოო?! არ მუშაობენ და რა ვქნა, არ უნდათ და ესეა.

ჩვენ შიგნით ზესტაფონში ვცხოვრობთ, პატარა ეზო გვაქვს და სახლი. კარალიოკის ხეივანი გვაქვს, პატარა ვენახი და პატარა ბოსტანი. ლამაზია „კამეჩის თავი". ზესტაფონს ხომ აქვს კუთხეები და ჩემ კუთხეს „კამეჩის თავი" ქვია. მთელი „კამეჩის თავი" სულ აქ არის. როგორ ხდება, იცით? წამოვა ერთი, იმას მერე მოყავს თავისი ვიღაცა, მერე იმ ვიღაცას – თავისი ოჯახის წევრები. მერე ისინი მოიკიდებენ ფეხს, იმათ თავისი მოყავთ და მთელი სანათესაო, მთელი კუთხე იკრიბება. ჩვენც ასე ვიყავით: ჯერ ჩემი რძლის დედა ჩამოვიდა, მერე მე ჩამოვედი, მერე ჩემი ბიჭი, მერე ჩემი რძალი, მერე მისი სიძე, მერე იმ სიძის საახლობლო და რა ვიცი...

ასე მგონია, ზესტაფონი კი არა, მთელი საქართველო აქ არის, გაგიჟდები მოკლედ. მაგრამ ყველაზე მეტი მაინც ქუთაისიდან არიან. დასავლეთი, ხო იცით, უფრო ღარიბი ქვეყანაა. ძალიან ბევრს დაკეტილი აქვს სახლი და ყველა აქ არის. ბევრისგან გამიგონია, სადაც კარგად ვარ, ჩემი სამშობლო ის არისო და გული ძალიან მტკენია. ჩემთვის ასე არ არის. ჩემთვის სამშობლო ერთადერთია.

ომი (2008 წლის აგვისტო) რომ იყო, მე მაშინ სასტუმროში ვმუშაობდი, ზაფხულში. ისეთი ადგილი იყო, სამივე მხრიდან მთები და წინ კი – ზღვა. გაქცევაც რომ მდომებოდა და გასაქცევად მქონოდა საქმე, ვერ გავიქცეოდი. ტელეფონის ბარათსაც ვერ ვყიდულობდი. სალონიკში თუ დავურეკავდი ვინმეს და გადმომირიცხავდა სალაპარაკოს. დამსვენებლები მოდიოდნენ თავიანთი მანქანით, მაგრამ მე არავისთან არ მქონდა კავშირი. გავგიჟდი ლამის. დროც არ მქონდა რომ ტელევიზორისთვის შემეხედა, საბერძნეთის არხებზე ომის ამბები არც გადიოდა. ხანდახან თუ მოვკრავდი თვალს იმ ტანკებს და ძალიან განვიცდიდი. ღამე რომ ვამთავრებდი მუშაობას და შევდიოდი ოთახში, დარეკვით ვგებულობდი ამბებს. ჩემ რძალს მაშინ ექვსი წლის ბავშვი თბილისში ყავდა და თითონ ზესტაფონში იყო. ეს ბავშვი ძალიან განიცდიდა, ეხლა აქ შემოდიანო. შევიდოდი თუ არა ოთახში, ამივარდებოდა ტირილი. მერე ჩამოვიდოდი თვალებდასიებული და ჩემი „კირია" (ქალბატონი) მეტყოდა, – რა იყო, მარია, რა დაგემართაო? – რაღა რა დამემართა, საქართველოში ომია-მეთქი. – შენები თუ კარგად არიან და სადაც შენ ცხოვრობ, იქ ომი არ არის, შენ რა განერვიულებსო? უფრო მეტკინა გული, – რას ლაპარაკობ, ჩემი სამშობლოა, ჩემი ხალხია-მეთქი. – ეჰ, მოიცა ერთიო, შენები თუ კარგად არიან, ტყუილად ნუ ჯავრობო. მე კი არა, ყველამ განვიცადეთ ის ომი, გიჟებივით ვიყავით. არ მეგულება ადამიანი, ეს რომ არ განეცადა.

ჩვენ ქალებს, ვისაც კი საბუთი აქვს, უყვართ საქართველოში ჩასვლა. ზოგი გაიკეთებს ფრჩხილებს, თმებს შეიღებავს, კარგ ჩასაცმელს ყიდულობს და ისე ჩადის, ვითომ კარგად ვცხოვრობო, მაგრამ – არავინ არ მოტყუვდეს! მოსამსახურეები ვართ, მაინც დამცირებულები ვართ. სახლში რო მიდიხარ და ემსახურები, მტვერს რო მოგისინჯავს ახლადგაწმენდილზე, როგორია! ამ უაზრო რაღაცაზე რომ გიშლის ნერვებს, ფსიქოლოგიურად ხომ გძაბავს. თუ საბუთიანი ხარ კიდე, ეშინიათ შენი. საბუთიანმა რომ უჩივლოს, გინდა სამსახურს და გინდა პიროვნებას,

და სიმართლე დაამტკიცოს, ძალიან დიდი ჯარიმა არის. მაგრამ თუ უსაბუთო ხარ, სულ დამცირებული რჩები. იმ (საქართველოს) გადასახედიდან კი რა კარგი ჩანს... აი, თქვენ მუშაობთო, ხელფასი გაქვთო, კაი ცხოვრებაო. არადა, არავინ არ თქვას, აქ კაიაო. ჩემს ქვეყანას რა ჯობია, მაგრამ რა ვქნათ. სადღაც, ას პროცენტში, ალბათ, ხუთ პროცენტს შეიძლება კაი ცხოვრება ქონდეს და ფეხი მოიკიდოს. მაგრამ ჩვენნაირი ვინც არი, სიკვდილს უყურებს თვალებში. მერე როცა იჭერენ? ციხეში როგორი გასაძლებია! ქუჩაში რომ დადიხარ სულ შიშში ხარ, გგონია, ან ეხლა დამიჭერენ, ან ეხლა დამიჭერენო. ვშრომობ, ვწვალობ და რატო უნდა მდევნიდნენ, რას ვაშავებ, ვირივით ვმუშაობ. რო ვაშავებდე, კიდე ხო.

მაგალითად, რამდენი, დღეს ჩამოსული, პროცენტიანი ვალიც რომ აიღო, ბინა რომ ჩადო, გამოვიდა მეორე დღეს და დაიჭირეს. მე ქალი ვიცი ერთი, ჩამოვიდა, დიდი ვალი აიღო, წამოვიდა აქ, დაიჭირეს, სამი თვე ჩასვეს ციხეში. დაბრუნდა უკან და ისევე წამოვიდა, სახლში არ გამოჩენილა, შეეშინდა, რომ მევალეები დაადგებოდნენ. თავის კუთხეში არ ჩასულა. თბილისში ისევ „გრაფიოებთან“ მოაგვარა ყველაფერი და ისევე წამოვიდა. ჩემი ბიჭიც, აქ რომ იყო, ორჯერ იყო დაჭერილი. ადგა და წავიდა საქართველოში. რა ტანჯვა აქვს გავლილი... სამსახურში პოლიცია რო მივიდა ჯიპებით, ისინი უფრო კაცებს ეტანებიან, ერთი სახლის ნანგრევებიდან მეორე სახლის ნანგრევებზე გადახტა, მერე მესამეზე და ესე... გაიქცა მინდორში, მერე ტყეში. სადღაც ნანგრევი ნახა და იქ შეეფარა. ტელეფონით დარეკა, არ ვიცი, სად ვარო. პოლიცია დარბოდა და ყველას აგებინებდა, ვიღაც დამნაშავე გაგვექცაო. ამ ბავშვს კიდე, ესე შეყუჟულს ჩაეძინა, და რომ გამოელვიძა, წასულები იყვნენ უკვე. გამოვიდა, იარა, იარა, ძლივს მოაღწია მერე ტრასამდე, ავტობუსი დაინახა, არც ფული ქონდა და არც არაფერი. მაგის პონტიელი მეგობრის დედა წავიდა და იმან მოიყვანა, მაშინ გადარჩა, მაგრამ მერე ისევ სამსახურში დაიჭირეს. მანქანით მოდიოდა და უკან შუაში იჯდა. პოლიციამ რომ გააჩერა თურმე, ასე პირდაპირ მიუშვირა ორივე ხელი, დამადეთ ბორკილებიო. – აბა რა მექნა, ნაპირზე რომ ვმჯდარიყავი, კიდე გავაღებდი კარებს და გავიქცეოდიო. სწრაფია ძალიან ესეთ რაღაცეებში. მაგრამ დაიჭირეს და სამი თვე იჯდა. ციხეში კარგად იყო, ხო იცით, ჩვენი ქართველების ამბავი, თანაც ბიჭების. იქ ეკლესია დავხატეო. კი არავის ჩაგრავდა, მაგრამ ვერავინ ვერ ამცირებდა და ვერავინ ვერ იბრიყვებდა, პირიქით იყო.

ორნი არიან მეგობრები, თვითონ და ერთი ქუთაისელი, პირველადაც ერთად დაიჭირეს და მეორედაც. ციხეში, სხვათა შორის, კაი სახელი აქვთ ქართველებს. მაგრამ ციხე მაინც საშინელებაა, ყველას ეშინია იქ მოხვედრის. ამ შიშს კიდევ უსაბუთობა იწვევს. არის სამსახური, სადაც უსაბუთოდ არც გამუშავებენ. აი, მაგალითად, სადაც მე ვმუშაობ, ტავერნაში – იქ ამუშავებენ, სადაც ჩემი რძლის დედა მუშაობს – იქ არა. იქ ყველაფერი კანონზეა, იმ ტავერნაში. ჯანმრთელობის ცნობაც უნდა გქონდეს და კანონით გამუშავებენ 8 საათი. ერთ წუთს არ გტოვებენ ზედმეტს. თუ, სიტყვაზე, გამუშავებენ, გეკითხებიან: დარჩები თუ არ დარჩები კიდევ. თუ იმუშავებ, გიხდიან. სადაც მე ვმუშაობ, იქ არც სამუშაო საათებია და არც ჯანმრთელობის ცნობა არა მაქვს. ერთ დღეს რომ 12 საათს ვმუშაობ, მეორე დღეს – 6 საათი. ეს ჩემთვისაც კარგია და იმათთვისაც. მე

მეორე სამსახურში მუშაობისთვისაც ხელი მეწყობოდა: დრო რომ მჭირდებოდა, ჯერ იქ მივდიოდი, მერე აქ. თითონაც აწყობს: მე რომ მამუშავებს 12 საათი, და მეორე დღეს 6 საათი, ხომ მისთვის სარგებელია. 8 საათი რომ მამუშაოს, ორი „სმენა“ უნდა ემუშავებინა, ორ „სმენაში“ ზედმეტს იხდის, 12 საათს რომ მამუშავებს კი, ჩვეულებრივად მიხდის. მეორე დღეს ცოტას ვმუშაობ, მაგრამ დღეში 8 საათი მაინც არ გამოდის, უფრო მეტია. თან „ენსიმასაც“ არ მიხდის. ერთხელ, კაფეში შემოწმებაზე „იკა“ რომ მოვიდა, ჩემი რძალი წინ იდგა, მე უკანა მხარეს ვიდექი. შემოვიდნენ ორნი პირდაპირ „კუხნაში“. მომუშავეებმა დაგვიძახეს, გაიქეცითო. ხმაურში მე ვერ გავიგე. მზარეული ქართველი იყო და „წადი გოგო, გაიქეცითო“, ახლა იმან მიყვირა. ფანჯრიდან გადმოსახტომი იყო, მე და ჩემი მეგობარი გადმოვხტით და დავიმალეთ. ჩემი რძალი არ გაიქცა, თუმცა საბუთები არ ქონდა მაშინ გაფორმებული. იმათ ჰკითხეს: რამდენი ხანია, აქ მუშაობთო. ჩემმა რძალმა უკვე იცოდა, რა უნდა ეთქვა და „ერთი დღეა, რაც აქ მოვედიო და თუ მომეწონება, დავრჩებიო“. ერთი ბავშვი იყო მიმტანი, არც ის იყო გაფორმებული. დაჯარიმეს ჩვენი უფროსი 500 ევროთი, რაკი გაუფორმებელს ამუშავებდა. ჩვენ რომ არ გავქცეულიყავით, უფრო მეტს წაართმევდნენ. ჩვენ დაგვინახეს, მაგრამ აღარ გამოგვყვნენ. მერე, რომ წავიდნენ, უფროსები გვკითხულობდნენ, ისინი სად არიანო, როდის-როდის გამოვედით. რა ვიცი, ვწვალობთ ესე... მაინც ღმერთი გვწყალობს ქართველებს.

აი, ამათზეც ხომ იძახიან, ქრისტიანები არიანო. კი არიან, მარა ძალიან ცივი ხალხია. ზოგს ისეთი ხასიათი და საქციელი აქვს, რომ იტყვი, ამას ღმერთი არა სწამსო. უფრო ადრინდელი ხალხი არიან მორწმუნეები. ისინი უფრო არიან მიმდევრები ამ რელიგიისა. ეს ახალგაზრდები კი სხვანაირი ცივები არიან. რვა საათი რომ ვმუშაობ, ერთი წუთი არ ვჩერდები, ზოგი გეტყვის, დაისვენეო, ზოგი – არა. რაკი გიხდის, ვალდებული ხარ იმუშაო და დრო არ დაკარგო ერთი წუთითაც. არადა ყოველთვის მუშაობის განწყობაზე ხომ არა ხარ. ღმერთი რომ სწამდეთ, ცოტა სხვანაირად მოგიდგებოდნენ, ადამიანურად. მე სადაც ვმუშაობ დალაგებაზე, დილით არ წავედი იმ ქალთან, ქმარი რომ დამელუპა, ის ერთი დღე. დაურეკა ჩემმა რძალმა, მარია ვერ მოვა, ესეთი მდგომარეობა აქვსო. გავიდა რამოდენიმე ხანი, თვიურად მიხდიდა ფულს და თვეში ყველა დღე ხომ უნდა მემუშავა. კი კაი ქალი იყო, მაგრამ „ის ერთი დღე რომ გაგიცდა, ქმარი რომ მოგიკვდა, ის დღე როდის უნდა იმუშავოო“. ასეთ ადამიანს სწამს ეხლა ღმერთი?!

მე რომ მივდივარ მაგათთან, მაგენი გადიან. როგორც შედიხარ სახლში, ყველაფერი ისე ყრია, ჭურჭელი, ტანსაცმელი, ლოგინი გასასწორებელი. აბსოლუტურად ყველაფერი უნდა დავალაგო: სარეცხიც უნდა მოვაწესრიგო, „პლინტილიო“ *(სარეცხი მანქანა)* უნდა ჩავრთო, რა არის დასარეცხი, რა არა, უნდა გადავარჩიო. მოვწმინდო, ჭურჭელი დავრეცხო, გავაუთოვო, სუყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინო, საჭმელიც უნდა გავაკეთო. გამოვიხურო მერე კარები, სახლში რომ არ არიან, და წამოვიდე. ნდობით – გენდობიან. იმათი გასაღები ეხლაც ჩანთაში მაქვს. ჩვენებურად პოლიკლინიკა რომ ქვია, იქ მუშაობს სახლის პატრონი. ხოდა, ამ ქალმა ის ერთი დღე არ მაპატია, ის ოთხი საათი. მერე, როცა დრო მქონდა, მერე ვიმუშავე. დღემდე, რაც ჩამოვედი, ხუთი წელი, მაინც ამ ქალთან ვმუშაობ. არიან, ვისაც ყოველ კვირა შეუძლია გამოიცვალოს სამსახური, ეძებს და

არჩევს. მე კი სამსახურს რომ ვეჩვევი, ვერ ვცვლი. ამ ქალთანაც რომ შევდივარ, სად, როგორ, რანაირად, ყველაფერი ვიცი და უკვე ისე აღარ მღლის. ყოველ წუთში მაქვს გამოთვლილი – ამდენ წუთში ამას გავაკეთებ, იმდენ წუთში – იმას. ახალთან კი, რომ შევდივარ, ვიტანჯები. თუნდაც იმ „ტავერნაში", გადასარევი არ არის ჩემი სამუშაო, მაგრამ იმდენად მიჩვეული ვარ, იმდენად აწყობილი მაქვს იქ ყველაფერი, რომ აღარ მიჭირს თითქოს.

იქ კვირაში ერთხელ მიხდიან. ეს ფული, რასაც ვიღებ, ყველაფერი სახლში მიდის. დღეს რომ გავაგზავნი, შეიძლება ხვალაც გავაგზავნო. იქიდან როგორი მოთხოვნაც არის, ისე. იქიდან კი – დედა, ფული და დედა, ფულიო. ცოტა თუ შეგვიანდა, რა, გაიყინა ხელფასებიო? არ ჯერათ, რომ იმდენი აღარ მაქვს. ახლა უკვე აღარ არის იმდენი ანაზღაურება. თვეში 900 ევრო გამომდის სულ. ჩემი რძალი რომ საქართველოში იყო, ორმაგად ვმუშაობდი. კვირაში 300 ევრო ამიღია. იმ ქალთან მაშინ აღარ მივდიოდი, დასასვენებლად იყო წასული. როცა ჩამოვიდა, დილით ადრე მივდიოდი, 8-9 საათზე. 11 საათამდე იმ ქალთან ვმუშაობდი, მერე „ტავერნაში" მივდიოდი და დილიდან საღამომდე ორმაგს ვმუშაობდი. დაღლილობისგან ადამიანური აღარ მქონდა არაფერი. მაშინ 1000-1300 ევრო მქონდა თვეში. აქედან 50-ს ჩემზე ვხარჯავდი: ავტობუსის ბილეთს ვაკეთებ, 25 ევროს იმაში ვიხდი და გაჩნია, ტელეფონის „კარტებს" რამდენს ვიყიდი. არადა ტელეფონზე სალაპარაკო თუ არა გაქვს, რომ დარეკავენ რა გემართება, იცი? გადიხარ, გამოდიხარ სამსახურში, ნერვიულობ: „ალბათ, მოხდა რაღაცაო". ზარს გამოუშვებენ და ჩემი რძალი რომ გარეთ გავა, ილაპარაკებს და შემოდის, მე თან ჩემ საქმეს ვაკეთებ და თან იმას ვუყურებ, რა სახით შემოდის, გლახა სახით თუ კარგით, გული ამოვარდნაზე მაქვს, აღარ შემიძლია. ამ დროს დარეკავ და ისეთი არაფერი, ეხლაც მირეკავდნენ იქედან, გთხოვ, დამირეკე, გეხვეწებიო, ალბათ, ან ეს ჭირდებათ, ან ის... 50 ევროს კი ქირაში ვიხდი. რამდენიმე ადამიანი ვცხოვრობთ ერთად და საშუალოდ ასე მიწევს. ჩემი რძალი რომ იყო წასული, მაშინ 100 ევროს ვიხდიდი. დანარჩენს საქართველოში ვაგზავნი, ჩემი ყველა ფული იქ მიდის. დაგროვილიც არა მაქვს არაფერი.

ქუჩაში რომ დავდივართ აქ ქართველები, იცი რა გვღლის? ფიქრობენ, რახან არიან ქალები, ჩამოსულები, აინტერესებთ კაცი და გართობა. კაცი რო გიყურებს, იცი როგორ? თითქოს უნდა რომ გამოგიყენოს და კომპლიმენტს გესვრის, გონია, რომ აყვები, და ამ დროს უხსნი, მერე რა, რომ წამოვედი უცხო ქვეყანაში, იმიტომ ხომ არ წამოვედი, რომ მაინცდამაინც დრო ვატარო და სხვანაირად ვიცხოვრო, არ მაინტერესებს. რას ქვია, არ გაინტერესებს, ადამიანი არა ხარო? და ამ დროს, მართლა არ გაინტერესებს. მოდიხარ შენთვის გადამკვდარი, არავის დანახვა და არავის გაგონება არ გინდა, მაგრამ ყველა გიყურებს, ყველას უნდა რომ გამოგიწვიოს. რატომ უნდა იყოს სულ ასე, მიფიქრია, მე არ მოგეცი საბაბი, შენ რატომ მკადრებ ამას. ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ესე, მარტო ძილი და სამსახური, ძილი და სამსახური.

ამ ქართველებსაც ისე ჰგონიათ, რომ რაკი ქალმა დატოვა ოჯახი და აქ არის, ის ყველაფერზე წამსვლელია. მაგრამ ამ დროს ყველა არ არის ეგრე. ჩვენ ხომ არა ვართ სუყველანი. თუმცა ბევრმა აქ თავისუფლება ნახა, რაც არ უნახავს თავის ქვეყანაში. რამდენიც გინდა აქ იმდენია, ისეთიც, საქართველოში რაიმეს რომ

გამოექცა და აქ აფარებს თავს, რამდენიც გინდა... ესეთები არც აქ ადგებიან სწორ გზას და ესეთები გვიფუჭებენ ჩვენც საქმეს. თორე არც ტრანსპორტში ვაგდებ რამეს (ნაგავს), არც ქუჩაში, არ ვუზიანებ ამ ქვეყანას არაფერს, არ ვაზარალებ, პირიქით, ვმუშაობ, ვშრომობ, ვწვალობ და ჩემნაირი რამდენია კიდე...

მაგრამ არიან: არც მუშაობენ და სახლი არ დარჩათ გაუტეხავი. თვითონ ქართველები ქართველებს რომ ჩაგრავენ – ესეცაა. ბევრი ოჯახი მწარობს... ყველა მაიმუნობა ქართველის მოგონილია. ქართველი ყიდის ქართველსაც. აგერ სამსახურიდან მოდიოდა გოგო, მაღალი, ლამაზი, ქერათმიანი. არჩევენ ასეთებს. ვიღაცამ გააჩერა, საბუთი მოთხოვა, საბუთი არა მაქვსო და მაშინ მანქანაში ჩაჯექიო. მერე ნემსით გაუთიშიათ და ეს გოგო ყვებოდა, სადღაც ამოვყავი თავი, მეც არ ვიცი – სადო. გამოუღვიძია და დაუნახია, კიდე პატარა გოგოები იყვნენ და ტიროდნენო. კაცი ყოფილა კიდე და – რა გატირებთო, ეხლა თქვენ კაის ჩაგაცმევენ, კაის დაგახურებენო (მეგრული კილოთი). სხვა კაცებიც ყოფილან, თურქულად ლაპარაკობდნენო. ალბათ, თურქეთში უნდოდათ გადაყვანა, არ ვიცი. აბა, ბერძნები ამას არ იზამენ, არც ბერძენს ეტანება ვინმე, ისევ „ქსენებს“ (სტუმრებს, უცხოებს) გვეტანებიან. ბერძენი არც ქუჩაში დაგიწყებს რამეს, შენ თუ არ გინდა. ეს მათ არ ახასიათებთ. ისევ ქართველი ან თურქი შეიძლება მოიქცეს ასე. ხოდა, მერე ვიღაც ქალი მოსულა და იმას უთქვამს ამ გოგოსთვის, – უი, შენ აქ რა გინდაო – და წამომყვანებისთვის დაუვალებია, საიდანაც მოიყვანეთ, ისევ იქ წაიყვანეთო. საქართველოში მამამისის ნაცნობი გამომდგარა მაგათი სოფლიდან. მართლაც, ჩამოიყვანეს სალონიკში და დატოვეს. მერე ფსიქოლოგიურად „აიჭრა“ ეს გოგო, სახლში რომ დაბრუნდა, სულ ტიროდა და ტიროდა. ლეწავდა, გავიქცეთ, მომდევენ, მომკლავენო.

გვღუპავს ჩვენ ეს უსაბუთობა, ახლა ამას საბუთი რომ ქონოდა, ასე არ შეშინდებოდა და არ ჩაჯდებოდა მანქანაში. სხვაც ბევრი გამიგია, უსაბუთოს რომ აშინებენ. მე ესეთი რამ არ მომსვლია, მაგრამ სულ განცდაში ვარ. ამასწინათაც სამსახურიდან დაღლილი მოვდიოდი სახლში, გავიხედე და ჩვენი სახლის შესასვლელთან პოლიცია იდგა. შემოვტრიალდი და გამოვბრუნდი, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, ვაითუ დამინახა, მიხვდა და გამომეკიდოს, ვაი, თუ გამომეკიდოს-მეთქი. მეორე ქუჩის კუთხეს მოვეფარე, რამდენ ხანს ვიდექი, არ ვიცი. მერე დავრეკე სახლში, გადმოიხედეთ, კიდევ ხომ არ დგანან-მეთქი. როცა წავიდნენ, მერეღა ავედი სახლში. ეს პოლიციაც ატყობს, ვის აქვს საბუთი და ვის არა. არ ვიცი, სახეზე ცნობენ თუ რა. ჩემ რძალს აქვს საბუთი, რამდენიმე დღის წინ გააჩერეს, მაგრამ თან არ ქონდა. უთხრა, მაქვსო და დაუჯერეს. შეხედეს, არანაირი რეაქცია არ ქონდა და არ დაიჭირეს. მე რომ გამაჩერონ, ამას ვერ ვეტყვი, მაინც მიხვდებიან. ეტყობა, როცა ეშინია, ამ დროს იბნევა ადამიანი.

მოკლედ იქიდან აქ ჩამოსვლა ამდენ წვალებად არა ღირდა. მე რად მიღირდა, რომ ჩემი შვილები, შვილიშვილები ჩემს თვალწინ იზრდებოდნენ, ჩემს თვალწინ ხდებოდეს ის, რასაც ცხოვრება ქვია. ოჯახი მომენატრა. აქ ზოგს, არალეგალურად რომ არის, მარტო ის საბუთიც აკმაყოფილებს, რომ ისე იაროს ქუჩაში, არ ეშინოდეს, მაგრამ მე ისიც მინდა, რომ საქართველოში წასვლის უფლება მქონდეს. რა მომენატრა, იცით? შვილებს რომ დაურეცხავ, საჭმელზე რომ იფიქრებ... აქ კიდე აღარა ვფიქრობ, აქ მარტო ჩემი თავი მაბარია,

სამსახურში შევჭამ თუ ქუჩაში შევჭამ, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ის ოჯახური სითბო მომაკლდა. აქ არის ჩემთვის მთავარი – როდის გათენდება. როგორც გადმოვდგამ საწოლიდან ფეხს, იმწუთას ვიცვამ და გავდივარ. მიხარია, ავტობუსში რომ დავჯდები, აქედან შორი მანძილია და თუ ვარ დაღლილი, ცოტას ვისვენებ, ცოტას გამოვიძინებ. დაპროგრამებული ცხოვრება მაქვს, ერთ-ფეროვანი. ამ ხუთ წელიწადში ზუსტად გეტყვი, ამა და ამ დროს სად ვიყავი.

ბევრჯერ მიტირია, არც ბავშვობა მქონდა ბედნიერი, რომ გავთხოვდი, არც ის ცხოვრება მაქვს კარგად მოსაგონარი და არც ამ ევროპაში ყრია არაფერი სახარბიელო ჩემთვის. ჩემი პირადად, და სხვისი ახლა რა გითხრათ... არიან აქ ქალები, ძალიან კარგები, ძალიან კარგადაც ერთობიან, ცხოვრებაც უხარიათ, და ზოგიერთი კი ვართ ასე. ამ ხუთშაბათ საღამოს ავად ვიყავი, სიცხიანი. 38 გრადუსი სიცხით მაინც წავედი, სიცხისგან თვალები მეწვოდა, თან მაკანკალებდა და თან ცივ წყალში ვრეცხავდი ყველაფერს, ტავერნაში ცხელი წყალი არ არის, ამაშიც ეკონომიას აკეთებენ. მაინც ჩქარა-ჩქარა ვაკეთებდი გასაკეთებელს. როგორ უნდა ავუხსნა, რომ სიკვდილს ვუყურებ თვალებში. რომ დაიძახებენ „ამდენი ეს მომეცი, ამდენი ის", წარმოიდგინე, უნდა დაიმახსოვრო, არ უნდა შეგეშალოს. სულ „ამდენი, ამდენი", იღლები ფიზიკურადაც და გონებრივადაც. რა ვქნათ, აბა, მთლად რომ დავეცეთ, ჩემს უკან მთელი ჩემი ოჯახია. რომ წავიდე, რითი მაკმაყოფილებს მთავრობა? ახლა ოჯახს ხომ მაინც ვარჩენთ, თორე სხვა რა უნდა იყოს. სამუშაოს მხრივ მაინც ჯობია აქეთ. ჩემი რძალი ხომ იძახდა, როდის წავალ, როდის წავალო, წავიდა და – გამოქცევა მინდოდაო, ის ფული, რაც ჩავიტანე, რომ ილეოდაო, მაგიერს რომ ვერ ვამატებდი, გავგიჟდი ლამისო. აქ რომ იმუშავებ, იცი, რომ ერთი კვირის ბოლოს აიღებ, ბევრია თუ ცოტა, იმედი გაქვს. იქ ყველა დილა გათენდება, ერთნაირია. არც დღეს აიღებ, არც ხვალ, არც პერსპექტივა გაქვს.

ეს ამდენი ხალხი ეხლა საქართველოში რომ იყოს, უარესი ქურდობა და შიმშილი არ იქნებოდა! ეხლა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც ხომ ვაკმაყოფილებთ, ცოტა მაინც ხომ უკეთესობაა. ჩვენც რომ იქ ვიყოთ, რა უნდა ქნან. ადრე დაგდევდა ჩვენი მთავრობა, თუ არ მუშაობდი – გასაქმებდა, ახლა – ძაან არ დარდობდეს. თორემ, ჩემი შემოსავლის ნახევარიც რომ მქონდეს იქ, წავიდოდი, ნამდვილად. ზოგი ამბობს, მინდა წასვლაო, მაგრამ ცოცხალი თავით იქ არ წავა. ერთი ნაცნობი მეუბნება, აქედან მკვდარს თუ წამიღებენ, თორემ საქართველოში არ დავბრუნდებიო. თანაც რა იყო: ადრე გვეთაკილებოდა ჩვენთან დამლაგებლობა. ახლა, რომ ჩავიდე, მოხუცსაც მოვუვლიდი, დავალაგებდი კიდეც და არ შემრცხვებოდა. ესა აქვთ კარგი ბერძნებს, არცეთნაირ სამუშაოზე არ დაგცინებენ, ქუჩაშიც რომ ხვეტავდე. იმისთანა ქალები მუშაობენ „ნაგვის მანქანებზე", ბუნკერებს რომ ცლიან, გაგიკვირდება. მერე დაიბანენ, გამოიპიწკებიან და საღამოთი რომ შეხედავ, ვერც წარმოიდგენ, ეს თუ ისააო. ყველაზე დიდი ფული და „დოროები" (პრემია, სადღესასწაულო საჩუქარი) მაგათა აქვთო. მაგრამ მანდ კი არ მიგიღებენ, საბუთი თუ არა გაქვს. მე მანდ არც მიმიშვებენ. ხოდა, ახლა აქ ვინცა ვართ, რომ წავიდეთ საქართველოში, მე მგონია, არავინ აღარ იტყვის უარს, კიდეც დახვეტავენ, კიდეც დაწმენდავენ, მოხუცსაც მოუვლიან და არ შერცხვებათ. ეს გვასწავლა ევროპამ...